ირაკლი კოვზანაძე
გოგი კონტრიძე

ეკონომიკური
უნივერსიტეტი

RISK MANAGEMENT

VALUE AT RISK (VAR)

CAMELS

RETURN ON ASSETS (ROA)

RETURN ON EQUITY (ROE)

COST/INCOME RATIO (CIR)

SWOT

CASH FLOW

CROSS-SELLING

SCORING

LEASING

OVERDRAFT

OVERNIGHT

COMMITTEE ON BANKING SUPERVISION

PIBOR

MODERN BANKING

MOODY'S

LIBOR

RETAIL BANKING

FITCH RATINGS

STANDARD & POOR'S

NIBOR

თანამედროვე საბანკო საქმე

თეორია და პრაქტიკა

ირაკლი კოვზანაძე
გოგი კონტრიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამედროვე საბანკო საქმე

თეორია და პრაქტიკა

თბილისი, 2014

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა - ი. კოვზანაძე, გ. კონტრიძე, თბილისი, 2014, 548 გვ.

ISBN 978-9941-0-6639-9

სახელმძღვანელო შექმნილია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრაზე და მოიცავს საბანკო სისტემის და კომერციული ბანკის საქმიანობის პრაქტიკულად ყველა მნიშვნელოვან ასპექტს.

ნაშრომი ეფუძნება საბანკო საქმიანობის საერთაშორისო და სამამულო გამოცდილებას. მასში საბანკო კანონმდებლობის ნორმატიულ დოკუმენტებსა და სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით განხილულია საბანკო საქმის კონკრეტული მაგალითები როგორც საქართველოს შემთხვევაში, ასევე საერთაშორისო საბანკო პრაქტიკიდან.

წიგნი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების საბანკო საქმის სპეციალობის ბაკალავრებისათვის, ეკონომიკური პროფილის სხვა მიმართულებების მაგისტრებისათვის, დოქტორანტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის. იგი ასევე დაეხმარება მეცნიერ-მკვლევარებს, ეკონომისტებსა და პრაქტიკოს ბანკირებს გაიღრმავონ ცოდნა საბანკო საქმეში.

რედაქტორი: **ელგუჯა მექვაბიშვილი,**
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

რეცენზენტები: **ემზარ ჯგერენაია,**
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ლევან ქისტაური,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

K36 4641
4

რეკომენდებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს მიერ (2014 წლის 5 მარტი).

© Irakli Kovzanadze, Gogi Kontridze, 2014

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარჩევი

ავტორებისაგან 7

ნაწილი I. საბანკო საქმიანობის საფუძვლები

1. საბანკო საქმიანობის წარმოშობა და საბანკო სისტემა 13
1.1. საბანკო საქმიანობის ჩამოყალიბების ისტორიული მიმოხილვა 14
1.2. ბანკების კლასიფიკაცია და სახეობები 23
1.3. საბანკო-საკრედიტო სისტემა და მისი ელემენტები 30
საკონტროლო კითხვები 33

2. ცენტრალური ბანკები 35
2.1. ცენტრალური ბანკების წარმოშობის წინაპირობები 36
2.2. ცენტრალური ბანკების წარმოშობა და საბანკო სისტემის ჩამოყალიბება 38
2.3. ცენტრალური ბანკის როლი, ძირითადი ფუნქციები და ამოცანები 47
2.4. ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო რეგულირების ინსტრუმენტები 54
საკონტროლო კითხვები 62

3. კომერციული ბანკების საქმიანობა და ოპერაციები 65
3.1. კომერციული ბანკის საქმიანობის არსი და ძირითადი თავისებურებები 66
3.2. კომერციული ბანკის საქმიანობის პრინციპები 69
3.3. კომერციული ბანკის ფუნქციები და ოპერაციები 71
3.4. თანამედროვე საბანკო საქმიანობის განვითარების ტენდენციები 75
საკონტროლო კითხვები 80

4. საქართველოს საბანკო სისტემა 83
4.1. საბანკო საქმის განვითარების ისტორია საქართველოში 84
4.2. საბანკო საქმის განვითარების თანამედროვე ეტაპი საქართველოში 88
4.3. საქართველოს საბანკო-საკრედიტო სისტემა 101
საკონტროლო კითხვები 114

5. საბანკო მენეჯმენტი 117
5.1. საბანკო მენეჯმენტის არსი, მიზანი და ელემენტები 118
5.2. სტრატეგიული დაგეგმვა და ბიუჯეტირება კომერციულ ბანკში 126
5.3. პერსონალის მართვა კომერციულ ბანკში 133
5.4. ფინანსური მენეჯმენტი კომერციულ ბანკში 137
5.5. კომერციული ბანკის მენეჯმენტის შეფასება 140
საკონტროლო კითხვები 141

6. კომერციული ბანკის რესურსები და პასიური ოპერაციები 145
6.1. კომერციული ბანკის პასიური ოპერაციები 147
6.2. კომერციული ბანკის პასივების სტრუქტურა 148
6.3. კომერციული ბანკის კაპიტალის ფუნქციები და სტრუქტურა 154
6.4. კომერციული ბანკის საწესდებო კაპიტალის ფორმირება და მისი წყაროები 160
6.5. კომერციული ბანკის მოზიდული სახსრები 164
საკონტროლო კითხვები 170

7. კომერციული ბანკის აქტიური ოპერაციები, აქტივების ხარისხი 173
7.1. კომერციული ბანკის აქტივისა და აქტიური ოპერაციების ცნება 174
7.2. კომერციული ბანკის აქტიური ოპერაციების კლასიფიკაცია 179
7.3. კომერციული ბანკის აქტივების სტრუქტურა 182
7.4. კომერციული ბანკის აქტივების ხარისხი და მისი შეფასება 184
საკონტროლო კითხვები 192

8. კომერციული ბანკის ლიკვიდობა და გადახდისუნარიანობა 193
8.1. კომერციული ბანკის ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის არსი 194
8.2. კომერციული ბანკის ლიკვიდობასა და გადახდისუნარიანობაზე მოქმედი ფაქტორები 198
8.3. კომერციული ბანკის ლიკვიდობის მართვა 203
8.4. კომერციული ბანკის ლიკვიდობის შეფასება 212
საკონტროლო კითხვები 219

9. ბუღალტრული აღრიცხვა კომერციულ ბანკში და კომერციული ბანკის ბალანსი 221
9.1. ბუღალტრული აღრიცხვა ბანკში, მისი ამოცანები, პრინციპები და სახეობები 222
9.2. ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზება ბანკში 226
9.3. კომერციული ბანკის ბალანსი და მისი აგების პრინციპები 229
9.4. ბანკების ანგარიშთა გეგმა საქართველოში 231
საკონტროლო კითხვები 236

10. კომერციული ბანკის მოგება და მისი მომგებიანობის შეფასება 237
10.1. კომერციული ბანკის შემოსავლები 238
10.2. კომერციული ბანკის ხარჯები 243
10.3. კომერციული ბანკის მომგებიანობის შეფასება 249
საკონტროლო კითხვები 259

11. უნაღდო ანგარიშსწორების სისტემა 261
11.1. უნაღდო ანგარიშსწორების როლი ეკონომიკაში 262
11.2. უნაღდო ანგარიშსწორების ორგანიზების ზოგადი დებულებები 263
11.3. საგადამხდელო სისტემები 267
11.4. ბანკთაშორისი ანგარიშსწორება 276
11.5. ანგარიშის გახსნის წესი საქართველოს კომერციულ ბანკებში 279
საკონტროლო კითხვები 282

12. უნაღდო ანგარიშსწორების ფორმები 285
12.1. საგადახდო საბუთების სახეობები, მათი გაფორმება და გამოყენება საქართველოში 286
12.2. ანგარიშსწორება საგადახდო და საინკასო დავალებებით 290
12.3. დოკუმენტური ოპერაციები 293
12.4. ანგარიშსწორება ჩეკებით 298
12.5. უნაღდო ანგარიშსწორება ფიზიკური პირის მიერ 300
საკონტროლო კითხვები 302

13. საბანკო დაკრედიტების თანამედროვე სისტემა 305
13.1. საბანკო დაკრედიტების საფუძვლები 306
13.2. კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკა 310
13.3. კრედიტის უზრუნველყოფის ფორმები 314
13.4. საბანკო პროცენტი და მის დონეზე მოქმედი ფაქტორები. საპროცენტო მარჟა 318
13.5. საპროცენტო განაკვეთის სახეობები და დარიცხვის მეთოდები 325
საკონტროლო კითხვები 330

14. საბანკო კრედიტის სახეობები 333
14.1. საბანკო კრედიტების კლასიფიკაცია 334
14.2. ერთჯერადი კრედიტების გაცემა 344
14.3. დაკრედიტება საკრედიტო ხაზების მეშვეობით 345
14.4. ოვერდრაფტი 347
14.5. სამომხმარებლო კრედიტი და საკრედიტო ბარათები 349
14.6. იპოთეკური კრედიტი 352
14.7. ბანკთაშორისი დაკრედიტება 353
საკონტროლო კითხვები 356

15. დაკრედიტების პროცესი კომერციულ ბანკში 359
15.1. დაკრედიტების ეტაპები კომერციულ ბანკში 360
15.2. საკრედიტო განაცხადი და ინტერვიუ მსესხებელთან 362
15.3. პროექტის დამუშავება, კრედიტის დამტკიცება და საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმება 365
15.4. კრედიტის დაფარვა და საკრედიტო ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი 367
15.5. პრობლემურ კრედიტებთან მუშაობა 370
საკონტროლო კითხვები 372

16. მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასება 375
16.1. მსესხებლის კრედიტუნარიანობის ცნება 376
16.2. მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასების კრიტერიუმები 377
16.3. მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასების მეთოდები 380
16.4. იურიდიული პირის კრედიტუნარიანობის შეფასება 381
16.5. ფიზიკური პირის კრედიტუნარიანობის შეფასება 389
საკონტროლო კითხვები 393

17. კომერციული ბანკის საკასო ოპერაციები 395
17.1. ბანკის სალაროს მეურნეობის ორგანიზება 396
17.2. ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობების მიღებისა და გაცემის წესი 404
17.3. ბანკნოტებისა და მონეტების ფორმირება 407
17.4. ფულადი სახსრების ინკასაცია 408
საკონტროლო კითხვები 410

18. კომერციული ბანკის ოპერაციები ფასიანი ქაღალდებით 413
18.1. კომერციული ბანკი და ფასიანი ქაღალდების ბაზარი 414
18.2. კომერციული ბანკის საინვესტიციო ოპერაციები ფასიანი ქაღალდებით 420

ეროვნული ბიბლიოთეკა

18.3. ოფციონები, ფიუჩერსები, სვოპები 422
საკონტროლო კითხვები *425*

19. კომერციული ბანკის სავალუტო ოპერაციები 427
19.1. სავალუტო ოპერაციების არსი და კლასიფიკაცია 428
19.2. სავალუტო ბაზარი და მისი სტრუქტურა 436
19.3. კომერციული ბანკის სავალუტო ოპერაციების სახეობები 441
19.4. სავალუტო რისკების მართვა და სავალუტო ოპერაციების აღრიცხვა ... 446
საკონტროლო კითხვები *449*

20. კომერციული ბანკის დანარჩენი ოპერაციები 451
20.1. ლიზინგი 452
20.2. ფაქტორინგი 461
20.3. ფორფეტინგული ოპერაციები 466
საკონტროლო კითხვები *469*

21. თანამედროვე საბანკო პროდუქტები და ტექნოლოგიები 471
21.1. საბანკო პლასტიკური ბარათები 472
21.2. დისტანციური საბანკო მომსახურება 479
21.3. ბანკომატი 480
21.4. ელექტრონული გზავნილები სავაჭრო ორგანიზაციებში 482
საკონტროლო კითხვები *483*

22. საბანკო რისკების სახეობები 485
22.1. საბანკო რისკები და მათი კლასიფიკაცია 486
22.2. საკრედიტო რისკი 490
22.3. საბაზრო (საპროცენტო, სავალუტო, საფონდო) რისკები 492
22.4. ლიკვიდობის რისკი 494
22.5. საოპერაციო რისკი 496
22.6. სამართლებრივი რისკი 498
22.7. რეპუტაციის რისკი 499
22.8. სტრატეგიული რისკი 500
საკონტროლო კითხვები *501*

23. საბანკო რისკების მართვა 503
23.1. რისკმენეჯმენტი კომერციულ ბანკში 504
23.2. რისკების შეფასებისა და მართვის სისტემა 509
23.3. რისკების მართვის გამოყენება საბანკო ზედამხედველობის თვალსაზრისით 513
საკონტროლო კითხვები *520*

24. კომერციული ბანკის საქმიანობის კონტროლის სისტემა და ანგარიშგება 523
24.1. შიდა კონტროლის სისტემა კომერციულ ბანკში 524
24.2. კომერციული ბანკის შიდა აუდიტი 527
24.3. კომერციული ბანკის გარე აუდიტი 532
24.4. საბანკო ანგარიშგების მნიშვნელობა და სახეობები 535
საკონტროლო კითხვები *541*

გამოყენებული ლიტერატურის სია 543

ავტორებისაგან

საბანკო საქმიანობის ცალკეული ელემენტები ჯერ კიდევ ცივილიზაციის გარიჟრაჟზე აღმოცენდა და მას შემდეგ სისტემატურად მიმდინარეობს ბანკის, როგორც უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური ინსტიტუტის, განვითარება და სრულყოფა. შედეგად, დღეისათვის ბანკისა და საბანკო ურთიერთობების სახით კაცობრიობას აქვს უნიკალური ფინანსური ინსტიტუტი, რომლის გარეშე წარმოუდგენელია არა მარტო ეკონომიკური ურთიერთობები, არამედ, ზოგადად, საზოგადოებრივი პროგრესი.

თანამედროვე ბანკი არის მეტად რთული მექანიზმი, ამასთან, უაღრესად ფაქიზი და მყიფე — ცუდი მენეჯმენტის პირობებში და იმავდროულად მეტად მძლავრი — წარმატებული მართვის შემთხვევაში. აღნიშნული გარემოება განპირობებულია ფართო სპექტრით იმ რისკებისა, რომლებიც საბანკო საქმიანობასა და ბანკირებს ყველა ფეხის ნაბიჯზე ხვდებათ.

სახელმძღვანელოში შევეცადეთ, პასუხი გაგვეცა კითხვებზე: *რა განაპირობებს ბანკების განსაკუთრებულობას? რით განსხვავდებიან ისინი სხვა ფინანსური ინსტიტუტებისაგან? როგორ უნდა ვმართოთ კომერციული ბანკი? რით არის გამორჩეული ამ კუთხით საქართველოს თანამედროვე საბანკო სისტემა?* ეს და სხვა საკითხები სახელმძღვანელოში განიხილება მაკროეკონომიკურ პრობლემებთან ერთად. ყურადღება გამახვილებულია სხვადასხვა დეტალსა და „წვრილმანზე", რაც ასე გამორჩეულს ხდის თანამედროვე საბანკო საქმეს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ თითოეული თემის განხილვისას გამოყენებულია საქართველოს საბანკო სისტემის კრებსითი და ცალკეული ბანკების საბალანსო, მოგება-ზარალისა და სხვადასხვა ანალიტიკური მაჩვენებელი, მოქმედი მარეგულირებელი ნორმატიული აქტები და ხშირად — არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის ისტორიული ექსკურსი. აღწერილია, თუ როგორ შეიქმნა და განვითარდა ქართული ეკონომიკის ფინანსურად ყველაზე მძლავრი და შემოსავლიანი, ტექნოლოგიურად — ყველაზე განვითარებული და საკადრო პოტენციალით — ყველაზე ინტელექტუალური, წარმატებული საბანკო ბიზნესსექტორი. დღეისათვის ქართული საბანკო სისტემა თანამედროვე გლობალური ფინანსური სისტემის, მართალია, მცირე, მაგრამ საკმაოდ მტკიცე რგოლი და დინამიკურად განვითარებადი ნაწილია.

წინამდებარე წიგნი წლების განმავლობაში იქმნებოდა. მას საფუძვლად დაედო ავტორთა სურვილი — შექმნილიყო არსებულ ქართულ საბანკო პრაქტიკასთან ადაპტირებული და საბანკო თეორიაზე დაფუძნებული თანამედროვე ტიპის სახელმძღვანელო. ამ განზრახვის რეალიზაციის მიზნით დაიწერა საბანკო დაკრედიტებასთან დაკავშირებული ის პირველი ოთხი თავი, რომელთა საჭიროება, ჩვენი აზრით, განსაკუთრებით აქტუალური იყო სალექციო კურსების წაკითხვისა და პრაქტიკული მუშაობისათვის. შემდგომში ამას მოჰყვა არანაკლებ მნიშვნელოვანი თემები, პარალელურად იხვეწებოდა უკვე დამუშავებული თავებიც. საბოლოო ჯამში, მივიღეთ ნაშრომი დღევანდელი სახით, რომელიც, ვფიქრობთ, პასუხობს მის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და წარმოადგენს საქართველოში საბანკო საქმის სწავლების მიმართულებით შექმნილ თანამედროვე სტანდარტების სახელმძღვანელოს.

არცთუ იშვიათად სახელმძღვანელო სცდება წმინდა სასწავლო მასალის, პროგრამის ჩარჩოებს და ახდენს საქართველოს საბანკო სისტემის მაჩვენებელთა დემონსტრირებას დინამიკაში, მათზე გარე ფაქტორების გავლენის ახსნას. ამგვარი მიდგომა, ჩვენი აზრით, აჩვევს სტუდენტს ანალიზს და მას მომავალში მართებული გადაწყვეტილებების მიღებისათვის სოლიდურ საფუძველს უქმნის. სახელმძღვანელოში, მასალის უკეთ აღქმის მიზნით, მრავლადაა წარმოდგენილი სქემები, დიაგრამები, ცხრილები, ფორმულები და მაგალითები. ასევე ხშირადაა გამოყენებული საბანკო ოპერაციების ბუღალტრული ასახვის ქართული პრაქტიკის ელემენტები და ეროვნული ბანკის მხრიდან რეგულირების მექანიზმები, რითაც წიგნი მეთოდური პრაქტიკუმის ნიშან-თვისებებსაც ატარებს.

სახელმძღვანელო იძლევა კომერციული ბანკის საქმიანობის ორგანიზების საქმეში სრულყოფილი პროფესიული ცოდნის მიღების შესაძლებლობას, საბანკო საქმის ყველა მნიშვნელოვანი მიმართულების დახასიათებას. კერძოდ, მასში განხილულია ისეთი საკითხები, როგორიცაა: საბანკო საქმის, კომერციული და ცენტრალური ბანკების ისტორიული გენეზისი, ბანკების როლი და ფუნქციები, საქართველოს საბანკო სისტემის წარმოშობა, ჩამოყალიბება, რეფორმირება და დღევანდელი მდგომარეობა, კომერციული ბანკის მენეჯმენტი და მისი ძირითადი მიმართულებები, ბანკების პასიური და აქტიური ოპერაციები, კაპიტალის როლი და ფორმირების წყაროები, ბანკის ლიკვიდობა, მდგრადობა და მომგებიანობა, ბუღალტრული აღრიცხვა, ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორება, ამ უკანასკნელთა ფორმები და ინსტრუმენტები. დეტალურადაა განხილული დაკრედიტების პროცესი კომერციულ ბანკში, ასევე — ოპერაციები ფასიანი ქაღალდებით, სავალუტო ოპერაციები, ლიზინგი, ფაქტორინგი, ფორფეტირება და თანამედროვე საბანკო ტექნოლოგიები და პროდუქტები. დაბოლოს, დეტალურადაა დახასიათებული საბანკო რისკები, რისკმენეჯმენტის, შიდა კონტროლის, აუდიტისა და ანგარიშგების პრაქტიკა თანამედროვე ქართულ საბანკო სისტემაში.

სახელმძღვანელოს სტრუქტურაზე, თემების შინაარსსა და მათ თანმიმდევრობაზე გავლენას ახდენდა, ერთი მხრივ, საბანკო სფეროში ჩვენი პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება, რომელიც ორ ათეულ წელს აღემატება, მეორე მხრივ კი — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მრავალწლიანი პედაგოგიური საქმიანობა. შევეცადეთ, სახელმძღვანელო გამოსულიყო „ცოცხალი“ და ერთიანი ორგანიზმი: ყველა თემა ყოფილიყო წინა თემის ლოგიკური გაგრძელება და, შესაბამისად, მომდევნო თემის საფუძველი.

გვინდა გულითადი მადლიერება გამოვხატოთ წიგნის რედაქტორისა და რეცენზენტების, სრული პროფესორის **ელგუჯა მექვაბიშვილის**, პროფესორების: **ემზარ ჯგერენაიასა** და **ლევან ქისტაურის** მიმართ მათი მხრიდან გაწეული რეკომენდაციებისა და შეფასებებისათვის.

ასევე, გვინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადოთ მნიშვნელოვანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრაქტიკული რჩევებისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის ყოფილ პრეზიდენტებს, ბატონებს — **ნოდარ ჯავახიშვილს**, **ირაკლი მანაგაძესა** და **რომან გოცირიძეს**, და ასევე პრაქტიკოს ბანკირებს, ბატონებს — **პაატა ღაძაძეს** (სს „თი-ბი-სი ბანკი“) და **გიორგი ჭილაძეს** (სს „საქართველოს ბანკი“).

ავტორები სიამოვნებით მივიღებთ ყველა საქმიან რჩევას, რეკომენდაციასა და შენიშვნას (sabankosaqme2014@gmail.com), მით უმეტეს, რომ გვაქვს სურვილი, დროთა განმავლობაში სახელმძღვანელო განახლდეს და განმეორებით გამოიცეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი I

საბანკო საქმიანობის საფუძვლები

თავი 1

საბანკო საქმიანობის არსი და საბანკო სისტემა

შინაარსი:

1.1. საბანკო საქმიანობის ჩამოყალიბების ისტორიული მიმოხილვა;
1.2. ბანკების კლასიფიკაცია და სახეობები;
1.3. საბანკო-საკრედიტო სისტემა და მისი ელემენტები.

ძირითადი ელემენტები:

1. საბანკო პრაქტიკის განვითარების **I** ეტაპი – საბანკო პრაქტიკის ჩასახვიდან ანტიკურ პერიოდამდე;
2. საბანკო პრაქტიკის განვითარების **II** ეტაპი – ანტიკური ხანიდან პირველი საბანკო დაწესებულების შექმნამდე (**XII** საუკუნემდე);
3. საბანკო პრაქტიკის განვითარების **III** ეტაპი – ჟირო-ბანკების, ანუ საზოგადოებრივი ბანკების ხანა (**XIII-XVII** საუკუნეები);
4. საბანკო პრაქტიკის განვითარების **IV** ეტაპი – ბანკების მიერ მსოფლიოს „დაპყრობა“ (**XVIII** საუკუნე);
5. საბანკო პრაქტიკის განვითარების **V** ეტაპი – თანამედროვე ბანკინგი (**XIX** საუკუნიდან დღემდე);
6. ბანკების კლასიფიკაცია 7 ძირითადი ნიშნის მიხედვით;
7. ერთდონიანი და ორდონიანი საბანკო სისტემები;
8. ბანკებზე ორიენტირებული საფინანსო სისტემა;
9. ბაზარზე ორიენტირებულ საფინანსო სისტემა;
10. ისლამური ბანკინგი და მისი თავისებურება.

გამოყენებული სქემები, ნახატები და ცხრილები:

ცხრ. №1.1. ბანკების კლასიფიკაცია და ტიპები;
სქემა №1.1. ორდონიანი საბანკო-საკრედიტო სისტემის ტიპური სქემა.

1.1. საბანკო საქმიანობის ჩამოყალიბების ისტორიული მიმოხილვა

ბანკები თანამედროვე ეკონომიკისა და საზოგადოების ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ისინი იმყოფებიან ეკონომიკის „შუაგულში“ და როგორც სისხლძარღვოვანი სისტემა, უზრუნველყოფენ კავშირს ეკონომიკურ სუბიექტებს შორის. ბანკები არიან არა რომელიმე ეკონომიკური რეგიონის ან ქვეყნის მახასიათებელნი, მათ საქმიანობის სფეროს არ გააჩნია გეოგრაფიული ან ეროვნული საზღვრები, ბანკები – ესაა უმნიშვნელოვანესი რესურსებისა და ფინანსური ძალის მქონე ყოვლისმომცველი მოვლენა. ძირითადად, სწორედ ბანკების მეშვეობით ხორციელდება რესურსების გადანაწილება დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების მქონე სუბიექტებიდან იმ სუბიექტებისაკენ, რომლებიც მათ საჭიროებენ მოცემულ მომენტში. სამწუხაროდ, დღესაც კი ჩვენს ქვეყანაში ყველა ეკონომიკური სუბიექტის მიერ ბოლომდე არაა გაცნობიერებული ის როლი, რომელსაც უნდა ასრულებდეს საბანკო სისტემა ეკონომიკურ სისტემაში.

ზუსტი ინფორმაცია ბანკების წარმოშობაზე, პირველი ბანკის შექმნაზე ან პირველ საბანკო ოპერაციებზე ისტორიას არ შემოუნახავს, თუმცა, გარკვეული დასკვნების გამოტანა ძველ წყაროებზე დაყრდნობით მაინც შესაძლებელია. ამ ექსკურსისათვის მნიშვნელოვანია, გავიხსენოთ საინტერესო ცნობები ფულის იმ ეკვივალენტის შესახებ ძველი ერების ისტორიიდან, რომელთა როლშიც გვევლინებოდა შინაური ცხოველები, მარცვლეული, შალი, ნიჟარები, ქურქი, და ა.შ., მაგრამ აქედან შესაძლებელია დავასკვნათ მხოლოდ უძველესი ფულადი მიმოქცევის და არა იმის შესახებ, თუ როგორი იყო ამ დროს ჩანასახოვანი საკრედიტო ინსტიტუტების თუ მექანიზმების როლი. უფრო მეტიც, ისტორიაში ბანკების წარმოშობის პერიოდი ძალიან ბუნდოვანია და სპეციალისტების კამათის საგანს წარმოადგენს.

ზოგიერთი მათგანის შეხედულებით, ბანკები წარმოიშვა ფეოდალიზმის ეპოქაში ან „ცოტათი“ ადრე, ანტიკურ ხანაში, როცა გაჩნდა აუცილებლობა ბანკების ისეთი ფუნქციებისა, როგორებიცაა – შუამავლობა და გადახდების განხორციელება, თუმცა, ისიც ცხადია, რომ შუამავლობისა და გადახდების აუცილებლობა ბევრად ადრეც არსებობდა. მეორე შეხედულებით, ბანკები წარმოიშვა საბანკო სახლების სახით მანუფაქტურული კაპიტალიზმის ეპოქაში **XIV-XV** საუკუნის ცალკეულ იტალიურ ქალაქებში (ვენეცია, გენუა) და მევახშეებისგან განსხვავებით, ისინი ახდენდნენ სამრეწველო და კაპიტალისტების დაკრედიტებას „ზომიერ ფასად“. სხვების აზრით, ბანკების წარმოშობა დაკავშირებულია არა სასაქონლო მეურნეობის სხვადასხვა ეტაპზე ფულადსასაქონლო ურთიერთობის განვითარებასთან, არამედ იმ პერიოდთან, როცა „აუცილებელი გახდა“ ჩახლართული ფულადი მიმოქცევის დამარეგულირებელი სპეციალური დაწესებულებების ქსელის არსებობა, ანუ საუბარია კაპიტალიზმის განვითარების გვიან პერიოდზე.

როგორც ვხედავთ, ცალკეულ მეცნიერთა მოსაზრებები ბანკების წარმოშობაზე რამდენიმე ათასწლეულის დიაპაზონში მერყეობს და ამის მთავარი მიზეზია შეხედულება ზოგადად ბანკის ფუნქციებსა და იმაზე, თუ რომელი და რამდენი ფუნქციის შესრულებაა „საკმარისი“, რათა საკრედიტო ინსტიტუტს ან საკრედიტო ურთიერთობის მექანიზმს ეწოდოს ბანკი.

გამომდინარე იქიდან, რომ ძნელია ასეთი მკაფიო ხაზის გავლება, ალბათ, უფრო მართებული იქნება ბანკების წარმოშობის პერიოდების შესახებ არსებული შეხედულებების შეჯერებით გამოვყოთ ბანკების, უფრო სწორად – საბანკო პრაქტიკის, განვითარების 5 ეტაპი:

1) საბანკო პრაქტიკის ჩასახვიდან ანტიკურ პერიოდამდე (საბანკო პრაქტიკის სათავეები);
2) ანტიკური ხანიდან პირველი საბანკო დაწესებულების შექმნამდე (ანტიკური ხანიდან **XII** საუკუნემდე);
3) ჟირო-ბანკების, ანუ საზოგადოებრივი ბანკების ხანა (**XIII-XVII** საუკუნეები);
4) ბანკების მიერ მსოფლიოს „დაპყრობა“ (**XVIII** საუკუნე);
5) თანამედროვე ბანკინგი (**XIX** საუკუნიდან დღემდე).

განვიხილოთ თითოეული ეტაპი, რაც, ალბათ, შედარებით მკაფიოს გახდის საბანკო პრაქტიკის წარმოშობის შესახებ არსებულ ბუნდოვან სურათს.

პირველი ეტაპი: საბანკო პრაქტიკის ჩასახვიდან ანტიკურ პერიოდამდე

გამომდინარე იქიდან, რომ გაჩნდა საზოგადოებრივი მოთხოვნა, ადამიანები უძველესი ხანიდან იყვნენ დაკავებულნი საშუამავლო საქმიანობით, რაც უმთავრესად გამოიხატებოდა მონეტების ბრუნვასთან დაკავშირებულ ურთიერთგადახდებით, ეს ადამიანები იყვნენ ზარაფები – ფულით მოვაჭრეები. რა თქმა უნდა, ბანკი, ამ სიტყვის დღევანდელი მნიშვნელობით, იმ დროისათვის არ არსებობდა. მეტად რთულია დავადგინოთ, ვინ იყო „პირველი ბანკირი“ და სად მოღვაწეობდა იგი, თუმცა, ისტორიული წყაროებით ცნობილია, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2 300 წლის წინ ქალდეველებთან არსებობდა სავაჭრო ამხანაგობები, რომლებიც გასცემდნენ სესხებს. არსებობს წყაროები, რომელთა მიხედვით, ძველ ჩინეთში ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2 000 წლის წინ არსებობდა საჩეკო მიმოქცევა.

უძველეს ცივილიზაციებში საკრედიტო ურთიერთობის საფუძველი მევახშეობა იყო, ამიტომ სასესხო ოპერაციები ფორმდებოდა იურიდიული ნორმების განსაკუთრებული დაცვით. სესხის პირობები იყო ძალიან მკაცრი და, შესაბამისად, ძალიან მაღალი იყო სავალო ვალდებულების ხარისხიც. ასეთი იურიდიული ნორმებისა და რეგულაციის კარგი მაგალითია ჩვენს წელთაღრიცხვამდე **XVIII** საუკუნის მეფე ჰამურაბის კანონები.

უძველესი ცივილიზაციებიდან საბანკო პრაქტიკაში ყველაზე წინ ძველი ბაბილონელები წავიდნენ. უკვე ჩვენს წელთაღრიცხვამდე **VI** საუკუნეში არსებობდნენ „ბანკირები“, რომელთა მიერ ჩატარებული ოპერაციების ჩამონათვალი, მართლაც, შთამბეჭდავია. იმ ეპოქის ბაბილონში განსაკუთრებულად წარმატებულად ითვლებოდა საბანკო სახლი „იგიბი“. იგი გასცემდა სესხებს, რომლებზეც ხდებოდა არა პროცენტის გადახდა, არამედ მოწეული მოსავალის ნაწილის დათმობა, სესხები ასევე გაიცემოდა ხელწერილის ან გირაოს უზრუნველყოფით. ისინი ახორციელებდნენ ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებულ საკომისიო ოპერაციებს, ახორციელებნენ გადახდებს კლიენტის ანგარიშიდან, ყიდულობდნენ და ყიდდნენ მიწის ნაკვეთებს. ბანკირები ასევე გვევლინებოდნენ თავდებების როლში, კონსულტაციას უწევდნენ კლიენტებს და აწარმოებდნენ სატრასტო ოპერაციებს კლიენტების სახელით. რაც ყველაზე საინტერესოა, ბაბილონელი ბანკირების მიერ ხდებოდ პროცენტიანი ანაბრების მიღება.

ამ პერიოდში ასეთი სავაჭრო სახლების როლი მაინც შედარებით ნაკლები, ვინაიდან უმნიშვნელოვანესი იყო საკულტო ტაძრების, როგორც ფინანსური მეურნეობის ორგანიზატორთა, როლი. ქონების, სიმდიდრის, ფულის შენახვის საუკეთესო ადგილად საკულტო ნაგებობები, ტაძრები, ხოლო ფინანსისტებად – ქურუმები იქცნენ. ეს განპირობებული იყო ტაძრების მიმართ სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ნდობით. შედარებითი სტაბილურობა და მათდამი ნდობა უზრუნველყოფდა ტაძრების მიერ ფულადი ოპერაციების განვითარებას. ტაძრებმა თანდათან, საზოგადოების მხრიდან მოთხოვნის ზრდის შესაბამისად, დაიწყეს იმ დროისათვის სრული საბანკო სერვისის განხორციელება – საშემნახველო, საკასო, საანგარიშსწორებო, გაცვლითი, სააღრიცხვო და საკრედიტო. მსესხებლის როლში ხშირად სახელმწიფო გამოდიოდა. ამასთან ერთად, ყოველივე ეს სადაზღვევო ფუნქციასაც ატარებდა. სახელმწიფო განსაკუთრებით იყო დაინტერესებული საქმის ასეთი ვითარებით და ხელს უწყობდა მას.

ჩვენამდე მოღწეული ცნობებით, ამ მიმართულებით მნიშვნელოვნად წინ წავიდნენ ძველი ბერძნები. ბერძნულმა ტაძრებმა თანდათან უზარმაზარი ქონება დააგროვეს მათ ხელში არსებული მიწებიდან მიღებული შემოსავლებით, შემოწირულობებით, ასევე მაღალი პროცენტით გაცემული კრედიტებიდან მიღებული შემოსავლებით, რაც მევახშეობა უფრო იყო, ვიდრე საბანკო დაკრედიტება. ხშირად, გაცემული სესხის დაუბრუნებლობის შემთხვევაში, მსესხებლის ქონება ტაძრის საკუთრებაში გადადიოდა. გარდა ამისა, ოპერაციების განსხვავებულ სახეს წარმოადგენდა ანაბრების მოზიდვა (უფრო სწორად, საშემნახველო საქმე), რაც, ძირითადად, უსაფრთხოების უზრუნველყოფით იყო განპირობებული და ტაძრები ამაშიც გარკვეულ შემოსავალს იღებდნენ.

საბანკო პრაქტიკა იმდენად თვალსაჩინო გახდა, რომ მიიპყრო საქმიანი ადამიანების ყურადღება და ასეთი ინდივიდების რაოდენობა მნიშვნელოვნად იზრდებოდა. თუმცა, პირველი ათენელი ბანკირების – „ტრაპეზიტების“ (ბერძნული სიტყვიდან „ტრაპეზა“, რაც მაგიდას ნიშნავს) საქმიანობა საკმაოდ პრიმიტიული იყო. ტრაპეზიტები ხალხმრავალ ადგილებში განსაკუთრებულ მაგიდებთან ისხდნენ და მათი ძირითადი საქმიანობა სხვადასხვა ქვეყნისა და ქალაქის მონეტების გადაცვლა იყო, მაგრამ თანდათან სხვა ოპერაციების განხორციელებაც დაიწყეს და ამ ოპერაციების მოცულობაც იზრდებოდა. ასეთი ტიპის ოპერაციებში შედიოდა ანაბრების მიღება, საშემნახველო საქმე, სესხების გაცემა. ყველა ოპერაცია სპეციალურ სავაჭრო წიგნებში ფიქსირდებოდა და აღირიცხებოდა. ამ პროცესების ახალ საფეხურად შეიძლება ჩაითვალოს ალექსანდრე მაკედონელის მიერ ეგვიპტეში, ქალაქ ალექსანდრიაში „სამეფო ბანკების“ ცენტრალური ბანკის მსგავსი ინსტიტუტის შექმნა. „სამეფო ბანკებს“ ბერძნები მართავდნენ და მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი სახელმწიფო ხაზინასთან. მათი განყოფილებები ფუნქციონირებდა ქვეყნის ყველა ადმინისტრაციულ ცენტრში. მთელი ეს საბანკო ქსელი სარგებლობდა ქვეყანაში საბანკო ოპერაციების წარმოების მონოპოლიის უფლებით, რის გამოც იგი ასრულებდა სახელმწიფო ხაზინის ყველა ფუნქციასაც.

ტრაპეზიტების პროფესიის წარმოშობას, ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად, სახელმწიფოებრივი და საკაცობრიო მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან იგი პირდაპირ იყო დაკავშირებული საგარეო ვაჭრობის განვითარებასთან.

საბანკო საქმე ძველ რომში ჩამოყალიბდა ბერძნულის მსგავსად და ანალო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიით ჩვენს წელთაღრიცხვამდე **III** საუკუნეში. აქ ბანკირებს „მენსარიებს“ უწოდებდნენ (ლათინური სიტყვიდან ***mensa*** – მაგიდა). როგორც წესი, ეს მაგიდები იდგა ხალხმრავალ, ხმაურიან ადგილებზე – ფორუმებსა და ქალაქის მთავარ მოედნებზე. გარდა არსებული ოპერაციებისა, რომაელი „ბანკირები“ ორგანიზებას უწევდნენ აუქციონების ჩატარებას. აუქციონებზე იყიდებოდა საკუთარი და სხვა ბანკების დაგირავებული ქონება საკომისიოს მიღების სანაცვლოდ.

ტრაპეზიტებიც და მენსარებიც, როგორც ზარაფები, ძირითადად დაკავებულნი იყვნენ მონეტების გადაცვლით და „ბანკირების შორეულ წინაპრებად“ შეიძლება ჩაითვალონ, თუმცა, თავისთავად გაცვლითი ოპერაციები სასაქონლო გაცვლას ასახავს და რეალური საკრედიტო საფუძველი ჯერ არ აქვს. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია იმის გახსენება, რომ საშემნახველო ოპერაციები, რომლებიც ბევრად უფრო ძველია, უფრო მეტადაა მიახლოებული საკრედიტო დაწესებულების არსსა და შინაარსთან.

რომი თანდათან იქცა იმდროინდელი სამყაროს ფინანსურ ცენტრად და, ბუნებრივია, ამას სამართლებრივი რეგულირება სჭირდებოდა. ნელ-ნელა იქმნება და იხვეწება საბანკო და საკრედიტო სამართალი. ამ ნორმების შესაბამისად, რომაული ბანკები, რომლებიც სპეციალიზდებოდნენ ფულის გაცვლაში, იწოდებოდნენ „ნუმულიარებად“ და მათ საკრედიტო ოპერაციების წარმოების უფლება ეძლეოდათ. თავის მხრივ, „არენტარიებმა“, რომლებიც სპეციალიზდებოდნენ საკრედიტო ოპერაციებში, მიიღეს უფლება, გადახდებში შუამავლობის საფუძველზე გაეცათ კრედიტები თავიანთ კლიენტებზე.

K36.464 4

მეორე ეტაპი: ანტიკური ხანიდან პირველი საბანკო დაწესებულების შექმნამდე

ამ ეტაპს უკავშირდება სიტყვა „ბანკის“ დაბადება, რომლის განმარტება კიდევ უფრო ბუნდოვანს ხდის ჩვენს წარმოდგენებს საკრედიტო ინსტიტუტების წარმოშობაზე. სიტყვა „ბანკი“ წარმოიშვა იტალიური სიტყვისაგან ***banco***, რომელიც მაგიდას აღნიშნავს. ამ „საბანკო მაგიდებზე,“ იტალიურ ქალაქ-სახელმწიფოების ცენტრალურ მოედნებზე, მეტად დინამიკური და ჩვენთვის საინტერესო პროცესები ვითარდებოდა. იმ დროისათვის სავაჭროდ გამოყენებული იყო მონეტების მეტად მრავალფეროვანი სახეობები, რომელთა მოჭრას (თანამედროვე ტერმინოლოგიით – „ემისიას“) ახორციელებდნენ სახელმწიფოები, ცალკეული ქალაქები და კერძო პირებიც კი. ბუნებრივია, მონეტების ბეჭდვის არანაირი ერთიანი სისტემა არ არსებობდა. გაცხოველებული ყიდვა-გაყიდვის დროს მიმოქცევაში იყო სხვადასხვა ფორმისა და ღირებულების მონეტა, ხშირად მათი რეალური ღირებულება ნომინალურზე დაბალი იყო. ასეთ პირობებში საჭირო იყო ისეთი ადამიანები, რომლებიც ერკვეოდნენ მონეტების მრავალფეროვნებაში, შეეძლოთ მათი შეფასება და გარკვეულ რჩევებსაც იძლეოდნენ მათი გაცვლის შესახებ. ამ „მონეტების გადამცვლელების“ სპეციალური „საბანკო მაგიდები“ განთავსებული იყო ხალხმრავალ სავაჭრო ადგილებში და მომხმარებელი მათ ნამდვილად არ აკლდათ. იმის გათვალისწინებით, რომ **X-XI** საუკუნეებში იტალია (თავისი ქალაქ-სახელმწიფოებით) მსოფლიო ვაჭრობის ცენტრი იყო, ცხადია, ბანკირები ხდებოდნენ სავაჭრო ოპერაციების აუცილებელი მონაწილეები.

ამავდროულად, აღნიშნული პერიოდისათვის, დასავლეთ ევროპაში მზარდი ფულადი მიმოქცევა ნაღდი ფულის მწვავე დეფიციტს განიცდიდა. ცნობილია, რომ ლითონური ფული საგარეო ვაჭრობაში უფრო ადრე გამოჩნდა, ჯერ

კიდევ მაშინ, როცა ქალაქების ბაზრებში ნატურალური გაცვლა ხდებოდა. ჯვალი მონეტების დამზადება ძვირფასი ლითონების მოპოვების შეზღუდულობის გამო მიზერული იყო, ხოლო არსებული ლითონური ფული თითქმის მთლიანად საგარეო ვაჭრობაში მონაწილეობდა და ვაჭრების ხელში იყო თავმოყრილი. ამას ისიც ემატებოდა, რომ საგარეო ვაჭრობაში ჩადებული ფულის ბრუნვის სიჩქარე მეტად ნელი, ხოლო თვითონ საქმე – მეტად რისკიანი იყო. ქვეყნებისა და ქალაქების შიდა საჭიროებისათვის ნაღდი ფულის მიზერული ნაწილიღა „რჩებოდა". ამის საპირისპიროდ ფეოდალებისა და მოქალაქეების მხრიდან მასზე მოთხოვნა იზრდებოდა. ნაღდი ფულის უკმარისობა განაპირობებდა იმას, რომ იგი მეტად „ძვირი ღირდა" და მევახშეობა ყვაოდა. ბუნებრივი იყო, რომ ბევრი გამდიდრებული ვაჭარი, რომელთა ხელში დაგროვდა დიდი ოდენობით ლითონური ფული, ასაკში შესვლის შემდეგ წყვეტდა სარფიან, მაგრამ მეტად რთულ და რისკიან საქმეს და მევახშეობას იწყებდა. ამ ადამიანებმა „აღმოაჩინეს", რომ მევახშეობა საგარეო ვაჭრობასთან შედარებით უფრო სარფიანი, სწრაფი და ნაკლებრისკიანი იყო, ამასთან, გაჩნდნენ მუდმივი კლიენტები – ფეოდალები, რომლებიც, თავის მხრივ, ვალის გასტუმრებას ახალი ომებით და გადასახადების გაზრდით ახდენდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდის ბანკირების ძირითადი საქმიანობა ისევ ფულით ვაჭრობა, საშემნახველო საქმე და მევახშეობა იყო, თანდათან საინტერესო მოვლენებმა იწყო განვითარება. ევროპაში სხვა ქალაქში ან ქვეყანაში ფულის გადატანის მაგივრად დაიწყეს უნაღდო ანგარიშსწორების პრაქტიკის შემოღება – ეს იყო მარტივი სათამასუქო ოპერაციები – როცა წერილობითი განკარგულების საფუძველზე მესამე პირი გადასცემდა წერილის წარმდგენს მასში მითითებულ თანხას.

საბანკო პრაქტიკა სწრაფად ვითარდებოდა მთელ იტალიაში, განსაკუთრებით დიდ სავაჭრო ცენტრებში – ვენეციაში, გენუასა და ფლორენციაში. შემდეგ პერიოდში იმავე პროცესების განვითარება იწყება საფრანგეთში, ინგლისსა და ჰოლანდიაში. აღნიშნულმა ტენდენციებმა თვალსაჩინო გახადა, რომ ნაღდი ფულის სიმცირე, მევახშეებისა და ზარაფების მიერ თავიანთი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების მზარდი ტენდენცია ცვლილებებს ითხოვდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის პასუხი იყო ევროპის ზოგიერთი ქალაქის ხელისუფალთა მიერ საზოგადოებრივი ბანკების შექმნის გადაწყვეტილება. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ თანდათან ბანკირების ხელში აკუმულირდებოდა იმ სავაჭრო კლასის მთელი ნაღდი ფული, რომელმაც ერთმანეთში ნაღდი ფულით ანგარიშსწორების ჩანაცვლება დაიწყეს უნაღდო ანგარიშსწორებით. ვაჭართა შორის ანგარიშსწორებისათვის, ნაცვლად ნაღდი ფულით გადახდისა, ხდებოდა ფულის „გადატანა" მოვალის ანგარიშიდან კრედიტორის ანგარიშზე, ბანკირის წიგნში წერილის საფუძველზე. ამ ოპერაციებმა მიიღო „ჟირო ბრუნვების" სახელწოდება (იტალიური სიტყვიდან „ჟირო" – „მიმოქცევა", „ბრუნვა").

ასე იშვა 1156 წელს პირველი საზოგადოებრივი ჟირო-ბანკი „მონტენევა" და ამ პერიოდიდან იწყება საბანკო პრაქტიკის გრძელი გზა ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი დარგიდან მის უმნიშვნელოვანეს ელემენტამდე, თუმცა, აქამდე ჯერ კიდევ შორი მანძილი იყო გასავლელი.

ეს პერიოდი ასევე ხასიათდება იმით, რომ იწყება საკულტო დაწესებულებების, როგორც ფინანსური ცენტრების, როლის შემცირება და თანდათანობით მინიმუმამდე დასვლა, თუმცა, ისინი ჯერ კიდევ დიდ როლს ასრულებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის კარგი მაგალითია ტამპლიერთა ორდენი, რომელიც ცნობილი იყო თავისი ფინანსურად ძლიერი მონასტრებით. ტამპლიერების განთქმული წესიერება ფულად ოპერაციებში და ბუღალტერიის კარგი ორგანიზება ხელს უწყობდა ფულის მიმოქცევის გაადვილებას. უკვე **XIV** საუკუნეში ტამპლიერთა ორდენი დაახლოებთ 20 000 რაინდს აერთიანებდა და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ფულადი ოპერაციებით იყო დაკავებული. შუა საუკუნეებში კათოლიკური ეკლესია ზოგადად და სხვა რელიგიური ორდენებიც არ იდგნენ განზე საბანკო პრაქტიკისაგან. როგორც წესი, კერძო მევახშეები სასულიერო პირების მხარდაჭერით სარგებლობდნენ.

მესამე ეტაპი: XIII-XVII საუკუნეები (ჟირო-ბანკების, ანუ საზოგადოებრივი ბანკების ხანა)

ზოგადად, იმ დროისათვის ყველაზე გავლენიანი იყო კათოლიკურ ეკლესიასთან, განსაკუთრებით მის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული ბანკები – კურიები. საყოველთაოდ ცნობილია მედიჩების დინასტიის ბანკი ფლორენციაში, რომლის მთავარ კანტორას 16 ფილიალი ჰქონდა ისეთ ქალაქებში, როგორებიცაა: პარიზი, ლონდონი, ლიონი, ბრიუგე, რომი, ვენეცია, გენუა, ნეაპოლი. მედიჩების მთავარი კანტორა ახორციელებდა ფულად გზავნილებს, რომელთაც მისი ყველა ფილიალი ანაღდებდა. მაშინ ცნობილი იყო ფრაზა „მედიჩების სავაჭრო სახლი ანაღდებს თანხას დედამიწის ნებისმიერ კუთხეში გზავნილების წარდგენისას“. თუმცა, ეს პერიოდი ცნობილია იმით, რომ იქმნება საზოგადოებრივი ბანკები. **XII** საუკუნის ბოლოს, პირველი ვენეციური ბანკის დაარსების შემდეგ, საბანკო საქმე სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება მთელ იტალიაში, საზოგადობრივი ბანკები იქმნება ასევე გენუაში, ფლორენციაში. პირველ ხანებში ბანკს მართავდნენ ქალაქის ხელისუფალთა მიერ დანიშნული ჩინოვნიკები, მაგრამ მალე ისინი კერძო ბანკირებმა შეცვალეს. ასეთი ბანკები თავდაპირველად მონოპოლიით სარგებლობდნენ, ვინაიდან კერძო პირებს ეკრძალებოდათ საბანკო საქმიანობა. მეტად ცნობილი და გავლენიანი იყო გენუის წმ. გიორგის სახელობის ბანკი, რომელიც რამდენიმე რეორგანიზების შემდეგ საბოლოო სახით 1407 წელს ჩამოყალიბდა.

მსგავსი ტიპის ბანკები თანდათან ევროპის სხვა ისეთ ქალაქებშიც ჩნდება, როგორებიცაა: მილანი, ნეაპოლი, ბარსელონა. ცოტა მოგვიანებით, **XVII** საუკუნეში, საზოგადოებრივი ბანკები იქმნება ჰოლანდიაში, ინგლისში, გერმანიასა და შვედეთში. მაგალითად, ჰოლანდიის მთავრობა, ადგილობრივი ბანკირების არაკეთილსინდისიერებიდან გამომდინარე, აარსებს ამსტერდამის საზოგადოებრივ ბანკს ქალაქის გარანტიით. 1619 წელს ამსტერდამის მაგალითზე და იმავე მიზეზებიდან გამომდინარე, ასევე ქალაქის გარანტიით, ჰამბრუგში იქმნება საზოგადოებრივი ჟირო-ბანკი. ამ ბანკების ფუნქციები ორი სახეობის ოპერაციით შემოიფარგლებოდა: პირველი, ეს იყო ფულის შესანახავად მიღება, რაც უსაფრთხოების მოთხოვნებით იყო განპირობებული და, მეორე, ვაჭართა კლასი იყენებდა თავის ანგარიშებს კონტრაგენტებთან უნაღდო ანგარიშსწორებისათვის (თუ, რა თქმა უნდა, მათ ამავე ბანკში ჰქონდათ ანგარიში).

ამგვარად, თავდაპირველად ჟირო-ბანკები მხოლოდ ანაბრებს იღებდნენ და ამ ანაბრებით ოპერაციებს ახორციელებდნენ, რისთვისაც მათ მოქალაქეები გასამრჯელოს უხდიდნენ. ამ ანაბრების გამოყენება ბანკს საკუთარი ოპერაციებისათვის არ შეეძლო, თუმცა, მალე ეს პრაქტიკაც იცვლება, რითაც ხდება საბანკო საქმის კიდევ ერთ საფეხურზე ასვლა.

ბანკირებმა ხანგრძლივი დაკვირვების შემდეგ დაასკვნეს, რომ ანაბრების უკან გატანა ხდება გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ და, რაც მთავარია, ეს ეხება მხოლოდ ანაბრების მცირე ნაწილს, ანუ შესანახავად მიბარებული ფულის დიდი ნაწილი მუდმივად რჩებოდა ბანკში უმოძრაო კაპიტალის სახით. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში, როცა ვსაუბრობთ ფულზე, იგულისხმება მონეტები, ასევე სამკაულები და სხვა ძვირფასეულობა. ბანკირები მიხვდნენ, რომ ანაბრები, ანუ სხვისი ფული, დროებით მათ სარგებლობაში იყო გადმოსული და მისი გამოყენება შეიძლებოდა საბანკო ოპერაციების საწარმოებლად, უპირველეს ყოვლისა – მოკლევადიანი სესხების გასაცემად. ამის შემდეგ მკვიდრდება ტენდენცია, რომლის მიხედვითაც საბანკო დაწესებულებები აღარ ახდევინებდნენ მეანაბრეებს თანხას ანაბრის შენახვისათვის, სამაგიეროდ, იკანონებდნენ ანაბრების სესხებად გამოყენების უფლებას. ამასთან, ბანკი საკუთარ თავზე იღებდა ვადიანი ანაბრის ვადის გასვლის შემდეგ, უვადო ანაბრისა კი – მოთხოვნისთანავე დაბრუნების ვალდებულებას. საბოლოო ჯამში, აღნიშნულმა ტენდენციამ მოიტანა ის შედეგი, რაც დღესაც არსებობს – ბანკები ფულს იხდიან მოზიდული დეპოზიტების სანაცვლოდ.

ამგვარად, მოხდა საბანკო საქმის მნიშვნელოვანი მეტამორფოზა – ჟირობანკები გარდაიქმნა ე.წ. სადეპოზიტო ბანკებად, ანუ ფასეულობათა ყოფილი შემნახველები მოგვევლინნენ შუამავლებად თავისუფალი კაპიტალის მფლობელთა და ამ კაპიტალის მსურველთა შორის. ამასთან დაკავშირებით გაჩნდა კიდევ ერთი სიახლე. ბანკის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლითაც იგი ადასტურებდა, რომ მიიღო გარკვეული თანხა შესანახავად და რომლის დაბრუნების ვალდებულებასაც იღებდა გარკვეული პერიოდის შემდეგ, ხდებოდა გადახდის საშუალება ვაჭრებს შორის გარიგებათა დადებისას. ეს ცნობები თანდათან გარდაიქმნა საბანკო ბილეთებად, ანუ ბანკნოტებად (***bank note***). თანდათან ასეთი ბილეთების გაცემა ბანკებმა წარმომდგენზეც დაიწყეს, ანუ ეს იყო ბანკის ვალდებულება გარკვეული თანხის განაღდებაზე საბანკო ბილეთის წარმომდგენი პირის წინაშე. მეანაბრეები ანაბრის სანაცვლოდ იღებდნენ საბანკო ბილეთს ანაბრის მთელი თანხისათვის და მისი წარდგენით ყოველთვის შეეძლოთ მოეთხოვათ ანაბარი ან მისი ნაწილი.

ამ პერიოდში ბანკირებმა კიდევ ერთი რამ „აღმოაჩნეს“ – შესაძლებელი გახდა საბანკო ბილეთების გამოშვება იმაზე მეტი თანხით, ვიდრე ანაბრები იყო მიღებული. ეს სიახლე უმნიშვნელოვანესი აღმოჩნდა საბანკო საქმის განვითარებისათვის, მან ბანკებს საბრუნავი სახსრების გაზრდის საშუალება მისცა, რამაც, თავის მხრივ, იმპულსი მისცა კრედიტის განვითარებას. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ ამით ასევე დაიბადა ბანკების ხელმძღვანელობის მხრიდან თავიანთი ახალი შესაძლებლობის ბოროტად გამოყენების რისკი.

მეოთხე ეტაპი: ბანკების მიერ მსოფლიოს „დაპყრობა“ (XVIII საუკუნე)

XVII საუკუნეში, ფაქტობრივად, ჩამოყალიბდა ის ობიექტური წინაპირობები, რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს ევროპაში საბანკო საქმიანობის ძირეულ ცვლილებებს და თვისობრივ განვითარებას, რისი რეალიზებაც მოხდა კიდეც **XVIII** საუკუნეში. საბანკო საქმე უნდა შერწყმოდა მანამდე არნახული მსოფლიო მეურნეობის გლობალიზაციის პროცესს. ეს იყო:

- დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შედეგად ახალი სასაქონლო ბაზრების წარმოქმნა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

- ევროპული სახელმწიფოების ნაციონალური და ეკონომიკური ინტერესებისა და პრეტენზიების გაჩენა;
- საწარმოო შესაძლებლობების ზრდა და ფინანსური კავშირების ინტერნაციონალიზაციის დასაწყისი.

ამავე მიმართულებით მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ამერიკის აღმოჩენის შემდეგ ევროპაში ოქროსა და ვერცხლის კოლოსალური შემოდინების შედეგად იტალიური რესპუბლიკების ბანკების მონოპოლიას ეკონომიკის ფულით უზრუნველყოფაში საფუძველი გამოეცალა. ამ ფაქტმა მნიშვნელოვნად გაზარდა საბანკო საქმიანობის მასშტაბები.

საბანკო საქმის განვითარების ახალი ეტაპი უკავშირდება ინგლისს, რომელიც **XVII** საუკუნის ბოლოსათვის უკვე მსოფლიოს წამყვანი ინდუსტრიული ქვეყანა იყო. ინგლისში ისტორიულად პირველ ბანკირებად იუველირები (ოქრომჭედლები) მოგვევლინნენ. ინგლისში არსებული მაშინდელი პრაქტიკით, ფულის, ანუ ძვირფასი ლითონების მიბარება ხდებოდა იუველირებისათვის, რომელთაც ჰქონდათ სპეციალური საცავები მათ შესანახავად და სანაცვლოდ იძლეოდნენ ცნობას მიბარებული ფულის შესახებ. ეს „ცნობები“ გარკვეულწილად წარმოადგენდა ქაღალდის ფულის ადრეულ ფორმას, ვინაიდან მალე დაიწყო მათი გაცვლა საქონელზე. შესანახავად მიბარებული ძვირფასი ლითონების ზოდების ან მონეტების შესახებ იუველირის მიერ გამოწერილი „ცნობების“ გამოყენებას გადახდის საშუალებად, საფუძვლად ედო ერთადერთი გარემოება – ნდობა, ანუ მისი მიმღები დარწმუნებული იყო, რომ ეს, ერთი შეხედვით, ფარატინა ფურცელი სრულად იყო უზრუნველყოფილი იმ ოდენობის ოქროთი, რომელზეც იყო გაცემული. აღნიშნული უზრუნველყოფდა იმას, რომ ამ ცნობების გაცვლა ოქროს მონეტებზე ნებისმიერ დროს შეიძლებოდა იუველირთან. ეს იყო მნიშვნელოვანი ნაბიჯი ფულის ევოლუციის რთულ გზაზე – ადამიანებმა ფულის, როგორც მიმოქცევის საშუალებად, ძვირფასი ლითონების ნაცვლად, მათი უზრუნველყოფით გამოწერილი ხელწერილების გამოყენება დაიწყეს. ეს იყო საყოველთაო ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა, რომელმაც განსაზღვრა საბანკო საქმის შემდეგი განვითარება.

XVIII საუკუნის დასაწყისში ინგლისში გაჩნდა ბევრი ახალი ბანკი, რომელთა შორის უმთავრესი იყო 1694 წელს დაარსებული სააქციო ბანკი „ინგლისის ბანკი“ ბანკნოტების ემისიის უფლებით. ამავე პერიოდს უკავშირდება უმნიშვნელოვანესი საგირავნო სამართალის შემოღება. ბანკებმა დაიწყეს სესხების გაცემა გირაოს უზრუნველყოფით, ხოლო სესხის ვადაში და სრულად დაუბრუნებლობის შემთხვევაში ბანკს შეეძლო დაგირავებული ქონების დასაკუთრება.

საბანკო პრაქტიკის განვითარების მე-4 ეტაპი ხასიათდება მნიშვნელოვანი სიახლეებით: გაჩნდა სპეციალიზებული ბანკები, რომლებიც სხვადასხვა ტიპის საქმიანობას ემსახურებოდნენ (მაგალითად, „პრუსიის საზღვაო ვაჭრობის ბანკი“); ფართო გაქანება მიეცა სადეპოზიტო ოპერაციებს. გაჩნდა ანაბრების სამი ძირითადი ტიპი: მოთხოვნამდე, ვადიანი და შემნახველი. კრედიტის გაიაფებამ მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა მევახშეობას. კიდევ ერთი განმასხვავებელი ნიშანი ამ ეტაპისა არის საემისიო ბანკების წარმოშობა, რაც პირველი ნაბიჯი იყო ცენტრალური ბანკების შექმნის გზაზე.

საბოლოოდ, **XIX** საუკუნის დასაწყისისათვის ბანკები უკვე ჩამოყალიბებული ინსტიტუტები არიან და მსოფლიო ეკონომიკური არენის უმნიშვნელოვანეს მოთამაშეებს წარმოადგენდნენ ფულადი კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის კვალობაზე.

მეხუთე ეტაპი: თანამედროვე ბანკინგი (XIX საუკუნიდან დღემდე)

XIX საუკუნის დასაწყისიდან დეპოზიტური ბანკები განსაკუთრებით განვითარდნენ და სრულყოფილი სახე მიიღეს ინგლისში, შოტლანდიაში, გერმანიაში, შვეიცარიასა და აშშ-ში. ასევე დაიწყო ბანკების მრავალფეროვანი და მრავალწახნაგოვანი განვითარება – გაჩნდა სპეციალიზებული ბანკები: იპოთეკური, სახალხო (ემსახურებოდა მოსახლეობას), ხელოსნების მომსახურე ბანკები, სასესხო სალაროები, შემნახველი სალაროები, ლომბარდები.

ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ცენტრალური ბანკების „მასობრივი" წარმოშობა, ისინი მონოპოლიურად ასრულებდნენ ფულის ემისიის ფუნქციას. საფრანგეთში ცენტრალური ბანკი შეიქმნა ნაპოლეონის მმართველობისას, 1800 წელს.

წამყვან და განვითარებულ ქვეყნებში ბანკების რაოდენობა სულ უფრო იზრდებოდა და თანდათან ყალიბდებოდა სრულფასოვანი ეროვნული საბანკო სისტემები, რომლებიც მოიცავდა ცენტრალურ ბანკს, უნივერსალურ და სპეციალიზებულ ბანკებს. ფართოვდებოდა საბანკო ოპერაციების არეალი, გაჩნდა ლიზინგი, ფაქტორინგი, ოპერაციები ფასიანი ქაღალდებით და ა.შ. თანდათან საფუძველი ეყრება ფინანსურ იმპერიებს.

ბანკების უსაზღვროდ გაზრდილი როლის ტიპური მაგალითი უკვე იმდროინდელ სამყაროში არის როტშილდების ფინანსური იმპერია, რომლის გავლენა უზარმაზარი იყო. ნაპოლეონის წინააღმდეგ მოკავშირეების ომის დროს როტშილდებს პროცენტიანი სესხის მისაღებად თორმეტი სახელმწიფოს მთავრობამ მიმართა, ხოლო ომის დასრულებისას გამარჯვებული სახელმწიფოების საერთო ვალმა როტშილდების იმპერიისადმი უკვე 70 მლნ ფუნტ სტერლინგს გადააჭარბა, რაც იმ დროისათვის ასტრონომიულ თანხას შეადგენდა. როგორც მაშინ ხუმრობდნენ, „ევროპაში ექვსი დიდი სახელმწიფოა: დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, რუსეთი, ავსტრია-უნგრეთის იმპერია, პრუსია და როტშილდები".

XIX საუკუნის დასასრულიდან იწყება მონოპოლისტური კაპიტალიზმის ეტაპი, რაც ბუნებრივია აისახა საბანკო კაპიტალზეც. ამ პერიოდში იქმნება ის საბანკო გიგანტები, რომლებიც დღესაც უდიდეს როლს თამაშობენ გლობალურ ფინანსურ სამყაროში, მაგალითად, 1877 წელს – „ნიუ იორკის ჩეიზის ნაციონალური ბანკი", რომელიც 1955 წელს საბოლოოდ ჩამოყალიბდა, როგორც „ჩეიზ მანჰეტენ ბანკი" (***Chase Manhattan Bank***) აშშ-ში, 1870 წელს – „დიოჩე ბანკი" (***Deutsche Bank***) და „კომერცბანკი" (***Commerzbank***), ხოლო 1872 წელს – „დრეზდნერ ბანკი" (***Dresdner Bank***) გერმანიაში, 1880 წელს – „ფუძი ბანკი" (***Fuji Bank***) იაპონიაში და ა.შ.

როგორც ვხედავთ, ბანკებმა თავიანთი განვითარების რთული და საინტერესო გზა განვლეს და დღევანდელი ეკონომიკა და ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრება უკვე წარმოუდგენელია მათ გარეშე. ბანკები ყოველი ჩვენგანის ცხოვრების ნაწილი გახდა. ისინი უზრუნველყოფენ ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობას და ეს ყველაფერი ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანების თვალწინ ხდება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1.2. ბანკების კლასიფიკაცია და სახეობები

საბანკო სისტემის ჩამოყალიბების ევოლუციურმა პროცესმა, ბუნებრივია, გამოიწვია ერთმანეთისაგან განსხვავებული სახეობის ბანკის წარმოშობა და, შეიძლება ითქვას, ეს ტენდენცია დღესაც გრძელდება. ბანკების კლასიფიკაციისას არ უნდა დაგვავიწყდეს ნაციონალური ხასიათი, რომლითაც ერთი და იმავე ტიპის ბანკები შეიძლება განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან სხვადასხვა ქვეყანაში: მაგალითად, ამერიკული ბანკები განსხვავდებიან ევროპული ბანკებისაგან, ინგლისური ბანკები – ფრანგულისაგან, ეს უკანასკნელი – გერმანულისაგან და ა.შ. რა თქმა უნდა, ფინანსური გლობალიზაცია შლის ბანკების ნაციონალურ ელფერს, მაგრამ სრულად მაინც ვერ აქრობს მათ.

როგორც წესი, სხვადასხვა ქვეყნის ნაციონალური ხელისუფლება მაინც სიფრთხილით ეკიდება საბანკო კანონმდებლობის მეტ-ნაკლებად კარდინალურ ცვლილებას და ზოგადად საბანკო საქმიანობა მიჩნეულია კონსერვატიულ სფეროდ, რაც მათი ფუნქციონირების სპეციფიკიდან გამომდინარეობს. მიუხედავად იმისა, რომ ბანკები ცდილობენ, არ ჩამორჩნენ დროს და ტექნიკური და ტექნოლოგიური სიახლეების ერთ-ერთი პირველი მომხმარებელნი არიან, თავის არსით, „შიგნით“, ბანკი რჩება კონსერვატიულ ორგანიზაციად.

ცხრ. №1.1. ბანკების კლასიფიკაცია და ტიპები

	კრიტერიუმი	ბანკის ტიპი
1	საკუთრების ფორმების მიხედვით	• სახელმწიფო ბანკები; • აქციონერული ბანკები; • კერძო ბანკები, ანუ საბანკო სახლები; • კოოპერაციული ბანკები; • მუნიციპალური, ანუ კომუნალური ბანკები; • სახელმწიფოთაშორისი ბანკები; • შერეული საკუთრების ბანკები.
2	სამართლებრივი ფორმის მიხედვით	• ღია ტიპის სააქციო საზოგადოება; • დახურული ტიპის სააქციო საზოგადოება; • შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.
3	ფუნქციური დანიშნულების მიხედვით	• საემისიო ბანკები; • კომერციული ბანკები.
4	საქმიანობის ხასიათის მიხედვით	• უნივერსალური ბანკები; • სპეციალიზებული ბანკები.
5	მომსახურების სახეობის, ანუ სპეციალიზაციის მიხედვით	• საინვესტიციო ბანკები; • კომერციული ბანკები; • სადეპოზიტო ბანკები; • საშუალო და გრძელვადიანი დაკრედიტების ბანკები; • იპოთეკური ბანკები; • სასესხო-საშემნახველო ბანკები; • ვენჩურული ბანკები; • დარგობრივი და ბიზნესის ნიშნით სპეციალიზებული ბანკები; • ტერიტორიული ნიშნით სპეციალიზებული ბანკები.
6	ფილიალების რაოდენობის მიხედვით	• ბანკები ფილიალებით; • ბანკები ფილიალების გარეშე.
7	საქმიანობის მასშტაბის მიხედვით	• მცირე ბანკები; • საშუალო ბანკები; • მსხვილი ბანკები; • საბანკო კონსორციუმები; • ბანკთაშორისი გაერთიანებები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ ბანკების ყველა არსებითი ნიშან-თვისება, აუცილებელია მათი კლასიფიკაცია სხვადასხვა ნიშან-თვისების მიხედვით (ცხრ. №1.1.):

1. საკუთრების ფორმების მიხედვით;
2. სამართლებრივი ფორმის მიხედვით;
3. ფუნქციური დანიშნულების მიხედვით;
4. საქმიანობის ხასიათის მიხედვით;
5. მომსახურების სახეობის, ანუ სპეციალიზაციის მიხედვით;
6. ფილიალების რაოდენობის მიხედვით;
7. საქმიანობის მასშტაბის მიხედვით.

დავახასიათოთ თითოეული მათგანი:

1. საკუთრების ფორმების მიხედვით პრაქტიკაში გვხვდება სახელმწიფო, აქციონერული, კერძო, კოოპერაციული, მუნიციპალური, სახელმწიფო-თაშორისი და შერეული ბანკების სახეობები:

- **სახელმწიფო ბანკები** შეიძლება ორ ნაწილად დავყოთ: ა) ცენტრალური ბანკი, როგორც სახელმწიფოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელების მთავარი ბერკეტი და ბ) ბანკები, რომელთაც აქვთ სხვადასხვა სპეციალიზაცია და მათი საქმიანობა მიმართულია მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამების რეალიზაციისა და საერთო-სახელმწიფოებრივი ამოცანების გადაწყვეტისაკენ. ასეთ ბანკებს მიეკუთვნებიან სასოფლო-სამეურნეო, ექსპორტ-იმპორტის, რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკები და ა.შ. სახელმწიფო მათი დაფუძნებით საკუთარ თავზე იღებს ეკონომიკის იმ სფეროების გრძელვადიან დაკრედიტებას, რომელთაც აქვთ დიდი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა, მაგრამ კერძო კაპიტალი არაა დაინტერესებული მაღალი რისკების ან დაბალი რენტაბელობის გამო. ასეთი ბანკების დაფუძნება ხდება სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის ან მისი რომელიმე დარგის, რეგიონის რეკონსტრუქციის თუ სოციალური პროგრამის დაფინანსებისათვის. სახელმწიფო ბანკების რესურსების დიდი ნაწილის წყაროს, როგორც წესი, სახელმწიფო ბიუჯეტი ან საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები წარმოადგენენ. სახელმწიფო ბანკების ოპერაციებს შორის ჭარბობს გრძელვადიანი კრედიტები. როგორც წესი, სახელმწიფო ბანკების მთავარ მიზანს მოგების მიღება არ წარმოადგენს. ეკონომიკის ლიბერალიზაციისა და ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ხარისხის შემცირებასთან ერთად სახელმწიფო ბანკების წილი მცირდება. საქართველოში, გარდა ცენტრალური ბანკისა (საქართველოს ეროვნული ბანკი), რომელიც სახელმწიფოს ასპროცენტიანი საკუთრებაა, სახელმწიფო მესაკუთრის სახით წარმოდგენილი არაა არც ერთ ბანკში;
- **აქციონერული ბანკები** წარმოადგენენ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების ბანკების საერთო რაოდენობის უმეტეს ნაწილს. ამ ჯგუფში ერთიანდებიან ბანკები, რომლებიც დაფუძნებულია კერძო მესაკუთრეთა ჯგუფის, როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირების, მათ შორის, სხვა ბანკების მიერ. ამ ჯგუფში შეიძლება გავაერთიანოთ ღია და დახურული ტიპის სააქციო საზოგადოებები და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები. სააქციო ბანკების მფლობელები პასუხს აგებენ კლიენტების წინაშე თავიანთი აქციების პროპორციულად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

- **კერძო ბანკების, იმავე საბანკო სახლების,** წარმოშობა დაკავშირებულია შუა საუკუნეების იტალიის ქალაქებში საბანკო საქმის ჩასახვასთან სამევახშეო კაპიტალიდან. საბანკო სახლები არიან ცალკეულ პირთა, ოჯახთა ან პარტნიორთა ძალიან ვიწროს წრის მფლობელობაში, რომლებიც, როგორც წესი, თვითონ ახორციელებენ ბანკის მართვას და სრულად აგებენ პასუხს თავიანთი კლიენტების წინაშე, მათ შორის, საკუთარი ქონებითაც. ტრადიციულად, საბანკო სახლების კლიენტების უმრავლესობას კერძო პირები წარმოადგენენ. კერძო ბანკირების მიერ განხორციელებული მომსახურების პრიორიტეტული სახეობებია: ნდობითი ოპერაციები, აქტივების მართვა, სადეპოზიტო-საშემნახველო და საბირჟო ოპერაციები. კერძო ბანკირთა მუშაობის სპეციფიკაა ის, რომ მათ ზედმიწევნით კარგად უნდა იცოდნენ თავიანი კლიენტები, რომლებიც ბანკში უფრო „კლუბის წევრებად" უნდა გრძნობდნენ თავს, ვიდრე კლიენტებად, ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით. საბანკო სახლები ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებად ნაცნობი, ჩრდილში მყოფი დაწესებულებებია, რომლებიც ერიდებიან თავიანთი საქმის აფიშირებას და ინფორმაცია მათ შესახებ ადვილად ხელმისაწვდომი არაა. კერძო საბანკო სახლები, როგორც წესი, მდებარეობენ მსხვილ საბანკო ცენტრებში (მაგალითად, შვეიცარიაში, ლონდონში) და არ გააჩნიათ საფილიალო ქსელი. **XX** საუკუნის დასაწყისიდან სხვადასხვა სახეობის ბანკებისა და საბანკო მომსახურების მასიურმა განვითარებამ თანდათან გამოიწვია საბანკო სახლების რაოდენობისა და ხვედრითი წილის შემცირება;
- **კოოპერაციული ბანკები,** ესაა საკრედიტო ორგანიზაციები, რომლებიც დაფუძნებულია თავისი წევრების კოოპერაციულ საკუთრებაზე. მათი საქმიანობის მიზანი არის არა იმდენად მოგების მიღება, რამდენადაც საკრედიტო კოოპერატივის მონაწილეთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. კოოპერაციული ბანკები წარმოიშვა **XIX** საუკუნის შუა წლებში საკრედიტო კოოპერატივების გაერთიანებით, რომლებიც ემსახურებოდნენ წვრილ სამეურნეო სუბიექტებს (ფერმერები, ხელოსნები, ვაჭრები და ა.შ.). ამის მიზეზი გახლდათ ის, რომ ამ დროს ბანკები უმეტესად აფინანსებდნენ მხოლოდ მსხვილ და საშუალო ბიზნესს. წვრილი სამეურნე სუბიექტები მევახშეების პირისპირ იყვნენ დარჩენილი, რამაც აპოვნინა მათ კოოპერატივების შექმნის გზა. კოოპერაციული ბანკების სამშობლო გერმანიაა, სადაც მათი შექმნის მიზანი გახდა ხელოსანთა და ფერმერთა საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა. კოოპერაციული ბანკები, გერმანიის გარდა, განვითარებულია აშშ-ში, საფრანგეთსა და იაპონიაში. მიუხედავად რესურსების მოძიების სხვადასხვა გზისა, კოოპერაციული ბანკების მიერ უპირატესად ხდება კოოპერაციის წევრების დაკრედიტება;
- **მუნიციპალური, იგივე კომუნალური ბანკები**, ის ბანკებია, რომლებიც არიან მმართველობის ადგილობრივი ორგანოების საკუთრებაში და რომელთა ვალდებულებაზე სოლიდარულ პასუხისმგებლობას იღებს ადგილობრივი ბიუჯეტი. მათი შექმნის ძირითადი მიზანი კომუნალური მეურნეობების დაკრედიტებაა. მუნიციპალური ბანკები თავიანთ საკრედიტო პოლიტიკას ატარებენ ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებულად, მაგრამ არიან დამოუკიდებელნი საკუთარ გადაწყვეტილებებში. ასეთი ბანკების რიცხვს შეიძლება მიეკუთვნოს საჯარო შემნახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველი სალაროებიც, რომელთა ქსელის არსებობა დამახასიათებელია დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის;

- **სახელმწიფოთაშორისი ბანკების** წარმოშობა განაპირობა ფინანსური გლობალიზაციის პროცესმა და საერთაშორისო ფინანსური ბაზრების ფორმირებამ. მათი კაპიტალის ფორმირება ხდება, ერთი მხრივ, ცალკეული ქვეყნების, მეორე მხრივ, საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების მიერ. ასეთი ბანკების მთავარი ამოცანაა კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის პროცესების რეგულირება, საგადამხდელო ბალანსების მხარდაჭერა და განვითარებადი ქვეყნების საგარეო ვალების პრობლემების გადაწყვეტა. სახელმწიფოთაშორისი ბანკის თანამედროვე მაგალითად შეიძლება დავასახელოთ „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი“ (***EBRD***), რომელიც შეიქმნა 1991 წელს 61 ქვეყნისა და ორი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ საბაზრო ეკონომიკის მხარდასაჭერად გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში;
- **შერეული** საკუთრებითი ფორმა ითვალისწინებს ბანკს, რომელიც შექმნილია როგორც კერძო, ისე სახელმწიფო კაპიტალის მონაწილეობით.

2. სამართლებრივი ფორმების მიხედვით საერთაშორისო პრაქტიკაში ბანკები გვხვდება ღია და დახურული ტიპის სააქციო საზოგადოებებისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების სახით. დღეისათვის საქართველოში ბანკები იქმნება მხოლოდ სააქციო საზოგადოების სამართლებრივი ფორმით, თუმცა, 2001 წლამდე დაშვებული იყო მათი ფუნქციონირება შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმითაც. რაც შეეხება ქვეყნის ცენტრალურ ბანკს – საქართველოს ეროვნულ ბანკს, იგი შექმნილია განსაკუთრებული სამართლებრივი ფორმით, როგორც საჯარაო სამართლის იურიდიული პირი.

3. ფუნქციური დანიშნულების მიხედვით შეიძლება გამოვყოთ საემისიო და კომერციული ბანკები. დავახასიათოთ ისინი მოკლედ:

- **საემისიო ბანკებად** ითვლება ყველა ცენტრალური ბანკი, რომელთა კლასიკურ ოპერაციას და ექსკლუზიურ უფლებას წარმოადგენს ფულის ბეჭდვა და მისი მიმოქცევაში გაშვება. საემისიო ბანკების მეორე უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა საბანკო სისტემის ზედამხედველობა (თუმცა, არის ქვეყნები, სადაც კომერციულ ბანკებზე ზედამხედველობის ფუნქციით აღჭურვილია სპეციალიზებული დაწესებულებები). მიუხედავად ამ და სხვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ფუნქციებისა, არის ქვეყნები, სადაც ცენტრალური ბანკები სრულად არ ეკუთვნის სახელმწიფოს, მაგალითად, აშშ ფედერალური სარეზერვო სისტემა კერძო ბანკების გაერთიანებაა, იაპონიაში ცენტრალური ბანკის კაპიტალის 55%, ხოლო ბელგიაში – 50% კერძო პირებს ეკუთვნით. თუმცა, ეს გამონაკლისი შემთხვევებია და ამ დროსაც ცენტრალური ბანკების ხელმძღვანელებს სახელმწიფო ნიშნავს ან ინიშნებიან მასთან შეთანხმებით;
- **კომერციული ბანკები** წარმოადგენენ საბანკო სისტემის ხერხემალს. ისინი ახდენენ ფინანსური რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილის კონცენტრაციას და ახორციელებენ ფართო სპექტრის საბანკო ოპერაციებს.

4. საქმიანობის ხასიათის მიხედვით განასხვავებენ უნივერსალურ და სპეციალიზებულ ბანკებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

- **უნივერსალური ბანკები** ახორციელებენ ყველა ან თითქმის ყველა სახის ბანკო ოპერაციას. ესაა ე.წ. „საბანკო სუპერმარკეტები“, სადაც კლიენტს შეუძლია მიიღოს საბანკო მომსახურების სრული სპექტრი – მოკლე და გრძელვადიანი კრედიტები, ფასიან ქაღალდებთან და ვალუტასთან დაკავშირებული მომსახურება, სადეპოზიტო და საშემნახველო, საკასო-საანგარიშსწორებო, საშუამავალო და სხვა მომსახურებები. ბუნებრივია, კლიენტისათვის უფრო ხელსაყრელია ყველა საბანკო სერვისის ერთ ბანკში მიღება, ვიდრე რამდენიმე სპეციალიზებულ საბანკო დაწესებულებაში. დასავლეთ ევროპა გამოირჩევა უნივერსალური ბანკების დომინირებით, მაშინ, როცა აშშ და იაპონია უფრო „სპეციალიზებულია“. იმის გამო, რომ აქვთ საკუთარი საქმიანობის მიმართულებების დივერსიფიკაცია, უნივერსალური ბანკები უფრო მდგრადები არიან, ვიდრე სპეციალიზებული ბანკები. უნივერსალური ბანკების უპირატესობა ამ თვალსაზრისით არის კომერციული და საინვესტიციო საქმიანობის შეხამება;
- **სპეციალიზებული ბანკები** გამოირჩევიან იმით, რომ ახორციელებენ მხოლოდ ერთ ან რამდენიმე საბანკო ოპერაციას. თუ ვიმსჯელებთ საბანკო საქმის განვითარების ისტორიის გადასახედიდან, XVIII საუკუნიდან შექმნილი ბანკები სწორედ სპეციალიზაციის ნიშნით ხასიათდებოდნენ. ზოგიერთი მათგანი სპეციალიზდებოდა გრძელვადიან, ზოგი – მოკლევადიან დაკრედიტებაზე. ძალზე ხშირად განასხვავებენ სხვადასხვა, მაგალითად, ფუნქციური, დარგობრივი, ტერიტორიული, ტექნოლოგიური და ბიზნესის ნიშნით სპეციალიზაციებს. აღსანიშნავია რომ ბევრ ქვეყანაში, მაგალითად – აშშ-ში, იაპონიაში, კანადაში, ბანკების სპეციალიზაცია კანონმდებლობით განისაზღვრება. კანონმდებლობით სპეციალიზაციით განსაზღვრისას შეიძლება დაშვებულ იქნეს როგორც მხოლოდ ერთი, ისე რამდენიმე საბანკო საქმიანობის ტიპი. ამერიკაში სპეციალიზებული ბანკების ტიპურ სახეობად შეიძლება დავახასიათოთ საინვესტიციო და სადეპოზიტო ბანკები. საქართველოში ბანკების სპეციალიზაცია კანონმდებლობით არაა განსაზღვრული და ყველა არსებული ბანკი უფრო უნივერსალურია, ვინაიდან რაიმე განსაკუთრებული სპეციალიზაციის ნიშნით არ გამოირჩევიან. თუმცა, საქართველოში ფუნქციონირებენ მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რომელთა სპეციალიზაციას მცირე ბიზნესის დაკრედიტება წარმოადგენს, მაგალითად, კანონის თანახმად, მათ არ აქვთ დეპოზიტების მოზიდვის უფლება და ერთ მსესხებელზე გაცემული კრედიტის მაქსიმალური ჯამური თანხა არ უნდა აღემატებოდეს 50 ათას ლარს. აქ არ შეიძლება არ ითქვას იმ შეზღუდვაზე, რომელიც არსებობს ზოგიერთ ქვეყანაში არასაბანკო ბიზნესის წარმოების მიმართულებით, სადაც ბანკებს ეკრძალებათ სამეწარმეო საქმიანობა, რაც გულისხმობს არასაბანკო ბიზნესში წილის ქონას.

5. მომსახურების სახეობების, ანუ სპეციალიზაციის მიხედვით უცხოურ საბანკო პრაქტიკაში სხვადასხვა ქვეყნის ბანკების სპეციალიზაციის გარკვეული თავისებურებები გვხვდება, მაგრამ ზოგადი ნიშნებიდან გამომდინარე, შეიძლება დავახასიათოთ შემდეგი სახეობის სპეციალიზებული ბანკები:

- **საინვესტიციო ბანკები** სპეციალიზდებიან ფასიანი ქაღალდებით ოპერაციებზე, კერძოდ, გვევლინებიან კორპორაციული ფასიანი ქაღალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დების ემისიის ორგანიზატორებად, ახდენენ მათ პირველად განთავსებას, გვევლინებიან გარანტის როლში, ახდენენ მსხვილი პროექტების დაფინანსებას და ახორციელებენ საშუამავლო ოპერაციებს ფასიანი ქაღალდების მეორად ბაზარზე. საინვესტიციო ბანკები თავდაპირველად ცალკეული საფინანსო ინსტიტუტის სახით გამოყოფილ იქნა აშშ-ში 1933 წელს გლას-სტიგალის კანონით (***Glass-Steagall Act***), რომლის მიხედვითაც, ჩვეულებრივ ბანკებს აეკრძალათ პირდაპირი მონაწილეობა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, თუკი ახორციელებდნენ დეპოზიტების მოზიდვასა და განთავსებას. ამის მიზეზი იყო მეანაბრეთა დეპოზიტების დაცვა სპეკულაციური და, შესაბამისად, მაღალრისკიანი საინვესტიციო ოპერაციებისაგან. საინვესტიციო ბანკების რესურსების ფორმირება ხდება როგორც საკუთარი ფასიანი ქაღალდების გამოშვებით, ისე კომერციული ბანკებიდან კრედიტებით, როგორც წესი, ფასიანი ქაღალდების გირავნობით. ძალიან ხშირად საინვესტიციო ბანკები შედიან საბანკო ჰოლდინგების შემადგენლობაში ან წარმოადგენენ მსხვილი ფინანსური კომპანიების შვილობილ კომპანიებს;

- **კომერციული ბანკები** ესაა ბანკები, რომლებიც სპეციალიზდებიან კომპანიების მიმდინარე სავაჭრო (კომერციული) საქმიანობის მომსახურებაზე. ზემოაღნიშნული გლას-სტიგალის კანონით, აშშ-ში სწორედ კომერციული ბანკების გამიჯვნა მოხდა საინვესტიციო ბანკებისაგან. კომერციული ბანკების რესურსების ფორმირება მოზიდული დეპოზიტებით, მათ შორის, მოთხოვნამდე დეპოზიტებით. კომერციული ბანკები ახდენენ თავიანთი კლიენტების მიმდინარე საქმიანობასთან დაკავშირებული მოთხოვნების მოკლევადიან დაკრედიტებას, მათ საკასო-საანგარიშსწორებო მომსახურებას, უწევენ კონსულტაციას. სპეციალიზებული კომერციული ბანკები არ უნდა გავაიგივოთ ზოგად ფრაზასთან „კომერციული ბანკი“, რომელშიც მოიაზრება ყველა ბანკი, გარდა ცენტრალური ბანკისა, მაგალითად, ქართულ საბანკო სივრცეში კანონის თანახმად [1], კომერციულად იწოდება ყველა ბანკი, გარდა საქართველოს ეროვნული ბანკისა და ისინი რეალურად უნივერსალურ საბანკო დაწესებულებებს წარმოადგენენ;
- **სადეპოზიტო ბანკები** სპეციალიზდებიან იურიდიული და ფიზიკური პირების (ბანკების გარდა) დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების მოზიდვასა და მოკლევადიანი კრედიტების გაცემაზე. როგორც წესი, სადეპოზიტო ბანკებს ეკრძალებათ გრძელვადიანი, მაგალითად, 2 წელზე მეტი ვადით დეპოზიტების მოზიდვა და მათ მიერ გაცემული კრედიტები უმეტესწილად 6 თვემდე ვადითაა;
- **საშუალო და გრძელვადიანი დაკრედიტების ბანკები** სპეციალიზებულნი არიან, როგორც წესი, 2 წელზე მეტი ვადით კრედიტების გაცემაზე. მათი რესურსების წყაროს წარმოადგენს გრძელვადიანი, 2 წელზე მეტი ვადის ანაბრები. ბუნებრივია, მოთხოვნამდე ანაბრების მოზიდვა მათთვის აკრძალულია;
- **იპოთეკური ბანკები** – ესაა უძრავი ქონების გირავნობით გაცემული კრედიტების (იპოთეკური კრედიტები) გაცემაზე სპეციალიზებული ბანკები. იპოთეკური ბანკების სამშობლოდ გერმანია ითვლება. იპოთეკური ბანკების რესურსების ფორმირება ხდება მათ მიერ გრძელვა-

1 საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიანი სავალო ვალდებულებების ემისიით, რომლებიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფილია დაგირავებული ქონებით. იპოთეკური ბანკების თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მათ პასივებში მაღალია საკუთარი კაპიტალის ხვედრითი წილი სხვა ბანკებთან შედარებით და ისინი, როგორც წესი, სარგებლობენ სახელმწიფო მხარდაჭერითა და გარანტიებით. ყველა ქვეყანაში, სადაც ფუნქციონირებს იპოთეკური ბანკები, მათი საქმიანობა რეგულირდება სპეციალური ნორმატიული აქტებით, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე;

- **სასესხო-საშემნახველო ბანკები** ახდენენ მოსახლეობის დანაზოგების აკუმულირებას და მათთვის სამომხმარებლო სესხების გაცემას. ასეთი ტიპის ბანკები ფუნქციონირებენ აშშ-ში, საფრანგეთსა და გერმანიაში;
- **ვენჩურული ბანკები** სპეციალიზებულნი არიან შედარებით მაღალრისკიანი პროექტების, მაგალითად, იმ სამეცნიერო-ტექნიკური სამუშაოების, მაღალი ტექნოლოგიების თუ სამედიცინო კვლევების დაფინანსებაზე, რომელთა დასრულების ზუსტი ვადა გაურკვეველია ან ხანგრძლივია. პროექტის რისკიანობის მაღალი ხარისხი კომპენსირებულია დიდი მოგების მიღების მოლოდინით. როგორც წესი, ვენჩურული ბანკების რესურსების ფორმირება ხდება სახელმწიფოს შენატანებისა და სპონსორების მხარდაჭერით;
- **დარგობრივი და ბიზნესის ნიშნით სპეციალიზაცია** გულისხმობს კლიენტთა გარკვეულ ჯგუფზე ან ეკონომიკის დარგზე ორიენტირებას. ძალზე ხშირად ასეთი ბანკები იქმნება სახელმწიფოს მონაწილეობით ეკონომიკის ამა თუ იმ პრიორიტეტული დარგის მხარდასაჭერად. ამ ჯგუფში შედიან ინდუსტრიული, ექსპორტ-იმპორტის ბანკები და ა.შ.;
- **ტერიტორიული ნიშნით სპეციალიზაცია** გულისხმობს შემდეგი ძირითადი ოთხი ტიპის ბანკებს: ადგილობრივი, რეგიონული, ნაციონალური და ტრანსნაციონალური ბანკები. ადგილობრივად შეიძლება ჩაითვალოს ბანკი, რომელიც ფუნქციონირებს მხოლოდ ერთ ქალაქში ან მცირე ზომის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, მაგალითად, შტატში. რეგიონული ბანკების საქმიანობის სფერო სცილდება „ადგილობრივ“ საზღვრებს და მოიცავს მის რომელიმე რეგიონს, მაგალითად, მის აღმოსავლეთ, ან სამხრეთ და ა.შ. ნაწილს. ნაციონალური ბანკების არეალი მოიცავს ქვეყნის მთელ ტერიტორიას. ტრანსნაციონალური ბანკები კი, თავის მხრივ, სცილდებიან ეროვნულ ჩარჩოებს და მათი საქმიანობა ხორციელდება სხვა ქვეყნებშიც.

6. ფილიალების რაოდენობის მიხედვით განასხვავებენ ბანკებს ფილიალებით და ფილიალების გარეშე. 2013 წლის ბოლოსათვის საქართველოს საბანკო სისტემაში 21 ბანკზე მოდიოდა 903 საბანკო წერტილი (164 ფილიალი და 739 სერვისცენტრი), ანუ საშუალოდ 43 ერთ ბანკზე. თუმცა, რეალურად ისინი მეტად არათანაბრად არიან განაწილებული, მათ შორის, არიან ბანკები როგორც ფილიალების გარეშე ან რამდენიმე ფილიალით, ისე ფილიალების ფართო ქსელით.

7. საქმიანობის მასშტაბის მიხედვით შეიძლება გამოვყოთ მცირე, საშუალო, მსხვილი, საბანკო კონსორციუმი და ბანკთაშორისი გაერთიანებები.

1.3. საბანკო-საკრედიტო სისტემა და მისი ელემენტები

საბანკო-საკრედიტო სისტემა – ესაა ქვეყნის ფინანსური სისტემის უმნიშვნელოვანესი ელემენტი და წარმოადგენს ბანკებისა და საკრედიტო ინსტიტუტების ერთობლიობას, რომელიც ფუნქციონირებს ერთიანი ფულად-საკრედიტო მექანიზმის ფარგლებში. თანამედროვე საბანკო-საკრედიტო სისტემა ნებისმიერი სახელმწიფოს ნაციონალური ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი ელემენტია, რომლის პრაქტიკული მნიშვნელობა განისაზღვრება რამდენიმე ფაქტორით:

- ახდენს დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების აკუმულირებასა და გადანაწილებას;
- წარმართავს ქვეყანაში გადახდებისა და ანგარიშსწორებების სისტემას;
- კომერციული გარიგებების უდიდესი ნაწილი ხორციელდება ანაბრების, ინვესტიციებისა და საკრედიტო ოპერაციების მეშვეობით;
- ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შესაბამისად არეგულირებს ფულადი ნაკადების მოძრაობას, გავლენას ახდენს მათი ბრუნვების სიჩქარეზე, ემისიასა და საერთო მასაზე.



სქემა №1.1. ორდონიანი საბანკო-საკრედიტო სისტემის ტიპური სქემა

საბანკო-საკრედიტო სისტემა წარმოადგენს ერთიან ორგანიზმს, რომლის ნაწილები არიან ურთიერთდაკავშირებულნი და ურთიერთდამოკიდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულნი. ამ თვალსაზრისით, საბანკო სისტემა შეიძლება იყოს ერთდონიანი ან ორდონიანი. ერთდონიანი საბანკო-საკრედიტო სისტემა მოქმედებს ქვეყნებში, სადაც არაა ცენტრალური ბანკი ან მოქმედებს მხოლოდ ცენტრალური ბანკი და არაა წარმოდგენილი კომერციული საბანკო და არასაბანკო ინსტიტუტები. რა თქმა უნდა, ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკა გულისხმობს ორდონიან საბანკო-საკრედიტო სისტემის არსებობას, რომლის პირველი დონე მოიცავს ცენტრალურ ბანკს, ხოლო მეორე დონე – კომერციული ბანკების ქსელსა და არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტებს (სქემა №1.1.).

მოკლედ დავახასიათოთ ორდონიანი საბანკო სისტემის ელემენტები:

- **ცენტრალური ბანკი** ეროვნული საბანკო და საკრედიტო სისტემის მთავარი რგოლია, რომელიც მონოპოლიურად ახორციელებს ფულის ემისიას და აღჭურვილია საბანკო სისტემის რეგულირებისა და ეროვნული ვალუტის მსყიდველობით უნარის უზრუნველყოფის ფუნქციებით;
- **კომერციული ბანკები** – ესაა საბანკო სისტემის ხერხემალი და წარმოადგენენ უნივერსალური ან სპეციალიზებული ტიპის საბანკო დაწესებულებებს და ახორციელებან ყველა ტიპის საბანკო ოპერაციას ეროვნული ეკონომიკის მასშტაბით;
- **არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტები** საბანკო-საკრედიტო სისტემის მესამე ელემენტია. ისინი დაკავებულნი არიან ეკონომიკის ცალკეული დარგების ან სფეროების საკრედიტო-საფინანსო მომსახურებით. როგორც წესი, მათ საქმიანობაში გამოირჩევა ერთი ან ორი ძირითადი ოპერაცია, ოპერირებენ სასესხო კაპიტალის ბაზრის შედარებით ვიწრო სეგმენტებზე და ჰყავთ სპეციფიკური კლიენტურა.

ორდონიანი საბანკო სისტემის შექმნა ისტორიულად განპირობებულია ბაზარზე შექმნილი ურთიერთობების წინააღმდეგობრივი ხასიათით. ერთი მხრივ, კომერციული ბანკები და არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტები ითხოვენ სრულ თავისუფლებას მათ მიერ მოზიდული რესურსების დაბანდებისას, მეორე მხრივ, მოზიდული ფინანსური სახსრების თავისუფალი და უკონტროლო განკარგვა არის დიდი საფრთხის მატარებელი, ვინაიდან ამან შეიძლება ქვეყანა მიიყვანოს ეროვნული ეკონომიკის სრულ მოშლამდე. ფინანსურ სფეროში გარკვეული წესრიგის აუცილებლობამ მოითხოვა განსაკუთრებული ინსტიტუტის შექმნა. ფულად-საკრედიტო ურთიერთობების რეგულირების ფუნქციით აღჭურვილი ცენტრალური ბანკების შექმნამ შესაძლებელი გახადა ბაზრის სტიქიის მოთოკვა და, ამავდროულად, კერძო მეწარმეობის თავისუფლების შენარჩუნება. სხვადასხვა ქვეყნის ცენტრალური ბანკები მრავალღეროვანი ფუნქციებით შეიძლება იყვნენ აღჭურვილნი, მაგრამ ყველგან არის საბანკო ბაზრის მარეგულირებელი.

დღეისათვის სასაქონლო და ფინანსური ბაზრების მაღალი განვითარების პირობებში საბანკო სისტემების სტრუქტურა გართულებულია. გაჩნდა და ჩნდება ფინანსური დაწესებულებების ახალი სახეობები, ახალი ტიპის საკრედიტო დაწესებულებები, კლიენტურის მომსახურების უახლესი ინსტრუმენტები და მეთოდები.

გამომდინარე კომერციული ბანკების როლიდან საფინანსო სისტემაში, მსოფლიო პრაქტიკაში ცნობილია განვითარებული ქვეყნებისათვის დამახასიათებელი ორი ტიპის საფინანსო სისტემა. საფინანსო სისტემის პირველ ტიპს

შეიძლება ეწოდოს **ბანკებზე ორიენტირებული საფინანსო სისტემა.** იგი დამახასიათებელია კონტინენტური ევროპისა და იაპონიისათვის. მისი განსაკუთრებული ნიშნებია:

- ფინანსური ბაზრების განვითარების შედარებით დაბალი ხარისხი;
- მოსახლეობის დანაზოგები ძირითადად ტრანსფორმირდება მოკლევადიან და გრძელვადიან კრედიტებად კომერციული ბანკებისა და შემნახველი დაწესებულებების ქსელის მეშვეობით;
- ფინანსური კონტრაქტების უმეტესი ნაწილი კონცენტრირებულია ბანკებში;
- მარეგულირებელი მოთხოვნები კომერციული ბანკებისადმი კაპიტალდაბანდებების არჩევანთან დაკავშირებით შედარებით ლიბერალურია;
- სახელმწიფო საჭიროების შემთხვევაში მხარს უჭერს კომერციულ ბანკებს.

ფინანსური სისტემის მეორე ტიპი იწოდება **ბაზარზე ორიენტირებულ საფინანსო სისტემად,** გავრცელებულია აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში და მისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული ნიშნებია:

- კაპიტალის ბაზრების განვითარების მაღალი დონე;
- მოსახლეობა თავის დანაზოგების უდიდეს ნაწილს თვითონ აბანდებს წარმოებაში არასაბანკო ფინანსური შუამავლების მეშვეობით;
- ბანკები ახდენენ კორპორაციათა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ძირითადად მოკლევადიანი დაკრედიტების მიმართულებით;
- კომერციული ბანკის დაბანდებათა პორტფელების მოცულობა მკაცრად შეზღუდულია;
- სახელმწიფო არ ახდენს კომერციული ბანკების მხარდაჭერას და არ ერევა მის საქმიანობაში.

ნათელია, რომ განსხვავება აღნიშნული ტიპის საფინანსო სისტემებს შორის განპირობებულია ამ ქვეყნების ეკონომიკური განვითარებისა და ტრადიციების თავისებურებებით. ნებისმიერი ქვეყნის საბანკო-საკრედიტო სისტემის ფორმირება ხდება ეროვნული ეკონომიკის განვითარების შედეგად და თამამად შეიძლება ითქვას, რომ საბანკო-საკრედიტო სისტემები საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების ეკონომიკური მექანიზმის იმ ცენტრებს წარმოადგენენ, რომლებიც ურთიერთქმედებენ ეკონომიკის ყველა დარგთან, მოსახლეობასა და ხელისუფლების ორგანოებთან.

საბანკო-საკრედიტო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება არის ეროვნული ეკონომიკის ზოგადი განვითარების კატალიზატორი. რაც შეეხება სხვადასხვა ქვეყანაში მათი განვითარების განსხვავებულ ნიშან-თვისებებს, ისინი განპირობებულია ისტორიული, პოლიტიკური, ეთნიკური, რელიგიური ფაქტორებით. აღნიშნულის კარგი მაგალითია ე. წ. „ისლამური ბანკინგი".

უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ისლამური ბანკების თავისებურება ეფუძნება ყურანს, რომლის მიხედვითაც, აკრძალულია გაცემულ კრედიტზე პროცენტის აღება, ვინაიდან ეს მევახშეობად ითვლება. მუსლიმს ასევე ეკრძალება შეგნებულად წასვლა რისკზე, მაგალითად, ითამაშოს აზარტული თამაშები ან ბირჟაზე ფასიანი ქაღალდებით, იგივე ეხება ფიუჩერსულ ოპერაციებს. აღნიშნული მდგომარეობიდან გამოსავალი ნაპოვნი იქნა უძრავი ქონების განვადებით გადაყიდვითა და კაპიტალში მონაწილეობით. მაგალითად, იმის მაგივრად, რომ კლიენტმა აიღოს კრედიტი ბინის შესაძენად, ბანკი თვითონ ყიდულობს ამ ბინას და შემდეგში მიჰყიდის მას კლიენტს განვადებით წინასწარ

შეთანხმებულ უფრო მაღალ ფასად და დაფარვის შესაბამისი გრაფიკით. ამ შემთხვევაში ყიდვა-გაყიდვის ფასებს შორის სხვაობა ითვლება არა პროცენტად, არამედ ბანკისათვის იმ რისკის ფასის გადახდად, რომელიც ამ უკანასკნელმა აიღო საკუთარ თავზე.

ისლამურ ბანკინგში კომერციული საქმიანობის დაკრედიტებისას ასევე დაცულია ფორმალობა, რომ ბანკი არ აფინანსებს პროექტს და არ იღებს პროცენტს, არამედ მონაწილეობს დასაფინანსებელი პროექტის კაპიტალში და სანაცვლოდ იღებს მოგების ნაწილს. ისლამური ბანკინგის იდეოლოგები თვლიან, რომ ისინი იმით განსხვავდებიან დასავლური ბანკებისაგან, რომ მაქსიმალური მოგების მიღებას კი არ ცდილობენ, არამედ მონაწილეობენ დამატებითი ღირებულების შექმნაში.

საკონტროლო კითხვები:

1. არსებობს თუ არა ისტორიული წყაროები პირველი ბანკების ან საბანკო ოპერაციების შესახებ?
2. როგორია მეცნიერ-ეკონომისტთა შეხედულებები ბანკების ან საბანკო ოპერაციების წარმოშობის შესახებ?
3. საბანკო პრაქტიკის განვითარების პირველ ეტაპზე რა როლი ჰქონდათ საკულტო ტაძრებს?
4. საბანკო პრაქტიკის განვითარების მეორე ეტაპზე რა განაპირობებდა მევახშეობის პრაქტიკის „აყვავებას“?
5. რას წარმოადგენდა ახალი ეკონომიკურ-პოლიტიკური რეალობა, რომელმაც განაპირობა მნიშვნელოვანი ცვლილებები საბანკო პრაქტიკის განვითარების მესამე ეტაპზე?
6. რა იყო ის სიახლეები და „აღმოჩენები“, რომელთაც საშუალება მისცეს ბანკირებს, საბანკო პრაქტიკის განვითარების მესამე ეტაპზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაედგათ ბანკების განვითარების საქმეში?
7. როგორ შეიძლება დავახასიათოთ ის როლი, რომელიც შეასრულეს ინგლისელმა ოქრომჭედლებმა საბანკო საქმისა და ფულის მიმოქცევის განვითარებაში საბანკო პრაქტიკის განვითარების მეოთხე ეტაპზე?
8. რომელი ძირითადი მახასიათებლებით გამოირჩევა საბანკო პრაქტიკის განვითარების მეხუთე ეტაპი?
9. რა არის კერძო ბანკების, იმავე საბანკო სახლების, თავისებურება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. ბანკების კლასიფიკაციისას რა განსაკუთრებულ ნიშან-თვისებებს ატარებს კომერციული ბანკები კონკრეტული და ზოგადი გაგებით?
11. როგორ შეიძლება მოკლედ დავახასიათოთ ორდონიანი საბანკო სისტემის ელემენტები?
12. ორდონიანი საბანკო სისტემის შექმნა ისტორიულად ბაზარზე შექმნილი ურთიერთობების რომელი წინააღმდეგობრივი ხასიათითაა განპირობებული?
13. როგორ შეიძლება დავახასიათოთ ბანკებზე ორიენტირებული და ბაზრებზე ორიენტირებული საფინანსო სისტემები?
14. რა არის ისლამური ბანკინგის თავისებურება?

თავი 2

ცენტრალური ბანკები

შინაარსი:

2.1. ცენტრალური ბანკების წარმოშობის წინაპირობები;
2.2. ცენტრალური ბანკების წარმოშობა და საბანკო სისტემის ჩამოყალიბება;
2.3. ცენტრალური ბანკის როლი, ძირითადი ფუნქციები და ამოცანები;
2.4. ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო რეგულირების ინსტრუმენტები.

ძირითადი ელემენტები:

1. ცენტრალური ბანკების წარმოშობის ობიექტური წინაპირობები;
2. ცენტრალური ბანკების წარმოშობის ევოლუციური პროცესი;
3. საემისიო ბანკების წარმოშობა;
4. კომერციულ და საემისიო ბანკებს შორის ფუნქციების გამიჯვნის პროცესი;
5. ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის ხარისხის განმსაზღვრელი ფაქტორები;
6. ცენტრალური ბანკის ფუნქციები;
7. ფულად-საკრედიტო რეგულირების პირდაპირი (ადმინისტრაციული) და ირიბი (ეკონომიკური) მეთოდები;
8. ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა და მისი ინსტრუმენტები;
9. ცენტრალური ბანკის რესტრიქციონისტული („ძვირი ფულის“) და ექსპანსიონისტური („იაფი ფულის“) პოლიტიკა.

გამოყენებული სქემები, ნახატები და ცხრილები:

ცხრ. №2.1. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის დადგენილი მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების განაკვეთის დინამიკა;
ნახ. № 2.1. საქართველოს ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთის დინამიკა.

2.1. ცენტრალური ბანკების წარმოშობის წინაპირობები

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ცენტრალური ბანკის ან მისი პრეზიდენტის ოფიციალური განცხადება არ რჩება არათუ ფინანსისტების, არამედ უბრალო მოქალაქეების ყურადღების მიღმა. აღნიშნული განპირობებულია იმ უდიდესი როლით, რომელსაც თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკაში ასრულებენ ცენტრალური ბანკები. უფრო მეტიც, მათი გავლენის ზემოქმედება სცდება საკუთარი ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებას. მაგალითად, აშშ-ის ცენტრალური ბანკის – ფედერალური სარეზერვო სისტემის გადაწყვეტილებები გავლენას ახდენს მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პერსპექტივებზე.

რეალურად რას წარმოადგენს ცენტრალური ბანკი და რა ძალაუფლებას ფლობს იგი? ამ კითხვებზე პასუხების გასაცემად საჭიროა ცენტრალური ბანკების წარმოშობის ისტორიისა და მისი წინაპირობების გახსენება.

ისტორიულად ცენტრალური ბანკების ჩამოყალიბების ორი გზაა ცნობილი:

- ევოლუციური გზა, რომელიც დამახასიათებელია იმ ევროპული ქვეყნებისათვის, რომლებშიც კაპიტალისტური ურთიერთობები ჩამოყალიბდა შედარებით ადრეულ ეტაპზე. ამ ქვეყნებში ცენტრალურმა ბანკებმა მათთვის დამახასიათებელი თანამედროვე მდგომარეობა და ფუნქციები შეიძინეს ხანგრძლივი ევოლუციური განვითარების პროცესში ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებების კვალობაზე;
- მეორე გზა დამახასიათებელია იმ ქვეყნებისათვის, რომლებშიც კაპიტალისტიური ურთიერთობების დამყარება მოხდა მოკლე ვადებში და საემისიო ბანკები დაფუძნდა პირდაპირ, როგორც შექმნილი ახალი რეალობის აუცილებელი ელემენტი.

შუა საუკუნეებში, ჯერ კიდევ მაშინ, როცა საბანკო საქმიანობის წინამორბედს წარმოადგენდა ფულად-სავაჭრო კაპიტალი, თანდათან დაიწყო ფულით მოვაჭრეებისა და მევახშეების გამოყოფა, რომელთა განსაკუთრებით წარმატებული ნაწილი ნელ-ნელა ჩამოყალიბდა პირველ ბანკირებად. მათ ხელში თანდათან თავს იყრიდა ვაჭრების დროებით თავისუფალი ფული.

ამასთან ერთად, პირველმა ბანკირებმა, მას შემდეგ, რაც მათ ხელში თავი მოიყარა მნიშვნელოვანმა ფულადმა კაპიტალმა, დაიწყეს თავიანთი საქმიანობის არეალის გაფართოება. კერძოდ, ის ბანკირები, რომლებიც განსაკუთრებულად გამორჩეულნი იყვნენ, უფრო უახლოვდებოდნენ ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებთან და აკმაყოფილებდნენ მათ ფინანსურ მოთხოვნილებებს. საუკუნეების განმავლობაში ასეთი პრივილეგიებით სარგებლობდნენ ცნობილი, მდიდარი და ნდობით აღჭურვილი ბანკირები ან საბანკო სახლები, თუმცა, იმ დროისათვის არც ერთი მათგანი არ ატარებდა ცენტრალური ბანკისათვის დამახასიათებელ რამე ნიშან-თვისებას, გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფოს მხრიდან ქვეყნის ეკონომიკაში ჩარევის ხარისხი მნიშვნელოვანი არ იყო.

ცენტრალური ბანკის იდეის გაჩენა ემთხვევა კაპიტალისტურ-საბაზრო ურთიერთობების განვითარებას, ანუ იმ პერიოდს, როცა წარმოიშვა მისი ისტორიული და ეკონომიკური აუცილებლობა. ეს აუცილებლობა გამოიხატებოდა იმით, რომ ფინანსური ბაზრის და, საერთოდ, საბაზრო ურთიერთობების შემ-

ეროვნული ბანკი

დეგი განვითარება სახელმწიფო მარეგულირებელი და ზედამხედველი ორგანოს, ანუ ცენტრალური ბანკის გარეშე შეუძლებელი ხდებოდა.

დაკრედიტების მექანიზმების განვითარებამ ობიექტურად უზრუნველყო თამასუქების გაჩენა და სათამასუქო ოპერაციების პოპულარობა. **თამასუქი (იგივე ვექსილი)** – ესაა მსესხებლის წერილობითი უპირობო ვალდებულება კრედიტორისათვის გარკვეული თანხის გადახდაზე რაღაც თარიღისათვის. პირველი ბანკების მონაწილეობა სათამასუქო ურთიერთობებში გამოიხატებოდა მათი აღრიცხვის ოპერაციებში. **თამასუქების აღრიცხვა (დისკონტი)** – ესაა ოპერაცია, რომლის დროსაც ბანკები შეისყიდიან თამასუქს მფლობელისაგან მისი ვადის გასვლამდე (მსესხებლის მიერ ვალის დაფარვამდე) გარკვეული პროცენტის სანაცვლოდ. იმ ფაქტმა, რომ თამასუქის სანაცვლოდ შესაძლებელი გახდა ნაღდი ფულის მიღება ნებისმიერ დროს, გამოიწვია ის, რომ ცალკეულ შემთხვევებში იგი გამოიყენებოდა ქაღალდის ფულის სახით ანგარიშსწორებაში სავაჭრო ოპერაციებისას, ანუ თამასუქები გახდა მეტად ლიკვიდური გადახდის საშუალება.

მიუხედავად ამ უპირატესობისა, კომერციულ თამასუქებს ჰქონდათ ერთი მნიშვნელოვანი ნაკლოვანება: წარმოადგენდნენ კერძო სავალო ვალდებულებებს, ამიტომ მათი მიმოქცევა ხდებოდა მხოლოდ ადამიანთა ვიწრო წრეში, მათ შორის, ვინც ენდობოდა მსესხებელს (ვექსილის გამცემს), ანუ ვინც დარწმუნებული იყო მის გადამხდელუნარიანობაში.

სათამასუქო მიმოქცევის აღნიშნული პრობლემა გადალახულ იქნა პროცესში ბანკების ჩარევის შემდეგ, როცა კომერციული თამასუქები თანდათან ჩანაცვლდა საემისიო ბანკების მიერ გამოშვებული ბანკნოტებით. საემისიო ბანკები აღჭურვილნი იყვნენ უფლებით, რომ თამასუქების აღრიცხვისას (შეძენისას) ანაზღაურება მოეხდინათ არა ნაღდი ფულით (იგულისხმება ოქროსა და ვერცხლის მონეტები), არამედ საბანკო ბილეთებით – ბანკნოტებით. ბანკნოტების უპირატესობა კომერციულ თამასუქებთან იყო ის, რომ მათი მიმოქცევა ხდებოდა უფრო ვრცელ ტერიტორიაზე, ყველგან, სადაც ცნობილი იყო ბანკი-ემიტენტი, მისი მფლობელი ან მფლობელები და არსებობდა ნდობა მის მიმართ.

თანდათან საფუძველი ეყრება ტენდენციას, როცა ბანკნოტების ცენტრალიზებული ემისიის უფლება გადასცემოდა საიმედოობითა და საზოგადოებრივი ნდობით გამორჩეულ რამდენიმე კომერციულ ბანკს. ამ ბანკებს ეწოდა საემისიო ბანკები. ამ ურთიერთობების დროს უმნიშვნელოვანესი იყო ის, რომ საემისიო ბანკების მიერ გამოშვებული ბანკნოტები საჭიროების შემთხვევაში უპირობოდ იცვლებოდა ოქროს ფულზე, რაც იყო კიდეც ამ ურთიერთობების ქვაკუთხედი.

საბაზრო ურთიერთობების განვითარების კვალობაზე ზოგიერთ ქვეყანაში კომერციულ ბანკებს შორის ნელ-ნელა მოიშალა ფუნქციების მკაცრი გამიჯვნა და, როგორც წესი, მათ ბანკნოტების დამოუკიდებელი ემისია კანონმდებლობით არ ეკრძალებოდათ ან ამ უფლების მიღება ფორმალური პროცედურებით იყო შესაძლებელი.

2.2. ცენტრალური ბანკების წარმოშობა და საბანკო სისტემის ჩამოყალიბება

XIX საუკუნის დასაწყისამდე ბევრი კომერციული ბანკი მიმართავდა ბანკნოტების ემისიას რესურსების გაზრდის მიზნით, თუმცა, **XIX** საუკუნის შუა პერიოდიდან დგება შემობრუნების ეტაპი ამ მიმართულებით და იწყება კომერციული და საემისიო ბანკების ფუნქციების გამიჯვნის პროცესი საკანონმდებლო დონეზე. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ სხვადასხვა წვრილი კომერციული ბანკის მიერ გამოშვებული ბანკნოტების დიდი მასა ქმნიდა საფრთხეს, ვინაიდან ეს ბანკები ვალდებული იყვნენ გადაეცვალათ ისინი „ნამდვილ“ ფულზე (ოქროსა და ვერცხლის მონეტები). სწორედ საბანკნოტო ემისიის რეგლამენტაცია და გონივრული ზღვრების დაწესება გახდა სახელმწიფოს მხრიდან კომერციული ბანკებისათვის მისი ჯერ შეზღუდვის, შემდეგ აკრძალვისა და ამ უფლების საემისიო ბანკებისათვის გადაცემის წინაპირობა.

თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ემისიის უფლების მქონე ბანკი სახელმწიფოში თავდაპირველად შეიძლებოდა რამდენიმე ყოფილიყო და, როგორც წესი, ეს იყო ცნობილი, მდიდარი და ხელისუფლებისათვის სანდო ბანკირები. ისიც აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ ან თუნდაც ერთადერთ საემისიო ბანკად ყოფნა იმ დროისათვის არ ნიშნავდა, რომ ეს იყო ცენტრალური ბანკი. იმ დროს არ არსებობდა ცენტრალური ბანკის შექმნის აუცილებლობა. „ნამდვილი“ ცენტრალური ბანკის შექმნა დღის წესრიგში დადგა **XIX** საუკუნის შუა წლებში, როცა საბაზრო ურთიერთობები, მათ შორის, საფინანსო ბაზარი უკვე საკმაოდ განვითარებული იყო და ცხადი გახდა სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოს არსებობის აუცილებლობა, რათა თავიდან აეცილებინათ ბაზრის რყევები და ფინანსური დანაკარგები.

ცენტრალური ბანკების შექმნა განპირობებული იყო კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის პროცესებით და ერთიან ნაციონალურ ფულად სისტემებზე გადასვლით. ცხადი ხდებოდა, რომ ბანკნოტების ემისიის დეცენტრალიზაცია უკვე აღარ შეესაბამებოდა თანამედროვე მოთხოვნებს. ხშირად ხდებოდა, რომ მცირე ზომის ნაკლებად ცნობილი ბანკის მიერ ემიტირებული ბანკნოტები არ სარგებლობდა ნდობით მოსახლეობაში. კომერციული ბანკების მიერ გამოშვებული ბანკნოტების მიმოქცევა ხდებოდა მხოლოდ მათი მოქმედების არეალში და ხშირად აქაც არსებობდა ნდობის დიდი დეფიციტი. ასეთ დამოკიდებულებას ისიც უწყობდა ხელს, რომ სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი კონტროლის ბერკეტების არარსებობის გამო, ზოგიერთი ბანკი ბოროტად იყენებდა ბანკნოტების ემისიის უფლებას. მაქსიმალური მოგების მიღების სურვილი უბიძგებდა მათ დაებეჭდათ სულ უფრო მეტი ბანკნოტი, რომლებიც აღარ იყო უზრუნველყოფილი ოქროთი. საქმის აღნიშნული მდგომარეობა ზრდიდა მათი გაკოტრების რისკებს. ცხადი ხდებოდა, რომ მხოლოდ ამ პროცესების მარეგულირებელ, შესაბამისი უფლებამოსილებით, პასუხისმგებლობით და ზემოქმედების ბერკეტებით აღჭურვილ ცენტრალურ ბანკს შეეძლო გამხდარიყო საიმედოობის გარანტი.

პირველი საემისიო ბანკები ცენტრალურ ბანკებად ერთბაშად არ გადაქცეულა, ეს თანდათან, ევოლუციური გზით ხდებოდა. ისტორიულად ბანკნოტების ემისიის ექსკლუზიური უფლების მინიჭების შემდეგ ცენტრალურ ბანკებს დაეკისრათ სახელმწიფოს ხაზინის ფუნქცია, ამას მოჰყვა სახელმწი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოსა და კომერციულ ბანკებს შორის შუამავლის, მათი რეგულატორისა და ზედამხედველობის ფუნქციები. საბოლოო ჯამში, ცენტრალურ ბანკებზე გადავიდა სახელმწიფოს მთლიანი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განმახორციელებელი ორგანოს ფუნქცია.

საემისიო ბანკების ცენტრალურ ბანკებად გადაქცევის პროცესის ბოლო ეტაპად უნდა დავასახელოთ ცენტრალური ბანკების ნაციონალიზაციის პროცესი, რომელიც ქვეყნების უმრავლესობაში განხორციელდა. ცენტრალური ბანკების ნაციონალიზაციის პროცესი დააჩქარა 1929-1933 წლების მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა და მეორე მსოფლიო ომმა. კოლონიური სისტემის ნგრევის შედეგად ლათინურ ამერიკაში, აფრიკასა და აზიაში ახალი სახელმწიფოების წარმოქმნას თან სდევდა აქ ცენტრალური ბანკების დაარსება, რაც ცხადია, არ იყო ევოლუციური გზა.

ისტორიულად პირველი ბანკი, რომელმაც განახორციელა ბანკნოტების ემისია, იყო შვედური „სტოკჰოლმის ბანკი", ხოლო ყველაზე ძველ ცენტრალურ ბანკად მიჩნეულია ასევე შვედური, 1668 წელს დაარსებული „რიკსბანკი", რომელმაც ცენტრალური ბანკის ფუნქციები ცოტა მოგვიანებით შეიძინა. მიუხედავად ამისა, პირველ ცენტრალურ ბანკად აღიარებულია 1694 წელს დაარსებული „ინგლისის ბანკი". მან პირველმა დაიწყო იმ ოპერაციების შესრულება, რომლებიც დამახასიათებელია ცენტრალური ბანკისათვის.

„ინგლისის ბანკი" დაარსდა, როგორც კერძო სააქციო კომპანია. მეტად საინტერესოა მისი შექმნის ისტორია, ვინაიდან ეს იყო პირველი ბანკი, რომელიც შეიქმნა აქციონერულ საფუძვლებზე შეზღუდული პასუხისმგებლობით. იმ დროისათვის ინგლისის მთავრობას ესაჭიროებოდა დიდი ოდენობით ფინანსური სახსრები საფრანგეთთან ომის გამო გაზრდილი ხარჯების გადასაფარავად. ამ ფულის მობილიზაციისათვის რამდენიმე მსხვილი ლონდონელი ვაჭარი გაერთიანდა ერთ სააქციო კომერციულ ბანკად, სანაცვლოდ კი ხელისუფლებისაგან მიიღეს ბანკნოტების ემისიის ექსკლუზიური უფლება, რომელთა გადაცვლა ოქროზე თავისუფლად უნდა მომხდარიყო. ახალი ბანკის მიერ გამოშვებული ბანკნოტები მალე გახდა საყოველთაო საგადახდო საშუალება და წარმატებით ჩაერთო ქვეყნის საგადამხდელო სისტემაში.

საუკუნე-ნახევრის შემდეგ, 1844 წელს, ინგლისის პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა ცნობილი საბანკო კანონი (***Bank Act of 1844***), რომლის მიხედვითაც, საემისიო საქმიანობის მონოპოლია საბოლოოდ დაუკანონდა „ინგლისის ბანკს". „ინგლისის ბანკმა" ასევე მიიღო სახელმწიფო ვალების მართვის უფლება. „ინგლისის ბანკი" იყო პირველი ბანკი, რომელიც მოგვევლინა ბოლო ინსტანციის კრედიტორის როლში, ანუ გასცა კრედიტი ბანკზე, რომელიც განიცდიდა ფინანსურ პრობლემებს. ამის შემდეგ სპეციალური საკანონმდებლო აქტით „ინგლისის ბანკს", ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, სხვა ბანკებისათვის რეკომენდაციებისა და დირექტივების უფლება მიეცა. გარდა ამისა, იგი აღიჭურვა უფლებამოსილებით, მოეთხოვა კომერციული ბანკებისაგან აუცილებელი ინფორმაცია მათი საქმიანობის შესწავლის მიზნით. ყოველივე ეს ნიშნავდა, რომ ინგლისში თანდათან ჩამოყალიბდა ორდონიანი საბანკო სისტემა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1946 წელს, განხორციელდა „ინგლისის ბანკის" ნაციონალიზაცია, რომლის შედეგად უკვე ყოფილმა აქციონერებმა საკმაოდ მაღალი კომპენსაციები მიიღეს სახელმწიფოსაგან აქციების სანაცვლოდ, კერძოდ, სახელმწიფო სესხის ობლიგაციები – შესაბამისობით 1:4.

რაც შეეხება სხვა ქვეყნების ცენტრალურ ბანკებს, მათი ჩამოყალიბება შედარებით მოგვიანებით მოხდა, მაგალითად: საფრანგეთში – 1800 წელს, ჰოლანდიაში – 1814 წელს, ნორვეგიაში – 1816 წელს. **XIX** საუკუნის მეორე ნახევრიდან ცენტრალური ბანკები უკვე მასობრივად იქმნება, მაგალითად: რუსეთში – 1860 წელს, გერმანიაში – 1875 წელს, იაპონიაში –1882 წელს, იტალიაში – 1893 წელს და ა.შ. ყველა ევროპულ ქვეყანაში ცენტრალური ბანკები იქმნებოდა ევოლუციური გზით, ანუ ერთი რომელიმე ყველაზე გამორჩეული ბანკი თავისი არსით ტრანსფორმირდებოდა ცენტრალურ ბანკად, ხოლო შემდეგ სახელმწიფოს მიერ სპეციალური ნორმატიული აქტებით ხდებოდა ბანკებისათვის ამ და სხვა უფლებების მონოპოლიურად დაკანონება.

„სრულფასოვან" ცენტრალურ ბანკებად ჩამოყალიბების ევოლუციური პერიოდის განმავლობაში საემისიო ბანკები აგრძელებდნენ თავიანთ კომერციულ საქმიანობას, მაგრამ უკვე **XIX** საუკუნის მეორე ნახევრიდან კომერციულ და საემისიო ბანკებს შორის ფუნქციების თანდათანობითი გამიჯვნით ჩამოყალიბდა ორი მნიშვნელოვანი ტენდენცია:

- საემისიო (მომავალი ცენტრალური) ბანკები ეტაპობრივად გამოდიან ანაბრების მოზიდვისა და კომერციული სექტორის დაკრედიტების ბაზრიდან და სულ უფრო გადადიან კომერციული ბანკებისა და სახელმწიფოს საბანკო მომსახურებაზე, მათგან რესურსების მოზიდვასა და კრედიტების გაცემაზე. აღნიშნული პროცესი დასრულდა თანამედროვე ცენტრალური ბანკების, როგორც „ბანკთა ბანკის" და სახელმწიფოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მთავარი გამტარებლის ჩამოყალიბებით;
- კომერციულმა ბანკებმა შეწყვიტეს ბანკნოტების ემისია. ეს პროცესი ზოგიერთ ქვეყანაში მოხდა ეტაპობრივად, ჯერ შეზღუდვების დაწესებით, შემდეგ კი – საბოლოო აკრძალვით, ზოგიერთ შემთხვევაში ეს ერთბაშად განხორციელდა. ამის პარალელურად კომერციული ბანკები მთლიანად გადაერთვნენ ანაბრების მოზიდვასა და ეკონომიკის დაკრედიტებაზე.

ცენტრალურ ბანკებს სხვადასხვა ქვეყანა განსხვავებული სახელწოდებით მოიხსენიებს: „ცენტრალური", „სახალხო", „ეროვნული" (მაგალითად, „საქართველოს ეროვნული ბანკი"), „საემისიო", „სარეზერვო". ზოგ ქვეყანაში იგი მოხსენიებულია მხოლოდ ქვეყნის სახელწოდებასთან ერთად, მაგალითად, „ინგლისის ბანკი", „იტალიის ბანკი", „იაპონიის ბანკი". აქ მთავარია მისი არსი, ხოლო სახელწოდება უფრო ტრადიციებითაა განპირობებული, მაგალითად, სრულიად განსხვავებულია აშშ-ის ცენტრალური ბანკის სახელწოდება – „ფედერალური სარეზერვო სისტემა", რაც, როგორც ამბობენ, მეტწილად განაპირობა იმან, რომ თავისუფლებისმოყვარე შტატებისათვის მიუღებელი იყო სიტყვა „ცენტრალური".

მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალური ბანკების ჩამოყალიბების სცენარი ყველა ქვეყანაში მსგავსი იყო, არსებობდა გარკვეული ეროვნული დამახასიათებელი ნიშნები, რომელთა მოკლედ მიმოხილვა საინტერესო კუთხით წარმოაჩენს ამ პროცესს:

საფრანგეთი

„საფრანგეთის ბანკი" დაარსდა 1800 წელს ნაპოლეონ ბონაპარტის მიერ იმ მიზნით, რომ როგორმე შეეჩერებინა იმ დროს არსებული ეკონომიკური ვარდნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბანკი წარმოადგენდა კერძო სააქციო კომპანიას, რომელმაც 1803 წელს მიიღო ოფიციალური სტატუსი, რაც აძლევდა მას ბანკნოტების ემისიის ექსკლუზიურ უფლებას პარიზში, ხოლო 1848 წლიდან – უკვე მთელი საფრანგეთის ტერიტორიაზე, იმ დროს არსებული 9 რეგიონული საემისიო ბანკი კი მის ფილიალებად გარდაიქმნა. 1936 წელს საფრანგეთის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, ჩარეულიყო ბანკის უშუალო მართვაში, რასაც ადრე თავს არიდებდა, ხოლო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1945 წელს, განხორციელდა „საფრანგეთის ბანკის“ სრული ნაციონალიზაცია, რომლის შედეგად მისმა მესაკუთრეებმა საკმაოდ მაღალი კომპენსაციები მიიღებს სახელმწიფო ობლიგაციების სახით.

გერმანია

გერმანიის ცენტრალური ბანკის – „გერმანიის ფედერალური ბანკის“, იმავე „ბუნდესბანკის“ დღევანდელი სახით ჩამოყალიბება ერთობ საინტერესო გზით წარიმართა. თავდაპირველად, 1875 წელს, დაარსდა „რეიხსბანკი“, რომელთან ერთადაც ბანკნოტების ემისიას 32 კერძო ბანკი ახორციელებდა, მაგრამ იმავე წელს 14-მა მათგანმა უარი განაცხადა ამ უფლებაზე საემისიო ბანკებისათვის პირობების გამკაცრების გამო.

პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, 1918 წლისათვის, ემისიის უფლებით მხოლოდ 4 კერძო ბანკი სარგებლობდა, ხოლო 1935 წლიდან, კანონის თანახმად, ამ უფლებით სარგებლობა მხოლოდ „რეიხსბანკს“ დაუკანონდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, პოტსდამის კონფერენციის გადაწყვეტილებით, 1945 წელს „რეიხსბანკი“ ლიკვიდირებულ იქნა. გერმანიის ორად გაყოფის შემდეგ თანამედროვე გერმანიის ტერიტორიაზე ორი დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკი შეიქმნა. დასავლეთ გერმანიაში (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) 1946 წელს „რეიხსბანკის“ ფილიალების ბაზაზე თერთმეტი ფედერალური მიწის ფარგლებში შეიქმნა ცენტრალური ბანკი. ძალიან მალე, 1948 წელს, საემისიო ბანკების სისტემას სათავეში ჩაუდგა „გერმანული მიწების ბანკი“, ხოლო 1957 წელს მისი და ფედერალური მიწების ცენტრალურ ბანკებთან შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდა „გერმანიის ფედერალური ბანკი“ („ბუნდესბანკი“). აღმოსავლეთ გერმანიაში (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) „გერმანიის საემისიო ბანკის“ ბაზაზე 1968 წელს შეიქმნა „გდრ-ის სახელმწიფო ბანკი“. საბოლოოდ, 1990 წელს ორი გერმანიის გაერთიანების შემდეგ მოხდა მათი ცენტრალური ბანკების შერწყმაც, რის შემდეგაც ჩამოყალიბდა თანამედროვე „ბუნდესბანკი“.

ევროკავშირი

საბანკო საქმის ევოლუციის შედეგად ევროპის ქვეყნებში ჩამოყალიბდა თანამედროვე ორდონიანი საბანკო სისტემა ერთი საემისიო ცენტრალური ბანკითა და კომერციული ბანკებით. თუმცა, ევროპისათვის **XX** საუკუნის ბოლოს, 1998 წლის 1 ივნისს სრულიად ახალ მოვლენას ჰქონდა ადგილი, როცა შეიქმნა „ევროპის ცენტრალური ბანკი“ (***European Central Bank***), რომელიც წარმოადგენს ევროკავშირისა და ევროზონის ქვეყნების ცენტრალურ ბანკს.

ამ ფაქტით არ გაუქმებულა ევროკავშირის ქვეყნების ცენტრალური ბანკები, მაგრამ მათი გავლენა და უფლებამოსილებები შეიზღუდა, კერძოდ, „ევროპის ცენტრალური ბანკის“ უფლებამოსილებებში გადავიდა ევროზონის ქვეყნების სავალუტო პოლიტიკის განხორციელება, მათი სავალუტო რეზერვების მართვა, ევროს ბანკნოტების ემისია და სხვ., ანუ მის ხელში აღმოჩნდა ევროკა-

ვშირისა და ევროზონის ქვეყნების საერთო ფულადი პოლიტიკის ცენტრალიზებული მართვის უფლებამოსილება.

„ევროპის ცენტრალური ბანკი“ განთავსებულია გერმანიის ქალაქ მაინის ფრანკფურტში და მის მართვაში მონაწილეობენ ევროკავშირის წევრი ქვეყნების ცენტრალური ბანკების წარმომადგენლები. მისი კაპიტალი მთლიანად ეკუთვნის წევრი ქვეყნების ცენტრალურ ბანკებს შემდეგი პროპორციით: კაპიტალის 50% განაწილებულია თითოეული ქვეყნის მოსახლეობის ხვედრითი წილით ევროკავშირის საერთო მოსახლეობაში, დანარჩენი 50% – მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ხვედრითი წილით ევროკავშირის საერთო მშპ-ში.

თავის მხრივ, „ევროპის ცენტრალური ბანკი“ და წევრი ქვეყნების ნაციონალური ცენტრალური ბანკები ქმნიან „ცენტრალური ბანკების ევროპულ სისტემას“ (***The European System of Central Banks (ESCB***). ყოველივე ეს ნიშნავს, რომ ევროკავშირში შეიქმნა ზენაციონალური საბანკო სისტემა, რომელიც რაღაცით ჰგავს კიდეც ამერიკულ ფედერალურ სარეზერვო სისტემას.

ხანგრძლივი დებატების შემდეგ ევროპარლამენტმა 2013 წლის სექტემბერში მიიღო გადაწყვეტილება „ევროპის ცენტრალური ბანკისათვის“ ევროკავშირის ბანკების უმრავლესობის საქმიანობის კონტროლის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ. მიღებული გადაწყვეტილებით ამ როლის რეალიზება დაიწყება 2014 წლის ოქტომბრიდან, ბანკების სტრესტესტების ჩატარების შემდეგ. ერთიანი ევროპული საბანკო რეგულატორი განახორციელებს ზედამხედველობას ევროპის 150 უმსხვილესი ბანკისა, რომლებზედაც მოდის ევროზონის ქვეყნების საბანკო აქტივების დაახლოებით 80%.

აღნიშნული გადაწყვეტილება რეალურად წარმოადგენს ერთიანი ევროპული საბანკო კავშირის შექმნის გზაზე გადადგმულ პირველ ნაბიჯს.

აშშ

ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით, აშშ-ში დღევანდელი სახით არსებული ცენტრალური ბანკი შეიქმნა მხოლოდ **XX** საუკუნის დასაწყისში. აღნიშნული გარემოება, უპირველესად, განპირობებული იყო ამ ქვეყნის განსაკუთრებული ფედერალური მოწყობის თავისებურებებით და შტატების ისტორიული მისწრაფებით მაქსიმალური დამოუკიდებლობისაკენ. 1913 წლისათვის, როცა შეიქმნა ფედარალური სარეზერვო სისტემა, აშშ-ში ფუნქციონირებდა დაახლოებით 7 ათასი საემისიო ბანკი. იმ დროისათვის რეალურად ადამიანთა ნებისმიერ ჯგუფს შეეძლო გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემდეგ შეექმნა საემისიო ბანკი. აღნიშნული ფაქტი ხშირად აფიშირებულ იყო საბანკო ბიზნესის პლურალიზმისა და თავისუფლების თვალსაჩინო მაგალითად, თუმცა, ამის პარალელურად არსებობდა საწინააღმდეგო მოსაზრებაც, რომ აუცილებელია საბანკო ბიზნესის და, განსაკუთრებით, საემისიო საქმიანობის ცენტრალიზაცია. ასეთი შეხედულების მაგალითია ის, რომ ცენტრალიზებული საბანკნოტო ემისიის შემოღების მცდელობა აშშ-ში ჯერ კიდევ **XVIII** საუკუნის ბოლოდან არსებობდა, მაგრამ კერძო ბანკებისა და ფინანსური ჯგუფების მხრიდან არსებული წინააღმდეგობის გამო ცენტრალური ბანკი მხოლოდ **XX** საუკუნის დასაწყისში შეიქმნა.

გავყვეთ თანმიმდევრულად: როგორც აღინიშნა, აშშ-ში ცენტრალიზებული საბანკნოტო ემისიის დაკანონების მცდელობები ჯერ კიდევ **XVIII** საუკუნის ბოლოდან არსებობდა, როცა შეიქმნა „პირველი ცენტრალური ბანკი“ 1791 წელს 20-წლიანი უფლებით (ჩარტერი), რომლის გასვლის შემდეგაც, 1811 წელს,

ახალი ჩარტერის გაცემა აღარ მოხდა. კონგრესის მიერ ჩარტერის გაუგრძელებლობის რამდენიმე მიზეზი არსებობდა, რომელთა შორის ერთ-ერთი „პირველი ცენტრალური ბანკის“ აქციონერთა შორის ბევრი უცხოელის არსებობა იყო.

ხუთწლიანი „შესვენების“ შემდეგ, 1816 წელს, ისევ გაიცა 20-წლიანი ჩარტერი ახალ, „მეორე ცენტრალურ ბანკზე“, რომელიც პირველის მსგავსად ახორციელებდა როგორც ეკონომიკის კომერციულ მომსახურებას, ისე ასრულებდა ცენტრალური ბანკის ფუნქციებს. „მეორე ცენტრალური ბანკი“, პირველთან შედარებით, ბევრად გავლენიანი იყო და მალე აღმოჩნდა მაშინდელი პოლიტიკური ბატალიების ეპიცენტრში. როგორც მაშინდელი აშშ-ის პრეზიდენტი ენდრიუ ჯეკსონი თვლიდა, ცენტრალური ბანკი მკვეთრად ნეგატიურ გავლენას ახდენდა ამერიკულ ეკონომიკაზე: მან ბანკი დაადანაშაულა ამერიკული ფინანსური სფეროს მონოპოლიზაციაში და 1832 წელს ვეტო დაადო კონგრესის გადაწყვეტილებას 1836 წლიდან ჩარტერის გაგრძელების შესახებ.

ამის შემდეგ აშშ-ის საფინანსო სივრცეში იწყება კრიზისული პერიოდი, ბანკების სპეკულაციური ოპერაციები და ქაღალდის ფულის მასის უკონტროლო ზრდა იწვევდა მის გაუფასურებას და ხელს უწყობდა ინფლაციურ პროცესებს. 1837 წელს, ანუ მეორე ცენტრალური ბანკის ვადის გასვლის მომდევნო წელს, იწყება საპირისპირო პროცესები ცნობილი „საბანკო პანიკის“ სახელით, როცა მკვეთრად შემცირდა ფულადი მასა და ფასები. დაიწყო დეფლაციური პროცესი, რომელსაც თან მოჰყვა ეკონომიკის საქმიანი აქტივობის შემცირება. აღნიშნული პროცესები 1843 წლამდე გაგრძელდა.

დიდი ბატალიებისა და 77-წლიანი ცენტრალური ბანკის გარეშე არსებობის შემდეგ, 1913 წლის ბოლოსათვის აშშ-ში შეიქმნა ახალი ტიპის ცენტრალური ბანკი – „ფედერალური სარეზერვო სისტემა“. „ფედერალური სარეზერვო სისტემის“ აქციონერებს წარმოადგენენ ამერიკული ბანკები და იგი თავისებური „კოლექტიური“ ცენტრალური ბანკია, ვინაიდან შედგება 12 რეგიონული ცენტრალური ბანკისაგან. მისი შექმნის ერთ-ერთი მიზანი იყო, არ დაეშვათ ეკონომიკური სიძლიერის კონცენტრაცია ერთი რომელიმე ფინანსური დაჯგუფების ხელში. „ფედერალური სარეზერვო სისტემა“ არის დამოუკიდებელი სამთავრობო სააგენტო, რაც გამოიხატება იმით, რომ მისი გადაწყვეტილებები ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიმართულებით არ ექვემდებარება შეთანხმებას რომელიმე სახელმწიფო ორგანოსთან და არ იღებს დაფინანსებას კონგრესისაგან.

„ფედერალური სარეზერვო სისტემის“ მნიშვნელოვანი თავისებურება და განსაკუთრებულობა არის ის, რომ იგი ერთდროულად არის აშშ-ის ნაციონალური ფულადი ერთეული და, ასევე, მსოფლიო სარეზერვო ვალუტის ემისიის ცენტრი.

რამდენიმე ქვეყნის ცენტრალური ბანკის წარმოშობისა და განვითარების მაგალითის განხილვის შემდეგ ჩვენ დავინახეთ მათი განსხვავებული ისტორია, ამავდროულად, ვხედავთ, რომ საერთოა მათი, როგორც საემისიო ცენტრის, ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მთავარი გამტარებლის, ბანკთა ბანკისა და მთავრობის ბანკირის ფუნქციები და როლი.

ნებისმიერ ქვეყანაში ცენტრალური ბანკის საქმიანობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სპეციალური კანონი, ხოლო თუ აქციონერულია, მაშინ – მისი წესდებაც. საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების ცენტრალური ბანკების საქმიანობის ქვაკუთხედი მათი ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობაა. ცენტრალური ბანკების დამოუკიდებლობის ხარისხი, რა თქმა უნდა, ყველა

ქვეყანაში იდენტური არ არის, რაც გამომდინარეობს ამ დამოუკიდებლობის განმსაზღვრელი ფაქტორებიდან. ეკონომიკურ ლიტერატურაში მიღებულია ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის ხარისხის განმსაზღვრელი ფაქტორების გამოყოფა. დავახასიათოთ 6 ძირითადი ფაქტორი:

1. ცენტრალური ბანკის აქციონერთა სტრუქტურა. აღნიშნული ფაქტორი გულისხმობს ცენტრალური ბანკის საკუთრებით კუთვნილებას, ანუ ვინ არის მისი მესაკუთრეები. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალური ბანკის აქციონერები შეიძლება იყონ კერძო ბანკები, იურიდიული პირები ან ფიზიკური პირებიც კი, ამ ფაქტორის გავლენა ცენტრალური ბანკის ვინმეზე დამოკიდებულების ხარისხზე არსებითი და გადამწყვეტი არ არის. როგორც წესი, კერძო აქციონერების გავლენა ცენტრალური ბანკის საქმიანობაზე სახელმწიფოს მხრიდან პირდაპირი ან ირიბი კონტროლის ქვეშაა, მაგალითად, აქციების გასხვისება შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან თანხმობის შემთხვევაში. გარდა ამისა, კერძო აქციონერების გავლენა ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე მნიშვნელოვნადაა შეზღუდული, ვინაიდან მისი საქმიანობა, ფუნქციები და ამოცანები რეგულირდება კანონმდებლობით. ცენტრალური ბანკების საკუთრებითი კუთვნილების მიხედვით გვაქვს მათი სამი ტიპი:

- **სახელმწიფოს კუთვნილებაში არსებული ცენტრალური ბანკები.** აღნიშნულ ჯგუფში შედის ცენტრალური ბანკების უმრავლესობა, სადაც აქციების 100% ეკუთვნის სახელმწიფოს, მაგალითად: „ინგლისის ბანკი“, გერმანული „ბუნდესბანკი“, „საფრანგეთის ბანკი“, რუსეთის „ცენტრობანკი“, საქართველოს ეროვნული ბანკი“ და ა.შ.
- **სააქციო ტიპის ცენტრალური ბანკები.** აღნიშნული ცენტრალური ბანკების კაპიტალის ფორმირება ხდება აქციების ემისიით. აღნიშნულ ჯგუფში შედის აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა, „იტალიის ბანკი“ და სხვ.
- **შერეული საკუთრების მქონე ცენტრალური ბანკები.** ესაა ის ცენტრალური ბანკები, რომელთა კაპიტალი არის აქციონერული, მაგრამ მათი ნაწილი სახელმწიფოს ეკუთვნის. კერძო აქციონერები შეიძლება იყვნენ როგორც ბანკები, ისე კერძო პირებიც. ამ ჯგუფში განვითარებული ქვეყნების ცენტრალური ბანკებიდან შედის „ავსტრიის ნაციონალური ბანკი“ (50%-50% განაწილებულია სახელმწიფოსა და იურიდიულ და ფიზიკურ პირებს შორის), „იაპონიის ბანკი“ (55% სახელმწიფოს, ხოლო 45% – კერძო პირების ხელშია), „შვეიცარიის ნაციონალური ბანკი“ (57% ხელისუფლების, ხოლო 43% – კერძო პირების ხელშია) და სხვ.

2. ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელობის დანიშვნის პროცედურა. უმრავლეს ქვეყანაში ცენტრალური ბანკების ხელმძღვანელი პირების დანიშვნა ან არჩევა ხდება ხელისუფლების მიერ შეთავაზებული კანდიდატურებიდან, მიუხედავად საკუთრებითი კუთვნილებისა. ეს ფაქტორი ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე პირველი, ვინაიდან იგი გავლენას ახდენს ცენტრალური ბანკის პოლიტიკური დამოუკიდებლობის ხარისხზე. ამ კუთხით ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელი პირების გათავისუფლების ან გაწვევის პროცედურები, ასევე მათი მოღვაწეობა გათავისუფლების შემდეგ. როგორც წესი, ცენტრალური ბანკის უმაღლეს პირებს თანამდებობიდან

გათავისუფლების შემდეგ ეკრძალებათ კერძო საბანკო სექტორში საქმიანობა გარკვეული პერიოდით და ამ ხნის განმავლობაში უნარჩუნდებათ თანამდებობრივი სარგოები.

ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცენტრალური ბანკების ხელმძღვანელი პირების თანამდებობაზე ყოფნის კანონით გათვალისწინებული ვადები. მაგალითად, „ფედერალური სარეზერვო სისტემის“ მმართველთა საბჭოს 7 წევრს ნიშნავს აშშ-ის პრეზიდენტი და ამტკიცებს კონგრესი, მაგრამ მათი თანამდებობაზე ყოფნის ვადა 14 წლით განისაზღვრება, რაც ბევრად მეტია, ვიდრე იმ ადამიანების უფლებამოსილება, რომლებიც მათ დამტკიცებაში მონაწილეობენ. საქართველოში ეს ვადა 7 წელია.

3. ცენტრალური ბანკის ამოცანებისა და მიზნების განსაზღვრა კანონმდებლობით. ცენტრალური ბანკის სახელმწიფო ორგანოებისაგან დამოუკიდებლობის ხარისხი სწორედ აღნიშნული ფაქტორით განისაზღვრება, მიუხედავად სამართლებრივი კუთვნილებისა. ცენტრალური ბანკის უფლებამოსილების მთავარი ელემენტები, როგორც წესი, ასახულია ქვეყნის კონსტიტუციაში, ხოლო მისი დეტალური აღწერა – კანონებში ცენტრალური ბანკისა და საბანკო საქმიანობის შესახებ. კანონით განისაზღვრება ცენტრალური ბანკის ორგანიზაციულ-სამართლებრივი სტატუსი, ხელმძღვანელი ორგანოების დანიშვნისა და გათავისუფლების პროცედურა, სახელმწიფო ორგანოებთან და ფინანსური ბაზრის მონაწილეებთან დამოკიდებულებისა და ურთიერთობის სტატუსი და ფორმები, მისი უფლებამოსილებები და ვალდებულებები და ა.შ. მაგალითად, კანონი აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის შესახებ დაახლოებით 500-გვერდიანი დოკუმენტია.

4. ცენტრალური ბანკის მხრიდან თავისი გადაწყვეტილებების სახელმწიფო ორგანოებთან კოორდინაცია. აღნიშნული ფაქტორი არის მეტად მნიშვნელოვანი ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის განსაზღვრისას, რომელიც ასევე გულისხმობს იმასაც, თუ ხელისუფლების მხრიდან რა დოზითაა შესაძლებელი ცენტრალური ბანკის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კორექტირება ან საერთოდ გაუქმება.

5. ცენტრალური ბანკის მიერ მთავრობის ხარჯების დაფინანსების შესაძლებლობა. ეს ფაქტორი გულისხმობს მთავრობის დაკრედიტების მექანიზმების შესაძლებლობასა და შეზღუდვებს და გავლენას ახდენს ცენტრალური ბანკის როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ დამოუკიდებლობის ხარისხზე. მაგალითად, საქართველოში „ეროვნული ბანკი ფინანსურად არ ეხმარება საქართველოს მთავრობასა და სახელმწიფო დაწესებულებებს“ [2].

6. ცენტრალური ბანკის ისტორიული განვითარების თავისებურება და ტრადიციები. აღნიშნული ფაქტორი განსაზღვრავს ცენტრალურ ბანკთან დაკავშირებულ ბევრ საკითხსა და თავისებურებას, დაწყებული მისი სახელწოდებიდან, დამთავრებული უფლებამოსილებების მინიჭებით და დამოუკიდებლობის ხარისხით. თუნდაც ის, რომ სახელმწიფოს მხრიდან ცენტრალური ბანკის 100%-იანი წილის ფლობა უფრო პრესტიჟისა და ტრადიციის საკითხია.

2 საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, მუხლი 46, პუნქტი 1.

მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ „ბუნდესბანკის“ აქციების 100%-ს ფლობს მწიფოს ეკუთვნის, იგი მაღალი დამოუკიდებლობის ხარისხის ერთ-ერთ ცენტრალურ ბანკად ითვლება, ამავე დროს „იტალიის ბანკი“, რომელიც კომერციული ბანკებისა და სადაზღვევო კომპანიების საკუთრებაშია, სახელმწიფო ორგანოების მნიშვნელოვანი დამოკიდებულების ქვეშაა.

ზოგადად, თუ ვისაუბრებთ ცენტრალური ბანკების წარმოშობის შესახებ, უნდა ითქვას, რომ დეცენტრალიზებული და უკონტროლო საბანკო სისტემის საქმიანობის ნეგატიური შედეგები ვლინდებოდა სხვადასხვა ბანკის მიერ ემიტირებული ქაღალდის ფულის მრავალგვაროვნებაში, ფულადი მიმოქცევის არაეფექტიან რეგულირებასა და ფულის მიწოდების არარაციონალურობაში. ყოველივე ზემოაღნიშნული ქმნიდა დამატებით ქაოსს ისედაც უწესრიგო და რეგულირების გარეშე მყოფ ეკონომიკაში.

ცენტრალური ბანკების გაჩენამ, ერთი მხრივ, უზრუნველყო ფინანსური ბაზრის სტიქიურობის მოთოკვა, მეორე მხრივ კი, შეინარჩუნა კერძო მეწარმეობის თავისუფლება ეკონომიკის ამ მეტად სპეციფიკურ სეგმენტში. ორდონიანი საბანკო სისტემისა და ფულად-საკრედიტო რეგულირების ფუნქციებით აღჭურვილი ცენტრალური ბანკის ჩამოყალიბება ფინანსურ სფეროში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენად უნდა ჩაითვალოს. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე პირობებში ცენტრალური ბანკების საბანკო სისტემაზე ზემოქმედების მეთოდებისა და ფუნქციების მოდიფიცირება და კორექტირება მუდმივი პროცესია, მისი, როგორც საზოგადოებასა (სახელმწიფოს სახით) და ეკონომიკას შორის შუამავლის, არსი უცვლელი რჩება. ამ შუამავლობას ცენტრალური ბანკი ახორციელებს საბანკო სისტემაში ფულადი ნაკადების რეგულირებით. დღეისათვის ცენტრალური ბანკი ყველა იმ ქვეყნის ფულად-საკრედიტო სისტემის მთავარ ელემენტს წარმოადგენს, სადაც საბანკო სისტემა არსებობს.

ცენტრალური ბანკების დახასიათებისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ე.წ. „სავალუტო საბჭოებს“ (***Currency board***). სავალუტო საბჭო – ესაა მონეტარული ორგანო, რომელიც ახორციელებს ისეთი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის რეალიზაციას, რომელიც გულისხმობს ეროვნული ვალუტის ფიქსირებული გაცვლითი კურსის მიბმას რომელიმე უცხოურ ვალუტაზე, რომელსაც „ღუზა-ვალუტას“ უწოდებენ. ამ შემთხვევაში ღუზა-ვალუტა ასრულებს სტაბილურობისა და საერთაშორისო საანგარიშსწორებო საშუალების ფუნქციას. მათ როლში გვევლინება აშშ დოლარი, ფუნტი სტერლინგი და ევრო. აშშ დოლართან მიბმული ვალუტებია ჰონგკონგის დოლარი, ბერმუდის დოლარი, აღმოსავლეთ კარიბის დოლარი, კაიმანის კუნძულების დოლარი და სხვ. ფუნტ სტერლინგთან მიბმული ვალუტებიდან ცნობილია ჰიბრალტარის ფუნტი, ფოლკლენდის კუნძულების ფუნტი და სხვ. ევროსთან საკუთარი ვალუტის კურსის მიბმის ცნობილი მაგალითებია ბულგარეთი, ბოსნია, ლიტვა და ესტონეთი. სავალუტო საბჭოები ფუნქციონირებდა თავის დროზე სინგაპურსა და მალაიზიაში.

ცენტრალური ბანკის მსგავსად სავალუტო საბჭოც, ანუ სავალუტო მმართველობა, წარმოადგენს ქვეყნის ფულად-საკრედიტო ორგანოს, რომელიც აღჭურვილია ფულის ემისიის უფლებით. მიუხედავად ამ მსგავსებისა, სავალუტო საბჭოები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ცენტრალური ბანკებისაგან ზოგიერთი „ტრადიციული“ ფუნქციის არარსებობით. მაგალითად, სავალუტო საბჭოები არ არიან „მთავრობის ბანკირები“ ან „ბოლო ინსტანციის კრედიტორები“. როგორც ვხვდებით, სავალუტო საბჭოები წარმოადგენენ ცენ-

ტრალური ბანკების ალტერნატივას, თუმცა, არის იშვიათი შემთხვევები, როცა ისინი პარალელურად ფუნქციონირებენ.

როგორც ვხვდებით, სავალუტო საბჭოების არსებობისას ფულადი პოლიტიკა აღარაა დამოკიდებული ქვეყნის მონეტარულ ხელისუფლებაზე და მარტივად რეგულირდება მოთხოვნა-მიწოდებით. ლოგიკურია, რომ სავალუტო საბჭოსათვის რთული ხდება საპროცენტო განაკვეთების რეგულირება და საერიცხვო განაკვეთის დადგენა.

ისტორიულად სავალუტო საბჭოები წარმატებით ფუნქციონირებდნენ კოლონიებში, რომელთა ეკონომიკა მჭიდროდ იყო დაკავშირებული მეტროპოლიებთან. დეკოლონიზაციის პროცესში ბევრმა ყოფილმა კოლონიამ აირჩია სავალუტო საბჭოების გზა დამოუკიდებელი ეკონომიკის მშენებლობისას, რათა მეტი პრესტიჟი და სტაბილურობა მიენიჭებინათ საკუთარი ახალი ვალუტებისათვის.

2.3. ცენტრალური ბანკის როლი, ძირითადი ფუნქციები და ამოცანები

თავისი არსით ცენტრალური ბანკის მდგომარეობა, ის როლი, რომელიც მას აკისრია, მეტად წინააღმდეგობრივია. ეს წინააღმდეგობრიობა ეკონომიკურ ლიტერატურაში ცნობილია „მაგიური ოთკუთხედის“ სახელით, რომლის „კუთხეებსაც“ წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი, უმუშევრობის დონე, ინფლაციის ტემპი და საგადამხდელო ბალანსის თანაფარდობა. აღნიშნული ინდიკატორები პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ყველა მათგანის ერთდროულად სასურველი მიმართულებით წარმართვა შეუძლებელია. მაგალითად, უმუშევრობის შემცირებას, როგორც წესი, მოსდევს ინფლაციის ზრდა, მეორე მხრივ, უმუშევრობის ზრდა, როგორც წესი, ნიშნავს ეკონომიკური ზრდის შენელებას. ასევე, ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას უმრავლეს შემთხვევაში მივყავართ საგადამხდელო ბალანსის გაუარესებასა და ინფლაციის ზრდასთან. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ოთხი მიზნის ერთდროულად მიღწევა შეუძლებელია და ამიტომ აუცილებელი ხდება მათ შორის პრიორიტეტულის (ერთი ან რამდენიმე) ამორჩევა, რასაც დროებით უნდა „შეეწიროს“ რომელიმე სხვა მიზანი. ამ არჩევანის გაკეთება დიდ პროფესიონალიზმსა და სტრატეგიულ გათვლას მოითხოვს. იგი, როგორც წესი, დამოკიდებულია პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საბაზრო კონიუნქტურაზე კონკრეტული დროის მონაკვეთისათვის, რომელიც უახლოეს მომავალში ისევ შეიძლება შეიცვალოს და ასე ხდება მუდმივად.

მიუხედავად იმისა, რომ ზუსტად ორი ერთნაირი ცენტრალური ბანკი ალბათ არ არსებობს და ისინი დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევიან, მაინც შესაძლებელია იმ საერთო მიზნებისა და მათი გადაწყვეტის ბერკეტების დახასიათება, რომლებიც მეტ-ნაკლებად ყველა ცენტრალური ბანკისათვისაა დამახასიათებელი. მიზნებისა და მათი გადაწყვეტის ბერკეტების, ანუ მოვალეობებისა და უფლებამოსილებების შესაბამისობა განსაზღვრავს კონკრეტული ქვეყნის ცენტრალური ბანკის ადგილსა და როლს „მაგიური ოთკუთხედის“

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომპონენტების მართვაში. გამომდინარე ამ უფლებამოსილებებიდან, ცენტრალური ბანკები სხვადასხვაგვარად ახდენენ თავიანთი მიზნების რეალიზებას, აგებენ ურთიერთობას მთავრობასთან და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან, საბანკო სისტემასა და ფინანსური ბაზრის სხვა მონაწილეებთან, რეაგირებენ გარემო ცვლილებებზე.

ცენტრალური ბანკის, როგორც სახელმწიფო ინტერესების გამტარებლის, ფუნქციონირების საფუძველს წარმოადგენს, ერთი მხრივ, მისი პოლიტიკისა და ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის თანხვედრა და, მეორე მხრივ, საბანკო სისტემასთან ურთიერთქმედებების პრინციპები. როგორც არაერთხელ აღინიშნა, ცენტრალური ბანკი არის შუამავალი სახელმწიფოსა და დანარჩენ ეკონომიკას შორის და აღნიშნული შუამავლობა ხორციელდება საბანკო-საკრედიტო სისტემის მეშვეობით. ცენტრალური ბანკები ახორციელებენ ფულადი ნაკადების რეგულირებას იმ ბერკეტების (ფულად-საკრედიტო რეგულირების ინსტრუმენტები) მეშვეობით, რომლებითაც ისინი აღჭურვილნი არიან კონკრეტული ქვეყნის კანონმდებლობით.

ცენტრალური ბანკების მრავალი ფუნქციის განზოგადებით შეიძლება გამოვყოთ ძირითადები, მათ შორის:

1) ბანკნოტების მონოპოლიური ემისიის ფუნქცია;
2) ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელების ფუნქცია;
3) საბანკო სისტემის საქმიანობის რეგულირების ფუნქცია;
4) ბანკთა ბანკის ფუნქცია;
5) მთავრობის ბანკირისა და ფინანსური აგენტის ფუნქცია;
6) ქვეყნის ოქრო-სავალუტო რეზერვების მართვის ფუნქცია;
7) საგადამხდელო-საანგარიშსწორებო სისტემის ორგანიზების ფუნქცია.

მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი:

1) ბანკნოტების მონოპოლიური ემისიის ფუნქცია. როგორც განვლილი მასალებიდან გვახსოვს, ბანკნოტების ემისია ისტორიულად ცენტრალური ბანკების უძველესი და უმნიშვნელოვანესი ფუნქციათაგანია. განსხვავებით იმ ისტორიული პერიოდისაგან, როდესაც ქვეყანაში რამდენიმე ბანკი იყო ბანკნოტების ემისიის უფლებით აღჭურვილი, დღეისათვის ნებისმიერ ქვეყანაში მხოლოდ ცენტრალური ბანკი ფლობს ფულის ემისიისა და მისი ბრუნვიდან ამოღების კანონიერ ექსკლუზიურ უფლებას. გარდა ბანკნოტებისა და მონეტების ბეჭდვასთან დაკავშირებული ტექნიკური სამუშაოების ორგანიზებისა, ცენტრალური ბანკი ახდენს ფულადი მასის რეგულირებას და ქმნის ნაღდი ფულის რეზერვების სისტემას. ზოგიერთ ქვეყანაში ცენტრალური ბანკი ბეჭდავს მხოლოდ ქაღალდის ფულს, ხოლო მონეტებს – ფინანსთა სამინისტრო (ხაზინა). ასეთ შემთხვევაში ცენტრალური ბანკი ყიდულობს მისგან მონეტებს ნომინალით, ხოლო სხვაობა ნომინალსა და თვითღირებულებას შორის ბიუჯეტის შემოსავალია. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ცენტრალური ბანკის საემისიო მონოპოლიის მნიშვნელობა გარკვეულწილად შემცირდა ბანკნოტების ოქროზე გადაცვლის ვალდებულების გაუქმებასთან ერთად. აღნიშნულ გარემოებას ოქროს სტანდარტის დროს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ფულადი მიმოქცევის სტაბილიზაციის საქმეში, დღეს კი საემისიო ფუნქცია უფრო ტექნიკურ ხასიათს იძენს.

2) ქვეყნის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის განხორციელების ფუნქცია. ცენტრალური ბანკების მიერ ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის გატარება არის ის უმნიშვნელოვანესი ფუნქცია, რომელიც წარმოადგენს ღონისძიებათა კომპლექსს, მიმართულს მიმოქცევაში არსებული ფულის მასის, საპროცენტო განაკვეთებისა და ფულადი მიმოქცევის სხვა მაჩვენებლების რეგულირებისაკენ. აღნიშნულ ფუნქციას ცენტრალური ბანკი ახორციელებს მთავრობის პოლიტიკის პარალელურად და იგი მიმართულია ეკონომიკის სტაბილური ზრდის, უმუშევრობის შემცირების, ინფლაციის მართვისა და საგადამხდელო ბალანსის ნორმალიზაციისაკენ. ცენტრალური ბანკის მიერ აღნიშნული ფუნქციის რეალიზაცია შეიძლება განხორციელდეს როგორც ეკონომიკური, ისე ადმინისტრაციული მეთოდებით:

- ფულად-საკრედიტო რეგულირების **ეკონომიკური მეთოდები** მოიცავს მინიმალურ სარეზერვო მოთხოვნებს, ოპერაციებს ღია ბაზარზე და საპროცენტო (სააღრიცხვო, რეფინანსირების) განაკვეთების ცვლილებებს. აღნიშნული მეთოდების უფრო დაწვრილებით აღწერა შემდეგ პარაგრაფში მოხდება;
- რაც შეეხება ფულად-საკრედიტო პოლიტიკის **ადმინისტრაციულ მეთოდებს,** მათში მოიაზრება პირდაპირი შეზღუდვები ბანკებისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობასა და აქტიურობის ხარისხზე. ეს შეიძლება იყოს დაკრედიტების ლიმიტების დადგენა, საპროცენტო განაკვეთების მინიმალური და მაქსიმალური ზღვრების დაწესება, საქმიანობის სფეროების გამიჯვნა და ა.შ.

3) საბანკო სისტემის საქმიანობის რეგულირების ფუნქცია. საბანკო სისტემის, განსაკუთრებით კი – კომერციული ბანკების საქმიანობის რეგულირება ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელების ფუნქციასთან ერთად ცენტრალური ბანკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციათაგანია. კომერციული ბანკები და მათი საქმიანობა, როგორც წესი, ბევრად უფრო მკაცრი ოფიციალური ზედამხედველობის საგანს წარმოადგენენ სახელმწიფოს მხრიდან (ცენტრალური ბანკის სახით), ვიდრე სამეწარმეო საქმიანობის სხვა ნებისმიერი სახეობა. აღნიშნულის მიზეზია ის, რომ ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობა რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოების გამო ბანკებზეა დამოკიდებული:

- საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბანკები ასრულებენ წამყვან როლს ფინანსური რესურსების გადანაწილებაში: ახორციელებენ საშუამავლო ფუნქციას ჭარბი სახსრების მქონე კრედიტორებსა და პოტენციურ მსესხებლებს შორის;
- ბანკები იღებენ დეპოზიტებს, რომლებიც წარმოადგენს საზოგადოების ფინანსური აქტივების ნაწილს და ისინი მთლიანად უნდა იყოს დაბრუნებული მოთხოვნისთანავე ან დეპოზიტის ვადის გასვლისას;
- ბანკებს უკავიათ ცენტრალური ადგილი საგადამხდელო მექანიზმში, რომელიც ემსახურება ფიზიკურ პირებს, სამეწარმეო სფეროს და სამთავრობო სტრუქტურებს.

საბანკო სისტემის ზედამხედველობისა და რეგულირების ეფექტიანი სისტემა აუცილებლად გულისხმობს ცენტრალური ბანკის პასუხისმგებლობისა და მიზნების მკაფიოდ განსაზღვრას, რომელიც მას მინიჭებული აქვს კანონმდებლობით. ცენტრალური ბანკის მხრიდან საბანკო სისტემის ზედამხედველობის

საბოლოო მიზანია საბანკო-საკრედიტო სისტემის სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფა, საბანკო სისტემაში სისტემური კრიზისის წარმოქმნის ალბათობის მინიმუმამდე შემცირება და ამ გზით ბანკების მეანაბრეთა და სხვა კრედიტორთა ფულადი სახსრების, საბანკო სისტემაში კონკურენტუნარიანობის პრინციპებისა და ცენტრალური ბანკის ინსტიტუციური ინტერესების მაქსიმალურად დაცვა. ამდენად, საბანკო ზედამხედველობის მართლზომიერების ძირითად არგუმენტს მეანაბრეთა დანაკარგის რისკის შემცირება და ამ გზით ბანკების მიმართ საზოგადოების ნდობის განმტკიცება წარმოადგენს. ცენტრალური ბანკის მხრიდან კომერციული ბანკების საქმიანობის კონტროლისა და ზედამხედველობის სისტემა მიმართულია შიდა და გარე საბანკო რისკების შემცირებისაკენ, რათა თავიდან იქნეს აცილებული კომერციული ბანკის გაკოტრება, ვინაიდან ერთი ბანკის გაკოტრებამ შეიძლება ბიძგი მისცეს ე. წ. „დომინოს ეფექტის" წარმოქმნას, სისტემურ საბანკო კრიზისს, რომელმაც შეიძლება მთლიანად მოშალოს ფინანსური სექტორი და შესაბამისად – ქვეყნის ეკონომიკაც.

საზედამხედველო ფუნქცია ზოგიერთ ქვეყანაში მხოლოდ ცენტრალური ბანკის მიერ ხორციელდება, ზოგიერთ ქვეყანაში კი – ხაზინასთან, საბანკო კომისიასთან, დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოსა და სხვა ორგანოებთან ერთად. ამასთან, არის ისეთი ქვეყნები, სადაც მაკონტროლებელი ფუნქცია ხორციელდება არა ცენტრალური ბანკის, არამედ სხვა ორგანოების მიერ. ცენტრალური ბანკების მხრიდან კომერციული ბანკების ზედამხედველობის სისტემა არის ღონისძიებათა მთელი კომპლექსი, რომელშიც შედის ზოგადად საბანკო საქმიანობის ან რომელიმე სახეობის საქმიანობის შესახებ ლიცენზიის გაცემა, კომერციული ბანკების პერიოდული ფინანსური ანგარიშგებების ანალიზი, შემოწმებები, ნორმატივების დაწესება, მათი შესრულების ანალიზი და ა.შ.

ფინანსური გლობალიზაციისა და საბანკო საქმის ინტერნაციონალიზაციის შეუქცევადმა პროცესებმა დღის წესრიგში დააყენეს საბანკო ზედამხედველობის ერთიანი პრინციპების საერთაშორისო დონეზე უნიფიცირების საკითხი. ამ მიზნით შექმნილი ე.წ. „საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის" მთელი საქმიანობა მიმართულია სწორედ ქმედითი საბანკო ზედამხედველობის საბაზო პრინციპების შემუშავებისა და ცენტრალური ბანკებისათვის სხვადასხვა რეკომენდაციის შეთავაზებისაკენ.

საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკთან არსებული საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტი (***Committee on Banking Supervision of the Bank for International Settlements***) დაარსდა 1974 წელს G10 („დიდი ათეულის") ქვეყნების ცენტრალური ბანკების პრეზიდენტების მიერ. დღეისათვის მის შემადგენლობაში შედის 27 ქვეყნის ცენტრალური ბანკის წარმომადგენელი.

კომიტეტი იკრიბება წელიწადში ოთხჯერ საბანკო საქმიანობის სტანდარტების შემუშავების მიზნით, თუმცა, საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკში (***BIS***) ფუნქციონირებს კომიტეტის მუდმივმოქმედი სამდივნო. კონტაქტების კიდევ უფრო განმტკიცებისათვის ყოველ ორ წელიწადში ერთხელ იმართება საბანკო ხელმძღვანელების საერთაშორისო კონფერენცია (***ICBS***). თავად **BIS** შეიქმნა 1930 წელს წამყვანი ქვეყნების ცენტრალურ ბანკებს შორის კავშირისათვის. **BIS** ბაზელის კომიტეტის საქმიანობაში არ ერევა.

ბაზელის კომიტეტის ძალისხმევა მიმართულია საბანკო ზედამხედველობის ხარისხის ამაღლებისაკენ, უზრუნველყოფს ინფორმაციის გაცვლას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრალურ ბანკებს შორის, შეიმუშავებს საბანკო საქმიანობის კონტროლის ზოგად მიდგომებს, ერთიან სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს. კომიტეტის ექსპერტები საჭიროებისამებრ აძლევენ რჩევებს ნებისმიერი ქვეყნის ცენტრალურ ბანკებს საზედამხედველო საკითხებთან დაკავშირებით. ბაზელის კომიტეტის მიერ მიღებული ცნობილი დოკუმენტებია: „ეფექტიანი ზედამხედველობის ძირითადი პრინციპები“ (1997), „ბაზელი I“ (1988), „ბაზელი II“ (2004), „ბაზელი III“ (2010).

4) ბანკთა ბანკის ფუნქცია. როგორც წინა პარაგრაფში აღინიშნა, ისტორიული განვითარების კვალობაზე ცენტრალური ბანკები თანდათან ჩამოშორდნენ ეკონომიკის მომსახურებას და გადაერთვნენ სხვა ბანკების მომსახურებაზე. დღეისათვის ცენტრალური ბანკები აღარ ემსახურებიან იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, მათი კლიენტები არიან კომერციული ბანკები, ანუ ცენტრალური ბანკების კომერციულ ბანკებს უწევენ იმავე მომსახურებას, რასაც ეს უკანასკნელნი თავიანთ მომსახურებაში არსებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს. ცენტრალური ბანკები გახდნენ „ბანკთა ბანკები“, რაც, როგორც წესი, ასახულია შესაბამის ნორმატიულ დოკუმენტებში, მაგალითად, საქართველოს „ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონის პირველივე მუხლის შესაბამისად, „საქართველოს ეროვნული ბანკი არის საქართველოს ცენტრალური ბანკი, ბანკთა ბანკი, საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი“. ბანკთა ბანკის ფუნქცია გამოიხატება იმით, რომ ცენტრალური ბანკი არის საბანკო სისტემის საანგარიშსწორებო ცენტრი, აქ ინახება კომერციული ბანკების თავისუფალი ფულადი რეზერვები, იგი ახორციელებს მათი საქმიანობის რეგულირებასა და ზედამხედველობას, გასცემს კრედიტებს კომერციულ ბანკებზე საჭიროების შემთხვევაში.

კომერციული ბანკების დაკრედიტებით ცენტრალური ბანკი შეიძლება მოგვევლინოს როგორც ჩვეულებრივი კრედიტების გამცემის, ისე ე. წ. „ბოლო ინსტანციის კრედიტორის“ როლში. ბოლო ინსტანციის სესხი, როგორც წესი, მოკლევადიანია, მაგალითად, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემული ბოლო ინსტანციის სესხის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს, თუმცა, განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც შეიძლება საფრთხე შეექმნას ქვეყნის საფინანსო სისტემის სტაბილურობას, ეროვნული ბანკის საბჭოს გადაწყვეტილებით, დასაშვებია უფრო გრძელვადიანი სესხის გაცემა [3]. ტერმინი „ბოლო ინსტანციის კრედიტორი“ არის ინგლისური ***lender of last resort*** -ის პირდაპირი კალკი, რომლის უფრო ზუსტი თარგმანია „კრედიტორი კრიტიკულ სიტუაციებში“, ანუ იმ შემთხვევებში, როცა სხვა კრედიტორები უარს გვეუბნებიან, საჭირო მოცულობით და საჭირო დროში მოგვაწოდონ სესხი.

კომერციული ბანკებისათვის ბოლო ინსტანციის სესხის აღების აუცილებლობის გაჩენა განპირობებულია მათი საქმიანობის სპეციფიკით. კომერციული ბანკის ბალანსში პასივის მხარეს არის მოთხოვნამდე ვალდებულებების მნიშვნელოვანი ნაშთები, რომელთა მოთხოვნა კრიზისულ სიტუაციებში კლიენტების მიერ ხდება მასობრივად და ბანკს უწევს საკმარისი რესურსების მოკლე ვადაში მობილიზება ვალდებულებების თავისდროულად გასასტუმრებლად. ეს, როგორც წესი, მეტად რთულ საქმეს წარმოადგენს, ვინაიდან ამ მოთხოვნამდე დეპოზიტების ნაწილი (და ხშირად მნიშვნელოვანი ნაწილიც)

3 საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, მუხლი 33, პუნქტები 2, 3.

კრედიტების სახითაა გაცემული. ტრადიციულად, ცენტრალური ბანკისათვის ბოლო ინსტანციის კრედიტორის როლის მინიჭება განპირობებულია მისი პრაქტიკულად შეუზღუდავი შესაძლებლობით, უზრუნველყოს ბანკების ლიკვიდობა კრიზისის დროს, მაგრამ ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ბოლო ინსტანციის სესხი ეძლევა ნებისმიერ ბანკს, რომელსაც ამის სურვილი გაუჩნდება. ბოლო ინსტანციის სესხი ეძლევა ბანკს, რომელსაც ლიკვიდობაში შეექმნა დროებითი ფინანსური სიძნელეები, აქვს საფუძვლიანი დასაბუთება სესხის აღების შესახებ და მისი უზრუნველყოფის შესაბამისი აქტივები. ცენტრალური ბანკის მხრიდან ჩვეულებრივი კრედიტებისა და განსაკუთრებით ბოლო ინსტანციის სესხის გაცემისას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მის საკმარისობასა და დროულობას.

5) მთავრობის ბანკირისა და საფინანსო აგენტის ფუნქცია. ცენტრალური ბანკები გვევლინებიან სახელმწიფოს ბანკირებად, კრედიტორებად და საფინანსო კონსულტანტებად. მთავრობისა და სამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშები, როგორც წესი, გახსნილია ცენტრალურ ბანკში. ბევრ ქვეყანაში ცენტრალური ბანკები გვევლინებიან მთავრობის ფისკალური აგენტების როლში, ისინი ახორციელებენ სახელმწიფო ვალის მომსახურებას (განთავსება და დაფარვა), სახელმწიფო ბიუჯეტის საკასო შესრულებას, ასევე მთავრობის ანგარიშსწორებების ოპერაციებს სხვა ქვეყნებთან.

სახელმწიფო ვალის მომსახურების (მართვის) ფუნქციების განაწილება ცენტრალურ ბანკებს, ფინანსთა სამინისტროს ან ხაზინას შორის დამოკიდებულია კონკრეტული ქვეყნის ტრადიციებზე, ისტორიული განვითარების თავისებურებებსა და ფინანსური სისტემის მოწყობის თავისებურებებზე. შიდა სახელმწიფო ვალის ფინანსირების სამი ძირითადი მეთოდი არსებობს: ფულადი ემისია, ცენტრალური ბანკის პირდაპირი კრედიტები და სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდების გამოშვება.

საქართველოს რეალობა დიდად არ განსხვავდება მსოფლიო პრაქტიკისაგან, საქართველოს ეროვნული ბანკი ასევე ასრულებს საქართველოს მთავრობის ბანკირისა და ფისკალური აგენტის როლს და მისი მოვალეობაა, საკონსულტაციო დახმარება გაუწიოს საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს მთავრობას ეროვნული ბანკის საქმიანობასთან დაკავშირებულ ან მისი კომპეტენციის სფეროში შემავალ ყველა საკითხზე [4]. გარდა ამისა, საქართველოს ეროვნულ ბანკს შეუძლია თავად შეასრულოს სახელმწიფო დაწესებულებების საფინანსო აგენტის როლი შემდეგ საკითხებში: ა) მათ მიერ გამოშვებული სავალო ვალდებულებების რეალიზება, მათ შორის, ტრანსფერული აგენტის ან სხვა საჭირო ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულება; ბ) ძირითადი თანხებისა და პროცენტების გაცემა, ფასიანი ქაღალდების მიხედვით სხვა გადახდების წარმოება; გ) მათი ანგარიშებიდან საგადახდო ოპერაციების შესრულება [5].

6) ქვეყნის ოქრო-სავალუტო რეზერვების მართვის ფუნქცია. ქვეყნის ოქროსა და სავალუტო რეზერვების შენახვა და მართვა მიეკუთვნება ცენტრალური ბანკის ერთ-ერთ ტრადიციულ ფუნქციას, თუმცა, მას სხვა დატვირთვა აქვს დღეს, ვიდრე ჰქონდა ოქროს სტანდარტის დროს. განსხვავებით ოქროს სტანდარტისაგან, როცა ოქრო-სავალუტო რეზერვების ოდენობა დაკავშირებული იყო ბანკნოტების ემისიასთან და ქაღალდის ფული სრულად იყო

4 საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ", მუხლი 41.
5 საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ", მუხლი 44.

უზრუნველყოფილი ოქროს მარაგებით, დღევანდელ ეკონომიკაში იგი გაცვლინება სარეზერვო აქტივად და საგარანტიო ფონდად საერთაშორისო ანგარიშსწორებისას. უმეტეს ქვეყნებში ოქრო-სავალუტო რეზერვების მარაგებს მართავს ცენტრალური ბანკი, თუმცა, არსებობს ქვეყნები, სადაც ამ უფლებამოსილებებით ფინანსთა სამინისტროა აღჭურვილი. ოქროს გარდა, ცენტრალურ ბანკში ინახება სხვადასხვა ქვეყნის ვალუტები, უპირველეს ყოვლისა, აშშ დოლარი, ფუნტი სტერლინგი, ევრო, იაპონური იენი, ჩინური იუანი და ა.შ. ოქრო-სავალუტო რეზერვების გამოყენება ხდება საერთაშორისო ანგარიშსწორებისას, ეროვნული ვალუტის კურსის შენარჩუნებისა და საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის დასაფარავად.

7) საგადამხდელო-საანგარიშსწორებო სისტემის ორგანიზების ფუნქცია. აღნიშნული ფუნქცია არის კიდევ ერთი ნიშანი ცენტრალური ბანკის განსაკუთრებულობისა, რაც იმით გამოიხატება, რომ მისი კლიენტები არიან არა მეწარმეები და ფიზიკური პირები, არამედ საკრედიტო ორგანიზაციები. საგადამხდელო-საანგარიშსწორებო სისტემების მუშაობა მჭიდროდ უკავშირდება ცენტრალური ბანკის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს – ფინანსურ და ფულად-საკრედიტო სტაბილურობის უზრუნველყოფას. საგადამხდელო სისტემების მუშაობაში ცენტრალური ბანკების საქმიანობა გამოიხატება შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

- **ცენტრალური ბანკი, როგორც საგადამხდელო სისტემის მომსახურების მიმწოდებელი.** ცენტრალური ბანკების ეს ფუნქცია ითვალისწინებს მისი, როგორც საგადამხდელო სისტემის მიმწოდებლის (სისტემის ოპერატორის), მიერ შესაბამისი სერვისის მიწოდებას მონაწილეებისათვის, რაც გულისხმობს: საკანონმდებლო ნორმატიული დოკუმენტაციის, პროგრამულ-ტექნიკური, საკომუნიკაციო და სხვა საშუალებების მიწოდებას. როგორც წესი, ცენტრალურ ბანკს აქვს მფლობელობაში ერთი საგადამხდელო სისტემა მაინც, რომლის მომსახურებით სარგებლობენ კომერციული ბანკები და ანგარიშსწორების სხვა მონაწილენი. საქართველოს ეროვნული ბანკის შემთხვევაში ასეთ სისტემას წარმოადგენს „რეალურ დროში ბანკთაშორისი ანგარიშსწორების სისტემა“ (RTGS);
- **ცენტრალური ბანკი, როგორც სახელმწიფო ინტერესების დამცველი.** მოცემული ფუნქციის შესრულებისას ცენტრალური ბანკი ასრულებს საგადამხდელო სისტემის „მარეგულირებლის“ ფუნქციას, ახორციელებს სისტემის მონაწილეთა ზედამხედველობას, უზრუნველყოფს საგადამხდელო სისტემების დაგეგმარებასა და მართვას და პრეტენზიების შემთხვევაში ასრულებს არბიტრის ფუნქციას;
- **ცენტრალური ბანკი, როგორც ყოველდღიური ანგარიშსწორების გარანტი.** ცენტრალური ბანკის ეს ფუნქცია, კომერციული ბანკების საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებების დაზღვევის მიზნით, საგადამხდელო სისტემების სფეროში სახელმწიფო სახსრების ეფექტიანად გამოყენების პრაქტიკას წარმოადგენს.

გარდა ამისა, ბუნებრივია, ცენტრალური ბანკი თვითონაა საგადამხდელო სისტემების მომხმარებელი, მან თავისი საჭიროებებისათვის უნდა განახორციელოს სახსრების გადარიცხვის საკუთარი ოპერაციები (ანგარიშსწორება სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით, უცხოური ვალუტით და სხვა ოპერაციები),

ასევე უნდა შეასრულოს საანგარიშსწორებო ოპერაციები თავისი კლიენტების (სამინისტროების, უწყებების, ბანკებისა და სხვა ორგანიზაციების) სახელით. ასევე, ცენტრალური ბანკი, როგორც სამეურნეო სუბიექტი, ვალდებულია აწარმოოს სხვა მიმდინარე ოპერაციები – განახორციელოს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული საანგარიშსწორებო საქმიანობა, გასცეს ხელფასი და სხვ., რისთვისაც ასევე აუცილებელია საგადამხდელო სისტემების გამოყენება.

მიუხედავად იმისა, რომ საგადამხდელო სისტემებში ცენტრალური ბანკების მონაწილეობის ხარისხთან დაკავშირებით სხვადასხვაგვარი მიდგომა არსებობს, საბოლოო მიზანი მაინც ერთია – სისტემებისადმი წვდომის უზრუნველყოფა, რომელიც შესაძლებლობის ფარგლებში აკმაყოფილებს მომხმარებლის ყველა მოთხოვნას, მუშაობს მინიმალური რისკით და ყველა მონაწილე მხარისათვის მისაღებ დანახარჯებს მოითხოვს.

ზემოაღნიშნული ფუნქციების შესრულება ამა თუ იმ ხარისხით ყველა ქვეყნის ცენტრალური ბანკისათვისაა დამახასიათებელი. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების კვალობაზე ხდება ცენტრალური ბანკის ფუნქციების კორექტირება. მაგალითად, ელექტრონული ანგარიშსწორებების ფართო განვითარების კვალობაზე ცენტრალური ბანკის, როგორც საანგარიშსწორებო ცენტრის, როლი სულ უფრო მცირდება, თუმცა, იზრდება მისი, როგორც საბანკო სისტემის ზედამხედველის მნიშვნელობა, რომლის ბოლო წლების ტენდენციაა შემოსავლების ლეგალიზებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები.

2.4. ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო რეგულირების ინსტრუმენტები

როგორც წინა პარაგრაფში აღინიშნა, ცენტრალური ბანკის უმნიშვნელოვანეს ფუნქციას ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელება წარმოადგენს, რომელიც წარიმართება ე. წ. მონეტარული, ანუ ფულად-საკრედიტო რეგულირების ინსტრუმენტების მეშვეობით. აღნიშნული ინსტრუმენტების დახასიათებამდე კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რომ ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზანია ფულადი ერთეულის მსყიდველობით უნარის შენარჩუნება, ფულადი გადახდებისა და ანგარიშსწორებების ეფექტიანი სისტემის არსებობა, რაც უზრუნველყოფს ეკონომიკურ ზრდას, ინფლაციისა და უმუშევრობის შემცირებას.

თუ მარტივად შევხედავთ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, მისი არსი ისაა, რომ ცენტრალური ბანკი სასურველი მიზნის მისაღწევად ახდენს ზემოქმედებას არსებულ ეკონომიკურ კონიუნქტურაზე მიმოქცევაში არსებული ფულადი მასის მოცულობის ცვლილების მეშვეობით.

სანამ გადავალთ უშუალოდ ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო ინსტრუმენტების დახასიათებაზე, მოვახდინოთ მათი გარკვეული კლასიფიკაცია.

როგორც წინა პარაგრაფიდან გვახსოვს, ცენტრალური ბანკის მიერ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელება ხდება როგორც პირდაპირი (ადმინისტრაციული), ისე ირიბი (ეკონომიკური) მეთოდებით:

- **პირდაპირი, ანუ ადმინისტრაციული ხასიათის მეთოდები** ფულად-საკრედიტო რეგულირებისას გულისხმობს ფულადი მიწოდების მოცულობის ზღვრული ლიმიტების დადგენას, საპროცენტო განაკვეთების ზედა და ქვედა ზღვრული მაჩვენებლების დადგენას, საქმიანობის სფეროების გამიჯვნას და სხვ. ამ მეთოდის გამოყენებისას ცენტრალური ბანკი უფრო სწრაფად აღწევს თავის მიზანს, განსაკუთრებით – ეკონომიკური კრიზისების პერიოდში. აღნიშნული მეთოდების გამოყენებას უნდა ჰქონდეს ანტიკრიზისული, პრევენციული და მოკლევადიანი ხასიათი, წინააღმდეგ შემთხვევაში მან შეიძლება გამოიწვიოს ნეგატიური შედეგები (მაგალითად, ფინანსური რესურსების ჩრდილოვან ეკონომიკაში ან საზღვარგარეთ გადაქაჩვა);
- **ირიბი, ანუ ეკონომიკური მეთოდები,** გულისხმობს საბაზრო მექანიზმების გამოყენებასა და სამეურნეო სუბიექტების მოტივირებას გარკვეული მოქმედებებისაკენ ფულად-საკრედიტო რეგულირებისას და მოიცავს მინიმალურ სარეზერვო მოთხოვნებს, ოპერაციებს ღია ბაზარზე და საპროცენტო (სააღრიცხვო, რეფინანსირების) განაკვეთების ცვლილებებს. აღნიშნული მეთოდის გამოყენების ეფექტი შედარებით ხანგრძლივია და მოსალოდნელი შედეგიც ნაკლებ პროგნოზირებადია, მაგრამ არ იწვევს ბაზრის დეფორმაციას. აღნიშნული მეთოდების გამოყენება მეტწილად ხდება განვითარებული ფულადი ბაზრების არსებობისას.

საჭირო ფულად-საკრედიტო ინსტრუმენტის ან მათი „ნაკრების“ ამორჩევა მრავალრიცხოვანი არჩევანიდან დამოკიდებულია იმ მიზნებზე, რომლებიც დასახული აქვს ცენტრალურ ბანკს მოცემული მომენტისათვის, ანუ რა არის მისთვის პრიორიტეტული უახლოეს მომავალში, საშუალო თუ გრძელვადიანი პერსპექტივისათვის. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ცენტრალური ბანკის პოლიტიკა უნდა ემთხვეოდეს მთავრობის ფისკალურ პოლიტიკას.

გარდამავალი და ჩაკეტილი ეკონომიკის ქვეყნების მთავრობები და ცენტრალური ბანკები ფულად-საკრედიტო სისტემაში ჩასარევად უფრო ეფექტიანად იყენებენ პირდაპირ მეთოდებს, რომელთა შორისაა: საკრედიტო-სადეპოზიტო ინსტიტუტების დეპოზიტებისა და კრედიტების საპროცენტო განაკვეთების ადმინისტრაციული რეგულირება, დაკრედიტების მოცულობრივი ლიმიტების დადგენა ცალკეული მსესხებლების ან დარგების მიხედვით და ა.შ. ფინანსური ბაზრების განვითარებასთან ერთად ხდება ირიბ, ანუ ეკონომიკურ მეთოდებზე გადასვლა, რომელთა შორის უმთავრესია ოპერაციები ღია ბაზარზე, მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები და სააღრიცხვო და რეფინანსირების საპროცენტო განაკვეთების ცვლილება.

ცენტრალური ბანკების მიერ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებისას გამოიყენება ინსტრუმენტების მთელი ნაკრები:

1) მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები;
2) ოპერაციები ღია ბაზარზე;
3) ოფიციალური სააღრიცხვო განაკვეთი;
4) რეფინანსირების განაკვეთი;
5) სავალუტო პოლიტიკის ინსტრუმენტები.

განვიხილოთ მოკლედ აღნიშნული ინსტრუმენტები:

1) მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების პოლიტიკა პირველად გამოყენებულ იქნა აშშ-ში **XX** საუკუნის 30-იან წლებში „დიდი დეპრესიის" დროს, ხოლო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იგი დაინერგა თითქმის ყველა განვითარებული ქვეყნის ცენტრალური ბანკების პრაქტიკაში. სავალდებულო მინიმალური რეზერვები ესაა კომერციული ბანკების მიერ ცენტრალურ ბანკში სპეციალურ ანგარიშზე განთავსებული სახსრები, ანუ კომერციული ბანკის ანაბარი ცენტრალურ ბანკში, რომელთა მოცულობა განისაზღვრება კანონმდებლობით, როგორც პროცენტული შესაბამისობა ბანკების ვალდებულებებთან. როგორც განმარტებიდან ვხედავთ, ცენტრალური ბანკები ადგენენ გარკვეულ კოეფიციენტს (მაგალითად – 5%), რომლის მიხედვით, თითოეული კომერციული ბანკი ვალდებულია თავისი ბალანსური ვალდებულებების შესაბამისი თანხა ხელუხლებელი ნაშთის სახით გააჩეროს ცენტრალურ ბანკში სპეციალურ საკორესპონდენტო ანგარიშზე. ბუნებრივია, ვალდებულებების ცვლილება იწვევს სავალდებულო რეზერვის მოცულობის ცვლილებასაც, რომლის კორექტირებაც ხდება კანონმდებლობით განსაზღვრული წესით და ვადებში. რეზერვის ნორმა არის სწორედ ის ინსტრუმენტი, რომლის გაზრდის ან შემცირების მეშვეობით ცენტრალური ბანკი გავლენას ახდენს საბანკო სისტემაში თავისუფალი ფულადი მასის მოცულობაზე.

თავდაპირველად ცენტრალური ბანკის მხრიდან მინიმალური რეზერვების პრაქტიკის დანერგვის მიზანი კომერციული ბანკებისათვის ლიკვიდური სახსრების (რეზერვების) შექმნა იყო, თუმცა, დღეისათვის მან მეორე დატვირთვაც შეიძინა და მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები უკვე ორი მიმართულებით გამოიყენება:

- ცენტრალური ბანკი აიძულებს კომერციულ ბანკებს, არ მიმართონ მოზიდული სახსრები სრულად კრედიტების გასაცემად და შექმნან ლიკვიდური სახსრების მინიმალური მარაგი, რათა დაკმაყოფილდეს მეანაბრეთა სურვილი თავიანთი სახსრების მოთხოვნის შემთხვევაში, ანუ იქმნება ლიკვიდური სახსრების გარკვეული მარაგი მომავალში შესაძლო გართულებების თავიდან ასაცილებლად;
- ცენტრალური ბანკი რეზერვის ნორმის ცვლილებით გავლენას ახდენს კომერციული ბანკების, ანუ საბანკო სისტემის თავისუფალი ფულადი სახსრების მოცულობაზე. ეკონომიკური აქტივობის დროს ბანკების საკრედიტო ექსპანსიის შესამცირებლად ცენტრალური ბანკის მიერ ხდება ნორმის ზრდა, რაც ბანკებს აიძულებს, მეტი რესურსი „გაყინონ" და, შესაბამისად, ნაკლები თავისუფალი რესურსი რჩებათ საკრედიტო საქმიანობის გასავითარებლად. კრიზისის დროს, პირიქით, ცენტრალური ბანკი ამცირებს რეზერვის ნორმას, რომლის შედეგადაც კომერციულ ბანკებს, ანუ საბანკო სისტემას, უბრუნდებათ რესურსების ნაწილი, საკრედიტო საქმიანობის გააქტიურების საშუალებას იძლევა.

როგორც ვხვდებით, სავალდებულო რეზერვების ნორმის ცვლილება გავლენას ახდენს კომერციული ბანკების რენტაბელობაზეც. მაგალითად, 5% ნორმის ფარგლებში ყოველ 100 ლარის დეპოზიტზე კომერციულ ბანკს აქვს 95 ლარის საკუთარი შეხედულებისამებრ გამოყენების უფლება, ნორმის 3%-ით გაზრდის შემთხვევაში კი, 8 ლარი უნდა ჰქონდეს სავალდებულო რეზერვებში და მხოლოდ 92 ლარის „ამუშავება" შეეძლება.

ეროვნული ბანკი

რეზერვის ნორმა, როგორც წესი, ერთნაირი არაა კომერციული ბანკის ყველა ვალდებულებისათვის. იგი დიფერენცირებული შეიძლება იყოს ვალუტების, ვადიანობის, საბანკო და არასაბანკო დეპოზიტების, რეზიდენტებისა და არარეზიდენტების მიხედვით და ა.შ. იმ ქვეყნებში, სადაც წარმოდგენილია საკრედიტო ინსტიტუტების მრავალფეროვნება, რეზერვების ნორმა შეიძლება განსხვავებული იყოს მათ მიხედვითაც. მაგალითად, გერმანიაში მსხვილი, რეგიონული და უცხოური ბანკებისათვის, შემნახველი სალაროსათვის და ა.შ. დიფერენცირებული, ანუ განსხვავებული ნორმები დგინდება.

მინიმალური რეზერვების გაანგარიშების პრაქტიკა განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით და იგი შეიძლება განხორციელდეს კვარტალში ერთხელ, ყოველთვიურად ან დეკადურად და ა.შ. ბალანსური ვალდებულებების მოცულობისა და სტრუქტურის ცვლილებებიდან გამომდინარე, ყოველი ახალი გაანგარიშების შემდეგ კომერციული ბანკები საჭიროების მიხედვით ამატებენ ცენტრალურ ბანკში განთავსებულ რეზერვებს ახალ რეზერვს, ან მისი ნაწილი უკან უბრუნდებათ.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ჩანს, თუ როგორ იცვლებოდა მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ნორმა საქართველოში, რაც ბუნებრივია, განპირობებული იყო როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ბაზრებზე განვითარებული მოვლენებით (ცხრ. №2.1.):

ცხრ. №2.1. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის დადგენილი მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების განაკვეთის დინამიკა

ამოქმედების თარიღი	ლარში	ვალუტაში
1992.07.29.	20	
1994.07.01.	20	10
1994.08.01.	20	15
1994.09.01.	20	20
1996.01.01.	18	18
1996.09.01.	15	15
1997.09.01.	12	12
1998.10.01.	16	16
2000.05.20.	15	15
2000.06.20.	14	14
2003.07.10.	13	13
2003.09.20.	9	13
2004.06.10.	4	13
2004.06.21.	0	11
2004.10.01.	4	13
2006.09.20.	6	13
2007.06.01.	13	13
2008.08.29.	10	10
2008.09.23.	5	5
2010.04.20.	10	5
2011.01.20.	10	10
2011.02.17.	10	15
2011.07.27.	10	15/5 [6]

6 ნარჩენი ვადიანობის მიხედვით უცხოური ვალუტით 365 დღიდან 730 დღემდე ვადიანობის ნასესხები სახსრებისათვის მინიმალური სარეზერვო ნორმა გახდა 5%.

საბოლოოდ, შეიძლება დავამატოთ, რომ საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულებით, მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები წარმოადგენს ფულად მასასა და საბანკო სისტემაზე ზემოქმედების საკმაოდ ძლიერ, მაგრამ ამავდროულად უხეშ მონეტარულ ინსტრუმენტს. ხშირად სავალდებულო რეზერვების ნორმის, ერთი შეხედვით, არცთუ მნიშვნელოვან ცვლილებას შეიძლება მოჰყვეს ბანკების ფულადი სახსრების სტრუქტურისა და, შესაბამისად, მათი საკრედიტო პოლიტიკის მნიშვნელოვანი კორექტირება. ეს განაპირობებს იმას, რომ სავალდებულო რეზერვების ნორმის ცვლილება, განსხვავებით სხვა ინსტრუმენტებისაგან, ხდება იშვიათად და იგი უფრო ქვეყნის ფულად-საკრედიტო სისტემაში ოპერატიული ჩარევის ღონისძიებაა. სწორედ ამიტომ, მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების განაკვეთი შეიძლება წლების განმავლობაში უცვლელი იყოს და, პირიქით, თვეში რამდენიმეჯერ შეიცვალოს, რაც კარგად ჩანს ზემოთ მოყვანილ მაგალითში.

2) ოპერაციები ღია ბაზარზე არის ცენტრალური ბანკის მიერ ბაზარზე ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა, რომელთა უმეტეს ნაწილს სახაზინო ვალდებულებები და სახელმწიფო კორპორაციების, ასევე კომერციული ბანკების ობლიგაციები და თამასუქები წარმოადგენენ. ოპერაციები ღია ბაზარზე დღევანდელი განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში წარმოადგენს ძირითად ფულად-საკრედიტო რეგულირების ინსტრუმენტს, როგორც კომერციული ბანკების საკრედიტო პოტენციალის რეალიზაციისა და ლიკვიდობის რეგულირების ყველაზე მოქნილ საშუალებას.

იმისათვის, რომ შეამციროს კომერციული ბანკების საკრედიტო პოტენციალი ეკონომიკური ბუმის დროს, ცენტრალური ბანკი ქმნის სათანადო პირობებს, რათა ბანკებს გაუჩნდეთ საკუთარი ფასიანი ქაღალდების პორტფელის ზრდის სურვილი. ეს, ბუნებრივია, იწვევს საკრედიტო ექსპანსიისათვის გამიზნული ბანკების ფულადი სახსრების შემცირებას. კრიზისის დროს, პირიქით, ცენტრალური ბანკების მიერ იქმნება პირობები, როცა კომერციული ბანკები იწყებენენ ადრე შეძენილი ფასიანი ქაღალდების ცენტრალურ ბანკზე მიყიდვას ფულის მოსაზიდად და საკრედიტო საქმიანობის გასააქტიურებლად. ცენტრალური ბანკების მიერ მიზანმიმართული ოპერაციებით ღია ბაზარზე იზრდება ან იკლებს როგორც ცალკეული კომერციული ბანკების, ისე მთლიანი საბანკო სისტემის რესურსები, რაც იწვევს კრედიტის ფასის ცვლილებას, შესაბამისად, შემცირებას ან ზრდას.

ბუნებრივია, ისმის კითხვა, რა იგულისხმება იმ პირობებში, რომელთა ცენტრალური ბანკის მხრიდან შექმნითაც კომერციულ ბანკებს უჩნდებათ ფასიანი ქაღალდების ყიდვის ან გაყიდვის სურვილი? ესაა ფასი, რომელსაც ადგენს ცენტრალური ბანკი ოფიციალურად, როგორც ფასიანი ქაღალდების მყიდველის, ისე გამყიდველის როლში. აქ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ცენტრალური ბანკებიც უშვებენ საკუთარ ფასიან ქაღალდებს სწორედ ღია ბაზარზე ოპერაციებისათვის. ღია ბაზარზე ოპერაციებისათვის, უმეტესწილად, გამოიყენება მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდები. მათი კლასიფიკაცია შეიძლება მოვახდინოთ ორ ჯგუფად.

- **პირდაპირი ოპერაციები ღია ბაზარზე** ითვალისწინებს ფასიანი ქაღალდების „საბოლოო“ ყიდვა-გაყიდვის შესახებ გარიგების ერთ დღეში დასრულებას, სრული ანგარიშსწორების ჩათვლით;

- **უკუოპერაციები ღია ბაზარზე** (რეპო ოპერაციები) ესაა გარიგება ცენტრალური ბანკის მხრიდან ფასიანი ქაღალდების ყიდვის (ან გაყიდვის) შესახებ საპირისპირო გაყიდვის (ან ყიდვის) პირობით გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ წინასწარ განსაზღვრულ ფასად. უკუოპერაციები შედარებით მოქნილი ინსტრუმენტებია, რაც განაპირობებს მათ პოპულარობას.

ცენტრალური ბანკების ოპერაციები ღია ბაზარზე კომერციული ბანკების განკარგულებაში არსებული თავისუფალი რესურსების მოცულობაზე პირდაპირ ზეგავლენას ახდენს: ასტიმულირებს ან ამცირებს მათ საკრედიტო ექსპანსიას ეკონომიკაში. ამის პარალელურად ხდება კომერციული ბანკების ლიკვიდობის რეგულირება, შესაბამისად, მისი გაზრდა ან შემცირება. თუკი ცენტრალური ბანკი ყიდულობს კომერციული ბანკისაგან ფასიან ქაღალდებს, იგი ურიცხავს მას საკორესპონდენტო ანგარიშზე შესაბამის თანხას, რითაც ბუნებრივია, კომერციულ ბანკს უჩნდება დამატებითი თავისუფალი ფულადი სახსრები, რომელთა გამოყენება შეიძლება მისი საკრედიტო პორტფელის გასაზრდელად. ეკონომიკური სუბიექტებისათვის გაცემული კრედიტები ექცევა ფულად მიმოქცევაში და ზრდის მის მასას. საპირისპირო შემთხვევაში, როცა ცენტრალური ბანკი ყიდის ფასიან ქაღალდებს კომერციულ ბანკზე, ეს უკანასკნელი თავისი საკორესპონდენტო ანგარიშიდან ანაზღაურებს შეძენილი ფასიანი ქაღალდების ღირებულებას, რითაც ხდება მის ხელთ არსებული ფულადი სახსრების, ანუ მისი საკრედიტო პოტენციალის შემცირება.

3) ოფიციალური სააღრიცხვო განაკვეთის გამოყენება ცენტრალური ბანკის მიერ ხდება კომერციულ ბანკებთან მოკლევადიანი სახელმწიფო ობლიგაციებით, კომერციული თამასუქებითა და სხვა ფასიანი ქაღალდებით ოპერაციების ჩატარებისას. ოფიციალური სააღრიცხვო განაკვეთი ესაა ის ფასი, რომლითაც ცენტრალური ბანკი მზადაა შეისყიდოს კომერციული ბანკებიდან აღნიშნული ფასიანი ქაღალდები. ოფიციალური სააღრიცხვო განაკვეთის ოდენობა წარმოადგენს კრედიტების საბაზრო ფასის დადგენის ორიენტირს, ვინაიდან იგი განსაზღვრავს ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო რეგულირების სხვა ინსტრუმენტის, რეფინანსირების განაკვეთის ოდენობასაც.

ოფიციალური სააღრიცხვო განაკვეთი არის ფულად-საკრედიტო რეგულირების ირიბი ინსტრუმენტი და მისი მეშვეობით ცენტრალური ბანკი საჭიროების მიხედვით ახდენს ქვეყანაში კრედიტის გაძვირების ან გაიაფების ტენდენციების სტიმულირებას. აღნიშნული ტენდენციები, თავის მხრივ, გავლენას ახდენენ მიმოქცევაში არსებულ ფულად მასაზე. საპროცენტო განაკვეთის ზრდა იწვევს კრედიტის გაძვირებას, რომელიც, თავის მხრივ, არის სტიმული, რომ მოხდეს საკასო ნაშთების კლება, ვალდებულებათა შემცირება, ბუნებრივია, იქმნება ფულის ბრუნვის ზრდის ახალი სტიმული.

4) რეფინანსირების განაკვეთი წარმოადგენს ცენტრალური ბანკების ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტს და იგი საბაზრო განაკვეთებისათვის უმნიშვნელოვანესი ორიენტირია. რეფინანსირების სესხი (რეფინანსირება) ესაა ცენტრალური ბანკის მიერ საკრედიტო ორგანიზაციებისათვის გადაცემული ფულადი სახსრები (ძირითადად – მოკლევადიანი). რეფინანსირების განაკვეთი წარმოადგენს ცენტრალური ბანკის მიერ წლიურ პროცენტებში გაცხადებულ ფასს, რა ფასადაც იგი მზადაა, გასცეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკლევადიანი (უმეტესწილად – ერთი ან რამდენიმედღიანი) სესხები საკრედიტო ორგანიზაციებისათვის ფინანსური სახსრების დროებითი უკმარისობის (ლიკვიდობის) პრობლემის აღმოსაფხვრელად. რეფინანსირების განაკვეთის ცვლილება საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში გავლენას ახდენს კომერციული ბანკების საპროცენტო განაკვეთების დონეზე. ქვემოთ (ნახ. №2.1.) მოცემულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული რეფინანსირების განაკვეთის დინამიკა თვეების მიხედვით 2013 წლის ბოლომდე.



ნახ. №2.1. საქართველოს ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთის დინამიკა

5) სავალუტო პოლიტიკა წარმოადგენს ქვეყნის ერთიანი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს, რომლის მიზანია ეროვნული ვალუტის სტაბილური კურსის შენარჩუნება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ფასებისა და ფულადი მიმოქცევის სტაბილურობა. სავალუტო პოლიტიკის ინსტრუმენტები მრავალფეროვანია, რომელთა შორის აღსანიშნავია:

- **სავალუტო ინტერვენცია** წარმოადგენს ცენტრალური ბანკის მიზანმიმართულ და პირდაპირ ზემოქმედებას ქვეყნის სავალუტო ბაზარსა და ეროვნული ვალუტის კურსზე, რომელიც ხორციელდება მის მიერ უცხოური ვალუტის დიდი მოცულობით ყიდვით ან გაყიდვით. ცენტრალური ბანკი სავალუტო აუქციონების დროს აბალანსებს მოთხოვნა-მიწოდებისას წარმოქმნილ დეფიციტს, რითაც ახდენს ეროვნული ვალუტის კურსის შენარჩუნებას ან „საჭირო“ მიმართულებით შეცვლას. ამით იცავს მას მკვეთრი რყევებისაგან;
- **სავალუტო შეზღუდვები** – ესაა სავალუტო აქტივებთან დაკავშირებული ოპერაციების შეზღუდვებისა და კონტროლის სისტემა. სავალუტო შეზღუდვები, როგორც წესი, დგინდება საგადამხდელო ბალანსის მკვეთრად უარყოფითი სალდოს არსებობის შემთხვევაში. სავალუტო შეზღუდვების მაგალითია ექსპორტიორების მიერ უცხოური ვალუტის ამონაგების სრულად ან ნაწილობრივ ცენტრალური ბანკისათვის მიყიდვის ვალდებულება, რაც დაფიქსირდა თანამედროვე საქართველოს საბანკო სისტემის ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე;
- **ოქრო-სავალუტო რეზერვები** წარმოადგენს უცხოური ვალუტისა და

ოქროს სახით არსებულ აქტივებს, რომლებიც ცენტრალური ბანკის მიერ გამოიყენება საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის დასაფინანსებლად და ინტერვენციისათვის სავალუტო ბაზრებზე. ოქრო-სავალუტო რეზერვებს ხშირად უწოდებენ ქვეყნის საერთაშორისო ან ოფიციალურ რეზერვებს;

- **სავალუტო კურსის რეჟიმი** წარმოადგენს ეროვნული ვალუტის უცხოურ ვალუტასთან გაცვლის პროპორციის ფორმირებას. არსებობს სავალუტო კურსების სხვადასხვა რეჟიმი, დაწყებული მისი ოქროსთან მკაცრად „მიბმიდან“ (ოქროს სტანდარტი), დამთავრებული თავისუფალი მცურავი კურსით, როცა ვალუტის კურსი დგინდება საბაზრო ძალების ზეგავლენით.

უმეტეს შემთხვევაში ცენტრალური ბანკის მხრიდან დასახული მიზნის მისაღწევად კონკრეტული ინსტრუმენტების ამორჩევა ფულადი მიწოდების პროცესზე ზემოქმედებისათვის რიგ პრობლემებთანაა დაკავშირებული. როგორც წინა პარაგრაფში აღინიშნა, სამიზნე ინდიკატორები (ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი, უმუშევრობის დონე, ინფლაციის ტემპი და საგადამხდელო ბალანსის თანაფარდობა) პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ყველა მათგანის ერთდროულად სასურველი მიმართულებით წარმართვა შეუძლებელია. მაგალითად, რეფინანსირების განაკვეთის შემცირება იწვევს კრედიტის გაიაფებას და ხელს უწყობს ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას, თუმცა, ამ პროცესების უყურადღებოდ დატოვებამ შეიძლება ინფლაციის ზრდა გამოიწვიოს. კონკრეტული ინსტრუმენტის ან ინსტრუმენტების ნაკრების ამორჩევა არცთუ ადვილი საქმეა და დამოკიდებულია კონკრეტული დროის მონაკვეთისათვის არსებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საბაზრო კონიუნქტურაზე. ამასთან, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ფულად-საკრედიტო, ანუ მონეტარული პოლიტიკის რეალიზაცია უნდა ხდებოდეს ქვეყნის ფისკალურ პოლიტიკასთან ერთად.

მნიშვნელოვანია, რომ ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო რეგულირების ინსტრუმენტები არ იქნეს განხილული იზოლირებულად, არამედ სხვა ინსტრუმენტებთან ურთიერთკავშირში, როგორც კომბინირებული მეთოდის შემადგენელი ნაწილი და კიდევ ერთი – ამ კომბინაციისას გასათვალისწინებელია მიზნის პერსპექტივა, ანუ ზოგიერთი ინსტრუმენტი ამუშავებულია მოკლევადიანი, ზოგიერთი – საშუალოვადიანი, ზოგიც – გრძელვადიანი მიზნის მისაღწევად.

ეკონომიკური კონიუნქტურის მდგომარეობიდან გამომდინარე, განასხვავებენ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ორ ძირითად ტიპს, რომელთა ამორჩევა ცენტრალურ ბანკს უწევს კონკრეტული მიზნის ან მიზნების მისაღწევად. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის თითოეული ტიპისათვის დამახასიათებელია ადმინისტრაციული და ეკონომიკური მეთოდებისა და შესაბამისი ინსტრუმენტების შეხამება და კომბინაცია. დავახასიათოთ ფულად-საკრედიტო პოლიკის ზემოაღნიშნული ორ ტიპი:

- **რესტრიქციონისტული, ანუ „ძვირი ფულის“, პოლიტიკა** ანტიინფლაციური ღონისძიებაა. ცენტრალური ბანკი ფულის მიწოდების შესამცირებლად იწყებს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გაყიდვას ღია ბაზარზე, ზრდის რეფინანსირების განაკვეთს და მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ნორმას. ამ ღონისძიებების საბოლოო მიზანია კომერცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ული ბანკების საკრედიტო ოპერაციების პირობებისა და ღირებულების შეზღუდვა და საპროცენტო განაკვეთების ზრდა, ანუ კრედიტის გაძვირება;

- **ექსპანსიონისტური, ანუ „იაფი ფულის", პოლიტიკა** ხორციელდება ეკონომიკური რეცესიის, უმუშევრობის ზრდის, ფასების შემცირების დროს. ცხადია, ცენტრალური ბანკის მიზანს წარმოადგენს ფულის მიწოდების ზრდა და სტიმულირება, რისთვისაც ცენტრალური ბანკი იწყებს ფასიანი ქაღალდების შესყიდვას ღია ბაზარზე, ამცირებს მინიმალური რეზერვებისა და რეფინანსირების განაკვეთებს. აღნიშნული ღონისძიებების შემდეგ საბანკო სისტემაში აკუმულირდება ჭარბი ფულადი სახსრები, რაც იწვევს კრედიტის გაიაფებას, მისი ხელმისაწვდომობის ზრდასა და დაკრედიტების პროცესის გააქტიურებას.

შემდეგ თავებში, როცა საუბარი შეეხება საქართველოს საბანკო სისტემას, აღნიშნული ინსტრუმენტები, მეთოდები და მიდგომები დახასიათებული იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის რეალური ფუნქციებიდან და ოპერაციებიდან გამომდინარე.

საკონტროლო კითხვები:

1. როგორ შეიძლება დავახასიათოთ ისტორიულად ცენტრალური ბანკების ჩამოყალიბების ორი გზა?
2. რა როლი შეასრულა თამასუქებმა საბანკო საქმის განვითარებასა და ცენტრალური ბანკების შექმნის ევოლუციურ გზაზე?
3. რა იყო თავდაპირველად ფულის ემისიის დეცენტრალიზაციის, ხოლო შემდეგ ცენტრალიზაციის მთავარი მოტივი?
4. რა ეტაპები განვლო „ინგლისის ბანკმა", სანამ დღევანდელი სახით არსებულ ცენტრალურ ბანკად ჩამოყალიბდებოდა?
5. რა ტენდენციებია დამახასიათებელი კომერციულ და საემისიო ბანკებს შორის ფუნქციების თანდათანობითი გამიჯვნის პროცესისათვის?
6. ჩამოყალიბების რა თავისებურებებით ხასიათდება ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, ევროკავშირისა და აშშ-ის ცენტრალური ბანკები?
7. „ფედერალური სარეზერვო სისტემის" დამოუკიდებლობის რომელი ელემენტების დასახელება შეიძლება?

8. რომელია ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის ხარისხის განმსაზღვრელი ფაქტორები და როგორ შეიძლება დავახასიათოთ ისინი?

9. საკუთრებითი კუთვნილების მიხედვით, რამდენი ტიპის ცენტრალური ბანკი არსებობს?

10. რა შეიძლება ითქვას ეკონომიკურ ლიტერატურაში ცნობილი „მაგიური ოთკუთხედის“ შესახებ ცენტრალურ ბანკთან მიმართებაში?

11. რა არის ცენტრალური ბანკის ფუნქციები?

12. რას გულისხმობს ცენტრალური ბანკის მხრიდან საბანკო სისტემის ზედამხედველობისა და რეგულირების ეფექტიანი სისტემა?

13. რით გამოიხატება ცენტრალური ბანკის მიერ ბანკთა ბანკის ფუნქციის არსი?

14. რა მიმართულებებით გამოიხატება ცენტრალური ბანკების საქმიანობა საგადამხდელო სისტემების მუშაობაში?

15. რა განსხვავებაა ფულად-საკრედიტო რეგულირების პირდაპირ, ანუ ადმინისტრაციულ და ირიბ, ანუ ეკონომიკურ მეთოდებს შორის?

16. რა არის ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზანი?

17. რა არის მინიმალური სავალდებულო რეზერვების არსი და რას აღწევს ცენტრალური ბანკი მისი მეშვეობით ორი პარალელური მიმართულებით?

18. რას წარმოადგენს ღია ბაზარზე ოპერაციების არსი და რის საშუალებას აძლევს ის ცენტრალურ ბანკსა და კომერციულ ბანკებს?

19. რა არის ოფიციალური სააღრიცხვო განაკვეთის არსი და რა დანიშნულებით იყენებს მას ცენტრალური ბანკი?

20. რას წარმოადგენს რეფინანსირების განაკვეთი?

21. რა შედის ცენტრალური ბანკის სავალუტო პოლიტიკის ინსტრუმენტებში?

22. რას წარმოადგენს ცენტრალური ბანკის რესტრიქციონისტული, ანუ „ძვირი ფულის“ პოლიტიკის არსი?

23. რას ნიშნავს ცენტრალური ბანკის ექსპანსიონისტური, ანუ „იაფი ფულის“ პოლიტიკა?

თავი 3

კომერციული ბანკების საქმიანობა და ოპერაციები

შინაარსი:

3.1. კომერციული ბანკის საქმიანობის არსი და თავისებურებები;
3.2. საბანკო საქმიანობის პრინციპები;
3.3. კომერციული ბანკის ფუნქციები და ოპერაციები;
3.4. თანამედროვე საბანკო საქმიანობის განვითარების ტენდენციები.

ძირითადი ელემენტები:

1. კომერციული ბანკის საქმიანობის არსი;
2. კომერციული ბანკის საქმიანობის თავისებურებები;
3. საბანკო საქმიანობის პრინციპები;
4. კომერციული ბანკის ფუნქციები;
5. კომერციული ბანკის ოპერაციები;
6. საბანკო საქმიანობის განვითარების თანამედროვე ტენდენციები.

გამოყენებული სქემები, ნახატები და ცხრილები:

ცხრ. № 3.1. საქართველოს საბანკო სისტემის კრებსითი ბალანსი 31.12.2013 (მლრდ ლარი).

3.1. კომერციული ბანკის საქმიანობის არსი და თავისებურებები

პოსტსოციალისტური ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ვერ განხორციელდებოდა საბანკო სისტემის ცენტრალიზებული მართვიდან საბაზროზე გადაყვანის გარეშე. სხვა გზა არც არსებობდა, ვინაიდან კომერციულ საწყისებზე აღმოცენებულ საწარმოო, სავაჭრო თუ მომსახურების ეკონომიკურ სუბიექტებს ესაჭიროებოდათ იმავე პრინციპებზე მომუშავე საკრედიტო დაწესებულებები, ანუ მათ პარტნიორებად გამოადგებოდათ მხოლოდ დამოუკიდებელი კომერციული ბანკები, რომელთა საქმიანობა დაფუძნებული იქნებოდა ორ მთავარ პოსტულატზე – რისკსა და მოგებაზე.

თუ რა არის კომერციული ბანკი, გარკვეულწილად პასუხი გაეცა წიგნის პირველ თავში, სადაც საბანკო საქმიანობა დახასიათებულ იქნა ისტორიული განვითარებიდან გამომდინარე, თუმცა, ცალსახად თქმა, რა არის თანამედროვე ბანკი, არც ისე მარტივი საქმეა. რიგითი მოქალაქეებისათვის ბანკი ესაა დაწესებულება, სადაც ინახავენ ფულს და გასცემენ კრედიტებს. ეს განმარტება, რა თქმა უნდა, საფუძველს მოკლებული არაა, მაგრამ ვერ იძლევა ბანკის სრულ დახასიათებას.

თანამედროვე კომერციული ბანკის საქმიანობა იმდენად რთულია, რომ რიგითი მოქალაქისათვის შეუძლებელია მისი სრულად დახასიათება. თანამედროვე საბანკო სისტემა ესაა მრავალფეროვანი მომსახურების ფართო სპექტრი, დაწყებული ტრადიციული საშემნახველო-სასესხო და საანგარიშსწორებო-საკასო ოპერაციებიდან, დამთავრებული თანამედროვე ფულად-საკრედიტო და ფინანსური ინსტრუმენტებით თუ ტექნოლოგიური მიღწევებით. თანამედროვე საზოგადებაში კომერციული ბანკები დაკავებულნი არიან მეტად მრავალფეროვანი ოპერაციებით. ისინი არა მარტო ორგანიზებას უწევენ ფულად მიმოქცევას, არამედ მათი მეშვეობით ხდება ეკონომიკისა და მისი სუბიექტების დაკრედიტება, ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა, ნდობითი ოპერაციები, საკონსულტაციო მომსახურება, სადაზღვევო მომსახურება და ა.შ.

ფართო გადმოსახედიდან საბანკო სისტემის პრაქტიკული როლი განისაზღვრება იმით, რომ იგი წარმართავს ქვეყნის გადახდებისა და ანგარიშსწორებათა სისტემას და (სხვა ფინანსურ შუამავლებთან ერთად) ახდენს მოსახლეობის დანაზოგების, როგორც დროებით თავისუფალი კაპიტალის, გადანაწილებას სხვა ეკონომიკურ სუბიექტებზე. საბანკო სისტემა თამაშობს წამყვან როლს ქვეყნის ეკონომიკის სტაბილურ და ეფექტიან განვითარებაში.

„კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, „კომერციული ბანკი ესაა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული იურიდიული პირი, რომელიც იღებს დეპოზიტებს და მათი გამოყენებით თავისი სახელით ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საბანკო საქმიანობას“. ამავე კანონის მიხედვით, მნიშვნელოვანია რამდენიმე მომენტი, რომელიც ნათელს ჰფენს ბანკის განმარტების შინაარსს, მაგალითად:

- არავის არა აქვს უფლება, მოიზიდოს დეპოზიტები და მათი გამოყენებით თავისი სახელით გასცეს კრედიტები ეროვნული ბანკის მიერ გაცემული ლიცენზიის გარეშე (მუხლი 2, პუნქტი 2);

ეროვნული ბიბლიოთეკა

- არავის არა აქვს უფლება გამოიყენოს ტერმინი „ბანკი“ ან სხვა სიტყვათწყობა ამ ტერმინის გამოყენებით ამ კანონის შესაბამისად გაცემული საბანკო ლიცენზიის გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი გამოყენება დაწესებულია ან აღიარებულია კანონით ან საერთაშორისო შეთანხმებით, ან როცა კონტექსტიდან, რომელშიც გამოყენებულია ტერმინი „ბანკი“ ჩანს, რომ იგი არ ეწარმოებს ამ კანონით და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონით განსაზღვრულ საბანკო საქმიანობას (მუხლი 2, პუნქტი 3).

ერთი შეხედვით, კომერციული ბანკების მიერ განხორციელებული ოპერაციების უმრავლესობის შესრულება საფინანსო ბაზრის სხვა მონაწილეებსაც შეუძლიათ, მაგრამ, როგორც წესი, მათ შორის – საქართველოშიც, ბანკის განსაკუთრებული უფლებაა იურიდიული და ფიზიკური პირების ანაბრების მოზიდვა და მათი განთავსება კრედიტების სახით საკუთარი სახელით და საკუთარი რისკის ფასად.

კომერციული ბანკის საქმიანობის არსის უკეთ გასაგებად მიზანშეწონილია შევხედოთ მას სხვადასხვა კუთხიდან, ანუ გავაანალიზოთ მისი საქმიანობის თავისებურებები, რომელთა შორის აღსანიშნავია:

1. ბანკი, როგორც ორგანიზაცია. რა თქმა უნდა, ბანკი არის ორგანიზაცია (დაწესებულება) თავისი სამართლებრივი სტატუსით, ორგანიზაციული სტრუქტურით, თანამშრომლებით, იერარქიით, ფუნქციებისა და უფლება-მოვალეობების განაწილებით და ა.შ. ამიტომაც ხშირად ბანკი მოიხსენიება, როგორც „საბანკო ორგანიზაცია“, „საბანკო დაწესებულება“.

2. ბანკი, როგორც კომერციული საწარმო. ბანკის საქმიანობის მთავარი მიზანი მოგების მიღებაა. ამით იგი ანგარიშვალდებულია აქციონერების წინაშე, რომლებიც დაინტერესებულნი არიან დივიდენდების მიღებით. ამასთან, როგორც ეკონომიკური ცხოვრების სრულფასოვანი სუბიექტი, ბანკი ანგარიშვალდებულია სახელმწიფოს წინაშეც (ეროვნული ბანკი, საგადასახადო სამსახური და ა.შ.). ბანკი დამოუკიდებელი სამეურნეო სუბიექტია, იურიდიული პირის ყველა უფლებითა და მოვალეობით.

საქართველოში კომერციული ბანკის სამართლებრივი სტატუსი არის სააქციო საზოგადოება, ამიტომ მისი საქმიანობა, გარდა „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონისა, რეგულირდება „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით. კომერციული ბანკის, როგორც მოგების მიღებაზე ორიენტირებული კომპანიის, ამოცანები არაფრით განსხვავდება ეკონომიკის სხვა სუბიექტების ამოცანებისაგან: იგი აკმაყოფილებს საზოგადოებრივ მოთხოვნებს თავისი პროდუქტებითა და მომსახურებით და მიღებული შემოსავლებით უზრუნველყოფს თავისი აქციონერებისა და თანამშრომლების სოციალური და ეკონომიკური ინტერესების დაცვას. ნიშანდობლივია, რომ თავისი საქმიანობის განსახორციელებლად ბანკს სჭირდება სპეციალური ნებართვა, რომელიც საბანკო პრაქტიკაში ლიცენზიად იწოდება.

საკუთარი მიზნების მისაღწევად ბანკი „ყიდის“ თავის პროდუქტსა და მომსახურებას, მისი ოპერაციები ფასიანია. საბანკო მომსახურების მიღების სანაცვლოდ ბანკის კლიენტები იხდიან შესაბამის საფასურს პროცენტების

ეროვნული ბიბლიოთეკა

(აღებულ კრედიტებზე) და საკომისიოების სახით (საანგარიშსწორებო, საკასო და საშუამავლო ოპერაციებზე). რა თქმა უნდა, ბანკი მოღვაწეობს გაცვლის და არა სამრეწველო სფეროში, რაც ბევრ მეცნიერს აძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ბანკი სავაჭრო დაწესებულებაა, ვინაიდან ყიდულობს და ყიდის ფულად რესურსებს.

3. ბანკი, როგორც ფინანსური სისტემის ღერძი. საბანკო სისტემა, ზოგადად, წარმოადგენს ქვეყნის ფინანსური სისტემის ხერხემალს, რომელშიც კონცენტრირდება საკრედიტო და საფინანსო ოპერაციების ძირითადი ნაწილი. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბანკებს უკავიათ ცენტრალური ადგილი ქვეყნის საგადამხდელო სისტემაში.

4. ბანკი, როგორც შუამავალი. ბანკი არის ის შუამავალი რგოლი, რომელიც ახდენს ეკონომიკის სუბიექტების დროებით თავისუფალი რესურსების (ფულადი სახსრები) მოზიდვას და მათ მიწოდებას ეკონომიკის იმ სუბიექტებისათვის, რომლებიც ამ რესურსების დროებით დეფიციტს განიცდიან. ეკონომიკის აღნიშნული სუბიექტების, კრედიტორებისა და მსესხებლების შეხვედრა და შეთანხმება ბაზარზე მეტად რთული საქმეა ბევრი მიზეზის გამო. დროებით თავისუფალი სახსრების თავმოყრით ბანკს შესაძლებლობა ეძლევა, დააკმაყოფილოს ნებისმიერი ტიპის მსესხებლების ნებისმიერი მოთხოვნა რესურსების მიღებაზე. გარდა იმისა, რომ ბანკი უზრუნველყოფს ფულის სესხად აღების რეალური მსურველების პოვნას, იგი ახდენს ამ რესურსების დროულად დაბრუნების შესაძლებლობების შესწავლას, ანუ ბანკი რესურსების დაუბრუნებლობის რისკს საკუთარ თავზე იღებს.

5. ბანკი, როგორც საკრედიტო დაწესებულება. მიუხედავად იმისა, რომ ბანკები მეტად მრავალფეროვანი მომსახურებით არიან წარმოდგენილი, მათი მთავარი საქმიანობა მაინც კრედიტების გაცემაა. როგორც წესი, ბანკების აქტივების დაახლოებით ორი მესამედი გაცემულ კრედიტებზე, ხოლო შემოსავლების უდიდესი ნაწილი კრედიტებიდან მიღებულ შემოსავლებზე მოდის.

6. ბანკი, როგორც საბირჟო ოპერაციების მონაწილე. ბანკები ბირჟაზე საქმიანობით **XX** საუკუნის 20-იანი წლებიდან დაკავდნენ, რაც განპირობებული იყო ახალი, პერსპექტიული ბაზრის ათვისებისა და დამატებითი შემოსავლების მიღების სურვილით. თანამედროვე ბანკებს შესაძლებლობა აქვთ, დამოუკიდებლად გაუწიონ ორგანიზება საბირჟო საქმიანობას და ჩაატარონ ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული ოპერაციები. თუმცა, არც თავის მასშტაბებით და არც მნიშვნელობით ბანკები არ არიან საბირჟო ორგანიზაციები, ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა მათი საქმიანობის მხოლოდ ნაწილია.

როგორც ვხედავთ, კომერციული ბანკის საქმიანობის არსისა და თავისებურებების თუნდაც მოკლე დახასიათება წარმოაჩენს მას, როგორც მეტად რთულ მექანიზმს, რომლის გარკვევასაც ეძღვნება წინამდებარე სახელმძღვანელო. უპირველეს ყოვლისა, საბანკო საქმიანობის არსის გასარკვევად აუცილებელია კომერციული ბანკის პრინციპების, ფუნქციებისა და ოპერაციების დახასიათება, ასევე თანამედროვე საბანკო საქმიანობის განვითარების ტენდენციების გაანალიზება.

3.2. საბანკო საქმიანობის პრინციპები

ბანკის არსის უკეთ გასაგებად ასევე მეტად მნიშვნელოვანია მისი საქმიანობის პრინციპების გაანალიზება. საბანკო საქმიანობის პრინციპები – ესაა ის ზოგადი წესები, რომლებითაც ხელმძღვანელობს კომერციული ბანკი თავისი საქმიანობისას. საბანკო საქმიანობის პრინციპების სხვადასხვა ვარიანტი არსებობს, თუმცა, მათი უმრავლესობა ერთმანეთის იდენტურია. განვიხილოთ და მოკლედ დავახასიათოთ **ძირითადი საბანკო პრინციპები:**

1. **მოზიდული რესურსების პრიორიტეტულობის პრინციპი.** ის სააქციო კაპიტალი, რომელიც აქვს ბანკს, არასდროსაა საკმარისი საკრედიტო საქმიანობის იმ მოცულობით უზრუნველსაყოფად, რათა შესრულებულ იქნეს მის წინაშე მდგარი ამოცანები. თუ არ ჩავთვლით ცალკეულ გამონაკლისებს, კომერციული ბანკის რესურსებში საკუთარი სახსრების წილი 20%-ს არ აღემატება, რაც იმას ნიშნავს, რომ იმ ფულადი სახსრების უდიდესი ნაწილი, რომელსაც ბანკი კრედიტების სახით გასცემს, მოზიდული რესურსებია. თავის მხრივ, კომერციული ბანკების მოზიდული რესურსების უდიდესი ნაწილი კი არასაბანკო დეპოზიტები, ანუ ფიზიკური და იურდიული პირების მიმდინარე და ვადიანი სახსრებია. ის, რომ ბანკები გაასესხებენ საზოგადოების კუთვნილ და მათთვის დროებით სარგებლობაში გადაცემულ რესურსებს, არის კომერციული ბანკების კომერციული საქმიანობის ფუნდამენტი. თუკი ბანკი უმეტესწილად მოიზიდავს მოკლევადიან რესურსებს და გაასესხებს მათ უპირატესად ხანგრძლივი ვადით, მისი უნარი, დროულად გაისტუმროს თავისი ვალდებულებები (ანუ მისი ლიკვიდობა), შეიძლება საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს. იმუშაოს უმეტესად საზოგადოების ფულადი სახსრებით, ამასთან, უზრუნველყოს ლიკვიდობის აუცილებელი დონის შენარჩუნება, ბანკს შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქვს ეკონომიკური პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხით.

2. **ეკონომიკური დამოუკიდელობისა და რეგულაციის ობიექტად ყოფნის პრინციპი.** ბანკის საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპია მისი სრული ეკონომიკური დამოუკიდებლობა, რაც გულისხმობს მის ეკონომიკურ პასუხისმგებლობასაც თავისი საქმიანობის შედეგებისათვის. ეკონომიკური დამოუკიდებლობა გულისხმობს ბანკის თავისუფლებას, განკარგოს თავის ხელთ არსებული საკუთარი და მოზიდული სახსრები, ასევე თავისი შეხედულებისამებრ აირჩიოს კლიენტები და გაანაწილოს წმინდა მოგება. მოქმედი კანონმდებლობა კომერციული ბანკებისათვის უზრუნველყოფს საკუთარი სახსრებისა და შემოსავლების განკარგვის თავისუფლებას. სრულ დამოუკიდებლობასთან ერთად, გამომდინარე საზოგადოების წინაშე უდიდესი პასუხისმგებლობიდან, კომერციული ბანკები სახელმწიფოს მხრიდან (ცენტრალური ბანკის სახით) რეგულაციის ობიექტები არიან. აღსანიშნავია, რომ რეგულაცია ხორციელდება არა ადმინისტრაციული მეთოდებით, არამედ ირიბი, ეკონომიკური ბერკეტებით, რაც გულისხმობს ცენტრალური ბანკის მიერ „თამაშის წესების“ დაწესებას, სავალდებულო ეკონომიკური ნორმატივების დადგენას. ეს კი ქმნის გარკვეულ „ჩარჩოებს“, რომელთა შიგნით უნდა განახორციელონ თავიანთი საქმიანობა კომერციულმა ბანკებმა. ეს ჩარჩოები გარკვეული „რისკის ზღვრებია“, რომელთა გარეთ გასვლა რისკების ზრდად ითვლება და საფრთხეს უქმნის ბანკს, ანუ მის მეანაბრეებს.

3. ფასიანობისა და რაციონალური საქმიანობის პრინციპი. ბანკისათვის შემოსავლები აუცილებელია, რათა გაისტუმროს ყველა მიმდინარე ხარჯი, რომლებიც დაკავშირებულია როგორც რესურსების მოზიდვასთან, ისე ბანკის, როგორც კომპანიის ფუნქციონირებასთან. გარდა ამისა, ბანკის შემოსავლები მის ხარჯებზე არა უბრალოდ მეტი, არამედ მნიშვნელოვნად მეტი უნდა იყოს, რათა დაკმაყოფილდეს აქციონერების ინტერესები. ამდენად, ბანკი, როგორც მოგებაზე ორიენტირებული კომერციული ინსტიტუტი, მუშაობს ფასიანობის საფუძველზე, ანუ მის მიერ შეთავაზებული პროდუქტების მიღება მომხმარებელს მხოლოდ გარკვეული საფასურის გადახდის შემდეგ შეუძლია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამომდინარე ისევ საკუთარი ინტერესებიდან, ბანკები კრედიტებს გასცემენ რაციონალური არჩევანის საფუძველზე, ანუ ცდილობენ, შეისწავლონ პოტენციური მსესხებლები და მათ შორის ამოარჩიონ ისეთები, რომ მაქსიმალურად დიდი იყოს კრედიტის დროულად და სრულად დაბრუნების ალბათობა.

4. მომხმარებლებთან საბაზრო ურთიერთობების პრინციპი. სოციალისტური საბანკო სისტემა, რომელიც წარმოადგენდა ცენტრალიზებულ სახელმწიფო ინსტიტუტს, იყო ამ სფეროს სრული მონოპოლისტი და საერთოდ არ ითვალისწინებდა კლიენტების ინტერესებს. საბანკო საქმიანობის მიმართულებები მონოპოლიზებული იყო რამდენიმე სახელმწიფო ბანკის მიერ და სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაცია პირდაპირ „მიმაგრებული" იყო კონკრეტულ მისამართზე განლაგებულ საბანკო დაწესებულებაზე. ამ ორგანიზაციებს ბანკის შეცვლის ან ერთდროულად რამდენიმე ბანკის მომსახურებით სარგებლობის უფლებაც არ ჰქონდათ. ფიზიკური პირების საბანკო მომსახურებაც არ იყო განსხვავებული. ეკონომიკის და, მათ შორის, საბანკო სისტემის საბაზრო პრინციპებზე გადასვლამ განაპირობა კლიენტების მოთხოვნების გათვალისწინების წინა პლანზე წამოწევა. საბაზრო ეკონომიკამ შეცვალა საბანკო მომსახურების მიწოდების პრინციპი – უკვე მომხმარებელი ირჩევს ბანკს, რომელიც, მისი აზრით, სხვებზე უკეთესად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. შედეგად, პროცესების წარმართვა და ტენდენციების დამკვიდრება ხდება ჯანსაღი კონკურენციით. საბანკო მომსახურების მომხმარებლები ხვდებიან, რომ ბანკის შემოსავლების და წარმატების წყარო თავად არიან, ხოლო ბანკი, რომელიც ვერ აცნობიერებს ამას, განწირულია წარუმატებლობისათვის. ამასთან, ამ ურთიერთობის ორივე მხარე აცნობიერებს, რომ ბანკი არაა საქველმოქმედო ორგანიზაცია, იგი ორიენტირებულია მოგებაზე და მისი რესურსები და გაწეული მომსახურება ფასიანია. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საბანკო მომსახურების მიღებით ორივე მხარე უნდა იყოს დაინტერესებული.

როგორც ვთქვით, კომერციული ბანკის არსის სრულყოფილად გასაგებად, საქმიანობის თავისებურებებისა და პრინციპების გარდა, აუცილებელია მათი ფუნქციებისა და ოპერაციების დახასიათება, რაც შემოთავაზებულ იქნება შემდეგ პარაგრაფში.

3.3. კომერციული ბანკის ფუნქციები და ოპერაციები

უკვე განვიხილეთ კომერციული ბანკების საქმიანობის თავისებურებები და პრინციპები. ამჯერად გავაანალიზოთ კომერციული ბანკების ფუნქციები და ოპერაციები, რაც უფრო მეტ საშუალებას მოგვცემს, გავერკვეთ მათი საქმიანობის არსსა და განსაკუთრებულობაში. კომერციული ბანკების ძირითად ფუნქციებს მიეკუთვნება:

1. დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების აკუმულაციისა და მისი კაპიტალად გადაქცევის ფუნქცია. როგორც პირველი პარაგრაფიდან გვახსოვს, ეს ბანკების ერთ-ერთი უძველესი ფუნქციათაგანია. ამასთან, ამ ფუნქციას დღეისათვის არათუ არ დაუკარგავს მნიშვნელობა, პირიქით, უფრო აქტუალურია. ბანკები ახდენენ ეკონომიკაში დროებით თავისუფალი ფულადი სახსრებისა და დანაზოგების უმეტესი ნაწილის კონცენტრირებას. ანაბრებად ქცეული დანაზოგები ბანკებში გადაიქცევა იმ რესურსად, რომელიც გამოიყენება მათ მიერ სხვა ეკონომიკური სუბიექტების დასაკრედიტებლად.

2. საკრედიტო ურთიერთობების დროს შუამავლობის ფუნქცია. აღნიშნული ფუნქცია არის ლოგიკური გაგრძელება პირველი ფუნქციისა, გამომდინარე იქიდან, რომ ბანკი არის ის ადგილი, სადაც იკვეთება ინტერესები იმ ეკონომიკური სუბიექტებისა, რომელთაც აქვთ დროებით თავისუფალი ფულადი სახსრები და მათი საიმედოდ გასესხების სურვილი შემოსავლების მიღების მიზნით, იმ სუბიექტების ინტერესებთან, რომელთაც აქვთ ამ სახსრების სესხების სურვილი და დაბრუნების შესაძლებლობა. როგორც უკვე აღინიშნა, ბანკი ამ შემთხვევაში შეისწავლის სწორედ მეორე მხარის სურვილს, დროულად და სრულად დაბრუნების შესაძლებლობას და პირველი მხარის წინაშე საკუთარ თავზე იღებს ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებულ რისკებს.

კომერციული ბანკების აღნიშნული ფუნქცია განპირობებულია იმით, რომ საკრედიტო ურთიერთობების ორი მხარის: თავისუფალი ფულადი სახსრების მფლობელებისა და მსესხებლების პირდაპირი საკრედიტო ურთიერთობები შეუძლებელი ხდება იმით, რომ როგორც წესი, არ ემთხვევა მოთხოვნილი და მიწოდებული კაპიტალის მოცულობა და ვადები. აღნიშნულს ემატება მსესხებლის არაგადამხდელუნარიანობის რისკი, რომლის შესწავლასა და კომპენსირებას სპეციფიკური ცოდნა, გამოცდილება და რესურსები სჭირდება.

როგორც ვხედავთ, ბანკის, როგორც შუამავლის, ფუნქცია გულისხმობს ყველა ამ პრობლემის მოგვარებას, რისკების საკუთარ თავზე აღებასა და ეკონომიკური სუბიექტების დაკრედიტებას. გამომდინარე იქიდან, რომ იმყოფება ეკონომიკური ცხოვრების ცენტრში, ბანკს ადვილად შეუძლია შეცვალოს მოზიდული რესურსების მოცულობა, ვადები და მიმართულება, ანუ მოკლევადიანი რესურსები გასცეს შედარებით გრძელი ვადით და, პირიქით, წვრილი ანაბრები გააერთიანოს და გასცეს ერთ დიდ კრედიტად. ასევე – ერთი დარგიდან ან რეგიონიდან მოზიდული სახსრები მიმართოს სხვა დარგასა და რეგიონში და ეს ყველაფერი განახორციელოს ოპერატიულად და რისკების მინიმიზაციით.

3. ეკონომიკაში დანაზოგების სტიმულირების ფუნქცია. კომერციული ბანკები თავიანთ საქმიანობაში არა მარტო მოიზიდავენ (აკუმულირებენ) ეკონომიკაში არსებულ დანაზოგებს, არამედ ახდენენ ახალი დანაზოგების სტიმულირებასაც. დანაზოგების სტიმულირებისა და ფულადი სახსრების დაზოგვის ფორმირება ხდება კომერციული ბანკის მოქნილი სადეპოზიტო პოლიტიკის მეშვეობით. ამ პროცესში მთავარ როლს ასრულებს ორი ფაქტორი: მაღალი საპროცენტო განაკვეთები და უსაფრთხოების გარანტიები.

მეანაბრეთა განწყობაზე, ანაბრების უსაფრთხოების თვალსაზრისით, დიდ გავლენას ახდენს ოფიციალური დეპოზიტების დაზღვევის სისტემები, რომელთა მდიდარი გამოცდილება აქვს დასავლეთის ქვეყნებს. აღნიშნული სისტემები დანერგილია ასევე თითქმის ყველა პოსტსოციალისტურ ქვეყანაში, საქართველოს გარდა.

4. საანგარიშსწორებო-საგადამხდელო მექანიზმის უზრუნველყოფის ფუნქცია. ნებისმიერ ქვეყანაში საგადამხდელო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება მოითხოვს საანგარიშსწორებო ოპერაციებისა და მათი ტექნოლოგიების სრულყოფას. ბანკები გვევლინებიან იმ ცენტრებად, რომელთა გავლით ხორციელდება საანგარიშსწორებო-საგადამხდელო ბრუნვების უმრავლესობა. ანგარიშსწორების სისტემის წყალობით, ბანკები იღებენ ფულს თავიანთი კლიენტებისაგან მათი ანგარიშების შესავსებად, ასრულებენ მათ დავალებებს კონტრაგენტებისათვის გადახდების განხორციელების შესახებ და ახორციელებენ მათ ანგარიშებზე ბრუნვების (ჩარიცხვები და გადარიცხვები) აღრიცხვას. ბანკების მეშვეობით ხორციელდება როგორც ცალკეული ინდივიდის ან იურიდიული პირის, ასევე მთლიანად მთელი ეკონომიკის ანგარიშსწორებები და გადახდები. მათი მეშვეობით ხდება ფულადი სახსრებისა და კაპიტალის გადადინება ერთი სუბიექტიდან ან დარგიდან მეორეზე.

სანამ გადავალთ საბანკო ოპერაციების დახასიათებაზე, უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკურ ლიტერატურაში არ არსებობს მკაფიო და ცალსახა განსხვავება საბანკო პროდუქტს, საბანკო მომსახურებას, საბანკო ოპერაციას ან საბანკო საქმიანობის სახეობებს შორის. ეკონომისტთა ნაწილის შეხედულებით, საბანკო პროდუქტი – ესაა ბანკის საქმიანობის შედეგი, ბანკის პერსონალის კოლექტიური შემოქმედების ნაყოფი, თითოეულ პროდუქტს შეესაბამება მომსახურება, როგორც საბანკო პროდუქტის შექმნის პროცესის ერთობლიობა, ხოლო საბანკო ოპერაცია ესაა პროდუქტის შექმნასთან დაკავშირებული მოქმედების კონკრეტული სახეობა.

ასეთი განმარტებები მრავლადაა და მიუხედავად მათ შორის ცალკეული ნიშანთვისობრივი განსხვავებისა, ეკონომისტთა და ბანკირთა უმრავლესობისათვის საბანკო პროდუქტის, მომსახურების, ოპერაციის ან საქმიანობის სახეობების ერთიანი, საყოველთაოდ აღიარებული განმარტებები არ არსებობს და შეიძლება ითქვას, მათ ხშირად სინონიმებად თვლიან. მაგალითისათვის, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულია კომერციული ბანკებისათვის ნებადართული საბანკო საქმიანობის შემდეგი სახეობები:

ა) პროცენტიანი და უპროცენტო დეპოზიტების (მოთხოვნამდე, ვადიანი და სხვა სახის) და სხვა დაბრუნებადი გადახდის საშუალებების მოზიდვა;

ბ) სესხების გაცემა სამომხმარებლო, საიპოთეკო, არაუზრუნველყოფილი და სხვა კრედიტების ჩათვლით, ფაქტორინგული ოპერაციები რეგრესის უფლე-

ბით და ამ უფლების გარეშე, კომერციულ გარიგებათა დაფინანსება, გარანტიების, აკრედიტივებისა და აქცეპტების გამოცემა ფორფეტირების ჩათვლით;

გ) საკუთარი და კლიენტთა სახსრებით ფულადი საბუთების (ჩეკების, თამასუქებისა და სადეპოზიტო სერტიფიკატების ჩათვლით), ფასიანი ქაღალდების, ფიუჩერსებისა და ოფციონების სავალო ინსტრუმენტებით ან საპროცენტო განაკვეთებით, სავალუტო და საპროცენტო ინსტრუმენტების, სავალო საბუთების, უცხოური ვალუტის, ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების ყიდვა-გაყიდვა;

დ) ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაციებისა და საკასო-საინკასაციო მომსახურების განხორციელება;

ე) გადახდის საშუალებების გამოშვება და მათი მიმოქცევის ორგანიზება (საგადახდო ბარათების, ჩეკებისა და საბანკო ტრატების ჩათვლით);

ე[1]) უპროცენტო საბანკო მომსახურება;

ვ) საშუამავლო მომსახურება საფინანსო ბაზარზე;

ზ) კლიენტების დავალებით ნდობით (სატრასტო) ოპერაციების განხორციელება, სახსრების მოზიდვა და განთავსება;

თ) ფასეულობათა შენახვა და აღრიცხვა ფასიანი ქაღალდების ჩათვლით;

ი) საკრედიტო-საცნობარო მომსახურება;

ი[1]) „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ცენტრალური დეპოზიტარის საქმიანობა;

ი[2]) ქონების იჯარით გაცემა;

ი[3]) საგადახდო მომსახურების განხორციელება, საგადახდო სისტემის ოპერირება, ანგარიშსწორების აგენტის ფუნქციების შესრულება;

კ) ზემოთ ჩამოთვლილ თითოეულ საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურება [7].

საბანკო საქმიანობა რთული და მეტად მრავალმხრივი პროცესია. იგი რეალიზდება მხოლოდ საბანკო სისტემის ფარგლებში. ამასთან, თავისი არსით იგი შეიძლება იყოს ერთიანი ან განსხვავდებოდეს ამა თუ იმ ბანკის მიხედვით, მათი ფუნქციონირების სპეციფიკიდან გამომდინარე. საბანკო ოპერაციების კლასიფიკაცია შეიძლება მოხდეს სხვადასხვა ნიშნით, მაგრამ ყველაზე გავრცელებული და ფუნდამენტური არის მათი დაყოფა პასიურ, აქტიურ და საკომისიო ოპერაციებად. ზოგჯერ მათ სადეპოზიტო, საკრედიტო და საშუამავლო ოპერაციებადაც მოიხსენიებენ.

აღნიშნული ოპერაციების არსის უკეთ გაგებისათვის წარმოდგენილია საქართველოს საბანკო სისტემის ბალანსი 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ცხრ. №3.1.). მის მაგალითზე მოკლედ დავახასიათოთ პასიური, აქტიური და საკომისიო ოპერაციები:

7 საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“, მუხლი 20.

ცხრ. №3.1. საქართველოს საბანკო სისტემის კრებსითი ბალანსი 31.12.2013 (მლრდ ლარი)

	აქტივები	მოც.	წილი
1.1.	ნაღდი ფულადი სახსრები	0.9	5 %
1.2.	სახსრები საბანკო ანგ-ზე	3.0	18 %
1.3.	ფასიანი ქაღალდები	1.5	9 %
1.4.	წმინდა სესხები	9.9	57 %
1.5.	ინვესტიციები	0.4	2 %
1.6.	წმინდა ფიქს. აქტივები	1.0	6 %
1.7.	სხვა აქტივები	0.6	3 %
1.	**მთლიანი აქტივები**	17.3	100 %

	პასივები	მოც.	წილი
2.1.	**ვალდებულებები**	14.4	83 %
2.1.1.	არასაბანკო დეპოზიტები	9.7	56 %
2.1.2.	ბანკების სახსრები	0.6	3 %
2.1.3.	ნასესხები სახსრები	3.6	21 %
2.1.4.	სხვა ვალდებულებები	0.5	3 %
2.2.	**სააქციო კაპიტალი**	2.9	17 %
2.2.1.	საწესდებო კაპიტალი	1.0	6 %
2.2.2.	კაპიტალის რეზერვები	1.2	7 %
2.2.3.	გაუნაწილებელი მოგება	0.7	4 %
2.	**მთლიანი პასივები**	17.3	100 %

1. პასიური ოპერაციები – ესაა ოპერაციები, რომელთა შედეგად ხდება მიმოქცევაში არსებული სახსრების მოზიდვა, ანუ ბანკის პასივში, პასიურ ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრების ზრდა. პასიური ოპერაციები საბანკო საქმიანობის საფუძველია, სწორედ მათი მეშვეობით ხორციელდება კომერციული ბანკის მიერ რესურსების მოზიდვა ფულად ბაზარზე. კომერციული ბანკის პასიური ოპერაციების დაჯგუფება შეიძლება სხვადასხვა ნიშნით, თუმცა, ყველაზე ოპტიმალურია მათი სამი ძირითადი ფორმის გამოყოფა:

- **დეპოზიტური ოპერაციები** – როგორც წესი, კომერციული ბანკის პასივების მთავარი წყარო და მისი პასიური ოპერაციების ძირითადი სახეობაა. როგორც ცხრილიდან ვხედავთ, მათზე მოდის საქართველოს საბანკო სისტემის რესურსების ნახევარზე მეტი (პუნქტი 2.1.1);
- **სახსრების მოზიდვა სხვა საფინანსო ინსტიტუტებიდან** – გამოიყენება კომერციული ბანკების უმრავლესობის მიერ როგორც მოკლევადიანი რესურსების მისაღებად ლიკვიდობის მართვის მიზნით, ისე გრძელვადიანი დაკრედიტებისათვის აუცილებელი რესურსული უზრუნველყოფის სახით (პუნქტები: 2.1.2 და 2.1.3);
- **საკუთარი კაპიტალის ზრდა** – აქ შედის როგორც ფასიანი ქაღალდების პირველადი ემისია (საწესდებო კაპიტალის პირველადი ფორმირება), ისე შემდეგი ემისიები. თუმცა, უფრო მნიშვნელოვანია მისი შევსება გაუნაწილებელი მოგების ხარჯზე, რომელიც მიმართულია სხვადასხვა ფონდისა და რეზერვის ფორმირებისაკენ. როგორც წესი, ცენტრალური ბანკები კომერციული ბანკებისათვის ადგენენ საკუთარი კაპიტალის სავალდებულო მინიმალურ დონეს, რათა შენარჩუნდეს გონივრული პროპორცია მასსა და მოზიდულ სახსრებს შორის (პუნქტი 2.2).

2. აქტიური ოპერაციები – ესაა კომერციული ბანკის მიერ მოზიდული და საკუთარი სახსრების განთავსება მოგების მიღების მიზნით. როგორც ვხედავთ, კომერციული ბანკის აქტიური ოპერაციები ესაა მის ხელთ არსებული რესურსების, ანუ პასივების, განთავსება სხვადასხვა მიმართულებით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მისი, როგორც კომპანიის ფუნქციონირება, კლიენტების შეუფერხებლად მომსახურება და საკმარისი მოგების მიღება, მიმდინარე

ხარჯების დასაფარავად. ამრიგად, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ აქტიური ოპერაციების სამი ძირითადი ტიპი:

- **აქტიური ოპერაციები, რომლებიც განკუთვნილია ბანკის ნორმალური ფუნქციონირებისათვის** – ესაა სახსრების განთავსება ფიქსირებულ აქტივებში, ანუ ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებში. როგორც ცხრილიდან ჩანს (პუნქტი 1.6), საქართველოს კომერციულ ბანკებში მათზე მოდის აქტივების 6%;
- **აქტიური ოპერაციები, რომლებიც განკუთვნილია კლიენტების შეუფერხებლად მომსახურებისათვის**, რომელთა შორის უმთავრესია აუცილებელი ლიკვიდური აქტივების, ანუ ფულადი სახსრების ფორმირება და მათი საკმარისი დონის შენარჩუნება, რათა კომერციულმა ბანკმა შეძლოს კლიენტების საკასო-საანგარიშსწორებო მომსახურება. ცენტრალური ბანკების მიერ კომერციული ბანკებისათვის წესდება ლიკვიდური აქტივების მინიმალური აუცილებელი დონე (პუნქტები: 1.1 და 1.2);
- **შემოსვლების მომტანი აქტიური ოპერაციები,** რომელთა შორის უმთავრესია სახსრების განთავსება ფასიან ქაღალდებში, საკრედიტო და საინვესტიციო საქმიანობა (პუნქტები: 1.3, 1.4 და 1.5). როგორც ცხრილიდან ვხედავთ, ქართული ბანკების აქტიური ოპერაციების შედეგად შექმნილი აქტივების ორი მესამედი (68%) სწორედ შემოსავლების მომტან აქტივებშია განთავსებული.

3. **საკომისიო, ანუ საშუამავლო ოპერაციები,** ხორციელდება კომერციული ბანკის მიერ კლიენტების დავალებით გარკვეული საფასურის (საკომისიო) გადახდით. ასეთ ოპერაციებს მიეკუთვნება ანგარიშსწორებები, სავალუტო ოპერაციები, გარანტიები, საშემნახველო და ნდობითი ოპერაციები. საშუამავლო ოპერაციებიდან აღსანიშნავია ფაქტორინგი და ლიზინგი.

ზემოაღნიშნულ ცხრილში მოცემული ინფორმაცია თვალსაჩინოს ხდის კომერციული ბანკების პასიურ, აქტიურ და საშუამავლო ოპერაციებს.

3.4. თანამედროვე საბანკო საქმიანობის განვითარების ტენდენციები

თანამედროვე საბანკო ბიზნესში **XX-XXI** საუკუნეების მიჯნაზე საფუძველი ჩაეყარა ტენდენციებს, რომელთაც ბევრი მკვლევარი და სპეციალისტი „საბანკო რევოლუციასაც“ უწოდებს. საბანკო საქმიანობის ისტორიას მრავალი გარდამტეხი მომენტი ახსოვს, რომელთა შორის თანამედროვე ტენდენციები არანაკლები მნიშვნელობით გამოირჩევა.

აღნიშნული ტენდენციები განპირობებულია მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე სხვადასხვა პროცესით, რომელთა შორის აღსანიშნავია ფინანსური გლობალიზაცია და კაპიტალის, რესურსების, საქონლისა და ინფორმაციის თავისუფალი გადაადგილება, ასევე კონტრაგენტებს შორის კავშირის ინტერნეტიზაცია. არ შეიძლება ასევე არ აღინიშნოს სტრატეგიული მენეჯმენტისა და არამატერიალური აქტივების მზარდი როლი. აღნიშნულ პროცესს ალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათ უკანასკნელ წლებში განვითარებული მსოფლიო ფინანსური კრიზისი დაატყობს თავის კვალს. როგორც ჩანს, აღნიშნული კრიზისი არ წარმოადგენს შემთხვევით მოვლენას, არამედ მსოფლიო პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი ტენდენციების კონონზომიერი შედეგია. სხვა მიზეზებთან ერთად, გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა გამოავლინა საბანკო სისტემების მოდელებში არსებული ხარვეზები.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების თანამედროვე საბანკო ბიზნესში მიმდინარე ტენდეციები შეიძლება განვაზოგადოთ და ჩამოვაყალიბოთ შემდეგი ძირითადი მიმართულებები:

1. ტექნოლოგიური რევოლუცია ბანკინგში;
2. ფინანსური ბაზრების დერეგულირება და საბანკო კანონმდებლობის ლიბერალიზაცია;
3. ახალი საბანკო პროდუქტების წილის ზრდა ტრადიციული მომსახურების წილის შემცირების ხარჯზე;
4. საინვესტიციო ბანკინგის განვითარება;
5. საბანკო კაპიტალის კონსოლიდაცია;
6. სტრატეგიულ საბანკო მენეჯმენტში ბანკის საბაზრო ღირებულების ზრდის პრიორიტეტულობა;
7. საბანკო საქმიანობის უნიფიკაცია და სტანდარტიზაცია;
8. ბანკების ბიზნესპროცესების რეინჟირინგი და ორგანიზაციული სტრუქტურის ტრანსფორმაცია.

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

1. ტექნოლოგიური რევოლუცია ბანკინგში. იმ სიახლეებმა, რომლებიც მოხდა საინფორმაციო-საკომუნიკაციო სფეროში ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, მართლაც, რევოლუცია მოახდინა თანამედროვე ბანკინგში. თანამედროვე ტექნოლოგიურმა მიღწევებმა შესაძლებელი გახადა ავტომატიზებული საბანკო სისტემების (იგივე „ბანკის საოპერაციო დღე"), პლასტიკური ბარათების, რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემების (RTGS), ინტერნეტ-ბანკინგის, ელექტრონული ფულისა და ბოლოს – ვირტუალური ბანკების წარმოშობა. შესაძლებელი გახდა არა მარტო საბანკო ოპერაციების წარმოების, აღრიცხვისა და ანგარიშგების პროცესების დროითი და შრომითი დანახარჯების მინიმუმამდე დაყვანა, არამედ გაჩნდა ახალი პროდუქტები, მომსახურების ახალი სახეობები და ახალი შესაძლებლობები. ბანკებმა ჩამოიცილეს კონსერვატიულობის საბურველი და საბანკო ბიზნესი უფრო „სახალხო" და მასობრივი გახდა, მან შეაღწია რიგითი ადამიანების ოჯახებსა და ყველა ასაკობრივ ჯგუფში, საბანკო სერვისის ხელმისაწვდომობა უაღრესად გაიზარდა და ბანკები ყოველდღიურობის ელემენტი გახდა.

ინფორმაციის გაცვლა მომხმარებლებსა და ბანკებს შორის გამარტივდა და უაღრესად ოპერატიული გახდა, ბევრი საბანკო სერვისის მიღება ავტომატურად შეიძლება (ე. წ. „ონლაინ" რეჟიმი) და, რაც მთავარია, ბანკში მისვლის გარეშე. დისტანციურმა ბანკინგმა ძირფესვიანად შეცვალა წარმოდგენა ბანკებსა და საბანკო მომსახურებაზე. საბანკო საქმიანობა ბევრად უფრო დინამიკური და კომფორტული გახდა ორივე მხარისათვის. ინფორმაციის ოპერატიულმა და ავტომატურმა დამუშავებამ გამოიწვია ყველაზე ძვირფასის – დროის ეკონომია როგორც ბანკების, ისე კლიენტებისათვის. კლიენტს შესაძლებლობა მიეცა სახლიდან, ოფისიდან და ნებისმიერი ადგილიდან არა მარტო ჩაატაროს სასურვე-

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ოპერაცია დამოუკიდებლად, არამედ გააკონტროლოს კიდეც მისი მიმდინარეობა და დარწმუნდეს მის წარმატებით დასრულებაში.

ტექნოლოგიების განვითარებამ არა მარტო ახალი საბანკო მომსახურების სახეობები წარმოშვა, არამედ ძველი, ტრადიციული საბანკო პროდუქტების ხელმისაწვდომობა გაზარდა. ბანკებს მიეცათ სერვისის პაკეტების შემუშავების შესაძლებლობა ნებისმიერი ჯგუფისა თუ კლიენტისათვის. საბოლოო ჯამში, საინფორმაციო-ტექნოლოგიურმა მიღწევებმა ბანკებს მისცა ხარჯების შემცირების, მომსახურების პაკეტის, მისი ხარისხისა და არეალის გაფართოების, შემოსავლების ზრდისა და ახალი პერსპექტივების დასახვის შესაძლებლობა.

ამ მიმართულებით, საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, იწყება ვირტუალური ბანკებისა და ელექტრონული ფულის ერა.

2. ფინანსური ბაზრების დერეგულირება და საბანკო კანონმდებლობის ლიბერალიზაცია. ჯერ კიდევ **XX** საუკუნის პირველი ნახევრის ეკონომიკური კრიზისების გავლენით დასავლური კანონმდებლობა, განსაკუთრებით – აშშ-ში, ადგენდა გარკვეულ წესებსა და შეზღუდვებს როგორც ფასიანი ქაღალდებისა და საბანკო ბაზრებს შორის გამიჯვნის, ასევე თვითონ საბანკო ბაზრის მონაწილეების საქმიანობაში. აღნიშნული შეზღუდვები დაწესებელი იყო შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

- ბანკების ტერიტორიული ექსპანსია;
- საპროცენტო განაკვეთების რეგულირება;
- ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ბანკების პირდაპირი მონაწილეობა.

ამ და სხვა შეზღუდვების დაწესება თავის დროზე განპირობებული იყო საბანკო საქმიანობის დაცვით მეტისმეტი რისკებისაგან, სისტემური საბანკო კრიზისების თავიდან ასაცილებლად და მეანაბრეთა სახსრების დაცვის გარანტირების რაც შეიძლება მეტი მექანიზმის არსებობით. თუმცა, **XX** საუკუნის ბოლოსათვის შეიქმნა სიტუაცია, როცა დღის წესრიგში დადგა ფინანსური ბაზრების დერეგულირებისა და საბანკო კანონმდებლობის ლიბერალიზაცია. აღნიშნული სიტუაციის შექმნას ხელი შეუწყო სხვადასხვა გარემოებამ, რომელთა შორის აღსანიშნავია:

- არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტების გაძლიერებით ბანკების შევიწროება და მათი მომგებიანობის შემცირება;
- საფონდო ბაზარზე ფინანსური ინოვაციების, კერძოდ, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების მნიშვნელოვანი ზრდა;
- ტექნოლოგიური რევოლუცია და ფინანსური რეინჟირინგი, რომელმაც, ერთი მხრივ, გააჩინა სრულიად ახალი რეალობა ფინანსურ სეფროში, მეორე მხრივ კი, წარმოშვა აკრძალვებისა და შეზღუდვების გვერდის ავლის შესაძლებლობები.

საბანკო კანონმდებლობის დერეგულაციის პროცესის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს 1999 წელს აშშ-ში გლას-სტიგალის 1933 წელს მიღებული ცნობილი კანონის გაუქმება, რომელიც სხვა შეზღუდვებთან ერთად უკრძალავდა ამერიკულ ბანკებს საინვესტიციო საქმიანობას. დერეგულაციის პროცესი მეტ-ნაკლებად ყველა განვითარებული ქვეყნის საფინანსო სისტემას შეეხო.

კიდევ ერთ ტენდენციად ამ მიმართულებით ბანკებისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტების საზედამხედველო და მარეგულირებელი ორგანოების გაერთიანება შეიძლება ჩაითვალოს. ამის მაგალითია თუნდაც საქართველოს 2007

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელს ფინანსური ბაზრის ყველა მონაწილის რეგულირების ფუნქციის საქართველოს ეროვნულ ბანკში თავმოყრა.

3. ახალი საბანკო პროდუქტების წილის ზრდა ტრადიციული მომსახურების წილის შემცირების ხარჯზე. აღნიშნული ტენდენცია გამოიხატება იმით, რომ მსხვილი კომპანიები და კორპორაციები რესურსების მოსაზიდად სულ უფრო ხშირად ამჯობინებენ საკუთარი ფასიანი ქაღალდების ემისიას და უარს ამბობენ ტრადიციულ საბანკო კრედიტზე. მეორე მხრივ, დროებით თავისუფალი კაპიტალის მქონე კლიენტები უარს ამბობენ ტრადიციული საბანკო მომსახურების სახეობებზე და უფრო შემოსავლიან და ლიკვიდურ განთავსებას ანიჭებენ უპირატესობას. ძირითადად, საუბარია ფასიან ქაღალდებსა და მასთან დაკავშირებულ მომსახურებებზე, როგორებიცაა: ნდობითი ოპერაციები და ფასიანი ქაღალდების პორტფელის მართვა. კომერციული ბანკები სულ უფრო მეტ დროს უთმობენ საკონსულტაციო მომსახურებას და ამ პროცესში ისინი მათთვის „არაბუნებრივ" მდგომარეობაში არიან – არც რესურსებს იზიდავენ და არც კრედიტებს გასცემენ, არამედ გვევლინებიან შუამავლებად მსესხებლებსა და კრედიტორებს შორის თავიანთი კლიენტებისათვის. გარდა კონსულტაციებისა, კომერციულმა ბანკმა შეიძლება ასეთ კლიენტებს შესთავაზოს სხვა სერვისი, მაგალითად, საგარანტიო წერილების გაცემა, სხვა ფინანსური გარანტიები და ა.შ.

აღნიშნული პროცესების სტიმულირებას ახდენს, ერთი მხრივ, ფინანსური ბაზრების შესაძლებლობების გაფართოება, ახალი ფინანსური ინსტრუმენტების გაჩენა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ბანკის კლიენტების განსწავლულობის ზრდა, დაინახონ საკუთარი რესურსების განთავსების უკეთესი ალტერნატიული არჩევანი, დაბოლოს, ბანკების მისწრაფება, ფეხი აუწყონ დროს და დაასწრონ კონკურენტებს კლიენტების სურვილებზე მორგებული ახალი სერვისების შეთავაზება.

ბუნებრივია, აღნიშნული ტენდენციები იწვევს ბანკების შემოსავლებისა და ხარჯების სტრუქტურის ცვლილებას. მცირდება დაკრედიტებიდან მიღებული პროცენტული შემოსავლების წილი საპროცენტო ხარჯების შემცირებასთან ერთად და ზრდის ტენდენციით ხასიათდება არაპროცენტული, საკომისიო შემოსავლების ხვედრითი წილი.

4. საინვესტიციო ბანკინგის განვითარება. თანამედროვე საინვესტიციო ბანკინგში მოიაზრება მომსახურების საკმაოდ ფართო და არცთუ ზუსტად განსაზღვრული სახეობები. აღნიშნული მომსახურება მოიცავს ფასიანი ქაღალდების როგორც პირველად განთავსებას, ისე ოპერაციებს მეორად ბაზარზე, თუმცა, საინვესტიციო ბანკინგის მთავარი ფუნქცია კლიენტების ფასიანი ქაღალდების ემისიისა და პირველადი განთავსების ორგანიზებაა. საინვესტიციო ბანკების თემას უკვე შევეხეთ პირველ თავში, სადაც აღინიშნა, რომ ამ ტიპის ბანკების განსაკუთრებული განვითარება აშშ-ში მოხდა. რაც შეეხება ევროპასა და აზიას, საინვესტიციო ბანკინგის მომსახურებაზე მოთხოვნა იზრდება საფონდო ბაზრის განვითარებასთან ერთად.

როგორც აღინიშნა, საინვესტიციო ბანკინგი გულისხმობს ფასიანი ქაღალდებით ოპერაციებს მეორად ბაზარზე, ასევე მასთან დაკავშირებულ მომსახურებებს, როგორებიცაა: საკონსულტაციო და ფასიანი ქაღალდების პორტფელის მართვა. საინვესტიციო ბანკინგი მეორად ბაზარზე სულ უფრო რთულდება საფონდო ბაზრის განვითარებასთან, დერივატივების გაჩენასა და ფინანსური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინჟინერინგის დანერგვასთან ერთად. ამ სირთულეებთან გასამკლავებლად ბანკებში იქმნება ფინანსური ბაზრების კვლევის ძლიერი და სოლიდური ანალიტიკური სამსახურები, რათა გააკეთონ მისი ცალკეული სეგმენტებისა და ინსტრუმენტების განვითარების ტენდენციების პროგნოზი.

საინვესტიციო ბანკინგის შედარებით ახალი მიმართულებაა კომპანიების შერწყმასა და შთანთქმასთან დაკავშირებული გარიგებების განხორციელება. ასეთი გარიგებების დროს ბანკების მონაწილეობა გამოიხატება კონსულტაციებითა და შუამავლობით, ანუ ისინი შემოიფარგლებიან არა მარტო რჩევებით, არამედ აქტიურად ახდენენ პოტენციური მყიდველებისა და გამყიდველების ძებნასა და შერჩევას.

ახალ ტენდენციად საინვესტიციო ბანკინგში ასევე უნდა ჩაითვალოს საშუალო და მცირე ბიზნესის დაინტერესება ამ მომსახურებით, გასული წლებისაგან განსხვავებით, როცა საინვესტიციო ბანკინგი გამორჩეულად კორპორაციული კლიენტებისათვის იყო განკუთვნილი.

საინვესტიციო ბანკინგის მიმზიდველობა კომერციული ბანკებისათვის გამოიხატება იმით, რომ მათ მოაქვთ უფრო მეტი მოგება, ვიდრე ტრადიციულ საბანკო მომსახურებას.

5. საბანკო კაპიტალის კონსოლიდაცია. XX საუკუნის ბოლოს მსოფლიოს გადაურა უმსხვილესი ბანკების შერწყმა-გაერთიანებისა და სხვა ფინანსურ ინსტიტუტებთან კოოპერაციის უპრეცედენტო ტალღამ. ამ ტენდენციის მიზანი, ბუნებრივია, იყო კონკურენტული პოზიციების განმტკიცება ნაციონალურ დონეზე და ახალი, საერთაშორისო ბაზრების ათვისება. დღეისათვის საბანკო სექტორი ითვლება თანამედროვე ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი კონცენტრაციის ბიზნესად.

6. სტრატეგიულ საბანკო მენეჯმენტში ბანკის საბაზრო ღირებულების ზრდის პრიორიტეტულობა. სტრატეგიული საბანკო მენეჯმენტის პრიორიტეტების ტრანსფორმაცია აშშ-ში დაიწყო და განვითარება ჰპოვაევროპისა და აზიის წამყვან ბანკებში. იგი ორიენტირებულია გრძელვადიან ეფექტიანობასა და ბანკის საბაზრო ღირებულების ზრდაზე, ანუ მისი აქციების ფასის ზრდაზე, დამახასიათებელი ხდება არა მარტო ბანკებისათვის, არამედ მათი პარტნიორებისათვის – კლიენტებისათვის. მოხდა ბანკებისა და მათი უმთავრესი კლიენტების ინტერესების, სტრატეგიული მიზნების დაახლოება. კლიენტები სულ უფრო ინტერესდებიან მათი ბანკის ხვალინდელი დღით და სტრატეგიული ხედვებით და არ შემოიფარგლებიან მხოლოდ კლასიკური საბანკო მომსახურების მიღებით. უკვე მყარად დამკვიდრდა კლიენტების მხრიდან რამდენიმე ბანკთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარების პრაქტიკა. კლიენტებსა და ბანკებს შორის ურთიერთობა სულ უფრო მეტად ეფუძნება საბაზრო პრინციპებს, რასაც, ხსენებულ ტექნოლოგიურ რევოლუციასთან ერთად, ხელს უწყობს ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და კლიენტების განსწავლულობის ზრდა.

7. საბანკო საქმიანობის უნიფიკაცია და სტანდარტიზაცია. ზემოაღნიშნულმა უმნიშვნელოვანესმა ცვლილებებმა და ტენდენციებმა ტექნოლოგიურ და ფინანსურ სფეროებში, ფინანსურმა გლობალიზაციამ, საერთაშორისო ტერორიზმის საფრთხემ მნიშვნელოვნად გაზარდა საბანკო რისკები და მოითხოვა გარკვეული წესრიგის, ერთიანი წესების შემოტანა საბანკო საქმიანობაში, რო-

მელიც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ხელშეწყობით და რეკომენდაციებით ხორციელდება.

8. ბანკების ბიზნესპროცესების რეინჟირინგი და ორგანიზაციული სტრუქტურის ტრანსფორმაცია. ყველა ზემოაღნიშნული უმნიშვნელოვანესი თუ სხვა, ნაკლებად მნიშვნელოვანი ტენდენციის, ყველაზე მეტად კი ტექნოლოგიური რევოლუციის ზეგავლენით საფუძვლიანად შეიცვალა არა მარტო საბანკო ინფორმაციის გაცვლა, არამედ თვითონ ბიზნესპროცესები, მათი მიმდინარეობა და განხორციელების დრო, ასევე გაჩნდა ახალი ოპერაციები და მომსახურების სახეობები. რეინჟირინგის მიზანს წარმოადგენს არა არსებული პროცედურების ეფექტიანობის გაუმჯობესება, არამედ მათი მნიშვნელოვანი ნაწილის სრულად გარდაქმნა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ზედმეტი ოპერაციები. გარემო პირობების ცვლილებები იმდენად სწრაფი და ყოვლისმომცველი იყო, რომ ითხოვდა ბანკების სტრუქტურისა და, შესაბამისად, ბიზნესპროცესების კარდინალურ ცვლილებებს. ფაქტობრივად, დროის ძალიან მცირე პერიოდში ბანკებში ხდებოდა სრულიად ახალ სტრუქტურის, ახალი ბანკის ჩამოყალიბება. ბანკის მართვის პროცესების დიდმა ნაწილმა ვირტუალურ, კომპიუტერულ სამყაროში გადაინაცვლა. ბანკის ბიზნესპროცესების რეინჟირინგმა არა მარტო მნიშვნელოვნად შეამცირა ბანკების დანახარჯები, არამედ უფრო ეფექტიანი და მოქნილი გახადა აქტივ-პასივებისა და მათთან თანმდევი რისკების მართვა.

მსოფლიო წამყვანი ეკონომიკის ქვეყნების საბანკო საქმიანობისათვის დამახასიათებელი ტენდენციები საქართველოს რეალობისათვის მეტ-ნაკლებად არის ნიშანდობლივი, ვინაიდან იგი ჯერჯერობით განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნების რიგში დგას და მის მდგომარეობაზე გავლენას ახდენს როგორც მსოფლიო ტენდენციები, ასევე ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები.

საკონტროლო კითხვები:

1. რა არის კომერციული ბანკის საქმიანობის არსი?
2. რა განმარტებასა და ინტერპრეტაციას აძლევს საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ კომერციული ბანკის არსს?
3. რა თავისებურებები ახასიათებს კომერციული ბანკის საქმიანობას, რაც ნათელს ჰფენს მის არსს?

4. რა იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ ბანკი არის კომერციული საწარმო?
5. რა შეიძლება ითქვას ძირითად საბანკო პრინციპებზე?
6. რას წარმოადგენს კომერციული ბანკის მოზიდული რესურსების პრიორიტეტულობის პრინციპი?
7. რა არის კომერციული ბანკის, ერთი მხრივ, ეკონომიკური დამოუკიდელობის, მეორე მხრივ კი, რეგულაციის ობიექტად ყოფნის პრინციპი?
8. რა ტრანსფორმაცია განიცადა ბანკების მომხმარებლებთან საბაზრო ურთიერთობების პრინციპმა სოციალისტურიდან საბაზრო სისტემაზე გადასვლის შემდეგ?
9. რა შეიძლება ითქვას კომერციული ბანკების ფუნქციებზე?
10. რა ახსნა შეიძლება მიეცეს კომერციული ბანკის საკრედიტო ურთიერთობების დროს შუამავლობის ფუნქციას?
11. რა განსხვავება არსებობს საბანკო პროდუქტს, საბანკო მომსახურებას, საბანკო ოპერაციას ან საბანკო საქმიანობის სახეობებს შორის?
12. საქართველოს კანონმდებლობით, კომერციული ბანკებისათვის საბანკო საქმიანობის რომელი სახეობებია ნებადართული?
13. კომერციული ბანკების ოპერაციების რომელი სახეობები არსებობს?
14. რა არის კომერციული ბანკის პასიური ოპერაციების არსი და მისი როგორი ფორმები არსებობს?
15. რა შეიძლება ითქვას კომერციული ბანკის აქტიურ ოპერაციებზე და მისი როგორი ტიპები არსებობს?
16. რითია განპირობებული თანამედროვე საბანკო საქმიანობის განვითარების ტენდენციები?
17. თანამედროვე საბანკო საქმიანობის განვითარების ტენდენციების რომელი მიმართულებები იცით?
18. რა შედეგები მოუტანა ტექნოლოგიურმა რევოლუციამ ბანკინგში როგორც ბანკებს, ისე საზოგადოებას?
19. როგორ გამოიხატება ფინანსური ბაზრების დერეგულირებისა და საბანკო კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენცია თანამედროვე ბანკინგში და რამ განაპირობა იგი?
20. რომელი ახალი რეალობის წინაშე დააყენა კომერციული ბანკები ახალი საბანკო პროდუქტების წილის ზრდამ ტრადიციული მომსახურების წილის შემცირების ხარჯზე?
21. რაში გამოიხატება საინვესტიციო ბანკინგის განვითარება, როგორც ახალი ტენდენცია საბანკო საქმეში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

22. რას გულისხმობს სტრატეგიულ საბანკო მენეჯმენტში ბანკის საბაზრო ღირებულების ზრდის პრიორიტეტულობა?

23. რას წარმოადგენს ბანკების ბიზნესპროცესების რეინჟირინგი და ორგანიზაციული სტრუქტურის ტრანსფორმაცია?

4 თავი

საქართველოს საბანკო სისტემა

შინაარსი:

4.1. საბანკო საქმის განვითარების ისტორია საქართველოში;
4.2. საბანკო საქმის განვითარების თანამედროვე ეტაპი საქართველოში;
4.3. საქართველოს საბანკო-საკრედიტო სისტემა.

ძირითადი ელემენტები:

1. ქართული საბანკო საქმის სათავეები;
2. ფულად-საკრედიტო ურთიერთობები ცარიზმისდროინდელ საქართველოში;
3. პირველი ქართული ბანკები;
4. პირველი დამოუკიდებელი ფულად-საკრედიტო სისტემის შექმნის მცდელობა;
5. ქართული საბანკო სისტემის საბჭოური პერიოდი;
6. თანამედროვე საქართველოს საბანკო სისტემის მშენებლობა;
7. საქართველოს ფინანსური სექტორის ეროვნულ ბანკზე დაქვემდებარების პროცესი 2002-2013 წლებში;
8. საქართველოს ეროვნული ბანკი;
9. კომერციული ბანკები საქართველოში;
10. არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტები საქართველოში;
11. ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეები საქართველოში;
12. სადაზღვევო ბაზრის მონაწილეები საქართველოში;
13. არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევის მონაწილეები საქართველოში.

გამოყენებული სქემები, ნახატები და ცხრილები:

ცხრ. №4.1. საქართველოს საბანკო სისტემის ძირითადი მაჩვენებლები (პერიოდის ბოლოს);
სქემა №4.1. საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საფინანსო სექტორი 2009 წლიდან 2013 წლის მარტამდე.

4.1. საბანკო საქმის განვითარების ისტორია საქართველოში

ზოგადად, საბანკო საქმის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ფულად-საკრედიტო სისტემის როლი ქვეყანაში იცვლება და სულ უფრო სრულყოფილ სახეს იღებს. აღნიშნულ ვითარებას განაპირობებს მთელი რიგი გარემოებები: კონკრეტული ეპოქისათვის დამახასიათებელი თავისებურებები, კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური მოწყობის წესი და ტრადიციები, ეროვნული და სახელმწიფოებრივი პრიორიტეტები, სამართლებრივი ბაზა, მეურნეობის სისტემა, მომხმარებელთა პრიორიტეტები და სხვ.

სპეციალისტების აღიარებით, პირველი სრულფასოვანი ქართული მონეტა, ხელისუფლების მიერ დამოწმებული ფორმით, წონითა და სინჯით ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე **VI** საუკუნეში მოიჭრა კოლხურ-იბერიული სახელმწიფოებრივი გაერთიანების დროს. თუმცა, არსებობს მოსაზრება, რომ ქართული ფულის ისტორია 3 000 წლისაა, ანუ ემთხვევა თვითონ ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიას.

საქართველოში ფულად-საკრედიტო ურთიერთობებს მდიდარი წარსული აქვს. ეს ისტორია ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე **VI-V** საუკუნეებიდან იწყება მევახშეებისა და ზარაფების სახით, როგორც დანარჩენ ძველ ცივილიზაციებში, ისინი ჩნდებიან იბერიასა და კოლხეთში.

საქართველო მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში ყოველთვის იყო მსოფლიო სავაჭრო გზების გასაყარზე, რაც ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენდა საკრედიტო ურიერთობების განვითარებისათვის. ამ მხრივ ძალზე საინტერესოა **XII-XIII** საუკუნეები, როცა დავით აღამაშენებლის დროს გატარდა ფულადი მიმოქცევის ფართომასშტაბიანი რეფორმები, რომელთა შემდეგ ჩნდება სპეციალური დაწესებულებები – ვაჭართა საკრედიტო, გამსესხებელ-დამგირავებელი ორგანიზაციები, ე წ. „ორტაღები“, რომლებიც ახდენდნენ სესხების გაცემას, ფულის ნიშნების გადაცვლას და სხვ.

XVIII საუკუნის საქართველოსათვის საკრედიტო ურთიერთობები მაშინდელი ევროპისათვის ნიშანდობლივი ოპერაციებით ხასიათდება. ქართული ფულის ნიშნები წარმატებით მიმოიქცევა მთელ ამიერკავკასიაში, ცნობილია ერეკლე **II**-ის დროს არსებული საზარაფო დაწესებულებები, რომლებიც ასრულებდნენ საკრედიტო საანგარიშსწორებო ოპერაციებს და ჭრიდნენ ფულს.

შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად ფულადი სისტემების სხვადასხვა ფორმით და შინაარსით არსებობის უძველესი ისტორიისა, დღევანდელი გაგებით, საბანკო პრაქტიკის გაჩენა საქართველოში დაკავშირებულია რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის პერიოდთან. **XIX** საუკუნის დასაწყისში, კერძოდ, 1810 წელს თბილისში დაარსდა პირველი საკრედიტო ინსტიტუტი. ეს იყო სახელმწიფო დაწესებულება, სახელწოდებით – „საქართველოს საზოგადოებრივი მზრუნველობის საგანგიო“, რომელიც ეკატერინე **II**-ის დროინდელი ე.წ. „პრიკაზის“ ტიპის დაწესებულებას წარმოადგენდა. აღნიშნული საკრედიტო დაწესებულება დაკავებული იყო ანაბრების მოზიდვითა და კრედიტების გაცემით. იგი საქართველოს ტერიტორიაზე ერთადერთი საკრედიტო დაწესებულება იყო ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ბანკები საქართველოს ტერიტორიაზე უკვე მასობრივად იქმნება. 1860 წელს დაარსებული რუსეთის ცენტრალური

ბანკის – „საიმპერიო სახელმწიფო ბანკის“ პირველი ფილიალი თბილისში 1866 წელს იხსნება, რასაც მოჰყვა სხვადასხვა კომერციული ბანკის გახსნა, რომელთა შორის აღსანიშნავია 1871 წელს შექმნილი „თბილისის კომერციული ბანკი“, ფილიალებით, ბაქოში, ერევანსა და ბათუმში. ფუძნდება სხვადასხვა საკრედიტო და შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა, კერძო ბანკები. XIX საუკუნის 80-იან წლებში 80-ზე მეტი საკრედიტო დაწესებულება ფუნქციონირებდა. ეს საკრედიტო ინსტიტუტები დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა: ზემოაღნიშნული „პრიკაზები“, სახელმწიფო ბანკის განყოფილებები, სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკები, საქალაქო ბანკები, ინდივიდუალური საბანკო კანტორები, სასოფლო სასესხო-საშემნახველო ამხანაგობები, სასესხო სალაროები და ა.შ.

ამ პერიოდში მოხდა ქართული საბანკო საქმის და, ზოგადად, ქართული სახელმწიფოებრიობისათვის მნიშვნელოვანი მოვლენა – თბილისის, შემდეგ კი – ქუთაისის საადგილმამულო ბანკების დაარსებას. ამ ბანკების სათავეებთან ილია ჭავჭავაძე, დიმიტრი ყიფიანი და მათთან ერთად მთელი მაშინდელი პროგრესული ძალა იდგა, რომლებიც მასში არა მხოლოდ საკრედიტო დაწესებულებას, არამედ პირველ ქართულ, ეროვნულ ინსტიტუტს ხედავდნენ. ბანკის შექმნის იდეა ითვალისწინებდა აქციონერული, საზოგადოებრივი საკრედიტო ინსტიტუტის შექმნას, რომლის მომსახურებით სარგებლობის უფლება ექნებოდა როგორც თავადაზნაურობას, ასევე გლეხობასაც. ბანკის შექმნის იდეის ხორცშესხმას დიდი სუბიექტური და ობიექტური სიძნელეები შეხვდა და ბოლოს, 11-წლიანი შრომის შემდეგ, 1874 წლის 28 მაისს რეგისტრაციაში გატარდა თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის წესდება.

ბანკის პირველი სადამფუძნებლო კრება ჩატარდა რეგისტაციიდან 8 თვის შემდეგ, 1875 წლის 28 იანვარს, ხოლო ოპერაციების წარმოება 15 თებერვალს დაიწყო. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, 1876 წლის 1 მაისს იხსნება ქუთაისის საადგილმამულო ბანკი, რომელსაც ხელმძღვანელობდა გამგეობა. მის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბესარიონ ღოღობერიძე.

დაარსებიდან 6 წელიწადში, 1881 წლიდან თბილისის საადგილმამულო ბანკის მოქმედების არეალი ფართოვდება და იგი იწყებს სესხების გაცემას ბაქოში, ხოლო 1891 წლიდან – ბათუმში. ილია ჭავჭავაძემ თავისი ცხოვრების 30 წელი მიუძღვნა ამ ბანკის ხელმძღვანელობას. იგი 1905 წლის 23 ივნისს გადადგა. სწორედ ილია ჭავჭავაძის დამსახურებაა, რომ თბილისისა და ქუთაისის საადგილმამულო ბანკები არ იყვნენ მხოლოდ საკრედიტო დაწესეულებები, არამედ მათ დიდი წვლილი შეიტანეს ქართული საზოგადოებრივი თუ სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან სფეროში, მათ შორის აღსანიშნავია: განათლების სფერო, ეროვნული კადრების მომზადება, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება, ქართული თეატრი და ა. შ.

პირველი სრულყოფილი და დამოუკიდებელი ფულად-საკრედიტო სისტემის შექმნა დაიწყო 1918 წელს, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. 1919 წლის ბოლოს, 31 დეკემბერს საქართველოს სადამფუძნებლო კრება ამტკიცებს კანონს „სახელმწიფო ბანკის დაარსების შესახებ“. ამას გარდა, დამოუკიდებლობის წლებში (1918-1921 წწ.) საქართველოში რამდენიმე ბანკი ფუნქციონირებდა, რომელთა საქმიანობის არეალი, მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის გამო, შეზღუდული იყო, მაგრამ მათ მაინც უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს ქართული საბანკო საქმის განვითარებაში. ფუნქციონირების მცირე პერიოდის მიუხედავად, საქართველოს დამოუკიდებელმა მთავრო-

ბამ გარკვეული ღონისძიებების გატარება მაინც მოასწრო: გამოშვებულ იქნა დროებითი ფულადი ნიშნები, ე. წ. „ბონები“, რომლებიც არ იყო სრულფასოვანი ფული და არ გააჩნდა სავალუტო უზრუნველყოფა, მაგრამ ეს იყო ფულის რეფორმის დასაწყისი. დაიწყო არაქართული ფულადი ნიშნების მიმოქცევიდან ამოღება, უცხოური ვალუტის რეზერვების შექმნა და სხვ. მნიშვნელოვანი იყოს ისიც, რომ ბონების ბეჭდვა თბილისში ხდებოდა.

რა თქმა უნდა, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ახალი რეჟიმის მიერ ჩანასახოვანი დამოუკიდებელი ქართული საბანკო სისტემა ლიკვიდირებულ იქნა და უკვე 1924 წლის 1 ივლისიდან მთელ ამიერკავკასიაში, მათ შორის, საქართველოში, ფეხს იკიდებს საბჭოთა ფული და მყარდება საბჭოთა საბანკო სისტემა.

ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ გამოაცხადა ბანკების ნაციონალიზაცია და შეუდგა ერთიანი, სახელმწიფო ინტერესების გამტარებელი ფულადი და საბანკო სისტემების შექმნას. საბჭოთა კავშირის არსებობის ისტორიის განმავლობაში საბანკო სისტემაში ბევრი რეფორმა განხორციელდა, ისინი განპირობებული იყო ქვეყნის განვითარების სხვადასხვა ეტაპით და შექმნილი ობიექტური რეალობით.

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის დაშლის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი იყო ის ჩიხი, რომელშიც მისი ეკონომიკა შევიდა. ქვეყნის ფინანსურ-ეკონომიკური პრობლემები 80-იანი წლების დასაწყისში დაიწყო. ამ დროისათვის კრედიტი თანდათან კარგავდა ეკონომიკის განვითარებისა და განახლების აქტიური ინსტრუმენტის როლს. ფაქტობრივად, საბანკო სისტემაში მობილიზებული სახსრების დიდი ნაწილი ბიუჯეტის დანამატად იყო ქცეული. ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის გაცემული კრედიტების უმრავლესობა არ ბრუნდებოდა, ძალიან მარტივად ხდებოდა მათი გადავადება ან ჩამოწერა. ამ პროცესს განსაკუთრებული გაქანება მიეცა გეგმურად წამგებიან და დოტაციურ ორგანიზაციებსა და სოფლის მეურნეობაში. საბანკო კრედიტის პროცენტი იმდენად დაბალი იყო, რომ აღარ ახდენდა მისი დაბრუნების სტიმულირებას. კრედიტმა დაკარგა დაბრუნებითობის, ვადიანობისა და ფასიანობის ნიშნები. საბჭოთა პერიოდმა, მისმა ეკონომიკურმა ურთიერთობებმა ნათლად დაადასტურა ის ჭეშმარიტება, რომ სრულფასოვანი საბანკო ურთიერთობების უმთავრესი პრინციპი არის პარტნიორული და ორმხრივად სასარგებლო ურთიერთობა. საბჭოთა პერიოდში ბანკი სოციალურად უფუნქციო ინსტიტუტი იყო და საზოგადოების განვითარების ხელშეწყობის ნაცვლად მის მუხრუჭად იქცა, ვინაიდან მისი რეაგირება ეკონომიკისა და საზოგადოების მოთხოვნებზე ადეკვატური აღარ იყო.

ცხადია, ქვეყნის ხელმძღვანელობა ხედავდა პრობლემებს და 80-იანი წლების შუა პერიოდში ეკონომიკის მართვის რეორგანიზების ფარგლებში დაიწყო საბანკო სისტემის რეფორმა, რომლის შედეგადაც ჩამოყალიბდა საბანკო სისტემა ცენტრალური ბანკითა და ხუთი მსხვილი დარგობრივი სპეციალიზებული სახელმწიფო ბანკით. საბჭოთა კავშირის დაშლის წინ, 80-იანი წლების შუა პერიოდისათვის, საბჭოთა კავშირის საბანკო სისტემა შემდეგი სახის იყო:

1) სსრკ სახელმწიფო ბანკი — ანუ სახბანკი, რომელიც წარმოადგენდა ქვეყნის ცენტრალურ ბანკს, საემისიო, საანგარიშსწორებო-საკასო და მაკონტროლებელი ფუნქციებით. იგი ასევე აღჭურვილი იყო არასამრეწველო სფეროს უნივერსალური მომსახურებისა და დაკრედიტების უფლებამოსილებით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

2) სსრკ სამრეწველო-სამშენებლო ბანკი — ანუ მრეწვმშენბანკი ორციელებდა სახალხო მეურნეობის (გარდა სოფლის მეურნეობისა) დარგების მომსახურებას, მათ გრძელვადიან დაკრედიტებას და კაპიტალდაბანდებათა ფინანსირებას;

3) სსრკ აგროსამრეწველო ბანკი — ანუ აგრომრეწვბანკი სპეციალიზებული იყო სოფლის მეურნეობის მოსახურებასა და დაკრედიტებაზე;

4) სსრკ საბინაო-კომუნალური მეურნეობებისა და სოციალური განვითარების ბანკი — ანუ ბინსოცბანკი, როგორც სახელწოდებიდან ჩანს, ახდენდა საბინაო და კომუნალური მეურნეობების მომსახურებასა და დაკრედიტებას;

5) სსრკ შრომითი დანაზოგებისა და მოსახლეობის დაკრედიტების ბანკი — ანუ შემნახველი ბანკი ახდენდა საბჭოთა კავშირის მოქალაქეების მომსახურებას, რაც ითვალისწინებდა როგორც ფულადი დანაზოგების მოზიდვას, ისე მომგებიანი სახელმწიფო სესხების (ობლიგაციები) რეალიზაციას;

6) სსრკ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ბანკი — ანუ საგარეო ვაჭრობის ბანკი, იგივე ექსიმბანკი ახდენდა საგარეო ვაჭრობისა და საერთაშორისო ანგარიშსწორების დაფინანსებას, ასევე დაკავებული იყო უცხოური ვალუტის, ოქროსა და ძვირფასი ლითონების ოპერაციებით.

ცხადია, საქართველოშიც ფუნქციონირებდა ამ ბანკების რესპუბლიკური საბანკო სტრუქტურები, რომლებიც ექვემდებარებოდნენ ცენტრის შესაბამის ბანკებს, ვინაიდან მათ მსხვილ ფილიალებს წარმოადგენდნენ.

ამ რეორგანიზების თავისებურება ის იყო რომ სახბანკის საკრედიტო რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი გადაეცა სპეციალიზებულ ბანკებს, რომლებიც აღიჭურვნენ როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი დაკრედიტების უფლებით. რეორგანიზების მთავარი ამოცანა იყო პროგრესული საკრედიტო პოლიტიკის რეალიზაცია და საკრედიტო სისტემის ეფექტიანობის ამაღლება. თუმცა, ეს იყო ისევ ერთდონიანი საბანკო სისტემა, სადაც მონოპოლია თავმოყრილი იყო 6 გიგანტურ სახელმწიფო საბანკო დაწესებულებაში.

მალე აღმოჩნდა, რომ რეორგანიზებული საბანკო სისტემა მოკლებული იყო ოპერატიულობასა და ელასტიურობას, მით უმეტეს, რომ საბჭოური წყობა და მისი ეკონომიკური სისტემა ნელ-ნელა იშლებოდა, პროცესები სულ უფრო უმართავი ხდებოდა. აქედან გამომდინარე, ხელისუფლების მხრიდან გრძელდებოდა კრიტიკული სიტუაციიდან გამოსავალი გზების ძიება. 1987 წელს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება რადიკალური ეკონომიკური რეფორმების გატარების შესახებ, რომელიც უნდა დაფუძნებოდა სრულ თვითდაფინანსებას, ეს კი საბანკო სისტემის „გადაწყობის“ გარეშე შეუძლებელი იყო. გადაწყდა, სახბანკის მთლიანი ქვედა რგოლის – განყოფილებების გადანაწილება სპეციალიზებულ ბანკებზე. თუმცა, ის მიზნები, რომლებიც საფუძვლად იდო საბანკო სისტემის რეფორმის ამ ეტაპში, შეუსრულებელი დარჩა რიგი გარემოებების გამო და ეს მალევე გახდა თვალსაჩინო.

საბჭოთა სოციალისტური ეკონომიკური წყობა კრახს განიცდიდა, საზოგადოებასა და ქვეყნის მმართველ ელიტაში 80-იანი წლების ბოლოდან თანდათან მომწიფდა აზრი, რომ საჭირო იყო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, ყოველ შემთხვევაში, მისი ელემენტების შემოტანა მაინც. აღნიშნული პროცესების რეალიზაცია შეეხო ეკონომიკის ყველა დარგს და, რა თქმა უნდა, საბანკო ბიზნესსაც – შეიქმნა პირველი არასახელმწიფოებრივი კომერციული და კოოპერაციული ბანკები. დაიწყო საბანკო სისტემის თვისობრივი და ზედაპირული რეორგანიზების პროცესი – დაიწყო ერთდონიანი საბანკო სისტემის რღვევა

და გამოიკვეთა ორდონიანი საბანკო სისტემის კონტურები. კერძო ბანკების რაოდენობამ სწრაფად იწყო ზრდა, თუკი 1988 წლის ბოლოსათვის საბჭოთა კავშირში მათი რიცხვი 43-ს არ აღემატებოდა, ერთ წელიწადში 225-ს მიაღწია, ხოლო კიდევ ერთი წლის შემდეგ 1350-ს გადააჭარბა.

მიუხედავად საბჭოთა კავშირის იმდროინდელი ხელისუფლების ყოველმხრივი მცდელობისა, სისტემური დეზინტეგრაციის პროცესები, რომლებიც მიმდინარეობდა ყველა მიმართულებით – პოლიტიკურ, ეკონომიკურ, საზოგადოებრივ და სოციალურ სფეროებში, შეუქცევადი იყო და 1991 წლის 26 დეკემბერს ოფიციალურად გაცხადდა საბჭოთა კავშირის დაშლის შესახებ. აღნიშნული კი ნიშნავდა, რომ თხუთმეტივე ყოფილი რესპუბლიკა, მათ შორის, საქართველო, პირისპირ აღმოჩნდა იმ პრობლემის წინაშე, რასაც ერქვა დამოუკიდებელი სახელმწიფოს და, შესაბამისად, დამოუკიდებელი ფინანსური და საბანკო სისტემების შექმნა.

4.2. საბანკო საქმის განვითარების თანამედროვე ეტაპი საქართველოში

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში მოქმედი საბჭოთა სახელმწიფო სპეციალიზებული ბანკები სამართლებრივად და ორგანიზაციულად ერთიანი, უნიფიცირებული საბანკო სისტემის შემადგენელი სტრუქტურული ელემენტები იყვნენ, ბუნებრივია, წინა პარაგრაფში აღნიშნული პროცესები მათაც შეეხო. ახალი რეალობის დადგომასთან ერთად დამოუკიდებელი ქართული საბანკო სისტემის შენების პერსპექტივა არცთუ სახარბიელო იყო, როგორც მაშინ ერთი შეხედვით ჩანდა, ვინაიდან სოციალისტური საბანკო სისტემა ახლად შეძენილი საბაზრო ელემენტებით უნდა გარდაქმნილიყო საბაზრო პრინციპებზე აწყობილ საბანკო-საკრედიტო სისტემად. ამ ტრანსფორმაციის საწყის ეტაპზე ის ადამიანები, რომელთაც უნდა შეექმნათ დამოუკიდებელი ქართული საბანკო სისტემა, შემდეგი პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ:

- მემკვიდრეობით მიღებული საბჭოური საბანკო სისტემა, მიუხედავად განხორციელებული რეფორმების რამდენიმე ეტაპისა, იყო ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის ნაწილი;
- მემკვიდრეობით მიღებული საბანკო სისტემა არ პასუხობდა საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს, შორს იდგა კლასიკური საბაზრო საკრედიტო ურთიერთობებისაგან, იყო ჩამორჩენილი და ბიუროკრატიული, მკაცრად რეგლამენტირებული საბანკო და სავალუტო კანონმდებლობით;
- არ არსებობდა საბაზრო ეკონომიკის შემადგენელი საბანკო სისტემის აშენებისათვის საჭირო ნორმატიული ბაზა, მეთოდოლოგია, გამოცდილება, უცხოურ ბანკებთან პირდაპირი ურთიერთობების პრაქტიკა და შესაბამისი კვალიფიციური კადრები;
- ყოველივე ზემოაღნიშნულს დაერთო ფულად-საკრედიტო სფეროს პრობლემები, რომლებიც გაჩნდა დამოუკიდებელი საბანკო სისტემის შენების პირველსავე წლებში.

დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობა მოითხოვდა სოციალისტური ეკონომიკის „გადაწყობას“, მის საბაზრო ეკონომიკის რელსებზე გადაყვანასა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ეკონომიკური დამოუკიდებლობის პრაქტიკულად რეალიზებას. ამისათვის აუცილებელი იყო მოქმედი ფულად-საკრედიტო სისტემის სრული რეორგანიზება, რაც უამრავ პრობლემასთან იყო დაკავშირებული.

საბჭოთა ეკონომიკის პირობებში კრედიტს დაკარგული ჰქონდა თავისი მთავარი ფუნქცია – რესურსების გადანაწილება ეკონომიკურ სუბიექტებს შორის ვადიანობისა და ფასიანობის პირობებით. საბჭოთა საბანკო სისტემის მიერ ეკონომიკური სუბიექტებისათვის მიწოდებული კრედიტები მათთვის საკუთარი საბრუნავი საშუალებები ხდებოდა და ხშირად საბიუჯეტო შემოსავლების შესავსებად გამოიყენებოდა. კრედიტი იქცა საბჭოთა სამეურნეო ორგანიზაციების ფინანსურ წყაროდ და ეს წყარო ხშირად უყაირათოდ გამოიყენებოდა. გარდა ამისა, გარდამავალ პერიოდში მნიშვნელოვნად დაეცა მრეწველობის დარგების მუშაობის ტემპები, გაღრმავდა კრიზისი აგროსამრეწველო კომპლექსში, სამეურნეო კავშირების მოშლამ საბჭოთა ეკონომიკურ სივრცეში გამოიწვია გადაუხდელობის მთელი ჯაჭვი, როცა საწარმოები ვეღარ იღებდნენ კონტრაგენტებისათვის მიწოდებული საქონლის ღირებულებას, ძლიერდებოდა ინფლაციური პროცესები, ფული კარგავდა თავის ფუნქციებს, აღორძინება დაიწყო ბარტერმა.

ტრანსფორმაციის პროცესი საბანკო სისტემაში ურთულესი ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების გამო მიმდინარეობდა სამართლებრივი, ინსტიტუციონალური და მეთოდოლოგიური კრიზისის ფონზე. ასეთი ვითარება არა მარტო საქართველოში, არამედ ყველა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში იყო, რამაც შეუძლებელი გახადა საბანკო რეფორმის სტრატეგიის განსაზღვრა. რეფორმები ხშირად მოუმზადებელი გადაწყვეტილებებისა და შეცდომების გზით მიმდინარეობდა.

დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო საბაზრო ეკონომიკისათვის აუცილებელი საბანკო სისტემის ინსტიტუციონალური საფუძვლების შექმნა: 1991 წლის აგვისტოში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო იღებს კანონებს: „საქართველოს რესპუბლიკაში ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ“, „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ“ და „საქართველოს რესპუბლიკაში ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ“, რითაც იწყებს საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზის შექმნას, რომელზეც უნდა დაშენებულიყო დამოუკიდებელი ქვეყნის საბაზრო ეკონომიკის ფულად-საკრედიტო სისტემა. ეროვნული ბანკის შექმნისა და ყოფილი საბჭოთა სახელმწიფო ბანკების სახელმწიფო-კომერციულ ბანკებად გარდაქმნის შემდეგ იწყება ორსაფეხურიანი საბანკო სისტემის ჩამოყალიბების პროცესი.

1992 წელს დამტკიცდა „ფასიანი ქაღალდების შესახებ დროებითი დებულება“ და „ერთობლივი ბანკებისა და უცხოური ბანკების ფილიალების რეგისტრაციისა“ და „უცხოურ ვალუტაში ოპერაციების წარმოებაზე ლიცენზიის გაცემის წესები“. კომერციულ ბანკებს მიეცათ ორგანიზაციებისა და კერძო პირებისათვის უცხოურ ვალუტაში ანგარიშების გახსნისა და წარმოების უფლება. მოიხსნა შეზღუდვები ანგარიშზე რიცხული სავალუტო სახსრების გაცემაზე, ნებადართული საბანკო საქმიანობის რიცხვში შევიდა ნაღდი ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები. იწყება ქართული ბანკების მიერ უცხოეთის ბანკებში საკორესპონდენტო ანგარიშების გახსნის პროცესი. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ქვეყნის საერთაშორისო სავალუტო რეზერვების შექმნის მიმართულებით. საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს დაევალათ სახელმწიფოსათვის სავალდებულო წესით საექსპორტო სავალუტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოსავლების 12%-ის მიყიდვა. აღსანიშნავია, რომ ეს მექანიზმი იმ დროისათვის ქვეყნის სავალუტო რეზერვების შევსების ერთადერთ წყაროს წარმოადგენდა, ვინაიდან რუსეთმა არ მოახდინა სსრკ სახელმწიფო ბანკის ოქროსა და სავალუტო მარაგების გადანაწილება საბჭოთა რესპუბლიკებზე. მალე, 1993 წლის მეორე ნახევრიდან, სავალდებულო მიყიდვას დაექვემდებარა სავალუტო ამონაგების 32%. ახალი ბანკების დაარსების პროცესი გრძელდებოდა და 1992 წლის ბოლოს საქართველოში უკვე 39 კომერციული ბანკი ფუნქციონირებდა.

1993 წლიდან ძალაში შედის ვალუტის გადამცვლელი პუნქტების გახსნისა და რეზიდენტებისათვის მიმდინარე სავალუტო ანგარიშების გახსნისა და წარმოების წესები. იქმნება „თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟა“, რომელიც „შავი ბაზრის“ შევიწროებისა და ეროვნული ბანკის მიერ მიზანმიმართული სავალუტო პოლიტიკის განხორციელების საქმეში მნიშვნელოვანი როლის შესრულებას იწყებს. ამ დროისათვის საქართველო ჯერ კიდევ სამანეთო ზონაში რჩებოდა, მაგრამ იმის გამო, რომ რუსეთმა შეწყვიტა ფულადი ნიშნების მოწოდება, წლის დასაწყისში სახელმწიფო იძულებული გახდა, მიეღო ნაჩქარევი და მოუმზადებელი გადაწყვეტილება დროებითი ფულადი ერთეულის, კუპონის შემოღების შესახებ, რომელიც მიმოქცევაში შევიდა აპრილიდან, ხოლო აგვისტოდან გამოცხადდა ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად საქართველოში. რუსულ მანეთს უცხოური ვალუტის სტატუსი მიენიჭა. ქვეყანაში ინფლაცია სერიოზულ მასშტაბებს აღწევს და ფართო გაქანება მიეცა ვალუტის ყიდვა-გაყიდვის შავ ბაზარს. მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა, როცა მთავრობამ ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად ეროვნული ბანკისაგან 1 ტრლნ კუპონზე მეტი სესხი მიიღო (სახელმწიფო შემოსავლების თითქმის 64%). 1993 წლის ბოლოს კომერციული ბანკების რაოდენობა 31-ით გაიზარდა და 70-ს მიაღწია.

1994 წელს ინფლაცია უკვე კატასტროფული მასშტაბებისაა, ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად უკვე 28 ტრლნ კუპონის სესხის გამოყოფა ხდება. გაუმართლებელმა ლიბერალურმა ფულად-საკრედიტო პოლიტიკამ კუპონის „ფასი“ მნიშვნელოვნად დასცა. იგი ფულის არც ერთ ფუნქციას აღარ ასრულებდა, რაც კიდევ უფრო ართულებდა სახელმწიფოს მხრიდან ქმედითი მონეტარული ღონისძიებების გატარებას. სოკოებივით ჩნდებოდნენ ბანკები, რომელთა შემოსავლების ძირითად წყაროს მოკლევადიანი სპეკულაციური ოპერაციები წარმოადგენდა. სწორედ 1992-1995 წლებს ემთხვევა ე.წ. „ჯიბის ბანკების“ შექმნა, როცა რამდენიმე ბანკისა და განსაკუთრებით რამდენიმე ათეული საფინანსო კომპანიის მიერ ზარალი მიადგა 60 ათასზე მეტ მეანაბრეს. მოზიდულ რესურსებზე ყოველთვიური 30%-მდე განაკვეთების ფართო რეკლამირება ხდებოდა მასმედიაში იმ საფინანსო კომპანიების მიერ, რომელთაც ამისათვის ნებართვაც (ლიცენზია) არ გააჩნდათ. საზოგადოების ფართო ფენები ვერ ხედავდნენ სხვაობას ბანკებსა და ფინანსური პირამიდების შემქმნელ საფინანსო კომპანიებს შორის და აიგივებდნენ მათ, რაც მშენებარე საბანკო სისტემის იმიჯზე მეტად ნეგატიურად აისახებოდა. ძირითადი მიზეზები, რომლებმაც გამოიწვია ამგვარი სიტუაცია, იყო სახელმწიფოს მხრიდან საბანკო საქმიანობის რეგულირების ინსტრუმენტების არარსებობა, ეროვნული ბანკის მხრიდან სუსტი საზედამხედველო პოლიტიკა და საბანკო ოპერაციებზე ლიცენზიების მიღების გაადვილებული სისტემა, რისი ნათელი მაგალითია ის, რომ ბანკების რიცხვი 1994 წლის განმავლობაში 156 ერთეულით გაიზარდა და წლის ბოლოსათვის 226-ს მიაღწია.

თუმცა, მნიშვნელოვანი იყო, რომ გრძელდებოდა ინსტიტუციონალური გარდაქმნები. საფუძველი ეყრებოდა საბანკო სისტემაში ელექტრონულ გარიშსწორებას, ეროვნული ბანკი იწყებს რეგულირებადი მცურავი საკურსო პოლიტიკის განხორციელებას, რომელიც ეფუძნებოდა ინტერვენციებს მისი მხრიდან თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე. მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ეროვნულ ბანკში ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის შექმნა, რომლის საშუალებითაც ხდებოდა კომერციული ბანკების დაკრედიტება საბაზრო, კონკურენტული პრინციპებით. ეროვნული ბანკი დგამს პირველ სერიოზულ ნაბიჯებს საბანკო სისტემის რეგულირების მიმართულებით: მტკიცდება წესი კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ბანკში განსათავსებელი აუცილებელი რეზერვების ფონდის შექმნის შესახებ და რეზერვების ნორმები (1 ივლისიდან – 10%, 1 აგვისტოდან – 15%, 1 სექტემბრიდან – 20%), ჩნდება პირველი მოთხოვნები ბანკების საწესდებო კაპიტალის მიმართ, მტკიცდება კომერციული ბანკების მოგებიდან სარეზერვო ფონდების შექმნისა და გამოყენების წესი, რომელიც ითვალისწინებს სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის შექმნას და ბანკების სარეზერვო ფონდების შექმნის საფუძველი ხდება.

საიმედო და მყარი საბანკო სისტემის ქვაკუთხედს სათანადოდ ჩამოყალიბებული ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა წარმოადგენს, რომელიც უზრუნველყოფს წონასწორობას საკრედიტო დაწესებულებებისადმი პერმანენტული ზედამხედველობის აუცილებლობასა და ბანკებისათვის საბაზრო პრინციპებზე დამყარებული თავისუფალი კონკურენციის პირობებს შორის. ამის გათვალისწინებით, 1995 წელს, ფაქტობრივად, იწყება საბანკო სისტემის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი, რომელიც ხორციელდებოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკისა და სხვა საერთაშორისო ინსტიტუტების მხარდაჭერით. რეფორმა ითვალისწინებდა ბანკების ლიცენზირებისა და ზედამხედველობის დახვეწასა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი აღრიცხვის, ზედამხედველობისა და რეგულირების ეტაპობრივად დანერგვას უწყობდა ხელს.

საბანკო სისტემის რეფორმირებასთან დაკავშირებით დაიწყო საბანკო კანონმდებლობის ახალ რეალობასთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესი, კერძოდ, მიღებულ იქნა ახალი კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“. კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების მიზნით წლის დასაწყისში შემოღებულ იქნა 5 სავალდებულო ნორმატივი, რომელთა რაოდენობა მაისში 7-მდე გაიზარდა. დაწესდა მოთხოვნები ბანკებისათვის მინიმალური საწესდებო ფონდის ოდენობის მიმართ (1996 წლის 1 ივნისამდე – 100, ხოლო შემდეგ – 500 ათასი აშშ დოლარის ოდენობით). ეროვნული ბანკი იღებს გადაწყვეტილებას მოქმედი კომერციული ბანკების სერტიფიცირების (ფაქტობრივად, ხელახალი ლიცენზირების) შესახებ, რომლის მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა მათ ლიკვიდაციას ნიშნავდა. სერტიფიცირების პროცედურის გასვლამდე ბანკებს ეკრძალათ დივიდენდების გაცემა. ამ და სხვა მოთხოვნების გამკაცრებამ გამოიწვია ის, რომ წლის განმავლობაში საქმიანობა შეწყვიტა 124 ბანკმა (ბანკების რაოდენობის ნახევარზე მეტი) და მათი რიცხვი 102-მდე მცირდება.

მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა სრულფასოვანი ეროვნული ვალუტის, ლარის შემოღება, რაც ხორციელება 25 სექტემბრიდან. უნდა აღინიშნოს, რომ სრულფასოვანი ეროვნული ვალუტის შემოსაღებად მზადება რამდენიმე წლით ადრე დაიწყო, მომზადდა ათეულობით ნორმატიული დოკუმენტი. სავალუტო

პოლიტიკის ჩამოყალიბების პროცესში გამოიკვეთა ამ პოლიტიკის კიდევ ერთი პრიორიტეტული მიმართულება – ქვეყანაში მოქმედი სავალუტო რეჟიმის მაქსიმალური ლიბერალიზაცია. განხორციელდა სახელმწიფო-კომერციული ბანკების (ყოფილი საბჭოთა სპეციალიზებული ბანკები) კომერციულ ბანკებად ჩამოყალიბება. მოხდა კომერციული ბანკის მიერ SWIFT-ის სისტემაში ჩართვის პირველი ფაქტი, იწყება პლასტიკური ბარათების გავრცელება.

1996 წელი იწყება იმით, რომ უქმდება საექსპორტო სავალუტო შემოსავლების 32%-ის ეროვნული ბანკისათვის სავალდებულო მიყიდვის წესი. საფინანსო სექტორის განვითარებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების უზრუნველსაყოფად მინიმალური სარეზერვო ნორმა მცირდება 18%-მდე, ხოლო 1 სექტემბრიდან – 15%-მდე, რაც ფულად-საკრედიტო სფეროში სტაბილიზაციაზე მიუთითებდა. ძალაში შედის ახალი კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ". მტკიცდება სერტიფიცირებული კომერციული ბანკების საქმიანობის ეკონომიკური ნორმატივებისა და ლიმიტების ახალი წესი 9 სავალდებულო და 3 სარეკომენდაციო ნორმატივით. შემოტანილ იქნა პირველადი და მეორადი კაპიტალის ცნებები. მტკიცდება უნაღდო ანგარიშსწორების, ასევე ანგარიშების გახსნისა და წარმოების ახალი წესები. მეტად მნიშვნელოვანი იყო კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირების წესის დამტკიცება, რამაც არსებითი გავლენა იქონია პრობლემური სესხებიდან ბანკების ბალანსების გაწმენდის, მათი საკრედიტო რისკების შემცირებისა და გონივრული საკრედიტო პოლიტიკის გატარებისათვის საფუძვლის შესაქმნელად.

სავალდებულო გარე საერთაშორისო აუდიტის ჩატარების შესახებ ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებს რეკომენდაციას აძლევს, გარე აუდიტორებად მოიწვიოს ყველაზე ცნობილი აუდიტორული კომპანიები, ხოლო ბანკები ვალდებულნი ხდებიან, პრესაში გამოაქვეყნონ აუდიტორების მიერ დამოწმებული ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში.

ეროვნული ბანკი, აღრიცხვა-ანგარიშგების მოწესრიგების მიზნით, საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად, იწყებს ახალი ანგარიშთა გეგმის დანერგვის სამუშაოებს. აღნიშნულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყო კომერციული ბანკების მყარ ფინანსურ ინსტიტუტებად ჩამოყალიბების პროცესს. 1996 წლის განმავლობაში არსებული კომერციული ბანკების რაოდენობა თითქმის განახევრდა, შემცირდა 41 ერთეულით და წლის ბოლოს 61 ბანკი აგრძელებდა ფუნქციონირებას.

1997 წლის განმავლობაში კვლავ გრძელდებოდა ეროვნული ბანკის მიერ სტრატეგიული ღონისძიებების განხორციელება: წესდება ახალი მოთხოვნები კომერციული ბანკებისათვის მინიმალური საწესდებო ფონდის ოდენობის შესახებ (5 მლნ ლარის ოდენობით ახლად რეგისტრირებული ბანკებისათვის, ხოლო მოქმედ ბანკებს დაუდგინდათ გრაფიკი ამ დონის მისაღწევად 2001 წლის 1 იანვრამდე), მტკიცდება დებულებები სახაზინო ვალდებულებებისა და კომერციული ბანკებისათვის ლომბარდული კრედიტის გაცემისა და დაფარვის შესახებ, ძალაში შედის კომერციული ბანკების მიერ საერთო ღია სავალუტო პოზიციის (სავალუტო რისკის) ლიმიტის დადგენის, გამოანგარიშებისა და დაცვის წესები. ეროვნულ ბანკში განსათავსებელი აუცილებელი რეზერვების ნორმა 1 სექტემბრიდან მცირდება 12%-მდე.

საქართველოს ხელისუფლებასთან შეთანხმებით და საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების გათვალისწინებით, საქართველოს

ეროვნული ბანკი წყვეტს ინტერვენციებს შიდა სავალუტო ბაზარზე უცხოური ვალუტის გაყიდვის გზით ეროვნული ვალუტის კურსის შესანარჩუნებლად. ამის შემდეგ საქართველოში უცხოური ვალუტის მიმართ ლარის გაცვლითი კურსის განსაზღვრას საფუძვლად წმინდა საბაზრო მექანიზმები დაედო, რაც ლარის კურსის საბაზრო წონასწორობის უზრუნველყოფასა და საერთაშორისო სავალუტო რეზერვების ხარჯვის შეჩერებას ისახავდა მიზნად.

1997 წელი ასევე მნიშვნელოვანი იყო იმითაც, რომ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს სხვადასხვა ბანკში რამდენიმე ანგარიშსწორების ანგარიშის გახსნის უფლება მიეცათ და ეროვნული ბანკი იწყებს საბანკო სისტემის ელექტრონულ ანგარიშსწორებაზე გადასვლის სამუშაოებს. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ ქართული ბანკებისათვის გახსნილი საკრედიტო ხაზები უკვე ჩვეულებრივი მოვლენა ხდება. ბანკები მნიშვნელოვნად აფართოებენ თავიანთი სერვისის მრავალფეროვნებას. ისინი ერთვებიან WESTERN UNION-ის სწრაფი ფულადი გზავნილების სისტემაში. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა პლასტიკური ბარათებით მომსახურების განვითარების მიმართულებით. დაფუძნდა პირველი საპროცესინგო ცენტრი და ბაზარზე გამოვიდა პირველი ქართული საკრედიტო ბარათი. 1997 წლის ბოლოს 53 ბანკი აგრძელებდა ფუნქციონირებას.

1998 წელს კვლავ გრძელდება საფინანსო და ფულად-საკრედიტო სისტემის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა: ძალაში შედის კანონები ფასიანი ქაღალდების ბაზრისა და არასახელმწიფო საპენსიო ფონდების შესახებ. მტკიცდება კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების ახალი დებულება. ჩნდება ისეთი ცნებები, როგორებიცაა: „ზედამხედველობის მიზნით განსაზღვრული მთლიანი კაპიტალი“, „რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები“, მტკიცდება 12 სავალდებულო ნორმატივი. მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა ეროვნული ბანკის მიერ ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებათა რეპო ოპერაციების დაწყება. ამავე წელს დაფიქსირდა სავალუტო კრიზისი, რომლის გამოც და ასევე საგარეო ფაქტორების გავლენით შიდა სავალუტო ბაზარზე ჭარბი მოთხოვნის გასანეიტრალებლად აუცილებელი გახდა სავალდებულო რეზერვების ნორმის 12%-დან 16%-მდე გაზრდა. წლის ბოლოს საქართველოში 45 ბანკი აგრძელებდა ფუნქციონირებას.

1999 წლის მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა „საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკის“ (დღევანდელი „პროკრედიტბანკი“ დაფუძნება, როგორც საერთაშორისო პროექტი, რომლის დამფუძნებლები საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების (KFW, IFC, ნიდერლანდების ფონდი განვითარებადი ქვეყნების დაფინანსებისათვის – FMO) გარდა, გახდა ქართული ბანკები („თიბისი ბანკი“ და „ინტელექტბანკი“). ძალაში შედის უნაღდო ანგარიშსწორების ახალი წესები. მნიშვნელოვნად გაფართოვდა ქვეყანაში სწრაფი ფულადი გადარიცხვების სისტემები, საერთაშორისო სისტემებში ჩართვის გარდა, ქართული ბანკები ქმნიან სწრაფი ფულადი გადარიცხვების საკუთარ სისტემებს. საქართველოში ჩნდება პირველი ბანკომატები. 1999 წლის ბოლოსათვის 39 ბანკი აგრძელებდა ფუნქციონირებას.

2000 წელს ისევ გრძელდება ფულად-საკრედიტო სისტემის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა: იქმნება კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესი, იწყება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარტებზე გადასვლის მოსამზადებელი პერიოდი. ღია ბაზარზე ოპერაციების ინსტრუმენტის – რეპო და უკურეპო ოპერაციების წარმოების მიზნით ეროვნული ბანკი პირველად იწყებს სახაზინო ვალდებულებების საკუთარი პორტფელის ფორმირებას ფინანსთა სამინისტროდან მათი პირდაპირი შესყიდვის გზით. სტაბილიზაციის კვალობაზე ეროვნულ ბანკში განსათავსებელი აუცილებელი რეზერვების ნორმა 2000 წლის 20 მაისიდან 16%-დან მცირდება 15%-მდე, 20 ივნისიდან 14%-მდე. 2000 წლის ბოლოს მოქმედი ბანკების რიცხვი 32-მდე მცირდება.

2001 წლიდან ბანკები გადადიან ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად დარიცხვის მეთოდზე, მნიშვნელოვანი ნაბიჯები იდგმება დროის რეალურ რეჟიმში ოპერაციების განხორციელების მიმართულებით: ინერგება ანგარიშსწორების სისტემა „მონტრანი“. გრძელდება ნორმატიული ბაზის სრულყოფის სამუშაოები – შედის ცვლილებები უნაღდო ანგარიშსწორების, ღია სავალუტო პოზიციის, სავალდებულო ეკონომიკური ნორმატივების გაანგარიშების, ფინანსური ანგარიშგებების წესებში და ა.შ. მტკიცდება მნიშვნელოვანი დოკუმენტი: „ინტერესთა კონფლიქტის და ბანკის ადმინისტრატორებსა და მათთან დაკავშირებულ პირებს შორის ოპერაციების განხორციელების დებულება“. დამტკიცდა ახალი „კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესი“, რომლის ერთ-ერთ სიახლეს წარმოადგენდა „საზედამხედველო კაპიტალის“ ტერმინის დამკვიდრება. 2001 წლის ბოლოსათვის 28 ბანკი ფუნქციონირებს.

2002 წლის მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების-საკრედიტო კავშირების შესახებ კანონის მიღება და ასევე მათი საქმიანობის ეროვნული ბანკის ზედამხედველობის ქვეშ მოქცევა. მნიშვნელოვანი იყო კომერციული ბანკების ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ დებულების დამტკიცება, რითაც მკაცრად განისაზღვრა ის მოთხოვნები, რაც წაეყენება კომერციული ბანკების ხელმძღვანელ პირებს. ინტენსიურად მიმდინარეობს საბანკო მომსახურების არეალის გაფართოება ახალი ტექნოლოგიების ათვისებით. ბანკებმა დაიწყეს ინტერნეტითა და ტელეფონებით დისტანციური საბანკო მომსახურების გაწევა. 2002 წლის ბოლოსათვის მოქმედი ბანკების რიცხვი 26-მდე შემცირდა.

2003 წელს ეროვნული ბანკი იწყებს სადეპოზიტო ოპერაციებისა და კომერციული ბანკებისათვის ერთდღიანი კრედიტების გაცემის მექანიზმების ამოქმედებას. ამ „ოვერნაიტის“ ტიპის საკრედიტო და სადეპოზიტო ოპერაციების შემოღებამ საფუძველი ჩაუყარა ეროვნული ბანკის მიერ ოფიციალური საპროცენტო განაკვეთის გამოცხადებას. წესდება ახალი მოთხოვნები კომერციული ბანკებისათვის საზედამხედველო კაპიტალის ოდენობის შესახებ (12 მლნ ლარი ახლად რეგისტრირებული ბანკებისათვის, ხოლო მოქმედ ბანკებს დაუდგინდა გრაფიკი ამ დონეების მისაღწევად 2008 წლის ბოლოსათვის), რითაც კიდევ ერთხელ აღინიშნა ეროვნული ბანკის მხრიდან კომერციული ბანკების კაპიტალისა და მისი ხარისხობრივი სტრუქტურისადმი მინიჭებულ მნიშვნელობა. მნიშვნელოვანი იყო ასევე საქართველოს საბანკო სისტემაში დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემის (RTGS) უქაღალდო ტექნოლოგიაზე გადაყვანა.

საფინანსო და სავალუტო სტაბილურობის ფონზე, რომელიც ჩამოყალიბდა ქვეყანაში, ეროვნული ვალუტით საბანკო შუამავლობის გააქტიურების სტიმულირებისა და საპროცენტო განაკვეთების შემცირების ხელშეწყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისათვის ეროვნული ბანკი იღებს გადაწყვეტილებას მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ახალი წესის მიღების შესახებ, რომლის მიხედვითაც, ნორმა განისაზღვრა უცხოურ ვალუტაში მოზიდულ სახსრებზე 13%-ით, ხოლო სალარე ანგარიშებზე – 2%-ით. წლის ბოლოსათვის 24 ბანკი აგრძელებდა ფუნქციონირებას.

2004 წელი მნიშვნელოვანი იყო „ფულის გათეთრების" წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებით. პირველად ხდება საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია ***FitchRatings***-ის მიერ ქართული ბანკებისათვის რეიტინგის მინიჭება („თიბისი ბანკს" და „პროკრედიტბანკს" მიენიჭა „CCC+" დონე, რომელიც შემდეგ წელს პირველს „B-", ხოლო მეორეს – „B-" დონემდე გაეზარდათ). 2004 წლის ბოლოს 21 ბანკი აგრძელებდა ფუნქციონირებას.

2005 წელი იწყება იმით, რომ მტკიცდება დებულება „საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შიდა ბაზარზე სავალუტო სვოპ ოპერაციების განხორციელების შესახებ". ქვეყანაში მიმდინარე პროცესები ცხადყოფს, რომ ქართული საბანკო სისტემა სწორი მიმართულებით ვითარდება. ქართული საბანკო სისტემა იწყებს გრძელვადიანი, 20-წლიანი იპოთეკური სესხების გაცემას. იხვეწება და სრულყოფილი ხდება საბანკო სერვისი, იწყება საბანკო პროდუქტების პაკეტების შექმნა მიზნობრივი სეგმენტებისათვის. ბაზარზე გამოჩნდა პირველი ქართული ჩიპური პლასტიკური ბარათები. მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა პირველი შემთხვევა ბანკის მიერ კორპორაციული ობლიგაციების გამოშვებისა. 2005 წლის ბოლოსათვის ბანკების რიცხვი 19-მდე შემცირდა.

2006 წელს საბანკო სისტემაში დაიწყო რეფორმების ახალი პერიოდი, რომელმაც მნიშვნელოვნად შეცვალა მანამდე არსებული მდგომარეობა საბანკო-საფინანსო ბაზარზე. წლის დასაწყისში დამტკიცდა „კომერციული ბანკების მიერ ფილიალის, განყოფილებისა (სერვისცენტრის) და წარმომადგენლობის შექმნის" და „კომერციულ ბანკებში ნაღდ ფულსა და სხვა ფასეულობასთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოების" ახალი წესები, ასევე „კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალობის წესი", რომელმაც დაავალდებულა კომერციული ბანკები, გამოექვეყნებინათ ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები, ასევე ინფორმაცია აქციონერებისა და მენეჯმენტის შესახებ ბეჭდურ მედიასა და ეროვნული ბანკის ვებგვერდზე. საქართველოს ეროვნული ბანკი იწყებს საკუთარი ფასიანი ქაღალდების – სადეპოზიტო სერტიფიკატების ემისიას. „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების ლიცენზირებისა და მათი საქმიანობის ზედამხედველობის" ახალმა წესმა მნიშვნელოვნად გაამარტივა სავალუტო პუნქტების ლიცენზირების მოქმედი წესი. ფინანსური სისტემის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი იყო მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ კანონის მიღება და მათი ეროვნული ბანკის ზედამხედველობის ქვეშ მოქცევა, მტკიცდება მათთვის ანგარიშთა გეგმა, ანგარიშგების ფორმები და სხვა ნორმატიული დოკუმენტაცია. გაუქმდა კომერციული ბანკის მფლობელთა რაოდენობაზე არსებული შეზღუდვა, რომლის მიხედვით, 25%-იანი მაქსიმალური წილის ფლობის უფლება გაიზარდა 100%-მდე, ანუ ერთ პირს მიეცა ბანკის სრულად კონტროლის შესაძლებლობა.

გრძელდებოდა ეროვნული ბანკის რეორგანიზება, კერძოდ, გაუქმდა მისი ფილიალების ნაწილი, ხოლო დარჩენილი ფილიალები შემდეგ საკასო მომსახურების ცენტრებად გარდაიქმნა. ამავე პერიოდში იწყება ეროვნული ბანკის ახალი საკასო ცენტრის მშენებლობა. ფულის ბეჭდვის ხარჯების ეკონომიის მიზნით ეროვნული ბანკი მიმოქცევაში უშვებს რკინის 1- და 2-ლარიან მონე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტებს, ასევე 200-ლარიან ბანკნოტებს. დაიწყო ოქროს საინვესტიციო მონეტების ემისია. მოხდა საქართველოში დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შექმნის ინიცირება, თუმცა, ამ პროცესმა გაგრძელება ვერ პოვა. კომერციული ბანკების რაოდენობა 2006 წლის ბოლოს 17-ს შეადგენდა.

2007 წელს მტკიცდება „დებულება საბანკო პლასტიკური ბარათების შესახებ" და განახლებული „საქართველოში უნაღდო ანგარიშსწორების წესები". შედის მნიშვნელოვანი ცვლილებები „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ", „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" და სხვა კანონებში. ამ ცვლილებების შედეგად განხორციელდა ფასიანი ქაღალდებისა და სადაზღვევო ბაზრების მაკონტროლებელი ორგანოების – საქართველოს ფასიანი ქაღალდების კომისიისა და დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ლიკვიდაცია და ამ ბაზრების ზედამხედველობის ფუნქციის ეროვნულ ბანკზე გადაცემა. ამგვარად, ფაქტობრივად, ქვეყნის მთელი ფინანსური ბაზრის კონტროლისა და ზედამხედველობის ყველა ბერკეტმა საქართველოს ეროვნული ბანკის ხელში მოიყარა თავი. 2007 წლის ბოლოს ბანკების რაოდენობა ერთი ერთეულით იზრდება და 18-ს შეადგენს.

2008 წელს მტკიცდება მნიშვნელოვანი ნორმატიული დოკუმენტები, როგორებიცაა: „კომერციული ბანკების გარეაუდიტორული შემოწმების წესი", „დებულება კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე", „საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციულ ბანკებზე რეფინანსირების სესხების გაცემის შესახებ", ასევე „კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების" ახალი წესი. შედის მნიშვნელოვანი ცვლილებები კანონებში „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ", რომელთა შორის უმთავრესი იყო საქართველოს ეროვნული ბანკიდან ზედამხედველობის ფუნქციის „გამოტანა" და „საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს" შექმნა.

თუმცა, 2008 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომი და შემდეგ განვითარებული მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი იყო, რომელთაც, ბუნებრივია, დიდი გავლენა იქონიეს საქართველოს საბანკო სისტემაში მიმდინარე პროცესებზე. ხუთდღიანი ომის შემდეგ ბანკებმა შეაჩერეს კრედიტების გაცემა, ეროვნულმა ბანკმა ერთკვირიანი „საბანკო არდადეგები" გამოაცხადა, შეიზღუდა სხვადასხვა ოპერაცია. მალე დაიწყო ანაბრების გატანის პროცესი და მხოლოდ აგვისტოში ბანკების ფულადი სახსრები 26%-ით შემცირდა. საბანკო სისტემის აქტივები სულ რაღაც სამ თვეში 12%-ით, ანუ 1 მლრდ ლარით შემცირდა. ეროვნულმა ბანკმა განაცხადა თავისი სავალუტო რეზერვების გახსნის მზადყოფნის შესახებ საბანკო სისტემის ლიკვიდობის შესანარჩუნებლად. მანვე დაიწყო ერთკვირიანი რეფინანსირების სესხების გაცემა კომერციულ ბანკებზე, ხოლო რეფინანსირების განაკვეთი ეტაპობრივად 12%-დან 10%-მდე დასწია. ასევე შეამცირა კომერციული ბანკების სავალდებულო ლიკვიდობის ნორმატივი 30%-დან 20%-მდე, ხოლო მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები ჯერ 13%-დან 10%-მდე, ხოლო სექტემბრის ბოლოს 5%-მდე დასწია. აღნიშნული დონე უცვლელი რჩებოდა 2010 წლის აპრილამდე.

ომით გამოწვეული ზარალის დასაფარავად 2008 წლის ოქტომბერში ქ. ბრიუსელში, დონორების საერთაშორისო კონფერენციაზე, გადაწყდა საქართველოსათვის 4.5 მლრდ აშშ დოლარის დახმარების გამოყოფა, რამაც უდიდესი როლი შეასრულა ქვეყნის კრიზისიდან გართულებების გარეშე გამოსვლის საქმეში.

შემცირებული საბანკო აქტივობისა და მსესხებლების (განსაკუთრებით – იპოთეკური და სამომხმარებლო) პრობლემების გამო, ვადაგადაცილებების ზრდამ საბანკო სისტემას მნიშვნელოვანი ფინანსური ზარალი მიაყენა. ქართულმა კომერციულმა ბანკებმა დაიწყეს ხარჯების შემცირების გზების ძიება, კერძოდ, არარენტაბელური ფილიალების დახურვა, თანამშრომლების დათხოვნა, არაპროცენტული ხარჯების, განსაკუთრებით – ხელფასების შემცირება. მიუხედავად მიღებული ზომებისა, საბანკო სისტემამ როგორც 2008, ისე 2009 წელსაც ზარალით დაამთავრა. 2008 წლის განმავლობაში ბანკების რაოდენობა გაიზარდა 4-ით და შემცირდა 2 ერთეულით, წლის ბოლოსათვის 20 ბანკი ფუნქციონირებდა. თუმცა, ეს ზრდა 2008 წლის დასაწყისში განხორციელდა.

2009 წელს, კრიზისიდან გამოსვლის გზების ძიებასთან ერთად, გრძელდება საბანკო სისტემის რეფორმირების ახალი ეტაპისათვის დამახასიათებელი ნორმატიული აქტების გამოცემა: „დებულება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სავალუტო აუქციონის ჩატარების შესახებ“ და ახალი ინსტრუქცია „საქართველოს საბანკო დაწესებულებაში ანგარიშების გახსნის შესახებ“. მნიშვნელოვანი იყო ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის განვითარების, ქვეყანაში ფინანსური და ფასების სტაბილურობის, აგრეთვე საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო პოლიტიკის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით „ბლუმბერგის სავაჭრო სისტემის გამოყენებით ვალუტით ელექტრონული ვაჭრობის წესის“ და „სხვა ქვეყნების ვალუტების მიმართ ეროვნული ვალუტის ოფიციალური გაცვლითი კურსის განსაზღვრის წესის“. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ ორგანულ კანონში“ ცვლილებებმა ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ საჭირო გახდა ახალი კანონის მიღება, რომელიც უკვე მესამე იყო 1991 წლიდან. მნიშვნელოვანი იყო ასევე „საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს“ ისევ ეროვნული ბანკის სტრუქტურაში შესვლასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილება. 2009 წლის ბოლოს 19 ბანკი ფუნქციონირებდა.

2010 წელი გარდამტეხი აღმოჩნდა საბანკო სისტემის კრიზისიდან გამოსვლის მიმართულებით. წელი მნიშვნელოვანი იყო „საგადახდო სისტემაში ელექტრონული საქმიანობის განხორციელების“ და „საგადახდო და ფასიანი ქაღალდების სისტემაში (GPSS) ელექტრონული დოკუმენტისა და ციფრული ხელმოწერის გამოყენების“ დებულებების დამტკიცებით, რამაც უზრუნველყო საგადახდო სისტემის მონაწილე სუბიექტებს შორის ურთიერთობის მოწესრიგება და მათი უფლებების დაცვა. მნიშვნელოვანი იყო ასევე ბანკებში საერთაშორისო საბანკო ანგარიშის ნომრის გამოყენების პრინციპებისა და პროცედურის დადგენა, საბანკო ანგარიშების ნომრის სტანდარტიზაცია, დაინერგა საერთაშორისო საბანკო ანგარიშის ნომერი (IBAN). წლის განმავლობაში ბანკების რაოდენობა – 19 უცვლელი დარჩა.

2011 წელს მტკიცდება „ლარის ბანკნოტებისა და მონეტების რეპროდუცირების წესი“ და „დებულება საგადახდო ბარათების შესახებ“. ბანკის მომხმარებელთა დაცვის კუთხით ძალიან მნიშვნელოვანი იყო „კომერციული ბანკების მიერ საბანკო მომსახურების გაწევისას მომხმარებლისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების წესის“ დამტკიცება, რომელიც ავალდებულებს კომერციულ ბანკებს ფიზიკური პირებისათვის სამომხმარებლო კრედიტის გაცემისა და სადეპოზიტო მომსახურების გაწევის დროს სრული, აუცილებელი, გასაგები, უტყუარი და თავისდროული ინფორმაციის თანმიმდევრულ მიწოდებას.

ეროვნულმა ბანკმა გააუქმა ანგარიშის გახსნისა და უცხოურ ვალუტაში ოპერაციების წარმოების რამდენიმე ინსტრუქცია და დაამტკიცა ახალი „სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბანკო დაწესებულებებში ანგარიშების გახსნის და უცხოურ ვალუტაში ოპერაციების წარმოების ინსტრუქცია". მნიშვნელოვანი იყო ის, რომ რისკებზე ორიენტირებულ ზედამხედველობაზე გადასვლის ფარგლებში ეროვნულმა ბანკმა 2011 წლის სექტემბერში გამოაცხადა „ბაზელ II/III-ის" დანერგვის გეგმა. ასევე, შემუშავდა საინფორმაციო ტექნოლოგიების რისკების მართვის პროგრამაც, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს ისეთ თემებს, როგორებიცაა: საბანკო სისტემაში არსებული საინფორმაციო ტექნოლოგიების რისკების მართვის გარემო, საინფორმაციო და კიბერუსაფრთხოება, ბიზნესის უწყვეტობის გეგმა და სხვ.

წლის განმავლობაში ეროვნული ბანკი საბანკო სისტემიდან საშუალოვადიანი ლიკვიდობის დასაბალანსებლად აქტიურად იყენებდა სადეპოზიტო სერტიფიკატებს. იგი 3-თვიანი ფასიანი ქაღალდების პარალელურად იწყებს 6-თვიანი სადეპოზიტო სერტიფიკატების ემისიაც, რაც გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ ფინანსთა სამინისტრომ შეწყვიტა ანალოგიური ვადიანობის სახაზინო ვალდებულებების გამოშვება და უფრო გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდების ემისიაზე გადაერთო. წლის განმავლობაში ბანკების რაოდენობა 19 უცვლელი დარჩა.

2012 წელი იწყება იმით, რომ საქართველოში ოქროს ბაზრის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ეროვნულ ბანკს შემოაქვს ახალი საინვესტიციო ფინანსური ინსტრუმენტი და მტკიცდება შესაბამისი „საქართველოს ეროვნული ბანკის ოქროს სერტიფიკატების დებულება" (მანამდე არსებობდა ოქროს საინვესტიციო მონეტები „ოქროს საწმისი"). მალევე მტკიცდება „კომერციული ბანკების სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატების დებულება", რომელმაც ბანკებს სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატების (3, 6, 9,12, 18 ან 24 თვის ვადიანობის საბანკო დეპოზიტის (ანაბარი)) გამოშვების, რეგისტრაციისა და მიმოქცევის საშუალება მისცა. საგადახდო სისტემის სრულყოფის მიმართულებით დამტკიცდა „საგადახდო სისტემის ოპერატორის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის და რეგისტრაციის გაუქმების წესი", რომლის ძალითაც საგადახდო სისტემის ყველა მოქმედ და ახალ ოპერატორს საქართველოს ტერიტორიაზე საგადახდო სისტემის მართვის უფლება მიეცა მხოლოდ ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის შემდეგ.

მოხდა მანამდე არსებული რამდენიმე ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება და მათი ახალი რედაქციით დამტკიცება, კერძოდ: „მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესი და პირობები", „საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ბოლო ინსტანციის სესხის გაცემის წესი და პირობები" და „კომერციულ ბანკებში ნაღდ ფულსა და სხვა ფასეულობასთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოების წესი".

2012 წელი (ალბათ 2011 წელიც) გამორჩეული იყო იმით, რომ საბანკო სისტემას მნიშვნელოვნად შეეხო პოლიტიკური პროცესები, რომლებიც დაკავშირებული იყო ახალ საპარლამენტო არჩევნებთან და ხელისუფლების ცვლილებასთან. ეროვნული ბანკი იღებს ცვლილებებს საფინანსო სექტორის ზედამხედველობის გამკაცრების მიმართულებით. განსაკუთრებით დაზარალდა ამ კუთხით საბანკო საიდუმლოება, კერძოდ, გაფართოვდა კლიენტებისა და მათი ოპერაციების შესახებ ეროვნულ ბანკში მისაწოდებელი ინფორმაციის არეალი და ინტენსივობა და ამ ინფორმაციის ძალოვანი სტრუქტურების ხელმისაწვდომობა. ეროვნულ ბანკს მიენიჭა საფინანსო სექტორის წარმომადგენლებისაგან ნებისმიერი ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური) მოთხოვნისა და მიღების უფლებამოსილება. ზოგადად, 2011-2012 წლებში

ეროვნულმა ბანკმა და საქართველოს პარლამენტმა განახორციელეს უპრეცედენტოდ ბევრი ცვლილება საფინანსო ბაზრის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებში. წლის განმავლობაში ბანკების რაოდენობა 20-მდე გაიზარდა.

2013 წელს დამტკიცდა რამდენიმე დოკუმენტი: „კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის და რეგულირების წესი“, „საქართველოს ეროვნული ბანკის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ და „კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესის“ ახალი რედაქცია. ასევე, წლის ბოლოს, დამტკიცებულ იქნა „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულების“ ახალი რედაქცია, რომლის ძალითაც დამტკიცდა პრინციპულად ახალი მიდგომები კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნისადმი. მნიშვნელოვანი იყო ის გარემოება, რომ შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებებით სადაზღვევო ბაზრის მარეგულირებელი და ზედამხედველობის ფუნქცია კვლავ გამოეყო ეროვნულ ბანკს (რომელიც მას 2007 წელს გადაეცა). სადაზღვევო ბაზრის მარეგულირებელი ფუნქცია გადაეცა ახლად შექმნილ (უფრო სწორად – აღდგენილ) საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს. წლის განმავლობაში კომერციული ბანკების რაოდენობა გაიზარდა და 21 შეადგინა, რომელთაგან 20-ში უცხოური კაპიტალი მონაწილეობდა და თითქმის ყველა ბანკში მათი მონაწილეობა 50%-ზე მეტია.

რა შეიძლება ითქვას საქართველოს საბანკო სისტემაზე, რომელმაც განვლო რეფორმის საკმაოდ რთული გზა? უკვე დიდი ხანია, როგორც ქართველ, ისე უცხოელ ექსპერტთა აღიარებით, საქართველოში რეფორმებისა და ინსტიტუციონალური ჩამოყალიბების თვალსაზრისით, ყველაზე წინ სწორედ კომერციული ბანკები წავიდნენ. საქართველოში ფულად-საკრედიტო სისტემის ინსტიტუციონალური ჩამოყალიბების, მაკროეკონომიკური გარემოს სტაბილიზაციის პროცესის, კომერციული ბანკების წარმოშობისა და განვითარების, საბანკო რეფორმის ჩატარების სხვადასხვა ეტაპის შედეგად ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ფინანსურ სისტემაში ჩამოყალიბდა დადებითი ტენდენციები, რომელთაგან აღსანიშნავია რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი:

- სახელმწიფომ შეძლო ეკონომიკის სტაბილიზაციისა და ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემების თანმიმდევრული ერთიანი პოლიტიკის განხორციელება;
- ფულის რაციონალური მიწოდების საფუძველზე, შესაძლებელი გახდა ინფლაციური პროცესების მართვა და შენარჩუნდა სხვა ვალუტების მიმართ ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობა;
- მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მიღწეული ბანკების კონსოლიდაციისა და გამსხვილების საქმეში, რაც ბანკებს შორის კონკურენციის გაზრდასთან ერთად მნიშვნელოვნად განაპირობა მინიმალური საწესდებო კაპიტალის ეტაპობრივმა გაზრდამ;
- სტაბილურმა გაცვლითმა კურსმა, საბანკო სისტემისადმი მოსახლეობის ნდობის ამაღლებამ დადებითი ზეგავლენა მოახდინა დეპოზიტებისა და საკრედიტო დაბანდებების ზრდაზე;
- შეიქმნა კომერციული ბანკების ზედამხედველობისა და რეგულირების მოქნილი სისტემა;
- შეიქმნა საბუღალტრო აღრიცხვის, აუდიტისა და ინფორმაციის გამჭვირვალობის ქმედითი სისტემა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

- დღეისათვის უკვე ახალი საბანკო ტექნოლოგიებისა და უახლესი პრო-სახურების დანერგვით ქართული ბანკები მომხმარებლებს სთავაზობენ საბანკო მომსახურების თითქმის სრულ სპექტრს;
- საბანკო სისტემაში თავი მოიყარა კვალიფიციურმა კადრებმა, რომელთა ცოდნის ამაღლებისათვის ბანკებში სულ უფრო მეტი თანხა იხარჯება;
- ქართული ბანკების სახით ქვეყანაში ჩამოყალიბდა მნიშვნელოვანი ფინანსური ინსტიტუტები.

რა თქმა უნდა, საბანკო სისტემის რეფორმის რამდენიმე წარმატებულმა ეტაპმა უზრუნველყო საბანკო სისტემის რაოდენობრივი, ფინანსური და ხარისხობრივი მაჩვენებლების დადებითი დინამიკა. ქვემოთ (ცხრ. №4.1.) მოცემულია ძირითადი მონაცემები ამ მიმართულებებით.

ცხრ. №4.1. საქართველოს საბანკო სისტემის ძირითადი მაჩვენებლები (პერიოდის ბოლოს)

პერიოდი	წმინდა აქტივები (მლნ ლარი)	სესხები (მლნ ლარი)	არასაბანკო დეპოზიტები (მლნ ლარი)	საბანკო დეპოზიტები და ნასესხები სახსრები (მლნ ლარი)	საკუთრივ კაპიტალი (მლნ ლარი)	წმინდა მოგება (მლნ ლარი)	საბანკო აქტივები/მშპ (%)	სესხები/მშპ (%)	დეპოზიტები/მშპ (%)	კომერციული ბანკები (რ-ბა)
1992										39
1993										70
1994										226
1995	278	138	78	84	35					102
1996	262	124	94	55	60		6.8		2.0	61
1997	360	178	140	72	100		7.9		2.9	53
1998	478	230	171	112	147	22.4	9.5	4.6	3.0	45
1999	602	306	212	143	203	23.8	10.6	5.4	3.4	39
2000	750	430	320	151	234	3.3	12.4	7.1	4.8	32
2001	880	490	422	171	270	13.0	13.2	7.6	6.0	28
2002	1,116	629	575	201	316	43.5	15.0	8.3	6.7	26
2003	1,336	786	717	230	354	49.6	15.6	8.8	7.6	24
2004	1,697	965	971	310	373	27.5	17.3	9.5	9.3	21
2005	2,548	1,730	1,310	675	479	61.8	21.9	14.6	10.5	19
2006	4,228	2,681	2,097	1,085	898	93.0	30.7	19.2	14.3	17
2007	7,208	4,589	3,215	2,239	1,471	109.3	42.4	26.6	17.3	18
2008	8,866	5,993	3,568	3,451	1,517	-215.7	46.5	30.6	17.5	20
2009	8,293	5,185	3,950	2,591	1,517	-65.3	46.2	28.0	19.7	19
2010	10,564	6,261	5,489	2,952	1,788	156.3	50.8	29.3	23.2	19
2011	12,679	7,739	6,745	3,248	2,104	323.0	52.3	31.0	23.4	19
2012	14,355	8,733	7,650	3,820	2,380	134.2	54.9	32.5	24.3	19
2013	17,272	10,566	9,665	4,191	2,893	389.1	64.4	38.5	29.56	21

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი ქართული საბანკო სისტემა ჩამოყალიბდა როგორც ყველაზე შემოსავლიანი, ტექნოლოგიურად – ყველაზე განვითარებული, ინტელექტუალური პოტენციალით – ყველაზე მძლავრი ბიზნესსექტორი.

4.3. საქართველოს საბანკო-საკრედიტო სისტემა

დამოუკიდებელი საქართველოს საბანკო სისტემის ორ ათეულზე მეტი წლის რეფორმირებისა და ინსტიტუციონალური განვითარების შედეგად ჩამოყალიბდა ქვეყანაში ყველაზე წარმატებული სექტორი, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს მის ეკონომიკურ ცხოვრებაში.

იმის კვალობაზე, რომ საქართველოს საფინანსო ბაზარი ვითარდებოდა და ჩნდებოდა ახალი ფინანსური ინსტიტუტები, იცვლებოდა თამაშის წესებიც. ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში ეტაპობრივად ხორციელდებოდა მნიშვნელოვანი პრუდენციული ცვლილებები, რომელთა ძალითაც თანდათან მოხდა მთელი ფინანსური სექტორის საქართველოს ეროვნულ ბანკზე დაქვემდებარება. თავდაპირველად საქართველოს ეროვნული ბანკი ახდენდა მხოლოდ კომერციული ბანკებისა და ვალუტის გადამცვლელი პუნქტების ზედამხედველობას. მალე (2002 წლიდან) ჯერ არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები – საკრედიტო კავშირები, შემდეგ კი (2006 წლიდან) – მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, მოექცნენ საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობის ქვეშ.

განსაკუთრებული ცვლილებები ეროვნული ბანკის უფლებამოსილებების გაზრდის მიმართულებით განხორციელდა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, როცა მისი ზედამხედველობის ქვეშ მოექცა ჯერ სადაზღვევო (2007 წლიდან), შემდეგ – ფასიანი ქაღალდების (ასევე 2007 წლიდან), ბოლოს კი – არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევის (2009 წლიდან) ბაზრების მონაწილეები. საბოლოო ჯამში, მივიღეთ სურათი, რომლის მიხედვით: „ეროვნულ ბანკს მინიჭებული აქვს სრული უფლებამოსილება, ზედამხედველობა გაუწიოს კომერციული ბანკების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, სადაზღვევო ორგანიზაციების, გადამზღვეველი კომპანიების, არასახელმწიფო საპენსიო სქემების დამფუძნებლების, ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორების, საბროკერო კომპანიების, საფონდო ბირჟის, ცენტრალური დეპოზიტარის, სპეციალიზებული დეპოზიტარის, აქტივების მმართველი კომპანიების, ანგარიშვალდებული საწარმოების, საგადახდო სისტემის ოპერატორისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერის საქმიანობას ამ ორგანული კანონისა და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე“ [8].

ამგვარად, თანახმად ორგანული კანონისა „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ – ქვეყანაში ჩამოყალიბდა ორდონიანი საბანკო სისტემა, რომლის პირველ დონეზე იდგა საქართველოს ეროვნული ბანკი, ხოლო მეორე დონეზე – საფინანსო სექტორის წარმომადგენლები, მათ შორის, რა თქმა უნდა, კომერ-

8 საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, მუხლი 48, პუნქტი 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციული ბანკები. აღნიშნული სურათი სქემატურად მოცემულია №4.1. სქემაში.

აღნიშნული სიტუაცია გაგრძელდა 2013 წლის აპრილამდე, როცა საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულირების არეალიდან გამოიყო სადაზღვევო ბაზარი და იგი გადაეცა საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს.

განვიხილოთ და მოკლედ დავახასიათოთ საქართველოს ეროვნული ბანკი და მისი ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საფინანსო სექტორის წარმომადგენლები.

საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობა რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციით, ორგანული კანონით „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ", სხვა ნორმატიული აქტებით.

სქემა №4.1. საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საფინანსო სექტორი 2009 წლიდან 2013 წლის მარტამდე



ეროვნული ბანკი არის საქართველოს ცენტრალური ბანკი, ბანკთა ბანკი, საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი. თავისი სამართლებრივი სტატუსით იგი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ეროვნული ბანკი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში, საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სხვა ორგანოებს უფლება არ აქვთ, ჩაერიონ მის საქმიანობაში ან განახორციელონ მონიტორინგი, გარდა კანონით გათვალისწინებული განსაკუთრებული შემთხვევებისა.

ეროვნული ბანკი

ეროვნული ბანკი ეკონომიკურად დამოუკიდებელია და ყველა ხარჯს დამოუკიდებლად ანაზღაურებს. ეროვნული ბანკი პასუხს არ აგებს საქართველოს სახელმწიფოს ვალდებულებებზე, მაგრამ თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგენს საქართველოს საერთაშორისო თათბირებზე, ყველა საბჭოსა და ორგანიზაციაში. ეროვნული ბანკი, მისი აქტივები, ქონება და შემოსავალი, აგრეთვე მის მიერ განხორციელებული საქმიანობა და ოპერაციები თავისუფლდება ყოველგვარი სახელმწიფო გადასახადის, გადასახდელის, მოსაკრებლისა და სახელმწიფო ბაჟისაგან.

საქართველოს ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანაა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა. ამასთან, მან უნდა უზრუნველყოს აგრეთვე საფინანსო სისტემის სტაბილურობა და გამჭვირვალობა და ხელი შეუწყოს ქვეყანაში მდგრად ეკონომიკურ ზრდას.

საქართველოს ეროვნული ბანკის ფუნქციებია:

- შეიმუშაოს და განახორციელოს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა;
- განახორციელოს საფინანსო სექტორის ზედამხედველობა;
- უზრუნველყოს ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირება;
- ფლობდეს, შეინახოს და განკარგოს ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები;
- იყოს საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი;
- ხელი შეუწყოს საგადახდო სისტემის უსაფრთხო, მდგრად და ეფექტიან ფუნქციონირებას;
- განახორციელოს საქართველოს ფულის ნიშნების ემისია;
- საერთაშორისო სტანდარტებისა და მეთოდოლოგიების შესაბამისად აწარმოოს და გაავრცელოს ქვეყნის საფინანსო და საგარეო სექტორების სტატისტიკა;
- განახორციელოს უკანონო შემოსავლის ლეგალიზებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობა მასთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მეშვეობით.

ეროვნული ბანკის მოვალეობაა ასევე საკონსულტაციო დახმარება გაუწიოს საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს მთავრობას ეროვნული ბანკის საქმიანობასთან დაკავშირებულ ან მისი კომპეტენციის სფეროში შემავალ ყველა საკითხზე.

ეროვნული ბანკის უმაღლესი ორგანოა ეროვნული ბანკის საბჭო, რომელიც შედგება 7 წევრისაგან. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრები არიან საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეები, პროფესიონალები ეკონომიკის, ფინანსების ან სხვა შესაბამის დარგში და გამორჩეულნი პატიოსნებით. ეროვნული ბანკის საბჭოს თავმჯდომარეა ეროვნული ბანკის პრეზიდენტი. ეროვნული ბანკის საბჭოს შემადგენლობაში, გარდა საბჭოს თავმჯდომარისა, შედიან ეროვნული ბანკის ორი ვიცე-პრეზიდენტი და სხვა წევრები. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრებს, საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით, ირჩევს საქართველოს პარლამენტი 7 წლის ვადით. ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, ეროვნული ბანკის საბჭოს წარდგინებით, ხოლო ვიცე-პრეზიდენტებს – ეროვნული ბანკის პრეზიდენტის წარდგინებით, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრთაგან თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობის უმაღლეს ხელმძღვანელობასა და ზედამხედველობას ახორციელებს ეროვნული ბანკის საბჭო. ეროვნული ბანკის საბჭოს სხდომას წარმართავს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი. სხდომა ტარდება კვარტალში ერთხელ მაინც. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრს და მისი ოჯახის წევრებს არ აქვთ უფლება, იყვნენ საქართველოს საფინანსო სექტორის წარმომადგენლის ან მასთან დაკავშირებული იურიდიული პირის პარტნიორი. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრობის ვადის ამოწურვის ან ეროვნული ბანკის საბჭოს წევრობისგან გათავისუფლების შემთხვევაში ეროვნული ბანკის პრეზიდენტს და ვიცე-პრეზიდენტებს 6 თვის განმავლობაში ეკრძალებათ საქართველოს საფინანსო სექტორში მუშაობა და ამავე პერიოდით (6 თვის განმავლობაში) უნარჩუნდებათ არსებული თანამდებობრივი სარგოები.

საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო ფუნქციები და ოპერაციებია:

- საკუთარი ფასიანი ქაღალდების ემისია;
- ოპერაციები ღია ბაზარზე;
- მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების დაწესება საბანკო სექტორისათვის;
- სადისკონტო ოპერაციების წარმოება საბანკო სექტორთან;
- სასესხო და სადეპოზიტო ოპერაციები საბანკო სექტორთან;
- კომერციული ბანკებისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტების ანგარიშების გახსნა და მართვა;
- ბოლო ინსტანციის კრედიტორი;
- ფულად-საკრედიტო და სტატისტიკური ფუნქციების შესრულების ინფორმაციული უზრუნველყოფა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ეროვნული ბანკი თავისუფალია აღმასრულებელი ხელისუფლების ნებისმიერი ჩარევისაგან თავის საქმიანობაში. იგი ანგარიშვალდებულია საკანონმდებლო ხელისუფლების – საქართველოს პარლამენტის წინაშე, რომელიც ყოველწლიურად ამტკიცებს „ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს". აღნიშნულ დოკუმენტში მოცემულია ეროვნული ბანკის საქმიანობის ძირითადი სამოქმედო რაოდენობრივი პარამეტრები და წლის განმავლობაში განსახორციელებელი სტრატეგიული ღონისძიებები ფულად-საკრედიტო, პრუდენციული რეგულირების სფეროსა და ქვეყნის საგადამხდელო სისტემის განვითარებისათვის.

კომერციული ბანკების საქმიანობა რეგულირდება ორგანული კანონით „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ", კანონით „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ", კანონით „მეწარმეთა შესახებ" და სხვა ნორმატიული აქტებით.

კომერციული ბანკები წარმოადგენენ საქართველოს საფინანსო სექტორის დომინანტს და მის მთავარ შემადგენელს. გარკვეული მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ საქართველოს საბანკო სექტორის (კომერციული ბანკები) განვითარების ტენდენციებსა და უახლოეს მონაცემებს, წარმოდგენილია ცხრილში (ცხრ. №4.1.), რომლის მიხედვითაც ბევრი არსებითი მომენტის აღნიშვნა შეიძლება. მაგალითად, საბანკო სისტემის აქტივების მშპ-თან შეფარდების მაჩვენებელმა, რომელიც ჯერ კიდევ 1998 წლის ბოლოსათვის 10%-საც არ აღწევდა, 2013 წელს 64%-ს გადააჭარბა.

საქართველოს საბანკო სექტორი 2013 წლის ბოლოსათვის წარმოდგენილი იყო 21 კომერციული ბანკით და მისთვის დამახასიათებელია კონსოლიდაციის მეტად მაღალი ხარისხი. მაგალითად, პირველი ორი ბანკის აქტივების ხვედრითი წილი საბანკო სისტემის მთლიან აქტივებში 58%-ს, ხოლო პირველი ხუთეულის – 77%-ს აღემატება, ბოლო, ყველაზე მცირე ზომის 10 ბანკის აქტივების ხვედრითი წილი კი მხოლოდ 4.3% იყო.

საქართველოში კომერციული ბანკი შეიძლება შეიქმნას მხოლოდ სააქციო საზოგადოების სამართლებრივი ფორმით. საბანკო საქმიანობის დასაწყებად აუცილებელია საქართველოს ეროვნული ბანკის ლიცენზია, რომლის მისაღებად ხდება დაინტერესებული მხარის მიერ წერილობითი მიმართვა (შუამდგომლობა), რომელსაც თან უნდა დაერთოს:

- სადამფუძნებლო დოკუმენტები;
- ინფორმაცია ადმინისტრატორების შესაფერისობის კრიტერიუმებთან შესაბამისობის შესახებ;
- კომერციული ბანკის ცნობა განცხადებული საწესდებო კაპიტალისა და მისი განაღდებული ნაწილის შესახებ, რომლის მოცულობა არ უნდა იყოს 12 მლნ ლარზე ნაკლები;
- დეკლარაცია მნიშვნელოვანი წილის როგორც უშუალო, ისე ბენეფიციარი მესაკუთრის შესახებ;
- ინფორმაცია ფინანსური რესურსების, კომერციული ბანკის სათავო დაწესებულებისა და ფილიალების ადგილსამყოფლის შესახებ;
- დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს იმ უძრავ ქონებაზე სარგებლობის ან საკუთრების უფლებას, სადაც მომავალში განთავსდება კომერციული ბანკი ან მისი ფილიალი.

საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მიღების შესახებ შუამდგომლობის მიღებიდან 3 თვის განმავლობაში ეროვნული ბანკი ვალდებულია მიიღოს დასაბუთებული დადებითი ან უარყოფითი გადაწყვეტილება, რომლის თაობაზეც წერილობით უნდა აცნობოს განმცხადებელს. საბანკო ლიცენზიები არის უვადო, ანუ გაიცემა განუსაზღვრელი ვადით და მათი სხვისთვის გადაცემა აკრძალულია. საბანკო საქმიანობის ლიცენზია შეიძლება გაუქმდეს მხოლოდ ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით.

საქართველოს ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებს პერიოდულად განუსაზღვრავს რეზერვებისა და კაპიტალის მინიმალურ ოდენობასა და მათი შექმნის წესებს. კომერციულ ბანკს ეკრძალება საწესდებო კაპიტალის შევსება (ფორმირება) არაფულადი ფორმით, ასევე მას არ აქვს უფლება, შეამციროს თავისი საწესდებო კაპიტალი აქციების გამოსყიდვით. კანონმდებლობით დაწესებულია გარკვეული შეზღუდვები კომერციული ბანკების საკუთრების უფლებისა და აქტივების სტრუქტურაზე. მათ შორის, მნიშვნელოვანია შემდეგი შეზღუდვები:

- კომერციული ბანკი უფლებამოსილია ეროვნული ბანკის ნებართვის გარეშე პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობდეს სხვა იურიდიული პირის საწესდებო კაპიტალის წილის არა უმეტეს 20%-ისა, იმ პირობით თუ ამ წილის მოცულობა არ აღემატება ამ ბანკის სააქციო კაპიტალის 15%-ს;
- კომერციულ ბანკს შეუძლია შეუზღუდავი ოდენობით ფლობდეს წილს საბანკო საქმიანობასთან დაკავშირებულ კომპანიაში ეროვნული ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე, იმ პირობით, თუ ამ წილის მოცულობა არ აღემატება ამ ბანკის სააქციო კაპიტალის 15%-ს.

კანონმდებლობის მიხედვით, თითოეული კომერციული ბანკი ვალდებულია ჰქონდეს წესდება. ამასთან ერთად, თითოეული კომერციული ბანკის მართვა ხორციელდება შინაგანაწესით, რომელშიც ბანკის წესდების შესაბამისად განისაზღვრება:

- ბანკისა და მისი საოპერაციო და ადმინისტრაციული ქვედანაყოფების ორგანიზაციულ და მართვის სტრუქტურა, მათი შემადგენელი ერთეულები და ფუნქციები, მმართველობითი თანამდებობები და ანგარიშვალდებულებები;
- თითოეული დეპარტამენტის დირექტორისა და მის დაქვემდებარებასა და კონტროლის ქვეშ მყოფი განყოფილებების მოვალეობანი;
- აუდიტის კომიტეტის ფუნქციები;
- ადმინისტრატორებისა და ბანკის სხვა თანამშრომელთა უფლებამოსილება, აწარმოონ საბანკო ოპერაციები ბანკის სახელით და მის ხარჯზე.

თითოეული კომერციული ბანკი ვალდებულია, ეროვნულ ბანკს წარუდგინოს წესდება, შინაგანაწესი და იმ თანამდებობის პირთა სიები, რომელთაც აქვთ ბანკის წარმომადგენლის უფლებამოსილება, მათი ხელმოწერის ნიმუშებთან ერთად და მათი უფლებამოსილების ფარგლების აღნიშვნით.

საბანკო საქმიანობისათვის მეტად მნიშვნელოვანია საბანკო საიდუმლოების კანონმდებლობით განსაზღვრა, მისი მნიშვნელობა. თვალსაჩინოებისათვის მოვიხმოთ მთლიანად „ცნობილი“ მე-17 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს საბანკო საიდუმლოებას ქართული კანონმდებლობით:

1. „არავის არა აქვს უფლება, დაუშვას ვინმე კონფიდენციალურ ინფორმაციასთან, გათქვას და გაავრცელოს ასეთი ინფორმაცია ან გამოიყენოს პირადი სარგებლობისათვის. ასეთი ინფორმაცია შეიძლება მიეწოდოს მხოლოდ ეროვნულ ბანკს, მისი კომპეტენციის ფარგლებში.
2. ინფორმაცია ნებისმიერი გარიგების (მათ შორის, გარიგების დადების მცდელობის შემთხვევაში), ანგარიშების, ამ ანგარიშებიდან განხორციელებული ოპერაციებისა და ანგარიშებზე არსებული ნაშთების შესახებ შეიძლება მიეცეს შესაბამისი გარიგების მონაწილე მხარეებს, შესაბამისი ანგარიშების მფლობელებს და მათ წარმომადგენლებს, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს და იმ პირებს, რომლებიც უფლებამოსილი არიან აღასრულონ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით აღსრულებას დაქვემდებარებული აქტები, მათი აღსრულების პროცესში.
3. სასამართლო და საგამომძიებლო ორგანოებს, აგრეთვე საგადასახადო სამსახურებს ეკრძალებათ სასამართლოს განაჩენის გამოტანამდე ინფორმაციის გადაცემა სხვა ორგანოებისათვის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ჩათვლით, აგრეთვე ამ ინფორმაციების გამოყენება საჯარო გამოსვლებში“ [9].

ქართული კანონმდებლობით განსაზღვრულია საბანკო საქმიანობის ზოგადი პრინციპები, რომელთა მიხედვითაც, კომერციული ბანკის მართვა და მისი საოპერაციო საქმიანობა ხორციელდება კანონმდებლობით დასაბუთებული ადმინისტრაციული და სააღრიცხვო პროცედურების, საბანკო საქმიანობის ლიცენზიისათვის დართული პირობებისა და შეზღუდვების, აგრეთვე ეროვნული

9 საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“, მუხლი 17.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბანკის დადგენილებების, წესებისა და ინსტრუქციების შესაბამისად. ეროვნული ბანკის წესები, ნორმატივები და ინსტრუქციები, რომლებიც შეეხება ერთზე მეტ კომერციულ ბანკს, ექვემდებარება აუცილებელ გამოქვეყნებას.

ნებისმიერი ქვეყნის კომერციულ ბანკებს, მათ შორის, საქართველოში, ცენტრალური ბანკი განუსაზღვრავს სავალდებულო ეკონომიკურ ლიმიტებსა და ნორმატივებს, რომლებიც ავალდებულებს მათ დაიცვან კაპიტალის, ლიკვიდური აქტივების, ერთ მსესხებელზე გასაცემი კრედიტების და ა.შ. ზღვრული მოცულობები. აღნიშნული ნორმატივების სისტემატური დაუცველობა შეიძლება გახდეს კომერციული ბანკის ლიცენზიის გაუქმების საფუძველი. ასევე კომერციულ ბანკს ეკრძალება ისეთი გარიგებები და ქმედებები, რომელთა შედეგადაც იგი დამოუკიდებლად ან სხვა პირებთან ერთად აღმოჩნდება დომინირებულ მდგომარეობაში ფულად, საფინანსო ან საკრედიტო ბაზარზე.

ქართული კომერციული ბანკები ვალდებულნი არიან ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვადით შეინახონ ყველა საბუთი, რომლებიც მათ თითოეულ გარიგებას შეეხება, კერძოდ: შუამდგომლობები და ყველა სახელშეკრულებო საბუთი, რომლებიც გარიგებას შეეხება, ბანკის პარტნიორების ფინანსური ჩანაწერები, გარიგების დამტკიცების შესახებ ბანკის გადაწყვეტილების ხელმოწერილი ჩანაწერი. ამასთან, კომერციული ბანკი ვალდებულია კლიენტებისა და მათ მიერ განხორციელებული ოპერაციების შესახებ ინფორმაცია ელექტრონული ფორმით შეინახოს არანაკლებ 15 წლის განმავლობაში.

კომერციული ბანკების საქმიანობა წარმოუდგენელია მათი მხრიდან ანგარიშებისა და ჩანაწერების სისტემატურად წარმოების გარეშე. ისინი ასევე ვალდებულნი არიან შეადგინონ წლიური საფინანსო ანგარიშგებები, რომლებიც საერთაშორისო საბუღალტრო მეთოდების საფუძველზე ზუსტად ასახავს მათ ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობას. თითოეული კომერციული ბანკი კანონმდებლობით ვალდებულია ყოველწლიურად მოიწვიოს გარე აუდიტორი და ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით ჩაატაროს გარეაუდიტორული შემოწმება. ამასთან, აღნიშნული აუდიტორული კომპანია უნდა იყოს საერთაშორისო დონის და თითოეული კომერციული ბანკი ვალდებულია გარეაუდიტორული შემოწმების დასრულებისთანავე ეროვნულ ბანკს წარუდგინოს შემოწმების სრული ანგარიში, გამოაქვეყნოს ეროვნული ბანკის წესებით განსაზღვრული საფინანსო ანგარიშგება და აუდიტორული დასკვნა.

კომერციული ბანკები ამზადებენ და ეროვნულ ბანკს დადგენილი პერიოდულობით წარუდგენენ ანგარიშგებებს, რომლებშიც ასახულია ინფორმაცია მათი ორგანიზაციულ-საგანმკარგულებლო და საოპერაციო საქმიანობის, ასევე ლიკვიდურობის, გადახდისუნარიანობისა და მომგებიანობის შესახებ. აღნიშნულის მიზანია კომერციული ბანკების ფინანსური მდგომარეობის შეფასება ეროვნული ბანკის მხრიდან. თითოეული კომერციული ბანკი და მისი შვილობილი ორგანიზაცია ექვემდებარებიან ინსპექტირებას ეროვნული ბანკის ინსპექტორების ან ეროვნული ბანკის მიერ დანიშნული აუდიტორების მხრიდან.

იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული ბანკი აღმოაჩენს, რომ რომელიმე კონკრეტული ბანკის მენეჯმენტი ვეღარ ახორციელებს მის მართვას, რაც გამოიხატება მისი ფინანსური მაჩვენებლების თუ სავალდებულო ნორმატივების მნიშვნელოვანი გაუარესებით, და ამით საფრთხე ექმნება მეანაბრეთა და აქციონერთა ფულად სახსრებს, იგი ამ ბანკის დროებით ხელმძღვანელად ნიშნავს თავის წარმომადგენელს, ე.წ. „დროებით ადმინისტრატორს“. აღნიშნული მექანიზმი ნიშნავს კომერციული ბანკის არსებული მენეჯმენტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლებამოსილების შეჩერებას. ეროვნული ბანკის მიერ დროებით ადმინისტრატორის დანიშვნა ფორმდება სპეციალური გადაწყვეტილებით, რომელშიც აღინიშნება: ამ გადაწყვეტილების საფუძვლები, დროებითი ადმინისტრატორის ან ადმინისტრატორების სახელი და გვარი, დროებითი ადმინისტრაციის მოქმედების ვადა და გაფრთხილება ბანკის კლიენტთა ანაბრებისა და სხვა სახსრების შესაძლო გაყინვის შესახებ. დროებითი ადმინისტრაცია მოვალეობათა შესრულებას იწყებს დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებაში მითითებული დღიდან. გადაწყვეტილება ქვეყნდება ბეჭდვით ორგანოში.

დროებითი ადმინისტრატორის მთავარი მიზანია კომერციული ბანკის კრიზისული სიტუაციიდან გამოყვანა, მისი ლიკვიდობის, ფინანსური და სხვადასხვა ხარისხობრივი მაჩვენებლის გაუმჯობესება, ანუ ბანკის გადარჩენა გაკოტრებისაგან. აღნიშნული მთავარი მიზნის მისაღწევად დროებითმა ადმინისტრატორმა შეიძლება მიმართოს ისეთ უკიდურეს ზომებს, როგორებიცაა: ბანკის ფილიალების, წარმომადგენლობებისა და სხვა ქვედანაყოფების გაყიდვა ან დახურვა, სახსრების გადახდის შეჩერება, ბანკის მოსამსახურეთა თანამდებობიდან გათავისუფლება და სხვ. დროებითი ადმინისტრატორის მიერ შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ბანკის სხვა კომერციულ ბანკთან შერწყმის ან მისი აქტივებისა და ვალდებულებების, ან მათი ნაწილის გასხვისების შესახებ.

მას შემდეგ, რაც ამოიწურება დროებითი ადმინისტრაციის მოქმედების ვადა და მიიღწევა მისი დანიშვნის საბოლოო მიზანი, იგი უქმდება, რაც ქვეყნდება ბეჭდვით ორგანოში, ხოლო კომერციული ბანკი უბრუნდება საქმიანობის ჩვეულ რეჟიმს. დროებითი ადმინისტრაცია ასევე უქმდება იმ შემთხვევაში, როცა ვერ ხერხდება კომერციული ბანკის გადარჩენა და უქმდება მისი ლიცენზია. კომერციული ბანკის ლიცენზიის გაუქმების შემთხვევაში კომერციული ბანკი გადადის ლიკვიდაციის რეჟიმზე, რომელსაც ასევე ეროვნული ბანკის დანიშნული პირი, ე. წ. „ლიკვიდატორი“ ახორციელებს. არ შეიძლება ლიკვიდატორად დაინიშნოს ამ კომერციულ ბანკთან დაკავშირებული პირი. ლიკვიდატორი ვალდებულია დანიშვნიდან 3 თვის განმავლობაში შეადგინოს აქტივებისა და პასივების ნუსხა და მისი ასლი გადასცეს ეროვნულ ბანკს გამოსაქვეყნებლად. კომერციული ბანკის ლიკვიდატორი უფლებამოსილია საჯარო აუქციონზე გაყიდოს ბანკის აქტივები ან აქტივებზე მოთხოვნის უფლება გადასცეს კრედიტორებს რიგითობის მიხედვით, სხვა ბანკს გადასცეს სესხებზე ან სხვა საფინანსო აქტივებზე მოთხოვნის უფლება და ორგანიზება გაუწიოს ამ ბანკებისათვის ვალდებულებათა გადაცემას. კომერციული ბანკის ლიკვიდაციის დროს მოთხოვნები, რომელთა საფუძველია გირაო, დაკმაყოფილდება შესაბამისი შეთანხმების პირობების თანახმად (გირაოს ღირებულების ფარგლებში), ხოლო ყველა სხვა კანონიერი მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი თანმიმდევრობით:

- ეროვნული ბანკი;
- ფიზიკურ პირთა ანგარიშებზე არსებული თანხა არა უმეტეს 1500 ლარისა;
- ფიზიკურ პირთა ანგარიშებზე არსებული თანხა, რომელიც არ არის გადახდილი წინა ქვეპუნქტის შესაბამისად;
- იურიდიულ პირთა ანგარიშებზე არსებული თანხა;

- საბიუჯეტო დავალიანებები, მათ შორის, საგადასახადო გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნები;
- კომერციული ბანკის მიმართ დანარჩენი მოთხოვნები.

როგორც ვხედავთ, აქციონერთა შენატანები უბრუნდებათ მფლობელებს სულ ბოლო რიგითობით.

მოკლედ დავახასიათოთ არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტები.

არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება — საკრედიტო კავშირების საქმიანობა რეგულირდება ორგანული კანონით „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ", კანონით „არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება – საკრედიტო კავშირების" და სხვა ნორმატიული აქტებით. საკრედიტო კავშირების საქმიანობის მარეგულირებელი კანონი მიღებულ იქნა 2002 წელს და ისინი პირდაპირ ეროვნული ბანკის ზედამხედველობის ქვეშ მოექცა. 2013 წლის ბოლოსათვის საქართველოში ფუნქციონირებდა 17 ლიცენზირებული საკრედიტო კავშირი, რომელთა მთლიანი წმინდა აქტივები მხოლოდ 7.6 მლნ ლარი იყო, რაც კომერციული ბანკების აქტივების მხოლოდ 0.04%-ს შეადგენდა.

არსებული კანონმდებლობით, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება – საკრედიტო კავშირების უნიკალობა ისაა, რომ საქმე გვაქვს კოოპერატივის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით რეგისტრირებულ საწარმოებთან, რომლებიც მხოლოდ თავიანთი წევრებისაგან იღებენ ანაბრებსა და აძლევენ მათ სესხს. გამომდინარე აქედან, საკრედიტო კავშირების უმთავრესი მიზანი არის არა მოგების მიღება, არამედ მისი წევრების მომსახურება, საკრედიტო კავშირების საქმიანობის პრინციპებია: წევრობის ნებაყოფლობითობა, ფიზიკურ პირთა საერთო ნიშნით გაერთიანება და წევრთა უშუალო მონაწილეობა საკრედიტო კავშირის მართვაში.

საქართველოს ეროვნული ბანკი ზედამხედველობას უწევს საკრედიტო კავშირების საქმიანობას, რაც გამოიხატება ლიცენზიების გაცემით და გაუქმებით, შემოწმებითა და რეგულირებით, შეზღუდვებისა და სანქციების დაწესებით.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობა რეგულირდება ორგანული კანონით „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ", კანონით „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ" და სხვა ნორმატიული აქტებით. 2006 წელს მიღებული კანონით მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ეროვნული ბანკის ზედამხედველობის ქვეშ მოექცნენ. მანამდე ისინი ფუნქციონირებდნენ ფონდების სახით, რომელთა საქმიანობა რეგულირდებოდა სამოქალაქო კოდექსით. 2013 წლის ბოლოსათვის საქართველოში ფუნქციონირებდა 67 ლიცენზირებული მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, რომელთა მთლიანი წმინდა აქტივები 810 მლნ ლარს შეადგენდა, რაც კომერციული ბანკების აქტივების მხოლოდ 4.7%-ია.

ქართული კანონმდებლობის მიხედვით, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული იურიდიული პირი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ და ახორციელებს ამ კანონით გათვალისწინებულ საქმიანობას საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობით.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები უფლებამოსილნი არიან განახორციელონ თითქმის ყველა საბანკო ოპერაცია, უბრალოდ, შეზღუდულია მათი

ეროვნული ბანკი

რესურსების ფორმირების წყაროები და ასევე ლიმიტირებულია გაცემული კრედიტის (მიკროკრედიტი) მაქსიმალური მოცულობა. კერძოდ, მიკროსაფინანსო ორგანიზაციას ეკრძალება დეპოზიტების მიღება როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისაგან და მათ მიერ გაცემული მიკროკრედიტის მაქსიმალური ჯამური ოდენობა ერთ მსესხებელზე არ უნდა აღემატებოდეს 50 000 ლარს. ამ კანონის მიღებამდე მიკროკრედიტის მოცულობა სამოქალაქო კოდექსით 10 000 ლარით განისაზღვრებოდა. ასევე მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საწესდებო კაპიტალში ფულადი შესატანი უნდა იყოს მინიმუმ 250 000 ლარი. როგორც გვახსოვს, კომერციული ბანკებისათვის მისი მოცულობა 12 მლნ ლარია.

კანონმდებლობის თანახმად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის დირექტორი (დირექტორთა საბჭოს წევრი) არ შეიძლება იმავდროულად იყოს რომელიმე კომერციული ბანკის, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების – საკრედიტო კავშირის ან სხვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის პარტნიორი (აქციონერი), სამეთვალყურეო ან/და დირექტორთა საბჭოს წევრი.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ზედამხედველობას ახორციელებს ეროვნული ბანკი მათი რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმების, შემოწმებისა და მათთვის სანქციების დაკისრების გზით.

კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტების საქმიანობა რეგულირდება ორგანული კანონით „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ და „კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის და რეგულირების წესით“. აღნიშნული ცნება სრულიად ახალია საქართველოს რეალობაში (2012 წლის 25 მაისიდან) და ჯერ მისი პრეცედენტი არ არსებობს. კანონი მას შემდეგნაირად განმარტავს: „კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტი – იურიდიული პირი, რომელიც ასეთად მიჩნეულია ეროვნული ბანკის მიერ და რომელიც ამ კანონის შესაბამისად სახსრებს მოიზიდავს ფიზიკური პირებისაგან და მოზიდული სახსრებით გასცემს სესხებს“[10].

კანონის თანახმად, იურიდიული პირი (გარდა კომერციული ბანკისა), რომელიც სახსრებს მოიზიდავს ოთხასზე მეტი ფიზიკური პირისაგან ან რომლის მიერ ფიზიკური პირებისაგან მოზიდული სახსრების ოდენობა აღემატება 5 მლნ ლარს, ვალდებულია, ეროვნული ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, გაიაროს რეგისტრაცია ეროვნულ ბანკში და დააკმაყოფილოს ეროვნული ბანკის მიერ კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტისათვის დადგენილი მოთხოვნები. თუ ეროვნული ბანკი მიიჩნევს, რომ კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის საქმიანობა საფრთხეს უქმნის საფინანსო სექტორის სტაბილურობას ან ფიზიკური პირებისაგან მოზიდულ სახსრებს, იგი უფლებამოსილია კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტს მოსთხოვოს სახსრების მოზიდვასა და სესხების გაცემასთან დაკავშირებული საქმიანობის შეწყვეტა.

კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტების ზედამხდველობის მიზნით, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით თითოეულ კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტს ინდივიდუალურად დაუდგინოს ფინანსური მაჩვენებლები და მათთან დაკავშირებული ეკონომიკური ლიმიტები, ნორმატივები, შეზღუდვები და აკრძალვები.

ვალუტის გადამცვლელი პუნქტების საქმიანობა რეგულირდება ორგანული კანონით „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, „ვალუტის

10 საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, მუხლი 2, პუნქტი „ქ1“.

გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესით“ და სხვა ნორმატიული აქტებით. ვალუტის გადამცვლელი პუნქტები იყვნენ პირველები არასაბანკო საფინანსო ინსტიტუტებიდან, რომლებიც ჯერ კიდევ 1993 წელს მოექცნენ ეროვნული ბანკის ზედამხედველობის ქვეშ.

2013 წლის ბოლოსათვის ქვეყანაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულია 1089 ვალუტის გადამცვლელი პუნქტი, თუმცა, ყველაზე მეტი, 1624 ვალუტის გადამცვლელი პუნქტი 2010 წლის დეკემბერში ფუნქციონირებდა. ეროვნული ბანკი ვალუტის გადამცვლელი პუნქტების ზედამხედველობას ახორციელებს მხოლოდ ყალბი ფულის მიმოქცევის აღკვეთის მიზნით და „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებიდან გამომდინარე, მათი რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმების, შემოწმების, მათ მიმართ მინიმალური მოთხოვნების დადგენისა და მათთვის სანქციების დაკისრების გზით.

ფულადი გადარიცხვების განმახორციელებელი პირების საქმიანობა რეგულირდება ორგანული კანონით „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, „ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირის რეგისტრაციისა და რეგულირების“ წესით და სხვა ნორმატიული აქტებით. საქართველოს კანონმდებლობით ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირი – ესაა ფიზიკური ან იურიდიული პირი (გარდა კომერციული ბანკისა, საკრედიტო კავშირისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა), რომელიც სხვადასხვა სისტემის მეშვეობით ახორციელებს ფიზიკური პირების ფულადი გზავნილებით მომსახურებას. 2012 წლის ბოლოსათვის საქართველოში ფუნქციონირებდა ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული 34 ფულადი გადარიცხვების განმახორციელებელი პირი. ეროვნული ბანკი ფულადი გადარიცხვების განმახორციელებელი პირების ზედამხედველობას (მსგავსად ვალუტის გადამცვლელი პუნქტებისა) ახორციელებს მხოლოდ ყალბი ფულის მიმოქცევის აღკვეთის მიზნით და „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებიდან გამომდინარე, მათი რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმების, შემოწმების, მათ მიმართ მინიმალური მოთხოვნების დადგენისა და მათთვის სანქციების დაკისრების გზით.

დავახასიათოთ საქართველოს საფინანსო სექტორის მესამე ჯგუფის – ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეები, რომელთა საქმიანობა რეგულირდება ორგანული კანონით „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, კანონით „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ და სხვა ნორმატიული აქტებით. პირველი ნორატიული აქტი, რომლითაც მოხდა ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირება, ჯერ კიდევ 1992 წელს მიიღეს, ეს იყო მთავრობის დადგენილება „ფასიანი ქაღალდების შესახებ დროებითი დებულების დამტკიცების თაობაზე“. 1998 წელს მიღებულ იქნა კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, რომლის ფარგლებშიც საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზარს აწესრიგებდა და ზედამხედველობას უწევდა საქართველოს ფასიანი ქაღალდების კომისია. ეს იყო საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც თავის საქმიანობაში იყო დამოუკიდებელი. 2007 წლის 11 ივლისს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით მოხდა კომისიის ლიკვიდაცია და ზემოაღნიშნული ფუნქციები გადაეცა საქართველოს ეროვნულ ბანკს. განვიხილოთ ამ ბაზრის მონაწილეები

საფონდო ბირჟა ქართული კანონმდებლობით არის ფასიანი ქაღალდების ორგანიზებული ბაზარი, რომელიც უზრუნველყოფს ფასიანი ქაღალდებისა და

სხვა ფინანსური ინსტრუმენტების ყიდვა-გაყიდვის შესახებ წინადადებების შეგროვებას, ვაჭრობის ორგანიზებას დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად და ავრცელებს დადებულ გარიგებათა შესახებ და ფასებთან დაკავშირებულ სხვა ინფორმაციას. საქართველოში ფუნქციონირებს მხოლოდ ერთი ბირჟა („საქართველო საფონდო ბირჟა"), რომლის სისტემაშიც 2012 წლის ბოლოსათვის დაშვებული იყო 133 ემიტენტის ფასიანი ქაღალდი. ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში მეტად არასათანადოდაა განვითარებული, რაზეც მეტყველებს თუნდაც ის, რომ 2012 წლის განმავლობაში ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების გარიგებათა საერთო რაოდენობამ მხოლოდ 877, ხოლო მოცულობამ – 735 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც 727 მლნ ლარი ერთი ემიტენტის („საქართველოს ბანკი") ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული გარიგებებია. აღსანიშნავია ისიც, რომ გარიგებათა 61% არასაბირჟო ოპერაციებზე მოდიოდა.

საბროკერო კომპანიების რაოდენობა, რომლებიც 2012 წლის ბოლოსათვის ფუნქციონირებდა საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, 10-ს შეადგენდა. მათგან 7 იყო ბირჟის წევრი. 2012 წლის ბოლოსათვის მოქმედი საბროკერო კომპანიების აქტივების საერთო მოცულობამ მხოლოდ 44.6 მლნ ლარი შეადგინა, რაც მხოლოდ 4 პროცენტით აღემატება წინა წლის მონაცემს.

ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორი – ესაა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული იურიდიული პირი, რომელიც აწარმოებს ემიტენტის ფასიანი ქაღალდების რეესტრს და ასრულებს სხვა ფუნქციებს, რომლებიც განსაზღვრულია ხელშეკრულებაში ემიტენტსა და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს შორის. 2012 წლის ბოლოსათვის საქართველოში ფასიანი ქაღალდების 2 ლიცენზირებული დამოუკიდებელი რეგისტრატორი ფუნქციონირებდა და მათ მიერ იწარმოებოდა 651 სააქციო საზოგადოების აქციათა რეესტრი.

ცენტრალური დეპოზიტარი – ესაა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული იურიდიული პირი, რომელიც უფლებამოსილია რეგისტრირებული მესაკუთრის ან ნომინალური მფლობელის დავალებით აწარმოოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური კლირინგი და ანგარიშსწორება, აგრეთვე განახორციელოს სპეციალიზებული დეპოზიტარის და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესებით განსაზღვრული სხვა მომსახურება. საქართველოში ფუნქციონირებს 1 ცენტრალური დეპოზიტარი.

ანგარიშვალდებულ საწარმოდ, ანუ საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტად, მიიჩნევა „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად დაფუძნებული იურიდიული პირი, რომელსაც გამოშვებული აქვს საჯარო ფასიანი ქაღალდები.

როგორც აღინიშნა, სადაზღვევო ბაზარი ეროვნული ბანკის ზედამხედველობის ქვეშ მოექცა 2007 წლიდან, 2013 წლის აპრილიდან ისევ გამოეყო მას და დაექვემდებარა საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის აღდგენილ სამსახურს. მიუხედავად ამისა, საინტერესო იქნება ამ ბაზრის მოკლე დახასიათება, რომლის საქმიანობა რეგულირდება კანონით „დაზღვევის შესახებ", საქართველოს მთავრობის 2013 წლის 2 მაისის №102 დადგენილებით „სსიპ – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის შექმნისა და მასთან არსებული სამეთვალყურეო საბჭოს ჩამოყალიბების შესახებ" და სხვა ნორმატიული აქტებით.

სადაზღვევო ორგანიზაციების მარეგულირებელი პირველი კანონი მიღებულ იქნა 1997 წელს. 2012 წლის ბოლოსათვის საქართველოში ფუნქციონირებდა 15 სადაზღვევო კომპანია, რომელთა მთლიანი წმინდა აქტივები 630 მლნ ლარია, რაც კომერციული ბანკების აქტივების მხოლოდ 4.4%-ს შეადგენს.

გადამზღვეველი კომპანიების საქმიანობა თანამედროვე სადაზღვევო ბიზნესის განუყოფელი ნაწილია. მოქმედი კანონმდებლობით, გადაზღვევა – ესაა „ოპერაცია, რომლის დროსაც მზღვეველი გადაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე და თითოეული ასეთი ხელშეკრულების თავისებურების გათვალისწინებით ახორციელებს სადაზღვევო რისკის და მასთან დაკავშირებული ზარალის მთლიან ან ნაწილობრივ გადაცემას გადამზღვეველი კომპანიისათვის"[11].

სადაზღვევო საბროკერო კომპანიების რაოდენობა 2012 წლის ბოლოსათვის 17-ს შეადგენდა. სადაზღვევო ბროკერი არის დამოუკიდებელი შუამავალი, რომელიც დამზღვევისათვის (სადაზღვევო კომპანია) ახდენს რისკების შეფასებას, გადამზღვეველის მოძიება, რომელთანაც შესაძლებელი იქნება რისკების დაზღვევის განთავსება დამზღვევისათვის ყველაზე ხელსაყრელი და საიმედო ფორმით, სადაზღვევო/გადაზღვევის ზარალის შეფასებისა და ანაზღაურების პროცედურის ადმინისტრირებასა და დაზღვევის სფეროში კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა საქმიანობას.

დაბოლოს, დავახასიათოთ მეხუთე ჯგუფის – არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევის ბაზრის მონაწილეები, რომელთა საქმიანობა რეგულირდება ორგანული კანონით „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ", კანონით „დაზღვევის შესახებ", კანონით „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ" და სხვა ნორმატიული აქტებით.

არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლების საქმიანობის მარეგულირებელი კანონი მიღებულ იქნა 1998 წელს. თავდაპირველად, 2006 წლამდე, ამ ურთიერთობებს არეგულირებდა საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდი და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფასიანი ქაღალდებისა და საფონდო ბირჟების ინსპექცია. 2006 წლის შემდეგ ამ ფუნქციის განხორციელება განაგრძო საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურმა და ფასიანი ქაღალდების ეროვნულმა კომისიამ, რაც გაგრძელდა 2009 წლამდე, რომლის შემდეგაც ეს ფუნქცია გადაეცა საქართველოს ეროვნულ ბანკს.

დღევანდელი კანონმდებლობის მიხედვით, საქართველოს ეროვნული ბანკი განახორციელებს არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლის რეგისტრაციას და რეგისტრაციის გაუქმებას. 2012 წლის ბოლოსათვის საქართველოში ფუნქციონირებდა 6 არასახელმწიფო საპენსიო სქემა, საიდანაც მხოლოდ 2 ახორციელებს აქტიურად საპენსიო დაზღვევას. იმ დროისათვის აღნიშნულ საპენსიო სქემებში 18 ათასზე მეტი ადამიანი იყო გაერთიანებული, ხოლო მათ მიმართ ჯამური ვალდებულებების მოცულობა 11.3 მლნ ლარს შეადგენდა. აღნიშნული მონაცემები ამ ბაზრის არასათანადო განვითარებაზე მეტყველებს. კანონმდებლობის მიხედვით, არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელს საპენსიო დანაგროვების მართვის უფლება არ აქვს, ამისათვის იგი ირჩევს საპენსიო დანაგროვების შესაბამისი აქტივების მმართველ ერთ ან რამდენიმე კომპანიას.

11 საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ", მუხლი 2, პუნქტი „მ".

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქტივების მმართველი კომპანიები, როგორც ზემოთ აღინიშნა, დაკავშირებულია არასახელმწიფო საპენსიო სქემების მიერ შექმნილი საპენსიო დანაგროვების მართვასა და ინვესტირებასთან შესაბამისი ლიცენზიის საფუძველზე. აქტივების მმართველი კომპანია ვალდებულია აქტივების მართვის პროცესში საპენსიო დანაგროვების ინვესტირება განახორციელოს მხოლოდ სპეციალიზებული დეპოზიტარის მეშვეობით.

სპეციალიზებული დეპოზიტარების საქმიანობა, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაკავშირებულია არასახელმწიფო საპენსიო სქემების ფუნქციონირებასთან. არასახელმწიფო საპენსიო სქემების მიერ შექმნილი საპენსიო დანაგროვების მართვისა და ინვესტირებისათვის დაქირავებული აქტივების მართვის კომპანიების მიერ ამ ფონდების მართვა ხორციელდება სწორედ სპეციალური დეპოზიტარების მეშვეობით. აქტივების მმართველი კომპანია საპენსიო სქემის დამფუძნებელთან შეთანხმებით დებს სადეპოზიტო ხელშეკრულებას სპეციალიზებულ დეპოზიტართან, რომელიც ვალდებულია მიიღოს და შეინახოს საპენსიო დანაგროვის შესაბამისი აქტივები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ხელშეკრულების დადება შეიძლება მხოლოდ ერთ სპეციალიზებულ დეპოზიტართან. სპეციალიზებული დეპოზიტარი ესაა კომერციული ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს დოკუმენტირებული ფასიანი ქაღალდების მიღებას, შენახვასა და საპენსიო დანაგროვების შესაბამისი აქტივების შემადგენელი არადოკუმენტირებული ფასიანი ქაღალდების აღრიცხვას.

როგორც საქართველოს საფინანსო სექტორის მონაწილეთა სრული სპექტრის დახასიათებით ვხედავთ, საქართველოს საფინანსო ბაზრის ხერხემალს და მთავარ მონაწილეს კომერციული ბანკები წარმოადგენენ.

საკონტროლო კითხვები:

1. რომელი პერიოდით თარიღდება უძველესი ინფორმაცია ქართული ფულისა ფულად-საკრედიტო ურთიერთობების შესახებ?
2. რა შეიძლება ითქვას **XII-XIII** საუკუნეების საქართველოს საკრედიტო ურთიერთობებისა და ფულადი მიმოქცევის შესახებ?
3. დაახასიათეთ **XIX** საუკუნის საქართველო, საბანკო საქმის განვითარების თვალსაზრისით.
4. როგორ დაახასიათებდით პირველ ქართულ ბანკს – „თბილისის საადგილმამულო ბანკს“?

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. რითი ხასიათდება პირველი დამოუკიდებელი ქართული ფულად-საკრედიტო სისტემის შექმნისკენ გადადგმული ნაბიჯები 1918-1921 წლებში?
6. რას წარმოადგენდა საბჭოთა საბანკო სისტემა და რა როლს ასრულებდა მასში კრედიტი?
7. რა სახით არსებობდა საბანკო სისტემა საბჭოთა კავშირის დაშლის წინ?
8. რითი დამთავრდა საბჭოთა საბანკო სისტემის რეფორმირების მცდელობები **XX** საუკუნის 80-იან წლებში?
9. რა პრობლემების წინაშე აღმოჩნდა დამოუკიდებელი ქართული საბანკო სისტემის შენების პროცესი?
10. რითი ხასიათდება თანამედროვე საბანკო სისტემის შენების პირველი წლები (1991-1994 წწ.)?
11. როგორ დაახასიათებდით 1995 წელს დაწყებულ საბანკო სისტემის განვითარების ახალ ეტაპს (2005 წლამდე) და რა შედეგი გამოიღო მან?
12. რა შეიძლება ითქვას საქართველოს საბანკო სისტემაში 2006 წლიდან დაწყებული რეფორმების ახალ ეტაპზე და რა შედეგი მოიტანა მან?
13. როგორ შეიძლება დავახასიათოთ საბანკო სისტემაში ტენდენციები, რომლებიც განვითარდა უკანასკნელ წლებში?
14. როგორ წარიმართა საქართველოს ფინანსური სექტორის ეროვნულ ბანკზე დაქვემდებარების პროცესი 2002-2013 წლებში?
15. რა შეიძლება მოკლედ ითქვას საქართველოს ეროვნულ ბანკზე?
16. რა არის საქართველოს ეროვნული ბანკის ფუნქციები?
17. რა შეიძლება ითქვას საქართველოს ეროვნული ბანკის მმართველობით ორგანოებზე?
18. ჩამოთვალეთ საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო ფუნქციები და ოპერაციები.
19. რა შეიძლება ითქვას მოკლედ ქართულ კომერციულ ბანკებზე?
20. რა პროცედურებია გასავლელი საქართველოს ეროვნული ბანკისაგან საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად?
21. რა მოთხოვნებს უწესებს საქართველოს ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებს საწესდებო კაპიტალთან და რა შეზღუდვებს – საკუთრების უფლებისა და აქტივების სტრუქტურასთან დაკავშირებით?
22. რა ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავს კომერციული ბანკის შინაგანაწესი?
23. რა შეიძლება ითქვას საბანკო საქმიანობაზე საქართველოს კანონმდებლობით?
24. რას წარმოადგენს „დროებითი ადმინისტრაციის“ რეჟიმი საქართველოს კანონმდებლობით?

ეროვნული ბიბლიოთეკა

25. რა შემთხვევაში ინიშნება კომერციული ბანკის „ლიკვიდატორი“ და რა უფლება-მოვალეობებითაა იგი აღჭურვილი?

26. რა შეიძლება ითქვას მოკლედ არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება - საკრედიტო კავშირების საქმიანობის შესახებ საქართველოში და რა არის მათი უნიკალობა?

27. როგორ დაახასიათებდით მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს და მათ საქმიანობას საქართველოში?

28. რითი განსხვავდება კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობა საქართველოში?

29. რას წარმოადგენს კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტი?

30. რა შეიძლება ითქვას ვალუტის გადამცვლელი პუნქტებისა და ფულადი გადარიცხვების განმახორციელებელი პირების საქმიანობაზე საქართველოში?

31. როგორ დაახასიათებდით საქართველოს საფინანსო სექტორის მესამე ჯგუფის – ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეებს?

32. რა შეიძლება ითქვას საქართველოს საფინანსო სექტორის მეოთხე ჯგუფის – სადაზღვევო ბაზრის შესახებ?

33. რისი თქმა შეიძლება მოკლედ საქართველოს საფინანსო სექტორის მეხუთე ჯგუფის – არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევის ბაზრის შესახებ?

თავი 5

საბანკო მენეჯმენტი

შინაარსი:

5.1. საბანკო მენეჯმენტის არსი, მიზანი და ელემენტები;
5.2. სტრატეგიული დაგეგმვა და ბიუჯეტირება კომერციულ ბანკში;
5.3. პერსონალის მართვა კომერციულ ბანკში;
5.4. ფინანსური მენეჯმენტი კომერციულ ბანკში;
5.5. კომერციული ბანკის მენეჯმენტის შეფასება.

ძირითადი ელემენტები:

1. საბანკო მენეჯმენტის არსი;
2. საბანკო მენეჯმენტის სუბიექტები, ინსტრუმენტები, ობიექტები, მიზნები, ამოცანები და პრინციპები;
3. კომერციული ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურა;
4. კომერციული ბანკის აქციონერთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორატი და კოლეგიალური ორგანოები (კომიტეტები);
5. სტრატეგიულ დაგეგმვა და ბიუჯეტირება კომერციულ ბანკში, მათი აღსრულება, კონტროლი და შეფასება;
6. პერსონალის მართვა კომერციულ ბანკში და მისი ძირითადი მიმართულებები;
7. ფინანსური მენეჯმენტი კომერციულ ბანკში და მისი ძირითადი მიმართულებები;
8. კომერციული ბანკის მენეჯმენტის შეფასება და მისი მიზნები.

გამოყენებული სქემები, ნახატები და ცხრილები:

სქემა №5.1. ფილიალების ქსელის მქონე კომერციული ბანკის ტიპური ორგანიზაციული სტრუქტურა.

5.1. საბანკო მენეჯმენტის არსი, მიზანი და ელემენტები

ტერმინი „საბანკო მენეჯმენტი“ ორი მნიშვნელობით გამოიყენება: როგორც ბანკის მართვა ზოგადად და როგორც ბანკის ხელმძღვანელი პირები (მაგალითად, „ბანკის უმაღლესი მენეჯმენტი“). ამ შემთხვევაში ჩვენი შესწავლის საგანს წარმოადგენს საბანკო მენეჯმენტი, როგორც კომერციული ბანკის მართვა.

ნებისმიერი მენეჯმენტის მსგავსად, საბანკო მენეჯმენტიც არის ის პრაქტიკული საქმიანობა, რომელიც მიმართულია კომპანიის, ამ შემთხვევაში – კომერციული ბანკის, მიერ თავისი ფუნქციების უშუალო შესრულებისაკენ. ბუნებრივია, საბანკო მენეჯმენტი, როგორც მართვის განსაკუთრებული ფორმა, მხოლოდ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ვლინდება სრულად და რაც უფრო ფართოვდება კონკრეტული კომერციული ბანკის მომსახურების სახეობები და გავრცელების არეალი, მით უფრო რთული ხდება მისი მართვა.

საბანკო მენეჯმენტი – ესაა იმ ურთიერთობათა მართვა, რომლებიც დაკავშირებულია ბანკის საქმიანობის სტრატეგიულ დაგეგმვასთან, ანალიზთან, რეგულირებასა და კონტროლთან, ასევე მისი ოპერაციების, ფინანსების, პერსონალისა და მარკეტინგული საქმიანობის მართვასთან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საბანკო მენეჯმენტი უზრუნველყოფს ფულადი რესურსების ფორმირებასა და მათი გამოყენების დროს წარმოშობილი ურთიერთობების მართვას, რაც შედგება სტრატეგიული მენეჯმენტისგან, ფინანსური მენეჯმენტისა და საბანკო სისტემაში დასაქმებული პერსონალის მართვის ერთობლიობისაგან.

საბანკო მენეჯმენტის არსის სრულად გასარკვევად დავახასიათოთ მისი სუბიექტები, ინსტრუმენტები, ობიექტები, მიზნები, ამოცანები და პრინციპები.

1) საბანკო მენეჯმენტის სუბიექტები – ესაა ის ორგანოები და სტრუქტურული ერთეულები, რომელებიც ახორციელებენ მართვას. განასხვავებენ საბანკო მენეჯემენტის სუბიექტების ორ ტიპს:

- **საბანკო მენეჯმენტის გარე სუბიექტები**. აქ შედის სხვადასხვა სახელმწიფო ორგანო, უპირველეს ყოვლისა კი – ქვეყნის ცენტრალური ბანკი;
- **საბანკო მენეჯმენტის შიდა სუბიექტები** გულისხმობს კომერციული ბანკის მთელ შიდა მენეჯმენტს იერარქიული სტრუქტურით: აქციონერთა კრება, სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორატი, კოლეგიალური ორგანოები – კომიტეტები, შიდა აუდიტი და კონტროლის სხვადასხვა მექანიზმი.

საბანკო მენეჯმენტის შიდა სუბიექტები და მათთან დაკავშირებული მექანიზმები უფრო კონკრეტულად განხილული იქნება ოდნავ ქვემოთ, სადაც ვისაუბრებთ კომერციული ბანკის ორგანიზაციულ სტრუქტურაზე.

2) საბანკო მენეჯმენტის ინსტრუმენტები – ესაა ის საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც მენეჯმენტის სუბიექტები ახორციელებენ კომერციული ბანკის მართვას. აღსანიშნავია, რომ კომერციული ბანკის მართვის ყველა სუბიექტის უფლებამოსილება, კომპეტენცია თუ ვალდებულება დამტკიცებუ-

ლი და რეგლამენტირებულია შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტებით. გამომდინარე აქედან, საბანკო მენეჯმენტის ინსტრუმენტები ასევე ორ სახეობად იყოფა:

- **საერთო (ზოგადი) საბანკო მენეჯმენტის ინსტრუმენტები,** რომელთა შორის მოიაზრება საერთაშორისო საბანკო სისტემაში გავრცელებული პრაქტიკა და სტანდარტები, ასევე ქვეყნის ცენტრალური ბანკის მიერ გამოყენებული ინსტრუმენტები;
- **კონკრეტული საბანკო საქმიანობის მიმართულების მენეჯმენტის ინსტრუმენტები,** რომელთა შორის მოიაზრება სხვადასხვა ლიმიტი, ნორმატივები, გამოყენებული კონკრეტული საბანკო საქმიანობის (მიმართულების) მართვისათვის.

3) საბანკო მენეჯმენტის ობიექტები – ესაა ის ძირითადი მიმართულებები, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება მართვა. ეს მიმართულებები შეიძლება დავაჯგუფოთ ოთხ ძირითად სახეობად:

- საბანკო ოპერაციები;
- საბანკო რისკები;
- ბანკის პერსონალი;
- ბანკის საქმიანობის საბოლოო შედეგები.

4) საბანკო მენეჯმენტის მიზნები განპირობებულია ზოგადად კომერციული ბანკების ფუნქციონირების მიზნებით. გამომდინარე აქედან, საბანკო მენეჯმენტის მიზნები შეიძლება დაჯგუფდეს ორ მთავარ სახეობად: სოციალური და ეკონომიკური:

- **საბანკო მენეჯმენტის სოციალური მიზნები** გამომდინარეობს იმ სოციალური და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობებიდან, რომლებიც კომერციულ ბანკებს აქვთ. საბანკო მენეჯმენტის სოციალური ასპექტი გულისხმობს მისი მხრიდან ეკონომიკის ზრდის ხელშეწყობას, საზოგადოებრივი სიმდიდრის დაგროვებას. ასევე უმნიშვნელოვანესია ბანკების მიერ კლიენტებისათვის მიწოდებული პროდუქტებისა და მომსახურების ხარისხის ამაღლება, მომსახურების დროის შემცირება და სერვისის მიწოდების კულტურის ზრდა. ამ კუთხით საინტერესო პრაქტიკაა განვითარებული ქვეყნების ბანკებში ე. წ. „ბანკის თანამშრომელთა ქცევის კოდექსების“ დანერგვა. აღნიშნული პრაქტიკა ზოგიერთ ქართულ ბანკშიცაა გავრცელებული;
- **საბანკო მენეჯმენტის ეკონომიკური მიზნები** გულისხმობს კომერციული ბანკის, როგორც კომერციული ორგანიზაციის, მიერ მაქსიმალური მოგების მიღებას. გარდა ამისა, საბანკო მენეჯმენტის მთავარი მიზანი უნდა იყოს არა ორიენტირება მიმდინარე მოგების მიღებაზე, არამედ გრძელვადიანი პერსპექტივა – ბანკის საბაზრო ღირებულების, ანუ მისი აქციების ფასის ზრდა, საბანკო ოპერაციების მოცულობის მზარდი დინამიკა და რისკის ზომიერი დონე. ეკონომიკურ მიზნებში ასევე მოიაზრება ბანკის ლიკვიდობის სასურველი დონის შენარჩუნება, კონკურენტული პოზიციის ზრდა და სხვ.

5) საბანკო მენეჯმენტის ამოცანები განისაზღვრება მისი სოციალური და ეკონომიკური მიზნებიდან გამომდინარე. რა თქმა უნდა, საბანკო მენეჯმენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტის ამოცანები შეიძლება იყოს ინდივიდუალური ცალკეული ბანკის ჭრილში, თუმცა, მათი განზოგადებით შეიძლება ჩამოთვალოთ ოთხი ძირითადი ამოცანა:

- მაქსიმალური მომგებიანობის დონის მიღწევა;
- რისკების მინიმიზაციის ოპტიმალური შესაბამისობის მიღწევა;
- კონკურენტული უპირატესობის მიღწევა;
- თანამშრომელთა პოტენციალის სრულად რეალიზაციის უზრუნველყოფა.

6) საბანკო მენეჯმენტის პრინციპები – ესაა ის ზოგადი და საყოველთაოდ მიღებული საბანკო საქმიანობის „ოქროს წესები", რომელთა გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია კომერციული ბანკის მიზნებისა და ამოცანების მიღწევა. ჩამოვაყალიბოთ საბანკო მენეჯმენტის 8 უმთავრესი პრინციპი:

- ფინანსური ბაზრის კონიუნქტურისა და სხვა მაკროეკონომიკური ფაქტორების, მათ შორის, საკანონმდებლო გარემოს, უპირველეს ყოვლისა ქვეყნის ცენტრალური ბანკის მოთხოვნების გათვალისწინება;
- ბაზრის მოთხოვნებზე, უპირველეს ყოვლისა, მოთხოვნა-მიწოდებაზე ორიენტირება;
- ბანკის განვითარების გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირება და, ამავდროულად, მიზნების ოპერატიულად კორექტირების უნარი, შექმნილი ობიექტური რეალობიდან გამომდინარე;
- მართვის ცენტრალიზაციასა და დეცენტრალიზაციას შორის ოპტიმალური შუალედის მოძებნა;
- საბანკო ოპერაციების შემოსავლიანობასა და რისკებს შორის ოპტიმალური შუალედის მუდმივი ძიება;
- საბანკო საქმიანობის ეფექტიანობის ზრდის მუდმივი ძიება დანახარჯების შემცირებისა და ოპტიმალური შედეგების მიღების მიზნით;
- თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების მიღწევებზე ორიენტირება;
- პერსონალის რაციონალური შერჩევა და მისი ეფექტიანი გამოყენება.

საბანკო მენეჯმენტში მეტად მნიშვნელოვანია კომერციული ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურა, ანუ მისი იერარქიული წყობა. ორგანიზაციული სტრუქტურა გვიჩვენებს ყველა სტრუქტურული ერთეულის ადგილსა და როლს ერთიან ორგანიზმში, მათ უფლებებსა და მოვალეობებს, მის ზემდგომ და მისდამი დაქვემდებარებულ სტრუქტურებს.

ბანკის საქმიანობის ორგანიზება რიგი თავისებურებებით ხასიათდება, რაც მისი, როგორც საწარმოს და მისი პროდუქტების განსაკუთრებულობითაა განპირობებული. მაგალითად, ბანკის დანახარჯებს შორის, წარმოების სფეროს ხარჯებისაგან განსხვავებით, უფრო მეტი წილით ხასიათდება პერსონალის ხარჯი. ზოგადად, ბანკის მენეჯმენტში ძალიან დიდია პერსონალის როლი, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პიროვნულ ფაქტორებსა და თვისებებს. კიდევ ერთი განმასხვავებელი ნიშანი წარმოების სფეროსაგან არის გაყიდვის წერტილების (ფილიალები, სერვისცენტრები, ბანკომატები და ა. შ.) ფართო ქსელი.

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულია კომერციული ბანკის (მათ შორის, როგორც სააქციო საზოგადოების) უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოების უფლებები და მოვალეობები როგორც აქციონერთა, ისე ქვეყნის წი-

ნაშე. განვიხილოთ კომერციული ბანკის ტიპური ორგანიზაციული სტრუქტურა და მისი მთავარი ნიშან-თვისებები (სქემა №5.1.).

სქემაში მოცემული სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალი (გარდა აქციონერთა კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოსი) კონკრეტული ბანკის შემთხვევაში შეიძლება იყოს განსხვავებული და მოყვანილია მაგალითის სახით, რათა წარმოჩნდეს ზოგადი სურათი იმისა, თუ რა პრინციპით ხდება კომერციული ბანკის სტრუქტურის ჩამოყალიბება.



სქემა №5.1. ფილიალების ძალების მქონე კომერციული ბანკის ტიპური ორგანიზაციული სტრუქტურა

ნიშანდობლივია, რომ კონკრეტულ კომერციულ ბანკში კონკრეტული სტრუქტურული ერთეული შეიძლება სხვა ბლოკში იყოს, რაც ამ ბანკის სპეციფიკით იქნება განპირობებული, თუმცა, „ბლოკური“ განაწილების პრინციპი, ანუ მათი მიკუთვნება „ფრონტ“, „მიდლ“ თუ „ბექ“ ოფისისათვის გარკვეულ პრინციპებს ექვემდებარება. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ამ სტრუქტურული ერთეულების სახელწოდებებიც შეიძლება განსხვავებული იყოს, მაგალითად, იწოდებოდეს დეპარტამენტად, სამმართველოდ, განყოფილებად, სამსახურად.

ასევე აღსანიშნავია, რომ თითოეულ სტრუქტურულ ერთეულში შეიძლება იყოს რამდენიმე ქვესტრუქტურა, მაგალითად, რისკების მართვის სამმართ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველო შეიძლება იყოფოდეს საკრედიტო რისკების, საოპერაციო რისკების, ფინანსური რისკების და ა.შ. განყოფილებებად. აღნიშნული დამოკიდებულია კონკრეტული კომერციული ბანკის ზომასა და კორპორაციულ კულტურაზე, მის ისტორიასა და ტრადიციებზე. რაც უფრო დიდი მასშტაბისაა კონკრეტული ბანკი, მით უფრო დიდი და რთულია მისი სტრუქტურა. აღნიშნულზეა ასევე დამოკიდებული გენერალური დირექტორის მოადგილეების (დირექტორატის წევრების) რაოდენობა, რომელიც მოქმედი კანონმდებლობით არ უნდა იყოს 3-ზე ნაკლები, ხოლო მაქსიმალური რაოდენობა არაა შეზღუდული. დირექტორატის წევრები (დირექტორები), როგორც წესი, ხელმძღვანელობენ ბანკის საქმიანობის გარკვეულ მიმართულებებს (ბლოკებს) და პასუხისმგებელნი არიან ბანკის შედეგებზე ამ მიმართულებების მიხედვით.

მოკლედ დავახასიათოთ კომერციული ბანკების ორგანიზაციული სტრუქტურის ზედა სამი რგოლი. როგორც უკვე აღინიშნა, კანონმდებლობის თანახმად, საქართველოში კომერციული ბანკები იქმნება სააქციო საზოგადოების სამართლებრივი ფორმით, რაც განაპირობებს იმას, რომ მათი ხელმძღვანელი ორგანოების ფორმირება და ფუნქციონირება ხორციელდება „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

აქციონერთა საერთო კრება

ჩვენს რეალობაში კომერციული ბანკის მმართველობის უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობისა და საზოგადოების წესდების შესაბამისად. აქციონერთა მორიგი საერთო კრების ჩატარება წელიწადში ერთხელ სავალდებულოა, წლიური ბალანსის შედგენიდან 2 თვის ვადაში. მასზე განიხილება წლიური შედეგები და დღის წესრიგის სხვა შესაძლო საკითხები. დანარჩენ შემთხვევებში ხდება რიგგარეშე კრების მოწვევა.

გამომდინარე თავისი სტატუსიდან, კომერციული ბანკის აქციონერთა საერთო კრება უფლებამოსილია:

- მიიღოს ცვლილებები წესდებაში;
- მიიღოს გადაწყვეტილება ბანკის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;
- მიიღოს ან უარყოს სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორების წინადადება მოგების განაწილების შესახებ;
- მიიღოს გადაწყვეტილება სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის შესახებ, აირჩიოს ან გამოიწვიოს მისი წევრები;
- დაამტკიცოს დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშები;
- გადაწყვიტოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების საკითხი;
- აირჩიოს გარე აუდიტორი.

სამეთვალყურეო საბჭო

რაც შეეხება სამეთვალყურეო საბჭოს, ესაა კომერციული ბანკის იერარქიული სტრუქტურის მეორე რგოლი, რომელიც არის აქციონერთა საერთო კრებასა და დირექტორატს შორის და უზრუნველყოფს ზედამხედველობას კომერციული ბანკის საქმიანობაზე, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით – დირექტორატზე. კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭო შედგება სულ მცირე 3 და არა უმეტეს 21 წევრისაგან. ამასთან, წევრთა რაოდენობა კენტი უნდა იყოს. 2009

წლის ბოლოდან ქართულ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებით კომერციული ბანკის დირექტორი (დირექტორატის წევრი) შეიძლება იყოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, თუმცა, ისინი არ შეიძლება წარმოადგენდნენ უმრავლესობას სამეთვალყურეო საბჭოს სრულ შემადგენლობაში. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი-დირექტორი არ უნდა მონაწილეობდეს საკითხების გადაწყვეტაში, რომელიც შეეხება დირექტორატის (აღმასრულებელი ორგანოების) საქმიანობის ზედამხედველობას, მათი ანგარიშების დამტკიცებასა და შეფასებას.

გამომდინარე იქიდან, რომ სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია განახორციელოს დირექტორატის ზედამხედველობა აქციონერების, ანუ აქციონერთა საერთო სახელით, მის ყოველ წევრს კრება ირჩევს. სამეთვალყურეო საბჭოს არჩევა აქციონერთა საერთო კრების მხრიდან ხდება 4 წლის ვადით და მათი გამეორებითი არჩევა შეუზღუდავია. კრება ასევე განსაზღვრავს მათი შრომის ანაზღაურების საკითხსაც. სამეთვალყურეო საბჭოს წევრად არ შეიძლება აირჩეს და აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით საბჭოდან გამოყვანილი უნდა იქნეს პირი, რომელიც:

- არის სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორატის წევრი საქართველოში რეგისტრირებულ შვიდზე მეტ საწარმოში;
- არის საქართველოში რეგისტრირებული სხვა კომერციული ბანკის ადმინისტრატორი [12], გარდა ამ ბანკის კონტროლს დაქვემდებარებული ბანკისა ან ბანკში, რომლის კონტროლსაც ექვემდებარება მოცემული კომერციული ბანკი;
- გამოცხადებულია გაკოტრებულად.
- კანონმებდებლობა ასევე განსაზღვრავს იმ ქმედებებს, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით:
- ახალი სახეობის საბანკო საქმიანობის დაწყება ან არსებული სახეობის საქმიანობის შეწყვეტა;
- საკრედიტო, საინვესტიციო, სავალუტო, აქტივებისა და ვალდებულებების მართვის, აქტივების შეფასების, მათი კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების ადეკვატური რეზერვის შექმნის შიდა პოლიტიკისა და პროცედურების განსაზღვრა და დამტკიცება;
- ბანკის მიერ საკრედიტო რესურსებსა და დეპოზიტებზე გამოსაყენებელი მინიმალური და მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთების ოდენობის განსაზღვრა და დამტკიცება.

გამომდინარე იმ დიდი პასუხისმგებლობიდან, რომელიც კომერციული ბანკის უმაღლეს მმართველობით ორგანოებს აკისრიათ აქციონერებისა და განსაკუთრებით მეანაბრეების, ანუ საზოგადოების წინაშე, კანონმდებლობა მოითხოვს, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები კომერციული ბანკის საქმეებს უძღვებოდნენ კეთილსინდისიერად, ბანკზე უნდა ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ პირობებში მყოფი კეთილსინდისიერი და საღად მოაზროვნე პირი და უნდა მოქმედებდნენ ბანკის სტაბილურობის ინტერესების შესაბამისად. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა დაამტკიცონ, რომ მოქმედებდნენ კეთილსინდისიერად და ბანკის ინტერესებიდან გამომდინარე. საბჭოს თითოეული წევრის გადაწყვეტილება უნდა შეე-

12 კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატის წევრი, აგრეთვე პირი, რომელიც უფლებამოსილია დამოუკიდებლად ან ერთ ანდა ერთზე მეტ პირთან ერთად ბანკის სახელით აიღოს ვალდებულებები.

საბამებოდეს კომერციული ბანკის ინტერესებს. ისინი საქმეს უნდა მიუდგნენ გონივრულად და დამოუკიდებლად.

კანონმდებლობა ავალდებულებს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, უზრუნველყონ კომპეტენტური დირექტორების (დირექტორატის წევრების) შერჩევა და შენარჩუნება. სამეთვალყურეო საბჭო ასევე უზრუნველყოფს კომერციული ბანკის საქმიანობის სტრატეგიის განსაზღვრასა და საბანკო საქმიანობის პოლიტიკის წერილობით ჩამოყალიბებას. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტია ის, რომ კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ან მის წევრებს აქციონერთა საერთო კრების თანხმობის გარეშე არ შეუძლიათ სხვებისათვის თავიანთი უფლებების დელეგირება.

სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია შექმნას მასთან დაქვემდებარებული აუდიტის კომიტეტი, რომელიც შედგება დამოუკიდებელი წევრებისაგან. წევრი ჩაითვლება დამოუკიდებლად, თუ ის არ არის კომერციულ ბანკთან დაკავშირებული პირი და არ აქვს კომერციული ბანკის მიმართ ფინანსური ვალდებულება. აუდიტის კომიტეტის ძირითადი ფუნქციაა შიდა აუდიტისა და ბანკის გარე აუდიტორების ფუნქციონირების ხელშეწყობა, იგი სამეთვალყურეო საბჭოს პერიოდულად აბარებს ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ.

დირექტორატი

რაც შეეხება კომერციული ბანკის მმართველობის მესამე რგოლს – ესაა მისი აღმასრულებელი ორგანო, ანუ დირექტორატი. კომერციული ბანკის, როგორც სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობა და მისი წარმომადგენლობა ევალებათ კომერციული ბანკის დირექტორებს, ანუ დირექტორატს. ისინი პასუხისმგებელი არიან ბანკის საქმეების მართვასა და მისი ფუნქციების შესრულებისათვის. კომერციული ბანკის დირექტორატი შედგება 3 დირექტორისაგან მაინც, რომელთაც ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო არა უმეტეს 4 წლის ვადით. მათი განმეორებით დანიშვნა შეუზღუდავია. კომერციული ბანკის დირექტორატის წევრად არ შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელიც:

- ვერ აკმაყოფილებს ბანკის დირექტორის შესაფერისობის კრიტერიუმებს;
- კანონის შესაბამისად არ აქვს უფლება, დაიკავოს ადგილი დირექტორატში;
- გამოცხადებულია გაკოტრებულად;
- არის ამ ბანკის დირექტორატის წევრის მეუღლე, შვილი ან ახლო ნათესავი.

როგორც ზემოაღნიშნული სქემის განხილვისას ითქვა, დირექტორატის თითოეული წევრი, ანუ დირექტორი, კურირებს ბანკის ცალკეულ მიმართულებას და პასუხს აგებს ბანკის საბოლოო შედეგებზე ამ მიმართულების მიხედვით. ხშირად დირექტორების თანამდებობის დასახელებაში ჩანს კიდეც მათი საკურატორო მიმართულება, მაგალითად, „ფინანსური დირექტორი“, „კორპორაციული ბიზნესის დირექტორი“, „კომერციის დირექტორი“, „რისკების დირექტორი“ და ა.შ. მიუხედავად ამისა, მთავარი პასუხისმგებელი ბანკის საბოლოო შედეგებისათვის კომერციულ ბანკში გენერალური დირექტორია.

მართვის კოლეგიალური ორგანოები — კომიტეტები

აუცილებელია ითქვას ორიოდე სიტყვა კომიტეტებზე, რომლებიც ნაჩვენებია სქემაში №5.1. ისინი არ არიან „ჩვეულებრივი“ სტრუქტურული

ერთეულები, არამედ წარმოადგენენ კოლეგიალურ ორგანოებს, რომლებიც შემადგენლობაში შედიან როგორც დირექტორატის ცალკეული წევრები, ისე სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები. მისი წევრები ინიშნებიან ინდივიდუალურად სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. კოლეგიალური ორგანოები იკრიბებიან პერიოდულად, საჭიროების მიხედვით, მაგრამ, როგორც წესი, არა უგვიანეს 3 თვეში ერთხელ, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი კომიტეტის (მაგალითად, საკრედიტო) შეკრების პერიოდულობა ბევრად ინტენსიურია.

თითოეული კომიტეტის მუშაობის რეგლამენტი, ფუნქცია-მოვალეობები და როგორც ზემოთ აღინიშნა – შემადგენლობაც, მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. კომიტეტები, როგორც წესი, ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ პერიოდულად (3 თვეში ერთხელ) წარუდგენენ სამეთვალყურეო საბჭოს. სხვადასხვა კომეტეტი იღებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მაგალითად:

- **აქტივ-პასივების მათვის კომიტეტი** – ფუნქციონირებს იმ მიზნით, რომ მიღწეულ იქნეს შემოსავლიანობისა და ეფექტიანობის მაქსიმალური დონე, რომელიც დაკავშირებულია რესურსების მოზიდვასა და განთავსებასთან. აქტივ-პასივების მართვის კომიტეტის უფლებამოსილებაში შედის აქტივებისა და ვალდებულებების სტრუქტურის შეზღუდვა, ლიმიტების, მინიმალური და მაქსიმალური ზღვრების დაწესება. კომიტეტის ერთ-ერთ უმთავრეს „საზრუნავს“ ლიკვიდობის მართვა, სავალუტო და საპროცენტო რისკების მინიმიზაცია წარმოადგენს;
- **რისკების მართვის კომიტეტი** – მისი მთავარი ფუნქციაა კომერციული ბანკის რისკების მართვის პოლიტიკის რეალიზაცია, კერძოდ, რისკების მართვის სტრატეგიის განსაზღვრა და მასში ცვლილებების შეტანა, რისკების მართვის სისტემის და მისი ცალკეული ინსტრუმენტების ეფექტიანობის შეფასება. რისკების მართვის კომიტეტის თანხმობა შეიძლება საჭირო იყოს ჩვეულებრივისაგან განსხვავებული (არატიპობრივი) და მნიშვნელოვანი ბიზნესგადაწყვეტილებების მიღების დროს (მაგალითად, ბიზნესის მნიშვნელოვანი გაფართოება), რომელიც განსხვავდება ბანკის ადრე დამტკიცებული ბიზნესგეგმისგან, ანდა დადგენილი ლიმიტის გადაჭარბებით რისკის გაწევისას;
- **საკრედიტო კომიტეტი** – მისი მთავარი ფუნქციაა კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკის რეალიზაცია, კერძოდ, წარმოდგენილი საკრედიტო პროექტების დამტკიცება, დამტკიცებულ პროექტებში ცვლილებების შეტანა, მონიტორინგის შედეგების დამტკიცება და სხვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება საკრედიტო მიმართულებით. ბანკის სიდიდიდან გამომდინარე, შეიძლება ფუნქციონირებდეს რამდენიმე საკრედიტო კომიტეტი (მაგალითად, „დიდი საკრედიტო კომიტეტი“, „მცირე საკრედიტო კომიტეტი“, „სამომხმარებლო კრედიტების საკრედიტო კომიტეტი“). საკრედიტო კომიტეტები ასევე შეიძლება იყოს ცალკეულ ფილიალებშიც. ამ კომიტეტების არსებობა განპირობებულია უფლებების დელეგირებით სხვადასხვა დონეზე, მაგალითად, დიდი საკრედიტო კომიტეტი განიხილავს და ამტკიცებს ბანკში წარმოდგენილ ყველაზე მასშტაბურ საკრედიტო პროექტებს და, შესაბამისად, მისი შემადგენლობაც უფრო „წარმომადგენლობითია“, ვიდრე, ვთქვათ, მცირე საკრედიტო კომიტეტისა, რომელიც შეიძლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლებამოსილი იყოს მხოლოდ საშუალო და მცირე ბიზნესპროექტებზე დამკიცებაზე. რა თქმა უნდა, ზღვარი ამ კომიტეტებს შორის მათი უფლებამოსილების გამიჯვნის ნაწილში წინასწარაა განსაზღვრული;

- **სატარიფო კომიტეტი** – იღებს გადაწყვეტილებებს საბანკო პროდუქტების (გარდა საკრედიტო პროდუქტებისა) ფასწარმოქმნის მიმართულებით, რათა მიღწეულ იქნეს შემოსავლიანობის, რენტაბელობისა და კონკურენტუნარიანობის ოპტიმალური დონე.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ კომიტეტების სიმრავლეს მეტწილად ბანკის სიდიდე განაპირობებს. მცირე ზომის ბანკებში რამდენიმე კომიტეტის ფუნქცია შეიძლება ერთ კომიტეტში იყოს გაერთიანებული (მაგალითად, აქტივ-პასივების მართვისა და სატარიფო კომიტეტი). გარდა ამისა, მთავარია კომიტეტის უფლებამოსილება და არა სახელწოდება. მაგალითად, ზოგიერთ ბანკში სატარიფო კომიტეტი შეიძლება საფინანსო კომიტეტად იწოდებოდეს. საფინანსო კომიტეტად ზოგჯერ ჩვენ მიერ დახასიათებული აქტივ-პასივების კომიტეტსაც მოიხსენიებენ. ამასთან, ზოგიერთი კომიტეტის არსებობა კომერციულ ბანკში სავალდებულოა ცენტრალური ბანკის მოთხოვნით (მაგალითად, რისკების მართვის კომიტეტი საქართველოს შემთხვევაში).

დაბოლოს, როგორც ზემოთ აღინიშნა, საბანკო მენეჯმენტის, ანუ მართვის სტრუქტურა შეიძლება მრავალფეროვანი იყოს, მაგრამ შესაძლებელია მისი განზოგადება და დაყოფა სამ მთავარ ელემენტად ესაა:

1. სტრატეგიული მენეჯმენტი, ანუ სტრატეგიული დაგეგმა და ბიუჯეტირება;
2. პერსონალის მართვა;
3. ფინანსური მენეჯმენტი, ანუ ბანკის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის მართვა.

აღნიშნული მიმართულებები, თავიანთი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ცალკე პარაგრაფებად იქნება განხილული.

5.2. სტრატეგიული დაგეგმვა და ბიუჯეტირება კომერციულ ბანკში

მენეჯმენტის ძველი კონცეფციები გამოირჩეოდა კონსერვატიულობით და ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რომ: ა) კომერციული ორგანიზაციების მთავარი მიზანი მოგების მიღებაა, ბ) არსებობს ორგანიზაციული სტრუქტურისა და პერსონალის მართვის ერთადერთი მართებული მოდელი და 3) კომერციული ორგანიზაციის სტრატეგიის არსი და მთავარი იდეა არავითარ შემთხვევაში არ უნდა იცვლებოდეს მისი რეალიზაციის პროცესში. თანამედროვე დინამიკურმა ეკონომიკამ გლობალიზაციის პირობებში და ცვალებადმა გარემომ განაპირობეს ის, რომ თანამედროვე სტრატეგიული მენეჯმენტი გულისხმობს არა ადრე მიღწეული შედეგების შენარჩუნებას, არამედ წინსვლასა და მუდმივად ახალი გზების ძიებას.

ზოგადად, მენეჯმენტი არის გადაწყვეტილებების მიღება, ხოლო გადაწყვეტილება აუცილებლად გულისხმობს არჩევანს ალტერნატივებს შორის. ამ არჩევანის ხარისხი და რეალიზება კი აუცილებლად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ეფექტიანად ფუნქციონირებს მენეჯერული ინფორმაციისა და დაგეგმვის სისტემები. აღნიშნული დამახასიათებელია ნებისმიერი ორგანიზაციისათვის, მაგრამ განსაკუთრებით აქტუალურია ეს კომერციულ ბანკში. გადაწყვეტილების მიღების პროცესი კომერციულ ბანკში აუცილებლად მოიცავს სამ მენეჯერულ ქმედებას: დაგეგმვას, დანერგვასა და კონტროლს. აღნიშნული პროცესი კომერციულ ბანკში გამოიხატება შემდეგით:

I. სტრატეგიულ დაგეგმვა;
II. დამტკიცებული გეგმების აღსრულების პროცესი;
III. გეგმების შესრულების კონტროლი და შეფასება.
განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე:

I. სტრატეგიული დაგეგმვა

სანამ დავიწყებდეთ კომერციულ ბანკში სტრატეგიული დაგეგმვის მექანიზმების აღწერას, უნდა აღიშნოს, რომ დაგეგმვის ნებისმიერი მოდელის შემთხვევაში აუცილებელია არსებობდეს გაწერილი დეტალური პროცედურები, თუ როგორ, რა პრინციპით, რა ვადებში და რა იერარქიით ხდება მისი შემოუშავება, შემდეგ – შესრულების კონტროლი და შეფასება. დაგეგმვისა და შემდეგ მისი კონტროლის გამართული მექანიზმი მეტყველებს კომერციულ ბანკში ქმედითი და თანამედროვე კორპორაციული მართვის არსებობის შესახებ. ცალკეულ კომერციულ ბანკში შეიძლება არსებობდეს სტრატეგიული დაგეგმვის სხვადასხვა პრაქტიკა, თუმცა, როგორც წესი, იგი მოიცავს ორ ნაწილს. ესაა: ა) გრძელვადიანი სტრატეგია – სტრატეგიული გეგმა და ბ) მოკლევადიანი სტრატეგია – ოპერატიული გეგმა (ბიუჯეტი). განვიხილოთ ისინი.

ა) სტრატეგიული გეგმა, როგორც აღინიშნა, არის ბანკის სტრატეგიული დაგეგმვის შემადგენელი ნაწილი, განკუთვნილია გრძელვადიანი (3-5 წლამდე) პერიოდისათვის და შეიცავს ყველა იმ ძირითად მიზანს, რომელთა მიღწევაც არის პრიორიტეტული მისთვის საქმიანობის ყველა მიმართულებით. მასში აღინიშნება ყველა ხარისხობრივი და რაოდენობრივი ორიენტირი წლების მიხედვით, რომელთა მიღწევა იგეგმება კომერციული ბანკის მიერ. ერთიანი სტრატეგიული გეგმა შეიძლება მოიცავდეს შვილობილი კომპანიების, ფილიალებისა და სხვადასხვა ბიზნესმიმარულების სტრატეგიულ გეგმებსაც. სტრატეგიული გეგმის შემუშავების რამდენიმე ეტაპი არსებობს:

1. სტრატეგიული გეგმის შედგენის პირველ ეტაპს წარმოადგენს **ბანკის მისიის,** ანუ სლოგანის, შემუშავება. ბანკის მისიის შემუშავება ხდება ბანკის შექმნის პერიოდში, მაგრამ მისი კორექტირება შეიძლება მოხდეს „მორიგი" სტრატეგიული გეგმის შემუშავების დროსაც. ბანკის მისია ესაა მთავარი ამოცანის ფორმულირება, რომელშიც მკაფიოდაა ჩამოყალიბებული კომერციული ბანკის არსებობის მიზანი. მისი კორპორაციული კულტურა ესაა მოკლე ფორმულირება, ფილოსოფიური იდეა იმ უმაღლესი მიზნებისა, რის გამოც შეიქმნა ბანკი. ბანკის მისია არის ის სამიზნე ღირებულებები, რომლებიც არ უნდა იცვლებოდეს გარემო პირობების ცვლილებების გამო. მისიის ცვლილება ხდება იშვიათად და იგი შეიძლება დაკავშირებული იყოს აქციონერთა შემადგენლობის მნიშვნელოვან გადახალისებასთან.

ვიწრო გაგებით, ბანკის მისია იძლევა პასუხს კითხვებზე, ვისთვის და რისთვის შეიქმნა ბანკი. მკაფიოდ ფორმულირებულ მისიაში ჩანს აქციონერების, ხელმძღვანელობის, თანამშრომლების, კლიენტების, საქმიანი პარტნიორებისა და საზოგადოების ინტერესები. კომერციულ ბანკებს, როგორც წესი, თავიანთ ვებგვერდებზე მითითებული აქვთ მისია. გამონაკლისი არც ქართული ბანკებია, რომელთა მისიებს, მაგალითად, წარმოადგენს: „ჩვენ ვქმნით ახალ შესაძლებლობებს ადამიანებისა და კომპანიების წარმატებისათვის", „იგრძენი მომავალი", „საიმედოობა ქმნის ნდობას" და ა. შ. აღსანიშნავია, რომ გვხვდება უფრო დიდი, რამდენიმეწინადადებიანი მისიებიც. თუმცა, საკმაოდ ბევრია ბანკები, რომლებიც ოფიციალურად გაცხადებული მისიის გარეშეც აგრძელებენ ფუნქციონირებას.

2. მეორე ეტაპს სტრატეგიული გეგმის შემუშავებისას წარმოადგენს **სამიზნე მაჩვენებლების განსაზღვრა**. სამიზნე მაჩვენებლების განსაზღვრა ხდება უმაღლესი მენეჯმენტის (სამეთვალყურეო საბჭო) მიერ ბანკის მისიისა და მთავარი ღირებულებების საფუძველზე და შეცვლილი გარემო ფაქტორების გათვალისწინებით. სამიზნე მაჩვენებლები არის ძირითადი ორიენტირები, რომელთა მიღწევა წარმოადგენს პრიორიტეტს ბანკისათვის შეცვლილი გარემოს პირობებში და იგი სახელმძღვანელოა ადამიანთა იმ ჯგუფისათვის, რომელმაც უშუალოდ უნდა განახორციელოს დაგეგმვა. უმაღლესი მენეჯმენტის მიერ განსაზღვრულმა სამიზნე მაჩვენებლებმა სრულად რომ შეასრულოს თავისი დანიშნაულება, ისინი უნდა იყოს გასაგები, ანუ კონკრეტული, გაზომვადი, განსაზღვრული დროში და მიღწევადი. მაგალითად, 5 წლის შემდეგ: აქტივების 100 მლნ ერთეულამდე გაზრდა, მიმდინარე მოგების გაორმაგება, საბანკო ბაზრის პირველ ხუთეულში მოხვედრა აქტივების მიხედვით, საბაზრო წილის ზრდა 4.3%-დან 5.0%-მდე და ა. შ. რა თქმა უნდა, უმაღლესი მენეჯმენტის მიერ სამიზნე მაჩვენებლების განსაზღვრა უახლოესი 3 თუ 5 წლისათვის არ უნდა ხდებოდეს ზედაპირულად, გაუაზრებლად, სპონტანურად და საკუთარი შესაძლებლობების, ანუ რეალური რესურსების შეფასების გარეშე. სამიზნე მაჩვენებლები ძირითადი მიმართულებების მიხედვით შეიძლება იყოს:

- კომერციული;
- ფინანსური;
- ტექნოლოგიური;
- საკადრო;
- მარკეტინგული;
- უსაფრთხოებისა და რისკების.

სტრატეგიულ გეგმაში სხვადასხვა მიმართულების პრიორიტეტულობა, ანუ რომელს მეტი როლი და მნიშვნელობა ენიჭება, კონკრეტული ბანკის მიზნებზე, დაგეგმვის მოდელებსა თუ ტრადიციებზეა დამოკიდებული. უფრო მეტიც, შეიძლება კომერციულმა ბანკმა რამდენიმე სტრატეგიული გეგმა შეიმუშაოს თითოეული მიმართულების მიხედვით, მაგალითად, მარკეტინგული სტრატეგიული გეგმა, საკადრო სტრატეგიული გეგმა და სხვ.

3. სტრატეგიული გეგმის შედგენის მესამე ეტაპს წარმოადგენს ბანკის **მიმდინარე მდგომარეობის სურათის აღწერა, ე.წ. SWOT ანალიზი**. SWOT ანალიზი არის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდი, რომელიც გამოიყენება კომპანიის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორებისა და ფაქტების შეფასებისათვის. SWOT ანალიზის დროს აღნიშნული ფაქტორები იყოფა 4 ნაწილად:

- **S** (strengths) – ძლიერი მხარეები;
- **W** (weaknesses) – სუსტი მხარეები;
- **O** (opportunities) – შესაძლებლობები;
- **T** (threats) – საფრთხეები.

როგორც ვხედავთ, კომერციული ბანკის სტრატეგიული დაგეგმვისას SWOT ანალიზის დროს ხდება იმ პოზიტიური (ძლიერი მხარეები და შესაძლებლობები) და ნეგატიური (სუსტი მხარეები და საფრთხეები) ფაქტებისა და მოვლენების ჩამოთვლა და ანალიზი, რომლებიც არსებობს დღეს ან მოსალოდნელია გონივრულ მომავალში. აქ შეიძლება შედიოდეს:

- **მაკრო- და მიკროგარემოს ფაქტორები:** მშპ, ინფლაცია, სავალუტო კურსები, საბაზრო საპროცენტო განაკვეთები, ეკონომიკის დარგების განვითარების მაჩვენებლები, საკანონმდებლო გარემო და სხვ.;
- **კონკურენტული გარემო:** საბანკო სისტემის მდგომარეობა, უშუალო კონკურენტების განვითარების დინამიკა და პერსპექტივები, მათი პროდუქტები, საფილიალო ქსელი, რენტაბელობის მაჩვენებლები (საერთო და ერთ თანამშრომელზე), თანამშრომლების კვალიფიკაცია, მათი სტრატეგიული გეგმები და ა.შ.;
- **ბანკის შიდა მდგომარეობა:** იმიჯი, სეგმენტაცია, კლიენტურის ბაზა, პროდუქტები და მომსახურების სახეობები, ტექნოლოგიური ბაზა, საპროცენტო მარჟა, პროდუქტების თვითღირებულება, და ა. შ.

SWOT ანალიზი ნათელს ჰფენს კომერციული ბანკის ყველა შესაძლებლობას (პოტენციალს) და ბარიერს (საფრთხეს), რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს სამიზნე მაჩვენებლების პრაქტიკულად რეალიზაციის კონკრეტული გეგმის შედგენისას, ანუ შემდეგ ეტაპზე. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ SWOT ანალიზის გამოყენება სტრატეგიული დაგეგმვის მეორე ეტაპზეც (სამიზნე მაჩვენებლების განსაზღვრა) მიღებული პრაქტიკაა.

4. სტრატეგიული დაგეგმვის ბოლო, მეოთხე ეტაპია **სტრატეგიული გეგმის შემუშავება და დამტკიცება.** სტრატეგიული დაგეგმვის უშუალოდ გეგმის შემუშავება, ხორციელდება პირველი სამი ეტაპის, ანუ ბანკის მისიის, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრული სამიზნე მაჩვენებლების, SWOT ანალიზისა და ბანკის არსებული რესურსების გონივრული შეფასების საფუძველზე. სტრატეგიული გეგმის შემუშავებას კოორდინაციას უწევს ბანკის დირექტორატი, ახორციელებს ანალიზისა და ბიუჯეტირების სამსახური და მასში მონაწილეობს ყველა სტრუქტურული ერთეული. გეგმის დამუშავებისა და დირექტორატის მიერ დამტკიცების შემდეგ ხდება მისი სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე გატანა და დამტკიცება. კომერციული ბანკის ციფრებში გამოხატულ სტრატეგიულ გეგმას, რომელიც, თავის მხრივ, შედგება შვილობილი კომპანიების, ფილიალებისა და ბიზნესმიმართულებების გეგმებისაგან, თან უნდა ახლდეს დეტალური განმარტებითი ბარათი, რომელშიც ახსნილი უნდა იყოს ყველა ძირითადი მიზანი, მათი შესრულების კონკრეტული გზები და ტაქტიკა და მიღებული რეალური შედეგი. აღსანიშნავია. რომ სტრატეგიულ გეგმას სწორედ ეს ე. წ. „განმარტებითი ბარათი“ წარმოადგენს, ხოლო ყველა საპროგნოზო ცხრილი წლების მიხედვით (ბალანსი, მოგება-ზარალის ანგარიში, კაპიტალური დაბანდებების გეგმა, ფულის მოძრაობის უწყისი) სტრატეგიული გეგმის დანართებს წარმოადგენს. სტრატეგიულ გეგმაში ასევე მოცემულია სამიზნე ხარისხობრივი მაჩვენებლები (აქტივების რენტაბელობა – ROA, კაპიტალის რენტაბელობა – ROE, ხარჯების ეფექტიანობა – Cost to Income Ratio,

წმინდა პროცენტული მარჟა და სხვ.). სტრატეგიულ გეგმაში ასევე მოცემული უნდა იყოს სხვადასხვა სავალდებულო ნორმატივის (კაპიტალის, ლიკვიდობის, ინვესტიციების, ღია სავალუტო პოზიციის და სხვ.) საპროგნოზო მაჩვენებლები.

ზოგადად, მენეჯმენტი არის გადაწყვეტილებების მიღება, ამიტომ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გადაწყვეტილებას და, შესაბამისად, პასუხისმგებლობასაც სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში იღებს არა მხოლოდ უმაღლესი დონის მენეჯმენტი, არამედ ბანკის ყველა დონის მენეჯერები, რა თქმა უნდა, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

ბ) ოპერატიული გეგმა, იგივე ფინანსური გეგმა ან ბიუჯეტი, არის კომერციული ბანკის სტრატეგიული დაგეგმვის მეორე შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოადგენს მოკლევადიან, ერთწლიანი შემოსავლებისა და ხარჯების, მიზნობრივი მაჩვენებლების მიღწევის დეტალურ გეგმას შვილობილი კომპანიების, ფილიალებისა და ძირითადი ბიზნესმიმართულებების მიხედვით. კომერციული ბანკის ბიუჯეტის შედგენის პროცედურა ძირითადად იგივეა, როგორიც სტრატეგიული გეგმის დროს, იმ განსხვავებით, რომ იგი ეფუძნება მოქმედ გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმას, არის ყოველწლიური და უფრო დეტალური, უფრო სწორად – მაქსიმალურად დეტალური. ცხადია, დეტალიზაცია ეხება როგორც საბალანსო მაჩვენებლებს: საკრედიტო პორტფელს პროდუქტების მიხედვით, ფასიანი ქაღალდების პორტფელს, ფიქსირებულ აქტივებს და ა.შ., ისე შემოსავლებსა და ხარჯებს.

ბიუჯეტის შედგენის პროცესი (ბიუჯეტირება) იწყება იმის ანალიზით, თუ რა და როგორ კეთდებოდა წინა პერიოდში, შემდეგ ირკვევა ბანკის სუსტი და ძლიერი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები, კეთდება მისიის, ღირებულებების, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ფორმალიზება. ამის მერე ყალიბდება ბანკის ზოგადი გეგმები და ფასდება მათ შესასრულებლად საჭირო რესურსები. მომდევნო ეტაპი არის მოცემული გეგმის ბიუჯეტირება – გეგმის ფარგლებში მოქცეული ყველა შედეგისა და მოვლენის ფულად ერთეულში გამოსახვა. ამ პროცესის ბოლო ეტაპია მონიტორინგი, რომელიც აკონტროლებს მიღებულ შედეგებს, შემოსავლებსა და ხარჯებს.

ზოგადად, უნდა ითქვას, რომ სხვა ფაქტორებთან ერთად, ბანკის წარმატება დიდწილად დამოკიდებულია ბიუჯეტირების პროცესზე. ეს, ძირითადად, განპირობებულია იმით, რომ ბიუჯეტი არის დასახული მიზნებისაკენ სვლის გზამკვლევი. მენეჯერული ინსტრუმენტი, რომლის საშუალებით სრულდება დაგეგმვა და შემდეგ მისი შესრულების კონტროლი. ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბიუჯეტირების პროცესი აიძულებს სხვადასხვა დონის მენეჯერს, უფრო ღრმად ჩაწვდეს ოპერაციების შინაარსსა და სტრუქტურას.

კომერციულ ბანკში ბიუჯეტირების პროცესის ეფექტიანობა და ქმედითობა დამოკიდებულია მასში ბანკის პერსონალის ჩართულობის ხარისხზე. ბანკის ცალკეული ერთეული, მის კონტროლქვეშ არსებული რესურსებიდან გამომდინარე, ადგენს საკუთარი საქმიანობის მიზნებს. ბიუჯეტირების მიზნობრივი მაჩვენებლები დამტკიცების შემდეგ გამოიყენება დაგეგმვასა და კონტროლში. პერსონალის შეფასებისა და სტიმულირების სისტემაში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს თითოეული სტრუქტურული ერთეულისა და ხშირად – ცალკეული თანამშრომლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები.

იმ ბანკებში, სადაც კორპორაციული მართვის, შესაბამისად, სტრატეგიული და ოპერატიული დაგეგმვის კულტურა მაღალ დონეზეა, მუშავდება მათი ორი ვარიანტი: ოპტიმისტური და პესიმისტური. მათი შემუშავების საფუძვე-

ლია ის პოზიტიური ან ნეგატიური სცენარები, რომელთა მიხედვითაც შეიძლება განვითარდეს მოვლენები. ეს სცენარები უმეტესწილად განპირობებულია მაკრო- და მიკროგარემოს, ანუ ბანკისგან დამოუკიდებელი შესაძლო მნიშვნელოვანი პოზიტიური ან ნეგატიური ცვლილებებით. სამწუხაროდ, საქართველოს საბანკო სისტემაში დაგეგმვის პროცესი, ბიუჯეტირება, როგორც ეფექტიანი კორპორაციული მართვის ინსტრუმენტი, სუსტად არის განვითარებული. იგი ხშირად ფორმალურია და მისი ბერკეტები ბოლომდე არაა გამოყენებული.

II. დამტკიცებული გეგმების აღსრულების პროცესი

კომერციულ ბანკში გამართული კორპორაციული მართვის შემადგენელი დაგეგმვის სისტემა გულისხმობს ყველა სტრუქტურული ერთეულის, თითოეული მენეჯერისა და თანამშრომლის პირდაპირ თუ ირიბ მონაწილეობას დაგეგმვის პროცესში. კომერციულ ბანკში უნდა არსებობდეს სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული სტრუქტურული ერთეულისა და პასუხისმგებელი მენეჯერის მიერ საკუთარი ბიუჯეტის ხელმისაწვდომობის, მისი კვალიფიციურად ცოდნისა და შესრულების შესახებ ინფორმაციის მიღების აწყობილ მექანიზმს. ამასთან, აუცილებელია, ცალკეული სტრუქტურული ერთეულის (მაგალითად, ფილიალის) თითოეული თანამშრომელი აცნობიერებდეს ბიუჯეტის შესრულების პროცესში თავის როლსა და პასუხისმგებლობას, აქედან გამომდინარე, იმ შედეგს, რომელიც შეიძლება მოჰყვეს ბიუჯეტის ცალკეული პარამეტრების გადაჭარბებით შესრულებას ან შეუსრულებლობას.

იმ ბანკებში, სადაც დაგეგმვისა და ბიუჯეტირების კორპორაციული კულტურა მაღალ დონეზეა, მათი შესრულების მაჩვენებელი ხდება პერსონალის წახალისების (ბონუსები, პრემიები) საფუძველი. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ის, რომ ბიუჯეტის შედგენის დროს ხდებოდეს გეგმების რაც შეიძლება დეტალურად გაწერა თითოეულ თანამშრომელზე, რამდენადაც ეს შესაძლებელია. ზოგიერთ ბიზნესმიმართულების შემთხვევაში ეს მიღწევადია, მაგალითად, შეიძლება გეგმების დაწესება თითოეული საკრედიტო ოფიცრის მიხედვით, დაგეგმილ პერიოდში გასაცემი სესხების საერთო მოცულობის შესახებ თითოეული თვის შესაბამისად.

III. გეგმების შესრულების კონტროლი და შეფასება

თუკი სტრატეგიული გეგმები და ბიუჯეტი მართებულად და კვალიფიციურად არის შედგენილი, იგი შეიძლება გახდეს კონტროლის ქმედითი სისტემა კომერციულ ბანკში. ბანკის ყველა მიზანი თითოეული მიმართულების მიხედვით გადმოცემულია კონკრეტულ ციფრებსა და კონკრეტულ ვადებში. მათ შორის, როგორც წესი, სტრატეგიული გეგმა – ყოველწლიურ, ხოლო ბიუჯეტი – ყოველთვიურ ჭრილში.

როგორც დაგეგმვის პროცესს, ისე მისი შესრულების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, კონტროლს, ბიუჯეტთან შედარებას, ანგარიშგებების (რეპორტების მომზადებას) და შეფასებას ყოველთვიურ რეჟიმში ახორციელებს კომერციული ბანკის ანალიზისა და დაგეგმვის სამსახური. მომზადებული ანგარიშგებები (რეპორტები) ყოველთვიურად ეგზავნება როგორც ზემდგომ ორგანოებს (დირექტორატი, სამეთვალყურეო საბჭო), ისე შესაბამის სტრუქტრულ ერთეულებს (ფილიალები, ბიზნესმიმართულებები) „საკუთარი“ ბიუჯეტების შესრულების მდგომარეობის შეფასებისათვის. ყოველთვიურად მიწოდებული ინფორმაციის (ანგარიშგებები) საფუძველზე, თითოეული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადრესატი (ზემდგომი ორგანოები და უშუალო პასუხისმგებლები) აგებენ. ბენ შესაბამის დასკვნებს და ახდენენ თავიანთი საქმიანობის კორექტირებას აუცილებლობის შემთხვევაში.

კომერციული ბანკის ბიუჯეტი – ესაა საზომი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ფაქტობრივი შედეგების, ასევე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულებისა და პირების შეფასება. მიმდინარე საქმიანობის გაკონტროლება ხდება ბიუჯეტის გეგმასთან ფაქტობრივი მაჩვენებლების შედარებით. ბიუჯეტიდან გადახრა იწვევს კითხვებს და ხდება გადახრების მიზეზების იდენტიფიცირება. გადახრის მიზეზი შესაძლებელია დაიყოს კონტროლირებად (სუბიექტური) და არაკონტროლირებად (ობიექტური) ფაქტორებად.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ბიუჯეტი რიგითი თანამშრომლების დონეზე უნდა ქმნიდეს საკუთარი საქმიანობის გაუმჯობესებისა და უკეთესი შედეგების მიღების სტიმულს. მენეჯერს ან თანამშრომელს, რომელიც ხედავს, რომ ბიუჯეტის გადაჭარბებით შესრულება მისთვის დამატებითი ანაზღაურების წყარო შეიძლება გახდეს, უჩნდება მოტივაცია, კონტროლირებადი, ანუ სუბიექტური ფაქტორების მეშვეობით გააუმჯობესოს თავისი და იმ სტრუქტურული ერთეულის შედეგები, სადაც არის დასაქმებული.

ბიუჯეტის კონტროლის ფუნქცია შეიცავს გეგმის შესრულების მონიტორინგსა და მაკორექტირებელ ღონისძიებებს საჭიროების შემთხვევაში, რაც გულისხმობს ბიუჯეტის კორექტირების შესაძლებლობას, მაგალითად, წელიწადში ერთხელ (წლის მეორე ნახევარში). ეს პროცესი მუდმივად მიმდინარეობს, რადგან შეუძლებელია სრულად ვიწინასწარმეტყველოთ არაკონტროლირებადი (ობიექტური) ფაქტორების ზემოქმედება.

ბიუჯეტის შესრულების კონტროლი დაფუძნებულია უკუკავშირის გამოყენებაზე, იმ ქმედებასთან დაკავშირებით, რომლის კონტროლსაც ვახდენთ. ყველა კონტროლის სისტემას უნდა ჰქონდეს რაიმე სახის უკუკავშირის მექანიზმი. ყველა დონის მენეჯერი მუდმივად უნდა აქცევდეს ყურადღებას მოვლენების განვითარებას. დამატებით, ისინი დამოკიდებული არიან ვერბალურ და წერილობით რეპორტებზე, რომლებსაც ისინი იღებენ ყოველდღიურად, ყოველკვირეულად, ყოველთვიურად, ყოველწლიურად, არალეგალურად ან მოთხოვნის მიხედვით. აღნიშნულ პროცესში მეტად მნიშვნელოვანია თანამედროვე ტექნოლოგიებისა და პროგრამული უზრუნველყოფების, როგორც ინფორმაციის ოპერატიული მიღების საშუალების როლი.

ამიტომ, აუცილებელია, როგორც სტრატეგიული გეგმის, ისე ყოველწლიური ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ ჩამოყალიბდეს მათი შესრულების კონტროლის სისტემა, რომელიც გააკონტროლებს გეგმის შესრულების მდგომარეობას. ამასთან, ეს კონტროლი უნდა ხდებოდეს არა წლის ბოლოს, არამედ ყოველთვიურად, ხოლო ზოგიერთი მთავარი მაჩვენებლის მიხედვით – ყოველდღიურადაც. ამ პრინციპების უგულებელყოფის შემთხვევაში რეაგირება სხვადასხვა პრობლემაზე, საფრთხესა და ხელიდან გაშვებულ შესაძლებლობაზე დაგვიანებული იქნება.

კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ კომერციულ ბანკებში, როგორც წესი, სტრატეგიული დაგეგმვისა და ბიუჯეტირების აღწერილი მექანიზმი ტიპურია და მეტ-ნაკლები დამთხვევით და ხარისხით ყველა კომერციულ ბანკშია ადაპტირებული. რაც შეეხება უშუალოდ დაგეგმვის მექანიზმებს, მათ პრაქტიკულ მხარეებს, გამოყენებულ პროგრამულ უზრუნველყოფებს და ა. შ., ისინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდივიდუალურია და დამოკიდებულია კონკრეტული კომერციული ბანკის შესაძლებლობებზე, კორპორაციული მართვის კულტურასა და ტრადიციებზე.

5.3. პერსონალის მართვა კომერციულ ბანკში

როგორც პირველ პარაგრაფში აღინიშნა, ეფექტიანი საბანკო მენეჯმენტის მეორე უმნიშვნელოვანესი ელემენტია პერსონალის მართვა. პერსონალის მართვა კომერციულ ბანკში მეტად სპეციფიკურია და იგი განპირობებულია თავად საბანკო საქმიანობის თავისებურებებით. საბანკო პერსონალისაგან მოითხოვება მაღალი პროფესიონალიზმი, ჩვევები და პიროვნული თვისებები. აღნიშნულს ემატება ისიც, რომ ბანკის პერსონალისაგან ხშირად მოითხოვება არა მარტო უშუალოდ მისი ფუნქციების, არამედ მომიჯნავე და არამომიჯნავე კოლეგების ფუნქციების ცოდნაც, რაც განპირობებულია იმით, რომ კომერციული ბანკი არის მეტად რთული ბიზნესი და მასში მუშაობენ მეტად მრავალფეროვანი პროფესიის ადამიანები.

როგორც გასული მასალიდან (სქემა №5.1.) გვახსოვს, თანამედროვე საბანკო პრაქტიკაში მიღებულია საბანკო საქმიანობის დაყოფა სხვადასხვა მიმართულებად (მაგალითად, „ფრონტ“, „მიდლ“, და „ბექ“). აღნიშნული დაყოფა განპირობებულია, ერთი მხრივ, იმით, რომ ერთგვაროვანი საქმიანობა მოქცეულია ერთი დირექტორის კურატორობის ქვეშ (გავიხსენოთ „ფინანსური დირექტორი“, „კორპორაციული ბიზნესის დირექტორი“, „კომერციის დირექტორი“, „რისკების დირექტორი“ და ა.შ.). მეორე მხრივ, გათვალისწინებულია ინტერესთა კონფლიქტის პრინციპი, რათა ერთი კურატორი დირექტორის დაქვემდებარაში არ აღმოჩნდეს შემსრულებელი და მისი მაკონტროლებელი სამსახური. სწორედ ამიტომაა, რომ ჩვენს მაგალითში სხვადასხვა საკურატორო ბლოკშია კრედიტების გამცემი სტრუქტურული ერთეულები (front office), მისი ოპონენტი სესხების გაცემისას რისკების მართვის დეპარტამენტი (middle office) და ოპერაციების უშუალო გამტარებელი საოპერაციო დეპარტამენტი (back office).

გარდა ამისა, გარკვეული სამსახურები უშუალოდ გენერალური დირექტორის დაქვემდებარებაშია, რაც სამივე ზემოაღნიშნული მიმართულების ეფექტიანად მუშაობას უწყობს ხელს და თავისი სპეციფიკით არ უნდა შედიოდეს არც ერთ დანარჩენ ბლოკში. ჩვენს მაგალითში ესაა უსაფრთხოების, პერსონალის მართვის, მარკეტინგის, ლოგისტიკის სამსახურები, კანცელარია და ფილიალები. თუმცა, ცალკეული ბანკების შემთხვევაში განსხვავებული სურათის არსებობა ჩვეულებრივი მოვლენაა.

კომერციული ბანკების მხრიდან განსაკუთრებული მოთხოვნები საკუთარი პერსონალის მიმართ განპირობებულია იმითაც, რომ თანამედროვე საბანკო საქმიანობა წარიმართება მეტად დაძაბულ კონკურენტულ და მუდმივად ცვალებად გარემოში. საბანკო საქმე გახდა ის სფერო, სადაც, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო თანამშრომელთა ჯგუფმა ან თუნდაც ერთმა თანამშრომელმა თავისი არაკომპეტენტურობით, არაორგანიზებულობით ან წინასწარგანზრახულობით შეიძლება უდიდესი ზარალი მიაყენოს ბანკს. ეს შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი ფინანსური ზარალი, ასევე ჩრდილის მიყენება მის რეპუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაციაზე (იმიჯზე), რაც არანაკლებ დიდი დანაკარგია. ბანკში არ არსებობს საქმიანობა, რომელიც არ ატარებს ასეთი დანაკარგების რისკს.

ბანკის პერსონალის სპეციფიკურობაა ისიც, რომ თავისი ფუნქციების შესრულებისას მას უწევს საქმიანი კონტაქი თითქმის ყველა დანარჩენი სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლებთან თუ მენეჯერებთან. ამ ურთიერთობების დროს ხდება მიმდინარე ინფორმაციის, დოკუმენტაციის, ცოდნისა და იდეების გაცვლა. ეს განაპირობებს იმას, რომ ბანკის პერსონალს შორის ადვილად ხდება ძლიერი და სუსტი რგოლების გამოვლენა.

ცხადია, ასეთი მნიშვნელოვანი საქმის ორგანიზებისათვის კომერციულ ბანკებში ფუნქციონირებს კადრების მართვის სამსახურები, რომლებიც, როგორც წესი, პირდაპირ გენერალური დირექტორის დაქვემდებარებაში არიან. ამ სამსახურის საშტატო რიცხოვნობა პირდაპირაა დამოკიდებული ბანკის მოცულობასა და მისი პერსონალის რაოდენობაზე. გარდა ამისა, როგორც წესი, კომერციულ ბანკებში მოქმედებს ე. წ. „საკადრო პოლიტიკა". ესაა დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ბანკის საკადრო პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტებსა და მიმართულებებს, რომლებიც, რა თქმა უნდა, ითვალისწინებს მოქმედ შრომით კანონმდებლობას, შრომითი ბაზრის მდგომარეობასა და ტენდენციებს. კომერციული ბანკის პერსონალის მართვის სამსახურების საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

1. ბანკის პერსონალის კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტების დაგეგმვა;
2. კადრების შერჩევა და დაკომპლექტება;
3. საკადრო რეზერვების ფორმირება;
4. პერსონალის შეფასება;
5. პერსონალის მოტივაციის სისტემის შექმნა;
6. პერსონალის განვითარება.

განვიხილოთ და მოკლედ დავახასიათოთ ისინი:

1. ბანკის პერსონალის კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტების დაგეგმვა ხორციელდება ბანკის მოთხოვნების მიხედვით, რომელიც მას აქვს შრომით ბაზარზე. ბანკის პერსონალის მართვის სამსახური დაგეგმვას ახორციელებს ბანკის განვითარების შესახებ მის ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე, მაგალითად, ახალი ფილიალის გახსნის, ახალი სახეობის საბანკო ოპერაციების დანერგვის ან არსებულის გაფართოების შესახებ.

ბანკის მოთხოვნები პოტენციური თანამშრომლების მიმართ არის მათი კვალიფიკაცია, სპეციალიზაცია, კომპიუტერული პროგრამების ცოდნა, ზოგადი განათლება, უცხოური ენების ცოდნა, კომუნიკაბელობა, გუნდური მუშაობის პრინციპი, გამოცდილება, პიროვნული თვისებები, რეკომენდაცია და ა.შ.

2. კადრების შერჩევა და დაკომპლექტება ხორციელდება პერსონალის მართვის სამსახურის მიერ იმ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელთან ერთად, სადაც ხდება ახალი თანამშრომლების მიღება (ვაკანსიის შევსება). როგორც წესი, ახალი საჭირო კადრის შერჩევა ხდება რამდენიმე ეტაპად. პირველ რიგში, ხდება არსებული ვაკანსიის შესახებ ინფორმაციის გავრცელება მასმედიის საშუალებით. შემდეგ ხდება მიღებული განაცხადების (აპლიკაციის ფორმების, CV) პირველადი გაცნობა და პრეტენდენტების პირველადი

გადარჩევა მათში არსებული ინფორმაციის საფუძველზე. შემდეგი ეტაპია ტესტირება პროფესიული და პიროვნულ-ფსიქოლოგიური სურათის გამოსავლენად. აპრობირებული მეთოდია ჯგუფური დისკუსია, რაც კანდიდატების პიროვნული თვისებებისა და შესაძლებლობების გამოვლინების საშუალებას იძლევა. ბოლო ეტაპზე ხდება ტესტირების შედეგად შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრება, რომლის შემდეგაც მიიღება საბოლოო გადაწყვეტილება.

მეტად გავრცელებული პრაქტიკაა ასევე სტაჟირება, რომლის დროსაც სწავლების პროცესი შეხამებულია ახალი თანამშრომლის აყვანის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესთან. კადრების შერჩევისა და დაკომპლექტების ეტაპის ბოლო ფაზაა შრომითი ხელშეკრულების (კონტრაქტის) გაფორმება. როგორც წესი, თავდაპირველად ხდება მოკლევადიანი (3 თვემდე ვადით) კონტრაქტის გაფორმება საგამოცდო ვადით.

3. საკადრო რეზერვების ფორმირება ხორციელდება როგორც სხვადასხვა მიზეზით გათავისუფლებული თანამშრომლებისაგან (მაგალითად, ფილიალის დახურვის შემდეგ), ასევე ახალი კადრების შერჩევის დროს ტესტირებისა და გასაუბრების შემდეგ კონკურსში ვერგასული, მაგრამ პერსპექტიული კანდიდატებისაგან. შეიძლება გარკვეული ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსში ვერ გაიმარჯვოს კანდიდატმა, მაგრამ მისი პოტენციალი, ბანკის თვალსაზრისით, უფრო გამოსადეგი იყოს სხვა მიმართულებით და ა. შ. ასეთი ადამიანებისაგან ხდება საკადრო რეზერვის ფორმირება, საერთო საინფორმაციო ბაზის შექმნა, რომელიც წარმოადგენს ახალი ვაკანსიების შევსების პირველწყაროს.

4. პერსონალის შეფასება არის ალბათ პერსონალის მართვის ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ პერსონალის შეფასება არაა მხოლოდ ერთჯერადი პროცესი, არამედ ხორციელდება პერსონალთან მუშაობის ყველა ეტაპზე, კადრების შერჩევის დროს, სტრუქტურულ ერთეულში თუ სხვა თანამდებობაზე გადაყვანისას და ა. შ. პერსონალის შეფასების მიზანს წარმოადგენს იმის დადგენა, თუ რამდენად შეესაბამება კონკრეტული თანამშრომელი დაკავებულ ან სხვა თანამდებობებს როგორც პროფესიონალიზმის, ისე საქმიანი და პიროვნული თვისებებით. დგინდება მისი პოტენციალი, ანუ რამდენადაა მიზანშეწონილი მისი დაწინაურება, ან პირიქით, მისი გათავისუფლება ან უფრო დაბალი კვალიფიკაციის თანამდებობაზე გადაყვანა.

პერსონალის შეფასებისათვის, როგორც წესი, კომერციულ ბანკებში შემუშავებულია სპეციალური სისტემები, რომლებიც გულისხმობს შეფასების კრიტერიუმებს, მეთოდებს, ტექნოლოგიებსა და ჩატარების პერიოდულობას. გამომდინარე იქიდან, რომ კომერციულ ბანკში არის სპეციალობების მრავალფეროვნება, შეფასების ფორმები (ანკეტები, ტესტები და ა.შ.) განსხვავებულია და ითვალისწინებს კონკრეტული სპეციალობის თავისებურებებს. თუმცა, ყველა ანკეტას აქვს საერთო ნაწილიც, რომელიც ეხება როგორც ზოგადად ბანკის ცოდნას, ისე პიროვნულ-ფსიქოლოგიურ მხარეს.

თანამშრომლების მიერ გავლილი სხვადასხვა ტესტირების პროცესისა გარდა, მათი შეფასება ხდება მისი გარშემომყოფი ადამიანების მიერაც. აღნიშნული გულისხმობს თანამშრომლის შეფასებას უშუალო კოლეგების, ზემდგომი თუ მათდამი დაქვემდებარებული პირებისა და პერსონალის მართვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამსახურის მიერ. აღნიშნული შეფასება, ძირითადად, ეხება მათ მიერ დაკისრებული მოვალეობების შესრულების ხარისხს, ოპერატიულობას, დისციპლინას, საქმისადმი ერთგულ დამოკიდებულებას და ა.შ. სხვადასხვა პერიოდში ჩატარებული პერსონალის შეფასების შედეგები „გროვდება" მათ პირად საქმეში და, საბოლოოდ, ხდება მათი დაწინაურების, ხელფასის გაზრდის, პრემირების, გადამზადების, სხვა სამსახურში გადაყვანის თუ დათხოვნის საფუძველი. კიდევ ერთი, პერსონალის შეფასების სისტემა საჭიროა არა მარტო კონკრეტული თანამშრომლების, არამედ ცალკეული სტრუქტურული ერთეულებისა და მთლიანად ბანკის შესაფასებლად.

5. პერსონალის მოტივაციის სისტემის შექმნა თანამედროვე საბანკო საქმის გავრცელებულ და აპრობირებულ პრაქტიკას წარმოადგენს. მოტივაციის სისტემა უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს მენეჯერთა და თანამშრომელთა შრომის ეფექტიანობის ზრდასა და, აქედან გამომდინარე, ბანკის საბოლოო შედეგების გაუმჯობესებაში. მოტივაციის სისტემა უზრუნველყოფს თითოეული თანამშრომლის დაინტერესებას როგორც კონკრეტულად მისი, ისე მთლიანად ბანკის პოტენციალის სრულად რეალიზებაში. აღნიშნული ასევე ხელს უწყობს კოლექტივში ჯანსაღი ფსიქოლოგიური კლიმატის შენარჩუნებასა და კადრების დენადობის შემცირებას.

გამომდინარე იქიდან, რომ კომერციული ბანკის თანამშრომლების შრომა არის ინტელექტუალური, ამასთან, მოითხოვს სერიოზულ კონცენტრაციას, შემოქმედებითობასა და მუდმივად პროფესიული ზრდისკენ სწრაფვას, იგი ითვლება ერთ-ერთ მაღალანაზღაურებად პროფესიად. კომერციულ ბანკებში მიღებულია შრომის ანაზღაურების ფიქსირებული და დამატებითი, მასტიმულირებელი ანაზღაურების პრაქტიკა.

ფიქსირებული ანაზღაურება ძირითადად გამოყენებულია იმ თანამშრომლებისათვის, რომელთა შრომის პირდაპირი ეფექტის „დათვლა" გართულებულია ან შეუძლებელია და მასზე არაა დამოკიდებული მის მიერ შესრულებული ოპერაციების მოცულობის გაზრდა. აქ შეიძლება დავასახელოთ სათავო ოფისების რიგით თანამშრომელთა უმრავლესობა (მაგალითად, ბუღალტრები ან ტექნიკური პერსონალი) და ასევე ფილიალებში ოპერატორები, მოლარეები და სხვ.

ამის საპირისპიროდ, მასტიმულირებელი ანაზღაურება, იგივე შრომის ანაზღაურების ბონუსური სისტემების დანერგვა შესაძლებელი და მიზანშეწონილია იმ მიმართულებებით, სადაც დათვლადია კონკრეტული თანამშრომლის შედეგი და ეს შედეგი დიდადაა დამოკიდებული მის პროფესიონალიზმსა და გამოცდილებაზე, უფრო კი – მის მონდომებაზე. ასეთი თანამშრომლები კომერციულ ბანკში არიან საკრედიტო ოფიცრები, ანუ ის ადამიანები, რომლებიც უშუალოდ ახდენენ საკრედიტო პროექტების დამუშავებას, დამტკიცებასა და კრედიტების გაცემას. როცა საკრედიტო ოფიცერი ხედავს, რომ დადგენილი „გეგმური" მოცულობის ზემოთ გაცემული კრედიტები პირდაპირ აისახება მის ბონუსებზე, იგი ყოველ ღონეს ხმარობს, გაზარდოს თავისი შრომის ნაყოფიერება.

გარდა ამისა, მეტად ეფექტიანია პრემიალური სისტემების დანერგვა, რომელიც ორიენტირებულია ბანკის (ან რომელიმე სტრუქტურული ერთეულის, მაგალითად, ფილიალის) საერთო საბოლოო შედეგზე. ამ შემთხვევაში მოტივაციის სისტემაში ჩართულია მთელი კოლექტივი (ზემოთ აღნიშნული ოპერა-

ტორებიც და მოლარეებიც), ვინაიდან ყველამ იცის, რომ გეგმის გადაჭარბების შემთხვევაში ზეგეგმური მოგების რაღაც ნაწილი (ვთქვათ – 30%) განაწილდება ბანკის (ან ფილიალის) ყველა თანაშრომელზე პრემიის სახით.

საკმაოდ ეფექტიანია მორალური წახალისების სისტემის არსებობაც, მაგალითად, კვარტალის ან წლის საუკეთესო სამმართველოს უფროსის, ფილიალის მმართველის, ოპერატორის, მოლარის და ა.შ. დასახელების პრაქტიკა. როგორც ბონუსირებისა და პრემირების, ისე მორალურ-ფსიქოლოგიური წახალისების მექანიზმები უზრუნველყოფენ პიროვნებების პროფესიული ზრდის სტიმულირებას, ასევე ჯანსაღი ფსიქოლოგიური ატმოსფეროს შექმნას, რაც მეტად მნიშვნელოვანია კომერციული ბანკის წარმატებით ფუნქციონირებისათვის.

6. პერსონალის განვითარების აქტუალობა განსაკუთრებით გაიზარდა თანამედროვე პერიოდში, ტექნოლოგიური რევოლუციისა და გამძაფრებული კონკურენციის პირობებში. როგორც აღვნიშნეთ, საბანკო საქმე მოითხოვს მაღალ ინტელექტს, თანამედროვე ტექნოლოგიების ფლობას, მკაცრ საშემსრულებლო დისციპლინას, პასუხისმგებლობის მაღალ ხარისხს, კლიენტებთან ურთიერთობის კულტურასა და პიროვნულ თვისებებს. აღნიშნული განაპირობებს განსაკუთრებულ მოთხოვნებს ბანკის თანამშრომლებისადმი და დღის წესრიგში აყენებს პერსონალის განვითარების მუდმივი პრაქტიკის არსებობას კომერციულ ბანკში.

კომერციული ბანკის მხრიდან პერსონალის განვითარების პროცესი მოიცავს როგორც ჯგუფური სემინარების ორგანიზებას, ისე ინდივიდულურ საუბრებს. გავრცელებული პრაქტიკაა ასევე მომიჯნავე პროფესიების ათვისება, გადამზადება, უცხოური ენების შესწავლა-დახვეწა, ახალი ტექნოლოგიების ათვისება ბანკის ხარჯზე და თვითგანვითარების წახალისება. რა თქმა უნდა, პერსონალის განვითარების პრაქტიკა მაშინაა ეფექტიანი, როცა მას აქვს რეგულარული ხასიათი.

რა თქმა უნდა, თანამშრომლების მხრიდან მუდმივი ზრუნვა საკუთარი პროფესიული და პიროვნული თვისებების განვითარებისათვის განსაკუთრებით ეფექტიანია იმ კომერციულ ბანკში, სადაც ასეთი პრაქტიკის „დანახვა“ და დაფასება ხდება მენეჯმენტის მხრიდან. თანამშრომლებს თვითგანვითარებისაკენ უბიძგებს როგორც კარიერული ზრდის სურვილი, ისე ის მძაფრი კონკურენტული გარემო, რომელიც შექმნილია ბანკის სპეციალისტების შრომით ბაზარზე.

5.4. ფინანსური მენეჯმენტი კომერციულ ბანკში

ფინანსური მენეჯმენტი კომერციულ ბანკში მოიცავს ფულადი ნაკადების მართვას, ფორმირებასა და განთავსებას კონკრეტული ბანკის სტრატეგიიდან და მიზნებიდან გამომდინარე. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მუდმივად ცვალებადი და დინამიკური საბანკო სექტორი ითხოვს ფინანსური მენეჯმენტის კორექტირებასა და სრულყოფას. ფინანსური მენეჯმენტი კომერციულ ბანკში შედგება ორი ქვესისტემისაგან: მართვის ობიექტი და მართვის სუბიექტი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

- ფინანსური მენეჯმენტის მართვის მთავარი **ობიექტია** კომერციული ბანკის ფულადი სახსრები, რომლებიც იმყოფებიან საქმიან ბრუნვაში ფინანსური ოპერაციების მეშვეობით;
- რაც შეეხება ფინანსური მენეჯმენტის **სუბიექტს**, ესაა კომერციული ბანკის უმაღლესი ხელმძღვანელობა და პერსონალი, რომლებიც მართვის სხვადასხვა ბერკეტით ახორციელებენ მიზანმიმართულ ქმედებებს მართვის ობიექტზე, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის განზოგადებით შეიძლება დავასკვნათ, რომ ფინანსური მენეჯმენტი გულისხმობს ბანკის მართვას, რომელიც მიმართულია სხვადასხვა ალტერნატიული არჩევანიდან ოპტიმალური გზის შერჩევისაკენ საუკეთესო ეკონომიკური შედეგის მიღებისათვის.

სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება ფინანსური მენეჯმენტის საკმაოდ დეტალური კლასიფიკაცია, თუმცა, შესაძლებელია მათი ჩამოყალიბება 3 ძირითადი მიმართულების მიხედვით:

1. ლიკვიდობისა და მომგებიანობის მართვა;
2. აქტივ-პასივების მართვა;
3. საბანკო რისკების მართვა (რისკმენეჯმენტი).

დავახასიათოთ მოკლედ თითოეული მათგანი.

1. ლიკვიდობისა და მომგებიანობის მართვა წარმოადგენს იმ წინააღმდეგობრიობის გამოვლინებას, რომელსაც მოიცავს კომერციული ბანკი, როგორც განსაკუთრებული ეკონომიკური სუბიექტი. ერთი მხრივ, იგი არის მოგების მისაღებად შექმნილი კომპანია, რომლის აქციონერების უპირველეს მიზანს მაქსიმალური მოგების მიღება წარმოადგენს, მეორე მხრივ კი – იგი არის სახელმწიფო მნიშვნელობის ინსტიტუტი, რომელიც ახდენს საზოგადოების თავისუფალი ფულადი სახსრების აკუმულირებასა და გადანაწილებას. სახელმწიფოს მხრიდან, ეროვნული ბანკის სახით, ამ პროცესში უმნიშვნელოვანესი ინტერესის ობიექტს წარმოადგენს კომერციული ბანკების გადამხდელუნარიანობა და ლიკვიდობა.

კომერციული ბანკის ლიკვიდობა – ესაა მის მიერ საკუთარი ვალდებულებების დროულად (დათქმულ ვადაში) და სრულად განხორციელების უნარი. ლიკვიდობის მართვა საქართველოში ხორციელდება ორ დონეზე, ერთი მხრივ, საქართველოს ეროვნული ბანკი უწესებს კომერციულ ბანკებს ლიკვიდობის სავალდებულო ნორმატივებს, მეორე მხრივ – თვით კომერციული ბანკების მხრიდან.

ლიკვიდობის დონე პირდაპირ განსაზღვრავს მომგებიანობის დონეს. რაც მეტია ლიკვიდური აქტივები, მით ნაკლებია „მუშა“, ანუ შემოსავლიანი აქტივები და შესაბამისად – მოგება და პირიქით. ამიტომაც არის ლიკვიდობისა და მომგებიანობის მართვა ფინანსური მენეჯმენტის უმნიშვნელოვანესი მიმართულება. ორივე მიმართულება, როგორც ლიკვიდობა, ისე მომგებიანობა, თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, შემდეგ ცალკე თემებად იქნება განხილული.

2. აქტივ-პასივების მართვა, როგორც კომერციული ბანკის ფინანსური მენეჯმენტის მიმართულება, გულისხმობს მოზიდული სახსრების (პასივები) ისეთ ოპტიმალურ განთავსებას, დაბანდებას (აქტივები), რომ უზრუნველყოფილ იქნეს მაქსიმალური მოგება ლიკვიდობის ოპტიმალური დონის შენარჩუნებით. კომერციული ბანკის პასივების მართვა გულისხმობს მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზიდული რესურსებისა და საკუთარი სახსრების (კაპიტალი) ეფექტიანად და რაციონალურად ფორმირებას, რაც ნიშნავს ოპტიმალური რესურსული ბაზის ფორმირებას, თავის მხრივ კი – მის რაციონალურ სტრუქტურას ვადიანობისა და ფასიანობის მიხედვით.

კომერციული ბანკი უნდა ცდილობდეს ჰქონდეს პასივების ისეთი სტრუქტურა, რომ მათი ვადა იყოს რაც შეიძლება დიდი და ფასი (პროცენტი) – რაც შეიძლება ნაკლები. ვადიანობისა და ფასიანობის მიხედვით პასივების სტრუქტურის ცვლილების პროცესი სასურველი მიმართულებით უნდა იყოს მუდმივი, ვინაიდან იგი უზრუნველყოფს რესურსების საერთო ფასის შემცირებას და, აქედან გამომდინარე, მათი განთავსებისას კონკურენტული უპირატესობის მოპოვებას.

აქტივების მართვა გულისხმობს პასიური ოპერაციების შედეგად ფორმირებული რესურსების (მოზიდულის სახსრები და კაპიტალი) ოპტიმალურად განთავსების გზების მუდმივ პროცესს. ნორმალური ფუნქციონირებისათვის კომერციული ბანკი იძულებულია, რესურსები განათავსოს „არამუშა“, ანუ ისეთ აქტივებშიც, რომელთაც არ მოაქვთ შემოსავლები. აქ შედის ნაღდი და უნაღდო ფული, ფიქსირებული აქტივები. დარჩენილი ნაწილი კი განთავსდება შემოსავლების მომტან აქტივებში – სესხებში, ფასიან ქაღალდებსა და ინვესტიციებში. აქტივების მართვა გულისხმობს აქტივების ოპტიმალურ სტრუქტურას, ანუ „მუშა“ აქტივების რაც შეიძლება მეტ წილს მთლიან აქტივებში, ხოლო „მუშა“ აქტივებში – უფრო მაღალშემოსავლიანების მეტ წილს. ლიკვიდობისა და მომგებიანობის მსგავსად, აქტივებისა და პასივების მართვა, თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, შემდეგ ცალკე თემებად იქნება განხილული.

3. საბანკო რისკების მართვა (რისკმენეჯმენტი), მსგავსად ლიკვიდობის მართვისა, ხდება ორ დონეზე, სახელმწიფოს მხრიდან ეროვნული ბანკის სახით და თვითონ ბანკის სახით, როგორც აქციონერების, ისე მენეჯმენტის მხრიდან. სახელმწიფოს მხრიდან მთავარი ზრუნვის საგანი კომერციულ ბანკებთან მიმართებაში არის მათთვის დროებით საკუთრებაში გადაცემული სახსრების მფლობელთათვის ვადაში და სრულად დაბრუნების გარანტირების მექანიზმების არსებობა. სწორედ ამიტომაა კომერციული ბანკები და მათი საქმიანობა ბევრად უფრო მკაცრი ოფიციალური ზედამხედველობის საგანი, ვიდრე სამეწარმეო საქმიანობის სხვა სახეობები. რისკების მართვა კომერციულ ბანკში, ანუ რისკმენეჯმენტი, ესაა რისკების იდენტიფიკაციის, შეფასებისა და მათი დონის შემცირების ღონისძიებათა კომპლექსი.

რისკების მართვის სისტემა კომერციული ბანკის ეფექტიანი მართვის, არსებული რისკების მინიმიზაციის, ახალი რისკების გამოვლენისა და მისი კონკურენტუნარიანობის გაზრდის საშუალებას იძლევა. საბანკო რისკების ჩამონათვალი მეტად მრავალფეროვანია და ისინი შეიძლება დავყოთ 4 ძირითად ჯგუფად: **ფინანსური რისკები** (საკრედიტო, საპროცენტო, ლიკვიდობის, სავალუტო, საბაზრო, ინფლაციისა და გადამხდელუნარიანობის რისკები), **მომსახურების მიწოდების რისკები** (საოპერაციო, ტექნოლოგიური და ახალი პროდუქტების დანერგვის რისკები), **მმართველობითი რისკები** (არაეფექტიანი მენეჯმენტის, სტრატეგიული, სამართლებრივი, რეპუტაციისა და თაღლითობის რისკები) და **გარე რისკები** (პოლიტიკური, ეკონომიკური, ქვეყნისა და კონკურენციის რისკები). რისკების მართვის თემის მნიშვნელობა განაპირობებს იმას, რომ შემდეგში მას ორი თავი ექნება დათმობილი.

გამომდინარე იქიდან, რომ კომერციული ბანკები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მასშტაბებით, სპეციალიზაციით, სტრატეგიული მიზნებით, არ არსებობს ფინანსური მენეჯმენტის ერთგვაროვანი და საყოველთაოდ მიღებული მოდელი. ყველა ბანკი ქმნის ფინანსური მენეჯმენტის საკუთარ სისტემას, ანუ ბანკის ფინანსების ეფექტიანი მართვის ინდივიდუალურ წესებს.

5.5. კომერციული ბანკის მენეჯმენტის შეფასება

საბანკო მენეჯმენტის შეფასება ნიშნავს მენეჯმენტის ხარისხის შეფასებას, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს მისი მხრიდან ეფექტიანი მართვის უნარის დადგენას. კომერციული ბანკის მენეჯმენტის ეფექტიანობა, მოქნილობა და ოპერატიულობა პირდაპირ აისახება მის საბოლოო შედეგებზე. მართვის ხარისხი ეს თვით მართვის სისტემის დახასიათებაა, ანუ ესაა მისი სუბიექტების, ობიექტების, მექანიზმების, ინსტრუმენტებისა და გადაწყვეტილებათა მიღების ტექნოლოგიები. გამომდინარე იქიდან, რომ საბანკო მენეჯმენტის ეფექტიანობა განაპირობებს კომერციული ბანკის წარმატებულ შედეგებს, კომერციული ბანკის შედეგები გვევლინება მენეჯმენტის ხარისხის შეფასების ერთ-ერთი უმთავრეს, მაგრამ არა ერთადერთ კრიტერიუმად.

მენეჯმენტის შეფასებას ახორციელებენ ცენტრალური ბანკების საზედამხედველო ორგანოები, გარე აუდიტორები და საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიები.

საქართველოში მენეჯმენტის შეფასების ძირითადი პრინციპები მოცემულია ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2007 წელს დამტკიცებულ „კომერციული ბანკების ადგილზე შემოწმების მეთოდურ სახელმძღვანელოში“. დოკუმენტის თანახმად, მენეჯმენტის შეფასება ადგილზე შემოწმების პროცესში წარმოადგენს ყველაზე რთულ და, ამავდროულად, მნიშვნელოვან ამოცანას. ბანკის მენეჯმენტის სრული შეფასება მოიცავს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატის (აღმასრულებელი დირექტორების), სპეციფიკური საბანკო ოპერაციების წარმართვისათვის პასუხისმგებელი პირების, მაგალითად, განყოფილებების უფროსების, ასევე ბანკის შიდა კონტროლის ფუნქციის, შიდა აუდიტისა და მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების შეფასებას.

ბანკის ფინანსური მდგომარეობა შეიძლება არ მიუთითებდეს მენეჯმენტის ხარისხზე, თუმცა, კრიტიკული მდგომარეობა ძირითადად ასახავს ბანკის მენეჯმენტის შესაძლებლობებს. იშვიათ შემთხვევებში ბანკის ფინანსური მდგომარეობა შეიძლება იყოს დამაკმაყოფილებელი ნაკლებად კომპეტენტური მენეჯმენტის არსებობის პირობებში. ასეთ დროს გარე ფაქტორი, როგორიცაა – ძლიერი ეკონომიკა, გაცილებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბანკის ფინანსური მდგომარეობის შენარჩუნებისათვის, ვიდრე მენეჯმენტის მართვის უნარი.

საქართველოში გავრცელებული პრაქტიკით მენეჯმენტის შეფასება მიზნად ისახავს:

- სამეთვალყურეო საბჭოს ადეკვატურობის შეფასებას;
- ბანკში არსებული ამოცანების, პოლიტიკისა და პროცედურების თან-

მიმდევრულობას აქტივებთან, ვალდებულებებთან და საოპერაციო საკითხებთან მიმართებაში;

- მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების ადეკვატურობას;
- მენეჯმენტის ადეკვატურობას;
- მენეჯმენტის მიერ სამომავლო საქმიანობის დაგეგმვის ადეკვატურობას;
- ბანკის საკადრო პოლიტიკის შეფასებას;
- მენეჯმენტის გამოცდილების შეფასებას;
- იმის განსაზღვრას, აქვს თუ არა მენეჯმენტს შექმნილი ისეთი სისტემები, რომლებიც ხელს უწყობს ბანკის ეფექტიან ფუნქციონირებასა და კომუნიკაციებს, ყველა ფილიალის ჩათვლით;
- მენეჯმენტის გადაწყვეტილების მართებულობის შეფასებას;
- მენეჯმენტის უნარს, გავლენა მოახდინოს ბანკის სამომავლო მდგომარეობაზე;
- რისკების მართვის ადეკვატურობის განსაზღვრას.

თუ განვაზოგადებთ საზედამხედველო ორგანოების მხრიდან კომერციული ბანკის მენეჯმენტის შეფასების მიზნებს, შეიძლება ითქვას, რომ, უპირველეს ყოვლისა, კეთდება ბანკში კორპორაციული მართვის პრინციპების დაცვის შეფასება, ანუ რამდენადაა გამიჯნული და განაწილებული უფლებამოსილებები სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატს შორის. მნიშვნელოვანია ასევე იმის განსაზღვრა, დამტკიცებული პოლიტიკებისა და პროცედურების დაცვა ხდება ფორმალურად თუ რეალურად, რამდენად კვალიფიციური და გამოცდილია უმაღლესი მენეჯმენტი და ბოლოს – არსებობს თუ არა ბანკში მიმდინარე მდგომარეობის ადეკვატური სურათის მიღების შესაძლებლობა.

საკონტროლო კითხვები:

1. რას წარმოადგენს საბანკო მენეჯმენტის არსი და რას უზრუნველყოფს იგი?
2. ვინ არის საბანკო მენეჯმენტის სუბიექტები და მათი რომელი სახეობები იცით?
3. რა შეიძლება ითქვას საბანკო მენეჯმენტის ინსტრუმენტებზე?
4. საბანკო მენეჯმენტის რომელი ობიექტები იცით?
5. რა არის საბანკო მენეჯმენტის მიზნები და მისი რომელი სახეობებია ცნობილი?

6. რას გულისხმობს საბანკო მენეჯმენტის ამოცანები?
7. რა შეიძლება ითქვას საბანკო მენეჯმენტის პრინციპებზე და როგორია მათი ჩამონათვალი?
8. რა მნიშვნელობა ენიჭება საბანკო მენეჯმენტში კომერციული ბანკის ორგანიზაციულ სტრუქტურას?
9. როგორ დაახასიათებდით წარმოდგენილ ფილიალების ქსელის მქონე კომერციული ბანკის ტიპურ ორგანიზაციულ სტრუქტურას?
10. რა განსხვავებები შეიძლება არსებობდეს ცალკეული ბანკების ორგანიზაციულ სტრუქტურაში?
11. რომელია კომერციული ბანკის მმართველობის უმაღლესი ორგანო და რა უფლებამოსილებებითაა იგი აღჭურვილი?
12. რა შეიძლება ითქვას კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს შესახებ?
13. რა უფლებებით და მოვალეობებითაა აღჭურვილი კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭო?
14. როგორ დაახასიათებდით კომერციული ბანკის აღმასრულებელ ორგანოს – დირექტორატს?
15. როგორ დაახასიათებდით კომერციული ბანკის კოლეგიალურ ორგანოებს – კომიტეტებს?
16. გადაწყვეტილების მიღების პროცესი რომელ მენეჯერულ ქმედებებს გულისხმობს და რა არის მათი არსი კომერციულ ბანკში?
17. რა და რა ნაწილებს მოიცავს კომერციული ბანკის სტრატეგიული დაგეგმვა?
18. სტრატეგიული გეგმის შემუშავების რამდენი ეტაპი არსებობს და როგორ დაახასიათებდით მათ?
19. რა შეიძლება ითქვას სტრატეგიული დაგეგმვის მეორე ნაწილზე – ოპერატიულ გეგმაზე, ანუ ბიუჯეტზე?
20. რას გულისხმობს დამტკიცებული გეგმების აღსრულების პროცესი კომერციულ ბანკში?
21. რა როლი ენიჭება დამტკიცებული გეგმების კონტროლისა და შეფასების სისტემას კომერციულ ბანკში?
22. ზოგადად, რა მოთხოვნები არსებობს პერსონალის მიმართ კომერციულ ბანკში და რითია ეს განპირობებული?
23. რა შეგიძლიათ თქვათ კომერციული ბანკის პერსონალის მართვის სამსახურების საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესახებ?
24. რას გულისხმობს ბანკის პერსონალის კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტების დაგეგმვა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

25. რა ეტაპებისაგან შედგება კადრების შერჩევისა და დაკომპლექტების პროცესი?

26. რას გულისხმობს საკადრო რეზერვების ფორმირება კომერციულ ბანკში?

27. რა შეიძლება ითქვას პერსონალის შეფასების სისტემაზე კომერციულ ბანკში?

28. რას გულისხმობს პერსონალის მოტივაციის სისტემა კომერციულ ბანკში და რა დადებითი შედეგები მოაქვს მას?

29. რას გულისხმობს პერსონალის განვითარების სისტემა კომერციულ ბანკში და რას წარმოადგენს იგი?

30. რა არის კომერციული ბანკის ფინანსური მენეჯმენტის არსი?

31. როგორ ვლინდება წინააღმდეგობრივი ხასიათი ლიკვიდობისა და მომგებიანობის მართვისას და რა დამოკიდებულება არსებობს მათ შორის?

32. რა არის აქტივ-პასივების მართვა კომერციულ ბანკში?

33. როგორ გამოიხატება საბანკო რისკების მართვა (რისკმენეჯმენტი) და რისკების რომელი სახეობები იცით?

34. რას გულისხმობს კომერციული ბანკის მენეჯმენტის შეფასება?

35. რას ისახავს მიზნად მენეჯმენტის შეფასება საქართველოში გავრცელებული პრაქტიკით?

თავი 6

კომერციული ბანკის რესურსები და პასიური ოპერაციები

შინაარსი:

6.1. კომერციული ბანკის პასიური ოპერაციები;
6.2. კომერციული ბანკის პასივების სტრუქტურა;
6.3. კომერციული ბანკის კაპიტალის ფუნქციები და სტრუქტურა;
6.4. კომერციული ბანკის საწესდებო კაპიტალის ფორმირება და მისი წყაროები;
6.5. კომერციული ბანკის მოზიდული სახსრები.

ძირითადი ელემენტები:

1. ბანკების პასიური ოპერაციები და მისი ძირითადი სახეობები;
2. კომერციული ბანკების პასივების სტრუქტურა;
3. საბანკო სისტემის პასივების ელემენტების დახასიათება საქართველოს მაგალითზე;
4. კომერციული ბანკის კაპიტალის ფუნქციები;
5. კომერციული ბანკების კაპიტალის მინიმალური ოდენობა, როგორც საბანკო ზედამხედველობის ინსტრუმენტი;
6. კომერციული ბანკის კაპიტალის სტრუქტურა, როგორც საბანკო ზედამხედველობის ინსტრუმენტი;
7. კომერციული ბანკის კაპიტალის ზრდის წყაროები;
8. კომერციული ბანკების მოზიდული სახსრები და მათი სტრუქტურა საქართველოში;
9. კომერციული ბანკების სადეპოზიტო პროდუქტები საქართველოში.

გამოყენებული სქემები, ნახატები და ცხრილები:

ცხრ. №6.1. საქართველოს საბანკო სისტემის კრებსითი ბალანსი 31.12.2013 (მლრდ ლარი) – პასივების დეტალიზაციით;
ცხრ. №6.2. საქართველოს საბანკო სისტემის პასივების სტრუქტურის დინამიკა წლების მიხედვით (პერიოდის ბოლოს);
ნახ. №6.1. საქართველოს საბანკო სისტემის რესურსების ყოველთვიური დინამიკა (1995-2013);
ცხრ. №6.3. ბანკის კაპიტალი საქართველოს საბანკო დაწესებულებების ანგარიშთა გეგმის მიხედვით;
ნახ. №6.2. საქართველოს საბანკო სისტემის საკუთარი რესურსების (კაპიტალის) ყოველთვიური დინამიკა (1995-2013);

ცხრ. №6.4. საქართველოს საბანკო სისტემის სააქციო კაპიტალის დეტალური სტრუქტურა (30.06.2013);
ნახ. №6.3. საქართველოს საბანკო სისტემის დეპოზიტების კვარტალური დინამიკა და შედარება მშპ-თან (2002-2013);
ნახ. №6.4. საქართველოს საბანკო სისტემის ვადიანი დეპოზიტების ყოველთვიური საშუალო საპროცენტო განაკვეთები და ვადიანობა (1997–2013);
ცხრ. №6.5. საქართველოს საბანკო სისტემის დეპოზიტური სახსრების სტრუქტურა ვადიანობის მიხედვით (31.12.2013);
ცხრ. №6.6. საქართველოს საბანკო სისტემის ვადიანი დეპოზიტების საშუალო საპროცენტო განაკვეთები (30.06.2013).

6.1. კომერციული ბანკის პასიური ოპერაციები

როგორც გასული მასალიდან გვახსოვს, კომერციული ბანკის **პასიური ოპერაციები** – ესაა იმ ოპერაციათა ერთობლიობა, რომელთა მეშვეობით ხდება მისი პასივის, ანუ რესურსების, ფორმირება. როგორც განმარტებიდან ჩანს, პასიური ოპერაციების მეშვეობით ხდება კომერციული ბანკის რესურსების ზრდა და ეს რესურები აღირიცხება ბალანსის პასივში შესაბამის ანგარიშებზე. გამომდინარე კომერციული ბანკის განსაკუთრებულობიდან, მის პასიურ ოპერაციებს, ანუ რესურსების ფორმირებას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. აქტიური ოპერაციების განსახორციელებლად, ანუ კრედიტების გასაცემად, ფასიანი ქაღალდების შესაძენად, ინვესტირებისათვის, ძირითადი საშუალებების შესაძენად და ა. შ. კომერციულ ბანკს სჭირდება რესურსები, ანუ ფული, რომლის ფინანსურ ბაზარზე მოზიდვის ერთადერთ საშუალებას სწორედ პასიური ოპერაციები წარმოადგენენ.

გასულ მასალაში ჩვენ განვიხილეთ საქართველოს საბანკო სისტემის აქტივებისა და პასივების საბალანსო მონაცემები 2013 წლის ბოლოსათვის. განვაზოგადოთ ისინი პასივების ნაწილში, მოვახდინოთ მისი „ჩაშლა“, ანუ დეტალიზაცია, რაც მოგვცემს პასივების სტრუქტურის უკეთ შესწავლის საშუალებას რეალური მაჩვენებლების მაგალითზე (ცხრ. №6.1.).

ცხრ. №6.1. საქართველოს საბანკო სისტემის კრებსითი ბალანსი 31.12.2013 (მლრდ ლარი) — პასივების დეტალიზაციით

	აქტივები	მოც.	წილი
1.1.	ნაღდი ფულადი სახსრები	0.9	5 %
1.2.	სახსრები საბანკო ანგ-ზე	3.0	18 %
1.3.	ფასიანი ქაღალდები	1.5	9 %
1.4.	წმინდა სესხები	9.9	57 %
1.5.	ფიქსირებული აქტივები	0.4	2 %
1.6.	ინვესტიციები	1.0	6 %
1.7.	სხვა აქტივები	0.6	3 %
1.	**მთლიანი აქტივები**	17.3	100 %

	პასივები	მოც.	წილი
2.1.	**ვალდებულებები**	14.4	83 %
2.1.1.	**დეპოზიტური სახსრები**	9.7	56 %
2.1.1.1.	დეპოზიტები მოთხოვნამდე	4.5	26 %
2.1.1.2.	ვადიანი დეპოზიტები	5.2	30 %
2.1.2.	**არადეპოზიტური სახსრები**	4.2	24 %
2.1.2.1.	ბანკების ანგარიშები	0.6	*3 %*
2.1.2.2.	ნასესხები სახსრები	3.6	*21 %*
2.1.2.3.	საკ. სავალო ფ/ქაღალდ.	0.0	*0 %*
2.1.3.	**სხვა ვალდებულებები**	0.5	3 %
2.2.	**სააქციო კაპიტალი**	2.9	17 %
2.2.1.	საწესდებო კაპიტალი	1.0	6 %
2.2.2.	კაპიტალის რეზერვები	1.2	7 %
2.2.3.	გაუნაწილებელი მოგება	0.7	4 %
2.	**მთლიანი პასივები**	17.3	100 %

კომერციული ბანკის პასიური ოპერაციების საშუალებით ხდება იმ ფულადი სახსრების მობილიზება, რომლებიც უკვე იმყოფებიან მიმოქცევაში. მათი მოზიდვის შემდეგ კი საბანკო სისტემაში ხდება ახალი რესურსების შექმნა აქტიური ოპერაციების შედეგად.

გასულ მასალაში ასევე აღინიშნა, რომ პასიური ოპერაციების სამი ძირითადი ტიპი არსებობს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. დეპოზიტური სახსრების მოზიდვა (2.1.1. ცხრ. №6.1-ის მიხედვით);
2. არადეპოზიტური სახსრების მოზიდვა (2.1.2.);
3. საკუთარი კაპიტალის ზრდა (2.2.).

უნდა აღინიშნოს, რომ ჩამონათვალიდან პირველი ორი (დეპოზიტური და არადეპოზიტური სახსრების ზრდა) ქმნიან კომერციული ბანკის მოზიდულ რესურსებს, ხოლო მესამე (კაპიტალის ზრდა) – საკუთარ სახსრებს.

კომერციული ბანკის **მოზიდული რესურსების** ფორმირება, როგორც აღვნიშნეთ, ხდება დეპოზიტური და არადეპოზიტური ოპერაციებით.

დეპოზიტური ოპერაციები, როგორც წესი, კომერციული ბანკის პასიური ოპერაციების ძირითადი სახეობაა. როგორც ცხრილიდან ვხედავთ, მათზე საქართველოს საბანკო სისტემის რესურსების 53% მოდის. თავის მხრივ, არასაბანკო დეპოზიტები ორ ძირითად ჯგუფად – მოთხოვნამდე (უვადო) და ვადიან სახსრებად იყოფა.

არადეპოზიტური ოპერაციები კომერციული ბანკების რესურსების მნიშვნელოვანი წყაროა, რომლებიც გამოიყენება როგორც მოკლევადიანი რესურსების მისაღებად ლიკვიდობის მართვისათვის, ისე გრძელვადიანი დაკრედიტებისათვის აუცილებელი რესურსული უზრუნველყოფის მისაღებად.

რაც შეეხება **საკუთარ სახსრებს,** იგი არის პასიური ოპერაციების განსაკუთრებული სახეობა. საკუთარი სახსრების სტრუქტურა არაერთგვაროვანია და მის შემადგენლობაში ძირითადია საწესდებო კაპიტალი, სარეზერვო ფონდები და გაუნაწილებელი მოგება.

თითოეული რესურსის წყაროს განსაკუთრებულობა და სტრუქტურული შემადგენლობა, ასევე მათზე მოქმედი ფაქტორების გავლენით გამოკვეთილი ტენდენციები, ამ თავის შემდეგ პარაგრაფებში იქნება განხილული.

6.2. კომერციული ბანკის პასივების სტრუქტურა

თითოეული კომერციული ბანკი დამოუკიდებლად განსაზღვრავს საკუთარი პასივების სტრუქტურას, რაც განპირობებულია კონკრეტული ბანკის განვითარების სტრატეგიით, ბაზარზე კონკურენციის დონით, აქციონერების ფინანსური შესაძლებლობებით, ბანკის იმიჯით, მის მიერ განხორციელებული აქტიური ოპერაციების მოცულობით, ხასიათით და რისკის დონით.

კომერციული ბანკების პასივების, ანუ რესურსების სტრუქტურა, მრავალფეროვანია და მისი თითოეული კომპონენტის როლი და დანიშნულება – განსაკუთრებული. სანამ დავიწყებდეთ რესურსების სტრუქტურის დახასიათებას, თვალი მივადევნოთ საქართველოს კომერციული ბანკების კრებსით საბალანსო მონაცემებს (ცხრ. №6.2.) და ვნახოთ, როგორ იცვლებოდა მისი სტრუქტურა.

ეროვნული განათლების

ცხრ. №6.2. საქართველოს საბანკო სისტემის პასივების სტრუქტურის დინამიკა წლების მიხედვით (პერიოდის ბოლოს)

	პასივები	1996	2000	2004	2008	2012
2.1.	**ვალდებულებები**	71 %	66 %	78 %	83 %	83 %
2.1.1.	**დეპოზიტური სახსრები**	36 %	43 %	57 %	40 %	53 %
2.1.1.1.	დეპოზიტები მოთხოვნამდე	27 %	25 %	32 %	20 %	23 %
2.1.1.2.	ვადიანი დეპოზიტები	9 %	18 %	25 %	21 %	30 %
2.1.2.	**არადეპოზიტური სახსრები**	21 %	20 %	18 %	39 %	27 %
2.1.2.1.	ბანკების ანგარიშები	*4 %*	*1 %*	*1 %*	*3 %*	*4 %*
2.1.2.2.	ნასესხები სახსრები	*17 %*	*19 %*	*18 %*	*36 %*	*23 %*
2.1.2.3.	საკუთარი სავალო ფ/ქაღალ.	*0 %*	*0 %*	*0 %*	*0 %*	*0 %*
2.1.3.	**სხვა ვალდებულებები**	14 %	3 %	3 %	4 %	3 %
2.2.	**სააქციო კაპიტალი**	29 %	34 %	22 %	17 %	17 %
2.2.1.	საწესდებო კაპიტალი	23 %	25 %	12 %	6 %	6 %
2.2.2.	კაპიტალის რეზერვები	3 %	8 %	3 %	10 %	8 %
2.2.3.	გაუნაწილებელი მოგება	3 %	0 %	7 %	1 %	3 %
2.	**მთლიანი პასივები**	100 %	100 %	100 %	100 %	100 %

დავიწყოთ მოზიდულ სახსრებით, რომლებშიც, როგორც უკვე აღინიშნა, შედის დეპოზიტური და არადეპოზიტური სახსრები და ისინი წარმოადგენენ კომერციული ბანკების რესურსების მთავარ წყაროს. ქართულ რეალობაში მათი წილი მთლიანი პასივების 83%-ს შეადგენს. თუ დავაკვირდებით დინამიკას, შევნიშნავთ, რომ იგი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. საბანკო ბიზნესის უნიკალობა სწორედ ისაა, რომ ბანკებს შეუძლიათ მოიზიდონ საკუთარ კაპიტალზე გაცილებით მეტი ფულადი სახსრები, საზოგადოების დანაზოგი და მათი მეშვეობით მოახდინონ იმავე საზოგადოების (ეკონომიკისა და ფიზიკური პირების) დაკრედიტება. მოზიდული სახსრების ორი დიდი ჯგუფის – დეპოზიტური და არადეპოზიტური სახსრების – სტრუქტურა მრავალფეროვანია და მოითხოვს დეტალურ დახასიათებას:

დეპოზიტური სახსრები, რომელთა მოზიდვა ხდება დეპოზიტური ოპერაციების შედეგად, არის სწორედ ის მთავარი „მიზეზი“, რის გამოც კომერციული ბანკები მოექცნენ ცენტრალური ბანკების ინტერესისა და განსაკუთრებული ზედამხედველობის ქვეშ. ქართულ რეალობაში კომერციული ბანკების მიერ მოზიდული დეპოზიტების საერთო მოცულობამ 7.6 მლრდ ლარი, ანუ მთლიანი პასივების 53% შეადგინა. ზემოთ მოცემული ცხრილიდან (№6.2.) კარგად ჩანს საქართველოს საბანკო სექტორში წლების მიხედვით დეპოზიტური სახსრების ხვედრითი წილის მთლიან პასივებში ცვალებადობა, თუმცა ისინი მაინც ზრდის ტენდენციით ხასიათდებიან. კომერციული ბანკების დეპოზიტების სტრუქტურა მეტად მრავალფეროვანია, მათი კლასიფიკაცია შეიძლება მოხდეს ვადიანობის, მფლობელების, ვალუტების, რეზიდენტობისა და სხვა ნიშნების მიხედვით. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

ვადიანობის მიხედვით მიღებულია დეპოზიტების ორი მთავარი ჯგუფის გამოყოფა: დეპოზიტები მოთხოვნამდე და ვადიანი დეპოზიტები.

- **დეპოზიტები მოთხოვნამდე** – ესაა უვადო ანგარიშები, რომელთა მოთხოვნა მათ მფლობელებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს. აქ შედის

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირების სახსრები მიმდინარე მოთხოვნამდე და საშემნახველო ანგარიშები;

- **ვადიანი დეპოზიტები (ანაბრები)** – ესაა ის ფულადი სახსრები, რომელთა განთავსება ხდება ბანკში განსაზღვრული ვადით და ბანკი მოიპოვებს უფლებას მასზე ანაბრის ვადის გასვლამდე.

ნაშთები უვადო ანგარიშებზე (დეპოზიტები მოთხოვნამდე) კომერციული ბანკებისათვის არასტაბილურ რესურსებს წარმოადგენენ და მათი უმეტესი ნაწილის განთავსება ხდება ლიკვიდურ აქტივებში (სალარო, საკორესპონდენტო ანგარიშები, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები). რაც შეეხება ვადიან დეპოზიტებს (ანაბრები), ისინი ითვლება კომერციული ბანკებისათვის უფრო სტაბილური რესურსების წყაროდ და მათი გამოყენება ხდება მოკლევადიანი და საშუალო, ხშირად გრძელვადიანი დაკრედიტებისათვის.

სწორედ აღნიშნული გარემოებები განაპირობებს იმას, რომ განსხვავებით ვადიანი ანაბრებისაგან, მოთხოვნამდე ანგარიშებზე არსებულ ფულადი სახსრების უმეტესობას, როგორც წესი, პროცენტი არ ერიცხება ან ერიცხებათ დაბალი განაკვეთით. ჩვენს შემთხვევაში 2012 წლის ბოლოსათვის ქართული ბანკების მიერ მოზიდული ვადიანი ანაბრები შეადგენდა მთლიანი პასივების 30%-ს, ხოლო მიმდინარე ანგარიშებზე არებული სახსრები – 23%-ს.

დეპოზიტთა მფლობელების მიხედვით დეპოზიტურ სახსრებს ყოფენ იურიდიული (გარდა ბანკებისა) და ფიზიკური პირების ფულად სახსრებად. 2012 წლის ბოლოსათვის იურიდიული პირების ანგარიშებზე მოდიოდა მთლიანი დეპოზიტური სახსრების 49%, ხოლო ფიზიკური პირების ანგარიშებზე – 51%. საინტერესოა, როგორია მათი სტრუქტურა ვადიანობის მიხედვით:

- იურიდიული პირების რესურსების სტრუქტურაში მოთხოვნამდე დეპოზიტებზე მოდიოდა სახსრების 66%, ვადიან დეპოზიტებზე – 34%;
- ამ სურათის ბუნებრივ „შებრუნებულ" ვარიანტს წარმოადგენს ფიზიკური პირების ანგარიშებზე არსებული სახსრები, სადაც მნიშვნელოვნად მეტი წილი მოდის ვადიან ანაბრებზე – 65%, ხოლო ნაკლები – მოთხოვნამდე ანგარიშებზე – 35%.

როგორც ვხედავთ, ქართულ სინამდვილეში 2012 წლის ბოლოსათვის იურიდიული პირების დეპოზიტების სტრუქტურაში სახსრების დაახლოებით 2/3 მოთხოვნამდე, ხოლო 1/3 – ვადიან დეპოზიტებზე მოდის, მაშინ, როცა ფიზიკური პირების შემთხვევაში სურათი საპირისპიროა. აღნიშნული გარემოების მიზეზი იურიდიული პირების შემთხვევაში ბიზნესის წარმოების თავისებურებაა, როცა ფულადი საშუალებების უმეტესი ნაწილი საბრუნავი სახსრებია და თავისუფალი ფული მათ შედარებით მცირე ხნით უჩნდებათ. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი იურიდიული პირი ახერხებს დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების ვადიან ანაბრებზე განთავსებას, თუმცა, როგორც წესი, ეს უფრო მოკლევადიანი ანაბრებია. რაც შეეხება ფიზიკურ პირებს, მათ აქვთ მოტივაციაც და საშუალებაც, გააკეთონ ვადიანი დანაზოგი. რაც შეეხება სახსრებს ფიზიკური პირების მიმდინარე ანგარიშებზე, მათი ძირითადი ნაწილი სახელფასო ანგარიშებია.

არადეპოზიტური სახსრები კომერციული ბანკების რესურსების არანაკლებ მნიშვნელოვანი წყაროა, რაზეც ისიც მეტყველებს, რომ ჩვენს მაგალითში მათზე მოდის მთლიანი პასივების 27%. არადეპოზიტური ოპერაციები შეიძლება დავაჯგუფოთ სამ ძირითად ტიპად:

ეროვნული ბიბლიოთეკა

- **ბანკების ანგარიშები** წარმოადგენს იმ ანგარიშებს, რომლებზეც გადმო-თავსებულია სხვა ბანკების მიმდინარე სახსრები და ვადიანი დეპოზიტები. ანგარიშებს, რომლებიც გახსნილია კონკრეტულ ბანკში სხვა კომერციული ბანკისათვის, „ლორო" ანგარიშებს უწოდებენ. ანგარიშის მფლობელი ბანკისათვის ლორო ანგარიში, ცხადია, აქტივში აღირიცხება და მისთვის ეს „ნოსტრო" ანგარიშია. ბანკების სახსრები, მათ შორის, ვადიანი დეპოზიტები, წარმოადგენენ მოკლევადიან რესურსებს და ლიკვიდობის მართვისათვის გამოიყენება. ჩვენს მაგალითში 2012 წლის ბოლოსათვის ბანკების ანგარიშებზე არსებული სახსრები 554 მლნ ლარს შეადგენდა, რაც მთლიანი პასივების 4%-ია;
- **ნასესხები სახსრები,** განსხვავებით საბანკო დეპოზიტებისაგან, არის გრძელვადიანი რესურსების წყარო, რომელიც ძირითადად წარმოადგენს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან მიღებულ ნასესხებ სახსრებს. ქართულ ბანკებში რესურსების აღნიშნული წყარო საკმაოდ მნიშვნელოვანია, კერძოდ, 2012 წლის ბოლოსათვის მათი მოცულობა 3.3 მლრდ ლარს შეადგენდა, რაც მთლიანი პასივების 23%-ია;
- **საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები** არის რესურსების მოზიდვის შედარებით ახალი და მეტად საინტერესო ინსტრუმენტი. ამ ტიპის ფასიან ქაღალდებს მიეკუთვნება ობლიგაციები, რომელთაც უშვებენ კომერციული ბანკები. ქართულ რეალობაში 2012 წლის ბოლოსათვის ბანკებს არ გააჩნდათ საკუთარი ფასიანი ქაღალდები, თუმცა, ამის პრეცედენტი არსებობდა 2005-2006 წლებში. 2006 წლის ბოლოს ორი ქართული კომერციული ბანკის გამოშვებული ობლიგაციების მოცულობამ 6.5 მლნ ლარი შეადგინა.

სანამ გადავალთ საკუთარი სახსრების (კაპიტალი) დახასიათებაზე, ყურადღება გავამახვილოთ მათსა და მოზიდულ რესურსებს შორის თანაფარდობაზე. დღეისათვის საქართველოში ეროვნული ბანკის მხრიდან ასეთი თანაფარდობის რაიმე პირდაპირი მოთხოვნა არ არსებობს, განსხვავებით ზოგიერთი ქვეყნისაგან, სადაც გვხვდება მოზიდული სახსრების საკუთარ კაპიტალთან შეფარდების პირდაპირი შეზღუდვა, მაგალითად, 1:20, ანუ მოზიდული რესურსები კაპიტალს შეიძლება აღემატებოდეს არა უმეტეს 20-ჯერ. დღეისათვის ქართული ბანკების მთლიანი კაპიტალის (საკუთარი სახსრები) წილი მთლიან პასივებში 17%-ია, ანუ მოზიდული რესურსები კაპიტალს აღემატება დაახლოებით 5-ჯერ, რაც საბანკო პრაქტიკაში მიღებული მაჩვენებლის დონეზე დაბალია.

კომერციული ბანკების **საკუთარი სახსრების** (იმავე სააქციო კაპიტალის) სტრუქტურა არცთუ მარტივია, ჩვენს შემთხვევაში (ცხრ. №6.1.) მოცემულია მისი სამი ძირითადი შემადგენელი ნაწილი. დავახასიათოთ ისინი:

1. **საწესდებო კაპიტალის** მინიმალური მოცულობისადმი საქართველოში არსებული მოთხოვნა ეროვნული ბანკის მხრიდან (12 მლნ ლარი) განპირობებულია საერთაშორისო პრაქტიკით, კერძოდ, ბაზელის კომიტეტის რეკომენდაციით, რომელიც განსაზღვრავს საწესდებო კაპიტალის მინიმალურ სასურველ ოდენობას 5 მლნ ევროს ოდენობით. 2012 წლის ბოლოსათვის ქართული კომერციული ბანკების საწესდებო კაპიტალის მოცულობა 849 მლნ ლარს შეადგენდა (საშუალოდ – 45 მლნ ლარი ერთ ბანკზე), რაც მთლიანი პასივების 6%-ია. საწესდებო კაპიტალის სტრუქტურაში შედის როგორც საემისიო კაპიტალი, ისე პრივილეგირებული აქციები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. კაპიტალის რეზერვები წარმოადგენს საკუთარი რესურსების უმნიშვნელოვანეს ელემენტს, რომელიც იქმნება კომერციული ბანკის მოგების ხარჯზე წლების განმავლობაში. აქ შედის აქტივების გადაფასების რეზერვი და სხვა სარეზერვო ფონდები. კაპიტალის რეზერვების, ანუ სარეზერვო ფონდების, ფორმირების მთავარ წყაროს აქციონერთა მიერ წმინდა მოგების განაწილების შემდეგ ბანკის საკუთრებაში დატოვებული ფულადი სახსრები წარმოადგენს. სარეზერვო ფონდების გამოყენება („დახარჯვა"), როგორც წესი, ხდება აქციონერთა კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით მიმდინარე წლის ზარალის დასაფარავად, ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი ხარჯების დასაფინანსებლად და ა.შ. ქართული ბანკების მიერ „დაგროვილი" სარეზერვო ფონდების საერთო მოცულობა 2012 წლის ბოლოსათვის 1.1 მლრდ ლარს შეადგენს, რაც მთლიანი პასივების 8%-ია. როგორც ვხედავთ, მისი მოცულობა მნიშვნელოვნად აღემატება საწესდებო კაპიტალის მოცულობას.

3. გაუნაწილებელი მოგება საკუთარი სახსრების მესამე ძირითადი ელემენტია. ესაა ის მოგება, რომელიც კომერციულმა ბანკმა „დააგროვა" წლის განმავლობაში და რომლის ბედი უნდა გადაწყდეს საანგარიშო წლის დამთავრებიდან 2-3 თვის განმავლობაში აქციონერთა საერთო კრებაზე. აქციონერთა საერთო კრების ჩატარებამდე აღნიშნული სახსრები რჩება ბანკის განკარგულებაში და წარმოადგენს მისი დამატებითი, უფასო რესურსების წყაროს. აქციონერთა საერთო კრების მიერ მიიღება გადაწყვეტილება წინა საანგარიშო წლის გაუნაწილებელი მოგების განაწილების შესახებ. საჭიროების მიხედვით მათი ნაწილი შეიძლება მიმართულ იქნეს გარკვეული ღონისძიების დასაფინანსებლად, სარეზერვო ფონდების გასაზრდელად ან დივიდენდების გასაცემად. ქართული ბანკების ბალანსებში არსებული გაუნაწილებელი მოგების საერთო მოცულობა 2012 წლის ბოლოსათვის 409 მლნ ლარს შეადგენდა, რაც მთლიანი პასივების 3%-ია.

პარაგრაფის დასასრულს თვალი გადავავლოთ საქართველოს საბანკო სისტემის რესურსების ზრდის დინამიკას (ნახ. №6.1.) მისი შემადგენელი სამი ძირითადი სახეობის მიხედვით. ვნახოთ, რა ძირითადი ტენდენციებით ხასიათდება ისინი და რა გავლენას ახდენს მათ დინამიკაზე არასტაბილური გარემოს მიერ გამოწვეული რყევები – ომი, ფინანსური კრიზისი, ქვეყნის შიდა პოლიტიკური დაძაბულობა.

ნახ. №6.1-ზე ადვილი შესამჩნევია, თუ როგორი ნეგატიური გავლენა მოახდინა 2008 წლის აგვისტოს 5-დღიანმა ომმა და თანდართულმა ფინანსურმა კრიზისმა საქართველოს საბანკო სისტემის დეპოზიტური სახსრების მოცულობაზე და როგორი მგრძნობიარე ინდიკატორია იგი: მხოლოდ აგვისტოში მათი მოცულობა 13%-ით, ანუ თითქმის 500 მლნ ლარით შემცირდა. განსაკუთრებით მგრძნობიარე იყო ფიზიკური პირების დეპოზიტები, რომელთა მოცულობის შემცირებამ იმავე ერთ თვეში 17% შეადგინა. საქართველოს საბანკო სისტემას 15 თვე დაჭირდა, რათა 2009 წლის ოქტომბრისათვის მიეღწია დეპოზიტური სახსრების ომამდელ, 2008 წლის ივლისის დონემდე. იმავე ნახატზე ასევე შესამჩნევია, რომ 2012 წლის ქვეყნის შიდა პოლიტიკურმა პროცესებმა (ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები) ასევე ნეგატიური გავლენა იქონიეს დეპოზიტური სახსრების მოცულობაზე, კერძოდ, შემცირების ტენდენცია ჯერ კიდევ 2012 წლის აგვისტოდან დაიწყო და სამ თვეში შემცირებამ 380 მლნ ლარი, ანუ თითქმის 5% შეადგინა. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ 7 თვეში საბანკო სისტემაში

აღდგა დაკარგული პოზიციები, ისიც ნიშანდობლივია, რომ შემცირება ძირითადად შეეხო იურიდიული პირების სახსრებს. ფიზიკური პირების დეპოზიტების შემცირება მხოლოდ ერთ, 2012 წლის სექტემბერში დაფიქსირდა.



ნახ. №6.1. საქართველოს საბანკო სისტემის რესურსების ყოველთვიური დინამიკა (1995-2013)

როგორც კი საბანკო სისტემამ 2008 წლის შემოდგომაზე დაიწყო დეპოზიტური სახსრების დაკარგვა, მაშინვე აამოქმედა მეორე ბერკეტი – არადეპოზიტური სახსრების მოზიდვა. როგორც ნახატზე ვხედავთ, არადეპოზიტური სახსრების მოცულობა 2008 წლის ბოლოსათვის (4 თვეში) 11%-ით გაიზარდა. კომერციულმა ბანკებმა რესურსების დეფიციტი შეავსეს როგორც საქართველოს ეროვნული ბანკის, ისე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების სახსრებით. ეს ერთადერთი პერიოდია საქართველოს საბანკო სისტემის უახლეს ისტორიაში, როცა არადეპოზიტური სახსრების მოცულობამ გადააჭარბა დეპოზიტური სახსრებისას. ასევე კარგად ჩანს, რომ დეპოზიტური სახსრების ზრდის ტენდენციასთან ერთად არადეპოზიტური სახსრების შემცირება და „ნორმალურ“ კალაპოტში დაბრუნება დაიწყო.

რაც შეეხება აღნიშნული მოვლენების გავლენას საკუთარი რესურსების მოცულობაზე – აქაც ვხედავთ ნეგატიურ გავლენას 2008 წლის აგვისტოდან. რა თქმა უნდა, ეს არ მომხდარა საწესდებო კაპიტალის შემცირების გამო (ამის უფლება საქართველოში კომერციულ ბანკებს არ აქვთ), არამედ განაპირობა ზარალის წარმოქმნამ უკვე 2008 წლის სექტემბერშივე. ზარალიანი თვეები გაგრძელდა 2010 წლის მარტამდე, ანუ 18 თვეს, რითაც ავტომატურად ხდებოდა გაუნაწილებელი მოგების შემცირება. ბანკებმა დაიწყეს კაპიტალის რეზერვების გამოყენება. როგორც აღინიშნა, მათი გამოყენება სწორედ ასეთი „შავი დღისთვისაა“ გამიზნული. საბოლოო ჯამში, სულ რაღაც 13 თვეში, 2009 წლის სექტემბრისათვის საკუთარი სახსრები ომამდელ პერიოდთან შედარებით თითქმის 20%-ით შემცირდა და სრული სამი წელი დასჭირდა კომერციულ ბანკებს, რათა აღედგინათ საკუთარი სახსრების მოცულობის ომამდელი დონე, რაც მიღწეულ იქნა მხოლოდ 2011 წლის აგვისტოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დასკვნებიდან თვალსაჩინოა, რომ როდესაც კომერციული ბანკი განიცდის რესურსების ნაკლებობას ან სურს თავისი აქტიური ოპერაციების გაზრდა და ამისათვის შესაბამისი რესურსები ესაჭიროება, მას უწევს გადაწყვეტილების მიღება – თუ რომელი გზით მიაღწიოს ამას, დეპოზიტური ოპერაციებით, არადეპოზიტური რესურსების მოზიდვით თუ კაპიტალის ზრდით. რა თქმა უნდა, თითოეულ წყაროს აქვს თავის დადებითი და უარყოფითი მხარეები, როგორც მათი ფასის, ისე მოზიდვის ოპერატიულობის თვალსაზრისით. როგორც წესი, რაც უფრო ადვილია რესურსების მოზიდვა, მით უფრო ძვირია იგი და, პირიქით. სწორედ ამიტომ, კომერციულ ბანკებში უნდა არსებობდეს ჩამოყალიბებული სადეპოზიტო და პასივების მართვის პოლიტიკა. ეს პროცესი უნდა იყოს მუდმივი, თანმიმდევრული, გამომდინარე ბანკის სტრატეგიიდან და მიმართული იქითკენ, რომ ბანკს არ შეექმნას მოულოდნელი შეფერხებები მინიმალურ ვადაში საჭირო რესურსების მოზიდვისას.

თუ როგორ ახერხებენ კომერციული ბანკები რესურსების შევსებას, ეს შემდეგ პარაგრაფებში იქნება განხილული.

6.3. კომერციული ბანკის კაპიტალის ფუნქციები და სტრუქტურა

როგორც სამამულო, ისე უცხოურ კვლევებსა და ექსპერტთა შეფასებებში საბანკო სისტემის სტაბილიზაციისა და მდგრადობის უზრუნველმყოფ პირობად მიჩნეულია საკუთარი კაპიტალის ადეკვატური დონე. ლოგიკა ისაა, რომ ბანკის გაკოტრების შემთხვევაში მისმა აქციონერებმა უნდა მიიღონ მათ მიერ აქციებში ინვესტირებული ფულის ნაწილი – მხოლოდ ის, რაც დარჩება მეანაბრეთა და სხვა კრედიტორთა კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ. ეს მომენტი ქართული კანონმდებლობითაცაა გათვალისწინებული. ასეთ შემთხვევებში, ხშირად, როცა ბანკში არაა სათანადო კონტროლი, აქციონერები საერთოდ უფულოდ რჩებიან და მთლიანად კარგავენ კაპიტალს, ამიტომ ისინი ორმაგად დაინტერესებულნი არიან ბანკის სტაბილური ფუნქციონირებითა და გაკოტრების თავიდან აცილებით. ზემოაღნიშნულის ფორმულირება შეიძლება უფრო მოკლედაც: ბანკის კაპიტალი ესაა მისი მენეჯმენტის ცუდი მუშაობის კომპენსაციის წყარო.

კომერციული ბანკის კაპიტალზე საუბრისას უნდა ვიცოდეთ, რომ არსებობს ამ ტერმინის სხვადასხვა გაგება, ვიწრო გაგებით – ესაა საწესდებო კაპიტალი, იგივე ემიტირებული აქციების ღირებულება. ფართო გაგებით კი – ესაა საწესდებო კაპიტალის, სარეზერვო და სხვა ფონდების, საერთო და აქტივების გადაფასების რეზერვების, გასული წლებისა და მიმდინარე წლის მოგება (ზარალის) ერთობლიობა. ქართული კანონმდებლობით სააქციო კაპიტალი, განიმარტება, როგორც „კომერციული ბანკის აქციონერთა კაპიტალი, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა ბანკის მთლიან აქტივებსა და მთლიან ვალდებულებებს შორის“ [13].

როგორც გასულ პარაგრაფებში აღინიშნა, ბანკის კაპიტალი არის მისი

13 საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“, მუხლი 1, „ღ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესურსების ერთ-ერთი და განსაკუთრებული წყარო, რომლის მოცულობა და ხარისხი (სტრუქტურა) ექვემდებარება მკაცრ რეგულაციას ნებისმიერი ქვეყნის საბანკო სისტემაში. შესაბამისი წესით და მოცულობით ფორმირებული საკუთარი კაპიტალი არის ნებისმიერი კომერციული შექმნისა და ფუნქციონირების წინაპირობა.

მიუხედავად იმისა, რომ კომერციული ბანკის კაპიტალის წილი მთლიან რესურსებში არცთუ დიდია (როგორც გვახსოვს, საქართველოში 17%-ის ფარგლებშია), იგი სასიცოცხლო მნიშვნელობის ფუნქციების მატარებელია, რომელთა შორის აღსანიშნავია ოპერატიული, დაცვითი, მარეგულირებელი და უფასო რესურსებისა და კაპიტალიზაციის ზრდის ფუნქციები:

1) **ოპერატიული ფუნქცია** იმით გამოიხატება, რომ კომერციული ბანკის კაპიტალი წარმოადგენს მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფორმირების ძირითად წყაროს. ეს მომენტი განსაკუთრებით აქტუალობას იძენს ბანკის შექმნისა და ფუნქციონირების საწყის ეტაპზე.
2) **დაცვის ფუნქცია,** რომელიც გამოიხატება იმით, რომ ბანკის კაპიტალი გვევლინება მეანაბრეთა და სხვა კრედიტორთა ინტერესების დაცვის მთავარ საშუალებად. დაცვის ფუნქცია უმნიშვნელოვანესი ფუნქციათაგანია და გულისხმობს კაპიტალის (ან მისი ნაწილის) გამოყენებას ბანკისათვის „მძიმე“ დღეებში: კრიზისი, დროებითი წარუმატებლობა თუ გაკოტრება – ამ შემთხვევაში ხომ კაპიტალი მეანაბრეთა მოთხოვნების ანაზღაურების ერთ-ერთ წყაროდ გვევლინება. ბანკის კაპიტალი ამ ფუნქციის შესრულებისას ის „ამორტიზატორია“, რომელიც ამცირებს რყევებსა და ვარდნებს. ამის მაგალითი მოყვანილი იყო წინა პარაგრაფში 2008-2009 წლების მოვლენებზე საუბრისას.
3) **მარეგულირებელი ფუნქცია** განპირობებულია საზოგადოების დაინტერესებით, იცოდეს, თუ რამდენად უსაფრთხოდაა მისი (იურიდიული და ფიზიკური პირები) ფული ბანკებში და რამდენად სტაბილურია ეს უსაფრთხო მდგომარეობა. ამ ფუნქციის პრაქტიკულად განხორციელება ვლინდება ცენტრალური ბანკის მხრიდან კომერციული ბანკების საქმიანობის შეფასებისა და კონტროლის შესაძლებლობაში სწორედ კაპიტალის მინიმალური ოდენობისა და მისი სტრუქტურული შემადგენლობის მიმართ მოთხოვნების დაწესებით. შემთხვევითი არაა, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის დაწესებული 13 სავალდებულო ნორმატივიდან 2 უშუალოდ კაპიტალის სტრუქტურას ეხება, ხოლო 9-ის გაანგარიშებაში კაპიტალი მონაწილეობს სხვადასხვა ფორმით. აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს კომერციული ბანკების ზედმეტად რისკიანი ოპერაციების შეზღუდვას და ამით საბანკო სისტემის მდგრადობის შენარჩუნებას, იგი ავლებს გარკვეულ „წითელ“ ზოლებს, რომელთა გადალახვა კომერციულ ბანკებს ეკრძალებათ და თუ მათ სურთ საკუთარი საქმიანობის გაფართოება, ანუ „წითელ“ ზოლებს იქით ლეგალურად გადასვლა, მათი გადაწევა, ამის ერთადერთი გზა კაპიტალის გაზრდაა.
4) **უფასო რესურსებისა და კაპიტალიზაციის ზრდის ფუნქცია** განპირობებულია ორი გარემოებით. ერთი მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალის წილი პასივებში არცთუ დიდია, მისი, როგორც უფასო რესურსის როლი, მეტად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით, თუ კაპიტალის ზრდასთან გვაქვს საქმე. კაპიტალის ზრდა იწვევს მოზიდული

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესურსების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთის (ფასის) შემცირებას და ზრდის ბანკის კონკურენტულ უპირატესობას. მეორე მხრივ, თანამედროვე მსოფლიო ფინანსური სისტემის გამოძახილს წარმოადგენს აქციების გაყიდვა პირველად საჯარო ბაზარზე (საფონდო ბირჟაზე), ე.წ. IPO, რომელიც რიგი უპირატესობებით ხასიათდება: დამატებითი კაპიტალის მოზიდვა, აქციონერთა ხელმისაწვდომობა აქციების ყიდვისას და მათი შეუზღუდავი რაოდენობა, ბანკის კაპიტალიზაციის (საბაზრო ღირებულების ზრდა) და ა.შ. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ IPO-ს შემთხვევაში ხდება ბანკის საბაზრო ფასის დაწესება, ანუ საბაზრო კაპიტალიზაცია, რომლის შემდეგი ზრდა დადებითად მოქმედებს მისი იმიჯის ზრდაზე და დამატებით პერსპექტივებს უხსნის მას.

საქართველოში, მსგავსად განვითარებული ქვეყნების საბანკო სისტემებისა, კომერციული ბანკების კაპიტალი მკაცრი და მკაფიო რეგლამენტაციის საგანია, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს მის მიერ მარეგულირებელი ფუნქციის შესრულებას. ამ კუთხით საინტერესოა ორი მიმართულება: კაპიტალის მინიმალური ოდენობა და მისი ხარისხობრივი სტრუქტურა. განვიხილოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი ამ მიმართულებებით საქართველოს უახლესი ისტორიიდან და დღეს არსებული მდგომარეობა:

კომერციული ბანკების კაპიტალის მინიმალური ოდენობა.

კომერციული ბანკების კაპიტალის მინიმალური ოდენობის ეტაპობრივი ზრდის პროცესს საქართველოს ეროვნული ბანკი იწყებს 1997 წლის დასაწყისში. მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ახლად შექმნილი კომერციული ბანკებისათვის განაღდებული საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობა განისაზღვრა 5 მლნ ლარის ოდენობით (მხოლოდ ფულად ფორმაში), ხოლო მოქმედი კომერციული ბანკებისათვის განაღდებული მინიმალური საწესდებო კაპიტალის ოდენობა აღნიშნულ დონემდე განისაზღვრა 2000 წლის ბოლოსათვის ეტაპობრივი ზრდით შემდეგი გრაფიკის შესაბამისად:

- 1998 წლის 31 დეკემბერი – 1 მლნ ლარი;
- 1999 წლის 30 ივნისი – 2 მლნ ლარი;
- 1999 წლის 31 დეკემბერი – 3 მლნ ლარი;
- 2000 წლის 30 ივნისი – 4 მლნ ლარი;
- 2000 წლის 31 დეკემბერი – 5 მლნ ლარი.

ასევე დადგინდა, რომ ფულად ფორმაში საწესდებო კაპიტალის ზრდა მომხდარიყო ეროვნული ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშების მეშვეობით.

ამის შემდეგ, 2003 წლის ბოლოს, ეროვნული ბანკის მიერ წესდება ახალი მოთხოვნები კაპიტალის, უფრო სწორად – მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის (ამაზე ქვემოთ) ოდენობის შესახებ, რომელიც განისაზღვრა 12 მლნ ლარის ოდენობით 2008 წლის ბოლოსათვის ეტაპობრივი ზრდით შემდეგი გრაფიკის შესაბამისად:

- 2004 წლის 31 დეკემბერი – 6,4 მლნ ლარი;
- 2005 წლის 31 დეკემბერი – 7,8 მლნ ლარი;
- 2006 წლის 31 დეკემბერი – 9,2 მლნ ლარი;
- 2007 წლის 31 დეკემბერი – 10,6 მლნ ლარი;
- 2008 წლის 31 დეკემბერი – 12,0 მლნ ლარი.

თუმცა, 2006 წლის მაისში ეროვნულ ბანკს ცვლილებები შეაქვს მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის ზრდის მოქმედ გრაფიკში და ადგენს 12 მლნ ლარის მიღწევის პირობას 2007 წლის 30 ივნისისათვის. საზედამხედველო კაპიტალის ზრდა განისაზღვრა მხოლოდ ფულადი ფორმით და მხოლოდ საქართველოს ეროვნული ვალუტით.

კომერციული ბანკების კაპიტალის სტრუქტურის ხარისხობრივი განსაზღვრა, როგორც საბანკო ზედამხედველობის ინსტრუმენტი.

ტერმინები – „კაპიტალის ადეკვატურობა", „კაპიტალის საკმარისობა" გამოიყენება ბანკის საიმედოობის, მისი მყარი ფინანსური მდგომარეობის დახასიათებისა და შეფასებისათვის, რაც, ბუნებრივია, განპირობებულია კაპიტალის დაცვითი როლით კრიზისულ მდგომარეობაში. ეს კი, თავის მხრივ, განაპირობების კომერციული ბანკების მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლებას. ქართული საბანკო სისტემის რეფორმირების გზა **XX** საუკუნის 90-იან წლებში სწორედ ამ მიმართულებით მიდიოდა.

როგორც საქართველოს საბანკო სისტემის უახლესი ისტორიიდან გვახსოვს, კომერციული ბანკების კაპიტალის სტრუქტურის განსაზღვრის მიმართულებით პირველი ნაბიჯი 1996 წელს გადაიდგა, როცა დამტკიცდა „ზედამხედველობის მიზნით ბანკის კაპიტალის განსაზღვრის წესი", რომლის მიხედვითაც, ახლად დადგენილი ეკონომიკური ნორმატივებისა და ლიმიტების გაანგარიშებისას შემოღებულ იქნა ტერმინი „მთლიანი კაპიტალი". იგი შედგებოდა ორი ნაწილისაგან: პირველადი და მეორადი კაპიტალი. შესაბამისად, განისაზღვრა მათი შინაარსი (შემადგენლობა) და დადგინდა, რომ პირველადი კაპიტალის მოცულობა უნდა ყოფილიყო მთლიანი კაპიტალის 75%-ზე მეტი. ამით, ფაქტობრივად, მოხდა კაპიტალის დაყოფა ორ ნაწილად: საბაზო და დამატებით კაპიტალად.

1998 წელს განხორციელდა მნიშვნელოვანი პრუდენციული ცვლილებები, რომლებიც მიმართული იყო ბანკების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების დახვეწისაკენ. ამ მიზნებისათვის განისაზღვრა ისეთი კატეგორია, როგორიცაა – „ზედამხედველობის მიზნით განსაზღვრული მთლიანი კაპიტალი", რომელიც 2001 წლიდან შეიცვალა დღეს გავრცელებული ტერმინით „საზედამხედველო კაპიტალი". ამის შემდეგ, 2002 წლის ბოლოს, იდგმება ახალი ნაბიჯი და მტკიცდება „დებულება კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ". აღნიშნული დოკუმენტის დღევანდელი რედაქციის მიხედვით, კომერციული ბანკების ზედამხედველობის მიზნით (კაპიტალის მარეგულირებელი ფუნქცია) „საზედამხედველო კაპიტალი" შედგება ორი ნაწილისაგან:

- **პირველადი კაპიტალი,** რომელიც არის საზედამხედველო კაპიტალის ძირითადი წყარო, მისი საბაზო ელემენტი, რომელიც, თავის მხრივ, შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:
  - ჩვეულებრივი აქციები;
  - არააკუმულაციური უვადო პრივილეგირებული აქციები [14];
  - აქციების ემისიით მიღებული დამატებითი სახსრები;
  - სარეზერვო ფონდი, რომლებიც შექმნილი უნდა იყოს წინა წლების გაუნაწილებელი მოგებიდან, ბანკის განკარგულებაშია და შეიძლება გამოყენებულ იქნეს წარმოშობილი ზარალის დასაფარავად;
  - წინა წლების გაუნაწილებელი მოგება (ზარალი).

14 ისეთი უვადო პრივილეგირებული აქცია, რომელზეც არ ხდება წინა წლებში ბანკის მიერ გაუნაწილებელი დივიდენდების აკუმულირება.

- **მეორადი კაპიტალი,** რომელიც წარმოადგენს საზედამხედველო კაპიტალის დამატებით წყაროს და შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:
  - მიმდინარე წლის მოგება (ზარალი);
  - მიზნობრივი ფონდები;
  - საერთო რეზერვები [15];
  - პრივილეგირებული აქციები გამოსყიდულის გამოკლებით;
  - ბანკის აქციებში კონვერტირებადი ვალი [16];
  - სუბორდინირებული ვალი [17], მიღებული მინიმუმ 5 წლით სარგებლობის ვადით.

გაანგარიშების აუცილებელი პირობაა გამოქვითვები, რომლებითაც მცირდება შესაბამისი კაპიტალი:

- ბანკის საწესდებო კაპიტალში ასახული ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან გადატანილი თანხა *(ამცირებს პირველად კაპიტალს);*
- არამატერიალური აქტივები (ამცირებს პირველად კაპიტალს);
- ინვესტიციები საქართველოს რეზიდენტი ბანკების საწესდებო კაპიტალში *(ამცირებს საზედამხედველო კაპიტალს);*
- არაკონსოლიდირებული ინვესტიციები ბანკის შვილობილი საწარმოების საწესდებო კაპიტალში *(ამცირებს საზედამხედველო კაპიტალს).*

აუცილებელ პირობად ითვლება ის, რომ პირველადი კაპიტალი შეადგენდეს საზედამხედველო კაპიტალის არანაკლებ 50%-ს.

გასულ მასალაში აღინიშნა, რომ 2013 წლის ბოლოს დამტკიცდა „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულების" ახალი რედაქცია, რომლის ძალითაც შემოღებულ იქნა პრინციპულად ახალი მიდგომები კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნისადმი. დებულების მოთხოვნები ძალაში შედის 2014 წლის 30 ივნისიდან.

ბანკის კაპიტალის ადეკვატურობისა და საკმარისობის განსაზღვრისა და შეფასებისათვის თანამედროვე ქართულ რეალობაში გამოიყენება ე.წ. კაპიტალის კოეფიციენტები და მინიმალური საზედამხედველო კაპიტალი. როგორც ზემოთ აღინიშნა, მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის ოდენობა კომერციული ბანკებისათვის საქართველოში 12 მლნ ლარს შეადგენს. გარდა ამისა, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის დაწესებული 13 სავალდებულო ნორმატივიდან 2 უშუალოდ კაპიტალის სტრუქტურას ეხება (პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი და საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი), ხოლო 9-ის გაანგარიშებაში კაპიტალი მონაწილეობს სხვადასხვა ფორმით (საზედამხედველო და სააქციო კაპიტალის სახით). აღნიშნული საკითხები დეტალურად შემდეგ თავებში იქნება განხილული.

15 რეზერვი, რომელიც იქმნება სესხებისა და სესხებზე დარიცხული მისაღები პროცენტების შესაძლო დანაკარგებისათვის, მათ დაუკონკრეტებლად, არაიდენტიფიცირებული ზარალისათვის.

16 სესხებით და/ან სავალო ფასიანი ქაღალდებით მიღებული ფულადი სახსრები, რომლებიც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დადგომისას კონვერტირდება ბანკის ჩვეულებრივ ან პრივილეგირებულ აქციებში.

17 ისეთი არაუზრუნველყოფილი ვალი, რომელიც ხელშეკრულების მიხედვით, არ არის დეპოზიტი და სხვა ვალებთან და დეპოზიტებთან შედარებით აქვს გადახდის (დაფარვის) უფრო დაბალი პრიორიტეტი, რომლის მიხედვით, ბანკის მძიმე ფინანსური მდგომარეობის, გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში სუბორდინირებული ვალის კრედიტორის მოთხოვნები ბაკმა უნდა დააკმაყოფილოს მხოლოდ ყველა დეპოზიტორთა და სხვა კრედიტორთა ვალების სრულად გადახდის (დაფარვის) შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრ. №6.3. ბანკის კაპიტალი საქართველოს საბანკო დაწესებულებების ანგარიშთა გეგმის მიხედვით

კლასი	ჯგუფი	ანგარიში	სახელწოდება
50			განაღდებული კაპიტალი
	500		განაღდებული კაპიტალი
		5001	საქართველოს ერ. ბანკის საწესდებო კაპიტალი *
		5002	ჩვეულებრივი აქციები
		5003	კონტრანგარიში - ბანკის მიერ გამოსყიდული საკუთ. ჩვეულებრივი აქციები
		5004	პრივილეგირებული აქციები
		5005	კონტრანგარიში - ბანკის მიერ გამოსყიდული საკუთ. პრივილეგირებული აქციები
51			საემისიო კაპიტალი
	510		საემისიო კაპიტალი
		5102	ჩვეულებრივ აქციათა ემისიით მიღებული დამატებითი სახსრები
		5104	პრივილეგირებულ აქციათა ემისიით მიღებული დამატებითი სახსრები
53			საერთო რეზერვები
	530		საერთო რეზერვები
		5301	სარეზერვო ფონდი
		5302	მიზნობრივი ფონდები
54			წინა წლების გაუნაწილებელი მოგება (დაუფარავი ზარალი)
	540		წინა წლების გაუნაწილებელი მოგება (დაუფარავი ზარალი)
		5401	წინა წლების გაუნაწილებელი მოგება (დაუფარავი ზარალი)
55			საანგარიშგებო წლის მოგება (ზარალი)
	550		საანგარიშგებო წლის მოგება (ზარალი)
		5501	საანგარიშგებო წლის მოგება (ზარალი)
59			აქტივების გადაფასების რეზერვები
	590		აქტივების გადაფასების რეზერვები
		5901	ოქროს გადაფასების რეზერვი
		5902	სავალუტო სახსრების გადაფასების რეზერვი
		5903	ფასიანი ქაღალდების გადაფასების რეზერვი *
		5904	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი
		5904	დანარჩენი აქტივების გადაფასების რეზერვი

* მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიშები

რა თქმა უნდა, ქართული ბანკის ბალანსის მუხლებში ვერ ვნახავთ ვერც საზედამხედველო, პირველად ან მეორად კაპიტალს. ისინი გაანგარიშებითი მაჩვენებლებია, რომელთა დათვლა ხდება სპეციალური მეთოდოლოგიის მიხედვით, რის საფუძველსაც წარმოადგენს საბანკო დაწესებულებების ანგარიშთა გეგმა.

საქართველოს საბანკო დაწესებულებებისათვის დამტკიცებული ანგარიშთა გეგმის მიხედვით, კაპიტალის ასახვისათვის განკუთვნილია კლასები 50, 51, 53, 54, 55 და 59 შესაბამისი საბალანსო ანგარიშებით და შემდეგი სტრუქტურის მიხედვით (ცხრ. №6.3.):

როგორც ვხედავთ, კაპიტალის სტრუქტურა შეიძლება ორი კუთხით განვიხილოთ: როგორც აღრიცხვის (ანგარიშთა გეგმა), ისე გაანგარიშებითი (საზედამხედველო მიზნებისათვის) მოთხოვნებიდან გამომდინარე. რა თქმა უნდა, საზედამხედველო მიზნებისათვის კაპიტალის გაანგარიშება ხდება საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემებზე დაყრდნობით.

6.4. კომერციული ბანკის საწესდებო კაპიტალის ფორმირება და მისი წყაროები

დღევანდელი მდგომარეობით საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებს ეკრძალებათ საწესდებო კაპიტალის შევსება (ფორმირება) არაფულადი ფორმით და მათ არ აქვთ უფლება, შეამცირონ თავიანთი საწესდებო კაპიტალი ეროვნული ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე და საწესდებო კაპიტალის ცვლილების შესახებ წესდებაში სათანადო შესწორების შეტანის გარეშე. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო არ ფლობს წილს არც ერთ კომერციულ ბანკში.

თემის უკეთ გასაანალიზებლად საინტერესო იქნება, გარკვეული დაზუსტება შევიტანოთ პარაგრაფ 6.2-ში აღწერილ იმ ნეგატიურ გავლენაში (ნახ. №6.1.), რომელსაც არასტაბილურობისაგან გამოწვეული რყევები ახდენენ სააქციო კაპიტალის დინამიკასა და სტრუქტურაზე. ამისათვის მოვახდინოთ ანალოგიური სურათის წარმოდგენა საკუთარი რესურსების ჭრილში, რაც ასევე სააქციო კაპიტალის ფორმირების წყაროების უკეთ დახასიათებაში დაგვეხმარება (ნახ. №6.2.).



ნახ. №6.2. საქართველოს საბანკო სისტემის საკუთარი რესურსების (კაპიტალის) ყოველთვიური დინამიკა (1995-2013)

გავაანალიზოთ სურათი თითოეული კომპონენტის მიხედვით:

- **საწესდებო კაპიტალის** როგორც მოცულობა, ისე მნიშვნელობა 2001 წლის შუა პერიოდამდე ზრდის ტენდენციებით ხასიათდებოდა და მისი ხვედრითი წილი საბანკო სისტემის საკუთარ სახსრებში 70%-90%-ის ფარგლებში იყო. გავიხსენოთ, რომ 1998-2000 წლებზე მოდის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული კომერციული ბანკების საწესდებო კაპიტალის 1-დან 5 მლნ ლარამდე ზრდის პირველი გრაფიკი. ამის შემდეგ საწესდებო კაპიტალის მოცულობა 2005 წლის ბოლომდე თითქმის არ შეცვლილა, რამაც მისი ხვედრითი წილის მნიშვნელოვნად შემცირება (46%) გამოიწვია. აღნიშნული გარემოების მიზეზი სააქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციო კაპიტალის მეორე კომპონენტის, გაუნაწილებელი მოგების, მნიშვნელოვანი ეტაპობრივი ზრდა გახდა. ამ პერიოდის შემდეგ ძლიერდება მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის ზრდა – 12 მლნ ლარამდე, სავალდებულო გრაფიკის გავლენა (2004-2008) და კიდევ ერთი – კომერციული ბანკების აქციონერებმა საკუთარი ინიციატივით დაიწყეს საწესდებო კაპიტალის ზრდა. აღნიშნულმა გარემოებებმა უზრუნველყო ის, რომ გაჩნდა კომერციული ბანკების საწესდებო კაპიტალის ყოველწლიური დამაჯერებელი ზრდის ტენდენცია, თუმცა, მისი ხვედრითი წილის ზრდა მთლიან კაპიტალში აღარ მომხდარა და 2013 წლის ბოლოს 35%-ის ფარგლებში მოექცა.

- **კაპიტალის რეზერვების** შემადგენლობაში შედის საემისიო კაპიტალი, საერთო რეზერვები და აქტივების გადაფასების რეზერვები. როგორც ვხედავთ, მათი მოცულობა 2005 წლის ბოლომდე თითქმის არ იცვლებოდა, ხოლო ხვედრითი წილი მთელ სააქციო კაპიტალში 15%-20%-ის ფარგლებში იყო. ამ პერიოდიდან იწყება კაპიტალის რეზერვების მოცულობის, შესაბამისად – ხვედრითი წილის მნიშვნელოვანი ზრდა და 2006 წლის ბოლოს 39%-ს აღწევს. აღნიშნული ტენდენცია გაგრძელდა და 2012 წელს მასზე მოდიოდა სააქციო კაპიტალის 42%. კაპიტალის რეზერვები, თავის მხრივ, როგორც აღინიშნა, რამდენიმე კომპონენტისაგან შედგება და მისი სტრუქტურა შემდეგნაირია: საემისიო კაპიტალი – 82%, საერთო რეზერვები – 6% და აქტივების გადაფასების რეზერვი – 12%. როგორც ვხედავთ, მთავარი შემადგენელი არის საემისიო კაპიტალი, ანუ ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მაღალი ფასით გაყიდვის შედეგად მიღებული დამატებითი სახსრები.
- **გაუნაწილებელი მოგების** მოცულობა 2002 წლის შუამდე უმნიშვნელო და ცალკეულ პერიოდებში მინუს ნიშნითაც კი იყო (ანუ საბანკო სისტემის მიხედვით, ზარალი ფიქსირდებოდა ნაზარდი ჯამით), ხოლო ხვედრითი წილი საშუალოდ 5%-10%-ის ფარგლებში მერყეობდა. 2002 წლის ბოლოდან, როცა საბანკო სისტემა იწყებს „ფეხზე წამოდგომას“ და მნიშვნელოვნად უმჯობესდება მისი ფინანსური მაჩვენებლები, ბუნებრივია, ამის პირველი ინდიკატორი გახდა გასული წლების გაუნაწილებელი მოგება, რომელიც განუხრელად იზრდებოდა როგორც მოცულობით, ისე ხარისხობრივად და 2008 წლის ივლისისათვის მისმა ხვედრითმა წილმა მთელ სააქციო კაპიტალში 22%-ს მიაღწია. ამის შემდეგ დგება საქართველოს საბანკო სისტემის მდგრადობის გამოცდის პერიოდი, რაც გამოწვეული იყო აგვისტოს 5-დღიანი ომისა და მსოფლიო ფინანსური კრიზისის გავლენით. საბანკო სისტემამ ზარალით დაასრულა 2008 და 2009 წლები, რითაც ნულამდე დავიდა წლების განმავლობაში ნაგროვები გაუნაწილებელი მოგება. 2010 წლიდან საბანკო სექტორმა პოზიციების აღდგენა დაიწყო ამ მიმართულებით და 4 წელზე მეტი დასჭირდა, რომ 2012 წლის სექტემბერში მიეღწია ომამდელი მაჩვენებლისათვის. 2013 წლის ბოლოსათვის გაუნაწილებელი მოგების წილი მთელ სააქციო კაპიტალში 24%-ს შეადგენდა.

ეს მოკლე ისტორიული ექსკურსი დაგვეხმარება კომერციული ბანკების კაპიტალის ფორმირებისა და მისი წყაროების უკეთ დახასიათებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომერციული ბანკის კაპიტალის ზრდის, ანუ კაპიტალიზაციის მასტიმულირებელი, ერთი მხრივ, არის ქვეყნის ცენტრალური ბანკი, ვინაიდან იგი პასუხისმგებელია საბანკო სისტემის სტაბილურად ფუნქციონირებაზე. მეორე მხრივ, თვითონ ბანკის მენეჯმენტიც ცდილობს კაპიტალის ზრდას, ვინაიდან მცირე კაპიტალი ზღუდავს მათ მონაწილეობას საბანკო ბაზარზე: ცენტრალური ბანკის მიერ დაწესებული ნორმატივები აქტიურ ოპერაციებს პირდაპირ აკავშირებს კაპიტალის მოცულობასთან. მაგალითად, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული ერთ-ერთი ნორმატივით კომერციული ბანკის მიერ ერთ მსესხებელზე გასაცემი კრედიტების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს მისი საზედამხედველო კაპიტალის 15%-ს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მინიმალური, 12 მლნ ლარის საზედამხედველო კაპიტალის მქონე ბანკს ერთ მსესხებელზე შეუძლია გასცეს მხოლოდ 1,8 მლნ ლარის კრედიტი, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი რესურსი აქვს მას მოზიდული.

ეს და ანალოგიური გარემოებები, რომელთა ჩამონათვალი დიდია და შემდეგ თავებში იქნება განხილული, უბიძგებს კომერციული ბანკის აქციონერებსა და მენეჯმენტს, ეძებონ კაპიტალის ზრდის წყაროები.

საზედამხედველო კაპიტალის ფორმირების წყაროების შესახებ განვლილმა მასალამ გარკვეული წარმოდგენა უკვე შეგვიქმნა. შეიძლება დავასახელოთ სამი ძირითადი წყარო: დამატებითი ემისია, მოგება და სუბორდინირებული ვალი, თუმცა, მოვახდინოთ მათი დეტალიზაცია, რომლისთვისაც საფუძვლად ავიღოთ საქართველოს საბანკო დაწესებულებებისათვის დამტკიცებული ანგარიშთა გეგმა:

1. საწესდებო კაპიტალი;
2. საემისიო (დამატებითი) კაპიტალი;
3. საერთო და სპეციალური რეზერვები და ფონდები;
4. გასული და მიმდინარე წლების გაუნაწილებელი მოგება;
5. სუბორდინირებული ვალი.

განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე:

1) საწესდებო კაპიტალი – პირველ რიგში, ფორმირდება აქციონერების მიერ ფაქტობრივად ინვესტირებული ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციებით ბანკის შექმნისას და ასევე შემდეგ პერიოდში დამატებით საპაიო შენატანების ან ახალი ემისიის შედეგად. საქართველოში კომერციული ბანკების ანგარიშთა გეგმის მიხედვით, მათი აღრიცხვისათვის გამოყენებულია კლასი 50-ის შესაბამისი ანგარიშები;

2) საემისიო (დამატებითი) კაპიტალი – ფორმირების წყაროს წარმოადგენს ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მაღალი ფასით გაყიდვის შედეგად მიღებული დამატებითი სახსრები. საემისიო კაპიტალის აღრიცხვისათვის გამოყენებულია კლასი 51-ის შესაბამისი ანგარიშები;

3) საერთო და სპეციალური რეზერვები და ფონდები კაპიტალის ზრდის უმნიშვნელოვანესი წყაროა. ისინი ფორმირდება აქციონერთა მიერ ბანკის განკარგულებაში დატოვებული გაუნაწილებელი მოგებით. შესაბამისად, შექმნილი რეზერვები წარმოადგენს მინიმალურ საგარანტიო ფონდს, რაც ამცირებს კრედიტორთა რისკს გაკოტრების შემთხვევაში. აქვე შედის აქტივების გადაფასების რეზერვები, სადაც აღირიცხება, მიმდინარე საბაზრო ფასიდან გამომდინარე, ოქროს, სავალუტო სახსრების, ფასიანი ქაღალდების, ძირითადი საშუალებებისა და სხვა აქტივების გადაფასების შედეგად მათი ღირებულების

ზრდა. მათი აღრიცხვისათვის გამოყენებულია 53 და 59 კლასების შესაბამისი ანგარიშები;

4) გასული და მიმდინარე წლების გაუნაწილებელი მოგება ასევე კაპიტალის ზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შიდა წყაროა. მისი ფორმირებაც და გამოყენებაც ხდება აქციონერთა გადაწყვეტილებით. მისი აღრიცხვისათვის გამოყენებულია 54 და 55 კლასების შესაბამისი ანგარიშები;

5) სუბორდინირებული ვალი არ შედის სააქციო კაპიტალის შემადგენლობაში ანგარიშთა გეგმის მიხედვით, მაგრამ მონაწილეობს მეორადი კაპიტალისა და, შესაბამისად, საზედამხედველო კაპიტალის გაანგარიშებაში. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რომ სუბორდინირებულად ითვლება ისეთი არაუზრუნველყოფილი ვალი, რომელიც ხელშეკრულების მიხედვით, არ არის დეპოზიტი და სხვა ვალებთან და დეპოზიტებთან შედარებით აქვს გადახდის (დაფარვის) უფრო დაბალი პრიორიტეტი, რომლის მიხედვით ბანკის მძიმე ფინანსური მდგომარეობის, გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში სუბორდინირებული ვალის კრედიტორის მოთხოვნები ბანკმა უნდა დააკმაყოფილოს მხოლოდ ყველა დეპოზიტორთა და სხვა კრედიტორთა ვალების სრულად გადახდის (დაფარვის) შემდეგ. ასეთი პირობებიდან გამომდინარე, სუბორდინირებული ვალის კრედიტორებად ხშირად აქციონერები ან მომავალი აქციონერები გვევლინებიან და არცთუ იშვიათად ვალის დაფარვის ვადის დამთავრების შემდეგ იგი აქციებში კონვერტირდება. თუმცა, როგორც ზემოთ ვახსენეთ, მეორადი კაპიტალის გაანგარიშებაში მონაწილეობს მხოლოდ 5 წელზე მეტი ვადის მქონე სუბორდინირებული ვალი და შემდეგ ყოველწლიურად მცირდება მისი მოცულობის 20%-ით. 2013 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ქართულ საბანკო სისტემაში 793 მლნ ლარის სუბორდინირებული ვალი იყო მობილიზებული.

თუ გადავხედავთ უახლეს ინფორმაციას საქართველოს საბანკო სისტემის კაპიტალის დეტალური სტრუქტურის შესახებ, დავინახავთ, რამხელა მნიშვნელობა აქვს კაპიტალის ზრდის როგორც გარე, ისე შიდა წყაროებს (ცხრ. №6.4.):

ცხრ. №6.4. საქართველოს საბანკო სისტემის სააქციო კაპიტალის დეტალური სტრუქტურა (30.06.2013)

სააქციო კაპიტალის სტრუქტურა	მლნ ლარი	ხვ. წილი
საწესდებო კაპიტალი	951	36 %
საემისიო კაპიტალი	997	38 %
საერთო რეზერვები	52	2 %
აქტივების გადაფასების რეზერვი	133	5 %
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	480	19 %
სულ სააქციო კაპიტალი	2,613	100 %

როგორც აღინიშნა, სააქციო კაპიტალის სტრუქტურაში არ შედის სუბორდინირებული ვალი, რომელიც ბალანსში აღირიცხება ვალდებულებებში, როგორც ნასესხები სახსრები. საინტერესოა, რომ 2,613 მლნ ლარის სააქციო კაპიტალის შემთხვევაში ანალოგიურ პერიოდში საქართველოს საბანკო სისტემის საზედამხედველო კაპიტალი 2,710 მლნ ლარს შეადგენს, რაც განპირობებულია მისი გაანგარიშებისას როგორც სუბორდინირებული ვალის დადებითი, ისე სხვადასხვა დაქვითვის უარყოფითი გავლენით.

6.5. კომერციული ბანკის მოზიდული სახსრები

კომერციული ბანკის მოზიდული სახსრები ორ ნაწილად იყოფა: დეპოზიტური და არადეპოზიტური.

სამეცნიერო თუ პოპულარულ ლიტერატურაში ტერმინები – „ანაბარი" და „დეპოზიტი" თანაბარი წარმატებით გამოიყენება, უფრო მეტიც, ხშირად გვხვდება მათი კომბინაცია – „საბანკო ანაბარი (დეპოზიტი)". რიგით მოქალაქეს უჭირს, გაარკვიოს, რატომ სთავაზობს ზოგიერთი ბანკი საანაბრო, ზოგი კი სადეპოზიტო პროდუქტებს და არის თუ არა მათ შორის რაიმე სხვაობა.

საბანკო პრაქტიკაში გავრცელებული შეხედულებით, საბანკო ანაბარი არის უფრო ვიწრო ცნება, ხოლო დეპოზიტი – უფრო ფართო, რომელიც ანაბრის გარდა, მოიცავს გადახდის სხვა საშუალებებსაც (მაგალითად, ფასიან ქაღალდებს). თუმცა, აქაც გარკვეული ტენდენცია არსებობს: ტრადიციულად, დეპოზიტებს იყენებენ უფრო ზოგადი გაგებით, ხოლო ანაბარს – მხოლოდ ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების აღსანიშნავად. პოსტსაბჭოთა სივრცის ზოგიერთ ქვეყანაში ანაბრები გულისხმობს ფიზიკური პირების ფულად შენატანს, ხოლო დეპოზიტები – იურიდიული პირების ფულად სახსრებს ბანკებში. სწორედ ამიტომაც საბანკო წრეებში ტერმინები – „ანაბარი" და „დეპოზიტი" სინონიმებად გამოიყენება.

თანამედროვე საქართველოს დამოუკიდებელი საბანკო სისტემის ისტორიაში აღნიშნულმა ტერმინებმა გარკვეული ევოლუცია განიცადეს, რაც კარგად ჩანს „ეროვნული ბანკის შესახებ" ორგანულ კანონში მათი განმარტებისას:

- „დეპოზიტი" – ანაბარი საბანკო დაწესებულებაში (1995 წლის 23 ივნისი);
- „დეპოზიტი" – კომერციულ ბანკში პირის მიერ შეტანილი ანაბარი ან გადახდის სხვა საშუალებები (31.10.2001);
- „დეპოზიტი" – კომერციულ ბანკში პირის მიერ შეტანილი ფულადი სახსრები ან გადახდის სხვა საშუალებები, რომლებზედაც საკუთრების უფლებას იძენს კომერციული ბანკი (14.03.2008);
- „დეპოზიტი" – კომერციულ ბანკში პირის მიერ შეტანილი ფულადი სახსრები ან გადახდის სხვა საშუალებები, რომლებზედაც საკუთრების უფლებას იძენს კომერციული ბანკი. ელექტრონული ფულის სანაცვლოდ მიღებული სახსრები არ არის დეპოზიტი (25.05.2012).

როგორც ვხედავთ, „ანაბრის" შედარებით ვიწრო გაგება საკანონმდებლო დონეზე თანდათან ჩანაცვლებულ იქნა „დეპოზიტის" უფრო ფართო შინაარსით. აღნიშნული ტენდენციის დამადასტურებელია ისიც, რომ საქართველოში 2000 წლამდე მოქმედი საბანკო ანგარიშთა გეგმის მიხედვით, გამოყენებულია ტერმინი „ანაბარი", ახალი ანგარიშთა გეგმით კი – მთლიანად შეიცვალა „დეპოზიტებით". მიუხედავად ამისა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი დღემდე იყენებს ტერმინს „ანაბარი", ხოლო ამ ანგარიშის მფლობელი, ტრადიციულად, „მეანაბრედ" მოიხსენიება.

უფრო მეტიც, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2011 წლის 7 აპრილს დამტკიცებული „საბანკო დაწესებულებებში ანგარიშების გახსნის და უცხოურ ვალუტაში ოპერაციების წარმოების შესახებ ინსტრუქციის" თანახმად, მოცემულია დეპოზიტის შემდეგი განმარტება: „დეპოზიტი (ანაბარი) – სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებული ფულადი სახსრები, რომელზეც საკუთრების უფლებას იძენს კომერციული ბანკი".

ეროვნული ბანკი

დეპოზიტური ოპერაციები ერთ-ერთ უძველეს და ტრადიციულ საბანკო საქმიანობის სახეობას მიეკუთვნებიან: მათი საშუალებით ხდება კომერციული ბანკების რესურსების უმეტესი ნაწილის ფორმირება. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, რაც არაერთხელ აღგვინიშნავს: სწორედ დეპოზიტები, მობილიზებული კომერციული ბანკების მიერ მათთვის მინიჭებული ექსკლუზიური უფლებით, არის ცენტრალური ბანკების მხრიდან საბანკო სექტორის მკაცრი რეგულაციისა და ზედამხედველობის მთავარი მიზეზი. ალბათ უპრიანი იქნება, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რომ კანონით „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“, ტერმინი „კომერციული ბანკი“ განმარტებულია, როგორც „საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული იურიდიული პირი, რომელიც იღებს დეპოზიტებს და მათი გამოყენებით თავისი სახელით ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საბანკო საქმიანობას“. ამავე კანონის მიხედვით: „არავის არა აქვს უფლება, მოიზიდოს დეპოზიტები და მათი გამოყენებით თავისი სახელით გასცეს კრედიტები ეროვნული ბანკის მიერ გაცემული ლიცენზიის გარეშე“.

სწორედ ამიტომ, საზოგადოების, განსაკუთრებით კი – ფიზიკური პირების, მხრიდან საბანკო სისტემისადმი ნდობის ხარისხის შესაფასებლად ექსპერტების მიერ ბანკებში განთავსებული დეპოზიტების მოცულობა და დინამიკა გამოიყენება. ამ მხრივ კარგ ინდიკატორად ითვლება დეპოზიტების მოცულობის მშპ-თან შეფარდების მაჩვენებლის დონე და მისი დინამიკა. ქვემოთ მოცემულია საქართველოში ამ მიმართულებით ბოლო წლებში განვითარებული ტენდენციების სურათი (ნახ. №6.3.).



ნახ. №6.3. საქართველოს საბანკო სისტემის დეპოზიტების კვარტალური დინამიკა და შედარება მშპ-თან (2002-2013)

როგორც ვხედავთ, ბოლო წლების დინამიკა საკმაოდ დამაჯერებელია როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლებით. 2001 წლის ბოლოდან 2013 წლის ექვსი თვის მდგომარეობამდე დეპოზიტების მოცულობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეფარდება მშპ-თან 6.3%-დან 26.0%-მდე გაიზარდა. ზრდა მართლაც შთამბეჭდავია, თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 100%-ს აღემატება, ხოლო ზოგან 200%-ს აჭარბებს.

თუ უფრო ღრმად გავაანალიზებთ საქართველოს საბანკო სისტემის დეპოზიტების ბაზარზე მიმდინარე პროცესებს (ნახ. №6.4.), ადვილი შესამჩნევია ორი დადებითი ტენდენცია: საშუალო ვადიანობის ზრდა და საპროცენტო განაკვეთების შემცირება, თუმცა, ეს ტენდენციები მაინც არასახარბიელოა, ვინაიდან ისინი პირდაპირ უჩვენებენ თანამედროვე საქართველოს ეკონომიკის განვითარების არცთუ მაღალ დონეს და უშუალო გავლენას ახდენენ კრედიტის ფასზე ქვეყანაში.

არასაბანკო დეპოზიტების კლასიფიკაცია მრავალი ნიშნითაა შესაძლებელი, მათ შორის: მფლობელების მიხედვით, ვალუტების მიხედვით, ვადიანობის მიხედვით და სხვ.

მფლობელების მიხედვით განასხვავებენ ფიზიკური და იურიდიული პირების დეპოზიტებს, ხოლო თითოეული მათგანი იყოფა რეზიდენტებისა და არარეზიდენტების დეპოზიტებად. არარეზიდენტების დეპოზიტების წილი მთლიან დეპოზიტებში საქართველოში ბოლო პერიოდში იზრდებოდა და 2013 წლის ივნისის ბოლოსათვის 25%-ს გადააჭარბა.

ვალუტების მიხედვით გვაქვს დეპოზიტები ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში. საქართველოში საბანკო სისტემის ერთ-ერთ პრობლემურ საკითხად ითვლება დოლარიზაციის მაღალი დონე. დოლარიზაცია – ესაა უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების მოცულობის შეფარდება სადეპოზიტო ვალდებულებების საერთო მოცულობასთან. დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში 60%-65%-ის ფარგლებშია. უფრო დეტალური ანალიზით, უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 80% აშშ დოლარზე მოდის, 17% – ევროზე, 2% – ფუნტ სტერლინგზე, ხოლო 1% – დანარჩენ ვალუტაზე.



ნახ. №6.4. საქართველოს საბანკო სისტემის ვადიანი დეპოზიტების ყოველთვიური საშუალო საპროცენტო განაკვეთები და ვადიანობა (1997-2013)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვადიანობის მიხედვით გვაქვს დეპოზიტების ორი ძირითადი ტიპი: უვადო (მიმდინარე ანგარიშები და მოთხოვნამდე დეპოზიტები) და ვადიანი დეპოზიტები. განვმარტოთ ისინი ქართული კანონმდებლობის მიხედვით:

- **მიმდინარე ანგარიში** — საბანკო ანგარიში, რომელზეც აღირიცხება პირის ფულადი სახსრები და რომელსაც განკარგავს კლიენტი გადახდების განსახორციელებლად ან სხვა მიზნით (მოიცავს საბარათე ანგარიშებსაც);
- **მოთხოვნამდე დეპოზიტი (ანაბარი)** – სადეპოზიტო (საანაბრო) ანგარიშზე განთავსებული ფულადი სახსრები, რომლებსაც ბანკი არიცხავს პროცენტს და რომელზეც თანხის განთავსება და გატანა შესაძლებელია ნებისმიერ დროს ბანკის წინასწარი შეტყობინების გარეშე;
- **ვადიანი დეპოზიტი (ანაბარი)** – სადეპოზიტო (საანაბრო) ანგარიშზე წინასწარ განსაზღვრული ვადით განთავსებული ფულადი სახსრები, რომლებსაც ბანკი არიცხავს პროცენტს და რომელთა გატანა შესაძლებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

თავის მხრივ, ვადიანი დეპოზიტების კლასიფიკაცია ხდება გარკვეული ვადის დიაპაზონების მიხედვით. საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტების სტრუქტურა, როგორც მფლობელების, ისე ვალუტებისა და ვადიანობის მიხედვით, მოცემულია ქვემოთ (ცხრ. №6.5.):

ცხრ. №6.5. საქართველოს საბანკო სისტემის დეპოზიტური სახსრების სტრუქტურა ვადიანობის მიხედვით (31.12.2013)

№	დეპოზიტები	ეროვნულ ვალუტაში		უცხოურ ვალუტაში		სულ
		ფიზ. პირები	იურ. პირები	ფიზ. პირები	იურ. პირები	
1.	სულ დეპოზიტები	**12.2 %**	**27.6 %**	**34.6 %**	**25.5 %**	**100 %**
1.1.	მიმდინარე ანგარიშები	*1.5 %*	*21.0 %*	*1.7 %*	*10.4 %*	*35 %*
1.2.	დეპოზიტები მოთხოვნამდე	*4.9 %*	*2.7 %*	*9.8 %*	*3.8 %*	*21 %*
1.3.	ვადიანი დეპოზიტები	*5.8 %*	*3.9 %*	*23.2 %*	*11.3 %*	*44 %*
1.3.1.	1 თვემდე	*0.0 %*	*0.8 %*	*0.1 %*	*1.0 %*	*2 %*
1.3.2.	1-3 თვემდე	*0.3 %*	*0.3 %*	*1.3 %*	*0.5 %*	*2 %*
1.3.3.	3-6 თვემდე	*0.4 %*	*0.9 %*	*1.5 %*	*1.0 %*	*4 %*
1.3.4.	6-12 თვემდე	*2.6 %*	*1.5 %*	*11.1 %*	*4.4 %*	*20 %*
1.3.5.	1 წელზე მეტი	*2.4 %*	*0.4 %*	*9.2 %*	*4.5 %*	*17 %*

ცალკეული ბანკების მიერ საზოგადოებისათვის შეთავაზებული დეპოზიტების ტიპები თითქმის ერთნაირია და მათი შეთავაზება ხდება როგორ იურიდიული, ისე ფიზიკური პირებისათვის. განვიხილოთ ტიპური სადეპოზიტო პროდუქტები, რომელთა შეთავაზება ხდება საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების მიერ. დავყოთ ისინი ორ მთავარ ნაწილად: უვადო ანგარიშები და ვადიანი ანგარიშები.

უვადო ანგარიშებში შედის მიმდინარე ანგარიშები, მოთხოვნამდე და შემნახველი დეპოზიტები:

- **მიმდინარე ანგარიშებით** სარგებლობენ როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირები, თუმცა, ისინი მაინც იურიდიული პირების ანგარიშებად „ითვლება“, ვინაიდან მათი მეშვეობით ახდენენ ბიზნესსაქმი-

ანობის წარმართვას. ეს არის კლიენტის საბანკო ანგარიში, რომელიც იხსნება უვადოდ და გამოიყენება საბანკო ოპერაციების საწარმოებლად, როგორებიცაა: თანხის შეტანა, გატანა, გადარიცხვა, ჩარიცხვა და კონვერტაცია. როგორც წესი, მიმდინარე ანგარიშებზე არ ხდება ბანკის მიერ პროცენტის დარიცხვა, თავიანთი არასტაბილურობიდან გამომდინარე, თუმცა, კორპორაციულ კლიენტებთან დაკავშირებით ბანკები დიდ დათმობებზე მიდიან და მათ მიმდინარე ანგარიშებზე ან მის შეუმცირებად ნაშთზე ხდება საკმაოდ მაღალი პროცენტის დარიცხვა. რა თქმა უნდა, აღნიშნული მოტივირებულია კომერციული ბანკების ინტერესებით, ვინაიდან კორპორაციული კლიენტების რესურსების გარდა. ეძლევათ მეტად ხელსაყრელი შესაძლებლობა, შესთავაზონ მათ სხვა პროდუქტები (ბიზნესსესხები, დოკუმენტური ოპერაციები, ინკასაცია, პლასტიკური ბარათები, ოვერდრატფები, სამომხმარებლო სესხები თანამშრომლებისათვის და ა.შ.). საქართველოს საბანკო სისტემაში 2013 ბოლოსათვის მიმდინარე ანგარიშებზე მობილიზებული იყო 3,6 მლრდ ლარი, ანუ მთლიანი დეპოზიტების 35%;

- **მოთხოვნამდე დეპოზიტი** იძლევა დანაზოგის გაკეთების შესაძლებლობას. მასზე თანხის შეტანა და გატანა არ არის შეზღუდული და არ ითვალისწინებს თავდაპირველ მინიმალურ ოდენობას. მოთხოვნამდე დეპოზიტებზე საპროცენტო სარგებელი ერიცხება, მაგრამ იგი ნაკლებია სხვა ტიპის დეპოზიტებთან შედარებით, საქართველში ამ ტიპის დეპოზიტებს ერიცხება, როგორც წესი, წლიური 2% ლარში და 1% – უცხოურ ვალუტაში;
- **შემნახველი დეპოზიტები** არის უვადო სახეობის დეპოზიტი, რომელსაც ერიცხება გარკვეული საპროცენტო სარგებელი. მოთხოვნამდე დეპოზიტისაგან განსხვავებით, შემნახველი ანაბარის გახსნის მოთხოვნაა მინიმალური პირველადი შენატანი. საქართველში ამ ტიპის დეპოზიტებს ერიცხება როგორც წესი, წლიური 4%-5% ლარში და 2%-3% – უცხოურ ვალუტაში.

საქართველოს საბანკო სისტემაში 2013 წლის ბოლოს მოთხოვნამდე და შემნახველი დეპოზიტების სახით მობილიზებული იყო 2,2 მლრდ ლარი, ანუ მთლიანი დეპოზიტების 21%.

ვადიანი ანგარიშები წარმოადგენს კომერციული ბანკების დეპოზიტური სახსრების ფორმირების მთავარ წყაროს. ვადიანი დეპოზიტების ჩამონათვალი შედარებით მრავალფეროვანია, ამიტომ ქართული ბანკების მიერ ხდება შემდეგი პროდუქტების შეთავაზება: „კლასიკური" ვადიანი დეპოზიტი, ზრდადი ვადიანი დეპოზიტი, საბავშვო დეპოზიტი და სადეპოზიტო სერტიფიკატები. დავახასიათოთ მოკლედ თითოეული მათგანი:

- **კლასიკური ვადიანი დეპოზიტი (ანაბარი)** არის კლიენტის მიერ კომერციულ ბანკში კონკრეტული ვადით განთავსებული თანხა, რომელსაც ერიცხება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი. იგი იხსნება კონკრეტული ვადითა და კონკრეტული თანხით და ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შეუძლებელია თანხის დამატება ან მოკლება. საქართველოში ვადიანი დეპოზიტების ვადიანობა 3-დან 24 თვემდე მერყეობს. ჩვეულებრივ, ვადიან დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთები უფრო მაღალია სხვა ტიპის დეპოზიტებთან შედარებით. გარდა ამისა, რაც უფრო დიდია დეპოზიტის ვადა, მით მეტია საპ-

როცენტო განაკვეთი (ცხრ. №6.6.). ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში კლიენტს ერიცხება ხელშეკრულებით განსაზღვრულ საპროცენტო სარგებელზე დაბალი განაკვეთი (მოთხოვნამდე დეპოზიტის შესაბამისი);

- **ზრდადი ვადიანი დეპოზიტი (ანაბარი)** წარმოადგენს კლასიკური ვადიანი დეპოზიტის ნაირსახეობას, რომელიც იხსნება კონკრეტული ვადითა და ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით, იმ განსხვავებით, რომ კლიენტს საშუალება აქვს დაამატოს თანხა ძირითად შენატანს. ეს ანაბარი წარმოადგენს „ყულაბის“ ტიპის დეპოზიტს და დანაზოგის ეტაპობრივად გაკეთების შესაძლებლობას იძლევა. როგორც წესი, ამ ანაბრით სარგებლობენ ე. წ. „წვრილი მეანაბრეები“. ყოველ დამატებულ თანხაზე ბანკი არიცხავს იმ საპროცენტო განაკვეთით, რომელიც შეესაბამება პერიოდს მორიგი შენატანის გაკეთებიდან ანაბრის დაფარვის ვადამდე. საქართველოში ამ ტიპის დეპოზიტების ვადიანობაც 3-დან 24 თვემდე მერყეობს;
- **საბავშვო დეპოზიტი (ანაბარი)** არის ტიპური კლასიკური ვადიანი დეპოზიტი, იმ განსხვავებით, რომ მისი ვადაა მინიმუმ 2, ხოლო მაქსიმუმ 18 წელი. ანაბარი იხსნება ბავშვის სახელზე მისი სრულწლოვანების ასაკის მიღწევამდე. სხვა ანაბრებთან შედარებით, საბავშვო ანაბარს ერიცხება მაღალი საპროცენტო განაკვეთი, თუმცა, ეს პროცენტი, როგორც წესი, ყოველწლიურად იცვლება და შეესაბამება კონკრეტულ ბანკში იმ დროისათვის არსებულ ერთწლიანი ანაბრის საპროცენტო განაკვეთს. პროცენტის დარიცხვა ხდება რთული პროცენტით, ანუ წელიწადში ერთხელ წლიურად დარიცხული პროცენტის თანხა კაპიტალიზდება (ემატება ძირითად თანხას);
- **სადეპოზიტო სერტიფიკატები** – ესაა ახალი პროდუქტი საქართველოს საბანკო სივრცეში. იგი რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის 2012 წლის 3 მაისს დამტკიცებული „კომერციული ბანკების სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატების დებულებით“. სადეპოზიტო სერტიფიკატი არის საბანკო დეპოზიტი (ანაბარი), რომელიც წარმოადგენს ბანკის ვალდებულებას, სერტიფიკატის მფლობელს გადაუხადოს სერტიფიკატის პირობით გათვალისწინებული თანხა დათქმულ დღეს. სადეპოზიტო სერტიფიკატი არის სტანდარტული (ლარში დენომინირებული) და არასტანდარტული (უცხოურ ვალუტაში დენომინირებული) და, საბანკო დეპოზიტისაგან განსხვავებით, ხასიათდება რიგი თავისებურებებით:
  - სადეპოზიტო სერტიფიკატი იყიდება ნომინალურ ღირებულებაზე ნაკლებ ფასად (დისკონტით), ხოლო იფარება სერტიფიკატის ნომინალური ღირებულების მიხედვით (ნომინალით). სხვაობა ნომინალსა და ყიდვის ღირებულებას შორის წარმოადგენს კლიენტის საპროცენტო შემოსავალს;
  - საბანკო დეპოზიტისაგან განსხვავებით, სადეპოზიტო სერტიფიკატის მფლობელს უფლება აქვს გაასხვისოს სერტიფიკატი მისი ვადის გასვლამდე ნებისმიერ დღეს. დაუშვებელია სერტიფიკატის ნაწილობრივ გასხვისება;
  - ბანკი არ არის ვალდებული, ვადაზე ადრე გამოისყიდოს სადეპოზიტო სერტიფიკატი, განსხვავებით ვადიანი დეპოზიტისაგან, რომლის ვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიანობის მიუხედავად, ბანკი აბრუნებს მას მოთხოვნის შესაბამისად (დარიცხული პროცენტების გამოქვითვით);

– ზემოაღნიშნულ მიზეზთა გამო, სადეპოზიტო სერტიფიკატებს ერიცხებათ უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთი, ვიდრე იმავე ვადით გახსნილ ვადიან დეპოზიტებს.

ცხრ. №6.6. საქართველოს საბანკო სისტემის ვადიანი დეპოზიტების საშუალო საპროცენტო განაკვეთები (31.12.2013)

№	დეპოზიტები	ეროვნულ ვალუტაში			უცხოურ ვალუტაში		
		სულ	ფიზ. პირები	იურ. პირები	სულ	ფიზ. პირები	იურ. პირები
1.	ვადიანი დეპოზიტები	**9.7**	*11.7*	*6.7*	**6.8**	*6.9*	*6.7*
1.1.	1 თვემდე	**4.4**	*6.0*	*4.4*	**2.4**	*2.7*	*2.4*
1.2.	1-3 თვემდე	**7.0**	*8.8*	*5.2*	**3.4**	*3.5*	*3.3*
1.3.	3-6 თვემდე	**6.8**	*7.9*	*6.3*	**4.0**	*4.2*	*3.7*
1.4.	6-12 თვემდე	**10.1**	*11.6*	*7.5*	**6.6**	*6.6*	*6.8*
1.5.	1 წელზე მეტი	**12.4**	*12.7*	*10.5*	**8.4**	*8.2*	*8.6*

საქართველოს საბანკო სისტემაში 2013 წლის ბოლოს ვადიანი დეპოზიტების სახით მობილიზებული იყო 4,5 მლრდ ლარი, ანუ მთლიანი დეპოზიტების 44%, რომელთა შორის 6 თვეზე მეტი ვადით მიღებული დეპოზიტები 36%-ს შეადგენდა.

რაც შეეხება კომერციული ბანკების მიერ მოზიდული სახსრების მეორე შემადგენელს, არადეპოზიტურ სახსრებს, აქ შედის სახსრების მიღება ქვეყნის ცენტრალური ბანკიდან, ბანკთაშორისი კრედიტები და დეპოზიტები, სხვა საფინანსო ინსტიტუტების სახსრები, საკუთარი სავალო ვალდებულებების ემისია. აღნიშნული ინსტრუმენტები ამ თავის მეორე პარაგრაფში იქნა განხილული და მასზე აღარ შევჩერდებით.

საკონტროლო კითხვები:

1. რა არის ბანკის პასიური ოპერაციების არსი?
2. კომერციული ბანკის პასიური ოპერაციების რომელი ტიპები იცით?

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. რა კრიტერიუმებით შეიძლება მოხდეს დეპოზიტური სახსრების კლასიფიკაცია?
4. რა შეიძლება ითქვას მოთხოვნამდე და ვადიანი დეპოზიტების შესახებ?
5. რა შესაბამისობა არსებობს იურიდიული და ფიზიკური პირების დეპოზიტებს შორის მათი ვადიანობის მიხედვით და რითია ეს განპირობებული?
6. რომელ ძირითად ჯგუფებად იყოფა კომერციული ბანკების მიერ მოზიდული არადეპოზიტური სახსრები?
7. როგორ დაახასიათებდით კომერციული ბანკების საკუთარი სახსრების სტრუქტურას?
8. რა გავლენა შეიძლება მოახდინოს არასტაბილურობით გამოწვეულმა რყევებმა კომერციული ბანკების რესურსებზე?
9. რატომ ამბობენ, რომ ბანკის კაპიტალი – ესაა მისი მენეჯმენტის ცუდი მუშაობის კომპენსაციის წყარო?
10. როგორც განმარტავენ ბანკის კაპიტალს მისი ფართო და ვიწრო გაგებით?
11. კომერციული ბანკის კაპიტალის რომელი ფუნქციები იცით?
12. კომერციული ბანკის ფუნქციებიდან რომელს დაახასიათებდით, როგორც განსაკუთრებით მნიშვნელოვანს და რატომ?
13. რა არის კაპიტალის მარეგულირებელი ფუნქციის არსი?
14. რა შეიძლება ითქვას კომერციული ბანკების კაპიტალის მინიმალური ოდენობის შესახებ საქართველოში?
15. რა ცვლილებები განიცადა კომერციული ბანკის საკუთარი კაპიტალის სტრუქტურამ საქართველოში, როგორც საბანკო ზედამხედველობის ინსტრუმენტმა?
16. როგორია საზედამხედველო კაპიტალის სტრუქტურა და შემადგენელი ელემენტები და რა შესაბამისობა არსებობს მათ შორის?
17. რა თავისებურებებით ხასიათდება საქართველოს კომერციული ბანკების საკუთარი კაპიტალისა და მისი სტრუქტურის დინამიკა ბოლო წლების განმავლობაში?
18. რა შეიძლება ითქვას კომერციული ბანკების კაპიტალის ზრდის წყაროებზე?
19. რა არის სუბორდინირებული ვალის განსაკუთრებულობა?
20. რა განსხვავება არსებობს ტერმინ „ანაბარსა“ და ტერმინ „დეპოზიტს“ შორის?
21. რა შეიძლება ითქვას საქართველოს საბანკო სისტემაში არასაბანკო დეპოზიტებისა და მისი სტრუქტურის დინამიკაზე ბოლო წლების განმავლობაში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

22. რა ნიშნებით ხდება არასაბანკო დეპოზიტების კლასიფიკაცია?
23. რომელი სადეპოზიტო პროდუქტებით არიან წარმოდგენილი ქართული ბანკები და როგორ დაახასიათებდით მათ?
24. რა შეიძლება ითქვას სადეპოზიტო სერტიფიკატებზე?

თავი 7

კომერციული ბანკის აქტიური ოპერაციები და აქტივების ხარისხი

შინაარსი:

7.1. ბანკის აქტივისა და აქტიური ოპერაციების ცნება;
7.2. ბანკის აქტიური ოპერაციების კლასიფიკაცია;
7.3. კომერციული ბანკის აქტივების სტრუქტურა;
7.4. კომერციული ბანკის აქტივების ხარისხი და მისი შეფასება.

ძირითადი ელემენტები:

1. ბანკის აქტივი და აქტიური ოპერაციები;
2. საბანკო სისტემის აქტივების ელემენტების დახასიათება საქართველოს მაგალითზე;
3. ბანკის აქტიური ოპერაციების კლასიფიკაცია;
4. კომერციული ბანკის აქტივების სტრუქტურა და მისი ძირითადი ელემენტები;
5. საქართველოში კომერციული ბანკების აქტივების ხარისხის გაუმჯობესებისაკენ მიმართული რეფორმა;
6. აქტივების კლასიფიკაციისა და შეფასების წესი საქართველოში;
7. CAMELS ის სისტემის მიხედვით აქტივების ხარისხის ანალიზი;
8. აქტივების შეფასება „კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალობის წესის“ მიხედვით.

გამოყენებული სქემები, ნახატები და ცხრილები:

ცხრ. №7.1. ბანკის აქტივები საქართველოს საბანკო დაწესებულებების ანგარიშთა გეგმის მიხედვით
ნახ. №7.1. საქართველოს საბანკო სისტემის აქტივებისა და სესხების კვარტალური დინამიკა და შედარება მშპ-თან (1998-2013)
ნახ. №7.2. საქართველოს საბანკო სისტემის აქტივების ყოველთვიური დინამიკა (1998-2013)
ცხრ. №7.2. საქართველოს საბანკო სისტემის აქტივების სტრუქტურის დინამიკა წლების მიხედვით (პერიოდის ბოლოს)
ცხრ. №7.3. საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების აქტივების ხარისხის შეფასება „გამჭვირვალობის წესის“ შესაბამისად (2012 და 2013 წლების 30 ივნისი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

7.1. ბანკის აქტივისა და აქტიური ოპერაციების ცნება

თუ რა არის კომერციული ბანკის აქტივი და აქტიური ოპერაციები, გარკვეულწილად უკვე შევეხეთ გასულ მასალაში.

ბანკის აქტივები – ესაა კომერციული ბანკის მიერ მოგების მიღებისა და ლიკვიდობის შენარჩუნების მიზნით განთავსებული საკუთარი და მოზიდული სახსრები. მეორე მხრივ, ბანკის აქტივი – ესაა ბუღალტრული ბალანსის ნაწილი, რომელშიც აღირიცხება ფულად ფორმაში შეფასებული აქტიური ოპერაციებისაგან შექმნილი სხვადასხვა აქტივი.

საქართველოს საბანკო დაწესებულებებისათვის დამტკიცებული ანგარიშთა გეგმის მიხედვით, აქტივების ასახვისათვის განკუთვნილია კლასები 10-დან, 29-ის ჩათვლით, შემდეგი სტრუქტურის შესაბამისად (ცხრ. №7.1.):

ცხრ. №7.1. ბანკის აქტივები საქართველოს საბანკო დაწესებულებების ანგარიშთა გეგმის მიხედვით

კლასი	აქტივები
10	სალარო. კომერციული ბანკების ანგარიშები სებ-ში
11	ოქრო
12	სახელმწიფო ინსტიტუტებისათვის მიცემული სესხები
13	სახელმწიფო კონტროლს დაქვემდ. საწარმოებისათვის მიცემული სესხები
14	სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდები
15	ფასიანი ქაღალდები დილინგური ოპერაციებისათვის
16	კორპორაციული სავალო ფასიანი ქაღალდები
17	მოთხოვნები ბანკების მიმართ
18	კლიენტებისათვის მიცემული სესხები
19	ვადაგადაცილებული სესხები
20	ინვესტიციები შვილობილ და სხვა საწარმოებში
21	საერთაშორისო სავალუტო ფონდის ანგარიშები *
23	დანარჩენი ოპერაციები
24	მისაღები პროცენტები და დივიდენდები
25	დანარჩენი აქტივები
26	სავალუტო პოზიცია
27	გადავადებული საგადასახადო აქტივი
28	ანგარიშსწორება ერთი ბანკის დაწესებულებებს შორის
29	ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

* მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიშები

ანგარიშთა გეგმაში აქტივების აღრიცხვა და დაჯგუფება ზოგიერთ ქვეყანაში ხდება მათი ეკონომიკური შინაარსის მიხედვით, საქართველოში ანგარიშთა გეგმის მნიშვნელოვანი თავისებურებაა ისიც, რომ აგებულია ანგარიშების (ჩვენს ცხრილში – კლასების) ლიკვიდურობის პრინციპით, ანუ იწყება ყველაზე ლიკვიდურით, შემდეგ მოსდევს ნაკლებად ლიკვიდური და ა.შ.

მოკლედ დავახასიათოთ ცხრილში წარმოდგენილი ძირითადი აქტივები საქართველოში საბანკო დაწესებულებების ანგარიშთა გეგმის მიხედვით:

- **10. სალარო. კომერციული ბანკების ანგარიშები სებ-ში** – აღირიცხება ნაღდი ფული სალაროში, ბანკომატებში, კვანძგარეთა საოპერაციო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალაროებში, ფული გზაში, კომერციული ბანკის ანგარიშები საქართველოს ეროვნულ ბანკში, მათ შორის, სავალდებულო რეზერვები;

- **11. ოქრო** – აღირიცხება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი და საერთაშორისო სტანდარტების შეუსაბამო ოქრო. ოქროს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისობის კლასიფიკაციის წესებს შეიმუშავებს და განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკი საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების საფუძველზე;
- **12. სახელმწიფო ინსტიტუტებისათვის მიცემული სესხები** – აღირიცხება ფინანსთა სამინისტროსათვის, დანარჩენი სამინისტროებისა და დეპარტამენტებისათვის, ასევე ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისათვის გაცემული მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხები და ოვერდრაფტები;
- **13. სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისათვის მიცემული სესხები** – აღირიცხება სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სხვადასხვა დარგის საწარმოსათვის გაცემული მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხები და ოვერდრაფტები;
- **14. სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდები** – აღირიცხება სახელმწიფო სავალო დისკონტური და კუპონური ფასიანი ქაღალდები, მათი დისკონტი, პრემია და გადაფასება. ესაა ფიქსირებული შემოსავლების მქონე საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, რომელთა ფლობას ბანკი აპირებს ფასიანი ქაღალდის დაფარვის ვადამდე;
- **15. ფასიანი ქაღალდები დილინგური ოპერაციებისათვის** – აღირიცხება შეძენილი აქციები, სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდები, კორპორაციული სავალო ფასიანი ქაღალდები და ეროვნული ბანკის ფასიანი ქაღალდები. ესაა არაფიქსირებული შემოსავლების მქონე ფასიანი ქაღალდები, რომელთაც შეიძენს ბანკი დილინგური (ყიდვა-გაყიდვის) ოპერაციებისათვის;
- **16. კორპორაციული სავალო ფასიანი ქაღალდები** – აღირიცხება კორპორაციული სავალო დისკონტური და კუპონური ფასიანი ქაღალდები, მათი დისკონტი, პრემია და გადაფასება. ასევე დისკონტური და კუპონური სადეპოზიტო სერტიფიკატები. ესაა ფიქსირებული შემოსავლების მქონე საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, რომელთა ფლობას ბანკი აპირებს ფასიანი ქაღალდის დაფარვის ვადამდე;
- **17. მოთხოვნები ბანკების მიმართ** – აღირიცხება ნოსტრო ანგარიშები და ვადიანი დეპოზიტები სხვა ბანკებში, ასევე მათზე გაცემული მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხები და ოვერდრაფტები;
- **18. კლიენტებისათვის მიცემული სესხები** – აღირიცხება ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის გაცემული მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხები და ოვერდრაფტები. იურიდიული პირების შემთხვევაში აღრიცხვა წარმოებს სხვადასხვა დარგის მიხედვით (გარდა სახელმწიფო ინსტიტუტებისა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისათვის);
- **19. ვადაგადაცილებული სესხები** – აღირიცხება ყველა ვადაგადაცილებული მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხი და ოვერდრაფტი, რომლებიც გაცემული იყო სახელმწიფო ინსტიტუტებზე, სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებზე, ფიზიკურ და სხვა იურიდიულ პირებზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

- **20. ინვესტიციები შვილობილ და სხვა საწარმოებში** – აღირიცხება სააქციო და სხვა სახის სამართლებრივი ფორმით შექმნილ საწარმოთა საწესდებო კაპიტალში ბანკის მიერ განხორციელებული ინვესტიციები;
- **21. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ანგარიშები** – ამ კლასის ანგარიშებს იყენებს მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკი;
- **23. დანარჩენი ოპერაციები** – აღირიცხება ბროკერული ოპერაციები, ფაქტორინგი და ფინანსური ლიზინგი;
- **24. მისაღები პროცენტები და დივიდენდები** – აღირიცხება სხვა ბანკებში განთავსებული სახსრებიდან, ფასიანი ქაღალდებიდან, გაცემული სესხებიდან და ინვესტიციებიდან მიმდინარე პერიოდში გამომუშავებული და ჯერჯერობით მიუღებელი დარიცხული შემოსავალი, ჯარიმები და საურავი;
- **25. დანარჩენი აქტივები** – აღირიცხება დებიტორები, გაურკვეველი თანხები, ავანსები, გირაოში დარჩენილი უძრავი და მოძრავი ქონება, მარაგები, გადახდილი დღგ და სხვ.;
- **26. სავალუტო პოზიცია** – ამ კლასის ანგარიშები არის ტექნიკური ხასიათის და ბანკები იყენებენ ბალანსში სავალუტო ოპერაციების მიხედვით წარმოქმნილი სავალუტო პოზიციის ნაშთების ეროვნული ვალუტით აღრიცხვისათვის;
- **27. გადავადებული საგადასახადო აქტივი** – აღირიცხება საანგარიშგებო წლის სააღრიცხვო და საგადასახადო ანგარიშგებით მიღებული მოგების გადასახადებს შორის დროებითი სხვაობა. მას აქვს ინფორმაციული დატვირთვა ფინანსური საქმიანობის ანალიზისათვის;
- **28. ანგარიშსწორება ერთი ბანკის დაწესებულებებს შორის** – ამ კლასის ანგარიშები გამოიყენება ბანკის ფილიალთაშორისი ანგარიშსწორების აღსარიცხავად;
- **29. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები** – აღირიცხება ბანკის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებები, დაუმთავრებელი კაპიტალური დაბანდებები, ოპერაციული ლიზინგი და არამატერიალური აქტივები.

აქტივების ძირითადი მუხლების დეტალური აღწერის შემდეგ ალბათ გასაგები ხდება, რომ ისინი განსხვავდებიან ლიკვიდობის ხარისხით, შემოსავლიანობით და რისკიანობით. ეს საკითხები შემდეგ პარაგრაფებსა და თავებში დეტალურად იქნება განხილული.

უკვე არაერთხელ აღინიშნა, რომ აქტივების ფორმირება ხდება აქტიური ოპერაციების შედეგად. თავის მხრივ, აქტიურ ოპერაციებად ჩაითვლება ყველა ის ოპერაცია, რომელთა მეშვეობით ხორციელდება ზემოაღნიშნული აქტივების ფორმირება. აქტიური ოპერაციების ძირითად სახეობებს წიგნში ეძღვნება ცალკე თავები, რომლებშიც დეტალურადაა გადმოცემული მათი მექანიზმი. უბრალოდ, გავიხსენოთ გასული მასალიდან, რომ აქტიური ოპერაციების დაჯგუფება შეიძლება შემდეგ სახეობებად:

- **აქტიური ოპერაციები, რომლებიც განკუთვნილია ბანკის ნორმალური ფუნქციონირებისათვის** (სახსრების განთავსება ფიქსირებულ აქტივებში);
- **აქტიური ოპერაციები, რომლებიც განკუთვნილია კლიენტების შეუფერხებლად მომსახურებისათვის** (ლიკვიდური აქტივების, ანუ

ფულადი სახსრების ფორმირება და მათი საკმარისი დონის შენარჩუნება, რათა კომერციულმა ბანკმა შეძლოს კლიენტების საკასო-საანგარიშსწორებო მომსახურება);

- **შემოსავლების მომტანი აქტიური ოპერაციები** (სახსრების განთავსება ფასიან ქაღალდებში, საკრედიტო და საინვესტიციო საქმიანობა).

ზოგადად, ქვეყნის საბანკო სისტემის აქტივების და, მათ შორის, საკრედიტო პორტფელის მოცულობა, ასევე მათი მშპ-თან შეფარდების მაჩვენებლის დონე და დინამიკა ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობის შეფასების კარგ ინდიკატორებად ითვლება. ქვემოთ მოცემულია საქართველოში ამ მიმართულებით ბოლო წლებში განვითარებული ტენდენციების სურათი (ნახ. №7.1.).



ნახ. №7.1. საქართველოს საბანკო სისტემის აქტივებისა და სესხების კვარტალური დინამიკა და შედარება მშპ-თან (1998-2013)

როგორც ვხედავთ, ბოლო წლების საქართველოს საბანკო სისტემის აქტივებისა და საკრედიტო პორტფელის დინამიკა ზრდა საკმაოდ დამაჯერებელია როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლებით. 1997 წლის ბოლოდან 2013 წლის მეორე კვარტალის მდგომარეობამდე საბანკო აქტივების მოცულობის შეფარდება მშპ-თან 8.4%-დან 56.5%-მდე გაიზარდა. რაც შეეხება სესხების მშპ-თან შეფარდების მაჩვენებელს, მისმა ზრდამ ანალოგიურ პერიოდში 4.2%-დან 33.6% შეადგინა.

ზრდა მართლაც მნიშვნელოვანია, თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებლები ბევრად მაღალია, მაგალითად, აქტივების მშპ-თან შეფარდება 100%-ს აღემატება (ზოგან 300%-500%-ის ფარგლებშიც კი არის), ხოლო კრედიტები მშპ-თან 80%-150%-ის დიაპაზონში მერყეობს.

პარაგრაფის დასასრულს თვალი გადავავლოთ საქართველოს საბანკო სისტემის აქტივების ზრდის დინამიკას მისი შემადგენელი ხუთი ძირითადი სახეობის მიხედვით, რომლებიც მოცემულია ქვემოთ (ნახ. №7.2.). ასევე ვნახოთ, თუ რა ძირითადი ტენდენციებით ხასიათდება ისინი და რა გავლენას ახდენს მათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დინამიკაზე არასტაბილური გარემოსაგან გამოწვეული რყევები.

საქართველოს საბანკო სისტემის აქტივების მნიშვნელოვანი ზრდა 2005 წლიდან დაიწყო, მანამდე აქტივები ყოველწლიურად საშუალოდ 20%-25%-ით იზრდებოდა. 2005-2007 წლებში აქტივების წლიურმა ზრდამ 50%-70%-ს მიაღწია, რაც მეტწილად განპირობებული იყო კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელის აგრესიული ზრდით. ამ პერიოდიდან განსაკუთრებით გაიზარდა კრედიტზე ხელმისაწვდომობა, გაჩნდა ახალი საბანკო პროდუქტები, ფართო გაქანება მიეცა იპოთეკურ დაკრედიტებას, სამომხმარებლო სესხებს, განვადებებსა და საკრედიტო ბარათებს, რომლებიც უმრავლეს შემთხვევაში მსესხებელთა კრედიტუნარიანობის შესწავლის გარეშე გაიცემოდა. 2005-2007 წლების განმავლობაში საკრედიტო პორტფელის თითქმის ხუთჯერ (0.9-დან 4.4 მლრდ ლარამდე) და წმინდა სესხების წილის მთლიან აქტივებში 53%-დან 61%-მდე ზრდას ჰქონდა ადგილი.

2008 წლის ცნობილი მოვლენების გავლენის შესახებ საბანკო სისტემის პასივებზე უკვე ვისაუბრეთ. ცხადია, გავლენა შეეხო აქტივებსაც: სამი თვის განმავლობაში მათი მოცულობა 12%-ით, ანუ 1 მლრდ ლარით შემცირდა. თანდათან შემცირება დაიწყო საკრედიტო პორტფელმაც. საბანკო სისტემას თითქმის 2 წელი დასჭირდა, რომ 2010 წლის ივნისში მიეღწია ომამდელი დონისათვის. 2010 წლის შემდეგ საბანკო სისტემის აქტივებმა გააგრძელა ზრდა და წლიური საშუალო ზრდის ტემპი 20%-ის ფარგლებში იყო.



ნახ. №7.2. საქართველოს საბანკო სისტემის აქტივების ყოველთვიური დინამიკა (1998-2013)

მას შემდეგ, რაც გავეცანით ბანკის აქტივებისა და აქტიური ოპერაციის არსს, ასევე გავეცანით საქართველოს საბანკო სისტემის აქტივებისა და მისი ძირითადი ელემენტების ზოგად ტენდენციებს, გავაანალიზოთ აქტიური ოპერაციების კლასიფიკაცია, აქტივების სტრუქტურა და აქტივების ხარისხის შეფასება.

7.2. ბანკის აქტიური ოპერაციების კლასიფიკაცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუკი კომერციული ბანკის პასივების ანალიზი არის მისი რესურსების კლასიფიკაცია, აქტივების ანალიზი არის ამ რესურსების გამოყენების მიმართულებათა კლასიფიკაცია და სტრუქტურა, ანუ სად, რა მიზნით, რა მოცულობით, რა ფასად, რა რისკით და რა ვადით ხდება მათი განთავსება. კომერციული ბანკის ბალანსის აქტივების კლასიფიკაციითა და სტრუქტურის შესწავლით შესაძლებელია პასუხი გავცეთ ამ კითხვებს, ანუ გავიგოთ, როგორ გაანაწილა მისმა მენეჯმენტმა „სხვისი“ ფული, ე.ი. პასივებში ასახული საკუთარი (კაპიტალი) და მოზიდული (დეპოზიტური და არადეპოზიტური) სახსრები. კომერციული ბანკის აქტივების კლასიფიკაციისას ნათლად ჩანს მათი ეკონომიკური შინაარსი.

აქტივების კლასიფიკაცია შეიძლება სხვადასხვა ნიშნით, კერძოდ:

1. დანიშნულების მიხედვით;
2. სახსრების განთავსების ხასიათის მიხედვით;
3. რისკის ხარისხის მიხედვით;
4. შემოსავლიანობის მიხედვით;
5. ლიკვიდობის მიხედვით;
6. ვადიანობის მიხედვით;
7. ვალუტების მიხედვით.

დავახასიათოთ მოკლედ თითოეული მათგანი:

1. დანიშნულების მიხედვით აქტივების კლასიფიკაცია გულისხმობს მათ დაყოფას ძირითად მიმართულებებად. აქ გამოიყოფა სამი ძირითადი სახეობა:

- **აქტივები, რომლებიც აუცილებელია ბანკის ნორმალური ფუნქციონირებისათვის.** მათში შედის ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები, რომელთა საერთო სახელია ფიქსირებული აქტივები. ესაა შენობები, ნაგებობები, კომპიუტერული ტექნიკა, მანქანები, ავეჯი, პროგრამული უზრუნველყოფები და ა.შ. ამ სახეობის აქტივებზე მთლიანი აქტივების 5%-10%-მდე მოდის, თუმცა, როგორც წესი, რაც უფრო მცირე ზომისაა ბანკი, ფიქსირებული აქტივების ხვედრითი წილი სულ უფრო მეტია და იგი შეიძლება 15%-ის ფარგლებში იყოს;
- **აქტივები, რომლებიც განკუთვნილია კლიენტების შეუფერხებლად მომსახურებისათვის.** აქ უმთავრესია აუცილებელი ლიკვიდური აქტივები, ანუ ფულადი სახსრები და მათი საკმარისი დონის შენარჩუნება, რათა შესაძლებელი იყოს კლიენტების ნორმალური საკასო-საანგარიშსწორებო მომსახურება. ამ ჯგუფში შედის ლიკვიდური სახსრები, ანუ ფული და ისეთი აქტივები, რომელთაც აქვთ ფულად გადაქცევის მყისიერი უნარი. საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნით, კომერციული ბანკები ვალდებულნი არიან თავიანთი ვალდებულებების 30% განთავსებული ჰქონდეთ ლიკვიდურ აქტივებში;
- **შემოსავლების მომტანი აქტივები** არის ის აქტივები, რომელთა უკუგება, ანუ მათგან მიღებული შემოსავალი, უზრუნველყოფს ბანკის, როგორც კომერციული ორგანიზაციის ფუნქციონირებას. აქტივების ეს სახეობა მოიცავს გაცემულ სესხებს, სახსრებს ფასიან ქაღალდებში და საინვესტიციო საქმიანობას. როგორც წესი, ასეთ აქტივებზე მოდის მთლიანი აქტივების ორი მესამედი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. სახსრების განთავსების ხასიათის მიხედვით აქტივების კლასიფიკაცია სამი სახეობის აქტივებს მოიცავს:

- **პირველადი აქტივები,** სადაც მოიაზრება სახსრების პირველადი განთავსება, მაგალითად, დაკრედიტებაში;
- **მეორადი აქტივები,** რაც გულისხმობს სახსრების განთავსებას სპეციალურ რეზერვებსა და ფონდებაში, მაგალითად, მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების რეზერვში, სადაზღვევო ფონდებში და ა.შ.
- **საინვესტიციო აქტივები** გულისხმობს ბანკის სახსრების განთავსებას ფასიან ქაღალდებში, სხვა კომპანიების საწესდებო კაპიტალში, ფიქსირებულ აქტივებში.

3. რისკის ხარისხის მიხედვით აქტივების კლასიფიკაცია არის ერთერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომლის საშუალებითაც ხდება აქტივების ხარისხისა და მისი რისკებისადმი მგრძნობელობის განსაზღვრა. მსოფლიო საბანკო პრაქტიკაში, მათ შორის, საქართველოშიც, დამკვიდრებულია „რისკის მიხედვით შეწონილი აქტივის“ ცნება, რომელიც გულისხმობს აქტივების კლასიფიკაციას მათთან დაკავშირებული რისკების მიხედვით. აღნიშნული კლასიფიკაცია რეგულირდება „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულებით“. დოკუმენტის თანახმად, რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები გამოიყენება კომერციული ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის განსაზღვრისათვის და იგი მოიცავს საკრედიტო და საბაზრო რისკებით შეწონილ აქტივებს. საკრედიტო რისკი არის კონტრაგენტი პარტნიორის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით ან გაკოტრებით გამოწვეული რისკი, ხოლო საბაზრო რისკი არის ბაზარზე ფასების მერყეობის შედეგად ბანკის აქტივების ღირებულების ცვლილებით გამოწვეული რისკი.

აქტივების საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვის მიზნით ბანკის აქტივები იყოფა 4 კატეგორიად და თითოეული კატეგორიის აქტივებს შეესაბამება საკრედიტო რისკის კოეფიციენტი:

- **I კატეგორიის აქტივები,** 0%-იანი საკრედიტო რისკი – საკრედიტო რისკის კოეფიციენტი 0;
- **II კატეგორიის აქტივები,** 20%-იანი საკრედიტო რისკი – საკრედიტო რისკის კოეფიციენტი 0.2;
- **III კატეგორიის აქტივები,** 50%-იანი საკრედიტო რისკი – საკრედიტო რისკის კოეფიციენტი 0.5;
- **IV კატეგორიის აქტივები,** 100%-იანი საკრედიტო რისკი – საკრედიტო რისკის კოეფიციენტი 1.0.

საქართველოში მოქმედი პრაქტიკით მიღებულია ასევე აქტივებისა და მისი მთავარი ნაწილის – სესხების კლასიფიკაცია, რომელიც ეფუძნება ასევე ეროვნული ბანკის დოკუმენტს და ეწოდება „კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესი“. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად სესხების კლასიფიკაცია ხდება 5 კატეგორიის მიხედვით:

- სტანდარტული სესხები;
- საყურადღებო სესხები;
- არასტანდარტული სესხები;
- საეჭვო სესხები;
- უიმედო სესხები.

ზემოაღნიშნული კლასიფიკაცია, თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, შემდეგ (პარაგრაფი 7.4.) უფრო ფართოდ იქნება განხილული.

4. შემოსავლიანობის მიხედვით აქტივების კლასიფიკაცია ორი სახეობის აქტივს გულისხმობს:

- **„მუშა", ანუ შემოსავლების მომტანი აქტივები,** გულისხმობს იმ აქტივებს, რომელთა განთავსებიდანაც ბანკი იღებს შემოსავლებს, რაც აუცილებელია გაწეული ხარჯების გადასაფარავად და საკმარისი მოგების მისაღებად, რათა დაკმაყოფილებულ იქნეს აქციონერთა ინტერესები. აქტივების ამ ჯგუფში ძირითადი აქტივებია გაცემული სესხები, ფასიანი ქაღალდების შესყიდვა, წილობრივი მონაწილეობა სხვა კომპანიებში. აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ კომერციული ბანკი შემოსავალს იღებს „არამუშა" აქტივებიდანაც, როგორიცაა, მაგალითად, მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების შესაბამისად ეროვნულ ბანკში განთავსებული სახსრები, რომელთაც შეიძლება ერიცხებოდეს პროცენტი;
- **„არამუშა", ანუ შემოსავლების არმომტანი აქტივები,** გულისხმობს იმ აქტივებს, რომლებიც ბანკს სჭირდება ნორმალური ფუნქციონირებისა და კლიენტების შეუფერხებლად მომსახურებისათვის. ამ აქტივებიდან ბანკი შემოსავლებს არ იღებს, მაგრამ მათი არსებობის გარეშე ბანკის ფუნქციონირება შეუძლებელია. აქ შედის ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები, ნაღდი ფული, სახსრები საკორესპონდენტო ანგარიშებზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელის ზოგიერთ ნაწილზე ბანკი შეიძლება იღებდეს გარკვეულ შემოსავლებს (მაგალითად, ე.წ. „ოვერნაითებიდან").

5. ლიკვიდობის მიხედვით აქტივების კლასიფიკაცია სამი სახეობის აქტივს გულისხმობს:

- მყისიერი ლიკვიდური აქტივები – ესაა ფულადი სახსრები და ისეთი აქტივები, რომლებსაც აქვთ ფულად სახსრებად მყისიერად (სწრაფად) გარდაქმნის შესაძლებლობა. საქართველოს ეროვნული ბანკის კლასიფიკაციით – ესაა ნაღდი ფული, სახსრები საკორესპონდენტო ანგარიშებზე, ბანკებში განთავსებული დეპოზიტები და სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდები;
- მიმდინარე ლიკვიდური აქტივები არის ის აქტივები, რომელთა დაფარვის (დაბრუნების) ვადა არის 30 დღემდე (გაცემული სესხები და სხვა განთავსებული სახსრები, რომელთა დაფარვამდე დარჩენილია 30 დღემდე ვადა);
- გრძელვადიანი ლიკვიდობის სახსრებში შედის ის აქტივები, რომელთა დაფარვის ვადა აღემატება 30 დღეს.

6. ვადიანობის მიხედვით აქტივების კლასიფიკაცია ოთხი სახეობის აქტივს გულისხმობს:

- უვადო, მოთხოვნამდე აქტივები;
- მოკლევადიანი აქტივები – აქტივები, რომლებიც განთავსებულია 1-დან 30 დღემდე ვადით;
- საშუალოვადიანი აქტივები – აქტივები, რომლებიც განთავსებულია 1 თვიდან 1 წლამდე ვადით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

- გრძელვადიანი აქტივები – აქტივები, რომლებიც განთავსებულია 1 წელზე მეტი ვადით;

7. ვალუტების მიხედვით აქტივების კლასიფიკაცია გულისხმობს ორი სახეობის აქტივს: ეროვნულ ვალუტასა და უცხოურ ვალუტაში.

აქტივების სტრუქტურის გაცნობა მნიშვნელოვანი წინაპირობაა იმისათვის, რომ მოხდეს კომერციული ბანკების აქტივების სტრუქტურისა და მისი ხარისხის შეფასება.

7.3. კომერციული ბანკის აქტივების სტრუქტურა

კომერციული ბანკის აქტივების სტრუქტურის შესწავლისას ნათლად ჩანს მისი მენეჯმენტის უნარი, მიიღოს მაქსიმალური მოგება მინიმალური დანახარჯებით და ლიკვიდობის აუცილებელი დონის შენარჩუნებით, ანუ რამდენად უზრუნველყოფს იგი, ოპტიმალურად გაანაწილოს საკუთარი და მოზიდული სახსრები სხვადასხვა სახეობის აქტივში.

ის, თუ რამდენად ოპტიმალურია აქტივების სტრუქტურა, რამდენად მიზანშეწონილად და საიმედოდაა ისინი დაბანდებული, რამდენად არის დაცული ბალანსი მომგებიანობასა და რისკიანობას შორის, განაპირობებს კომერციული ბანკების მდგრადობას, ანუ ამ ბანკში განთავსებული დეპოზიტებისა და სხვა სახსრების უსაფრთხოების გარანტირებას. აქედან გამომდინარე, ცალკეული ბანკისა და მთლიანად საბანკო სისტემის მიერ აქტივების განთავსებისას ფრთხილ და გონივრულ გადაწყვეტილებაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება. ცალკეული ბანკების გაკოტრება იწვევს მის პასივში აღრიცხული ფულადი სახსრების მეპატრონეთა ფინანსურად დაზარალებას და ხშირად გაკოტრებასაც. ერთი ბანკის გაკოტრებამ შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკური სუბიექტების მიერ სხვა, ჯანსაღი ბანკებიდან ანაბრების მასობრივი გატანის პროვოცირება, შეიძლება დაიწყოს ჯაჭვური რეაქცია, ე. წ. „დომინოს ეფექტი“, ანუ კრიზისში ჩათრეულ იქნენ სხვა ბანკები და მთელი ფინანსური ბაზარი. ისტორიულად ბანკების გაკოტრების აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ აქტივების არასწორი, არაჯანსაღი სტრუქტურის შედეგია უხარისხო, პრობლემური აქტივების მაღალი ხვედრითი წილით.

როგორც წესი, აქტივების ხარისხის უმთავრესი მახასიათებელი საკრედიტო პორტფელის ხარისხია. რა იწვევს გაცემული სესხების პორტფელის ხარისხის გაუარესებას? რა თქმა უნდა, არაკვალიფიციური მენეჯმენტი, რაც გულისხმობს კრედიტების გაცემის პროცესის ლიბერალურ ხასიათს, მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით დაკრედიტების მოცულობის ზრდას რისკების გაზრდის ხარჯზე, კრედიტის უზრუნველყოფის ლიბერალურ შეფასებას და ხარვეზებს მათ დოკუმენტურად გაფორმებაში, ხარვეზებს ანგარიშგებაში, გაცემული სესხების არასრულ და არაკვალიფიციურ მონიტორინგს, ნეგატიურად კლასიფიცირებული კრედიტების მაღალ კონცენტრაციას და ა.შ.

კომერციული ბანკის აქტივების სტრუქტურა – ესაა ხარისხითა და ეკონომიკური შინაარსით ბალანსის აქტივის შემადგენელი სხვადასხვა ელემენტის შესაბამისობა ერთმანეთთან და მთლიან აქტივებთან. აქტივების სტრუქტურა საშუალებას იძლევა, ვიმსჯელოთ კომერციული ბანკის აქტივების შემადგენლობასა და ხასიათზე, მის მომგებიანობაზე, ლიკვიდობაზე, რისკის ხარისხზე.

განვიხილოთ საქართველოს საბანკო სისტემის აქტივების სტრუქტურა და მისი დინამიკა ბოლო წლების განმავლობაში (ცხრ. №7.2.).

ცხრ. №7.2. საქართველოს საბანკო სისტემის აქტივების სტრუქტურის დინამიკა წლების მიხედვით (პერიოდის ბოლოს)

	აქტივები	1996	1998	2000	2002	2004	2006	2008	2010	2012
1.	ფულადი სახსრები	24 %	28 %	24 %	30 %	31 %	21 %	21 %	23 %	23 %
1.1.	*ნაღდი ფული*	*7 %*	*6 %*	*5 %*	*5 %*	*8 %*	*5 %*	*5 %*	*4 %*	*5 %*
1.2.	*ფული საბანკო ანგარიშებზე*	*17 %*	*22 %*	*19 %*	*25 %*	*23 %*	*16 %*	*16 %*	*18 %*	*18 %*
2.	ფასიანი ქაღალდები	0 %	1 %	1 %	3 %	4 %	8 %	1 %	8 %	8 %
3.	წმინდა სესხები	45 %	46 %	53 %	53 %	53 %	61 %	62 %	54 %	57 %
4.	დარიცხული პროც. და დივიდ.	2 %	*1 %*	*1 %*	*1 %*	*1 %*	*1 %*	*1 %*	*1 %*	*1 %*
5.	ინვესტიციები	2 %	*1 %*	2 %	*1 %*	2 %	*1 %*	*4 %*	*4 %*	*3 %*
6.	ფიქსირებული აქტივები	*11 %*	*13 %*	*10 %*	9 %	*7 %*	*7 %*	9 %	*8 %*	*7 %*
7.	სხვა წმინდა აქტივები	16 %	9 %	8 %	3 %	2 %	2 %	2 %	3 %	3 %
	მთლიანი პასივები	100 %	100 %	100 %	100 %	100 %	100 %	100 %	100 %	100 %

როგორც ვხედავთ, 2012 წლის ბოლოსათვის საქართველოს საბანკო სისტემის აქტივებში ლიკვიდურ სახსრებზე (ფულადი სახსრები და ფასიანი ქაღალდები) მთლიანი აქტივების 31% მოდიოდა. ამ მაჩვენებლების დინამიკა დიდი ცვლილებებით არ ხასიათდება, 2008 წლის გამოკლებით, როცა ობიექტური მიზეზების გამო, მათი წილი 22%-მდე შემცირდა. რაც შეეხება აქტივების მთავარ შემადგენელ ნაწილს, საკრედიტო პორტფელს, მათი ხვედრითი წილი სტაბილურად იზრდებოდა და 2008 წლის ბოლოს 62%-ს მიაღწია, თუმცა, ამის შემდეგ იგი (2010 წელს) 54%-მდე დაეცა, რაც 2008 წლის აგვისტოს მოვლენებითა და ფინანსური კრიზისით იყო განპირობებული. მას შემდეგ, რაც საქართველოს საბანკო სისტემამ კრიზისიდან გამოსვლა დაიწყო, საკრედიტო პორტფელის ხვედრითი წილი თანდათან იზრდებოდა და 2012 წლის ბოლოსათვის 57%-ს მიაღწია. რაც შეეხება აქტივების სხვა სახეობებს, მათი ხვედრითი წილი დიდი მერყეობით არ ხასიათდება.

კომერციული ბანკის აქტივების სტრუქტურის შესახებ საინტერესო მაგალითს განვიხილავთ შემდეგ თავში (ცხრ. №8.1.), სადაც საუბარი იქნება აქტივების მართვაზე, ეს კი თავისთავად გულისხმობს აქტივების ოპტიმალური სტრუქტურის მიღწევას.

რა თქმა უნდა, თითოეული კომერციული ბანკი დამოუკიდებლად განსაზღვრავს საკუთარი აქტივების სტრუქტურას, რაც განპირობებულია მისი განვითარების სტრატეგიით, ბაზარზე კონკურენციის ხარისხით და რისკის დონით, რომლის უფლებასაც იგი აძლევს საკუთარ თავს, ცენტრალური ბანკის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოპტიმალური „ოქროს“ შუალედის მოძებნა „მუშა“ და ლიკვიდურ აქტივებს შორის არის კომერციული ბანკის მენეჯმენტის მთავარი საზრუნავი, მისი მთავარი მიზანი. ამ მხრივ უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების პორტფელი, რომლის აბსოლუტურ უმრავლესობას ქართულ ბანკებში სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები წარმოადგენს. როგორც შევამჩნიეთ, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები შედის როგორც „მუშა“ აქტივების, ისე ლიკვიდური აქტივების შემადგენლობაში, რაც განპირობებულია მისი უნარით, უმოკლეს ვადაში მოხდეს მისი ფულზე „გაცვლა“. რა თქმა უნდა, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პორტფელის საპროცენტო განაკვეთები შედარებით დაბალია, ისინი ვერ უზრუნველყოფენ ისეთ შემოსავლებს, როგორსაც საკრედიტო პორტფელი, მაგრამ მისი ფორმირება ხდება ბანკის მოკლევადიანი, დროებით თავისუფალი ფულადი სახსრებით. ფასიანი ქაღალდების პორტფელი – ესაა მობილური აქტივი, რომელიც ბანკის მენეჯმენტის ხელში წარმოადგენს მოქნილ ინსტრუმენტს, რათა მუდმივად იყოს ოპტიმალური შესაბამისობა „მუშა“ აქტივებსა და ლიკვიდურ აქტივებს შორის. ჩვენს შემთხვევაში ფასიანი ქაღალდების პორტფელი საბანკო სისტემის მთლიანი აქტივების 8%-ს წარმოადგენს, მაგრამ კომერციული ბანკების მიხედვით 0-დან 12%-მდე მერყეობს.

კომერციული ბანკის აქტივების სტრუქტურის ანალიზი, ფაქტობრივად, მისი ხარისხის შეფასებას გულისხმობს, რასაც შემდეგი პარაგრაფი ეთმობა.

7.4. კომერციული ბანკის აქტივების ხარისხი და მისი შეფასება

აქტივების ხარისხი, აქტივის სხვადასხვა მუხლის გაუფასურების ან დაკარგვის რისკი, მათი შეფასება არის სასიცოცხლო მნიშვნელობის კომერციული ბანკის მართვისას.

კომერციული ბანკის აქტივების ხარისხის განსაზღვრა ხდება იმის ანალიზით, თუ რამდენად ოპტიმალური და ჯანსაღია მისი სტრუქტურა, ხომ არაა მასში რისკიანი აქტივების დასაშვებ ზომაზე მეტი მოცულობა, დივერსიფიცირებულია თუ არა საინვესტიციო და საკრედიტო მიმართულებები, ადეკვატურად არის თუ არა ასახული ბალანსში ყველა აქტივი. აქტივების ხარისხის დადგენა ხდება შეფასების სხვადასხვა მეთოდით, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს საზედამხედველო ორგანოების მიერ, დამოუკიდებელი სარეიტინგო და საკონსულტაციო სააგენტოებისა და ასევე უშუალოდ ბანკის მიერ.

მე-4 თავში თანამედროვე საქართველოს საბანკო სისტემის ისტორიის განხილვისას აღინიშნა, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწყებული რეფორმების გზაზე მეტად მნიშვნელოვანი იყო კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირების მექანიზმის შემოღება. შესაბამისი დოკუმენტი შემუშავებულ იქნა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების რეკომენდაციით და მან მართლაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პრობლემური სესხებიდან ბანკების ბალანსების გაწმენდის, მათი საკრედიტო რისკების შემცირებისა და გონივრული საკრედიტო პოლიტიკის გატარებისათვის საფუძვლის შესაქმნელად.

საქართველოს საბანკო სისტემის რეფორმირების რთულ გზაზე ეროვნული ბანკი იწყებს კომერციულ ბანკებში დაგროვილი ვადაგადაცილებული უიმედო სესხებისაგან ბალანსების გასუფთავებისა და ჯანსაღი საკრედიტო პორტფელის უზრუნველმყოფი მექანიზმების დანერგვას. ჩვენი თემიდან გამოდინარე თუ გავავლებთ პარალელს, ეს იყო კომერციული ბანკების აქტივების ხარისხის გაუმჯობესებისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი, რომელიც, რა თქმა უნდა, რეფორმირების გზაზე სხვა მარეგულირებელი მექანიზმების დანერგვის პარალელურად მიმდინარეობდა.

პირველი ქმედითი ნაბიჯი აქტივების ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით საქართველოში გადაიდგა 1995 წლის დასაწყისში და მას საფუძვლად დაედო გაცემული სესხების კატეგორიების მიხედვით კლასიფიკაცია და თითოეული კატეგორიისათვის დაწესებული პროცენტის საფუძველზე შესაბამისი რეზერვების შექმნა – ანუ მოხდა კომერციული ბანკების აქტივების უმნიშვნელოვანესი ელემენტის, სესხების დახარისხება და შეფასება. 1996 წლის მეორე ნახევარში იქმნება სრულფასოვანი მექანიზმი ამ მიმართულებით და კომერციულ ბანკებს სახელმძღვანელოდ ეგზავნებათ დამტკიცებული წესი, რომლის მიზანი იყო ბანკების მიერ გაცემული სესხების რისკის მიხედვით კლასიფიკაციის, სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირებისა და მის ხარჯზე უიმედო სესხების ჩამოწერის მექანიზმის დანერგვა. აღნიშნულმა მექანიზმმა წარმატებით გაართვა თავი ამოცანას და 2000 წლის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის №350 ბრძანებით გავრცელდა ყველა აქტივზე „კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესის“ დამტკიცების შემდეგ.

ახალი წესის თანახმად, კომერციულ ბანკებს დაევალათ, მოეხდინათ თავიანთი აქტივების კლასიფიკაცია, ღირებულების შეფასება და რეზერვების შექმნა რისკის მიხედვით შესაძლო დანაკარგების გასანეიტრალებლად. დოკუმენტის პირველივე თავში ჩაიწერა, რომ მისი მიზანი იყო კომერციული ბანკების აქტივების ხარისხის ადეკვატური სურათის მიღება. კომერციული ბანკებისათვის შეთავაზებულ იქნა აქტივების შეფასების მექანიზმი, რომლის მიხედვით თითოეულ კომერციულ ბანკს დაევალა:

- აქტივების კლასიფიკაციის განსახორციელებლად და ადეკვატური რეზერვის შესაქმნელად წერილობითი პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავება;
- ეროვნული ბანკისათვის ყოველთვიური ანგარიშგების წარდგენა, აქტივების კლასიფიკაციისა და თითოეულისათვის შექმნილი შესაძლო დანაკარგების რეზერვების შესახებ;
- ყველა აქტივის, ასევე ყველა გარესაბალანსო მუხლის კლასიფიკაციისადმი დაქვემდებარება;
- დანაკარგების რეზერვის ანგარიშების შექმნა ნებისმიერი ვალუტით ფორმირებული აქტივების დასაფარავად;
- შექმნილი რეზერვების გატარება ბანკის ხარჯებში, მუხლით „ზარალი აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით“, რომელიც ნაჩვენები იქნება მის ბალანსზე მუხლით „აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვები“;
- წერილობითი პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავება, ამოუღებელი აქტივის „უიმედოდ“ ჩათვლისა და ბალანსიდან ჩამოწერის შესახებ.

მოკლედ რომ ვთქვათ, ეროვნული ბანკის მიერ დანერგილი სისტემით ხდება კომერციული ბანკების აქტივების შეფასება მათი ხარისხის კლასიფიკაციის გზით. ხარისხის მიხედვით კლასიფიცირებული თითოეული აქტივის შესაბამისად წარმოებს მის გაუფასურებასთან, ნაწილობრივ ან სრულად დაკარგვასთან დაკავშირებული რისკის შეფასება და მის მიხედვით იქმნება შესაბამისი რეზერვი ბანკის მოგების ხარჯზე, ანუ ბანკის აქტივების გაუფასურება ან დანაკარგი პირდაპირ გავლენას ახდენს მის ყველაზე მგრძნობიარე ნაწილზე – მოგება-ზარალზე.

დოკუმენტის თანახმად, კომერციულ ბანკებში შეიქმნა აქტივების ხარისხის მიხედვით კლასიფიცირების, ანუ მათი შეფასების სისტემა, რომელიც შედგება რამდენიმე ნაწილისაგან:

1. სესხების კლასიფიკაცია (შეფასება) წარმოებს ხუთი კატეგორიის მიხედვით:

- **სტანდარტული სესხები.** სესხი კლასიფიცირდება „სტანდარტულად", თუ მისი ძირითადი თანხისა და პროცენტის მუდმივად გადახდა დროულად წარმოებს და მსესხებლის კაპიტალი და გადახდის უნარი სტაბილურია.

„სტანდარტულად" კლასიფიცირებული სესხი წარმოადგენს ნორმალურ მდგომარეობას, მაგრამ ყველა კომერციულ ბანკს მაინც მოეთხოვება საერთო რეზერვის შექმნა თითოეული ასეთი სესხისათვის სესხის ძირითადი თანხის გადაუხდელი ნაშთის 2%-ის ოდენობით. ეს იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი კარგი და „უნაკლო" სესხისათვისაც კი იქმნება 2%-იანი რეზერვი, ანუ სესხის გაცემისთანავე ხდებს მისი რეზერვის შექმნა და ხარჯში გატარება. თუ, მაგალითად, ბანკმა გასცა 200 ათასი ლარის სესხი, იქმნება 4-ათასიანი რეზერვი. რა თქმა უნდა, ეს არის შესაძლო, ანუ მოსალოდნელი დანაკარგების რეზერვი და სესხის დაფარვისთანავე ხდება მისი ხარჯებიდან „ამობრუნება".

- **საყურადღებო სესხები.** როგორც კი სტანდარტული სესხის დაფარვას ან პერსპექტივას შეექმნება გარკვეული პრობლემები, ხდება მისი კლასიფიკაციის, ანუ ხარისხის შეცვლა და იგი გადადის „საყურადღებო" სესხებში. სესხი კლასიფიცირდება „საყურადღებოდ", თუ მისი გაცემის დროს მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა და გადახდის უნარი სტაბილური ჩანდა, მაგრამ შემდეგში წარმოიქმნა გარკვეული ნაკლოვანებები და ტენდენციები. ამ ნეგატიურ ტენდენციებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია (მაგრამ არა ერთადერთია) ნებისმიერი შეთანხმებული გადახდის ვადაგადაცილება 30 დღეზე ნაკლები პერიოდით.

კომერციული ბანკი ვალდებულია შექმნას სპეციალური რეზერვი თითოეული „საყურადღებოდ" კლასიფიცირებული სესხისათვის სესხის ძირითადი თანხის გადაუხდელი ნაშთის 10%-ის ოდენობით. ჩვენს მაგალითში ამ სესხისათვის უკვე შექმნილია 2%-იანი რეზერვი და მას ბანკი უმატებს 8%-იან რეზერვს ბანკის ხარჯებში გატარებით, ანუ 16 ათას ლარს, რომ ჯამში ამ სესხისათვის შექმნილი რეზერვი იყოს 10%-იანი, ანუ 20 ათასი ლარი. რა თქმა უნდა, სესხის დაფარვისთანავე ხდება ამ რეზერვის ხარჯებიდან „ამობრუნებაც".

- **არასტანდარტული სესხები.** სესხი კლასიფიცირდება „არასტანდარტულად", თუ მან გამოავლინა ისეთი სისუსტეები ან პრობლემები, რომლებიც საფრთხეს უქმნის დავალიანების დაფარვას ან საეჭვოს ხდის მთლიან გადახდას. ამ სისუსტეებსა და პრობლემებს შორის ყველაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნიშვნელოვანია (მაგრამ არა ერთადერთია) ნებისმიერი შეთანხმებული გადახდის ვადაგადაცილება 60 დღეზე ნაკლები პერიოდით.

კომერციულ ბანკს მოეთხოვება სპეციალური რეზერვის შექმნა თითოეული „არასტანდარტულად" კლასიფიცირებული სესხისათვის სესხის ძირითადი თანხის გადაუხდელი ნაშთის 30%-ის ოდენობით. ჩვენს მაგალითში ამ სესხისათვის უკვე შექმნილ 10%-იან რეზერვს ემატება 20%-იანი რეზერვი ბანკის ხარჯებში გატარებით, ანუ 40 ათას ლარს, რათა ჯამში ამ სესხისათვის შექმნილი რეზერვი იყოს 30%-იანი, ანუ 20+40=60 ათასი ლარი. რა თქმა უნდა, ამ სესხის დაფარვისთანავე ხდება ამ რეზერვის ხარჯებიდან „ამობრუნება".

- **საეჭვო სესხები.** სესხი კლასიფიცირდება „საეჭვოდ", თუ მას აქვს „არასტანდარტულად" კლასიფიცირებული სესხის მახასიათებლები, მაგრამ არსებულ პირობებში მისი გადახდა საეჭვოა სისუსტეების გამო. ამ სისუსტეებში ყველაზე მნიშვნელოვანია (მაგრამ არა ერთადერთია) ნებისმიერი შეთანხმებული გადახდის ვადაგადაცილება 120 დღეზე ნაკლები პერიოდით.

კომერციულ ბანკს მოეთხოვება სპეციალური რეზერვის შექმნა თითოეული „საეჭვოდ" კლასიფიცირებული სესხისათვის სესხის ძირითადი თანხის გადაუხდელი ნაშთის 50%-ის ოდენობით. ჩვენს მაგალითში ამ სესხისათვის უკვე შექმნილ 30%-იან რეზერვს ბანკი უმატებს 20%-იან რეზერვს ბანკის ხარჯებში გატარებით, ანუ 40 ათას ლარს, რათა ჯამში ამ სესხისათვის შექმნილი რეზერვი იყოს 50%-იანი, ანუ 60+40=100 ათასი ლარი. რა თქმა უნდა, ამ სესხის დაფარვისთანავე ხდება ამ რეზერვის ხარჯებიდან „ამობრუნება".

- **უიმედო სესხები.** სესხი კლასიფიცირდება „უიმედოდ", თუ მსესხებლის გადახდისუუნარობის გამო შეუძლებელია მისი ამოღება ან ამოღებადი თანხა უმნიშვნელოა. სესხის უიმედოდ შეფასების ყველაზე მნიშვნელოვანი (მაგრამ არა ერთადერთი) ნიშანია ნებისმიერი შეთანხმებული გადახდის ვადაგადაცილება 150 დღეზე ნაკლები პერიოდით.

კომერციულ ბანკს მოეთხოვება სპეციალური რეზერვის შექმნა თითოეული „საეჭვოდ" კლასიფიცირებული სესხისათვის სესხის ძირითადი თანხის გადაუხდელი ნაშთის 100%-ის ოდენობით. ჩვენს მაგალითში ამ სესხისათვის უკვე შექმნილ 50%-იან რეზერვს ბანკი უმატებს დამატებით 50%-იან რეზერვს ბანკის ხარჯებში გატარებით, ანუ 100 ათას ლარს, რომ ჯამში ამ სესხისათვის შექმნილი რეზერვი იყოს 100%-იანი, ანუ 100+100=200 ათასი ლარი. გამდის, რომ 200 ათას ლარის სესხზე უკვე შექმნილია, იმავე რაოდენობის რეზერვი, ანუ სესხი ხარჯებში გატარებულია 100%-ით. ბანკი ვალდებულია ყოველი ასეთი სესხი ჩამოწეროს ბალანსიდან, გადაიტანოს გარებალანსურ ანგარიშზე და გააგრძელოს მუშაობა მისი სრულად ან ნაწილობრივ ამოღების მიმართულებით.

როგორც ზემოთ ვთქვით, სხვადასხვა კატეგორიად კლასიფიცირებული სესხების დაფარვისას მათთვის შექმნილი შესაძლო დანაკარგების რეზერვიც ანულირდება, ანუ „ამობრუნება" ხარჯებიდან. რა თქმა უნდა, ეს ეხება გარებალანსზე გატანილ ჩამოწერილ სესხებსაც მათი დაფარვის შემთხვევაში. თუმცა, ცხადია, თუ ვერ მოხდა მათი დაფარვა, შექმნილი რეზერვი პირდაპირ ამცირებს ბანკის მოგებას. ამ სისტემის დანერგვის მიზანი სწორედ ის იყო, რომ მომხდარიყო პრობლემური სესხების დროულად იდენტიფიცირება და მათი პრობლემურობა მაშინვე ასახულიყო ბანკის ყველაზე მგრძნობიარე მაჩვენებელზე – მოგება-ზარალზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. გირაო და იპოთეკის კლასიფიცირება (შეფასება) წარმოებს ორი კატეგორიის მიხედვით:

- **ლიკვიდური უზრუნველყოფა,** რომელშიც შედის მთავრობის უპირობო გარანტიები, დაგირავებული ფულადი დეპოზიტები თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტით, სამთავრობო ფასიანი ქაღალდები, გირაოს სახით გადაცემული ძვირფასი ლითონების სტანდარტიზებული ზოდები;
- **არალიკვიდური უზრუნველყოფა,** რომელშიც შედის უძრავი ქონებისა და მასთან დაკავშირებული იპოთეკა, მოძრავი ქონებისა და მასთან დაკავშირებული უფლებების დაგირავება, კერძო საწარმოების ფასიანი ქაღალდები და სხვ.

3. რესტრუქტურიზებული სესხების კლასიფიკაცია (შეფასება).
4. ბანკთაშორისი დეპოზიტები და მათი კლასიფიკაცია (შეფასება).
5. არასასესხო აქტივების კლასიფიკაცია (შეფასება).

აღარ შევუდგებით ყველა კატეგორიის აქტივის დახასიათებას. მთავარია, ვიცოდეთ, რომ ქვეყნის ცენტრალური ბანკი ქმნის აქტივების ცალკეული მუხლების შეფასების სისტემას, რათა თითოეული მათგანი ბალანსში ასახული იყოს რეალური ღირებულებით, მის დაბრუნებასთან დაკავშირებული რისკებიდან გამომდინარე და ამ ყველა რისკის მიხედვით შექმნილი უნდა იყოს შესაბამისი რეზერვი. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს კომერციული ბანკის ბალანსის მუდამ ადეკვატურობას, ანუ მაქსიმალური სიზუსტით უნდა ასახავდეს ბანკის მიერ მოზიდული და საკუთარი სახსრების განთავსების ეფექტიანობასა და მათ დაკარგვასთან დაკავშირებული რისკების მინიმიზაციას.

საქართველოში ეროვნული ბანკის მხრიდან კომერციული ბანკების აქტივების შეფასების მეორე აპრობირებულ მეთოდს წარმოადგენს საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში ფართოდ გავრცელებული CAMELS-ის რეიტინგული სისტემის [18] მოდიფიკაცია, კერძოდ, რეიტინგის დისტანციური ვერსია CAEL, რომელიც წარმოადგენს კვარტალურ საზედამხედველო სისტემას. როგორც ვხედავთ, CAEL არ შეიცავს M კომპონენტს (მენეჯმენტის ხარისხი), რადგან მისი დისტანციურად შეფასება რთულია. აღნიშნული სისტემით ბანკების შემოწმებისა და შესაბამისი რეიტინგის მინიჭების მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს აქტივების ხარისხის შემოწმება.

CAMELS-ის სისტემის მიხედვით, აქტივების ხარისხის ანალიზი მოიცავს კომერციული ბანკის აქტივების სტრუქტურული შემადგენლობის, მისი თითოეული ნაწილის ხარისხს, მათი რისკიანობისა და შემოსავლიანობის შეფასების საკითხებს. სისტემა დაფუძნებულია იმ პოსტულატზე, რომ ბანკის აქტივების ხარისხი ბანკის მუშაობისა და განვითარების ქვაკუთხედია და მისი მაღალი ხარისხი უშუალოდ განაპირობებს ბანკის მომგებიანობას. აქტივების ხარისხის შეფასებისას ყურადღების გამახვილება ხდება ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა:

1. ბანკის აქტივების სტრუქტურის დახასიათება, რისთვისაც გათვალისწინებული უნდა იქნეს:

18 CAMELS – ბანკების შეფასების ამერიკული სისტემა. სახელწოდება მიიღო შესამოწმებელი კომპონენტების აბრევიატურისაგან: C – კაპიტალის საკმარისობა, A – აქტივების ხარისხი, M – მენეჯმენტის ხარისხი, E – შემოსავლიანობა, L – ლიკვიდობა, S – რისკებისადმი მგრძნობელობა. ეს უკანასკნელი მოგვიანებით დაემატა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- ბანკის მემკვიდრეობა და მისი განვითარების ისტორია;
- მიმდინარე ეტაპზე ბანკის ძირითადი საქმიანობისა და ოპერაციების სპეციფიკა და კონცენტრაცია;
- მომავალი განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები.

2. საკრედიტო პორტფელის ხარისხის შეფასება, რისთვისაც აუცილებელია:

- პორტფელის ანალიზი ეკონომიკის სექტორებისა და ვალუტის ჭრილში, ვადიანობისა და გირაოს მიხედვით;
- საკრედიტო პორტფელის რისკის დონის შეფასება, ანუ რამდენად ადეკვატურია საკრედიტო პორტფელთან მიმართებაში სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი;
- საკრედიტო პორტფელის დივერსიფიკაცია, ვადიანობის ანალიზი და შეფასება;
- ჩამოწერილი სესხების მოცულობა და მათი ცვლილება შესაბამისი პერიოდის განმავლობაში.

3. ნეგატიურად კლასიფიცირებული სესხების ანალიზი, რისთვისაც შეისწავლება:

- მათი ხვედრითი წილი მთლიან სესხებში, მისი სტრუქტურა და ანალიზი;
- განვლილ პერიოდში მისი ცვლილების სიხშირე და ტენდენციები როგორც კატეგორიების მიხედვით, ისე ვალუტის ტიპისა და ეკონომიკის სექტორების ჭრილში;
- მსესხებელთა კრედიტუნარიანობის გათვალისწინებით ნეგატიური სესხების ზრდის პროგნოზი და მისი გავლენა ბანკის კაპიტალზე.

4. რისკის შეწონვას დაქვემდებარებული აქტივების შეფასება, რისთვისაც აუცილებელია:

- ასეთი აქტივების მოცულობის ცვლილების ანალიზი;
- მის საფუძველზე ბანკის მიერ განხორციელებული ოპერაციების რისკიანობის შეფასება.

5. ბანკის აქტივების სხვა ძირითადი მუხლების დახასიათება, რისთვისაც შეისწავლება:

- შემოსავლიანი აქტივების ბაზის განსაზღვრა, ანალიზი და შეფასება;
- სხვა საკითხები, რომლებიც განაპირობებენ ბანკის აქტივების ხარისხს.

საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან კომერციული ბანკების აქტივების ხარისხის ანალიზს, მათ დინამიკაში შეფასებას ემსახურება ასევე მის მიერ 2006 წელს დამტკიცებული „კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალობის წესი". აღნიშნული წესი შემდეგ რამდენიმე თემის განხილვისას იქნება გამოყენებული, სადაც მას შემოკლებით „გამჭვირვალობის წესის" სახელით მოვიხსენიებთ.

„გამჭვირვალობის წესის" მიხედვით, კომერციული ბანკების მიერ პერიოდულად სავალდებულო წესით გამოსაქვეყნებელ ინფორმაციაში შედის 18 ეკონომიკური მაჩვენებელი, რომელთაგან ხუთი აქტივების ანალიზის საშუალებას იძლევა. ეს მაჩვენებლები წარმოაჩენს აქტივების სტრუქტურის, მასში ნეგატიურად კლასიფიცირებული სესხების ხარისხსა და მთლიანი სესხების წლიური ზრდის ტემპს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სავალდებულო გამოქვეყნებას ექვემდებარება არა მარტო ამ მაჩვენებლების ყოველკვარტალური დონე, არამედ მათი შედარება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან. ეს მაჩვენებლებია:

$$\frac{\text{უმოქმედო სესხები}}{\text{მთლიანი სესხები}} \quad (7.1)$$

$$\frac{\text{სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი}}{\text{მთლიანი სესხები}} \quad (7.2)$$

$$\frac{\text{უცხოური ვალუტით არსებული სესხები}}{\text{მთლიანი სესხები}} \quad (7.3)$$

$$\frac{\text{უცხოური ვალუტით არსებული აქტივები}}{\text{მთლიანი აქტივები}} \quad (7.4)$$

$$\frac{\text{მთლიანი სესხები მიმდინარე პერიოდში}}{\text{მთლიანი მთლიანი სესხები ერთი წლის წინ}} \quad (7.5)$$

სადაც:

უმოქმედო სესხები – მთლიანი სესხებიდან ბანკის მიერ არასტანდარტული, საეჭვო და უიმედო კატეგორიად კლასიფიცირებული სესხების ჯამია;

მთლიანი სესხები – საბალანსო უწყისით გათვალისწინებული მთლიანი სესხებია;

სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი (სშდრ) – საბალანსო უწყისით გათვალისწინებული სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვია, რომელიც იქმნება ბანკის მიერ სესხების შესაძლო დანაკარგების დასაფარავად, არაიდენტიფიცირებული და იდენტიფიცირებული ზარალისათვის.

როგორც ვხედავთ, „გამჭვირვალობის წესის“ მოთხოვნებით, აქტივების ხარისხის ანალიზი განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელის ხარისხზე. პირველი კოეფიციენტი (7.1) გვიჩვენებს იმ სესხების ხვედრით წილს მთლიან სესხებში, რომლებიც განსაკუთრებით რისკის მატარებელია ბანკისათვის. როგორც განმარტებიდან ვხედავთ, აქ შედის ყველა სესხი, გარდა სტანდარტულად და საყურადღებოდ კლასიფიცირებული, ანუ 2- და 10%-იანად რეზერვირებული სესხებისა. რაც უფრო დიდია უმოქმედო სესხების ხვედრითი წილი მთლიან საკრედიტო პორტფელში, ან რაც უფრო უარესდება იგი გასულ პერიოდთან მიმართებაში, მით უფრო ცუდია კონკრეტული კომერციული ბანკის აქტივების ხარისხი.

მეორე კოეფიციენტის (7.2) მიზანია, გვიჩვენოს თითოეული სესხისათვის შექმნილი შესაძლო დანაკარგების რეზერვის ჯამური მაჩვენებლის შედარება მთლიანი სესხების ჯამთან. ბუნებრივია, ეს მაჩვენებელი არ შეიძლება იყოს 2%-ზე ნაკლები, თუმცა, რაც უფრო მაღალია იგი ან გაზრდილია გასულ პერიოდთან მიმართებაში, მით უფრო მეტყველებს საკრედიტო პორტფელის არასახარბიელო ხარისხზე.

კოეფიციენტი 7.3 გვიჩვენებს უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების შედარებას მთლიან სესხებთან. ამ მაჩვენებლების მაღალი დონე მიანიშნებს ბანკში არსებული სავალუტო რისკების ზრდაზე, რომელიც გაცემულ სესხებთანაა დაკავშირებული.

შემდეგი კოეფიციენტი (7.4) გვიჩვენებს ზოგადად უცხოურ ვალუტაში ფორმირებული აქტივების წილს მთლიან აქტივებში და აქტივების საერთო დოლარიზაციის ხარისხს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლო კოეფიციენტი (7.5) გვიჩვენებს მთლიანი სესხების წლიური ზრდის ტემპს, რომლის განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებელი ნიშნავს იმას, რომ, ერთი მხრივ, ბანკი ეწევა აგრესიული დაკრედიტების პროცესს, მეორე მხრივ, იზრდება რისკები და ბანკი უნდა იყოს განსაკუთრებული ყურადღებისა და დაკვირვების ქვეშ.

თვალსაჩინოებისათვის გავაანალიზოთ იმ რამდენიმე ქართული კომერციული ბანკის ოფიციალური მონაცემი ამ ნორმატივების მიხედვით, რომლებიც პირობითად წოდებულნი არიან A, B და C ბანკებად (ცხრ. №7.3.):

ცხრ. №7.3. საქართველში მოქმედი კომერციული ბანკების აქტივების ხარისხის შეფასება „გამჭვირვალობის წესის" შესაბამისად (2012 და 2013 წლების 30 ივნისი)

ნორმატივები	ბანკი A		ბანკი B		ბანკი C	
	2012	2013	2012	2013	2012	2013
უმოქმედო სესხები/მთლიანი სესხები	2.1	0.5	5.2	4.3	12.8	18.9
სშდრ/მთლიანი სესხები	3.2	2.6	5.0	5.3	8.3	11.5
უცხ. ვალუტით არსებული სესხები/მთლიანი სესხები	71.0	87.9	78.7	78.9	88.4	82.8
უცხ. ვალუტით არსებული აქტივები/მთლიანი აქტივები	39.8	57.4	50.1	54.4	62.7	60.9
მთლიანი სესხების წლიური ზრდის ტემპი	31.6	31.4	7.4	7.5	6.1	-11.0

როგორც ვხედავთ, შერჩეულ იქნა საქართველოში მოქმედი სამი კომერციული ბანკი, რომელთა აქტივების ხარისხის მაჩვენებლები კარდინალურად განსხვავებულია ერთმანეთისაგან:

- **ბანკი A** – სასესხო პორტფელის კარგი ხარისხობრივი მაჩვენებლები, დოლარიზაციის ზომიერი დონე, მაჩვენებელთა ცვლილების დადებითი ტენდენცია;
- **ბანკი B** – სასესხო პორტფელის საშუალო ხარისხობრივი მაჩვენებლები, დოლარიზაციის ზომიერი დონე, მაჩვენებელთა ცვლილების დაბალი ტენდენცია;
- **ბანკი C** – სასესხო პორტფელის მეტად ცუდი ხარისხობრივი მაჩვენებლები, დოლარიზაციის მაღალი დონე, მაჩვენებელთა ცვლილების უარყოფითი ტენდენცია.

თუმცა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით პირველი ორი მაჩვენებლის გაუმჯობესება ყოველთვის არ ნიშნავს ბანკის კარგ მუშაობას ამ მიმართულებით. ამის მიზეზი შეიძლება იყოს უმოქმედო სესხების „უიმედოდ" კლასიფიცირება და ბალანსიდან ჩამოწერა. ასევე – საკრედიტო პორტფელის ზრდის მაღალი მაჩვენებელი, რითაც უმოქმედო სესხების წილი მთლიან სესხებში უბრალოდ შემცირდა, თორემ მათი მოცულობა შეიძლება გაზრდილიც არის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ მსგავსი კოეფიციენტები კომერციული ბანკის აქტივების ხარისხს ზოგადად გვიხასიათებს და საჭიროების მიხედვით, სრული სურათის მისაღებად დამატებითი ანალიზის მიმართულებას მიგვანიშნებს.

გარდა ზემოაღნიშნული სისტემებისა, კარგად აპრობირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დანერგილი აქტივების შეფასების ისეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მექანიზმი, როგორიცაა რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების გაანგარიშება. გარკვეულწილად, ჩვენ ამ საკითხს შევეხეთ აქტივების კლასიფიკაციისას და უფრო დეტალურად, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, განხილული იქნება საბანკო რისკების მართვის თემის შესწავლის დროს განვიხილავთ.

საკონტროლო კითხვები:

1. რა არის ბანკის აქტივისა და აქტიური ოპერაციების არსი?
2. როგორია აქტივების აღრიცხვის ზოგადი წესი საქართველოში საბანკო დაწესებულებების ანგარიშთა გეგმის მიხედვით?
3. ბანკის აქტიური ოპერაციების რომელი სახეობები იცით?
4. როგორ დაახასიათებდით საქართველოს საბანკო სისტემის აქტივების მდგომარეობასა და დინამიკას ბოლო პერიოდში?
5. რა ნიშნებით შეიძლება მოხდეს აქტივების კლასიფიკაცია?
6. რას გულისხმობს ბანკის აქტივების კლასიფიკაცია რისკის ხასიათის მიხედვით?
7. როგორ კლასიფიცირდება ბანკის აქტივები შემოსავლიანობის მიხედვით?
8. რას გულისხმობს კომერციული ბანკის ოპტიმალური აქტივების სტრუქტურა და ე.წ. „დომინოს ეფექტი“?
9. რა იგულისხმება კომერციული ბანკის მენეჯმენტის უნარში, მოძებნოს ოპტიმალური „ოქროს“ შუალედი „მუშა“ და ლიკვიდურ აქტივებს შორის?
10. როგორია საქართველოში კომერციული ბანკების აქტივების ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით გადაგმული ნაბიჯები?
11. როგორია საქართველოში აქტივების შეფასებისა და კლასიფაკაციის წესის ძირითადი ელემენტები?
12. რას წარმოადგენს საქართველოში მოქმედი სესხების კლასიფიკაციის (შეფასების) შინაარსი და მისი ხუთი კატეგორია?
13. რომელ ძირითად მიმართულებებს მოიცავს CAMELS-ის სისტემის მიხედვით აქტივების ხარისხის ანალიზი?
14. რას გულისხმობს აქტივების შეფასება „გამჭვირვალობის წესის“ მიხედვით?

8 თავი

კომერციული ბანკის ლიკვიდობა და გადახდისუნარიანობა

შინაარსი:

8.1. კომერციული ბანკის ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის არსი;
8.2. კომერციული ბანკის ლიკვიდობასა და გადახდისუნარიანობაზე მოქმედი ფაქტორები;
8.3. კომერციული ბანკის ლიკვიდობის მართვა;
8.4. კომერციული ბანკის ლიკვიდობის შეფასება.

ძირითადი ელემენტები:

1. კომერციული ბანკის ლიკვიდობა;
2. კომერციული ბანკის გადახდისუნარიანობა;
3. კომერციული ბანკის ლიკვიდობასა და გადახდისუნარიანობაზე მოქმედი სამი ძირითადი ფაქტორი;
4. ლიკვიდობის მართვის ორი ძირითადი მიმართულება;
5. ლიკვიდობის მართვის სამი ძირითადი მეთოდი;
6. კომერციული ბანკების ლიკვიდობის შეფასების პრაქტიკის ისტორიული გენეზისი საქართველოში;
7. ლიკვიდობის შეფასება „გამჭვირვალობის წესის“ მიხედვით;
8. ლიკვიდობის ხარისხის ანალიზი CAMELS-ის სისტემის მიხედვით;
9. კომერციული ბანკების ლიკვიდობის შეფასება სტრესტესტების მეშვეობით.

გამოყენებული სქემები, ნახატები და ცხრილები:

ცხრ. №8.1. სამი პირობითი კომერციული ბანკის აქტივების სტრუქტურა (ხვედრითი წილი %);
ცხრ. №8.2. სამი პირობითი კომერციული ბანკის პასივების სტრუქტურა (ხვედრითი წილი %);
ცხრ. №8.3. ორი პირობითი კომერციული ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების ვადების მიხედვით შესაბამისობა (ხვედრითი წილი %);
ცხრ. №8.4. კომერციული ბანკის აქტივები შემოსავლიანობის, რისკის დონისა და ლიკვიდობის ხარისხის მიხედვით;
სქემა №8.1. ლიკვიდობის მართვის სახსრების საერთო ფონდის მეთოდი;
სქემა №8.2. ლიკვიდობის მართვის სახსრების კონვერსიის, ანუ აქტივების განაწილების მეთოდი;
ცხრ. №8.5. კომერციული ბანკების ლიკვიდობის რისკის შემცირების სავალდებულო ნორმატივები საქართველოში (ისტორიული გენეზისი);
ცხრ. №8.6. საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების ლიკვიდობის დონის შეფასება „გამჭვირვალობის წესის“ შესაბამისად (2012 და 2013 წლების 1 კვარტალი).

8.1. კომერციული ბანკის ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის არსი

როგორც წინა თავში აქტივების დახასიათებისას აღინიშნა, ანგარიშთა გეგმაში აქტივების აღრიცხვა და დაჯგუფება ზოგიერთ ქვეყანაში ხდება მათი ეკონომიკური შინაარსის მიხედვით, საქართველოში ანგარიშთა გეგმის მნიშვნელოვანი თავისებურებაა ის, რომ აგებულია ლიკვიდურობის პრინციპით. განხილული ცხრილი (ცხრ. №7.1.) ამას ცხადყოფს. ამ შემთხვევის გარდა, უკვე რამდენჯერმე ვახსენეთ ტერმინები: ლიკვიდობა და გადახდისუნარიანობა და მცირე განმარტებებიც გავაკეთეთ, თუმცა, აღნიშნული საკითხები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მათ დახასიათებას ცალკე თავი მიეძღვნა.

ნებისმიერი კომერციული ბანკის საქმიანობის ზოგადი შეფასება შესაძლებელია ორი ურთიერთდაკავშირებული ფაქტორით: მომგებიანობა და საიმედოობა, მათ შორის, საიმედოობის განსაზღვრის ორი ძირითადი მაჩვენებელია ცნობილი: ლიკვიდობა და გადახდისუნარიანობა. ლიკვიდობა და გადახდისუნარიანობა არის ის ორი ძირითადი მიზანი, რომელთა მიღწევა განსაკუთრებით პრიორიტეტულია ქვეყნის ცენტრალური ბანკებისათვის თავიანთი ფუნქციების შესრულებისას, როცა ისინი გვევლინებიან სტაბილური საბანკო სისტემის გარანტად და უზრუნველყოფენ მოსახლეობის მხრიდან საბანკო სისტემისადმი ნდობის ამაღლებას. ლიკვიდობა და გადახდისუნარიანობა ასევე არის ბანკის მენეჯმენტისა და აქციონერთა განსაკუთრებული ზრუნვის საგანი, ვინაიდან კომერციული ბანკის ლიკვიდობის პრობლემისა და გადახდისუნარიანობის კრიზისის შემდეგ მისი გაკოტრების პერსპექტივა დგება.

მაინც რა არის კომერციული ბანკის ლიკვიდობა და გადახდისუნარიანობა, მაშინ, როცა ზოგიერთი ამ ტერმინებს საერთოდ აიგივებს? ტერმინი „ლიკვიდობა“ წარმოდგება ლათინური სიტყვისაგან ***liquidus***, რაც ნიშნავს თხევადს, დენადს. იგი თავისი შინაარსით გულისხმობს მატერიალური ფასეულობის ფულად სახსრებად ადვილად რეალიზებადს, მარტივად კონვერტირებადს, სწრაფად გაყიდვადს. ტერმინი „ლიკვიდობა“ ფართოდ გამოყენებადია სხვადასხვა გარემოებაში, მაგალითად, საწარმოს ლიკვიდობა, ბაზრის ლიკვიდობა, ბალანსის ლიკვიდობა, აქტივის ლიკვიდობა, ლიკვიდობის დონე და ა. შ. ჩვენი შესწავლის საგანია **ბანკის ლიკვიდობა**, რაც მდგომარეობს მის უნარში, დროულად, ანუ დათქმულ ვადაში და სრულად გაისტუმროს ვალდებულებები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ესაა ბანკის უნარი, პასუხი აგოს თავის ვალდებულებებზე, ოღონდ აქ აღნიშნულია ორი მნიშვნელოვანი მომენტი: სრულად და დათქმულ ვადაში.

აქტივების ლიკვიდობა შეფარდებითი სიდიდეა, ვინაიდან ნებისმიერი აქტივის გაყიდვა ბოლოს და ბოლოს მაინც შესაძლებელია, მაგრამ მთავარია, რა დროში და რა ფასად. აქტივების ლიკვიდობის ცნების მთავარი შინაარსი აქტივის ფულად გადაქცევის ფასშია, საყოველთაოდ მიღებულია, რომ ყველაზე არალიკვიდური აქტივია უძრავი ქონება, ვინაიდან მას აქვს მაქსიმალური ოდენობის ინდივიდუალური მახასიათებლები და პრაქტიკულად არ ექვემდებარება სტანდარტიზაციასა და უნიფიცირებას. რაც მეტია მახასიათებელი, მით უფრო ძნელდება მყიდველის მოძებნა, რომელსაც დააკმაყოფილებს ყველა თავისი პარამეტრით. აქტივის ფულად გადაქცევის ფასში ვლინდება აქტივსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს ყველა აქტივის განლაგებას ლიკვიდობის კიბეზე ზრდადობის მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პასუხი გავცეთ კიდევ ერთ კითხვას: კონკრეტულად რით გამოიხატება, რომ ბანკი ლიკვიდურია? ბანკის ლიკვიდობა გულისხმობს გარკვეული პერიოდისათვის ვადადამდგარი ვალდებულებების გასტუმრებისათვის, ერთი მხრივ, მის ხელთ არსებული ლიკვიდური სახსრების „საკმარის“ მოცულობას და, მეორე მხრივ, მათი ოპერატიულად მობილიზაციის უნარსა და შესაძლებლობას, აუცილებლობის შემთხვევაში.

ამ შემთხვევაში დაზუსტებას მოითხოვს ტერმინი „ლიკვიდური სახსრები“. როგორც წინა თავიდან გვახსოვს, ბანკის სხვადასხვა აქტივი ლიკვიდობის სხვადასხვა ხარისხით გამოირჩევა, და რაც მეტია მისი ხარისხი, მით მეტია შესაძლებლობა, გარდაიქმნას თავის ღირებულებად ფულად ფორმაში და მინიმალური დანაკარგებით. საქართველოს ეროვნული ბანკი თავისი რეგულაციის საჭიროებისათვის უფრო მკაცრად განმარტავს **ლიკვიდურ აქტივებს,** რომლის მიხედვითაც, ესაა „ფულადი სახსრები და ისეთი სახის აქტივები, რომლებსაც აქვთ ფულად სახსრებად მყისიერად (სწრაფად) გარდაქმნის შესაძლებლობა“. ქართული რეგულაციით ლიკვიდურ აქტივებში, გარდა ფულადი სახსრებისა (ნაღდი და უნაღდო), შედის მხოლოდ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები. რა თქმა უნდა, ნებისმიერი აქტივი შეიძლება იქცეს ფულად, უბრალოდ საუბარია, რამდენად სწრაფად და დანაკარგების გარეშეა ეს შესაძლებელი. ქართული საბანკო რეგულაციით ასევე ცნობილია **მიმდინარე აქტივები**, ანუ დაფარვის ერთ თვემდე ვადის მქონე აქტივები.

გავიხსენოთ, რომ წინა თავში აქტივების კლასიფიკაციის განხილვისას გავაანალიზეთ ლიკვიდური აქტივების სამი სახეობა:

- **მყისიერი ლიკვიდური აქტივები,** ანუ ფულადი სახსრები და ისეთი აქტივები, რომლებსაც აქვთ ფულად სახსრებად მყისიერად (სწრაფად) გარდაქმნის შესაძლებლობა (საქართველოში არსებული პრაქტიკით – ესაა ნაღდი ფული, სახსრები საკორესპონდენტო ანგარიშებზე, ბანკებში განთავსებული დეპოზიტები და სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდები);
- **მიმდინარე ლიკვიდური აქტივები** – ესაა ის აქტივები, რომელთა დაფარვის (დაბრუნების) ვადა არის 30 დღემდე (გაცემული სესხები და სხვა განთავსებული სახსრები, რომელთა დაფარვამდე დარჩენილია 30 დღემდე);
- **გრძელვადიანი ლიკვიდობის სახსრები,** ანუ ის აქტივები, რომელთა დაფარვის ვადა აღემატება 30 დღეს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც დაკავშირებულია კომერციული ბანკის ლიკვიდობასთან. ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ლიკვიდობის პრობლემა მხოლოდ მაშინ უდგას ბანკს, როცა დროულად ვერ აბრუნებს დეპოზიტს. მას სახელშეკრულებო ვალდებულება ხომ აქტივების განთავსების შესახებაც აქვს, ანუ ლიკვიდობის პრობლემა მაშინაც გამოიხატება, როცა ბანკი ვერ გასცემს კრედიტს წინასწარ შეთანხმებული პირობებით (ვადა, კრედიტის თანხა, ვალუტა და სხვ.).

თამამად შეიძლება ითქვას, რომ კომერციული ბანკის პრობლემურობის პირველი ნიშანი, „ავადმყოფობის“ პირველი სიმპტომი და გამოვლინება ლიკვიდობაში გაჩენილი პრობლემებია, რომლებიც უმოკლეს ვადაში უნდა აღმოიფხვრას და მიღებულ იქნეს ზომები, რათა აღნიშნული მდგომარეობა აღარ განმეორდეს. ადვილი მისახვედრია, რომ ბანკისათვის, რომელსაც ექმნება ლიკვიდობის პრობლემები, პირველი ნეგატიური შედეგია მისი მოქმედების

ეროვნული ბიბლიოთეკა

არეალის შეზღუდვა, ანუ იგი არათუ ვეღარ მონაწილეობს მძაფრ კონკურენტულ ბრძოლაში, არამედ უწევს უარის თქმა მომგებიანი და ხელსაყრელი პროექტების დაფინანსებაზე. ამას გარკვეული პერიოდის შემდეგ მოჰყვება მისი კლიენტების უკმაყოფილება, იმიჯის შელახვა და შემდეგ – კლიენტების დაკარგვა, რაც კიდევ უფრო ამწვავებს შექმნილ მდგომარეობას.

ამის საპირისპიროდ, უნდა ითქვას, რომ კომერციული ბანკის ლიკვიდობა, ანუ მისი უნარი დროულად და სრული მოცულობით შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები, ქმნის მისი ნორმალური ფუნქციონირების მყარ საფუძველს. საბანკო ლიკვიდობის მნიშვნელობა გამომდინარეობს ორი ძირითადი მიმართულებიდან:

1. საბანკო ლიკვიდობა უზრუნველყოფს კლიენტების მხრიდან ფულზე მოთხოვნას, რათა განახორციელონ გადახდები, ასევე მიიღონ კრედიტი;
2. საბანკო ლიკვიდობა პირდაპირ კავშირშია ბანკის იმიჯთან (რეპუტაციასთან) და სტაბილური ლიკვიდობა მას აძლევს კონკურენტულ ბრძოლაში წარმატების კარგ შანსებს.

თუ ჩავუღრმავდებით საკითხს, დავინახავთ, რომ ბანკის ლიკვიდობა განისაზღვრება მისი პასივებისა და აქტივების ვადების მიხედვით დაბალანსებით. რაც უფრო ახლოსაა ვადების მიხედვით დაჯგუფებული პასივებისა და აქტივების მოცულობები ერთმანთთან (მაგალითად, მოთხოვნამდე, ერთკვირიანი, ერთთვიანი და ა.შ.), მით უფრო ლიკვიდურია ბანკი. აღნიშნულ მომენტზე შემდეგ პარაგრაფებში იქნება საუბარი.

საბანკო ლიკვიდობაზე ალბათ მხოლოდ დადებითი მომენტების წინ წამოწევა არ იქნებოდა მართებული, რა თქმა უნდა, ლიკვიდობის პრობლემა, ანუ დეფიციტური ლიკვიდობა, მეტად სერიოზული პრობლემაა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ „ბევრი" ლიკვიდური აქტივი, ანუ **ჭარბი ლიკვიდობა** კარგია. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ლიკვიდური აქტივები ეს „არამუშა" აქტივებია და მათ უმეტეს ნაწილს შემოსავალი არ მოაქვს, ან თუ მოაქვს, იგი ბევრად ნაკლებია „მუშა" აქტივების შემოსავლიანობაზე, გასაგები ხდება, რომ ჭარბი ლიკვიდობა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ცხადყოფს მენეჯმენტის უუნარობას, მაქსიმალურად გამოიყენოს თავის ხელთ არსებული რესურსები შემოსავლების გასაზრდელად.

უფრო მეტიც, კომერციული ბანკების აქტივებში ლიკვიდური აქტივების მეტისმეტად დიდი ხვედრითი წილი მნიშვნელოვნად ამცირებს ბანკის მომგებიანობას. ბანკი მოიზიდავს სახსრებს დეპოზიტების სახით, თუ ამ მოზიდულ სახსრებს ბანკი დატოვებს სალაროში ნაღდი ფულის სახით და საკორესპონდენტო ანგარიშზე, მაშინ ეს იქნება ყველაზე საიმედო დაბანდება და ბანკს ექნება ლიკვიდური აქტივების დიდი ხვედრითი წილი, მაგრამ განსაზღვრული პერიოდის შემდეგ აუცილებელია არა მარტო დეპოზიტის, არამედ მასზე დარიცხული პროცენტის დაბრუნება. ბანკი დააბრუნებს დეპოზიტს, მაგრამ ვერ გასცემს პროცენტს, რადგანაც მას არავინ გადაუხდის პროცენტს სალაროში ნაღდი ფულის შენახვისათვის, პირიქით, ამისათვის იგი დამატებით ხარჯებს გასწევს. ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ზარალიანი ბანკი ვერ შეძლებს შეასრულოს სადეპოზიტო ხელშეკრულების პირობები და გადაიხადოს პროცენტები, ეს კი ლიკვიდობის პრობლემის გაჩენას ნიშნავს. ანუ მეტისმეტად ჭარბი ლიკვიდობა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში – ესაა ხარჯების ზრდა და შემოსავლების შემცირება

ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ ბანკის ლიკვიდური აქტივების გაზრდა ავტომატურად არ იწვევს თვითონ ბანკის ლიკვიდობის ამაღლებას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომერციული ბანკის წარმატებული მენეჯმენტი გულისხმობს ოქროს შუალედის ძებნას ლიკვიდობის დეფიციტსა და ჭარბ ლიკვიდობას შორის.

რაც შეეხება კომერციული ბანკის **გადახდისუნარიანობას**, იგი ითვალისწინებს ბანკის შესაძლებლობას, დროულად და სრულად გაისტუმროს ყველა ვალდებულება.

მიუხედავად ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის ცნებების მსგავსებისა, მათ შორის განსხვავება არსებობს და მისი დანახვა აუცილებელია. კერძოდ, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის, რომ ლიკვიდობა ვალდებულებების დროული დაფარვის შესაძლებლობაა, ხოლო გადახდისუნარიანობა – ვალდებულებების შესრულებისათვის პირობების შექმნა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლიკვიდობის დროებითი არარსებობის შემთხვევაში ბანკს შეუძლია არ დააბრუნოს დეპოზიტი დღეს და გადაიხადოს ჯარიმა დაყოვნებისათვის. თუმცა, იგი რჩება გადახდისუნარიანად, ვინაიდან სახსრების შემოსვლის შემდეგ შეასრულებს ვალდებულებებს და აღადგენს ლიკვიდობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, გადახდისუნარიან ბანკად იგულისხმება ის ბანკი, რომელსაც შეუძლია ადრე თუ გვიან შეასრულოს ვალდებულებები. ლიკვიდურია ბანკი, რომელიც მოცმული მომენტისათვის ასრულებს ყველა ვალდებულებას.

ლიკვიდობასა და გადახდისუნარიანობას შორის განსხვავების თვალსაჩინოებისათვის გავიხსენოთ ცნობილი ფინანსური „პირამიდა“, რომლის შემთხვევაშიც ვალდებულებების დაფარვა გადახდის ვადის დადგომისთანავე ხორციელდება მოზიდული სახსრების მეშვეობით. ამასთან, „პირამიდული“ სისტემა ლიკვიდურია (პირველ ეტაპებზე), სანამ ახალი სახსრების მოზიდვაა შესაძლებელი, მაგრამ არაგადახდისუნარიანია, ვინაიდან ფულადი ნაკადების შეწყვეტისთანავე ასეთი სისტემა არალიკვიდური ხდება.

როგორც ვხედავთ, ლიკვიდობასა და გადახდისუნარიანობას შორის მიზეზშედეგობრივი კავშირია. არალიკვიდობასა და გადახდისუნარიანობას შორის სიტუაციის შეუსაბამობა დიდხანს ვერ გაგრძელდება, რადგან შეუსრულებელ ვალდებულებებზე ჯარიმების მოცულობა ყოველდღიურად გაიზრდება, შეილახება რეპუტაცია, რასაც მოჰყვება მომგებიანი პროექტებისა და კლიენტების დაკარგვა და ა. შ. დადგენილი ზღვარის მიღწევის შემდეგ არალიკვიდობა მიგვიყვანს გადახდისუუნაროობამდე, ვინაიდან ვალდებულებები უფრო სწრაფად გაიზრდება, ვიდრე აქტივები. ამ შემთხვევაში, თუკი ბანკმა შეძლო ლიკვიდობის აღდგენა ამ ზღვრამდე მისვლამდე, მაშინ ლიკვიდობის კრიზისი დროებითი ხასიათის მატარებელი იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი ლიკვიდობის კრიზისიდან გადახდისუუნაროობის კრიზისში გადავა.

მოკლედ თუ შევაჯამებთ, ლიკვიდობა არის ბანკის უნარი, მოცემული თარიღისათვის (მაგალითად: ხვალ, თვის ბოლოს ან წლის ბოლოს) სრულად შეასრულოს იმ პერიოდისათვის ვადადამდგარი ვალდებულებები, ხოლო გადახდისუნარიანობა – ესაა მისი შესაძლებლობა, იმავე ვადაში სრულად გაისტუმროს ყველა ვალდებულება, ანუ მისი ბალანსის აქტივები მეტია ვალდებულებებზე (პასივებს მინუს კაპიტალი). როგორც ვხედავთ, შეიძლება მოცემულ მომენტში ბანკი იყოს არალიკვიდური, მაგრამ ეს ავტომატურად არ ნიშნავს მის არაგადახდისუნარიანობას, ისევე როგორც დღეს არსებული ლიკვიდობა არ ნიშნავს, რომ ბანკი გადახდისუნარიანია.

8.2. კომერციული ბანკის ლიკვიდობასა და გადახდისუნარიანობაზე მოქმედი ფაქტორები

მას შემდეგ, რაც გავეცანით ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის არსსა და მათ მნიშვნელობას კომერციული ბანკის საიმედოობისა და მდგრადობის უზრუნველყოფისათვის, შევეხოთ იმ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ მათზე. მარტივი შეფასებით ეს ფაქტორები სამი ტიპისაა: მაკროეკონომიკური, ქვეყნის შიდა და შიდა საბანკო. ბუნებრივია, მათი გავლენა როგორც მთლიანად საბანკო სისტემის, ისე კონკრეტული კომერციული ბანკის ლიკვიდობასა და გადახდისუნარიანობაზე შეიძლება იყოს დადებითიც და უარყოფითიც.

1) მაკროეკონომიკურ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ კომერციული ბანკების ლიკვიდობასა და გადახდისუნარიანობაზე, მიეკუთვნება: ვითარება საერთაშორისო საფინანსო ბაზრებზე და რეგიონის პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა. დავახასიათოთ ისინი მოკლედ:

- **ვითარება საერთაშორისო საფინანსო ბაზრებზე** გავლენას ახდენს ცალკეული ქვეყნების კომერციული ბანკების ლიკვიდობასა და გადახდისუნარიანობაზე, ვინაიდან ეს ბაზრები ითვლებიან საკრედიტო რესურსების, განსაკუთრებით – ბანკთაშორისი კრედიტების მსხვილ კრედიტორებად. საერთაშორისო საფინანსო ბაზრები მეტად მგრძნობიარენი არიან მსოფლიო საბაზრო კონიუნქტურის ცვლილებებისადმი, ხოლო, თავის მხრივ, ისინი გავლენას ახდენენ სხვა ქვეყნებში საბანკო კრედიტების ფასსა და ხელმისაწვდომობაზე;
- **რეგიონის პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა**, გეოპოლიტიკური ვითარება, ბუნებრივია, შეიძლება გახდეს როგორც დადებით, ისე მკვეთრად ნეგატიური გავლენის მქონე ქვეყნის კომერციული ბანკების ლიკვიდობასა და გადახდისუნარიანობაზე.

2) ქვეყნის შიდა ფაქტორებია ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების დონე, საბანკო სისტემისა და ბანკთაშორისი დაკრედიტების განვითარების ხარისხი, ქვეყნის ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო რეგულირების ინსტრუმენტების მოქნილობა და ცენტრალური ბანკის საზედამხედველო ფუნქციის ქმედუნარიანობა. მოკლედ დავახასიათოთ ისინი:

- **ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა**, განსაკუთრებით კი – მისი მკვეთრი ცვლილებები, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორია, რომელიც ზოგადად გავლენას ახდენს მთელი ქვეყნის საბანკო სისტემის ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის დონეზე. ამის კარგი მაგალითია 2008 წლის აგვისტოს ცნობილი მოვლენების ნეგატიური გავლენა საბანკო სისტემის ლიკვიდობაზე, როცა მხოლოდ აგვისტოში საბანკო სისტემის ფულადი სახსრები, ანუ ლიკვიდური აქტივები, 26%-ით შემცირდა, სულ რაღაც სამ თვეში ბანკების აქტივებმა 12%-ით, ანუ 1 მლრდ ლარით იკლო, რაც მეტწილად ლიკვიდური აქტივების ხარჯზე მოხდა;
- **ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების დონე**, როგორც საბანკო სისტემის კონკურენტი ფულადი კაპიტალის ბაზარზე, ასევე მნიშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვნელოვანი ფაქტორია, და მოქნილ ინსტრუმენტს წარმოადგენს კომერციული ბანკების ლიკვიდობის მართვისას;

- **საბანკო სისტემისა და ბანკთაშორისი დაკრედიტების განვითარების ხარისხი** პირდაპირ გავლენას ახდენს კომერციული ბანკების რესურსების ხელმისაწვდომობასა და ფასზე. გავიხსენოთ, რომ ერთი ან რამდენიმე კომერციული ბანკის ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის პრობლემამ შეიძლება სხვა, ჯანსაღ ბანკებსაც შეუქმნას კრიზისული მდგომარეობა;
- **ქვეყნის ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო რეგულირების ინსტრუმენტების მოქნილობის** გავლენა კარგად გამოჩნდება, თუ გავიხსენებთ საქართველოს ეროვნული ბანკის როლს 2008 წლის აგვისტოს მოვლენებისას. რომ არა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გატარებული ღონისძიებები, ქართულ კომერციულ ბანკებს საკუთარი ძალებით ძალიან გაუჭირდებოდათ შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლა. კერძოდ, აგვისტოში ეროვნულმა ბანკმა განაცხადა თავისი სავალუტო რეზერვების გახსნის მზადყოფნის შესახებ საბანკო სისტემის ლიკვიდობის შესანარჩუნებლად და დაიწყო ერთკვირიანი რეფინანსირების სესხების გაცემა კომერციულ ბანკებზე რეფინანსირების განაკვეთის ეტაპობრივ შემცირებასთან ერთად. დროული და ეფექტიანი გამოდგა კომერციული ბანკების სავალდებულო ლიკვიდობის ნორმატივის 30%-დან 20%-მდე, ხოლო მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები ჯერ 13%-დან 10%-მდე, ხოლო სექტემბრის ბოლოს 5%-მდე შემცირება, რაც შენარჩუნებულ იქნა 2010 წლის აპრილამდე;
- **ცენტრალური ბანკის საზედამხედველო ფუნქციის ქმედუნარიანობა** დიდ როლს ასრულებს კომერციული ბანკების ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფისათვის, გამომდინარე მისი ერთ-ერთი მთავარი ფუნქციიდან. ცენტრალური ბანკები აწესებენ სპეციალურ სავალდებულო ნორმარტივებს, რომლებიც ავალდებულებენ კომერციულ ბანკებს, შექმნან ლიკვიდური აქტივების მინიმალური დონე (მაგალითად, ზემოაღნიშნული სავალდებულო ლიკვიდობის ნორმატივი).

3) შიდა საბანკო ფაქტორები ზემოაღნიშნული ფაქტორებიდან ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანია და გულისხმობს კონკრეტული ბანკის მდგომარეობას, კერძოდ: ადეკვატური კაპიტალი, აქტივების სტრუქტურა და ხარისხი, პასივების სტრუქტურა და ხარისხი, აქტივებისა და ვალდებულებების ვადების მიხედვით შესაბამისობა, ბანკის იმიჯი და მოქნილი მენეჯმენტი. მათ შორის:

- **ადეკვატური კაპიტალი,** გამომდინარე მისი ფუნქციებიდან, განსაკუთრებით დაცვითი ფუნქციიდან, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს კომერციული ბანკის ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის დონეს. ადეკვატური კაპიტალი, მისი სტრუქტურა, რეზერვებისა და გაუნაწილებელი მოგების წილი მთლიან კაპიტალში უზრუნველყოფს პრობლემების მინიმიზებაციას ლიკვიდობის კრიზისის დროს;
- **აქტივების სტრუქტურა და ხარისხი** არის მთავარი ინდიკატორი, რომლის გაანალიზებაც გვაძლევს პირველად ინფორმაციას კომერციული ბანკის ლიკვიდობის პრობლემურობის შესახებ. მაგალითისათვის, განვიხილოთ სამი პირობითი ბანკის აქტივების სტრუქტურა და შევაფასოთ ისინი (ცხრ. №8.1.). მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა მოცულობისაა ეს აქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტივები, ანუ რომელი ბანკია უფრო დიდი, განვიხილოთ მათი სტრუქტურა – თითოეული აქტივის ხვედრითი წილი მთლიან აქტივებში. როგორც ვხედავთ, ბანკ A-ს აქტივებში ლიკვიდური აქტივების (პირველი ოთხი ელემენტი) ხვედრითი წილი 15%-ია, ანუ მინიმალურია, ბანკ B-ს შემთხვევაში გვაქვს 30%, ანუ ზომიერი დონე, ხოლო ბანკი C ხასიათდება ჭარბი ლიკვიდობით – 56%. შესაბამისად, „მუშა" აქტივები ამ ბანკებში უკუპროპორციულია – 73%, 62% და 51%. ბუნებრივია, ბანკ A-ს უკვე აქვს ლიკვიდობის პრობლემა ან მალე დადგება ამის წინაშე და საფრთხე ემუქრება მის გადახდისუნარიანობასაც. ბანკ C-ს აქტივები ხასიათდება ჭარბი ლიკვიდობით, ანუ მასში მინიმალურია „მუშა" აქტივების ხვედრითი წილი, რაც მენეჯმენტის არაეფექტიანობაზე ან „ზედმეტ სიფრთხილეზე" მეტყველებს. ბანკ B-ს აქვს ყველაზე ზომიერი ლიკვიდობისა და, შესაბამისად – „მუშა" აქტივების ყველაზე ოპტიმალური დონე;

ცხრ. №8.1. სამი პირობითი კომერციული ბანკის აქტივების სტრუქტურა (ხვედრითი წილი %)

	აქტივები	ბანკი A	ბანკი B	ბანკი C
1	ნაღდი ფული	4	5	6
2	სახსრები სებ-ში	5	10	15
3	სახსრები სხვა ბანკებში	3	10	25
4	ფასიანი ქაღალდები	3	5	10
5	წმინდა სესხები	60	50	40
6	ინვესტიციები	10	7	1
7	წმინდა ფიქსირებული აქტივები	10	8	2
8	სხვა აქტივები	5	5	1
	მთლიანი წმინდა აქტივები	**100**	**100**	**100**
	ლიკვიდური აქტივები (1, 2, 3, 4)	**15**	**30**	**56**
	„მუშა" აქტივები (4, 5, 6)	**73**	**62**	**51**

- **პასივების სტრუქტურა და ხარისხი**, ანუ მისი რესურსების მდგომარეობა, გვიჩვენებს, თუ რამდენად სტაბილური და გრძელვადიანია მათი რესურსები, რამდენია მათში მოთხოვნამდე, ანუ არასტაბილური დეპოზიტების წილი, აქვს თუ არა სუბორდინირებული ვალდებულებები და როგორია მისი კაპიტალური ბაზა. ამის საილუსტრაციოდ, აქტივების მსგავსად, მოვახდინოთ სამი პირობითი ბანკის პასივების სტრუქტურის ანალიზი (ცხრ. №8.2.). მარტივი ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ პირობითი ბანკები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ბანკ A-ს პასივებში დიდი ხვედრითი წილით გამოირჩევა არასაბანკო დეპოზიტები, მათ შორის, მოთხოვნამდე, მინიმალურია სხვა ბანკების სახსრები და რესურსები მოზიდული საკუთარი ფასიანი ქაღალდების ემისიით, არ გააჩნია სუბორდინირებული ვალდებულებები და შედარებით ოპტიმალურია საკუთარი კაპიტალის დონე. ბანკ B-ს სტრუქტურაში თანაბრადაა წარმოდგენილი ყველა შესაძლო წყარო და საკმაოდ მაღალია სუბორდინირებული ვალდებულებებისა და კაპიტალის ხვედრითი წილი. რაც შეეხება ბანკ C-ს, იგი ნაკლებ ორიენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტირებულია არასაბანკო დეპოზიტებზე და უფრო საბანკო დეპოზიტებითა და სუბორდინირებული ვალდებულებებითაა წარმოდგენილი, შედარებით ნაკლებია მისი კაპიტალის მოცულობაც. როგორც ვხედავთ, ბანკები – A და C არიან მნიშვნელოვნად დამოკიდებულნი ერთ ან რამდენიმე წყაროზე და უფრო დიდი რისკის ქვეშ არიან, მაშინ, როცა ბანკი B რესურსების წყაროების დივერსიფიკაციით და კაპიტალის მაღალი ადეკვატურობით გამოირჩევა;

ცხრ. №8.2. სამი პირობითი კომერციული ბანკის პასივების სტრუქტურა (ხვედრითი წილი %)

	პასივები	ბანკი A	ბანკი B	ბანკი C
1	დეპოზიტები მოთხოვნამდე	60	35	20
2	ვადიანი დეპოზიტები	15	20	25
3	სხვა ბანკების სახსრები	9	10	30
4	საკუთარი სავალო ფ/ქაღალდები	0	6	2
5	სხვა ვალდებულებები	1	2	3
6	სუბორდინირებული ვალდებულებები	0	7	10
7	საკუთარი კაპიტალი	15	20	10
	მთლიანი პასივები	100	100	100

	არასაბანკო დეპოზიტები	75	55	45
	ბანკების სახსრები და საკუთ. ფ/ქაღალდები	9	16	38
	სუბორდინირებული სახსრები და კაპიტალი	15	27	14

- **აქტივებისა და ვალდებულებების ვადების მიხედვით შესაბამისობა** არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს კომერციული ბანკის ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის დონეს. ისევ განვიხილოთ რამდენიმე პირობითი ბანკის მაგალითი, რომელიც საშუალებას მოგვცემს, არათუ თვალსაჩინოდ ვნახოთ, რა იგულისხმება ამ ფაქტორში, არამედ შევადაროთ მისი ორი შესაძლო ტიპური სურათი (ცხრ. №8.3.). როგორც ვხედავთ, ორი ბანკის კარდინალურად განსხვავებული სურათი გვაქვს. ბანკ A-ს შემთხვევაში სახეზეა პრობლემური მდგომარეობა, როცა რესურსების უმეტესი ნაწილი (75%) მოკლევადიანია, მაშინ, როცა მოკლევადიან აქტივებში მხოლოდ 30%-ია განთავსებული. შესაბამისად, გამოდის, რომ ბანკმა მოიზიდა მოკლევადიანი რესურსები და განათავსა ისინი გრძელვადიან აქტივებში, რაც მას სერიოზულ გადახდისუნარიანობის პრობლემას შეუქმნის პირველივე ლიკვიდობის კრიზისის დადგომისას. საპირისპირო სურათია ბანკ B-ს შემთხვევაში, როცა აქტივების ვალდებულებების ვადები შესაბამისობაშია აქტივების ვადებთან. რა თქმა უნდა, უფრო ღრმა ანალიზის დროს ხდება მოცულობების შესაბამისობის განსაზღვრაც, რითაც თვალსაჩინო ხდება „გეპ“-ის, „გარღვევის“ (GAP) მოცულობის დადგენა ვადის თითოეული ჯგუფის მიხედვით (ე. წ. „გეპ“-ის კონცენტრაცია). საინტერესოა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ლიტერატურაში განმარტებული ბანკის ლიკვიდობა „განისაზღვრება მისი აქტივებისა და პასივების

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბალანსებით, მოზიდვებისა და განთავსების ვადების შესაბამისობის ხარისხით“, სწორედ ჩვენ მიერ განხილულ მაგალითს გულისხმობს;

ცხრ. №8.3. ორი პიროგითი კომერციული ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების ვადების მიხედვით შესაბამისობა (ხვედრითი წილი %)

აქტივები		ვადა	ვალდებულებები	
ბანკი A	ბანკი B		ბანკი A	ბანკი B
5	5	მოთხოვნამდე	40	10
0	5	7 დღემდე	10	5
10	10	30 დღემდე	10	10
5	10	1-დან 3 თვემდე	5	10
10	10	3-დან 6 თვემდე	10	10
5	10	6-დან 12 თვემდე	10	15
10	15	1-დან 2 წლამდე	10	10
25	15	2-დან 5 წლამდე	5	15
30	20	5 წელზე მეტი ვადით	0	15
100	100	სულ	100	100
30	40	მოკლევადიანი (6 თვემდე)	75	45
15	25	საშუალოვადიანი (6 თვიდან 2 წლამდე)	20	25
55	35	გრძელვადიანი (2 წლიდან)	5	30

- **ბანკის იმიჯი** – რაც უფრო მაღალი რეიტინგი აქვს ბანკს, მით უფრო იზრდება მისი შესაძლებლობები, მიიღოს რესურსი სასურველ ვადაში და საჭირო მოცულობით, როგორც დამტკიცებული საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში, ისე მოთხოვნისთანავე. გამომდინარე აქედან, ბანკებმა უნდა იზრუნონ საკუთარი რეპუტაციისა და იმიჯის ზრდაზე როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ბაზარზე;
- **მოქნილი მენეჯმენტი**, ანუ კვალიფიციური დირექტორები, რომლებიც ხელმძღვანელობენ საკუთარი გამოცდილებით და ბანკში არსებული მოქნილი პროცედურებით არის აუცილებელი ფაქტორი, რომელიც უზრუნველყოფს კომერციული ბანკის ლიკვიდობის მართვას და მისი გადახდისუუნარობის თავიდან აცილებას. ყველაზე მთავარი მაინც არის ის, რომ უმაღლეს მენეჯმენტს სრულად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული ბანკის ლიკვიდობის მართვის ეფექტიანი სისტემების არსებობის აუცილებლობა.

როგორც ვხედავთ, საბანკო სისტემისა და კონკრეტული კომერციული ბანკის ლიკვიდობის დონესა და გადახდისუნარიანობაზე უამრავი ფაქტორი ახდენს გავლენას. მათ შორის არის როგორც ობიექტური (მაკროეკონომიკური და ქვეყნის შიდა), ისე სუბიექტური (შიდა საბანკო) ფაქტორები. ბანკის ხელმძღვანელობას ხელთ უნდა ეპყრას ლიკვიდობაზე მოქმედი არა მარტო სუბიექტური ფაქტორების მართვის სადავეები, არამედ მზად უნდა იყოს ობიექტური ფაქტორების ნეგატიური გავლენის თავიდან ასაცილებლად მინიმალური დანაკარგებით, რასაც რეალურად ლიკვიდობის მართვა ეწოდება და ამ საკითხს დეტალურად შემდეგ პარაგრაფში განვიხილავთ.

8.3. კომერციული ბანკის ლიკვიდობის მართვა

კომერციული ბანკების მიერ ლიკვიდობის მართვა საბანკო მენეჯმენტის უმნიშვნელოვანესი ელემენტია და გულისხმობს ღონისძიებათა კომპლექსს, რომელიც მიმართულია, ერთი მხრივ, საბანკო სისტემის, მეორე მხრივ კი, ცალკეული კომერციული ბანკების ლიკვიდობის უზრუნველყოფისაკენ. აქედან გამომდინარე, ლიკვიდობის მართვა შეიძლება განვიხილოთ ორი მიმართულებით: ცენტრალური ბანკის მხრიდან საბანკო სისტემის ლიკვიდობის მართვა და თითოეული კომერციული ბანკის მიერ საკუთარი ლიკვიდობის მართვა. ბუნებრივია, განსხვავებულია ამ ორი მიმართულების მიზანი, მეთოდები, ინსტრუმენტები და თვითონ ლიკვიდობის მართვის პროცესი.

1) ცენტრალური ბანკის მიერ საბანკო სისტემის ლიკვიდობის მართვა

როცა ვამბობთ, რომ ქვეყნის ცენტრალური ბანკი უზრუნველყოფს საბანკო სისტემის ლიკვიდობას, ბუნებრივია, ეს გულისხმობს ასევე ყველა ცალკეული საკრედიტო ორგანიზაციის ლიკვიდობას. აქედან გამომდინარე, ცენტრალური ბანკი უზრუნველყოფს ლიკვიდობის შენარჩუნების ხელშემწყობ გარემოსა და ოპერატიული პრევენციის ინსტრუმენტების ნაკრების არსებობას აუცილებლობის შემთხვევაში. ასევე, ცენტრალური ბანკი ადგენს ლიკვიდობის დაცვის სავალდებულო ნორმატივებს საკრედიტო ორგანიზაციებისათვის და აწესებს მათი კონტროლის მექანიზმებს. როგორ უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნული ბანკი საბანკო სისტემის (ანუ ყველა კომერციული ბანკის) ლიკვიდობის შენარჩუნებასა და მართვას?

როგორც გასული მასალიდან გვახსოვს, საბანკო სისტემის ლიკვიდობის შენარჩუნება საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. აქედან გამომდინარე, ეროვნული ბანკის მხრიდან საბანკო სისტემის ლიკვიდობის მართვის მთავარი პრიორიტეტი ბანკთაშორის ფულად ბაზარზე მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთის რეგულირებაა, რითაც იგი აღწევს თავის ძირითად მიზანს – ფასების სტაბილურობას. აღნიშნული მიიღწევა იმით, რომ ეროვნული ბანკი გავლენას ახდენს მოკლევადიან საპროცენტო განაკვეთებზე, რომელთა ცვლილება გადაეცემა უფრო გრძელვადიან განაკვეთებს და, საბოლოო ჯამში, გავლენას ახდენს ერთობლივ მოთხოვნასა და ფასებზე.

თავდაპირველად, ბანკთაშორის მოკლევადიან ფულად ბაზარზე სასურველი საპროცენტო განაკვეთის მისაღწევად ეროვნული ბანკი ახდენს ლიკვიდობაზე მოთხოვნის პროგნოზირებას. ამის შემდეგ იგი რეფინანსირების ოპერაციების მეშვეობით მიაწვდის ბაზარს ლიკვიდობას (მოკლევადიან კრედიტებს) იმ მოცულობით, რაც უზრუნველყოფს ფულად ბაზარზე სასურველი საპროცენტო განაკვეთის (მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი) ჩამოყალიბებას. იმ შემთხვევაში, თუ ჩამოყალიბებული საპროცენტო განაკვეთი აღემატება მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს, ეროვნული ბანკი გაზრდის რეფინანსირების სესხებით ლიკვიდობის მიწოდებას ბაზარზე იმ მოცულობით, სანამ საპროცენტო განაკვეთი არ დაუახლოვდება პოლიტიკის განაკვეთს და, პირიქით, თუ საპროცენტო განაკვეთი ნაკლებია პოლიტიკის განაკვეთზე, ეროვნული ბანკი ამცირებს რეფინანსირების სესხებით ლიკვიდობის მიწოდებას.

რეფინანსირების ოპერაციები მოქმედებს აუქციონების მეშვეობით, რომლებიც იმართება კვირაში ერთხელ. კომერციულ ბანკებს რეფინანსირების სესხის აღება შეუძლიათ თავიანთი სასესხო პორტფელის, საერთაშორისო ორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განიზაციების მიერ გაცემული გარანტიის უზრუნველყოფით, სადეპოზიტო სერტიფიკატების ან სამთავრობო ფასიანი ქაღალდების გირაოს საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ რეფინანსირების სესხის გირაოდ გამოიყენება მხოლოდ ეროვნული ვალუტით დენომინირებული სესხები. აუქციონის მოცულობა ცხადდება ერთი დღით ადრე, ლიკვიდობის პროგნოზის საფუძველზე.

როგორც გასული მასალიდან გვახსოვს, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები, როგორც კომერციული ბანკების ლიკვიდური სახსრების მინიმალური მარაგის შექმნა ცენტრალურ ბანკში, სწორედ ცალკეული საკრედიტო ინსტიტუტების ლიკვიდობის მართვას ემსახურება.

კიდევ ერთი ინსტრუმენტი, რითაც საქართველოს ეროვნული ბანკი მართავს კომერციული ბანკების ლიკვიდობას, არის მათთვის დადგენილი ლიკვიდობის სავალდებულო ნორმატივები, რომელთა გაანგარიშების მეთოდოლოგიასა და დაცვის წესებს შემდეგ პარაგრაფში განვიხილავთ.

საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან საბანკო სისტემის ლიკვიდობის მართვას ემსახურება ასევე მის მიერ ორგანიზებული „დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემა (RTGS)“ და „ბლუმბერგის სავაჭრო სისტემა“. აღნიშნული სისტემები შემდეგ თავებში იქნება განხილული.

2) კომერციული ბანკების მიერ საკუთარი ლიკვიდობის მართვა

რაც შეეხება ცალკეული კომერციული ბანკის მიერ საკუთარი ლიკვიდობის მართვას, ერთი შეხედვით, იგი გამოიხატება ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილი ნორმატივების დაცვით. თუმცა, მეორე მხრივ, ესაა ღონისძიებათა მთელი კომპლექსი, რომელიც მოიცავს ლიკვიდობის პროგნოზს, ანალიზს, შეფასებას, კონტროლსა და რეგულირებას. ამ სირთულის დასანახავად უნდა გავითვალისწინოთ, რომ კომერციული ბანკის მიერ საკუთარი ლიკვიდობის მართვა, ფაქტობრივად, ესაა გასულ პარაგრაფში განხილული ლიკვიდობაზე მოქმედი ფაქტორების მართვა.

ბუნებრივია, კომერციული ბანკი მაკროეკონომიკურ და ქვეყნის შიდა, ანუ ობიექტურ ფაქტორებზე, გავლენას ვერ მოახდენს, მაგრამ ლიკვიდობის მართვა მათი მიმართულებით გულისხმობს, რომ იგი მზად უნდა იყოს ნებისმიერი ნეგატიური სცენარისათვის. მზადყოფნა კი არის შესაბამისი მენეჯერების კვალიფიკაცია, პროგნოზირება-კონტროლის ქმედითი სისტემა და ალტერნატიული, ანუ რესურსების მოზიდვის გამოუყენებელი რეზერვების არსებობა.

რაც შეეხება შიდა საბანკო ფაქტორებს, მათზე გავლენის მოხდენა უკვე მთლიანად კომერციული ბანკის მენეჯმენტის ხელშია და მას აქვს (უნდა ჰქონდეს) ყველა ბერკეტი, რათა ეფექტიანად და მინიმალური დანაკარგებით მართოს ლიკვიდობა. ამ მიმართულებით ყველაზე მარტივი გამოსავალი, რა თქმა უნდა, არის ის, რომ შენარჩუნდეს კომერციული ბანკის აქტივებისა და პასივების ისეთი ოპტიმალური სტრუქტურა და ვადებისა და მოცულობების მიხედვით შესაბამისობა, რომ მიღწეულ იქნეს, ერთი მხრივ, მომგებიანობის მაღალი დონე და მეორე მხრივ, ლიკვიდობის ისეთი მაჩვენებელი, რომელიც არ შეუქმნის პრობლემას არც ბანკს და არც მის პარტნიორებს. თუმცა, ასეთი იდეალური და იდილიური მდგომარეობის შენარჩუნება დღევანდელ მეტად დინამიკურ ბიზნესგარემოში ძალზე იშვიათობაა ან მხოლოდ ხანმოკლე პერიოდშია შესაძლებელი, ბანკებს უწევთ მუდმივად სიარული „ბეწვის ხიდზე“ ლიკვიდობასა და მომგებიანობას შორის. როგორ გამოიხატება ეს?

ნებისმიერი კომერციული ბანკის ხელმძღვანელობის წინაშე მუდმივად დგას ორი ურთიერთდამოკიდებული, სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხი:

- რა ფასად, რა ვადით, რა მოცულობით, რა მიმართულებით და რა რისკად, ანუ რომელ აქტივებში განათავსოს თავის ხელთ არსებული რესურსები?
- რამდენი რესურსია საჭირო, რათა, ერთი მხრივ, უზრუნველყოფილ იქნეს მომგებიანობის სასურველი დონე და, მეორე მხრივ, ლიკვიდური აქტივების მინიმალური მოცულობა, რათა თავიდან აიცილონ გადახდისუუნარობის პრობლემები, რომელთა წარმოქმნის შემთხვევაში უკვე მომგებიანობას ექმნება პრობლემები.

ცხადია, ამ საკითხების მნიშვნელობა კარგად ესმის კომერციული ბანკის მენეჯმენტს. როგორც აღინიშნა, ჭარბი ლიკვიდობა უზრუნველყოფს მენეჯმენტის „მშვიდ ძილს“, მაგრამ იგი მიუღებელია აქციონერებისათვის, ვინაიდან ნეგატიურად აისახება მომგებიანობაზე, ამიტომ მოკლევადიან პერსპექტივაში ბანკის მენეჯმენტი ცდილობს ლიკვიდობის მხოლოდ მინიმალური დონის შენარჩუნებას, რათა რაც შეიძლება მეტი რესურსი განათავსოს შემოსავლების მომტან („მუშა“) აქტივებში. კომერციული ბანკი ამ შემთხვევაში მუშაობს დამტკიცებული ლიკვიდობის ლიმიტების, ანუ ლიკვიდობის რისკის ზღვარზე და ამით აღწევს შემოსავლიანობის მაქსიმალურ ეფექტს. თუმცა, როგორც აღინიშნა, ასეთი დაძაბული რეჟიმი მხოლოდ მოკლევადიან პერსპექტივაშია შესაძლებელი და სასურველი. რაც შეეხება გრძელვადიან პერსპექტივას, შენარჩუნებული უნდა იქნეს ლიკვიდობის შედარებით მაღალი დონე, რაც, ბუნებრივია, ამცირებს „მუშა“ აქტივების წილს და მომგებიანობის მაჩვენებელს, სამაგიეროდ, შენარჩუნებულია კომერციული ბანკის მდგრადობა, საიმედოობა და გადახდისუნარიანობა.

ცხრ. №8.4-ში ნაჩვენებია დამოკიდებულება აქტივების შემოსავლიანობას, რისკის დონესა და ლიკვიდობის ხარისხს შორის. აქ კარგად ჩანს, რომ რაც ნაკლებია ლიკვიდობა, მით მეტია მისი რისკის დონე და, შესაბამისად – შემოსავლიანობა. რა თქმა უნდა, გამონაკლისია ბოლო, ლიკვიდობის V ჯგუფში შემავალი ფიქსირებული აქტივები (ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები):

ცხრ. №8.4. კომერციული ბანკის აქტივები შემოსავლიანობის, რისკის დონისა და ლიკვიდობის ხარისხის მიხედვით

აქტივი	შემოსავლიანობა	რისკის დონე	ლიკვიდობის ხარისხი	
ნაღდი ფული	უფასო	მინიმალური	უმაღლესი	I
ფული საკორესპონდენტო ანგარიშებზე	უფასო ან მინიმალ.	მინიმალური	უმაღლესი	I
სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები	დაბალი	მინიმალური	უმაღლესი	I
კორპორაციული ფასიანი ქაღალდები	საშუალო	დაბალი	მაღალი	II
ბანკთაშორისი კრედიტები	საშუალო	დაბალი	მაღალი	II
მოკლევადიანი კრედიტები	მაღალი	საშუალო	საშუალო	III
ფაქტორინგული ოპერაციები	მაღალი	საშუალო	საშუალო	III
გრძელვადიანი კრედიტები	მაღალი	მაღალი	დაბალი	IV
სალიზინგო ოპერაციები	მაღალი	მაღალი	დაბალი	IV
ინვესტიციები	მაღალი	მაღალი	დაბალი	IV
ფიქსირებული აქტივები	უფასო	მაღალი	მინიმალური	V

აქედან გამომდინარე, თითოეული ბანკის მენეჯმენტი (დირექტორატი) თვითონ შეიმუშავებს ლიკვიდობის მართვის საკუთარ სტრატეგიას და უთანხმებს მას აქციონერებს, უფრო სწორად, მათ წარმომადგენელს – სამეთვალყურეო საბჭოს. კომერციული ბანკის მიერ შემუშავებული **ლიკვიდობის მართვის სტრატეგია** – ესაა ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც მოწოდებულია, განსაზღვროს ლიკვიდობის მინიმალური დონე, ანუ გაავლოს „წითელი ხაზი" მომგებიანობასა და ლიკვიდობას შორის, ასევე შექმნეს მისი კონტროლის და მართვის, ანუ წარმოქმნილი სირთულეების აღმოფხვრის ქმედითი სისტემა, რათა ბანკს არ შეექმნას ქრონიკული ლიკვიდობის, შემდეგ კი – გადახდისუნარიანობის პრობლემები.

სანამ გადავალთ უშუალოდ ლიკვიდობის მართვის მეთოდებზე, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რომ კომერციული ბანკის ლიკვიდობა – ესაა ვალდებულებების სრულად და დროულად გასტუმრების უნარი და განვმარტოთ, რა ვალდებულებებზე შეიძლება იყოს საუბარი. ეს ვალდებულებები ორი ტიპისაა: რეალური და პირობითი. რეალური ვალდებულებები გამომდინარეობს ბანკის ბალანსის პასივიდან, ანუ ვადიანი და მოთხოვნამდე დეპოზიტები, ნასესხები სახსრები და ა. შ. რაც შეეხება პირობით ვალდებულებებს, ესაა მიღებული გადაწყვეტილებები კრედიტის გაცემაზე, მათ შორის, აუთვისებელი საკრედიტო ხაზები, ასევე გაცემული საბანკო გარანტიები, ვალდებულებები ვადიანი გარიგებების მიხედვით და სხვ. ცხადია, ამ და სხვა ვალდებულებების შესრულებას კომერციული ბანკი ახორციელებს თავის ხელთ არსებული ლიკვიდური სახსრების მეშვეობით, ხოლო მათი უკმარისობის შემთხვევაში ახდენს დამატებითი რესურსების მოზიდვას, ანუ ახალი ვალდებულებების აღებას.

ლიკვიდობის მართვის მეთოდების რამდენიმე ნაირსახეობა არსებობს, თუმცა, მათ შორის ყველაზე გავრცელებულია სამი: (I) აქტივების მართვა, (II) პასივების მართვა და (III) აქტივ-პასივების დაბალანსებული მართვა. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

I. აქტივების მართვა გულისხმობს კომერციული ბანკის ლიკვიდობის მართვის მეთოდს, რომლის დროსაც იგი საკუთარი და მოზიდული სახსრების განთავსებას აქტივებში ახდენს იმგვარად (ისეთი სტრუქტურით), რომ მინიმუმამდე დაიყვანოს რისკები, შენარჩუნდეს ლიკვიდობის ზომიერი დონე მაქსიმალურად მიღწევადი შემოსავლიანობის უზრუნველყოფით.

კომერციული ბანკის ლიკვიდობის მართვა კომპლექსური პროცესია, რომელიც ეხება როგორც აქტივებს, ისე მის პასივებს და ამ პროცესის მართვისათვის ორი წყარო არსებობს: შიდა და გარე. აქტივების მართვის მეთოდი გულისხმობს ლიკვიდობის მართვისას შიდა წყაროების გამოყენებას, ანუ აქტივების ისეთი სტრუქტურის არსებობას, რომელიც საშუალებას იძლევა, გადაილახოს ლიკვიდობის ნებისმიერი კრიზისი ერთი აქტივის მეორე აქტივად ოპერატიულად გადაქცევის გზით.

როგორც ვხედავთ, აქტივების მართვის მეთოდი გულისხმობს რესურსების ეფექტიან განთავსებას, ანუ აქტივების ოპტიმალური სტრუქტურის შექმნას, როცა ერთმანეთს შეხამებულია მაქსიმალური შემოსავლიანობა და რისკის მინიმალური დონე (ლიკვიდური სახსრების „საკმარისი" მარაგი). ამ მეთოდის მთავარი არსი არის ის, რომ იგი მუდმივად ინარჩუნებს ლიკვიდობის დადგენილ დონეს, ანუ მაღალლიკვიდური აქტივების (I და II ჯგუფების აქტივები ცხრილიდან №8.4.) დიდ ხვედრით წილს მთლიან აქტივებში, IV და V ჯგუფების აქტივების მაქსიმალური დონის შეზღუდვასთან ერთად. ყოველივე ამის გათვალ-

ისწინებით, აქტივების მართვის მეთოდი გულისხმობს მის ორ ნაირსახეობას: ა) სახსრების საერთო ფონდის მეთოდი და ბ) სახსრების კონვერსიის, ანუ აქტივების განაწილების მეთოდი.

ა) სახსრების საერთო ფონდის მეთოდი წარმოადგენს აქტივების მართვის ყველაზე მარტივ მეთოდს, რომლის მიხედვით, ყველა რესურსი (მოზიდული სახსრები და საკუთარი სახსრები) თავს იყრის ერთ „საერთო ფონდში“, რათა შემდეგ განაწილდეს სხვადასხვა აქტივში ბანკის შეხედულებისამებრ, ანუ მისი სტრატეგიის შესაბამისად (სქემა №8.1.).



სქემა №8.1. ლიკვიდობის მართვის სახსრების საერთო ფონდის მეთოდი

აღნიშნული მეთოდის დადებითი მხარეა ის, რომ ლიკვიდური აქტივების შესაბამისი მარაგის ფორმირების შემდეგ მენეჯმენტს ეძლევა აქტივების სხვადასხვა მიმართულებით განთავსების თავისუფლება. მეთოდის უარყოფით მხარეს წარმოადგენს ის, რომ მენეჯმენტის გადაწყვეტილება აქტივების ფორმირებისას შეიძლება იყოს სუბიექტური, რამაც შესაძლოა რისკების ზრდა გამოიწვიოს და მასში იგძნობა ლიკვიდური აქტივების საკმარისი დონის დაწესების ზუსტი ორიენტირების დეფიციტი. ამ მეთოდს მეტწილად მცირე ზომის ბანკები მიმართავენ.

ბ) სახსრების კონვერსიის, ანუ აქტივების განაწილების, მეთოდი გულისხმობს რესურსების წყაროებისა და განთავსების მიმართულებების დაკავშირებას ერთმანეთთან ვადებისა და მოცულობების მიხედვით. ამისათვის ხდება მოზიდვის წყაროების დაჯგუფება და ისინი მიემართებიან დაჯგუფებული აქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტივების განთავსების ძირითადი მიმართულებებისაკენ. დაჯგუფების ძირითად კრიტერიუმებს წარმოადგენს ლიკვიდობა და შემოსავლიანობა (სქემა №8.2.).

მეთოდი გულისხმობს, რომ ლიკვიდობის უზრუნველსაყოფად საჭირო ლიკვიდური აქტივების მოცულობა პირდაპირაა დამოკიდებული მოზიდული რესურსების წყაროების ბუნებაზე. როგორც ვხედავთ, ამ მეთოდის მიხედვით, მოკლევადიანი და არასტაბილური პასივები მიმართულია ყველაზე მაღალლიკვიდურ და ნაკლებშემოსავლიან აქტივებში, მაშინ, როცა გრძელვადიანი და სტაბილური პასივები – გრძელვადიან, მაღალშემოსავლიან და უფრო მაღალრისკიან დაბანდებებში. მეთოდის ტიპური მაგალითია საკუთარი სახსრები (კაპიტალი), რომელიც, როგორც წესი, განთავსებულია ფიქსირებულ აქტივებსა და გრძელვადიან დაბანდებებში. მეთოდის ლოგიკა არის შემდეგი: ბანკი არ უნდა ყიდულობდეს ძირითად საშუალებებს ან გასცემდეს გრძელვადიან კრედიტებს მოთხოვნამდე ანაბრების ხარჯზე და გრძელვადიანი ნასესხები სახსრები არ უნდა იყოს განთავსებული ნაღდ ფულში ან სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში. აქ მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორიც ჩნდება: როგორც წესი, ზოგადად, რაც უფრო გრძელვადიანია მოზიდული რესურსი, მით მეტია მისი ფასი (პირდაპირი და არაპირდაპირი).



სქემა №8.2. ლიკვიდობის მართვის სახსრების კონვერსიის, ანუ აქტივების განაწილების მეთოდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ მეთოდის მთავარი უპირატესობაა ის, რომ სტაბილურობის (ვადიანობის) შესაბამისად დაჯგუფებული პასივების თითოეული ჯგუფის მიხედვით იქმნება ლიკვიდური აქტივების განსხვავებული მარაგი და იგი იძლევა ლიკვიდობის დაგეგმვის, პროგნოზირებისა და მისი ოპტიმალური დონის შენარჩუნების საშუალებას, რაც, თავის მხრივ, „მუშა“ აქტივების ოპტიმალურ დონესაც უზრუნველყოფს.

II. პასივების მართვა გულისხმობს კომერციული ბანკის ლიკვიდობის მართვის მეთოდს, რომლის დროსაც იგი ქმნის საკუთარი და მოზიდული სახსრების მოცულობის მართვის პოლიტიკას. ეს უკანასკნელი საშუალებას იძლევა, ოპერატიულად მიიღოს დამატებითი სახსრები სასურველი აქტიური ოპერაციის წარმოებისათვის. ამ მეთოდს ძირითადად იყენებენ მსხვილი ბანკები, რომელთაც თავიანთი რეპუტაციით და ფინანსური მდგომარეობით აქვთ ფინანსირების გარე წყაროებზე ხელმისაწვდომობის კარგი შესაძლებლობა და იგი განსაკუთრებით პოპულარულია განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში. ეს მეთოდი ბევრად უფრო ახალია, ვიდრე აქტივების მართვის მეთოდი და მის გავრცელებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი თანამედროვე ფინანსური ინსტრუმენტების განვითარებამ.

პასივების ფორმირების კუთხით პასივების მართვა გულისხმობს მის სამ ძირითად მიმართულებას: ა) მოზიდული სახსრები, ბ) ნასესხები სახსრები და გ) საკუთარი სახსრები.

ა) მოზიდული სახსრების ფორმირება ხდება კომერციული ბანკების საკასო-საოპერაციო და დეპოზიტური ოპერაციების შედეგად. იგი არის პასივების სტრუქტურის მთავარი შემადგენელი ნაწილი, რომელშიც შედის კლიენტების სახსრები – მიმდინარე ანგარიშები, მოთხოვნამდე დეპოზიტები (ანაბრები) და ვადიანი დეპოზიტები (ანაბრები). ფაქტობრივად, ესაა იმ ვალდებულებათა უმეტესი ნაწილი, რომელთა უზრუნველყოფისათვისაც საჭიროა ლიკვიდური აქტივების არსებობა. როგორც უკვე ვიცით, მათი უმეტესი ნაწილი განთავსებულია ლიკვიდურ და მოკლევადიან, ნაწილი – გრძელვადიან აქტივებში;

ბ) ნასესხები სახსრები წარმოადგენს მთავარ მიმართულებას, რომლის მეშვეობითაც ხდება კომერციული ბანკის მიერ ლიკვიდობის უზრუნველსაყოფად პასივების მართვის მეთოდის რეალიზება. ამ კონტექსტში ნასესხებ სახსრებს მართვად პასივებსაც უწოდებენ და მათი მოზიდვა ხდება ფინანსური ინსტრუმენტების მეშვეობით. ნასესხებ სახსრებში შედის სუბორდინირებული ვალდებულებები, ბანკთაშორისი კრედიტები, სხვა საფინანსო ინსტიტუტების სახსრები, ოვერნაითები, საკუთარი სავალო ვალდებულებების ემისია. ამ მიმართულებით განსაკუთრებით აღსანიშნავია სესხების მიღება ქვეყნის ცენტრალური ბანკიდან. ამ საკითხს უკვე შევეხეთ პარაგრაფის დასაწყისში და როგორც გასული მასალიდან გვახსოვს, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოყენებული მონეტარული რეგულირების ინსტრუმენტების ნაწილი სწორედ კომერციული ბანკის ლიკვიდობის დეფიციტის დაფარვას ემსახურება. აქ შედის ერთკვირიანი რეფინანსირების სესხები, ერთდღიანი სესხები და დეპოზიტები. იმავე მიზანს ემსახურება ეროვნული ბანკის, როგორც ბოლო ინსტანციის კრედიტორის ფუნქცია;

გ) საკუთარი სახსრები, როგორც პასივების მართვის მეთოდის ერთ-ერთი მიმართულება, გულისხმობს საკუთარი კაპიტალის შემადგენელი ნაწილების მართვას. საკუთარი კაპიტალის მოცულობა და ხარისხი, ასევე მისი წილი

მთლიან პასივებში მუდმივად იცვლება, ამიტომ აუცილებელია ამ სახსრების ანალიზი, რათა არ მოხდეს მისი შემცირება დადგენილ ზღვარს ქვემოთ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აქციების ახალ ემისიას, გაუნაწილებელი მოგებისა და სარეზერვო ფონდების მუდმივ ზრდას.

პასივების მართვის მეთოდი ლიკვიდობის უზრუნველსაყოფად დღეს მეტად ფართოდ გამოყენებული საბანკო პრაქტიკაა, მათ შორის, საქართველოშიც და არა მარტო დიდი ბანკები იყენებენ მას წარმატებით. ეს მეთოდი ორგანულად ავსებს აქტივების მართვის მეთოდს და მასთან ერთად უზრუნველყოფს რესურსების მართვის ეფექტიანობის ზრდასა და ბანკების მდგრადობისა და გადახდისუნარიანობის შენარჩუნებას.

ლიკვიდობის მართვის ორი ზემოაღნიშნული მეთოდის დახასიათების შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ პირველი (აქტივების მართვა) იყენებს შიდა წყაროებს, ხოლო მეორე (პასივების მართვა) – გარე წყაროებს. თუმცა, რეალურად, თანამედროვე საბანკო საქმის პრაქტიკა დღევანდელი დინამიკური და ცვალებადი გარემოს პირობებში განაპირობებს იმას, რომ ლიკვიდობის მართვა მოიცავს კომერციული ბანკის საქმიანობის ყველა ასპექტს და საჭიროებს არა მხოლოდ შიდა ან მხოლოდ გარე წყაროების გამოყენებას, არამედ აქტივებისა და პასივების მართვის კომპლექსურ (დაბალანსებულ) მეთოდს. ამ მეთოდზე მოკლედ ქვემოთ.

III. აქტივ-პასივების დაბალანსებული მართვა, როგორც ლიკვიდობის მართვის ერთ-ერთი მეთოდი, გულისხმობს აქტივებისა და პასივების შეთანხმებულ მართვას. ამ მეთოდის არსი გულისხმობს კომერციული ბანკის ქმედებების მიმართვას ისე, რომ მაქსიმალურად დაბალანსდეს აქტივები და პასივები ვადებისა და მოცულობების მიხედვით (გავიხსენოთ ცხრ. №8.3.), ხოლო შემდეგ მაქსიმალურად შენარჩუნდეს ეს თანაფარდობა და მართოს ლიკვიდობა იმ ფულადი ნაკადების შესაბამისად, რომლებიც იწვევენ ამ თანაფარდობის დარღვევას. ამისათვის საჭიროა ღონისძიებათა კომპლექსის არსებობა, რომელიც გულისხმობს შემდეგს:

- ბანკმა თვალყური ადევნოს თავისი ვალდებულებების მოცულობრივ დინამიკას, ვადებს, დაფარვების, ვადამდელი დაფარვებისა და ვადების გაგრძელების სტატისტიკას, ამ ყველა მაჩვენებლის მგრძნობელობას გარემო ფაქტორებზე;
- ბანკს უნდა ჰქონდეს აქტივების ტრანსფორმაციის, ანუ ნაკლებლიკვიდური აქტივის უფრო ლიკვიდურ აქტივად გადაქცევის მოქნილი უნარი;
- აუცილებელია პასივების ნაწილში სარეზერვო წყაროების არსებობა, რათა საჭიროების შემთხვევაში მოხდეს მათი მობილიზება;
- უნდა არსებობდეს ლიკვიდობის მართვის მოქნილი წერილობითი პოლიტიკა, მისი დაგეგმვის, პროგნოზის, ანალიზის, ინსტრუმენტების დეტალური ინსტრუქციებით და ყოველივე ამაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულებისა და პირების მითითებით;
- რაც მთავარია, ბანკში უნდა არსებობდეს უმაღლესი მენეჯმენტის სრული შეგნება ლიკვიდობის მართვის აუცილებლობისა და იმ საფრთხეების თაობაზე, რომელსაც მისი უგულებელყოფა შეიძლება ატარებდეს.

არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ლიკვიდობის მართვის ზემოაღნიშნული მეთოდები და მოდელები არის გამზადებული სცენარები, რომელთა მიხედ-

ვით კომერციული ბანკის ლიკვიდობის მართვა ავტომატურ რეჟიმში შეიძლება განხორციელდეს. რეალურ პირობებში ისინი კვალიფიციური კადრების, გამოცდილებისა და ტრადიციების გარდა, საჭიროებენ ისეთ მნიშვნელოვან დამატებით ელემენტებს, როგორებიცაა მუდმივი ფინანსური ანალიზი და კორექტივების შეტანა ბაზრის კონიუნქტურის ცვლილებისა და ტენდენციების გათვალისწინებით. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება, მათემატიკური მეთოდების მოდელების დანერგვა აადვილებს კომერციული ბანკების ლიკვიდობის მართვის ეფექტიანობას, ვინაიდან იძლევა მასზე მოქმედი მრავალი ურთიერთდაკავშირებული ფაქტორის ოპერატიულად და ხარისხიანად გაანალიზების საშუალებას.

ქართული საბანკო რეგულაციით, კომერციული ბანკის დირექტორატმა უნდა შეიმუშაოს ლიკვიდობის მართვის პოლიტიკა და სტრატეგია და დანერგოს მისი პერიოდული შეფასების სისტემა. მანვე უნდა უზრუნველყოს ადამიანური რესურსების მომზადება და მათი კომპეტენციის განვითარება, სახაზინო და საინვესტიციო საქმიანობაზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით.

კომერციული ბანკის ლიკვიდობის მართვის პოლიტიკა იქმნება ბანკის მისიის, ბიზნესსტრატეგიის, კაპიტალის ადეკვატურობის, ადამიანური რესურსებისა და რისკისადმი მიდრეკილების შესაბამისად. მნიშვნელოვანია, რომ ლიკვიდობის რისკის მართვის პოლიტიკა პერიოდულად გადაიხედოს – შეფასდეს, განახლდეს და ფეხდაფეხ მიჰყვეს ბანკის ლიკვიდობის მდგომარეობის, დანიშნულების, ბიზნესსტრატეგიისა და მთლიანი კაპიტალის ცვლილებებს. ბანკს უნდა ჰქონდეს მკაფიო პოლიტიკა დაფინანსების, ანგარიშგებისა და ლიკვიდობის შეფასებისათვის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით.

აუცილებელია, ლიკვიდობის მართვის პოლიტიკით ლიკვიდობის მართვისას უფლებამოსილებები მიენიჭოს კონკრეტულ სტრუქტურას, რათა მან განსაზღვროს ბაზარი, ინსტრუმენტები და ოპერაციები შესაბამის მხარეებთან. ლიკვიდობის მართვის პოლიტიკით ასევე უნდა იქნეს გათვალისწინებული პრობლემების გადაჭრა, რომლის დროსაც ყურადღება უნდა გამახვილდეს ლიკვიდობის რისკსა და იმ ფაქტზე, რომ ბანკი აღარ იყოს დამოკიდებული ერთ ან რამდენიმე ინსტრუმენტზე, მხარეზე ან ბაზრის კონკრეტულ სეგმენტზე.

ბანკის ლიკვიდობის მართვის პოლიტიკით ხდება ლიმიტების განსაზღვრა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ლიკვიდობის უკმარისობა, „გეპ“-ის კონცენტრაცია და დამოკიდებულება რაიმე კონკრეტულ მხარეზე, ინსტრუმეტსა თუ საბაზრო სეგმენტზე. მნიშვნელოვანია, რომ დადგენილი ლიმიტები იყოს თანმიმდევრული და შეესაბამებოდეს გაუთვალისწინებელი მოვლენების დაფინანსების გეგმას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ამ გეგმის ეფექტიანი გამოყენება. ლიკვიდობის ლიმიტების დადგენისას მხედველობაში უნდა მიიღებოდეს მინიმუმ შემდეგი ასპექტები:

- რეგულარული დაფინანსების აუცილებლობა ან ჭარბი ლიკვიდობა;
- შესაბამისობა საპროცენტო განაკვეთის რისკის პოზიციებთან;
- საერთო ლიკვიდობა ბანკთაშორის ფულად ბაზარზე და ლიკვიდობის ნაკლებობის შესაძლებლობა წარსული გამოცდილების საფუძველზე;
- საბაზრო საპროცენტო განაკვეთის მოძრაობა და ლიკვიდობის ხელმისაწვდომობა.
- დადგენილი ლიმიტები განხილული და კორექტირებული უნდა იყოს საერთო საბაზრო გარემოს ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილებისას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მსოფლიო საბანკო პრაქტიკა იცნობს კომერციული ბანკების ლიკვიდობის მართვის სხვადასხვა თეორიას, მაგალითად, ფულადი ნაკადების თეორია, კომერციული სესხების თეორია, მოსალოდნელი შემოსავლების თეორია და სხვ.

8.4. კომერციული ბანკის ლიკვიდობის შეფასება

ნებისმიერი ქვეყნის საბანკო რეგულაცია ითვალისწინებს ეკონომიკური ნორმატივების დაწესებას, რომლებიც ავალდებულებს კომერციულ ბანკებს, შექმნან ლიკვიდობის ის მინიმალური მარაგი და აქტივ-პასივების ისეთი სტრუქტურა, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მათ მიერ ვალდებულებების დროულად და სრულად შესრულების შესაძლებლობა. აღნიშნული პრაქტიკის დანერგვა იყო საქართველოში საბანკო საქმიანობის რეფორმირების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული პირველი დოკუმენტი, რომელმაც დააწესა ეკონომიკური ნორმატივები კომერციული ბანკებისათვის, დათარიღებულია 1995 წლის 27 იანვრით. მართალია, იგი არ ითვალისწინებდა ლიკვიდობის სავალდებულო ნორმატივს, მაგრამ, მასში ორი (ხუთიდან) აწესებდა პასივების სტრუქტურის შეზღუდვას, რაც, ფაქტობრივად, მიმართული იყო მოქმედი კომერციული ბანკების ლიკვიდობის რისკის შემცირებისაკენ.

საინტერესო იქნება, დავაკვირდეთ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის დამტკიცებული ლიკვიდობის რისკის შემცირებისაკენ მიმართული სავალდებულო ნორმატივების ისტორიულ გენეზისს და დავახასიათოთ თითოეული კოეფიციენტი, რომელთა საშუალებითაც ხდება ლიკვიდობის ანალიზი და შეფასება (ცხრ. №8.5.).

როგორც აღინიშნა, პირველ სავალდებულო ეკონომიკურ ნორმატივებსა და ლიმიტებს შორის ორი ნორმატივი ეხებოდა კომერციული ბანკების პასივების სტრუქტურის შეზღუდვას (8.1 და 8.2).

$$\frac{\text{ბანკებიდან მოზიდული სახსრები}}{\text{სულ მოზიდვები (ბანკების გამოკლებით)}} \leq 100\% \qquad (8.1)$$

$$\frac{\text{ბანკებიდან მოზიდული სახსრები}}{\text{საკუთარი სახსრები}} \leq 25\% \qquad (8.2)$$

სადაც:

ბანკებიდან მოზიდული სახსრები – კომერციული ბანკის მიერ სხვა ბანკებიდან (მათ შორის, ეროვნული ბანკიდან) მოზიდული სახსრებია თვის ბოლოს;

სულ მოზიდვები (ბანკების გამოკლებით) – კომერციული ბანკის მიერ მოზიდული სახსრების საერთო მოცულობაა ბანკებიდან მოზიდული სახსრების გამოკლებით თვის ბოლოს;

საკუთარი სახსრები – კომერციული ბანკის საკუთარი სახსრებია (კაპიტალის ჩათვლით) თვის ბოლოს.

ეროვნული ბანკი

ცხრ. №8.5. კომერციული ბანკების ლიკვიდობის რისკის შემცირების სავალდებულო ნორმატივები საქართველოში (ისტორიული გენეზისი)

	პასივების სტრუქტურის კოეფიციენტები				ლიკვიდობის კოეფიციენტები				
	ბანკებიდან მოზიდული სახსრები / სულ მოზიდვები (ბანკების გამოკლებით)	ბანკებიდან მოზიდული სახსრები / საკუთარი სახსრები	მოქალაქეთა ანაბრები / კაპიტალი	უმსხვილესი კრედიტორი / ვალდებულებები	ლიკვიდური აქტივები / მოთხოვნამდე ვალდებულებები	კრედიტები 1 წელზე მეტი ვადით / ვალდებულებები 1 წელზე მეტი ვადით	ლიკვიდური აქტივები / ვალდებულებები	სამ. თვიური ლიკვიდური აქტივები / სამ. თვიური ვალდებულებები	მიმდინარე აქტივები / მიმდინარე ვალდებულებები
1995.01.27.	≤ 100 %	≤ 25 %							
1995.05.06.			≤ 100 %		≥ 30 %	≤ 100 %			
1998.12.03.				≤ 20 %			≥ 30 %	≥ 30 %	= 100 %
2001.04.10.							≥ 30 %	≥ 30 %	≥ 90 %
2004.07.07.							≥ 30 %	≥ 30 %	≥ 90 %
2006.07.20.								≥ 30 %	
2008.09.26.								≥ 20 %	
2010.10.01.								≥ 30 %	
2013.06.28.								≥ 30 %	

პირველი ნორმატივი (8.1) ბანკებს უკრძალავდა პასივების ისეთ სტრუქტურას, სადაც სხვა ბანკებიდან მოზიდული სახსრები იქნებოდა მათ გარეშე მთლიანი მოზიდვების მოცულობაზე მეტი, ანუ აიძულებდა მათ, მოეძებნათ ალტერნატიული წყაროები (ფიზიკური და იურიდიული პირების სახსრები და საკუთარი სახსრები). მეორე ნორმატივი (8.2) იყო უფრო მკაცრი და აწესებდა ზღვარს, რომლის მიხედვით, ბანკებიდან მოზიდული სახსრები შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ საკუთარი სახსრების მეოთხედი (25%), რაც პირდაპირ უბიძგებდა ბანკებს საკუთარი სახსრების გაზრდისაკენ. აღნიშნული ნორმატივები გახლდათ საქართველოს ეროვნული ბანკის მაშინდელი პოლიტიკისა და საბანკო სისტემის რეფორმირების შემადგენელი ნაწილი, თუმცა, ამ ნორმატივების სასიცოცხლო ციკლი ოთხიოდე თვე იყო და მას შემდეგ მათი გამოყენება აღარ მომხდარა.

სულ მალე, 1995 წლის მაისში, საქართველოს ეროვნული ბანკი ამტკიცებს ახალ ნომარტივებს, რომელთა მიხედვით, უქმდება ზემოაღნიშნული ორი და მტკიცდება სამი ახალი ნორმატივი:

$$\frac{\text{მოქალაქეთა ანაბრები}}{\text{კაპიტალი}} \leq 100\% \qquad (8.3)$$

$$\frac{\text{ლიკვიდური აქტივები}}{\text{მოთხოვნამდე ვალდებულებები}} \geq 25\% \qquad (8.4)$$

$$\frac{\text{კრედიტები 1 წელზე მეტი ვადით}}{\text{ვალდებულებები 1 წელზე მეტი ვადით}} \leq 100\% \qquad (8.5)$$

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც:

მოქალაქეთა ანაბრები – კომერციული ბანკის მიერ მოზიდული ფიზიკური პირების ანაბრებია თვის ბოლოს;

კაპიტალი – კომერციული ბანკის საკუთარი სახსრებია თვის ბოლოს;

ლიკვიდური აქტივები – კომერციული ბანკის ნაღდი და უნაღდო ფულადი სახსრებია თვის ბოლოს;

მოთხოვნამდე ვალდებულებები – კომერციულ ბანკში კლიენტების სახსრებია მიმდინარე და მოთხოვნამდე ანგარიშებზე, ასევე იმ ვადიან ანაბრებზე, რომელთა ვადის გასვლამდე დარჩენილია 1 თვეზე ნაკლები და გარანტიები და ვალდებულებები ერთ თვემდე ვადის შესრულების პირობით თვის ბოლოს;

კრედიტები 1 წელზე მეტი ვადით – კომერციული ბანკის მიერ გაცემული ის კრედიტებია თვის ბოლოს, რომელთა დაფარვამდე დარჩენილია 1 წელზე მეტი;

ვალდებულებები 1 წელზე მეტი ვადით – კომერციული ბანკის ვალდებულებებია სადეპოზიტო ანგარიშებით და კრედიტებით თვის ბოლოს, რომელთა ვადის გასვლამდე დარჩენილია 1 წელზე ნაკლები.

პირველი ახალი ნორმატივი – ანაბრების კოეფიციენტი (8.3) კომერციულ ბანკებს უზღუდავდა მოქალაქეთა ანაბრების მაქსიმალურ მოცულობას, რომლის ზედა ზღვარსაც მისი მთლიანი კაპიტალი (საკუთარი სახსრები) წარმოადგენდა. აღნიშნული კოეფიციენტით ხდებოდა კომერციულ ბანკებში მობილიზებული ანაბრების დაცვა, მეორე მხრივ კი, იმ ბანკებს, რომელთაც ჰქონდათ ანაბრების ბაზარზე აქტიურობის სურვილი, უჩნდებოდათ საკუთარი სახსრების გაზრდის სტიმული.

სიახლე იყო ის, რომ გაჩნდა ორი ახალი ლიკვიდობის ნორმატივი, რომელთაგან პირველი – ბანკის მოკლევადიანი ლიკვიდურობის კოეფიციენტი (8.4) აწესებდა პირდაპირ ზღვრულ პროპორციას მოკლევადიან ვალდებულებებსა და ლიკვიდურ აქტივებს შორის. რაც შეეხება მეორე, საშუალო და გრძელვადიანი ლიკვიდურობის კოეფიციენტს (8.5), იგი აიძულებდა კომერციულ ბანკს, არ გაეცა გრძელვადიანი კრედიტები გრძელვადიან ვალდებულებებზე მეტი მოცულობით. აღნიშნული ნორმატივი გრძელვადიანი საკრედიტო დაბანდების მსურველ კომერციულ ბანკებს იძულებულს ხდიდა, მოეზიდათ მეტი გრძელვადიანი რესურსი, რაც, ბუნებრივია, უფრო ამყარებდა მათ ლიკვიდობას.

აღნიშნულმა ნორმატივებმა წარმატებით „იმუშავეს“ სამწელიწად-ნახევარს საბანკო სისტემის რეფორმირების ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპზე და ისინი 1998 წლის ბოლოს ჩანაცვლდა რეფორმირების ახალი ეტაპისათვის უფრო აქტუალური მიზნების მატარებელი ნორმატივებით.

$$\frac{\text{უმსხვილესი კრედიტორი}}{\text{ვალდებულებები}} \leq 20\% \qquad (8.6)$$

$$\frac{\text{ლიკვიდური აქტივები}}{\text{ვალდებულებები}} \geq 30\% \qquad (8.7)$$

$$\frac{\text{საშუალო თვიური ლიკვიდური აქტივები}}{\text{საშუალო თვიური ვალდებულებები}} \geq 30\% \qquad (8.8)$$

$$\frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}} = 100\% +/- 10\% \qquad (8.9)$$

სადაც:

უმსხვილესი კრედიტორი – კომერციული ბანკის უმსხვილესი კრედიტორის მიმართ ვალდებულებების საერთო მოცულობაა თვის ბოლოს;

ვალდებულებები – კომერციული ბანკის მთლიანი ვალდებულებების მოცულობაა თვის ბოლოს;

ლიკვიდური აქტივები – კომერციული ბანკის ფულადი სახსრები და ისეთი აქტივებია, რომლებსაც აქვთ ფულად სახსრებად მყისიერად (სწრაფად) გადაქცევის უნარი და შესაძლებლობა, თვის ბოლოს;

საშუალო თვიური ლიკვიდური აქტივები – კომერციულ ბანკში თვის განმავლობაში ლიკვიდური აქტივების საშუალო არითმეტიკული მნიშვნელობაა;

საშუალო თვიური ვალდებულებები – კომერციულ ბანკში თვის განმავლობაში ვალდებულებების საშუალო არითმეტიკული მნიშვნელობაა;

მიმდინარე აქტივები – კომერციული ბანკის ფულადი სახსრები და ერთ თვემდე დაფარვის ვადით აქტივებია თვის ბოლოს;

მიმდინარე ვალდებულებები – ბანკის მთლიან ვალდებულებებში ერთ თვემდე ვადაში შესასრულებელ ყველა ვალდებულების თანხობრივი ჯამია თვის ბოლოს.

ახლად შემოღებული უმსხვილესი კრედიტორის ნორმატივი (8.6) ბანკებს აიძულებდა, მოეხდინათ თავიანთი პასივების დივერსიფიკაცია და ესარგებლათ რესურსების ალტერნატიული წყაროებით. მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ლიკვიდობის გაანგარიშების მეთოდოლოგიაში და დამტკიცდა სამი ტიპის ლიკვიდობის ნორმატივი: მყისიერი ლიკვიდობის (8.7), საშუალო ლიკვიდობის (8.8) და მიმდინარე ლიკვიდობის (8.9) კოეფიციენტები.

უმსხვილესი კრედიტორის ნორმატივი (8.6) ძალაში რჩებოდა დაახლოებით ორწელიწად-ნახევარს და 2001 წლის აპრილში ეროვნულმა ბანკმა იგი გააუქმა. ამის შემდეგ საქართველოს ეროვნული ბანკი აღარ მიმართავდა პასივების სტრუქტურის შემზღუდავი ნორმატივების დაწესებას და შემოიფარგლებოდა მხოლოდ ლიკვიდობის ნორმატივებით. აღნიშნული გარემოება განპირობებული იყო საბანკო სისტემის რეფორმირების დასრულებით და დასახული ახალი მიზნებით. რაც შეეხება ლიკვიდობის ნორმატივებს, ისინი ძალაში რჩებოდა 2004 წლის ივლისამდე, როცა ეროვნულმა ბანკმა გადაწყვიტა კომერციული ბანკების ლიკვიდობა მხოლოდ ერთი, საშუალო ლიკვიდობის კოეფიციენტით ემართა.

დღეს არსებული საშუალო ლიკვიდობის კოეფიციენტით კომერციული ბანკი ვალდებულია თავისი საანგარიშგებო თვის საშუალო ვალდებულებების მოცულობა უზრუნველყოფილი ჰქონდეს საანგარიშგებო თვის საშუალო ლიკვიდური აქტივების არანაკლებ 30%-ით. დღეს მოქმედი ქართული რეგულაციით კი – კომერციული ბანკის ლიკვიდურ აქტივებში შედის:

- ნაღდი ფულადი სახსრები სალაროში, ბანკომატებში, კვანძგარეთა საოპერაციო სალაროებში და ფული გზაში;
- სამგზავრო ჩეკები და სხვა საგადახდო დოკუმენტები;
- სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში საკორესპონდენტო ანგარიშებზე, მათ შორის, მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების თანხა;
- სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები;
- სახსრები სხვა კომერციულ ბანკებში („ნოსტრო“ ანგარიშები და ვადიანი დეპოზიტები).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიკვიდური აქტივების გაანგარიშებაში არ ჩაითვლება ზოგიერთი ანგარიში, მაგალითად, ყადაღადადებულ საკორესპონდენტო ანგარიშებზე რიცხული თანხები, ეროვნულ ბანკში განთავსებული მინიმალური რეზერვების თანხა, რომლის უზრუნველყოფითაც კომერციულ ბანკს აღებული აქვს კრედიტი და სხვ.

როგორც ვხედავთ, კომერციული ბანკები იძულებულნი არიან მოზიდული სახსრების (რა თქმა უნდა, საკუთარი კაპიტალის გარდა) 30% განათავსონ შემოსავლების არმომტან აქტივებში ან ისეთ აქტივებში, რომლებიც ნაკლებშემოსავლიანობით ხასიათდებიან (ბანკთაშორისი დეპოზიტები, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები). ამით ცენტრალური ბანკები აიძულებენ კომერციულ ბანკებს, ჰქონდეთ ლიკვიდური აქტივების ის რეზერვი, რომელიც უზრუნველყოფს მათ მინიმალურ ლიკვიდობას, ანუ უნარს, დროულად და სრული მოცულობით გაისტუმრონ ვალდებულებები. თავის მხრივ, ეს ნორმატივი წარმოადგენს ბერკეტს ცენტრალური ბანკების ხელში და მათი გაზრდით ან შემცირებით ისინი ახორციელებენ მთლიან საბანკო სისტემის ლიკვიდობის მართვასა და სხვა მონეტარული მიზნების მიღწევას. ამის კარგი მაგალითია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს გადადგმული ნაბიჯი ამ მიმართულებით, როცა ლიკვიდობის მწვავე კრიზისში არსებული კომერციული ბანკების ლიკვიდობის ნორმატივი შეამცირა 20%-მდე. აღნიშნული დონე შენარჩუნებული იყო ორ წელს და ნორმატივი ძველ, 30%-იან ნიშნულს დაუბრუნდა ლიკვიდობის კრიზისის საფრთხის გავლის შემდეგ (ცხრ. 8.5.).

ამ ნორმატივის ეკონომიკური შინაარსი ისაა, რომ ყოველი მოზიდული 100 ლარიდან კომერციული ბანკი იძულებულია, 30 ლარი განათავსოს ლიკვიდურ აქტივებში, ანუ შექმნას გარკვეული რეზერვი ლიკვიდობის სასურველი დონის შესანარჩუნებლად.

საქართველოში, აღნიშნული ნორმატივების გარდა, ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულია ლიკვიდობის მართვის სხვა ინსტრუმენტები, რომლებიც იძლევიან კომერციული ბანკების ლიკვიდობის ანალიზის საშუალებას, განსაკუთრებით, თუ ხდება მათი დინამიკაში შეფასება. ამ მიზანს ემსახურება ჩვენთვის უკვე ცნობილი „გამჭვირვალობის წესის“ მიხედვით კომერციული ბანკების მიერ სავალდებულო გამოქვეყნებას დაქვემდებარებულ ინფორმაციაში შემავალი სამი ლიკვიდობის ნორმატივი. ეს მაჩვენებლები წარმოაჩენენ როგორც ლიკვიდობის დონეს, ასევე ლიკვიდობის კუთხით აქტივებისა და ვალდებულებების სტრუქტურულ შესაბამისობას:

$$\frac{\text{ლიკვიდური აქტივები}}{\text{მთლიანი აქტივები}} \qquad (8.10)$$

$$\frac{\text{უცხოური ვალუტით არსებული ვალდებულებები}}{\text{მთლიანი ვალდებულებები}} \qquad (8.11)$$

$$\frac{\text{მიმდინარე და მოთხოვნამდე დეპოზიტები}}{\text{მთლიანი აქტივები}} \qquad (8.12)$$

თვალსაჩინოებისათვის მოტანილია საქართველოში მოქმედი 20 კომერციული ბანკის ზემოაღნიშნული სამი ლიკვიდობის დონის შეფასების ცხრილი 2013 და 2012 წლების 1 კვარტალის მდგომარეობით (ცხრ. №8.6.):

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრ. №8.6. საქართველში მოქმედი კომერციული ბანკების ლიკვიდობის დონის შეფასება „გამჭვირვალობის წესის“ შესაბამისად (2012 და 2013 წლების 1 კვარტალი)

	ლიკვ. აქტივები / მთლ. აქტივები		უცხ. ვალუტით არსებული ვალდებულებები / მთლიანი ვალდებულებები		მიმდ. და მოთხ. დეპოზიტები / მთლიანი აქტივები	
	2012	2013	2012	2013	2012	2013
საქართველოს ბანკი	24 %	29 %	72 %	73 %	31 %	27 %
თი-ბი-სი ბანკი	30 %	26 %	73 %	74 %	29 %	29 %
პროკრედიტბანკი	19 %	21 %	79 %	80 %	25 %	27 %
ლიბერთი ბანკი	38 %	42 %	17 %	27 %	67 %	52 %
ბანკი რესპუბლიკა	25 %	23 %	81 %	80 %	27 %	35 %
ვითიბი ბანკი ჯორჯია	20 %	22 %	73 %	70 %	29 %	30 %
პრივატ ბანკი	22 %	34 %	52 %	50 %	15 %	34 %
ბანკი ქართუ	17 %	21 %	91 %	89 %	12 %	23 %
კორსტანდარტ ბანკი	37 %	32 %	63 %	73 %	34 %	30 %
ბანკი კონსტანტა	10 %	12 %	78 %	68 %	3 %	7 %
ბაზისბანკი	33 %	37 %	65 %	69 %	42 %	36 %
აზერბ. საერთ. ბანკი - საქართველო	17 %	22 %	84 %	95 %	11 %	8 %
ბი-თი-ეი ბანკი	15 %	19 %	89 %	85 %	12 %	15 %
ხალიკ ბანკი საქართველო	26 %	17 %	69 %	90 %	10 %	9 %
ინვესტბანკი	81 %	61 %	98 %	94 %	31 %	49 %
ფაშა ბანკი - საქართველო		90 %		78 %		1 %
პროგრესბანკი	31 %	22 %	77 %	79 %	13 %	35 %
ზირაათ ბანკის თბილისის ფ-ლი	86 %	86 %	64 %	82 %	26 %	24 %
კავკ. განვ. ბანკი - საქართველო	52 %	30 %	94 %	96 %	1 %	1 %
იშ ბანკის ბათუმის ფ-ლი		84 %		75 %		7 %

შენიშვნა: ბანკების ჩამონათვალი რანჟირებულია მათი აქტივების სიდიდის მიხედვით.

საქართველოში გავრცელებული კომერციული ბანკების ლიკვიდობის შეფასების ზემოაღნიშნული მაჩვენებლები კარგად აპრობირებული და გამოცდილია საერთაშორისო საბანკო პრაქტიკით, სადაც ასევე ხდება სხვა მოდელებისა და კოეფიციენტების გამოყენება. საინტერესოა, მოვიხმოთ ჩვენთან აპრობირებული CAMELS-ის რეიტინგული სისტემის მიხედვით ლიკვიდობის შეფასების მეთოდოლოგია და წესი, რომელიც წარმოადგენს ეროვნული ბანკის საზედამხედველო ფუნქციის განხორციელების ერთ-ერთ ინსტრუმენტს.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ CAMELS-ის სისტემის გამოყენების მიზანია, სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გარდა, კომერციული ბანკის ლიკვიდობის ადეკვატურობის შეფასება, რომლის დასადგენადაც ხდება შემდეგი მიმართულებების შესწავლა:

- ბანკის ვალდებულებების სტრუქტურა (შემადგენლობა, ვადიანობა, ზრდა-შემცირების საშუალო მაჩვენებელი);
- ბანკის კლიენტურა, მისი ქცევის თავისებურებანი და მუშაობის ძირითადი პრინციპები;
- ბანკის ნასესხები სახსრების სტრუქტურა (შემადგენლობა, ვადიანობა, დაფარვის პირობები);

- ბანკის აქტივ-პასივების მართვის ანალიზი და შეფასება („გეპ"-ი და მისი დისბალანსი);
- ბანკის გარესაბალანსო ვალდებულებების შეფასება;
- ბანკის ლიკვიდურობის ნორმატივების დაცვის ანალიზი (მათი სტაბილურობა და ცვლილებები დინამიკაში);
- ბანკის ლიკვიდობის შეფასება დამატებითი კოეფიციენტების მეშვეობით:
  - სესხები/დეპოზიტები;
  - ლიკვიდური აქტივები/დეპოზიტები;
  - დეპოზიტების ზრდა სესხების ზრდასთან მიმართებაში.

გარდა ამისა, CAMELS-ის შეფასების რეიტინგული სისტემა ითვალისწინებს და დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმ გარემოებას, რომ უნდა შეფასდეს ვალდებულებების სტრუქტურა, კერძოდ, ფასდება ისეთი მაჩვენებლები, როგორებიცაა:

- მოკლევადიანი ვალდებულებები/მთლიანი ვალდებულებები;
- სამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა ბანკების დეპოზიტები/მთლიანი ვალდებულებები;
- მოთხოვნამდე დეპოზიტები/კლიენტთა მთლიანი დეპოზიტები.

ქართული რეგულაციით, ლიკვიდობის რისკის დადგენისათვის, შეფასებისა და მართვისათვის პასუხს აგებს კომერციული ბანკების მენეჯმენტი. მან უნდა განსაზღვროს და გააანალიზოს ლიკვიდობის რისკის მატარებელი საბანკო პროდუქტები, ოპერაციები და საქმიანობა, ასევე ნებისმიერი ზეგავლენის შესაძლებლობა, რომელიც მოქმედებს ლიკვიდობაზე სხვადასხვა სცენარის მეშვეობით. საუბარია სტრესტესტების მეთოდზე, რომლის დროსაც ხდება ისეთი ნეგატიური სცენარების დამუშავება, როგორებიცაა:

- ფულადი ნაკადები და ბანკის ლიკვიდობის პოზიცია ნორმალურ პირობებში;
- ბანკის მდგომარეობა კრიზისის დროს, რაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, გამოიხატება მის მიერ ბანკის ვალდებულებების უმეტესობის გადახდის უუნარობით;
- საბანკო სისტემის მდგომარეობა კრიზისის დროს, რომელიც, სხვა ფაქტორებთან ერთად, გამოიხატება საბანკო სისტემის ლიკვიდობასთან დაკავშირებული უმეტესი ან ყველა პრობლემით;
- სტრესტესტების მეთოდი ბანკს საშუალებას აძლევს, შეიმუშაოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდობის სტრატეგიები.

გარდა ამისა, ბანკში უნდა არსებობდეს მონაცემების შეგროვებისა და ლიკვიდობის პოზიციის რეგულარული მონიტორინგის ქმედითი სისტემა, უნდა ხდებოდეს იმ ფაქტორების რეგულარული განხილვა, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ლიკვიდობის რისკზე და ამ ფაქტორების კავშირი იმ დანაკარგებთან, რომლებიც შეიძლება ბანკმა განიცადოს. ამ მიზნით სპეციალური სამსახური ამზადებს პერიოდულ ანგარიშებს უმაღლესი მენეჯმენტისათვის წარსადგენად.

ყველაზე მთავარი, კომერციულ ბანკს უნდა ჰქონდეს ლიკვიდობასთან დაკავშირებული ნეგატიური გაუთვალისწინებელი მოვლენების პრევენციის გეგმა, რათა თავიდან აიცილოს ლიკვიდური სახსრების ნებისმიერი შესაძლო დეფიციტი, მისი ლიკვიდობის კრიზისში არგადაზრდის მიზნით. ამისათვის რეგულარულად უნდა ხდებოდეს ასეთი გეგმის რევიზია იმ თანხების ოდენობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასადგენად, რომლებიც შეიძლება მოზიდულ იქნეს მუდმივი წყაროებიდან ან ბანკთაშორისი ბაზრის მეშვეობით. აუცილებელია, ბანკში არსებობდეს კლიენტურასთან ურთიერთობის სტრატეგია, დეპოზიტების დივერსიფიკაცია, ბანკის მიერ სხვადასხვა აქტივის ფულად ფორმაში სწრაფად ტრანსფორმაციის აპრობირებული მექანიზმები. მენეჯმენტმა უნდა იცოდეს იმ რესურსების მაქსიმალური ოდენობა, რომელთა მიღებასაც იგი ბაზრის მეშვეობით ნორმალურ ან კრიზისულ პირობებში შეძლებს.

საკონტროლო კითხვები:

1. რა არის კომერციული ბანკის ლიკვიდობის არსი?
2. ქართული რეგულაციით, რას ნიშნავს ლიკვიდური აქტივი და მიმდინარე აქტივი?
3. რა ნეგატიური შედეგები შეიძლება მიიღოს ბანკმა, რომელიც დროულად ვერ აღმოფხვრის ლიკვიდობის პრობლემას?
4. რა შეიძლება ითქვას კომერციულ ბანკში ჭარბი ლიკვიდობის შესახებ?
5. როგორ დაახასიათებდით კომერციული ბანკის გადახდისუნარიანობას?
6. რას წარმოადგენს ლიკვიდობასა და გადახდისუნარიანობას შორის განსხვავება?
7. რომელი ძირითადი ფაქტორები მოქმედებენ კომერციული ბანკის ლიკვიდობასა და გადახდისუნარიანობაზე?
8. როგორ დაახასიათებდით კომერციული ბანკის ლიკვიდობასა და გადახდისუნარიანობაზე მოქმედ მაკროეკონომიკურ ფაქტორებს?
9. რომელია ქვეყნის შიდა ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ კომერციული ბანკის ლიკვიდობასა და გადახდისუნარიანობაზე?
10. რომელია კომერციული ბანკის ლიკვიდობასა და გადახდისუნარიანობაზე მოქმედი შიდა საბანკო ფაქტორები?
11. როგორ გამოიხატება ადეკვატური კაპიტალის როლი კომერციული ბანკის ლიკვიდობის კრიზისის დროს?
12. რა როლს თამაშობს აქტივების სტრუქტურა და ხარისხი კომერციული ბანკის ლიკვიდობის უზრუნველყოფაში?
13. რას გვიჩვენებს პასივების სტრუქტურა და ხარისხი, როგორც კომერციული ბანკის ლიკვიდობის ერთ-ერთი ფაქტორი?

14. რა მნიშვნელობა ენიჭება აქტივებისა და ვალდებულებების ვადებს მიხედვით შესაბამისობას, იმავე „გეპ“-ის ანალიზს, როგორც კომერციული ბანკის ლიკვიდობის ერთ-ერთი ფაქტორს?
15. რა არის ბანკის იმიჯის, როგორც კომერციული ბანკის ლიკვიდობის ერთ-ერთი ფაქტორის მნიშვნელობა?
16. რა როლი ენიჭება მოქნილ მენეჯმენტს კომერციული ბანკის ლიკვიდობის უზრუნველყოფაში?
17. რა შეიძლება ითქვას ლიკვიდობის მართვის ორი ძირითადი მიმართულების შესახებ?
18. რა იგულისხმება ცენტრალური ბანკის მიერ საბანკო სისტემის ლიკვიდობის მართვაში?
19. რომელი ინსტრუმენტებით უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნული ბანკი საბანკო სისტემის ლიკვიდობის შენარჩუნებასა და მართვას?
20. რა დამოკიდებულება არსებობს აქტივების შემოსავლიანობას, რისკის დონესა და ლიკვიდობის ხარისხს შორის?
21. რას ნიშნავს კომერციული ბანკის რეალური და პირობითი ვალდებულებები?
22. კომერციული ბანკის ლიკვიდობის მართვის რომელი ძირითადი მეთოდები იცით?
23. რას გულისხმობს ლიკვიდობის მართვის „აქტივების მართვის“ მეთოდი და მისი რა ნაირსახეობები იცით?
24. რა არის „სახსრების საერთო ფონდის მეთოდის“ არსი, მისი დადებით და უარყოფითი მხარეები?
25. რა არის „სახსრების კონვერსიის, ანუ აქტივების განაწილების“ არსი, მისი დადებით მხარეები?
26. რას გულისხმობს ლიკვიდობის მართვის „პასივების მართვის“ მეთოდი და რა მიმართულებებს მოიცავს იგი?
27. რა შეიძლება ითქვას ლიკვიდობის მართვის „აქტივ-პასივების დაბალანსებული მართვის“ მეთოდზე?
28. როგორ დაახასიათებდით კომერციული ბანკების ლიკვიდობის შეფასების სავალდებულო ნორმატივების ისტორიულ გენეზისს საქართველოში?
29. რა არის საქართველოში კომერციული ბანკებისათვის დაწესებული დღეს არსებული საშუალო ლიკვიდობის კოეფიციენტის შინაარსი და რა შედის ლიკვიდურ აქტივებში?
30. რას გულისხმობს ლიკვიდობის შეფასება „გამჭვირვალობის წესის“ მიხედვით?
31. რომელ ძირითად მიმართულებებს მოიცავს, CAMELS-ის სისტემის მიხედვით, ლიკვიდობის ხარისხის ანალიზი?
32. რას წარმოადგენს ლიკვიდობის შეფასების სტრესტესტების მეთოდი?

თავი 9

ბუღალტრული აღრიცხვა კომერციულ ბანკში და კომერციული ბანკის ბალანსი

შინაარსი:

9.1. ბუღალტრული აღრიცხვა ბანკში, მისი ამოცანები, პრინციპები და სახეობები;
9.2. ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზება ბანკში;
9.3. კომერციული ბანკის ბალანსი და მისი აგების პრინციპები;
9.4. ბანკების ანგარიშთა გეგმა საქართველოში.

ძირითადი ელემენტები:

1. საბანკო ბუღალტერიის არსი და მისი ოთხი ძირითადი ამოცანა;
2. ბანკებში საბუღალტრო აღრიცხვის 10 ძირითადი პრინციპი;
3. ანალიზური, სინთეზური, ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვა;
4. ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა ბანკში;
5. კომერციული ბანკის სააღრიცხვო პოლიტიკა;
6. სააღრიცხვო-საოპერაციო საქმიანობა ბანკში;
7. კომერციული ბანკის ბალანსი და მისი მნიშვნელობა;
8. საქართველოში მოქმედი ბანკების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა და მისი აგების პრინციპები.

გამოყენებული სქემები, ნახატები და ცხრილები:

ცხრ. №9.1. საქართველოს საბანკო დაწესებულებების ანგარიშთა გეგმა კლასების მიხედვით;
ცხრ. №9.2. საქართველოს საბანკო დაწესებულებების ანგარიშთა გეგმა (კლასი 10).

ეროვნული ბიბლიოთეკა

9.1. ბუღალტრული აღრიცხვა ბანკში, მისი ამოცანები, პრინციპები და სახეობები

ზუსტი აღრიცხვის გარეშე წარმოუდგენელია ნებისმიერი ბიზნესსაქმიანობის, მით უმეტეს, ისეთი რთული ორგანიზმის სრულყოფილად მართვა და მისი საქმიანობის ადეკვატურად შეფასება, როგორიც კომერციული ბანკია. თანამედროვე ბუღალტერიის ჩანასახები პირველად **XIII** საუკუნის იტალიაში გაჩნდა, როცა შეიქმნა საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემების ორმაგი ჩაწერის პრაქტიკა. ეს იყო აღრიცხვის, კონტროლისა და მართვის ერთიანი მწყობრი სისტემა. ამ სისტემის მთავარი მონაპოვარი იყო ანგარიშთა გეგმა და ეკონომიკური და იურიდიული შინაარსის მიხედვით სამეურნეო ფაქტებისა და შედეგების სარკისებური გააზრება და ადეკვატური ასახვა. ბუღალტერიის „მამად“ და მის პირველ თეორეტიკოსად აღიარებულია იტალიელი მეცნიერი და მათემატიკოსი ლუკა პაჩიოლი, რომელმაც დაამკვიდრა ბუღალტერიის ორმაგი ჩანაწერის ძირითადი პრინციპი და ასევე დებეტის, კრედიტისა და ბალანსის ცნება.

საბანკო ბუღალტერიას, ნებისმიერი კომპანიის ბუღალტერიის მსგავსად, საქმე აქვს ბიზნესის მონაცემებთან, კონტრაგენტების ფულადი ნაკადების აღრიცხვასთან, საგადასასახდო და სააღრიცხვო დოკუმენტებში ამ ციფრების დაფიქსირებასთან. ეს ციფრები აღებულია მიმდინარე რეალური გრძელვადიანი და მოკლევადიანი ოპერაციებიდან, ოფიციალურად დადასტურებული ფაქტებიდან, როგორებიცაა: ფულის მოძრაობა ანგარიშებზე, კლიენტების სახსრების აღრიცხვა, მოთხოვნების (გაცემული სესხების, ინვესტიციების და სხვ.) აღიარება, ძირითადი საშუალებების შეძენისა და მათი ცვეთის აღრიცხვა, ვალდებულებების აღრიცხვა, კაპიტალის გაზრდა, შემოსავლებისა და ხარჯების განაწილება, მოგება-ზარალის ფორმირება და სხვ. მოკლედ თუ ვიტყვით, **საბუღალტრო აღრიცხვა კომერციულ ბანკში** – ესაა ინფორმაციული ნაკადები ფულადი სახსრების, ქონების, კრედიტების, შემოსავლების, ხარჯებისა და ფინანსური შედეგების შესახებ, რომელთა მიზანს წარმოადგენს ბანკის საქმიანობის მართვა, კონტროლი, ანალიზი, შეფასება და დაგეგმვა.

თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, საბანკო საბუღალტრო აღრიცხვა ხასიათდება ოპერატიულობით და ფორმების ერთიანობით. აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ ყველა ოპერაცია (საანგარიშსწორებო, საკრედიტო და სხვ.), რომლებიც ხორციელდება საოპერაციო დღის განმავლობაში, ასახული უნდა იქნეს კლიენტების შესაბამის პირად ანგარიშებზე იმავე დღეს და მათი გაკონტროლება ხდება ბანკის ყოველდღიური ბალანსის ფორმირებით. რაც შეეხება ყველა ბანკისათვის აღრიცხვის ფორმების ერთიანობას, იგი გამოიხატება მათი უნიფიცირებულობით და საბანკო საქმიანობის სრულყოფილი ანალიზის საშუალებას იძლევა.

კომერციულ ბანკებში საბუღალტრო აღრიცხვისა და დოკუმენტბრუნვის მართებული ორგანიზება უშუალო გავლენას ახდენს მისი მომსახურებით მოსარგებლე კლიენტების საბუღალტრო აღრიცხვის მდგომარეობაზეც. ბანკები დღის განმავლობაში განხორციელებული ოპერაციების ასახვას ახდენენ თითოეული კლიენტის პირად ანგარიშებზე და შესაძლებლობა აქვთ, თითოეული ანგარიშის მიხედვით გასცენ ამონაწერი, რომელშიც ასახულია ამ ანგარიშზე დღის განმავლობაში განხორციელებული ყველა ოპერაცია. ასეთი ამონაწერები არის საფუძველი იურიდიული პირებისათვის, რათა ასახონ ჩატარებული ოპე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაციები მათ ბალანსებში. რა თქმა უნდა, საჭიროების მიხედვით (კლიენტის მოთხოვნისთანავე) ბანკს შესაძლებლობა აქვს, ოპერატიულად გასცეს ნებისმიერი პერიოდის გასული ოპერაციების ამსახველი ამონაწერი ანგარიშიდან.

კომერციულ ბანკში საბუღალტრო აღრიცხვის ამოცანების სისტემატიზებით შეიძლება **4 ძირითადი ამოცანის** გამოყოფა:

1. **ყველა საბანკო ოპერაციის, მოთხოვნისა და ვალდებულების შესახებ სრული და უტყუარი აღრიცხვისა და კონტროლის უზრუნველყოფა:**

აღნიშნული ამოცანა ითვალისწინებს დეტალურ აღრიცხვას კომერციულ ბანკში ჩატარებული ყველა ოპერაციისა, რომლებიც ასახვას პოვებენ ყოველდღიურ ბალანსებში. ეს ოპერაციები დაკავშირებულა კლიენტების მოთხოვნებთან (აქტიური ოპერაციები), ვალდებულებებთან (პასიური ოპერაციები), საშუამავლო-საკომისიო და ბანკის, როგორც ბიზნესორგანიზაციის, საქმიანობასთან. ბანკის მიერ საოპერაციო დღის ბოლოს ყოველდღიური ბალანსების სავალდებულო ფორმირება შესაძლებელია კომპიუტერული ტექნიკისა და სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით. ყოველდღიური ბალანსები საშუალებას იძლევა, მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი შეცდომები, რომლებიც დაკავშირებულია ყოველი ოპერაციის შესახებ ინფორმაციის ფორმირებასთან (ანგარიშებიდან ამონაწერის მომზადება). პირადი ანგარიშების ამონაწერების მომზადება ხორციელდება მათი საბოლოო გადამოწმებისა და მთავარი ბუღალტრის მიერ დადასტურების შემდეგ.

2. **შემოსავლიანობის ანალიზი და კონტროლი, რეზერვების გამოვლენა და უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება ბანკის ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად:**

კომერციული ბანკის ფინანსური მდგრადობა გულისხმობს მომგებიან საქმიანობას (ზარალის არარსებობას), ლიკვიდობის საკმარისი დონის შენარჩუნებას (ლიკვიდობის სავალდებულო ნორმატივების დაცვა) და გადამხდელუნარიანობას.

3. **ბანკის ქონებისა და მატერიალურ ფასეულობათა არსებული მდგომარეობის და მოძრაობის კონტროლი:**

აღნიშნული ინფორმაცია აუცილებელია როგორც შიდა (აქციონერები, უმაღლესი მენეჯმენტი, შიდა აუდიტი), ისე გარე (ეროვნული ბანკი, გარე აუდიტი, საგადასახადო სამსახურები) მომხმარებლებისათვის.

4. **ვალდებულებების, რეზერვებისა და ფინანსური შედეგების შესახებ სრული და სანდო ინფორმაციის ფორმირების კონტროლი და მისი გამოყენება მმართველობითი გადაწყვეტილების მისაღებად:**

უტყუარი და სანდო ანგარიშგებები, რომლებიც მომზადებულია ბუღალტრული ჩანაწერების საფუძველზე, საშუალებას იძლევა, დროულად იქნეს გამოვლენილი ყველა დარღვევა და მოსალოდნელი საფრთხე, რომლებიც შეიძლება უკავშირდებოდეს ლიკვიდობის რისკს, რესურსების დეფიციტს, შემოსავლიანობის შემცირებას, ხარჯების ზრდას. ეს კი მოითხოვს მმართველობითი გადაწყვეტილების ოპერატიულ მიღებას.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების კომერციულ ბანკებში საბუღალტრო აღრიცხვის პრინციპები ემყარება ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მოქმედ პრინციპებს. **ბანკებში საბუღალტრო აღრიცხვის ძირითადი პრინციპებია**:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. უწყვეტობის პრინციპი

უწყვეტობის პრინციპი გულისხმობს იმის დაშვებას, რომ კომერციული ბანკი უწყვეტად გააგრძელებს თავის საქმიანობას გონივრულ მომავალში და დღეისათვის არ არსებობს მისი საქმიანობის შეწყვეტის არანაირი წინაპირობა.

2. შემოსავლებისა და ხარჯების დარიცხვის მეთოდი

საქართველოს ბიზნესსტრუქტურებიდან კომერციული ბანკები პირველი გადავიდნენ შემოსავლებისა და ხარჯების დარიცხვის მეთოდზე, ნაცვლად საკასო მეთოდისა. საკასო მეთოდის მიხედვით, შემოსავლებისა და ხარჯების ასახვა ხდება მხოლოდ ფულადი სახსრების ფაქტობრივი შემოსვლის ან გასვლის მომენტში, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად კი – შემოსავლებისა და ხარჯების გადანაწილება ხდება თანაბრად იმ პერიოდზე, რომელ პერიოდსაც იგი ეკუთვნის, მიუხედავად იმისა, თანხები უკვე შემოსულია (გასულია) თუ ეს მომავალშია მოსალოდნელი.

3. წინდახედულობის პრინციპი

კომერციული ბანკების მიერ მათი აქტივების, პასივების, შემოსავლებისა და ხარჯების ასახვა ბუღალტრულ აღრიცხვაში უნდა მოხდეს წინდახედულობითა და სიფრთხილით, რათა დღეს არსებული რისკები ან პრობლემები მომავალში არ წამოიჭრას.

4. ფორმასთან შედარებით შინაარსის უპირატესობის პრინციპი

კომერციული ბანკების მიერ ოპერაციების ასახვა საბუღალტრო აღრიცხვაში უნდა განხორციელდეს მათი ეკონომიკური შინაარსის და არა იურიდიული ფორმის მიხედვით. აღნიშნულის მიხედვით, რომელიმე ოპერაცია ან გარიგება ხელშეკრულებაში შეიძლება მოხსენიებული იყოს ისეთი ტერმინით, რომელიც რეალურად არ ასახავს მის ეკონომიკურ შინაარსს.

5. აქტივებისა და პასივების ცალ-ცალკე განხილვის პრინციპი

პრინციპი გულისხმობს, რომ კომერციული ბანკის ბალანსში უნდა არსებობდეს მხოლოდ აქტიური ან მხოლოდ პასიური ანგარიშები და არა აქტიურ-პასიური ანგარიშები.

6. გამოსაყენებელი მეთოდების მუდმივობის პრინციპი

საბუღალტრო აღრიცხვის მუდმივობის პრინციპი გულისხმობს იმას, რომ კომერციული ბანკები უნდა ხელმძღვანელობდნენ ბუღალტრული აღრიცხვის ერთი და იმავე წესებით და მეთოდებით და არ უნდა ცვლიდნენ მიდგომას ცალკეული საკითხების შეფასებისადმი.

7. აღრიცხვაში ოპერაციების ორმაგი ასახვის პრინციპი

აღნიშნული პრინციპი გულისხმობს იმას, რომ სახსრების ნებისმიერი მოძრაობა ბალანსში უნდა აისახოს მინიმუმ ორ ანგარიშზე, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი საერთო ბალანსი.

8. შემომავალი ბალანსის მონაცემების მემკვიდრეობითობის პრინციპი

საბალანსო და გარებალანსურ ანგარიშებზე მიმდინარე დღის შემომავალი (საწყისი) ნაშთები უნდა შეესაბამებოდეს ნაშთებს წინა დღის ბოლოსათვის.

9. აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანად აღრიცხვის პრინციპი

აქტივები თავდაპირველად ბუღალტრულად აღირიცხება მათი პირველდაწყებითი ღირებულებით, ხოლო შემდეგ ხდება მათი შეფასება მიმდინარე, საბაზრო (სამართლიანი) ღირებულებით, რისთვისაც გამოიყენება სხვადასხვა მაკორექტირებელი (გადაფასების) ანგარიში. რაც შეეხება ვალდებულებებს, მათი

აღრიცხვა ბალანსში ხდება ხელშეკრულების პირობების თანახმად. ცალკეულ შემთხვევებში მათი გადაფასებაც შეიძლება მოხდეს მიმდინარე (სამართლიანი) ღირებულებით.

10. ოპერაციათა თავისდროული აღრიცხვის პრინციპი

ბანკში ოპერაციები ბუღალტრულად გატარებული უნდა იქნეს მათი შესრულებისა და სრული დოკუმენტაციის მიღებისთანავე.

კომერციულ ბანკებში ბუღალტრული აღრიცხვის ამოცანებისა და პრინციპების გაცნობის შემდეგ დავახასიათოთ მათი **ფორმები**. ბუღალტრული აღრიცხვა ბანკში მიმდინარეობს ორი მიმართულებით. ესენია: ანალიზური და სინთეზური.

1. **ანალიზური აღრიცხვა** – ესაა დაწვრილებითი აღრიცხვა, რომელიც საბანკო ოპერაციას ასახავს სრულად, ყველა დეტალით. ანალიზური აღრიცხვა ხორციელდება პირადი ანგარიშების გახსნით, რომლის დროსაც აუცილებელია შემდეგი მონაცემები: ანგარიშის გახსნის თარიღი, დასახელება და ნომერი, კლიენტის დასახელება და ა.შ.
2. **სინთეზური აღრიცხვა** – ესაა განზოგადებული აღრიცხვა, რომელიც ახდენს ანალიზური აღრიცხვის მონაცემების დაჯგუფებას გამსხვილებული მუხლებით, გარკვეული ნიშან-თვისებების მიხედვით და მისი საშუალებით ხდება ანალიზური აღრიცხვის მონაცემების მართებულობის გადამოწმება. სინთეზური აღრიცხვის დოკუმენტებს მიეკუთვნება ყოველდღიური ბრუნვითი უწყისი და ყოველდღიური ბალანსი.

დაბოლოს, განვიხილოთ კომერციულ ბანკში ბაღალტრული აღრიცხვის ორი ისეთი ტიპი, როგორებიცაა ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვა. ორივე აღრიცხვისათვის, რა თქმა უნდა, წყარო ერთი და იგივეა, მაგრამ განსხვავებულია მათი საბოლოო სახე, ვინაიდან ისინი განკუთვნილია სხვადასხვა (შიდა და გარე) მომხმარებლისათვის.

1. **ფინანსური აღრიცხვა** განკუთვნილია გარე მომხმარებლებისათვის, როგორებიცაა: ეროვნული ბანკი, საგადასახადო სამსახურები, გარე აუდიტი და კლიენტები.

ფინანსური აღრიცხვა საბანკო ოპერაციების ჩაწერის, შეფასებისა და ფინანსურ ანგარიშგებაში განზოგადების საშუალებას იძლევა. მისთვის დამახასიათებელია მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მომზადება, ორმაგი ჩაწერის სისტემის გამოყენება, ბუღალტრული აღრიცხვის საყოველთაოდ მიღებული პრინციპებისა და ნორმების სავალდებულო დაცვა, ოპერაციების ფულადი საზომი ერთეულით ასახვა, ანგარიშგების მომზადების პერიოდულობის დაცვა, ობიექტურობა და სიზუსტე.

ფინანსური აღრიცხვის ანგარიშგებების მომზადება გარე მომხმარებლებისათვის ხდება ამ მომხმარებლების მიერ დადგენილი (უნიფიცირებული) ფორმების მიხედვით. ფინანსური აღრიცხვა იყოფა სამ მთავარ ჯგუფად: ანალიზური აღრიცხვა, სინთეზური აღრიცხვა და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაანგარიშება.

2. **მმართველობითი აღრიცხვა** მოიცავს სააღრიცხვო ინფორმაციას, რომელიც გამიზნულია ბანკის მენეჯმენტისა და სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობებისათვის ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად. აღრიცხვის ამ სახეობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისებურებაა ის, რომ იგი მზადდება მხოლოდ შიდა მომხმარებლებისათვის.

მმართველობითი ანგარიშგებების მომზადება განპირობებულია რიგი გარემოებებით. ბანკის მართვისათვის ოფიციალური, გარე მომხმარებლებისათვის მომზადებული ინფორმაციის გარდა, საჭიროა უფრო დეტალური ან სხვა ჭრილში, სხვა სტრუქტურით მომზადებული ინფორმაცია. ასევე მმართველობითი ანგარიშგებები მზადდება ოპერატიულად (უფრო მოკლე ვადებში) და უფრო ხშირად, ვიდრე ფინანსური აღრიცხვის დროს.

9.2. ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზება ბანკში

ბუღალტრული აღრიცხვის გამართული და ადეკვატურ სისტემა წარმოადგენს კომერციული ბანკების საქმიანობის უმნიშვნელოვანეს ელემენტს, რომლის მთავარი დანიშნულებაა მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების მართებულად ასახვა, ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგებების მომზადება.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, „ბანკები და მათი შვილობილი ორგანიზაციები სისტემატურად აწარმოებენ ანგარიშებსა და ჩანაწერებს და ადგენენ წლიურ საფინანსო ანგარიშგებას, რომლებიც საერთაშორისო საბუღალტრო მეთოდების საფუძველზე, ზუსტად ასახავს მათ ოპერაციებს და ფინანსურ მდგომარეობას, ამასთან, იცავენ საქართველოს ეროვნული ბანკის წესების შესაბამის ფორმას, დეტალურობის დონეს და სააღრიცხვო ნორმებს. ბანკების ანგარიშები, ჩანაწერები და საფინანსო ანგარიშგება კრებსით საფუძველზე ასახავს მათი შვილობილი ორგანიზაციების ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობას“ [19].

მართებულად ორგანიზებულმა ბაღალტრულმა აღრიცხვის სისტემამ ბანკში უნდა უზრუნველყოს საბანკო ოპერაციების უწყვეტი და ზუსტი ასახვა, რათა მიღებულ იქნეს ადეკვატური ინფორმაცია ბანკის მდგომარეობის შესახებ. ბუღალტრული აღრიცხვა არის კონტროლის უმთავრესი ბერკეტი და დროული მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი ისეთი მიმართულებებით, როგორებიცაა:

- ფინანსური რესურსებისა და ქონების ეფექტიანად გამოყენება;
- დანახარჯების შემცირება;
- შემოსავლიანობისა და რენტაბელობის ზრდა;
- საკუთარი კაპიტალის ზრდა.

ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზება კომერციულ ბანკში დაფუძნებულია ქართულ კანონმდებლობასა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს) მოთხოვნებზე. საბუღალტრო აღრიცხვა წარმოებს ეროვნულ ვალუტაში. ბანკის საკუთარი რესურსებისა და ქონების აღრიცხვა ხდება კლიენტების სახსრებიდან განცალკევებით. საბუღალტრო აღრიცხვა წარმოებს კომერციული ბანკის ლიცენზირების დღიდან, შეუწყვეტლივ მის ლიკვიდაციამდე ან რეორგანიზებამდე. როგორც ზემოთ აღინიშნა, ყველა

19 საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“, მუხლი 26.

განხორციელებული ოპერაციის ასახვა ხდება ორმაგი ჩაწერის მეთოდით ურთიერთდაკავშირებულ ანგარიშებზე, ანალიზური აღრიცხვის მონაცემები უნდა შეესაბამებოდეს სინთეზური აღრიცხვის მონაცემებს.

საბანკო ბუღალტერიის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის 2000 წლის 26 ოქტომბრის №3 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს საბანკო დაწესებულებებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა და მისი გამოყენების ინსტრუქცია". კომერციული ბანკები თავიანთი ბუღალტრული საქმიანობისას ხელმძღვანელობენ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული ნორმატიული დოკუმენტებით, რომელთა შორის აღსანიშნავია:

- „საქართველოში უნაღდო ანგარიშსწორების წესები";
- „კომერციულ ბანკებში ნაღდ ფულსა და სხვა ფასეულობასთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოების წესი";
- „დებულება საგადახდო ბარათების შესახებ";
- „დებულება საგადახდო სისტემაში ელექტრონული საქმიანობის შესახებ";
- „დებულება საგადახდო და ფასიანი ქაღალდების სისტემაში (GPSS) ელექტრონული დოკუმენტისა და ციფრული ხელმოწერის გამოყენების შესახებ".

ამასთან, თითოეულ კომერციულ ბანკში საბუღალტრო საქმიანობის პრინციპებისა და საერთო წესების დასადგენად შემუშავებული და სათანადო წესით დამტკიცებული უნდა იქნეს ე. წ. **„სააღრიცხვო პოლიტიკა"**. კომერციული ბანკის სააღრიცხვო პოლიტიკას ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო. ესაა დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია საბუღალტრო აღრიცხვის წესები და წარმოების საშუალებები. სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანია ბანკში აღრიცხვის ერთიანი სისტემის შემოღება.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველი ბანკი დამოუკიდებლად შეიმუშავებს სააღრიცხვო პოლიტიკას, მაინც არსებობს ის ზოგადი სტრუქტურა, რომელიც მოიცავს შემდეგ ძირითად ელემენტებს:

- ბანკში დანერგილი საბუღალტრო აღრიცხვის მიზნები და ამოცანები;
- საბუღალტრო აღრიცხვის პრინციპები, რომლებიც არის სახელმძღვანელო დებულებები ბანკისათვის (უწყვეტობის, დარიცხვის, წინდახედულობის, ფორმასთან შედარებით შინაარსის პრიორიტეტულობის და ა.შ.);
- პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების ფორმები, რომლებიც გამოიყენება ბუღალტრულ აღრიცხვაში;
- შვილობილ კომპანიებთან და ფილიალებთან ანგარიშსწორებათა წესი;
- ცალკეული საბანკო ოპერაციების აღრიცხვის წესები. ცალ-ცალკე დგინდება ფასიანი ქაღალდების, გაცემული სესხებისა და მოზიდული სახსრების, დოკუმენტური ოპერაციებისა და ა.შ. აღრიცხვის წესები;
- შემოსავლებისა და ხარჯების და, აქედან გამომდინარე, მოგების ფორმირების წესი;
- ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების ცალკეული სახეობების შეფასების, ამორტიზაციის ფორმების, ცვეთის ნორმების დადგენისა და ინვენტარიზაციის ჩატარების წესი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

- დოკუმენტბრუნვისა და სააღრიცხვო დოკუმენტაციის ტექნიკური და მუშავების წესი;
- სააღრიცხვო საქმიანობის კონტროლის მექანიზმები.

კომერციულ ბანკში საბუღალტრო აღრიცხვის საფუძველს წარმოადგენს **სააღრიცხვო-საოპერაციო საქმიანობა**, რაც გულისხმობს პროცესების ერთობლიობას, დაკავშირებულს საოპერაციო საქმიანობასა და ბუღალტრულ აღრიცხვასთან. სააღრიცხვო-საოპერაციო საქმიანობა კომერციულ ბანკში ხორციელდება ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილი წესებისა და ამავე ბანკის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად და მას მიეკუთვნება:

- კლიენტებისაგან ფულადი და საანგარიშსწორებო დოკუმენტების მიღება და მათი გაფორმების მართებულობის შემოწმება;
- დოკუმენტების მომზადება საბუღალტრო აღრიცხვაში ასახვისათვის;
- საანგარიშსწორებო დოკუმენტებისა და ვადიანი ვალდებულებების კარტოთეკების წარმოება;
- გადახდების დროულად განხორციელების კონტროლი;
- ფულადი სახსრების შემოდინებისა და გადახდების ოპერატიულად აღრიცხვა;
- კლიენტების სასესხო დავალიანებების აღრიცხვა;
- ოპერაციები საკორესპონდენტო ანგარიშების მეშვეობით.

იმ თანამშრომლებს, რომლებიც ჩართული არიან ამ პროცესში, სააღრიცხვო-საოპერაციო საქმიანობის მიმართულების მუშაკებად მოიხსენიებენ.

პასუხისმგებლობა სააღრიცხვო კომერციული ბანკის პოლიტიკის შემუშავებისათვის, სააღრიცხვო-საოპერაციო საქმიანობის გამართულად მუშაობისათვის, დროული და სანდო ანგარიშგებების მომზადებისათვის ეკისრება საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგებების სამსახურს (დეპარტამენტი, სამმართველო), რომელსაც ხელმძღვანელობს მთავარი ბუღალტერი.

კომერციული ბანკის საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების სამსახურის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს ბანკში საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების ერთიანი მეთოდოლოგიის შემუშავება, მთავარი წიგნის წარმოება, ფინანსური და სტატისტიკური ანგარიშგებების მომზადება, საგადასახადო ვალდებულებების აღრიცხვა და საგადასახადო ორგანოებში ანგარიშგების წარდგენა, ასევე ადმინისტრაციულ-სამეურნეო ოპერაციების ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება.

საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების სამსახურები ასრულებენ შემდეგ ძირითად ფუნქციებს:

- სააღრიცხვო პოლიტიკისა და ბუღალტრული აღრიცხვის ერთიანი მეთოდოლოგიის შემუშავება და დანერგვა;
- ბუღალტრული აღრიცხვის საქმიანობის ორგანიზება ბანკში (მისი ფილიალების ჩათვლით);
- ბანკის ანგარიშთა გეგმის წარმოება, მთავარი წიგნის წარმოება და ბუღალტრული დოკუმენტბრუნვის უზრუნველყოფა;
- კლიენტებისა და ბანკის ანგარიშების გახსნა;
- ფილიალების ბალანსების ყოველდღიური კონტროლი;
- ანალიზური და სინთეზური აღრიცხვის მონაცემთა მთავარი წიგნის მონაცემებთან შედარება;
- სხვადასხვა ტიპის ანგარიშგების (ფინანსური, სტატისტიკური, რეგუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლატორული, საგადასახადო, მმართველობითი) შედგენა და წარდგენა გარე და შიდა მომხმარებლებისათვის;
- ბანკის ადმინისტრაციულ-სამეურნეო საქმიანობის აღრიცხვა;
- ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაწყობო მეურნეობის აღრიცხვა, ინვენტარიზაცია და მათ მოძრაობასთან დაკავშირებული ოპერაციების განხორციელება.

კომერციულ ბანკებში საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების სამსახურების გამართულად მუშაობისა და მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებისათვის პასუხისმგებლობა აკისრია მთავარ ბუღალტერს. ბანკის შესაბამისი თანამშრომლები საბუღალტრო ოპერაციებს ასრულებენ მათი თანამდებობრივი ინსტრუქციების შესაბამისად.

თითოეული კომერციული ბანკი დამოუკიდებლად განსაზღვრავს თავისი საოპერაციო დღის ხანგრძლივობას, ანუ საოპერაციო-სააღრიცხვო ციკლს მოცემული კალენდარული დღისათვის, რომლის განმავლობაშიც ხდება განხორციელებული ოპერაციების ასახვა იმავე დღის ბალანსში. საოპერაციო დღის ხანგრძლივობა, ანუ მისი დასაწყისი და დასასრული, დამოკიდებულია კონკრეტული ბანკის შესაბამისი სამსახურების მუშაობის რეჟიმზე, მის სტრატეგიასა და კონკურენტულ გარემოზე. საოპერაციო დღის დასრულების შემდეგ მიღებული დოკუმენტაცია ან ჩატარებული ოპერაციები ბალანსში აისახება მომდევნო სამუშაო დღეს.

9.3. კომერციული ბანკის ბალანსი და მისი აგების პრინციპები

კომერციული ბანკის ბალანსი არის ის სარკე, რომელიც სრულად ასახავს ბანკის მდგომარეობას მოცემული მომენტისათვის. ის ინფორმაცია, რომელიც იკითხება თუნდაც გამსხვილებული მუხლებით წარმოდგენილი, ე. წ. „მოკლე“ ბალანსიდან, პასუხს სცემს ბევრ საინტერესო კითხვას ამ კომერციული ბანკის შესახებ. ბალანსიდან შესაძლებელია გავიგოთ პირველადი ინფორმაცია ბანკის მასშტაბებზე (აქტივების მოცულობა), რესურსების სტრუქტურასა და წყაროებზე, აქტივების სტრუქტურაზე, სახსრების ეფექტიანად განთავსებაზე, მომგებიანობაზე, ლიკვიდობაზე და ა.შ. სწორედ ამ მიზნებისათვის იყო წარმოდგენილი საქართველოს საბანკო სისტემის კონსოლიდირებული ბალანსი, ასევე აქტივების, პასივების, კაპიტალის, მოგებისა და ხარჯების ბალანსური მონაცემები გასულ მასალაში.

კომერციული ბანკის ბალანსი – ესაა ბუღალტრული ბალანსი, რომელიც ასახავს კომერციული ბანკის საკუთარი და მოზიდული სახსრების მდგომარეობას და მათ განთავსებას სხვადასხვა აქტიურ ოპერაციაში, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს. კომერციული ბანკის ბალანსი საბუღალტრო აღრიცხვის ძირითადი დოკუმენტია, რომელიც ანალიზური აღრიცხვის (პირადი ანგარიშები) მონაცემების ჯამს ასახავს მათი ნომრების ზრდის წესით. ამასთან, ეს მონაცემები დაჯგუფებული უნდა იყოს მათი ეკონომიკური ერთგვაროვნების ან ლიკვიდურობის მიხედვით.

საბანკო ბალანსები მიეკუთვნება კომერციული ინფორმაციის საშუალებებს და პასუხობს ოპერატიულობის, კონკრეტულობისა და სანდოობის მოთხოვნებს. კომერციული ბანკის ბალანსის ოპერატიულობა ვლინდება მის ყოველდღიურ შედგენაში, რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს მისი კონკრეტულობისა და სანდოობის ხარისხის ზრდასა და გარანტირებას. ყოველივე აღნიშნული გამოიხატება საბანკო დაწესებულებების მიერ კლიენტებისათვის მათი პირადი ანგარიშებიდან ყოველდღიური ამონაწერების გაცემაში, რაც მინიმუმამდე ამცირებს შეცდომების ალბათობას.

საქართველოში კომერციული ბანკის ბალანსის, როგორც მისი საქმიანობის შესახებ კომერციული ინფორმაციის უპირველესი წყაროს, მნიშვნელობა კარგად ჩანს ჩვენთვის უკვე ნაცნობ „გამჭვირვალობის წესში". დოკუმენტის თანახმად, ქვეყანაში საბაზრო დისციპლინის განმტკიცებისა და საბანკო სექტორისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლებისათვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა საბანკო სექტორის ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალობა, რაც მიიღწევა კომერციული ბანკების მიერ ფინანსურ ანგარიშგებათა საჯაროობით. დოკუმენტის თანახმად, კომერციული ბანკები ვალდებული არიან ბეჭდურ ორგანოებში, საკუთარ და საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდებზე ყოველკვარტალურად გამოაქვეყნონ შემდეგი ანგარიშგებები:

- საბალანსო უწყისი;
- მოგება-ზარალის უწყისი;
- ბალანსგარეშე ანგარიშგების უწყისი;
- ეკონომიკური მაჩვენებლები;
- ინფორმაცია ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატის, აქციონერებისა და ბენეფიციარების შესახებ.

ნიშანდობლივია, რომ პირველი ოთხი ანგარიშგების წყაროს სწორედ კომერციული ბანკის საბუღალტრო ბალანსი წარმოადგენს.

კომერციული ბანკის ბალანსი წარმოადგენს აქტივების, ვალდებულებისა და კაპიტალის ჩამონათვალს, რომელთა შორის შესაბამისობა გამოისახება ბალანსის ცნობილი ფორმულის მეშვეობით:

$$\text{აქტივები} = \text{ვალდებულებები} + \text{კაპიტალი} \qquad (9.1)$$

ცხადია, აქტივის ანგარიშების ნაშთი უდრის პასივების ნაშთს, სიტყვა „ბალანსი" ხომ ტოლობასაც ნიშნავს. ამ ნაშთს ხშირად უწოდებენ **ბალანსის ვალუტას** და იგი არ უნდა აგვერიოს უცხოურ ვალუტაში. ბალანსის ვალუტა, როგორც ვხვდებით, ესაა აქტივების ან პასივების ჯამი. ბალანსის ვალუტა და აქტივები (აქტივების ჯამი) სინონიმებად გამოიყენება. როცა, მაგალითად, ამბობენ, რომ რომელიმე ბანკის აქტივები საანგარიშო პერიოდში გაიზარდა 15%-ით, ცხადია, საუბარია როგორც აქტივების, ისე პასივების, ანუ ბალანსის ვალუტის ზრდაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ საბალანსე ანგარიშების გარდა, სადაც აღირიცხება ნებისმიერი ოპერაცია, რომელიც დაკავშირებულია ფულის მოძრაობასთან, კომერციული ბანკების აღრიცხვის პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება **გარებალანსური** (იგივე გარესაბალანსო ან ბალანსგარეშე) ანგარიშები. გარესაბალანსო ანგარიშები გამოიყენება იმ ფასეულობების, დოკუმენტებისა და პირობითი ვალდებულებების აღრიცხვისათვის, რომელთა ასახვა შეუძლებელია ბალანსში, ვინაიდან არაა დაკავშირებული უშუალოდ ფულის მოძრაობასთან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მნიშვნელოვანია ბანკისათვის მათი აღრიცხვა. გარესაბალანსო ანგარიშების მნიშვნელობა განპირობებულია იმით, რომ აქ აღირიცხება როგორც ბანკის მხრიდან, ისე მის მიმართ ვალდებულებები, ფასეულობა და დოკუმენტები, რომლებიც მომავალში მოახდენენ ან შეიძლება მოახდინონ გავლენა ბანკში ფულის მოძრაობაზე და, შესაბამისად – მის ბალანსზე. გარესაბალანსო ანგარიშებზე აღირიცხება პირობითი ვალდებულებები (მიღებული და გაცემული გარანტიები), ფორვარდული და ფიუჩერული, ზარალში ჩამოწერილი ვალები და სხვ.

კომერციული ბანკის ბალანსის აგება ხდება საბუღალტრო აღრიცხვის იმ 10 ძირითად პრინციპზე დაყრდნობით, რომლებიც განვლილ მასალაში უკვე განვიხილეთ.

ქართული კომერციული ბანკების ბალანსი დგება უნიფიცირებული სისტემის მიხედვით, რომელიც შემდეგ პარაგრაფში იქნება წარმოდგენილი.

9.4. ბანკების ანგარიშთა გეგმა საქართველოში

ქართული ბანკების როგორც საქართველოს ეროვნული ბანკის, ისე კომერციული ბანკების ბალანსი, დგება უნიფიცირებული სისტემის მიხედვით, „საქართველოს საბანკო დაწესებულებებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმისა და მისი გამოყენების ინსტრუქციის“ შესაბამისად. როგორც ზემოთ აღინიშნა, დოკუმენტი საქართველოს ეროვნულ ბანკთან ერთად შემუშავებულ და დამტკიცებულ იქნა საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის 2000 წლის 26 ოქტომბრის №3 დადგენილებით. აღნიშნული ანგარიშთა გეგმა შემუშავებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და საერთაშორისო აღრიცხვის ძირითადი პრინციპების მოთხოვნათა გათვალისწინებით, რომლის მიზანია, უზრუნველყოს საფინანსო ანგარიშგების მისაღებად ყველა საჭირო მოთხოვნა. იგი საშუალებას იძლევა, განხორციელდეს საბანკო ოპერაციების დეტალური, სრული აღრიცხვა და მომხმარებელმა დროულად მიიღოს რეალური ინფორმაცია. მოცემული ინსტრუქცია შედგება დანაყოფებისა და ქვედანაყოფებისაგან.

საბანკო დაწესებულებების ანგარიშთა გეგმა არის სისტემატიზებული ჩამონათვალი ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებისა, გამოიყენება საბანკო ოპერაციების აღრიცხვისათვის, რომელიც შეესაბამება ქვეყნის კანონმდებლობასა და საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიულ აქტებს.

ზემოაღნიშნული ანგარიშთა გეგმა შემუშავებულია ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პრინციპების შესაბამისად და მასში გათვალისწინებულია:

- დარიცხვათა პრინციპი;
- წინდახედულობის პრინციპი,
- აღრიცხვაში ოპერაციების ასახვის პრინციპი;
- გამოსაყენებელი მეთოდების მუდმივობის პრინციპი;
- აქტივებისა და პასივების ცალ-ცალკე განხილვის პრინციპი;
- ფორმასთან შედარებით შინაარსის პრიორიტეტის პრინციპი;
- ბალანსის სიმყარის პრინციპი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანგარიშების აღსანიშნავად გამოყენებულია ოთხნიშნა ციფრული კოდი და იერარქიული სტრუქტურა. პირველი ორი თანრიგი განსაზღვრავს „კლასს“, მესამე თანრიგით განისაზღვრება „ჯგუფი“, ხოლო მეოთხე თანრიგით – ჯგუფის შიგნით ცალკეული „ანგარიშები“.

თავისი დიდი მოცულობის გამო, კომერციული ბანკების მთლიანი ანგარიშთა გეგმის აქ მოტანა შეუძლებელია, მაგრამ მხოლოდ კლასების გაანალიზება საშუალებას გვაძლევს, გარკვეულწილად შევაფასოთ სრული ანგარიშთა გეგმა (ცხრ. №9.1.). ცხრილის გაანალიზებით ადვილი შესამჩნევია, რომ თითოეული კლასის ორნიშნა თანრიგის პირველი ციფრით აღინიშნება:

- 1-2 – აქტივები;
- 3-4 – ვალდებულებები;
- 5 – კაპიტალი;
- 6-7 – შემოსავლები;
- 8-9 – ხარჯები;
- 0 – ბალანსგარეშე ანგარიშები.

როგორც გასულ მასალაში აღვნიშნეთ, ანგარიშთა გეგმის მნიშვნელოვანი თავისებურებაა ისიც, რომ აგებულია ანგარიშების ლიკვიდურობის წყობის პრინციპით. მთლიანად არის გამიჯნული აქტიური ანგარიშები პასიური ანგარიშებისაგან და პირიქით.

ასევე, შესაბამისი თემების შესწავლისას უკვე განვიხილეთ ქვემოთ მოცემული ცხრილის თითქმის ყველა შემადგენელი ელემენტი, თუმცა, მათი ერთიანად, როგორც ანგარიშთა გეგმის კონსოლიდირებულ სურათად წარმოდგენა აუცილებელია:

ცხრ. №9.1. საქართველოს საბანკო დაწესებულებების ანგარიშთა გეგმა კლასების მიხედვით

კლასი	აქტივები
10	სალარო. კომ. ბანკების ანგარიშები სებ-ში
11	ოქრო
12	სახ. ინსტიტუტებისათვის მიცემული სესხები
13	სახ. კონტროლს დაქვ. სან-თვის მიც. სესხები
14	სახ. სავალო ფ/ ქაღალდები
15	ფ/ ქაღალდები დილინგური ოპერაციებისათვის
16	კორპორაციული სავალო ფ/ ქაღალდები
17	მოთხოვნები ბანკების მიმართ
18	კლიენტებისათვის მიცემული სესხები
19	ვადაგადაცილებული სესხები
20	ინვესტიციები შვილობილ და სხვა სანარმოებში
21	საერთ. სავალუტო ფონდის ანგარიშები*
23	დანარჩენი ოპერაციები
24	მისაღები პროცენტები და დივიდენდები
25	დანარჩენი აქტივები
26	სავალუტო პოზიცია
27	გადავადებული საგადასახადო აქტივი
28	ანგარიშსწორება ერთი ბანკის დაწეს. შორის
29	ძირ. საშუალებები და არამატერ. აქტივები

კლასი	ვალდებულებები
30	სებ-ის მიერ მიმოქცევაში გაშვ. ნაღდი ფული*
31	ვალდებ. საერთ. საფინ-საკრ. ორგანიზაც. წინაშე *
32	კომ. ბანკების ანგარიშები სებ-ში *
33	სახ. ინსტიტუტების ფულადი სახსრები
34	სახ. კონტროლს დაქვემდ. საწარმოთა ფულ. სახსრები
35	ბანკების ფულადი სახსრები
36	კლიენტთა ფულადი სახსრები
37	საფინანსო ორგანიზაციების სესხები
38	საკუთარი სავალო ფ/ ქაღალდები
40	რეზერვები მოსამსახ-თა მომავ. გასაცემლებისათვის
41	აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვი
43	დანარჩენი ოპერაციები
44	გადასახდელი პროცენტები და დივიდენდები
45	დანარჩენი ვალდებულებები
47	გადავადებული საგადასახადო ვალდებულება
48	ანგარიშსწორება ერთი ბანკის დაწეს. შორის
49	ცვეთა და ამორტიზაცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლასი	კაპიტალი
50	განაღდებული კაპიტალი
51	საემისიო კაპიტალი
53	საერთო რეზერვები
54	წინა წლების გაუნაწ. მოგება (დაუფარავი ზარალი)
55	საანგარიშგებო წლის მოგება (ზარალი)
59	აქტივების გადაფასების რეზერვები

კლასი	შემოსავლები
60	შემოსავალი სახ. სექტორიდან
62	შემოსავალი საბანკო და საფინან. სექტორიდან
63	შემოსავალი კომერციული სექტორიდან
64	საკომისიო და შემოს. გაწ. მომსახ. მიხედვით
65	დივიდენდები
66	შემოსავალი დილინგური ოპერაციებიდან
69	შემოსავალი საინვესტიციო ოპერაციებიდან
70	შემოსავალი დანარჩენი ოპერაციებიდან
76	გაუთვალისწინებელი შემოსავალი

კლასი	ხარჯები
80	სახ. სექტორის ხარჯები
81	ხარჯები საკუთარი სავალო ფ/ქაღალდების მიხ.
82	საბანკო-საფინანსო სექტორის ხარჯები
83	კომერციული სექტორის ხარჯები
84	გადახდილი საკომისიო გაწ. მომსახურების მიხედვით
85	ზარალი აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხ.
86	ზარალი დილინგური ოპერაციებისაგან
89	ზარალი საინვესტიციო ოპერაციებისაგან
90	ხარჯები დანარჩენი ოპერაციების მიხედვით
91	ბანკნოტების და მონეტების ბეჭდვის ხარჯი *
92	ბანკის პერსონალისა და განვითარების ხარჯები
93	ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები
94	ძირ. საშუალებათა მიმდ. შეკეთების, მასალების და ინვენტარის შეძენის, ექსპლუატაციის ხარჯები
95	ხარჯები ბიუჯეტში გადასახადების მიხედვით
96	გაუთვალისწინებელი ხარჯები

კლასი	გარებალანსური
01	ეროვნული ბანკის სარეზერვო ფონდები *
02	პირობითი ვალდებულებანი
03	ფორმალური ვალდებულები
04	გარებალანსური ანგარიშგება სავალუტო პოზიცია
05	სხვა ვალდებულებანი
06	ვალდებულებები ბანკში შესანახად განთავსებულ ქონებაზე
07	საპროცენტო განაკვეთების კონტრაქტები
08	კონტრაქტები საქონელზე და სააქციო კაპიტალზე
09	დროებით მოქმედი ბალანსგარეშე ანგარიშები

* მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიში

თითოეული ანგარიშის მომხმარებელია საქართველოს ეროვნული ბანკი ან კომერციული ბანკი, ან ორივე ერთად. ის ანგარიშები, რომელთა მომხმარებელია მხოლოდ ეროვნული ბანკი, აღნიშნულია სპეციალური ნიშნით (*).

როგორც ზემოთ აღინიშნა, თითოეული **კლასი** იყოფა **ჯგუფებად**, ხოლო ისინი, თავის მხრივ – **ანგარიშებად**. ამის საილუსტრაციოდ განვიხილოთ ერთერთი, მაგალითად, კლასი 10 – „სალარო. კომერციული ბანკების ანგარიშები საქართველოს ეროვნულ ბანკში“ და მასში შემავალი ჯგუფები და ანგარიშები (ცხრ. №9.2.):

ცხრ. №9.2. საქართველოს საბანკო დაწესებულებების ანგარიშთა გეგმა (კლასი 10)

კლასი	ჯგუფი	ანგარიში	სახელწოდება
10			**სალარო. კომერციული ბანკების ანგარიშები სებ-ში**
	100		**ნაღდი ფული მიმოქცევაში ერ. ვალუტით**
		1002	საქართველოს ერ. ბანკის სალარო *
		1003	კომერციული ბანკის სალარო
		1004	ფულადი სახსრები ბანკომატებში
		1005	კვანძგარეთა საოპერაციო სალარო
		1006	ბანკნოტები და მონეტები გზაში
		1007	მიმოქცევიდან ამოსაღები ბანკნოტები და მონეტები *
	101		**ნაღდი უც. ვალუტა და სხვა საგადახდო დოკუმენტები**
		1012	საქართველოს ერ. ბანკის სალარო *
		1013	კომერციული ბანკის სალარო
		1014	ფულადი სახსრები ბანკომატებში
		1015	კვანძგარეთა საოპერაციო სალარო
		1016	ბანკნოტები და მონეტები გზაში
		1018	სხვა საგადახდო დოკუმენტები
	105		**კომერციული ბანკების ანგარიშები ეროვნულ ბანკში ერ. ვალუტით**
		1051	კომერციული ბანკების სავალდებულო რეზერვები საქ. ეროვნულ ბანკში
		1052	კომერციული ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშები საქ. ეროვნულ ბანკში
	106		**კომერციული ბანკების ანგარიშები ეროვნულ ბანკში უც. ვალუტით**
		1061	კომერციული ბანკების სავალდებულო რეზერვები საქ. ეროვნულ ბანკში
		1062	კომერციული ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშები საქ. ეროვნულ ბანკში

* მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიში

განსაზღვრავს: აქტივია იგი, პასივი, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი თუ გარებალანსური, პირველი ორი თანრიგი – კლასს, ხოლო პირველი სამი თანრიგი – ჯგუფს. მაგალითად, ანგარიშში 1062 (კომერციული ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშები საქართველოს ეროვნულ ბანკში): „1“ ნიშნავს აქტივს, „10“ – მე-10 კლასს, ხოლო „106“ – ჯგუფს.

ანგარიშთა გეგმაში ანგარიშები გამიჯნულია ეროვნული და უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციების აღრიცხვის მიხედვით. აქტივები და პასივები დაყოფილია ვადიანობის მიხედვით:

- სესხები – მოკლევადიანი, გრძელვადიანი;
- დეპოზიტები – მოთხოვნამდე და ვადიანი.

სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული და კერძო კლიენტებისათვის მიცემული სესხები (აქტივებში) და მათი ფულადი სახსრები (პასივებში) დაჯგუფებულია საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის, ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით და წარმოდგენილია რვა დასახელების სფეროთი:

1. ფიზიკური პირები;
2. ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს კლიენტები;
3. ენერგეტიკის სფეროს კლიენტები;
4. სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის სფეროს კლიენტები;
5. მშენებლობის სფეროს კლიენტები;
6. სამთო მომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობის სფეროს კლიენტები;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

7. ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფეროს კლიენტები;
8. დანარჩენ სფეროთა კლიენტები.

როგორც ვიცით, შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიშებზე დარიცხვის მეთოდის გამოყენება ნიშნავს შემოსავლებისა და ხარჯების ასახვას იმ პერიოდში, რომელსაც ისინი მიეკუთვნებიან, შემოსავლების ფაქტობრივად მიღებისა და ხარჯების გაწევის მომენტის მიუხედავად.

ბანკის ბალანსი იწარმოება სხვადასხვა სამუშაო ვალუტით და კრებსით ბალანსში ფასდება ლარში მიმდინარე ოფიციალური კურსით. ბანკს შესაძლებლობა აქვს ყოველი დღის ბოლოს მიიღოს ბალანსები ცალ-ცალკე ყველა ვალუტის მიხედვით, მაგრამ სრული და „ოფიციალური“ კრებსითი ბალანსის ფორმირება ხდება მხოლოდ ლარში. აქტივებსა და პასივებში შესული ყველა უცხოური ვალუტის ნაშთის გადაფასება ხდება იმ დღეს არსებული ოფიციალური კურსის მიხედვით. ამისგან განსხვავებით, ყველა გატარება შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიშებზე აისახება მხოლოდ ეროვნული ვალუტით, იმის მიუხედავად, თუ რომელი ვალუტით განხორციელდა გადახდა. განვმარტოთ ზემოაღნიშნული ორი მიდგომა ცალ-ცალკე:

- ბანკის მიერ ჩატარებული ოპერაცია უცხოურ ვალუტაში, მაგალითად, სალაროს მეშვეობით ანაბარზე მიღებული 1000 აშშ დოლარი ბალანსში აისახება, როგორც უცხოური ვალუტა, ხოლო კრებსითი ბალანსის აქტივსა და პასივში – ლარში, იმ დღეს არსებული კურსით, მაგალითად, 1.6650 (1665 ლარი). მეორე დღეს კურსის ცვლილების შემთხვევაში არსებული ანაბარი (რომელიც ისევ 1000 აშშ დოლარია) აისახება ახალი კურსით, მაგალითად, 1.6700, ანუ 1670 ლარად. ამგვარად, 1000 აშშ დოლარი კრებსით ბალანსში სხვადასხვა დღეს განსხვავებული ლარის ეკვივალენტით აისახება ოფიციალური კურსის ცვლილების შესაბამისად. კრებსითი ბალანსი საშუალებას იძლევა, ზემოაღნიშნული ანაბარი დანახულ იქნეს როგორც ნომინალში (1000 აშშ დოლარი), ისე მისი ეკვივალენტით (1670 ლარი). ბანკის შესაბამის საბალანსო მუხლებზე ასახული ღირებულების ცვლილებას, რომელიც წარმოიშვება ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილებით უცხოური ვალუტების მიმართ, საკურსო სხვაობა ეწოდება. ბუნებრივია, საკურსო სხვაობა შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი;
- განსხვავებით ამისაგან, შემოსავალში მიღებული (ან ხარჯი), მაგალითად, 100 აშშ დოლარი ოპერაციის დღესვე კონვერტირდება ოფიციალური კურსით და ფიქსირდება ლარში (მაგალითად, 1.6650 კურსის შემთხვევაში – 166,50 ლარად). ბუნებრივია, შემდეგ დღეებში ლარის მიმართ უცხოური ვალუტების ოფიციალური კურსების ცვლილება მას უკვე აღარ ეხება და მისი გადაფასება აღარ მოხდება.

ბანკი უფლებამოსილია შეიმუშაოს ანალიზური აღრიცხვის წარმოების სისტემა თითოეული ოთხთანრიგა საბალანსო ანგარიშის ჭრილში პირადი ანგარიშების გახსნით. აღნიშნული უზრუნველყოფს ნებისმიერ დროს სრული ინფორმაციის მიღებას ანალიზის, კონტროლისა და ფინანსური ანგარიშგების დეტალიზაციის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

საკონტროლო კითხვები:

1. რა არის საბანკო ბუღალტერიის არსი და თავისებურებები?
2. რას გულისხმობს კომერციულ ბანკში საბუღალტრო აღრიცხვის ოთხი ძირითადი ამოცანა?
3. რა შეგიძლიათ თქვათ ბანკებში საბუღალტრო აღრიცხვის ძირითადი პრინციპების შესახებ?
4. რას წარმოადგენს ანალიზური და სინთეზური აღრიცხის არსი და მნიშვნელობა?
5. რა შეგიძლიათ თქვათ ფინანსური და მმართველობით აღრიცხვის შესახებ?
6. რა არის ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზების არსი?
7. რას წარმოადგენს სააღრიცხვო პოლიტიკა კომერციულ ბანკში და მისი რომელი ძირითადი ელემენტები იცით?
8. რა არის სააღრიცხვო-საოპერაციო საქმიანობა ბანკში და რას მოიცავს იგი?
9. რა არის საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების სამსახურების ძირითად ფუნქციები?
10. რა მნიშვნელობა აქვს კომერციული ბანკის ბალანსს?
11. რას ითვალისწინებს „გამჭვირვალობის წესი“ და რა როლი ენიჭება მასში კომერციული ბანკის საბალანსო მონაცემებს?
12. რა არის ე. წ. „ბალანსის“ ფორმულის არსი?
13. რას გულისხმობს ტერმინი „ბალანსის ვალუტა“?
14. რას ნიშნავს გარებალანსური (იგივე გარესაბალანსო ან ბალანსგარეშე) ანგარიშები?
15. რას წარმოადგენს საქართველოში მოქმედი ბანკების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა და რა პრინციპებს ემყარება იგი?
16. როგორ დაახასიათებდით საქართველოში ბანკების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის მიხედვით ანგარიშების აღსანიშნავად გამოყენებულ ოთხნიშნა ციფრულ კოდს?
17. საქართველოში მოქმედი ბანკების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმით, რა ნიშნებით ხდება ანეგარიშების დაყოფა?
18. რა განსხვავებაა უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციების აღრიცხვას შორის, ერთი მხრივ, აქტივებსა და პასივებში და, მეორე მხრივ, შემოსავლებსა და ხარჯებში?

10 თავი

კომერციული ბანკის მოგება და მისი მომგებიანობის შეფასება

შინაარსი:

10.1. კომერციული ბანკის შემოსავლები;
10.2. კომერციული ბანკის ხარჯები;
10.3. კომერციული ბანკის მომგებიანობის შეფასება.

ძირითადი ელემენტები:

1. ბანკების პროცენტული და არაპროცენტული შემოსავლები;
2. საქართველოს საბანკო სისტემის შემოსავლების დახასიათება;
3. საქართველოში ბანკების შემოსავლების ძირითადი სახეობები ანგარიშთა გეგმის მიხედვით;
4. ბანკების ხარჯების სტრუქტურა;
5. საქართველოს საბანკო სისტემის ხარჯების დახასიათება;
6. საქართველოში ბანკების ხარჯების ძირითადი სახეობები ანგარიშთა გეგმის მიხედვით;
7. კომერციული ბანკის მოგების არსი და მნიშვნელობა;
8. კომერციული ბანკების მოგებისა და რენტაბელობის შეფასების ხუთი ძირითადი მეთოდი;
9. რენტაბელობის შეფასება „გამჭვირვალობის წესის“ მიხედვით;
10. მოგების ანალიზი CAMELS-ის სისტემის მიხედვით.

გამოყენებული სქემები, ნახატები და ცხრილები:

ნახ. №10.1. საქართველოს საბანკო სისტემის შემოსავლების ყოველთვიური დინამიკა (2001-2013);
ცხრ. №10.1. საქართველოს საბანკო სისტემის შემოსავლების სტრუქტურა წლების მიხედვით (%);
ნახ. №10.2. საქართველოს საბანკო სისტემის ხარჯების ყოველთვიური დინამიკა (2001-2013);
ცხრ. №10.2. საქართველოს საბანკო სისტემის ხარჯების სტრუქტურა წლების მიხედვით (%);
ნახ. №10.3. საქართველოს საბანკო სისტემის შემოსავლების, ხარჯებისა და მოგება-ზარალის დინამიკა (მლნ ლარი);
ცხრ. №10.3. მოგება-ზარალის უწყისი „გამჭვირვალობის წესის“ მიხედვით;
ცხრ. №10.4. მოგება-ზარალის უწყისი ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით;
ცხრ. №10.5. საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების მოგების შეფასება „გამჭვირვალობის წესის“ შესაბამისად (2012 და 2013 წლების 30 ივნისი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

10.1. კომერციული ბანკის შემოსავლები

როგორც ვიცით, კომერციული ბანკის საქმიანობის მთავარ მიზანს წარმოადგენს მოგება, რომლის წყაროც შემოსავლებია. კომერციული ბანკის მიერ მიღებული შემოსავლები უნდა იყოს იმდენი, რომ გადაფაროს მის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, შენარჩუნებულ იქნეს კონკურენტული უპირატესობა, რომელიც, თავის მხრივ, ახალ დანახარჯებს მოითხოვს, შექმნას რეზერვები მოსალოდნელი დანაკარგების გასანეიტრალებლად და საანგარიშო წელი დაასრულოს მოგებით, რათა დაკმაყოფილდეს აქციონერთა მთავარი ინტერესი – მიიღონ დივიდენდები. ამასთან, მნიშვნელოვანია, დივიდენდები არ იყოს დაგეგმილზე ნაკლები. ამ ამოცანის შესრულება არ არის ადვილი, თუ გავითვალისწინებთ გამძაფრებულ კონკურენციას საბანკო ბაზარზე, არსებულ და ახალ საფრთხეებს, რომელთაც შეიძლება მნიშვნელოვანი ფინანსური დანაკარგები მოუტანონ კომერციულ ბანკს.

კომერციული ბანკის შემოსავლები არის მისი საქმიანობის პირდაპირი შედეგი, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი შემოსავლების წყარო არის საქმიანობის ყველა მიმართულება. ამ თვალსაზრისით, ნებისმიერი ბანკისათვის შემოსავლები იყოფა ორ ძირითად ტიპად: შემოსავლები ძირითადი საქმიანობიდან და დამატებითი შემოსავლები. აქედან გამომდინარე, ბანკი ავითარებს იმ მიმართულებებს, საიდანაც შეძლებს მაქსიმალური მოგების მიღებას, თუმცა, უარს არ ამბობს იმ მცირე შემოსავლებზეც, რომელთა მიღება შესაძლებელია მინიმალური დანახარჯებით და ძირითადი საქმიანობის პარალელურად.

კომერციული ბანკების შემოსავლები ძირითადი კლასიფიკაციით იყოფა ორ ძირითად სახეობად, რომლებიც, თავის მხრივ – რამდენიმე ქვესახეობად:

- **პროცენტული შემოსავლები**
  - პროცენტული შემოსავლები სესხებიდან;
  - პროცენტული შემოსავლები ფასიანი ქაღალდებიდან;
  - სხვა პროცენტული შემოსავლები.
- **არაპროცენტული შემოსავლები**
  - საკომისიო შემოსავლები მომსახურებიდან;
  - შემოსავლები უცხოური ვალუტისა და ფასიანი ქაღალდების დილინგური (ყიდვა-გაყიდვის) ოპერაციებიდან;
  - სხვა არაპროცენტული შემოსავლები.

პროცენტული შემოსავლების ფორმირება ხდება ბანკის მიერ მოზიდული და საკუთარი რესურსების მესამე პირებისათვის დროებით სარგებლობაში გადაცემის შედეგად, როცა ისინი დათქმული ვადის გასვლის შემდეგ უკან აბრუნებენ მას გარკვეულ სარგებელთან (პროცენტთან) ერთად. პროცენტული შემოსავლები სესხებიდან არის კომერციული ბანკების შემოსავლების ძირითადი და ყველაზე სტაბილური წყარო და მიეკუთვნება შემოსავლებს ძირითადი საქმიანობიდან. პროცენტული შემოსავლების მეორე მნიშვნელოვანი ელემენტია ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული პროცენტული შემოსავლები. რაც შეეხება დანარჩენ პროცენტულ შემოსავლებს, აქ შედის ნოსტრო (ბანკის მიერ სხვა ბანკში არსებული) ანგარიშებიდან, გარანტიებიდან, ლიზინგიდან, ფაქტორინგიდან და სხვ.

არაპროცენტული შემოსავლების სპექტრი უფრო ფართოა და მოიცავს როგორც ტრადიციულ, ისე ახალ სახეობებს. არაპროცენტულ შემოსავლებს

შორის ყველაზე „ცნობილია“ ალბათ ის საკომისიო შემოსავლები გაწეული მომსახურებიდან, რომელთა შორისაა ანგარიშების გახსნა და მომსახურება, გადარიცხვები, საკასო ოპერაციები და სხვ. როგორც წესი, ასეთი მომსახურების საფასური, ანუ საკომისიო განაკვეთები, თითოეული ოპერაციისათვის დგინდება დამოუკიდებლად ბანკის მიერ საბანკო ბაზრის ტენდენციებიდან გამომდინარე. საკომისიო ცალკეული ოპერაციებისათვის შეიძლება დადგინდეს ოპერაციის მოცულობიდან გამომდინარე (მაგალითად, გადარიცხული თანხის 0.02%), ისე ფიქსირებული სახით (მაგალითად, ანგარიშის მომსახურების საკომისიო თვეში 1 ლარი).

არაპროცენტული შემოსავლების მეორე ძირითადი სახეობაა დილინგური, ანუ ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული ოპერაციები. აქ შედის როგორც ტრადიციული, უცხოური ვალუტის საკონვერსიო ოპერაციები, ისე შედარებით ახალი, ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა. დილინგი, ფაქტობრივად, არის სავაჭრო-სპეკულაციური ხასიათის ოპერაციები, რომლებიც მუშაობს პრინციპით „იაფად ყიდვა და ძვირად გაყიდვა“. შემოსავლები ფასიანი ქაღალდების დილინგური ოპერაციებიდან არ უნდა ავურიოთ ფასიანი ქაღალდებიდან მიღებულ პროცენტულ ან საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებში.

რაც შეეხება სხვა არაპროცენტულ შემოსავლებს, მათი არეალი ბევრად დიდია და აქ შედის შემოსავლები, რომლებიც მიიღება ისეთი ოპერაციებიდან, როგორებიცაა: საბანკო გარანტიები, პლასტიკური ბარათები, ბროკერული და დეპოზიტური (საშემნახველო) ოპერაციები, ნდობითი ოპერაციები და ა. შ.

საქართველოს საბანკო სისტემის შემოსავლების ზრდა 2006 წლამდე უმნიშვნელო ტემპებით ხდებოდა (ნახ. №10.1.) და პროცენტულ და არაპროცენტულ შემოსავლებს შორის სხვაობა მნიშვნელოვანი არ იყო. 2006 წლიდან, კომერციული ბანკების მიერ დაკრედიტების პროცესის მნიშვნელოვანი გააქტიურების შემდეგ, იწყება მთლიანი შემოსავლების ზრდა, რომელშიც გადამწყვეტ როლს პროცენტული შემოსავლები ასრულებენ.

რაც შეეხება არაპროცენტულ შემოსავლებს, მათი შესამჩნევი ზრდა 2008 წლიდან იწყება და მნიშვნელოვანი რყევებით ხასიათდება. აღნიშნული გარემოება მეტწილად ხასიათდება შედარებით „არასტაბილური“ შემოსავლების სახეობებით (ფასიანი ქაღალდების დილინგური და ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები, დოკუმენტური ოპერაციები და სხვ.). რაც შეეხება ტრადიციულ და სტაბილურ არაპროცენტულ შემოსავლებს – საკომისიო შემოსავლებს გაწეული მომსახურებიდან, მათი ზრდა ხდებოდა ნელი, მაგრამ თანაბარზომიერი ტემპებით, თუმცა, მისი ხვედრითი წილი მცირდებოდა სხვა შემოსავლების ზრდასთან ერთად. აღნიშნული ტენდენციის უფრო თვალსაჩინო სურათი და ახსნა ქვემოთ იქნება მოცემული.



ნახ. №10.1. საქართველოს საბანკო სისტემის შემოსავლების ყოველთვიური დინამიკა (2001-2013)

დამოუკიდებელი საქართველოს საბანკო სისტემის განვითარების პირველ ეტაპზე (90-იანი წლები), როცა ეფექტიანი დაკრედიტების მექანიზმები თითქმის არ არსებობდა და კომერციული ბანკების მიერ მიღებული პროცენტული შემოსავალი მინიმალური იყო, მთავარი აქცენტი კეთდებოდა არაპროცენტულ შემოსავლებზე. ამ დროს მომსახურების ფასები (საკომისიო მომსახურების ტარიფები) საკმაოდ მაღალი იყო და არაპროცენტული შემოსავლები მთლიანი შემოსავლების უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენდნენ. მაგალითად, 1998-2000 წლებში მხოლოდ საკომისიო შემოსავლები მთლიანი შემოსავლების 20%-ის ფარგლებში იყო, მაშინ, როცა 2008 წლიდან დღემდე საშუალოდ 8%-ს შეადგენს. აღნიშნული ტენდენცია ორი გარემოებითაა განპირობებული: უპირველეს ყოვლისა, საკრედიტო საქმიანობის გაფართოების შედეგად საკომისიო შემოსავლების წილი ბუნებრივად შემცირდა, მეორე მხრივ კი, კონკურენტულმა ბრძოლამ ქართული ბანკები აიძულა, შეემცირებინათ საკომისიო მომსახურების ტარიფები, ხოლო კორპორაციული კლიენტებისათვის ისინი გაეხადათ მინიმალური ან, საერთოდ, ნულოვანი. თუმცა, აღნიშნული გარემოება არ ნიშნავს, რომ საკომისიო შემოსავლებმა დაკარგეს მნიშვნელობა და მეორეხარისხოვანი გახდნენ. ბანკები ცდილობენ მიიღონ მაქსიმუმი ასეთი ოპერაციებიდან, რაც მეტწილად ხორციელდება თანამედროვე საბანკო პროდუქტებისა და ტექნოლოგიების დანერგვით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში (ცხრ. №10.1.) ნაჩვენებია, რომ ქართულ საბანკო სივრცეში პროცენტული შემოსავლების წილი მთლიან შემოსავლებში თანდათან იზრდებოდა და 2012 წლის ბოლოს 70%-ს მიაღწია. უშუალოდ პროცენტულ შემოსავლებში მნიშვნელოვანია ფიზიკური პირების სესხებიდან მიღებული შემოსავლების ხვედრითი წილის მნიშვნელოვანი ზრდა. რაც შეეხებ არაპროცენტული შემოსავლების სტრუქტურას, აქ თვალსაჩინოა საკომისიო მოსაკრებლებიდან მიღებული შემოსავლების წილის შემცირება და სხვა არაპროცენტული შემოსავლების წილის ზრდა, რის ხარჯზეც მთლიანი არაპროცენტული შემოსავლები საკმაოდ სტაბილურად იზრდება და მეტ-ნაკლები რყევებით ინარჩუნებს თავის პოზიციებს კომერციული ბანკების მთლიანი შემოსავლების ფორმირებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრ. №10.1. საქართველოს საბანკო სისტემის შემოსავლების სტრუქტურა წლების მიხედვით (%)

	1998	2000	2002	2004	2006	2008	2010	2012
პროცენტული შემოსავლები	66	66	63	56	69	66	71	70
სესხებიდან	60	57	57	50	66	61	66	64
ბანკთაშორისი სესხებიდან	4	1	1	1	1	0	0	0
ფიზიკური პირების სესხებიდან	13	17	25	19	23	30	31	33
იურიდიული პირების სესხებიდან	43	39	31	30	42	31	35	31
ფასიანი ქაღალდებიდან	3	1	4	5	0	2	3	4
სხვა პროცენტული შემოსავლები	3	8	2	1	3	3	2	2
არაპროცენტული შემოსავლები	34	34	37	44	31	34	29	30
საკომისიოები მომსახურებიდან	20	21	14	14	12	8	8	9
დილინგური ოპერაციებიდან (წმინდა)	5	10	8	10	7	9	6	5
სხვა არაპროცენტული შემოსავლები	9	3	15	20	12	17	15	16
სულ შემოსავლები	100	100	100	100	100	100	100	100

ერთი შეხედვით, რამდენად უცნაურადაც არ უნდა ჩანდეს, არაპროცენტული შემოსავლების ზრდის არცთუ ურიგო ტემპები ქართულ რეალობაში პროცენტული შემოსავლების მთავარი წყაროს დაკრედიტების მაღალი ტემპებითაა განპირობებული. კომერციული ბანკების მიერ დაკრედიტების პროცესის „სრული ფრონტით“ გაშლამ, კრედიტის ხელმისაწვდომობის ზრდამ, თავისთავად გამოიწვია კლიენტების მოთხოვნილებების ზრდა, საბანკო მომსახურების არეალის გაფართოება, არასაკრედიტო პროდუქტების პოპულარიზაცია, თანამედროვე პროდუქტებისა და ტექნოლოგიების დანერგვა და გაყიდვების ზრდა.

აღნიშნული ტენდენციის გამოძახილია თანამედროვე საბანკო საქმეში არსებული ტენდენცია, რომელიც იწოდება „ჯვარედინ გაყიდვებად“ (***cross-selling***). ჯვარედინი გაყიდვების დროს კომერციული ბანკები ერთი ან რამდენიმე საბანკო პროდუქტით მოსარგებლე ან ახალ კლიენტს სთავაზობენ დამატებით საბანკო პროდუქტს ან მომსახურებას. აღნიშნული მეთოდი კომერციული ბანკების მიერ გამოიყენება გაყიდვების მოცულობის, ანუ შემოსავლების გასაზრდელად და კლიენტების ლოიალობის დონის ასამაღლებლად. ჯვარედინი გაყიდვები ორი სახეობისაა: გარე და შიდა. პირველ შემთხვევაში ბანკი რომელიმე, მაგალითად, სადაზღვევო კომპანიასთან ერთად ახდენს საკუთარ კლიენტებთან პარტნიორის პროდუქტებისა და მომსახურების შეთავაზებას. მეორე შემთხვევაში კომერციულ ბანკში ერთი ბიზნესმიმართულების თანამშრომელი, მაგალითად, საკრედიტო ოფიცერი, თავის კორპორაციულ კლიენტს სთავაზობს თანამშრომლებისათვის სახელფასო პროექტს, პლასტიკურ ბარათს ან განვადებებს.

როგორც გასული მასალიდან (პარაგრაფი 9.4.) გვახსოვს, საქართველოს საბანკო დაწესებულებებისათვის დამტკიცებული ანგარიშთა გეგმის მიხედვით (ცხრ. №9.1.), შემოსავლებისათვის გამოიყენება კლასები, რომელთა თანრიგის პირველი ციფრებია 6 და 7. მათი დახასიათება გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის შემოსავლების კლასიფიკაციის შესახებ და მათი შინაარსის გაგებაშიც დაგვეხმარება. ანგარიშთა გეგმა ითვალისწინებს ბასს-ის დარიცხვის პრინციპს, რომლის მიხედვით, შემოსავლების შესაბამის ანგარიშებზე აღირიცხება

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა მარტო მიღებული, არამედ ჯერჯერობით მიუღებელი, მაგრამ შესაბამის პერიოდში „გამომუშავებული“ შემოსავალი. მოკლედ დავახასიათოთ შემოსავლების ძირითადი სახეობები საქართველოში საბანკო დაწესებულებების ანგარიშთა გეგმის მიხედვით:

- **60. შემოსავალი სახელმწიფო სექტორიდან** – აღირიცხება სახელმწიფო ინსტიტუტებსა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისათვის მიცემული სესხებიდან, ასევე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული პროცენტული შემოსავლები;
- **62. შემოსავალი საბანკო და საფინანსო სექტორიდან** – აღირიცხება პროცენტული შემოსავლები, მიღებული ბანკებში ნოსტრო ანგარიშების მიხედვით, ბანკებში განთავსებული დეპოზიტებისა და გაცემული სესხების მიხედვით, ასევე ლორო ანგარიშების ოვერდრაფტების მიხედვით;
- **63. შემოსავალი კომერციული სექტორიდან** – აღირიცხება კლიენტებისათვის გაცემული სესხებიდან და კორპორაციული ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული პროცენტული შემოსავლები, ასევე დარიცხული ჯარიმები და საურავები კლიენტებისათვის გაცემული სესხებიდან;
- **64. საკომისიო და შემოსავლები გაწეული მომსახურების მიხედვით** – აღირიცხება ისეთი საკომისიო შემოსავლები, როგორებიცაა: უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის მიხედვით, სალაროს ოპერაციებიდან, ფულის ინკასაციიდან და ტრანსპორტირებიდან, ანგარიშების გახსნიდან და წარმოებიდან (გადარიცხვებიდან), კლიენტების საკომუნიკაციო მომსახურებიდან, საკონსულტაციო და საექსპერტო მომსახურებიდან, დეპოზიტარული მომსახურებიდან და სხვა დანარჩენი ოპერაციებიდან;
- **65. დივიდენდები** – აღირიცხება ბანკის ფასიანი ქაღალდების საინვესტიციო პორტფელით მისაღები დივიდენდების მიხედვით ყველა შემოსავალი, რომლებიც შედის არაპროცენტული შემოსავლების ჯგუფში;
- **66. შემოსავალი დილინგური ოპერაციებიდან** – აღირიცხება ყველა სახის ფასიანი ქაღალდებისა და უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლები, ასევე შემოსავლები სავალუტო სახსრების გადაფასებიდან. ისინი შედიან არაპროცენტული შემოსავლების ჯგუფში;
- **69. შემოსავალი საინვესტიციო ოპერაციებიდან** – აღირიცხება საინვესტიციო პორტფელში არსებული ყველა ტიპის ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული ისეთი შემოსავლები, რომლებიც წარმოიშობა მათი რეალიზაციისას შესყიდვისა და რეალიზაციის ფასებს შორის დადებითი სხვაობით და შედიან არაპროცენტული შემოსავლების ჯგუფში;
- **70. შემოსავალი დანარჩენი ოპერაციებიდან** – აღირიცხება შემოსავლები, რომლებიც მიღებულია ბროკერული, ფაქტორინგული, ოპერაციული და ფინანსური ლიზინგის ოპერაციებიდან და გარანტიებიდან. ასევე გამოიყენება ფიქსირებული აქტივების გაყიდვიდან და გადაფასებიდან მიღებული შემოსავლების, სალაროს ზედმეტობის, მიღებული ჯარიმებისა და საურავების, სხვა შემოსავლების აღრიცხვისათვის. ამ კლასში აღირიცხება შესაბამისი ოპერაციებიდან მიღებული როგორც პროცენტული, ისე არაპროცენტული შემოსავლები;
- **76. გაუთვალისწინებელი შემოსავალი** – გამოიყენება ბანკის ყოველდღიური საქმიანობისათვის იმ არატიპური შემოსავლების აღსარიცხავად, რომელთაც იგი ახორციელებს არარეგულარულად და იშვიათად.

როგორც ვხედავთ, ფასიანი ქაღალდებიდან (როგორც სახელმწიფო, ისე კორპორაციული) მიღებული შემოსავლები სამ ტიპად იყოფა და, შესაბამისად, სხვადასხვა კლასში აღირიცხება:

- **შემოსავლები პროცენტული და დისკონტური ფასიანი ქაღალდებიდან** – აღირიცხება 60 კლასში. ესაა ოპერაციები, როცა კომერციული ბანკი ყიდულობს ფასიან ქაღალდებს ფიქსირებული განაკვეთით და მათ ფლობას აპირებს დაფარვის ვადამდე;
- **შემოსავლები ფასიანი ქაღალდების დილინგური ოპერაციებიდან** – აღირიცხება 66 კლასში. ესაა ოპერაციები, როცა კომერციული ბანკი ყიდულობს ფასიან ქაღალდებს ორგანიზებულ ბაზარზე აქტიური ვაჭრობისათვის (ყიდვა-გაყიდვა). ამ შემთხვევაში ფასიანი ქაღალდები ექვემდებარება გადაფასებას საბაზრო ფასის შესაბამისად;
- **შემოსავლები საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან** – აღირიცხება 69 კლასში. ესაა ოპერაციები, როცა კომერციული ბანკი ყიდულობს ფასიან ქაღალდებს ფიქსირებული განაკვეთით და ყიდის მათ დაფარვის ვადის დადგომამდე.

პირველი მათგანი საპროცენტო, ხოლო შემდეგი ორი – არაპროცენტულ შემოსავლებს მიეკუთვნება. ასევე აღსანიშნავია კლასი 70 (შემოსავლები დანარჩენი ოპერაციებიდან), სადაც აღირიცხება ცალკეული ოპერაციებიდან მიღებული როგორც პროცენტული, ისე არაპროცენტული შემოსავლები.

10.2. კომერციული ბანკის ხარჯები

კომერციულ ბანკს, როგორც ნებისმიერ ბიზნესს, თავისი მიზნების მისაღწევად აუცილებლად ესაჭიროება ხარჯების გაწევა, თანაც საბანკო საქმე მეტად „ხარჯიანი" ბიზნესია. მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ბანკს უწევს მნიშვნელოვანი ხარჯების გაწევა მოზიდული რესურსებისათვის. ასევე საბანკო საქმის სპეციფიკაა ის, რომ ესაჭიროება საკმაო ადამიანური რესურსი, თანაც მაღალკვალიფიციური, მაგალითად, საქართველოს საბანკო სისტემაში პერსონალის ხარჯი მთლიანი არაპროცენტული ხარჯების 40%-ის ფარგლებშია. ამასთან, საბანკო საქმე მუდმივად ითხოვს უახლესი ტექნოლოგიური მიღწევების დანერგვას, მის მომსახურებასა და პერმანენტულ განახლებას. დიდი კაპიტალდაბანდებები გაიწევა ბანკებში სოლიდური და პრეზენტაბელური იმიჯის შენარჩუნებისა და რეკლამის მიმართულებით. ასევე, საბანკო საქმის სპეციფიკიდან გამომდინარე, საკმაო ხარჯები გაიწევა სხვადასხვა რეზერვის შექმნისათვის.

კომერციული ბანკების ხარჯები ბევრად უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე მისი შემოსავლები და მათი კლასიფიკაცია სხვადასხვაგვარად ხდება, თუმცა, ყველაზე გავრცელებული კლასიფიკაციით გვაქვს სამი ძირითადი ხარჯი, რომლებიც, თავის მხრივ, რამდენიმე ქვესახეობად იყოფა:

- **პროცენტული ხარჯები:**
  - პროცენტული ხარჯები არასაბანკო დეპოზიტებზე;
  - პროცენტული ხარჯები საბანკო დეპოზიტებზე;

- პროცენტული ხარჯები სხვა ნასესხებ სახსრებზე;
- სხვა პროცენტული ხარჯები.

- **არაპროცენტული ხარჯები:**
  - საბანკო ოპერაციებთან დაკავშირებული არაპროცენტული ხარჯები;
  - აპარატის შენახვის ხარჯები;
  - საექსპლოატაციო ხარჯები;
  - სხვა არაპროცენტული ხარჯები.
- **აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვების ხარჯები:**
  - სესხების რეზერვები;
  - ფასიანი ქაღალდების რეზერვები;
  - სხვა აქტივების რეზერვები.

პროცენტული ხარჯები განპირობებულია კომერციული ბანკების ბიზნესის სპეციფიკურობით – იგი მუშაობს უმეტესად „სხვისი" ფულით, ანუ მოზიდული სახსრებით, რომლის მოზიდვაც გარკვეული საფასურის გადახდასთანაა დაკავშირებული. პროცენტულ ხარჯებში, როგორც წესი, უმთავრესი წილი არასაბანკო დეპოზიტებზე, ანუ იურიდიული და ფიზიკური პირების დეპოზიტებზე მოდის. მაგალითად, საქართველოს საბანკო სექტორში 2012 წლის ბოლოსათვის პროცენტული ხარჯების სტრუქტურა შემდეგი იყო: არასაბანკო დეპოზიტებზე – 69% (მათ შორის, მიმდინარე – 14% და ვადიანი – 55%), საბანკო დეპოზიტებზე – 4%, სხვა ნასესხებ სახსრებზე – 25% და სხვა პროცენტულ ხარჯებზე – 2%.

არაპროცენტული ხარჯები უფრო მრავალფეროვნებით გამოირჩევა. საბანკო ოპერაციებთან დაკავშირებულ არაპროცენტულ ხარჯებში შედის კომერციული ბანკების მიერ გადახდილი საკომისიო ხარჯები როგორც საკუთარი, ისე კლიენტებისათვის ჩატარებული ოპერაციებისას (გადარიცხვები, სალაროს ოპერაციები, ინკასაცია), ასევე ხარჯები, დაკავშირებული ოპერაციებთან საფონდო და სავალუტო ბაზრებზე, დოკუმენტურ ოპერაციებთან, ლიზინგთან, ფაქტორინგთან და ა.შ. რამდენად უცნაურად არ უნდა მოგვეჩვენოს, ამ ტიპის ხარჯები მთლიან არაპროცენტულ ხარჯებში არცთუ დიდი ხვედრითი წილით გამოირჩევა.

აპარატის შენახვის, ანუ ბანკის პერსონალის ხარჯები, ერთ-ერთი უმთავრესი ხარჯთაგანია, რომლის ხვედრითი წილი საკმაოდ მაღალია მთლიან არაპროცენტულ ხარჯებში. აქ შედის ხელფასები, პრემიები, ბონუსები და მათთან დაკავშირებული სავალდებულო გადასახდელები, ასევე მატერიალური დახმარებები, მივლინებები. ბანკის პერსონალი ითვლება ერთ-ერთ მაღალკვალიფიციურად მათ წინაშე არსებული მოთხოვნებიდან გამომდინარე და ამიტომ მათი შრომის ანაზღაურებაც შესაბამისად მაღალია, რაც საკმაოდ დიდ ტვირთად აწვება ბანკების ხარჯებს. უფრო მეტიც, იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ კვალიფიციური კადრების გადინება, ბანკებს მუდმივად უწევთ მოტივაციის მექანიზმების გამოყენება (ხელფასების პერიოდული ზრდა, პრემიები, ბონუსები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები, დაზღვევისა და სხვა სოციალური პაკეტები და ა.შ.).

საექსპლოატაციო ხარჯებში შედის ბანკის, როგორც ორგანიზაციის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული დანახარჯები. აღნიშნული ხარჯების მნიშვნელობა უფრო იზრდება იმის გათვალისწინებით, რომ თანამედროვე ბანკინგი წარმოუდგენელია ტექნოლოგიური მიღწევების დანერგვის გარეშე, რაც საკმაოდ ძვირ „სიამოვნებას" წარმოადგენს. საექსპლოატაციო ხარჯებში შედის ცვეთისა და ამორტიზაციის, ძირითადი საშუალებების შეკეთების, ინვენტარის,

ეროვნული ბანკი

სახარჯი მასალების, კომუნალური მომსახურების, ქონების დაზღვევის და სხვა ხარჯები.

სხვა არასაპროცენტო ხარჯები მოიცავს მოგების გადასახადსა და გაუთვალისწინებელ ხარჯებს.

ხარჯების მესამე დიდ ჯგუფს წარმოადგენს აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნის მიმართულებით გაწეული დანახარჯები. ასეთი დანახარჯები არ უნდა ჩაითვალოს პირდაპირ ხარჯად, როგორც, მაგალითად, გაცემული ხელფასი ან გადახდილი კომუნალური გადასახადი, ვინაიდან შექმნილი რეზერვები აკუმულირდება და ბანკი მათ იყენებს უკიდურესი შემთხვევების დროს. ამასთან, კონკრეტული აქტივის (მაგალითად, სესხის) დაბრუნების შემდეგ მისთვის შექმნილი რეზერვის „ამობრუნება" ხდება ხარჯებიდან. თუმცა, აქტივების შესაძლო დანაკარგები მაინც ხარჯების რიგებს მიეკუთვნება, ვინაიდან ისინი პირდაპირ გავლენას ახდენენ მიმდინარე წლის მოგება-ზარალის ფორმირებაზე. მთავარია, ბანკის მიერ განხორციელებული არაგონივრული პოლიტიკით არ ხდებოდეს აქტივების გაუფასურება და მისი დაკარგვა შექმნილ რეზერვთან ერთად (ანუ ბალანსიდან ჩამოწერა).

საქართველოს საბანკო სისტემის ხარჯების ზრდის პროცესი 2006 წლამდე ზომიერად მიმდინარეობდა (ნახ. №10.2.). 2006 წლიდან, კომერციული ბანკების მიერ დაკრედიტების პროცესის გააქტიურების შემდეგ, იწყება რესურსების მოზიდვების სწრაფი ზრდა და, შესაბამისად, იზრდება პროცენტული ხარჯებიც.



ნახ. №10.2. საქართველოს საბანკო სისტემის ხარჯების ყოველთვიური დინამიკა (2001-2013 წწ.)

არაპროცენტული ხარჯების ზრდაც დაახლოებით იმავე პერიოდს უკავშირდება. იგი განპირობებული იყო შემდეგი გარემოებებით: ახალი ფილიალებისა და სერვისცენტრების გახსნა, რასაც მოჰყვა ყველა ტიპის არაპროცენტული ხარჯის ზრდა. ასევე ამ პერიოდს უკავშირდება საბანკო სექტორში მინიმალური ხელფასების მნიშვნელოვანი ზრდა და თანამედროვე ტექნოლოგიებში (ბანკის საოპერაციო დღე, ბანკომატები, პლასტიკური ბარათები) კაპიტალდაბანდებების ზრდა, ასევე მასიური სარეკლამო კამპანიები.

რაც შეეხება ხარჯებს, რომლებიც აქტივების დანაკარგების რეზერვების შესაქმნელად მიემართება, როგორც ვხედავთ, მათი არაორდინალურად მკვეთრი ზრდა მოდის 2008-2009 წლებზე, როცა კომერციული ბანკები იძულებულნი გახდნენ, გაცემული სესხების დიდი ნაწილის ხარისხის გაუარესების გამო, შეექმნათ დამატებითი რეზერვები და შემდეგ ბევრი მათგანი ჩამოეწერათ ბალანსებიდან.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში (ცხრ. №10.2.) ნაჩვენებია, რომ ქართულ საბანკო სივრცეში პროცენტული ხარჯების წილი მთლიან დანახარჯებში თანდათან იზრდებოდა და 2012 წლის ბოლოს 38%-ს მიაღწია. უშუალოდ პროცენტულ ხარჯებში მნიშვნელოვანია არასაბანკო დეპოზიტებზე, განსაკუთრებით კი – ვადიან დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტების ხვედრითი წილის მნიშვნელოვანი ზრდა.

ცხრ. №10.2. საქართველოს საბანკო სისტემის ხარჯების სტრუქტურა წლების მიხედვით (%)

	1998	2000	2002	2004	2006	2008	2010	2012
პროცენტული ხარჯები	**25**	**24**	**23**	**18**	**34**	**26**	**38**	**38**
არასაბანკო დეპოზიტებზე	13	12	15	13	16	11	22	26
მიმდინარე დეპოზიტებზე	1	3	1	1	1	1	3	5
ვადიან დეპოზიტებზე	12	9	14	12	15	10	19	21
ბანკთაშორის დეპოზიტებზე	9	7	1	0	6	2	2	2
სხვა ნასესხებ სახსრებზე	2	4	7	5	12	13	14	9
სხვა პროცენტული ხარჯები	1	1	0	0	0	0	0	1
არაპროცენტული ხარჯები	**58**	**51**	**68**	**67**	**57**	**40**	**51**	**45**
აპარატის შენახვის ხარჯები	25	23	25	23	23	15	21	18
საექსპლოატაციო და სხვა არაპრ. ხარჯები	31	28	43	44	34	25	30	27
აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვი	**17**	**25**	**9**	**15**	**9**	**34**	**11**	**17**
სესხებზე	17	25	8	13	8	31	7	13
სხვა აქტივებზე	0	0	1	2	1	3	4	4
სულ ხარჯები	**100**	**100**	**100**	**100**	**100**	**100**	**100**	**100**

საქართველოს საბანკო დაწესებულებებისათვის დამტკიცებული ანგარიშთა გეგმის მიხედვით, რომელიც წინა თავში განვიხილეთ (ცხრ. №9.1.), ხარჯების აღრიცხვისათვის გამოიყენება კლასები, რომელთა თანრიგის პირველი ციფრებია 8 და 9. მათი დახასიათება გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ხარჯების კლასიფიკაციის შესახებ და მათი შინაარსის გაგებაშიც დაგვეხმარება. ანგარიშთა გეგმა, შემოსავლების გარდა, აქაც ითვალისწინებს ბასს-ის დარიცხვის პრინციპს, რომლის მიხედვით, ხარჯების შესაბამის ანგარიშებზე აღირიცხება არა მარტო უკვე გადახდილი, არამედ ჯერჯერობით გადაუხდელი, მაგრამ შესაბამის პერიოდში „გახარჯული“ სახსრები. დავახასიათოთ მოკლედ ხარჯები საქართველოში საბანკო დაწესებულებების ანგარიშთა გეგმის მიხედვით:

- **80. სახელმწიფო სექტორის ხარჯები** – აღირიცხება პროცენტული ხარჯები სახელმწიფო ინსტიტუტებსა და სახელმწიფო კონტროლს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაქვემდებარებული საწარმოებისაგან მოზიდული მიმდინარე ანგარიშებისა და ვადიანი დეპოზიტების მიხედვით;

- **81. ხარჯები საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდების მიხედვით** – აღირიცხება ბანკის მიერ გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციების პროცენტული ხარჯები;
- **82. საბანკო-საფინანსო სექტორის ხარჯები** – აღირიცხება პროცენტული ხარჯები, გაწეული ბანკებში ლორო ანგარიშების მიხედვით, ბანკებიდან და საფინანსო ინსტიტუტებიდან მოზიდული დეპოზიტებისა და მიღებული სესხების მიხედვით, ასევე ნოსტრო ანგარიშების ოვერდრაფტების მიხედვით;
- **83. კომერციული სექტორის ხარჯები** – აღირიცხება პროცენტული ხარჯები ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან მოზიდული მიმდინარე ანგარიშებისა და ვადიანი დეპოზიტების მიხედვით;
- **84. გადახდილი საკომისიო გაწეული მომსახურების მიხედვით** – აღირიცხება გადახდილი საკომისიოები სალაროს ოპერაციებისათვის, ნოსტრო ანგარიშების გახსნისა და წარმოებისათვის, ასევე ფულის ინკასაციისა და ტრანსპორტირების, საკომუნიკაციო მომსახურების, საკონსულტაციო და საექსპერტო მომსახურების, აუდიტორული მომსახურებისა და სხვა ხარჯები;
- **85. ზარალი აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით** – აღირიცხება მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში იმ აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვის შექმნა ან გაზრდა, რომელთა მიხედვითაც წარმოიქმნება დაუბრუნებლობის რისკი (შესაძლო ზარალი);
- **86. ზარალი დილინგური ოპერაციებისაგან** – აღირიცხება ყველა სახის ფასიანი ქაღალდებისა და უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან მიღებული ზარალი, მათ შორის, სავალუტო სახსრების გადაფასებიდან. კლასი მიეკუთვნება არაპროცენტული ხარჯების რიგს;
- **89. ზარალი საინვესტიციო ოპერაციებისაგან** – აღირიცხება საინვესტიციო პორტფელში არსებული ყველა ტიპის ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული ისეთი ზარალი, რომლებიც წარმოიშობა მათი რეალიზაციისას შესყიდვისა და რეალიზაციის ფასებს შორის უარყოფითი სხვაობით. კლასი მიეკუთვნება არაპროცენტული ხარჯების რიგს;
- **90. ხარჯები დანარჩენი ოპერაციების მიხედვით** – აღირიცხება ხარჯები ბროკერული ოპერაციების, ფაქტორინგული ოპერაციების, ოპერაციული და ფინანსური ლიზინგის, გარანტიების, სპეციალური დეპოზიტებისა და გარიგებათა დაზღვევის მიხედვით. ამ კლასზე ასევე აღირიცხება ზარალი ძირითად საშუალებათა გასვლისა და გადაფასებისაგან, დანაკლისი სალაროში, გადახდილი ჯარიმები და საურავები, სასამართლოს ხარჯები, ზარალი იჯარით აღებული ობიექტების მიხედვით და სხვ. ამ კლასში აღირიცხება შესაბამის ოპერაციებზე გაწეული როგორც პროცენტული, ისე არაპროცენტული ხარჯები;
- **91. ბანკნოტებისა და მონეტების ბეჭდვის ხარჯი** – განკუთვნილია მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკისათვის და აღირიცხება ეროვნული ვალუტის ემისიასთან დაკავშირებული არაპროცენტული ხარჯები;
- **92. ბანკის პერსონალისა და განვითარების ხარჯები** – აღირიცხება ბანკის თანამშრომელთა ხელფასის, დროებით მუშაკთა შრომის ანაზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღაურების, პრემირების, მატერიალური დახმარებების, შვებულებებისა და საავადმყოფო ფურცლების, საპენსიო ხარჯებისა და გასაცემლების მიხედვით სავალდებულო გადასახდელთა არაპროცენტული ხარჯები. ასევე აღირიცხება ბანკის განვითარების ისეთი დანახარჯები, როგორებიცაა: რეკლამის, წარმომადგენლობითი, მივლინების, თანამშრომელთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისა და სპეცტანსაცმლის ხარჯები;

- **93. ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები** – აღირიცხება შენობა-ნაგებობების, კომპიუტერული ტექნიკისა და საკომუნიკაციო მოწყობილობების, სატრანსპორტო საშუალებების, ავეჯისა და მოწყობილობების ცვეთისა და არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის არაპროცენტული ხარჯები, ასევე კაპიტალური დანახარჯების ამორტიზაციის ხარჯები იჯარით აღებული ობიექტების მიხედვით;
- **94. ძირითად საშუალებათა მიმდინარე შეკეთების, მასალებისა და ინვენტარის შეძენის, ექსპლუატაციის ხარჯები** – აღირიცხება შენობა-ნაგებობების, კომპიუტერული ტექნიკისა და საკომუნიკაციო მოწყობილობების, სატრანსპორტო საშუალებების, ავეჯისა და მოწყობილობების, დანარჩენი ძირითადი საშუალებებისა და იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების მიმდინარე შეკეთების არაპროცენტული ხარჯები. ასევე აღირიცხება სამეურნეო მასალებისა და ინვენტარის შეძენის, საბანკო ბარათების დამზადების, ბლანკების შეძენის, დამზადებისა და ფულის შეფუთვის ხარჯები;
- **95. ხარჯები ბიუჯეტში გადასახადების მიხედვით** – აღირიცხება მოგების მიმდინარე გადასახადი;
- **96. გაუთვალისწინებელი ხარჯები** – აღირიცხება ბანკის ყოველდღიური საქმიანობისათვის გაუთვალისწინებელი ხარჯები, რომლებიც არ არის პერიოდული და რეგულარული.

ბუნებრივია, თუ ვიტყვით, რომ ზოგადად ბანკებში ხარჯების მიმართ ორმაგი დამოკიდებულება არსებობს. ერთი მხრივ, კომერციულ ბანკებში ისე, როგორც ნებისმიერ ორგანიზაციაში, მუდმივად არის მათი შემცირების მცდელობა. მეორე მხრივ კი, მუდმივად დგება მათი გაზრდის ობიექტური აუცილებლობა, რაც განპირობებულია ახალი პერსპექტივებით, შემდეგი განვითარებით, კონკურენტებზე არჩამორჩენისა და გასწრების მცდელობით და ა.შ. სწორედ ამიტომ, თანამედროვე საბანკო საქმეში მოგების გაზრდის მიზნით უნდა მოხდეს ხარჯების ოპტიმიზაციის რაციონალური პროცესი და არა უხეში შემცირება, ვინაიდან ამან შეიძლება ბანკს დააკარგვინოს უკვე მიღწეული შედეგები და კონკურენტებთან გაზრდილი ჩამორჩენის აღმოფხვრას გაწეულ ეკონომიაზე ბევრად მეტი ახალი ხარჯი დასჭირდეს.

10.3. კომერციული ბანკის მომგებიანობის შეფასება

როგორც არაერთხელ აღინიშნა, კომერციული ბანკი არის ბიზნესის ტიპური წარმომადგენელი და მის მთავარ მიზანს მოგების მიღება წარმოადგენს. მოგება ბანკის საქმიანობის საბოლოო შედეგია, რომლის სტაბილური ზრდა არის მისი შემდეგი განვითარების მთავარი წყარო. ბანკის მოგების მოცულობაზეა დამოკიდებული საკუთარი კაპიტალის ზრდა, სარეზერვო ფონდების შევსება, კაპიტალდაბანდებათა ფინანსირება, დივიდენდების გადახდა და ა.შ.

კომერციული ბანკის მოგება არის მისი განვითარების შიდა წყარო, ამიტომაც მოგების მართვა არის საბანკო მენეჯმენტის უმნიშვნელოვანესი ელემენტი, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოგების მაქსიმიზაცია რისკების დასაშვები დონის ფარგლებში და ბალანსის ლიკვიდობის უზრუნველყოფით. კომერციული ბანკის მოგების მაჩვენებლის შეფასებით შესაძლებელია პირველადი დასკვნის გამოტანა იმის შესახებ, ეფექტიანად ხორციელდება თუ არა მენეჯმენტი და, საერთოდ, ვითარდება თუ არა ბანკი სწორი მიმართულებით.

კომერციული ბანკის მოგება წარმოადგეს მისი საქმიანობის შეფასების მთავარ და ყველაზე მარტივ მაჩვენებლს, თუმცა პირველადი წარმოდგენა – ვთქვათ, ბანკი არის მომგებიანი და არა ზარალიანი, არასაკმარისია ბანკის მომგებიანობის შესახებ სრული სურათის მისაღებად. ანუ თუ ბანკმა ზარალით დაამთავარა საანგარიშო წელი, შეიძლება არ ნიშნავდეს, რომ ბანკი და მისი მენეჯმენტი „ცუდია“ და მოგებით – „კარგია“. მოგების შემთხვევაშიც საკითხავია: არის კი ეს მოგება ის მაქსიმუმი, რომლის მიღებაც შეიძლებოდა არსებული პოტენციალის ფარგლებში? რატომაა, რომ 50 და 200 მლნ აქტივის მქონე ორი ბანკი ერთნაირი მოგებით ამთავრებს საანგარიშო წელს? თუ მეორე ბანკის მოგება 4-ჯერ მეტი უნდა იყოს, რადგან მისი აქტივები 4-ჯერ მეტია? „რამდენი“ მოგებაა საჭირო, რომ აქციონერები კმაყოფილნი იყვნენ ბანკის მენეჯმენტის მუშაობით? ამ მიმართულებით კითხვები ბევრია და მათზე პასუხის გაცემა შესაძლებელია კომერციული ბანკის მომგებიანობის კომლექსური შეფასებით.



ნახ. №10.3. საქართველოს საბანკო სისტემის შემოსავლების, ხარჯებისა და მოგება-ზარალის დინამიკა (მლნ ლარი)

განსხვავებით ზემოაღნიშნული ფორმატისაგან, თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკაში გავრცელებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მიხედვით აპრობირებული მოგება-ზარალის უწყისი (ცხრ. №10.4.). მნიშვნელოვანია, რომ ქართული ბანკების შემოწმება გარეაუდიტორული კომპანიების მიერ სწორედ ფასს-ებით ხდება და აუდირებული მოგება-ზარალის უწყისები პასუხობს მის ძირითად მოთხოვნებს.

ცხრ. №10.4. მოგება-ზარალის უწყისი ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით

1	მთლიანი საპროცენტო შემოსავლები	
2	მთლიანი საპროცენტო ხარჯები	
3	**წმინდა საპროცენტო შემოსავალი**	= 1-2
4	სესხების გაუფასურების რეზერვი	
5	**წმინდა საპროცენტო შემოსავალი რეზერვებით**	= 3-4
6	წმინდა მოგება უცხ. ვალუტით განხ. ოპერაციებზე	
7	საკომისიო შემოსავლები	
8	საკომისიო ხარჯები	
9	სხვა ოპერაციების რეზერვის ხარჯი	
10	სხვა შემოსავლები	
11	**წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი**	= 6+7-8-9+10
12	**წმინდა საოპერაციო შემოსავალი**	= 5+11
13	პერსონალის ხარჯები	
14	საექსპლოატაციო ხარჯები	
15	სხვა არაპროცენტული ხარჯები	
16	**საოპერაციო ხარჯები**	= 13+14+15
17	**მოგება (ზარალი) მოგების გადასახადამდე**	= 12-16
18	მოგების გადასახადი	
19	**მოგება (ზარალი) გადასახადების გადახდის შემდეგ**	= 17-18
20	გაუთვალისწინებელი შემოსავალი/ხარჯი	
21	**წმინდა მოგება (ზარალი)**	= 19+20

როგორც ვხედავთ, მოგება-ზარალის უწყისი ფასს-ების მიხედვით ზემოთ განხილულისაგან ორი პრინციპული სხვაობით გამოირჩევა: წმინდა საპროცენტო შემოსავალი არის გაანგარიშებული როგორც „სტანდარტული" მეთოდით, ისე სესხების გაუფასურების რეზერვის გათვალისწინებით და შემოღებულია წმინდა საოპერაციო შემოსავალის ცნება.

ლოგიკურია, რომ ბანკის მომგებიანობის შეფასება ხდება როგორც აბსოლუტური მაჩვენებლების, ისე იმ ფაქტორების ანალიზის მეშვეობით, რომლებიც განაპირობებენ წმინდა მოგების ფორმირებას, ანუ ესაა მისი წყაროები: შემოსავლები და ხარჯები. საბანკო პრაქტიკით კომერციული ბანკების მოგებისა და რენტაბელობის შეფასების ბევრი მეთოდი არსებობს, თუმცა, მათი განზოგადებით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ხუთი ძირითადი:

1) აბსოლუტური მაჩვენებლების ანალიზი;
2) შემოსავლების სტრუქტურული ანალიზი;
3) ხარჯების სტრუქტურული ანალიზი;
4) ანალიზი ფინანსური კოეფიციენტების მეშვეობით;
5) ფაქტორული ანალიზი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა თქმა უნდა, თითოეული მეთოდი იძლევა ბანკის რენტაბელობის შესახებ რეალური სიტუაციის კარგ სურათს, მაგრამ სრულყოფილი შეფასება მიიღება მათი კომბინაციების, ან უკეთეს შემთხვევაში, ყველა მეთოდის გამოყენებისას. მოკლედ დავახასიათოთ თითოეული მეთოდი:

1) აბსოლუტური მაჩვენებლების ანალიზის არსი მდგომარეობს აგრერირებული ანგარიშგების ფორმების (ბალანსი, მოგება-ზარალის უწყისი) აბსოლუტური მაჩვენებლების ინტერპრეტაციასა და შესაბამისი დასკვნების გამოტანაში. აღნიშნული მეთოდი გამოიყენება ბანკის რენტაბელობის პირველადი შეფასებისას და საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ძირითადი ტენდენციები, აქტივ-პასივისა და შემოსავალ-ხარჯების სტრუქტურული თავისებურებები და ა.შ. აბსოლუტური მაჩვენებლების ანალიზი შეიძლება განხორციელდეს ორი მიმართულებით:

- **ვერტიკალური ანალიზი** – ბალანსისა და მოგება-ზარალის სტრუქტურის ანალიზი, რომელიც გულისხმობს მათი შემადგენელი ნაწილების ხვედრითი წილების განსაზღვრას მთლიან მოცულობაში. აღნიშნული ანალიზით ხდება აქტივ-პასივების პრიორიტეტული მიმართულებებისა და მოგება-ზარალის ძირითადი წყაროების განსაზღვრა.

მაგალითად, როცა ბალანსში ან მოგება-ზარალის უწყისში „აღმოვაჩენთ“, რომ „ძირითადი საშუალებები“ ან „სხვა ვალდებულებები“, ან „პროცენტული შემოსავალი“, ან „წმინდა არაპროცენტული შემოსავლები“ და ა.შ. არაბუნებრივად დიდი ან მცირე ხვედრითი წილით გამოირჩევა, ეს გარკვეული დასკვნების გამოტანის ან უფრო ღრმა ანალიზის აუცილებლობის საშუალებას იძლევა;

- **ჰორიზონტალური** ანალიზი – ხდება ბალანსისა და მოგება-ზარალის აგრერირებული მაჩვენებლების შედარება გასული პერიოდების მაჩვენებლებთან, რაც საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ თითოეული მიმართულების ზრდის (კლების) ტემპი და ტენდენცია.

ანალოგიურად, ბალანსში ან მოგება-ზარალის უწყისში მთლიანი შემოსავლების ან მისი ცალკეული სახეობების შემცირების ტენდენცია (ანაც მთლიანი ხარჯების თუ მისი სახეობების ზრდის ტენდენცია) თუ მკვეთრი რყევები გარკვეულ სურათს ხატავს და უფრო ღრმა ანალიზის მიმართულებასაც იძლევა.

2) შემოსავლების სტრუქტურული ანალიზის დროს ხდება კომერციული ბანკის შემოსავლების დაჯგუფება სახეობებისა და წყაროების მიხედვით და მათგან ძირითადების გამოვლენა. შემოსავლის ძირითადი წყაროების გამოვლენისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მათ საიმედოობას, ანუ გონივრულ მომავალში შენარჩუნების ალბათობას. რა თქმა უნდა, შემოსავლების გარკვეული სახეობის საიმედოობა დამოკიდებულია იმ ოპერაციების საიმედოობაზე, რომლებიდანაც ისინი მიიღება. შემოსავლების სტრუქტურული ანალიზისას გამოვლენილი ჯგუფები შეიძლება იყოს ზემოთ (ცხრ. №10.1.) ჩამოთვლილი შემოსავლების სახეობები და მათი კიდევ უფრო დეტალური ჩამონათვალი, თუმცა მთავარი კრიტერიუმი, რითაც ხდება ძირითადების გამოყოფა, არის შემოსავლების რანჟირება მათი მთლიანი შემოსავლების ხვედრითი წილების მიხედვით.

შემოსავლების ხვედრითი წილების გამოვლენამ შეიძლება სხვა მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთების საშუალებაც მოგვცეს, მაგალითად, თუ გამოვ-

ეროვნული ბანკი

ლინდა, რომ გარკვეული ტიპის შემოსავალი ბანკში მცირე ხვედრითი წილით გამოირჩევა, ქვეყანაში მოქმედი მსგავსი ბანკების ჯგუფის საერთო მაჩვენებელთან შედარებით. ამ შემთხვევაში შეიძლება დაისვას საკითხი ბანკისათვის შემოსავლების გაზრდის პოტენციალის მატარებელი ამ ბიზნესმიმართულების ან ოპერაციების დანერგვის თუ გაფართოების შესახებ.

შემოსავლების ბიუჯეტისა და სტრატეგიული დაგეგმვის გეგმური მაჩვენებლების ფაქტობრივი შესრულების ანალიზი ასევე წარმოადგენს ხარვეზების იდენტიფიცირებისა და რეზერვების გამოვლენის საუკეთესო საშუალებას.

შემოსავლების სტრუქტურული ანალიზის მიზანს ასევე წარმოადგენს შემოსავლების ოპტიმალური სტრუქტურის დადგენა და მისი მიმდინარე მდგომარეობის შეფასება. თუ როგორია კონკრეტული ბანკის შემოსავლების ოპტიმალური სტრუქტურა, ეს დამოკიდებულია ბანკის სტრატეგიაზე, განვითარების დონეზე, სპეციალიზაციაზე, მსგავსი ბანკების შემოსავლების სტრუქტურაზე და სხვ.

3) ხარჯების სტრუქტურული ანალიზის დროს, მსგავსად შემოსავლების სტრუქტურული ანალიზისა, ხდება ხარჯების დაჯგუფება სახეობების მიხედვით, მათი რანჟირება ხვედრითი წილების მიხედვით.

შემდგომ ეტაპზე ხდება ხარჯების ძირითადი ჯგუფების ზრდის ტემპების შედარება შემოსავლების შესაბამისი ჯგუფების ზრდის ტემპებთან. მაგალითად, პროცენტული ხარჯების ზრდის ტემპი უდარდება პროცენტული შემოსავლების ზრდის ტემპებს, საკომისიო ხარჯებისა – საკომისიო შემოსავლების ზრდის ტემპებს და ა.შ. პროცენტული ხარჯების ზრდის ტემპის მეტობა პროცენტული შემოსავლების ზრდის ტემპზე ნიშნავს პროცენტული მარჟის შემცირებას, რაც მიგვანიშნებს ხარვეზების შესახებ ბანკის მიერ აქტივ-პასივების მართვაში, კერძოდ, მათ სტრუქტურაში, საპროცენტო განაკვეთებში, ვადების შესაბამისობაში და ა.შ.

ასეთი ანალიზი მეტად ეფექტიანია უფრო დეტალიზებული ჯგუფების შემთხვევაში, როცა ერთმანეთს უდარდება ხარჯებისა და შემოსავლების ზრდის ტემპები სტრუქტურული ერთეულების, ბიზნესმიმართულებებისა და ცალკეული პროდუქტების მიხედვით. რა თქმა უნდა, ამის შესაძლებლობა არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ბანკში ანალიტიკური აღრიცხვა მოწესრიგებულია იმ დონეზე, რომ ცალკეული სტრუქტურული ერთეულის, ბიზნესმიმართულებისა და პროდუქტის შემოსავლებისა და ხარჯების მაქსიმალური სიზუსტით დათვლის შესაძლებლობას იძლევა.

4) ანალიზი ფინანსური კოეფიციენტების მეშვეობით წარმოადგენს კომერციული ბანკების რენტაბელობის შეფასების მსოფლიო საბანკო პრაქტიკით კარგად აპრობირებულ და გავრცელებულ სისტემას. აქ შედის ისეთი ცნობილი კოეფიციენტები, როგორებიცაა: საპროცენტო მარჟა, არასაპროცენტო მარჟა, აქტივების მომგებიანობა, კაპიტალის მომგებიანობა, ხარჯების უკუგება და უამრავი სხვა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან კომერციული ბანკების მომგებიანობის ანალიზს, მათ დინამიკაში შეფასებას ემსახურება „გამჭვირვალობის წესი“, რომლის მიხედვით, კომერციული ბანკების მიერ პერიოდულად სავალდებულო გამოქვეყნებას დაქვემდებარებულ ინფორმაციაში 18 ეკონომიკური მაჩვენებლიდან ექვსი მომგებიანობის ანალიზის საშუალებას იძლევა. ასევე,

როგორც ვიცით, სავალდებულო გამოქვეყნებას ექვემდებარება არა მარტო ამ მაჩვენებლების ყოველკვარტალური დონე, არამედ მათი შედარება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან.

$$\frac{\text{მთლიანი საპროცენტო შემოსავლები}}{\text{საშუალო წლიური აქტივები}} \quad (10.1)$$

$$\frac{\text{მთლიანი საპროცენტო ხარჯები}}{\text{საშუალო წლიური აქტივები}} \quad (10.2)$$

$$\frac{\text{საოპერაციო შედეგი}}{\text{საშუალო წლიური აქტივები}} \quad (10.3)$$

წმინდა საპროცენტო მარჟა (10.4)

უკუგება საშუალო აქტივებზე (ROA) (10.5)

უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE) (10.6)

სადაც:

მთლიანი საპროცენტო შემოსავლები – წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი საპროცენტო შემოსავლებია;

მთლიანი საპროცენტო ხარჯები – წლის განმავლობაში გაწეული მთლიანი საპროცენტო ხარჯებია;

საოპერაციო შედეგი – წლის განმავლობაში მიღებული საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შედეგია, რომელიც გამოითვლება, როგორც წმინდა საპროცენტო შემოსავალს + მთლიანი არასაპროცენტო შემოსავლები (გარდა დილინგური ფასიანი ქაღალდებიდან, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან, სავალუტო სახსრების გადაფასებიდან და ქონების გაყიდვიდან მიღებული მოგება/ზარალისა) და – მთლიანი არასაპროცენტო ხარჯები;

წმინდა საპროცენტო მარჟა – წლის განმავლობაში მიღებული წმინდა საპროცენტო შემოსავალია შეფარდებული საშუალო წლიურ აქტივებთან;

უკუგება საშუალო აქტივებზე (ROA) – წლის განმავლობაში მიღებული წმინდა მოგებაა (ზარალი) შეფარდებული საშუალო წლიურ აქტივებთან;

უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE) – წლის განმავლობაში მიღებული წმინდა მოგებაა (ზარალი) შეფარდებული საშუალო წლიურ სააქციო კაპიტალთან.

პირველი კოეფიციენტი (10.1) გვიჩვენებს ბანკის აქტივების მიერ პროცენტული შემოსავლების „გამომუშავების" ხარისხს. აღნიშნული მაჩვენებლის მაღალ დონეს ძირითადად ორი ფაქტორი განაპირობებს: მთლიან აქტივებში „მუშა" აქტივების მაღალი ხვედრითი წილი, ანუ აქტივების კარგი სტრუქტურა და „მუშა" აქტივების მაღალი საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი, რაც მიუთითებს მენეჯმენტის უნარზე, დააბანდოს სახსრები მაღალშემოსავლიან აქტივებში.

მეორე კოეფიციენტის (10.2) მიზანია, გვიჩვენოს კომერციული ბანკის პასივების სტრუქტურის ხარისხი, მისი „ხარჯიანობა", რომელიც შეფარდებულია საშუალო წლიურ აქტივებთან. ბუნებრივია, რაც უფრო დაბალია ეს მაჩვენებელი, მით უფრო მეტყველებს იგი კომერციული ბანკის მენეჯმენტის უნარზე,

ჰქონდეს პასივების ოპტიმალური სტრუქტურა და იაფი რესურსების მობილიზაციის შესაძლებლობა.

კოეფიციენტი 10.3 გვიჩვენებს აქტივების მიერ საოპერაციო შედეგის „გამომუშავების“ უნარს. ამ კოფიციენტში კომბინირებულია ბანკის მენეჯმენტის უნარი, ერთი მხრივ, მიიღოს შემოსავლების მაქსიმუმი და, მეორე მხრივ, მოახერხოს ეს მინიმალური დანახარჯებით.

შემდეგი კოეფიციენტი (10.4), „ცნობილი“ წმინდა საპროცენტო მარჟა, გვიჩვენებს წმინდა საპროცენტო შემოსავლის (საპროცენტო შემოსავლებს გამოკლებული საპროცენტო ხარჯები) შეფარდებას მთლიან აქტივებთან. როგორც მივხვდით, ეს მაჩვენებელი არის სხვაობა 10.1 და 10.2 ფორმულებს შორის და აჩვენებს კომერციული ბანკის საქმიანობისა და რენტაბელობის განმსაზღვრელი ორი უმთავრესი შემადგენელი ელემენტის, პროცენტული შემოსავლებისა და პროცენტული ხარჯების მოცულობასა და ოპტიმალობას. რაც მეტია ამ მაჩვენებლის დონე, მით მეტია განსხვავება პროცენტული შემოსავლებისა და პროცენტული ხარჯების დონეებს შორის და მეტი წმინდა საპროცენტო შემოსავალი რჩება ბანკს.

კოეფიციენტი 10.5, საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში ფართოდ გავრცელებული ROA, ანუ აქტივების უკუგება (***Return On Assets***), გვიჩვენებს ბანკის საქმიანობის საბოლოო შედეგის, წმინდა მოგების შეფარდებას საშუალო აქტივებთან. ესაა აქტივების უკუგების მაჩვენებელი, ანუ რამდენი მოგება (გამოსახული პროცენტებით) მოაქვს ერთი ერთეულის (ჩვენს შემთხვევაში – ერთი ლარის) აქტივს წლის განმავლობაში.

ბოლო კოეფიციენტი (10.6), ასევე საბანკო პრაქტიკაში აპრობირებული ROE, ანუ კაპიტალის უკუგება (***Return on equity***), გვიჩვენებს ბანკის საქმიანობის საბოლოო შედეგის, წმინდა მოგების შეფარდებას საშუალო კაპიტალთან. ესაა კაპიტალის უკუგების მაჩვენებელი, ანუ რამდენი მოგება (გამოსახული პროცენტებით) მოაქვს ერთი ერთეულის (ჩვენს შემთხვევაში ერთი ლარის) კაპიტალს წლის განმავლობაში.

თვალსაჩინოებისათვის გავაანალიზოთ რამდენიმე ქართული ბანკის ოფიციალური მონაცემი ამ ნორმატივების მიხედვით, პირობითად ვუწოდოთ მათ A, B და C ბანკები (ცხრ. №10.5.):

ცხრ. №10.5. საქართველში მოქმედი კომერციული ბანკების მოგების შეფასება „გამჭვირვალობის წესის“ შესაბამისად (2012 და 2013 წლების 30 ივნისი)

ნორმატივები	ბანკი A		ბანკი B		ბანკი C	
	2012	2013	2012	2013	2012	2013
საპროცენტო შემოსავლები / საშ. წლიური აქტივები	9.8	10.0	13.9	14.1	14.7	12.7
საპროცენტო ხარჯები / საშ. წლიური აქტივები	3.8	3.8	8.3	8.8	9.0	8.2
საოპერაციო შედეგი / საშ. წლიური აქტივები	1.6	3.3	3.1	1.7	3.4	1.6
წმინდა საპროცენტო მარჟა	6.0	6.2	5.6	5.4	5.7	4.5
უკუგება საშუალო აქტივებზე (ROA)	2.2	2.6	2.1	0.6	0.1	-1.1
უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE)	14.3	16.5	20.5	5.6	0.8	-12.8

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ვხედავთ, შერჩეულ იქნა საქართველოში მოქმედი სამი კომერციული ბანკი, რომელთა რენტაბელობის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად განსხვავებულია ერთმანეთისაგან:

- **ბანკი A** – საპროცენტო შემოსავლებისა კარგი მაჩვენებელი, საპროცენტო ხარჯის დაბალი დონე, საოპერაციო შედეგის კარგი მაჩვენებელი, მაღალი წმინდა საპროცენტო მარჟა, საკმაოდ მაღალი ROA და ROE. რაც მთავარია, ექვსივე მაჩვენებელი გაუმჯობესებულია გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით;
- **ბანკი B** – საპროცენტო შემოსავლების მაღალი მაჩვენებელი, თუმცა საპროცენტო ხარჯის საკმაოდ მაღალი დონე, საოპერაციო შედეგის არცთუ კარგი მაჩვენებელი, საშუალო წმინდა საპროცენტო მარჟა, დაბალი ROA და ROE. ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ექვსიდან ხუთი მაჩვენებელი გაუარესებულია გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით;
- **ბანკი C** – საპროცენტო შემოსავლების მაღალი მაჩვენებელი, თუმცა საპროცენტო ხარჯის მაღალი დონე, საოპერაციო შედეგის არცთუ კარგი მაჩვენებელი, დაბალი წმინდა საპროცენტო მარჟა, უარყოფითი ROA და ROE, რაც იმას ნიშნავს, რომ 2013 წლის ექვსი თვის მონაცემებით, ბანკს აქვს ზარალი. ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ექვსივე მაჩვენებელი გაუარესებულია გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

ზემოაღნიშნული მაგალითები მოყვანილია იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ სასარგებლო ინფორმაციას გვაწვდიან ფინანსური კოეფიციენტები კომერციული ბანკის მომგებიანობის შესახებ. თუმცა, სრული სურათის მისაღებად და ნეგატიური შედეგების მიზეზების დასადგენად საჭიროა დამატებითი ანალიზი. ამ მიმართულებით დამატებითი ანალიზის საუკეთესო საშუალებაა ფაქტორული ანალიზი, რომელიც ქვემოთ იქნება დახასიათებული.

სანამ გადავალთ ფაქტორულ ანალიზზე, განვიხილოთ ბანკის რენტაბელობის შეფასების რამდენიმე ფინანსური კოეფიციენტი, რომელთაც არ ითვალისწინებს საქართველოში მოქმედი „გამჭვირვალობის წესი“, თუმცა, ისინი მეტად გავრცელებულ კოეფიციენტებს წარმოადგენენ საბანკო პრაქტიკაში, მათ შორის, საქართველოშიც. დავახასიათოთ საპროცენტო მარჟა (სპრედი) და CIR (Cost/Income Ratio):

$$K_{\text{საპროცენტო მარჟა (სპრედი)}} = \text{შასშსგ} - \text{ხპსშსგ} \qquad (10.6)$$

სადაც:

შასშსგ – შემოსავლიანი აქტივების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი, ანუ „მუშა“ აქტივების საშუალო შეწონილი ფასი;

ხპსშსგ – ხარჯიანი პასივების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი, ანუ ბანკის მიერ მოზიდული რესურსების საშუალო შეწონილი ფასი.

აღნიშნული კოეფიციენტი გვიჩვენებს სხვაობას ორ ფასს შორის, ერთი ლარის რესურსის მოზიდვის საშუალო ფასსა და ამ რესურსის განთავსების ფასს შორის. ეს მაჩვენებელი ახლოსაა ზემოთ განხილულ წმინდა საპროცენტო მარჟასთან (ფორმულა 10.4), თუმცა, განსხვავებულ სურათს იძლევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

$$CIR_{(Cost/Income\ Ratio)} = \frac{სხ}{წსშ + წაშ} \qquad (10.8)$$

სადაც:

სხ – საოპერაციო ხარჯები, ანუ ხარჯები, რომლებიც პირდაპირ არაა დაკავშირებული საბანკო ოპერაციების ჩატარებასთან. აქ შედის პერსონალის ხარჯი, საექსპლოატაციო და სხვა არაპროცენტული ხარჯები;

წსშ – წმინდა საპროცენტო შემოსავალი, ანუ სხვაობა პროცენტულ შემოსავლებსა და პროცენტულ ხარჯებს შორის;

წაშ – წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი, ანუ სხვაობა არაპროცენტულ შემოსავლებსა და ამ ოპერაციების ჩატარებისას გაწეულ საკომისიო და სხვა ხარჯებს შორის.

როგორც ვხედავთ, ამ ფინანსური კოეფიციენტის გაანგარიშებაში მონაწილეობს ყველა ხარჯი და შემოსავალი, გარდა სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების შესაქმნელად გაწეული ხარჯებისა და გაუთვალისწინებელი შემოსავლისა (ხარჯი). აღნიშნული ფორმულის არსს უკეთ ჩავწვდებით, თუ განვიხილავთ მას ცხრილ №10.4-ის მიხედვით. ფორმულის არსი კი ისაა, რომ იგი გვიჩვენებს, ბანკის მიერ წმინდა შემოსავლის სახით მიღებული ერთ ლარიდან რამდენი თეთრი იხარჯება ბანკის, როგორც კომპანიის, ადმინისტრაციული ხარჯების სახით. რაც ნაკლებია ეს მაჩვენებელი, მით მეტია კომერციული ბანკის რენტაბელობა, ხოლო თუკი იგი 1-ზე მეტია, ნიშნავს, რომ ბანკი არარენტაბელურია, ანუ ზარალიანია – ე. ი. ხარჯავს იმაზე მეტს, ვიდრე გამოიმუშავებს. პრაქტიკაში გვხვდება CIR (Cost/Income Ratio) კოეფიციენტის გაანგარიშების ოდნავ განსხვავებული მეთოდოლოგიაც.

ბუნებრივია, საბანკო პრაქტიკაში გავრცელებული ბანკების რენტაბელობის შეფასების ყველა ფინანსური კოეფიციენტის დახასიათება შეუძლებელია. გარდა ზემოაღნიშნული კოეფიციენტებისა, ფართოდაა გავრცელებული ისეთი მაჩვენებლები, როგორებიცაა: მოგება ერთ თანამშრომელზე ან ერთ ფილიალზე, აქტივები ერთ თანამშრომელზე ან ფილიალზე, წმინდა არასაპროცენტო მარჟა, საოპერაციო მარჟა და ა.შ.

5) ფაქტორული ანალიზი კომერციული ბანკების რენტაბელობის შეფასებისას მისი ცვლილების მიზეზების დეტალიზების საშუალებას იძლევა. ფაქტორული ანალიზის მთავარი დადებით მხარე ისაა, რომ იგი მომგებიანობის ცვლილების მთავარი ფაქტორის (ან ფაქტორების) გამოვლენისა და კონკრეტული მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების საშუალებას იძლევა.

ფაქტორული ანალიზის შინაარსი ისაა, რომ აიღება რომელიმე მაჩვენებელი, რომლის გაუარესების ტენდენციაც ბოლო პერიოდში დაფიქსირდა, მაგალითად, CIR (Cost/Income Ratio), ხდება მისი მრიცხველისა და მნიშვნელის ჩაშლა ფაქტორებად და გარკვეული პერიოდების, მაგალითად, კვარტალების ჭრილში და წარმოებს იმ ფაქტორის ან ფაქტორების „აღმოჩენა“, რომლებიც მთავარი „დამნაშავეები“ არიან რენტაბელობის შემცირებაში. ანუ დგინდება, რომ ნეგატიური ცვლილების მიზეზი იყო რომელიმე კონკრეტული შემოსავლების წყაროს შემცირება, მიმდინარე ფასწარმოქმნის ტენდენციები ბანკთაშორის ბაზარზე, რომლებიც კომერციულ ბანკს „გამოეპარა“, არაორდინალური ერთჯერადი ხარჯი, რომლის იგნორირება შეიძლება და საგანგაშო არაფე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რია, გარკვეული ტიპის ხარჯების ზრდა (მაგალითად, ბონუსები), რომლის კომპენსირება ბანკმა ვერ შეძლო შემოსავლების შესაბამისი ზრდით და ა. შ. შეიძლება გამოვლინდეს უამრავი ფაქტორი, როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური. ანალიზის ბოლოს სახელდება კონკრეტული მიზეზები (ფაქტორები), რომლებიც კვალიფიციურ მენეჯმენტს აძლევს მეტად სასარგებლო ინფორმაციას, რათა აუცილებლობის შემთხვევაში მიიღოს ქმედითი მმართველობითი გადაწყვეტილება.

ფაქტორული ანალიზი შეიძლება აიგოს კოეფიციენტების მამრავლებად დაშლის მეთოდზეც, რომლის მაგალითსაც წარმოადგენს დიუპონის ცნობილი ფორმულა, სადაც მოგების შეფარდება საკუთარ კაპიტალთან შეიძლება დაიყოს სამ კოეფიციენტად – შემოსავლების მარჟა (მოგების ნორმა), აქტივების შემოსავლიანობა და ლევერიჯის კოეფიციენტი. უფრო ღრმა ანალიზისათვის თითოეული კოეფიციენტის ჩაშლა ხდება შემადგენელ ფაქტორებად და ა.შ.

საბოლოოდ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ საქართველოს ეროვნული ბანკის ისეთ საზედამხედველო ინსტრუმენტს, როგორიცაა CAMELS-ის რეიტინგული სისტემა, რომელიც სხვა მიმართულებებთან ერთად მნიშვნელოვან როლს ანიჭებს კომერციული ბანკის მოგების შეფასებას, როგორც საბოლოო რეიტინგის ერთ-ერთ კომპონენტს. CAMELS-ის სისტემა ბანკის მომგებიანობის შეფასებისას მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს შემოსავლების წყაროს. სტაბილურობასა და ყველა იმ ცვლილებას, რომლებიც გვხვდებოდა განვლილ საანგარიშგებო პერიოდში, აანალიზებს და აფასებს ბანკის მოგების ცვლილების გამომწვევ მიზეზებს, მიღებულ შედეგებსა და მათ გავლენას ბანკის წლიური ბიუჯეტის პარამეტრების შესრულების მდგომარეობაზე.

CAMELS-ის სისტემა ითვალისწინებს, რომ მოგების, როგორც ბანკის ფინანსური საქმიანობისა და განვითარების ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებლის, დახასიათებისას შეფასება კონცენტრირებული უნდა იქნეს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა:

- წმინდა საპროცენტო მარჟა, როგორც ბანკის საპროცენტო პოლიტიკის ძირითადი ბერკეტი და მისი ანალიზი;
- დარეზერვების ხარჯი და მისი გავლენა წმინდა მოგებაზე;
- არასაპროცენტო შემოსავალ-ხარჯები, მათი სტაბილურობა და სტრუქტურული შემადგენლობის ანალიზი;
- წმინდა არასაპროცენტო მარჟა და მისი ანალიზი;
- არაორდინალური ხარჯები, მათი მოცულობა, წარმოშობის მიზეზები და აუცილებლობა;
- აქტივებსა და კაპიტალზე უკუგების კოეფიციენტები (ROA და ROE), როგორც ბანკის მომგებიანობის ძირითადი მაჩვენებლები, მათი ტენდენციების ანალიზი და შეფასება;
- წმინდა მოგების განაწილების ანალიზი, მათი ადეკვატურობა ბანკის ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით.

ყველა ზემოაღნიშნული საკითხის შესწავლისას ხდება შესაბამისი მაჩვენებლების შედარება მსგავსი ბანკების ჯგუფის საშუალო მაჩვენებელთან და მნიშვნელოვანი გადახრების მიზეზების დადგენა. ხდება ასევე მათზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი, ინფორმაციის ანალიზი დინამიკაში და ცვლილების ტენდენციის დადგენა. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება შემოსავლების სტაბილური და ცვალებადი წყაროების ანალიზზე, დინამიკაზე და, შესაბამი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სად, ფასდება ნებისმიერი შესამჩნევი ტენდენცია, ასევე დგინდება უჩვეულოდ დიდი შემოსავლის, ხარჯის ან ზარალის მიზეზები.

მომგებიანობის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე, CAMELS-ის სისტემის მიხედვით, ბანკის მოგებას მიენიჭება შესაბამისი რეიტინგი.

საკონტროლო კითხვები:

1. რა არის შემოსავლების, როგორც მოგების მთავარი წყაროს არსი და დანიშნულება?
2. კომერციული ბანკის შემოსავლების რომელი ძირითადი სახეობები და ქვესახეობები იცით?
3. როგორ დაახასიათებდით ბანკის პროცენტულ შემოსავლებს?
4. რომელია ბანკის მიერ მიღებული არაპროცენტული შემოსავლების ძირითადი სახეობები?
5. როგორ დაახასიათებდით საქართველოს საბანკო სისტემის შემოსავლების დინამიკას ბოლო წლების განმავლობაში?
6. რა შეიძლება ითქვას საბანკო პრაქტიკაში გავრცელებულ „ჯვარედინ გაყიდვებზე“ (cross-selling) და რომელი ტენდენციის გამოძახილია იგი?
7. როგორ დაახასიათებდით მოკლედ შემოსავლების ძირითად სახეობებს საქართველოში საბანკო დაწესებულებების ანგარიშთა გეგმის მიხედვით?
8. რა თავისებურებებით ხასიათდება ბანკების ხარჯები?
9. კომერციული ბანკის ხარჯების რომელი ძირითადი სახეობები და ქვესახეობები იცით?
10. როგორ დაახასიათებდით ბანკის პერსონალის ხარჯს?
11. რა თავისებურებებით ხასიათდება აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნის მიმართულებით გაწეული დანახარჯები?
12. რა შეგიძლიათ თქვათ კომერციული ბანკის მოგების არსისა და მნიშვნელობის შესახებ?
13. რა ძირითადი ელემენტებისაგან შედგება „გამჭვირვალობის წესის“ მიხედვით შედგენილი ბანკის მოგება-ზარალის უწყისი?

14. რომელ ძირითად ელემენტებს მოიცავს ფასს-ის მიხედვით ფორმირებული ბანკის მოგება-ზარალის უწყისი?
15. კომერციული ბანკების მოგებისა და რენტაბელობის შეფასების რა მეთოდები იცით?
16. რა შეგიძლიათ თქვათ კომერციული ბანკების რენტაბელობის შეფასების „აბსოლუტური მაჩვენებლების ანალიზის მეთოდზე“ და მის ორ მიმართულებაზე?
17. რას გულისხმობს კომერციული ბანკების რენტაბელობის შეფასების „შემოსავლების სტრუქტურული ანალიზის მეთოდი“?
18. რა არის კომერციული ბანკების რენტაბელობის შეფასების „ხარჯების სტრუქტურული ანალიზის მეთოდი“?
19. როგორ შეიძლება დაახასიათოთ კომერციული ბანკების რენტაბელობის შეფასების მეთოდი „ანალიზი ფინანსური კოეფიციენტების მეშვეობით“?
20. რა არის წმინდა საპროცენტო მარჟის არსი?
21. როგორ დაახასიათებდით რენტაბელობის შეფასების ისეთ კოეფიციენტებს, როგორებიცაა ROA და ROE?
22. რას გულისხმობს კომერციული ბანკების რენტაბელობის შეფასების „ფაქტორული ანალიზის მეთოდი“?
23. რას ითვალისწინებს მოგების ანალიზი CAMELS-ის სისტემის მიხედვით?

თავი 11

უნაღდო ანგარიშსწორების სისტემა

შინაარსი:

11.1. უნაღდო ანგარიშსწორების როლი ეკონომიკაში;
11.2. უნაღდო ანგარიშსწორების ორგანიზების ზოგადი დებულებები;
11.3. საგადამხდელო სისტემები;
11.4. ბანკთაშორისი ანგარიშსწორება;
11.5. ანგარიშის გახსნის წესი საქართველოს კომერციულ ბანკებში.

ძირითადი ელემენტები:

1. უნაღდო ანგარიშსწორების მნიშვნელობა ეკონომიკაში;
2. უნაღდო ანგარიშსწორების სისტემა და ანგარიშსწორებათა ორგანიზების პრინციპები;
3. საგადამხდელო სისტემა და ცენტრალური ბანკის როლი მასში;
4. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ორგანიზებული საანგარიშსწორებო სისტემები;
5. კერძო საგადამხდელო სისტემები;
6. ბანკთაშორისი ანგარიშსწორებების მექანიზმი;
7. საქართველოს კომერციულ ბანკებში ანგარიშის გახსნის წესი.

გამოყენებული სქემები, ნახატები და ცხრილები:

სქემა №11.1. რეალური დროის რეჟიმში განხორციელებული ანგარიშსწორება 4 ბანკის მაგალითზე;
სქემა №11.2. ორმხრივი კლირინგის რეჟიმში განხორციელებული ანგარიშსწორება 4 ბანკის მაგალითზე;
სქემა №11.3. მრავალმხრივი კლირინგის რეჟიმში განხორციელებული ანგარიშსწორება 4 ბანკის მაგალითზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11.1. უნაღდო ანგარიშსწორების როლი ეკონომიკაში

ფულის მოძრაობას, რომლის დროსაც ფული ასრულებს თავის ფუნქციებს, ფულის მიმოქცევა ეწოდება. ფულის მიმოქცევა უზრუნველყოფს საქონლისა და მომსახურების რეალიზაციას ანგარიშსწორების გზით და ემსახურება კაპიტალის წრებრუნვას. ფულის მიმოქცევა ხდება ნაღდი და უნაღდო ფორმით.

ნაღდი ფულის მოძრაობა ხდება მეტწილად საცალო საქონელბრუნვაში და ამ დროს ფულის მიმოქცევის საშუალებას წარმოადგენს რეალური ფულადი ნიშნები, რომელთაც გადამხდელი გადასცემს მომწოდებელს მიღებული საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ.

რაც შეეხება უნაღდო ფულის მიმოქცევას – ესაა იმავე გადახდების განხორციელება და კაპიტალის მოძრაობა, რომლებიც უზრუნველყოფილია საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრების მეშვეობით. უნაღდო ანგარიშსწორების განხორციელების საფუძველია ერთი საბანკო ანგარიშიდან მეორეზე ფულადი სახსრების გადარიცხვა (ტრანზაქცია) ან ურთიერთჩათვლები. უნაღდო ანგარიშსწორების მექანიზმს წარმოადგენს ბანკების მიერ განხორციელებული გადახდები კლიენტების დავალების საფუძველზე, რაც ხორციელდება მათი ანგარიშებიდან სახსრების ჩამოწერით და მითითებულ ანგარიშზე ჩარიცხვით (გადარიცხვით). ჩარიცხვა ხდება იმ შემთხვევაში, თუ მითითებული ანგარიში არის იმავე ბანკში, ხოლო თუ ანგარიში არის სხვა ბანკში, ხდება გადარიცხვის ოპერაცია, რასაც დავალების მიმღები ბანკი ახორციელებს საკორესპონდენტო ანგარიშის, უფრო სწორად, საკორესპონდენტო ურთიერთობათა სისტემის მეშვეობით.

მიუხედავად არსებითი განსხვავებისა, ნაღდი და უნაღდო ფულადი ბრუნვა მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. ნაღდი ფული ტრანსფორმირდება უნაღდო ფულად და, პირიქით, მუდმივად და ყოველგვარი შეფერხებების გარეშე. მაგალითად, ფიზიკურმა პირმა თავისი საბარათე ანგარიშიდან გამოიტანა ნაღდი ფული, რომლითაც შეიძინა საქონელი სუპერმარკეტში. თავის მხრივ, სუპერმარკეტმა ინკასაციის საშუალებით შეიტანა ნავაჭრი ფული თავის ანგარიშზე, საიდანაც მეორე დღეს ნაწილი გადარიცხა, ნაწილი კი გამოიტანა ნაღდი სახით და ა.შ. ეს პროცესი ძალიან ჰგავს წყლის მიმოქცევას ბუნებაში მისი სხვადასხვა ფორმით, როცა იგი წვიმის სახით მოდის, ორთქლდება, ღრუბლებად იქცევა, მერე ისევ წვიმად და ა.შ.

ნაღდი და უნაღდო ფულის მიმოქცევის ერთიანობა ასევე იმითაც ვლინდება, რომ ორივე მათგანი ქმნის ერთიან ფულად მასას, რომელიც, თავის მხრივ, ცენტრალური ბანკის მხრიდან რეგულირების ობიექტს წარმოადგენს.

უნაღდო ანგარიშსწორება მოიცავს ეკონომიკურ სუბიექტებს შორის არსებულ ყველა სფეროს: ეროვნული პროდუქტის განაწილება, პროდუქციისა და მომსახურების რეალიზაცია, კრედიტების გაცემა და დაფარვა და ა. შ. და ამ პროცესში მონაწილეობს ყველა: სახელმწიფო, საბანკო და ფინანსური სფერო, კომპანიები და მოსახლეობა.

ნაღდ და უნაღდო ანგარიშსწორებებს შორის შესაბამისობა და პრიორიტეტულობა იცვლებოდა საგადამხდელო-საანგარიშსწორებო ურთიერთობათა სრულყოფასთან ერთად. **XX** საუკუნის დასაწყისამდე გადახდების უმრავლესობა ნაღდი ფორმით ხორციელდებოდა. მას შემდეგ ნაღდი ანგარიშსწორების ხვედრითი წილი სულ უფრო მცირდებოდა და დღეისათვის წამყვანი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში მასზე მთლიანი ანგარიშსწორებეთა 10%-ზე ნაკლები

მოდის. უნაღდო ანგარიშსწორებების პოპულარიზაციის ახალი იმპულსი გახდა საბანკო ოპერაციების ავტომატიზაცია და ელექტრონული გადახდების დანერგვა, რომელიც განსაკუთრებით განვითარდა **XX** საუკუნის 70-80 წლებიდან და დღეს უკვე მათ გარეშე წარმოუდგენელია საბანკო ბიზნესი.

უნაღდო ანგარიშსწორებები ფულადი სახსრების ნაღდ ბრუნვასთან შედარებით ხასიათდება მთელი რიგი უპირატესობებით, რომელთა შორის აღსანიშნავია:

- როგორც ეკონომიკური სუბიექტების, ისე ცენტრალური ბანკისა და კომერციული ბანკებისათვის ხარჯების შემცირება, რომლებიც დაკავშირებულია ნაღდი ფულის დაბეჭდვასა და მიმოქცევასთან (შენახვა, გადაზიდვა, გადათვლა (ფულის ფორმირება);
- ანგარიშსწორების დაჩქარება პროცესის ყველა მონაწილისათვის;
- ურთიერთვალდებულებათა ჩათვლის (კლირინგი) შესაძლებლობა;
- ყალბ ფულთან დაკავშირებული თაღლითობის რისკის არარსებობა;
- საერთაშორისო ანგარიშსწორების გამარტივება;
- ანგარიშსწორება გაადვილებულია მათი უნიფიცირების გზით – სახეზეა უნაღდო ანგარიშსწორებათა უნივერსალური ფორმები და ერთიანი საგადამხდელო დოკუმენტები;
- დადებითი გავლენა როგორც ცალკეული ეკონომიკური სუბიექტების სამეურნეო საქმიანობაზე, ისე მთლიანი ნაციონალური პროდუქტის ფორმირებასა და ბიუჯეტის შემოსავალ-ხარჯების კონტროლზე;
- გადახდების განხორციელებისას მონაცემთა დამუშავების ტექნიკური საშუალებების ფართოდ გამოყენება;
- სახელმწიფოს მხრიდან ფულადი ნაკადების შეფასების, დაგეგმვისა და რეგულირების გაადვილება;
- კომერციულ ბანკებში ფულადი რესურსების კონცენტრაცია და ამდენად, საკრედიტო რესურსების ზრდა.

გამომდინარე უნაღდო ანგარიშსწორების მნიშვნელობიდან, ქვეყნის საგადამხდელო სისტემის ორგანიზებაში იგი წარმოადგენს სახელმწიფო პოლიტიკის განსაკუთრებული ზრუნვის ობიექტს. უფრო მეტიც, უნაღდო ანგარიშსწორების სისტემა სცდება ერთი კონკრეტული ქვეყნის გეოგრაფიულ საზღვრებს და მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციისა და მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე ნაციონალური ეკონომიკის დამოკიდებულების ზრდის კვალობაზე საგადამხდელო სისტემების უსაფრთხოებისა და საიმედოობის საკითხები საერთაშორისო მნიშვნელობას იძენს.

11.2. უნაღდო ანგარიშსწორების ორგანიზების ზოგადი დებულებები

გამომდინარე ფულადი სახსრების რაციონალური გამოყენების ინტერესიდან, სახელმწიფო ახორციელებს უნაღდო ანგარიშსწორების ორგანიზებას, ქმნის მისი ფუნქციონირების სამართლებრივ საფუძვლებს. **უნაღდო ანგარიშსწორების სისტემა** – ესაა ანგარიშსწორებათა ორგანიზების პრინციპების ერთობლიობა, რომელთა შორის აღსანიშნავია:

- **ანგარიშსწორებებისა და გადახდების განხორციელების საერთო სამართლებრივი რეჟიმი.** აღნიშნული პრინციპი არის მეტად მნიშვნელოვანი და განპირობებულია იმით, რომ თანამედროვე ეკონომიკური სუბიექტების ურთიერთობა უნდა ემყარებოდეს ერთიან, უნიფიცირებულ წესებს, ფორმებსა და ინსტრუმენტებს;
- **ანგარიშსწორების მონაწილეების მიერ უნაღდო ანგარიშსწორების ფორმების თავისუფალი არჩევანის უფლება.** აღნიშნული პრინციპი გულისხმობს გარიგების მონაწილე ეკონომიკური სუბიექტების ეკონომიკურ დამოუკიდებლობასა და ბანკის, როგორც მხოლოდ შუამავლის, როლს;
- **გადახდების განხორციელება საბანკო ანგარიშების მეშვეობით.** გადახდები ანგარიშებიდან ბანკების მიერ ხორციელდება მათი მფლობელების განკარგულებით და არსებული ნაშთების ფარგლებში;
- **ლიკვიდობის საკმარისი დონის უზრუნველყოფა.** გადახდების შეუფერხებელი განხორციელებისათვის აუცილებელია ბანკების საკმარისი ლიკვიდობის დონის არსებობა;
- **გადახდის ვადიანობა.** აღნიშნული პრინციპი გამომდინარეობს საბაზრო ეკონომიკის არსიდან, რომლის აუცილებელი პირობაა გადახდების დროული და სრული განხორციელება;
- **ყველა მონაწილის მხრიდან კონტროლის განხორციელება გადახდების მიმდინარეობაზე.** აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ გადახდების ყველა მონაწილეს, როგორც შუამავლებს (ბანკები), ისე გადამხდელსა და მიმღებს, საშუალება აქვთ თვალყური მიადევნონ და გააკონტროლონ გადახდის მიმდინარეობა და არსებული სტატუსი. აღნიშნული პრინციპი სულ უფრო ქმედითი ხდება თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში;
- **მატერიალური პასუხისმგებლობა გადახდის მონაწილეების მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობისას.** როგორც წესი, კანონმდებლობა ითვალისწინებს ანგარიშსწორების ნებისმიერი მონაწილის მატერიალურ პასუხისმგებლობას მისი მხრიდან ვალდებულების არასრული ან არადროული შესრულების შემთხვევაში.

საგადამხდელო ანგარიშსწორების მონაწილეებს შორის ფულადი სახსრების მიმოქცევის ორგანიზაციული ფორმების, ინსტრუმენტებისა და პროცედურების ერთობლიობას **საგადამხდელო სისტემა** ეწოდება. მიუხედავად იმისა, რომ საგადამხდელო სისტემები ფუნქციონირებენ სხვადასხვა ფორმით, ყველა მათგანს აქვს ერთადერთი დანიშნულება – გადამხდელის ანგარიშიდან მიმღების ანგარიშზე სახსრების უსაფრთხოდ, საიმედოდ და დროულად გადატანა.

ყველა სახის საგადამხდელო სისტემა მოიცავს სამ ძირითად კომპონენტს. ესენია:

- **იდენტიფიკაციისა და გადახდების დაწყების პროცესი,** რომლის დროსაც ხდება სისტემის მონაწილის იდენტიფიკაცია (ამოცნობა), რის შემდეგაც გადამხდელს ეძლევა მისი მომსახურე ბანკისადმი სახსრების გადარიცხვის დავალების მიცემის საშუალება;
- **მონაწილე ბანკებს შორის საგადახდო საბუთების გადაცემისა და გაცვლის პროცესი,** რომლის დროსაც ხდება საგადამხდელო სისტემის ორგანიზატორის მიერ დადგენილი ფორმატებით ინფორმაციის გაცვლა;

ეროვნული ბანკი

- **უშუალო ანგარიშსწორების პროცესი,** რომლის დროსაც გადამხდელი ბანკი, საკორესპონდენტო ურთიერთობების საფუძველზე ან მესამე მხარის დახმარებით, ახდენს კლიენტის დავალების რეალურ შესრულებას. მესამე მხარეს წარმოადგენს ანგარიშსწორების აგენტი (ამ როლს ასრულებენ ცენტრალური ბანკები, საანგარიშსწორებო-საკლირინგო-საპროცესინგო ცენტრები, პალატები და სხვ.).

ქვეყნის საფინანსო სექტორისათვის საგადამხდელო სისტემის მიზანია, დროულად და ეფექტიანად უზრუნველყოს ფულადი სახსრების გადაადგილება ეკონომიკურ სუბიექტებს შორის, რათა პირნათლად შესრულდეს მათ მიერ აღებული ვალდებულებები. საგადამხდელო სისტემების, როგორც ფულადი სახსრების გადარიცხვის ძირითადი მექანიზმის, გაუმართავმა მუშაობამ შეიძლება უდიდესი უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს იმ საფინანსო ბაზრების ფუნქციონირებაზე, რომელთაც ეს სისტემები ემსახურება და შეარყიოს არა მარტო ამ ბაზრებზე მოქმედი ცალკეული ეკონომიკური სუბიექტების პოზიციები, არამედ საფრთხის ქვეშ დააყენოს საზოგადოების ნდობა საგადამხდელო და, საერთოდ, საფინანსო სისტემის მიმართ.

საგადამხდელო სისტემების არაეფექტიანობამ და არასაიმედოდ ფუნქციონირებამ შესაძლოა გამოიწვიოს საგადახდო საბუთების დამუშავების დროის გაზრდა და მიმღების ანგარიშზე თანხების დაგვიანებით ჩარიცხვა. საგადამხდელო სისტემების მომხმარებელთათვის ეს და მსგავსი ნაკლოვანებები უარყოფით გავლენას ახდენენ ეკონომიკაზეც, ვინაიდან თუ ფულადი სახსრები დაყოვნებულია საგადამხდელო სისტემაში, შეუძლებელი ხდება მათი გამოყენება სხვა მიზნებისათვის. მეორე მხრივ, თუ ეკონომიკურ სუბიექტებს არ აქვთ მათთვის გადასახდელი თანხების ჩარიცხვის დროის ზუსტად განსაზღვრის საშუალება, გართულებულია საოპერაციო და სხვა სახის ხარჯების ეფექტიანად და ოპტიმალურად დაგეგმვა.

ისტორიულად, გასულ პერიოდებში, მრავალი წლის განმავლობაში საგადამხდელო სისტემების ფუნქციონირება, როგორც წესი, არ განეკუთვნებოდა ცენტრალური ბანკების ინტერესებისა და ზრუნვის საგანს. მას განიხილავდნენ, როგორც მექანიკურ საქმიანობას, სფეროდ, რომელიც არ საჭიროებდა საბანკო პოლიტიკის განსაკუთრებულ ყურადღებას. დღეისათვის მიდგომა შეიცვალა – ბოლო ათწლეულების განმავლობაში განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, მსოფლიოს საფინანსო ბაზრების აქტივობის ზრდასთან ერთად, საგრძნობლად გაიზარდა საბუთბრუნვა როგორც რაოდენობრივი, ისე თანხობრივი თვალსაზრისით, რამაც, თავის მხრივ, წარმოშვა მოთხოვნა თანამედროვე ტექნოლოგიურ მიღწევებზე დაფუძნებულ საგადამხდელო სისტემებზე. აღნიშნულმა შესაძლებელი გახადა სახსრების საგრძნობლად სწრაფად და უსაფრთხოდ გადაადგილება.

დღეისათვის საგადამხდელო სისტემების მუშაობა მჭიდროდ უკავშირდება ცენტრალური ბანკის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს – ფინანსური და ფულად-საკრედიტო სტაბილურობის უზრუნველყოფასა და ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევაში გარკვეული წვლილის შეტანას. ამ ამოცანების განხორციელება დამოკიდებულია საგადამხდელო სისტემების მუშაობაში ცენტრალური ბანკების სხვადასხვა როლზე, რაც გამოიხატება შემდეგი ძირითადი ფუნქციებით:

1. ცენტრალური ბანკი, როგორც საგადამხდელო სისტემის მომსახურების მიმწოდებელი. ცენტრალური ბანკების ეს ფუნქცია ითვალისწინებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი, როგორც საგადამხდელო სისტემის მიმწოდებლის (სისტემის ოპერატორის) მიერ შესაბამისი სერვისის მიწოდებას მონაწილეებისათვის, რაც გულისხმობს: საკანონმდებლო ნორმატიული დოკუმენტაციის, პროგრამულ-ტექნიკური, საკომუნიკაციო და სხვა საშუალებების მიწოდებას.

როგორც წესი, ცენტრალური ბანკის მფლობელობაში არის სისტემურად მნიშვნელოვანი ერთი საგადამხდელო სისტემა მაინც, რომლის მომსახურებით სარგებლობენ კომერციული ბანკები და ანგარიშსწორების სხვა მონაწილენი. საქართველოს ეროვნული ბანკის შემთხვევაში ასეთ სისტემის მაგალითს წარმოადგენს „რეალურ დროში ბანკთაშორისი ანგარიშსწორების სისტემა“ (RTGS).

2. ცენტრალური ბანკი, როგორც სახელმწიფო ინტერესების დამცველი. მოცემული ფუნქცია მნიშვნელოვნად ფართო ხასიათის მატარებელია და შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ასპექტებს: საგადამხდელო სისტემის „მარეგულირებლის“ ფუნქცია, სისტემის მონაწილეთა ზედამხედველობა, საგადამხდელო სისტემების დაგეგმარება და მართვა, არბიტრის ფუნქცია პრეტენზიების შემთხვევაში. ცენტრალურ ბანკს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს უფრო ფართო მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაშიც, მაგალითად, როგორიც არის კონკურენციის განვითარების ხელშეწყობა ან ტექნიკური სტანდარტების შემუშავება და განხორციელება.

3. ცენტრალური ბანკი, როგორც ყოველდღიური ანგარიშსწორების გარანტი. ცენტრალური ბანკის ეს ფუნქცია, კომერციული ბანკების საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებების დაზღვევის მიზნით, საგადამხდელო სისტემების სფეროში სახელმწიფო სახსრების ეფექტიანად გამოყენების პრაქტიკას წარმოადგენს.

4. ცენტრალური ბანკი, როგორც საგადამხდელო სისტემების მონაწილე. ცენტრალურ ბანკს, საგადამხდელო სისტემების სხვა მონაწილეების მსგავსად, შეუძლია შეასრულოს საანგარიშსწორებო ოპერაციები თავისი კლიენტების (ხაზინა, ბანკებისა და სხვა ორგანიზაციების) სახელით, ანუ როდესაც ეროვნული ბანკი თავისი კლიენტების სახელით ახორციელებს ანგარიშსწორების სისტემის მონაწილის ოპერაციებს.

5. ცენტრალური ბანკი, როგორც საგადამხდელო სისტემების მომხმარებელი. ცენტრალურმა ბანკმა უნდა განახორციელოს სახსრების გადარიცხვის საკუთარი ოპერაციები. ამ ფუნქციის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს, ოფიციალურ ღია ბაზარზე წარმოებულ ოპერაციებთან დაკავშირებული ანგარიშსწორების განხორციელება საგადამხდელო სისტემების საშუალებით (ანგარიშსწორება სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით, უცხოური ვალუტით და სხვა ოპერაციები).

გარდა ამისა, სხვა იურიდიული პირების მსგავსად, ცენტრალური ბანკი ვალდებულია ახორციელებს სხვა მიმდინარე ოპერაციებსაც (შიდა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული საანგარიშსწორებო საქმიანობა, ხელფასების გაცემა და სხვ.), რისთვისაც ასევე აუცილებელია საგადამხდელო სისტემების გამოყენება.

მიუხედავად იმისა, რომ საგადამხდელო სისტემებში ცენტრალური ბანკების მონაწილეობის ხარისხთან დაკავშირებით სხვადასხვაგვარი მიდგომა არსებობს, საბოლოო მიზანი მაინც იდენტურია – სისტემებისადმი წვდომის უზრუნველყოფა, რომელიც შესაძლებლობის ფარგლებში აკმაყოფილებს მომხმარებლის ყველა მოთხოვნას, მუშაობს მინიმალური რისკით და ყველა მონაწილე მხარისათვის მისაღებ დანახარჯებს მოითხოვს.

11.3. საგადამხდელო სისტემები

საგადამხდელო სისტემის ინფრასტრუქტურა და ტექნოლოგია ის კომპონენტებია, რომლებზედაც უშუალოდ არის დამოკიდებული გადახდების შესრულება, საიმედოობა და ანგარიშსწორების სისტემის უსაფრთხოება. ამასთან, საგადამხდელო სისტემაში გამოყენებული პროგრამულ-ტექნიკური საშუალებები უნდა უზრუნველყოფდეს სისტემის შეუფერხებლად მუშაობას.

საგადამხდელო სისტემების ინფრასტრუქტურა და ტექნოლოგია გათვლილი უნდა იყოს არა მხოლოდ გადახდების მიმდინარე მოცულობის დამუშავებაზე. მათ უნდა ჰქონდეთ დამუშავებისათვის სარეზერვო სიმძლავრეები სისტემების მაქსიმალური დატვირთვისა და მომავალში გადახდების მოცულობის მოსალოდნელი გაზრდის შემთხვევებისათვის.

საქართველოს საბანკო სფეროს საგადამხდელო სისტემების ინფრასტრუქტურა მოიცავს ორ დამოუკიდებელ სეგმენტს:

1. **საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ორგანიზებულ სისტემებს** მიეკუთვნებიან ის სისტემები, რომელთა საშუალებითაც ხდება კომერციულ ბანკებსა და სხვადასხვა სახელმწიფო უწყებას შორის ანგარიშსწორების ორგანიზება (მაგ., დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემა (RTGS), „ნეტ"-ანგარიშსწორების კლირინგის სისტემა, ფასიანი ქაღალდებით ანგარიშსწორებისა და სხვა სისტემები);
2. **კერძო საგადამხდელო სისტემები,** რომელთაც მიეკუთვნებიან კერძო (კომერციული) საგადამხდელო სისტემები. ესენია: კომერციული ბანკების შიდასაბანკო საგადამხდელო სისტემები, საანგარიშსწორებო-საკლირინგო საქმიანობაზე სპეციალიზებული საბანკო და არასაბანკო საკრედიტო დაწესებულებების, ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის, პლასტიკური ბარათებით საცალო გადახდებისა და სხვა კომპანიების საგადამხდელო სისტემები.

განვიხილოთ საგადახდო სისტემის ძირითადი სახეობები და მათთან დაკავშირებული თავისებურებები, ჯერ შევეხოთ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ორგანიზებულ, ხოლო შემდეგ – კერძო საგადამხდელო სისტემებს:

1. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ორგანიზებულ სისტემები

სანამ უშუალოდ ამ სისტემების დახასიათებაზე გადავალთ, მიმოვიხილოთ ის რთული გზა, რომელიც ქართულმა საბანკო სისტემა განვლო ამ მიმართულებით. ეროვნული ბანკის მხრიდან გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო 1994 წლის ოქტომბერში დამტკიცებული „საქართველოს რესპუბლიკის საბანკო სისტემაში ელექტრონული ანგარიშსწორების დროებითი დებულება". დოკუმენტის მიზანს წარმოადგენდა ბანკთაშორისი ურთიერთობების მოწესრიგება, ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ეფექტიანი რეგულირება და ოპტიმალური საანგარიშსწორებო მექანიზმის შექმნა, რაც ხელს შეუწყობდა ანგარიშსწორებაში მოქმედების ოპერატიულობასა და ფულადი ნაკადების გადანაცვლებას მინიმალური დანახარჯებით.

შემდეგ პერიოდში ეროვნული ბანკი აგრძელებდა მუშაობას ელექტრონული გადარიცხვების გაფართოებისა და ბანკთაშორის ანგარიშსწორებაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის, ასევე დროის რეალურ რეჟიმზე ანგარიშსწორების გადაყვანისათვის მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებისა და

საბანკო სისტემის მუშაკთა მიერ სათანადო ჩვევების გამომუშავების მიზნით შემდეგ წლებში გრძელდებოდა სამუშაოები პროცესის სრულყოფის მიმართულებით, ხებოდა როგორც ახალი ნორმატიული დოკუმენტების მიღება, ისე ცვლილებების შეტანა.

საბოლოოდ, პროცესი მიუახლოვდა ლოგიკურ მიზანს და დღეისათვის მოქმედებს მექანიზმი 2010 წლის ნოემბერში დამტკიცებული ორი ნორმატიული დოკუმენტით:

- „საგადახდო სისტემაში ელექტრონული საქმიანობის შესახებ დებულება";
- „საგადახდო და ფასიანი ქაღალდების სისტემაში (GPSS) ელექტრონული დოკუმენტისა და ციფრული ხელმოწერის გამოყენების შესახებ დებულება".

პირველი დოკუმენტის მიზანს წარმოადგენს საგადახდო სისტემის მონაწილე სუბიექტებს (სისტემის ოპერატორი, სისტემის მონაწილეები) შორის ურთიერთობის მოწესრიგებასა და მათი უფლებების დაცვა. რაც შეეხება მეორე დოკუმენტს, მისი მეშვეობით ჩამოყალიბდა საგადახდო და ფასიანი ქაღალდების სისტემა (GPSS), რომელიც აქამდე არსებული დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების (RTGS) სისტემასთან ერთად მოიცავს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების (CSD) სისტემასაც. დავახასიათოთ პირველი მათგანი.

დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემა *(RTGS – Real Time Gross Settlements)* — ესაა სხვადასხვა ქვეყნის ცენტრალური ბანკების მიერ შექმნილი საგადახდო სისტემა, რომელსაც ფლობს და მართავს კონკრეტული ქვეყნის ცენტრალური ბანკი (ჩვენს შემთხვევაში საქართველოს ეროვნული ბანკი) და მისი მეშვეობით უზრუნველყოფს ეროვნულ ვალუტაში გადარიცხვის დავალებების შესრულებას დროის რეალურ რეჟიმში.

თავისი შინაარსით დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემა (RTGS) ფულადი სახსრების მიმოქცევის ორგანიზაციული ფორმების, პროცედურების, ტექნოლოგიურ-ფუნქციური და პროგრამულ-ტექნიკური საშუალებების ერთიანი კომპლექსია.

სისტემის ძირითადი მიზანია, უზრუნველყოს გადახდებისა და ანგარიშსწორების ისეთი მექანიზმის შექმნა, რომლის მეშვეობითაც საოპერაციო საათების განმავლობაში უწყვეტად განხორციელდება მონაწილეების გადარიცხვის დავალებების როგორც დამუშავება, ასევე მონაწილეებს შორის ანგარიშსწორება. სისტემა უზრუნველყოფს იმას, რომ გადარიცხვის დავალების შესრულებამდე მოწმდება დებიტორი მონაწილის ანგარიშსწორების ანგარიშზე საკმარისი ხელმისაწვდომი თანხის არსებობა და დადებითი შედეგის შემთხვევაში ხორციელდება ანგარიშსწორება.

ქვეყნის ცენტრალური ბანკი ადმინისტრირებას უწევს RTGS ანგარიშსწორების სისტემას და იგი უზრუნველყოფს:

- სისტემაში მონაწილეთა დაშვებას;
- სისტემის საოპერაციო სტანდარტებისა და პროცედურების შემუშავებასა და დამტკიცებას;
- სისტემის წესებისა და პროცედურების დანერგვასა და განვითარებას.
- დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემის RTGS მონაწილეები არიან:
- საქართველოს ეროვნული ბანკი;
- ლიცენზირებული კომერციული ბანკები;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური.

RTGS სისტემაში თითოეული საგადამხდელო საბუთი მუშავდება ინდივიდუალურად და სახსრების გადაგზავნა თითოეული საგადამხდელო საბუთის საფუძველზე ხორციელდება რეალურ დროში (იხ. 4 ბანკს შორის ანგარიშსწორების მაგალითი, რომელიც წარმოებს ანგარიშსწორების ცენტრში (საქართველოს ეროვნული ბანკი) არსებული საკორესპონდენტო ანგარიშების მიხედვით (სქემა №11.1.).



სქემა №11.1. რეალური დროის რეჟიმში განხორციელებული ანგარიშსწორება 4 ბანკის მაგალითზე

წარმოდგენილ მაგალითში ფულის გადაგზავნა ხორციელდება ცალკეული საგადამხდელო საბუთების საფუძველზე: დადებეტდება გადამხდელის ბანკის ანგარიში და დაკრედიტდება მიმღების ბანკის ანგარიში. სულ მოცემულ შემთხვევაში, დღის განმავლობაში, ჯამური ფულადი ტრანზაქციები ხორციელდება 12 მიმართულებით, საერთო თანხით – 1080 ერთეული (1080 გადარიცხვა და, შესაბამისად – 1080 მიღება). ამასთან, ფულის გადაგზავნა წარმოებს საკორესპონდენტო ანგარიშებით, რომლებიც გახსნილია ანგარიშსწორების ცენტრში, ჩვენს შემთხვევაში – საქართველოს ეროვნულ ბანკში.

„ნეტ“ ანგარიშსწორების სისტემა (კლირინგი) არის ურთიერთობა, რომლის დროსაც ხდება კლირინგის მონაწილე ბანკების ვალდებულებათა ურთიერთჩათვლა. ამასთან, თითოეული მონაწილისათვის განისაზღვრება წმინდა პოზიცია (სხვაობა ყველა შემავალ და გამომავალ გადახდებს შორის), რის შესაბამისადაც ხორციელდება ფულის გაგზავნა. საგადამხდელო სისტემაში საცალო გადახდების ბაზრის განვითარებისა და ამ სფეროში მომსახურების ხარისხის ამაღლების თვალსაზრისით, ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლის მიზანია ბანკებისა და ორგანიზაციების საბრუნავი სახსრების შემცირება, ფულადი მასის მიმოქცევის დაჩქარება, ცენტრალური და კომერციული ბანკების მუშაობის ოპტიმიზაცია, ანგარიშსწორების მსვლელობის დროის შემცირება, თანამედროვე ინფორმაციული საბანკო სტრუქტურის შექმნა, სისტემის მონაწილეთა ხარჯების შემცირება და სხვ.

კლირინგი შეიძლება განხორციელდეს ორმხრივ და მრავალმხრივ საფუძველზე. **ორმხრივი კლირინგის** დროს ურთიერთჩათვლა ხორციელდება ორ ბანკს შორის, რომლის დროსაც ერთ-ერთი მონაწილე ფულს გადააგზავნის მეორის სასარგებლოდ, მისი სადებეტო წმინდა პოზიციის შესაბამისად. რა თქმა უნდა, ანგარიშსწორება ხორციელდება საანგარიშსწორებო ბანკში არსებული საკორესპონდენტო ანგარიშების მეშვეობით. ორმხრივი კლირინგის შედეგი ილუსტრირებულია სქემა №11.2-ზე, რომლის საფუძვლადაც აღებულია სქემა №11.1-ზე გამოსახული მაგალითი. ამ შემთხვევაში თითოეულ ბანკს აქვს ორი ცალკეული ორმხრივი წმინდა პოზიცია.



სქემა №11.2. ორმხრივი კლირინგის რეჟიმში განხორციელებული ანგარიშსწორება 4 ბანკის მაგალითზე

განვიხილოთ მაგალითი: A ბანკსა და C ბანკს შორის ორმხრივი კლირინგის განხორციელების შემდეგ C ბანკი ვალდებულია A ბანკს გადაუხადოს მხოლოდ 20 ერთეული, ნაცვლად ერთმანეთის მიმართ განსახორციელებელი 100 და 80 ერთეულის გადახდებისა, როგორც ეს სქემა №11.1-ზეა მოცემული და ა.შ. საინტერესო შემთხვევა ფიქსირდება A ბანკსა და D ბანკს შორის, როცა ტრანზაქცია არ განხორციელებულა არც ერთი მიმართულებით, ვინაიდან ორივე ბანკის მხრიდან დღიურმა ტრანზაქციების ჯამობრივმა მოცულობამ შეადგინა 90-90 პირობითი ერთეული და მოხდა მათი სრული ურთიერთჩათვლა (გაქვითვა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ მოცემულ შემთხვევაში, დღის განმავლობაში, ჯამური ფულადი ტრანზაქციები ხორციელდება 6 მიმართულებით, საერთო თანხით – 180 ერთეული (180 გადარიცხვა და, შესაბამისად – 180 მიღება).

მრავალმხრივი კლირინგის განხორციელების დროს ხდება ვალდებულებების ჩარიცხვა კლირინგის თითოეული მონაწილის მიერ სხვა დანარჩენი მონაწილეებისათვის. ამრიგად, კლირინგის თითოეული მონაწილისათვის არსებობს ერთი „წმინდა პოზიცია“, რომელიც გამომდინარეობს მის მიმართ ყველა ბანკის ვალდებულებებსა და მისი ყველა ბანკის მიმართ არსებულ ვალდებულებებს შორის სხვაობით.

ამ მეთოდის განსაკუთრებულობა ისაა, რომ ჯამური ტრანზაქცია მრავალმხრივი კლირინგის შედეგების მიხედვით ხორციელდება არა თითოეული ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშის, არამედ ერთიანი საკლირინგო ორგანიზაციის ანგარიშის მეშვეობით. იმ ბანკის ანგარიშებიდან, რომელთაც კლირინგის შედეგად გაუჩნდებათ „წმინდა სადებეტო პოზიცია“, ფულადი სახსრები გადაირიცხება საკლირინგო ორგანიზაციის ანგარიშზე, ხოლო საკლირინგო ორგანიზაციის ანგარიშიდან თანხები გადაირიცხება იმ ბანკების სასარგებლოდ, რომელთაც კლირინგის შედეგად გაუჩნდებათ „წმინდა საკრედიტო პოზიცია“.

გავაანალიზოთ მრავალმხრივი კლირინგის განხორციელების პროცესი უკვე განხილული მაგალითების მეშვეობით (სქემები №11.1. და №11.2.). თითოეული ბანკის წმინდა პოზიცია გამოითვლება, როგორც სხვაობა მოცემული ბანკის ყველა შემავალ (მიღებული) და ყველა გამომავალ (გაგზავნილი) გადახდის თანხებს შორის (სქემა №11.3.).



სქემა №11.3. მრავალმხრივი კლირინგის რეჟიმში განხორციელებული ანგარიშსწორება 4 ბანკის მაგალითზე

წარმოდგენილი მაგალითიდან ჩანს, რომ რეალური დროის რეჟიმისა და ორმხრივი კლირინგის რეჟიმის ანგარიშსწორების სისტემისგან განსხვავებით, ფულადი სახსრების გადაგზავნა მრავალმხრივი კლირინგის შედეგად ხორციელდება მხოლოდ 4-ჯერ, საერთო რაოდენობით – 120 ერთეული (120 – გადარიცხვა და 120 – მიღება):

- **A ბანკისათვის:** +60=40+20+0 (40 – B, 20 – C და 0 – D ბანკებიდან მიღებულები);
- **B ბანკისათვის:** -100=-40-20-40 (-40 – A, -20 – C და 0 – D ბანკებში გადარიცხვები);
- **C ბანკისათვის:** +60=-20+20+60 (20 – A ბანკში გადარიცხული, 60 – B და 20 D ბანკებიდან მიღებული);
- **D ბანკისათვის:** -20=0+40-60 (0 – A და 40 – B ბანკებიდან მიღებული და 60 – C ბანკში გადარიცხული).

აღნიშნულ გაანგარიშებას ახორციელებს საკლირინგო ცენტრი და ახდენს საბოლოო ანგარიშსწორებას „წმინდა პოზიციების" მიხედვით.

2. კერძო საგადამხდელო სისტემები

როგორც ზემოთ აღინიშნა, კერძო საგადამხდელო სისტემებს მიეკუთვნება კომერციული ბანკების შიდასაბანკო საგადამხდელო სისტემები, საანგარიშსწორებო-საკლირინგო საქმიანობაზე სპეციალიზებული საბანკო თუ არასაბანკო საკრედიტო დაწესებულებების, ფასიანი ქაღალდების ორგანიზებული ბაზრის, პლასტიკური ბარათებით საცალო გადახდებისა და სხვა კომპანიების საგადამხდელო სისტემები. განვიხილოთ მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ცნობილი სისტემები:

სვიფტის (SWIFT) სისტემა, ანუ მსოფლიოს ბანკთაშორისი ფინანსური ტელეკომუნიკაციების საზოგადოება ***(Society for World-Wide Interbank Financial telecommunications)*** – არის ფინანსური სატელეკომუნიკაციო სფეროში წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაცია. SWIFT-ის სისტემის ფუნქციონირების ძირითადი მიმართულებებია: სწრაფი, უსაფრთხო, ეფექტიანი, კონფიდენციალური და არასანქცირებული წვდომისაგან დაცული მომსახურების გაწევა საბანკო ინსტიტუტებისათვის და ფინანსური ინფორმაციის გაცვლის პროცესში სტანდარტიზებული ფორმებისა და მეთოდების გამოყენება. SWIFT ინფორმაციის გადაცემისა და გადარიცხვის შესრულების საერთაშორისო ბანკთაშორისი სისტემაა, რომლის მეშვეობითაც საფინანსო ორგანიზაციები დაცულად და სწრაფად ახორციელებენ საქმიან ოპერაციებს.

1973 წელს 15 ქვეყნის 239 ბანკმა, ბელგიის კანონმდებლობის გათვალისწინებით, შექმნა საერთაშორისო ბანკთაშორისი ფინანსური ტელეკომუნიკაციების საზოგადოება SWIFT-ის სისტემა. 4 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ტექნიკური და ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა და 1977 წლის 9 მაისს შედგა სისტემის ოფიციალური გახსნა 586 წევრი ბანკით. დღეისათვის SWIFT-ის სისტემის შემადგენლობაში შედის დაახლოებით 10 ათასი საბანკო დაწესებულება, ფასიანი ქაღალდების ინსტიტუტი და კორპორაციული კლიენტი მსოფლიოს 200-ზე მეტი ქვეყნიდან. ყველა მათგანს, გეოგრაფიული მდებარეობის მიუხედავად, აქვს ნებისმიერ დროს, დღე-ღამისა და მთელი წლის განმავლობაში ერთმანეთთან შეუზღუდავი ურთიერთობის საშუალება.

ეროვნული ბანკი

SWIFT – ესაა სააქციო საზოგადოება, რომლის მფლობელები არიან სისტემის წევრი ბანკები. სათავო ოფისი მდებარეობს ბელგიაში, ქალაქ ლა-ულპში, ხოლო ორი ძირითადი საანგარიშსწორებო ცენტრი განთავსებულია ჰოლანდიასა (ემსახურება აღმოსავლეთ ნახევარსფეროს) და აშშ-ში (ემსახურება დასავლეთ ნახევარსფეროს). მართვის უმაღლესი ორგანო არის წევრი ბანკების წარმომადგენლების საერთო შეკრება – გენერალური ასამბლეა. დირექტორთა საბჭოში მთავარი ადგილი უჭირავთ დასავლეთ ევროპისა და აშშ-ის ბანკების წარმომადგენლებს. აქციების რაოდენობა გადანაწილებულია გადაცემული შეტყობინებების მოცულობის პროპორციულად, ამიტომაც აქციების უდიდესი ნაწილის მფლობელები არიან აშშ-ის, გერმანიის, შვეიცარიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის წევრი ბანკები.

SWIFT-ის წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ბანკი, რომელსაც ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, უფლება აქვს განახორციელოს საერთაშორისო საბანკო ოპერაციები. ბანკ-წევრებთან ერთად, SWIFT-ის ქსელის შემადგენლობაში ასევე შედიან კიდევ ორი კატეგორიის მომხმარებლები – ასოცირებული წევრები და მონაწილეები. ასოცირებული წევრები არ არიან აქციონერები და, შესაბამისად, არ გააჩნიათ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლება. SWIFT-ის სახელწოდებაში სიტყვა „ბანკთაშორისი" პირობითად იქცა, ვინაიდან 1987 წლიდან იგი ღია გახდა ისეთი არასაბანკო დაწესებულებებისათვისაც, როგორებიცაა: საინვესტიციო კომპანიები, დეპოზიტური და კლირინგული ორგანიზაციები, მსოფლიოში აღიარებული ბირჟები, სატრასტო სამსახურები, სამგზავრო ჩეკების ემიტენტი კომპანიები, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები და სხვ.

SWIFT-ის სისტემა საშუალებას იძლევა, მომხმარებლებმა ავტომატიზებული და სტანდარტიზებული გახადონ თავიანთი ფინანსური ტრანზაქციები, რის შედეგადაც მცირდება ოპერაციებთან დაკავშირებული დანახარჯები, საოპერაციო რისკები და ჩნდება ახალი ბიზნესშესაძლებლობების განვითარებისა და შემოსავლის მიღების გზები.

SWIFT-ის სისტემაში საქართველოს კომერციული ბანკების ჩართვა ჯერ კიდევ 1995 წლიდან დაიწყო. 1997 წელს საერთაშორისო ორგანიზაციების ტექნიკური დახმარებებით შესაძლებელი გახდა საქართველოს ეროვნული ბანკისა და 16 კომერციული ბანკის ჩართვა SWIFT-ში ცენტრალიზებული სისტემით, რომელიც შემდეგ წლებში შეიცვალა დეცენტრალიზებული სისტემით და ყველა ქართულ კომერციულ ბანკს მიეცა SWIFT-ის ქსელში ჩართვის შესაძლებლობა.

ანგარიშსწორების სისტემები პლასტიკური ბარათებით ოპერაციებისათვის და საპროცესინგო ცენტრები. პლასტიკური ბარათები – ესაა საერთაშორისო ტერმინი, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ტიპის ბარათს. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც დანიშნულების, ასევე ტექნიკური მახასიათებლების, მომსახურების სახეობისა და სხვა პარამეტრების მიხედვით. საბანკო პლასტიკური ბარათი საგადამხდელო ინსტრუმენტია, რომელიც წარმოადგენს საანგარიშსწორებო საშუალებას საქონლის ან მიღებული მომსახურების საფასურის გადასახდელად, ნაღდი ფულის მისაღებად, ვალუტის გადასაცვლელად და სხვა ოპერაციების განსახორციელებლად. უნაღდო ანგარიშსწორების ორგანიზება პლასტიკური ბარათების საშუალებით მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ცალკეული ბანკებისათვის ან ცალკეული კლიენტებისათვის, არამედ მთლიანად ქვეყნის ეკონომიკისათვის, რადგანაც მათ

გამოყენებას მივყავართ ფულადი სახსრების ბრუნვის სიჩქარის ამაღლებამდე, ფულადი სახსრების ოპერატიულ მართვამდე, ანგარიშებისა და ხარისხის კონტროლის სრულყოფამდე.

პლასტიკური ბარათებით ოპერაციებისას ანგარიშსწორების მონაწილეთა შორის ინფორმაციის დამუშავებასა და გადაცემას ახორციელებენ ე. წ. „საპროცესინგო ცენტრები". მათი საქმიანობა მოიცავს საბანკო ბარათებით წარმოებული ოპერაციების შესახებ ინფორმაციის მიღებას (შეგროვებას), დამუშავებასა და ანგარიშსწორების ყველა მონაწილისათვის შესაბამისი მონაცემების გადაცემას. აქ მუშავდება ყველა მიღებული ფაილი, ხარისხდება ოპერაციები და ფორმდება ტრანზაქციათა ელექტრონული ჟურნალები, რომლებიც წარმოადგენენ დოკუმენტს, რის საფუძველზეც ხდება ოპერაციები. ბანკი ემიტენტი ელექტრონული ჟურნალის საფუძველზე ახდენს კლიენტის საბარათო ანგარიშის დებეტირებას.

ანგარიშსწორების სისტემაში ოპერაციების დიდი მოცულობის დროს ქვეყანაში იქმნება რამდენიმე პროცესინგული ცენტრი, რათა განიტვირთოს ცენტრალური პროცესინგული ცენტრი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ბანკისათვის, რა თქმა უნდა, უმჯობესია შექმნას საკუთარი პროცესინგული ცენტრი, რაც იმას ნიშნავს, რომ მას შეუძლია დაამუშაოს ოპერაციები და ანგარიშსწორების ცენტრით მოემსახუროს სხვა ბანკებს, რომლებიც მუშაობენ აღნიშნულ ანგარიშსწორების სისტემაში.

დღეისათვის საქართველოში მოქმედებს სხვადასხვა კომერციული ბანკის მიერ დაფუძნებული 4 საპროცესინგო ცენტრი, რომლებიც ემსახურებიან საქართველოში პლასტიკური ბარათებით ოპერაციებს.

რაც შეეხება პლასტიკური ბარათების საგადამხდელო სისტემებს, ესაა მეთოდების, პროცედურებისა და მათი განმახორციელებელი სუბიექტების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფენ პლასტიკური ბარათების გამოყენებას, სტანდარტებისა და რეგულაციების მოთხოვნების გათვალისწინებით.

დღეისათვის საქართველოს მიმოქცევაში არსებული პლასტიკური ბარათების დაახლოებით 76% Visa International-ის ტიპის საერთაშორისო ანგარიშსწორების სისტემის ბარათებია, დაახლოებით 12% – MasterCard-ის ტიპის, ხოლო დარჩენილი 12% – სხვა ტიპის ბარათებზე მოდის, რომელთა შორის უმთავრესი American Express-ის ბარათებია.

სისტემა „ბანკი-კლიენტი" – ესაა მრავალფუნქციური დისტანციური საბანკო მომსახურების პროგრამულ-ტექნიკური კომპლექსი, რომლის ორგანიზატორი და მფლობელია კონკრეტული კომერციული ბანკი. „ბანკი-კლიენტის" სისტემა კლიენტის მიერ გამოიყენება საანგარიშსწორებო ოპერაციების საწარმოებლად უშუალოდ მისი ოფისიდან ან ნებისმიერი სხვა ადგილიდან ბანკში არსებული საკუთარი ანგარიშების მეშვეობით და მათ შესახებ ინფორმაციის მისაღებად.

„ბანკი-კლიენტი" სისტემა თავდაპირველად განკუთვნილი იყო იურიდიული პირებისათვის. მან ჩაუყარა საფუძველი უკვე ფართოდ გავრცელებულ **დისტანციურ საბანკო მომსახურებას,** რომელშიც მასთან ერთად შედის ინტერნეტ-ბანკინგი, home-ბანკინგი, ტელეფონ-ბანკინგი, SMS-ბანკინგი, GSM-ბანკინგი, TV-ბანკინგი და სხვ. დღეს დისტანციური საბანკო მომსახურება აქტიურად გამოიყენება როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირების მიერ.

სწრაფი ფულადი გზავნილების სისტემები მთელ მსოფლიოში, მათ შორის, საქართველოში ფართოდაა გავრცელებული. ისინი ჩვეულებრივი გადარიცხვების სისტემებიდან იმით განსხვავდებიან, რომ მათი მოსარგებლეები არიან ფიზიკური პირები, მომსახურების სრული ციკლი გრძელდება რამდენიმე (15-30) წუთს და ამ სისტემების სარგებლობისას ფიზიკურ პირს არ ესაჭიროება ანგარიშის გახსნა კომერციულ ბანკში.

როგორც განვლილი მასალიდან გვახსოვს, საქართველოში აღნიშნული სერვისის მიწოდება შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემდეგ, კომერციული ბანკების გარდა, შეუძლიათ „ფულადი გადარიცხვების განმახორციელებელ პირებსაც“, რომელთა საქმიანობა რეგულირდება ორგანული კანონით „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, „ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირის რეგისტრაციისა და რეგულირების“ წესით და სხვა ნორმატიული აქტებით. საქართველოს კანონმდებლობით, ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირი – ესაა ფიზიკური ან იურიდიული პირი (გარდა კომერციული ბანკისა, საკრედიტო კავშირისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა), რომელიც სხვადასხვა სისტემის მეშვეობით ახორციელებს ფიზიკური პირების ფულადი გზავნილებით მომსახურებას. დღეისათვის საქართველოში ფუნქციონირებს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული 40-ზე მეტი ფულადი გადარიცხვების განმახორციელებელი პირი.

2013 წლის მონაცემებით, აღნიშნული სისტემებით საქართველოში ჩამორიცხულია 1.5 მლრდ აშშ დოლარამდე, ხოლო გადარიცხულია 155 მლნ აშშ დოლარი. იმავე პერიოდში საქართველოში მოქმედ საერთაშორისო სისტემებს შორის Zolotaia Korona-ზე მოდის ბაზრის 25%, Western Union-ზე – 15%, Unistream-სა და Intel Express-ზე – 12-12%, Contact-ზე – 8%, Money Gram-ზე – 7%, Anelik-ზე – 6%. დანარჩენი 15% სხვა სისტემებზეა განაწილებული.

ამ საერთაშორისო სისტემების გარდა, საქართველოში მოქმედებს ანალოგიური სისტემები, რომლებიც ახორციელებენ სალარე გადარიცხვებს ქვეყნის შიგნით. ასეთი სისტემები აქვს რამდენიმე ქართულ კომერციულ ბანკს. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში ტექნოლოგიურმა განვითარებამ, განსაკუთრებით – საბარათე ბიზნესის მიმართულებით, სწრაფი ფულადი გზავნილების სისტემების მნიშვნელობა ქვეყნის შიგნით სულ უფრო შეამცირა.

თითქმის ყველა ქვეყანას, საკუთარ ვალუტასთან ერთად, აქვს გადახდებისა და ანგარიშსწორების საკუთარი სისტემებიც. ამასთან, მუდმივად ხდება ამ სისტემების სრულყოფა და განვითარება. მოკლედ დავახასიათოთ მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში ყველაზე გავრცელებული სისტემები:

აშშ-ში ცნობილი ძირითადი ელექტრონული საგადამხდელო სისტემები:

1. „ფედვაიერი“ (***Fedwire***), რომელიც არის აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის ბანკთაშორისი ანგარიშსწორების სისტემა და თავისი არსით წარმოადგენს „რეალურ დროში ანგარიშსწორების სისტემას“ (RTGS), ანუ ანგარიშსწორება ხორციელდება მომენტალურად და რეალურ დროში („ონლაინ“ რეჟიმში) აისახება შესაბამის ანგარიშებზე;
2. „ჩიპსი“ (***CHIPS – Clearing House Interbank Payments System***) წარმოადგენს საკლირინგო სისტემას და იმართება ნიუ-იორკის საკლირინგო სახლის მიერ. „ფედვაიერისაგან“ განსხვავებით, „ჩიპსით“ ანგარიშსწორებისას ხორციელდება არა თითოეული ტრანზაქციის მიხედვით, არამედ ჯამური მოცულობით სამუშაო დღის ბოლოს, სისტემის თითოეული

მონაწილის წმინდა სადებეტო ან საკრედიტო პოზიციის შესაბამისად. ამის შემდეგ საბოლოო ანგარიშსწორება წმინდა პოზიციების მიხედვით ხდება უკვე „ფედვაიერის“ სისტემის მიერ.

ამ ორი სისტემით ხორციელდება აშშ-ის შიდა ბანკთაშორისი ანგარიშსწორებების აბსოლუტური უმრავლესობა.

ცნობილია ასევე ისეთი საგადამხდელო სისტემები, როგორებიცაა: CHAPS (***Clearing House Association Payments System***) დიდ ბრიტანეთში, SIC (Swiss Interbank Clearing) – შვეიცარიის საკლირინგო სისტემა და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ევროში გადარიცხვების სისტემა TARGET (***Trans-European Automated Real-time Grosssettlement Express Transfer***), რომელიც წარმოადგენს RTGS საკლირინგო სისტემას. თავისი სტრუქტურით TARGET არის დეცენტრალიზებული საგადამხდელო სისტემა, რომელიც შედგება ნაციონალური RTGS სისტემებისა და ევროპის ცენტრალური ბანკის საგადამხდელო მექანიზმისაგან. საინტერესოა, რომ TARGET სისტემის ტექნიკურ პლატფორმად გამოყენებულია SWIFT. დღეს უკვე მოქმედებს TARGET-ის მოდიფიცირებული სისტემა TARGET2.

11.4. ბანკთაშორისი ანგარიშსწორება

ბანკთაშორისი ანგარიშსწორება და მისი მეშვეობით განხორციელებული გადახდები წარმოადგენენ ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკისა და მისი საბანკო სისტემის საფუძველს, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია მათი ფუნქციონირება.

ბანკთაშორისი ანგარიშსწორება ხორციელდება **საკორესპონდენტო ურთიერთობების** მეშვეობით და წარმოადგენს ბანკებს შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ურთიერთობას ანგარიშსწორებისა და გადახდების განხორციელების შესახებ, რომლებიც წარმოებს ერთ-ერთი მათგანის მიერ მეორეს სახსრებით და დავალებით.

როცა კომერციული ბანკის კლიენტი ახდენს რაიმე ვალდებულების შესრულებას, ანუ კონტრაგენტისათვის ფულის გადახდას, მას აქვს ორი ალტერნატივა: გამოიტანოს თავისი ანგარიშიდან ნაღდი ფული და გადაუხადოს მას ან გადარიცხოს მის ანგარიშზე. რა თქმა უნდა, გადარიცხვის ოპერაცია ბევრად სწრაფი, უსაფრთხო და კომფორტულია და ბანკის მომსახურებაში მყოფი კლიენტების აბსოლუტური უმრავლესობა ასეც იქცევა. საქმე ისაა, რომ გადარიცხვის დროსაც შეიძლება დაფიქსირდეს ორი შემთხვევა:

1. სახსრების გადამრიცხავი და მისი კონტრაგენტი (ბენეფიციარი, ანუ სახსრების მიმღები) არიან ერთი და იმავე ბანკის კლიენტები;
2. სახსრების გადამრიცხავი და ბენეფიციარი არიან ორი სხვადასხვა ბანკის კლიენტები.

პირველ შემთხვევაში საქმე მარტივადაა და დავალების მიმღები ბანკი ერთი ანგარიშიდან მეორე ანგარიშზე ტრანზაქციის განხორციელებით ასრულებს ოპერაციას, ანუ ჩამოაჭრის პირველ კლიენტს ანგარიშიდან თანხას და ჩაურიცხავს მეორეს.

როგორ უნდა მოიქცეს ბანკი, რომელიც მიიღებს თავისი კლიენტის დავალებას სახსრების გადარიცხვის შესახებ და აღმოჩნდება, რომ ბენეფიციარს ანგარიში აქვს სხვა ბანკში? სწორედ ასეთი შემთხვევები წარმოშობს საკორესპონდენტო ურთიერთობების აუცილებლობას და ასეთ დროსაც ბანკი ასრულებს ოპერაციას სხვა ბანკში გახსნილი თავისი საკორესპონდენტო ანგარიშების მეშვეობით, თუმცა აქაც ორ შემთხვევასთან გვაქვს საქმე:

1. დავალების მიმღებ ბანკს (ბანკი A) გახსნილი აქვს საკორესპონდენტო ანგარიში ბენეფიციარის ბანკში (ბანკი B);
2. დავალების მიმღებ ბანკს (ბანკი A) არ გააჩნია საკორესპონდენტო ანგარიში ბენეფიციარის ბანკში (მეტად რთულია, ბანკს ჰქონდეს საკორესპონდენტო ანგარიში მსოფლიოში არსებულ ყველა ბანკში).

პირველ შემთხვევაში კომერციული ბანკი A ჩამოაჭრის დავალების მიმღებს ანგარიშიდან გადასარიცხ თანხას და ქმნის ახალ დავალებას იმავე თანხაზე თავის კორესპონდენტი ბანკისადმი (ბანკი B), რომ მან, თავის მხრივ, ჩამოაჭრას მისი, ანუ ბანკ A-ს საკორესპონდენტო ანგარიშიდან შესაბამისი თანხა და ჩარიცხოს იგი ბენეფიციარის ანგარიშზე ამავე ბანკში (ბანკი B).

მეორე შემთხვევაში, როცა კლიენტი მოიტანს დავალებას და აღმოჩნება, რომ ბანკ A-ს არ გააჩნია საკორესპონდენტო ანგარიში ბენეფიციარის ბანკში (ბანკი X), იგი უარს არ ეუბნება კლიენტს ამ მიზეზით მომსახურების გაწევაზე, არამედ ეძებს გამოსავალს თავისი საკორესპონდენტო ანგარიშების საშუალებით. კერძოდ, იგი მიმართავს თავის მოკორესპონდენტო ბანკებს და აუცილებლად „იპოვის“ ბანკ X-ს მათი მეშვეობით. ამ პროცესში დამხმარედ SWIFT-ის სისტემა გვევლინება. ქვეყნის შიგნით ანგარიშსწორებისას ასეთ „შუამავალ“ ბანკად უმეტესად გვევლინება ცენტრალური ბანკი, სადაც კანონმდებლობით ყველა კომერციულ ბანკს უნდა ჰქონდეს საკორესპონდენტო ანგარიში.

ქვეყნის ფარგლებს გარეთ ანგარიშსწორების დროსაც თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ გაადვილა ეს საქმე და ბენეფიციარის ბანკის მიგნება მარტივად ხდება ბანკებს შორის არსებული საკორესპონდენტო ქსელის მეშვეობით. ასეთი საკორესპონდენტო ქსელების საკვანძო რგოლებს წარმოადგენს უდიდესი მსოფლიო ბანკები, რომელთანაც თითქმის ყველა, მათ შორის, ქართულ ბანკს, აქვს საკორესპონდენტო ურთიერთობები. ეს ბანკებია: CITIBANK, Deutsche Bank, JPMorgan Chase Bank და სხვ.

როგორც წესი, პატარა და საშუალო ზომის ბანკები საკორესპონდენტო ანგარიშებს ხსნიან ზემოაღნიშნულის მსგავს დიდ ბანკებში. მსოფლიო საბანკო გიგანტები მეტად დაინტერესებულნი არიან, მცირე და საშუალო ბანკებმა მათთან გახსნან საკორესპონდენტო ანგარიშები და კონკურენციას უწევენ ერთმანეთს ამ მიმართულებით. მათი დაინტერესება, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია იმ სახსრებით (დეპოზიტებით), რომლებიც ინახება საკორესპონდენტო ანგარიშებზე.

საკორესპონდენტო ანგარიში – ესაა ანგარიში, რომელსაც ერთი ბანკი ხსნის მეორეში და რომელიც გამოიყენება ბანკებს შორის ანგარიშსწორებისათვის. როგორც წესი, ქვეყნის კანონმდებლობით, ცენტრალურ ბანკში საკორესპონდენტო ანგარიშის გახსნა სავალდებულოა კონკრეტულ ქვეყანაში მოქმედი ყველა კომერციული ბანკისათვის. გარდა ამისა, კომერციული ბანკები უფლებამოსილი არიან საკორესპონდენტო ურთიერთობები დაამყარონ იმდენ ბანკთან, რამდენსაც საჭიროდ თვლიან, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, საანგარიშსწორებო ოპერაციების საწარმოებლად საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებული ყველა კომერციული ბანკი საბანკო ლიცენზიის მიღების შემდეგ სავალდებულო წესით ხსნის ერთ საკორესპონდენტო ანგარიშს ეროვნულ ბანკში. ბანკის ფილიალის საკორესპონდენტო ანგარიშის გახსნა ეროვნულ ბანკში აკრძალულია და მათ საკორესპონდენტო ანგარიში ესხნებათ მხოლოდ სათავო ბანკში. საკორესპონდენტო ურთიერთობების დამყარებისას მხარეებს შორის იდება ხელშეკრულებები, რომლებიც განსაზღვრავს საანგარიშსწორებო მომსახურების, ოპერაციების განხორციელების, საბუთების გაცვლის, მომსახურების ანაზღაურების წესებს, უფლებებსა და ვალდებულებებს. დაუშვებელია ერთსა და იმავე ბანკში ერთსა და იმავე ვალუტაში ერთზე მეტი საკორესპონდენტო ანგარიშის გახსნა.

როგორც ვხვდებით, კომერციულ ბანკს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე ბანკში გახსნილი საკორესპონდენტო ანგარიში და ასევე მასთან შეიძლება რამდენიმე ბანკს ჰქონდეს საკორესპონდენტო ანგარიშები, ანუ გვაქვს ორი შემთხვევა:

- ანგარიშის განმკარგველი ბანკის (ბანკი A), ანუ ბანკი-რესპონდენტის, მიმდინარე ანგარიშს ბანკ-კორესპონდენტში (ბანკი B) ეწოდება **ნოსტრო ანგარიში** და ასახულია პირველი მათგანის (ბანკი A) აქტივებში, შესაბამისად – მეორე მათგანის (ბანკი B) პასივებში;
- ბანკ რესპონდენტში (ბანკი A) ბანკ-კორესპონდენტის მიერ (ბანკი B) გახსნილ მიმდინარე ანგარიშს ეწოდება **ლორო ანგარიში** და ასახულია პირველი მათგანის (ბანკი A) პასივებში, შესაბამისად – მეორე მათგანის (ბანკი B) აქტივებში.

სხვა კუთხით თუ მივუდგებით, **ბანკი-კორესპონდენტი** – ესაა ბანკი, რომელიც უხსნის საკორესპონდენტო ანგარიშს (პასიურ ლორო ანგარიშს) სხვა ბანკს (ბანკი-რესპონდენტი), ხოლო **ბანკი-რესპონდენტი** – ესაა ბანკი, რომელმაც გახსნა საკორესპონდენტო ანგარიში (აქტიური ნოსტრო ანგარიში) სხვა ბანკში და არის ამ ანგარიშის განმკარგველი.

თვალსაჩინოებისათვის: საქართველოს ეროვნულ ბანკში ქართული ბანკების მიერ გახსნილი საკორესპონდენტო ანგარიშები აღირიცხება თითოეული ბანკის აქტივში და წარმოადგენს ნოსტრო, აქტიურ ანგარიშებს, მაშინ, როცა საქართველოს ეროვნული ბანკისათვის ყველა ეს ანგრიში არის ლორო, პასიური ანგარიში. საქართველოს ეროვნული ბანკი ამ შემთხვევაში არის ბანკი-კორესპონდენტი, ხოლო კომერციული ბანკები – ბანკი-რესპონდენტები.

რთული არაა იმის გაგება, რომ საკორესპონდენტო ანგარიში წარმოადგენს მიმდინარე ანგარიშს და ის თავისი არსით ასრულებს იმავე ფუნქციებს, რასაც კომპანიებისა თუ ფიზიკური პირების ანგარიშსწორების (მიმდინარე) ანგარიში, ოღონდ ბანკის საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით. აღნიშნული სპეციფიკა კი ისაა, რომ ბანკი იყენებს ისეთ საკორესპონდენტო ანგარიშებს როგორც საკუთარი, ისე კლიენტების ოპერაციების წარმოებისათვის, რომლებიც დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევიან. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ყოველ ბანკს აქვს რამდენიმე საკორესპონდენტო ანგარიში, თითოეული მათგანი გამოიყენება სხვადასხვა მიმართულებით.

საკორესპონდენტო ურთიერთობების მომსახურებისათვის თითოეულ კომერციულ ბანკში შექმნილია შესაბამისი სამსახურები, რომლებიც გამოირჩევიან უსაფრთხოების მაღალი ხარისხით და დასაქმებული თანამშრომლების სათანადო კვალიფიკაციით.

11.5. ანგარიშის გახსნის წესი საქართველოს კომერციულ ბანკებში

2009 წლამდე საქართველოში ანგარიშების გახსნასთან დაკავშირებით რამდენიმე ნორმატიული დოკუმენტი არსებობდა. ცალ-ცალკე რეგულირდებოდა რეზიდენტებისა და არარეზიდენტების, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ანგარიშების გახსნა უცხოურ და ეროვნულ ვალუტაში.

2009 წლის თებერვალში მოხდა ყველა ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტის გაუქმება და დამტკიცდა ერთიანი „ინსტრუქცია საქართველოს საბანკო დაწესებულებაში ანგარიშების გახსნის შესახებ", რომელიც მოგვიანებით, 2011 წლის 7 აპრილს, ჩანაცვლდა ახალი ინსტრუქციით „საბანკო დაწესებულებებში ანგარიშების გახსნის და უცხოურ ვალუტაში ოპერაციების წარმოების შესახებ". მოქმედი დოკუმენტი არეგულირებს საქართველოს ბანკების მიერ თავიანთი კლიენტებისათვის ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში საბანკო ანგარიშის გახსნის, სახეობების, დანიშნულებისა და ასევე უცხოურ ვალუტაში საბანკო ოპერაციების წარმოების წესს.

ინსტრუქციის მიზნებისათვის განმარტებულია გამოყენებული ტერმინები და ცნებები, რომელთაგან შევეხოთ ჩვენთვის საინტერესო რამდენიმე მათგანს:

- **საბანკო ანგარიში (ანგარიში)** – ბანკში პირის ფულადი სახსრების აღრიცხვის უნიკალური საშუალება;
- **პირი** – როგორც რეზიდენტი, ისე არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირი, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც არ წარმოადგენს იურიდიულ პირს (არარეგისტრირებული კავშირი, ამხანაგობა, ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა);
- **რეზიდენტი** – რეზიდენტი ფიზიკური პირი და რეზიდენტი იურიდიული პირი (საქართველოს საწარმო ან საქართველოს ორგანიზაცია);
- **არარეზიდენტი** – პირი, რომელიც არ არის რეზიდენტი საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად;
- **ერთვალუტიანი საბანკო ანგარიში** – ანგარიში, რომელზეც აღრიცხულია ფულადი სახსრები ერთ კონკრეტულ ვალუტაში;
- **მულტისავალუტო საბანკო ანგარიში** – ანგარიში, რომელზეც აღრიცხულია ფულადი სახსრები რამდენიმე ვალუტაში ცალ-ცალკე და რომელიც რაოდენობრივად წარმოადგენს ერთ ანგარიშს;
- **მეწარმე ფიზიკური პირი** – ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად;
- **არამეწარმე ფიზიკური პირი** – ფიზიკური პირი, მათ შორის, გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირი, რომელიც არ არის მეწარმე ფიზიკური პირი;
- **შიდასაბანკო ანგარიში** – ანგარიში, რომელიც არ არის კლიენტის საბანკო ანგარიში;
- **სადეპოზიტო (საანაბრო) ანგარიში** – ანგარიში, რომელზეც აღირიცხება პირის მოთხოვნამდე ან გადახდის წინასწარ შეთანხმებული ვადით განთავსებული ფულადი სახსრები. ამ ინსტრუქციის შესაბამისად, დეპოზიტად არ მიიჩნევა შიდასაბანკო ანგარიშებზე ბანკის მიერ გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავსებული საბანკო გარანტიისა და აკრედიტივის უზრუნველყოფის თანხები, გაცემული გარანტიისა და გახსნილი აკრედიტივის ფარგლებში, ასევე გაცემული სესხის უზრუნველყოფის მიზნით დაჯავშნილი თანხები, ათვისებული ოდენობის ფარგლებში;

- **დეპოზიტი (ანაბარი)** – სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებული ფულადი სახსრები, რომელზეც საკუთრების უფლებას იძენს კომერციული ბანკი. სადეპოზიტო ანგარიშზე თანხების შეტანა და გატანა შესაძლებელია მხოლოდ იმავე კლიენტის მიმდინარე ანგარიშის ან მოთხოვნამდე დეპოზიტის ანგარიშის მეშვეობით, გარდა სადეპოზიტო სერტიფიკატის შემთხვევისა. ბანკი ვალდებულია დეპოზიტის გატანისას იმავე ვალუტაში დააბრუნოს დეპოზიტის (ანაბრის) თანხა. დეპოზიტის (ანაბრის) სახეობებია:
- **ვადიანი დეპოზიტი (ანაბარი)** – სადეპოზიტო (საანაბრო) ანგარიშზე წინასწარ განსაზღვრული ვადით განთავსებული ფულადი სახსრები, რომლებსაც ბანკი არიცხავს პროცენტს და რომელთა გატანა შესაძლებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში. თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია კლიენტის მიერ თანხის ვადაზე ადრე გატანის შესაძლებლობა, ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს საპროცენტო სარგებლის დარიცხვასთან დაკავშირებულ პირობებს;
- **მოთხოვნამდე დეპოზიტი (ანაბარი)** – სადეპოზიტო (საანაბრო) ანგარიშზე განთავსებული ფულადი სახსრები, რომლებსაც ბანკი არიცხავს პროცენტს და მასზე თანხის განთავსება და გატანა შესაძლებელია ნებისმიერ დროს ბანკის წინასწარი შეტყობინების გარეშე;
- **მიმდინარე ანგარიში** – საბანკო ანგარიში, რომელზეც აღირიცხება პირის ფულადი სახსრები და რომელსაც განკარგავს კლიენტი გადახდების განსახორციელებლად ან სხვა მიზნით. აღნიშნული ტიპის ანგარიში მოიცავს საბარათე ანგარიშებსაც და ბინათმესაკუთრეთა მიერ გახსნილ საანგარიშგებო ანგარიშებსაც;
- **საკორესპონდენტო ანგარიში** – ანგარიში, რომელსაც ერთი ბანკი ხსნის მეორეში და რომელიც გამოიყენება ბანკებს შორის ანგარიშსწორებისათვის;
- **საკასო მომსახურების ანგარიში** – ბანკის, ბანკის ფილიალის, განყოფილების (სერვისცენტრის) ანგარიში ეროვნულ ბანკში და/ან სხვა კომერციულ ბანკში (მის ფილიალში), რომელიც გამოიყენება მხოლოდ ნაღდი ფულის შეტანისა და გატანის ოპერაციების, სათავო ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშიდან ჩარიცხვის ოპერაციების, ასევე ამ ანგარიშზე არსებული თანხების სათავო ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე გადარიცხვის მიზნებისათვის;
- **ნომინალური მფლობელობის ერთობლივი ანგარიში** – ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალი პირის ან ნოტარიუსის ანგარიში, რომელიც გამოიყენება კანონმდებლობის და ხელშეკრულების/სანოტარო აქტის საფუძველზე განსაზღვრული, მისი კლიენტის (კლიენტების) ან/და რეგისტრირებული მესაკუთრის (მესაკუთრეების) ნომინალურ მფლობელობაში გადაცემული ფულადი სახსრების ერთობლივად აღსარიცხავად;
- **ნომინალური მფლობელობის სეგრეგირებული ანგარიში** – ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალი პირის ან ნოტარიუსის ანგარიში, რო-

მელიც გამოიყენება კანონმდებლობის და ხელშეკრულების/საბოლოო აქტის საფუძველზე განსაზღვრული, მისი ერთი კლიენტის ან/და ერთი რეგისტრირებული მესაკუთრის ნომინალურ მფლობელობაში გადაცემული ფულადი სახსრების აღსარიცხავად.

ქართული კანონმდებლობით არსებობს კლიენტის შემდეგი საბანკო ანგარიშების ტიპები:

1. მიმდინარე ანგარიში;
2. სადეპოზიტო (საანაბრო) ანგარიში;
3. საკორესპონდენტო ანგარიში;
4. საკასო მომსახურების ანგარიში;
5. ნომინალური მფლობელობის ანგარიში.

მათგან როგორც რეზიდენტი, ისე არარეზიდენტი პირები (გარდა კომერციული ბანკებისა) ხსნიან პირველი ორი ტიპის ანგარიშს: მიმდინარე ანგარიშებსა და სადეპოზიტო (საანაბრო) ანგარიშებს, რომლებიც, თავის მხრივ, შედგება ვადიანი დეპოზიტისა (ანაბარი) და მოთხოვნამდე დეპოზიტისაგან (ანაბარი). მნიშვნელოვანია ასევე ის, რომ ამ ანგარიშების განკარგვა შეუძლია ერთზე მეტ პირს (ერთობლივი ანგარიში). პირის ანგარიშის გახსნა შეიძლება განხორციელდეს მინდობილობის საფუძველზეც.

რაც შეეხება მესამე და მეოთხე ტიპის ანგარიშებს (საკორესპონდენტო ანგარიში და საკასო მომსახურების ანგარიში), ისინი ეხსნებათ მხოლოდ კომერციულ ბანკებს, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- საკორესპონდენტო ანგარიშები სათავო ბანკებს გაეხსნებათ საქართველოს ეროვნულ ბანკსა და სხვა კომერციულ ბანკში;
- საკორესპონდენტო ანგარიშები გაეხსნებათ აგრეთვე არარეზიდენტი ბანკების ფილიალებს;
- რეზიდენტი კომერციული ბანკის ფილიალებს ეკრძალებათ ერთმანეთში გახსნან საკორესპონდენტო ანგარიშები;
- დაუშვებელია ერთსა და იმავე ბანკში ერთზე მეტი საკორესპონდენტო ანგარიშის გახსნა ერთსა და იმავე ვალუტაში;
- კომერციულ ბანკს, მის ფილიალს, განყოფილებას (სერვისცენტრს) საკასო მომსახურებისათვის ეროვნულ ბანკში, კომერციულ ბანკში ან მის ფილიალში გაეხსნებათ ერთი საკასო მომსახურების ანგარიში თითოეულ ვალუტაში;
- საკასო მომსახურების ანგარიშზე შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ ნაღდი ფულის შეტანისა და გატანის ოპერაციები, სათავო ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშიდან ჩარიცხვის ოპერაციები, ასევე ამ ანგარიშზე არსებული თანხების გადარიცხვა სათავო ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე.

კანონმდებლობით განსაზღვრულია ანგარიშის გახსნისათვის საჭირო საბუთების ჩამონათვალი სხვადასხვა სამართლებრივი სტატუსის პირისათვის (იურიდიული პირი, მეწარმე და არამეწარმე ფიზიკური პირი, ორგანიზაციული წარმონაქმნი, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება – პარტია, საბიუჯეტო ორგანიზაცია და სხვ). დოკუმენტების პაკეტი, რომელიც წარედგინება ანგარიშის გახსნისას, განსხვავებულია სხვადასხვა სამართლებრივი სტატუსის პირისათვის, მაგრამ, როგორც წესი, თითოეული მათგანის შემთხვევაში მოიცავს: განცხადებას ანგარიშის გახსნის შესახებ, ამონაწერს რეესტრიდან, ანგარიშის

გახსნასა და განკარგვაზე უფლებამოსილი პირის (პირების) პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს, ხელმოწერის ნიმუშებს და სხვ.

საბანკო დაწესებულებაში პირის ანგარიშის დახურვა ხორციელდება დადგენილი წესით და მოიცავს შემდეგ შემთხვევებს:

- ანგარიშის მფლობელის განცხადება;
- ფილიალის შემთხვევაში – მისი სათავო საწარმოს (ორგანიზაციის) განცხადება;
- პირის ლიკვიდაციის პროცესის დასრულება;
- დადგენილი წესით პირის გაკოტრებულად ცნობა;
- კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

საკონტროლო კითხვები:

1. რა არის უნაღდო ანგარიშსწორების არსი და მნიშვნელობა?
2. როგორ ვლინდება ნაღდი და უნაღდო ფულის მიმოქცევის ერთიანობა?
3. რა უპირატესობებით ხასიათდება უნაღდო ფულის მიმოქცევა ნაღდთან შედარებით?
4. რა არის უნაღდო ანგარიშსწორების სისტემა და რას წარმოადგენს ანგარიშსწორებათა ორგანიზების პრინციპები?
5. რას ნიშნავს „საგადამხდელო სისტემა“ და რომელია მისი სამი ძირითადი კომპონენტი?
6. რა შეიძლება ითქვას ცენტრალური ბანკების როლზე საგადამხდელო სისტემების მუშაობაში?
7. რომელ ძირითად სეგმენტებს მოიცავს საქართველოს საბანკო სფეროს საგადამხდელო სისტემების ინფრასტრუქტურა?
8. როგორ დაახასიათებდით დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემას (RTGS)?
9. რას გულისხმობს „ნეტ“ ანგარიშსწორების სისტემის (კლირინგი) არსი?
10. როგორ დაახასიათებდით ორმხრივ და მრავალმხრივ კლირინგს?
11. რა იცით „სვიფტის“ (SWIFT) სისტემის შესახებ?
12. როგორია პლასტიკური ბარათებით ოპერაციებისათვის ანგარიშსწორების სისტემებისა და საპროცესინგო ცენტრების როლი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. რა შეიძლება ითქვას სისტემა „ბანკი-კლიენტისა“ და დისტანციური საბანკო მომსახურების შესახებ?
14. რა თავისებურებებით ხასიათდება სწრაფი ფულადი გზავნილების სისტემები?
15. რა არის ბანკთაშორისი საკორესპონდენტო ურთიერთობების მექანიზმის არსი?
16. რა შეიძლება ითქვას ნოსტრო და ლორო ანგარიშების შესახებ?
17. რას ნიშნავს „ბანკი-კორესპონდენტი“ და „ბანკი-რესპონდენტი“?
18. კლიენტის რომელი საბანკო ანგარიშების ტიპები არსებობს ქართული კანონმდებლობით?
19. ვისთვის არის განკუთვნილი საკორესპონდენტო და საკასო მომსახურების ანგარიშები და რა პირობებია გასათვალისწინებელი მათი გახსნისას?
20. საბანკო დაწესებულებაში პირის ანგარიშის დახურვის რომელ შემთხვევებს ითვალისწინებს დადგენილი წესი?

თავი 12

უნაღდო ანგარიშსწორების ფორმები

შინაარსი:

12.1. საგადახდო საბუთების სახეობები, მათი გაფორმება და გამოყენება საქართველოში;
12.2. ანგარიშსწორება საგადახდო და საინკასო დავალებებით;
12.3. დოკუმენტური ოპერაციები (აკრედიტივი და ინკასო);
12.4. ანგარიშსწორება ჩეკებით;
12.5. უნაღდო ანგარიშსწორება ფიზიკური პირის მიერ.

ძირითადი ელემენტები:

1. საქართველოში გამოიყენებული უნაღდო ანგარიშსწორების საბუთები;
2. საგადახდო საბუთების გაფორმების ზოგადი წესები;
3. ანგარიშსწორება საგადახდო დავალებებით;
4. ანგარიშსწორება საინკასო დავალებებით;
5. ანგარიშსწორება დოკუმენტური აკრედიტივით;
6. ანგარიშსწორება დოკუმენტური ინკასოთი;
7. სამგზავრო ჩეკები;
8. საბანკო (საანგარიშსწორებო) ჩეკები;
9. უნაღდო ანგარიშსწორება ფიზიკური პირის მიერ.

გამოყენებული სქემები, ნახატები და ცხრილები:

ნახ. №12.1. საგადახდო დავალების ბლანკის ტიპური ნიმუში;
ნახ. №12.2. საინკასო დავალების ბლანკის ტიპური ნიმუში;
სქემა №12.1. დოკუმენტური აკრედიტივის ანგარიშსწორება;
სქემა №12.2. ანგარიშსწორება დოკუმენტური ინკასოს გამოყენებით.

12.1. საგადახდო საბუთების სახეობები, მათი გაფორმება და გამოყენება საქართველოში

საგადახდო საბუთების კანონით დაშვებული სახეობები, მათი გაფორმებისა და გამოყენების წესი საქართველოში რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოში უნაღდო ანგარიშსწორების წესებით".

ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების ფარგლებში სახსრების ჩამოწერა ხორციელდება უაქცეპტოდ, სათანადო წესით შედგენილი საგადახდო საბუთების საფუძველზე. აღნიშნული საგადახდო საბუთების სახეობებსა და მათი შედგენის (გაფორმების) წესს ქვემოთ განვიხილავთ. კლიენტის ანგარიშიდან ფულადი სახსრების ჩამოწერა ხორციელდება ანგარიშის მფლობელის მიერ განსაზღვრული რიგითობით, გარდა ბიუჯეტში და მასთან გათანაბრებული გადასახდელებისა. კლიენტსა და ბანკს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად ან კლიენტის წერილობითი განცხადების საფუძველზე, ბანკს უფლება აქვს ანგარიშსწორება აწარმოოს გეგმური გადახდებით, ანუ წინასწარ შეთანხმებულ ანგარიშებზე და ვადებში.

საქართველოში უნაღდო ანგარიშსწორებისას გამოიყენება შემდეგი საბუთები:

1. საგადახდო დავალება;
2. საინკასო დავალება;
3. დოკუმენტალური აკრედიტივი;
4. დოკუმენტალური ინკასო;
5. საბანკო პლასტიკური ბარათი;
6. საანგარიშსწორებო ჩეკი.

აღნიშნული საბუთები, თავიანთი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ცალკე პარაგრაფებად იქნება განხილული. მანამდე კი დავახასიათოთ მათი შევსების ზოგადი წესი. საგადახდო საბუთების გაფორმების წესი კანონმდებლობითაა დადგენილი, კერძოდ, განსაზღვრულია ის რეკვიზიტები, რომელთა შეტანა (შესაბამისი ველის შევსება) აუცილებელია. ეს რეკვიზიტებია:

1. **საგადახდო საბუთის დასახელება** – უნდა მიეთითოს, რომელი საგადახდო საბუთია წარმოდგენილი: საგადახდო დავალება, საინკასაო დავალება და ა.შ.
2. **საგადახდო საბუთის ნომერი** – ანგარიშის მფლობელი ახდენს მის მიერ ბანკში წარმოდგენილი საგადახდო საბუთების გადანომვრას, რომელიც მიეთითება ციფრებით (მაგალითად, საგადახდო დავალება №97).
3. **საგადახდო საბუთის შევსების (გამოწერის) თარიღი (20—— წლის „——" ——————————)** – მიეთითება საგადახდო საბუთის შედგენის თარიღი, სადაც დღე იწერება ციფრებით, თვე – სიტყვით, წელი – ციფრებით. ელექტრონული საბუთის შედგენისას თარიღის ჩაწერა შეიძლება შემდეგი სახითაც – (დდ.თთ.წწ.).
4. **გადამხდელის დასახელება,** რომლის შევსებისას გვაქვს სამი შესაძლო ვარიანტი:
   - იურიდიული პირის შემთხვევაში – მისი სრული დასახელება (სასურველია, სამართლებრივი ფორმის ჩათვლით) და მისი საიდენტიფიკაციო ნომერი;

- ფიზიკური პირის შემთხვევაში – მისი სახელი და გვარი, შესაძლებელია ასევე მიეთითოს ფიზიკური პირის პირადი ნომერი;
- უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში – სახელი და გვარი, შესაძლებელია ასევე მიეთითოს უცხო ქვეყნის მოქალაქის პასპორტის ნომერი და ქვეყნის დასახელება.

5. **გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი** – მიეთითება საბიუჯეტო ვალდებულებების დაფარვისას როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირის შემთხვევაში.
6. **ანგარიში (დებეტი)** – ანუ გადამხდელის ანგარიში ბანკში, საიდანაც მოხდება გადარიცხვა. ფიზიკური პირის შემთხვევაში დასაშვებია სხვა ანგარიშის (მაგ., სატრანზიტო და სხვ.) მითითება.
7. **გადამხდელის ბანკი** – მიეთითება გადამხდელი ბანკის დასახელება, სადაც მას გახსნილი აქვს ანგარიში.
8. **ბანკის კოდი** – იმ ბანკის ან ბანკის ფილიალის კოდი, სადაც გახნილი აქვს ანგარიში გადამხდელს და საიდანაც ხდება გადარიცხვა.
9. **გადასახადის გადამხდელის დასახელება** – ამ ველის შევსებისას გვაქვს ორი შესაძლო ვარიანტი:
   - სახსრების გადამხდელი იურიდიული პირის სრული დასახელება ან ფიზიკური პირის სახელი და გვარი, თუ გადამხდელი ახდენს თავისი საბიუჯეტო ვალდებულების დაფარვას: ზემოაღნიშნული ველის „გადამხდელის დასახელების“ იდენტურად;
   - იმ პირის სრული დასახელება ან ფიზიკური პირის სახელი და გვარი, ვის მაგივრადაც ბიუჯეტში ხდება გადახდა.
10. **მიმღების დასახელება** – მიეთითება სახსრების მიმღები იურიდიული პირის სრული დასახელება (სასურველია ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ჩათვლით) ან ფიზიკური პირის სახელი და გვარი. საგულისხმოა, რომ მიმღები იურიდიული პირის დასახელების შემოკლება დასაშვებია, თუ ეს არ გამოიწვევს დასახელების შინაარსობრივ ცვლილებას და არ გაართულებს ბანკისა და კლიენტის მუშაობას.
11. **ანგარიში (კრედიტი)** – სახსრების მიმღები პირის ანგარიში ბანკში ან ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდი ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისათვის გადარიცხვების შემთხვევაში.
12. **მიმღების ბანკი** – ამ ველში მიეთითება სახსრების მიმღების ბანკის დასახელება.
13. **ბანკის კოდი** – იმ ბანკის ან ბანკის ფილიალის კოდი, სადაც გახნილი აქვს ანგარიში თანხის მიმღებს.
14. **გადახდის დანიშნულება** – მიეთითება ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია აღნიშნულ გადახდასთან. ეს შეიძლება იყოს საქონლის, შესრულებული სამუშაოების, გაწეული მომსახურების დასახელება, სასაქონლო საბუთების, ხელშეკრულებების (კონტრაქტების) ნომრები, თარიღები და სხვ.
15. **დამატებითი ინფორმაცია** – აღნიშნული სარეზერვო ველი განკუთვნილია დამატებითი ტექსტური ინფორმაციისათვის, რომლის შეტანაც გადამხდელი მიზანშეწონილად თვლის.
16. **თანხა** – მიეთითება გადასახდელი თანხა ციფრებით.
17. **თანხა სიტყვით** – სიტყვიერად (ტექსტობრივად) მიეთითება გადასახდელი თანხა. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ მიტყვა „ლარის“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მითითება სავალდებულოა, ხოლო „თეთრების“ მნიშვნელობა შეიძლება მითითება ციფრებით. თუ თანხა გამოსახულია მხოლოდ ლარებით (თეთრების გარეშე), მაშინ თეთრების მითითება სავალდებულო არ არის. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი: თანხის სიტყვიერად შევსება ხდება სტრიქონის დასაწყისიდან, რათა არ დარჩეს ადგილი რაიმეს ჩასამატებლად.

18. **კლიენტის ხელმოწერა** – ქაღალდის საგადახდო საბუთს ხელს უნდა აწერდეს პირი ან პირები, რომლებსაც ეს უფლება მინიჭებული აქვთ კანონმდებლობით დადგენილი წესით და საგადახდო საბუთებზე ხელმოწერის მათი უფლება დასტურდება მომსახურე ბანკში წარდგენილი ხელმოწერის ნიმუშის ბარათით. რაც შეეხება ელექტრონულ საგადახდო საბუთს, მას ხელს აწერს პირი ან პირები, რომლებიც საგადახდო სისტემაში რეგისტრირებული არიან ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერის მფლობელებად (სისტემის ორგანიზატორის მიერ დადგენილი წესით.
19. **ბ.ა.** – გადამხდელის ბეჭდის ადგილი. გადამხდელი ბანკში წარდგენილ საგადახდო საბუთს ბეჭედს იმ შემთხვევაში დაარტყამს, თუ მას მომსახურე ბანკისათვის ხელმოწერის ნიმუშის ბარათით წარდგენილი აქვს თავისი ბეჭდის ტვიფრის ანაბეჭდი, ასეთის არარსებობის შემთხვევაში, ბეჭდის დარტყმა სავალდებულო არა არის.
20. **ბანკის აღნიშვნები** – ავსებს ბანკის პასუხისმგებელი შემსრულებელი.
21. **ბანკში შემოსვლის თარიღი** – გადამხდელის მიერ საგადახდო საბუთის ბანკში წარდგენის თარიღი. ავსებს ბანკის პასუხისმგებელი შემსრულებელი შემდეგი ფორმატით (დდ.თთ.წწ.).
22. **ხელმოწერა** – ბანკის პასუხისმგებელი შემსრულებლის ხელმოწერა.
23. **შტამპის ადგილი** – ბანკის პასუხისმგებელი შემსრულებლის მიერ საბუთის გაფორმების მართებულობის შემოწმებისა და შესასრულებლად მიღების ან საბუთის გამოუთხოვადობის დამადასტურებელი შტამპი. ბანკის პასუხისმგებელი შემსრულებელი საბუთის გაფორმების მართებულობის შემოწმების და შესასრულებლად მიღების ფაქტს ადასტურებს შტამპით „მიღებულია“, ხოლო თუ საბუთი გამოუთხოვადია – შტამპით „განაღდებულია“.

კლიენტების მიერ წარმოდგენილი საგადახდო საბუთების საფუძველზე, ბანკები უნაღდო ოპერაციებს აწარმოებენ ელექტრონული ან ქაღალდის საგადახდო საბუთების საფუძველზე. ამასთან, კლიენტსა და მის მომსახურე ბანკს შორის შეთანხმების თანახმად, დასაშვებია საგადახდო საბუთის ფაქსით მიღებაც და ამ შემთხვევაში არასანქცირებული გადახდებისაგან დაცვის მოქმედებებს განსაზღვრავს ბანკი.

ქაღალდის საგადახდო საბუთებით ანგარიშსწორებისას ბანკი შესასრულებლად იღებს ხელმოწერის უფლების მქონე პირების (ან ერთი პირის) მიერ ხელმოწერილ და ბეჭდით დადასტურებულ საგადახდო საბუთებს (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში). საბუთზე ხელმოწერები (ხელმოწერა) უნდა შეესაბამებოდეს ხელმოწერის ნიმუშის ბარათში მოცემულ ხელმოწერებს (ხელმოწერას).

საგადახდო საბუთს ავსებს კლიენტი (გადამხდელი) ან ბანკი. საგადახდო საბუთის შინაარსისა და რეკვიზიტების მართებულობისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება კლიენტს. ბანკის მიერ კლიენტის თხოვნით შევსებულ საგადახდო საბუთს კლიენტი ხელს მოაწერს შესაბამის ველში და ამით ადასტურებს, რომ

ეროვნული ბანკი

საანგარიშსწორებო საბუთის ადეკვატურობისათვის კლიენტმა თვითონ აიღოს პასუხისმგებლობა.

საგადახდო საბუთები შესასრულებლად მიიღება დღის განმავლობაში, ბანკის მიერ კლიენტებთან მუშაობის დადგენილ საათებში. საოპერაციო დღის განმავლობაში კლიენტებისგან მიღებული საგადახდო საბუთების შესრულება ეროვნულ ვალუტაში ხდება იმავე სამუშაო დღეს, დაუყოვნებლივ, თუ გადამხდელი და მიმღები პირი ერთი ბანკის კლიენტები არიან.

საგადახდო საბუთები (გარდა საინკასო დავალებისა) შესასრულებლად მიიღება მხოლოდ ანგარიშზე საკმარისი სახსრების არსებობის შემთხვევაში. ამ დროს ისინი შესასრულებლად მიიღება მათში აღნიშნული თანხის ოდენობის მიუხედავად, ანუ თანხის მაქსიმალური ზღვარი არ არსებობს. რაც შეეხება საინკასო დავალებისა და ბიუჯეტში გადასახდელების წარდგენას ბანკში, ამ შემთხვევაში საგადახდო საბუთები შესასრულებლად მიიღება ანგარიშზე საკმარისი სახსრების არსებობის მიუხედავად.

უნაღდო ანგარიშსწორების მოქმედი წესების მოთხოვნების დარღვევით გაფორმებულ საგადახდო დავალებებს ბანკი შესასრულებლად არ მიიღებს. ამასთან, არამართებულად გაფორმებული საგადახდო საბუთის არმიღებას ბანკის მხრიდან წერილობითი განმარტება არ სჭირდება.

ბანკის პასუხისმგებელი შემსრულებელი შესასრულებლად მიღებული საგადახდო საბუთების გაფორმების მართებულობის შემოწმების შემდეგ „ბანკის აღნიშვნების“ ველში მიუთითებს საგადახდო საბუთის ბანკში შემოსვლის თარიღს, დაუსვამს შტამპს, აწერს ხელს და საბუთის ასლს გადასცემს კლიენტს. კლიენტს უფლება აქვს გააუქმოს ბანკისათვის მიცემული დავალება, სანამ რეალურად არ მომხდარა მისი საბანკო ანგარიშებიდან ფულადი სახსრების გადარიცხვა.

საგადახდო საბუთების ბლანკების დამზადება ხდება კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით. დასაშვებია შევსებული საგადახდო საბუთების დედნის გამრავლება ბანკისათვის ან ანგარიშსწორებაში მონაწილე მხარეებისათვის საჭირო რაოდენობით, იმ პირობით, თუ ასლის გადაღება წარიმართება ხარვეზების გარეშე. საგადახდო საბუთების ბლანკის ფორმები მოცემული იქნება შესაბამისი საგადახდო დოკუმენტების განხილვისას. საგადახდო საბუთების ბლანკების ზომებიდან გადახვევები დასაშვებია ველების შენარჩუნების პირობით.

საგადახდო საბუთების შევსება ხდება ქართულ ენაზე (გამონაკლის შემთხვევაში დასაშვებია საგადახდო დავალების ინგლისურ ენაზე შევსება). მნიშვნელოვანია, რომ საგადახდო საბუთების ბლანკების მეორე მხარე არ გამოიყენება და დაუშვებელია ქაღალდის საგადახდო საბუთებში შეუსაბამობა თანხის ციფრობრივ და სიტყვიერ მაჩვენებლებს შორის, აგრეთვე – შეცდომები, შესწორებები, ჩამატებები, ამოშლები, მაკორექტირებელი სითხეების გამოყენება და სხვ.

დაუშვებელია ასევე საგადახდო საბუთების შევსებისას რეკვიზიტების ტექსტური და ციფრული მნიშვნელობების გატანა მათთვის განკუთვნილი ველების საზღვრებს გარეთ. რეკვიზიტების მნიშვნელობები უნდა იკითხებოდეს თავისუფლად. ხელმოწერა (ხელმოწერები) და შტამპი (ან ბეჭედი) საანგარიშსწორებო საბუთებში უნდა განთავსდეს მათთვის განკუთვნილ ველებში. საგადახდო საბუთებზე შტამპის (ან ბეჭდის) დასმის შემთხვევაში ტვიფრი უნდა იყოს მკაფიო.

12.2. ანგარიშსწორება საგადახდო და საინკასო დავალებებით

როგორც წინა პარაგრაფიდან გვახსოვს, საქართველოში უნაღდო ანგარიშსწორებისას გამოყენებულ საბუთებში პირველ ნომრად მოხსენიებულია **საგადახდო დავალება**, რომელიც წარმოადგენს ანგარიშის მფლობელის (გადამხდელის) მიერ საგადახდო საბუთის სახით გაფორმებული განკარგულებას მისი მომსახურე ბანკისათვის, სახსრების მიმღების ამავე ან სხვა ბანკში გახსნილ ანგარიშზე ფულადი სახსრების გადარიცხვის შესახებ. თვალსაჩინოებისათვის ნახ. №12.1-ზე მოცემულია საგადახდო დავალების ტიპური ნიმუში. რა თქმა უნდა, საგადახდო დავალების დიზაინი ბანკების მიხედვით განსხვავებულია, მაგრამ მათ აერთიანებს ის ინფორმაცია (სავალდებულო რეკვიზიტები), რომელიც მათზეა დატანილი და რომლის ჩამონათვალი და შევსების წესი ასევე წინა პარაგრაფში განვიხილეთ.



საგადახდო დავალება N __

თარიღი __ / _____ / 20___

რეფერენსი _____

თაწხა

თაწხა სიტყვებით

გადამხდელი _____

გადამხდელის ანგარიში

გადამხდელის ბანკი _____ ბანკის კოდი

საბიუჯეტო გადახდა – ინფორმაცია გადასახადის გადამხდელზე

დასახელება _____

საიდენტიფიკაციო კოდი _____

მიმღები _____

მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი

მიმღების ბანკი/ხაზინა _____ ბანკის კოდი

გადახდის დანიშნულება

დამატებითი ინფორმაცია _____

ხელმოწერები: ბ. ა.

ბანკის აღნიშვნები

შესრულების თარიღი

___ / _____ / 20 ___

ბანკში შემოსვლის თარიღი

___ / _____ / 20 ___

ხელმოწერა

შტამპის ადგილი

ნახ. №12.1. საგადახდო დავალების ტიპური ნიმუში

საგადახდო დავალება ბანკში შეიძლება წარდგენილ იქნეს ორი გზით: ქაღალდით და ელექტრონულად:

ბანკში საგადახდო დავალების ქაღალდით წარდგენისას იგი ძალაშია მათი გამოწერიდან ათი კალენდარული დღის განმავლობაში (გამოწერის დღის ჩაუთვლელად). საგადახდო დავალებები შესასრულებლად მიიღება მხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდ კლიენტის ანგარიშზე საკმარისი სახსრების არსებობის შემთხვევაში გარდა ბიუჯეტისა და მასთან გათანაბრებულ გადასახდელებზე წარდგენილი საგადახდო დავალებებისა, რომლებიც მიიღება კლიენტის ანგარიშზე თანხების არსებობის მიუხედავად და აღირიცხება ვადაზე გაუნაღდებელი საბუთების კარტოთეკაში. **ვადაში გაუნაღდებელი საგადასახადო საბუთების კარტოთეკა** – ესაა სახსრების უკმარისობის გამო, განსაკუთრებულ აღრიცხვაზე მყოფი გაუნაღდებელი საგადახდო საბუთების ერთობლიობა. საგადახდო დავალების კარტოთეკაში მოთავსების შემთხვევაში საგადახდო დავალების ყველა ეგზემპლარის ზედა მარჯვენა კუთხეში კეთდება შენიშვნა კარტოთეკაში მოთავსების შესახებ, თარიღის ჩვენებით.

საგადახდო დავალების შევსებისას ველები, რომელთა რეკვიზიტებსაც მნიშვნელობები არ გააჩნითა, რჩება შეუვსებელი (მაგალითად, არასაბიუჯეტო ანგარიშებზე გადარიცხვის ამსახველი ველები).

კლიენტის მიერ ზემოაღნიშნული წესების დაცვით შედგენილი ქაღალდის საგადახდო დავალება ბანკს წარედგინება ერთ ეგზემპლარად, რომელიც წარმოადგენს დედანს. საგადახდო დავალების კლიენტისადმი დასაბრუნებელი მეორე ეგზემპლარი (ან ნებისმიერი სხვა რაოდენობა, რომელსაც ბანკი განსაზღვრავს დამოუკიდებლად და აისახება ოპერაციების წარმოების შესახებ ბანკის მიერ გაცხადებულ პირობებში) არის მისი ასლი (გადაღებული ასლგადამღები ტექნიკით, სკანერით და ა.შ. – თუ ასლის გადაღება შესრულებულია ხარვეზების გარეშე). საგადახდო დავალების დედანი რჩება ბანკში და წარმოადგენს ოპერაციის შესრულების საფუძველს, ხოლო ბანკის პასუხისმგებელი მუშაკის ხელმოწერით და შტამპით დამოწმებული ასლი, სავალდებულო წესით, უბრუნდება კლიენტს. ბიუჯეტში გადასახდელებზე წარდგენილ საგადახდო დავალებებზე ხელმოწერა დასაშვებია განხორციელდეს მექანიკური საშუალებების გამოყენებით – ფაქსიმილიით.

კლიენტის მიერ ბანკში წარდგენილი საგადახდო დავალების ნაწილობრივი შესრულების პირობის მითითება დაუშვებელია, იგი უნდა შესრულდეს სრულად.

ბანკში საგადახდო დავალების ელექტრონული შეტყობინებების სახით წარდგენა ხდება საგადახდო საბუთების ელექტრონულად გაცვლის შესახებ ელექტრონული სისტემების, პროგრამულ-კრიპტოგრაფიული დაცვებისა და ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერების გამოყენების თაობაზე ბანკსა და კლიენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. აღნიშნული ოპერაციების განხორციელების აპრობირებულ მექანიზმს წარმოადგენს ჩვენთვის ცნობილი სისტემა „ბანკი-კლიენტი“. საგადახდო დავალების ელექტრონული შეტყობინებების სახით წარდგენისას ბანკს ქაღალდის საგადახდო დავალება არ წარედგინება.

ბანკთაშორისი ანგარიშსწორების სისტემისათვის გადასაცემი ელექტრონული საგადახდო საბუთი უნდა შეიცავდეს ყველა რეკვიზიტს, რაც გათვალისწინებულია ქაღალდით წარდგენისას, გარდა იმ რეკვიზიტებისა, რომელთა გადატანაც ელექტრონულ ფორმატში შეუძლებელია – ბეჭედი, შტამპი, ხელმოწერა. ამასთან, იგი უნდა შეიცავდეს დამატებით რეკვიზიტებს – საბუთის უნიკალურ კოდს (რეფერენსს) და ელექტრონულ-ციფრულ ხელმოწერას.

იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მიერ თავის მომსახურე ბანკში გადაცემული საგადახდო დავალება შეცდომითაა მიწოდებული, კლიენტი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში შეატყობინოს ბანკს აღმოჩენილი შეცდომის შესახებ. კლიენტმა შეტყობინებაში უნდა ასახოს საგადახდო დავა-

ლების რეკვიზიტები და მის მიერ გამოვლენილი არასწორი რეკვიზიტები. თუ ბანკს არ წარედგინა ასეთი შეტყობინება, არასწორი რეკვიზიტებით გადაცემული საგადახდო დავალება ჩაითვლება შესრულებისათვის მიღებულად და ბანკი პასუხს არ აგებს მისი შესრულების შედეგად დამდგარ ფაქტზე.

იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მიერ შეცდომით გადაცემული საგადახდო დავალების გამო მომსახურე ბანკმა განიცადა ზარალი, კლიენტი პასუხისმგებელია ბანკისათვის მიყენებული ფაქტობრივი ზარალისათვის.

რაც შეეხება **საინკასო დავალებას** – ესაა საქართველოს კანონმდებლობით შესაბამისი უფლებებით აღჭურვილი მესამე მხარის მიერ ბანკისათვის დადგენილი ფორმით მიცემული დავალება, გადამხდელის ანგარიშიდან მისი თანხმობის გარეშე ფულადი სახსრების უპირობო ჩამოწერაზე. აღნიშნულ მესამე მხარეს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი, სააღსრულებო ბიუროები, კერძო აღმასრულებელი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, შემოსავლების სამსახური. ნახ. №12.2-ზე მოცემულია საინკასო დავალების ტიპური ნიმუში.

საინკასო დავალება (გაწკარგულება) N ___

თარიღი __ / _____ / 20___

გადამხდელის დასახელება _____

გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი _____

გადამხდელის ბანკი _____ ბანკის კოდი

ანგარიში (დებეტი)

ანგარიში (დებეტი)

ანგარიში (დებეტი)

ანგარიში (დებეტი)

ანგარიში (დებეტი)

ანგარიში (დებეტი)

ანგარიში (დებეტი)

ანგარიში (დებეტი)

ანგარიში (დებეტი)

ანგარიში (დებეტი)

თანხა

თანხა სიტყვებით

_____

_____

_____

_____

ბაწკის აღწიშვნები

შესრულების თარიღი

___ / _____ / 20 ___

ბანკში შემოსვლის თარიღი

___ / _____ / 20 ___

ხელმოწერა

_____

შტამპის ადგილი

მიმღების დასახელება _____

მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი (კრედიტი _____

მიმღების ბანკი/ხაზინა _____ ბანკის კოდი

გადახდის დანიშნულება _____

_____

(ნორმატიული აქტის ნომერი, თარიღი და პუნქტი, რომლითაც ვარდნილის სახსრების უდავო წესით ჩამოწერა)

დამატებითი ინფორმაცია _____

_____

_____

ხელმოწერები:

ბეჭდის ადგილი

ნახ. №12.2. საინკასო დავალების ტიპური ნიმუში

აუცილებელია, უდავო წესით სახსრების ჩამოწერის შესახებ საინკასო დავალების შესაბამის ველში მიეთითოს იმ ნორმატიული აქტის სახელწოდება და მუხლი (პუნქტი), რომლის საფუძველზეც უნდა მოხდეს სახსრების უდავო

წესით ჩამოწერა. ამ ველში შეტანილი ინფორმაციის უტყუარობისათვის ბანკი პასუხს არ აგებს.

საინკასო დავალებაში მითითებულ უნდა იყოს გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი და ჩამოსაწერი თანხის ოდენობა, ხოლო საბანკო ანგარიშის მითითება, რომლიდანაც უნდა განხორციელდეს თანხების ჩამოწერა, სავალდებულო არ არის. საინკასო დავალებით წარდგენილი თანხა უდავო წესით ჩამოიწერება ერთხელ. თანხის ჩამოწერა შესაძლებელია როგორც ერთი რომელიმე ანგარიშიდან, ასევე გადამხდელის სხვა საბანკო ანგარიშებიდან ჯამურად.

საინკასო დავალება, პირველ რიგში, შესრულდება იმ ანგარიშიდან (ანგარიშებიდან), რომელი ვალუტითაც არის წარდგენილი უდავო წესით გადასახდელი თანხა. წარდგენილი ვალუტით ანგარიშზე (ანგარიშებზე) არსებული ფულადი სახსრების უკმარისობის დროს, სხვა ვალუტაში არსებული ანგარიშის (ანგარიშების) არსებობის შემთხვევაში, ბანკი საინკასო დავალების შესრულებას ახორციელებს ამ ანგარიშზე (ანგარიშებზე) არსებული თანხის კონვერტაციით. სხვა ვალუტით გახსნილი ანგარიშიდან თანხების ჩამოწერისას კონვერტაცია ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საინკასო დავალება ბანკის მიერ მიიღება შესასრულებლად მოვალის საბანკო ანგარიშებზე სახსრების არსებობის მიუხედავად. თუ გადამხდელს ანგარიშებზე არ გააჩნია ფულადი სახსრები საინკასო დავალების შესასრულებლად, დავალება აღირიცხება ვადაზე გაუნაღდებელი საბუთების კარტოთეკაში და განაღდება მოხდება სახსრების შემოსვლის კვალობაზე, მთლიანად ან ნაწილობრივ.

საბანკო დაწესებულება ახდენს საინკასო დავალების წარმდგენის სამსახურებრივი უფლებამოსილების დადგენას სამსახურებრივი და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე. აღნიშნული საბუთები გაცემული უნდა იყოს საინკასო დავალების წარმომდგენი ორგანოს მიერ. წარმომდგენის ვინაობის დადგენის გარეშე საბანკო დაწესებულების მიერ საინკასო დავალება შესასრულებლად არ მიიღება.

უდავო წესით თანხების იძულებით გადახდის საფუძვლიანობისა და სამართლიანობისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება სახსრების ამომღებს და, ამდენად, ბანკი არ არის ვალდებული განიხილოს გადამხდელის პრეტენზიები სახსრების უდავო წესით ჩამოწერის თაობაზე.

12.3. დოკუმენტური ოპერაციები (აკრედიტივი და ინკასო)

ტერმინი „დოკუმენტური ოპერაციები“ გამომდინარეობს მხარეთა შორის საანგარიშსწორებო ურთიერთობის შინაარსიდან – დოკუმენტური ოპერაციებით ანგარიშსწორების წარმოებისას ყველა დაინტერესებულ მხარეს საქმე აქვს მხოლოდ დოკუმენტებთან (მაგ., სხვადასხვა ხარჯის დოკუმენტი, ჩეკები, კომერციული ანგარიშ-ფაქტურები, სატრანსპორტო და სადაზღვევო დოკუმენტები, სერტიფიკატები და ა.შ.) და არა უშუალოდ საქონელთან, მომსახურებასთან ან სხვა ვალდებულებებთან, რომელთაც ეს დოკუმენტები ეხება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიულად, დოკუმენტური ოპერაციების მარეგულირებელ სამართლებრივ ბაზად მიიჩნევა შვეიცარიის ფედერალური სასამართლოს მიერ ჯერ კიდევ 1952 წელს მიღებული საერთაშორისო მნიშვნელობის ნორმატიული აქტი – „დოკუმენტური ოპერაციების წარმოების უნიფიცირებული წესები და პრაქტიკული ჩვევები“ (***UCP – Uniform Customs and Practice for Documentary Credits***), რომელიც შემდეგ წლებში ახალი რედაქციებით გამოიცა და სხვადასხვა პუბლიკაციის სახით დამტკიცდა პარიზის საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ.

დოკუმენტური ოპერაციების გზით ანგარიშსწორების ფორმის შერჩევა, ბანკების ჩარევის გარეშე, იმპორტიორსა და ექსპორტიორს შორის შეთანხმების საფუძველზე ხდება და განისაზღვრება ხელშეკრულებით (კონტრაქტით). დოკუმენტური ოპერაციების ძირითადი სახეობებია დოკუმენტური აკრედიტივი და დოკუმენტური ინკასო.

მათ შორის ანგარიშსწორების ყველაზე მოხერხებულ და გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს დოკუმენტური აკრედიტივი. ამ ინსტრუმენტის გამოყენების შემთხვევაში მაქსიმალურად არის დაცული მხარეთა ინტერესები. **დოკუმენტური აკრედიტივი** – ესაა ბანკის (ბანკი-ემიტენტი) წერილობითი, პირობითი ვალდებულება, რომელიც გაიცემა მისი კლიენტის (იმპორტიორის, ანუ მყიდველის) სახელით ბენეფიციარის (ექსპორტიორის, ანუ გამყიდველის) სასარგებლოდ მასზედ, რომ მოწოდებული საქონლისა და მომსახურების ანაზღაურება განხორციელდება მის მიერ გარკვეულ ვადაში წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე. აკრედიტივის გამხსნელი ბანკი უფლებამოსილია თავად განახორციელოს გადახდა ან ეს უფლებები გადასცეს სხვა ბანკს (კორესპონდენტ ბანკს) იმ პირობით, თუ გამყიდველის მიერ წარდგენილი იქნება აკრედიტივით გათვალისწინებული დოკუმენტები.

დოკუმენტური აკრედიტივის გასახსნელად ბანკს უნდა წარედგინოს:

- განცხადება აკრედიტივის გახსნის შესახებ;
- ხელშეკრულება (კონტრაქტი) საერთაშორისო სავაჭრო გარიგების თაობაზე;
- აკრედიტივის პირობების შესაბამისი დოკუმენტების ჩამონათვალი.

სქემა №12.1-ზე დოკუმენტური აკრედიტივის გამოყენებით ანგარიშსწორების მაგალითში შედის შემდეგი ეტაპები:



სქემა №12.1. დოკუმენტური აკრედიტივის ანგარიშსწორება

1. კომერციული ხელშეკრულება (კონტრაქტი) – სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით იმპორტიორსა (მყიდველი) და ექსპორტიორს (გამყიდველი) შორის ფორმდება კომერციული ხელშეკრულება (კონტრაქტი), სადაც, სხვა პირობებთან ერთად, ასახულია იმპორტიორისა და ექსპორტიორის ბანკების დასახელებები, აკრედიტივის თანხა, აკრედიტივის სახეობა, სახსრების მიმღების ინფორმირების მეთოდი აკრედიტივის გახსნის თაობაზე, ხელშეკრულების პირობებით მოთხოვნილი დოკუმენტების ჩამონათვალი, გადახდის პირობები, პასუხისმგებლობა ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, აკრედიტივის საბანკო მომსახურების ხარჯების ანაზღაურების საკითხი, ტრანსპორტირების სახეობა, რომელიმე დოკუმენტის კონკრეტული გამომწერის დასახელება და სხვ.

2. განაცხადი აკრედიტივის გახსნაზე – აკრედიტივის გასახსნელად კლიენტმა ბანკს უნდა წარუდგინოს შესაბამისი განცხადება. ბანკი აკრედიტივის გახსნისას აკრედიტივის თანხით (მის უზრუნველსაყოფად) ადებეტებს კლიენტის ანგარიშს.

3. აკრედიტივი – იმპორტიორის ბანკი ატყობინებს ექსპორტიორის ბანკს აკრედიტივის გახსნის თაობაზე.

4. შეტყობინება აკრედიტივის გახსნის თაობაზე – ექსპორტიორის ბანკი, თავის მხრივ, ატყობინებს ექსპორტიორს (სახსრების მიმღებს).

5. საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევა – ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების უშუალო შესრულება (საქონლის, მომსახურების მიწოდება).

6. გადაზიდვის დოკუმენტები – ექსპორტიორი აკრედიტივის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში წარადგენს ბანკში აკრედიტივის პირობებით გათვალისწინებულ და სათანადოდ გაფორმებულ დოკუმენტებს იმის დასტურად, რომ მან შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები. დოკუმენტების ასლებს ექსპორტიორის ბანკი უგზავნის იმპორტიორის ბანკს, როგორც აკრედიტივის თანხის მოთხოვნის საფუძველს. იმპორტიორის ბანკი, თავის მხრივ, დოკუმენტაციას უგზავნის იმპორტიორს, როგორც მისი ანგარიშიდან სახსრების ჩამოჭრისა და ექსპორტიორის ბანკში გადარიცხვის საფუძველს.

7. პირველი გადახდა აკრედიტივით – წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, საიდანაც მტკიცდება, რომ ექსპორტიორმა შეასრულა კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებები, იმპორტიორის ბანკი გადარიცხავს ექსპორტიორის ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე აკრედიტივის თანხას.

8. მეორე გადახდა აკრედიტივით – თავის მხრივ, ექსპორტიორის ბანკი ურიცხავს ექსპორტიორს აკრედიტივის თანხას მიმდინარე ანგარიშზე.

რა თქმა უნდა, დასაშვებია, იმპორტიორსა და ექსპორტიორს ერთი და იგივე ბანკი ემსახურებოდეს. ამ შემთხვევაში სქემა უფრო მარტივდება. თუმცა, უნდა ითქვას, გარკვეული მიზეზებიდან გამომდინარე, შესაძლებელია პირიქით – ექსპორტიორისა და იმპორტიორის ბანკებს ოპერაციის ჩასატარებლად დასჭირდეთ მესამე, შუამავალი ბანკი, რაც უფრო გაართულებს წარმოდგენილ სქემას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ აკრედიტივები მრავალფეროვნებით გამოირჩევიან. განასხვავებენ მის შემდეგ სახეობებს:

- **გამოთხოვადი აკრედიტივი** არის აკრედიტივი, რომელიც ხელშეკრულების თანახმად, შეიძლება ანულირებულ (გამოთხოვილ) იქნეს გადამხდელის ან მისი გამომწერი ბანკის მიერ. საერთაშორისო პრაქტიკაში გამოთხოვადი აკრედიტივები უკვე აღარ გამოიყენება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

- **გამოუთხოვადი აკრედიტივის** დროს მისი ანულირება (უკან გამოთხოვა) არ შეიძლება;
- **დაფარული (დეპონირებული) აკრედიტივის** დროს მისი გახსნის შემდეგ ბანკი-ემიტენტი გადარიცხავს გადამხდელის ანგარიშიდან ან მასზე გაცემული კრედიტის ხარჯზე ფულად სახსრებს (აკრედიტივს) შემსრულებელი ბანკის განკარგულებაში, რომელიც იქ ინახება აკრედიტივის მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში;
- **დაუფარავი (გარანტირებული) აკრედიტივი** – ესაა აკრედიტივი, რომლის დროსაც ბანკი-ემიტენტი სახსრების მიმღების (ბენეფიციარის) მომსახურე ბანკს უფლებას აძლევს, მასთან არსებული საკორესპონდენტო ანგარიშიდან ჩამოწეროს აკრედიტივის თანხა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. საერთაშორისო პრაქტიკაში ტერმინი „დაუფარავი“ ან „გარანტირებული“, როგორც წესი, არ გამოიყენება, ვინაიდან აკრედიტივების აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ ასეთია;
- **დადასტურებული აკრედიტივის** დროს შემსრულებელი ბანკი (ექსპორტიორის ბანკი) საკუთარ თავზე იღებს ვალდებულებას, გადაიხადოს აკრედიტივის თანხა, მიუხედავად იმისა, ჩაურიცხავს თუ არა მას აკრედიტივის გამხსნელი ბანკი;
- **რევოლვერული აკრედიტივის** დროს აკრედიტივის გახსნა წარმოებს გადახდების ნაწილზე და ავტომატურად განახლდება ანგარიშსწორების განხორციელების შემდეგ საქონლის ახალი პარტიისათვის. რევოლვერული აკრედიტივი იხსნება თანაბარზომიერი მოწოდების ანაზღაურებისას, რომელიც განაწილებულია დროში;
- **ცირკულარულია აკრედიტივი,** რომლის დროსაც აკრედიტივის მიღება შესაძლებელია მისი გამცემი ბანკის ყველა კორესპონდენტ ბანკში;
- **სარეზერვო, ანუ სტენდ-ბაი (Stand-By), აკრედიტივი** წარმოადგენს საბანკო გარანტიის ნაირსახეობას, რომელიც ატარებს დოკუმენტარულ ნიშნებს, ანუ ნებადართულია სხვა დოკუმენტების წარდგენა, ვიდრე გადახდის მოთხოვნაა და რომელიც შეესაბამება აკრედიტივების საერთაშორისო სავაჭრო პალატის დოკუმენტებს. სარეზერვო აკრედიტივები გამოიყენება საერთაშორისო ვაჭრობის დასაფინანსებლად იმ ქვეყნებთან, სადაც აკრძალულია საბანკო გარანტიების გამოყენება სავაჭრო გარიგებებში (აშშ), აკრძალულია გარანტიების დოკუმენტარული ხასიათი ან საერთაშორისო ორგანიზაციებთან ოპერაციების განხორციელებისას (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, მსოფლიო ბანკი და ა.შ.).

აკრედიტივით ანგარიშსწორების უპირატესობაა მომწოდებლისათვის (ფულის მიმღებისათვის) გადახდის გარანტირება და ბანკების მიერ მიწოდების პირობებისა და აკრედიტივის პირობების შესრულების კონტროლი. აკრედიტივის ნაკლოვანებად ითვლება გართულებული დოკუმენტბრუნვა და მაღალი ფასი, რომელსაც საკომისიო სახით იღებენ ბანკები.

დოკუმენტური ინკასო – ესაა საბანკო ოპერაცია, რომლის მეშვეობითაც ბანკი თავისი კლიენტის (ექსპორტიორის) მინდობილობის საფუძველზე ახდენს ამ კლიენტის კუთვნილი სახსრების მიღებას გადამხდელისაგან (იმპორტიორისაგან) საანგარიშსწორებო საბუთების საფუძველზე, ანუ ბანკი იღებს ვალ-

ეროვნული ბანკი

დებულებას – ინკასოზე გადაგზავნოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტები გადამხდელის ბანკში, რომელიც ამ დოკუმენტებს, თავის მხრივ, გადასცემს გადამხდელს (აქცეპტზე ან გადახდაზე). დოკუმენტური ინკასო არ უნდა აგვერიოს ზემოთ განხილულ საინკასო დავალებაში.

დოკუმენტური ინკასოს ოპერაციების განსახორციელებლად ბანკს უნდა წარედგინოს:

- საინკასო მინდობილობა;
- საინკასო მინდობილობის პირობების შესაბამისი დოკუმენტები.

დოკუმენტური ინკასოს გამოყენებით ანგარიშსწორების მექანიზმში (სქემა №12.2.) გათვალისწინებულია:



სქემა №12.2. ანგარიშსწორება დოკუმენტური ინკასოს გამოყენებით

1. **კომერციული ხელშეკრულება (კონტრაქტი)** – იმპორტიორსა (მყიდველი) და ექსპორტიორს (გამყიდველი) შორის ფორმდება კომერციული ხელშეკრულება (კონტრაქტი).

2. **საქონლის მიწოდება** – ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების უშუალოდ შესრულება (საქონლის, მომსახურების მიწოდება ან სხვა ვალდებულებების შესრულება).

3. **საბუთების წარდგენა** – ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტები ექსპორტიორის მიერ წარედგინება მის მომსახურე ბანკს.

4. **საბუთების გადაგზავნა** – წარდგენილი დოკუმენტები ექსპორტიორის ბანკის მიერ გადაეცემა იმპორტიორის (გადამხდელის) მომსახურე ბანკს.

5. **საბუთების წარდგენა გასანაღდებლად** – იმპორტიორის მომსახურე ბანკი დოკუმენტებს გასანაღდებლად (ან აქცეპტზე) წარუდგენს იმპორტიორს.

6. **გადახდა საბუთების მიღების შემდეგ** – წარდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, იმპორტიორი ახდენს გადახდას ან თავის მომსახურე ბანკს სახსრების გადარიცხვის ნებას რთავს (აქცეპტის შემთხვევაში).

7. **საბუთების გაცემა** – გადახდის (აქცეპტის) სანაცვლოდ საბუთების გაცემა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. გადახდა საბუთების შესაბამისად – იმპორტიორის მიერ გადახდილი სახსრები გადაირიცხება ექსპორტიორის ბანკში, რომელიც, თავის მხრივ, სახსრებს ჩაურიცხავს ექსპორტიორს (სახსრების მიმღებს).

12.4. ანგარიშსწორება ჩეკებით

ჩეკი (***cheque/check***) წარმოადგენს ფასიან ქაღალდს, რომელიც შეიცავს ჩეკის გამცემის განკარგულებას მომსახურე ბანკისადმი, რათა მან მოახდინოს ჩეკში მითითებული თანხის განაღდება წარმდგენზე. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ჩეკში არ მიეთითება გამცემის არანაირი დასაბუთება თანხის განაღდებაზე. რა თქმა უნდა, ჩეკის გამცემი უნდა იყოს პირი, რომელსაც ამ ბანკში გახსნილი აქვს ანგარიში და ასევე აქვს სახსრები, რომელთაც განკარგავს საჩეკო მომსახურებით. ამის შესახებ ბანკთან არსებობს შესაბამისი შეთანხმება (ხელშეკრულება).

ისტორიულად, ჩეკის წინამორბედად თამასუქი ითვლება. როგორც წყაროები მოწმობენ, მათი წარმოშობა უკავშირდება **XIII** საუკუნეში ტამპლიერთა ორდენს, რომელიც გარდა იმისა, რომ გასამხედროებული რელიგიური ორგანიზაცია იყო, ასევე ცნობილი გახლდათ თავისი წევრების განსწავლულობით, მათ შორის, ფინანსებში. ტამპლიერებმა საფუძველი ჩაუყარეს პრაქტიკას, როცა შესანახავად მიბარებული სიმდიდრის (მათ შორის – ფულის) დამადასტურებელ საბუთად გაიცემოდა სპეციალური გრაგნილი (ხელწერილი). რაც შეეხება საბანკო ჩეკს, მისი „დაბადება“ მოხდა 1763 წელს ლონდონში, როცა ჩეკების გაცემა დაიწყო ბანკში გარკვეული თანხის მიღების ნებართვის დოკუმენტის სახით და ამ ფასიან ქაღალდს დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა. ჩეკების გამოყენებისა და შევსების წესი თანდათან იხვეწებოდა. მაგალითად, **XIX** საუკუნეში, როცა ჩეკების პოპულარობა განსაკუთრებით გაიზარდა, დაიწყო მათი ბეჭდვა სპეციალურ ქაღალდზე, ასევე დაიწყო ჩეკის შევსების სავალდებულო რეკვიზიტებში დამატებითი ელემენტების შემოტანა. შემდეგ პერიოდებში სავალდებულო ხდება გადამხდელის ხელმოწერა, ასევე შემოღებულ იქნა გადახდის მოცულობის (თანხის) ორმაგი ჩაწერის ხერხი – ციფრებით და სიტყვიერად. ყველა ზემოაღნიშნული ცვლილებით სულ უფრო გართულდა ჩეკების გაყალბება და, ამავდროულად, გაადვილდა მათი დამუშავება საბანკო დანესებულებების მიერ.

თანამედროვე ჩეკები თავისი შინაარსით გასცდა ისტორიულ წინამორბედს. მათი რამდენიმე ტიპი არსებობს. კერძოდ:

- საკასო ჩეკი;
- საპრივატიზაციო ჩეკი;
- სამგზავრო ჩეკი;
- საბანკო (საანგარიშსწორებო) ჩეკი.

დავახასიათოთ თითოეული მათგანი მოკლედ, თუმცა, უფრო დეტალურად შევეხოთ ჩვენთვის საინტერესო სამგზავრო და საბანკო ჩეკებს:

საკასო ჩეკი – ესაა გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, ქვითარი, რომელიც იბეჭდება სპეციალური ქაღალდის ლენტზე სალაროს აპარატის მიერ საქონლის ყიდვის ან მომსახურების მიღებისას.

საპრივატიზაციო ჩეკი, იგივე **ვაუჩერი**, წარმოადგენს სახელმწიფო ფასიან ქაღალდს, რომელიც გამოიყენება სახელმწიფო აქტივების განსახელმწიფოებრიობის, კერძო პირებზე გადასაცემად პრივატიზაციის დროს.

სამგზავრო ჩეკი – ესაა საგადამხდელო დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს ემიტენტის ვალდებულებას, გაუნაღდოს ჩეკში მითითებული თანხა მის მფლობელს, კონკრეტულ ფიზიკურ პირს, რომელიც აღნიშნულია ჩეკზე ხელმოწერის ნიმუშთან ერთად. სამგზავრო ჩეკების ემიტენტებს, კომერციული ბანკების გარდა, შეიძლება წარმოადგენდნენ სხვადასხვა ფინანსური ინსტიტუტი და ტურისტული კომპანია. სამგზავრო ჩეკი პრაქტიკაში გულისხმობს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციების მიერ ემიტირებულ და უზრუნველყოფილ უნივერსალურ საგადამხდელო ინსტრუმენტს, რომელიც მიმოიქცევა მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობაში, მიუხედავად ამ ქვეყნების საბანკო სისტემებისა. სამგზავრო ჩეკის ყიდვა შეიძლება ერთ კონკრეტული ბანკში (მაგალითად, ***American Express***) და შემდეგ მისი გაცვლა ნაღდ ფულში – სხვა ქვეყნის (ან იმავე ქვეყნის) ბანკში.

საინტერესოა, რომ ტერმინი „სამგზავრო ჩეკი" (***Traveler's Cheque***) ამ საანგარიშსწორებო ინსტრუმენტს „შერჩა" პრაქტიკისა და ტრადიციის გამო. მათი პრაქტიკულად დანერგვა მოხდა მოგზაურობაში ფულის დაცვის მიზნით ძალიან მარტივი, მაგრამ უსაფრთხო მექანიზმით: მოგზაური ბანკში ფულით ყიდულობდა სამგზავრო ჩეკს, ქაღალდს, რომლის გადაცვლა შესაძლებელი იყო სხვა ბანკში (მათ შორის – სხვა ქვეყანაშიც). ამ მექანიზმში მთავარი ის იყო, რომ სამგზავრო ჩეკის დაკარგვის ან მოპარვის შემთხვევაშიც მისი მფლობელი არაფერს კარგავდა – იგი გამოწერილი იყო მის სახელზე და მასზე დატანილი მფლობელის ხელმოწერის ნიმუში, პრაქტიკულად, შეუძლებელს ხდიდა ჩეკის სხვა პირის მიერ გამოყენებას. ამასთან, ჩეკის მეპატრონეს დანაკარგების გარეშე შეეძლო დაკარგული თუ დაზიანებული ჩეკის აღდგენა.

დღეისათვის სამგზავრო ჩეკების ყველაზე მსხვილ და ცნობილ ემიტენტებს წარმოადგენენ ***American Express (American Express, CitiCorp)*** და ***Travelex (Visa Interpayment, Thomas Cook Mastercard)***. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ჩეკების განაღდება ხდება არა მარტო ბანკებში, არამედ გამოიყენება რესტორნებშიც, სავაჭრო ცენტრებშიც, სასტუმროებში და ა. შ. შეიძლება მათი გადაცვლა უცხოურ (უფრო სწორად – ადგილობრივ) ვალუტაში. საქართველოში ბანკების მიერ სამგზავრო ჩეკების გაყიდვისა და განაღდების საკომისიო მერყეობს 0.7%-დან 1.0%-მდე.

საბანკო (საანგარიშსწორებო) ჩეკს შევეხეთ გასულ მასალაში, საქართველოში მოქმედ უნაღდო ანგარიშსწორების წესების მიხედვით, საგადახდო საბუთებში მოხსენიებული იყო „საანგარიშსწორებო ჩეკი". საქართველოში საანგარიშსწორებო ჩეკებით ანგარიშსწორება რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით, ბანკების მიერ შემუშავებული შიდასაბანკო წესებით და ბანკსა და კლიენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 865 მუხლის თანახმად, „სათანადო შეთანხმებისას საკრედიტო დაწესებულება მოვალეა აქტივის ფარგლებში აანაზღაუროს ანგარიშის მფლობელის მიერ ხელმოწერილი ჩეკი ჩეკის შესახებ კანონის შესაბამისად. ამ დროს გამოიყენება უნაღდო ანგარიშსწორების ხელშეკრულების წესები". ქართული კანონმდებლობით, **ჩეკი** – ესაა „დადგენილი ფორმის ფასიანი ქაღალდი, რომელიც შეიცავს ჩეკის გამცემის წერილობით დავალებას საბანკო დაწესებულებებისადმი გაანაღდოს ჩეკში აღნიშნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანხა“ [20].

საქართველოში ჩეკების გაცემისა და მიმოქცევის წესს არეგულირებს 1995 წელს მიღებული კანონი „ჩეკის შესახებ“, რომლის მიხედვითაც, აუცილებელია, ჩეკი შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:

- სიტყვას „ჩეკი“ დოკუმენტის სათაურში;
- უპირობო დათქმა მითითებული თანხის გადახდის შესახებ;
- გადამხდელის დასახელება;
- განაღდების ადგილი;
- ჩეკის გამოწერის ადგილი და თარიღი;
- ჩეკის გამოწერის ხელმოწერა.

მნიშვნელოვანია, რომ ჩეკი შეიძლება გამოწერილ იქნეს მხოლოდ იმ საბანკო დაწესებულებაზე, რომელშიც ინახება ჩეკის გამომწერის სახსრები. უფრო მეტიც, დოკუმენტი, გამოწერილი არასაბანკო დაწესებულებაზე, თუნდაც მას ჰქონდეს ჩეკის სახელწოდება, ჩეკად არ ჩაითვლება.

ჩეკის გამოწერის უფლება აქვს როგორც იურიდიულ, ისე ფიზიკურ პირს და მისი სამი სახეობა არსებობს:

- **სახელობითი ჩეკი** – გამოიწერება კონკრეტული პირის სახელზე „არა განკარგულებით“, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ჩეკის განაღდება შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ გამოწერილი კონკრეტული პირის სახელზე;
- **საორდერო ჩეკი** – გამოიწერება კონკრეტული პირის სახელზე „განკარგულებით“, ანუ იგი საშუალებას აძლევს ჩეკში მითითებულ პიროვნებას, ან თვითონ მიიღოს თანხა, ან გადასცეს ეს უფლება მესამე პირს შესაბამისი წარწერის („ინდოსამენტი“) მეშვეობით. ამ პირს, თავის მხრივ, შეუძლიათ ჩეკის შემდეგი ინდოსირება, ანუ სხვა პირზე გადაცემა;
- **ჩეკი წარმდგენზე** – გამოიწერება კონკრეტული პირის მითითების გარეშე.

ჩეკის გამცემს, აგრეთვე მის მფლობელს შეუძლიათ აკრძალონ ჩეკის ნაღდი ფულით განაღდება, „აქციონ“ ის საანგარიშსწორებო ჩეკად, რისთვისაც ჩეკის წინა პირზე კეთდება წარწერა დიაგონალურად „ანგარიშსწორებისათვის“. ასეთი ჩეკის თანხა ჩამოიწერება გადამხდელის ანგარიშიდან და შეიტანება ჩეკის წარმდგენის ანგარიშზე.

საჩეკო მიმოქცევის ინსტრუმენტი – საფულე ჩეკი შესულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს „მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დოკუმენტების)“ ნუსხაში.

12.5. უნაღდო ანგარიშსწორება ფიზიკური პირის მიერ

„საქართველოში უნაღდო ანგარიშსწორების წესების“ შესაბამისად, „ფიზიკურ პირში“ იგულისხმება პირი, რომლის მიერ წარმოებული უნაღდო ანგარიშსწორება არ არის დაკავშირებული სამეწარმეო საქმიანობასთან. ფიზიკური პირების მიერ უნაღდო ანგარიშსწორება წარმოებს ორი გზით:

20 საქართველოს კანონი „ჩეკის შესახებ“, ზოგადი განმარტებები.

ეროვნული ბანკი

- ბანკებში გახსნილი საბანკო ანგარიშების მეშვეობით (მიმდინარე ანგარიშების ან საბანკო პლასტიკური ბარათის ანგარიშები);
- საბანკო ანგარიშის გახსნის გარეშე.

საბანკო ანგარიშით უნაღდო ანგარიშსწორების განხორციელებისას ფიზიკურ პირს უფლება აქვს ისარგებლოს უნაღდო ანგარიშსწორების ნებისმიერი ფორმით. ბანკის მიერ ფიზიკური პირის საბანკო ანგარიშიდან სახსრების ჩამოწერა ანგარიშზე არსებული სახსრების ფარგლებში ხდება ანგარიშის მფლობელის განკარგულების (საგადახდო დავალების) საფუძველზე ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მისი განკარგულების გარეშე. ნიშანდობლივია, რომ ბანკს უფლება აქვს ოპერაცია აწარმოოს ფიზიკური პირისათვის გაცემული კრედიტის ხარჯზე, თუკი მის ანგარიშზე ფიქსირდება სახსრების უკმარისობა. დაუშვებელია ფიზიკური პირის საგადახდო დავალებაში მითითებული თანხის ნაწილობრივ ანაზღაურება.

ფიზიკურ პირს შეუძლია თავის ანგარიშზე არსებული სახსრების განკარგვის უფლება, მინდობილობის საფუძველზე, მიანიჭოს სხვა ფიზიკურ პირს (ნდობით აღჭურვილ პირს). ერთჯერადი ან პერიოდული გადარიცხვების (მაგ., კომუნალური და სხვ.) საწარმოებლად ფიზიკურ პირს შეუძლია საგადახდო საბუთების შევსების უფლება ხელშეკრულების ან განცხადების საფუძველზე მიანიჭოს საბანკო დაწესებულებას.

ფიზიკური პირის განცხადებაში საბანკო ანგარიშიდან გადახდებზე, როგორც წესი, აისახება:

- გადამხდელის სახელი, გვარი და პირადი ნომერი;
- გადამხდელის საბანკო ანგარიშის ნომერი;
- სახსრების მიმღების დასახელება და ანგარიშის ნომერი;
- მიმღები ბანკის დასახელება და კოდი;
- გადასახდელი თანხა ან მისი ოდენობის განსაზღვრის პირობები;
- გადახდის თარიღი და გადახდების პერიოდულობა;
- გადახდის დანიშნულება;
- განცხადების მოქმედების ვადა;
- განცხადების შედგენის თარიღი;
- განცხადების შესრულებისათვის საჭირო დამატებითი რეკვიზიტები (მაგ., ტელეფონის ნომრები და სხვ.).

ფიზიკურ პირს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეწყვიტოს თავისი ანგარიშიდან გადახდებზე ბანკისათვის მინიჭებული უფლება საბანკო დაწესებულებაში შესაბამისი განცხადების წარდგენით. მსგავსად იურიდიული პირისა, ფიზიკური პირის საგადახდო დავალების შევსება შეიძლება როგორც ქაღალდის სახით, ისე ელექტრონულად.

საბანკო დაწესებულებაში ანგარიშის გახსნის გარეშე ფულადი სახსრების გადარიცხვები ხორციელდება ფიზიკური პირისაგან გადარიცხვის მომენტში მიღებული ფულადი სახსრების ხარჯზე, ფიზიკური და იურიდიული პირების, ასევე ბიუჯეტის სასარგებლოდ. ფიზიკური პირი ასევე უფლებამოსილია ანგარიშის გახსნის გარეშე აწარმოოს გადარიცხვები სხვა პირის ნაცვლად. ანგარიშის გახსნის გარეშე ოპერაციების შესასრულებლად ბანკი ვალდებულია მოახდინოს ფიზიკური პირის სრულყოფილი იდენტიფიცირება.

საკონტროლო კითხვები:

1. საქართველოში უნაღდო ანგარიშსწორებისას რომელი საბუთები გამოიყენება?
2. საგადახდო საბუთების გაფორმებისას კანონმდებლობით რომელი სავალდებულო რეკვიზიტებია განსაზღვრული?
3. რას წარმოადგენს ბანკებში საგადახდო საბუთების წარდგენის ზოგადი წესი?
4. რა ქმედებები ხორციელდება ბანკის მხრიდან კლიენტის მიერ საგადახდო საბუთების წარდგენისას?
5. რა არის საგადახდო დავალება?
6. ბანკში საგადახდო დავალების წარდგენის რომელი ორი გზა იცით?
7. რა არის ბანკში საგადახდო დავალების ქაღალდით წარდგენის გზის არსი?
8. რას ნიშნავს „ვადაში გაუნაღდებელი საგადახდო საბუთების კარტოთეკა“?
9. რა შეიძლება ითქვას ბანკში საგადახდო დავალების ელექტრონული შეტყობინებების სახით წარდგენის შესახებ?
10. რა არის საინკასო დავალება?
11. რა ძირეული განსხვავებაა საგადახდო დავალებასა და საინკასო დავალებას შორის?
12. რას წარმოადგენს დოკუმენტური ოპერაციების არსი და როგორია მისი განხორციელების მექანიზმი?
13. უფრო მეტად ვის ინტერესებს იცავს დოკუმენტური აკრედიტივის მექანიზმი: მყიდველის (იმპორტიორი) თუ გამყიდველის (ექსპორტიორი)?
14. დოკუმენტური აკრედიტივის რომელი სახეობები ვიცი?
15. რა შეიძლება ითქვას დოკუმენტური ინკასოს შესახებ?
16. როგორ დაახასიათებდით ჩეკის ისტორიულ „წარსულს“?
17. თანამედროვე ჩეკების რა ნაირსახეობები არსებობს?
18. რას წარმოადგენს სამგზავრო ჩეკი და რა უპირატესობებით გამოირჩევა იგი?
19. რა შეიძლება ითქვას საბანკო (საანგარიშსწორებო) ჩეკის შესახებ?
20. რომელ აუცილებელ რეკვიზიტებს უნდა შეიცავდეს საბანკო (საანგარიშსწორებო) ჩეკი?
21. საბანკო (საანგარიშსწორებო) ჩეკის რომელი სახეობები იცით?
22. როგორია ფიზიკური პირების მიერ უნაღდო ანგარიშსწორების წარმოების ზოგადი წესი?
23. როგორც წესი, რა აისახება ფიზიკური პირის განცხადებაში საბანკო ანგარიშიდან გადახდებისას?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი II

საბანკო ოპერაციები და კონტროლის მექანიზმები

13 თავი

საბანკო დაკრედიტების თანამედროვე სისტემა

შინაარსი:

13.1. საბანკო დაკრედიტების საფუძვლები;
13.2. კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკა;
13.3. კრედიტის უზრუნველყოფის ფორმები;
13.4. საბანკო პროცენტი და მის დონეზე მოქმედი ფაქტორები. საპროცენტო მარჯა;
13.5. საპროცენტო განაკვეთის სახეობები და დარიცხვის მეთოდები.

ძირითადი ელემენტები:

1. კრედიტის არსი;
2. კრედიტის ძირითადი ფორმები;
3. დაკრედიტების პრინციპები;
4. დაკრედიტების სუბიექტები და ობიექტები;
5. კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკა და მასზე მოქმედი ფაქტორები;
6. კრედიტის დაფარვის პირველადი და მეორადი წყაროები;
7. კრედიტის უზრუნველყოფის 5 ძირითადი ფორმა;
8. საბანკო პროცენტი და მასზე მოქმედი ფაქტორები;
9. საპროცენტო მარჯა;
10. საპროცენტო განაკვეთების სახეობები;
11. პროცენტის დარიცხვის მეთოდები.

გამოყენებული სქემები, ნახატები და ცხრილები:

ნახ.№13.1. საბანკო პროცენტების ნაციონალურ სისტემაზე მოქმედი ფაქტორები;
ნახ. №13.2. საბანკო საპროცენტო განაკვეთების დინამიკა საქართველოში;
ცხრ. №13.1. კრედიტის დაფარვის სქემები.

13.1. საბანკო დაკრედიტების საფუძვლები

კრედიტი ეკონომიკური მეცნიერების უმნიშვნელოვანესი კატეგორიაა, რომლის არსისა და ბუნების შესწავლას მრავალი კლასიკოსი მეცნიერის ნაშრომი მიეძღვნა. სიტყვა „კრედიტი“ წარმოდგება ლათინური ***kreditum***-ისაგან, რაც „სესხს“, „ვალს“ ნიშნავს. საინტერესოა, რომ ამ სიტყვას ლათინურში სხვა მნიშვნელობაც აქვს – „ნდობა“, რაც გარკვეულწილად გამოხატავს კიდეც მის რაობას, ვინაიდან ნდობა უმნიშვნელოვანესია პარტნიორებს შორის საკრედიტო ურთიერთობისას. საკრედიტო ურთიერთობის დროს ერთი პარტნიორი (კრედიტორი) აძლევს მეორე პარტნიორს (მსესხებელი) ფულს (ზოგჯერ ქონებასაც) გარკვეული ვადით, ეკვივალენტური ღირებულების დაბრუნების პირობით, როგორც წესი, გარკვეული საზღაურის დამატებით. თანამედროვე პირობებში სესხები ფორმდება ფულადი კრედიტების სახით და საკრედიტო ურთიერთობები წარმოადგენენ ფულადი ურთიერთობების შემადგენელ ნაწილს.

მთავარი, რითაც ფულადი სესხი განსხვავდება ფულადი ურთიერთობის სხვა ფორმებისაგან, ღირებულების დაბრუნებითი მოძრაობაა. კრედიტში გამოიხატება საწარმოო ურთიერთობები, როცა სამეურნეო სუბიექტები: სახელმწიფო, კომპანიები, ორგანიზაციები, ფიზიკური პირები – გადასცემენ ერთმანეთს ღირებულებას დროებით სარგებლობაში დაბრუნების პირობით. საკრედიტო ურთიერთობებში იგულისხმება ყველა ფულადი ურთიერთობა, რომლებიც დაკავშირებულია სესხის გაცემასა და დაბრუნებასთან, ფულადი ანგარიშსწორების ორგანიზებასთან, ფულადი ნიშნების ემისიასათან, სადაზღვევო ოპერაციების წარმოებასთან და ა.შ.

ფული გვევლინება გადახდის საშუალებად ყველგან, სადაც კი მონაწილეობს კრედიტი. მაშინაც კი, როცა საქმე გვაქვს კრედიტის საქონლურ სახეობასთან, იგი ფორმდება ფულადი კრედიტის ფორმით. შესაბამისად, კრედიტი ფულის მოძრაობის განსაკუთრებული ფორმაა. კრედიტი საბაზრო კატეგორიაა და ბაზარი მომსახურებული უნდა იყოს იმ ფულადი სახსრების განსაკუთრებული ფონდით, რომელთა მიწოდება ხდება ეკონომიკური სუბიექტების მიერ დაბრუნების პირობით. ვუწოდოთ ამ ფონდს საზოგადების სასესხო ფონდი, რომლის მოძრაობის ფორმასაც სწორედ კრედიტი წარმოადგენს.

კრედიტის მეშვეობით სახელმწიფოს, კომპანიებისა და ფიზიკური პირების დროებით თავისუფალი სახსრები წარიმართებიან საქმიანობის იმ სფეროებში, სადაც არის სახსრების დროებითი დეფიციტი, ანუ კრედიტი უზრუნველყოფს ფულადი კაპიტალის სასესხო კაპიტალად ტრანსფორმაციას. კრედიტის მეშვეობით სახელმწიფო ბიუჯეტის, იურიდიული და ფიზიკური პირების დროებით თავისუფალი ფულადი სახსრები აკუმულირდება საბანკო სისტემაში, ექცევა ფულად მიმოქცევაში და გარდაიქმნება სასესხო კაპიტალად, რომელიც, თავის მხრივ, წარიმართება იმ ეკონომიკური სუბიექტების დასაფინანსებლად, რომლებიც განიცდიან ფინანსური სახსრების დროებით დეფიციტს.

არსებობს კრედიტის სხვადასხვა ფორმა. შეიძლება გამოვყოთ **კრედიტის 6 ძირითადი ფორმა** და მოკლედ დავახასიათოთ ისინი:

1) საერთაშორისო კრედიტი – ესაა სასესხო კაპიტალის მოძრაობა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში, რომელიც დაკავშირებულია სავალუტო და სასაქონლო რესურსების მოძრაობასთან ვადიანობის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბრუნების, უზრუნველყოფისა და ფასიანობის პირობებით. საერთაშორისო კრედიტი შეიძლება იყოს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო ხასიათის მატარებელი;

2) სახელმწიფო კრედიტის შემთხვევაში ხდება, ერთი მხრივ, სახელმწიფოს, ხოლო, მეორე მხრივ, იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, უცხოურ სახელმწიფოებსა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს შორის ფულადი სახსრების მოძრაობა ვადიანობის, დაბრუნებისა და ფასიანობის პირობებით. ამ შემთხვევაში სახელმწიფო შეიძლება გვევლინებოდეს როგორც კრედიტორის, ისე მსესხებლის ან გარანტორის სახით;

3) საბანკო კრედიტი შეიძლება დახასიათებულ იქნეს, როგორც კრედიტი, გაცემული სპეციალიზებული საფინანსო-საკრედიტო დაწესებულების მიერ ცენტრალური ბანკის შესაბამისი ლიცენზიის საფუძველზე;

4) კომერციული კრედიტის მიწოდება ხდება სასაქონლო ფორმით გამყიდველების მიერ მყიდველებისადმი მიყიდულ საქონელზე გადახდის გადავადების (ნისიად მიყიდვის) სახით. კომერციული კრედიტის მიწოდება ხდება მყიდველის მიერ ფიქსირებულ ვადაში ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტის გადახდის პირობით. კომერციული კრედიტის სახეობებია: სათამასუქო კრედიტი, სეზონური კრედიტი, კონსიგნაცია და სხვ.;

5) სამომხმარებლო კრედიტის მიწოდება ხდება კომერციული ბანკების, სპეციალიზებული საკრედიტო-საფინანსო და სავაჭრო კომპანიების მიერ მოსახლეობის მიერ საქონლისა და მომსახურების მისაღებად განვადების ფორმით;

6) სამევახშეო კრედიტი მეტ-ნაკლები მასშტაბით შემორჩენილია ყველა ქვეყნისათვის და მეტწილად დამახასიათებელია ნაკლებად განვითარებული საკრედიტო სისტემის მქონე ქვეყნებისათვის. აღნიშნული კრედიტი ხასიათდება ძალიან მაღალი პროცენტით და, უპირატესად, მისით სარგებლობენ ის ფიზიკური პირები, რომელთაც კომერციული ბანკები და საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტები უარს ეუბნებიან დაკრედიტებაზე.

როგორც ვიცით, კომერციული ბანკების აქტიური ოპერაციების ძირითად სახეობას დაკრედიტების ოპერაციები წარმოადგენენ. როგორც წესი, საკრედიტო პორტფელზე მოდის კომერციული ბანკების აქტივების დაახლოებით ორი მესამედი და იგია მისი შემოსავლებისა და საბოლოო ფინანსური შედეგის, წმინდა მოგების ფორმირების მთავარი წყარო. **საბანკო კრედიტი** – ესაა საკრედიტო ურთიერთობების ყველაზე გავრცელებული ფორმა, ვინაიდან მიუხედავად არსებული ალტერნატივებისა, სწორედ კომერციული ბანკი იძლევა საშუალებას ოპტიმალური ოდენობით, პირობებით და ფასად მიღებულ იქნეს ფინანსური რესურსები.

საბანკო დაკრედიტება უნდა ხორციელდებოდეს დაკრედიტების პრინციპების მკაცრი დაცვით. ეს პრინციპები წარმოადგენენ დაკრედიტების სისტემის საფუძველსა და მთავარ ელემენტს, ვინაიდან ასახავენ კრედიტის მთელ არსს და შინაარსს. დაკრედიტების პრინციპები ასევე ასახავენ ობიექტურ ეკონომიკურ კანონებს და არ წარმოადგენენ რომელიმე კომერციული ბანკის სუბიექტურ მოსაზრებებს.

ეკონომიკურ ლიტერატურაში, ტრადიციულად, მიღებულია დაკრედიტების პრინციპების განსხვავებული რაოდენობის აღიარება. მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ და მოკლედ დავახასიათოთ **საბანკო დაკრედიტების 8 პრინციპი:**

ეროვნული ბიბლიოთეკა

1) დაბრუნებითობა. აღნიშნული პრინციპი გულისხმობს, რომ მსესხებლის მიერ აღებული კრედიტი და მასზე დარიცხული პროცენტები სრულად უნდა იქნეს დაბრუნებული საკრედიტო ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.

2) ვადიანობა. ნებისიმერი კრედიტის გაცემისას აუცილებლად ხდება იმ ვადის განსაზღვრა, რომელ ვადაშიც უნდა დაბრუნდეს კრედიტი. აღნიშნული ვადა და მისი დაცვის პასუხისმგებლობა განსაზღვრულია საკრედიტო ხელშეკრულებით. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბანკები კრედიტების სახით გასცემენ მოზიდულ რესურსებს, რომელთაც დაბრუნების გარკვეული ვადა აქვთ, ამდენად, ბანკების მიერ გაცემული კრედიტების დაფარვის ვადის დაცვის მოთხოვნას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

3) ფასიანობა. პრინციპი გულისხმობს მსესხებელის ვალდებულებას, დააბრუნოს არა მარტო აღებული კრედიტი, არამედ გადაიხადოს გარკვეული საფასური მისი სარგებლობისათვის. იმისათვის, რომ ბანკმა შეძლოს მოზიდული რესურსის ფასის გადახდა, სხვა საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯების ანაზღაურება და გარდა ამისა, აქციონერთათვის სასურველი წმინდა მოგების მიღება, აუცილებელი ხდება გაცემულ კრედიტზე გარკვეული ფასის დაწესება.

4) მიზნობრიობა. ამ პრინციპის არსი ისაა, რომ მსესხებელი ვალდებულია გამოიყენოს აღებული კრედიტი საკრედიტო ხელშეკრულებაში დაფიქსირებული მიზნებისათვის, ვინაიდან ამ მიზანზეა დამოკიდებული კომერციული ბანკის გადაწყვეტილება კრედიტის გაცემაზე, ასევე დაფარვის ვადაზე, ფასზე და ა.შ.

5) უზრუნველყოფითობა. უზრუნველყოფითობის პრინციპი გულისხმობს კომერციული ბანკის ქონებრივი ინტერესების დაცვას მსესხებლის მიერ აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში. აღნიშნული მექანიზმი უნდა იყოს იურიდულად გაფორმებული, რათა საფრთხე არ შეექმნას იმ ეკონომიკური სუბიექტების რესურსებს (იურიდიული და ფიზიური პირები), რომელთა დროებით გასხვისებასაც ახდენს კომერციული ბანკი გაცემული კრედიტების სახით.

6) დიფერენცირებულობა. აღნიშნული პრინციპით კომერციული ბანკი ერთნაირად არ უნდა უდგებოდეს პოტენციურ მსესხებლებს. კრედიტის გაცემისას პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს იმ მსესხებლებს, რომელთაც აქვთ კრედიტის მიზნობრივად ათვისებისა და დროულად დაბრუნების შესაძლებლობა, სურვილი და გამოცდილება.

7) კანონმდებლობასთან შესაბამისობა. აუცილებელია, საკრედიტო გარიგებასათან დაკავშირებული დოკუმენტაცია შეესაბამებოდეს არსებულ კანონმდებლობას.

8) ურთიერთსარგებლიანობა. პრინციპი გულისხმობს, რომ საკრედიტო გარიგების პირობები ერთნაირად ითვალისწინებდეს როგორც კომერციული ბანკის, ისე მსესხებლის კომერციულ ინტერესებსა და შესაძლებლობებს.

საბანკო დაკრედიტების საბაზო ელემენტებში აუცილებლად შედის დაკრედიტების სუბიექტისა და ობიექტის ცნებები.

ვის შეიძლება ეწოდოს **დაკრედიტების სუბიექტები**? ამ ჩამონათვალში შედის ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდული პირი და სახელმწიფოც კი. დაკრედიტების სუბიექტები შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი სახით:

- კომპანიები;
- მცირე (ინდივიდუალური) მეწარმეები;
- ფიზიკური პირები;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

- სახელმწიფო ორგანიზაციები;
- ბანკები.

საბანკო დაკრედიტების სუბიექტები საკრედიტო ურთიერთობებისას გვევლინებიან სხვადასხვა სტატუსით: როგორც კრედიტორების, ისე მსესხებლების როლში. კრედიტორები – ეს ის იურიდიული და ფიზიკური პირებია, რომელთა ფულადი სახსრები გადადის მსესხებლების დროებით მფლობელობაში გარკვეული ვადით. მსესხებელი – ესაა პირი, რომელმაც მიიღო ფულადი სახსრები დროებით სარგებლობაში და ვალდებულია დააბრუნოს იგი შეთანხმებულ ვადაში გარკვეული ფასის (პროცენტი) გადახდით. კომერციული ბანკი ეკონომიკური სუბიექტებისგან სახსრების მობილიზაციის პროცესში გვევლინება მსესხებლად, ხოლო მათი დაკრედიტებისას – კრედიტორად. შესაბამისად, იურიდიული და ფიზიკური პირები სახელმწიფო ბანკებში საკუთარი სახსრების განთავსებით გვევლინებიან კრედიტორებად, ხოლო ბანკებიდან სახსრების (კრედიტის) მიღებისას ხდებიან მსესხებლები.

დაკრედიტების ობიექტში იგულისხმება კრედიტის მიზანი, რომლის დასაკმაყოფილებლადაც გაიცემა კრედიტი. თითოეული კომერციული ბანკი დამოუკიდებლად ადგენს დაკრედიტების ობიექტების ჩამონათვალს, რაც, როგორც წესი, აისახება მის საკრედიტო პოლიტიკასა და სხვადასხვა შიდა ნორმატიულ დოკუმენტში. ბუნებრივია, დაკრედიტების სუბიექტის მიხედვით, დაკრედიტების ობიექტები განსხვავებულია, თუმცა, განზოგადებული სახით მაინც შესაძლებელია მათი ჩამოყალიბება:

- საინვესტიციო პროექტები (უძრავი ქონების შეძენა, ტექნიკური გადაიარაღება, რეკონსტრუქცია);
- საბრუნავი საშუალებების შევსება;
- საანგარიშსწორებო სახსრების უკმარისობა;
- სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები;
- სახელფასო დავალიანება;
- კრედიტორული დავალიანება;
- სამომხმარებლო მოთხოვნები.

საბანკო დაკრედიტების საფუძვლებიდან მნიშვნელოვანია **დაკრედიტების მეთოდები**, რომლებშიც მოიაზრება იმ მექანიზმების ერთობლიობა, რომელთაც კომერციული ბანკი იყენებს კრედიტის გაცემისა და დაფარვისას. დაკრედიტების მეთოდები შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგნაირად:

1) კრედიტის გაცემა ერთჯერადი (მიზნობრივი) პროექტის დასაფინანსებლად. ამ მეთოდის გამოყენებით კრედიტები გაიცემა განსაზღვრული მიზნებისათვის და კონკრეტული ვადით. ეს მეთოდი ძირითადია ახალი კლიენტების დაფინანსების შემთხვევაში.

2) კრედიტის გაცემა საკრედიტო ხაზის გახსნით. ამ შემთხვევაში ბანკის მიერ მსესხებლისათვის დგინდება დაკრედიტების ლიმიტი, რომელიც მის მიერ გამოიყენება საჭიროების მიხედვით. საკრედიტო ლიმიტის უპირატესობა ისაა, რომ წინასწარ შეთანხმებული ვადისა და თანხის ფარგლებში მსესხებელს შეუძლია ნებისმიერ მომენტში მიიღოს კრედიტი ბანკთან ყოველგვარი დამატებითი მოლაპარაკებებისა და შეთანხმებების გარეშე. ამ შემთხვევაში იზოგება როგორც მსესხებლის, ისე კომერციული ბანკის დრო და შრომითი დანახარჯები. როგორც წესი, ამ მეთოდით ხდება კომერციული ბანკის სტაბილური და წარმატებული მსესხებლების დაფინანსება.

ეკონომიკური სუბიექტების დაკრედიტების თანამედროვე ქართული სისტემა მნიშვნელოვნად განსხვავდება არცთუ ისე შორეული წარსულის საბანკო პრაქტიკისაგან. იგი ხასიათდება ბევრად უფრო ლიბერალური სქემით, რომლის დროსაც კლიენტს აქვს შესაძლებლობა, აირჩიოს საბანკო დაწესებულება, გახსნას ანგარიში რამდენიმე ბანკში. დაკრედიტების თანამედროვე პრაქტიკის თავისებურება ორგანიზაციული თვალსაზრისით ისაა, რომ იგი აგებულია არა ერთ შაბლონზე, არამედ ემყარება მსესხებლის მხრიდან არჩევანის მრავალფეროვნებას. მკაცრი საბანკო კონკურენციისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზრდის ფონზე კომერციული ბანკების პოტენციური მსესხებლები თვითონ ირჩევენ, დაკრედიტების რომელი ფორმაა მათთვის ყველაზე ოპტიმალური.

13.2. კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკა

კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკა შეიძლება აღქმულ იქნეს ფართო და ვიწრო გაგებით. ფართო გაგებით **კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკა** – ესაა საბანკო დაკრედიტების ბაზარზე მისი პრიორიტეტებისა და მიზნების, სტრატეგიისა და ტაქტიკის განსაზღვრა, ვიწრო გაგებით კი – ეს კონკრეტული კომერციული ბანკის შიდა ნორმატიული დოკუმენტია, რომელიც განსაზღვრავს საკრედიტო საქმიანობის ამოცანებს, მისი რეალიზაციის საშუალებებსა და მექანიზმებს, ასევე საკრედიტო პროცესის პრინციპებსა და წესს. გარდა ამისა, კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკა, როგორც შიდა ნორმატიული დოკუმენტი, ქმნის კომერციული ბანკის საკრედიტო საქმიანობის ორგანიზების საფუძვლებს მისი სტრატეგიის შესაბამისად და წარმოადგენს დაკრედიტების პროცესის მარეგლამენტირებელი დოკუმენტების პაკეტის შემუშავების აუცილებელ პირობას. საკრედიტო პოლიტიკა აწესებს საკრედიტო საქმიანობის ფილოსოფიურ საფუძვლებსა და „თამაშის წესებს“, ხოლო საკრედიტო საქმიანობის დანარჩენი მარეგლამენტირებელი დოკუმენტები – მისი რეალიზაციის პრაქტიკულ მექანიზმებს.

კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკის მნიშვნელობას ისიც წარმოაჩენს, რომ, როგორც წესი, მას შეიმუშავებს უმაღლესი მენეჯმენტი, აღმასრულებელი ორგანო (დირექტორატი) ან საკრედიტო კომიტეტი და ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო. იერარქიული ვერტიკალით, საკრედიტო პოლიტიკის დამტკიცებით კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭო აღმასრულებელ ორგანოს უწესებს და უმტკიცებს დაკრედიტების სტანდარტებსა და კრიტერიუმებს, რომლებითაც უნდა ხელმძღვანელობდნენ ბანკის თანამშრომლები, ასევე განსაზღვრავს სტრატეგიული გადაწყვეტილების მიმღები პირების უფლებამოსილებებსა და საკრედიტო საქმიანობის ხარისხის, მისი რისკების მართვის კონტროლს.

შეიძლება ითქვას, კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკა – ესაა მისი საკრედიტო სტრატეგიისა და ტაქტიკის ერთობლიობა. ამასთან, თუკი სტრატეგია განსაზღვრავს კომერციული ბანკის ძირითად პრინციპებს, პრიორიტეტებსა და მიზნებს საკრედიტო ბაზარზე, ტაქტიკა – ბანკის მიერ თავისი მიზნების რეალიზაციისათვის საკრედიტო გარიგებათა განხორციელებისას გამოყე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნებულ კონკრეტულ ფინანსურ ინსტრუმენტებს, საკრედიტო პროცესის ხანგრძლივობის შორის, კონტროლის, ორგანიზების წესს.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკის შემუშავებასა და მის ცვლილებებზე გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი, რომლებიც შეიძლება დავაჯგუფოთ მაკროფაქტორებად და მიკროფაქტორებად.

საკრედიტო პოლიტიკაზე მოქმედი **მაკროფაქტორები** – ესაა ის ფაქტორები, რომლებზედაც კომერციულ ბანკს გავლენის მოხდენა არ შეუძლია:

- მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობა და მისი განვითარების ტენდენციები;
- მაკროეკონომიკური სიტუაცია ქვეყანაში და მისი განვითარების ტენდენციები;
- ქვეყნის ფულადი ბაზრის მიმდინარე მდგომარეობა და განვითარების ტენდენციები;
- კონკურენტი კომერციული ბანკების საკრედიტო პოლიტიკა.

საკრედიტო პოლიტიკაზე მოქმედი **მიკროფაქტორები** – ესაა ის ფაქტორები, რომლებზეც კომერციულ ბანკს უშუალო გავლენის მოხდენა შეუძლია, რაც მას საშუალებას აძლევს სრულყოს და დახვეწოს თავისი საკრედიტო პოლიტიკა:

- ბანკის საფილიალო ქსელის სიდიდე;
- ბანკის პერსონალის კვალიფიკაცია;
- პერსონალის უზრუნველყოფა შესაბამისი ტექნოლოგიური და ინფორმაციული საშუალებებით;
- ბანკის საპროცენტო პოლიტიკა;
- ბანკის რესურსული უზრუნველყოფა.

განვიხილოთ კომერციული ბანკის ტიპური საკრედიტო პოლიტიკა და მისი ელემენტები. რა თქმა უნდა, ქვემოთ წარმოდგენილი საკრედიტო პოლიტიკის სტრუქტურა პირობითია და იგი მაგალითის სახით გვაქვს მოყვანილი, მაგრამ მისი ძირითადი დებულებები, როგორც წესი, შედის ნებისმიერი კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკაში.

I. შესავალი

დოკუმენტის შესავალში საუბარია ბანკის საკრედიტო პოლიტიკაზე, ზოგადად, მის მნიშვნელობაზე, მისი შექმნის საკანონმდებლო საფუძველზე, ვის მიერაა შექმნილი და ვინ ამტკიცებს მას.

II. საკრედიტო პოლიტიკის პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები

საკრედიტო პოლიტიკის პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები ასახავენ ბანკის აქციონერთა და მენეჯმენტის სურვილს, მისი სტრატეგიიდან გამომდინარე, მიაწოდოს კლიენტებს მაღალი ხარისხის საკრედიტო პროდუქტების ფართო სპექტრი, შექმნას ჯანსაღი საკრედიტო პორტფელი, მოახდინოს შემოსავლების მაქსიმალიზაცია, უზრუნველყოს კონკურენტული უპირატესობის მოპოვება ბაზარზე და სხვ. საკრედიტო პოლიტიკის ამ ნაწილში აგრეთვე შეიძლება ნაჩვენები იყოს ეკონომიკის სამიზნე დარგები, სამიზნე რეგიონები, დაფინანსების წყაროები და ა.შ.

III. ბანკის საკრედიტო სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები

ეს თავი წარმოადგენს კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკის ერთ-

ერთ მთავარ ნაწილს, რომელშიც ხდება მისი ძირითადი სტრატეგიული მიმართულებების დემონსტრირება. აქ ჩამოყალიბებული და განსაზღვრულია:

- ბანკის სტრატეგია ბიზნესმიმართულებების მიხედვით – კორპორაციული, საშუალო, მცირე, საცალო, საინვესტიციო დაკრედიტება;
- საკრედიტო პროდუქტები;
- საქმიანობის ის სახეობები, რომელთაც არ აკრედიტებს ბანკი;
- მსესხებლების ამორჩევის ძირითადი პრინციპები;
- მიზნობრივი ჯგუფები და პრიორიტეტული მსესხებლები.

დაკრედიტების ბიზნესმიმართულებების ამორჩევა ხდება საკრედიტო პოლიტიკის მიზნებიდან გამომდინარე, იგი წარმოადგენს კომერციული ბანკის გრძელვადიანი სტრატეგიის ნაწილს.

IV. ბანკის საკრედიტო პორტფელის სტრუქტურის შეზღუდვა

საკრედიტო პოლიტიკის ამ ნაწილში ხდება კომერციული ბანკის საკრედიტო პორტფელის სტრუქტურის შეზღუდვა, დივერსიფიკაციის სურვილიდან გამომდინარე. შეზღუდვა შეიძლება დაწესდეს სხვადასხვა მიმართულების მიხედვით, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს საკრედიტო პორტფელის სტრუქტურა:

- ეკონომიკის დარგების მიხედვით;
- ვალუტების მიხედვით;
- ვადიანობის მიხედვით;
- ბიზნესმიმართულებების მიხედვით;
- პროდუქტების მიხედვით;
- უზრუნველყოფის მიხედვით;
- კრედიტის მოცულობის მიხედვით.

საკრედიტო პოლიტიკაში თითოეული ამ პოზიციის მიხედვით შეიძლება არსებობდეს პირდაპირი რაოდენობრივი (მოცულობითი) ან სტრუქტურული (პროცენტული) ლიმიტები. მაგალითად, საკრედიტო პოლიტიკა შეიძლება აწესებდეს ერთ მსესხებელზე გაცემული კრედიტის მაქსიმალურ ოდენობას, რომელიც არ უნდა იყოს 5 მლნ ლარზე მეტი, მშენებლობის დაფინანსებისათვის გაცემული კრედიტების საერთო მოცულობა არ უნდა იყოს მთლიანი საკრედიტო პორტფელის 15%-ზე მეტი ან საბლანკო (არაუზრუნველყოფილი) კრედიტების მაქსიმალური ხვედრითი წილი არ უნდა იყოს საცალო კრედიტების არა უმეტეს 20%-ისა და ა.შ.

V. უფლებამოსილებების განაწილება და დელეგირება

ამ ნაწილში იკვეთება ისეთი საკითხები, როგორებიცაა – საკრედიტო გადაწყვეტილებების კოლეგიალობა და კოლეგიალური ორგანოების იერარქიული სტრუქტურა. ამ სტრუქტურის სათავეში დგას ბანკის სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც ამტკიცებს ბანკის საკრედიტო პოლიტიკას, პერიოდულად ისმენს ანგარიშს საკრედიტო სტრატეგიის შესრულების მიმდინარეობის შესახებ. სამეთვალყურეო საბჭოს პრეროგატივაში შედის ასევე ბანკის ადმინისტრატორებისათვის კრედიტების დამტკიცება.

სამეთვალყურეო საბჭოს შემდეგ იერარქიულ საფეხურზე დგას დირექტორატი, რომელიც შეიმუშავებს საკრედიტო პოლიტიკას და პასუხისმგებელია მისი დაცვისა და შესრულებისათვის. დირექტორატი მართვას საკრედიტო პროცესებს, უზრუნველყოფს საკრედიტო რისკის მისაღებ დონეს და ახდენს

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლებამოსილებათა დელეგირებას ფილიალებისა და კოლეგიალური ორგანოებისათვის ლიმიტების დაწესებით. ბანკში, მისი სიდიდიდან გამომდინარე, შეიძლება არსებობდეს რამდენიმე საკრედიტო კოლეგიალური ორგანო – საკრედიტო კომიტეტი:

- დიდი საკრედიტო კომიტეტი – იხილავს მსხვილ საკრედიტო პროექტებს;
- მცირე საკრედიტო კომიტეტი – იხილავს საშუალო საკრედიტო პროექტებს;
- ფილიალის საკრედიტო კომიტეტი – იხილავს მცირე საკრედიტო პროექტებს.

უფლებამოსილებათა მსგავსი დელეგირება ხელს უწყობს საკრედიტო გადაწყვეტილებების ოპერატიულობას, მსესხებლებისათვის მაქსიმალური კომფორტის შექმნას, საკრედიტო პორტფელის სწრაფ ზრდასა და კონკურენტული უპირატესობის მოპოვებას. აღნიშნული განსაკუთრებით აქტუალურია მსხვილი კომერციული ბანკებისათვის ფილიალების ფართო ქსელით, სადაც შეუძლებელი იქნებოდა ერთ საკრედიტო კომიტეტს განეხილა ყველა საკრედიტო განაცხადი და მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

VI. დაკრედიტების პროცესი

ეს თავი ეხება საკრედიტო მიმართულების ყველაზე დინამიკურ ნაწილს – დაკრედიტების პროცესს. საკრედიტო პოლიტიკაში ჩამოყალიბებულია დაკრედიტების პროცესის ძირითადი ეტაპები, თითოეული მათგანის მიზანი და მნიშვნელობა.

VII. კრედიტის უზრუნველყოფა

საკრედიტო პოლიტიკის ამ ნაწილში აღწერილია კომერციული ბანკის პოლიტიკა მის მიერ გაცემული კრედიტების უზრუნველყოფის საკითხში. საუბარია ბანკის მოთხოვნებზე კრედიტის უზრუნველყოფისადმი და მის იმ სახეობებზე, რომელთაც ენიჭებათ უპირატესობა შეფასების მეთოდებსა და კრიტერიუმებზე.

VIII. რისკმენეჯმენტის როლი ბანკის საკრედიტო რისკების მართვაში

კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკის ამ ნაწილში ყურადღება მახვილდება ბანკის რისკების მართვის უმნიშვნელოვანეს როლზე საკრედიტო სტრატეგიის აღსრულებაში. ეს არის საკრედიტო პოლიტიკის ერთ-ერთი საკვანძო ნაწილი და მისი მნიშვნელობა ბოლო წლებში სულ უფრო იზრდება. საკრედიტო პოლიტიკაში ჩამოყალიბებული უნდა იყოს რისკმენეჯმენტის როლი და ფუნდამენტური მექანიზმები საკრედიტო რისკების იდენტიფიკაციის, შეფასებისა და კონტროლის საქმეში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა ეთმობოდეს კონტროლის მექანიზმებს საკრედიტო პროცესის სხვადასხვა ეტაპზე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საკრედიტო პოლიტიკის წარმოდგენილი სტრუქტურა არის ტიპური მაგალითი და კონკრეტული ბანკის შემთხვევაში იგი შეიძლება განსხვავებული იყოს. შეიძლება სახეზე გვქონდეს სხვა თანმიმდევრობა ან დამატებული იყოს რამდენიმე თავი, მაგალითად, საკადრო და ტექნოლოგიური საკითხები, ფასწარმოქმნის პრინციპები და სხვ. მაგრამ ყველა ბანკის საკრედიტო პოლიტიკისათვის საერთო არის ის, რომ იგი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ საბაზრო სიტუაციას და ხელს უნდა უწყობდეს იმ მექანიზმების ჩამოყალიბებასა და ნორმალურად ფუნქციონირებას, რომლებიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

უზრუნველყოფენ საკრედიტო პორტფელის საიმედოობას, სიჯანსაღესა და მომგებიანობას.

საბოლოოდ, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ საკრედიტო პოლიტიკა არის ის ფუნდამენტი, რომლის საფუძველზეც კომერციულ ბანკში იქმნება სახელმძღვანელოები, პროცედურები და სხვა მარეგლამენტირებელი დოკუმენტები საკრედიტო საქმიანობის ყველა ეტაპისა და პროცესისათვის.

13.3. კრედიტის უზრუნველყოფის ფორმები

ფაქტობრივად, ყველაზე სერიოზული პრობლემა, რომელთანაც კომერციულ ბანკებს აქვთ საქმე, არის მსესხებლის მხრიდან აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკი. ცხადია, ბანკის მენეჯმენტი ცდილობს მოახდინოს აღნიშნული რისკის მინიმიზაცია და ამ მიმართულებით ყველაზე ეფექტიანია კრედიტის დაფარვის უზრუნველყოფის სხვადასხვა ფორმის გამოყენება.

კრედიტის სრულად დაფარვის უზრუნველყოფა – ესაა კომერციული ბანკის რთული მიზანმიმართული საქმიანობა, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ, ორგანიზაციულ და სამართლებრივ ღონისძიებებს და ქმნის მსესხებლის მხრიდან აღებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების საფუძველს.

საბანკო საქმის მთელი ისტორიის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მსესხებლის მხრიდან კრედიტის დროულად და სრულად დაფარვის ვალდებულების აღება კონტრაქტზე ხელის მოწერით არ ნიშნავს მისი დაბრუნების გარანტირებას. არ არსებობს ისეთი მსესხებელი, რომელიც წარმატებული და ფინანსურად მდგარდი მდგომარეობის მიუხედავად, მეტ-ნაკლები ხარისხით არ იყოს დაკავშირებული რისკთან, მით უმეტეს, გრძელვადიან პერსპექტივაში. მართალია, მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასებით შესაძლებელია ამ რისკის მინიმიზაცია, მაგრამ მისი საერთოდ გამორიცხვა შეუძლებელია.

აქედან გამომდინარე, კრედიტის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე ბანკი ცდილობს განსაზღვროს გაცემული ფინანსური რესურსების დაფარვის წყაროები და მისი დროულად და სრულად დაბრუნების გარანტირების მექანიზმები. საბანკო პრაქტიკაში ცნობილია კრედიტის დაფარვის ორი წყარო: პირველადი და მეორადი.

კრედიტის დაფარვის პირველადი წყარო – ესაა ამონაგები პროდუქციის რეალიზაციიდან ან მომსახურების გაწევა იურიდიული პირის შემთხვევაში და ხელფასი და სხვა შემოსავლები – ფიზიკური პირის შემთხვევაში. საბანკო საქმის ოქროს წესია, რომ კრედიტი გაიცეს მხოლოდ მისი დაფარვის პირველადი წყაროს არსებობისა და მსესხებლის მხრიდან მათი დადასტურების შემთხვევაში. ამიტომ, მსესხებლის საკრედიტო განაცხადის შესწავლისას ყურადღება მახვილდება ფულადი ნაკადების ანალიზზე. თუკი კომერციულ ბანკს უჩნდება ეჭვი, მსესხებლის ფულადი ნაკადების პერსპექტივასთან, ანუ კრედიტის დაფარვის პირველად წყაროსთან დაკავშირებით, იგი უარს ამბობს მის დაფინანსებაზე.

კრედიტის დაფარვის პირველადი წყაროს არსებობისა და მისი დადასტურების შემთხვევაში კი, როგორც წესი, ბანკს შეუძლია მოითხოვოს მსესხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბლისაგან კრედიტის დაფარვის მეორადი წყარო. კრედიტის დაფარვის მეორად წყაროდ განიხილება ყველა საშუალება, რაც კი მოქმედი კანონმდებლობით არის შესაძლებელი.

კრედიტის დაფარვის მეორადი წყარო გვევლინება გარანტად იმისა, რომ ბანკმა შეძლოს მის მიმართ არსებული ვალდებულებების დაკმაყოფილება კრედიტის დაფარვის პირველადი წყაროს შეწყვეტის ან შემცირების შემთხვევაში. კრედიტის დაფარვის მეორადი წყარო შეიძლება იყოს მსესხებლის კუთვნილი ქონების რეალიზაცია, თავდებისა და გარანტორის სახსრები, ასევე სადაზღვევო კომპანიის ანაზღაურება.

კრედიტის დაფარვის მეორადმა წყარომ უნდა უზრუნველყოს არა მარტო კრედიტის ძირითადი თანხის, არამედ გადაუხდელი პროცენტებისა და პირგასამტეხლოს დაფარვა და მისი რეალიზაციისას კრედიტორს ენიჭება უპირატესი უფლება სხვა კრედიტორებთან შედარებით, რათა დაიკმაყოფილოს მსესხებლის მხრიდან შეუსრულებელი ვალდებულებები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით (მუხლი 416), „მხარეებს შეუძლიათ ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად ხელშეკრულებით გაითვალისწინონ დამატებითი საშუალებებიც: პირგასამტეხლო, ბე და მოვალის გარანტია“.

საბანკო პრაქტიკის შესაბამისად, შეიძლება განვიხილოთ კრედიტის დაბრუნებითობის უზრუნველყოფის მეორადი წყაროს შემდეგი ძირითადი ფორმები:

1) გირაო;
2) თავდებობა;
3) გარანტია;
4) მოთხოვნის უფლების დათმობა (ცესია);
5) საკუთრების უფლების გადაცემა.

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

1) გირაო. გირაო წარმოადგენს კრედიტის დაფარვის ერთ-ერთ უმთავრეს მეორად წყაროს, რომელიც აიძულებს მსესხებელს, ვადაში და სრული მოცულობით შეასრულოს თავის ვალდებულებები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით (მუხლი 254), გირავნობა – ესაა, „მოვალის ან მესამე პირის მოძრავი ნივთი ან/და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომლის გადაცემაც სხვა პირთათვის დასაშვებია, შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ფულადი ისე არაფულადი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად ისე, რომ კრედიტორი (მოგირავნე) იძენს უფლებას, დაიკმაყოფილოს მოთხოვნა დაგირავებული ქონების (გირავნობის საგნის) ხარჯზე მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში“.

გირაოს საგანი შეიძლება იყოს მოძრავი და უძრავი ქონება (იპოთეკა), ფასიანი ქაღალდები, საქონელი ბრუნვაში, ძვირფასეულობა და ანტიკვარული ნივთები. იმისათვის, რომ ქონებას დაერქვას „გირაო“, იგი უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ კრიტერიუმებს:

- **საკუთრების უფლება გირაოს საგანზე**, რაც გულისხმობს, რომ უნდა არსებობდეს შესაბამისი იურიდიული დოკუმენტაცია ქონებრივ უფლებაზე;
- **ფულადი შეფასების უნარი** გულისხმობს, რომ უნდა არსებობდეს გირაოს საგნის ობიექტური, საბაზრო ღირებულების დადგენის შესაძლებლობა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

- **გასხვისების უნარი** გულისხმობს, რომ იურიდიულად უნდა დგინდებოდეს გირაოს საგანზე სხვა გირაოთა არარსებობა ან თუ ასეთი არსებობს, ქონების საბაზრო ღირებულება საკმარისი უნდა იყოს ახალი და ძველი ვალდებულებების გასასტუმრებლად;
- **გირაოს საგნის ლიკვიდობა** გულისხმობს გირაოს საგნის საბაზრო ღირებულებად გონივრულ ვადაში რეალიზაციის უნარს;
- **გირაოს საგნის დაზღვევის შესაძლებლობა** გულისხმობს სადაზღვევო ბაზრის განვითარების შესაბამისი განვითარების დონეს, რათა საჭიროების შემთხვევაში მოხდეს მისი დაზღვევა;
- **ხანგრძლივად შენახვის უნარი** გულისხმობს იმას, რომ იგი არ უნდა იყოს მალფუჭადი და უნდა არსებობდეს მის შენახვის შესაძლებლობა მინიმუმ კრედიტის ვადის გასვლამდე;
- **გირაოს საგნის მონიტორინგის შესაძლებლობა** ნიშნავს იმას, რომ ბანკს უნდა ჰქონდეს გირაოს საგნის არსებობის და, შესაბამისად, დაცულობის მონიტორინგის შესაძლებლობა;
- **საკმარისობა,** ანუ გირაოს საგანი უნდა უზრუნველყოფდეს არა მარტო კრედიტის ძირითადი თანხის, არამედ გადაუხდელი პროცენტებისა და პირგასამტეხლოს დაფარვას.

იმის მიხედვით, თუ ვისთან უნდა ინახებოდეს გირაოს საგანი, გირაო იყოფა ორ ჯგუფად:

- **გირაოს საგანი რჩება მფლობელის სარგებლობაში**. როგორც წესი, დაგირავებული ქონება რჩება მფლობელთან, თუ, რა თქმა უნდა, ხელშეკრულებით სხვა რამე არაა განსაზღვრული. როგორც წესი, მფლობელის სარგებლობაში რჩება იპოთეკით დატვირთული ქონება და საბრუნავი საშუალებები. იპოთეკა, ანუ დაგირავებული ქონების იპოთეკით დატვირთვა, ესაა გირაოს ერთ-ერთი ფორმა, რომლის დროსაც დაგირავებული ქონება რჩება მფლობელთან, ხოლო კრედიტორი (ბანკი) მსესხებლის მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში იღებს არსებული ქონების რეალიზაციის საფუძველზე მისი მოთხოვნების დაკმაყოფილების უფლებას. აღნიშნული ეხება მიწის ნაკვეთებს, შენობა-ნაგებობებს, სხვა საწარმოო საშუალებებს, ასევე საცხოვრებელ სახლებსა და ბინებს, ავტომანქანებს და ა. შ. ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ იპოთეკა და იპოთეკური კრედიტი. იპოთკური კრედიტი – ესაა იპოთეკური სისტემის შემადგენელი ნაწილი, რომლის დროსაც უძრავი ქონების შესაძენად აღებული კრედიტის უზრუნველსაყოფად (იპოთეკად) გვევლინება თვითონ ეს ქონება;
- **გირაოს საგანი გადაეცემა კრედიტორს ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.** არსებული პრაქტიკა ცალკეულ შემთხვევებში ფიქსირდება და, ბუნებრივია, ძირითადად, ეხება მოძრავ საგნებს, როგორებიცაა: ავტომობილი, ანტიკვარული ნივთები, ძვირფასი ლითონები, ფასიანი ქაღალდები, ასევე მსესხებლის დეპოზიტები.

საბოლოოდ, უნდა ითქვას, რომ კრედიტი უძრავი ქონების გირავნობით საბანკო დაკრედიტების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და მიმზიდველი პრაქტიკაა.

2) თავდებობა წარმოადგენს კრედიტის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანეს ფორმას, რომლის დროსაც ქონებრივ პასუხისმგებლობას კრედი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტის დაფარვისათვის საკუთარ თავზე იღებს მესამე პირი. აღნიშნული მექანიზმი ბანკებს აძლევს ერთ კრედიტზე ორი დებიტორის არსებობის შესაძლებლობას, რომლის დროსაც სამართლებრივი ურთიერთობა ბანკსა და მსესხებელს შორის ხდება გარიგების ძირითადი, ხოლო ბანკსა და თავდებს შორის – დამატებითი უზრუნველყოფა. ბუნებრივია, ამ დროს კრედიტი ფორმდება ორი – საკრედიტო და თავდებობის ხელშეკრულებებით.

თავდებობა – ესაა ხელშეკრულება თავმდების ცალმხრივი ვალდებულებით, რომლითაც იგი კრედიტორის (ბანკის) წინაშე იღებს ვალდებულებას, აუცილებლობის შემთხვევაში დაფაროს მსესხებლის დავალიანება. რა თქმა უნდა, მესამე პირის თავდებობას ბანკი მიიღებს ამ უკანასკნელის გადამხდელუნარიანობის შემთხვევაში, ამასთან, იგი უნდა იყოს კარგი რეპუტაციის და სოლიდური პირებისაგან. თავმდები შეიძლება იყოს როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირი.

3) გარანტია თავდებობისაგან განსხვავდება იმით, რომ იგი არაა ძირითადი გარიგების დამატებითი აქტი, არამედ არის გარანტის ვალდებულება, გადაიხადოს განსაზღვრული თანხა საგარანტიო შემთხვევის დადგომისას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით (მუხლი 879), „საბანკო გარანტიის ძალით ბანკი, სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო ორგანიზაცია (გარანტი) სხვა პირის (პრინციპალის) თხოვნით კისრულობს წერილობით ვალდებულებას, რომ ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად გადაუხდის პრინციპალის კრედიტორს (ბენეფიციარს) ფულად თანხას გადახდის შესახებ ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე“.

საბანკო პრაქტიკაში ხშირად კრედიტის მიღებისას მსესხებელს უწევს, წარადგინოს სხვა ბანკის, საკრედიტო ორგანიზაციის ან სადაზღვევო კომპანიის გარანტია. მსესხებლის მხრიდან გარანტორის მიმართ გარანტიის უზრუნველსაყოფად შეიძლება მოგვევლინოს მისი ფულადი სახსრები (დაჯავშნილი დეპოზიტი) ან სხვა საკუთარი სახსრები. საბანკო გარანტიის გამოყენება ხდება ასევე ბანკის კლიენტის მიერ კონტრაგენტთან ბიზნესგარიგების დროს, მაგალითად, იმ შემთხვევაში, როცა იგი მონაწილეობს ტენდერში, რომლის პირობებშიც შედის საბანკო გარანტიის წარმოდგენა. რა თქმა უნდა, საბანკო გარანტიის გამცემი (გარანტორი) იღებს გარკვეულ საფასურს საგარანტიო წერილის გაცემისას.

4) მოთხოვნის უფლების დათმობა (ცესია) – ესაა მსესხებლის (ცედენტი) დოკუმენტი, რომლის ძალითაც იგი კრედიტორს (ბანკი) უთმობს თავის მოთხოვნას მესამე პირებისადმი (დებიტორული დავალიანება) აღებული კრედიტის უზრუნველსაყოფად.

მსესხებლის მხრიდან აღებული ვალდებულების უზრუნველყოფის სამართლებლივი საფუძვლის შესაქმნელად ხელშეკრულება ცესიის შესახებ არის საკრედიტო ხელშეკრულების დამატება. ცესია შეიძლება ორი ტიპისა იყოს: მესამე მხარისადმი (დებიტორი) მოთხოვნის დათმობის შესახებ შეტყობინებით და შეტყობინების გარეშე.

5) საკუთრების უფლების გადაცემას, როგორც კრედიტის უზრუნველყოფის ფორმას, ვხვდებით იმ შემთხვევაში, როცა მოძრავი ქონება რჩება მსესხებელთან, იგი მოიხმარს მას, მაგრამ მისი საკუთრების უფლება გადაცემულია კრედიტორზე აღებული ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა თქმა უნდა, საკუთრების უფლების ხელშეკრულების გაფორმებამდე ბანკი რწმუნდება, რომ მსესხებელი ნამდვილადაა ქონების მესაკუთრე, მაგრამ ეს არ გამორიცხავს ყველა რისკს, ვინაიდან კრედიტორი დიდადაა დამოკიდებული იმ მსესხებლის პატიოსნებაზე, რომელთანაც რჩება ქონება. ამ რისკისაგან თავის დასაღწევად ბანკები აღნიშნული ქონების საბაზრო ღირებულებაზე მნიშვნელოვნად ნაკლებ თანხას გასცემენ კრედიტის სახით. მეორე მექანიზმი, რითაც ბანკები ახდენენ რისკის შემცირებას, არის მსესხებლის მფლობელობაში დარჩენი ქონების დაზღვევა.

ზოგადად, კრედიტის უზრუნველყოფის სხვადასხვა ფორმის დროს, რისკების შესამცირებლად ბანკები ხშირად იყენებენ როგორც დაგირავებული ქონების, ისე მსესხებლის ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევისაგან დაზღვევის პრაქტიკას. დაზღვევის პოლისის ღირებულების ანაზღაურება ხდება ან ბანკის, ან მსესხებლის მიერ.

გარდა ამისა, ცალკეულ შემთხვევებში გაცემული კრედიტის უზრუნველსაყოფად შეიძლება გამოყენებულ იქნეს უზრუნველყოფის არა ერთი, არამედ ერთდროულად რამდენიმე ფორმა, რასაც შერეული უზრუნველყოფა ეწოდება.

13.4. საბანკო პროცენტი და მის დონეზე მოქმედი ფაქტორები. საპროცენტო მარჟა

პროცენტი – ესაა მოგების ნაწილი, რომელსაც მსესხებელი უხდის კრედიტორს მისგან დროებით სარგებლობაში მიღებული სასესხო კაპიტალის სანაცვლოდ. პროცენტის წყაროდ გვევლინება სასესხო კაპიტალის სამეწარმეო პროცესში შექმნილი დამატებითი ღირებულება. მეწარმე სუბიექტის მიერ სასესხო კაპიტალის გამოყენებით მიღებული მოგება ორ ნაწილად იყოფა: პროცენტი, რომელსაც ის იხდის სასესხო კაპიტალის სარგებლობისათვის და მოგება, რომელიც რჩება მის მფლობელობაში.

საბანკო პროცენტი არის სასესხო პროცენტის სახეობა და ჩნდება მაშინ, როცა საკრედიტო ურთიერთობების ერთ-ერთ სუბიექტს წარმოადგენს ბანკი. საბანკო პროცენტი სხვადასხვა ფორმით გვევლინება, ეს ფორმებია: სადეპოზიტო პროცენტი, პროცენტი კრედიტებზე, მათ შორის, ბანკთაშორის კრედიტებზე, პროცენტი ფასიან ქაღალდებზე და ა.შ.

ჩვენი დღევანდელი რეალობისათვის საბანკო პროცენტი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს მაკროეკონომიკურ მაჩვენებელს, რომლის სიდიდე და ცვლილება ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც ბანკირებისათვის, ფინანსისტებისათვის, ინვესტორებისა და ანალიტიკოსებისათვის, ასევე მეწარმეებისა და უბრალო მოქალაქეებისათვის. საქმის ასეთი ვითარება ბუნებრივია: საბანკო საპროცენტო განაკვეთი – ესაა მთავარი ფასი, ეროვნული ეკონომიკის მდგომარეობის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელი. საბანკო პროცენტი არის მაკრო- და მიკროეკონომიკის რეგულირების სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვნესი ინსტრუმენტი, რომელიც თავისი მნიშვნელობითა და სიმარტივით აღემატება ეკონომიკაზე ზემოქმედების სხვა ინსტრუმენტებს.

რა თქმა უნდა, კომერციული ბანკები თავისი ნება-სურვილით ვერ აწესებენ თავიანთი საკრედიტო პროდუქტის ფასს, ანუ მისაღები პროცენტის ოდე-

ნობას. თუ კომერციული ბანკი ბაზარზე გამოიტანს საკრედიტო პროდუქტს, ბაზროზე მნიშვნელოვნად მაღალი ფასით, იგი არ გაიყიდება, მნიშვნელოვნად დაბალი ფასის შემთხვევაში კი არადამაკმაყოფილებელი იქნება მისი ფინანსური შედეგები. კონკრეტული კომერციული ბანკის საკრედიტო პროდუქტის ფასი, ანუ საპროცენტო განაკვეთი კონკურენტუნარიანი უნდა იყოს (თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად პროდუქტის ფასი ერთადერთი განმსაზღვრელი არაა). საბანკო პროცენტის, ამ ერთი შეხედვით მარტივი მაჩვენებლის, დონეზე უამრავი ფაქტორი ახდენს გავლენას, რომლებიც შეიძლება სამ ძირითად ჯგუფად დავყოთ: 1) გარე ფაქტორები, 2) ქვეყნის ფაქტორები და 3) საბანკო სისტემის ფაქტორები (იხ. ნახ. №13.1.). მოკლედ განვიხილოთ და დავახასიათოთ თითოეული მათგანი:



ნახ. №13.1. საბანკო პროცენტების ნაციონალურ სისტემაზე მოქმედი ფაქტორები

1) გარე ფაქტორებში შედის ის ფაქტორები, რომლებიც ქვეყნის გარედან ახდენენ გავლენას ნებისმიერი საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნის საბანკო პროცენტის განაკვეთის დონეზე. აქ შედის შემდეგი ფაქტორები:

- **მდგომარეობა კაპიტალის საერთაშორისო ბაზრებზე** – ესაა კაპიტალის, განსაკუთრებით კი – საკრედიტო რესურსების მსხვილი საერთაშორისო ბაზრები. მათ შორის ყველაზე მეტად ცნობილია საკრედიტო რესურსების ლონდონური ბანკების ბანკთაშორისო ბაზარი, სადაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაფიქსირებული განაკვეთები სხვადასხვა ვადიან რესურსზე (1-, 3-, 6- და 12-თვიანი) ცნობილია, როგორც LIBOR, პარიზული ბაზრების საკრედიტო რესურსების ბაზარი (PIBOR) და ნიუ-იორკის ბანკების საკრედიტო რესურსების ბაზარი (NIBOR).

ეს ბაზრები არიან ძალიან მგრძნობიარენი მსოფლიო საბაზრო კონიუნქტურის ცვლილებისადმი, ხოლო, თავის მხრივ, ისინი გავლენას ახდენენ სხვა ქვეყნებში საბანკო პროცენტების განაკვეთების დონეზე. უფრო მეტიც, ბევრ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოშიც, როგორც ბანკთაშორისი, ისე საბანკო კრედიტის პროცენტი, შეიძლება მიბმული იყოს გარკვეულ მაჩვენებლებზე, მაგალითად, LIBOR+3%. დღევანდელი ფინანსური გლობალიზაციის პირობებში ამ ფაქტორის გავლენა მეტად დიდია და იგი სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება.

- **რეგიონის პოლიტიკური და ეკონომიკურ რისკები,** ანუ რეგიონში (გეოპოლიტიკური თვალსაზრისით) განვითარებული დადებითი თუ უარყოფითი პოლიტიკური და ეკონომიკური ტენდენციები, მათთან დაკავშირებული რისკები და მოლოდინები პირდაპირ გავლენას ახდენენ რეგიონში არსებული ქვეყნების საბანკო საპროცენტო განკვეთებზე. შესაბამისად, მათი გავლენაც ადეკვატურია – რისკების ზრდა ან მათი ზრდის მოლოდინი იწვევს საბანკო პროცენტების გაზრდას და პირიქით.
- **ინვესტიციები**, რომლებიც შემოედინება ქვეყანაში, დადებით გავლენას ახდენენ საბანკო პროცენტების დონესა და დინამიკაზე.

2) **ქვეყნის ფაქტორებში** შედის ის მაკროეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც არის კონკრეტული ქვეყნისათვის დამახასიათებელი და განპირობებულია მისი ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობით კონკრეტული პერიოდისათვის.

- **ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის** გავლენა საბანკო სისტემასა და, შესაბამისად, საბანკო პროცენტის დონეზე, არის უმნიშვნელოვანესი. აღნიშნული გავლენა გამოიხატება ქვეყნის ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მონეტარულ ინსტრუმენტებით (მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები, რეფინანსირების განაკვეთი, ანუ სააღრიცხვო პოლიტიკა და ოპერაციები ღია ბაზარზე).

მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ნორმის ზრდა ნიშნავს ბანკებიდან უფრო მეტი სახსრების ამოღებასა და მათ ცენტრალურ ბანკში ამ ბანკების სპეციალურ ანგარიშზე „გაყინვას“, რაც, ბუნებრივია, იწვევს რესურსების ნაკლებობასა და მათ გაძვირებას. პირიქით, ნორმის შემცირება მათ სიჭარბესა და გაიაფებას განაპირობებს.

რეფინანსირების, ანუ სააღრიცხვო განაკვეთის, შემცირება იწვევს კომერციული ბანკების მიერ ცენტრალურ ბანკში ასაღები საკრედიტო რესურსის გაიაფებას, რაც, ბუნებრივია, რესურსის გაიაფებას, ანუ საბანკო პროცენტის შემცირებას იწვევს. შესაბამისად, რეფინანსირების განაკვეთის ზრდა საბანკო პროცენტის გაზრდის სტიმულატორია.

ანალოგიურად, ოპერაციები ღია ბაზარზე, ანუ ცენტრალური ბანკების მიერ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ყიდვა და გაყიდვა, ასევე რეპო ოპერაციების განხორციელება, ამცირებს ან ზრდის ფულად მასას მიმოქცევაში, რითაც ასტიმულირებს საბანკო პროცენტების ზრდას ან შემცირებას.

- **ეროვნული ეკონომიკის ღიაობა**, ანუ ქვეყანაში უცხოური კაპიტალის თავისუფალი შემოსვლის მაღალი ხარისხი, ექსპორტ-იმპორტის თავისუფალი რეჟიმი დადებით გავლენას ახდენს საბანკო პროცენტის სტაბილურ დონეზე.
- **ინფლაციური მოლოდინი** არსებითი ფაქტორია, რომელიც მნიშვნელოვან გავლენს ახდენს საბანკო პროცენტის დონეზე, განსაკუთრებით ეს ეხება საპროცენტო განაკვეთებს ეროვნულ ვალუტაში. იმის გამო, რომ ინფლაციის გავლენით კრედიტორისადმი დაბრუნებული რესურსის რეალური ღირებულება შეიძლება შემცირებული აღმოჩნდეს, ბანკები კრედიტების გაცემისას პროცენტის გაზრდით ახდენენ მოსალოდნელი დანაკარგების თავიდან აცილებას. ბუნებრივია, იგივე მოტივი ამოძრავებთ მათ, ვინც ახდენს ბანკებში ფულადი სახსრების განთავსებას.
- **ვალუტის გაცვლითი კურსი** და მისი მერყეობა ასევე დიდ გავლენას ახდენს საბანკო კრედიტის დონეზე, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც მაღალია დოლარიზაციის დონე. ასეთი ქვეყნების რიგს მიეკუთვნება საქართველო.
- **ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება**, როგორც საბანკო დაკრედიტების ალტერნატივა, ასევე დიდ გავლენას ახდენს საბანკო პროცენტზე. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო და კორპორაციული ფასიანი ქაღალდების ორგანიზებული ბაზრისა და ფულად-საკრედიტო ბაზრის ძირითადი პარამეტრები – შემოსავლიანობა და ოპერაციების მოცულობა პირდაპირ უკავშირდება ერთმანეთს.
- **პოლიტიკური და ეკონომიკური რისკები,** როგორც ინვესტიციების, ბიზნესის განვითარების, უცხოური კაპიტალის შემოდინების, ფასიანი ქაღალდების განვითარებისა და ა.შ. მნიშვნელოვანი ხელის შემშლელი ფაქტორებია, ამდენად მათი გავლენა საბანკო პროცენტების დონეზე, ბუნებრივია, მაღალია. ამ რისკების დონე და ხარისხი აისახება სხვადასხვა სარეიტინგო სააგენტოების შეფასებებსა და რეიტინგებში [21].
- **საგადამხდელო ბალანსის მდგომარეობა** – ესაა მისი საგარეო-ეკონომიკური ოპერაციების ნაერთი მაჩვენებლის სურათი, რომელიც ასახავს ქვეყნის საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობის ხარისხს, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მასშტაბებს. ბუნებრივია, მისი მდგომარეობა, განსაკუთრებით კი, შესაბამისობა, ექსპორტსა და იმპორტს, უცხოური ვალუტის შემოდინება-გადინებას შორის, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის საბანკო კრედიტის დონეზე.
- **დაბეგვრის სისტემა** დიდ გავლენას ახდენს კომერციული ბანკის საბოლოო ფინანსური შედეგის – წმინდა მოგების ფორმირებაზე. დასაბეგრი ბაზის, გადასახადის განაკვეთის თუ გადახდის რეჟიმის ცვლილე-

21 სარეიტინგო სააგენტოები – ესაა კომერციული ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ ემიტენტების გადამხდელუნარიანობის, კორპორაციული მართვის ხარისხის, აქტივების მართვის ხარისხის და სხვ. შეფასებას. მათი მთავარი „პროდუქტია" გადამხდელუნარიანობის შეფასება, ანუ საკრედიტო რეიტინგის (გრძელვადიანი და მოკლევადიანი) მინიჭება ქვეყნისთვის, ბანკისთვის ან სხვა კომპანიისთვის. ასევე ხდება გრძელვადიანი და მოკლევადიანი პროგნოზების გაკეთება. ემიტენტისათვის მინიჭებული საკრედიტო რეიტინგი ასახავს სავალო ვალდებულების ვერგადახდის რისკს და გავლენას ახდენს სავალო ვალდებულების საპროცენტო განაკვეთზე, ფასსა და შემოსავლიანობაზე. შესაბამისად – უფრო მაღალი რეიტინგი გადაუხდელობის უფრო ნაკლები რისკის მანიშნებელია. ცნობილი საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიების „დიდ სამეულში" შედიან: Fitch Ratings, Moody's და Standard & Poor's.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბამ შეიძლება მნიშვნელოვნად გააუარესოს (ან გააუმჯობესოს) ბანკის ფინანსური მაჩვენებლები, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს მათ რეაქციას, მოახდინონ აღნიშნულის კომპენსირება თავიანთი მომსახურების, ანუ საბანკო კრედიტების გაძვირებით (ან გაიაფებით).

3) საბანკო სისტემის ფაქტორები ის ფაქტორებია, რომლებიც უშუალოდ ქვეყნის საბანკო სისტემის შიგნითაა კონცენტრირებული და დიდადაა დამოკიდებული მის ისტორიაზე, ტრადიციებზე, განვითარების დონეზე, მის როლზე ქვეყნის ეკონომიკაში და ა.შ. ამ ფაქტორებს შორის უმნიშვნელოვანესია:

- საკრედიტო რესურსების მოთხოვნა-მიწოდება არის უმთავრესი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს საბანკო პროცენტის ნორმას. ფულადი რესურსების მოთხოვნა-მიწოდებას, თავის მხრივ, საბაზრო ეკონომიკის პირობებში რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავს (არსებული რისკები, ეკონომიკის ციკლურობა, საკანონმდებლო ბაზა და ა.შ.). ეკონომიკური რეცესიებისა და კრიზისების დროს, როგორც წესი, მოთხოვნა საკრედიტო რესურსებზე მცირდება, ხოლო აღმავლობის დროს იზრდება და თუკი ამ დროს არ ხდება შესაბამისი მიწოდება, საპროცენტო განაკვეთები იზრდება;
- **კონკურენციის დონის,** როგორც საბანკო პროცენტის განაკვეთზე მოქმედი ფაქტორის გავლენა, დამოკიდებულია კონკრეტული ქვეყნის საბანკო სისტემის სპეციფიკაზე, მასში ძალთა განლაგებაზე. იმ ქვეყნებში ან რეგიონში, სადაც რომელიმე ბანკი არის მონოპოლისტი ფულად ბაზარზე ან რომელიმე საკრედიტო პროდუქტზე, იგი ფლობს უპირატესობას, გავლენა მოახდინოს მისთვის ხელსაყრელ პირობებზე, მათ შორის, საბანკო პროცენტზე;
- **უცხოური საბანკო კაპიტალის მონაწილეობის ხარისხი** მეტად მნიშვნელოვანია გამომდინარე იქიდან, რომ იგი ზდის კონკურენციას საბანკო ბაზარზე და რესურსების დეფიციტის ოპერატიულ აღმოფხვრას უწყობს ხელს.

ზემოთ აღნიშნული ფაქტორები გავლენას ახდენენ ზოგადად ქვეყანაში არსებულ საბანკო საპროცენტო განაკვეთების დონეზე. რაც შეეხება კონკრეტულ შემთხვევებს, ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად, საბანკო კრედიტის დონეზე გავლენას ახდენს ცალკეული კომერციული ბანკის ფაქტორები, კერძოდ, მისი სტრატეგიული მიზნები, ადგილი და როლი საბანკო სისტემაში, მენეჯმენტის ხარისხი და ა.შ.

ამასთან, საბანკო პროცენტის ოდენობა კონკრეტულ შემთხვევებში განსხვავებულია როგორც პასიური, ისე აქტიური ოპერაციების მიხედვით. პასიური ოპერაციების დროს იგი დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა: რესურსის ვადა და პირობები, ბანკის კრედიტორის ტიპი, ბანკის ფინანსური მდგრადობა, მისი კაპიტალის მოცულობა და იმიჯი. საბანკო პროცენტები აქტიური ოპერაციების კონკრეტულ შემთხვევებში დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა: განთავსების ვადები და პირობები, მსესხებლის ტიპი, კრედიტის უზრუნველყოფა, დაბრუნების პირობები, მიზნობრიობა და ა.შ.

თუ მოვახდენთ გარკვეულ კლასიფიკაციას, თითოეული კონკრეტული გარიგებისას კომერციული ბანკის მიერ პროცენტის ნორმის გაანგარიშების დროს მხედველობაში მიიღება შემდეგი ფაქტორები:

- საბაზო საპროცენტო განაკვეთი, რომელიც გაიანგარიშება მოზიდული რესურსების რეალური ფასის საფუძველზე;
- ბანკის სხვა საკუთარი ხარჯები;
- საკრედიტო ოპერაციების მიხედვით მომგებიანობის გეგმური ნორმა;
- რისკის ფაქტორი, რომელშიც შედის:
  - მსესხებლის კრედიტუნარიანობა;
  - უზრუნველყოფის მოცულობა და ხარისხი;
  - კრედიტის ვადა;
  - მსესხებლისა და ბანკის თანამშრომლობის ისტორია და ხარისხი.

სწორედ აღნიშნული გარემოება განაპირობებს იმას, რომ ბანკების მიერ ცალკეულ საკრედიტო პროდუქტებზე ფასი ცხადდება არა ერთი ნიშნულით, მაგალითად, 17%-ით, არამედ გარკვეული დაიპაზონით, ვთქვათ „15%-დან" ან „15%-24%". ეს იმას ნიშნავს, რომ ბანკი თავისი საკრედიტო პროდუქტების გაყიდვას აპირებს არა პრინციპით – „ყველას ერთნაირ ფასად", არამედ ინდივიდუალური მიდგომით. ამ ინდივიდუალური მიდგომის საფუძველს წარმოადგენს ის რისკები, რომელთა აღებასაც აპირებს ბანკი საკუთარ თავზე კონკრეტული კრედიტის გაცემისას. კრედიტის გაცემის ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სხვადასხვაა ამ კრედიტის არდაფარვის რისკი, შესაბამისად, განსხვავებულია მათი ფასიც, რომელიც მათთან დაკავშირებული რისკების ადეკვატურია.

კომერციული ბანკები აწესებენ საპროცენტო განაკვეთებს თავიანთი ქვეყნების ცენტრალური ბანკის რეფინანსირების განაკვეთზე ორიენტაციით. მსგავსი პრაქტიკა პირდაპირი მნიშვნელობით უკვე საქართველოშიც დაინერგა საშუალო და გრძელვადიან კრედიტებზე (მაგალითად, იპოთეკურ სესხებზე). ასეთი საპროცენტო განაკვეთის სტრუქტურაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ანაბრების პროცენტები, ანუ ყველაზე ძვირიანი მოზიდული რესურსის ფასი. პროცენტები, რომელთაც ბანკები უხდიან თავიანთ მეანაბრეებს, ყოველთვის მნიშვნელოვნად ნაკლებია გაცემული კრედიტების ფასზე. ამ სხვაობის საფუძველზე ფორმირდება საბანკო მოგების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი და წყარო – საპროცენტო მარჟა. **საპროცენტო მარჟა (სპრედი)** – ესაა სხვაობა შემოსავლების მომტანი აქტივებისა და ხარჯიანი პასივების საშუალო შეწონილ საპროცენტო განაკვეთებს შორის. როგორც გვახსოვს, აღნიშნული კოეფიციენტი უკვე განვიხილეთ გასულ მასალაში (ფორმულა 10.7). რაც მეტია საპროცენტო მარჟა, მით მეტია ბანკის მოგება და რენტაბელობა.

ასევე არსებობს საპროცენტო მარჟის განმარტებისა და გაანგარიშების სხვა ალტერნატივებიც. ხშირად საპროცენტო მარჟა, უფრო სწორად – **წმინდა საპროცენტო მარჟა,** განიმარტება, როგორც სხვაობა პროცენტულ შემოსავალსა და პროცენტულ ხარჯებს შორის (წმინდა საპროცენტო შემოსავალი), შეფარდებული შემოსავლების მომტანი აქტივების ან მთლიანი აქტივების საშუალო მოცულობასთან, გამოსახული პროცენტებით. აღნიშნული კოეფიციენტი ასევე განხილულ იქნა გასულ მასალაში (ფორმულა 10.4).

როგორც აღინიშნა, საპროცენტო მარჟა არის ბანკის წარმატებული საქმიანობის, მისი რენტაბელობის სურათის ამსახველი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი. შეიძლება არსებობდეს საპროცენტო მარჟის გაზრდის ორი გზა:

- **საპროცენტო შემოსავლების ზრდა,** რომელთა შორის არის საკრედიტო დაბანდების მოცულობისა და სტრუქტურის ცვლილება. სტრუქტურული ცვლილებები შეიძლება შეეხებოდეს ვადიანობას, ვალუტებს, საკრედიტო პროდუქტებს, ქვეყნის რეგიონებსა და ა.შ.;

- **საპროცენტო ხარჯების შემცირება,** რაც გულისხმობს მოზიდული რესურსების მართვას, ახალი, უფრო იაფი წყაროების მოძიებას, რაც ასევე გულისხმობს მოზიდული სახსრების პორტფელის სტრუქტურულ ცვლილებებს.

როგორც ცნობილია, მაღალი საპროცენტო განაკვეთებით ხასიათდება უფრო რისკიანი საბანკო საკრედიტო პროდუქტები, ამიტომ კომერციული ბანკის საპროცენტო პოლიტიკის ზემოაღნიშნული ამოცანების რეალიზაცია არ ნიშნავს, რომ წმინდა საპროცენტო მარჟის გაზრდა მოხდეს ბანკის მიერ დადგენილი რისკის პარამეტრების უგულებელყოფის ხარჯზე. კომერციული ბანკის აქტივებთან და პასივებთან დაკავშირებული საპროცენტო განაკვეთები და რისკის ხარისხი ცვლადი სიდიდეებია, რომლებიც გარე ზემოქმედების დიდი გავლენის ქვეშ არიან. როგორც წესი, ცალკეულ ბანკს, თუკი, რა თქმა უნდა, იგი არაა ბაზრის მონოპოლისტი, არ ძალუძს ამ გარე ფაქტორებზე რაიმე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა. აქედან გამომდინარე, საპროცენტო მარჟის მართვა მოითხოვს მთლიანად ეკონომიკასა და საბანკო სექტორში, მათ შორის, საბანკო ოპერაციების ბაზარზე მიმდინარე ცვლილებების მუდმივ და დაწვრილებით მონიტორინგსა და ანალიზს. ყოველივე აღნიშნულს ართულებს ინფლაციური მოლოდინი, რომლის პირობებშიც საპროცენტო განაკვეთების პროგნოზირება და მართვა განსაკუთრებით ძნელია.

კომერციული ბანკის მიერ საკუთარი საპროცენტო პოლიტიკისა და საპროცენტო განაკვეთების განსაზღვრისას სასურველი საპროცენტო მარჟის მისაღწევად გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი ფაქტორები:

- **რისკები** (საკრედიტო, საპროცენტო, სავალუტო და ა.შ.);
- **აგრესიულობა** (აპირებს თუ არა იგი თავისი პოზიციების, საბაზრო წილის ზრდას);
- **სამიზნე კონკურენცია** (რომელი პროდუქტების მიხედვით აპირებს იგი სხვა ბანკებთან კონკურენციას);
- **პრიორიტეტები** (რა არის მისთვის უფრო მნიშვნელოვანი, მოკლევადიანი მიზანი – მიიღოს მეტი მოგება, თუ გრძელვადიანი მიზანი – განავითაროს კლიენტებთან პარტნიორული ურთიერთობები);
- **საერთო მომგებიანობა** (საპროცენტო მარჟა შეიძლება შემცირებულ იქნეს, თუკი კლიენტები ან მათი რომელიმე სეგმენტი არიან სხვა შემოსავლების მნიშვნელოვანი წყარო);
- **რესურსის ფასი** (რა არის ბანკის მიერ მოზიდული მოკლევადიანი და გრძელვადიანი რესურსების ფასი);
- **საპროცენტო განაკვეთების ზედა ზღვარი** (შეიძლება ქვეყნის ცენტრალური ბანკის ან ბანკების კავშირის მიერ დაწესებული იყოს გარკვეული ზედა ზღვარი).

კომერციული ბანკის მიერ საპროცენტო მარჟის დონის შეფასების ყველაზე მარტივ ხერხს წარმოადგენს მისი დინამიკის მონიტორინგი. ასევე გამოიყენება მისი შედარება კონკურენტების ან მთლიანად საბანკო სისტემის ანალოგიურ მაჩვენებელთან, აგრეთვე საპროცენტო მარჟის საკმარისობის კოეფიციენტთან. **საპროცენტო მარჟის საკმარისობის კოეფიციენტი** გვიჩვენებს ბანკისათვის მინიმალურ დონეს და გამომდინარეობს საპროცენტო მარჟის მთავარი დანიშნულებიდან – მოზიდულ რესურსებზე გაწეული დანახარჯების დაფარვა. საკმარისი საპროცენტო მარჟა შეიძლება გაანგარიშებულ იქნეს მოზიდული რესურსების გასული პერიოდის ფაქტობრივი და მომავალი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპროგნოზო მაჩვენებლებიდან გამომდინარე. საკმარისი საპროცენტო მარჟის გაანგარიშება აუცილებელია ბანკის მომავალი სტრატეგიული დაგეგმვისა და მიმდინარე პორტფელების ფორმირებისათვის.

საკმარისი საპროცენტო მარჟის, რესურსების რეალური ფასისა და ინფლაციის გათვალისწინებით ფორმირდება კომერციული ბანკის **საპროცენტო მარჟის მინიმალური, ანუ საორიენტაციო დონე.** ესაა მაჩვენებელი, რომლის უზრუნველყოფა აუცილებელია აქციონერებისათვის დამაკმაყოფილებელი რენტაბელობის დონისა და წმინდა მოგების მისაღებად. საპროცენტო მარჟის საკმარისობის კოეფიციენტი, ასევე მისი მინიმალური (საორიენტაციო) აუცილებელი დონე შეიძლება გამოითვლებოდეს როგორც მთლიანად ბანკის, ისე მისი ცალკეული ოპერაციებისა და მიმართულებების მიხედვით. აქტიური ოპერაციების ცალკეული სახეობების მიხედვით აღნიშნული მაჩვენებლების ფაქტობრივი და საპროგნოზო დონეების შედარება საშუალებას იძლევა, შეფასებულ იქნეს ბანკის ბიზნესმიმართულებების, საქმნიანობის ცალკეული სახეობების რეალური რენტაბელობა და შემოსავლიანობა.

13.5. საპროცენტო განაკვეთის სახეობები და დარიცხვის მეთოდები

საპროცენტო განაკვეთი კრედიტზე შეფარდებითი სიდიდეა, რომელიც გამოხატავს მსესხებლის მიერ კრედიტორისადმი დასაბრუნებელი კრედიტის ფასს. როგორც წესი, პრაქტიკაში მიღებულია წლიური საპროცენტო განაკვეთების გამოყენება. საპროცენტო განაკვეთი, ანუ კრედიტის ფასი, კაცობრიობის ერთ-ერთი ყველაზე ძველი და საინტერესო გამოგონებაა. იგი გაჩნდა საკრედიტო ურთიერთობების წარმოშობისთანავე, ჯერ კიდევ ნატურალური მეურნეობის დროს, მაგალითად, ერთი გლეხი მარცვლეულის სესხების სანაცვლოდ უკან აბრუნებდა უფრო მეტ მარცვლეულს. ეს „მეტი“ მარცვლეული იყო სწორედ ამ სესხის ფასი.

საბანკო სისტემაში გამოყენებული საპროცენტო განაკვეთები მეტად მრავალფეროვანია და მათი კლასიფიკაცია სხვადასხვა ნიშნით შეიძლება. გამოყენების მიზნიდან გამომდინარე, საპროცენტო განაკვეთები შეიძლება სამ სახეობად დავაჯგუფოთ:

- **საბანკო საქმიანობის რეგულირებისათვის განკუთვნილი პროცენტები**, რომლებშიც, როგორც წესი, შედის ცენტრალური ბანკების რეფინანსირების, სააღრიცხვო, მინიმალური სარეზერვო მოთხოვნებისა და სხვა საპროცენტო განაკვეთები;
- **სააუქციონო საბანკო საპროცენტო განაკვეთებს** მიეკუთვნება დეპოზიტებისა და კრედიტების განაკვეთები, რომელთა დადგენა ხდება ბანკთაშორის აუქციონებზე ვაჭრობის გზით;
- **საბანკო საპროცენტო განაკვეთები**, რომელთაც მიეკუთვნება ბანკების მიერ უშუალოდ კლიენტებთან ურთიერთობის დროს დადგენილი პროცენტები დეპოზიტებსა და კრედიტებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპროცენტო განაკვეთი რთული აგრეგატია, რომლის ფორმირება ხდება როგორც ფინანსურ, ისე საქონლისა და მომსახურების ბაზრებზე. ინფლაციას, უფრო სწორად კი – ინფლაციურ მოლოდინს, მეტად მნიშვნელოვანი კორექტირება შეაქვს კრედიტის ფასში, მით უმეტეს, თუ იგი გრძელვადიანია. საპროცენტო განაკვეთის ოდენობაზე ასევე გავლენას ახდენს უცხოური და ეროვნული ვალუტების გაცვლითი კურსების დინამიკა და სავალუტო ბაზრის მოსალოდნელი ცვლილებები. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, საპროცენტო განაკვეთები ორი სახეობის გვაქვს: **ნომინალური, ანუ საბაზრო და რეალური საპროცენტო განაკვეთები.** მათი ურთიერთკავშირი კარგადაა გამოხატული შემდეგ ფორმულაში:

$$P_{ნომ} = P_{რეალ} + I \qquad (13.1)$$

სადაც:
$P_{ნომ}$ – ნომინალური, ანუ საბაზრო საპროცენტო განაკვეთია;
$P_{რეალ}$ – რეალური საპროცენტო განაკვეთია;
I – ინფლაციის მოსალოდნელი ტემპია.

ცხადია, იმ შემთხვევაში, როცა ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებელი ნულის ტოლია, რეალური და ნომინალური საპროცენტო განაკვეთები ერთმანეთს უდრის. რეალურ ცხოვრებაში, როცა ფასები უცვლელია, ნომინალური და რეალური საპროცენტო განაკვეთები ერთმანეთის ტოლია, მაგრამ, როგორც წესი, ეს იშვიათი შემთხვევაა და თანაც ხანმოკლე პერიოდით.

როგორც ვთქვით, საპროცენტო განაკვეთის სიდიდეზე უამრავი ფაქტორი ახდენს გავლენას. აღნიშნული განაპირობებს იმას, რომ საპროცენტო განაკვეთები, ანუ ფასები რესურსებზე, გამუდმებით იცვლება. ბაზრის კონიუნქტურის ცვლილებაზე რეაგირების ხარისხის მიხედვით განასხვავებენ საპროცენტო განაკვეთების ორ სახეობას:

- **ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი** დგინდება, როგორც წესი, მოკლევადიან რესურსებზე და აღარ ექვემდებარება გადასინჯვას რესურსებით სარგებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში. რა თქმა უნდა, ბაზარზე რესურსების გაიაფების შემთხვევაში მსესხებელი განიცდის ზარალს. ანალოგიურ შემთხვევაში ვარდება კრედიტორი, თუკი ბაზარზე მოხდება რესურსების გაძვირება, ანუ იზრდება საპროცენტო განაკვეთები;
- **მცურავი საპროცენტო განაკვეთი** – ესაა განაკვეთი, რომელიც შედგება ორი ნაწილისაგან. პირველი მათგანი ფიქსირებული ნაწილია, რომელიც უცვლელია რესურსებით სარგებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში. ფიქსირებული ნაწილის სიდიდე დამოკიდებულია გარიგების პირობებსა და მასთან დაკავშირებული რისკების ხარისხზე. რაც შეეხება მეორე ნაწილს, იგი იცვლება საბაზრო კონიუნქტურის ცვლილებასთან ერთად. მის საფუძვლად, როგორც წესი, გამოიყენება საკრედიტო რესურსების ბანკთაშორისი განაკვეთები (ეს შეიძლება იყოს ცენტრალური ბანკის რეფინანსირების განაკვეთი, LIBOR და ა.შ.).

ქვემოთ მოცემულია მაჩვენებლები, რომლებიც წარმოაჩენს მჭიდრო კავშირს საბანკო საპროცენტო განაკვეთებს შორის (ნახ. №13.2.):



ნახ. №13.2. საბანკო საპროცენტო განაკვეთების დინამიკა საქართველოში

მარტივად თუ ვიტყვით, გადაცემულ რესურსზე პროცენტის დარიცხვა – ესაა მსესხებლის მხრიდან აღებული ვალდებულებების ზრდა კრედიტორის მიმართ დროთა განმავლობაში. საბანკო პრაქტიკაში მიღებულია პროცენტების დარიცხვის სხვადასხვა მეთოდი. ყველაზე მარტივი კლასიფიკაციით განასხვავებენ მარტივ და რთულ პროცენტებს:

მარტივი პროცენტი გამოიყენება, როგორ წესი, მოკლევადიანი ინვესტირებისას, როცა პერიოდულად, მაგალითად, თვეში ერთხელ, ხდება პროცენტის დარიცხვა თავდაპირველ ინვესტირებულ თანხაზე, იმ დროს, როცა ინვესტირებული თანხა (პროცენტის დარიცხვის ბაზა) უცვლელი რჩება:

$$X_1 = X\left(1 + \frac{T}{365} P\right) \qquad (13.2)$$

სადაც:

$\mathbf{X_1}$ – კრედიტორის მიერ T პერიოდის გასვლის შემდეგ მიღებული სარგებლის თანხაა;

X – გადაცემული რესურსის საწყისი თანხაა;

T – დღეების რაოდენობაა, რომლის განმავლობაშიც ხდება პროცენტის დარიცხვა;

P – წლიური საპროცენტო განაკვეთია (შემოსავლიანობის ნორმა).

რთული პროცენტის დარიცხვა ხორციელდება იმ შემთხვევაში, როცა დარიცხული პროცენტის თანხას კრედიტორი არ იღებს ხელშეკრულების ვადის გასვლამდე და პერიოდულად (მაგალითად, ყოველწლიურად) ზრდის ვალის ძირითად თანხას, ანუ ყოველი დარიცხვის შემდეგ პროცენტის თანხა ემატება ძირითად თანხას და მათი ჯამი ხდება „ახალი“ ძირითადი თანხა უკვე შემდეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარიცხვისათვის. ამ მეთოდს ზოგჯერ „პროცენტის პროცენტსაც“ უწოდებენ. აღნიშნული პრაქტიკა გამოიყენება საშუალო და გრძელვადიანი ოპერაციების დროს.

$$X_1=X(1+P)^T-X \qquad (13.3)$$

სადაც:

$\mathbf{X_1}$ – კრედიტორის მიერ თ პერიოდის გასვლის შემდეგ მიღებული სარგებლის თანხაა;

X – გადაცემული რესურსის საწყისი თანხაა;

T – წლების რაოდენობა, რომლის განმავლობაშიც ხდება პროცენტის დარიცხვა;

P – წლიური საპროცენტო განაკვეთი (შემოსავლიანობის ნორმა).

აღნიშნული ფორმულა გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა წლიური საპროცენტო განაკვეთი რჩება უცვლელი დარიცხვის მთელი პერიოდის განმავლობაში.

დაბოლოს, უნდა შევჩერდეთ პრაქტიკაში გავრცელებულ პროცენტის დაფარვის ორ ძირითად სქემაზე, როგორებიცაა: ჩვეულებრივი, ანუ დიფერენცირებული და ანუიტეტური გადახდები. ჩვეულებრივი (დიფერენცირებული) გადახდების დროს კრედიტის ძირითადი თანხა თანაბარი მოცულობით იფარება, ხოლო პროცენტის თანხა იანგარიშება იმ დროს არსებული ძირითადი თანხის დავალიანებიდან (დარჩენილი ძირითადი თანხიდან). ბუნებრივია, პროცენტის თანხა ძირითადი თანხის ყოველი დაფარვის შემდეგ სულ უფრო მცირდება.

რაც შეეხება ანუიტეტს, ეკონომისტებისათვის მისი სამი მნიშვნელობაა ცნობილი: ანუიტეტი, როგორც: ა) სახელმწიფო ვალის ერთ-ერთი სახეობა, ბ) სადაზღვევო კომპანიასთან შეთანხმების ფორმა და გ) დავალიანების თანაბარი დაფარვა. ამ შემთხვევაში სწორედ ანუიტეტის მესამე სახეობაა ჩვენთვის საინტერესო. თუკი ჩვეულებრივი (დიფერენცირებული) დაფარვების დროს საწყის პერიოდში გადახდების მოცულობა მაქსიმალურია და შემდეგ იკლებს ძირითადი ვალის შემცირებასთან ერთად, ანუიტეტის დროს დაფარვების სრული მოცულობა (ძირითადი ვალი + პროცენტი) არის მუდმივი. ანუიტეტის დროს პირველ თვეებში დასაფარავი ძირითადი თანხის წილი მთლიან გადახდებში მინიმალურია, რომელიც შემდეგ თანდათან იზრდება გადასახდელი პროცენტის წილის შემცირებასთან ერთად. ანუიტეტის ფინანსური არსი ისაა, რომ კრედიტის ძირითადი თანხის დაფარვის ვადა გადაიწევა უფრო ხანგრძლივი ვადით.

მთავარი მიზეზი, რის გამოც არჩევანის შემთხვევაში მსესხებლებმა შეიძლება უპირატესობა მიანიჭონ ანუიტეტით დაფარვებს, არის ის, რომ დაფარვების სრული მოცულობა პირველ თვეებში უფრო ნაკლებია, ვიდრე ეს იქნებოდა დიფერენცირებული დაფარვების შემთხვევაში. ანუიტეტის სქემის წახალისება ხშირად ბანკების მხრიდან ხდება, ვინაიდან ამ დროს გაადვილებულია მსესხებლის ბიუჯეტის დაგეგმვა, დაფარვების სრული მოცულობის უცვლელობის გამო.

ქვემოთ მოცემულია ერთი და იმავე კრედიტის დაფარვის გრაფიკი ორი შესაძლო გადახდის სქემის შემთხვევაში (ცხრ. №13.1.). ჩვენს მაგალითში სეს-

ხი შეადგენს 10 000 პირობით ერთეულს, არის 2-წლიანი (24-თვიანი) ყოველთვიური დაფარვებით და წლიური 20%-ით. როგორც მაგალითიდან ვხედავთ, მსესხებელმა შეიძლება აირჩიოს დაფარვის ანუიტეტური სქემა იმ პოზიციიდან გამომდინარე, რომ მისი შემოსავლები არ იყოს საკმარისი პირველ თვეებში კრედიტის მომსახურებისათვის (დაფარვისათვის): პირველ შემთხვევაში ესაა 583.33, ხოლო მეორე შემთხვევაში – 508.96 პირობითი ერთეული.

ცხრ. №13.1. კრედიტის დაფარვის სქემები

თვე	ჩვეულებრივი			ანუიტეტი		
	სულ	ძირი	%	სულ	ძირი	%
1	583.33	416.67	166.67	508.96	342.28	166.67
2	576.39	416.67	159.72	508.96	348.00	160.96
3	569.44	416.67	152.78	508.96	353.80	155.16
4	562.50	416.67	145.83	508.96	359.69	149.27
5	555.56	416.67	138.89	508.96	365.69	143.27
6	548.61	416.67	131.94	508.96	371.78	137.18
7	541.67	416.67	125.00	508.96	377.98	130.98
8	534.72	416.67	118.06	508.96	384.28	124.68
9	527.78	416.67	111.11	508.96	390.68	118.27
10	520.83	416.67	104.17	508.96	397.19	111.76
11	513.89	416.67	97.22	508.96	403.81	105.14
12	506.94	416.67	90.28	508.96	410.54	98.41
13	500.00	416.67	83.33	508.96	417.39	91.57
14	493.06	416.67	76.39	508.96	424.34	84.61
15	486.11	416.67	69.44	508.96	431.42	77.54
16	479.17	416.67	62.50	508.96	438.61	70.35
17	472.22	416.67	55.56	508.96	445.92	63.04
18	465.28	416.67	48.61	508.96	453.35	55.61
19	458.33	416.67	41.67	508.96	460.90	48.05
20	451.39	416.67	34.72	508.96	468.59	40.37
21	444.44	416.67	27.78	508.96	476.40	32.56
22	437.50	416.67	20.83	508.96	484.34	24.62
23	430.56	416.67	13.89	508.96	492.41	16.55
24	423.61	416.67	6.94	508.96	500.61	8.34
	12,083.33	10,000.00	2,083.33	12,215.33	10,000.00	2,215.00

ასეთი პრინციპის გამო, ანუიტეტის სქემა მსესხებელს უძვირებს კრედიტს. ჩვენს მაგალითში სხვაობა 131.67 პირობითი ერთეულია (2,215.00-2,083.33). აღნიშნული გაძვირება მით უფრო თვალსაჩინოა, რაც მეტია კრედიტის ვადა: ჩვენს მაგალითში 5-წლიანი კრედიტის შემთხვევა უკვე 813.02 პირობითი ერთეულის სხვაობას მოგვცემდა.

სწორედ ამიტომ, მსესხებლისათვის ანუიტეტის უპირატესობა თვალსაჩინოა შედარებით მოკლევადიანი, 2-3 წლამდე კრედიტების დროს. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ანუიტეტის სქემა ფართოდ გამოიყენება იპოთეკური კრედიტებისას, რომლებიც, თავის მხრივ, მეტწილად გრძელვადიანია, იგი უფრო ბანკებისათვისაა ხელსაყრელი.

საკონტროლო კითხვები:

1. საქართველოში უნაღდო ანგარიშსწორებისას რომელი საბუთები გამოიყენება?
2. რა არის კრედიტის არსი?
3. კრედიტის რომელი ძირითადი 6 ფორმა იცით?
4. რითი გამოყოფდით საბანკო კრედიტს კრედიტის დანარჩენი ფორმებისაგან?
5. როგორ დაახასიათებდით დაკრედიტების ძირითად პრინციპებს?
6. ვინ არის დაკრედიტების სუბიექტი და რა სტატუსით გვევლინებიან აღნიშნული სუბიექტები საკრედიტო ურთიერთობებისას?
7. რა იგულისხმება დაკრედიტების ობიექტში და მისი რომელი სახეობები იცით?
8. დაკრედიტების რომელი ორი ძირითადი მეთოდი იცით და რა არის მათი არსი?
9. როგორია კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკის არსი ფართო და ვიწრო გაგებით?
10. როგორია კომერციულ ბანკში საკრედიტო პოლიტიკის შემუშავებისა და დამტკიცების მექანიზმი?
11. როგორია კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკაზე მაკრო- და მიკროფაქტორების გავლენა?
12. როგორია კომერციული ბანკის ტიპური საკრედიტო პოლიტიკის სტრუქტურა?
13. რას გულისხმობს კრედიტის სრულად დაფარვის უზრუნველყოფა?
14. რა შეგიძლიათ თქვათ კრედიტის დაფარვის პირველად და მეორად წყაროებზე?
15. კრედიტის დაბრუნებითობის უზრუნველყოფის მეორადი წყაროს რომელი ძირითადი ფორმები იცით?
16. როგორ დაახასიათებდით გირაოს და რომელ ძირითად კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს იგი?
17. იმის მიხედვით, თუ ვისთან უნდა ინახებოდეს გირაოს საგანი, მისი რომელი ჯგუფებია ცნობილი?
18. რას წარმოადგენს თავდებობა, როგორც კრედიტის უზრუნველყოფის ფორმა?
19. რას გულისხმობს საბანკო გარანტია?
20. რა არის მოთხოვნის უფლების დათმობის (ცესია) არსი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

21. რა არის საკუთრების უფლების გადაცემა, როგორც კრედიტის უზრუნველყოფის ფორმა?
22. როგორ დაახასიათებდით საბანკო პროცენტს?
23. რა არის იმ გარე ფაქტორების გავლენა, რომლებიც ზემოქმედებენ ნებისმიერი ქვეყნის საბანკო პროცენტის განაკვეთის დონეზე?
24. როგორ დაახასიათებდით ქვეყნის ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ კონკრეტული სახელმწიფოს საბანკო პროცენტის განაკვეთის დონეზე?
25. რას გულისხმობს საბანკო პროცენტის განაკვეთის დონეზე მოქმედი საბანკო სისტემის ფაქტორები?
26. კონკრეტული გარიგებისას კომერციული ბანკის მიერ პროცენტის ნორმის გაანგარიშებისას რომელი ფაქტორები მიიღება მხედველობაში?
27. რა განაპირობებს იმას, რომ ბანკი თავის საკრედიტო პროდუქტებს ყიდის არა პრინციპით „ყველას თანაბარ ფასად“, არამედ ინდივიდუალური მიდგომით?
28. როგორ განმარტავდით საპროცენტო მარჟას (სპრედი) და წმინდა საპროცენტო მარჟას?
29. საპროცენტო მარჟის გაზრდის რომელი გზები იცით?
30. რომელი ფაქტორები უნდა იქნეს გათვალისწინებულ კომერციული ბანკის მიერ საკუთარი საპროცენტო პოლიტიკისა და საპროცენტო განაკვეთების განსაზღვრისას, სასურველი საპროცენტო მარჟის მისაღწევად?
31. რას გულისხმობს საპროცენტო მარჟის საკმარისობის კოეფიციენტი?
32. როგორ დაახასიათებდით საპროცენტო მარჟის მინიმალურ, ანუ საორიენტაციო დონეს?
33. გამოყენების მიზნიდან გამომდინარე, საპროცენტო განაკვეთების რომელი სახეობები იცით?
34. როგორ დაახასიათებდით ნომინალურ, ანუ საბაზრო და რეალურ საპროცენტო განაკვეთებს?
35. ბაზრის კონიუნქტურის ცვლილებაზე რეაგირების ხარისხის მიხედვით საპროცენტო განაკვეთების რომელი სახეობები იცით?
36. რა არის მარტივი პროცენტის არსი?
37. რა შემთხვევებში ხდება რთული პროცენტის გამოყენება და როგორია მისი შინაარსი?
38. როგორ დაახასიათებდით ჩვეულებრივ, ანუ დიფერენცირებულ და ანუიტეტურ გადახდებს და რა განსხვავებაა მათ შორის?

14 თავი

საბანკო კრედიტის სახეობები

შინაარსი:

14.1. საბანკო კრედიტების კლასიფიკაცია;
14.2. ერთჯერადი კრედიტების გაცემა;
14.3. დაკრედიტება საკრედიტო ხაზების მეშვეობით;
14.4. ოვერდრაფტი;
14.5. სამომხმარებლო კრედიტი და საკრედიტო ბარათები;
14.6. იპოთეკური კრედიტი;
14.7. ბანკთაშორისი დაკრედიტება.

ძირითადი ელემენტები:

1. საბანკო კრედიტების კლასიფიკაცია 17 ნიშნის მიხედვით;
2. ერთჯერადი (მიზნობრივი) კრედიტების გაცემის წესი;
3. განუახლებელი და განახლებადი საკრედიტო ხაზი (რევოლვერული კრედიტი);
4. სამომხმარებლო კრედიტები;
5. საკრედიტო ბარათები;
6. ბანკთაშორისი დაკრედიტება და მისი სახეობები.

გამოყენებული სქემები, ნახატები და ცხრილები:

ცხრ. №14.1. საბანკო კრედიტების კლასიფიკაცია;
ცხრ. №14.2. საქართველოს საბანკო სექტორის საკრედიტო პორტფელი ეკონომიკის დარგების ჭრილში;
ცხრ. №14.3. საქართველოს საბანკო სისტემის სესხების კლასიფიკაცია სახელშეკრულებო ვადების მიხედვით 31.12.2013;
ცხრ. №14.4. საქართველოს საბანკო სისტემის სესხების კლასიფიკაცია სახელშეკრულებო თანხების მიხედვით 31.12.2013;
ცხრ. №14.5. საქართველოს საბანკო სისტემის სესხების კლასიფიკაცია საპროცენტო განაკვეთების მიხედვით 31.12.2013.

14.1. საბანკო კრედიტების კლასიფიკაცია

მძაფრი კონკურენტული გარემოს ზეგავლენით დასახული სტრატეგიული მიზნების მისაღწევად კომერციულ ბანკებს უწევთ ბაზარზე საკრედიტო პროდუქტების ფართო სპექტრის გატანა, რომლის განახლება და ახალი პროდუქტების შეთავაზება მუდმივი პროცესია. კომერციული ბანკების მიერ მომხმარებლისათვის შეთავაზებული საკრედიტო პროდუქტების კლასიფიკაცია შეიძლება მოხდეს სხვადასხვა ნიშნით და კრიტერიუმით. საბანკო კრედიტების კლასიფიკაციის საფუძველს წარმოადგენს ის თავისებურებანი, რომლებიც ასახავენ დაკრედიტების ამა თუ იმ მიმართულებას, მხარესა და სპეციფიკას.

განვიხილოთ საბანკო კრედიტების კლასიფიკაცია სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, რომლებიც მოცემულია ცხრილში №14.1 და დავახასიათოთ მათ შორის უმნიშვნელოვანესები:

ცხრ. №14.1. საბანკო კრედიტების კლასიფიკაცია

	კრიტერიუმი	საბანკო კრედიტის სახეობა
1	კრედიტის სუბიექტის მიხედვით	• კომპანიებზე გაცემული; • მცირე (ინდივიდუალურ) მეწარმეებზე გაცემული; • ფიზიკურ პირებზე გაცემული; • სახელმწიფო ორგანიზაციებზე გაცემული; • ბანკთაშორისი დაკრედიტება
2	მსესხებლის მიხედვით	• იურიდიულ პირებზე გაცემული; • ფიზიკურ პირებზე გაცემული.
3	კრედიტის ობიექტის მიხედვით	• საინვესტიციო პროექტების (უძრავი ქონების შეძენა, ტექნიკური გადაიარაღება, რეკონსტრუქცია) დასაფინანსებლად; • საბრუნავი საშუალებების შესავსებად; • საანგარიშსწორებო სახსრების უკმარისობის დასაფინანსებლად; • სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შესაძენად; • სახელფასო დავალიანების დასაფარავად; • კრედიტორული დავალიანების დასაფარავად; • სამომხმარებლო მიზნებისათვის.
4	დაკრედიტების მეთოდების მიხედვით	• ერთჯერადი (მიზნობრივი) პროექტების დასაფინანსებლად; • ნინასწარ შეთანხმებული ლიმიტის ფარგლებში.
5	კრედიტორების რაოდენობის მიხედვით	• ერთი ბანკის მიერ გაცემული; • პარალელური, რამდენიმე ბანკის მიერ ერთსა და იმავე მსესხებლის ერთი და იმავე პროექტის დამოუკიდებლად დაფინანსება; • სინდიცირებული, სინდიკატად გაერთიანებული რამდენიმე ბანკის მიერ ერთ მსესხებელზე გაცემული.
6	უზრუნველყოფის მიხედვით	• უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი; • მოძრავი ქონებით უზრუნველყოფილი; • თავდებობით უზრუნველყოფილი; • საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი; • დეპოზიტით უზრუნველყოფილი; • საკრედიტო რისკის დაზღვევით უზრუნველყოფილი; • შერეული გირაოთი უზრუნველყოფილი; • არაუზრუნველყოფილი (საბლანკო) კრედიტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7	ეკონომიკის დარგების მიხედვით (საქართველოში კომერციული ბანკების ანგარიშთა გეგმის შესაბამისად)	• ბანკთაშორისი; • ვაჭრობისა და მომსახურების სექტორზე გაცემული; • ენერგეტიკის სექტორზე გაცემული; • სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის სექტორზე გაცემული; • მშენებლობის სექტორზე გაცემული; • სამთომომპოვებელ და გადამამუშავებელ სექტორზე გაცემული; • ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორზე გაცემული; • ფიზიკურ პირებზე გაცემული; • დანარჩენ სექტორზე გაცემული.
8	ბიზნესმიმართულებებისა და საბანკო პროდუქტების მიხედვით	• ბანკთაშორისი კრედიტები; • ბიზნესსესხები (კორპორაციული ბიზნესის დაკრედიტება, საშუალო ბიზნესის დაკრედიტება, მცირე ბიზნესის დაკრედიტება); • საცალო ბიზნესი (იპოთეკური კრედიტები, საკრედიტო ბარათები, სხვა სამომხმარებლო კრედიტები).
9	სახელშეკრულებო ვადის მიხედვით	• მოკლევადიანი (1 წლამდე); • საშუალოვადიანი (1-დან 5 წლამდე); • გრძელვადიანი (5 წელზე მეტი ვადით); • ონკოლური (იფარება ბანკის მოთხოვნისთანავე).
10	ვალუტების მიხედვით	• ეროვნულ ვალუტაში (ლარში) გაცემული; • უცხოურ ვალუტაში გაცემული.
11	დაფარვის მეთოდების მიხედვით	• ვადის ბოლოს, ერთჯერადი დაფარვით; • ეტაპობრივად (განვადებით), კრედიტის მთელი ვადის განმავლობაში.
12	დაფარვის სქემის მიხედვით	• ჩვეულებრივი, ანუ დიფერენცირებული; • ანუიტეტური, ანუ თანაბარი დაფარვებით.
13	შემოსავლიანობის (საპროცენტო განაკვეთის სიდიდის) მიხედვით	• შეღავათიანი საპროცენტო განაკვეთით; • საბაზრო საპროცენტო განაკვეთით; • საბაზროზე მაღალი საპროცენტო განაკვეთით.
14	საპროცენტო განაკვეთის მიხედვით	• ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით; • მცურავი საპროცენტო განაკვეთით; • მარტივი საპროცენტო განაკვეთით; • რთული საპროცენტო განაკვეთით.
15	პროცენტის თანხის გადახდის მეთოდების მიხედვით	• პროცენტის გადახდა ხდება წინასწარ, კრედიტის გაცემისათანავე; • პროცენტის გადახდა ხდება პერიოდულად (ყოველთვიურად, კვარტალში ერთხელ, ყოველწლიურად); • პროცენტის გადახდა ხდება ძირითადი თანხის დაფარვის დროს.
16	კრედიტის თანხის დაფარვის მიმდინარე მდგომარეობის მიხედვით	• ვადიანი; • ვადაგადაცილებული.
17	კრედიტის დაფარვის რისკის მიხედვით (საქართველოში მოქმედი კლასიფიკაციის მიხედვით)	• სტანდარტული; • საყურადღებო; • არასტანდარტული; • საეჭვო; • უიმედო; • ჩამოწერილი.

1) **კრედიტის სუბიექტის მიხედვით:**
   - კომპანიებზე გაცემული;
   - მცირე (ინდივიდუალურ) მეწარმეებზე გაცემული;
   - ფიზიკურ პირებზე გაცემული;
   - სახელმწიფო ორგანიზაციებზე გაცემული;
   - ბანკთაშორისი დაკრედიტება.

„საბანკო დაკრედიტების საფუძვლების“ თემის გავლისას დავახასიათეთ კრედიტის სუბიექტები. ბუნებრივია, საბანკო კრედიტების კლასიფიკაციას კრედიტის სუბიექტების მიხედვით დიდი მნიშვნელობა აქვს.

2) **მსესხებლის მიხედვით:**
- იურიდიულ პირებზე გაცემული;
- ფიზიკურ პირებზე გაცემული.

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და მარტივი კლასიფიკაციაა, თუმცა, მისი მნიშვნელობა დიდია, გამომდინარე იქიდან, რომ როგორც კონკრეტული კომერციული ბანკის, ისე მთლიანად საბანკო სისტემის ანალიზი იურიდიული და ფიზიკური პირების მიხედვით ბევრი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა. კომერციული ბანკები საკუთარი კლასიფიკაციის შედეგების შედარებით უშუალო კონკურენტების ან სისტემის მაჩვენებელთან, იღებენ სასარგებლო ინფორმაციას, რომელიც მათ ეხმარება საკუთარი სტრატეგიის ან ტაქტიკის კორექტირების გადაწყვეტილების მიღებაში. ასევე მნიშვნელოვანია ასეთი ინფორმაციის ანალიზი ქვეყნის მასშტაბით.

მაგალითისათვის, სულ რაღაც 7 წლის წინ (2006 წლის ბოლოსათვის) საქართველოს საბანკო სისტემის საკრედიტო პორტფელში იურიდიულ პირებზე გაცემული კრედიტები შეადგენდა 71%-ს, ხოლო ფიზიკურ პირებზე გაცემული – 29%-ს. ეს ის პერიოდია, როცა იწყება ფიზიკურ პირებზე კრედიტების (იპოთეკური, სამომხმარებლო, განვადება, საკრედიტო ბარათები) მასობრივი გაცემა. 2013 წლის ბოლოსათვის (ანუ 7 წელიწადში) ეს მაჩვენებლები, შესაბამისად, 54%-ისა და 46%-ის ტოლი გახდა.

3) **კრედიტის ობიექტის მიხედვით:**
- საინვესტიციო პროექტების (უძრავი ქონების შეძენა, ტექნიკური გადაიარაღება, რეკონსტრუქცია) დასაფინანსებლად;
- საბრუნავი საშუალებების შესავსებად;
- საანგარიშსწორებო სახსრების უკმარისობის დასაფინანსებლად;
- სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შესაძენად;
- სახელფასო დავალიანების დასაფარავად;
- სხვა კრედიტორული დავალიანების დასაფარავად;
- სამომხმარებლო მიზნებისათვის.

კრედიტის ობიექტები ასევე იქნა დახასიათებული გასულ მასალაში. ცხადია, აღნიშნული კლასიფიკაცია პირობითად შეიძლება ჩაითვალოს და იგი მხოლოდ კრედიტის ძირითად ობიექტებს მოიცავს. კონკრეტული კომერციული ბანკის შემთხვევაში ჩამონათვალი შეიძლება უფრო ფართო ან, პირიქით, ვიწრო იყოს.

4) **დაკრედიტების მეთოდების მიხედვით:**
- ერთჯერადი (მიზნობრივი) პროექტების დასაფინანსებლად;
- წინასწარ შეთანხმებული ლიმიტის ფარგლებში.

ერთჯერადი (მიზნობრივი) კრედიტების გაცემა ხდება შემთხვევიდან შემთხვევამდე კონკრეტული მიზნისათვის და კონკრეტული პროექტების დასაფინანსებლად. კრედიტების ამ ჯგუფში შედის როგორც ბიზნესსესხები, ისე სამომხმარებლო მიზნებისათვის გამიზნული კრედიტები (იპოთეკური, სამომხმარებლო და ა.შ.). მიზნობრივი კრედიტის გაცემის შემდეგ, როგორც წესი, კომერციული ბანკის მიერ ხდება ამ კრედიტის მიზნობრიობის მონიტორინგი, ანუ იმის დადგენა, ნამდვილად იმ მიზნით იქნა იგი გამოყენებული, რისთვისაც გაიცა?

რაც შეეხება **დაკრედიტებას წინასწარ შეთანხმებული ლიმიტისა და პირობების ფარგლებში,** მას კომერციული ბანკი სთავაზობს მხოლოდ კარ-

გად ცნობილ, მაღალი რეპუტაციის მქონე მსესხებლებს. ამ შემთხვევაში კომერციულ ბანკსა და მსესხებელს შორის ფორმდება გენერალური ხელშეკრულება, სადაც განისაზღვრება ორივე მხარის ყველა უფლება-მოვალეობა და დაკრედიტების პირობა, ასევე კრედიტის უზრუნველყოფა (გირავნობა), რომლისათვისაც, როგორც წესი, იდება საგირავნო ხელშეკრულება.

ამ ტიპის შეთანხმებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს კომერციულ ბანკსა და მსესხებელს შორის ურთიერთობისას, ვინაიდან ორივე მხარე წინასწარ აგვარებს დაფინანსების გრძელვადიან პრობლემებს: კომერციული ბანკი ახდენს თავისი რესურსების კარგი პირობებით (კარგ მსესხებელზე, სათანადო უზრუნველყოფით) განთავსებას, ხოლო მსესხებელი გრძელვადიან პერსპექტივაში გარანტირებულია სათანადო რესურსებით საკმაოდ მიმზიდველი პირობებით (დაბალი საპროცენტო განაკვეთი, ხელმისაწვდომობა). რაც არანაკლებ მიშვნელოვანია, ასეთი ურთიერთობის დროს იზოგება როგორც მსესხებლის, ისე კომერციული ბანკის დრო და შრომითი დანახარჯები. მსოფლიო საბანკო პრაქტიკაში ამ ტიპის დაკრედიტების ყველაზე გავრცელებულ სქემებს წარმოადგენს საკრედიტო ხაზი, რევოლვერული კრედიტი, ოვერდრაფტი და კონტოკორენტული კრედიტი:

- **საკრედიტო ხაზი** – ესაა კომერციული ბანკის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება, უზრუნველყოს მსესხებლისათვის კრედიტის მიწოდება დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეთანხმებული ლიმიტის ფარგლებში, ანუ გაუხსნას საკრედიტო ხაზი. საკრედიტო ხაზის მოქმედების პერიოდში მსესხებელს შეუძლია ნებისმიერ დროს მიიღოს კრედიტი დამატებითი საკრედიტო თუ საგირავნო ხელშეკრულების გაფორმების გარეშე. როგორც წესი, საკრედიტო ხაზის გახსნის საკითხი დგება მსხვილი კომპანიების დაფინანსების შემთხვევაში, როცა მსესხებელს უჩნდება ფულადი რესურსების საჭიროება პერიოდულად, პროექტის სხვადასხვა ეტაპის რეალიზაციის დროს. ერთიანი საკრედიტო ხაზის ფარგლებში ყოველი ახალი კრედიტის მიწოდება შეიძლება ხდებოდეს წინასწარ დადგენილი ლიმიტის ფარგლებში.
- **რევოლვერული კრედიტი** შეიძლება ჩაითვალოს საკრედიტო ხაზის ნაირსახეობად, ვინაიდან ამ შემთხვევაშიც კომერციული ბანკის მხრიდან ხდება კრედიტის გარკვეული ლიმიტის დადგენა, რომლის გამოყენებაც შეუძლია მსესხებელს. განსხვავება ისაა, რომ კრედიტის ათვისება ხდება მსესხებლის მიერ მისთვის დადგენილი ლიმიტის ფარგლებში სრულად ან ნაწილობრივ და ამ ლიმიტის „განახლება“ ხდება ავტომატურად ადრე დაფარული კრედიტის ან მისი ნაწილის ფარგლებში. ანუ რევოლვერული კრედიტი – ესაა მუდმივად განახლებადი საკრედიტო ხაზი, ოღონდ, რა თქმა უნდა, იგი არაა უვადო, არამედ წინასწარ განისაზღვრება მისი მოქმედების პერიოდი (როგორც წესი, იგი მოკლევადიანი არ არის).
- **ოვერდრაფტი** წარმოდგება ინგლისური სიტყვისაგან ***overdraft***, რაც კრედიტის გადამეტებას, გადახარჯვას ნიშნავს. ოვერდრაფტი – ესაა თანხა, რომლის ფარგლებშიც კომერციული ბანკი აკრედიტებს მსესხებლის მიმდინარე ანგარიშს. ოვერდრაფტის დროს ბანკი ახდენს გადახდებს კლიენტის მიმდინარე ანგარიშიდან შეთანხმებული ლიმიტის ფარგლებში, მიუხედავად იმისა, რომ ამ ანგარიშებზე სახსრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ირიცხება. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს მსესხებლის მიმდინარე ანგარიშზე სადებეტო (მინუსიანი) სალდოს წარმოქმას, რომელიც ასახავს ბანკის მიმართ დავალიანების მოცულობას. ბუნებრივია, ოვერდრაფტის უფლებით სარგებლობენ კომერციული ბანკის განსაკუთრებული კლიენტები.

– **კონტოკორენტული კრედიტი** წარმოადგენს ოვერდრაფტის ნაირსახეობას. იგი საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ტიპური მაგალითია. ამ კრედიტით სარგებლობენ კომერციული ბანკების ის კლიენტები, რომელთაც ამ ბანკში მიმდინარე ანგარიში აქვთ. თავისი არსით კონტოკორენტული კრედიტი აერთიანებს კლიენტის საკრედიტო და საანგარიშსწორებო-საკასო მომსახურებას ერთიანი, აქტიურ-პასიური კონტოკორენტული ანგარიშის გახსნით. აქტიურ-პასიური ანგარიშები ქართული ბანკების ანგარიშთა გეგმის მიხედვით გათვალისწინებული არ არის. კონტოკორენტული ანგარიშის გახსნით კომერციული ბანკი საკუთარ თავზე იღებს ვალდებულებას, განახორციელოს კლიენტის მიმდინარე მოთხოვნებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული ყველა ოპერაცია. კონტოკორენტული კრედიტის მოცულობისა და ვადების განსაზღვრის საფუძველია კლიენტის სამეურნეო მოთხოვნები და ვალდებულებები და მათი მაქსიმალური მოცულობა (ლიმიტი) განისაზღვრება ხელშეკრულებით. ამასთან, ბუნებრივია, დაკრედიტების ლიმიტი თითოეული მსესხებლისათვის დგინდება ინდივიდუალურად, მისი ფინანსური მდგომარეობიდან და რეპუტაციიდან გამომდინარე. აღნიშნული სქემის მთავარი უპირატესობაა მსესხებლის საბრუნავი სახსრების დეფიციტის პრობლემის ოპერატიულად (ავტომატურ რეჟიმში) მოხსნა.

5) **გაცემული კრედიტის რაოდენობის (კრედიტორების) მიხედვით:**
   - ერთი ბანკის მიერ გაცემული;
   - პარალელური, რამდენიმე ბანკის მიერ ერთი და იმავე მსესხებლის ერთი და იმავე პროექტის დამოუკიდებლად დაფინანსება;
   - სინდიცირებული, სინდიკატად გაერთიანებული რამდენიმე ბანკის მიერ ერთ მსესხებელზე გაცემული.

ერთი ბანკის მიერ გაცემული კრედიტები აერთიანებს ყველა იმ სტანდარტული პროექტის დაფინანსებას, რომელთა დროსაც სახეზეა ერთი კრედიტორი და ერთი მსესხებელი.

პარალელური დაფინანსება. საბანკო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა მსესხებელი ერთი კონკრეტული პროექტის დასაფინანსებლად აწარმოებს მოლაპარაკებას რამდენიმე ბანკთან. ამის მიზეზი შეიძლება იყოს მსესხებლის მცდელობა, აარჩიოს საუკეთესო წინადადება, სხვადასხვა კომერციული ბანკის შეთავაზებებიდან. სხვადასხვა გარემოებიდან გამომდინარე, მსესხებელმა შეიძლება ერთი პროექტის დაფინანსება განახორციელოს ორი ან რამდენიმე ბანკის დაკრედიტებით, სადაც ისინი შეიძლება მონაწილეობდნენ პროექტის დაფინანსების სხვადასხვა ეტაპზე. გარდა ამისა, შეიძლება გარკვეული პროექტის დაფინანსება დაიწყოს ერთი ბანკის სახსრებით, მაგრამ მას რაღაც ეტაპზე ჩაენაცვლოს ან დაემატოს სხვა ბანკი (ან ბანკები). პარალელური დაფინანსების შემთხვევებში კრედიტორების (ბანკების) მიერ არ ხდება რაიმე საკითხზე შეთანხმება და თითოეული მათგანი მოქმედებს საკუთარი რისკით

და ინტერესებიდან გამომდინარე. ამ დროს მსესხებლისა და ცალკეული კრედიტორების შეთანხმების პირობები შეიძლება განსხვავებული იყოს.

სინდიცირებული კრედიტი მიეწოდება მსესხებელს არანაკლებ ორი კრედიტორის მიერ, რომლებიც მონაწილეობენ გარიგებაში განსაზღვრული წილით და, როგორც წესი, ერთიანი საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე. სინდიცირებული კრედიტი მეტწილად იმ შემთხვევაში გამოიყენება, როცა ხდება ისეთი დიდი პროექტის დაფინანსება, რომელიც თავისი მოცულობით არ ძალუძს ცალკე აღებულ ერთ კომერციულ ბანკს. ამის მიზეზი შეიძლება იყოს როგორც დაფინანსებისათვის აუცილებელი რესურსების არარსებობა კონკრეტულ კომერციულ ბანკში, ისე მისი მხრიდან სავალდებულო ნორმატივებისა და ლიმიტების დარღვევის საშიშროება. სინდიცირებული საკრედიტო ხელშეკრულების მომზადება უფრო ხანგრძლივი პროცესია, ვიდრე ერთი კრედიტორის არსებობის შემთხვევაში.

იურიდიული თვალსაზრისით, სინდიცირებული კრედიტი, პირველ რიგში, ესაა შეთანხმება კრედიტორებს, ანუ ბანკებს შორის. უმეტესწილად სინდიცირებული კრედიტი გვევლინება, როგორც საერთაშორისო ბანკთაშორისი დაკრედიტების ერთ-ერთი ფორმა, რომლის დროსაც კრედიტი მიეწოდება მსესხებელს კრედიტორი ბანკების ჯგუფის, ანუ სინდიკატის (კონსორციუმი ან კლუბი) მიერ. საბანკო სინდიკატები იქმნებიან, რათა ერთობლივ საფუძველზე განახორციელონ მსხვილი საკრედიტო პროექტების დაფინანსება.

6) უზრუნველყოფის მიხედვით:

- უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი;
- მოძრავი ქონებით უზრუნველყოფილი;
- თავდებობით უზრუნველყოფილი;
- საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი;
- დეპოზიტით უზრუნველყოფილი;
- საკრედიტო რისკის დაზღვევით უზრუნველყოფილი;
- შერეული გირაოთი უზრუნველყოფილი;
- არაუზრუნველყოფილი (საბლანკო) კრედიტი.

გამომდინარე იმ როლიდან, რომელიც ენიჭება კრედიტის უზრუნველყოფას საბანკო დაკრედიტებისას, გასაგებია ამ კლასიფიკაციის მნიშვნელობა. აღნიშნული ჩამონათვალიდან ზოგიერთი არის მაღალლიკვიდური (მაგალითად, დეპოზიტით უზრუნველყოფილი), ზოგიერთი – ნაკლებად ლიკვიდური (მაგალითად, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი). როგორც ჩამონათვალიდან ვხედავთ, არის არაუზრუნველყოფილი (საბლანკო) კრედიტიც. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა აქვს საკრედიტო პორტფელის ანალიზს ამ კლასიფიკაციით, ვინაიდან იგი მოიცავს კონკრეტული კომერციული ბანკის საკრედიტო საქმიანობის ან დაკრედიტების რომელიმე მიმართულების რისკიანობის ხარისხს.

7) ეკონომიკის დარგების მიხედვით (საქართველოში კომერციული ბანკების ანგარიშთა გეგმის შესაბამისად):

- ბანკთაშორისი;
- ვაჭრობისა და მომსახურების სექტორზე გაცემული;
- ენერგეტიკის სექტორზე გაცემული;
- სოფლის მეურნეობისა და მეტყეობის სექტორზე გაცემული;

ეროვნული ბიბლიოთეკა

- მშენებლობის სექტორზე გაცემული;
- სამთომომპოვებელ და გადამამუშავებელ სექტორზე გაცემული;
- ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორზე გაცემული;
- ფიზიკურ პირებზე გაცემული;
- დანარჩენ სექტორზე გაცემული.

წარმოდგენილი კლასიფიკაცია განისაზღვრება საქართველოს კომერციული ბანკების ანგარიშთა გეგმით. აღნიშნული სეგმენტაციის რეალური სურათის ნახვა 2004 და 2013 წლების ბოლოსათვის საინტერესო ინფორმაციას იძლევა (ცხრ. №14.2.).

ცხრ. №14.2. საქართველოს საბანკო სექტორის საკრედიტო პორტფელი ეკონომიკის დარგების ჭრილში

ეკონომიკის დარგები	2004.12.31	2013.12.31
ბანკთაშორისი	3.4 %	0.8 %
ვაჭრობა და მომსახურება	33.5 %	24.9 %
ენერგეტიკა	2.7 %	1.8 %
სოფლის მეურნეობა და მეტყევეობა	1.3 %	1.5 %
მშენებლობა	5.2 %	4.5 %
სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი	14.4 %	6.4 %
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	1.9 %	2.7 %
ფიზიკური პირები	29.1 %	45.6 %
დანარჩენი	8.5 %	11.8 %
სულ:	100.0 %	100.0 %

8) ბიზნესმიმართულებებისა და საბანკო პროდუქტების მიხედვით:

- ბანკთაშორისი კრედიტები;
- ბიზნესსესხები:
  - კორპორაციული ბიზნესის დაკრედიტება;
  - საშუალო ბიზნესის დაკრედიტება;
  - მცირე ბიზნესის დაკრედიტება.
- დაკრედიტების საცალო ბიზნესი:
  - იპოთეკური კრედიტები;
  - საკრედიტო ბარათები;
  - სხვა სამომხმარებლო კრედიტები.

ამ კლასიფიკაციას შეიძლება დაკრედიტების ბაზრის სეგმენტაცია ვუწოდოთ და იგი მეტად მნიშვნელოვანია. კონკურენტების შესახებ ინფორმაცია აღნიშნული კლასიფიკაციის მიხედვით ნებისმიერი კომერციული ბანკისათვის მეტად ფასეულია, ვინაიდან მიღებულმა შედეგებმა და მათ საფუძველზე გაკეთებულმა დასკვნებმა შეიძლება წარმოაჩინოს მისი სუსტი ადგილები და საკრედიტო საქმიანობის გაფართოების პერსპექტიული მიმართულებები. კონკრეტული ბანკის ჭრილში აღნიშნული კლასიფიკაციით გაკეთებული ანალიზი გვიჩვენებს, თუ რომელ სეგმენტზეა იგი უფრო აქტიური, სად მეტი წარმატება აქვს, შეესაბამება თუ არა არსებული მდგომარეობა მის სტრატეგიასა და საკრედიტო პოლიტიკას.

მნიშვნელოვანია ასევე ქვეყნის მასშტაბით ამ კლასიფიკაციის მიხედვით გად მიღებული საერთო სურათი, მაგალითად, როგორია მასში კომერციული ბანკებისა და სხვა საკრედიტო ინსტიტუტების წილი, რამდენად შეესაბამება იგი ქვეყნის განვითარების პრიორიტეტებს, რამდენად ახლოსა სხვა, წარმატებული ქვეყნების ანალოგიურ შედეგებთან და ა.შ.

ბანკთაშორისი დაკრედიტება წარმოადგენს ფინანსური ბაზრის უმნიშვნელოვანეს სეგმენტს, სადაც ხდება მოკლევადიანი საკრედიტო რესურსების ყიდვა და გაყიდვა ბანკთაშორისი კრედიტებისა და ბანკთაშორისი დეპოზიტების სახით. როგორც უკვე აღინიშნა, ბანკთაშორისი დაკრედიტების თავისებურებაა მისი მოკლევადიანობა, იგი ასევე წარმოადგენს სახსრების ოპერატიულ წყაროს კომერციული ბანკების ლიკვიდობის შესანარჩუნებლად, საკორესპონდენტო ანგარიშების შესავსებად და ფინანსური ბაზრების უფრო შემოსავლიან სეგმენტებზე აქტიური ოპერაციების განსახორციელებლად.

ბიზნესსესხებში გაერთიანებულია იურიდიულ პირებზე, ასევე ინდივიდუალურ მეწარმეებზე გაცემული კრედიტი (კორპორაციული, საშუალო და მცირე ბიზნესი). ამ საბანკო პროდუქტების მიხედვით კლასიფიკაციის საფუძველს წარმოადგენს: გაცემული კრედიტების მოცულობა, საპროცენტო განაკვეთი (როგორც წესი, კორპორაციულ კლიენტებზე კრედიტები გაიცემა უფრო დაბალი საპროცენტო განაკვეთით, ვიდრე მცირე ბიზნესზე), დაკრედიტების პირობები, საკრედიტო პროექტების შესწავლისა და მსესხებლის კრედიტუნარიანობის განსაზღვრის მეთოდოლოგია და სხვა კრიტერიუმები. ზოგიერთ ბანკში, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, საშუალო და მცირე ბიზნესი შეიძლება ერთ ჯგუფად იყოს გაერთიანებული.

დაკრედიტების საცალო ბიზნესი, ანუ სამომხმარებლო დაკრედიტება, აერთიანებს ფიზიკურ პირებზე გაცემულ მიზნობრივ კრედიტს და წარმოადგენს თანამედროვე საცალო ბაზრის განუყოფელ ნაწილს. სამომხმარებლო კრედიტი – ესაა ეკონომიკური ურთიერთობები კრედიტორსა და ფიზიკურ პირს შორის, გამოხატული ფულადი ფორმით სასესხო კაპიტალის მოძრაობაში და მიმართული მსესხებლის დანახარჯების ფინანსირებისაკენ. აღნიშნული დანახარჯები დაკავშირებულია საქონლისა და მომსახურების შეძენასთან, მოხმარებასა და გამოყენებასთან. სამომხმარებლო კრედიტების ძირითადი სახეობებია იპოთეკური კრედიტი, საკრედიტო ბარათები და მიზნობრივი სამომხმარებლო კრედიტი.

ქვემოთ მოცემულია სესხების კლასიფიკაცია სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, რომელთაც დაწვრილებით არ განვიხილავთ, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ მათი მეშვეობით მიღებული ინფორმაციის უდიდესი მნიშვნელობა:

9) **სახელშეკრულებო ვადის მიხედვით:**
- მოკლევადიანი (1 წლამდე);
- საშუალოვადიანი (1-დან 5 წლამდე);
- გრძელვადიანი (5 წელზე მეტი ვადით);
- ონკოლური (იფარება ბანკის მოთხოვნისთანავე).

10) **ვალუტების მიხედვით:**
- ეროვნულ ვალუტაში (ლარში) გაცემული;
- უცხოურ ვალუტაში გაცემული.

11) დაფარვის მეთოდების მიხედვით:
- ვადის ბოლოს, ერთჯერადი დაფარვით;
- ეტაპობრივად (განვადებით), კრედიტის მთელი ვადის განმავლობაში;

12) დაფარვის სქემის მიხედვით:
- ჩვეულებრივი, ანუ დიფერენცირებული;
- ანუიტეტური, ანუ თანაბარი დაფარვებით.

13) შემოსავლიანობის (საპროცენტო განაკვეთის სიდიდის) მიხედვით:
- შეღავათიანი საპროცენტო განაკვეთით;
- საბაზრო საპროცენტო განაკვეთით;
- საბაზროზე მაღალი საპროცენტო განაკვეთით.

14) საპროცენტო განაკვეთის მიხედვით:
- ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით;
- მცურავი საპროცენტო განაკვეთით;
- მარტივი საპროცენტო განაკვეთით;
- რთული საპროცენტო განაკვეთით.

15) პროცენტის თანხის გადახდის მეთოდების მიხედვით:
- პროცენტის გადახდა ხდება წინასწარ, კრედიტის გაცემისათანავე;
- პროცენტის გადახდა ხდება პერიოდულად (ყოველთვიურად, კვარტალში ერთხელ, ყოველწლიურად);
- პროცენტის გადახდა ხდება ძირითადი თანხის დაფარვის დროს.

16) კრედიტის თანხის დაფარვის მიმდინარე მდგომარეობის მიხედვით:
- ვადიანი;
- ვადაგადაცილებული.

17) კრედიტის დაფარვის რისკის მიხედვით (საქართველოში მოქმედი კლასიფიკაციის მიხედვით):
- სტანდარტული;
- საყურადღებო;
- არასტანდარტული;
- საეჭვო;
- უიმედო;
- ჩამოწერილი.

საბანკო კრედიტების კლასიფიკაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს კომერციული ბანკის საკრედიტო საქმიანობის ანალიზის, სეგმენტაციის, მსესხებლების პრიორიტეტებისა და საბაზრო კონიუნქტურის კვლევის, ასევე არსებული ნაკლოვანებებისა და რისკების გამოვლენისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მისაღებად. ყოველივე ზემოაღნიშნული მნიშვნელოვანია როგორც კომერციული ბანკების, ისე მარეგულირებელი ორგანოებისათვის, საბანკო სისტემის მკვლევარებისა და ანალიტიკოსებისათვის. მაგალითისათვის გამოდგება საქართველოს ეროვნული ბანკის ქვემოთ მოცემული ინფორ-

მაციები (ცხრ. №14.3, №14.4 და №14.5.), რომლებიც საინტერესო დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა.

ცხრ. №14.3. საქართველოს საბანკო სისტემის სესხების კლასიფიკაცია სახელშეკრულებო ვადების მიხედვით 31.12.2013

	სესხით სარგებლობის ვადა	წილი სესხების მთლიან რ-ში	წილი სესხების მთლიან მოც-ში
1	1 თვის ჩათვლით	13.1 %	1.4 %
2	1 თვიდან 3 თვის ჩათვლით	6.6 %	1.7 %
3	3 თვიდან 6 თვის ჩათვლით	10.4 %	4.4 %
4	6 თვიდან 12 თვის ჩათვლით	40.9 %	15.3 %
5	12 თვეზე მეტი	29.1 %	77.2 %
	სულ:	100.0 %	100.0 %

ცხრ. №14.4. საქართველოს საბანკო სისტემის სესხების კლასიფიკაცია სახელშეკრულებო თანხების მიხედვით 31.12.2013

	გაცემული სესხის თანხა	წილი სესხების მთლიან რ-ში	წილი სესხების მთლიან მოც-ში
1	1 ლარიდან 1,000 ლარის ჩათვლით	67.8 %	5.6 %
2	1,000 ლარიდან 2,000 ლარის ჩათვლით	14.3 %	4.0 %
3	2,000 ლარიდან 20,000 ლარის ჩათვლით	15.6 %	16.2 %
4	20,000 ლარიდან 50,000 ლარის ჩათვლით	1.2 %	7.3 %
5	50,000 ლარიდან 100,000 ლარის ჩათვლით	0.6 %	7.4 %
6	100,000 ლარზე მეტი	0.5 %	59.5 %
	სულ:	100.0 %	100.0 %

ცხრ. №14.5. საქართველოს საბანკო სისტემის სესხების კლასიფიკაცია საპროცენტო განაკვეთების მიხედვით 31.12. 2013

	სესხით სარგებლობის წლიური საპროცენტო განაკვეთი	წილი სესხების მთლიან რ-ში	წილი სესხების მთლიან მოც-ში
1	0 %-დან 5 % ჩათვლით	31.5 %	5.7 %
2	5 %-დან 10 % ჩათვლით	0.7 %	13.2 %
3	10 %-დან 15 % ჩათვლით	6.8 %	57.8 %
4	15 %-დან 20 % ჩათვლით	10.6 %	12.3 %
5	20 %-დან 25 % ჩათვლით	7.9 %	2.7 %
6	25 %-დან 30 % ჩათვლით	15.2 %	3.4 %
7	30 %-დან 35 % ჩათვლით	1.5 %	0.7 %
8	35 %-დან 40 % ჩათვლით	18.0 %	3.6 %
9	40 %-დან 45 % ჩათვლით	1.7 %	0.2 %
10	45 %-დან 50 % ჩათვლით	3.5 %	0.3 %
11	50 %-ზე მეტი	2.5 %	0.1 %
	სულ:	100.0 %	100.0 %

საბოლოოდ, უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში არ არსებობს საბანკო კრედიტების ერთიანი კლასიფიკაციის სისტემა. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი კლასიფიკაცია მოიცავს საბანკო კრედიტების შესაძლო მაქსიმალურ სეგმენტაციას (თუმცა, ის შეიძლება არასრული იყოს), მაგრამ მათი გამოყენება კონკრეტული კომერციული ბანკების, მარეგულირებლების ან ანალიტიკოსების მიერ არის სუბიექტური და დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მიზანს ემსახურება მათი კვლევა.

14.2. ერთჯერადი კრედიტების გაცემა

ერთჯერადი (მიზნობრივი) კრედიტები შეადგენენ კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელის საერთო მოცულობის უდიდეს ნაწილს და მათი გაცემა ხდება შემთხვევიდან შემთხვევამდე, კონკრეტული მიზნისათვის და კონკრეტული პროექტის (ობიექტის) დასაფინანსებლად. ერთჯერადი კრედიტის გაცემისას ფორმდება ინდივიდუალური საკრედიტო ხელშეკრულება, რომელშიც გაწერილია ყოველი დეტალი, მათ შორის, რა თქმა უნდა, მიზნობრიობა, დაფარვის ვადები და ა.შ.

ერთჯერადი კრედიტის ყოველი მოთხოვნისას პოტენციურ მსესხებელს უწევს ბანკში თავისი მოთხოვნის არგუმენტირება (დასაბუთება) და შესაბამისი დოკუმენტების აუცილებელი პაკეტის წარდგენა. მიზნობრივი კრედიტის გაცემა ხდება ერთჯერადად, სასესხო ანგარიშიდან მსესხებლის ანგარიშსწორების ანგარიშზე კრედიტის თანხის ჩარიცხვით. აქედან გამომდინარე, მსესხებელს ექნება იმდენი სასესხო ანგარიში, რამდენი მიზნობრივი ობიექტიც აქვს. მაგალითად, ფიზიკურ პირს იპოთეკური და ავტოკრედიტის არსებობის შემთხვევაში ორი შესაბამისი სასესხო ანგარიში ექნება. რა თქმა უნდა, ანალოგიურია შემთხვევები იურიდიული პირების დროსაც. არსებული კრედიტის სრულად დაფარვის შემდეგ იმავე ან სხვა მიზნობრიობის ახალი კრედიტის დამტკიცებისას იხსნება ახალი სასესხო ანგარიში და ა.შ.

ერთჯერადი კრედიტების ფასი არაა ერთგვაროვანი და დამოკიდებულია სუბიექტურ თუ ობიექტურ გარემოებაზე, მათ შორის, დაკრედიტების მიზანზე, პოტენციური მსესხებლის ფინანსურ მდგომარეობასა და მის რეპუტაციაზე, საკრედიტო რისკის ხარისხზე, ფულადი ბაზრის კონიუნქტურასა და კონკურენციის დონეზე, ასევე დაკრედიტების ვადაზე, უზრუნველყოფის სახეობაზე, ვალუტაზე და ა.შ.

ტრადიციულად, იურიდიულ პირებზე გაცემული ერთჯერადი კრედიტების უზრუნველყოფის სახეობებია მატერიალურ-სასაქონლო ფასეულობები, ლიკვიდური ფასიანი ქაღალდები, უძრავი ქონება და მოწყობილობები.

ფიზიკური პირების შემთხვევაში ერთჯერადი კრედიტების გაცემისას უზრუნველყოფის ძირითად სახეობებად გვევლინება უძრავი და მოძრავი ქონება, გარანტია და თავდებობა. ორივე შემთხვევაში, როგორც წესი, კრედიტის უზრუნველყოფის აუცილებელ თანმდევ ელემენტს წარმოადგენს უზრუნველყოფის საგნის დაზღვევის მოთხოვნა კომერციული ბანკის მხრიდან. ფიზიკური პირის შემთხვევაში ამას შეიძლება დაემატოს უშუალოდ მსესხებლის სიცოცხლის დაზღვევაც.

14.3. დაკრედიტება საკრედიტო ხაზების მეშვეობით

საკრედიტო ხაზი – ესაა კომერციული ბანკის იურიდიულად გაფორმებული ვალდებულება მსესხებლისადმი, მიაწოდოს მას კრედიტი წინასწარ შეთანხმებული ლიმიტის ფარგლებში (გაუხსნას საკრედიტო ხაზი) პირველივე მოთხოვნისთანავე, შეთანხმებული ვადით.

საკრედიტო ხაზის გახსნის პრაქტიკას უდიდესი მნიშვნელობა აქვს კომერციულ ბანკსა და მსესხებელს შორის ურთიერთობაში, ვინაიდან იგი ხელსაყრელია ორივე მხარისათვის: კომერციული ბანკი ახდენს თავისი რესურსების ხელსაყრელი პირობებით (კარგ მსესხებელზე, სათანადო უზრუნველყოფით) განთავსებას, ხოლო მსესხებელი გრძელვადიან პერსპექტივაში გარანტირებულია სათანადო რესურსებით საკმაოდ მიმზიდველი პირობებით (დაბალი საპროცენტო განაკვეთი, ხელმისაწვდომობა, სხვა შეღავათიანი პირობები). ასეთი ურთიერთობისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ იზოგება როგორც მსესხებლის, ისე კომერციული ბანკის დრო და შრომითი დანახარჯები.

ბუნებრივია, კომერციული ბანკის მხრიდან ასეთი პირობებით დაკრედიტების შეთავაზება ხდება მხოლოდ მისთვის კარგად ცნობილ, დადებითი რეპუტაციის მქონე და ფინანსურად წარმატებულ მსესხებლებზე. ამ შემთხვევებში კომერციულ ბანკსა და მსესხებელს შორის ფორმდება რამდენიმეწლიანი გენერალური ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება ორივე მხარის ყველა უფლება-მოვალეობა და დაკრედიტების პირობა, ასევე კრედიტის უზრუნველყოფა (გირავნობა), რომლისათვისაც იდება საგირავნო ხელშეკრულება.

თავისი ბუნებით დაკრედიტება საკრედიტო ხაზით განსხვავებულია დაკრედიტების სხვა სახეობებისაგან და ეს, პირველ რიგში, განპირობებულია მსესხებელთა იმ კატეგორიის განსაკუთრებულობით, რომელთათვისაც ისინია განკუთვნილი. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ესაა მხოლოდ იურიდიული პირები და, როგორც წესი, კორპორაციული და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები. ამ მსესხებლებისათვის დამახასიათებელია საკრედიტო რესურსების არა ერთჯერადი, არამედ მუდმივი საჭიროება. აქ იგულისხმება როგორც საბრუნავი საშუალებების მუდმივი განახლება, ასევე ბიზნესის სეზონურობა. დაბოლოს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კომერციული ბანკები საკრედიტო ხაზებს უხსნიან მხოლოდ ფინანსურად წარმატებულ, საიმედო და კარგი რეპუტაციის მქონე კომპანიებს.

კომერციული ბანკისათვის, რომელიც აპირებს კონკრეტული კომპანიისათვის საკრედიტო ხაზის გახსნას, ყველაზე მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს საკრედიტო ხაზის საზღვრების დადგენა, ანუ ამ კომპანიისათვის მაქსიმალური შესაძლო დაკრედიტების მოცულობის დადგენა. რა თქმა უნდა, კომერციული ბანკი დაინტერესებულია, რაც შეიძლება დიდი მოცულობით დააკრედიტოს წარმატებული კლიენტი, თუმცა, დასადგენია იმ ტვირთის სიმძიმე, რომელსაც ეს მსესხებელი ასწევს როგორც ჩვეულებრივ, ისე კრიზისულ სიტუაციებში. ამ ამოცანის გადაწყვეტისას მხედველობაში მიიღება კომპანიის საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობა, საკუთარი და ნასესხები სახსრების მოცულობა, ნასესხები სახსრების სრულად დაფარვის შესაძლებლობა და ა.შ.

როგორც უცხოურ, ისე ქართულ პრაქტიკაში გავრცელებულია საკრედიტო ხაზების სხვადასხვა სახეობა. საკრედიტო ხაზების კლასიფიკაციის ყველაზე გავრცელებულ სახეობებს წარმოადგენენ განუახლებელი და განახლებადი საკრედიტო ხაზები.

განუახლებელი საკრედიტო ხაზი უმეტესწილად გამოიყენება კონკრეტული ბიზნესპროექტის ან კონტრაქტის დასაფინანსებლად, როცა მსესხებელს ფულადი სახსრები სჭირდება ნაწილ-ნაწილ ამ პროექტის ან კონტრაქტის რეალიზაციის სხვადასხვა ეტაპზე. საკრედიტო ხაზის ფარგლებში თითოეულ „ახალ" კრედიტს ზოგჯერ ტრანშს უწოდებენ და, როგორც წესი, ხელშეკრულებით განისაზღვრება თითოეული ამ ტრანშის როგორც მოცულობა, ისე ათვისებისა და დაფარვის ვადებიც.

ფაქტობრივად, თითოეული ასეთი ტრანში ახალი კრედიტია, რომელიც რეგულირდება ერთი საკრედიტო და საგირავნო ხელშეკრულებით. თითოეული ტრანშის ან მისი ნაწილის დაფარვის შემდეგ საკრედიტო ხაზის საერთო ლიმიტი მცირდება და მსესხებელს მისი კვლავ ათვისება აღარ შეუძლია. ხშირად საკრედიტო ლიმიტის დროულ ან საერთოდ აუთვისებელ ნაშთზე შეიძლება მსესხებელს მოუწიოს გარკვეული ჯარიმის გადახდა.

განახლებადი საკრედიტო ხაზი, ანუ რევოლვერული კრედიტი, არის შეთანხმება დაკრედიტების შესახებ კომერციულ ბანკსა და იმ მსესხებელს შორის, რომელიც მუდმივად განიცდის მოზიდული სახსრების დეფიციტს. ასეთ დროს მსესხებელს უფლება აქვს დაფაროს ათვისებული კრედიტი სრულად ან ნაწილობრივ, მაგრამ, ამავდროულად, ინარჩუნებს უფლებას, ისევ ისარგებლოს კრედიტით ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკრედიტო ხაზის ლიმიტის ფარგლებში. კრედიტის ამ ფორმის მომხმარებლები არიან ის მსესხებლები, რომელთაც აქვთ სეზონური ბიზნესი ან ყოველთვიურად თვის გარკვეულ დეკადებში განიცდიან ფულადი სახსრების დეფიციტს, ხოლო შემდეგ უჩნდებათ შემოსავლები ამ დავალიანების დასაფარავად.

მუდმივად განახლებადი მექანიზმი რევოლვერული კრედიტის დამახასიათებელი თავისებურებაა, რომლის დროსაც მსესხებლის მხრიდან ხდება ვალის მუდმივად აღება და დაფარვა. რევოლვერული კრედიტი თავისი ბუნებით ჰგავს ფიზიკურ პირებზე გაცემულ საკრედიტო ბარათებს.

მოქმედების ვადების მიხედვით, საკრედიტო ხაზები შეიძლება იყოს როგორც ვადიანი, ისე უვადო. უვადო საკრედიტო ხაზის პრაქტიკა დამახასიათებელია უცხოური საბანკო საქმიანობისათვის და მისი თავისებურებაა ის, რომ მსესხებელს შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს ამ პროდუქტით, პრაქტიკულად, უვადოდ. რა თქმა უნდა, „უვადოდ" სარგებლობა პირობითია, ვინაიდან გარკვეული მდგომარეობისა და ვითარების დადგომისას ბანკს უფლება აქვს მოსთხოვოს მსესხებელს კრედიტის დაფარვა.

კრედიტით სარგებლობისათვის გადასახდელი პროცენტების მიხედვით გვაქვს საკრედიტო ხაზის ორი სახეობა: ფიქსირებული და მცურავი საპროცენტო განაკვეთებით. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი დამახასიათებელია, როგორც წესი, მოკლევადიანი საკრედიტო ხაზებისათვის. გრძელვადიანი და უვადო საკრედიტო ხაზის შემთხვევაში ხდება შეთანხმება მცურავ საპროცენტო განაკვეთზე.

დღეისათვის დაკრედიტება საკრედიტო ხაზის გახსნით მეტად პოპულარულია და ამ მხრივ არც ქართული ბანკებია გამონაკლისი. საკრედიტო ხაზების გახსნით ბანკები, ერთი მხრივ, ახდენენ მათი საკრედიტო რესურსების გრძელვადიან საიმედო განთავსებას, მეორე მხრივ კი – უზრუნველყოფენ კლიენტურის ბაზის გაფართოებას.

14.4. ოვერდრაფტი

როგორც ვიცით, იურიდიულ თუ ფიზიკურ პირს ფინანსური ვალდებულებების შესრულება ან საქონლისა თუ მომსახურების შეძენა შეუძლია თავის ხელთ არსებული ფულადი სახსრებით. იმ შემთხვევაში, თუ ფულადი სახსრები საკმარისი არ არის, პირი იღებს კრედიტს, რომლისათვისაც მსესხებელს ეხსნება სპეციალური სასესხო ანგარიში, იქნება ეს ერთჯერადი კრედიტი თუ საკრედიტო ხაზი. თუმცა, არსებობს დაკრედიტების სპეციფიკური ფორმა, რომელიც თავისი ბუნებით ჰგავს განახლებად საკრედიტო ხაზს, ამასთან, იგი რიგი თავისებურებებით გამოირჩევა. საუბარია ოვერდრაფტზე, რომელიც ფართოდ გავრცელდა თანამედროვე ქართულ საბანკო პრაქტიკაშიც.

ოვერდრაფტის მთავარი თავისებურებაა ის, რომ ამ დროს ხდება მსესხებლის მიმდინარე ანგარიშზე სადებეტო (მინუსიანი) სალდოს წარმოქმნის შესაძლებლობა, რომელიც ასახავს ბანკის მიმართ დავალიანების მოცულობას (აღნიშნულ მინუსიან სალდოს ბანკირები ანგარიშის „გაწითლებასაც“ უწოდებენ). როგორც წინა პარაგრაფში ვახსენეთ, ოვერდრაფტი წარმოდგება ინგლისური სიტყვისაგან ***overdraft***, რაც კრედიტის გადამეტებას, გადახარჯვას ნიშნავს. ანუ ოვერდრაფტი – ესაა თანხა, რომლის ფარგლებშიც კომერციული ბანკი აკრედიტებს მსესხებლის მიმდინარე ანგარიშს.

ოვერდრაფტის დროს ბანკი უფლებას აძლევს კლიენტს, განახორციელოს გადახდები მიმდინარე ანგარიშიდან შეთანხმებული ლიმიტის ფარგლებში, მიუხედავად იმისა, რომ მასზე სახსრები არ ირიცხება. მაგალითად, წარმოვიდგინოთ, რომ კლიენტს ანგარიშზე აქვს 50 პირობითი ერთეულის სახსრები და სჭირდება გადარიცხოს ან გაანაღდოს 180 ერთეული. ოვერდრაფტის უფლებით სარგებლობის შემთხვევაში, რომლის მოცულობა, ვთქვათ, 200 პირობითი ერთეულია, ანუ ჯამურად მას შეუძლია 250 (50+200) ერთეულის გამოყენება. ამგვარად, კლიენტს შეუძლია ბანკთან ყოველგვარი დამატებითი შეთანხმების გარეშე გადარიცხოს 180 პირობით ერთეული. გადარიცხულ 180 ერთეულში 50 იქნება საკუთარი ფული, ხოლო 130 – ოვერდრაფტის თანხა, რომელიც დაფიქსირდება, როგორც წარმოქმნილი მინუსიანი სალდო მის მიმდინარე ანგარიშზე. ამასთან, კლიენტს კიდევ რჩება 70 (200-130) პირობითი ერთეულის გადარიცხვის შესაძლებლობა ოვერდრაფტის ხარჯზე. როგორც კი კლიენტი დაფარავს 130 პირობითი ერთეულის კრედიტს, მას ისევ აქვს შესაძლებლობა, აითვისოს 200 პირობითი ერთეულის ოვერდრაფტი და ა.შ.

ანუ ოვერდრაფტი დაკრედიტების განსაკუთრებული ფორმაა, როცა ბანკი ახდენს კლიენტის ანგარიშსწორების ან მიმდინარე ანგარიშის დაკრედიტებას, რომლის დროსაც მას შესაძლებლობა აქვს ბანკთან დამატებითი შეთანხმების გარეშე მოახდინოს ანგარიშსწორება მისი ანგარიშიდან სახსრების არარსებობის შემთხვევაში, წინასწარ განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში.

ოვერდრაფტის შემდეგი თავისებურებაა ის, რომ კრედიტის მიზნობრიობის დადგენა რთულდება და რეალურად მსესხებელს მისი გამოყენება ნებისმიერი საჭიროებისათვის შეუძლია. როგორც წესი, ოვერდრაფტები არის ხანმოკლე და მათი დაფარვა ხდება ავტომატურად, ანგარიშზე სახსრების ჩარიცხვისთანავე. ოვერდრაფტი მსესხებლების ხელში არის ფინანსური სახსრების მიმდინარე ხანმოკლე დეფიციტის, ანუ საგადამხდელო ბრუნვაში გარღვევის აღმოფხვრის მეტად მოქნილი ინსტრუმენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან, როგორც წესი, ოვერდრაფტების მაქსიმალური ოდენობა მნიშვნელოვნად ერთჯერად მიზნობრივ კრედიტებსა და საკრედიტო ხაზებთან შედარებით. ეს განპირობებულია იმით, რომ კომერციული ბანკი ოვერდრაფტით აკრედიტებს არა უბრალოდ საბრუნავი სახსრების დეფიციტს, არამედ მათ ხანმოკლე, დროებით საჭიროებას. ამიტომაც ოვერდრაფტის მაქსიმალური ოდენობა, ე. წ. „ლიმიტი", დგინდება ამ კლიენტის რეალური საჭიროებებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე. ლიმიტები შეიძლება იყოს როგორც ფიქსირებული, ისე მცურავი. მცურავი ოვერდრაფტის ლიმიტები შეიძლება დადგინდეს მსესხებლის ბიზნესის სეზონურობიდან გამომდინარე ან მიბმული იყოს მის ანგარიშზე ჩარიცხვების მოცულობაზე. ოვერდრაფტებით სარგებლობენ როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირები.

ოვერდრაფტით სარგებლობის უფლებას ბანკი აძლევს მხოლოდ წარმატებულ, ფინანსურად მდგრად და კარგი რეპუტაციისა და დადებითი საკრედიტო ისტორიის მქონე კომპანიებს და, როგორც წესი, ესაა საშუალო და მსხვილი, მეტწილად სავაჭრო და მომსახურების სფეროს ორგანიზაციები. ოვერდრაფტი მიჩნეულია დაკრედიტების ე. წ. „შეღავათიან" სახეობად. როცა კომერციული ბანკი ხედავს სტაბილურ და რეგულარულ ჩარიცხვებს თავისი კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე, იგი იღებს გადაწყვეტილებას მისთვის არა მარტო მოთხოვნილი ოვერდრაფტის დამტკიცების შესახებ, არამედ, პირიქით, თვითონ სთავაზობს ოვერდრაფტით სარგებლობის უფლებას.

რაც შეეხება ფიზიკურ პირებს, ოვერდრაფტით სარგებლობის უფლება, როგორც წესი, ეძლევათ, ე. წ. „სახელფასო პროექტებში" მონაწილე კომპანიების თანამშრომლებს. ესენი არიან იმ კომპანიების თანამშრომლები, რომლებიც თავიანთ მიმდინარე სახელფასო ანგარიშებს ხსნიან საკუთარი კომპანიის მომსახურე კომერციულ ბანკში და მისგან იღებენ შემოთავაზებას ოვერდრაფტებით სარგებლობის შესახებ.

ამ შემთხვევაში კომერციული ბანკისათვის ოვერდრაფტით წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის უზრუნველყოფას წარმოადგენს აღნიშნული თანამშრომლის ხელფასი. როგორც წესი, ქართულ რეალობაში ოვერდრაფტის მოცულობა შეადგენს ერთი თვის ხელფასის 70%-100%-ს. ასეთი მექანიზმი უზრუნველყოფს იმას, რომ სახელფასო პროექტის მონაწილე მსესხებელი ფიზიკური პირი „ათვისებული" ოვერდრაფტის შემთხვევაში ყოველთვიურად ფარავს მას ჩარიცხული ხელფასით, რომლის ხელახლა ათვისებაც მაშინვე შეუძლია და ა.შ. ყოველთვიურად.

ფიზიკურ პირსა და ბანკს შორის ასეთ ოპერატიულ ურთიერთობას აადვილებს თანამედროვე საბანკო ტექნოლოგიები, კერძოდ, პლასტიკური ბარათები (რომლებიც, როგორც წესი, უფასოდ ურიგდებათ სახელფასო პროექტის მონაწილეებს), ბანკომატები, პოს-ტერმინალები სავაჭრო ორგანიზაციებში, ინტერნეტ-ბანკინგი და ა.შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

14.5. სამომხმარებლო კრედიტი და საკრედიტო ბარათები

დაკრედიტების სამომხმარებლო ბიზნესი თანამედროვე საბანკო საქმის პრიორიტეტულ მიმართულებად ჩამოყალიბდა. იგი არის საცალო ბანკინგის, ანუ ე. წ. „რითეილ ბანკინგის“ ***(retail banking)*** უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი. ბოლო წლების განმავლობაში საცალო ბანკინგმა საქართველოში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა როგორც რაოდენობრივად, ისე ხარისხობრივად. ქართული ბანკები სერიოზულ ყურადღებას აქცევენ რითეილის განვითარებას, აცნობირებენ მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, კერძოდ: იზრდება გაყიდვების წერტილების, მიწოდებული პროდუქტებისა და მომსახურების სახეობების რაოდენობა, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მომსახურების ხარისხი. თვალსაჩინოებისათვის, ბოლო 10 წლის განმავლობაში კომერციული ბანკების მიერ ფიზიკურ პირებზე გაცემული კრედიტების მოცულობა თითქმის 16-ჯერ გაიზარდა, 229 მლნ ლარიდან 3.6 მლრდ ლარამდე, ხოლო ფიზიკურ პირებზე გაცემული კრედიტების საერთო მოცულობის შეფარდება მშპ-თან იმავე პერიოდში 3.1%-დან 14.3%-მდეა გაზრდილი, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 30%-50%-ის ფარგლებშია, ზოგან კი აჭარბებს კიდეც მას.

საცალო ბანკინგის უმთავრეს ელემენტს ფიზიკური პირების დაკრედიტება, ანუ სამომხმარებლო კრედიტი წარმოადგენს. **სამომხმარებლო კრედიტი** არის ფიზიკურ პირებზე, მოსახლეობაზე გაცემული კრედიტი სხვადასხვა სამომხმარებლო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. საბანკო საქმის ისტორიას თუ გადავხედავთ, სამომხმარებლო კრედიტის განვითარება, ფაქტობრივად, **XX** საუკუნის 30-იანი წლებიდან იწყება და პიონერებად ამ საქმეში ამერიკული ბანკები მოგვევლინნენ. თუმცა, სამომხმარებლო კრედიტის, როგორც საბანკო საქმის მნიშვნელოვანი მიმართულების, ჩამოყალიბება 50-იანი წლების ბოლოდან იწყება. თანამედროვე ეპოქაში ბევრ განვითარებულ ქვეყანაში სამომხმარებლო დაკრედიტების მოცულობა გაუტოლდა და გადააჭარბა კიდეც ბიზნესსესხების მოცულობას.

სამომხმარებლო კრედიტის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ იგი კომერციული ბანკისათვის არის უფრო სარისკო და ამავე დროს უფრო შემოსავლიანი ბიზნესი. ბანკებისათვის სამომხმარებლო დაკრედიტება არის არა მარტო დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების სარფიანად განთავსების საშუალება, არამედ ატარებს მნიშვნელოვან სოციალურ დატვირთვასაც, რადგან ხელს უწყობს მოსახლეობას საბინაო, ყოფითი და პირადი პრობლემების მოგვარებაში. სამომხმარებლო დაკრედიტების განვითარება მნიშვნელოვანია სახელმწიფოსათვისაც, ვინაიდან უზრუნველყოფს ქვეყანაში კაპიტალის გადანაწილებას, აფართოებს საქონლის გასაღების ბაზრებს, აჩქარებს პროდუქციისა და მომსახურების რეალიზაციას, ახდენს შრომის ეფექტიანობის სტიმულირებას და ა.შ.

მნიშვნელოვანია პასუხი კითხვაზე: რა არის სამომხმარებლო კრედიტის ხიბლი მომხმარებლისათვის? სასურველი საყოფაცხოვრებო საგნის, და განსაკუთრებით – ბინის, მანქანისა თუ სხვა ძვირადღირებული ნივთის შესაძენად მომხმარებელმა უნდა აგროვოს ფული თვეებისა და წლების განმავლობაში. თუმცა ამ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ბაზარზე ბევრი არასასურველი ცვლილება შეიძლება მოხდეს, მაგალითად, გაუფასურდეს მისი დანაზოგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინფლაციის გამო, გაიზარდოს ფასები უძრავ და მოძრავ ქონებაზე და ა.შ. სამომხმარებლო კრედიტი ფიზიკურ პირებს საშუალებას აძლევს მყისიერად დაიკმაყოფილონ თავიანთი მოთხოვნილებები.

სამომხმარებლო კრედიტის ცნებაში მოიაზრება მრავალრიცხოვანი კრედიტის სახეობების ნაკრები, რომელთაც აერთიანებს ერთი მიზანი – ფიზიკური პირის სამომხმარებლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ამ დიდ ჯგუფში შედის სხვადასხვა მიზნობრივი სამომხმარებლო კრედიტი: „იპოთეკური კრედიტი", „ავტოკრედიტი", „სტუდენტური სესხი", „ტურისტული (სამოგზაურო) სესხი", „სარემონტო სესხი", „განვადებები" და ა.შ. როგორც ვხვდებით, ჩამოთვლილი კრედიტის სახეობები არის მიზნობრივი და გათვალისწინებულია კონკრეტული ნივთის შესაძენად ან მომსახურების მისაღებად. თავისი განსაკუთრებულობიდან გამომდინარე, იპოთეკური კრედიტი ცალკე პარაგრაფადაა განხილული.

გარდა ზემოაღნიშნული მიზნობრივი სამომხმარებლო კრედიტებისა, პოპულარობით სარგებლობს კრედიტები, რომლებიც გაიცემა კონკრეტული მიზნის მითითების გარეშე და გათვალისწინებულია სხვადასხვა (რამდენიმე) მიზნისათვის. ამ ჯგუფში შედის „სამომხმარებლო სესხი" (იგივე „სესხი გადაუდებელი საჭიროებისათვის"), „სახელფასო სესხი", „ოვერდრაფტი" და საკრედიტო ბარათები.

საკრედიტო ბარათები თანამედროვე საცალო დაკრედიტების ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და მომგებიანი პროდუქტი გახდა. **საკრედიტო ბარათი** კომერციული ბანკის საგადამხდელო ბარათია, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება საანგარიშსწორებო ოპერაციები იმ ფულადი სახსრებით, რომლებიც გადაცემულია ბანკის მიერ ბარათის მფლობელისათვის დადგენილი ლიმიტის ფარგლებში. რა თქმა უნდა, საკრედიტო ლიმიტი ბანკის მიერ წესდება ინდივიდუალურად კონკრეტული მსესხებლისათვის მისი კრედიტუნარიანობიდან გამომდინარე. თავისი არსით, საკრედიტო ბარათი, ერთი მხრივ, არის „კრედიტი გადაუდებელი საჭიროებისათვის" და, მეორე მხრივ, ცვლის ნებისმიერი მიზნობრიობის სამომხმარებლო კრედიტს.

საკრედიტო ბარათის მთავარი უპირატესობაა ის, რომ იგი „მუშაობს" განახლებადი (რევოლვერული) საკრედიტო ხაზისა და ოვერდრაფტის პრინციპით, ანუ ათვისებული ლიმიტის ნაწილის დაფარვის შემდეგ მისი ხელახლა დახარჯვა შესაძლებელია ბანკის თანხმობის გარეშე, არაა საჭირო ბანკისათვის ანგარიშის ჩაბარება ათვისებული ნაწილის მიზნობრიობის შესახებ და პროცენტის გადახდა ხდება მხოლოდ ათვისებულ ნაშთზე.

თავის მხრივ, კომერციული ბანკებისათვის საკრედიტო ბარათების უპირატესობა გამოიხატება შემდეგით:

- გამოთავისუფლებულია ბანკის ფილიალები და საჭიროა ნაკლები თანამშრომელი, ვინაიდან საკრედიტო ბარათის გამოყენება ხდება მსესხებლის მიერ დამოუკიდებლად და ბანკის გარეთ;
- საჭიროა ნაკლები თანამშრომელი და ნაკლები დრო, ვინაიდან საკრედიტო ბარათებით განხორციელებული ოპერაციების დამუშავება ხდება ავტომატურად თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით;
- საკრედიტო ბარათები არის უფრო შემოსავლიანი, ვიდრე კრედიტის სხვა სახეობები. კომერციული ბანკები საკრედიტო ბარათებიდან შემოსავალს იღებენ არა მარტო პროცენტის სახით, არამედ სხვა მრავალგვარი საკომისიოებით (წლიური მომსახურება, ბანკომატიდან განაღდება, საჯარიმო სანქციები და ა.შ). ხშირად საკრედიტო ბარათით

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარგებლობისას კლიენტს უფრო მეტი საკომისიოს გადახდა უწევს, ვიდრე პროცენტის.

რამდენად უცნაურიც არ უნდა იყოს, საკრედიტო ბარათების იდეა და მათი პირველი რეალიზაცია ბანკებს არ ეკუთვნით. ჯერ კიდევ **XX** საუკუნის დასაწყისში ამერიკული მაღაზიები და ბენზინგასამართი სადგურები უშვებდნენ ბარათებს, რომლებიც მათ გადამხდელუნარიან კლიენტებს საშუალებას აძლევდა, გამოეყენებინათ ისინი თანამედროვე საკრედიტო ბარათების მსგავსად. განსხვავებას წარმოადგენდა ის, რომ პირველი საკრედიტო ბარათები მუყაოსი იყო და მათი ავტომატიზებული დამუშავება არ ხდებოდა. 1928 წელს გამოჩნდა ლითონის ბარათები, რამაც შესაძლებელი გახადა მათი გამოყენების ნაწილობრივი ავტომატიზაცია. ახალი სიცოცხლე საკრედიტო ბარათებმა შეიძინეს 1950 წლიდან, როცა ამ მიზნით შექმნილმა Diners Club-მა დაიწყო საკრედიტო ბარათების შექმნა და მოგვევლინა შუამავლად რესტორნების ქსელსა და ამ რესტორნების მუდმივ კლიენტებს შორის. ამ შემთხვევაში მთავარი მიგნება იყო ის, რომ საკრედიტო ბარათის გამოყენება შესაძლებელი ყოფილიყო არა ერთ კონკრეტულ, არამედ ყველა სავაჭრო ობიექტში, რომლებიც ჩართული იყვნენ ამ პროექტში, თუნდაც სხვა ქალაქში.

ახალი ეტაპი საკრედიტო ბარათების განვითარების ისტორიაში გახდა ბანკების დაინტერესება ამ ბიზნესით, კერძოდ, 1958 წელს ბაზარზე გამოჩნდა ორი ბანკის – American Express-ისა და Bank Americard-ის საკრედიტო ბარათები. ნიშანდობლივია, რომ ეს უკანასკნელი შემდეგ გახდა Visa-ს ნაწილი. თანდათან ნათელი ხდებოდა, რომ საკრედიტო ბარათი იყო პროდუქტი, რომელზედაც ნელ-ნელა გაჩნდა მასობრივი მოთხოვნა და მოიპოვა პოპულარობა. პირველი არაამერიკული საკრედიტო ბარათი Barclaycard გამოშვებულ იქნა 1966 წელს დიდ ბრიტანეთში.

საკრედიტო ბარათების გლობალური მასშტაბებით გამოყენებამ უზრუნველყო დღევანდელ მსოფლიოში უზარმაზარი და რთული ინდუსტრიის ჩამოყალიბება, რომლის ძირითად მოთამაშეებსაც წარმოადგენენ Visa, MasterCard და American Express. საკრედიტო ბარათების ბაზრის ძალზე სწრაფი ტემპებით ზრდას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ მიუხედავად სიძვირისა, საკრედიტო ბარათები მეტად პოპულარულია მომხმარებლებში თავისი ხელმისაწვდომობით და რევოლვერული (განახლებადი) ხასიათის გამო. საკრედიტო ბარათების რაოდენობა დღეს მსოფლიოში დაახლოებით ორი მილიარდია. 2013 წლის ბოლოსათვის საქართველოში 1,4 მილიონამდე სარედიტო ბარათი იყო მიმოქცევაში, მაშინ, როცა ჯერ კიდევ 7 წლის წინ, 2006 წლის ბოლოს, მათი რაოდენობა 8 ათასს არ აღემატებოდა.

აქვე უნდა ითქვას იმ ნეგატიურ შედეგზე, რომელიც საკრედიტო ბარათების მასობრივ გამოყენებას შეიძლება მოჰყვეს. ამის შედეგი, ერთი მხრივ, არის საკრედიტო ბარათების გაცემის ლიბერალური პოლიტიკა კომერციული ბანკებისა და ცენტრალური ბანკის მხრიდან და, მეორე მხრივ, უპასუხისმგებლო დამოკიდებულება მომხმარებლების მიერ. ამ თვალსაზრისით, სამაგალითოა საქართველოს ბანკების მიერ 2007-2008 წლებში მომხმარებლებზე საკრედიტო ბარათებისა და განვადებების მასობრივი შეთავაზებები, როცა ბანკების საკრედიტო ოფიცრები მაღაზიებსა და ქუჩებშიც კი სთავაზობდნენ ადამიანებს იოლ, მაგრამ ძვირ ფულს. ადამიანებმა აღმოაჩინეს, რომ შესაძლებელი გახდა ერთი სახელფასო ცნობით რამდენიმე ბანკის საკრედიტო ბარათის აღება. მხოლოდ 2007 წლის თებერვლიდან 2008 წლის ივლისის ჩათვლით, ანუ 18 თვის გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მავლობაში, ქართული ბანკების მიერ გაცემული საკრედიტო ბარათების რაოდენობა 8,7-დან 360,2 ათასამდე გაიზარდა, მათ შორის, მხოლოდ 2008 წლის ივლისში თითქმის 91 ათასი ბარათი იქნა გაცემული, მაშინ, როცა 2006 წლის განმავლობაში თვეში საშუალოდ 400 საკრედიტო ბარათი გაიცემოდა. ცდუნება დიდი იყო, ადამიანებს მიეცათ შესაძლებლობა, შეეძინათ განვადებით სახლი, ავტომობილი, საყოფაცხოვრებო ტექნიკა, ტანსაცმელი და სამედიცინო მომსახურებაც კი. ადამიანებში მოხდა პროვოცირება იმ სურვილების ახდენისა, რომელთა საფასურის გადახდის შესაძლებლობა იმ მომენტისათვის არ ჰქონდათ, განწყობა იყო ზედმეტად ოპტიმისტური და არ ხდებოდა მოსალოდნელი საფრთხის ანალიზი.

2008 წლის აგვისტოს ომისა და მსოფლიო ფინანსური კრიზისის შემდეგ ბევრი მსესხებელი დარჩა შემოსავლის წყაროს გარეშე და ისინი აღმოჩნდნენ ე. წ. „საკრედიტო ორმოში". ესაა მდგომარეობა, როცა მსესხებლების შემოსავლები არაა საკმარისი ძველი ვალების მომსახურებისათვის (ძირითადი თანხისა და პროცენტის დასაფარავად) და ამისათვის ისინი იღებენ ახალ ვალს, რაც იწვევს მათი საერთო ვალის ზრდას. ასეთი მსესხებლები ფლობენ რამდენიმე ბანკის საკრედიტო ბარათს და მათი მეშვეობით ახორციელებენ ყოველთვიურ მინიმალურ შენატანებს, შემდეგ ხდება ამ შენატანების უკან გამოტანა და მისი მეშვეობით სხვა საკრედიტო ბარათის მინიმალური შენატანის დაფარვა და ა.შ.

14.6. იპოთეკური კრედიტი

საბაზრო ეკონომიკამ ჩვენს რეალობაში შემოიტანა ბევრი მანამდე უცნობი და ახალი ტერმინი, რომლებიც ძალიან მალე ჩვენი ყოფიერების ნაწილი გახდა. ერთ-ერთი მათგანია იპოთეკური კრედიტი. მისი არსის უკეთესად გაგებისათვის, პირველ რიგში, უნდა განვასხვაოთ იპოთეკა და იპოთეკური დაკრედიტება. **იპოთეკა** – გირაოს ერთ-ერთი ფორმაა, რომლის დროსაც დაგირავებული ქონება რჩება მსესხებლის საკუთრებაში, ხოლო კრედიტორი იღებს თავისი მოთხოვნების დაკმაყოფილების უფლებას ამ ქონების რეალიზაციიდან მსესხებლის მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში. **იპოთეკური კრედიტი** – იპოთეკური სისტემის ერთ-ერთი შემადგენელია, რომლის დროსაც უძრავი ქონების შესაძენად გაცემული კრედიტის უზრუნველყოფად (გირაო) იქცევა თვითონ ეს შესაძენი ქონება. იპოთეკურ დაკრედიტებად ითვლება ასევე უკვე არსებული უძრავი ქონების უზრუნველყოფით კრედიტის მიღება, რომლის მიზანსაც შეიძლება წარმოადგენდეს ამ უძრავი ქონების რემონტი ან მშენებლობა.

იპოთეკური დაკრედიტებით სარგებლობენ როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირები, მაგრამ იპოთეკური კრედიტის ყველაზე გავრცელებულ ფორმას მთელ მსოფლიოში და, რა თქმა უნდა, საქართველოშიც, წარმოადგენს ფიზიკური პირების მიერ კრედიტის აღება უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთი, ბინა, სახლი, აგარაკი) შესაძენად, გასარემონტებლად ან მშენებლობისათვის ამ უძრავი ქონებითვე უზრუნველყოფით. იპოთეკური დაკრედიტების აუცილებელი ელემენტია გირაოს ოფიციალური რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. უნდა

ითქვას, რომ იპოთეკა საჯარო გირაოა, საჯარო რეესტრის მეშვეობით შეიძლებელია იპოთეკის გირავნობით (იპოთეკით დატვირთული) უძრავი ქონების შესახებ ინფორმაციის მოპოვება.

როგორც წესი, იპოთეკური კრედიტი არის გრძელვადიანი და მასთან დაკავშირებული საპროცენტო განაკვეთები ყველაზე დაბალია სხვა სამომხმარებლო კრედიტებთან შედარებით. ყოველივე ზემოაღნიშნული განპირობებულია იპოთეკურ დაკრედიტებასთან დაკავშირებული რისკების შედარებით დაბალი მაჩვენებლით, რომლისათვისაც კომერციული ბანკები იყენებენ სხვადასხვა მექანიზმს, მაგალითად, შეფასებული ქონების ღირებულებას უყენებენ გარკვეულ შემამცირებელ კოეფიციენტს, ითხოვენ სავალდებულო დაზღვევას (ქონებისა და მსესხებლის სიცოცხლის) და ა.შ. იპოთეკური კრედიტის დაფარვისას ხშირად გამოიყენება თანაბარი დაფარვების მექანიზმი – ანუიტეტი.

განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნებისათვის დამახასიათებელია იპოთეკური ბაზრის განვითარებული ინფრასტრუქტურა, რომელიც შედგება პირველადი და მეორადი ბაზრებისაგან. პირველად ბაზარზე ოპერირებენ ძირითადად სპეციალიზებული იპოთეკური ბანკები და იპოთეკური კომპანიები, რომლებიც ახდენენ უშუალოდ იპოთეკური კრედიტების გაცემას ფიზიკურ პირებსა და სამეურნეო სუბიექტებზე. რაც შეეხება მეორად იპოთეკურ ბაზარს, მისი მონაწილეები, პირველადი ბაზრის მონაწილეების გარდა, არიან ფინანსური კომპანიები და ფონდები, რომლებიც შეისყიდიან იპოთეკური ბანკებისა და კომპანიების აქტივებს და შემდეგ მათ ბაზაზე საკუთარი სახელით უშვებენ ფასიან ქაღალდებს. ეს ფასიანი ქაღალდები (ობლიგაციები) ლიკვიდურია, ვინაიდან უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით და წარმოადგენს სტაბილური შემოსავლების წყაროს ინვესტორებისათვის. ანუ მეორადი იპოთეკური ბაზრის მონაწილეებს შორის ხდება ერთობლივი იპოთეკური საკრედიტო პორტფელის ფორმირება, რაც გამოიხატება გირავნობის უფლების ტრანსფორმაციით იპოთეკურ ფასიან ქაღალდებში და მათი განთავსებით ინვესტორთა შორის.

14.7. ბანკთაშორისი დაკრედიტება

ბანკთაშორისი კრედიტი არის კრედიტი, რომელსაც ერთი ბანკი აძლევს მეორეს. ბანკთაშორისი დაკრედიტების მეშვეობით ხდება ფინანსურ ბაზარზე საკრედიტო რესურსების გადანაწილება ბანკთაშორისი კრედიტებისა და დეპოზიტების სახით. ბანკთაშორისი დაკრედიტების ბაზარი კომერციულ ბანკებს საშუალებას აძლევს, ერთი მხრივ, შეავსონ თავიანი საკრედიტო რესურსები სხვა ბანკების რესურსებით, მეორე მხრივ კი – განათავსონ დროებით თავისუფალი ფულადი სახსრები სხვა ბანკებში დამატებითი შემოსავლების მისაღებად. როგორც წესი, ბანკთაშორისი დაკრედიტება მოკლევადიანია (უმეტესწილად ერთი დღიდან 6 თვემდე ვადით).

საკრედიტო ურთიერთობები კომერციულ ბანკებს შორის რეგულირდება გაფორმებული ხელშეკრულებებით. როგორც დამოუკიდებელი ეკონომიკური სუბიექტები, კომერციული ბანკები თვითონ განსაზღვრავენ მათ შორის არსებული საკრედიტო ურთიერთობების ფასს, ანუ საპროცენტო განაკვეთის დონეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც, თავის მხრივ, რეგულირდება ბანკთაშორისი საკრედიტო რესურსების ბაზარზე არსებული მოთხოვნა-მიწოდებით და ცენტრალური ბანკის ოფიციალური სააღრიცხვო განაკვეთის დონით. როგორც წინა მასალიდან გვახსოვს, ამ პროცესებზე გავლენას ახდენს საკრედიტო რესურსების მსხვილ საერთაშორისო ბაზრებზე დაფიქსირებული განაკვეთები (LIBOR, PIBOR, NIBOR და ა.შ.).

კომერციულ ბანკს ბანკთაშორისი კრედიტის მიღების ორი მოტივი აქვს, პირველი, ესაა დროებითი ლიკვიდობის პრობლემის ოპერატიული მოგვარება, მეორე კი – საკრედიტო რესურსების ზრდა და აქტიური ოპერაციების მასშტაბებისა და არეალის გაფართოება. ბანკთაშორისი კრედიტები წარმოადგენენ კომერციული ბანკების ბალანსის ლიკვიდობის შენარჩუნებისა და ამ კუთხით გაჩენილი დროებითი პრობლემების მოგვარებისა და საკორესპონდენტო ანგარიშების შევსების ყველაზე ოპერატიულ საშუალებას.

როგორც აღინიშნა, ბანკთაშორისი რესურსების ბაზარზე კომერციული ბანკები შეიძლება მოგვევლინონ როგორც კრედიტორის, ისე კრედიტის მიმღების როლში. კრედიტორი ბანკის როლში აქტიური ბანკთაშორისი საკრედიტო ოპერაციების განხორციელებისას, როგორც წესი, გვევლინებიან უფრო ფინანსურად სტაბილური კომერციული ბანკები. მიუხედავად იმისა, რომ ბანკთაშორისი კრედიტების ფასი უფრო დაბალია, ვიდრე კლიენტებზე გაცემული კრედიტების შემთხვევაში, კრედიტის გამცემი ბანკისათვის მაინც აქვს გარკვეული უპირატესობა. აქტიური ბანკთაშორისი დაკრედიტების უპირატესობაა მისი არდაბრუნების დაბალი რისკი და ის, რომ ხდება დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების მოკლევადიანი დაბანდება, ანუ რესურსების განთავსება მაქსიმალური ეფექტიანობით.

კრედიტის ამღები კომერციული ბანკისათვის პასიური ბანკთაშორისი საკრედიტო ოპერაციის განხორციელება შეიძლება განპირობებული იყოს რამდენიმე მიზეზით. უმთავრესი მიზეზია თავისუფალი ფულადი სახსრების ნაშთების შემცირება სალაროსა და საკორესპონდენტო ანგარიშებზე და ამის შედეგად წარმოქმნილი ლიკვიდობის კრიზისი, რომლის დაძლევის ყველაზე ოპერატიულ და იაფ საშუალებას ბანკთაშორისი კრედიტი წარმოადგენს. მეორე მიზეზია ნასესხები სახსრების კონკრეტული მიზნისათვის გამოყენება შემოსავლების მისაღებად, მაგალითად, კლიენტის ბიზნესპროექტის დაფინანსება.

როგორც წესი, ბაზარზე ბანკთაშორისი დაკრედიტების სისტემის მთავარ კრედიტორს წარმოადგენს ცენტრალური ბანკი. დღეისათვის საქართველოს ეროვნული ბანკი ამ მიმართულებით (როგორც კრედიტორი, ისე მსესხებელი) იყენებს სხვადასხვა ინსტრუმენტს:

- **ერთკვირიანი რეფინანსირების სესხი** ამოქმედდა 2008 წლიდან და მისი საშუალებით ხორციელდება საბანკო სექტორისათვის მოკლევადიანი ლიკვიდური სახსრების საჭიროებისამებრ მიწოდება. კომერციული ბანკების დაკრედიტება ხდება აუქციონის გამოცხადებით რეფინანსირების სესხების კონკრეტულ თანხაზე. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ტოლია. სესხის გირაოდ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატები, სახელმწიფო ობლიგაციები, სახაზინო ვალდებულებები, სახაზინო ობლიგაციები, საერთაშორისო საბანკო გარანტიები და ბანკების სასესხო აქტივები;
- **მუდმივმოქმედი რეფინანსირების სესხი**, რომელიც ამოქმედდა 2010 წლის აპრილიდან – კომერციულ ბანკებს საშუალებას აძლევს, მიიღონ

სესხი გარანტირებულად, აუქციონის გარეშე. საპროცენტო განაკვეთი მუდმივმოქმედ რეფინანსირების სესხზე განისაზღვრება, როგორც მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს პლიუს ერთი პროცენტული პუნქტი;

- **ერთდღიანი სესხი**, რომელიც გაიცემა კომერციულ ბანკებზე შესაბამისი უზრუნველყოფის საფუძველზე (სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, საერთაშორისო საბანკო გარანტიები და ბანკების სასესხო აქტივები). სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტის დაფარვა ხდება საანგარიშსწორებო დღის დახურვამდე. ერთღიან სესხებზე საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება, როგორც მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს პლიუს ერთ-ნახევარი პროცენტული პუნქტი;
- **ბოლო ინსტანციის კრედიტორის სესხი,** რომელიც გაიცემა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციულ ბანკზე 3 თვის ვადით;
- ერთდღიანი დეპოზიტის განთავსება საქართველოს ეროვნულ ბანკში კომერციულ ბანკს შეუძლია წინასწარი შეტყობინების გარეშე ყოველ სამუშაო საბანკო დღეს, საანგარიშსწორებო დღის დახურვამდე. მომდევნო სამუშაო საბანკო დღეს, საოპერაციო დღის გახსნისთანავე, ერთდღიანი დეპოზიტის ძირითად თანხასა და მასზე დარიცხულ პროცენტს ეროვნული ბანკი ჩარიცხავს ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე. ერთდღიან დეპოზიტზე საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება როგორც მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს მინუს ერთ-ნახევარი პროცენტული პუნქტი.

გამომდინარე იქიდან, რომ საბანკო პროდუქტების ბაზარი მუდმივად ვითარდება, ბანკთაშორისი კრედიტი მოიცავს ბანკებს შორის რესურსების გადაცემას ნებისმიერი ფორმით: პირდაპირი კრედიტი, დეპოზიტი, ფინანსური ლიზინგი, ოვერდრაფტი, რეპო ოპერაცია, საგარანტიო მომსახურება და სხვ.

ბანკთაშორისი დაკრედიტების საინტერესო სახეობას წარმოადგენს „ოვერნაითი" (***overnight*** – „ერთი ღამით", „დილამდე"). ოვერნაითების დროს საკრედიტო რესურსების გადაცემა ხდება ერთი ღამით (ძირითადად, ევრაზიულ და ამერიკულ ბანკებს შორის საათობრივი სხვაობიდან გამომდინარე) ან ერთი დღით სადღესასწაულო დღეებში (როცა უქმე დღეა ერთ ქვეყანაში). დღეისათვის ამ ტერმინით ასევე აღნიშნავენ ჩვეულებრივ ბანკთაშორის ერთდღიან კრედიტებსაც.

საკონტროლო კითხვები:

1. რას გულისხმობს საბანკო კრედიტების კლასიფიაცია კრედიტის სუბიექტის მიხედვით?
2. საბანკო კრედიტების კლასიფიკაციისას რა სურათი გვაქვს კრედიტის ობიექტის მიხედვით?
3. რა იგულისხმება კრედიტების კლასიფიკაციაში ერთჯერადი (მიზნობრივი) პროექტების დასაფინანსებლად და წინასწარ შეთანხმებული ლიმიტის ფარგლებში?
4. წინასწარ შეთანხმებული ლიმიტისა და პირობების ფარგლებში დაკრედიტების რომელი გავრცელებული სქემები იცით?
5. რითი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან საკრედიტო ხაზი და რევოლვერული კრედიტი?
6. რას გულისხმობს საბანკო კრედიტების კლასიფიაცია გაცემული კრედიტის რაოდენობის (კრედიტორების) მიხედვით?
7. საბანკო კრედიტების კლასიფიკაციისას როგორი სურათი გვაქვს ბიზნესმიმართულებებისა და საბანკო პროდუქტების მიხედვით?
8. რა მნიშვნელობა აქვს საბანკო კრედიტების კლასიფიკაციას?
9. რა შეგიძლიათ თქვათ კომერციული ბანკების მიერ გაცემულ ერთჯერად (მიზნობრივი) კრედიტებზე?
10. როგორი უპირატესობებით ხასიათდება საკრედიტო ხაზი, ერთი მხრივ, კომერციული ბანკისათვის და, მეორე მხრივ, მსესხებლებისათვის?
11. როგორც წესი, რა ტიპის მსესხებლებისათვის იხსნება საკრედიტო ხაზები?
12. რომელია საკრედიტო ხაზების ყველაზე გავრცელებულ სახეობები და როგორია მათი არსი?
13. რა თავისებურებებით ხასიათდება ოვერდრაფტი და რითი განსხვავდება იგი რევოლვერული საკრედიტო ხაზისაგან?
14. როგორი ტიპის კლიენტებს აქვთ შესაძლებლობა, ისარგებლონ ოვერდრაფტით?
15. რა არის სამომხმარებლო კრედიტი და როგორია მისი თავისებურება?
16. რითია განპირობებული საკრედიტო ბარათების უპირატესობა მომხმარებლებისა და ბანკებისათვის?
17. რა შეიძლება ითქვას იმ ნეგატიურ შედეგზე, რომელიც საკრედიტო ბარათების მასობრივ გამოყენებას შეიძლება მოჰყვეს?
18. რა იგულისხმება ტერმინში „საკრედიტო ორმო“?
19. რა განსხვავებაა იპოთეკასა და იპოთეკურ კრედიტს შორის?
20. რა თავისებურებებით ხასიათდება იპოთეკური კრედიტი?

21. რას ნიშნავს იპოთეკური პირველადი და მეორადი ბაზრები?

22. რომელი ორმხრივი მიმართულებით იყენებენ ბანკები ბანკთაშორის კრედიტს?

23. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ბანკთაშორისი დაკრედიტების მიმართულებით გამოყენებული რომელი ინსტრუმენტები იცით?

24. რა შეგიძლიათ თქვათ „ოვერნაითების“ შესახებ?

15 თავი

დაკრედიტების პროცესი კომერციულ ბანკში

შინაარსი:

15.1. დაკრედიტების ეტაპები კომერციულ ბანკში;
15.2. საკრედიტო განაცხადი და ინტერვიუ მსესხებელთან;
15.3. პროექტის დამუშავება, კრედიტის დამტკიცება და საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმება;
15.4. კრედიტის დაფარვა და საკრედიტო ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი;
15.5. პრობლემურ კრედიტებთან მუშაობა.

ძირითადი ელემენტები:

1. კომერციულ ბანკში დაკრედიტების 6 ძირითადი ეტაპი;
2. საკრედიტო განაცხადი;
3. ინტერვიუ პოტენციურ მსესხებელთან;
4. საკრედიტო პროექტის დამუშავება და დამტკიცება;
5. საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმება;
6. კრედიტის დაფარვა;
7. საკრედიტო ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი;
8. პრობლემურ კრედიტებთან მუშაობა;
9. კრედიტის პრობლემურობის ფინანსური და არაფინანსური ნიშნები.

15.1. დაკრედიტების ეტაპები კომერციულ ბანკში

გამომდინარე იქიდან, რომ ბანკი საკრედიტო ორგანიზაციაა, მისი საბოლოო შედეგები მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული დაკრედიტების პროცესის სწორად და გამართულად ორგანიზებაზე. ბანკისა და მსესხებლის ურთიერთობის თავისებურებები სხვადასხვა ბანკში შეიძლება განსხვავებული იყოს და იგი დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა: ბანკის სტრატეგია, მისი საკრედიტო პოლიტიკა, აქტივების სიდიდე, ფილიალების ქსელი, თანამშრომლების კვალიფიკაცია და ა.შ.

დეტალურად დამუშავებული და სრულყოფილი დაკრედიტების პროცესი საშუალებას იძლევა, მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი საკრედიტო რისკი არასაიმედო მსესხებლისათვის კრედიტის მიცემის ალბათობის შემცირების გზით. საბოლოო ჯამში, დაკრედიტების პროცესის ორგანიზაციის მაღალი დონე ბანკის ეფექტიანად მუშაობის და მენეჯმენტის ხარისხის ერთ-ერთი უმთავრესი მაჩვენებელია.

ზოგადად, კომერციულ ბანკში დაკრედიტების პროცესი შეიძლება 6 ეტაპად დაიყოს:

პირველი ეტაპი — საკრედიტო განაცხადი და ინტერვიუ მსესხებელთან

დაკრედიტების პროცესი იწყება მსესხებლის ინიციატივით, რაც გამოიხატება სესხის მისაღებად ბანკისადმი დაწერილი (ან ზეპირად გაკეთებული) განაცხადით. ამ ეტაპზე ბანკის მხრიდან (საკრედიტო ოფიცრის სახით) ხდება პოტენციური მსესხებლის ძლიერი და სუსტი მხარეების პირველადი შეფასება. პირველადი შეფასების შემდეგ ბანკის მხრიდან დღის წესრიგში დგება კლიენტისაგან თხოვნა დამატებითი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარდგენისა, რომელთა გაცნობის შემდეგ საკრედიტო ოფიცერი ატარებს გასაუბრებას პოტენციურ მსესხებელთან. ამ შეხვედრის (ან შეხვედრების) წარმატებით და ნაყოფიერად ჩატარებაზე დიდადაა დამოკიდებული ბანკის საბოლოო გადაწყვეტილება. ინტერვიუს საშუალებით ფასდება ის მიზეზები, რომელთაც აიძულეს პოტენციური მსესხებელი, მიემართა ბანკში კრედიტისათვის. ასევე ფასდება დაკრედიტების მიზანი, მისი დაფარვის წყაროები და სხვა საკითხები, რომლებიც საშუალებას იძლევა, ჩამოყალიბდეს პირველადი წარმოდგენა მსესხებელზე.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ განაცხადის განხილვისა და შეფასების შემდეგ ბანკმა შეიძლება ჩათვალოს, რომ ზოგიერთი მსესხებლისაგან აღარ მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია და პირველივე ეტაპზე შეიკავოს თავი მისი დაკრედიტებისაგან. ამის მიზეზები შეიძლება იყოს შეუსაბამობა ბანკის საკრედიტო პოლიტიკასთან, პროექტის რეალიზაციასთან დაკავშირებული მეტისმეტად დიდი რისკი, კლიენტის არადამაჯერებლობა და ა.შ.

მეორე ეტაპი — მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასება

პირველი ეტაპის წარმატებით გავლის შემდეგ პოტენციურ მსესხებელს უწევს „ყველაზე დიდი გამოცდის ჩაბარება“. ესაა მისი კრედიტუნარიანობის დასაბუთება, ანუ დადასტურება იმისა, რომ მას აქვს საკმარისი ფინანსური შესაძლებლობები, რათა მოემსახუროს კრედიტს. კრედიტუნარიანობის შეფასება ხდება სხვადასხვა ინფორმაციის დამუშავების შედეგად, რომელთა შორის შეიძლება აღინიშნოს უშუალოდ მსესხებლის მიერ წარმოდგენილი ინ-

ფორმაცია, მსესხებლის საკრედიტო ისტორია, გარე წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია და სხვ.

დაკრედიტების ამ ეტაპზე ბანკმა უნდა გაარკვიოს:

- მსესხებლის საიმედოობა და კრედიტუნარიანობა, მისი, როგორც საიმედო ბიზნესპარტნიორის, რეპუტაცია. ეს განსაკუთრებით ეხება ახალ კლიენტებს;
- საკრედიტო განაცხადის დასაბუთება და კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფის ხარისხი;
- პროექტის შესაბამისობა ბანკის საკრედიტო პოლიტიკასთან.

ბანკისათვის მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვანია, რამდენადაც მისთვის გაცემული სესხებისა და მათზე დარიცხული პროცენტების დროულად დაბრუნების შეფერხება სერიოზული პრობლემების გაჩენის მიზეზი შეიძლება გახდეს. სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტების დროულად დაბრუნების უნარს ასახავს მსესხებლის გადამხდელუნარიანობა და კრედიტუნარიანობა.

გადამხდელუნარიანობა – ესაა იურიდიული ან ფიზიკური პირის უნარი (შესაძლებლობის არსებობა) და მზადყოფნა (სურვილის არსებობა), დროულად და სრული მოცულობით დაფაროს თავისი ვალდებულებები. მისგან განსხვავებით, კრედიტუნარიანობა – ესაა მსესხებლის უნარი და მზადყოფნა დროულად და სრული მოცულობით დაფაროს აღებული კრედიტი და მასზე დარიცხული პროცენტები. კრედიტუნარიანობა –გადამხდელუნარიანობასთან შედარებით უფრო ვიწრო ცნებაა. კრედიტის გაცემისას ბანკისათვის საკმარისია, დარწმუნდეს მსესხებლის კრედიტუნარიანობაში წარმოდგენილი პროექტის შედეგად აღებული კრედიტის დაფარვის გათვალისწინებით.

მესამე ეტაპი — კრედიტის უზრუნველყოფის შესწავლა და შეფასება

როგორც გასული მასალიდან გვახსოვს, მსესხებლის მიერ წარმოდგენილი კრედიტის უზრუნველყოფა წარმოადგენს მისი დაფარვის მეორად წყაროს. როგორც წესი, კრედიტის უზრუნველყოფის შეფასებას შეიძლება ახდენდეს ბანკის სპეციალური სამსახური ან დამოუკიდებელი შემფასებელი. ბანკის მიერ კრედიტის უზრუნველყოფის შეფასება გულისხმობს წინააღმდეგობას. როგორც წესი, კომპანიის ხელმძღვანელი თავის ქონებას აფასებს მისი გამოყენების ეფექტიანობიდან გამომდინარე. ბანკის მხრიდან მისი შეფასება კი ეფუძნება მეორადი ბაზრის ანალიზს ასეთი ტიპის ქონებაზე, ანუ ბანკისათვის ამოსავალია ამ ქონების საბაზრო, სარეალიზაციო ფასი.

როგორც წესი, საბანკო პრაქტიკით გირაოს შეფასება ხდება მისი საბაზრო ღირებულების დისკონტირებით. გასათვალისწინებელია ასევე, რომ გირაოს საგნის შეფასების თანხა არ უნდა იყოს აღებულ ვალდებულებაზე (კრედიტის თანხა) ნაკლები.

მეოთხე ეტაპი — პროექტის დამუშავება, კრედიტის დამტკიცება და შესაბამისი ხელშეკრულებების მომზადება

საკრედიტო ოფიცერი შეისწავლის წარმოდგენილ პროექტს, რომლის შემდეგაც ხდება ბანკის სხვა სტრუქტურების ჩართვა მათგან შესაბამისი დასკვნების მისაღებად როგორც კრედიტის გაცემის მიზანშეწონილობასთან, ასევე უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. როგორც წესი, ესენია იურიდიული, რისკების მართვის, საკრედიტო ანალიზისა და უსაფრთხოების სამსახურები.

მას შემდეგ, რაც დადასტურდება კლიენტის კრედიტუნარიანობა, წყდება კრედიტის პირობების შეთანხმება ბანკსა და მსესხებელს შორის. ამ პროცესში დგინდება კრედიტის სახეობა, მოცულობა, ვადა, პროცენტი, დაფარვის გრაფიკი, უზრუნველყოფა და ა.შ. ხშირად ბანკი კორექტირებას უკეთებს პოტენციური მსესხებლის მოლოდინს (სურვილს) კრედიტის პირობებთან დაკავშირებით. შეთანხმების შემდეგ საკრედიტო ოფიცრის მიერ მომზადებული პროექტი დასამტკიცებლად გადაეცემა უფლებამოსილ ორგანოს (ან პირს). უფლებამოსილმა ორგანომ შეიძლება დადებითი გადაწყვეტილება მიიღოს წარმოდგენილი პროექტის პირობებში გარკვეული კორექტივების შეტანის ან რომელიმე დამატებითი პირობის დაყენებით. აღნიშნული გადაწყვეტილება ეცნობება მსესხებელს და ამის შემდეგ ბანკისა და მსესხებლის პოზიციების დაახლოება და კომპრომისი წარმოადგენს მოლაპარაკებების საბოლოო მიზანს და საკრედიტო ხელშეკრულების მომზადების საფუძველს.

მეხუთე ეტაპი — კრედიტის დაფარვა და საკრედიტო ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი

აღნიშნული ეტაპი მოიცავს კრედიტის თანხისა და მასზე დარიცხული პროცენტების სრულად და დროულად დაფარვასა და ასევე საკრედიტო ხელშეკრულების პირობების დაფარვის მონიტორინგს. ეს ეტაპი არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე წინა ეტაპები, ვინაიდან მსესხებლის მხრიდან საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის სიმპტომების დიაგნოსტიკა და შესაბამისი რეაგირება ბანკს თავიდან აცილებს ბევრ პოტენციურ დანაკარგს.

მეექვსე ეტაპი — პრობლემურ კრედიტებთან მუშაობა

პრობლემურ კრედიტებთან მუშაობა არის საბანკო პრაქტიკის უმნიშვნელოვანესი ელემენტი. იმაზე, თუ რომელ მეთოდს ირჩევს ბანკი პრობლემურ კრედიტებთან მუშაობისას, დამოკიდებულია არა მარტო ცალკეული კონფლიქტური სიტუაციის განმუხტვის წარმატებული შედეგი, არამედ მთლიანად ბანკის სტაბილურობა და მისი რეპუტაცია.

ამ თავში დამოუკიდებელ პარაგრაფებად განვიხილავთ ზემოაღნიშნული ეტაპებიდან პირველ, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ეტაპებს. რაც შეეხება მეორე და მესამე ეტაპებს, მათი მნიშვნელობიდან და მოცულობიდან გამომდინარე, ისინი ცალკე თავებად იქნება წარმოდგენილი.

15.2. საკრედიტო განაცხადი და ინტერვიუ მსესხებელთან

ბანკსა და მსესხებელს შორის ურთიერთობების ფორმირება იწყება მსესხებლის მიმართვით (განაცხადით) კომერციულ ბანკში კრედიტის მისაღებად. როგორც წესი, საკრედიტო განაცხადში მიეთითება:

1) კრედიტის მიღების მიზანი (დასაკრედიტებელი ღონისძიების მოკლე აღწერა);

ეროვნული ბიბლიოთეკა

2) კრედიტის თანხა;
3) კრედიტის გამოყენების ვადა და დაფარვის გრაფიკი;
4) სავარაუდო უზრუნველყოფა;
5) კრედიტით სარგებლობის პროცენტი.

განაცხადის წინასწარი შესწავლის შემდეგ დღის წესრიგში დგება პოტენციურ მსესხებელთან შეხვედრისა და მასთან გასაუბრების საკითხი. ბუნებრივია, საუბარი ძირითადად ეხება ზემოაღნიშნულ თემებს:

1) კრედიტის მიღების მიზანი (დასაკრედიტებელი ღონისძიების მოკლე აღწერა): ბანკი, მისი წარმომადენლის სახით, უნდა დარწმუნდეს, რომ კრედიტი აიღება მიზნებისათვის, რომლებიც არ ეწინააღმდეგება მსესხებლის წესდებას. ეს უნდა დამტკიცდეს შესაბამისი დოკუმენტებით (ბიზნესგეგმა, კონტრაქტები და სხვ.).

2) კრედიტის თანხა: საკრედიტო ოფიცერი ამოწმებს მოთხოვნილი თანხის მოცულობის დასაბუთებას, ანუ ნამდვილად ეს თანხა სჭირდება თუ არა კრედიტის აღების მიზნის რეალიზებას. ასევე აფასებს, თუ რამდენად მონაწილეობს მსესხებლის სახსრები დასაკრედიტებელი ღონისძიების ფინანსირებაში, ანუ როგორია მსესხებლის „თანამონაწილეობის" ხარისხი. ხდება აგრეთვე კრედიტის თანხის შედარება მსესხებლის ანგარიშებზე ბრუნვების და, საერთოდ, მისი ეკონომიკური საქმიანობის მოცულობასთან.

3) კრედიტის გამოყენების ვადა და დაფარვის გრაფიკი: ხდება მსესხებლის მიერ წარმოდგენილი კრედიტისა და დარიცხული პროცენტების დაფარვის პერიოდულობის შესაბამისობა მის რეალურ შესაძლებლობებთან. ამისათვის გამოიყენება მსესხებლის მიერ წარმოდგენილი ბიზნესგეგმები, ფულადი სახსრების მოძრაობის ისტორიული და საპროგნოზო უწყისები და სხვ. როგორც წესი, კრედიტის დაფარვის წყარო უნდა იყოს მოგება, შესაბამისად, ყოველივე ეს მოითხოვს მოგების საპროგნოზო მაჩვენებლების გაანალიზებას.

რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, როცა კრედიტის უზრუნველყოფა ხდება მესამე პირის მიერ (გარანტორის),შესწავლის საგანია გარანტორის კრედიტუნარიანობაც.

4) სავარაუდო უზრუნველყოფა: გასაცემი კრედიტის უზრუნველყოფა არის გარიგების უმნიშვნელოვანესი ელემენტი (თუ, რა თქმა უნდა, საქმე არ გავაქვს საბლანკო კრედიტთან). შეხვედრაზე საუბარი შეეხება იმ უზრუნველყოფას, რომელსაც სთავაზობს მსესხებელი ბანკს კრედიტის გაცემის შემთხვევაში. ამ დროს უზრუნველყოფა შეიძლება იყოს ქონება, რომელიც ეკუთვნის პოტენციურ მსესხებელს, მესამე პირის ქონება, მესამე პირის გარანტია, ფასიანი ქაღალდები, მსესხებლის პასუხისმგებლობის ან სესხის არდაფარვის დაზღვევა და სხვ. კრედიტის უზრუნველყოფის ფორმები განისაზღვრება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში პროექტის თავისებურებებიდან გამომდინარე.

5) კრედიტით სარგებლობის პროცენტი: პოტენციურ მსესხებელთან შეხვედრაზე, რა თქმა უნდა, ხდება კრედიტით სარგებლობის ფასის განხილვა. ამ შემთხვევეში საუბარია როგორც ჩვეულებრივი კრედიტით სარგებლობის პროცენტის, ისე ვადაგადაცილების შემთხვევაში, საჯარიმო პროცენტის დონეზე. განიხილება ასევე პროცენტის სახეობები: მარტივი, რთული, ანუიტეტი. ფაქტობრივად, კრედიტის ფასის (პროცენტი) ფორმირებაზე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საბანკო ბაზარზე არსებული ფასებიდან გამომდინარე, გავლენას ახდენს შემდეგი გარემოებები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

- ზემოაღნიშნული საკითხები, ანუ კრედიტის მიზანი, თანხა, მისი დაფარვის გრაფიკი, უზრუნველყოფა;
- ვალუტის ტიპი, რომელშიც უნდა გაიცეს სესხი;
- სესხის გაცემის ჯერადობა, ანუ პირველად იღებს მსესხებელი კრედიტს, თუ ბანკი უკვე დიდი ხანია თანამშრომლობს მასთან;
- მსესხებლის ურთიერთობის ხარისხი ბანკთან, ანუ მსესხებელი სრულ საბანკო მომსახურებას ამ ბანკში იღებს თუ ერთდროულად რამდენიმე ბანკიდან;
- მსესხებლის მასშტაბი, ანუ ესაა მსხვილი კორპორაციული, საშუალო ზომის თუ მცირე კომპანია;
- პროექტის რისკი, ანუ რამდენად რისკიანად აფასებს ბანკი აღნიშნულ ბიზნესს ან/და კონკრეტულ მსესხებელს.

მსესხებელთან გასაუბრებისას (რაც შეიძლება არაერთხელ მოხდეს პროექტის სირთულიდან და მასშტაბიდან გამომდინარე) ბანკის წარმომადგენელმა აუცილებლად უნდა გაამახვილოს ყურადღება შემდეგ მომენტებზე:

- როდისაა დარეგისტრირებული კომპანია, მისი სამართლებრივი სტატუსი;
- ვინ არიან დამფუძნებლები;
- საწესდებო კაპიტალის ოდენობა;
- მომგებიანობა-რენტაბელობა;
- მთავარი მომწოდებლები და გასაღების ბაზრები;
- ბანკებთან ურთიერთობისა და საკრედიტო ისტორია;
- ხელმძღვანელი პირების გამოცდილება და კვალიფიკაცია.

ამ შეხვედრის (შეხვედრების) შემდეგ, სანამ საკრედიტო ოფიცრის მიერ დაიწყება პროექტის დამუშავება, რათა იგი წარდგენილ იქნეს ბანკის უფლებამოსილი ორგანოს წინაშე დასამტკიცებლად, ბანკის წარმომადგენელს უყალიბდება წარმოდგენა კომპანიის მენეჯმენტის შესახებ. ყურადღების გამახვილება ხდება ისეთ თვისებებზე, როგორებიცაა: წესიერება, გულახდილობა, რეპუტაცია, პროფესიონალიზმი, შესაბამისი გამოცდილება და აღებული ვალდებულებების შესასრულებლად მზადყოფნა. ეს მომენტი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბანკის გადაწყვეტილებაზე პროექტის დამტკიცების დროს, ვინაიდან პოტენციურმა მსესხებელმა უნდა დატოვოს შთაბეჭდილება საქმიანი ადამიანისა, რომელმაც იცის, რა უნდა, აქვს გამოცდილება და უნარი, განახორციელოს წარმოდგენილი პროექტი.

არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, როცა პოტენციური მსესხებელი სარგებლობს სხვა ბანკის მომსახურებით. აუცილებელია, გაირკვეს მიზეზი, თუ რატომ მიიღო მან გადაწყვეტილება, კრედიტისათვის მიემართა ამ და არა „თავისი“ ბანკისათვის. პასუხი ამ კითხვაზე უნდა იყოს გონივრული და გულწრფელი. ყოველივე ამის შემდეგ საკრედიტო ოფიცერი იღებს გადაწყვეტილებას: გააგრძელოს მუშაობა პროექტზე, თუ ამ ეტაპზევე უარი უთხრას პოტენციურ მსესხებელს.

ფაქტობრივად, ეს არის საკრედიტო რისკის თავიდან აცილების პირველი საფეხური. თუკი საკრედიტო ოფიცერი ვერ მიიღებს დამაჯერებელ პასუხებს პოტენციური მსესხებლისაგან საკვანძო საკითხებზე ან შემოთავაზებული პროექტი არ შეესაბამება ბანკის საკრედიტო პოლიტიკას, მაშინ მსესხებელს განეცხადება უარი. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ამ უარის მიზეზები იყოს არგუმენტირებული, წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი ფაქტის სიმრავლემ შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს ბანკის რეპუტაციაზე.

დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში საკრედიტო ოფიცერი სთხოვს პოტენციურ მსესხებელს, მიაწოდოს დამატებითი დოკუმენტაცია და ინფორმაცია, რათა გაგრძელდეს პროექტის დამუშავება. ეს დოკუმენტები და ინფორმაცია ორ ჯგუფად იყოფა:

1) ინფორმაცია პოტენციური მსესხებლის შესახებ:

- სადამფუძნებლო დოკუმენტაცია;
- ბოლო წლების ბალანსი;
- ბოლო წლების მოგება-ზარალის ანგარიში;
- ფულადი მოძრაობის უწყისები;
- გარე და შიდა ანგარიშგების ფორმები;
- საგადასახადო დეკლარაციები;
- მიმდინარე ინფორმაცია.

2) პროექტთან დაკავშირებული ინფორმაცია:

- პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დახასიათება;
- ბიზნესგეგმა.

ყოველივე ამის შემდეგ ბანკი გადადის სესხის გაცემის შემდეგ ეტაპზე – იწყება პოტენციური მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასება, რომელიც არის საკვანძო ეტაპი კომერციული ბანკის მიერ კრედიტის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.

15.3. პროექტის დამუშავება, კრედიტის დამტკიცება და საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმება

მას შემდეგ, რაც საკრედიტო ოფიცრის მიერ შესწავლილ იქნება წარმოდგენილი პროექტი, მსესხებლის კრედიტუნარიანობა და კრედიტის უზრუნველყოფა, იგი ამზადებს მას დასამტკიცებლად. თუმცა, მის დამტკიცებამდე ბანკის სხვა სტრუქტურები (იურიდიული, რისკების მართვის, საკრედიტო ანალიზისა და უსაფრთხოების სამსახურები) წარმოადგენენ დასკვნებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში პროექტთან და მსესხებელთან დაკავშირებით.

ამის შემდეგ პროექტი გადის დამტკიცების ეტაპს უფლებამოსილ ორგანოზე. ბანკის საკრედიტო პოლიტიკიდან გამომდინარე, ეს შეიძლება იყოს სხვადასხვა დონის უფლებამოსილი პირი ან ორგანო (ფილიალის საკრედიტო კომიტეტი, მცირე საკრედიტო კომიტეტი, დიდი საკრედიტო კომიტეტი). უფლებამოსილი ორგანოს სხდომაზე ხდება წარმოდგენილი არგუმენტების (წერილობითი დასკვნების) მოსმენა ყველა იმ მხარისაგან, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის დამუშავებაში, ხდება პოზიციების შეჯერება და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება. გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს კომიტეტის ყველა წევრი. ამ ოქმით შეიძლება პროექტი დამტკიცდეს წარმოდგენილი ან მისგან განსხვავებული პირობებით.

საკრედიტო კომიტეტი თავისი გადაწყვეტილებით ამტკიცებს გასაცემი კრედიტის პარამეტრებს: კრედიტის სახეობას, მოცულობას, ვადას, გაცემისა და დაფარვის გრაფიკს, უზრუნველყოფას, საპროცენტო განაკვეთს და ა.შ. ეს პარამეტრები შეიძლება განსხვავდებოდეს პოტენციური მსესხებლის მიერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხოვნილი პირობებისაგან, გადაწყვეტილება ეცნობება მსესხებელს და, თუ სხვავების არსებობის შემთხვევაში ხდება ბანკისა და მსესხებლის პოზიციების დაახლოება და საბოლოო შეთანხმებამდე მისვლა. კომპრომისის გამოძებნისა და მხარეების შეთანხმების შემთხვევაში იწყება საკრედიტო ხელშეკრულების მომზადება. რა თქმა უნდა, როგორც წესი, ყველა ბანკში არსებობს დამტკიცებული ტიპური ხელშეკრულების ფორმები, რომლებიც წარმოადგენენ ყოველი კონკრეტული საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველს.

საკრედიტო ხელშეკრულება არის იურიდიული წერილობითი შეთანხმება კომერციულ ბანკსა და მსესხებელს შორის, რომლის თანახმადაც, ბანკი იღებს ვალდებულებას, მიაწოდოს მსესხებელს კრედიტი შეთანხმებული მოცულობით, ვადით და ფასით, ხოლო მსესხებელი – გამოიყენოს კრედიტი დანიშნულებისამებრ, დააბრუნოს დროულად და შეთანხმებულ პროცენტთან ერთად.

თანამედროვე საკრედიტო ხელშეკრულება, როგორც წესი, მოიცავს შემდეგ მუხლებს:

I. პრეამბულა, ანუ შესავალი;
II. ძირითადი ცნებები;
III. ხელშეკრულების საგანი;
IV. დაკრედიტების პირობები (კრედიტის გაცემისა და დაფარვის წესი);
V. პროცენტის დარიცხვისა და გადახდის წესი;
VI. მხარეთა უფლებები და მოვალეობები;
VII. კრედიტის დაფარვის უზრუნველყოფა;
VIII. მხარეთა პასუხისმგებლობა და საჯარიმო სანქციები;
IX. დავების განხილვის წესი;
X. მხარეთა რეკვიზიტები.

შესავალში (პრეამბულა) მოცემულია ხელშეკრულების ნომერი, მისი დადების თარიღი და ადგილი. ასევე საკრედიტო გარიგების მხარეები და მათი წარმომადგენლები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან ხელი მოაწერონ აღნიშნულ ხელშეკრულებას.

ძირითად ცნებებში, როგორც წესი, მოცემულია ხელშეკრულებაში გამოყენებული სპეციფიკური ტერმინების განმარტებები და შინაარსი.

ხელშეკრულების საგანში აღინიშნება საკრედიტო ხელშეკრულების არსებითი პირობები: კრედიტის თანხა, მიზანი, პროცენტი და სხვ.

დაკრედიტების პირობები (კრედიტის გაცემისა და დაფარვის წესი) – ამ მუხლში ჩამოყალიბებულია, თუ რომელი დოკუმენტების საფუძველზე ეხსნება მსესხებელს სასესხო ანგარიში, სასესხო ანგარიშის ნომერი, რომელზეც მოხდება გაცემული კრედიტის აღრიცხვა. აქვე ხდება კრედიტის დაფარვის მექანიზმის აღწერა (ერთიანად თუ გრაფიკის შესაბამისად, კონკრეტული თანხების მითითებით), ვადამდელი დაფარვის პირობები და სხვ.

პროცენტის დარიცხვისა და გადახდის წესი – ხელმომწერი მხარეები თანხმდებიან პროცენტის დარიცხვის წესზე, მისი გადახდის პერიოდულობაზე. აქვე აღიწერება ვადაგადაცილებული დავალიანების შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთის ოდენობა და სხვა საჯარიმო სანქციები.

მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების მუხლში დაწვრილებით აღიწერება ბანკისა და მსესხებლის უფლებები და მოვალეობები. ისინი უნდა ემყარებოდეს ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრედიტის დაფარვის უზრუნველყოფა – ამ მუხლში ხდება აღნიშნული ბანკსა და მსესხებელს შორის დადებული საგირავნო ხელშეკრულებისა ან სხვა სავალო ვალდებულებისა, რომელიც წარმოადგენს კრედიტის დაფარვის უზრუნველყოფისა და მისი დაფარვის მეორად წყაროს.

მხარეთა პასუხისმგებლობა და საჯარიმო სანქციები გულისხმობს ხელმომწერი მხარეების პასუხისმგებლობას და შესაძლო საჯარიმო სანქციებს მათი შეუსრულებლობის შემთხვევაში.

დავების განხილვის წესში აღწერილია მხარეებს შორის შესაძლო დავების ან შეუთანხმებლობისას შემთხვევაში მათი გადაჭრის გზები მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.

მხარეთა რეკვიზიტები – ამ მუხლში მოცემულია მხარეთა იურიდიული სტატუსი და დასახელება, ანგარიშების ნომრები, იურიდიული მისამართები, ხელშეკრულების ხელმომწერი თანამდებობის პირები და ბეჭდის ადგილი.

საკრედიტო ხელშეკრულების საბოლოო ვარიანტის ვიზირება წარმოებს ორივე მხარის იურისტების მიერ და ხდება ხელმოწერა, ერთი მხრივ, კომერციული ბანკის ხელმძღვანელის, მეორე მხრივ კი – მსესხებლის მიერ.

15.4. კრედიტის დაფარვა და საკრედიტო ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი

კრედიტის დაფარვა ხორციელდება ან ერთიანი თანხით, ერთდროულად კრედიტის ვადის დადგომისას, ან გარკვეული პერიოდულობით კრედიტის მთელი ვადის განმავლობაში, წინასწარ შეთანხმებული დაფარვის გრაფიკის შესაბამისად. კრედიტის დაფარვების გრაფიკი გათვალისწინებულია საკრედიტო ხელშეკრულებით. რა თქმა უნდა, შესაძლებელია კრედიტი დაფარულ იქნეს ვადაზე ადრე მთლიანად ან ნაწილობრივ. ვადაზე ადრე დაფარვის შემთხვევაში შეიძლება საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყოს ჯარიმის გადახდა.

კრედიტის დაფარვა შეიძლება მოხდეს მსესხებლის ანგარიშიდან ჩამოწერის ან სალაროში ნაღდი ფულის შემოტანის გზით, შესაძლებელია ასევე სხვა ბანკიდან მოხდეს სახსრების გადმორიცხვა კრედიტის დასაფარავად. კრედიტის დაფარვისას, პირველ რიგში, იფარება ვადაგადაცილებული დავალიანება (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ – იმ პერიოდისათვის არსებული პროცენტის თანხა და ბოლოს – დარჩენილი თანხით ხდება კრედიტის ძირითადი თანხის დავალიანების შემცირება.

თუმცა, სესხის დაფარვამდე, როგორც ბანკს, ისე სესხის გაცემაზე პასუხისმგებელ საკრედიტო ოფიცერს უწევს მეტად საპასუხისმგებლო და ხშირად მრავალწლიანი მონიტორინგის მუშაობის ჩატარება თითოეულ სესხზე. საკრედიტო ოფიცრის საქმიანობა და პასუხისმგებლობა არ მთავრდება კრედიტის დამტკიცებით. პირიქით, კრედიტის გაცემის შემდეგ იგი რეგულარულად უნდა ადევნებდეს თვალყურს საკრედიტო ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობას კონკრეტული სესხების ჭრილში.

საკრედიტო ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი, ფაქტობრივად, კრედიტის გაცემისთანავე იწყება. კომერციული ბანკის მიერ კრედიტის დაფარვის კონტროლი ხორციელდება საკრედიტო პროცესის რეალიზაციის ყველა სტადიაზე. გაცემული კრედიტის მონიტორინგის დროს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შემდეგ მიმართულებებს:

- გაცემული კრედიტის მიზნობრიობის კონტროლი;
- ძირთადი თანხისა და პროცენტის დაფარვის გრაფიკის შესრულება;
- პერიოდული ფინანსური ინფორმაციის წარმოდგენა;
- კრედიტის უზრუნველყოფის არსებული მდგომარეობა.

გაცემული კრედიტის მონიტორინგი განსაკუთრებით აქტუალურია, როცა კრედიტი გაიცემა ნაწილ-ნაწილ პროექტის რეალიზაციის სხვადასხვა ეტაპის დასაფინანსებლად და ასევე გრძელვადიანი დაკრედიტებისას.

მონიტორინგის დროს გაცემული კრედიტის პრობლემურობის პირველი იდენტიფიკატორი არის კრედიტის არამიზნობრივი (სრული ან ნაწილობრივი) გამოყენება. კომერციული ბანკი კრედიტს გასცემს გარკვეული მიზნით და მისი გადაწყვეტილება კრედიტის გაცემისას სწორედ კონკრეტული კომერციული ოპერაციის ან პროექტის დაფინანსებას ემსახურება. მსესხებლის მხრიდან დაფარვის გრაფიკის შეუსრულებლობის (ძირითადი თანხის ნაწილი ან პროცენტი) პირველი ფაქტები არის პრობლემურობის გარკვეული სიგნალი კომერციული ბანკისათვის, ხოლო თუ ასეთი შემთხვევები სისტემატური ხდება, აუცილებელია ბანკის მხრიდან დროულად რეაგირება.

იურიდიული პირების დაკრედიტებისას, როგორც წესი, მსესხებელი ვალდებული ხდება გარკვეული პერიოდულობით წარმოადგინოს ბანკში ფინანსური ინფორმაცია, რათა ბანკს საშუალება ჰქონდეს, თვალყური ადევნოს მსესხებლის ფინანსური მაჩვენებლებისა და კრედიტუნარიანობის მდგომარეობასა და მათ დინამიკას. ამ თვალსაზრისით, კომერციულ ბანკში ყურადღება უნდა ეთმობოდეს აღნიშნული ინფორმაციის დროულობასა და სისრულეს. ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება კრედიტის უზრუნველყოფის აღნიშნულ მდგომარეობასა და მისი საბაზრო ღირებულების მონიტორინგს.

საკრედიტო პროცესის მხოლოდ ქმედით და კვალიფიციურ კონტროლს ძალუძს, უზრუნველყოს კომერციული ბანკის საკრედიტო ოპერაციების საიმედოობა და მომგებიანობა. შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ორი წესი, რომელთა დაცვა აუცილებელია ნებისმიერი კომერციული ბანკის წარმატებული საკრედიტო საქმიანობისათვის:

- ყველა კომერციულ ბანკს უნდა ჰქონდეს გაცემული კრედიტების მონიტორინგის საკუთარი მოქნილი და ქმედითი სისტემა;
- საკრედიტო კონტროლს უნდა ახორციელებდნენ კომერციული ბანკის ყველაზე მაღალკვალიფიციური და გამოცდილი თანამშრომლები.

საკრედიტო ხელშეკრულების პირობების ეფექტიანი კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელია ე. წ. „საკრედიტო საქმის“ („საკრედიტო დოსიე“) ფორმირება და წარმოება თითოეული კრედიტისა და მსესხებლის ჭრილში. „საკრედიტო საქმეში“ იკინძება ყველა დოკუმენტი, რომლებიც დაკავშირებულია კონკრეტულ საკრედიტო ოპერაციასთან. ბანკის თანამშრომელი „საკრედიტო საქმის“ საფუძველზე ადგენს მსესხებლის მიერ შესასრულებელი ვალდებულებების განრიგს ვადების მიხედვით – კრედიტის ძირითადი თანხისა და პროცენტის დაფარვა, ანგარიშგებების წარმოდგენა და ამ განრიგის საფუძველზე ახდენს კრედიტის დაფარვის მონიტორინგს მსესხებლის მხრიდან ვალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებულებების სრულად შესრულებამდე. „საკრედიტო საქმე“ ასევე წარმოადგენს ბანკის ნებისმიერი მაკონტროლებელი ორგანოს (შიდა აუდიტი, გარე აუდიტი, ცენტრალური ბანკი, საგადასახადო სამსახური) საკრედიტო საქმიანობის შემოწმების ობიექტს.

საკრედიტო პროცესის კონტროლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენს ასევე კონკრეტული კრედიტის მონიტორინგის შედეგების მოხსენება კომერციული ბანკის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს სხდომებზე (საკრედიტო კომიტეტები). აღნიშნულ სხდომებზე ხდება მონიტორინგის შედეგების შეფასება და აუცილებლობის შემთხვევაში – შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

საკრედიტო პროცესის მონიტორინგის მთავარ მიზანს და პასუხისმგებელი თანამშრომლის პროფესიულ მოვალეობას წარმოადგენს კრედიტის დაფარვის სხვადასხვა ეტაპზე მსესხებლის ფინანსური პრობლემების „ვირუსის“ რაც შეიძლება დროული გამოვლენა, რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამისი ქმედებების განხორციელება ბანკის ინტერესების გათვალისწინებით. თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, საკრედიტო ოპერაციების მონიტორინგის განხორციელების წესი გაწერილია კომერციული ბანკის შესაბამის ინსტრუქციებსა და პროცედურებში, სადაც უნდა არსებობდეს მეთოდიკა საკრედიტო დავალიანების დაფარვასთან დაკავშირებით პრობლემების დროული დიაგნოსტიკისათვის.

უმრავლეს შემთხვევაში მსესხებელი კრედიტის დაფარვასთან დაკავშირებული ვადაგადაცილებული დავალიანების გაჩენამდე, თავდაპირველად, განიცდის სიძნელეებს ფულადი სახსრების შემოდინების კუთხით. იზრდება მატერიალურ-სასაქონლო მარაგების დონე, ნელდება დებიტორული დავალიანებების დაფარვა. ეს გარემოებები უნდა იყოს სიგნალი კვალიფიციური საკრედიტო ოფიცრისათვის, რომ მსესხებელს დაეწყო პრობლემები თავის საქმიანობაში და, შესაბამისად, ბანკსაც აღნიშნულ კრედიტთან დაკავშირებით.

საკრედიტო ოფიცრის მიერ კრედიტის მონიტორინგი ხორციელდება როგორც დისტანციურად, მსესხებლის ანგარიშებისა და მოწოდებული ინფორმაციის გაანალიზებით, ასევე ადგილზე პერიოდული გასვლებით. მსესხებლის მხრიდან საკრედიტო ხელშეკრულების მიხედვით საკუთარ თავზე აღებული ვალდებულებების არასათანადოდ ან არადროულად შესრულება შეიძლება გახდეს ბანკის მხრიდან ჯარიმებისა და საურავების დარიცხვის, ხოლო მათი სისტემატურობის დროს ან მნიშვნელოვანი მასშტაბებისას – დამატებითი უზრუნველყოფის ან კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვის მოთხოვნის საფუძველი.

ზოგადად, გაცემული კრედიტების კონტროლის სისტემა კომერციული ბანკისათვის ემსახურება შემდეგ მიზნებს:

- პრობლემური კრედიტების გამოვლენა და შესაბამისი რეაგირება მათ დასაფარავად;
- მთლიანად საკრედიტო პორტფელის სტრუქტურისა და ხარისხის ანალიზი;
- არსებული საკრედიტო პორტფელის რისკის ანალიზი და აუცილებლობის შემთხვევაში ცვლილებების შეტანა კრედიტების გაცემის პროცედურებში;
- კრედიტების ბაზრის კვლევა და, აუცილებლობის შემთხვევაში, შესაბამისი ცვლილებების შეტანა ბანკის საკრედიტო პოლიტიკასა და სტრატეგიაში.

საკრედიტო რეგულაციის მიზნით, როგორც უცხოურ ქვეყნებში, ისე საქართველოშიც, ცენტრალური ბანკები ზღუდავენ ერთ მსესხებელზე ან მსესხებელთა ჯგუფზე გასაცემი კრედიტის მაქსიმალურ ოდენობას, რაც საშუალებას იძლევა, თავიდან იქნეს აცილებული კრედიტების ზედმეტი კონცენტრაცია და შემცირდეს საკრედიტო რისკი.

15.5. პრობლემურ კრედიტებთან მუშაობა

პრობლემურს უწოდებენ ისეთ კრედიტებს, რომლებიც არ იფარება სრულად და საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, ან მოხდა კრედიტის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი შემცირება სხვადასხვა მიზეზით.

როგორც ქრონიკული დაავადება, კრედიტის „გაფუჭება", მსესხებლის პრობლემურობა ერთ დღეში არ წარმოიშობა, ეს ხანგრძლივი პროცესია და თანდათანობით ვითარდება. საკრედიტო ოფიცერი უნდა იყოს პირველი, ვინც შეამჩნევს დაავადების სიმპტომებს. მისი პროფესიონალიზმი სწორედ ისაა, რომ ეს, რაც შეიძლება ადრეულ სტადიაზე აღმოაჩინოს, სანამ ბანკს კიდევ აქვს ბერკეტები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

მნიშვნელოვანია, რომ კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკაში მკაფიოდ იყოს გაწერილი განსახორციელებელ ღონისძიებათა კომპლექსი კრედიტის გაპრობლემების დროულად აღმოსაჩენად და ასეთის არსებობის შემთხვევაში. როგორია პრობლემური კრედიტის სტანდარტული და ყველაზე გავრცელებული ნიშან-თვისებები? ისინი შეიძლება დავყოთ ორ, ფინანსურ და არაფინანსურ ჯგუფად:

1) კრედიტის პრობლემურობის არაფინანსური ნიშნები:

- რადიკალური და ხშირი ცვლილებები კომპანიის აქციონერთა და მენეჯმენტის შემადგენლობაში;
- იურიდიული მისამართისა და ტელეფონების ხშირი ცვლილება;
- მკვეთრი ცვლილებები მსესხებლის საქმიანობაში, რაც გამოიხატება ახალ ბაზრებზე გადანაცვლებით;
- მსესხებლის მხრიდან ამორტიზაციის დარიცხვის, რეზერვების შექმნის, მატერიალურ-სასაქონლო მარაგების შეფასების, მოგების გაანგარიშების მეთოდების მოულოდნელი ცვლილება;
- მსესხებლის მხრიდან ფინანსური და სხვა ინფორმაციის მატარებელი ანგარიშგებების მოწოდების შეფერხება, განსაკუთრებით, თუკი მსესხებელს მათი მოწოდების ვალდებულება აკისრია;
- მსესხებლის მხრიდან ბანკთან კონტაქტისა და ანგარიშგებების ინფორმაციაზე განმარტებებისაგან თავის არიდება;
- იმ ბაზრის ნეგატიური ტენდენციები, რომელშიც საქმიანობს მსესხებელი.

1) კრედიტის პრობლემურობის ფინანსური (ეკონომიკური) ნიშნები:

- კრედიტის არამიზნობრივი გამოყენება;
- გაუარესებული ფინანსური მაჩვენებლები;
- მესამე პირებისაგან (პარტნიორები, სხვა ბანკები) მსესხებლის შესახებ ნეგატიური ინფორმაციის მიღება;

- კრედიტის უზუნველყოფის საგნის ფიზიკური და მორალური ცვეთა, ანუ მისი საბაზრო ღირებულების შემცირება;
- გარანტორის ან თავმდების ფინანსური მდგომარეობის გაუარესება;
- ჩავარდნები კრედიტის ძირითადი თანხისა და პროცენტის გრაფიკის მიხედვით დაფარვაში;
- მსესხებლის მხრიდან კრედიტის პროლონგაციის არაერთჯერადი თხოვნა.

მიუხედავად იმისა, კრედიტის პრობლემურობის ნიშან-თვისებები ფინანსურია თუ არაფინანსური, აუცილებელია, ბანკის მხრიდან გადაიდგას შესაბამისი ნაბიჯები მდგომარეობის გამოსასწორებლად. საკრედიტო ოფიცერმა უნდა შეიმუშაოს ღონისძიებათა კომპლექსი პრობლემური კრედიტის ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად და წარუდგინოს უფლებმოსილ ორგანოს (ან პირს) დასამტკიცებლად. ასეთი ღონისძიებები შეიძლება იყოს:

- კრედიტის უზრუნველყოფის ხელახალი სრული ანალიზის ჩატარება და დასკვნის მომზადება;
- კრედიტთან დაკაშირებული საკრედიტო რისკის შესახებ დასკვნის მომზადება;
- ყოველდღიურ რეჟიმში მსესხებლის ანგარიშებზე სახსრების ჩარიცხვების გაკონტროლება;
- ამ კრედიტთან დაკავშირებული საკრედიტო საქმის (დოკუმენტაციის სრული პაკეტი) იურიდიულად გაფორმების მართებულობის გადამოწმება მასში შესაძლო ხარვეზების აღმოსაჩენად;
- იმის შესაძლებლობის შესწავლა, რომ მიღებულ იქნეს დამატებითი უზრუნველყოფა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ კრედიტი არაუზრუნველყოფილია.

ამ ღონისძიებების, შესაბამისი დასკვნებისა და განხილვების შემდეგ, თუ სესხს მიეცა „პრობლემურის კვალიფიკაცია“, ბანკი იწყებს კრედიტის დაბრუნების პროცედურას. ამ პროცედურის წარმოება შეიძლება განახორციელოს კრედიტის მომსახურე საკრედიტო ოფიცერმა (პირველ ეტაპზე მაინც) ან ბანკის სპეციალურმა სამსახურმა, რომელიც მართავს პრობლემურ აქტივებს. პროცესში ასევე ერთვება უსაფრთხოებისა და იურიდიული სამმართველოები. ეს პროცედურა შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ:

1) პრობლემური მსესხებლისათვის გარკვეული დახმარებების გაწევა და შეღავათების დაწესება, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მის გამოსვლას კრიზისიდან და ბანკის მიმართ ვალდებულებების დაფარვას:
   - კრედიტის პროლონგაცია (ვადის გაგრძელება, ახალი გრაფიკის დაწესება, დაფარვის საშეღავათო პერიოდის დაწესება, პროცენტის შემცირება და სხვ.);
   - ახალი კრედიტის მიცემა;
   - კომპანიის აქციების ყიდვისა და მის კაპიტალში წილობრივი მონაწილეობის მიღებით მსესხებლის კაპიტალის გაზრდა;
   - კომპანიის მმართველ ორგანოებში მონაწილეობის მიღება, კონსულტანტებისა და კურატორების დანიშვნა.
2) კრედიტის „ამოღება“ (დაბრუნება) გონივრულად მოკლე ვადაში:
   - მიმართვა გარანტორისა და თავმდებისადმი კრედიტის დაფარვის მოთხოვნით;
   - სადაზღევაო პოლისის ამოქმედება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

- სასამართლო წესით უზრუნველყოფის საგნის (გირაოს) რეალიზაცია;
- მსესხებლის დავალიანების მიყიდვა მესამე მხარისათვის.

იმის გამო, რომ პრობლემური კრედიტების დაფარვის პროცედურა მეტად ხანგრძლივია და მოითხოვს დიდ შრომით დანახარჯს, საზღვარგარეთის ქვეყნებში ძალიან გავრცელებულია ასეთი კრედიტების მიყიდვა სპეციალიზებულ კომპანიებზე. ასეთი პრაქტიკა უკვე საქართველოშიც ინერგება.

ზოგადად, ბანკებში უნდა არსებობდეს პრობლემური კრედიტების კლასიფიკაციისა და რისკის ხარისხის შეფასების პროცედურები. აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს პრობლემური კრედიტების კლასიფიკაციას, აღრიცხვას, შესაბამისი რეზერვების შექმნასა და ბალანსიდან ჩამოწერას. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კრედიტების კლასიფიკაციას. საქართველოში აღნიშნული პროცედურები რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის „კომერციული ბანკის მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესით“ (ბრძანება № 350, 29.12.2000).

საკონტროლო კითხვები:

1. როგორ დაახასიათებდით დაკრედიტების 6 ძირითად ეტაპს კომერციულ ბანკში?
2. რას გულისხმობს დაკრედიტების მეორე ეტაპი – მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასება?
3. რა შეგიძლიათ თქვათ დაკრედიტების მესამე ეტაპის – კრედიტის უზრუნველყოფის შესწავლისა და შეფასების შესახებ?
4. როგორც წესი, რა უნდა იქნეს მითითებული საკრედიტო განაცხადში?
5. რა მიგაჩნიათ განსაკუთრებით მნიშვნელოვნად პოტენციურ მსესხებელთან ინტერვიუს დროს განსახილველ საკითხთა შორის?
6. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საბანკო ბაზარზე არსებული ფასებიდან გამომდინარე, რა გარემოებები ახდენს გავლენას გასაცემი კრედიტის ფასის (პროცენტი) ფორმირებაზე?
7. მსესხებელთან გასაუბრებისას ბანკის წარმომადგენელმა რომელ ძირითად მომენტებზე უნდა გაამახვილოს ყურადღება?

8. პოტენციური მსესხებლის რომელი თვისებები ახდენს გავლენას ბანკის გადაწყვეტილებაზე დაკრედიტების შესახებ?

9. წარმატებული ინტერვიუს შემდეგ რა დამატებით ინფორმაციას მოითხოვს პოტენციური მსესხებლისაგან ბანკი?

10. საკრედიტო ოფიცრის გარდა, ვინ შეიძლება მონაწილეობდეს კრედიტის დამტკიცებაში და რა თანმიმდევრობით ხდება ეს პროცედურა?

11. რა გადაწვეტილებები შეიძლება მიიღოს კრედიტის დამტკიცებისას უფლებამოსილმა ორგანომ – საკრედიტო კომიტეტმა?

12. რას წარმოადგენს საკრედიტო ხელშეკრულება და რომელ ძირითად მუხლებს მოიცავს იგი?

13. რა თანმიმდევრობით და მექანიზმებით შეიძლება მოხდეს კრედიტის დაფარვა?

14. რომელი მიმართულებებით წარმოებს გაცემული კრედიტის მონიტორინგი?

15. რომელია მონიტორინგის დროს გამოვლენილი კრედიტის პრობლემურობის პირველი ნიშნები?

16. რა შეიძლება ითქვას ე. წ. „საკრედიტო საქმის“ („საკრედიტო დოსიე“) შესახებ?

17. რა არის საკრედიტო პროცესის მონიტორინგის დროს პასუხისმგებელი თანამშრომლის პროფესიული მოვალეობა?

18. გაცემული კრედიტების კონტროლის სისტემა კომერციული ბანკისათვის რა მიზნებს ემსახურება?

19. როგორ განიმარტება „პრობლემური სესხი“?

20. როგორ მიმდინარეობს გაცემული კრედიტის პრობლემურად ჩამოყალიბების პროცესი?

21. რა არის კრედიტის პრობლემურობის არაფინანსური ნიშნები?

22. როგორ დაახასიათებდით კრედიტის პრობლემურობის ფინანსურ (ეკონომიკური) ნიშნებს?

23. რას მოიცავს ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც უნდა შემუშავდეს პრობლემური კრედიტის ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად?

24. რას გულისხმობს ბანკის მიერ დაწყებული კრედიტის დაბრუნების პროცედურების ორი ჯგუფი?

თავი 16

მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასება

შინაარსი:

16.1. მსესხებლის კრედიტუნარიანობის ცნება;
16.2. მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასების კრიტერიუმები;
16.3. მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასების მეთოდები;
16.4. იურიდიული პირის კრედიტუნარიანობის შეფასება;
16.5. ფიზიკური პირის კრედიტუნარიანობის შეფასება.

ძირითადი ელემენტები:

1. მსესხებლის კრედიტუნარიანობის ცნება და არსი;
2. მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასების 8 ძირითადი კრიტერიუმი;
3. მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასების 5 ძირითადი მეთოდი;
4. იურიდიული პირის კრედიტუნარიანობის შეფასების მეთოდები;
5. კრედიტუნარიანობის შეფასების რეიტინგული მეთოდი;
6. ფიზიკური პირის კრედიტუნარიანობის შეფასების 3 ძირითადი მეთოდი;
7. კრედიტუნარიანობის შეფასების სკორინგის მეთოდი.

გამოყენებული სქემები, ნახატები და ცხრილები:

ცხრ. №16.1. ფულადი ნაკადების ანალიზი (***Cash Flow***);
ცხრ. №16.2. იურიდიული პირის კრედიტუნარიანობის შეფასების რეიტინგული სისტემის გაანგარიშების ტიპური მაგალითი;
ცხრ. №16.3. ფიზიკური პირის კრედიტუნარიანობის შეფასების სკორინგული მოდელის გაანგარიშების ტიპური მაგალითი.

16.1. მსესხებლის კრედიტუნარიანობის ცნება

კომერციული ბანკის საკრედიტო საქმიანობა დაკავშირებულია მრავალი სახეობის რისკთან, რომელებიც მოიცავენ სესხების არდაფარვის (ან დროული არდაფარვის) პოტენციურ საშიშროებას. ყოველივე ეს განაპირობებს მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასების აქტუალობის მაღალ ხარისხს. გამომდინარე იქიდან, რომ კრედიტუნარიანობის შეფასება ესაა პროცესი, რომლის დროსაც შეისწავლება ის ფაქტორები, რომელთაც შეიძლება გამოიწვიონ კრედიტის არათავისდროული და არასრული დაფარვა, შეიძლება ჩამოყალიბდეს კომერციული ბანკის მხრიდან პოტენციური მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასების მიზანი და ამოცანები:

1) შეისწავლოს და განსაზღვროს მსესხებლის მიერ საკრედიტო დავალიანების თავიდროულად და სრულად დაფავის უნარი;
2) შეაფასოს და განსაზღვროს რისკის ის ხარისხი და დონე, რომლის საკუთარ თავზე ასაღებად კომერციული ბანკი არის მზად;
3) განსაზღვროს კრედიტის მოცულობა, რომელიც შეიძლება გაიცეს არსებული გარემოებების გათვალისწინებით;
4) შეაფასოს და განსაზღვროს ის პირობები (ვადა, გირაო, პროცენტი და სხვ.), რომელთა გათვალისწინებითაც მოხდება დაკრედიტება.

მსესხებლის კრედიტუნარიანობა – ესაა მსესხებლის უნარი და მზადყოფნა, დროულად და სრულად დაფაროს აღებული კრედიტი და მასზე დარიცხული პროცენტები, ანუ ესაა პოტენციური მსესხებლის მიერ კრედიტის მიღების მატერიალური და ფინანსური შესაძლებლობების ერთობლიობა, რომელიც განპირობებულია მის მიერ კრედიტის დროულად და სრულად დაფარვის უნარით.

გადამხდელუნარიანობა არის უფრო ფართო ცნება და გულისხმობს კრედიტუნარიანობასაც. თუკი გადამხდელუნარიანობა აფიქსირებს არგადახდებს გასულ პერიოდში ან სხვა რომელიმე პერიოდისათვის, კრედიტუნარიანობის შეფასებისას ხდება პროგნოზირება პოტენციური მსესხებლის ვალდებულების დაფარვის უნარის შესახებ ამ კონკრეტული სესხის ვადის პერიოდში. ანუ სხვანაირად თუ ვიტყვით, კრედიტუნარიანობა განსაზღვრავს პოტენციური მსესხებლის ერთი კონკრეტული დავალიანების დაფარვის შესაძლებლობას და არა ყველა ვალდებულებისა, როგორც ეს ხდება მისი გადამხდელუნარიანობის შეფასების შემთხვევაში.

ვალდებულებების გადახდასთან დაკავშირებული პრობლემები გასულ პერიოდში არის მხოლოდ ერთ-ერთი და არა გამსაზღვრელი, მაჩვენებელი, რომლითაც ბანკი ხელმძღვანელობს გადაწყვეტილების მიღებისას. თუკი პოტენციურ მსესხებელს აქვს ვადაგადაცილებული დავალიანება, მაგრამ ამავდროულად – საკმარისი კაპიტალი და მისი ბალანსი ლიკვიდურია, ამ შემთხვევაში ვადაგადაცილების წარმოქმნის ერთჯერადი „ჩავარდნა“ არ შეიძლება გახდეს მსესხებლის არაკრედიტუნარიანობის შესახებ დასკვნის გამოტანის საფუძველი.

16.2. მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასების კრიტერიუმები

როგორც აღინიშნა, დაკრედიტების პროცესი დაკავშირებულია მრავალი სახეობისა და ტიპის რისკთან. ამ რისკებმა შეიძლება გამოიწვიონ გაცემული კრედიტისა და მასზე დარიცხული პროცენტის დროულად დაუბრუნებლობა. მიზეზები, რომლებიც წარმოშობენ პრობლემებს მსესხებლისათვის, შეიძლება იყოს ობიექტური: ეკონომიკური და ფინანსური კრიზისი, ფასების მკვეთრი ცვლილება, კონტრაგენტების მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობა, გაფიცვები და ა.შ. არ არსებობს კომპანია, რომლის კრედიტუნარიანობასაც ასეთმა სერიოზულმა ფაქტორებმა მეტ-ნაკლები პრობლემები არ შეუქმნას. ამიტომ, პოტენციური მსესხებლის ფინანსური შესაძლებლობების, მისი კრედიტუნარიანობის განსაზღვრა და თანმდევი რისკების გათვალისწინება ბანკს საკრედიტო რესურსების ეფექტიანად მართვისა და მოგების მიღების საშუალებას აძლევს, მით უმეტეს, რომ, როგორც წესი, ვადაგადაცილებული სესხების მნიშვნელოვანი ნაწილის წარმოქმნის მიზეზად მსესხებლის ფინანსური შესაძლებლობის არასაკმარისად ღრმა ანალიზი გვევლინება.

პოტენციური მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასების კრიტერიუმების ქართული საბანკო პრაქტიკა დიდად არ განსხვავდება უცხოურისაგან. ამ კრიტერიუმებს შორის უმთავრესი და ძირითადია:

1) შესაბამისობა ბანკის საკრედიტო პოლიტიკასთან;
2) პრუდენციული ბაზისი;
3) მსესხებლის რეპუტაცია;
4) სახსრების სესხების უნარი და შესაძლებლობა;
5) ფინანსური შესაძლებლობები;
6) კაპიტალის საკმარისობა და თანამონაწილეობა;
7) კრედიტის უზრუნველყოფა;
8) გარე ფაქტორები.

საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მოკლედ დავახასიათოთ თითოეული მათგანი:

1) შესაბამისობა ბანკის საკრედიტო პოლიტიკასთან. პირველი კრიტერიუმი, რომლითაც ხდება მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასების დაწყება, არის იმის განსაზღვრა, თუ რამდენად შეესაბამება წარმოდგენილი საკრედიტო განაცხადი ბანკის საკრედიტო პოლიტიკას. ზოგჯერ უარი დაკრედიტებაზე შეიძლება ეთქვას ძალიან კარგ პროექტს, რადგან ბანკს თავისი საკრედიტო პოლიტიკით უფლება არ აქვს ამ ტიპის ან ამ დარგის, ან ამ მოცულობით და ა.შ. დაკრედიტებისა. შეიძლება მოხდეს ისე, რომ ბანკი გასცემს ასეთ კრედიტებს, მაგრამ მისი გაცემით არღვევდეს რომელიმე სავალდებულო ნორმატივს (ამოწურული ჰქონდეს ამ ტიპის ან ამ დარგის და ა. შ. შიდა საბანკო ან გარე ლიმიტი).

2) პრუდენციული ბაზისი. ამ კრიტერიუმის არსს წარმოადგენს მსესხებლის საქმიანობის საკანონმდებლო საფუძველი, კრედიტის ხასიათის შესაბამისობა საზედამხედველო ორგანოების სტანდარტებათან. ამ კუთხით სესხის გაცემის დროს ბანკის წინაშე დგება შემდეგი საკითხები:

- არსებობს თუ არა პოტენციური მსესხებლის ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძველი;
- არსებობს თუ არა დასაკრედიტებელი ღონისძიების განხორციელების სამართლებრივი საფუძველი;
- როგორ იმოქმედებს პოტენციური მსესხებლის საქმიანობის შედეგებზე მოსალოდნელი საკანონმდებლო ცვლილებები;
- რამდენად შეესაბამება მონაცემები პოტენციურ მსესხებელსა და კრედიტზე საბანკო ზედამხედველობის სტანდარტებს?

3) მსესხებლის რეპუტაცია. მსესხებლის რეპუტაცია არის მის მიერ წლების განმავლობაში დაგროვილი სახელი, იმიჯი, როგორც ადამიანისა (კომპანიისა), რომელიც გრძნობს პასუხისმგებლობას აღებული ვალდებულების შესრულებისათვის. აქ ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ის, თუ რამდენად ნათლად ესმის მას კრედიტის მიზნები. იურიდიული პირის რეპუტაცია ყალიბდება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მრავალი მახასიათებლისაგან, ესენია:

- ამ სფეროში მუშაობის გამოცდილება;
- მისი წარმატება ამ სფეროში;
- საკრედიტო ისტორიის ხარისხი როგორც ამ, ისე სხვა ბანკებში;
- მისი საქმიანი პარტნიორების რეპუტაცია;
- დამფუძნებლებისა და უმაღლესი მენეჯმენტის რეპუტაცია (განათლება, პროფესიონალიზმი, მორალური თვისებები, ფინანსური და ოჯახური მდგომარეობა და ა. შ.).

4) სახსრების სესხების უნარი და შესაძლებლობა. ფიზიკური პირის შემთხვევაში კრედიტის მიღების უნარსა და შესაძლებლობაში იგულისხმება, არის თუ არა იგი ქმედითუნარიანი (სრულწლოვანი, ჯანმრთელობის მდგომარეობა). რაც შეეხება იურიდიულ პირს, ეს გულისხმობს, ხომ არ ეწინააღმდეგება საკრედიტო განაცხადი კომპანიის წესდებას, ასევე ის, თუ რამდენადაა უფლებამოსილი განაცხადის წარმდგენი პირი, ხელი მოაწეროს ხელშეკრულებებს, აიღოს კრედიტი კომპანიის სახელით და, საერთოდ, აწარმოოს მოლაპარაკებები ამ საკითხებთან დაკავშირებით.

5) ფინანსური შესაძლებლობები. ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი, რომელიც გულისხმობს პოტენციური მსესხებლის უნარს, გამოიმუშაოს სახსრები (მიიღოს შემოსავლები) იმ ოდენობით, რაც აუცილებელია მისი მიმდინარე გასავლებისა და კრედიტის სახით აღებული ახალი ვალდებულებების დასაფარავად. ყოველივე ამის განსაზღვრის საფუძველს წარმოადგენს:

- ბალანსის ლიკვიდურობა;
- მომგებიანობა;
- ფულადი ნაკადები.

6) კაპიტალის საკმარისობა და თანამონაწილეობა. კაპიტალის საკმარისობა და თანამონაწილეობა არანაკლები მნიშვნელობის კრიტერიუმია, რომლის შესაფასებლად აუცილებელია, გაანალიზებულ იქნეს ორი ასპექტი:

- კაპიტალის საკმარისობა, რომელიც განისაზღვრება სხვადასხვა კოეფიციენტის საფუძველზე;

- თანამონაწილეობა, ანუ რამდენია მსესხებლის საკუთარი რესურსები და აღებული კრედიტის შესაბამისობა პროექტის საერთო ღირებულებაში.

აღსანიშნავია, რომ რაც მეტია მსესხებლის თანამონაწილეობა პროექტში, მით მეტია ბანკის დაინტერესების ხარისხი, მონაწილეობა მიიღოს პროექტის დაფინანსებაში.

7) კრედიტის უზრუნველყოფა. კრედიტის უზრუნველყოფის, როგორც დაფარვის მეორადი წყაროს, მნიშვნელობა მით უფრო აქტუალურია, რაც უფრო რისკიანია პროექტი. ამ შემთხვევაში იგულისხმება:

- მსესხებლის აქტივების საბაზრო ღირებულება;
- უზრუნველყოფის წყარო – გირაო, გარანტია, თავდებობა და ა.შ.

8) გარე ფაქტორები. გარე ფაქტორებში იგულისხმება ის გარემო პირობები, რომლებშიაც ხორციელდება საკრედიტო ოპერაცია და რომელთა უარყოფითმა ზემოქმედებამ შეიძლება მნიშვნელოვნად გაზარდოს ბანკი მიერ აღებული რისკები. კერძოდ, ისეთი გარემოებები, როგორებიცაა:

- მაკროეკონომიკური მდგომარეობა ქვეყანასა და რეგიონში და მისი პროგნოზი გონივრულ მომავალში;
- მდგომარეობა ეკონომიკის კონკრეტულ სეგმენტში (დარგში) და მისი პროგნოზი გონივრულ მომავალში;
- პოლიტიკური სიტუაცია ქვეყანასა და რეგიონში და მისი პროგნოზი გონივრულ მომავალში.

თანამედროვე საკრედიტო ტექნოლოგია დაფუძნებულია რისკის შემცირების პრინციპზე, რომელიც მიიღწევა – რაც შეიძლება მეტი ინფორმაციის მიღებით. მათ შორის, უმთავრესია ფინანსური ინფორმაცია. გადაწყვეტილება კრედიტის გაცემის შესახებ, უპირველეს ყოვლისა, მიიღება ფინანსური ანალიზის შედეგად. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ ხდება პოტენციური მსესხებლის არა მარტო ეკონომიკური, არამედ სოციალური ანალიზიც, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია. საკრედიტო ოფიცერი ფინანსური ანალიზის საფუძველზე აკეთებს დასკვნას დასაკრედიტებელი ბიზნესის მიერ კრედიტისა და დარიცხული პროცენტების დაფარვის შესაძლებლობაზე, ხოლო სოციალური ანალიზის საფუძველზე – მის სურვილზე, დააბრუნოს კრედიტი.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც უნდა ახსოვდეს საკრედიტო ოფიცერს, არის ის, რომ კრედიტს, ერთი მხრივ, შეუძლია დადებითი გავლენა მოახდინოს მსესხებლის წარმატებით განვითარებაზე, მეორე მხრივ – უარყოფითი, ზოგჯერ დამღუპველიც, თუკი არასაკმარისი ანალიზის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით აღებული კრედიტი წარიმართება არარენტაბელური პროექტის დასაფინანსებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16.3. მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასების მეთოდები

თანამედროვე ეტაპზე ბანკებში არ არსებობს პოტენციური მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასების ერთიანი და უნივერსალური მეთოდიკა, ვინაიდან შეუძლებელია გათვალისწინებულ იქნეს ყველა მსესხებლის მრავალრიცხოვანი სპეციფიკური თავისებურება. აქედან გამომდინარე, კომერციული ბანკები იყენებენ პოტენციური მსესხებლების კრედიტუნარიანობის შეფასების სხვადასხვა მეთოდს. ასეთი მრავალფეროვნების მიზეზებია:

- განსხვავებული ნდობის ხარისხი მრავალრიცხოვანი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებისადმი. თუკი რაოდენობრივი მაჩვენებლები ექვემდებარებიან გაზომვას, ხარისხობრივი მაჩვენებლების შემთხვევაში – ბევრია პირობითობა და დაშვებები;
- ინდივიდუალური საკრედიტო კულტურისა და კრედიტუნარიანობის შეფასების ისტორიულად ჩამოყალიბებული პრაქტიკა კონკრეტული ბანკისათვის, გამომდინარე მათი მმართველობითი სტრუქტურიდან და საკრედიტო პოლიტიკადან.

ამ საკითხს ისიც ართულებს, რომ ბევრი კომერციული ბანკი ახდენს თავისი საკრედიტო მიმართულებების სეგმენტაციას – კორპორაციული, საშუალო, მცირე ბიზნესისა და სამომხმარებლო (ფიზიკური პირების) დაკრედიტებას. ბუნებრივია, ამ ბიზნესიმართულებების კრედიტუნარიანობის შეფასების მეთოდებიც განსხვავებულია.

აქედან გამომდინარე, თითოეული კომერციული ბანკი ქმნის პოტენციური მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასების საკუთარ სისტემებს, რომლებიც პასუხობენ, ერთი მხრივ, საკუთრივ ამ ბანკის საკრედიტო პოლიტიკას და, მეორე მხრივ, საბანკო ბაზარზე არსებულ ტენდენციებსა და მიმდინარე პროცესებს. ლოგიკურია, რომ კომერციული ბანკის მსესხებლების კრედიტუნარიანობის შეფასების სისტემები იშვიათად, მაგრამ მაინც განიცდიან მუდმივ სრულყოფას. ყოველივე ეს გამომდინარეობს კომერციული ბანკის ორი პრიორიტეტული მიზნიდან: მოიპოვოს კონკურენტული უპირატესობა ბაზარზე და საქმე დაიჭიროს საიმედო მსესხებლებთან.

აღნიშნული გარემოებები უფრო მეტ აქტუალობას იძენს კრიზისულ და რეცესიის პირობებში, როცა ბევრი სამეურნეო სუბიექტი უკვე ვეღარ პასუხობს კომერციული ბანკების მიერ დაწესებულ კრედიტუნარიანობის პრინციპებს. ასეთ პირობებში საბანკო საქმიანობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ხდება ნებისმიერი ბანკის პირველი რიგის ამოცანა. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ კომერციული ბანკების არასწორი საკრედიტო პოლიტიკა, მსესხებელთა კრედიტუნარიანობის არაადეკვატური შეფასება, ანუ საკრედიტო რისკების დონის ზრდა, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს მენეჯმენტის არაკომპეტენტურობით ან ჭარბი მოგების მიღების სურვილით, ხდება სერიოზული პრობლემებისა და ზოგჯერ ბანკის გაკოტრების მიზეზი.

ზოგადად, შეიძლება ჩამოყალიბდეს კომერციული ბანკების მხრიდან პოტენციური მსესხებლების კრედიტუნარიანობის შეფასების მეთოდები. ამ მეთოდებიდან ყოველი ბანკი შეიძლება იყენებდეს სხვადასხვა კომბინაციას თავისი საკრედიტო პოლიტიკიდან და ბიზნესიმართულებების (კორპორაციული, საშუალო, მცირე ბიზნესებისა და ფიზიკური პირების დაკრედიტება) ანალიზის სპეციფიკიდან გამომდინარე. აღნიშნული მეთოდებია:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1) კლიენტის შესახებ ინფორმაციის შეგროვება;
2) ფინანსური მდგომარეობის შეფასება;
3) ფულადი ნაკადების ანალიზი;
4) საქმიანი რისკის შეფასება;
5) რეიტინგული შეფასების სისტემა.

შემდეგ პარაგრაფებში იურიდიული და ფიზიკური პირების კრედიტუნარიანობის შეფასების საკითხების შესწავლისას მოვახდენთ ამ მეთოდების უფრო ფართო განხილვას.

16.4. იურიდიული პირის კრედიტუნარიანობის შეფასება

იურიდიული პირის კრედიტუნარიანობის შეფასება არის ბევრად უფრო რთული პროცესი, ვიდრე ეს შეიძლება იყოს ფიზიკური პირის შემთხვევაში. აღნიშნულ ფაქტს კიდევ უფრო ართულებს იურიდიული პირების სხვადასხვა მასშტაბი – კომერციული ბანკები აკრედიტებენ როგორც მსხვილ კორპორაციებს, ისე საშუალო და მცირე ზომის ბიზნესებს. აქედან გამომდინარე, როგორც წესი, კომერციული ბანკების სტრუქტურაში არსებობს რამდენიმე საკრედიტო მიმართულება თავისი სპეციფიკური თავისებურებებით (კორპორაციული, საშუალო და მცირე ბიზნესის დაკრედიტება). ეს თავისებურებები გამოიხატება კრედიტუნარიანობის შეფასების მეთოდების სპეციფიკურობით. თუმცა, ამ პარაგრაფში ჩამოყალიბდება ზოგადად იურიდიული პირების კრედიტუნარიანობის შეფასების სისტემა.

უცხოურ და ქართულ საბანკო პრაქტიკაში იურიდიული პირების კრედიტუნარიანობის შეფასება ეფუძნება მონაცემთა მთელ კომპლექსს:

1) კლიენტის შესახებ ინფორმაციის შეგროვება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომერციული ბანკი უნდა დარწმუნდეს – გარდა იმისა, რომ მსესხებელს აქვს კრედიტისა და დარიცხული პროცენტების დაბრუნების ფინანსური შესაძლებლობა, მან უნდა მოინდომოს ეს. გარკვეულ შემთხვევებში ამის შეფასება უფრო რთული შეიძლება აღმოჩნდეს, ვიდრე მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის ანალიზი, ვინაიდან საქმე ეხება მსესხებლის (მისი მენეჯმენტი და მესაკუთრეები) პირად თვისებებს, მორალურ სახესა და რეპუტაციას. ამისათვის კომერციულმა ბანკმა შეიძლება გამოიყენოს ინფორმაციის სხვადასხვა წყარო:

- გარე წყაროები;
- შიდა წყაროები (ბანკის არქივი);
- მოლაპარაკებები პოტენციურ მსესხებელთან;
- ვიზიტები პოტენციურ მსესხებელთან (კლიენტის სამუშაო ადგილის დათვალიერება და შეფასება).

ინფორმაციის გარე წყაროებიდან მიღების ხარისხი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული კონკრეტულ ქვეყანაში საკრედიტო ინფორმაციის გაცვლის დონეზე. გარე წყაროებად გვევლინებიან სპეციალიზებული სახელმწიფო ორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განოები (საჯარო რეესტრი, სამეწარმეო რეესტრი, საგადასახადო სამსახური და ა.შ.), საკრედიტო ბიუროები, აუდიტორები, მომწოდებლები, კონკურენტი კომპანიები. გარდა ამისა, შეიძლება ინფორმაცია მოძიებულ იქნეს სხვადასხვა საძიებო და ანალიტიკურ ანგარიშგებაში. ამ მხრივ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროების მეშვეობით გავრცელებული ინფორმაცია, რომლის პრაქტიკა საქართველში უკვე არსებობს.

პოტენციური მსესხებლის შესახებ ინფორმაციის შეგროვება ხდება რამდენიმე მიმართულებით და მოიცავს როგორც დადებითი, ისე ნეგატიური მხარეების გამოვლენას:

- უშუალოდ იურიდიული პირისა და მისი კავშირების შესახებ;
- იურიდიული პირის დამფუძნებლებისა და მენეჯმენტის შესახებ.

ამ პროცესში, საკრედიტო ოფიცრების გარდა, ჩართულია ბანკის იურიდიული და უსაფრთხოების სამსახურები და, როგორც წესი, ინფორმაცია მოიცავს მსესხებლის საკრედიტო ისტორიას, მონაცემებს მოვალეთა რეესტრიდან, მონაცემებს რეორგანიზების, გაკოტრების ან ლიკვიდაციის შესახებ და ა.შ.

2) ფინანსური მდგომარეობის შეფასება.

პოტენციური მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის შეფასება მთავარი კრიტერიუმია, რომელიც გავლენას ახდენს მისი კრედიტუნარიანობის შესახებ საბოლოო დასკვნაზე. ფინანსური მდგომარეობის შეფასება ეფუძნება სხვადასხვა ფინანსური კოეფიციენტის ანალიზს. კერძოდ:

I. ლიკვიდობის კოეფიციენტები;
II. აქტივების ეფექტიანად გამოყენების კოეფიციენტები;
III. ფინანსური დამოუკიდებლობის (ლევერიჯის) კოეფიციენტები;
IV. ვალების მომსახურების კოეფიციენტები;
V. მომგებიანობის (რენტაბელობის) კოეფიციენტები;

განვიხილოთ თითოეული კოეფიციენტის ჯგუფი ცალ-ცალკე.

I. ლიკვიდობის კოეფიციენტები. ზოგადად, იურიდიული პირის ლიკვიდობა – ესაა მისი უნარი, დროულად დაფაროს სავალო ვალდებულებები. კომპანიის ლიკვიდობა ხასიათდება მისი ბალანსის აქტივებისა და სავალო ვალდებულებების შესაბამისობით. ლიკვიდობის რამდენიმე კოეფიციენტი არსებობს, თუმცა, მათ შორის აღსანიშნავია სამი:

მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი ($K_{მლ}$) გვიჩვენებს პოტენციური მსესხებლის უნარს, გაისტუმროს საკუთარი მოკლევადიანი მიმდინარე ვალდებულებები თავის ხელთ არსებული მიმდინარე აქტივებით.

სწრაფი (მყისიერი) ლიკვიდობის კოეფიციენტი ($K_{სლ}$) გვიჩვენებს პოტენციური მსესხებლის უნარს, გაისტუმროს მოკლევადიანი მიმდინარე ვალდებულებები თავის ხელთ არსებული მაღალლიკვიდური და საშუალოლიკვიდური აქტივებით, ანუ აქ ჩართული არაა მატერიალურ-სასაქონლო მარაგები.

აბსოლუტური ლიკვიდობის კოეფიციენტი ($K_{ალ}$) წარმოადგენს ყველაზე მკაცრ მაჩვენებელს, რომელიც წარმოაჩენს პოტენციური მსესხებლის უნარს, გაისტუმროს მოკლევადიანი მიმდინარე ვალდებულებები თავის ხელთ არსებული მაღალლიკვიდური აქტივებით, ანუ ბანკის ვალდებულებების რა მოცულობა შეიძლება დაიფაროს მოთხოვნისთანავე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

$$K_{მლ} = \frac{ფს + სრფქ + დდ + სმ}{მმვ} \quad (16.1)$$

$$K_{სლ} = \frac{ფს + სრფქ + დდ}{მმვ} \quad (16.2)$$

$$K_{ალ} = \frac{ფს}{მმვ} \quad (16.3)$$

სადაც:
ფს – ფულადი სახსრებია;
სრფქ – სწრაფად რეალიზებადი ფასიანი ქაღალდებია;
დდ – დებიტორული დავალიანებაა;
სმ – საწარმოო მარაგებია;
მმვ – მოკლევადიანი მიმდინარე ვალდებულებებია.

ბანკი აწესებს სარეკომენდაციო ქვედა დონეებს თითოეული მაჩვენებლისათვის (მაგალითად, $K_{მლ}$ – 1,5, $K_{სლ}$ – 0,5, $K_{ალ}$ – 0,15).

II. აქტივების ეფექტიანად გამოყენების კოეფიციენტები. აღნიშნულ კოეფიციენთა ჯგუფს ხშირად ბრუნვადობის კოეფიციენტებსაც უწოდებენ და გვიჩვენებს, თუ რამდენად ეფექტიანად იყენებს კომპანია თავის აქტივებს. კოეფიციენტების ეს ჯგუფი გარკვეულწილად ავსებს ლიკვიდობის კოეფიციენტებს. მაგალითად, თუკი მსესხებლის ლიკვიდობა შედარებით მაღალია დებიტორული დავალიანებისა და მარაგების ზრდის ხარჯზე, შესაბამისად, დაბალი იქნება აქტივების ეფექტიანად გამოყენების (ბრუნვადობის) კოეფიციენტები. ამ კოეფიციენტებს შორის ყველაზე გავრცელებულია:

მარაგების ბრუნვადობის კოეფიციენტი ($K_{მბ}$), რომელიც გვიჩვენებს, გარკვეულ პერიოდში (მაგალითად, თვის განმავლობაში) რამდენჯერ განხორციელდა სასაქონლო-მატერიალური მარაგების ბრუნვა.

დებიტორული დავალიანების ბრუნვადობის კოეფიციენტი ($K_{დდბ}$), რომელიც გვიჩვენებს დებიტორული დავალიანების ბრუნვადობის ხანგრძლივობას. ცხადია, დებიტორული დავალიანების ნელი ბრუნვა უარყოფითად მოქმედებს იურიდიული პირის მოკლევადიან ლიკვიდობაზე.

აქტივების ბრუნვადობის კოეფიციენტი ($K_{აბ}$), რომელიც გვიჩვენებს, გარკვეულ პერიოდში (მაგალითად, თვეში) რამდენჯერ განხორციელდა აქტივების ბრუნვა.

$$K_{მბ} = \frac{\text{რსთ პერიოდში}}{\text{სმმ (საშუალო პერიოდში)}} \quad (16.4)$$

$$K_{დდბ} = \frac{\text{რსა პერიოდში}}{\text{დდ (საშუალო პერიოდში)}} \quad (16.5)$$

$$K_{აბ} = \frac{\text{რსა პერიოდში}}{\text{ა (საშუალო პერიოდში)}} \quad (16.6)$$

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც:
რსთ – რეალიზებული საქონლის თვითღირებულებაა;
სმმ – სასაქონლო-მატერიალური მარაგებია;
რსა – რეალიზებული საქონლის ამონაგებია;
დდ – დებიტორული დავალიანებაა;
ა – აქტივებია.

ამ შემთხვევაშიც ბანკი აწესებს სარეკომენდაციო დონეებს თითოეული მაჩვენებლისათვის. ამასთან, აქტივების ეფექტიანად გამოყენების კოეფიციენტების გაანალიზება ხდება დინამიკაში, ანუ ერთმანეთს უდარდება სხვადასხვა პერიოდის მაჩვენებელი.

III. ფინანსური დამოუკიდებლობის (ლევერიჯის) კოეფიციენტები. ფინანსური ლევერიჯი – ესაა კომპანიის მოგების გაზრდის შესაძლებლობა მისი გრძელვადიანი პასივების მოცულობისა და სტრუქტურის ცვლილების გზით. ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტები გვიჩვენებენ პოტენციური მსესხებლის საკუთარი კაპიტალით უზრუნველყოფის დონეს, ანუ საკუთარი კაპიტალის მოცულობასა და მოზიდულ რესურსებზე დამოკიდებულების ხარისხს. ლიკვიდობის კოეფიციეტებისაგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში გაითვალისწინება ყველა სავალო ვალდებულება.

ამ კოეფიციენტების დიაპაზონი მეტად მრავალფეროვანია, აღვნიშნოთ ზოგიერთი მათგანი:

ვალდებულებების აქტივებთან შეფარდების კოეფიციენტი ($K_{ვა}$) გვიჩვენებს ყველა სავალო ვალდებულების აქტივებთან შესაბამისობის ხარისხს.

ვალდებულებების კაპიტალთან შეფარდების კოეფიციენტი ($K_{ვკ}$) გვიჩვენებს ყველა სავალო ვალდებულების საკუთარ კაპიტალთან შესაბამისობის ხარისხს.

კაპიტალის აქტივებთან შეფარდების კოეფიციენტი ($K_{კა}$) გვიჩვენებს საკუთარი კაპიტალის აქტივებთან შესაბამისობის ხარისხს.

$$K_{ვა} = \frac{სვ}{ა} \qquad (16.7)$$

$$K_{ვკ} = \frac{სვ}{სკ} \qquad (16.8)$$

$$K_{კა} = \frac{სკ}{ა} \qquad (16.9)$$

სადაც:
სვ – ყველა სავალო ვალდებულების ჯამია;
ა – აქტივებია;
სკ – საკუთარი კაპიტალია.

რაც უფრო მაღალია იურიდიული პირის ფინანსური ლევერიჯის მაჩვენებელი, მით მეტია დამოკიდებულება მოზიდულ სახსრებზე, შესაბამისად, მეტ ხარჯს გასწევს კომპანია ვალების მომსახურებისათვის. ყოველივე ეს კი მე-

ეროვნული ბანკი

ტყველებს იურიდიული პირის ფინანსური მდგრადობის დაბალ ხარისხზე, ანუ მის დაბალ კრედიტუნარიანობაზე. თუმცა, აქაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ მაჩვენებლების დინამიკას, ანუ დროში ცვლილებას, რომელიც შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი.

IV. ვალების მომსახურების კოეფიციენტები. ეს კოეფიციენტები გვიჩვენებს, ფიქსირებული გადახდების (მათ შორის, გადახდილი პროცენტების) მოცულობა რამდენად ამცირებს კომპანიის მოგებას:

ფიქსირებული გადახდების დაფარვის კოეფიციენტი ($K_{ფგდ}$) გვიჩვენებს კომპანიის მიერ ფიქსირებული გადახდების შესაბისობას კომპანიის წმინდა მოგებასთან.

პროცენტების გადახდების დაფარვის კოეფიციენტი ($K_{პგდ}$) გვიჩვენებს კომპანიის მიერ გადახდილი პროცენტების გადახდების შესაბისობას კომპანიის წმინდა მოგებასთან.

$$K_{ფგდ} = \frac{ფგ}{წმ} \qquad (16.10)$$

$$K_{პგდ} = \frac{პგ}{წმ} \qquad (16.11)$$

სადაც:
ფგ – ფიქსირებული გადახდებია;
პგ – პროცენტების გადახდებია;
წმ – წმინდა მოგებაა.

V. მომგებიანობის (რენტაბელობის) კოეფიციენტები. აღნიშნულ ჯგუფში შედის მოგების ნორმის კოეფიციენტები, რენტაბელობის კოეფიციენტები და ერთ აქციაზე მოგების ნორმის კოეფიციენტები. ისინი გვიჩვენებენ კომპანიის ხელთ არსებული რესურსების ეფექტიანად გამოყენებას. ასეთი ტიპის კოეფიციენტი ბევრია, ჩამოვთვალოთ რამდენიმე მათგანი:

გამოშვებული პროდუქციის რენტაბელობის კოეფიციენტი ($K_{გპრ}$) გვიჩვენებს კომპანიის მიერ გამოშვებული პროდუქციის (ან მისი რომელიმე სახეობის) რენტაბელობას.

აქტივების რენტაბელობის კოეფიციენტი ($K_{გპრ}$) გვიჩვენებს კომპანიის მიერ აქტივების გამოყენების რენტაბელობას, ანუ რამდენი მოგება მოაქვს ერთი ლარის აქტივს პერიოდის განმავლობაში.

კაპიტალის რენტაბელობის კოეფიციენტი ($K_{გპრ}$) გვიჩვენებს კომპანიის მიერ საკუთარი კაპიტალის გამოყენების რენტაბელობას, ანუ რამდენი მოგება მოაქვს ერთი ლარის კაპიტალს პერიოდის განმავლობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

$$K_{\text{გპრ}} = \frac{\text{მრ}}{\text{არ}} \qquad (16.12)$$

$$K_{\text{არ}} = \frac{\text{წმ}}{\text{სა}} \qquad (16.13)$$

$$K_{\text{კრ}} = \frac{\text{წმ}}{\text{სკ}} \qquad (16.14)$$

სადაც:
მრ – მოგებაა რეალიზაციიდან;
არ – ამონაგებია რეალიზაციიდან;
წმ – წმინდა მოგებაა;
სა – საშუალო აქტივებია;
სკ – საშუალო კაპიტალია.

3) ფულადი ნაკადების ანალიზი (*Cash Flow*).

ფულადი სახსრების მოძრაობის ანალიზი არის იურიდიული პირის ფინანსური ანალიზის უმნიშვნელოვანესი ელემენტი, რომელიც საშუალებას გვაძლევს, განვსაზღვროთ მისი კრედიტუნარიანობა ბიზნესის ლიკვიდობის თვალსაზრისით. ბანკის მხრიდან კომპანიის ფულადი ნაკადების ანალიზი და შემდეგ მისი პროგნოზირების მთავარი შედეგია, დადგინდეს ფულადი სახსრების არსებობა გარკვეულ პერიოდებში. ***Cash Flow***-ს შედგენისას მხედველობაში მიიღება მხოლოდ რეალური ნაღდი და უნაღდო ფულის შემოსვლა და გასვლა (ანუ აქ არ შედის დარიცხული შემოსავლები და ხარჯები).

ფულადი ნაკადი არის იმ ფულადი სახსრების მოცულობა, რომელსაც იღებს და გასცემა (იხდის) კომპანია საანგარიშსწორებო და გეგმურ პერიოდში. ფულადი ნაკადების ანალიზი ნიშნავს კომპანიის შემოსულობებისა და გასავლების შედარებას. შემოსულობებისა და გასავლების ელემენტები მოცემულია ცხრილში №16.1.

ცხრ. №16.1. ფულადი ნაკადების ანალიზი (Cash Flow)

№	შემოსულობები (+)	№	გასავლები (-)
1	შემოსულობები რეალიზაციიდან	8	დაბანდებები საბრუნავ საშუალებებში
2	სხვა შემოსავლები ბიზნესიდან	9	დაბანდებები ძირითად საშუალებებში
3	დებიტორული დავალიანების შემცირება	10	კრედიტორული დავალიანების შემცირება
4	კრედიტორული დავალიანების ზრდა	11	პროცენტებისა და დივიდენდების გადახდა
5	კრედიტის აღება	12	გადასახადებისა და ჯარიმების გადახდა
6	სააქციო კაპიტალის ზრდა	13	კრედიტების დაფარვა
7	სხვა შემოსულობები	14	სხვა საწარმოო ხარჯები
		15	სხვა გასავლები
	სულ შემოსულობები		**სულ გასავლები**

ფულადი ნაკადების ანალიზი ხდება შემდეგი გზით: ნაშთი პერიოდის დასაწყისში + შემოსულობები პერიოდში – გასავლები პეროდში = ნაშთი პერიოდის ბოლოს. როგორც წესი, ბანკის მიერ ანალიზისათვის აიღება მინიმუმ წინა სამი თვის მონაცემები, ასევე კონკრეტული პროექტის ბიზნესგეგმით გათვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისწინებული მომავალი პერიოდების საპროგნოზო მაჩვენებლები.

პოტენციური მსესხებლის ფულადი ნაკადების ანალიზი კომერციულ ბანკს საშუალებას აძლევს, შეექმნას წარმოდგენა შემდეგი მიმართულებებით:

- რამდენად კრედიტუნარიანია (ფინანსურად მდგრადია) კომპანია;
- რომელი სუსტი წერტილებია კომპანიის ეფექტიან მენეჯმენტში (მარაგების, დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების, გადახდებისა და სხვათა მართვაში).

ფულადი ნაკადების გასული პერიოდის შედეგების მიხედვით ანალიზის შემდეგ ბანკი ახდენს საპროგნოზო ფულადი ნაკადების მაჩვენებლების გამოყვანას წარმოდგენილი ბიზნესპროექტისა და გასაცემი კრედიტის გავლენების გათვალისწინებით.

4) საქმიანი რისკის შეფასება

საქმიანი რისკი – ესაა რისკი, რომელიც დაკავშირებულია ფონდების წრებრუნვის (საქმიანი ციკლის) დაგვიანებით ან მოსალოდნელზე ცუდი შედეგებით დასრულებასთან. საქმიანი ციკლი სამი სტადიისაგან შედგება: მომარაგება და დასაწყობება, წარმოება და რეალიზაცია. თითოეული მათგანი რამდენიმე ფაქტორს მოიცავს:

I სტადია — მომარაგება და დასაწყობება:

- მომწოდებლების რაოდენობა (დივერსიფიკაცია);
- მომწოდებლების საიმედოობა;
- მოწოდების სეზონურობა;
- ტრასპორტირების ხანგრძლივობა;
- ტრანსპორტირების სახეობის შესაბამისობა ტვირთის მახასიათებლებთან;
- სასაწყობო მეურნეობის სიმძლავრე;
- მასალებისა და ნედლეულის შენახვის ვადები;
- სავალუტო რისკის ფაქტორები;
- ფასების დონე და მისი მერყეობის რისკი.

II სტადია — წარმოება:

- საწარმოო ნაგებობების მდგომარეობა;
- საწარმოო მოწყობილობების სიმძლავრეები;
- საწარმოო მოწყობილობების ასაკი;
- სამუშაო ძალის არსებობა და მისი კვალიფიკაცია;
- მოწყობილობების დატვირთვა.

III სტადია — რეალიზაცია:

- მყიდველების რაოდენობა (დივერსიფიკაცია);
- მყიდველების გადამხდელუნარიანობა;
- გაყიდვების სეზონურობა;
- დისტრიბუციის ქსელი;
- კონკურენციის დონე;
- მზა პროდუქციის შენახვის ვადები;
- სავალუტო რისკის ფაქტორები;
- სარეალიზაციო ფასების დონე და მისი მერყეობის რისკი.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ რისკები მესამე, რეალიზაციის ეტაპზე უფრო მაღალია, ვიდრე პირველ და მეორე ეტაპებზე.

5) რეიტინგული შეფასების სისტემა.

პოტენციური მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასების რეიტინგული მეთოდის არსი ისაა, რომ გარკვეული მაჩვენებლების განზოგადებით შეიძლება შეიქმნას ერთიან მაჩვენებელთა სისტემა – ტიპური მსესხებლის რეიტინგი. მისი გამოყენება შეიძლება როგორც თითოეული ზემოთ განხილული მეთოდის შემთხვევაში (კლიენტის შესახებ ინფორმაციის, ლიკვიდობის, აქტივების ბრუნვადობის, ფინანსური დამოუკიდებლობის, ვალების მომსახურების, რენტაბელობის, ფულადი ნაკადების, საქმიანი რისკის) დამოუკიდებლად, ისე ყველა მათგანის ან მათი ნებისმიერი კომბინაციის განზოგადებით ერთიანი რეიტინგის მისაღებად. ცხრილში №16.2 მოცემულია ტიპური სქემა ასეთი რეიტინგული სისტემის შესაქმნელად.

ცხრ. №16.2. იურიდიული პირის კრედიტუნარიანობის შეფასების რეიტინგული სისტემის გაანგარიშების ტიპური მაგალითი

მაჩვენებლები	1 დონე	2 დონე	3 დონე	4 დონე	5 დონე
მაჩვენებელი 1	>2.0 = 100	>1.8 <2.0 = 80	>1.5 <1.8 = 60	>1.2 <1.5 = 40	<1.2 = 20
მაჩვენებელი 2	>10.0 = 50	>8.0 <10.0 = 40	>6.0 <8.0 = 30	>4.0 <6.0 = 20	<4.0 = 10
მაჩვენებელი 3	<10.0 = 70	>10.0 <20.0 = 60	>20.0 <30.0 = 40	>30.0 <40.0 = 20	>40.0 = 30
მაჩვენებელი 4	>1.0 = 80	>0.7 <1.0 = 60	>0.4 <0.7 = 40	>0.1 <0.4 = 20	<0.1 = 0
მაჩვენებელი 5	>10 = 25	>7 <10 = 20	>4 <7 = 15	>2 <4 = 10	<2 = 5
და ა. შ.					

„მაჩვენებლები“ – ესაა ლიკვიდობის, აქტივების ბრუნვადობის, რენტაბელობის, ფულადი ნაკადების და ა.შ. ნებისმიერი ხარისხობრივი თუ რაოდენობრივი კოეფიციენტი და ფაქტორი, რომლებიც ამ პარაგრაფში გავიარეთ. თითოეული მაჩვენებელი გარკვეული კრიტერიუმის გათვალისწინებით დაყოფილია ზღვრებად, რომლებიც ფასდება განსხვავებული ქულებით. ჩვენს შემთხვევაში ამ ზღვრების რაოდენობა 5-ია და მათ შეიძლება ვუწოდოთ „დონეები“. აუცილებელია, თითოეული მაჩვენებლის დონის შეფასების ქულები განსხვავებული იყოს გამომდინარე მათი პრიორიტეტულობიდან. მაგალითად, ლიკვიდობა და მომწოდებლების რაოდენობა სხვადასხვა ქულით უნდა ფასდებოდეს. თუმცა, შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა მიდგომაც – ქულები ყველა მაჩვენებლის თითოეული დონის მიხედვით ერთნაირი იქნება, მაგრამ თითოეულ მაჩვენებელს მიენიჭება გარკვეული კოეფიცინეტი მისი პრიორიტეტიდან გამომდინარე.

ცხადია, როგორც მაჩვენებლების ჩამონათვალი, ისე ზღვრები და მათი კრიტერიუმები, შეიძლება განსხვავებული იყოს ბიზნესმიმართულებებისა (კორპორაციული, საშუალო და მცირე) და დარგების ჯგუფების (წარმოების სფერო, ვაჭრობის სფერო, მომსახურების სფერო და სხვ.) მიხედვით. ეს დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე – კონკრეტული კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკაზე, ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე და სხვ. შესაბამისად, ბანკს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა რეიტინგული სისტემა ბიზნესიმართულებისა და დარგის ჯგუფის მიხედვით.

გავაგრძელოთ მაგალითის განხილვა: ყოველივე ამის შემდეგ საბოლოო ქულების შეჯამებით მიიღება მსესხებლისათვის გარკვეული კატეგორიის მინიჭების სისტემა, მაგალითად:

- 500 ქულაზე მეტი – პირველი კლასის მსესხებელი;
- 450-500 ქულა – კარგი მსესხებელი;
- 350-450 ქულა – დამაკმაყოფილებელი მსესხებელი;
- 250-350 ქულა – გარკვეული პრობლემების მქონე მსესხებელი;
- 250 ქულაზე ნაკლები – არ ფინანსდება.

რა თქმა უნდა, აქ მოყვანილი ქულები როგორც დონეების, ისე საბოლოო რეიტინგის მიხედვით, პირობითია და დამოკიდებულია კონკრეტული კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკასა და გაანგარიშების მეთოდიკაზე.

ასეთი სისტემის თვალსაჩინო მაგალითია სკორინგის მეთოდი, რომელიც უფრო ფართოდ გამოიყენება ფიზიკური პირების კრედიტუნარიანობის შეფასებისას და შემდეგ პარაგრაფში განვიხილავთ.

16.5. ფიზიკური პირის კრედიტუნარიანობის შეფასება

ფიზიკური პირის კრედიტუნარიანობის შესწავლის პროცესი იურიდიული პირის კრედიტუნარიანობის შეფასების გამარტივებული მოდელია, ანუ ამ შემთხვევაშიც ადგილი აქვს საკრედიტო განაცხადის შევსებას პოტენციური მსესხებლის მიერ, შეხვედრას (ან შეხვედრებს) საკრედიტო ოფიცერთან, ბანკის მიერ პროექტის შესწავლას, აუცილებლობის შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენას და ა.შ.

მარტივად თუ ჩამოვაყალიბებთ, ფიზიკური პირის კრედიტუნარიანობის შეფასება, ძირითადად, ემყარება მისი წმინდა შემოსავლების (შემოსავლები ხარჯების გამოკლებით) და მოთხოვნილი კრედიტის ერთმანეთთან შედარებას, ფინანსური მდგომარეობის ზოგად შეფასებას, ქონების ღირებულებასა და საკრედიტო ისტორიას. შეიძლება გამოვყოთ ფიზიკური პირის კრედიტუნარიანობის შეფასების სამი ძირითადი მეთოდი: კომპლექსური ანალიზი, საკრედიტო ისტორიის შესწავლა და შეფასების რეიტინგული სისტემები. განვიხილოთ აღნიშნული მეთოდები.

1) ფიზიკური პირის კრედიტუნარიანობის განსაზღვრის კომპლექსური მეთოდი.

ეს მეთოდი ყველაზე ახლოსაა წინა პარაგრაფში განხილული იურიდიული პირის კრედიტუნარიანობის შეფასების სისტემასთან, ვინაიდან ამ დროს ხდება მაჩვენებელთა კომპლექსის შესწავლა და ანალიზი, რომლებიც განაპირობებენ ფიზიკური პირისათვის კრედიტის გაცემის გადაწყვეტილებას. ეს მაჩვენებლებია:

- ინფორმაცია ფიზიკური პირის შესახებ;
- ფიზიკური პირის ფინანსური შესაძლებლობები;
- ფიზიკური პირის ქონების შეფასება;
- კრედიტის უზრუნველყოფა;
- დაკრედიტების პირობები.

ეს თითოეული მაჩვენებელი შეიძლება შედგებოდეს სხვადასხვა ფაქტორისა და კოეფიციენტისაგან. ცხადია, როგორც მაჩვენებლების ჩამონათვალი, ისე ფაქტორებიცა და კოეფიციენტებიც, დამოკიდებულია კონკრეტული კომერციული ბანკის სტრატეგიასა და საკრედიტო პოლიტიკაზე, ასევე ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

ამ მეთოდის ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს მისი არაოპერატიულობა. როგორც წესი, მას იყენებენ შედარებით მსხვილი კრედიტების გაცემისას. ეს მეთოდი ასევე გამოიყენება საბანკო ბაზრის ახალი მოთამაშეების მიერ.

სამომხმარებლო დაკრედიტების ბაზარზე არსებული მძაფრი კონკურენცია აიძულებს ბანკებს, ეძებონ უფრო მოქნილი და ოპერატიული მეთოდები კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად. ასეთი მცდელობების კარგი მაგალითებია შემდეგი ორი მეთოდი.

2) ფიზიკური პირის კრედიტუნარიანობის შეფასება საკრედიტო ისტორიის შესწავლით.

ფიზიკური პირის კრედიტუნარიანობის აღნიშნული მეთოდი განსაკუთრებით გავრცელებულია აშშ-ში. ბანკი პოტენციური მსესხებლის პირადი მონაცემების საფუძველზე მოიპოვებს ინფორმაციას ბანკებიდან, საკრედიტო ბარათების ემიტენტებიდან, იპოთეკური კომპანიებიდან, საკრედიტო ბიუროებიდან გადახდებისა და დაფარვების შესახებ, რითაც იქმნება მისი საკრედიტო ისტორია. თუმცა, საკრედიტო ისტორიის გარდა, კომერციული ბანკის გადაწყვეტილებაზე გავლენას ახდენს დამატებითი ინფორმაცია – ფიზიკური პირის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობა (შემოსავლებისა და ვალების დონე), ბოლო სამუშაო ადგილზე მუშაობის სტაჟი, ბოლო მისამართზე ცხოვრების ხანგრძლივობა და კაპიტალი (უძრავ-მოძრავი ქონება).

აღნიშნული მეთოდის არსებობასა და პოპულარობას ხელს უწყობს კონკრეტულ ქვეყანაში საკრედიტო ინფორმაციის გაცვლის დონე (ხარისხი). აშშ-ში, მაგალითად, 2000-ზე მეტი საკრედიტო ბიურო ფუნქციონირებს, რომლებიც ფლობენ ინფორმაციას ფიზიკურ პირთა უმრავლესობაზე, რომელთაც ოდესღაც აუღიათ კრედიტი, ამ კრედიტის დაფარვის ისტორიასა და ამ მსესხებლის საკრედიტო რეიტინგზე.

3) ფიზიკური პირის კრედიტუნარიანობის განსაზღვრის რეიტინგული სისტემები.

ფიზიკური პირის კრედიტუნარიანობის შეფასების უცხოურ საბანკო პრაქტიკაში ადაპტირებულია დ. დიურანის (1941), ე. ალტმანის (1968), დ. ფულმერისა (1984) და სხვა ავტორების სკორინგული მოდელები. თუმცა, ბანკების დიდი ნაწილი იყენებს ფიზიკური პირის კრედიტუნარიანობის შეფასების საკუთარ სკორინგულ სისტემებს. მათი ვარიაციები ბევრ რამეზეა დამოკიდებული, მათ შორის, კონკრეტული ბანკის საკრედიტო პოლიტიკაზე, დაკრედიტების პროგრამებზე (საკრედიტო პროდუქტები), კრედიტის მოცულობაზე და ა.შ. სკორინგი ძირითადად გამოიყენება ფიზიკური პირების კრედიტუნარიანობის შეფასებისას, განსაკუთრებით – სამომხმარებლო ან საბლანკო სესხების გაცემისას.

სკორინგი (***scoring***) – ესაა მათემატიკური ან სტატისტიკური მოდელი, რომლის საფუძველს წარმოადგენს კომერციული ბანკის ყველა არსებული მსესხებლის კლასიფიკაცია სხვადასხვა ნიშნით და მათი შეფასებით მიღებულ საბოლოო მაჩვენებელთან პოტენციური მსესხებლის ანალოგიური მაჩვენებ-

ეროვნული ბანკი

ლის შედარება. სხვა სიტყვებით, სკორინგი არის საკრედიტო რისკის შეფასების მეთოდიკა, რომელიც აანალიზებს პოტენციური მსესხებლის გარკვეულ მახასიათებელთა ჯგუფს, უდარებს მათ საშუალოსტატისტიკურ მაჩვენებელს და იძლევა პასუხს კითხვაზე, შეიძლება თუ არა, მივცეთ მას სესხი.

მოკლედ ჩამოვაყალიბოთ, როგორ იქმნება ბანკის სკორინგული მოდელი:

1) ხდება მსესხებლების დამახასიათებელი ძირითადი კრიტერიუმების, ფაქტორების („მახასიათებლები“) სიის შექმნა. უკეთესი ანალიზისათვის შეიძლება ისინი დაჯგუფდნენ რაიმე ნიშნებით;
2) ამ თითოეული მახასიათებლისათვის დგინდება რამდენიმე შესაძლო ვარიანტი (რა თქმა უნდა, მათი რაოდენობა ერთზე მეტი უნდა იყოს);
3) თითოეული მახასიათებლისათვის ხდება მაქსიმალური ქულის მინიჭება, მისი პრიორიტეტიდან გამომდინარე. „პრიორიტეტულობაში“ იგულისხმება ის, რომ შედარებით მნიშვნელოვან, სისტემაშემქმნელ მაჩვენებელს უფრო მაღალი ქულა აქვს;
4) თითოეული მახასიათებლისათვის მინიჭებული მაქსიმალური ქულიდან გამომდინარე ხდება ქულების მინიჭება თითოეული შესაძლო ვარიანტისათვის (0-დან 10 ქულამდე);
5) ამ მოდელის გავრცელებით ბანკში დაფარულ კრედიტებზე (ანუ სტატისტიკურ მონაცემებზე) დაყრდნობით, ხდება „კარგი“ და „ცუდი“ მსესხებლების გამიჯვნა გარკვეული „კრიტიკული ზღვრის“ ქულით (ჩვენს შემთხვევაში, მაგალითად, 40 ქულა);
6) ამის შემდეგ ახალი საკრედიტო განაცხადის „გატარებით“ სკორინგულ მოდელში 40 ქულაზე ნაკლები ქულის მოგროვება ავტომატურად უარს გულისხმობს.

რა თქმა უნდა, ბანკს სკორინგული სისტემის შექმნისათვის სჭირდება ერთიანი საინფორმაციო ბაზა კლიენტების შესახებ და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა.

ქვემოთ (ცხრ. №16.3.) მოცემულია ფიზიკური პირის კრედიტუნარიანობის შეფასების სკორინგული მოდელის გაანგარიშების ტიპური მაგალითი.

ტიპურ მაგალითში მახასიათებლები დაყოფილია ოთხ ჯგუფად – პირადი მახასიათებლები, პროფესიული მახასიათებლები, ბანკებთან ურთიერთობა და ქონებრივი მდგომარეობა. ცხადია, როგორც მაჩვენებელთა ჯგუფები, ასევე მაჩვენებლების ჩამონათვალი, მათი ქულებით გამოხატული პრიორიტეტულობა პირობითია და დამოკიდებულია ისეთ შიდა და გარე ფაქტორებზე, როგორებიცაა: კონკრეტული კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკა და სტრატეგია, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, საბანკო ბაზარზე არსებული სიტუაცია და კონკურენციის დონე და სხვ. ამასთან, ეს ყოველივე შეიძლება იცვლებოდეს გარე და შიდა ფაქტორების ცვლილებებთან ერთად.

პოტენციური მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასების აღნიშნული სისტემების უპირატესობაა დიდი მოცულობის საკრედიტო განაცხადების დამუშავება უმოკლეს დროში და მინიმალური დანახარჯებით. ამასთან, საკრედიტო განაცხადების დამუშავება შეუძლია ნაკლები კვალიფიკაციის თანამშრომელსაც, ვინაიდან გამოიყენება პროგრამული უზრუნველყოფა, რაც კიდევ უფრო ამცირებს საოპერაციო ხარჯებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრ. №16.3. ფიზიკური პირის კრედიტუნარიანობის შეფასების სკორინგული მოდელის გაანგარიშების ტიპური მაგალითი

მახასიათებლები	ვარიანტი	ქულა
I ჯგუფი — პირადი მახასიათებლები		
1. ასაკი	18-30 31-45 46-60	4 6 2
2. განათლება	უმაღლესი საშუალო სპეციალური საშუალო	6 4 2
3. საცხოვრებელი ადგილი	საკუთარი გირაო ქირა ცხოვრობს სხვასთან	10 8 6 4
4. ბოლო მისამართზე ცხოვრების ხანგრძლივობა	5 წელზე მეტი 2-5 წლამდე 1-2 წლამდე 1 წლამდე	5 4 3 2
II ჯგუფი — პროფესიული მახასიათებლები		
5. დასაქმება	დაქირავებული სახელმწიფო სამსახური საკუთარი საქმე	6 4 2
6. რამდენი წელია მუშაობს ამ სამსახურში	3 წელზე მეტი 1-3 წელი 1 წელზე ნაკლები	5 3 1
7. თანამდებობა	ტოპმენეჯერი მენეჯერი რიგითი	10 8 6
8. რამდენი წელია მუშაობს ამ თანამდებობაზე	3 წელზე მეტი 1-3 წელი 1 წელზე ნაკლები	6 4 2
III ჯგუფი — ბანკებთან ურთიერთობა		
9. კლიენტის სტატუსი	ბანკის თანამშრომელი კორპ. კლიენტის თანამშრ. კლიენტის თანამშრომელი არაკლიენტი	10 8 6 4
10. სადეპოზიტო ანგარიშის ფლობა	კი არა	5 0
11. საკრედიტო ისტორია	კარგი ისტორია არ არის ცუდი	6 3 0
IV ჯგუფი — ქონებრივი მდგომარეობა		
12. საცხოვრებელი	საკუთარი ბინა და აგარაკი საკუთარი ბინა არა	10 5 0
13. ავტომანქანა	კი არა	5 0
14. დაზღვევის პოლისი	მთელი ოჯახისათვის საკუთარ თავზე არა	10 8 0

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკორინგის საშუალებით შესაძლებელი ხდება იმ მახასიათებლების გამოვლენა, რომლებიც განსაკუთრებით მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი მსესხებლის საიმედოობასთან. ესაა სკორინგის დისკრიმინაციული ხასიათი – ადამიანი, რომელიც ფორმალური ნიშან-თვისებებით მოხვდება „ცუდი“ მსესხებლების ჯგუფში, კრედიტს ვერ მიიღებს. სხვა ნაკლოვანებებიდან შეიძლება დავახასიათოთ ის, რომ სისტემა საჭიროებს მუდმივ სრულყოფასა და განახლებას. ხშირი ცვლილებები ზრდის შეცდომების რისკს თვითონ სისტემაში, რაც შეიძლება ბანკს დიდი დანაკარგის ფასად დაუჯდეს.

საკონტროლო კითხვები:

1. რას წარმოადგენს კომერციული ბანკის მხრიდან პოტენციური მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასების მიზანი და ამოცანები?
2. რას ნიშნავს მსესხებლის კრედიტუნარიანობა?
3. რა სხვაობაა კრედიტუნარიანობასა და გადამხდელუნარიანობას შორის?
4. პოტენციური მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასების რომელი კრიტერიუმები იცით?
5. რატომ არის მნიშვნელოვანი ბანკში წარმოდგენილი პროექტის შესაბამისობა ბანკის საკრედიტო პოლიტიკასთან?
6. რას გულისხმობს პრუდენციული ბაზისი, როგორც პოტენციური მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმი?
7. რას გულისხმობს და რა დატვირთვა აქვს პოტენციური მსესხებლის რეპუტაციას ბანკში მისი კრედიტუნარიანობის შეფასებისას?
8. განმარტეთ სახსრების სესხების უნარი და შესაძლებლობა, როგორც პოტენციური მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმი.
9. რა განაპირობებს მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასების მეთოდების მრავალგვარობას?
10. როგორ წესი, კომერციული ბანკის სერიოზული პრობლემებისა და ზოგჯერ გაკოტრების მიზეზი რომელი გარემოებები ხდება ხოლმე?
11. კომერციული ბანკების მიერ პოტენციური მსესხებლების კრედიტუნარიანობის შეფასების რომელი მეთოდები იცით?

12. კლიენტის შესახებ ინფორმაციის რომელი წყაროები იცით?
13. პოტენციური მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის შეფასების რომელი ფინანსური კოეფიციენტები იცით?
14. რას ნიშნავს იურიდიული პირის ლიკვიდობა და მისი შეფასების რომელი კოეფიციენტებია ცნობილი?
15. რას გვიჩვენებს აქტივების ეფექტიანად გამოყენების, ანუ ბრუნვადობის კოეფიციენტები და მათი რომელი სახეობები იცით?
16. რისი ანალიზის საშუალებას იძლევა ფინანსური დამოუკიდებლობის (ლევერიჯის) კოეფიციენტები და მათი რომელი გარცელებული სახეობებია ცნობილი?
17. რას გვიჩვენებს ვალების მომსახურების კოეფიციენტები და მათი რომელი სახეობებია ჩვენთვის ცნობილი?
18. რა შეგიძლიათ თქვათ მომგებიანობის (რენტაბელობის) კოეფიციენტების შესახებ?
19. რას გვიჩვენებს მსესხებლის ფულადი სახსრების მოძრაობის ანალიზი?
20. რას გულისხმობს ბანკის მიერ პოტენციური მსესხებლის საქმიანი რისკის შეფასება?
21. რა ეტაპებისგან შედგება საქმიანი ციკლი და როგორ დაახასიათებდით მათ?
22. რა არის პოტენციური მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასების რეიტინგული მეთოდის არსი?
23. ფიზიკური პირის კრედიტუნარიანობის შეფასების რომელი მეთოდები იცით?
24. რას გულისხმობს ფიზიკური პირის კრედიტუნარიანობის განსაზღვრის კომპლექსური მეთოდი და რომელ მაჩვენებლებს მოიცავს იგი?
25. რა თავისებურებებით გამოირჩევა ფიზიკური პირის კრედიტუნარიანობის შეფასება საკრედიტო ისტორიის შესწავლით?
26. რა შეგიძლიათ თქვათ ფიზიკური პირის კრედიტუნარიანობის განსაზღვრის რეიტინგულ სისტემებზე?
27. რა არის „სკორინგი“ და როგორ იქმნება ბანკის სკორინგული მოდელი?
28. როგორია სკორინგის დადებით და უარყოფითი მხარეები?

თავი 17

კომერციული ბანკის საკასო ოპერაციები

შინაარსი:

17.1. ბანკის სალაროს მეურნეობის ორგანიზება;
17.2. ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობების მიღებისა და გაცემის წესი;
17.3. ბანკნოტებისა და მონეტების ფორმირება;
17.4. ფულადი სახსრების ინკასაცია.

ძირითადი ელემენტები:

1. საქართველოს ეროვნული ბანკის საკასო ოპერაციები;
2. კომერციული ბანკის სალაროს კვანძის მოწყობა;
3. საკასო ოპერაციების აღრიცხვა;
4. საკასო დისციპლინის კონტროლი;
5. ფულადი ნაშთების ბრუნვის პროგნოზირება;
6. ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობების მიღებისა და გაცემის ორგანიზება;
7. ბანკნოტებისა და მონეტების ფორმირება;
8. ფულადი სახსრების ინკასაცია.

გამოყენებული სქემები, ნახატები და ცხრილები:

ცხრ. №17.1. ნაღდი ფულისა და ფასეულობების აღრიცხვა ანგარიშთა გეგმის მიხედვით ქართულ ბანკებში.

17.1. ბანკის სალაროს მეურნეობის ორგანიზება

თანამედროვე პირობებში ფული და ფულადი ანგარიშსწორება სამეურნეო საქმიანობის აუცილებელ ელემენტებს წარმოადგენენ. სწორედ ამიტომ მატერიალური და არამატერიალური ფასეულობების მიწოდების თუ მომსახურების გაწევის ყველა გარიგება ფულადი ანგარისშწორებით მთავრდება. ანგარიშსწორება ხდება როგორც უნაღდო, ისე ნაღდი ფორმით.

მიუხედავად იმისა, რომ როგორც ბანკთაშორის, ისე თანამედროვე ყოფით ცხოვრებაში, უნაღდო ანგარიშსწორების ხელმისაწვდომი ელექტრონული საშუალებები სულ უფრო მეტ ადგილს იკავებენ, ბანკებისათვის საკასო ოპერაციები ისევ უმნიშვნელოვანეს მიმართულებად რჩება.

კლიენტების მიერ კომერციული ბანკის არჩევა საკასო ოპერაციების განსახორციელებლად აიძულებს ბანკს, უზრუნველყოს მომსახურების ოპერატიულობა, ხარისხი და საიმედოობა. განსხვავებით სხვა საბანკო მომსახურების სახეობებისაგან, ამ კრიტერიუმების მიხედვით, კლიენტის მიერ ბანკის შეფასებას არ სჭირდება განსაკუთრებული კვალიფიკაცია და ცოდნა, კლიენტი მარტივად ამჩნევს უმნიშვნელო ხარვეზსაც ბანკის მუშაობაში. ამიტომ საკასო ოპერაციები ხშირად ხდება კლიენტების მხრიდან კომერციულ ბანკთან თანამშრომლობის გაგრძელების თუ განყვეტის მოტივატორი. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ საკასო მომსახურების ორგანიზაცია ნებისმიერი ბანკის სავიზიტო ბარათს წარმოადგენს.

საკასო ოპერაციებს ახორციელებს როგორც ქვეყნის ცენტრალური ბანკი, ისე კომერციული ბანკები. ქართული კანონმდებლობით, საქართველოს ეროვნული ბანკი უშუალოდ აკონტროლებს ქვეყანაში ნაღდი ფულის მარაგს, ადგენს მისი ემისიის გეგმას, უზრუნველყოფს საქართველოს ეკონომიკას ლარის ბანკნოტებითა და მონეტებით. ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებთან, მათ ფილიალებთან და სერვისცენტრებთან ახორციელებს შემდეგი ტიპის ოპერაციებს:

- ნაღდი ფულის გაცემა ანგარიშზე არსებული თანხების ფარგლებში;
- ნაღდი ფულის მიღება საკორესპონდენტო ანგარიშზე შეტანის მიზნით;
- მკაცრი აღრიცხვის ფორმების გაცემა და გაუქმებულების უკან მიღება;
- ამოღებული საეჭვო ფულის ნიშნების მიღება ექსპერტიზის მიზნით.

გარდა ამისა, საქართველოს ეროვნული ბანკი ახორციელებს კომერციულ ბანკებში ლარის ბანკნოტებისა და მონეტების დამუშავების კონტროლსა და ნაღდ ფულთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოების შემოწმებას. ეროვნული ბანკი დაინტერესებულია და თვალყურს ადევნებს, კომერციული ბანკის მიერ სალაროს მეურნეობა ორგანიზებული იყოს ისე, რომ კლიენტების სახსრების მუდმივი და დინამიკური ტრანსფორმაცია ნაღდიდან უნაღდოში და, პირიქით, ხდებოდეს თითქმის ავტომატურ რეჟიმში, შეფერხებების გარეშე და უსაფრთხოების მაქსიმალური დონის შენარჩუნებით.

კომერციული ბანკის საკასო ოპერაციები – ესაა ოპერაციები, რომლებიც უკავშირდება ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობათა მიღებას, შენახვას, ფორმირებას, გაცემასა და გადატანას (ინკასაცია). ამ ოპერაციათა კომპლექსის სრულყოფილად შესასრულებლად კომერციულ ბანკს უნდა ჰქონდეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით ორგანიზებული სალაროს მეურნეობა, ანუ სალაროს კვანძი.

საქართველოს ეროვნული ბანკის შესაბამისი წესი ადგენს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კომერციული ბანკებისა და მათი დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულებისათვის არა მარტო ნაღდი ფულის, არამედ სხვა ფასეულობათა (ძვირფასი ლითონები და მათგან დამზადებული ნაწარმი, მკაცრი აღრიცხვის ბლანკები) დაკავშირებული ოპერაციების წარმოების ზოგად პრინციპებს.

კომერციული ბანკი საკასო ოპერაციებს ახორციელებს ფილიალებსა და სერვისცენტრებში განთავსებული სალაროს კვანძების, კვანძგარეთა საოპერაციო სალაროების, ბანკომატებისა და საინკასაციო სამსახურების მეშვეობით. აღნიშნული ობიექტები, რომლებიც ახორციელებენ ნაღდ ფულთან და სხვა ფასეულობასთან დაკავშირებულ ოპერაციებს, უნდა აკმაყოფილებდნენ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი დაცვისა და უსაფრთხოების პირობებს.

აღნიშნული პირობები კომერციული ბანკის ხელმძღვანელობის მიერ განისაზღვრება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის უფლებამოსილ სამსახურთან შეთანხმებით. კომერციული ბანკების მატერიალური ფასეულობების დაცვას ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საამისოდ უფლებამოსილი სამსახური. აღნიშნული გულისხმობს როგორც დაცვას ცოცხალი ძალით, ისე აღჭურვას სახანძრო-დაცვითი სიგნალიზაციისა და ვიდეოსამეთვალყურეო აპარატურით. თანამედროვე საბანკო საქმეში ფართოდ გამოიყენება სალაროში არსებული ნაშთის დაზღვევის პრაქტიკა.

საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები ვალდებულნი არიან შემუშავებული ჰქონდეთ სპეციალური დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავენ ნაღდ ფულსა და სხვა ფასეულობასთან დაკავშირებული ოპერაციებით დაკავებულ პირთა ფუნქციებს, პასუხისმგებლობას, ასევე უზრუნველყოფდნენ ნაღდ ფულსა და სხვა ფასეულობასთან დაკავშირებული ცალკეული ოპერაციების წარმოების წესსა და საანგარიშსწორებო-სააღრიცხვო რისკების მართვას. ნაღდი ფულის მიღებისა და გაცემის სამუშაო დღის რეჟიმი არაა კანონით განსაზღვრული და მას კონკრეტული კომერციული ბანკი დამოუკიდებლად განსაზღვრავს.

კომერციული ბანკის სალაროს მეურნეობის ორგანიზების უმნიშვნელოვანესი ელემენტებია:

1) სალაროს კვანძის მოწყობა;
2) საკასო ოპერაციების აღრიცხვა და საკასო დისციპლინის კონტროლი;
3) ფულადი ნაშთების ბრუნვის პროგნოზირება;
4) ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობების მიღებისა და გაცემის ორგანიზება;
5) ბანკნოტებისა და მონეტების ფორმირება;
6) ფულადი სახსრების ინკასაცია.

აღნიშნული ჩამონათვალიდან პირველ სამს ამავე პარაგრაფში განვიხილავთ, ხოლო დანარჩენები ცალკე პარაგრაფად იქნება წარმოდგენილი.

1) კომერციული ბანკის სალაროს კვანძი წარმოადგენს რთულ ორგანიზაციულ და ტექნიკურ კომპლექსს, რომელშიც შედის: ფასეულობათა საცავი, სალაროები, გადათვლისა და ინკასატორთაგან ფულის მიღება-გაცემის ოთახები.

იურიდიული და ფიზიკური პირების საკასო მომსახურებისათვის, ასევე ნაღდ ფულთან და სხვა ფასეულობებთან ოპერაციების განხორციელებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხდება სპეციალური სტანდარტების შესაბამისად ტექნიკურად და ტექნოლოგიურად გამაგრებული და დაცული ნაგებობების მოწყობა. სალაროს კვანძში შემავალი ელემენტების შესაბამისი გამაგრება უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, მომუშავე პერსონალის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, მეორე მხრივ კი, შენახული ფულისა და სხვა მატერიალური ფასეულობების დაცვას. ამ მიმართულებით არსებობს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული სპეციალური სტანდარტები, რომელთა შესრულება სავალდებულოა კომერციული ბანკებისათვის.

საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნით, სალაროს კვანძი უნდა განთავსდეს კომერციული ბანკის სხვა სათავსებისაგან იზოლირებულად, ისე, რომ გამორიცხული იყოს მასში შესაძლებლობა იმ პირების შესვლისა, რომლებიც სალაროს ქვედანაყოფის თანამშრომლებად არ ითვლებიან. სალაროს კვანძში დაიშვებიან მხოლოდ სალაროს მუშაკები, ფასეულობის შენახვისათვის პასუხისმგებელი პირები და ინკასატორები. დაცვის თანამშრომლები სალაროს კვანძში დაიშვებიან, თუკი ისინი პასუხისმგებელნი არიან მატერიალურ ფასეულობათა დასაცავად მიღება-ჩაბარებისათვის.

სხვა პირების (მაგალითად: აუდიტორები, დაცვითი/სახანძრო სიგნალიზაციის მომსახურე პერსონალი) დაშვება სალაროს კვანძში საჭიროებისდამიხედვით ხორციელდება მხოლოდ ბანკის უფლებამოსილი პირის წერილობითი გადაწყვეტილებით. სალაროს კვანძისა და თითოეული სალაროს კარი მუდმივად დაკეტილი უნდა იყოს.

ყველაზე მეტად მკაცრი მოთხოვნები დაწესებულია კომერციული ბანკის ფასეულობათა საცავისადმი. ფასეულობათა საცავის გარსი არ უნდა ესაზღვრებოდეს გარე სივრცეს ან სხვა შენობას და მისი სიმტკიცე უნდა შეესაბამებოდეს გარკვეულ დაწესებულ სტანდარტებს. იმ შემთხვევაში, თუ იგი ესაზღვრება გარე სივრცეს ან სხვა შენობას, საცავის გარსი უნდა აღიჭურვოს დაცვის დამატებითი სიგნალიზაციის საშუალებებით. ფასეულობათა საცავის კარები უნდა იყოს ჯავშნიანი და თავისი სიმტკიცის კლასით უნდა შეესაბამებოდეს საცავის გარსის სიმტკიცის კლასს. ჯავშნიანი კარები იკეტება ორი და მეტი საკეტით, რომელთა გასაღები სხვადასხვა პირთან უნდა ინახებოდეს. ჯავშნიანი კარის გარდა, საცავის კარის ჭრილში ამაგრებენ ცხაურის კარს, რომელიც იღება შიგნით და იკეტება ორივე მხრიდან.

რაც შეეხება ჩვეულებრივ სალაროს, მისი სამუშაო ფართობი კლიენტისაგან გამოყოფილი უნდა იყოს ტყვიაგაუმტარი მინის სარკმლისა და ფულის გადასაცემი მოწყობილობის (ხონჩა ან ბუნკერი) შემცველი ტიხრით. ამ დროს აუცილებელი მოთხოვნაა, მინის სარკმელი კლიენტს ფულის გადათვლის ვიზუალური კონტროლის საშუალებას აძლევდეს. სალაროს მუშაკების სამუშაო ფართობი ერთმანეთისგან გამოიყოფა ტიხრით. როგორც სალაროს კვანძში შესასვლელი კარი, ისე ტყვიაგაუმტარი მინა უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სიმტკიცის სტანდარტს. გამონაკლის შემთხვევებში, ცალკეული ერთეულის სპეციფიკიდან და დაცულობიდან გამომდინარე, სალაროსა და კლიენტს შორის არასრული იზოლაციისა და მათი ერთ დარბაზში განთავსების მიზანშეწონილობას განსაზღვრავს კომერციული ბანკის ხელმძღვანელობა. ამ დროს აუცილებელია, არსებობდეს საკასო ოპერაციების უსაფრთხოდ განხორციელების შესაძლებლობის თაობაზე შესაბამისი დაცვის სამსახურის დასკვნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეეხება ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობის შენახვას, ასევე ხორციელდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული გარკვეული მოთხოვნების საფუძველზე. კომერციული ბანკის ფული და სხვა ფასეულობა უნდა ინახებოდეს ფასეულობის საცავში, რომლის გასაღები ინახება შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან. ფასეულობის საცავებს უნდა ჰქონდეთ გასაღების ასლები, რომლებიც იდება შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ დალუქულ პაკეტში და შესანახავად ბარდება კომერციული ბანკის ერთ-ერთ უახლოეს ფილიალს, ან ხელშეკრულების საფუძველზე, სხვა კომერციულ ბანკს. გასაღებთა დუბლიკატების შესანახავად ჩაბარების დამადასტურებელი საბუთები უნდა ინახებოდეს კომერციული ბანკის ერთ-ერთი პასუხისმგებელი პირის სეიფში.

ფული და სხვა ფასეულობა საცავში შეიძლება ინახებოდეს ლითონის კარადებში, სეიფებში, ურიკებსა და თაროებზე. მნიშვნელოვანია, რომ საცავში შენახული ფული იყოს სათანადო წესით ფორმირებული. ფულის ფორმირების მოთხოვნების შესახებ საუბარი შემდეგ პარაგრაფებში იქნება. დაუშვებელია საცავში არაფორმირებული ფულის შენახვა, გარდა ბანკომატებისა და ფულის მიღება-გაცემის სხვა ალტერნატიული ავტომატური მოწყობილობებისათვის განკუთვნილი ფულისა, რომელიც მოთავსებული უნდა იყოს დალუქულ კასეტებში, ასევე ინკასაციისათვის განკუთვნილი ან შემდეგი გადათვლის მიზნით ინკასირებული დალუქული ნაღდფულიანი ჩანთებისა, რაც აღირიცხება მათში არსებული თანხის მიხედვით.

2) საკასო ოპერაციების აღრიცხვა და საკასო დისციპლინის კონტროლი არის საბანკო საქმის უძველესი, ამასთან, დღესაც მეტად აქტუალური და განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხი.

ნაღდი ფულისა და ფასეულობათა საქართველოს ბანკებში აღრიცხვისათვის ანგარიშთა გეგმის მიხედით განკუთვნილია მე-10 კლასის 100 და 101 ჯგუფები და მე-11 კლასი (ცხრ. №17.1.):

მოკლედ დავახასიათოთ ეს ანგარიშები:

1002 და 1012 – გამოიყენება საქართველოს ეროვნული ბანკის საცავებში არსებული ეროვნული და უცხოური ვალუტის ბანკნოტებისა და მონეტების აღრიცხვისათვის.

1003 და 1013 – აღირიცხება კომერციული ბანკის საცავებსა და სალაროებში არსებული ეროვნული და უცხოური ვალუტის ბანკნოტები და მონეტები.

1004 და 1014 – აღირიცხება კომერციული ბანკის ბანკომატებში არსებული ეროვნული და უცხოური ვალუტის ბანკნოტები.

1005 და 1015 – გამოიყენება კომერციული ბანკის კვანძგარეთა საოპერაციო სალაროებში არსებული ეროვნული და უცხოური ვალუტის ბანკნოტებისა და მონეტების აღსარიცხავად. კვანძგარეთა საოპერაციო სალარო არის კომერციული ბანკის მიერ კლიენტთა საკასო მომსახურების მიზნით მსხვილ კორპორაციულ კლიენტებთან ან დამოუკიდებლად (მაგალითად, ვალუტის გადამცვლელი პუნქტის სახით) გახსნილი საოპერაციო სალარო.

1006 და 1016 – აღირიცხება კომერციული ბანკის, მისი ფილიალისა თუ კვანძგარეთა საოპერაციო სალაროსათვის გაგზავნილი ეროვნული და უცხოური ვალუტის ბანკნოტები და მონეტები, რომლებიც ჯერ არ ასახულა მიმღების ბალანსში.

1007 – გამოიყენება საქართველოს ეროვნული ბანკის საცავში არსებული მიმოქცევიდან ამოსაღები ეროვნული ვალუტის ბანკნოტებისა და მონეტების აღსარიცხავად.

1018 – გამოიყენება საქართველოს ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების საცავებსა და სალაროებში არსებული სამგზავრო ჩეკებისა და სხვა საგადახდო დოკუმენტების აღსარიცხავად უცხოური ვალუტით.

1004 და 1014 – აღირიცხება საქართველოს ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკის საცავებში არსებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი და შეუსაბამო ოქრო.

ცხრ. №17.1. ნაღდი ფულისა და ფასეულობების აღრიცხვა ანგარიშთა გეგმის მიხედვით ქართულ ბანკებში

კლასი	ჯგუფი	ანგარიში	ანგარიშის დასახელება
10			**სალარო. კომერციული ბანკების ანგარიშების სებ-ში**
	100		**ნაღდი ფული მიმოქცევაში ეროვნული ვალუტით**
		1002	საქართველოს ეროვნული ბანკის სალარო *
		1003	კომერციული ბანკის სალარო
		1004	ფულადი სახსრები ბანკომატებში
		1005	კვანძგარეთა საოპერაციო სალარო
		1006	ბანკნოტები და მონეტები გზაში
		1007	მიმოქცევიდან ამოსაღები ბანკნოტები და მონეტები *
	101		**ნაღდი უცხოური ვალუტა და სხვა საგადახდო დოკუმენტები**
		1012	საქართველოს ეროვნული ბანკის სალარო *
		1013	კომერციული ბანკის სალარო
		1014	ფულადი სახსრები ბანკომატებში
		1015	კვანძგარეთა საოპერაციო სალარო
		1016	ბანკნოტები და მონეტები გზაში
		1018	სხვა საგადახდო დოკუმენტები
11			**ოქრო**
	110		**ოქრო**
		1101	საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი ოქრო
		1102	საერთაშორისო სტანდარტის შეუსაბამო ოქრო

* ანგარიშები, რომლებიც გახსნილია მხოლოდ საქართველოს ეროვნულ ბანკში

აუცილებელია, ნაღდი ფულადი ოპერაციების განმახორციელებელი პირები უზრუნველყოფილი იყვნენ შემოსავალ-გასავლის დოკუმენტებზე ხელმოწერის უფლების მქონე პირთა ხელმოწერის ნიმუშებით, რომლებიც დადასტურებული უნდა იყოს ბანკის უფლებამოსილი ხელმძღვანელი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით.

ყოველი სამუშაო დღის დასაწყისში ბანკის საცავიდან ხდება ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობათა გამოტანა და გადანაწილება მოლარეებსა და მოლარე-ოპერაციონისტებზე. სალაროს გამგე აკონტროლებს თითოეული მოლარისა და მთლიანად სალაროების ნაშთებს, საჭიროების შემთხვევაში ახდენს ფულის დამატებით გადანაწილებას. სალაროს გამგე ასევე ვალდებულია საოპერაციო დღის განმავლობაში აკონტროლოს სალაროს კვანძის საცავში

არსებული ნაშთები და აუცილებლობის შემთხვევაში სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელთან შეთანხმებით გააგზავნოს განაცხადი შესაბამის სამსახურში (ბანკის ხაზინა) ნაღდი ფულით შევსების მოთხოვნით.

ბანკში ყოველი სამუშაო დღის ბოლოს, ნაღდ ფულთან დაკავშირებული ოპერაციების დამთავრების შემდეგ, ნაღდი ფული შემოსავალ-გასავლის საბუთებთან, ცნობებთან, აქტებთან, რეესტრთან და სხვა დოკუმენტებთან ერთად მოლარის მიერ ბარდება შესაბამის პასუხისმგებელ პირებს (სალაროს გამგეს). პასუხისმგებელი პირები ამოწმებენ წარდგენილი დოკუმენტების საბუღალტრო მონაცემებთან შედარებასა და ფაქტობრივად არსებული ნაშთის შესაბამისობას, ადგენენ ცნობას შემოსული და გასული დოკუმენტებისა და თანხების, ასევე სალაროში არსებული ნაღდი ფულის ნაშთების შესახებ ვალუტების მიხედვით. სწორედ ამიტომ, სალაროს მეურნეობის წარმართვაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც ყოველი ოპერაციის დამადასტურებელ დოკუმენტს (შემოსავალ-გასავლის ორდერები), ისე სალაროს წიგნებს, დავთრებსა და ჟურნალებს, რომლებშიც ფიქსირდება საცავიდან გამოტანილი და შეტანილი და თითოეულ სალაროზე (მოლარეზე) გადაცემული და მისგან მიღებული ნაშთები.

მნიშვნელოვანია, რომ ბანკის მიერ გამოყენებული ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობის აღრიცხვის წიგნი უნდა იყოს აკინძული ფურცლების რაოდენობის აღნიშვნით, ზონარგაყრილი, დამოწმებული ბანკის უფლებამოსილი პირების ხელმოწერით და ბეჭდით. მსგავსი წესით ფორმირდება სალაროს სხვა წიგნები, დავთრები და ჟურნალები. მათი შევსება ხდება ნუმერაციის დაცვით და სრულ გამოყენებამდე. დაუშვებელია წიგნებში, დავთრებსა და ჟურნალებში ნებისმიერი მინაწერი და შესწორება და ასეთი არსებრობის შემთხვევაში იგი დამოწმებული უნდა იყოს შესაბამისი პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით და ბეჭდით.

დღის ბოლოს თითოეული მოლარის მიერ ნაღდი ფულის ჩაბარება სალაროს გამგისათვის საცავში შესანახავად ხდება მარტივი ფორმულით: დღის დასაწყისში სალაროს გამგისაგან მიღებულ ნაშთი + დღის განმავლობაში კლიენტებიდან მიღებული ფული + სალაროს გამგისაგან მიღებული დამატებითი ფული – კლიენტებზე გაცემული ფული – სალაროს გამგეზე დღის განმავლობაში გადაცემული ფული = საბოლოო ნაშთი დღის ბოლოს. ამასთან, აუცილებელია, ყოველი ოპერაცია დასტურდებოდეს შესაბამისი დოკუმენტებით, ედრებოდეს სალაროს წიგნებში ჩანაწერებსა და ბუღალტრულ მონაცემებს.

სალაროში არსებულ ფულის (ფასეულობის) ნაშთსა და ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებს შორის სხვაობის აღმოჩენის შემთხვევაში შესაბამისი პასუხისმგებელი პირი აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს კომერციული ბანკის ხელმძღვანელობას. სხვაობად მიჩნეულია როგორც ზედმეტობა, ისე ნაკლებობა და მათი მიზეზების გამოკვლევამდე დგება შესაბამისი აქტი, რის საფუძველზეც ზედმეტობა ჩაირიცხება ბანკის კრედიტორებში, ხოლო დანაკლისი თანხა – ბანკის დებიტორებში ან დაეწერება იმ მუშაკს, ვისი მიზეზითაც მოხდა აღნიშნული ფაქტი. აუცილებელია, სალაროს დღიური საბუთები აიკინძოს საბალანსო და ბალანსგარეშე ანგარიშების, შემოსავლისა და გასავლის დოკუმენტების მიხედვით.

გამომდინარე იმ რისკებიდან, რომლებიც დაკავშირებულია კომერციული ბანკის სალაროს მეურნეობის ნორმალურად ფუნქციონირებასთან, მეტად მნიშვნელოვანია სალაროს მეურნეობის სისტემატური კონტროლი და მონიტორინგი. კომერციული ბანკის მენეჯმენტი ვალდებულია შექმნას მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც სისტემატურად განხორციელდება ნაღდი ფულისა და

სხვა ფასეულობის, მათი შენახვის მდგომარეობისა და სალაროს ოპერაციების წარმოების კონტროლი.

ამ მიმართულებით ადაპტირებულ და ეფექტიან ინსტრუმენტს წარმოადგენს მოულოდნელი შემოწმებები. ამ მიზნით სპეციალურად დანიშნული ჯგუფი (კომისია) ან შიდა აუდიტის სამსახური მოულოდნელად ახდენს ბანკის, მისი ნებისმიერი ფილიალის თუ კვანძგარეთა საოპერაციო სალაროს მოულოდნელ რევიზიას, რომლის დროსაც ხდება ყველა ფასეულობის აღწერა ისეთი თანმიმდევრობით, რომ გამოირიცხოს ფულისა და ფასეულობების დანაკლისის ან დატაცების ფაქტის დამალვა. მნიშვნელოვანია, რომ შემოწმებამ არათუ არ დაარღვიოს კომერციული ბანკის მუშაობისა და კლიენტთა მომსახურების პროცესი, არამედ იგი შეუმჩნეველი აღმოჩნდეს კლიენტურის მხრიდან, რაც აუცილებელია ბანკის იმიჯის თვალსაზრისით.

ჩატარებული შემოწმების შედეგების შესახებ დგება აქტი, რომელსაც ხელს აწერს რევიზიის პროცესში მონაწილე ყველა პირი, მათ შორის, სალაროს მუშაკებიც. ჩატარებული რევიზიის აქტში მითითებული უნდა იქნეს შემდეგი მონაცემები: რევიზიის დღისათვის ფაქტობრივად რიცხული თანხები და სხვა ფასეულობა, მათი საბუღალტრო მონაცემებთან შესაბამისობა, რევიზიისას აღმოჩენილი ფულის ზედმეტობები და დანაკლისები (მათი არსებობის შემთხვევაში), აგრეთვე ნაღდ ფულთან და სხვა ფასეულობასთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოების წესის დარღვევები და რისკების შეფასება.

კომერციული ბანკის მიერ სალაროს შემოწმება თავისთავად ხორციელდება ნაღდი ფულისა და ფასეულობის გადაბარების დროს. ასეთი შემთხვევებია სალაროს პასუხისმგებელი მუშაკების შვებულებაში გასვლა, შვებულებიდან დაბრუნება, როტაცია, ახალი დანიშვნები და ა.შ. ამ დროს, სალაროს შემოწმების გარდა, აქტში აღინიშნება საცავის გასაღების, დასალუქავი საშუალებებისა და ბეჭდების გადაბარება. საკასო ოპერაციების წარმოებისათვის ბანკებში გამოიყენება შესაბამისი ბეჭდები, შტამპები, პლომბები და დასალუქავი საშუალებები. ბანკის შტამპებზე უნდა იკითხებოდეს ბანკის დასახელება. გამოყენებული ბეჭდების, შტამპებისა და სხვა დასალუქავი საშუალებების ნიმუშები აღირიცხება სპეციალურ დავთარში და ინახება პასუხისმგებელ პირთან.

სალაროს მეურნეობის შემოწმების აუცილებლობას, პერიოდულობასა და კომისიის შემადგენლობას განსაზღვრავს ბანკის ხელმძღვანელობა. ფასეულობათა რევიზიასთან ერთად შემოწმებამ შეიძლება მოიცვას საკასო დისციპლინის კონტროლი, თუ რამდენად ასრულებენ სალაროს მუშაკები დაკისრებულ მოვალეობებს და იცავენ დისციპლინას.

შემოწმების შედეგად გამოვლენილი დანაკლისი მის სრულ დაფარვამდე უნდა დაეწეროს იმ მუშაკს, ვისი მიზეზითაც მოხდა აღნიშნული ფაქტი. სალაროში გამოვლენილი ზედმეტობა ჩაირიცხება შესაბამის ანგარიშზე. შემოწმების შედეგებს, გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, განიხილავს კომერციული ბანკის ხელმძღვანელობა და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს. კომერციული ბანკის შემოწმებების მასალები ექვემდებარება შენახვას მინიმუმ 6 წლის განმავლობაში.

ბანკებში განსაკუთრებული მოთხოვნებია დაწესებული სალაროს მუშაკების (მოლარეების) კვალიფიკაციისა და პიროვნული თვისებების მიმართ. მათ უწესდებათ გარკვეული შეზღუდვები, მაგალითად, როგორც წესი, მოლარეებს ეკრძალებათ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

- მათთვის მიბარებული ფასეულობის სხვა პირთათვის თვითნებური გადაბარება;
- საკუთარი ფულისა და ფასეულობათა შენახვა ბანკის ფულსა და ფასეულობებთან ერთად;
- მისთვის გადაცემული ყველა გასაღების (სალაროს კვანძის ოთახის, საცავის, სეიფის, მაგიდის) და შტამპებისა და დასალუქავი საშუალებების გადაცემა სხვა პირზე სპეციალური ბრძანებისა და მიღება-ჩაბარების აქტის გარეშე;
- გასაღების დატოვება სამუშაო ადგილზე ან საკეტში;
- სამუშაო ადგილის თვითნებურად მიტოვება და ა.შ.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ სალაროს მუშაკებს აკისრიათ უდიდესი პასუხისმგებლობა თავიანთ სამუშაო ადგილთან დაკავშირებით, ისინი ვალდებულნი არიან უზრუნველყონ სალაროში რიცხული ფულის, სხვა ფასეულობის, ყველა გასაღების, ლუქის, ბეჭდისა და შტამპის შენახვა და დაცვა ისე, რომ გამორიცხული იყოს სამუშაო თუ არასამუშაო დროს სხვა პირთა მიერ მათი გამოყენების შესაძლებლობა. ისინი ასევე ვალდებულნი არიან დაიცვან მათ მიერ წარმოებული ოპერაციების კონფიდენციალობა და არ გასცენ ინფორმაცია ფულისა და სხვა ფასეულობათა ოპერაციების რაოდენობის, მათი გადაგზავნის, გადაადგილების, დაცვის, სიგნალიზაციისა და სამსახურებრივი უფლება-მოვალეობების შესახებ და მატერიალურად აგებენ პასუხს მათი მიზეზით გამოვლენილი ზარალისა და დანაკლისისათვის.

3) ფულადი ნაშთების ბრუნვის პროგნოზირება მეტად მნიშვნელოვანია სალაროს მეურნეობის ორგანიზების საქმეში, ვინაიდან იგი უზრუნველყოფს ფულადი ნაშთების რაციონალურ გამოყენებასა და ხარჯების შემცირებას. თითოეული კომერციული ბანკი დამოუკიდებლად ახდენს თავისი შიდასაბანკო ფულადი ბრუნვის დაგეგმვასა და მართვას. რაც მეტი ნაღდი ფულის მარაგია კომერციული ბანკის სალაროს კვანძში, მით მეტი დრო და მატერიალური დანახარჯია საჭირო მათი მომსახურებისათვის (შენახვა, ფორმირება, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ა.შ.).

გარდა ამისა, ფულის ნაშთი სალაროში არის ის აქტივი, რომელიც მხოლოდ კლიენტურის მომსახურებისათვისაა განკუთვნილი. აქ იგულისხმება შემოსავლების არმომტანი „გაყინული“ აქტივი და მისი „მუშა“ აქტივად გადაქცევა, რომელიც ბანკს დამატებით შემოსავალს მოუტანდა. თუნდაც უნაღდო ფორმაში მისი გადასვლა გამოიწვევდა, ერთი მხრივ, მასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირებას, მეორე მხრივ კი, მცირე, მაგრამ მაინც შემოსავლების ზრდას. ცხადია, ეს ელემენტარული ჭეშმარიტება ბანკირებმა იციან, მაგრამ ნაღდი ფულის ნიშნები საჭიროა კლიენტურის მომსახურებისათვის, ამიტომ მათ უწევთ ნაღდი ფულის რაციონალური და ზომიერი მარაგების ქონა და მართვა, მათი შემოსულობათა და გასავლის ნაკადების პროგნოზირება.

კომერციული ბანკების მთავარი ამოცანა საკასო ბრუნვების პროგნოზირებისას არის ის, ბრუნვაში ნაღდი ფულადი მასის ცვლილების განსაზღვრა, მისი ეკონომიურად და რაციონალურად გამოყენება და ბანკში ფულადი ნაკადების შემოსავლების ზრდის ხელშეწყობა. საკასო ბრუნვების პროგნოზირება ხდება მისი ისტორიული მონაცემებიდან გამომდინარე. მათ შორის მნიშვნელოვანია ინფორმაცია ძირითადი კლიენტურის, სადღესასწაულო დღეების, თვის გარკვეული დღეების მიხედვით. მაგალითად, ცნობილია, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის ბოლო დღეებში ბანკომატებიდან ფულის გაცემის მსურველები იზრდებიან ბარათებზე ხელფასების ჩარიცხვის გამო. ზოგიერთ ბანკში დანერგილია დიდი გასავლის შესახებ კლიენტის მიერ წინასწარ, წინა დღეს განაცხადის მიღების პრაქტიკა, რაც კომერციულ ბანკს (ან მის ფილიალს თუ სერვისცენტრს) ფულადი ნიშნების წინასწარი მობილიზაციის საშუალებას აძლევს.

იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული კომერციულ ბანკში, მის ფილიალებსა თუ სერვისცენტრებში ჭარბი ფულის „დაგროვება", აპრობირებული მეთოდია სალაროს მინიმალური და მაქსიმალური ლიმიტების დადგენის პრაქტიკა სხვადასხვა ვალუტის მიხედვით. ლიმიტის გადაჭარბების შემთხვევაში ხდება „ზედმეტი" ფულის საკორესპონდენტო ანგარიშზე შეტანა, ანუ ნაღდი ფულის უნაღდო ფორმად გადაქცევა, ხოლო მინიმალური ლიმიტის დარღვევისას – ნაღდი ფულის ნაშთის გაზრდა.

17.2. ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობების მიღებისა და გაცემის წესი

ნაღდი ფულის მიღება კლიენტებისაგან უმეტეს შემთხვევაში ხდება მათი ბანკში გამოცხადების დროს, თუმცა, ეს შესაძლებელია განხორციელდეს საინკასაციო სერვისის გამოყენებითაც, რომელსაც ბანკი სთავაზობს განსაკუთრებულ კლიენტებს, რომელთა შორის, როგორც წესი, არიან გაყიდვების ფართო ქსელის მქონე კომპანიები (ბენზინგასამართი სადგურები, სუპერმარკეტები, აფთიაქები და ა.შ.).

კომერციულ ბანკში შეიძლება არსებობდეს „შემოსავლების სალარო" და „გასავლების სალარო" ცალ-ცალკე, თუმცა, დღეისათვის გავრცელებულია უნივერსალური სალაროები, რომლებიც ახორციელებენ როგორც ნაღდი ფულის მიღებას, ისე მათ გაცემას. კომერციულ ბანკში ნაღდი ფულის მიღების ოპერაციები ისეა ორგანიზებული, რომ კლიენტებს შესაძლებლობა აქვთ, შეიტანონ ფული ანგარიშზე საოპერაციო დღის განმავლობაში („დღის სალარო") ან საოპერაციო დღის ბოლოს („საღამოს სალარო"). საღამოს სალაროში მიღებული ნაღდი ფული კლიენტის ანგარიშზე აისახება მეორე სამუშაო დღეს, რადგან მისი მიღების დროს ბანკის საოპერაციო დღე უკვე დახურულია და მიმდინარეობს მონაცემების დამუშავება ბალანსის გამოსაყვანად. საღამოს სალაროს პრინციპით აღირიცხება 24-საათიანი მომსახურების საბანკო წერტილებში ღამის საათებსა და დასვენების დღეებში შეტანილი ფული. ამ დროს კლიენტი იღებს საბუთს, რომ მან გარკვეულ ანგარიშზე შეიტანა ფული, მაგრამ ეს ფული აღნიშნულ ანგარიშზე აღირიცხება მხოლოდ მომდევნო სამუშაო დღეს.

კომერციული ბანკის სალაროში ნაღდი ფულის მიღება და გაცემა ხდება შესაბამისი დოკუმენტების საშუალებით (შემოსავალ-გასავლის ორდერები, ჩეკები), რომლებიც უნდა იძლეოდნენ გარკვეული ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას. ეს ინფორმაციაა: მომსახურე ბანკი და მისი კოდი, ანგარიშის ნომრები, მიღებული და გაცემული თანხის მოცულობა (ციფრებით და სიტყვებით) ან სხვა ფასეულობა (აღწერილობით), ოპერაციის დანიშნულება და თარიღი. სალაროების მეშვეობით ნაღდი ფულის ანგარიშზე მიღებისა და ანგარიშიდან გაცემის

გარდა, შეიძლება განხორციელდეს სხვა ოპერაციებიც, მაგალითად: უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები, კომუნალური გადასახადების გადახდა და ა. შ.

ბანკის სალაროში ნაღდი ფულის მიღება ხდება, როგორც წესი, არანაკლებ ორ ეგზემპლარად შედგენილი შემოსავლის ორდერით. ორდერში, სხვა რეკვიზიტებთან ერთად, აუცილებლად მიეთითება ის ანგარიში, რომელზეც ხდება ფულის შეტანა. აღნიშნულ ორდერს ქმნის მომსახურე ოპერატორი (ან მოლარე-ოპერატორი) ბანკის პროგრამულ უზრუნველყოფაში. ჯერ კიდევ ახლო წარსულში შემოსავლის ორდერების შევსება ხელით ხდებოდა. კომუნალური, საგადასახადო და სხვა შემოსავლების მიღება ხდება სპეციალური დადგენილი ფორმის ქვითრებით, ხოლო უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები – ვალუტის გაცვლის ქვითრებით.

შემოსავლის ორდერის მიღებისას მოლარე ამოწმებს საბუთის შემქმნელის (ბანკის ოპერატორი) ხელმოწერის ნამდვილობას მასთან არსებული ხელმოწერის ნიმუშის მეშვეობით და მიითვლის მიღებული ფულის ნიშნებს. მნიშვნელოვანია, რომ ფულის შემომტანი ხედავდეს ფულის დათვლის პროცესს და ამ დროს მოლარის მაგიდაზე უნდა იდოს მხოლოდ მისი ფული. მოლარე მიღებული ფულის შემოსავლის ორდერში მითითებულ თანხასთან შედარების შემდეგ ხელს აწერს ორდერს, სვამს შტამპს, ერთ პირს იტოვებს ფულთან ერთად, ხოლო მეორეს უბრუნებს ფულის შემომტანს, რომლისათვისაც იგი წარმოადგენს ბანკში შეტანილი ფულის დამადასტურებელ დოკუმენტს. ფიზიკურ პირს შეუძლია ფული შეიტანოს როგორც თავის, ისე სხვის ანგარიშზე.

საოპერაციო დღის ბოლოს მოლარე ადგენს დოკუმენტს სალაროში შემოსული ფულისა და საბუთების რაოდენობის შესახებ, რაზეც აწერს ხელს და უდარებს მას ბუღალტრულ მონაცემებს. საოპერაციო დღის განმავლობაში მიღებული ნაღდი ფული აისახება სალაროს შესაბამის ანგარიშებზე (აქტივის ზრდა) და კლიენტის ანგარიშზე (პასივის ზრდა) იმავე სამუშაო დღის განმავლობაში.

თანამედროვე საბანკო საქმეში ფართოდ გავრცელდა მოლარე-ოპერატორების პრაქტიკა, რომლებიც ბანკის მიერ დადგენილი შედარებით მცირე ლიმიტის ფარგლებში, ძირითადად, ფიზიკური პირების მომსახურებისას, ერთდროულად ასრულებენ როგორც ოპერატორის, ისე მოლარის ფუნქციებს.

განსხვავებით ფიზიკური პირებისაგან, იურიდიულ პირებს შეუძლიათ ნაღდი ფული შეიტანონ მხოლოდ საკუთარ ანგარიშზე. ორივე შემთხვევაში დაუშვებელია კლიენტის მიერ სალაროში ფულის შემოტანის გარეშე თანხის მის ანგარიშზე ასახვა თანხის იმავდროულად გატანის მიზნით.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგულირდება საბანკო ქსელში მოხვედრილი საეჭვო ფულის ნამდვილობის დადგენის მექანიზმი. კლიენტის მიერ შემოტანილ ფულში საეჭვო ფულის (რომელთა ნამდვილობისა და გადასახდელად ვარგისობის დადგენა ვერ ხერხდება ადგილზე) გამოვლენის შემთხვევაში, დგება ცნობა სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ეძლევა კლიენტს, მეორე – რჩება სალაროში, მესამე – ფულის ნიშანთან ერთად ეგზავნება საქართველოს ეროვნულ ბანკს შემდეგი რეაგირებისათვის. საქართველოს ეროვნული ბანკი ვალდებულია ექსპერტიზის შედეგები 15 დღის განმავლობაში შეატყობინოს კომერციულ ბანკს. ექსპერტიზის შედეგად:

- ნამდვილი და გადასახდელად ვარგისი ფულის ნიშნის გამოვლენისას შესაბამისი თანხა უნაზღაურდება კლიენტს, ხოლო ყალბი და/ან გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასახდელად უვარგისი ფულის ნიშანი არ ანაზღაურდება (დაზიანებული ფულის ნიშანი მიიჩნევა გადასახდელად უვარგისად – როდესაც შეუძლებელია ნომინალის იდენტიფიცირება, შემადგენელი ნაწილები არ მიეკუთვნება ერთსა და იმავე ბანკნოტს და არ არის წარმოდგენილი ორიგინალი ბანკნოტის ზომის 50%-ზე მეტი);

- ყალბი ფულის ნიშანი რჩება ეროვნულ ბანკში, ხოლო გადასახდელად უვარგისი – კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში უბრუნდება კლიენტს;
- თუ კლიენტი უარს აცხადებს გადასახდელად უვარგისი ფულის ნიშნის მიღებაზე, კომერციული ბანკის პასუხისმგებელი პირი ფულის ნიშანს უბრუნებს საქართველოს ეროვნულ ბანკს.

იმ შემთხვევაში, თუ ბანკის მიერ ადგილზე ხდება ფულის ნიშნის გადასახდელად უვარგისად ცნობა, ფულის ნიშანი არ ანაზღაურდება:

- კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში გადასახდელად უვარგისი ფულის ნიშანი უბრუნდება კლიენტს;
- თუ კლიენტი უარს აცხადებს გადასახდელად უვარგისი ფულის ნიშნის მიღებაზე, კომერციული ბანკის მიერ დგება ცნობა სამ ეგზემპლარად, რომლის ერთი ეგზემპლარი გადაეცემა კლიენტს, მეორე რჩება სალაროს, მესამე ფულის ნიშანთან ერთად ეგზავნება საქართველოს ეროვნულ ბანკს;
- იმ შემთხვევაში, თუ კომერციული ბანკის მიერ ეროვნულ ბანკში გაგზავნილი გადასახდელად უვარგისი ფულის ნიშანი ექსპერტიზის შედეგად აღმოჩდა ვარგისი, შესაბამისი თანხა ექვემდებარება კლიენტისათვის ანაზღაურებას.

კლიენტის მიერ შემოტანილი ნაღდი ფულის გადათვლისას, ზედმეტობა-დანაკლისის გამოვლენის შემთხვევაში, ზედმეტობა უბრუნდება კლიენტს ან ჩაირიცხება მის ანგარიშზე, ხოლო გამოვლენილი დანაკლისის თანხა არ ექვემდებარება ანგარიშზე ასახვას. კლიენტს სრული უფლება აქვს, კომერციული ბანკის სალაროდან მიღებული ნაღდი ფული გადაითვალოს სათითაოდ პასუხისმგებელი მუშაკის თანდასწრებით. კლიენტის მიერ ფულის გადაუთვლელობის შემთხვევაში კომერციული ბანკი არ არის ვალდებული დააკმაყოფილოს მისი შემდეგი პრეტენზია დანაკლისის ანაზღაურების თაობაზე.

სალაროდან ფულის გაცემა ფიზიკურ პირებზე ხდება ოპერატორის (მოლარე-ოპერატორი) მიერ პროგრამული უზრუნველყოფილით შექმნილი გასავლის ორდერის, ხოლო იურიდიულ პირებზე – წარმოდგენილი ფულადი ჩეკის საფუძველზე. ფულადი ჩეკის მოქმედების ვადაა 10 კალენდარული დღე გამოწერის დღის ჩაუთვლელად. ფულადი ჩეკის მიღებისას ოპერატორი ქმნის გასავლის ორდერს და გადასცემს კლიენტს სალაროში წარსადგენად. რა თქმა უნდა, ორივე შემთხვევაში ხდება კლიენტის იდენტიფიცირება, ხელმოწერის ნიმუშებთან შედარება და ანგარიშის შემოწმება შესაბამისი თანხის არსებობის დასადასტურებლად. ფულადი ჩეკები, თავის მხრივ, წარმოადგენს მკაცრი აღრიცხვის ბლანკს. ყოველი ახალი საჩეკო წიგნაკის გაცემა კლიენტზე რეგისტრირდება სპეციალური წესით.

ფიზიკური პირისაგან გასავლის ორდერის მიღებისას მოლარე ამოწმებს მასზე გამომწერი ბანკის ოპერატორის ხელმოწერის ნამდვილობას მასთან არსებული ნიმუშების მეშვეობით, ციფრებით და სიტყვებით ჩაწერილი თანხების შესაბამისობას და კლიენტის პირადობის დამადასტურებელი საბუთის მონაცე-

მების შემოწმების შემდეგ ამზადებს გასაცემ თანხას და გადასცემს მას მიმღებს დადასტურებული ორდერის მეორე პირთან ერთად, რომლის პირველი, ფულის მიმღების მიერ ხელმოწერილი პირი რჩება სალაროში.

იურიდიული პირი ოპერატორის მიერ დამოწმებულ ჩეკს და გასავლის ორდერს გადასცემს მოლარეს, რომელიც შეამოწმებს მათ, შეადარებს ოპერატორის ხელმოწერის ნიმუშთან, კლიენტის ხელმოწერის ნიმუშთან და პირადობის დამადასტურებელი საბუთის მონაცემებთან, ამზადებს გასაცემ თანხას და გადასცემს მიმღებს ფულს.

საოპერაციო დღის ბოლოს სალაროს მუშაკი ადგენს ცნობას სალაროდან დღის განმავლობაში გაცემული ფულისა და საბუთების რაოდენობის შესახებ და უდარებს მას ბუღალტრულ ჩანაწერებს.

საოპერაციო დღის განმავლობაში გაცემული ნაღდი ფული აისახება სალაროს შესაბამის ანგარიშებზე (აქტივის კლება) და კლიენტის ანგარიშზე (პასივის კლება) იმავე სამუშაო დღის განმავლობაში.

ბანკს შეუძლია ნაღდ ფულთან დაკავშირებული ოპერაციები განახორციელოს ბანკომატისა და ფულის მიღება-გაცემის სხვა ალტერნატიული ავტომატური მოწყობილობის მეშვეობით, რომელიც უნდა იძლეოდეს ამონაბეჭდს, როგორც კლიენტისათვის გაცემული თანხის ოდენობის, ისე არსებული და ჩატვირთული ნაღდი ფულის ოდენობის შესახებ.

17.3. ბანკნოტებისა და მონეტების ფორმირება

გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყნის მასშტაბით ცენტრალური ბანკისა და კომერციული ბანკების საცავებსა და სალაროებში მუდმივად ხდება ნაღდი ფულის მოძრაობა, დიდი მნიშვნელობა აქვს მათი ერთიანი სტანდარტით ფორმირებასა და შეფუთვას. საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ საბანკო სისტემაში მოქმედებს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ნაღდი ფულის (ბანკნოტებისა და მონეტების) ფორმირებისა და შეფუთვის ერთიანი წესი. ნაღდი ფულის ფორმირებისას ხდება მათი დახარისხება („ფორმირება“) ცალცალკე ბანკნოტებისა და მონეტების, ვალუტების, ნომინალებისა და ვარგისობის კატეგორიების მიხედვით.

პირველი მოთხოვნა ფულის ფორმირებისას არის ის, რომ უნდა მოხდეს ერთი და იმავე ნომინალის 100-ფურცლიანი შეკვრის ფორმირება, რომელსაც მოიხსენიებენ „ნეკნებად“. ერთი და იმავე ნომინალის 10 ნეკნის ერთად შეკვრით მიიღება ერთი სრული „კონა“. ამით ფორმირების პროცესი მთავრდება.

ერთი და იმავე ნომინალის ბანკნოტების სრული ნეკნები, რომელთაგან სრული კონების (10 ნეკნი) ფორმირება არ ხერხდება, შეიძლება შეიფუთოს არასრულ კონებად, რომელთა ეტიკეტზე (ზედსადებზე) დამატებით აღინიშნება წარწერა „არასრული“. სხვადასხვა ნომინალის ბანკნოტის სრული და არასრული ნეკნები შეიძლება დაფორმირდეს ნაკრებ კონებად, რომელთა თითოეული ნეკნი არ უნდა შეიცავდეს ასზე მეტ ფურცელს. ნაკრები კონების ეტიკეტზე (ზედსადებზე) დამატებით აღინიშნება წარწერა „ნაკრები“.

რაც შეეხება მონეტების ფორმირებას, იგი ხდება პაკეტებში ნომინალის მიხედვით. ერთ პაკეტში მოთავსებული ეროვნული ვალუტის მონეტების

ეროვნული ფინანსური

მაქსიმალური რაოდენობა განსხვავებულია ნომინალების მიხედვით, მაგალითად, უნდა იყოს: 1 თეთრი – 2 000 ცალი, 2 თეთრი – 1 500 ცალი, 5 თეთრი – 1 000 ცალი, 10 თეთრი – 1 000 ცალი, 20 თეთრი – 800 ცალი, 50 თეთრი – 1 000 ცალი, 1 ლარი – 500 ცალი, 2 ლარი – 500 ცალი, 10 ლარი – 500 ცალი. მონეტების ფორმირებაც შესაძლებელია არასრულ და ნაკრებ პაკეტებად, რაზედაც შესაბამისად მიეთითება წარწერა – „არასრული“ ან „ნაკრები“.

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ ბოლო პერიოდში გარკვეული კორექტივები შეიტანა ფულის ფორმირების მოთხოვნებში. მაგალითად, ბოლო წლებში, ახალი მოთხოვნებით, ფულის ნიშნების შეფუთვა ხდება პოლიეთილენის პაკეტებში, რაც ხორციელდება სპეციალური დანადგარით. ბანკნოტებისა და მონეტების პოლიეთილენის პაკეტით შეფუთვა ხდება პაკეტის შედუღებით, რომლის ნაკერზეც ისმება კლიშეს ანაბეჭდი შემდეგი რეკვიზიტებით: ბანკის დასახელება და კოდი.

აუცილებელია, ბანკნოტების კონებისა და მონეტების პაკეტის ეტიკეტზე (ზედსადებზე) მიეთითოს ვალუტის დასახელება, ნომინალი, ბანკნოტების/მონეტების რაოდენობა, მთლიანი თანხა (ნაკრების შემთხვევაში, დამატებით – თანხა ნომინალების მიხედვით), შეფუთვის თარიღი, იმ პირის ხელმოწერა, ვინ დაახარისხა ფული („მფორმირებელი“), ბანკის დასახელება და კოდი, ასევე შესაძლებელია მფორმირებელი პირის სახელის, გვარის ან რიგითი ნომრის მითითება. აღნიშნული ინფორმაციის დასატანად კომერციულ ბანკებს უნდა ჰქონდეთ ნაღდი ფულადი ოპერაციებისათვის საჭირო ბეჭდები, შტამპები და დასალუქავი საშუალებები.

რაც შეეხება ეროვნულ ბანკში კომერციული ბანკებიდან ნაღდი ფულის მიღებასა და საქართველოს ეროვნული ბანკიდან კომერციულ ბანკზე ნაღდი ფულის გაცემას, ხორციელდება კონტეინერების მეშვეობით, რომელთა დასამზადებელი მასალის, ზომების, ფორმის, წონის, მდგრადობის, კონსტრუქციის, საკეტისა და საინფორმაციო ეტიკეტის მიმართ არსებობს სპეციალური მოთხოვნები.

17.4. ფულადი სახსრების ინკასაცია

სიტყვა **ინკასაცია** იტალიური წარმოშობისაა და, ფართო გაგებით, ნიშნავს კომპანიასა და მის განყოფილებებს შორის ნაღდი ფულადი სახსრების შეგროვებისა და გადატანის მოწესრიგებულ სისტემას. საბანკო საქმეში ინკასაცია გულისხმობს ბანკების მიერ საინკასაციო სამსახურის მეშვეობით საკუთარი ფილიალების, სერვისცენტრების, კვანძგარეთა საოპერაციო სალაროებისა და ბანკომატების მომარაგებას ნაღდი ფულით და ასევე ჭარბი ნაღდი ფულის წამოღებას მათი წარმოქმნის შემთხვევაში.

როგორც წესი, საბანკო წერტილების მომარაგება ნაღდი ფულით დილის საათებში ხდება და ამ პროცესს საბანკო ტერმინოლოგიით „სალაროს გამაგრებას“ უწოდებენ. ჭარბი ფულის წამოღება უფრო საღამოს საათებში ხორციელდება. საბანკო წერტილებიდან წამოღებული ჭარბი ფულით ხდება ან სხვა ფილიალებისა თუ სერვისცენტრების სალაროების გამაგრება, ან სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავო ბანკში თავმოყრა, ან კიდევ ეროვნულ ბანკსა თუ რომელიმე კომერციულ ბანკში შეტანა საკორესპონდენტო ანგარიშის ნაშთების გასაზრდელად. აღნიშნული სერვისი კომერციულმა ბანკმა შეიძლება განახორციელოს საკუთარი საინკასაციო სამსახურის მეშვეობით ან დაიქირაოს ამისთვის სხვა ბანკის საინკასაციო ბრიგადა. საკუთარი საინკასაციო სამსახურის შექმნა საკმაოდ ძვირადღირებული ინვესტიციაა და მისი შენახვაც ყოველთვიურ მნიშვნელოვან თანხებთანაა დაკავშირებული, ამიტომ ამის უფლებას ყველა ბანკი ვერ აძლევს საკუთარ თავს.

საკუთარი საინკასაციო სამსახურის შექმნის მოტივატორი შეიძლება გახდეს ასევე მსხვილი კორპორაციული კლიენტებისათვის საინკასაციო სერვისის, როგორც დამატებითი მომსახურების, შეთავაზება. აღნიშნული ნაბიჯით ხდება, ერთი მხრივ, კორპორაციული კლიენტების გადმობირება სხვა ბანკიდან და, მეორე მხრივ, იგი დამატებითი შემოსავლების წყარო ხდება. იმ კორპორაციულ კლიენტებს შორის, რომლებიც შეიძლება დაინტერესდნენ ბანკების მიერ შეთავაზებული საინკასაციო მომსახურებით, არიან გაყიდვების ფართო ქსელის მქონე სავაჭრო თუ მომსახურების კომპანიები (მაგალითად: ბენზინგასამართი სადგურები, აფთიაქები და სხვ.). ასეთი კომპანიებისათვის ფართო ქსელიდან ნავაჭრი ფულის ნაშთების ბანკებში საკუთარ ანგარიშებზე მობილიზება დაკავშირებულია დამატებით ხარჯებთან და დიდ რისკებთან, ამიტომ ბანკების მიერ შეთავაზებული საინკასაციო სერვისი ორივე მხარისათვის მომგებიანია.

ამ პროცესს ისიც უწყობს ხელს, რომ ინკასაციის მეშვეობით, ფულის გარდა, შეიძლება სხვა ფასეულობათა გადატანა, კერძოდ, ფასიანი ქაღალდების, ძვირფასი ლითონებისა და ქვების, ხელოვნების ნიმუშების, მნიშვნელოვანი დოკუმენტების (მაგალითად, საარჩევნო ბიულეტენები), საბანკო ბარათების და ა.შ.

საინკასაციო მომსახურების განსახორციელებლად ბანკების მიერ შექმნილი საინკასაციო სამსახური უზრუნველყოფილი უნდა იყოს სპეციალური ნიშნებით, მაშუქი და ხმოვანი სასიგნალო საშუალებებით, რადიოკავშირით, ინკასატორთა უსაფრთხოებისა და გადასატანი ფასეულობების დაცვის საშუალებებით აღჭურვილი დაჯავშნილი ავტოტრანსპორტით. ინკასაციის თანამშრომლები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ სპეციალური აღჭურვილობითა და იარაღით, მათი უსაფრთხოებისათვის აუცილებელი დაცვის ინდივიდუალური საშუალებებით (ჯავშანჟილეტები და სხვ.). მნიშვნელოვანია, საინკასაციო სამსახურის თანამშრომლები იყვნენ სათანადოდ ჯანმრთელნი, ჰქონდეთ გავლილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში შემოწმება და სპეციალური მომზადების კურსები, ასევე ნებართვა იარაღის ტარებისა და შენახვისათვის.

ერთი შეხედვით, სიმარტივის მიუხედავად, ინკასაცია რთული და სისტემური ოპერაციაა, რომელსაც სჭირდება მომზადება, დაგეგმვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა, აღრიცხვა და კონტროლი. ინკასაციის ოპერაციების განხორციელება ხდება არა ცალკეული ინკასატორის, არამედ ინკასატორთა ბრიგადის მიერ. საინკასაციო ბრიგადის რაოდენობრივი შემადგენლობა დამოკიდებულია სამუშაოს მოცულობასა და ოპერაციის სირთულეზე. ერთ-ერთი ინკასატორი ინიშნება საინკასაციო ბრიგადის უფროსად. თუ საინკასაციო ოპერაციას ასრულებს ორი მუშაკი, ბრიგადის უფროსის მოვალეობას ასრულებს მძღოლ-ინკასატორი.

ფულისა და სხვა ფასეულობის გადატანა ხდება სპეციალური საინკასაციო ჩანთების მეშვეობით, რომლებიც მზადდება სპეციალური მასალისაგან, დალუქულია სპეციალური წესით და თან ახლავს სათანადო დოკუმენტები. კომერციულ ბანკში უნდა არსებობდეს დეტალური ინსტრუქცია საინკასაციო სამსახურის მუშაობის ორგანიზების შესახებ, კერძოდ, როგორ ხდება დავალების მიღება, გამგზავრება, საინკასაციო ჩანთებისა და თანმხლები დოკუმენტების მიღება, ადგილზე მიტანა და ჩაბარება, უსაფრთხოების, პასუხისმგებლობის, კონტროლის, აღრიცხვისა და სათანადო დოკუმენტების შედგენის წესების ჩათვლით.

განსაკუთრებული მოთხოვნაა კომერციული ბანკის მიერ ეროვნულ ბანკში ან საქართველოს ეროვნული ბანკიდან განხორციელებული ნაღდი ფულისა და ფასეულობის ინკასირებისადმი. ამ დროს კომერციული ბანკი ეროვნულ ბანკს წერილობითი ფორმით წინასწარ უგზავნის ინფორმაციას ინკასაციის განმახორციელებელი უფლებამოსილი პირებისა და ავტომანქანების შესახებ.

საკონტროლო კითხვები:

1. როგორ დაახასიათებდით საკასო ოპერაციების მნიშვნელობას ბანკებისათვის თანამედროვე პირობებში?
2. რა არის საქართველოს ეროვნული ბანკის საკასო ოპერაციების არსი?
3. როგორ განმარტავდით კომერციული ბანკის საკასო ოპერაციებს?
4. რომლებია კომერციული ბანკის სალაროს მეურნეობის ორგანიზების უმნიშვნელოვანესი ელემენტები?
5. რას წარმოადგენს კომერციული ბანკის სალაროს კვანძი და რას მოიცავს იგი?
6. რას წარმოადგენს კომერციული ბანკის ფასეულობათა საცავი?
7. რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს კომერციული ბანკის ჩვეულებრივი სალარო?
8. როგორია საქართველოს ბანკებში ნაღდი ფულისა და ფასეულობათა აღრიცხვის წესი?
9. რას წარმოადგენს კომერციული ბანკის კვანძგარეთა საოპერაციო სალარო?
10. როგორია მოლარის მიერ დღის განმავლობაში ფულის მიღებისა და ჩაბარების წესი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. რა შეგიძლიათ თქვათ ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობის აღრიცხვის წიგნსა და სხვა დოკუმენტებზე?
12. რა ხდება სალაროში არსებულ ფულის (ფასეულობის) ნაშთსა და ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებს შორის სხვაობის თუ ზედმეტობის აღმოჩენის შემთხვევაში?
13. რას გულისხმობს სალაროს მეურნეობის სისტემატური კონტროლი და მონიტორინგი?
14. რა ხდება სალაროს შემოწმების შედეგად გამოვლენილი დანაკლისის ან ზედმეტობის აღმოჩენის დროს?
15. რა შეზღუდვები უწესდებათ ბანკის სალაროს მუშაკებს (მოლარეები) და რა ვალდებულებები აკისრიათ მათ?
16. რას უზრუნველყოფს ფულადი ნაშთების ბრუნვის პროგნოზირება?
17. რა არის კომერციული ბანკების მთავარი ამოცანა საკასო ბრუნვების პროგნოზირებისას და როგორ ხორციელდება იგი?
18. რას ნიშნავს ტერმინები „დღის სალარო“ და „საღამოს სალარო“?
19. როგორია ბანკის სალაროში ნაღდი ფულის მიღების წესი?
20. რა შეგიძლიათ თქვათ სალაროს შემოსავლის ორდერის შესახებ?
21. როგორია საბანკო ქსელში მოხვედრილი საეჭვო ფულის ნამდვილობის დადგენის მექანიზმი?
22. როგორია ბანკის სალაროდან ნაღდი ფულის გაცემის წესი?
23. რა შეგიძლიათ თქვათ სალაროს გასავლის ორდერის შესახებ?
24. რას გულისხმობს ნაღდი ფულის ფორმირებისას გამოყენებული ტერმინები „ნეკნი“ და „კონა“?
25. რა შეგიძლიათ თქვათ ბანკნოტებისა და მონეტების ფორმირების წესზე საქართველოში მოქმედ ბანკებში?
26. რა აუცილებელი რეკვიზიტები მიეთითება ბანკნოტების კონებისა და მონეტების პაკეტის ეტიკეტზე?
27. რას ნიშნავს სიტყვა „ინკასაცია“ და რას გულისხმობს იგი ჩვენს შემთხვევაში?
28. რას გულისხმობს ტერმინი „სალაროს გამაგრება“ და რა მოიაზრება ამ პროცესში?
29. რა მოტივაციები ამოძრავებს კომერციული ბანკის მენეჯმენტს საკუთარი საინკასაციო სამსახურის შექმნისას?
30. რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ბანკების მიერ შექმნილი საინკასაციო სამსახურები?

თავი 18

კომერციული ბანკის ოპერაციები ფასიანი ქაღალდებით

შინაარსი:

18.1. კომერციული ბანკი და ფასიანი ქაღალდების ბაზარი;
18.2. კომერციული ბანკის საინვესტიციო ოპერაციები ფასიანი ქაღალდებით;
18.3. ოფციონები, ფიუჩერსები, სვოპები.

ძირითადი ელემენტები:

1. ბანკები და ფასიანი ქაღალდების ბაზარი;
2. საქართველოს საბანკო სისტემა და ოპერაციები ფასიანი ქაღალდებით;
3. კომერციული ბანკის საინვესტიციო ოპერაციები;
4. კომერციული ბანკის საინვესტიციო პორტფელი;
5. ვადიანი გარიგებების ბაზარი, ჰეჯირება და დერივატივები;
6. ოფციონები;
7. ფიუჩერსები;
8. სვოპები.

გამოყენებული სქემები, ნახატები და ცხრილები:

სქემა №18.1. საბანკო დაწესებულებების ოპერაციები ფასიანი ქაღალდებით;
სქემა №18.2. საქართველოს საბანკო დაწესებულებების ოპერაციები ფასიანი ქაღალდებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

18.1. კომერციული ბანკი და ფასიანი ქაღალდების ბაზარი

ფინანსურ ბაზრებზე ახალი ინსტიტუტებისა და ახალი ინსტრუმენტების გამოჩენა მუდმივად უბიძგებს კომერციულ ბანკებს ადაპტაციისაკენ, რაც თავისთავად იწვევს მათი სამოქმედო სივრცის გაფართოებასა და უნივერსალიზაციას. ბანკები ცდილობენ, არ ჩამორჩნენ დროს, გაზარდონ მოქმედების არეალი და მოახდინონ საკუთარი საქმიანობის მიმართულებების დივერსიფიკაცია. ყოველივე ზემოალნიშნულის კარგი მაგალითია კომერციული ბანკების მონაწილეობა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე.

XX საუკუნის დასაწყისში, როცა დასავლეთის განვითარებული ქვეყნების მთავრობებმა მიიღეს გადაწყვეტილება ბანკებისათვის ფასიანი ქაღალდების ბაზარზე პირდაპირი მონაწილეობის გარკვეული შეზღუდვებისა და ბარიერების დაწესების შესახებ, ამან აიძულა ბანკები, ყოფილიყვნენ შემოვლითი გზების მუდმივ ძიებაში. ამასთან, ფასიანი ქაღალდების ბაზარი სულ უფრო ვითარდებოდა და შემოსავლიანი ხდებოდა, რაც კიდევ უფრო ზრდიდა ბანკების ინტერესს ფასიანი ქაღალდების ბაზრისადმი.

გლობალური ეკონომიკის განვითარებასთან ერთად, უკვე **XX** საუკუნის 70-იანი წლებიდან თანდათან იცვლება განვითარებული ქვეყნების მთავრობების მიდგომა ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე კომერციული ბანკების მონაწილეობისადმი და იწყება დაწესებული შეზღუდვების მოხსნა ან შემსუბუქება. ამ პროცესის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს **XX** საუკუნის ბოლოს აშშ-ში გლას-სტიგალის 1933 წელს მიღებული ცნობილი კანონის გაუქმება, რომელიც უკრძალავდა ამერიკულ ბანკებს საინვესტიციო საქმიანობას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ბანკების საქმიანობა საფონდო ბაზრებზე რეგულირდება კანონმდებლობით და ამ ქვეყნების ბანკებს უწევთ შემოვლითი გზების ძიება სატრასტო, საბროკერო და საინვესტიციო კომპანიების მეშვეობით.

ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მონაწილეობა კომერციულ ბანკებს საშუალებას აძლევს, მიიღონ სამი უმნიშვნელოვანესი სარგებელი:

- გაზარდონ შემოსავალი;
- უფრო ეფექტიანი და მოქნილი გახადონ მათი ლიკვიდობის მართვა;
- უფრო ეფექტიანად მოახდინონ ადაპტაცია და ახალი ბაზრების ათვისება.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი – ესაა ფინანსური ბაზრის ნაწილი, რომელიც მოიცავს ფასიანი ქაღალდების ისეთ ოპერაციებს, როგორებიცაა მათი ემისია და ყიდვა-გაყიდვა. ფასიანი ქაღალდების ბაზრის მეშვეობით ხდება სახელმწიფოს, იურიდიული და ფიზიკური პირების ფულადი დანაზოგების აკუმულირება და მათი მიმართვა კაპიტალის ბაზრებისაკენ. მნიშვნელოვანია, რომ ფასიანი ქაღალდების ბაზარი ავსებს საბანკო კრედიტის სისტემას და ურთიერთქმედებს მასთან.

მიუხედავად იმისა, რომ ბანკების როლი და მონაწილეობის ხარისხი ფასიანი ქაღალდების ბაზარზე განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით, შეიძლება აღინიშნოს ზოგიერთი ზოგადი ხასიათის კანონზომიერება ამ მიმართულებით.

იმ ქვეყნებში, სადაც კანონმდებლობით კომერციული ბანკებისათვის ნებადართულია ფასიანი ქაღალდებით ყველა სახეობის ოპერაცია, ბანკები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვევლინებიან ემიტენტების, შუამავლების და ინვესტორების როლში. საქმიანობის თითოეული ზემოაღნიშნული სახეობა შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა სახეობის ოპერაციას, რომელთა დაჯგუფება შესაძლებელია ოთხ ძირითად მიმართულებად (სქემა №18.1.), ესენია:

1) ფასიანი ქაღალდების გამოშვება;
2) ინვესტიციების განხორციელება;
3) პროფესიული საქმიანობა;
4) ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ტრადიციული საბანკო მომსახურება.

განვიხილოთ უფრო დეტალურად თითოეული მათგანი:



სქემა №18.1. საბანკო დაწესებულებების ოპერაციები ფასიანი ქაღალდებით

1) ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ბანკების, როგორც ემიტენტების, საქმიანობა გულისხმობს **ორი ტიპის ფასიანი ქაღალდების გამოშვებასა** და პირველად განთავსებას, რომელთა შორისაა:

- ემისიური ფასიანი ქაღალდები – აქციები, ობლიგაციები, ოფციონები;
- არაემისური ფასიანი ქაღალდები – სერტიფიკატები, თამასუქები.

საკუთარი აქციების გამოშვებით ბანკები გვევლინებიან სააქციო საზოგადოებებად, ხოლო ობლიგაციების, სერტიფიკატებისა და თამასუქების გამოშვებით ისინი ახდენენ რესურსების აკუმულირებას.

2) ბანკების მიერ **ინვესტიციების განხორციელება**, ანუ მათი საინვესტიციო საქმიანობა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, გულისხმობს შემდეგი ოპერაციების განხორციელებას:

- ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა;
- რესურსების მოზიდვა ადრე ნაყიდი ფასიანი ქაღალდების დაგირავებით;
- მონაწილეობა კომპანიების მართვაში, რომელთა აქციების შეძენა განხორციელებულია მის მიერ.

საქართველოს კანონმდებლობით, კომერციული ბანკების საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს არეგულირებს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" (მუხლი 10).

3) ბანკების **პროფესიული საქმიანობა** ფასიანი ქაღალდების ბაზარზე გულისხმობს შემდეგი სახეობის ოპერაციებს:

- დილინგური ოპერაციები – ბანკების მიერ ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა საკუთარი სახელით და რისკის ფასად მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით;
- ბროკერული საქმიანობა – ბანკების მიერ ფასიანი ქაღალდების იმ ოპერაციების განხორციელება, რომლებშიც ისინი მონაწილეობენ შუამავლების ან ნდობით აღჭურვილი პირების როლში;
- ნდობითი ოპერაციები – ბანკისათვის გარკვეული დროით გადაცემული ფასიანი ქაღალდების მართვა, რომელსაც ბანკი ახორციელებს საკუთარი სახელით;
- დეპოზიტური მომსახურება – ფასიანი ქაღალდების შენახვასთან დაკავშირებული ოპერაციები;
- რეგისტრატორის მომსახურება – ოპერაციები, რომლებიც დაკავშირებულია მესაკუთრეთა ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოებასთან, ანუ ინფორმაციის შეგროვებასთან, დამუშავებასთან, აღრიცხვასა და მიწოდებასთან;
- ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის ორგანიზება – ოპერაციები, რომლებიც დაკავშირებულია ფასიანი ქაღალდების მონაწილეებს შორის გარიგებების დადების მომსახურების გაწევასთან;
- საკონსულტაციო მომსახურება.

ამ ოპერაციების არეალი და მასშტაბი (შეზღუდვები) კომერციული ბანკებისათვის რეგულირდება კონკრეტული ქვეყნის კანონმდებლობით.

4) ბანკების მიერ **ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ტრადიული საბანკო მომსახურება** გულისხმობს შემდეგი სახეობის ოპერაციებს:

- კრედიტების ან საბანკო გარანტიების გაცემა კლიენტებზე ფასიანი ქაღალდების გირავნობით;
- კრედიტების ან საბანკო გარანტიების გაცემა კლიენტებზე ფასიანი ქაღალდების შესაძენად;
- საბანკო გარანტიების გაცემა ობლიგაციების ან სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან დაკავშირებით;

ეროვნული ბანკი

- გადახდების განხორციელება ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეებს შორის.

დღეისათვის საქართველოში შექმნილია ძირითადი სამართლებრივი საფუძველი ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებისათვის. ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში რეგულირდება შემდეგი ნორმატიული აქტებით: კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ", ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ", კანონი „ჩეკის შესახებ", კანონი „თამასუქის შესახებ", „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი" და სხვ.

ქართული კანონმდებლობით, ფასიანი ქაღალდების მონაწილეები არიან ინვესტორები, ემიტენტები, ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილეები და აუდიტორები. მათ შორის, ფასიანი ქაღალდების ბაზრის **რეგულირებადი მონაწილეები**, ანუ სპეციალური ლიცენზიის მქონე მონაწილეები არიან: საფონდო ბირჟა, ცენტრალური დეპოზიტარი, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი, ანგარიშვალდებული საწარმო, ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალი.

საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზარს 2007 წლამდე აწესრიგებდა და ზედამხედველობდა საქართველოს ფასიანი ქაღალდების კომისია. ეს იყო საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც თავის საქმიანობაში იყო დამოუკიდებელი. 2007 წლის 11 ივლისს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით მოხდა კომისიის ლიკვიდაცია და ზემოაღნიშნული ფუნქციები გადაეცა საქართველოს ეროვნულ ბანკს.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაწილეობა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ორი სახეობისაა:

- ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებისას იგი აწარმოებს ოპერაციებს ღია ბაზარზე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებითა და ასევე მის მიერვე გამოშვებული ფასიანი ქაღალდებით პირდაპირი შეძენის ან გაყიდვის გზით;
- ახორციელებს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველობას.

ანუ საქართველოს ეროვნული ბანკი გვევლინება ფასიანი ქაღალდების ბაზრის ერთ-ერთ მონაწილედ და მის ზედამხედველადაც.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირება და ზედამხედველობა ვლინდება შემდეგში:

- გასცემს და აუქმებს ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილეების ლიცენზიებს;
- ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებად მონაწილეებს უდგენს მინიმალური კაპიტალის მოთხოვნებს;
- ახორციელებს ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილეების საქმიანობის მონიტორინგს, შემოწმებას, გამოკვლევებს და აწესებს სანქციებსა და ჯარიმებს დარღვევების შემთხვევაში;
- ამტკიცებს ემიტენტების ემისიის პროსპექტებს;
- არეგულირებს ემიტენტების მიერ ფასიანი ქაღალდების გამოშვებისას და მიმოქცევისას წარმოშობილ ურთიერთობებს;
- იღებს, ცვლის და აუქმებს ფასიანი ქაღალდების რეგულირებასთან დაკავშირებულ წესებს, კანონმდებლობის შესაბამისად.

თუმცა, საკანონმდებლო და საბანკო წრეებში გავრცელებულია აზრი ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეების ზედამხედველობის ფუნქციის ეროვნული ბანკისათვის ჩამორთმევისა და ამ მიზნით შექმნილი სპეციალური კომისიისათვის გადაცემის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბოლოს, განვიხილოთ საქართველოში ბანკების ანგარიშთა გეგმის მიხედვით განსახორციელებელი ფასიანი ქაღალდების ოპერაციების ძირითადი სახეობები, რომლებიც გამოსახულია სქემაზე №18.2:

დავახასიათოთ თითოეული მათგანი:



სქემა №18.2. საქართველოს საბანკო დაწესებულებების ოპერაციები ფასიანი ქაღალდებით

1) **აქტიური ოპერაციები**, სადაც აღირიცხება ის ფასიანი ქაღალდები, რომლებიც შეძენილია საბანკო დაწესებულების მიერ დაფარვის ვადამდე ფლობის ან შემდეგი გაყიდვის მიზნით (დილინგური ოპერაციებისათვის). მათ შორის:

- **სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდები (მე-14 კლასი)** – აქ შედის დისკონტური და კუპონური სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდები.

მე-14 კლასზე არსებული ანგარიშები გამოიყენება იმ საინვესტიციო დისკონტური და კუპონური სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების აღრიცხვისათვის, რომელთა ფლობას ბანკი აპირებს ფასიანი ქაღალდის დაფარვის ვადამდე.

ეს ფასიანი ქაღალდები ხასიათდება ფიქსირებული პროცენტის განაკვეთით.

- **ფასიანი ქაღალდები დილინგური ოპერაციებისათვის (მე-15 კლასი)** – აქ აღირიცხება აქციები, სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდები და კორპორაციული სავალო ფასიანი ქაღალდები.

მე-15 კლასზე არსებული ანგარიშების გამოყენება ოთხ პირობით სახეობად შეიძლება დავყოთ:

აქციები (ანგარიშები 1501 (ლარში) და 1511 (უცხოურ ვალუტაში) – იმ არაფიქსირებული შემოსავლების მქონე ფასიანი ქაღალდების აღსარიცხავად, რომელთაც ბანკი ინახავს დილინგური ოპერაციების შესასრულებლად.

ამ ანგარიშებზე აღრიცხული ფასიანი ქაღალდების წმინდა ღირებულება გადაფასდება საბაზრო ღირებულებით, ცვლილებათა გათვალისწინებით თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდები (ანგარიშები 1502 (ლარში) და 1512 (უცხოურ ვალუტაში) – იმ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების აღსარიცხავად, რომელთაც ბანკი გამოიყენებს ორგანიზებულ ბაზარზე აქტიური ვაჭრობისათვის.

ამ ანგარიშზე არსებული ფასიანი ქაღალდები ექვემდებარება გადაფასებას თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, საბაზრო ფასის შესაბამისად.

კორპორაციული სავალო ფასიანი ქაღალდები (ანგარიშები 1503 (ლარში) და 1513 (უცხოურ ვალუტაში) – იმ კორპორაციული სავალო დილინგური ფასიანი ქაღალდების აღსარიცხავად, რომელთაც ბანკი გამოიყენებს ორგანიზებულ ბაზარზე აქტიური ვაჭრობისათვის.

ამ ანგარიშზე არსებული ფასიანი ქაღალდები ექვემდებარება გადაფასებას თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, საბაზრო ფასის შესაბამისად.

ეროვნული ბანკის სავალო ფასიანი ქაღალდები ლარში (ანგარიში 1504) – ეროვნული ბანკის იმ ფასიანი ქაღალდების აღსარიცხავად, რომელთაც ბანკი გამოიყენებს ორგანიზებულ ბაზარზე აქტიური ვაჭრობისათვის. ეს ანგარიში ახალია და გამოიყენება ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებული ოქროს სერტიფიკატების აღსარიცხავად.

ამ ანგარიშზე არსებული ფასიანი ქაღალდები ექვემდებარება გადაფასებას თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს საბაზრო ფასის შესაბამისად.

- **კორპორაციული სავალო ფასიანი ქაღალდები (მე-16 კლასი)** – აქ შედის დისკონტური და კუპონური სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდები.

მე-16 კლასზე არსებული ანგარიშები გამოიყენება იმ საინვესტიციო დისკონტური და კუპონური კორპორაციული ფასიანი ქაღალდების აღსარიცხავად, რომელთა ფლობას ბანკი აპირებს ფასიანი ქაღალდის დაფარვის ვადამდე.

ეს ფასიანი ქაღალდები ხასიათდება ფიქსირებული პროცენტის განაკვეთით.

2) პასიური ოპერაციები (38-ე კლასი), სადაც აღირიცხება ბანკის მიერ გამოშვებული დისკონტური და კუპონური ფასიანი ქაღალდები, რომლებიც ემიტრებულია ფიქსირებული ვადით და ფიქსირებული განაკვეთის საფუძველზე.

გარდა ამისა, ბალანსგარეშე ანგარიშზე 0602 აღირიცხება ბანკის საცავებში შენახული ღირებულება იმ ფასიანი ქაღალდებისა, რომელთა შენახვაზეც ბანკმა იკისრა ვალდებულება და პასუხისმგებლობა.

18.2. კომერციული ბანკის საინვესტიციო ოპერაციები ფასიანი ქაღალდებით

საბანკო პრაქტიკაში ინვესტირება, როგორც წესი, გულისხმობს დაბანდებებს კომპანიების ფასიან ქაღალდებში შედარებით გრძელვადიანი პერიოდით. **კომერციული ბანკების საინვესტიციო ოპერაციები** – ესაა ფასიანი ქაღალდების ყიდვა და გაყიდვა საკუთარი ინიციატივით, საკუთარი სახელით და საკუთარი რისკის ფასად. თავისი საინვესტიციო საქმიანობით კომერციული ბანკი იღებს ორი სახეობის სარგებელს:

- **პირდაპირი სარგებელი** – ესაა დივიდენდები, პროცენტები ან შემოსავალი მათი გაყიდვის შემდეგ;
- **არაპირდაპირი სარგებელი** – გავლენის გაფართოება და ბაზრის წილის ზრდა, ახალი კლიენტურის გაჩენა.

საინვესტიციო ოპერაციების განხორციელების შედეგად კომერციულ ბანკში ფორმირდება ფასიანი ქაღალდების, ანუ საინვესტიციო პორტფელი. **ბანკის საინვესტიციო პორტფელი** ფასიანი ქაღალდების ერთობლიობაა, რომელიც მის მიერ შეძენილია შემოსავლების მისაღებად და ლიკვიდობის აუცილებელი დონის უზრუნველსაყოფად. საკრედიტო პორტფელის შემთხვევის მსგავსად, საინვესტიციო პორტფელის ფორმირებისას, კომერციული ბანკი ცდილობს უზრუნველყოს წონასწორობა ლიკვიდობასა და მომგებიანობას შორის.

იმისათვის, რომ კომერციულმა ბანკმა შექმნას მაღალლიკვიდური და, ამასთან, მომგებიანი საინვესტიციო პორტფელი, აუცილებელია, არსებობდეს **ეფექტიანი საინვესტიციო საქმიანობის პირობები**. ამ პირობებიდან აღსანიშნავია:

- ქვეყანაში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების დამაკმაყოფილებელი დონე, რომელიც ბანკს აძლევს საინვესტიციო პორტფელის დივერსიფიკაციის საშუალებას ფასიანი ქაღალდების სახეობების, ვადებისა და ემიტენტების მიხედვით;
- ფასიანი ქაღლდების მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის არსებობა და ბაკებისათვის ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მონაწილეობის შეზღუდვების ხარისხი;
- კომერციულ ბანკში სათანადო კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლების არსებობა, რომლებიც ახორციელებენ საინვესტიციო პორტფელის ფორმირებას და მის მართვას.

კომერციული ბანკის საინვესტიციო პორტფელი ასრულებს სხვადასხვა ფუნქციას: შემოსავლების ზრდა, ლიკვიდობის რეზერვის შექმნა და კომპანიების მართვის შესაძლებლობა. განვიხილოთ ისინი უფრო დეტალურად:

- **შემოსავლების ზრდა**. ბუნებრივია, ეფექტიანი საინვესტიციო პორტფელი კომერციული ბანკისათვის მნიშვნელოვანი შემოსავლების წყაროა, რომელიც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ბანკის საბაზრო ღირებულების ზრდას;
- **ლიკვიდობის რეზერვის შექმნა**. აღნიშნული ფუნქცია მეტად მნიშვნელოვანია კომერციული ბანკებისათვის, გამომდინარე იქიდან, რომ მათი რესურსების უმეტეს ნაწილს წარმოადგენს მოკლევადიანი ანაბრები და ანგარიშები მოთხოვნამდე, რომელთა გატანა მფლობელების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიერ შეიძლება მოხდეს ნებისმიერ დროს. თავისი დროებით თავისუფალი სახსრების მაღალლიკვიდურ ფასიან ქაღალდებში ინვესტირებით ბანკები მეტად იადვილებენ ლიკვიდობის მართვას, ვინაიდან ასეთი ფასიანი ქაღალდების გაყიდვა ბაზარზე ან მათი დაგირავებით კრედიტის მიღება ბანკთაშორის ბაზარზე ადვილია. ლიკვიდობის რეზერვის შესაქმნელად, როგორც წესი, გამოიყენება სახელმწიფო და პირველი კლასის კომპანიების ფასიანი ქაღალდები;

- **კომპანიების მართვის შესაძლებლობა**. აღნიშნული ფუნქცია ბანკს შესაძლებლობას აძლევს, მიიღოს მონაწილეობა იმ კომპანიების მართვაში, რომლებიც მისი ინტერესის ობიექტს წარმოადგენენ. რა თქმა უნდა, ამის უზრუნველყოფა მხოლოდ აქციების გარკვეული პაკეტითაა შესაძლებელი. აღნიშნული ფუნქცია ბანკს დამატებითი შემოსავლების მიღების შესაძლებლობასაც აძლევს ამ შვილობილი კომპანიისათვის სრული საბანკო მომსახურების შეთავაზებით.

რა თქმა უნდა, კომერციული ბანკის საინვესტიციო პორტფელის ფორმირების ერთ-ერთი უმთავრესი საკითხია საფონდო ინსტრუმენტების მიმზიდველობის შეფასება. ამ კუთხით ბანკების მიერ ხდება საფონდო ბაზრის შესწავლა შემდეგი მეთოდებით:

- **ემიტენტების ფინანსური მდგომარეობის ანალიზი (იგივე ფუნდამენტური ანალიზი)** – რაც გულისხმობს ემიტენტის აქტივების, პასივების, კაპიტალის, შემოსავლების, მომგებიანობის, რენტაბელობის, გაყიდვების და ა.შ. არსებული მდგომარეობისა და დინამიკის საფუძვლიან ანალიზს. აღნიშნულ და სხვა დამატებით ინფორმაციაზე დაყრდნობით ბანკის შესაბამისი სამსახურების მიერ ხდება პროგნოზის გაკეთება ამ ემიტენტის ფასიანი ქაღალდების ფასის ზრდის ან შემცირების შესახებ, რაც ხდება ამ ფასიანი ქაღალდების ყიდვის ან გაყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძველი;
- **საფონდო ბირჟებზე დაფიქსირებული ფასების ანალიზი (იგივე ტექნიკური ანალიზი)** – არსებული მიმართულება არის პირველი მეთოდის გამარტივებული ვარიანტი, რომელიც გულისხმობს იმას, რომ ყველა ფაქტორი (არსებულიც და მოსალოდნელიც), რომლებიც გავლენას ახდენენ ემიტენტის აქციების ფასზე, უკვე ასახულია საფონდო ბირჟაზე დაფიქსირებული ფასიანი ქაღალდების ფასებში. ბანკის შესაბამისი სამსახურები უბრალოდ უფრო ტექნიკურ სამუშაოს ასრულებენ – აანალიზებენ ემიტენტის ფასიანი ქაღალდების მოთხოვნა-მიწოდების, ყიდვა-გაყიდვის ოპერაციათა მოცულობებისა და აქციათა კურსების ტენდენციების დინამიკას. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ეს მეთოდი მეტწილად სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში გამოიყენება.

კომერციული ბანკების საინვესტიციო საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა რისკთან, რომელთაც შეიძლება გამოიწვიონ ინვესტირებული თანხის სრული ან ნაწილობრივი დაკარგვა, ასევე მისი გაუფასურება ინფლაციის გავლენით. რისკები ასევე შეიძლება დაკავშირებული იყოს მოსალოდნელზე ნაკლები შედეგის მიღებასა და მისაღები შემოსავლების დაგვიანებით მიღებასთან. აღნიშნული რისკების შესამცირებლად ბანკები ახდენენ შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირებას. იმავე მიზანს ემსახურება ბანკის უმაღლესი მენეჯმენტის მიერ საინვესტიციო პოლიტიკის დამტკიცება, რომელშიც,

როგორც წესი, განისაზღვრება: საინვესტიციო საქმიანობის ძირითადი მიზნები, საინვესტიციო პორტფელის სტრუქტურა, ფასიანი ქაღალდების ვაჭრობის წესი. რაც მთავრია, საინვესტიციო პოლიტიკაში განისაზღვრება საინვესტიციო პორტფელის სტრუქტურა და ლიმიტები ფასიანი ქაღალდების სახეობების, ვადიანობის, ემიტენტების, ვალუტების, დარგების და ა.შ. მიხედვით.

როგორც წინა პარაგრაფში აღინიშნა, საქართველოს კანონმდებლობით, კომერციული ბანკების საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს არეგულირებს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" (მუხლი 10). აღნიშნული მუხლის შესაბამისად, საქართველში კომერციული ბანკი უფლებამოსილია:

- ეროვნული ბანკის სპეციალური ნებართვის გარეშე ფლობდეს იურიდიული პირის საწესდებო კაპიტალის მხოლოდ 20%-მდე. ამასთან, ეს წილობრივი მონაწილეობა არ უნდა იყოს თვითონ ამ ბანკის სააქციო კაპიტალის 15%-ზე მეტი;
- შეუზღუდავი ოდენობით ფლობდეს წილს იმ საქმიანობაში, რომელიც დაკავშირებულია მხოლოდ საბანკო საქმიანობასთან. ამ შემხვევაშიც ეს წილობრივი მონაწილეობა არ უნდა იყოს თვითონ ამ ბანკის სააქციო კაპიტალის 15%-ზე მეტი;
- შექმნას ან შეიძინოს შვილობილი საწარმო – საბროკერო კომპანია, რომელიც მონაწილეობს მხოლოდ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ საბროკერო კომპანიის საქმიანობაში და ფლობდეს მასში წილს შეუზღუდავი ოდენობით, თუ ეროვნული ბანკის ნებართვის გარეშე ეს წილი არ აღემატება მისი სააქციო კაპიტალის 15%-ს.

18.3. ოფციონები, ფიუჩერსები, სვოპები

ფინანსური ინსტრუმენტების ევოლუციის მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს ვადიანი გარიგებების ბაზრის (***forward market***) განვითარება. ესაა გარიგებები, რომელთა დადება ხდება აქტივის ღირებულების შესაძლო ნეგატიური ცვლილების თავიდან ასაცილებლად, ანუ ჰეჯირებით.

ჰეჯირების ეკონომიკური შინაარსი გულისხმობს ბაზრის ერთი მონაწილიდან (**ჰეჯერი**) რისკის ნაწილობრივ ან მთლიანად გადანაწილებას ბაზრის მეორე მონაწილეზე, რომელიც ჰეჯერთან ამყარებს ურთიერთობას ხელშეკრულების საფუძველზე. ჰეჯის საგანი, ანუ „საბაზო აქტივი", შეიძლება იყოს ცალკეული აქტივი, ვალდებულება ან მოსალოდნელი გარიგება, ან კიდევ აქტივების ჯგუფი ანალოგიური მახასიათებლებით. ჰეჯირება მიმართულია იმ რისკის შემცირების და (ან) საერთოდ განეიტრალებისაკენ, რომელიც წარმოადგენს საშიშროებას ბაზრის მონაწილეებისათვის მომავალში აქტივის ან ფულადი ნაკადების ღირებულების არახელსაყრელი ცვლილების გამო.

ჰეჯირება, როგორც წესი, გამოიყენება ფინანსური ინსტრუმენტების – საპროცენტო განაკვეთებისა და ვალუტის კურსების არასასურველი ცვლილებისაგან თავის დასაცავად, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს გარიგების საბოლოო შედეგზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისკების თავიდან აცილების, მათი განეიტრალების, დაზღვევის, ანუ ჰეჯირების, უმნიშვნელოვანეს ფინანსურ ინსტრუმენტებს წარმოადგენს ოფციონები, ფიუჩერსები და სვოპები, და რომელთა საერთო სახელია **დერივატივები**, ანუ წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები. ოფციონები, ფიუჩერსები და სვოპები – ესაა ვადიანი კონტრაქტები, რომელთა საბაზო აქტივს წარმოადგენს ვალუტა, საპროცენტო განაკვეთი, ფასიანი ქაღალდები. განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

ოფციონი (*option*) – ესაა კონტრაქტი ორ კონტრაგენტს შორის, რომლის დროსაც აქტივის პოტენციური მყიდველი (ან პოტენციური გამყიდველი) იღებს უფლებას, მაგრამ არა ვალდებულებას, იყიდოს (ან გაყიდოს) ოფციონით განსაზღვრული აქტივი მომავალში, წინასწარ განსაზღვრული პერიოდის (ოფციონის ვადის) განმავლობაში. როგორც აღინიშნა, ოფციონის მყიდველი იღებს მხოლოდ უფლებას და არა ვალდებულებას, აქტივის ყიდვის (ან გაყიდვის) შესახებ, მაშინ, როცა ოფციონის გამყიდველი ვალდებულია განახორციელოს საპასუხო გაყიდვა (ან შესყიდვა). გარიგების დროს ოფციონის მყიდველი უხდის გამყიდველს საკომისიოს, რომელსაც ოფციონის პრემია ეწოდება.

ნებისმიერი ოფციონის კონტრაქტში ფიქსირდება ფასი, რომლითაც რეალიზდება აქტივი გარიგების დადებითად დასრულების შემთხვევაში. ოფციონის ოპერაციები, გარდა რისკების ჰეჯირების მოტივაციისა, შეიძლება განხორციელდეს სპეკულაციური ოპერაციების განხორციელების დროსაც, მოგების მიღების მიზნით, მაგალითად, კურსთაშორისი სხვაობის დროს. ცხადია, ოფციონის გარიგების ორივე მხარე იმედოვნებს კურსების (ფასების) ურთიერთსაწინააღმდეგო ზრდის ან კლების მისთვის სასურველ ტენდენციას.

როგორც განმარტებიდან ჩანს, ოფციონი ორი სახეობისაა:

- **ოფციონი გაყიდვაზე (*put option*)** – ოფციონის გამყიდველი გამოწერს ოფციონს აქტივის გაყიდვაზე, ხოლო მყიდველი იღებს უფლებას, იყიდოს ეს აქტივი;
- **ოფციონი ყიდვაზე (*call option*)** – ოფციონის გამყიდველი გამოწერს ოფციონს აქტივის ყიდვაზე, ხოლო მყიდველი იღებს უფლებას გაყიდოს ეს აქტივი;

შესრულების პრინციპის მიხედვით სახეზეა:

- **ამერიკული ოფციონი** – ოფციონის მყიდველს უფლება აქვს თავის უფლების რეალიზაცია მოახდინოს დროის გარკვეულ მონაკვეთში, რომელსაც ოფციონის პერიოდი ჰქვია;
- **ევროპული ოფციონი** – ოფციონის მყიდველს უფლება აქვს თავის უფლების რეალიზება მოახდინოს მხოლოდ გარკვეულ ვადაში (გარკვეული თარიღისათვის).

ფიუჩერსი (*futures*) – ესაა ფორვარდული კონტრაქტი ორ კონტრაგენტს შორის, რომლის დროსაც ერთი მათგანი იღებს ვალდებულებას, მიაწოდოს მეორე მხარეს აქტივი, ხოლო მეორე მხარე იღებს ვალდებულებას მიიღოს ეს აქტივი მომავალში, კონტრაქტით განსაზღვრულ ვადაში და ფიქსირებულ ფასად.

ფიუჩერსი საბირჟო გარიგებაა, რომლის გამოყენება პირველად დაიწყეს XIX საუკუნის 40-იან წლებში უმსხვილეს სასაქონლო ბირჟაზე, ჩიკაგოს სავაჭრო პალატაში. პირველი ფიუჩერსული კონტრაქტების საგანს (საბაზო აქტივი) წარმოადგენდა მარცვლეული. ფიუჩერსული კონტრაქტების გამოყენების სწრაფი

ზრდა დაიწყო **XX** საუკუნის 50-იანი წლების შემდეგ, ნედლეულზე ფასების მკვეთრი რყევისა და საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესის დაწყებასთან ერთად. 70-იანი წლებიდან საპროცენტო განაკვეთების ზრდამ და სავალუტო კურსების მერყეობამ ხელი შეუწყვეს ფინანსური ინსტრუმენტების განვითარებას, რომლის ლოგიკური შედეგი იყო 1972 წელს ჩიკაგოს სასაქონლო ბირჟაზე პირველი ფიუჩერსული კონტრაქტების გამოჩენა ვალუტაზე, შემდეგ კი – სახაზინო თამასუქებსა და საპროცენტო განაკვეთებზე.

ფიუჩერსული კონტრაქტების სახესხვაობად შეიძლება ჩაითვალოს ფორვარდული კონტრაქტი, იმ განსხვავებით, რომ ფორვარდული კონტრაქტები არის ინდივიდუალური და არ მიმოიქცევა ბირჟაზე.

ფიუჩერსის ფასი არის ის ფასი, რომელიც ფიქსირდება ფიუჩერსული კონტრაქტის დადებისას. ნიშანდობლივია, რომ იგი შეიძლება იყოს საბაზო აქტივის მიმდინარე ფასის ტოლი, მეტი ან ნაკლები. საბაზო აქტივის სახეების მიხედვით გვაქვს ორი ტიპის ფიუჩერსული კონტრქტი:

- **ფიუჩერსული სასაქონლო კონტრაქტი** – საბაზო აქტივს წარმოადგენს ნავთობი, ძვირფასი ლითონები, მარცვლეული და ა.შ.;
- **ფიუჩერსული ფინანსური კონტრაქტი** – საბაზო აქტივს წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტი.

თავის მხრივ, საბაზო აქტივის მიხედვით გვაქვს სამი ტიპის ფინანსური ფიუჩერსი:

- **საპროცენტო ფიუჩერსი** – ესაა ფიუჩერსული კონტრაქტი, რომლის საბაზო აქტივსაც წარმოადგენს სავალო ფასიანი ქაღალდები. ამერიკულ ბაზარზე ყველაზე გავრცელებული საპროცენტო ფიუჩერსებია აშშ ხაზინის თამასუქების, 90-დღიანი ევროდოლარების სადეპოზიტო სერტიფიკატების, აშშ ხაზინის საშუალო და გრძელვადიანი ობლიგაციების ფიუჩერსები;
- **სავალუტო ფიუჩერსი** – ესაა ფიუჩერსული კონტრაქტი, რომლის ბაზისსაც წარმოადგენს უცხოური ვალუტა;
- **საფონდო ინდექსების ფიუჩერსი** – ესაა ფიუჩერსული კონტრაქტი, რომელიც ემყარება საფონდო ბაზრის შეფასების ცნობილ ინდექსებს (Nasdaq, DowJones და ა.შ.).

თუ ჩავუღრმავდებით, ცხადია, ფიუჩერსული კონტრაქტის მონაწილე მხარეები არ არიან მკაცრად სახელდებული „მყიდველები“ და „გამყიდველები“ ამ სიტყვების ცალსახა გაგებით, ვინაიდან ორივე მათგანი იღებს ვალდებულებას, ერთი აქტივის (მაგალითად, ფულის) მიღების სანაცვლოდ მიაწოდოს მეორე აქტივი (მაგალითად, ფასიანი ქაღალდები). თუმცა, ფიუჩერსების ბაზარზე ტრადიციულად ჩამოყალიბდა ტერმინოლოგია, რომლის მიხედვით – მხარეზე, რომელიც ვალდებულია მიაწოდოს საბაზო აქტივი, ამბობენ, რომ „გაყიდა ფიუჩერსი“ ან დაიკავა „მოკლე პოზიცია“. რაც შეეხება მეორე მხარეს, მასზე ამბობენ, რომ მან „იყიდა ფიუჩერსი“ ან დაიკავა „გრძელი პოზიცია“.

სვოპი (***swap***) – ესაა სავაჭრო-ფინანსური გაცვლითი ოპერაცია, რომლის დროსაც ფასიანი ქაღალდების, ვალუტის, დეპოზიტების ყიდვის (გაყიდვის) შესახებ შეთანხმებასთან ერთად იდება კონტრშეთანხმება, გარკვეული ვადის შემდეგ იმავე აქტივის უკუგაყიდვის (ყიდვის) ვალდებულებით იმავე ან სხვა პირობებით. ფაქტობრივად, სახეზეა აქტივების დროებითი გაცვლა.

სვოპის ოპერაციებს შორის ყველაზე მარტივია ე. წ. პირდაპირი სავალუტო სვოპი, რომლის დროსაც:

1) მხარეები ერთმანეთში ცვლიან სხვადასხვა ვალუტის ფულად სახსრებს;
2) მხარეები ერთმანეთს უხდიან პროცენტებს გარიგების მთელი პერიოდის განმავლობაში;
3) გარიგების ვადის გასვლის შემდეგ მხარეები ერთმანეთს უბრუნებენ ფულად სახსრებს.

საქართველოს საბანკო სისტემაში სვოპის ოპერაციებს არეგულირებს 2005 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიღებული დებულება „საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შიდა ბაზარზე სავალუტო სვოპ ოპერაციების განხორციელების შესახებ", რომლის ახალი რედაქცია დამტკიცდა 2009 წლის 11 მაისს. აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შიდა სავალუტო ბაზარზე სვოპ ოპერაციების ჩატარების წესსა და პირობებს. დოკუმენტის მეხედვით, „სვოპ ოპერაცია წარმოადგენს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც ეროვნული ბანკი წინასწარ განსაზღვრული ვადით, აუქციონის წესით ყიდულობს უცხოურ ვალუტას სპოტ კურსით, მისი ფორვარდული კურსით უკან გაყიდვის პირობით".

საქართველოს ეროვნული ბანკი სვოპ ოპერაციებს გამოიყენებს საბანკო სისტემისათვის ეროვნული ვალუტით ფულადი რესურსების მისაწოდებლად, ქვეყანაში ფულადი მასის რეგულირებისა და ეროვნული ვალუტით საბანკო შუამავლობის ხელშეწყობის მიზნით. სვოპ ოპერაციის ვადიანობა შეიძლება განისაზღვროს 6 თვიდან 1 წლამდე. კომერციულ ბანკს შეუძლია სვოპ გარიგების ვადაზე ადრე შეწყვეტა, რის შესახებაც მინიმუმ 1 თვით ადრე წერილობით უნდა შეატყობინოს ეროვნულ ბანკს.

სვოპ ოპერაციის მთავარი უპირატესობაა ის, რომ გარიგების მხარეებს აღარ უწევთ მოკლევადიან პერიოდში კურსების მერყეობის რისკის გაწევა. გარდა ამისა, სტაბილური ეკონომიკის პირობებში ჩნდება შესაძლებლობა, რომ ვისესხოთ სახსრები იმ ვალუტაში, რომელიც უფრო იაფია და შემდეგ გადავცვალოთ ჩვენთვის სასურველ ვალუტაზე. ეს უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ჩვენთვის სასურველ ვალუტაში ფულის სესხება.

სავალუტო და საპროცენტო სვოპის გარდა, ცნობილია ასევე აქტივების და სასაქონლო სვოპი. ცნობილია ასევე სვოპ ოფციონები.

საკონტროლო კითხვები:

1. რითი არის განპირობებული ბანკების დაინტერესება ფასიანი ქაღალდების ბაზრით?
2. რა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები იქნა მიღებული ფასიანი ქაღალდების რეგულირების მიმართულებით XX საუკუნის ბოლოს განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების მიერ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მონაწილეობა კომერციულ ბანკებს რომელი სამი უმნიშვნელოვანესი სარგებლის მიღების საშუალებას აძლევს?
4. როგორ შეიძლება განვმარტოთ ფასიანი ქაღალდების ბაზარი?
5. ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ბანკების მონაწილეობის რომელი 4 ძირითადი მიმართულება იცით?
6. ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ბანკების, როგორც ემიტენტების, საქმიანობა რომელი ორი ტიპის მიმართულებას გულისხმობს?
7. რომელი ოპერაციების განხორციელებას გულისხმობს ბანკების საინვესტიციო საქმიანობა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე?
8. ბანკების პროფესიული საქმიანობა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე რომელ ოპერაციებს გულისხმობს?
9. რომელი სახეობის ოპერაციებს გულისხმობს ბანკების მიერ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ტრადიული საბანკო მომსახურება?
10. რა შეგიძლიათ თქვათ საქართველოში ბანკების ანგარიშთა გეგმის მიხედვით განსახორციელებელი ფასიანი ქაღალდების ოპერაციების ძირითადი მიმართულებების შესახებ?
11. როგორ განმარტავდით კომერციული ბანკების საინვესტიციო ოპერაციებს და სარგებელს იღებენ ისინი მისგან?
12. რას ნიშნავს ბანკის საინვესტიციო პორტფელი?
13. რა იგულისხმება ფორმულირებაში „ეფექტიანი საინვესტიციო საქმიანობის პირობები“?
14. რომელ ფუნქციებს ასრულებს კომერციული ბანკის საინვესტიციო პორტფელი?
15. ბანკების მიერ საფონდო ბაზრის შესწავლის რომელი ორი მეთოდი იცით?
16. რა შეგიძლიათ თქვათ კომერციული ბანკების საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების შესახებ?
17. რა არის კომერციული ბანკების საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული შეზღუდვები საქართველოს კანონმდებლობით?
18. რა იცით ვადიანი გარიგებების ბაზრის (forward market) და ჰეჯირების შესახებ?
19. რას გულისხმობს ტერმინი „დერივატივები“, ანუ წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები?
20. რა არის ოფციონის (option) მექანიზმის არსი და მისი რომელი სახეობები იცით?
21. რა შეგიძლიათ თქვათ ფიუჩერსული კონტრაქტების (futures) და მისი სახეობების შესახებ?
22. რა არის სვოპი (swap) და როგორია მისი სახეობების არსი?

თავი 19

კომერციული ბანკის სავალუტო ოპერაციები

შინაარსი:

19.1. სავალუტო ოპერაციების არსი და კლასიფიკაცია;
19.2. სავალუტო ბაზარი და მისი სტრუქტურა;
19.3. კომერციული ბანკის სავალუტო ოპერაციების სახეობები;
19.4. სავალუტო რისკების მართვა და სავალუტო ოპერაციების აღრიცხვა.

ძირითადი ელემენტები:

1. უცხოური ვალუტა და ბანკების სავალუტო ოპერაციები;
2. სპეციალური ნებართვები სავალუტო ოპერაციების წარმოებისათვის;
3. სავალუტო კურსი და ვალუტის კოტირება;
4. სავალუტო ოპერაციების კლასიფიკაცია;
5. სავალუტო ბაზარი და მისი სახეობები;
6. სავალუტო ბირჟა;
7. FOREX უცხოური ვალუტის ვაჭრობის საერთაშორისო სისტემა;
8. სპოტ სავალუტო ოპერაციები;
9. ვადიანი სავალუტო გარიგებები – ფორვარდები, ფიუჩერსები, ოფციონები;
10. სვოპ სავალუტო ოპერაციები;
11. სავალუტო რისკები და სავალუტიო პოზიცია;
12. სავალუტო ოპერაციების აღრიცხვა ბანკებში.

19.1. სავალუტო ოპერაციების არსი და კლასიფიკაცია

ვალუტა, უფრო სწორად, უცხოური ვალუტა, ჩვენი თანამედროვე ცხოვრების ჩვეულებრივი ყოფითი მოვლენა გახდა. გარდა საბანკო-საფინანსო და ექსპორტ-იმპორტით დაკავებული ბიზნესსექტორებისა, უცხოურ ვალუტასთან რიგით მოქალაქეებსაც მჭიდრო კავშირი აქვთ. ამის კარგი მაგალითია ინფორმაცია საქართველოში სწრაფი ფულადი გზავნილების სისტემებით განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ. 2012 წლის განმავლობაში საქართველოში მხოლოდ კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ განაღდებულ იქნა უცხოეთიდან გადმორიცხული 1,3 მლრდ აშშ დოლარის ეკვივალენტი უცხოური ვალუტა, ეს კი ქვეყნის მშპ-ის დაახლოებით 8,2%-ს შეადგენს. იმავე პერიოდში საქართველოდან უცხოეთში გადარიცხულმა თანხებმა 108 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა.

კიდევ ერთი მაჩვენებელი, რომელიც მიუთითებს უცხოური ვალუტის დიდ მნიშვნელობაზე ქართულ ეკონომიკაში, არის კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტების დოლარიზაციის კოეფიციენტი, რომელიც საქართველოში ტრადიციულად მაღალია და მისმა დონემ 2013 წლის ბოლოსათვის 64%-ს აღწევდა. იმავე პერიოდისათვის უცხოურ ვალუტაში გაცემული კრედიტების წილი მთლიან საკრედიტო პორტფელში 63%-ზე მეტი იყო. ამასთან, ნიშანდობლივია, რომ ზემოაღნიშნულ მონაცემებში მოხსენიებულ უცხოურ ვალუტაში მოზიდულ დეპოზიტებში ძირითადი წილი დაახლოებით 80% აშშ დოლარზე მოდის, 17% – ევროზე, ხოლო 3% – სხვა ვალუტებზე.

უცხოური ვალუტა, ზოგადად, ესაა უცხოური ქვეყნის ფულადი ერთეული, სადაც იგი კანონიერი გადახდის საშუალებას წარმოადგენს. აღნიშნული ნიშნავს, რომ ნებისმიერი ქვეყნის ფულად ერთეულს შეიძლება ვუწოდოთ უცხოური ვალუტა, როგორც კი ხდება მისი გამოყენება საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში. აქედან გამომდინარე, **სავალუტო ოპერაცია**, ფართო გაგებით – ესაა ფულად-საკრედიტო ურთიერთობათა ერთობლიობა, რომელიც ყალიბდება სამეურნეო საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის შედეგად და მასში მონაწილეობს სხვა ქვეყნის ვალუტა, ხოლო ვიწრო გაგებით ესაა გარიგება, რომელიც დაკავშირებულია უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვასთან.

თუკი შევხედავთ კომერციული ბანკების სავალუტო ოპერაციას ფართო გაგებით, მათ შეიძლება მივაკუთვნოთ:

1) სპეციალური ნებართვების მიღება სავალუტო ოპერაციების წარმოებისათვის;
2) საკორესპონდენტო ურთიერთობების დამყარება უცხოური ვალუტით ოპერაციების საწარმოებლად;
3) კლიენტების სავალუტო ანგარიშების გახსნა და მომსახურება;
4) სავალუტო სახსრების მოზიდვა;
5) საქონლისა და მომსახურების ექსპორტ-იმპორტთან დაკავშირებული საერთაშორისო ანგარიშსწორება;
6) არასავაჭრო სავალუტო ოპერაციების წარმოება;
7) კრედიტების გაცემა უცხოურ ვალუტაში.

დავახასიათოთ თითოეული მათგანი:

ეროვნული ბანკი

1) სპეციალური ნებართვების მიღება სავალუტო ოპერაციების წარმოებისათვის გულისხმობს უფლებამოსილი ორგანოს მიერ (ცენტრალური ბანკი, ზოგიერთ ქვეყანაში – ფინანსთა სამინისტრო) იურიდიული თუ ფიზიკური პირებისათვის უცხოურ ვალუტაში ოპერაციების წარმოების უფლების მინიჭებას. საქართველოში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დამოუკიდებელი საბანკო სისტემის მშენებლობის პირველ წლებში, 1992 წლიდან სავალუტო ოპერაციების წარმოებაზე კომერციულ ბანკებისათვის ეროვნული ბანკისგან სავალუტო ოპერაციების სპეციალური ლიცენზიის მიღება იყო საჭირო. იმ დროისათვის განისაზღვრა სავალუტო ოპერაციების წარმოების ლიცენზიის სამი სახეობა:

- შიდა ლიცენზია კომერციულ ბანკს უცხოური ვალუტით ოპერაციების უფლებას აძლევდა საქართველოს რესპუბლიკის, აგრეთვე სამანეთო ზონაში შემავალი რესპუბლიკების ტერიტორიაზე. შიდა ლიცენზია გაიცემოდა იმ კომერციულ ბანკებზე, რომლებიც ფუნქციონირებდნენ არანაკლებ ერთი წლის განმავლობაში. შიდა ლიცენზიის მქონე კომერციულ ბანკებს შეეძლოთ შემდეგი ოპერაციების განხორციელება:
  - იურიდიული და ფიზიკური პირების სავალუტო ანგარიშების გახსნა და მომსახურება;
  - არასავაჭრო ოპერაციები;
  - სავაჭრო, ანუ ექსპორტ-იმპორტთან დაკავშირებული ოპერაციები;
  - უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები შიდა ბაზარზე;
  - საკრედიტო ოპერაციები, რომლებიც დაკავშირებულია შიდა სავალუტო რესურსების მოზიდვასა და განთავსებასთან.
- **გენერალური ლიცენზია** უფლებას აძლევდა კომერციულ ბანკს, ეწარმოებინა ოპერაციები უცხოური ვალუტით, როგორც საქართველოსა და სამანეთო ზონაში შემავალი რესპუბლიკების ტერიტორიაზე, ასევე მათ საზღვრებს გარეთ. გენერალური ლიცენზიის მიღებისათვის კომერციულ ბანკს უნდა ჰქონოდა შიდა ლიცენზიით მუშაობის არანაკლებ ერთი წლის პრაქტიკა. გენერალური ლიცენზიის მქონე ბანკებს დამატებით შეეძლოთ შემდეგი სავალუტო ოპერაციების წარმოება:
  - უცხოეთის ქვეყნების ბანკებთან საკორესპონდენტო ურთიერთობები;
  - საკრედიტო ოპერაციები საერთაშორისო ფულად ბაზრებზე;
  - დეპოზიტური და კონვერსიული ოპერაციები საერთაშორისო ფულად ბაზარზე.
- **ერთჯერადი ლიცენზია**, რომელიც კომერციულ ბანკს აძლევდა კონკრეტული, ერთჯერადი საბანკო ოპერაციის განხორციელების უფლებას, კერძოდ:
  - უცხოელი აქციონერის მიერ კომერციული ბანკის საწესდებო ფონდში საპაიო შენატანის (აქციების ღირებულების) ანაზღაურება უცხოურ ვალუტაში;
  - უცხოური ვალუტის ყიდვა კომერციული ბანკის მიერ საბანკო ტექნიკისა და ტელეკომუნიკაციურ საშუალებათა შეძენის ან სარეზერვო საჭიროებისათვის;
  - სხვა ოპერაციები.

შიდა და გენერალური ლიცენზიის მქონე კომერციულ ბანკებს ეროვნული ბანკის მიერ ენიჭებოდათ ე. წ. „რწმუნებული ბანკის“ სტატუსი, რომლის ძალი-

თაც ეკისრებოდათ უცხოურ ვალუტაში თავიანთი კლიენტების ოპერაციებზე სავალუტო კონტროლის აგენტის ფუნქცია.

დღეისათვის საქართველოში მოქმედ ბანკებს არ სჭირდებათ სავალუტო ოპერაციების წარმოებისათვის სპეციალური ნებართვა. ეროვნული ბანკის მიერ გაცემული ერთიანი უნივერსალური ლიცენზია საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ავტომატურად გულისხმობს სავალუტო ოპერაციების წარმოების უფლებასაც, ვინაიდან „ეროვნული ბანკის მიერ გაცემული ლიცენზიის თანახმად, კომერციულ ბანკებს უფლება ეძლევათ აწარმოონ საბანკო ოპერაციები როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ“ [22].

ქართული საბანკო კანონმდებლობის მიხედვით, ფინანსური შუამავლის ფუნქცია სავალუტო ბაზარზე კომერციულ ბანკებს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსა და ვალუტის გადამცვლელ პუნქტებს აქვთ. ამასთან, ეროვნული ბანკი არასაბანკო ვალუტის გადამცვლელ პუნქტებზე მხოლოდ საკონვერსიო ოპერაციების ლიცენზიას გასცემს. გარდა ამისა, საქართველოს ეროვნული ბანკი ფლობს, ინახავს და მართავს საქართველოს საერთაშორისო რეზერვებს, რითაც უზრუნველყოფს ეროვნული ვალუტის სიმტკიცეს. ამასთან, ეროვნული ბანკი ახორციელებს სავალუტო კონტროლს საქართველოში და იგი პასუხისმგებელია კანონმდებლობის აღსრულებაზე ამ სფეროში.

ზოგიერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში ცენტრალური ბანკის მიერ დღესაც გაიცემა სხვადასხვა ლიცენზია, რომლებიც არეგულირებენ უფლებებს სავალუტო ოპერაციების წარმოებისას. მაგალითად, რუსეთის ფედერაციაში ცენტრობანკის მიერ კომერციულ ბანკებზე გაიცემა სამი ტიპის ლიცენზია: შიდა, გაფართოებული და გენერალური. რუსეთის ცენტრობანკის მიერ გაცემული შიდა ლიცენზია გულისხმობს კომერციული ბანკის უფლებას რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე შეზღუდული სავალუტო ოპერაციების წარმოების შესახებ, როგორებიცაა: უნაღდო ანგარიშსწორება უცხოურ ვალუტაში იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის, უცხოური მოქალაქეების რუბლის ანგარიშების წარმოება, ფიზიკური პირების სავალუტო მომსახურება (მათ შორის, ნაღდი ვალუტის ყიდვა-გაყიდვა). შიდა ლიცენზიის მქონე ბანკები ნებადართულ უნაღდო სავალუტო ოპერაციებს აწარმოებენ მხოლოდ გენერალური ლიცენზიის მქონე კომერციული ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშების მეშვეობით. ამასთან, ამ ბანკებს ეკრძალებათ სავალუტო ანაბრების მოზიდვა. გაფართოებული ლიცენზიის შემთხვევაში, შიდა ლიცენზიით ნებადართული ოპერაციების გარდა, კომერციულ ბანკებს უფლება ეძლევათ მიიღონ ანაბრები და ასევე გასცენ კრედიტები უცხოურ ვალუტაში. გარდა ამისა, ასეთ ბანკებს უფლება ეძლევათ, გახსნან პირდაპირი საკორესპონდენტო ანგარიშები მხოლოდ წინასწარ განსაზღვრულ უცხოურ ბანკებში და მათი მეშვეობით განახორციელონ ანგარიშსწორება. რაც შეეხება რუსეთის ცენტრობანკის მიერ გაცემულ სავალუტო ოპერაციების წარმოების გენერალურ ლიცენზიას, იგი კომერციულ ბანკებს უფლებას აძლევს დამოუკიდებლად აწარმოონ ყველა კანონიერი სავალუტო ოპერაცია როგორც ქვეყნის შიდა, ისე საერთაშორისო ბაზრებზე.

2) საკორესპონდენტო ურთიერთობების დამყარება უცხოური ვალუტით ოპერაციების საწარმოებლად აუცილებელია, რომ კომერციულმა ბანკმა შეძლოს როგორც საკუთარი, ისე კლიენტების მოთხოვნების დაკმაყო-

22 „საბანკო დაწესებულებების ლიცენზირების წესები“, საქართველოს ეროვნული ბანკის ბრძანება №84, 1998 წლის 10 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილება, რათა განახორციელოს საერთაშორისო ოპერაციები. ბუნებრივია, გადაწყვეტილება საკორესპონდენტო ურთიერთობების დამყარების შესახებ მიღებული უნდა იყოს მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, ანუ კომერციული ბანკი დამოუკიდებლად აკეთებს არჩევანს საკორესპონდენტო ურთიერთობების დასამყარებლად. განვლილი მასალიდან გვახსოვს, საერთაშორისო ანგარიშსწორებათა განსახორციელებლად კომერციულ ბანკებს შორის იხსნება ნოსტრო და ლორო ანგარიშები, როგორც ქვეყნის შიგნით, ის მის გარეთ.

3) კლიენტების სავალუტო ანგარიშების გახსნა და მომსახურება კომერციული ბანკების ყოველდღიური ტრადიციული საქმიანობის ატრიბუტია. გამომდინარე იქიდან, რომ ლარი არის გადახდის ერთადერთი კანონიერი საშუალება საქართველოს ტერიტორიაზე (გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონებისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტებისა), საქართველოს ეროვნული ბანკი განსაზღვრავს ქართული ბანკების მიერ რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის უცხოურ ვალუტაში საბანკო ანგარიშის გახსნის, სახეობების, დანიშნულების და ასევე უცხოურ ვალუტაში საბანკო ოპერაციების წარმოების წესს. კომერციული ბანკების მიერ მათ მომსახურებაში მყოფი კლიენტებისათვის ხდება ორი ტიპის სავალუტო ანგარიშის გახსნა:

- **ერთვალუტიანი საბანკო ანგარიში** – ანგარიში, რომელზეც აღრიცხულია ფულადი სახსრები ერთ კონკრეტულ ვალუტაში;
- **მულტისავალუტო საბანკო ანგარიში** – ანგარიში, რომელზეც აღრიცხულია ფულადი სახსრები რამდენიმე ვალუტაში ცალ-ცალკე და რომელიც რაოდენობრივად წარმოადგენს ერთ ანგარიშს.

ქართული კანონმდებლობით – პირს, რომელიც კომერციულ ბანკში ხსნის ნებისმიერ ანგარიშს უცხოურ ვალუტაში, ბანკი ვალდებულია გაუხსნას მიმდინარე ანგარიში ლარში, თუკი, რა თქმა უნდა, მას არ აქვს ასეთი ანგარიში იმავე ბანკში.

4) სავალუტო სახსრების მოზიდვა არის კომერციული ბანკების რესურსების ფორმირების აუცილებელი ელემენტი და მისი მასშტაბები დამოკიდებულია იმ მოთხოვნის მოცულობაზე, რომელიც აქვს ბანკს მათი განთავსების მიმართულებით. ბუნებრივია, კომერციული ბანკისათვის არარენტაბელურია მოიზიდოს სავალუტო სახსრები და ვერ შეძლოს მათი განთავსება, ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ საბანკო სექტორის მიერ სავალუტო სახსრების მოზიდვის მოცულობასა და ფასს განსაზღვრავს მოთხოვნა-მიწოდება სავალუტო რესურსებზე. კომერციული ბანკების მიერ კლიენტებისგან მოზიდული სავალუტო სახსრები აღირიცხება სხვადასხვა ანგარიშზე. ქართულ პრაქტიკაში გვაქვს შემდეგი ვარიანტები:

- **ვადიანი დეპოზიტი (ანაბარი)** – სადეპოზიტო (საანაბრო) ანგარიშზე წინასწარ განსაზღვრული ვადით განთავსებული ფულადი სახსრები, რომლებსაც ბანკი არიცხავს პროცენტს და რომელთა გატანა შესაძლებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში;
- **მოთხოვნამდე დეპოზიტი (ანაბარი)** – სადეპოზიტო (საანაბრო) ანგარიშზე განთავსებული ფულადი სახსრები, რომლებსაც ბანკი არიცხავს პროცენტს და რომელზეც თანხის შეტანა, ჩარიცხვა, გადარიცხვა და გატანა შესაძლებელია მოთხოვნისთანავე;

- **მიმდინარე ანგარიში** – საბანკო ანგარიში, რომლებზეც აღირიცხება პირის ფულადი სახსრები და რომელსაც განკარგავს კლიენტი გადახდების განსახორციელებლად ან სხვა მიზნით. აღნიშნული ტიპის ანგარიში მოიცავს საბარათე ანგარიშებსაც.

5) საქონლისა და მომსახურების ექსპორტ-იმპორტთან დაკავშირებული საერთაშორისო ანგარიშსწორება განპირობებულია კომერციული ბანკის კლიენტების ბიზნესსაქმიანობით. აღნიშნული მომსახურება ხორციელდება კომერციული ბანკების მიერ სხვადასხვა ანგარიშსწორების ფორმით, კერძოდ, როგორც ჩვეულებრივი ფულადი გადარიცხვებით, ისე დოკუმენტური ოპერაციებით – დოკუმენტური ინკასოთი და დოკუმენტური აკრედიტივით.

6) არასავაჭრო სავალუტო ოპერაციების წარმოება კომერციულმა ბანკმა შეიძლება განახორციელოს როგორც კლიენტების მოთხოვნით, ისე საკუთარი საჭიროებისათვის, ასევე სპეკულაციური ოპერაციებისათვის მოგების მიღების მიზნით. კომერციული ბანკების არასავაჭრო სავალუტო ოპერაციებში შედის:

- ნაღდი და უნაღდო უცხოური ვალუტის ყიდვა და გაყიდვა;
- უცხოური ბანკების სამგზავრო ჩეკების განაღდება;
- უცხოურ ვალუტაში საგადამხდელო დოკუმენტების ყიდვა და გაყიდვა;
- პლასტიკური ბარათების ემისია და მომსახურება.

აღნიშნული ოპერაციები რაოდენობითა და მოცულობით უფრო ფართოა, ვიდრე ექსპორტ-იმპორტთან დაკავშირებული ანგარიშსწორების სახეობები. ესაა ე.წ. „მასობრივი“ და ყოველდღიური ოპერაციები, რომლებიც დღევანდელი ქართული ბანკების ფართოდ გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადგენენ.

საქართველოში უცხოური ვალუტის საკონვერსიო ოპერაციები (კონვერტაცია) ხორციელდება როგორც ვალუტის გადამცვლელი პუნქტების საშუალებით, ასევე ბანკებსა და მიკროსაფინანსო დაწესებულებებში. კონკრეტული ვალუტის ყიდვა-გაყიდვის კურსის დადგენა ხდება მასზე მოთხოვნა-მიწოდებისა და ქვეყნის სავალუტო ბაზარზე ჩამოყალიბებული კურსის გათვალისწინებით. როგორც წესი, შიდა ბაზარზე ლარის კურსი ყალიბდება აშშ დოლარის მიმართ, ხოლო სხვა ვალუტებისათვის გამოიყენება მსოფლიო ბაზარზე არსებული მიმდინარე კროს-კურსები. ეროვნული ბანკი არ აკონტროლებს ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მიერ დადგენილ სავალუტო კურსებს.

7) კრედიტების გაცემა უცხოურ ვალუტაში ასევე განპირობებულია ბაზრის მოთხოვნებით, კლიენტურის საჭიროებიდან გამომდინარე. ქართული ბანკებისათვის უცხოურ ვალუტაში კრედიტების გაცემა მათი მთავარი საქმიანობაა, ქართული საბანკო სისტემის საკრედიტო პორტფელის ორი მესამედი სწორედ უცხოურ ვალუტაშია ნომინირებული. შესაბამისად, ამ ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლები, სხვა სავალუტო ოპერაციებიდან მიღებულ შემოსავლებთან ერთად, შეადგენს კომერციული ბანკების მოგების ძირითად მაფორმირებელ ნაწილს.

საქართველოს ეროვნული ვალუტა ლარი, რომელმაც 1995 წლიდან შეცვალა დროებითი ფულადი ერთეული კუპონი, მიბმული იყო აშშ დოლარის კურსზე და ეს კავშირი გრძელდებოდა 1997 წლამდე. ამის მიზეზი გახლდათ ქვეყანაში მოქმედი ფიქსირებული გაცვლითი კურსის რეჟიმი. გაცვლითი კურსის მსგავსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტიკის პირობებში ქვეყნის ვალუტა მიბმულია რომელიმე ქვეყნის ვალუტასთან ან ვალუტების კალათასთან. ლარის შემოღების დროს ფიქსირებული კურსის რეჟიმი აუცილებელი იყო, ვინაიდან ქვეყანაში არსებული მაღალი ინფლაციის პირობებში შესუსტებული იყო ეროვნული ვალუტისადმი ნდობა და გაცვლითი კურსის მიბმა უზრუნველყოფდა კურსის სტაბილურობის შენარჩუნებას (აშშ დოლარის გაცვლითი კურსის შესაბამისად) და ნდობის აღდგენას.

1997 წლიდან, როცა ლარმა მოიპოვა ქართულ ბაზარზე საკმარისი ნდობა, საქართველოში ამოქმედდა მართვადი მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი, რომლის პირობებში გაცვლითი კურსის განსაზღვრა ხდება საბაზრო ძალების გავლენით, ანუ მოთხოვნა-მიწოდების ურთიერთქმედებით.

სავალუტო კურსი არის ერთი ქვეყნის ფულადი ერთეული ფასი, გამოსახული სხვა ქვეყნის ფულად ერთეულში. სიმარტივისათვის სავალუტო კურსების აღსანიშნავად გამოიყენება სამასოიანი აბრევიატურები, რომლებიც აღნიშნავენ ვალუტისა და ვალუტის ემიტენტი ქვეყნის სახელებს. მაგალითად, GEL ნიშნავს Georgian Lari, USD – United States Dollar და ა. შ.

სავალუტო კურსი განისაზღვრება სავალუტო ბაზარზე ვალუტაზე მოთხოვნა-მიწოდების ურთიერთქმედებით. ასეთ საკურსო რეჟიმს მცურავი კურსი ეწოდება. სხვა ბაზრებისაგან განსხვავებით, სავალუტო ბაზარი მაქსიმალურად მიახლოებულია თავისუფალი კონკურენციის პირობებთან, რაც უფრო მიმზიდველს ხდის მას სპეკულაციური ვაჭრობის განსახორციელებლად. სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული საკურსო რეჟიმი არსებობს. ზოგი ქვეყნის ცენტრალური მარეგულირებული ორგანო (მაგალითად, ჩინეთის ცენტრალური ბანკი) მიმართავს ფიქსირებული და მართვადი საკურსო რეჟიმების პრაქტიკას.

დღეისათვის საქართველოში მოქმედებს მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი, რომლის პირობებში გაცვლითი კურსი ხასიათდება მერყეობით მოკლევადიან პერიოდში, მაგრამ იმავდროულად, მოქნილობის გამო, იგი თამაშობს შოკების შემწოვ ფუნქციასაც და, შესაბამისად, სტაბილურია გრძელვადიან პერიოდში.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა ფულის ფუნქციას ასრულებდა ძვირფასი ლითონები (ოქრო და ვერცხლი), მათ წარმოშობას, ანუ რომელი ქვეყნის მიერ იყო გამოშვებული, არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მთავარი იყო მისი წონა და სინჯი (ხარისხი), ვინაიდან ოქროს ეროვნება არ აქვს. ქაღალდის ფულის შემოღებამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა და საჭირო გახდა სხვადასხვა ქვეყნის ქაღალდის ფულს შორის შესაბამისობის დადგენა. ერთი ვალუტის შესაბამისობა მეორე ვალუტასთან, ანუ მისი ფასის, კურსის დადგენა არის ვალუტების კოტირება. განასხვავებენ ორი ტიპის კოტირებას:

- **პირდაპირი კოტირება** – ესაა ეროვნული ვალუტით გამოხატული უცხოური ვალუტის ფასი, მაგალითად, USD/GEL – 1.66, ანუ 1 აშშ დოლარი = 1,66 ლარს. ეს კოტირების ყველაზე გასაგები მეთოდია, ვინაიდან ნებისმიერი ქვეყნის ვალუტის კურსის (ფასის) დადგენა უფრო ადვილია საკუთარ, კარგად ნაცნობ და „მშობლიურ“ ეროვნულ ვალუტასთან შედარებით. ჩვენს მაგალითში აშშ დოლარი იწოდება საბაზო ვალუტად, ხოლო ქართული ლარი – კოტირების ვალუტად. იგივე პრინციპი მოქმედებს ნებისმიერი ვალუტების შემთხვევაში;
- **ირიბი კოტირების** დროს ხდება პირდაპირი კოტირების სავალუტო წყვილების ადგილების გაცვლა, მაგალითად, GEL/USD – 0.60, ანუ 1 ლარი = 0,60 აშშ დოლარს.

აშშ დოლარის დომინირებული მდგომარეობა განაპირობებს იმას, რომ ევრო-სმიერი ვალუტის კურსის გასაგებად საბაზოდ აიღება სწორედ აშშ დოლარი. თუმცა, გამონაკლისია ევრო და ფუნტი სტერლინგი, რომლებთან მიმართებაშიც აშშ დოლარი კოტირების ვალუტად გვევლინება.

რაც შეეხება კომერციული ბანკების მიერ განხორციელებული სავალუტო ოპერაციების კლასიფიკაციას, იგი შეიძლება მოვახდინოთ სხვადასხვა ნიშნით. გამოვყოთ მათ შორის ძირითადები:

1) სავალუტო ოპერაციების სუბიექტების მიხედვით;
2) სავალუტო ბაზრის შუამავლების მიხედვით;
3) ფორმების მიხედვით;
4) შესრულების ვადების მიხედვით;
5) დანიშნულების მიხედვით;
6) ოპერაციის ხასიათის მიხედვით;
7) მასშტაბის მიხედვით;
8) ანგარიშსწორების ინსტრუმენტების მიხედვით;
9) გარიგების სახეობების მიხედვით.

მოკლედ დავახასიათოთ თითოეული მათგანი:

1) **სავალუტო ოპერაციების სუბიექტების მიხედვით** გვაქვს ორი ტიპის ოპერაცია, რომელთაც ახორციელებენ:
   - რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური პირები;
   - რეზიდენტი და არარეზიდენტი იურიდიული პირები.

2) **სავალუტო ბაზრის შუამავლების მიხედვით** გვაქვს ოთხი ტიპის სავალუტო ოპერაცია, რომელთაც ახორციელებენ:
   - საქართველოს ეროვნული ბანკი;
   - კომერციული ბანკები;
   - ვალუტის გადამცვლელი პუნქტები;
   - სხვა საფინანსო ინსტიტუტები.

საქართველოს ეროვნული ბანკი არის ქვეყანაში სავალუტო პოლიტიკის განმახორციელებელი და სავალუტო რეგულირების მთავარი ორგანო. ეროვნული ბანკი მართავს ქვეყნის სავალუტო რეზერვებს, განსაზღვრავს ქვეყანაში უცხოური ვალუტის მიმოქცევის წესებსა და რეგულაციებს და თვითონაც ახორციელებს სავალუტო ოპერაციებს, როგორც საკუთარი საჭიროებისათვის და როგორც მთავრობის ბანკირი.

3) **ფორმების მიხედვით** გვაქვს ორი ტიპის სავალუტო ოპერაცია:
   - ნაღდი ფორმა;
   - უნაღდო ფორმა.

ნაღდი სავალუტო ოპერაციები, როგორც წესი, დამახასიათებელია ფიზიკური პირების, ხოლო უნაღდო – იურიდიული პირების მომსახურებისათვის. თუმცა, ფიზიკური პირები აქტიურად იყენებენ უნაღდო ფორმასაც სავალუტო ოპერაციების წარმოებისას.

4) **შესრულების ვადების მიხედვით** გვაქვს შემდეგი სავალუტო ოპერაციები:
   - მიმდინარე საკასო სავალუტო ოპერაციები;
   - ვადიანი სავალუტო ოპერაციები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი მათგანი ხორციელდება აწმყოში, მათი მოთხოვნისთანავე, ხოლო მეორე ტიპის სავალუტო ოპერაციები – გარკვეული დროისა და პირობების შემდეგ. უფრო დეტალურად ამ საკითხებზე შემდეგ პარაგრაფებში იქნება საუბარი.

5) დანიშნულების მიხედვით შეიძლება გვქონდეს კომერციული ბანკის მიერ განხორციელებული ორი ტიპის სავალუტო ოპერაცია:
- კლიენტებისათვის განკუთვნილი;
- საკუთარი საჭიროებისათვის.

თავის მხრივ, კლიენტების საჭიროებისათვის განხორციელებული სავალუტო ოპერაცია შეიძლება იყოს როგორც სასაქონლო (დაკავშირებული ექსპორტ-იმპორტთან), ისე არასავაჭრო.

6) ოპერაციის ხასიათის მიხედვით გვაქვს:
- პასიური სავალუტო ოპერაციები;
- აქტიური სავალუტო ოპერაციები;
- საშუამავლო სავალუტო ოპერაციები.

პასიურ სავალუტო ოპერაციებს მიეკუთვნება მიმდინარე სავალუტო ანგარიშების გახსნა და მომსახურება, ვადიანი სადეპოზიტო ანგარიშების გახსნა და რესურსების მოზიდვა, სავალუტო სახსრების მოზიდვა სხვა წყაროებიდან. აქტიურ სავალუტო ოპერაციებში შედის კრედიტების გაცემა კლიენტებსა და ბანკებზე, რაც შეეხება საშუამავლო სავალუტო ოპერციებს, მაგალითად, უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული ოპერაციები, ისინი შეიძლება იყოს თანმდევი პროცესი როგორც აქტიური, ისე პასიური ოპერაციებისა.

7) მასშტაბის მიხედვით გვაქვს ორი ტიპის ოპერაცია:
- მსხვილი სავალუტო ოპერაციები;
- მცირე სავალუტო ოპერაციები.

უმეტესწილად მსხვილი მოცულობით სავალუტო ოპერაციები დამახასიათებელია იურიდიული პირების მომსახურებასთან უნაღდო ფორმით. მცირე მოცულობით ოპერაციები კი, როგორც წესი, მოდის ფიზიკური პირების მომსახურებაზე ნაღდი ფორმით.

8) ანგარიშსწორების ინსტრუმენტების მიხედვით გვაქვს ორი ტიპის სავალუტო ოპერაცია:
- დოკუმენტური ოპერაციები;
- საბანკო გადარიცხვები.

დოკუმენტურ ოპერაციებში შედის დოკუმენტური აკრედიტივი, დოკუმენტური ინკასო და გარანტიები.

9) გარიგების სახეობების მიხედვით გვაქვს:
- სპოტ ოპერაციები;
- ვადიანი სავალუტო გარიგებები;
- სვოპ ოპერაციები.

ამ კლასიფიკაციით სავალუტო გარიგებების სახეობები მეტად მნიშვნელოვანია და მათ დახასიათებას, სხვა მნიშვნელოვან მომენტებთან ერთად, ცალკე პარაგრაფი მიეძღვნება.

19.2. სავალუტო ბაზარი და მისი სტრუქტურა

სავალუტო ბაზარი არის ორგანიზაციული და ეკონომიკური ურთიერთობების ერთობლიობა, რომლებიც წარმოიშობა ისეთი ოპერაციებისას, როგორებიცაა: უცხოური ვალუტის, უცხოურ ვალუტაში ნომინირებული ფასიანი ქაღალდებისა და სხვა საგადამხდელო დოკუმენტების ყიდვა-გაყიდვა და უცხოური ინვესტიციების მოძრაობა. სავალუტო ბაზარზე ხდება სავალუტო ღირებულებათა ინვესტორების, გამყიდველებისა და მყიდველების ინტერესთა შეთანხმება. თანამედროვე სავალუტო ბაზრები წარმოუდგენელია მაღალტექნოლოგიური საკომუნიკაციო სისტემების გარეშე.

სავალუტო ბაზარი ასრულებს შემდეგ ძირითად ფუნქციებს:

- ქვეყნის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის განხორციელება;
- სავალუტო კურსის განსაზღვრა მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე;
- საერთაშორისო ბაზარზე საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის მოძრაობის მომსახურება;
- სავალუტო და საკრედიტო რისკებისაგან დაზღვევა;
- მოგების მიღება.

სავალუტო ოპერაციების მოცულობიდან, ხასიათიდან და ვალუტების რაოდენობიდან გამომდინარე განასხვავებენ ლოკალურ (ნაციონალურ), რეგიონალურ და მსოფლიო (გლობალურ) სავალუტო ბაზრებს.

ლოკალურ, ანუ ნაციონალურ, სავალუტო ბაზრებზე ხდება სავალუტო გარიგებების განხორციელება შეზღუდული მოცულობით და შეზღუდული ვალუტების ჩამონათვალით და აკმაყოფილებს ერთი კონკრეტული ქვეყნის მოთხოვნილებას. ლოკალური სავალუტო ბაზარი წარმოადგენს ქვეყნის ფინანსური ბაზრის შემადგენელ ნაწილს, რომელიც აქტიურად ურთიერთობს სხვა ბაზრებთან.

რეგიონალურ სავალუტო ბაზრებზე ხდება კონვერტირებადი ვალუტების გარკვეული სპექტრის გარიგებები და ძირითადად აკმაყოფილებს რამდენიმე ქვეყნის მოთხოვნას.

საერთაშორისო ბაზარი შედგება მრავალი ეროვნული (ლოკალური) და რეგიონალური ბაზრისაგან, რომლებიც თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევების ხელშეწყობით ერთიან გლობალურ სავალუტო ბაზრად ჩამოყალიბდა.

ზოგადად, თანამედროვე სავალუტო ბაზარი წარმოადგენს რთულ და მეტად დინამიკურ ფინანსურ სისტემას, რომელშიც ჩართულია მთელი მსოფლიო ეკონომიკა. მსოფლიო სავალუტო ბაზარი მუდმივად ვითარდება, რთულდება, იხვეწება და ესადაგება მსოფლიოში მიმდინარე ახალ ტენდენციებს, ახალ გარემოებებსა და ციკლებს. რეალურად, თანამედროვე მსოფლიო სავალუტო ბაზარმა განვლო გზა ლოკალური სავაჭრო ცენტრებიდან ერთიან საერთაშორისო სავალუტო ბაზრამდე. ეს პროცესი შეუძლებელი იქნებოდა თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის გარეშე. საერთაშორისო სავალუტო ბაზრის განვითარებასთან ერთად სრულყოფილი ხდება სავალუტო ოპერაციები, ჩნდება ახალი სახეობები, იხვეწება მათი განხორციელების ტექნიკა. სავალუტო ბაზარი არსებობს და ვითარდება ისეთ ბაზრებთან მჭიდრო კავშირით, როგორებიცაა: სასესხო კაპიტალის, ფასიანი ქაღალდებისა და სასაქონლო ბაზრები, თუმცა, მათგან განსხვავებით, სავალუტო ბაზარი რიგი თავისებურებებით ხასიათდება:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

- მას არ აქვს მკაფიოდ გამოხატული გეოგრაფიული საზღვარი;
- მის მუშაობაში მონაწილეობა შეუძლია განუსაზღვრელად დიდი ოდენობის მსურველს;
- იგი ფუნქციონირებს უწყვეტ რეჟიმში (24 საათის განმავლობაში);
- იგი ხასიათდება ლიკვიდობის ძალიან მაღალი ხარისხით.

სავალუტო ბაზრის მონაწილეებიდან ზოგიერთი სავალუტო ოპერაციებს ახორციელებს მხოლოდ საკუთარი მიზნებისათვის, ზოგიერთი – მხოლოდ კლიენტების დაკვეთით, ხოლო ზოგიერთისათვის ორივეა დამახასიათებელი.

სავალუტო ბაზრის მონაწილეები არიან:

- ცენტრალური ბანკები;
- კომერციული ბანკები;
- ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებით დაკავებული კომპანიები;
- საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები;
- სავალუტო ბროკერები;
- სავალუტო ბირჟები;
- ფიზიკური პირები.

სავალუტო ბაზრის უმნიშვნელოვანეს შემადგენელს წარმოადგენს ბანკთაშორისი ბაზარი. ინსტიტუციონალური თვალსაზრისით, ბანკთაშორისი სავალუტო ბაზარი იყოფა ორ ძირითად სახეობად: საბირჟო და ბირჟისგარეშე.

სავალუტო ბაზრის საბირჟო სექტორზე სავალუტო ოპერაციები ხორციელდება სავალუტო ბირჟებისა და სავალუტო აუქციონების მეშვეობით. **სავალუტო ბირჟა** – ესაა სავალუტო ბაზრის ინფრასტრუქტურის ელემენტი, რომლის საქმიანობა დაკავშირებულია უცხოური ვალუტის ვაჭრობის ორგანიზებასთან. ესაა ადგილი, სადაც ხდება კონვერტირებადი ვალუტების ყიდვა-გაყიდვა მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე ჩამოყალიბებული ფასების შესაბამისობის მიხედვით. სავალუტო ბირჟისათვის დამახასიათებელია კლასიკური საბირჟო ვაჭრობის ყველა ელემენტი. სავალუტო ბირჟა, როგორც ორგანიზაცია, მეტწილად ისწრაფვის არა მაქსიმალური მოგების მიღებისაკენ, არამედ დროებით თავისუფალი სავალუტო რესურსების მობილიზაციისაკენ, გადანაწილებისა და ეროვნული ვალუტის კურსის განსაზღვრისაკენ უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში. ეს პროცესი ემყარება საბაზრო, სამართლიან პრინციპებს. სავალუტო ბირჟის უმთავრესი დანიშნულება მაინც ეროვნული ვალუტის ყოველდღიური ოფიციალური კურსის დადგენაა სხვა უცხოური ვალუტების მიმართ.

საქართველოში პირველი ორგანიზებული სავალუტო ბირჟა 1993 წელს იქმნება „თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის“ სახით, რომლის დამფუძნებლებად მოგვევლინნენ საქართველოს ეროვნული ბანკი და წამყვანი კომერციული ბანკები. 1995 წლის ბოლოს საქართველოში შიდა სავალუტო ბაზრის ინფრასტრუქტურის შემდეგი განვითარების, ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების საბანკო სისტემაში მოქცევისა და ეროვნული ფულადი ერთეულის შიდაკონვერტირებადობის უზრუნველყოფის მიზნით საკანონმდებლო დონეზე მიღებულ იქნა ქმედითი გადაწყვეტილება. ამ გადაწყვეტილების მიხედვით, ყველა ორგანიზაციას უცხოური ვალუტის საბუღალტრო აღრიცხვა უნდა ეწარმოებინა „თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის“ სავაჭრო სესიების შედეგების საფუძველზე, ეროვნული ბანკის მიერ ოფიციალურად გამოცხადე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული სავალუტო კურსით. ამგვარად, „თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟა“ ორი მთავარი ფუნქციით იქნა აღჭურვილი: ერთი მხრივ, ხდებოდა უნაღდო ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები კომერციულ ბანკებსა და საქართველოს ეროვნულ ბანკს შორის, ხოლო, მეორე მხრივ, ამ გარიგებათა შედეგად დადგენილი კურსი ცხადდებოდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების ოფიციალურ კურსად მეორე საბანკო დღისათვის.

მსოფლიო ეკონომიკური გლობალიზაციისა და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ თანდათან შეამცირა ნაციონალური სავალუტო ბირჟების როლი სავალუტო კურსების დადგენისას და წინა პლანზე სადღეღამისო სავალუტო ბაზრები და ინფორმაციის საერთაშორისო გლობალური წყაროები გამოვიდნენ.

დროის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ პირველ ეტაპზე (2009 წლის მარტიდან) შემოღებულ იქნა სავალუტო ინტერვენციების ახალი მექანიზმი – სავალუტო აუქციონები. ამის შემდეგ, მაისიდან, „თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის“ გაუქმების შედეგად, სავალუტო აუქციონები ეროვნული ბანკის მხრიდან საბანკო სისტემაში სავალუტო ინტერვენციების ერთადერთ საშუალებად იქცა, ხოლო კომერციულმა ბანკებმა მათი მეშვეობით დაიწყეს უნაღდო ფორმით უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები.

საქართველოს ეროვნული ბანკისათვის სავალუტო აუქციონი წარმოადგენს მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც იგი ყიდის ან ყიდულობს უცხოურ ვალუტას ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე. მისთვის სავალუტო აუქციონის მიზანია საერთაშორისო სავალუტო რეზერვების შევსება, კაპიტალის დროებითი ჭარბი შემოდინების გაცვლით კურსზე ზეგავლენის აღმოფხვრა და სხვ.

გარდა ამისა, ეროვნული ბანკის სავალუტო ინტერვენციის საჭიროება წარმოიშობა მთავრობის უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციების შედეგად. ვინაიდან ეროვნული ბანკი წარმოადგენს მთავრობის ბანკირს, მთავრობის ანგარიშები გახსნილია ეროვნულ ბანკში. აქედან გამომდინარე, მთავრობის უცხოური შემოდინებები და გადინებები პირდაპირ ეროვნულ ბანკში მთავრობის ანგარიშიდან ხორციელდება და არ ხვდება სავალუტო ბაზარზე. ამის გამო, ქვეყნის დაბალანსებული საგადამხდელო ბალანსის მიუხედავად, შესაძლებელია არსებობდეს საგარეო უარყოფითი სალდო კერძო სექტორში და, ამავდროულად, სახელმწიფო დადებითი სალდო. ამ შემთხვევაში ეროვნული ბანკი ამ განსხვავებების დასაბალანსებლად მოახდენს სავალუტო ინტერვენციას გაყიდვის მიმართულებით და პირიქით.

2009 წელს ეროვნული ბანკის ინიციატივით საქართველოში ბანკთაშორისი სავალუტო აუქციონების ჩასატარებლად დანერგილ იქნა ცნობილი „ბლუმბერგის სავაჭრო სისტემა“, რომლის ინფრასტრუქტურა აადვილებს ბანკების შიდა კომუნიკაციას და ხელს უწყობს ბაკნთაშორის სავალუტო (და ამავდროულად ფულადი ბაზრის) განვითარებას. „ბლუმბერგის სავაჭრო სისტემის“ გამოყენებით ვაჭრობის უფლებით სარგებლობენ საქართველოში ლიცენზირებული კომერციული ბანკები და უცხოური ბანკების ფილიალები. მათ შეუძლიათ გარიგებების დადება სხვა მონაწილე ბანკთან და საქართველოს ეროვნულ ბანკთან. სავაჭრო სისტემაში შესაძლებელია სპოტ, ფორვარდული და სვოპ სავალუტო გარიგებების დადება. ინფორმაცია სავაჭრო სისტემაში დადებული გარიგებების შესახებ ავტომატურად ხელმისაწვდომი ხდება ეროვნული ბანკისათვის,

რომელიც, თავის მხრივ, ყოველდღიურად აქვეყნებს ინფორმაციას სავაჭრო სისტემაში დადებული გარიგებების მოცულობის, მონაწილეთა რაოდენობის, მაქსიმალური, მინიმალური და საშუალო გაცვლითი კურსის შესახებ.

თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე საქართველოს ეროვნული ბანკი ადგენს გარკვეულ წესებსა და რეგულაციებს ქვეყანაში სავალუტო რეჟიმთან და სავალუტო ოპერაციებთან დაკავშირებით. როგორც ზემოთ აღინიშნა, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამ წესებიდან არის სხვა ქვეყნების ვალუტების მიმართ ეროვნული ვალუტის ოფიციალური გაცვლითი კურსის განსაზღვრის წესი, რომლის განსაზღვრასა და გამოქვეყნებას ახდენს საქართველოს ეროვნული ბანკი. იგი ასევე ადგენს ჩამონათვალს სხვა ქვეყნების ვალუტებისა, რომელთა მიმართაც განისაზღვრება ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი.

ოფიციალური გაცვლითი კურსი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოიყენება სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორებისას და სხვა მიზნებისათვის მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად, მაგალითად, კომერციული ბანკების მიერ უცხოურ ვალუტაში ნომინირებული აქტივებისა და ვალდებულებების ნაერთ ბალანსში ასახვისათვის.

„თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის“ გაუქმების შემდეგ შეიცვალა უცხოური ვალუტების მიმართ ოფიციალური გაცვლითი კურსების დადგენის წესი. ახალი წესის მიხედვით, აშშ დოლარის მიმართ ლარის ოფიციალური კურსის გაანგარიშება ხდება ყოველ სამუშაო საბანკო დღეს და მისი გაანგარიშების საფუძველს წარმოადგენს წინა სამუშაო საბანკო დღის 16:30 საათიდან გაანგარიშების დღის 16:30 საათამდე პერიოდში (ანუ გასაანგარიშებელ პერიოდში) ბლუმბერგის ელექტრონულ სავაჭრო სისტემაში რეგისტრირებული გარიგებებები. ამ შემთხვევაში აშშ დოლარის მიმართ ლარის ოფიციალურ გაცვლით კურსად ცხადდება ბლუმბერგის სავაჭრო სისტემაში გასაანგარიშებელი პერიოდის განმავლობაში ბანკთაშორის დადებულ სპოტ გარიგებათა გათვალისწინებით გამოთვლილი საშუალო შეწონილი კურსი. რა თქმა უნდა, ბანკთაშორის დადებულ გარიგებებში იგულისხმება საქართველოს ეროვნულ ბანკთან, როგორც გარიგების ერთ-ერთ მხარესთან, დადებული გარიგებებიც.

რაც შეეხება სხვა დანარჩენი ქვეყნების ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალურ გაცვლითი კურსს, იგი განისაზღვრება საერთაშორისო ბაზრებზე ან ემიტენტი ქვეყნის შიდა სავალუტო ბაზარზე არსებული კურსების კროს-კურსული გადაანგარიშების საფუძველზე. თითოეული ასეთი ვალუტისათვის ბაზრის იმ სეგმენტების ჩამონათვალს (ბანკთაშორისი ან ცენტრალური ბანკის კურსი), რომელთაც უპირატესობა ენიჭებათ კროს-კურსული გადაანგარიშებისათვის საჭირო კურსების მისაღებად, ადგენს ეროვნული ბანკი. გაცვლითი კურსების შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროს წარმოადგენს „როიტერის“, „ბლუმბერგის“ საინფორმაციო სისტემები და შესაბამისი ქვეყნის ცენტრალური ბანკების ვებგვერდები. კროს-კურსული გადაანგარიშებისათვის საჭირო კურსების განსაზღვრისას აიღება იმ მომენტისათვის ხელმისაწვდომი უკანასკნელი საკურსო მაჩვენებლები.

ოფიციალური გაცვლითი კურსები ქვეყნდება ეროვნული ბანკის ვებგვერდზე არა უგვიანეს გაანგარიშების დღის 17:00 საათისა და მოქმედებს გამოქვეყნების მომდევნო დღიდან, ახალი კურსების ამოქმედების დღემდე პერიოდში.

რაც შეეხება **არასაბირჟო სავალუტო ბაზრებს**, აქ გარიგებები უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის შესახებ იდება როგორც უშუალოდ ბანკებს, ასევე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბანკებსა და სავალუტო ბაზრის სხვა მონაწილეებს შორის სავალუტო ურთიერთობა გვერდის ავლით, ანუ პირდაპირ. არასაბირჟო სავალუტო ბაზრის მთავარი უპირატესობაა უფრო სწრაფი ანგარიშსწორება და მისი თვალსაჩინო მაგალითია ცნობილი FOREX (ანუ ***Foreign Exchange***) უცხოური ვალუტის ვაჭრობის საერთაშორისო სისტემა, რომელიც **XX** საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში, უფრო ზუსტად, 1973 წლის ივლისიდან ჩამოყალიბდა, მას შემდეგ, რაც ბრეტონ-ვუდსის ფინანსური სისტემის დაშლის შედეგად ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების ვალუტები ფიქსირებული კურსებიდან მცოცავ კურსებზე გადავიდნენ. მცურავი კურსის შემოღებამ ცენტრალურ ბანკებს შესძინა ეროვნული ვალუტის კურსზე და, შესაბამისად – ეროვნულ ეკონომიკაზე ქმედითი ზემოქმედების უნარი და შესაძლებლობა. თანამედროვე საფინანსო სისტემის განვითარებასთან ერთად, კონვერტირებადი ვალუტები გადაიქცნენ თავისებურ, სპეციფიკურ საქონლად, რომელთაც მიმოქცევა დაიწყეს FOREX-ის სისტემაში.

FOREX არაა კლასიკური ბირჟა, ვინაიდან მას არ გააჩნია კონკრეტული ადგილმდებარეობა და მკაფიოდ გამოხატული ვაჭრობის სტანდარტები: იგი კონკრეტულად არსად არაა და ამავდროულად ყველგან არის, სხვადასხვა ქვეყნის ცენტრალური და კომერციული ბანკები, მსხვილი ფინანსური ინსტიტუტები, ბროკერები, დილერები და კერძო პირები ერთმანეთში ამყარებენ არაფორმალურ კავშირს – ვაჭრობენ სხვადასხვა ვალუტით კომპიუტერული ქსელების მეშვეობით, FOREX ინტერნეტს წააგავს – იგი არავის არ ეკუთვნის, არის ყველგან და მისი კონტროლი შეუძლებელია.

FOREX-ის გლობალურ ქსელის უმსხვილესი მოთამაშეები სხვადასხვა ქვეყნის ცენტრალური ბანკები არიან, რომლებიც იყენებენ მას ეროვნული ვალუტის სტაბილიზაციისათვის, რათა დაიცვან იგი მკვეთრი რყევებისაგან.

FOREX-ის ბაზარზე ვაჭრობა მიმდინარეობს ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით. ვაჭრობა იწყება ახალ ზელანდიაში (ველინგტონი) ორშაბათ დილით, ადგილობრივი დროით 7:30-ზე და შემდეგ, დედამიწის ბრუნვის პარალელურად, მასში ერთვებიან სხვადასხვა საათობრივ სარტყელში განლაგებული მსხვილი ფინანსური ცენტრები: სიდნეი, ტოკიო, ჰონგ-კონგი, სინგაპური, მოსკოვი, ფრანკფურტი, ლონდონი, ნიუ-იორკი, ჩიკაგო, ლოს ანჯელესი, შემდეგ ისევ ველინგტონი და ა.შ. ამ სქემის მიხედვით, FOREX-ის ბაზარი მთელი სამუშაო კვირის განმავლობაში 24-საათიან რეჟიმში ფუნქციონირებს, ვაჭრობაში ერთვებიან ის ქვეყნები, სადაც სამუშაო დღე იწყება, ხოლო ქვეყნები, სადაც სამუშაო დღე მთავრდება, ვაჭრობას ეთიშებიან.

FOREX მსოფლიოში არსებულ ბაზრებს შორის უდიდესი ბაზარია, მისი დღიური ბრუნვა რამდენიმე ტრილიონი აშშ დოლარია და ამ მოცულობის უდიდესი ნაწილი მსოფლიოს რვა სარეზერვო ვალუტაზე მოდის. ეს ვალუტებია:

- USD – აშშ დოლარი;
- EUR – ევრო;
- GBP – დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი;
- JPY – იაპონური იენი;
- CHF – შვეიცარიული ფრანკი
- AUD – ავსტრალიური დოლარი;
- CAD – კანადური დოლარი;
- NZD – ახალზელანდიური დოლარი.

დღეისათვის FOREX არის სავაჭრო, სპეკულაციური და საინვესტიციო ოპერაციების ერთობლიობა, რომელიც დაკავშირებულია უცხოურ ვალუტას-

თან, ძვირფას ლითონებთან, ნავთობთან, აქციებთან და სხვადასხვა წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტთან.

19.3. კომერციული ბანკის სავალუტო ოპერაციების სახეობები

სავალუტო ოპერაციების წარმოებისათვის კომერციულ ბანკებში შექმნილია სპეციალური სამსახურები, რომელთაც მეტწილად მოიხსენიებენ „ხაზინად". არცთუ შორეულ წარსულში ისინი იწოდებოდნენ სავალუტო ოპერაციების განყოფილებებად, სამმართველოებად და ა. შ. კომერციული ბანკების ხაზინის სამსახურებში დასაქმებულ თანამშრომლებს დილერები ეწოდებათ და ისინი ოპერირებენ როგორც სავალუტო, ისე ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, და ასრულებენ კლიენტების დავალებებს და ახორციელებენ ბანკის საკუთარ თუ სპეკულაციურ ოპერაციებს.

როგორც ამ თავის პირველ პარაგრაფში აღინიშნა, გვაქვს სავალუტო გარიგების სამი ძირითადი სახეობა:

1) სპოტ გარიგება;
2) ვადიანი სავალუტო გარიგება;
3) სვოპ ოპერაცია.

სხვადასხვა სავალუტო ოპერაციის ჩატარების დროს გარიგების ტიპის არჩევა რიგ გარემოებებსა და ფაქტორებზეა დამოკიდებული. ჩვეულებრივი, სპოტ გარიგებისგან განსხვავებით, ვადიანი სავალუტო გარიგებები და სვოპ ოპერაციები იძლევიან სავალუტო კურსის ნეგატიური ცვლილებებისგან თავის დაზღვევის შესაძლებლობას, რადგან მომავალში შესასრულებელი სავალუტო ოპერაციის გაცვლითი კურსი დაფიქსირებულია კონტრაქტის დადებისთანავე და არ იცვლება კონტრაქტის ვადამდე, ანუ ესაა სავალუტო რისკის ჰეჯირების ინსტრუმენტები, რომლებიც აზღვევენ ბიზნესის მომავალ სავალუტო ფულად ნაკადებს სავალუტო რისკისაგან.

დავახასიათოთ სავალუტო ოპერაციების ზემოაღნიშნული სამი ძირითადი სახეობა:

1) სპოტ ოპერაციები – ესაა ვალუტის ყიდვა-გაყიდვის გარიგებების ტიპი, ვალუტის არა უგვიანეს მომდევნო საბანკო დღეს მიწოდების პირობით. სპოტ გარიგებები არის სავალუტო ოპერაციების ყველაზე მობილური საშუალება, რომლის მეშვეობითაც კომერციული ბანკები ახდენენ საკუთარი და კლიენტების სავალუტო სახსრების მოთხოვნილებათა ოპერატიულ დაკმაყოფილებას. ვალუტის შესაბამის ანგარიშებზე ჩარიცხვის თარიღს „ვალუტირების თარიღს" უწოდებენ. იმის მიხედვით, თუ როდის ხდება ვალუტის მიწოდება, ანუ ვალუტირების თარიღის მიხედვით, სპოტ ოპერაციებში იგულისხმება უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების სამ ტიპი:

- გარიგება **TOD** (ინგლისური სიტყვიდან ***today*** – დღეს), რომლის დროსაც ვალუტის მიწოდება ხდება გარიგების დადების დღეს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

- გარიგება **TOM** (ინგლისური სიტყვიდან ***tomorrow*** – ხვალ), რომლის დროსაც ვალუტის მიწოდება ხდება გარიგების დადების მომდევნო საბანკო დღეს;
- გარიგება, რომლის დროსაც ვალუტის მიწოდება ხდება გარიგების დადების მეორე საბანკო დღეს.

ასეთი ოპერაციები ზოგჯერ მოიხსენიება, როგორც სპოტ გარიგებები, ხოლო ამ დროს დაფიქსირებული კურსები – სპოტ კურსად.

ყველა სავალუტო ოპერაცია ნაღდი გაცვლით ითვლება სპოტ გარიგებად, ხოლო ბანკებს შორის მისი განხორციელების საფუძვლად გვევლინებიან საკორესპონდენტო ურთიერთობები. ბანკები სპოტ გარიგებებს იყენებენ ნოსტრო ანგარიშებზე უცხოური ვალუტის ნაშთების მინიმალური აუცილებელი ოდენობით შენარჩუნებისათვის, ახორციელებენ ერთი ჭარბი ვალუტის ნაშთის შემცირებას და მეორე „დეფიციტური" ვალუტის ნაშთის გაზრდას.

2) რაც შეეხება **ვადიან სავალუტო გარიგებებს**, ამ ჯგუფში შედიან ის სავალუტო ოპერაციები, რომელთა მიხედვით ანგარიშსწორება ხდება არა მაშინვე ან ორი საბანკო დღის განმავლობაში, არამედ უფრო ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ. რა უბიძგებს გარიგების მხარეებს, დადონ გრძელვადიანი სავალუტო გარიგებები? საქმე ის არის, რომ მათი მეშვეობით კონტრაგენტები ახდენენ რისკების შემცირებას და ვალუტის კურსის მათთვის ნეგატიური ცვლილების დაზღვევას (ჰეჯირება), ასევე იგი კარგი საშუალება, მოგების მისაღებად სპეკულაციური ოპერაციების დროს. ასეთ გარიგების სახეობებად გვევლინებიან წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, ე. წ. დერივატივები. ვადიანი სავალუტო გარიგებების ცნობილი „წარმომადგენლები" არიან „სავალუტო ფორვარდები", „სავალუტო ფიუჩერსები" და „სავალუტო ოფციონები". დავახასიათოთ თითოეული მათგანი:

- **სავალუტო ფორვარდი** – ესაა კონტრაქტი, რომლის მიხედვითაც, ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ფასი დგინდება წინასწარ, ხოლო უშუალოდ ოპერაცია ხორციელდება დათქმული ვადის შემდეგ კონტრაქტის დადების დროს შეთანხმებულ ფასად.

წარმოვიდგინოთ, რომ ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებით დაკავებული კომპანია ორ თვეში ელოდება ლარის შემოსავლებს, რომელთა საშუალებითაც უნდა შეიძინოს აშშ დოლარი და გადაურიცხოს მომწოდებელს. თუკი კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ დღევანდელი კურსი არის სასურველი ამ ოპერაციის ჩასატარებლად ან სურს თავი დაიზღვიოს მომავალში მისი ნეგატიური ცვლილებისაგან, იგი შეიძენს სავალუტო ფორვარდს, ანუ იყიდის ლარით აშშ დოლარს, ისე რომ კურსი შეთანხმდება გარიგების დადებისთანავე, ხოლო ანგარიშსწორება განხორციელდება 1 თვის შემდეგ, როცა კომპანია მიიღებს ლარებს. როგორც ვხვდებით, ამ დროს არ ხდება არც ლარის და არც აშშ დოლარის გადარიცხვა, უბრალოდ, კომპანიამ იყიდა კონტრაქტი ამ შესყიდვაზე შესაბამისი პირობებით.

სავალუტო ფორვარდების კონტრაქტების ვადა მეტად ცვალებადია და მერყეობს 3 დღიდან 5 წლამდე, თუმცა, ყველაზე გავრცელებულია 1-, 3-, 6-, 9- და 12-თვიანი კონტრქტები. ფორვარდული კონტრაქტი საბანკო კონტრაქტია და, როგორც წესი, მისი რაიმე სტანდარტიზებული ფორმა არ არსებობს. ფორვარდული კურსის გაანგარიშების საფუძველს წარმოადგენს მიმდინარე, ანუ სპოტ კურსი, რომელიც კორექტირდება პრემიით ან დისკონტით.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ ფორვარდული კურსი არის მომავალში სავალუტო კურსის პროგნოზირება, ესაა მხოლოდ დაზღვევა მისი ნეგატიური ცვლილებით მიღებული ზარალისაგან, ანუ სავალუტო კურსის ჰეჯირება. რა თქმა უნდა, ფორვარდული კონტრაქტები სპეკულაციური, ანუ დამატებით მოგების მიღების მიზნითაც გამოიყენება.

- **სავალუტო ფიუჩერსი** არის სტანდარტული კონტრაქტი, რომელიც ითვალისწინებს ერთი ვალუტის ყიდვას (გაყიდვას) მეორე ვალუტით გარკვეული პერიოდის შემდეგ კონტრაქტის დადების დროს არსებული კურსით. სავალუტო ფიუჩერსი, როგორც მიხვდით, ძალიან ჰგავს სავალუტო ფორვარდს, შეიძლება ითქვას, მისი ნაირსახეობაცაა, თუმცა, მათ შორის არის არსებითი განსხვავებები, მაგალითად:
  - სავალუტო ფორვარდები მიმოიქცევა ბანკთაშორის ბაზარზე, ხოლო სავალუტო ფიუჩერსები – საბირჟო ბაზარზე;
  - ფორვარდული ბაზრის მონაწილეების წრე შეზღუდულია და მსხვილი კომპანიებითაა წარმოდგენილი, მაშინ, როცა სავალუტო ფიუჩერსულ ბაზარზე მონაწილეობა შეუძლიათ როგორც მსხვილ, ისე წვრილ ინვესტორებს, ფიზიკურ პირებსაც კი;
  - სავალუტო ფორვარდების ვალუტების სპექტრი საკმაოდ ფართოა, მაშინ, როცა სავალუტო ფიუჩერსები მხოლოდ „ძირითადი" ვალუტებითაა წარმოდგენილი;
  - სავალუტო ფორვარდები ინდივიდუალური კონტრაქტებია და მათი პირობები განისაზღვრება მხარეების მიერ, ხოლო სავალუტო ფიუჩერსები სტანდარტიზებულია ვადების, მოცულობებისა და პირობების მიხედვით;
  - სავალუტო ფორვარდული კონტრაქტები, როგორც წესი, მთავრდება ვალუტის მიწოდებით ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ხოლო სავალუტო ფიუჩერსების უმეტესობა მთავრდება ე. წ. „ოფსეტური" (უკუ) გარიგებით, ანუ არ ხდება ვალუტის რეალური მიწოდება მხარეების მიერ, არამედ ისინი იღებენ სხვაობას, რომელიც მიღებულია გარიგების ფასსა და კონტრაქტის შესრულების დროს ფასებს შორის სხვაობით;
  - ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სავალუტო ფორვარდები უფრო ძვირია, ვიდრე სავალუტო ფიუჩერსები.

თუნდაც ამ შედარებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სავალუტო ფიუჩერსები არის ბირჟაზე მიმოქცევადი სტანდარტიზებული კონტრაქტები. მათი თავისებურებაა ისიც, რომ ბანკები ამ შემთხვევაში გვევლინებიან არა გარიგებათა მხარეებად, არამედ მხოლოდ შუამავლებად კლიენტებსა და ბირჟის კლირინგს შორის.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2013 წლის მარტიდან მის მიერ საერთაშორისო რეზერვების მართვის პროცესში ჩართო ახალი ინსტრუმენტი – ფიუჩერსული კონტრაქტებით ვაჭრობა.

- **სავალუტო ოფციონი** არის წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი, კონტრაქტი, რომელიც მის მყიდველს აძლევს უფლებას, მაგრამ არ ავალდებულებს, შეასრულოს ვალუტის გაცვლითი ოპერაცია მომავალში, წინასწარ განსაზღვრულ ვადაში, შეთანხმებული მოცულობით და კურსით. ოფციონის გარიგების დროს ორი მხარე მონაწილეობს: ოფციონის გამყიდველი და ოფციონის მყიდველი, რომელიც, თავის მხრივ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იძენს ვალუტის გარკვეული პირობებით ყიდვის მხოლოდ უფლებას და არა ვალდებულებას.

სავალუტო ოფციონი ჰგავს სავალუტო ფორვარდს, მაგრამ, როგორც აღინიშნა, მისგან განსხვავებით, ოფციონის მყიდველი აღჭურვილია მხოლოდ კონტარქტის პირობების შესრულების უფლებით და არა ვალდებულებით. ოფციონის მყიდველს შესაძლებლობა აქვს, აირჩიოს სამი ვარიანტიდან ერთ-ერთი: შეასრულოს კონტრაქტის პირობები, უარი თქვას მის შესრულებაზე ან გაყიდოს იგი მესამე პირზე კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე.

ოფციონის ვადა არის დროის ის ხანგრძლივობა, რომლის გასვლის შემდეგაც ოფციონის მყიდველი კარგავს უცხოური ვალუტის ყიდვის ან გაყიდვის უფლებას, ხოლო გამყიდველი თავისუფლდება თავისი ვალდებულებებისაგან მყიდველის მიმართ.

როგორც გასული მასალიდან გვახსოვს, იმის მიხედვით, გამოწერილია უცხოური ვალუტის ყიდვაზე თუ გაყიდვაზე, გვაქვს მათი ორი სახეობის ოფციონი: ოფციონი გაყიდვაზე (***put option***) და ოფციონი ყიდვაზე (***call option***). შესრულების პრინციპის მიხედვით არსებობს ასევე ორი სახეობის ოფციონი: ე. წ. „ამერიკული ოფციონი" და „ევროპული ოფციონი". პირველი მათგანი მყიდველს უფლებას აძლევს, საკუთარი უფლების რეალიზაცია მოახდინოს ოფციონის პერიოდის ნებისმიერ დღეს, ხოლო მეორე შემთხვევაში – მხოლოდ მისი ვადის ბოლოს, ანუ კონკრეტული თარიღისათვის.

სავალუტო ოფციონები ძირითადად საბირჟო ინსტრუმენტებია. მათთვის ნიშანდობლივია, რომ, ერთი მხრივ, ოფციონის მყიდველისათვის ასეთი კომფორტული პირობების და, მეორე მხრივ, გამყიდველისათვის რისკის მაღალი ხარისხის გამო, ოფციონის მომსახურება ითვალისწინებს გარკვეული საფასურის გადახდას. ესაა ოფციონის პრემია, ანუ ოფციონის კონტრაქტის ფასი, რომელსაც მყიდველი იხდის მისი შეძენისას და რომელიც აღარ ექვემდებარება უკან დაბრუნებას, მიუხედავად იმისა, შესრულდება თუ არა კონტრაქტის პირობები. ოფციონის ფასზე გავლენას ახდენს რიგი ფაქტორები, რომელთა შორის აღსანიშნავია: ვალუტის მიმდინარე კურსი (სპოტი), ოფციონის ვადა, ბაზრის მიმდინარე ტენდენციები (მოთხოვნა-მიწოდება, საბანკო პროცენტები) და სხვ.

3) სვოპ ოპერაციები არის სავალუტო გარიგების სახეობა, რომლის დროსაც საქმე გვაქვს ორ ურთიერთსაპირისპირო საკონვერსიო ოპერაციასთან. პირველი მათგანი წარმოადგენს სპოტ, ხოლო მეორე – ვადიან სავალუტო გარიგებას. სვოპ გარიგებები მიეკუთვნებიან საბანკო ოპერაციათა რიგს. მათ ბანკები აქტიურად იყენებენ როგორც ბიზნესსაქმიანობით დაკავებულ კლიენტებთან, ისე ერთმანეთთან ურთიერთობისას. მაგალითად, წარმოვიდგინოთ კომპანია, რომელსაც მოცემული პერიოდისათვის აქვს 1 მლნ აშშ დოლარი ანგარიშზე. ამავდროულად მას აქვს დასაფარავი მიმდინარე ვალდებულებები ლარში, რომლის რესურსები არ გააჩნია. ამასთან, ობიექტური მიზეზების გამო (შესაძლო ნეგატიური კურსთაშორისი სხვაობა), მას არ სურს ანგარიშზე არსებული უცხოური ვალუტის ან მისი ნაწილის კონვერტირება, ვინაიდან რამდენიმე თვეში კვლავ დასჭირდება იგი სხვა უცხოურ ვალუტაში არსებული ვალდებულებების დასაფარავად. სვოპ ოპერაციის მეშვეობით კომპანიას შეუძლია არსებული უცხოური ვალუტით შეიძინოს ლარი, უფრო სწორად, გაცვალოს იგი ლარში, მომავალში კი წინასწარ განსაზღვრული კურსით დაიბრუნოს გაყიდული უცხოური ვალუტა. სვოპ გარიგების დადება შესაძლებელია კომერციულ ბანკთან. კომპანიებს, რომლებსაც აქვთ ურთიერთსაწინააღმდეგო მოთხოვნა

ეროვნული ბანკი

ვალუტების მიმართ, შეუძლიათ აგრეთვე სვოპ ოპერაციების განხორციელება ერთმანეთში.

საქართველოში ბოლო პერიოდში გავრცელება პოვა სვოპ ოპერაციებმა ბანკთაშორის ბაზარზე, როგორც ერთმანეთს შორის, ისე ეროვნულ ბანკთან. აღნიშნულ ოპერაციებს არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკის 2005 წლის (შემდეგ 2009 წელს შეცვლილი) დებულება „საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შიდა ბაზარზე სავალუტო სვოპ ოპერაციების განხორციელების შესახებ". როგორც გასული მასალიდან გვახსოვს, აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, „სვოპ ოპერაცია წარმოადგენს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც ეროვნული ბანკი წინასწარ განსაზღვრული ვადით, აუქციონის წესით ყიდულობს უცხოურ ვალუტას სპოტ კურსით, მისი ფორვარდული კურსით უკან გაყიდვის პირობით".

როგორც ზემოთ აღინიშნა, ვადიანი სავალუტო ოპერაციები ამცირებენ იმ კომპანიების სავალუტო რისკს, რომელთაც აქვთ საკუთარი აქტივებისა და ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების შეუსაბამობა ვალუტაში. ასეთ კომპანიებს საბაზრო ეკონომიკის პირობებში წარმოექმნებათ გაცვლითი კურსის რისკი, ანუ სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი განსაკუთრებულად ზემოქმედებს საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართულ კომპანიებზე. ვინ არის განსაკუთრებით დაქვემდებარებულები სავალუტო რისკებზე?

- **ექსპორტიორები** – ადგილობრივ ბაზარზე საქონლის შეძენა-წარმოების ხარჯებს გასწევენ ეროვნულ ვალუტაში, ხოლო ამონაგებს იღებენ უცხოური ვალუტით. ბუნებრივია, ექსპორტიორებისათვის ეროვნული ვალუტის გამყარება ნიშნავს პოტენციურად მეტ ზარალს, რადგან ის ნაკლებ ლარს მიიღებს ექსპორტირებული საქონლის სანაცვლოდ და, პირიქით, ეროვნული ვალუტის გაუფასურება – პოტენციურად მეტ შემოსავალს, ვინაიდან ექსპორტიდან მიღებული უცხოური ვალუტა უფრო მეტი ლარი იქნება, ვიდრე მან დახარჯა.
- **იმპორტიორები** – ქვეყანაში შემოტანილი საქონლის ღირებულებას იხდიან უცხოური ვალუტით, ხოლო ამონაგებს იღებენ ეროვნული ვალუტით. გასაგებია, რომ განსხვავებით ექსპორტიორებისაგან, იმპორტიორისათვის ზარალიანია ეროვნული ვალუტის გაუფასურება, ვინაიდან ის ნაკლებ ლარს მიიღებს, ვიდრე ელოდა, ანუ მას მეტი ლარის გადახდა მოუწევს უცხოურ ვალუტაში აღებული ვალდებულების დასაფარავად. პირიქით, უცხოური ვალუტის გამყარება იპორტიორისათვის დამატებითი შემოსავლის მომტანია, ვინაიდან მას უწევს ნაკლები ლარის გადახდა იმ უცხოური ვალუტის შესაძენად, რომელიც საჭიროა აღებული ვალდებულებების დასაფარავად.
- **ფიზიკური პირები და ის ორგანიზაციები, რომელთაც შემოსავლები აქვთ ეროვნულ (უცხოურ) ვალუტაში და ხარჯები — უცხოურ (ეროვნულ) ვალუტაში.** მაგალითად, ფიზიკური პირისათვის, რომელსაც შემოსავალი აქვს ლარში, ხოლო აღებული კრედიტი – უცხოურ ვალუტაში, ეროვნული ვალუტის გამყარება დამატებითი შემოსავალის მომტანია (ნაკლები ლარი სჭირდება საჭირო ოდენობით ვალუტის ყიდვას) და, პირიქით – ეროვნული ვალუტის გაუფასურება დამატებითი ხარჯია (მეტი ლარი სჭირდება საჭირო ოდენობით ვალუტის ყიდვას).
- **კომერციული ბანკები,** როგორც ფინანსური ინსტიტუტები, რომელთა ქსელში თავმოყრილია საზოგადოების თავისუფალი ფულადი სახსრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მათი უმრავლესობა ქართულ რეალობაში უცხოურ ვალუტაშია ნომინირებული, უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ნეგატიურმა ცვლილებამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს კომერციული ბანკების მოგებაზე, კაპიტალზე, ლიკვიდობასა და გადახდისუნარიანობაზე.

19.4. სავალუტო რისკების მართვა და სავალუტო ოპერაციების აღრიცხვა

სავალუტო რისკის მინიმიზაციის მიზნით გამოიყენება ჰეჯირების სხვადასხვა ინსტრუმენტი. სავალუტო რისკის ჰეჯირების ძირითადი მიზანია, თავიდან იქნეს აცილებული გაცვლითი კურსის რყევებისგან გამოწვეული გაურკვევლობა. სავალუტო რისკის ჰეჯირების საუკეთესო საშუალებაა „ბუნებრივი ჰეჯირება“, ანუ ბიზნესპროცესების ისეთი დაგეგმვა და წარმართვა, რომ კომპანიის ფულადი ნაკადების მოცულობა (შემოსავლები და ხარჯები) ვალუტების მიხედვით სრულად ან მაქსიმალურად სრულად შეესაბამებოდეს ერთმანეთს და ამგვარად – აცილებული ან მინიმუმამდე დაყვანილი სავალუტო რისკი.

მიუხედავად იმისა, რომ სავალუტო რისკების თავიდან ასაცილებლად კომერციული ბანკები იყენებენ ჰეჯირების ინსტრუმენტებს, მათ შორის განხილულ სავალუტო წარმოებულებს (დერივატივებს), იგი უაღრესად აქტუალურ საკითხად რჩება.

სავალუტო რისკების თავიდან აცილებისა და მათი უარყოფითი გავლენის მინიმიზაციის მიზნით საქართველოს კომერციულ ბანკებში მოქმედებს მსოფლიოში ცნობილი აპრობირებული, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული „საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტის დადგენის, გაანგარიშებისა და დაცვის წესი“.

დოკუმენტის თანახმად, **სავალუტო პოზიცია** არის სხვაობა ბანკის უცხოური ვალუტით ფორმირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს შორის. მაგალითად, თუ კომერციულ ბანკს მოზიდული აქვს 50 მლნ აშშ დოლარის დეპოზიტები და სხვა ვალდებულები, ხოლო აქტივში განთავსებულია 55 ან 47 მლნ აშშ დოლარი, შესაბამისად, სავალუტო პოზიცია იქნება 5 (55-50) ან -3 (47-50) მლნ აშშ დოლარი. რა თქმა უნდა, კომერციულ ბანკს შეუძლია უზრუნველყოს ის, რომ აქტივშიც 50 მლნ აშშ დოლარის უცხოური ვალუტა ჰქონდეს, მაგრამ გარემოებებიდან გამომდინარე, იგი დროებით ყიდის „სხვისი“ უცხოური ვალუტის ნაწილს ან პირიქით, „სხვისი“ ლარით ყიდულობს დამატებით უცხოურ ვალუტას.

სავალუტო პოზიციის გაანგარიშებისას ბანკის აქტივებსა და ვალდებულებებში ჩაითვლება როგორც საბალანსო, ისე ბალანსგარეშე აქტივები და ვალდებულებები. ორივე ერთად იწოდება კრებსით სავალუტო პოზიციად. ბალანსგარეშე აქტივებსა და ვალდებულებებში შედის სავალუტო კონტრაქტები უცხოური ვალუტის ყიდვასა და გაყიდვაზე – სპოტური, ფიუჩერსული, ფორვარდული და სვოპური კონტრაქტებით ნაკისრი ვალდებულებები და ოფციონებით გათვალისწინებული უფლება-ვალდებულებები თანხობრივი მოცულობებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავალუტო პოზიცია შეიძლება იყოს დახურული ან ღია:

- **სავალუტო პოზიცია არის დახურული**, როდესაც უცხოური ვალუტის სახეობების მიხედვით ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების თანხობრივი მოცულობები ერთმანეთის ტოლია, როგორც ჩვენს მაგალითში 50-50 მლნ აშშ დოლარი ვალდებულებებსა და აქტივში;
- **სავალუტო პოზიცია არის ღია**, როდესაც უცხოური ვალუტის სახეობების მიხედვით ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების თანხობრივი მოცულობები არ ემთხვევა ერთმანეთს და ამ დროს გვაქვს ორი შემთხვევა:
  - **გრძელი ღია სავალუტო პოზიცია** – როდესაც ერთი და იმავე სახეობის უცხოური ვალუტით ბანკის აქტივები მეტია მის ვალდებულებებზე, როგორც ჩვენს მაგალითში 50 მლნ აშშ დოლარი ვალდებულებებში და 55 მლნ აშშ დოლარი – აქტივში, ანუ ბანკს 5 (55-50) მლნ აშშ დოლარით მეტი აქტივი აქვს, ვიდრე ვალდებულება;
  - **მოკლე ღია სავალუტო პოზიცია** – როდესაც ერთი და იმავე სახეობის უცხოური ვალუტით ბანკის აქტივები ნაკლებია მის ვალდებულებებზე, როგორც ჩვენს მაგალითში 50 მლნ აშშ დოლარი ვალდებულებებში და 47 მლნ აშშ დოლარი – აქტივში, ანუ ბანკს 3 (47-50) მლნ აშშ დოლარით ნაკლები აქტივი აქვს, ვიდრე ვალდებულება.

ნიშანდობლივია, რომ სავალუტო პოზიციის გაანგარიშება ხდება როგორც ზემოაღნიშნული წესით თითოეული ვალუტის მიხედვით ცალ-ცალკე, ისე საერთო ღია სავალუტო პოზიციის მიხედვითაც.

საერთო ღია სავალუტო პოზიცია არის ბანკის ყველა უცხოური ვალუტის მიხედვით გრძელი ღია სავალუტო პოზიციების ჯამსა და მოკლე ღია სავალუტო პოზიციების ჯამს შორის უდიდესი. ზემოაღნიშნული მაგალითის მსგავსად ხდება გრძელი და მოკლე ღია სავალუტო პოზიციების გაანგარიშება თითოეული ვალუტის მიხედვით (მაგალითად: ევრო, ფუნტი სტერლინგი და რუსული რუბლი). ამის შემდეგ ხდება ცალკე გრძელი ღია და ცალკე მოკლე ღია სავალუტო პოზიციების დაჯამება ოთხივე ვალუტის მიხედვით და მათ შორის უდიდესი ჩაითვლება საერთო ღია სავალუტო პოზიციად. ბუნებრივია, საერთო ღია სავალუტო პოზიცია იქნება ან დადებითი, ან უარყოფითი.

საქართველოს ეროვნული ბანკი კომერციული ბანკების მიერ გაწეული რისკიანი სავალუტო ოპერაციების შეზღუდვის მიზნით ადგენს სწორედ ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტებს. ლიმიტები დგინდება შემდეგი მიმართულებებით:

- თითოეული უცხოური ვალუტის როგორც საბალანსო, ისე კრებსითი სავალუტო პოზიციების მიხედვით – საზედამხედველო კაპიტალის 20%-ის ოდენობით;
- ბანკის საერთო ღია სავალუტო პოზიცია როგორც საბალანსო, ისე კრებსითი სავალუტო პოზიციების მიხედვით – საზედამხედველო კაპიტალის 20%-ის ოდენობით.

კომერციული ბანკის საზედამხედველო კაპიტალი გაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით. ღია სავალუტო პოზიციაზე დადგენილი ლიმიტების დაცვის მიზნით კომერციულ ბანკებს ევალებათ ყოველდღიურად გაიანგარიშონ საბალანსო, ბალანსგარეშე და კრებსითი საერთო ღია სავალუტო პოზიციები და უზრუნველყონ დღის განმავლობაში დადგენილი ლიმიტების შენარჩუნება. საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტების

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარღვევის შემთხვევაში, ბანკი ვალდებულია დაუყოვნებლივ ან, უკიდურეს შემთხვევაში, საოპერაციო დღის ბოლომდე მის აღსადგენად განახორციელოს დამაბალანსებელი სავალუტო ოპერაციები.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილია, რომ თითოეული კომერციული ბანკის მენეჯმენტმა უზრუნველყოს სავალუტო რისკის რეგულირება და მართვა ისეთი მექანიზმებით, როგორებიცაა:

- სავალუტო რისკების კონტროლის, სავალუტო პოლიტიკის, ლიმიტებისა და მონიტორინგის სისტემის შექმნა;
- სავალუტო ბაზრის ცვლილებებზე მენეჯმენტის ოპერატიული რეაგირების სისტემისა და ჰეჯირების სტრატეგიის შემუშავება;
- ანგარიშვალდებულებათა და პასუხისმგებლობათა გამიჯვნა სავალუტო რისკის მართვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღებისას;
- შესრულებულ გარიგებათა დროული დოკუმენტური ასახვა ბუღალტრულ დავთრებში და სავალუტო კონტრაქტების ანალიზი;
- თითოეული ფილიალისათვის ცალკეული უცხოური ვალუტის მიხედვით ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტების დადგენა და კონტროლი;
- შესაბამისი სამსახურების კვალიფიციური თანამშრომლებით დაკომპლექტება, რომლებიც უზრუნველყოფილნი არიან სავალუტო ოპერაციების წარმოების სათანადო წესებით, მათი უფლება-მოვალეობებით, საქმიანობის მიმართულებებითა და ანგარიშგების სახეობებით;
- სავალუტო ოპერაციების წარმოებასთან დაკავშირებული შიდა კონტროლის წესებისა და ინსტრუქციების შემუშავება, რომლებიც უნდა მოიცავდეს უფლება-მოვალეობების გამიჯვნას სავალუტო ოპერაციების მწარმოებლებსა და საბუღალტრო აპარატს შორის;
- მთელი ამ პროცესის პერიოდული შემოწმება შიდა აუდიტის სამსახურის მეშვეობით.

გარდა ამისა, კომერციული ბანკები ვალდებულნი არიან იქონიონ სავალუტო რისკის მართვის ისეთი საინფორმაციო სისტემა, რომლის საშუალებითაც განხორციელდება მონიტორინგი როგორც გაცვლითი კურსის განაკვეთის ყოველდღიურ ცვლილებაზე, ისე, პერიოდულად და ბანკის ფინანსური მონაცემების სტრესტესტირება ბანკის მოგება-ზარალზე, კაპიტალსა და ლიკვიდობაზე სავალუტო კურსის ცვლილების ზეგავლენის დადგენის მიზნით.

კომერციული ბანკები ყოველდღიურად აწარმოებენ საერთო ღია სავალუტო პოზიციის გაანგარიშებას თითოეული უცხოური ვალუტის ჭრილში საერთო ღია სავალუტო პოზიციის ყოველდღიური ანგარიშგების სპეციალური ფორმის შესაბამისად და უგზავნიან მას ეროვნულ ბანკს. არსებობს ყოველთვიური, კონსოლიდირებული ანგარიშგების ფორმაც.

კომერციულ ბანკებში სავალუტო ოპერაციების ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება „საქართველოს საბანკო დაწესებულებებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და ანგარიშთა გეგმის გამოყენების ინსტრუქციის“ შესაბამისად, ხოლო უშუალოდ სავალუტო ოპერაციების აღრიცხვა წარმოებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ უცხოური ვალუტის მიმართ დაფიქსირებული გაცვლის ოფიციალური კურსის მიხედვით.

ანგარიშთა გეგმაში ჩადებულია პრინციპი, რომ ყველა აქტიური და პასიური ოპერაცია დაფიქსირდეს ცალ-ცალკე ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში.

ბანკების საოპერაციო დღის პროგრამული უზრუნველყოფა საშუალებას იძლევა მიღებულ იქნეს ბალანსი ყველა ცალკეული ვალუტის ჭრილში როგორც ნომინალით, ისე ლარში ეკვივალენტით, რომელიც მიღებულია იმ დღის ოფიციალური კურსით. სალარე ბალანსისა და უცხოური ვალუტების ბალანსების (ეკვივალენტით) კონსოლიდაციით მიიღება ნაერთი ბალანსი. ყოველ მომდევნო საბანკო დღეს ოფიციალური კურსის ცვლილების შედეგად სავალუტო ანგარიშებზე ნაშთები ეკვივალენტში იქნება მეტი ან ნაკლები, იმის მიხედვით, კურსი გაიზარდა თუ შემცირდა.

ამ ცვლილებების აღსარიცხავად ანგარიშთა გეგმა ითვალისწინებს ორ საბალანსო ანგარიშს: 2601 (სავალუტო პოზიციის კონტრფასი) და 2611 (სავალუტო პოზიცია). ესენია ანგარიშები, რომელთა ნაშთი ყოველთვის ერთმანეთის ტოლია და მათი საშუალებით ხდება სავალუტო ოპერაციების მიხედვით წარმოქმნილი სავალუტო პოზიციის ნაშთების აღრიცხვა.

რაც შეეხება უცხოურ ვალუტაში მიღებულ შემოსავლებსა და ხარჯებს, მათი აღრიცხვისათვის გამოიყენება ოთხი ანგარიში:

- **6604. შემოსავლები უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციების მიხედვით** – გამოიყენება უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვიდან მიღებული შემოსავლების აღსარიცხავად;
- **8604. ხარჯები უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციების მიხედვით** – გამოიყენება უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვიდან მიღებული ზარალის აღსარიცხავად;
- **6621. შემოსავლები სავალუტო სახსრების გადაფასებიდან** – გამოიყენება სავალუტო პოზიციის გადაფასებიდან მიღებული შემოსავლების ასახვისათვის;
- **8621. ხარჯები სავალუტო სახსრების გადაფასებიდან** – გამოიყენება სავალუტო პოზიციის გადაფასებიდან მიღებული ზარალის ასახვისათვის.

საკონტროლო კითხვები:

1. რას ნიშნავს უცხოური ვალუტა და სავალუტო ოპერაციები?
2. რომლები მიეკუთვნება კომერციული ბანკების სავალუტო ოპერაციებს?
3. რა შეგიძლიათ თქვათ სპეციალური ნებართვების მიღებაზე ბანკების მიერ სავალუტო ოპერაციების წარმოებისათვის?
4. როგორი იყო სავალუტო ოპერაციების წარმოებისათვის სპეციალური ნებართვის მინიჭების საკითხი ქართული ბანკებისათვის წარსულში და როგორია იგი დღეს?
5. ვის აქვს სავალუტო ოპერაციების წარმოების უფლება საქართველოში, გარდა კომერციული ბანკებისა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. რას გულისხმობს ბანკების მიერ საკორესპონდენტო ურთიერთობების დამყარება უცხოური ვალუტით ოპერაციების საწარმოებლად?
7. რა შეგიძლიათ თქვათ კლიენტების სავალუტო ანგარიშების გახსნისა და მომსახურების შესახებ და როგორ ხორციელდება იგი?
8. რისთვის და როგორ ახორციელებენ ბანკები სავალუტო სახსრების მოზიდვას?
9. რა შეგიძლიათ თქვათ ბანკების მიერ არასავაჭრო სავალუტო ოპერაციების წარმოებაზე?
10. რა იცით სავალუტო კურსისა და ვალუტების კოტირების შესახებ და მათი რომელი სახეობებია ცნობილი?
11. რა შეგიძლიათ თქვათ კომერციული ბანკების მიერ განხორციელებული სავალუტო ოპერაციების კლასიფიკაციის შესახებ?
12. რა არის სავალუტო ბაზარი? დაასახელეთ მისი ფუნქციები და სახეობები.
13. რა თავისებურებებით ხასიათდება სავალუტო ბაზარი?
14. ვინ არის სავალუტო ბაზრის მონაწილეები?
15. როგორ დაახსიათებდით სავალუტო ბირჟას ზოგადად და საქართველოში?
16. როგორ ხდება დანარჩენი ქვეყნების ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის დადგენა?
17. როგორ დაახასიათებდით უცხოური ვალუტის ვაჭრობის საერთაშორისო სისტემა FOREX-ს?
18. კომერციული ბანკის სავალუტო ოპერაციების რომელი სახეობები იცით?
19. როგორ დაახასიათებდით სავალუტო სპოტ ოპერაციებს და მისი რა ტიპები იცით?
20. რა შეგიძლიათ თქვათ ვადიან სავალუტო გარიგებებზე და მათ სამ ძირითად ტიპზე?
21. რა არის ვადიანი სავალუტო გარიგებების ტიპის, სავალუტო ფორვარდის არსი?
22. რას გულისხმობს სავალუტო ფიუჩერსის შინაარსი და რითი განსხვავდება იგი სავალუტო ფორვარდისაგან?
23. როგორ დაახასიათებდით სავალუტო ოფციონს?
24. რა არის სვოპ ოპერაციების არსი და მთავარი მახასიათებლები?
25. ვინ არის სავალუტო რისკებზე განსაკუთრებით დაქვემდებარებული სუბიექტები?
26. რა შეგიძლიათ თქვათ სავალუტო რისკების მინიმიზაციის მიზნით მათ მართვაზე?
27. რას ნიშავს „სავალუტო პოზიცია“ და მისი რომელი სახეობები იცით?
28. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ თითოეული კომერციული ბანკის მენეჯმენტის მხრიდან სავალუტო რისკის რეგულირება და მართვის რომელი მექანიზმებია დადგენილი?

თავი 20

კომერციული ბანკის დანარჩენი ოპერაციები

შინაარსი:

20.1. ლიზინგი;
20.2. ფაქტორინგი;
20.3. ფორფეტინგული ოპერაციები.

ძირითადი ელემენტები:

1. ლიზინგური ოპერაციების არსი;
2. სალიზინგო ოპერაციების ელემენტები;
3. სალიზინგო ოპერაციების კლასიფიკაცია;
4. სალიზინგო ოპერაციების უპირატესობები;
5. სალიზინგო ოპერაციების აღრიცხვა ქართულ ბანკებში;
6. ფაქტორინგული ოპერაციების არსი;
7. ფაქტორინგული ოპერაციების სახეობები;
8. ფაქტორინგული ოპერაციების აღრიცხვა ქართულ ბანკებში;
9. ფორფეტინგული ოპერაციების არსი;
10. ფაქტორინგისა და ფორფეტირების ოპერაციებს შორის არსებული განსხვავებები.

გამოყენებული სქემები, ნახატები და ცხრილები:

სქემა №20.1. ფაქტორინგული ოპერაციის სქემა;
ცხრ. №20.1. უპირატესობები და ნაკლოვანებები ფორფეტირების გარიგების მხარეებისათვის.

20.1. ლიზინგი

სალიზინგო ოპერაციები, როგორც საბანკო დაკრედიტების ალტერნატივა, წარმოადგენს კაპიტალდაბანდების ფინანსირების განსაკუთრებულ და მეტად პერსპექტიულ ფორმას. მიუხედავად იმისა, რომ ლიზინგურ ოპერაციებს უმეტესად არასაბანკო დაწესებულებები განახორციელებენ, მათ მაინც საბანკო ოპერაციათა ერთ-ერთ სახეობას მიაკუთვნებენ, ვინაიდან სწორედ ბანკები გვევლინებიან უმნიშვნელოვანეს კრედიტორებად ლიზინგის დროს. განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებისათვის ლიზინგი ფართოდ გავრცელებული მოვლენაა, რომელმაც, სამწუხაროდ, საქართველოში ჯერჯერობით ვერ დაიკავა სათანადო ადგილი.

ლიზინგის განმარტების სხვადასხვა ინტერპრეტაცია არსებობს და ამის მიზეზია ის რთული ურთიერთობები, რომლებიც ყალიბდება სალიზინგო ოპერაციების დროს და რაც განაპირობებს მისი არსისა და წარმოშობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობას. უმეტეს შემთხვევაში ლიზინგი განიმარტება, როგორც მანქანების, მოწყობილობების, სატრანსპორტო საშუალებებისა და საწარმოო დანიშნულების ნაგებობების გრძელვადიანი არენდა (იჯარა). ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობაში ლიზინგი განიმარტება, როგორც „კრედიტი-არენდა", „არენდის ფინანსირება" ან „ფინანსურ არენდასთან დაკავშირებული ოპერაციები".

არ არსებობს ერთიანი ვერსია ლიზინგური ოპერაციების წარმოშობის შესახებ. მეცნიერთა ნაწილის აზრით, ლიზინგთან დაკავშირებული ეკონომიკურ-სამართლებრივი ურთიერთობები მიეკუთვნება სამეურნეო ურთიერთობების ისტორიის უახლეს პერიოდს, თუმცა, ისტორიული დოკუმენტებით დასტურდება, რომ ლიზინგური ოპერაციები საზოგადოების ეკონომიკური ურთიერთობების ისტორიის განუყოფელი ნაწილია. ისტორიკოსებისა და ეკონომისტების ნაწილი ფიქრობს, რომ ლიზინგური გარიგებები ჯერ კიდევ შუმერების დროს არსებობდა. არსებობს ასევე არცთუ უსაფუძვლო აზრი, რომ არისტოტელე თავის ტრაქტატში „სიმდიდრე მდგომარეობს გამოყენებაში და არა მხოლოდ საკუთრების უფლებაში" სწორედ ლიზინგის იდეას შეეხო.

ეკონომიკურ ლექსიკონში ტერმინ „ლიზინგის" (ინგლისური ***leasing***-იდან – გაქირავება) დამკვიდრება დაკავშირებულია სატელეფონო კომპანია „ბელის" ოპერაციებთან, რომელმაც 1877 წელს გადაწყვიტა, მოეძებნა სრულიად ახალი გზა თავისი პროდუქციის წარმატებით რეალიზაციისათვის – მან დაიწყო ტელეფონის აპარატების გაქირავება და არა გაყიდვა. მიუხედავად ამისა, პირველი სრულფასოვანი კომპანია, რომლისათვისაც ლიზინგი საქმიანობის მთავარი მიმართულება გახდა, დაარსდა მხოლოდ 1952 წელს სან-ფრანცისკოში. ამის შემდეგ იწყება სალიზინგო კომპანიებისა და ასევე ბანკების მიერ ლიზინგის ოპერაციების ზრდის ბუმი. ლიზინგის პოპულარიზაციის მთავარი მიზეზი გახდა ის უპირატესობები და სარგებელი, რომელთაც ლიზინგის მომხმარებლები იღებდნენ წარმოების ტექნიკური გადაიარაღებისას.

ლიზინგი გახდა ძირითადი საშუალებების იჯარის ყველაზე პერსპექტიული ფორმა, რომელიც ფართოდ გამოიყენება თანამედროვე განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში. სალიზინგო კომპანიებისა და ბანკების ლიზინგური ოპერაციები ხელს უწყობენ გამოთავისუფლებული საწარმოო სიმძლავრეების მოძრაობას და სამრეწველო და კომერციული კომპანიების მოთხოვნილე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბების დაკმაყოფილებას მათ მიერ მოწყობილობების გამოყენებაში. ფინანსური რესურსების დეფიციტის შემთხვევაში ლიზინგური ოპერაციები ხელს უწყობენ ბევრი კომპანიის გადარჩენას გაკოტრებისაგან მათი წარმოების ტექნიკურ აღჭურვისა და გადაიარაღების უზრუნველყოფით.

თავისი ფართო გაგებით **ლიზინგი** არის საკუთრებითი ურთიერთობების რთული კომპლექსი, რომელიც დაკავშირებულია ქონების შეძენასა და მის შემდეგ გადაცემასთან დროებით სარგებლობაში გრძელვადიანი იჯარის საფუძველზე. ეკონომიკური შინაარსით, ლიზინგი რთული სავაჭრო, ფინანსური და საკრედიტო ოპერაციაა, რომლის საშუალებითაც ხდება ინვესტიციების ფინანსირებისა და გასაღების სტიმულირება მანქანა-მოწყობილობების გრძელვადიანი იჯარის ფორმით და საკუთრების უფლების შენარჩუნებით ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

განსხვავებით ჩვეულებრივი ყიდვა-გაყიდვის ოპერაციისაგან, რომლის დროსაც საკუთრების უფლება გადადის გამყიდველიდან მყიდველზე, ლიზინგის დროს საკუთრების უფლება იჯარის საგანზე რჩება მის გამცემზე, ხოლო ლიზინგის მონაწილე მეორე მხარე – ლიზინგის მიმღები მხოლოდ მისი დროებით სარგებლობის უფლებას იღებს. როგორც წესი, სალიზინგო გარიგების ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ლიზინგის მიმღებს უფლება ეძლევა შეიძინოს ლიზინგის ობიექტი შეთანხმებული ფასით, გააგრძელოს ლიზინგის ხელშეკრულება ან დაუბრუნოს იგი მფლობელს.

ეკონომიკური თვალსაზრისით, ლიზინგი ჰგავს კრედიტს, რომლის ობიექტსაც წარმოადგენს მოწყობილობათა შეძენა. ძირითადი საშუალებების შესაძენად აღებული კრედიტის დროს მსესხებელი დაფარვის გრაფიკის შესაბამისად ახდენს ძირითადი ვალის დაფარვას და, ამავდროულად, ბანკი კრედიტის დაბრუნების უზრუნველსაყოფად ინარჩუნებს საკუთრების უფლებას დაკრედიტების ობიექტზე კრედიტის სრულად დაფარვამდე. ლიზინგის დროსაც ლიზინგის მიმღებს შეუძლია გახდეს იჯარით აღებული ქონების მფლობელი მხოლოდ ხელშეკრულების ვადის გასვლისა და მისი ღირებულების სრულად დაფარვის შემდეგ. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ასეთი მსგავსება მხოლოდ ფინანსური ლიზინგისათვისაა დამახასიათებელი, განსხვავებით ოპერაციული ლიზინგისაგან.

ლიზინგისათვის დამახასიათებელია წინააღმდეგობრივი, ორმაგი ბუნება. აღნიშნული ორბუნებოვანება გამოიხატება იმით, რომ:

- ერთი მხრივ, თავისი ეკონომიკური ბუნებით, ლიზინგი – ესაა სახსრების დაბანდება ძირითად საშუალებებში დაბრუნებითობის პრინციპით. ძირითადი საშუალებების დროებით გადაცემის შემდეგ მფლობელი იბრუნებს მათ უკან წინასწარ განსაზღვრული დროის შემდეგ, ანუ სახეზეა ვადიანობისა და დაბრუნებითობის პრინციპები. გარდა ამისა, მფლობელი იღებს გასამრჯელოს, ანუ სახეზეა ფასიანობის პრინციპი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ლიზინგი შეესაბამება საკრედიტო ურთიერთობებს და ატარებს საკრედიტო გარიგებისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს;
- მეორე მხრივ, გამომდინარე იქიდან, რომ ლიზინგის დროს ოპერირება ხდება არა ფულადი, არმედ საწარმოო ფორმით, იგი ჰგავს ინვესტიციებს.

ლიზინგის არსისა და ბუნების უკეთ გასაგებად საჭიროა განისაზღვროს ამ ოპერაციების მთავარი ელემენტები, რომელთაც მიეკუთვნება:

1) ლიზინგის ობიექტი;
2) ლიზინგის სუბიექტები;
3) ლიზინგის პერიოდი;
4) ლიზინგური გადახდები, ანუ ლიზინგის ფასი.

დავახასიათოთ ისინი ცალ-ცალკე:

1) ლიზინგის ობიექტად შეიძლება მოგვევლინოს ნებისმიერი ძირითადი საშუალების ელემენტი, რომელიც არ იხარჯება (არ ნადგურდება) საწარმოო ციკლში. ობიექტის ხასიათიდან გამომდინარე, განასხვავებენ მოძრავი და უძრავი ქონების ლიზინგს:

მოძრავი ქონების ლიზინგის ობიექტებია:

- სატრანსპორტო საშუალებები (თვითმფრინავები, ვერტმფრენები, გემები, სატვირთო და მსუბუქი ავტომობილები და სხვ.);
- სამშენებლო ტექნიკა;
- სხვა საწარმოო მოწყობილობები.

უძრავი ქონების ლიზინგის ობიექტებს მიეკუთვნებიან საწარმოო დანიშნულების შენობები და ნაგებობები.

2) ლიზინგის სუბიექტები არიან მხარეები, რომლებიც მონაწილეობენ ლიზინგური ოპერაციის დროს და უშუალო კავშირი აქვთ ლიზინგის ობიექტთან. კლასიკური ლიზინგისათვის დამახასიათებელია ურთიერთობების სამმხრივი ხასიათი, ანუ სალიზინგო გარიგების დროს სახეზეა სამი სუბიექტი, ესენია:

- **ლიზინგის ობიექტის მომწოდებელი** – ესაა საწარმოო სიმძლავრეების მწარმოებლები ან მომწოდებლები. ლიზინგის მომწოდებლებად გვევლინებიან უშუალო მწარმოებლები ან სავაჭრო კომპანიები;
- **ლიზინგის გამცემი** – ესაა მხარე, რომელიც ყიდულობს ძირითად საშუალებებს მომწოდებლისაგან და ხდება მისი მესაკუთრე, ხოლო შემდეგ გადასცემს მას ლიზინგის მიმღებს იჯარით გარკვეული ვადით. ლიზინგის გამცემად გვევლინებიან სპეციალიზებული სალიზინგო კომპანიები და ბანკები, ასევე კომპანიები, რომელთაც აქვთ სალიზინგო ოპერაციების განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური შესაძლებლობები;
- **ლიზინგის მიმღები** – ესაა მხარე, რომელიც იღებს საწარმოო სიმძლავრეებს ლიზინგის გამცემისაგან იჯარით გარკვეული ვადითა და პირობებით.

სხვადასხვა გარემოებიდან გამომდინარე, სალიზინგო გარიგების მონაწილე მხარეების, ანუ სუბიექტების რაოდენობა, შეიძლება გაიზარდოს ან, პირიქით, შემცირდეს. ზემოაღნიშნული სამი მხარის გარდა, ზოგ შემთხვევაში შეიძლება ჩაერთონ საბროკერო კომპანიები, რომელთა როლი მხოლოდ შუამავლობით შემოიფარგლება და ასეთი შუამავალი შეიძლება რამდენიმე იყოს. სუბიექტების რაოდენობა სალიზინგო გარიგების დროს შეიძლება შემცირდეს, თუკი მომწოდებელი და ლიზინგის გამცემი ერთი და იგივე პირია.

რაც შეეხება სალიზინგო კომპანიებს, რომლებიც არიან ამ ურთიერთობების მთავარი მონაწილეები, იყოფიან ვიწრო სპეციალიზაციისა და უნივერსალურ სალიზინგო კომპანიებად:

ეროვნული ბიბლიოთეკა

- **ვიწრო სპეციალიზაციის სალიზინგო კომპანიებს** საქმე აქვთ მხოლოდ ერთი სახეობის ან ერთი ტიპის ლიზინგის ობიექტთან, მაგალითად: ავტომობილები, თვითმფრინავები ან სამშენებლო ტექნიკა. როგორც წესი, ასეთ კომპანიებს აქვთ ლიზინგის ობიექტების გარკვეული მარაგი და შეუძლიათ პირველი მოთხოვნისთანავე დააკმაყოფილონ კლიენტის მოთხოვნილებები. ძალიან ხშირად სალიზინგო კომპანიები თვითონ ახორციელებენ ლიზინგის ობიექტის ტექნიკურ მომსახურებას და ახდენენ მისი ნორმალური ფუნქციონირების მონიტორინგს;
- **უნივერსალური სალიზინგო კომპანიები** იჯარით გასცემენ სხვადასხვა ტიპის ძირითად საშუალებას. ისინი ლიზინგის მიმღებებს აძლევენ მომწოდებლის ამორჩევისა და შეკვეთის გაკეთების შესაძლებლობას.

მნიშვნელოვანია, რომ სალიზინგო კომპანიები იშვიათად არიან რეალურად დამოუკიდებელნი, მეტწილად ისინი არიან მსხვილი სამრეწველო, სავაჭრო, სადაზღვევო კომპანიებისა და ბანკების შვილობილი კომპანიები ან ფილიალები.

კომერციული ბანკების ჩართვა სალიზინგო მომსახურების ბაზარზე განპირობებულია ორი ძირითადი ფაქტორით:

- პირველი, ლიზინგი მოითხოვს მსხვილ კაპიტალდაბანდებებს, ბანკები კი თავისუფალი ფულადი სახსრების მთავარი განმკარგველები არიან;
- მეორე, სალიზინგო მომსახურება თავისი ბუნებით ახლოსაა საბანკო დაკრედიტებასთან და მის ალტერნატივად გვევლინება. კონკურენცია ფინანსურ ბაზარზე აიძულებს კომერციულ ბანკებს, ჩაერთონ სალიზინგო ბაზარზე, როგორც უშუალოდ, ისე დამოუკიდებელი სალიზინგო კომპანიების დაკრედიტების გზით.

3) ლიზინგის პერიოდი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია სალიზინგო გარიგების დროს და ესაა სალიზინგო ხელშეკრულების მოქმედების ვადა. გამომდინარე იქიდან, რომ ლიზინგი გრძელვადიანი ურთიერთობის ფორმაა, მისი მოქმედების ვადის განსაზღვრას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. სალიზინგო ხელშეკრულების ვადის განსაზღვრისას ლიზინგის მიმღებისა და გამცემის მიერ გაითვალისწინება რიგი ფაქტორებისა, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია:

- **ლიზინგის ობიექტის (ძირითადი საშუალებების) ექსპლოატაციის ვადა**. აღნიშნული ფაქტორი განისაზღვრება მისი ტექნიკური მონაცემებით. რა თქმა უნდა, ლიზინგის ხელშეკრულების ვადა არ უნდა იყოს ლიზინგის ობიექტის შესაძლო ექსპლოატაციის ვადაზე მეტი. ზოგიერთ ქვეყანაში კანონმდებლობით განსაზღვრულია ლიზინგის ხელშეკრულებისა და ლიზინგის ობიექტის ექსპლოატაციის მინიმალური და მაქსიმალური შესაბამისობა;
- **ლიზინგის ობიექტის ამორტიზაციის პერიოდი**, როგორც წესი, უნდა ემთხვეოდეს ლიზინგის ხელშეკრულების პერიოდს;
- **სასესხო კაპიტალის ბაზრის განვითარების ტენდენციები**. ვინაიდან სალიზინგო კომპანიები ფართოდ იყენებენ საბანკო კრედიტებს, გრძელვადიანი დაკრედიტების საპროცენტო განაკვეთები გავლენას ახდენენ სალიზინგო შეთანხმების ვადაზე;
- **ინფლაციური მოლოდინი**.

4) ლიზინგური გადახდების, ანუ ლიზინგის ფასის განსაზღვრა – ესაა ყველაზე რთული საკითხი ლიზინგის გარიგების დადებისას. მიუხედავად მსგავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

- გარიგება **TOM** (ინგლისური სიტყვიდან ***tomorrow*** – ხვალ), რომლის დროსაც ვალუტის მიწოდება ხდება გარიგების დადების მომდევნო საბანკო დღეს;
- გარიგება, რომლის დროსაც ვალუტის მიწოდება ხდება გარიგების დადების მეორე საბანკო დღეს.

ასეთი ოპერაციები ზოგჯერ მოიხსენიება, როგორც სპოტ გარიგებები, ხოლო ამ დროს დაფიქსირებული კურსები – სპოტ კურსად.

ყველა სავალუტო ოპერაცია ნაღდი გაცვლით ითვლება სპოტ გარიგებად, ხოლო ბანკებს შორის მისი განხორციელების საფუძვლად გვევლინებიან საკორესპონდენტო ურთიერთობები. ბანკები სპოტ გარიგებებს იყენებენ ნოსტრო ანგარიშებზე უცხოური ვალუტის ნაშთების მინიმალური აუცილებელი ოდენობით შენარჩუნებისათვის, ახორციელებენ ერთი ჭარბი ვალუტის ნაშთის შემცირებას და მეორე „დეფიციტური" ვალუტის ნაშთის გაზრდას.

2) რაც შეეხება **ვადიან სავალუტო გარიგებებს**, ამ ჯგუფში შედიან ის სავალუტო ოპერაციები, რომელთა მიხედვით ანგარიშსწორება ხდება არა მაშინვე ან ორი საბანკო დღის განმავლობაში, არამედ უფრო ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ. რა უბიძგებს გარიგების მხარეებს, დადონ გრძელვადიანი სავალუტო გარიგებები? საქმე ის არის, რომ მათი მეშვეობით კონტრაგენტები ახდენენ რისკების შემცირებას და ვალუტის კურსის მათთვის ნეგატიური ცვლილების დაზღვევას (ჰეჯირება), ასევე იგი კარგი საშუალება, მოგების მისაღებად სპეკულაციური ოპერაციების დროს. ასეთ გარიგების სახეობებად გვევლინებიან წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, ე. წ. დერივატივები. ვადიანი სავალუტო გარიგებების ცნობილი „წარმომადგენლები" არიან „სავალუტო ფორვარდები", „სავალუტო ფიუჩერსები" და „სავალუტო ოფციონები". დავახასიათოთ თითოეული მათგანი:

- **სავალუტო ფორვარდი** – ესაა კონტრაქტი, რომლის მიხედვითაც, ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ფასი დგინდება წინასწარ, ხოლო უშუალოდ ოპერაცია ხორციელდება დათქმული ვადის შემდეგ კონტრაქტის დადების დროს შეთანხმებულ ფასად.

წარმოვიდგინოთ, რომ ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებით დაკავებული კომპანია ორ თვეში ელოდება ლარის შემოსავლებს, რომელთა საშუალებითაც უნდა შეიძინოს აშშ დოლარი და გადაურიცხოს მომწოდებელს. თუკი კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ დღევანდელი კურსი არის სასურველი ამ ოპერაციის ჩასატარებლად ან სურს თავი დაიზღვიოს მომავალში მისი ნეგატიური ცვლილებისაგან, იგი შეიძენს სავალუტო ფორვარდს, ანუ იყიდის ლარით აშშ დოლარს, ისე რომ კურსი შეთანხმდება გარიგების დადებისთანავე, ხოლო ანგარიშსწორება განხორციელდება 1 თვის შემდეგ, როცა კომპანია მიიღებს ლარებს. როგორც ვხვდებით, ამ დროს არ ხდება არც ლარის და არც აშშ დოლარის გადარიცხვა, უბრალოდ, კომპანიამ იყიდა კონტრაქტი ამ შესყიდვაზე შესაბამისი პირობებით.

სავალუტო ფორვარდების კონტრაქტების ვადა მეტად ცვალებადია და მერყეობს 3 დღიდან 5 წლამდე, თუმცა, ყველაზე გავრცელებულია 1-, 3-, 6-, 9- და 12-თვიანი კონტრქტები. ფორვარდული კონტრაქტი საბანკო კონტრაქტია და, როგორც წესი, მისი რაიმე სტანდარტიზებული ფორმა არ არსებობს. ფორვარდული კურსის გაანგარიშების საფუძველს წარმოადგენს მიმდინარე, ანუ სპოტ კურსი, რომელიც კორექტირდება პრემიით ან დისკონტით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ უნდა ვიფიქროთ, რომ ფორვარდული კურსი არის მომავალში სავალუტო კურსის პროგნოზირება, ესაა მხოლოდ დაზღვევა მისი ნეგატიური ცვლილებით მიღებული ზარალისაგან, ანუ სავალუტო კურსის ჰეჯირება. რა თქმა უნდა, ფორვარდული კონტრაქტები სპეკულაციური, ანუ დამატებით მოგების მიღების მიზნითაც გამოიყენება.

- **სავალუტო ფიუჩერსი** არის სტანდარტული კონტრაქტი, რომელიც ითვალისწინებს ერთი ვალუტის ყიდვას (გაყიდვას) მეორე ვალუტით გარკვეული პერიოდის შემდეგ კონტრაქტის დადების დროს არსებული კურსით. სავალუტო ფიუჩერსი, როგორც მიხვდით, ძალიან ჰგავს სავალუტო ფორვარდს, შეიძლება ითქვას, მისი ნაირსახეობაცაა, თუმცა, მათ შორის არის არსებითი განსხვავებები, მაგალითად:
  - სავალუტო ფორვარდები მიმოიქცევა ბანკთაშორის ბაზარზე, ხოლო სავალუტო ფიუჩერსები – საბირჟო ბაზარზე;
  - ფორვარდული ბაზრის მონაწილეების წრე შეზღუდულია და მსხვილი კომპანიებითაა წარმოდგენილი, მაშინ, როცა სავალუტო ფიუჩერსულ ბაზარზე მონაწილეობა შეუძლიათ როგორც მსხვილ, ისე წვრილ ინვესტორებს, ფიზიკურ პირებსაც კი;
  - სავალუტო ფორვარდების ვალუტების სპექტრი საკმაოდ ფართოა, მაშინ, როცა სავალუტო ფიუჩერსები მხოლოდ „ძირითადი" ვალუტებითაა წარმოდგენილი;
  - სავალუტო ფორვარდები ინდივიდუალური კონტრაქტებია და მათი პირობები განისაზღვრება მხარეების მიერ, ხოლო სავალუტო ფიუჩერსები სტანდარტიზებულია ვადების, მოცულობებისა და პირობების მიხედვით;
  - სავალუტო ფორვარდული კონტრაქტები, როგორც წესი, მთავრდება ვალუტის მიწოდებით ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ხოლო სავალუტო ფიუჩერსების უმეტესობა მთავრდება ე. წ. „ოფსეტური" (უკუ) გარიგებით, ანუ არ ხდება ვალუტის რეალური მიწოდება მხარეების მიერ, არამედ ისინი იღებენ სხვაობას, რომელიც მიღებულია გარიგების ფასსა და კონტრაქტის შესრულების დროს ფასებს შორის სხვაობით;
  - ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სავალუტო ფორვარდები უფრო ძვირია, ვიდრე სავალუტო ფიუჩერსები.

თუნდაც ამ შედარებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სავალუტო ფიუჩერსები არის ბირჟაზე მიმოქცევადი სტანდარტიზებული კონტრაქტები. მათი თავისებურებაა ისიც, რომ ბანკები ამ შემთხვევაში გვევლინებიან არა გარიგებათა მხარეებად, არამედ მხოლოდ შუამავლებად კლიენტებსა და ბირჟის კლირინგს შორის.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2013 წლის მარტიდან მის მიერ საერთაშორისო რეზერვების მართვის პროცესში ჩართო ახალი ინსტრუმენტი – ფიუჩერსული კონტრაქტებით ვაჭრობა.

- **სავალუტო ოფციონი** არის წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი, კონტრაქტი, რომელიც მის მყიდველს აძლევს უფლებას, მაგრამ არ ავალდებულებს, შეასრულოს ვალუტის გაცვლითი ოპერაცია მომავალში, წინასწარ განსაზღვრულ ვადაში, შეთანხმებული მოცულობით და კურსით. ოფციონის გარიგების დროს ორი მხარე მონაწილეობს: ოფციონის გამყიდველი და ოფციონის მყიდველი, რომელიც, თავის მხრივ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იძენს ვალუტის გარკვეული პირობებით ყიდვის მხოლოდ უფლებას და არა ვალდებულებას.

სავალუტო ოფციონი ჰგავს სავალუტო ფორვარდს, მაგრამ, როგორც აღინიშნა, მისგან განსხვავებით, ოფციონის მყიდველი აღჭურვილია მხოლოდ კონტარქტის პირობების შესრულების უფლებით და არა ვალდებულებით. ოფციონის მყიდველს შესაძლებლობა აქვს, აირჩიოს სამი ვარიანტიდან ერთ-ერთი: შეასრულოს კონტრაქტის პირობები, უარი თქვას მის შესრულებაზე ან გაყიდოს იგი მესამე პირზე კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე.

ოფციონის ვადა არის დროის ის ხანგრძლივობა, რომლის გასვლის შემდეგაც ოფციონის მყიდველი კარგავს უცხოური ვალუტის ყიდვის ან გაყიდვის უფლებას, ხოლო გამყიდველი თავისუფლდება თავისი ვალდებულებებისაგან მყიდველის მიმართ.

როგორც გასული მასალიდან გვახსოვს, იმის მიხედვით, გამოწერილია უცხოური ვალუტის ყიდვაზე თუ გაყიდვაზე, გვაქვს მათი ორი სახეობის ოფციონი: ოფციონი გაყიდვაზე (***put option***) და ოფციონი ყიდვაზე (***call option***). შესრულების პრინციპის მიხედვით არსებობს ასევე ორი სახეობის ოფციონი: ე. წ. „ამერიკული ოფციონი“ და „ევროპული ოფციონი“. პირველი მათგანი მყიდველს უფლებას აძლევს, საკუთარი უფლების რეალიზაცია მოახდინოს ოფციონის პერიოდის ნებისმიერ დღეს, ხოლო მეორე შემთხვევაში – მხოლოდ მისი ვადის ბოლოს, ანუ კონკრეტული თარიღისათვის.

სავალუტო ოფციონები ძირითადად საბირჟო ინსტრუმენტებია. მათთვის ნიშანდობლივია, რომ, ერთი მხრივ, ოფციონის მყიდველისათვის ასეთი კომფორტული პირობების და, მეორე მხრივ, გამყიდველისათვის რისკის მაღალი ხარისხის გამო, ოფციონის მომსახურება ითვალისწინებს გარკვეული საფასურის გადახდას. ესაა ოფციონის პრემია, ანუ ოფციონის კონტრაქტის ფასი, რომელსაც მყიდველი იხდის მისი შეძენისას და რომელიც აღარ ექვემდებარება უკან დაბრუნებას, მიუხედავად იმისა, შესრულდება თუ არა კონტრაქტის პირობები. ოფციონის ფასზე გავლენას ახდენს რიგი ფაქტორები, რომელთა შორის აღსანიშნავია: ვალუტის მიმდინარე კურსი (სპოტი), ოფციონის ვადა, ბაზრის მიმდინარე ტენდენციები (მოთხოვნა-მიწოდება, საბანკო პროცენტები) და სხვ.

3) სვოპ ოპერაციები არის სავალუტო გარიგების სახეობა, რომლის დროსაც საქმე გვაქვს ორ ურთიერთსაპირისპირო საკონვერსიო ოპერაციასთან. პირველი მათგანი წარმოადგენს სპოტ, ხოლო მეორე – ვადიან სავალუტო გარიგებას. სვოპ გარიგებები მიეკუთვნებიან საბანკო ოპერაციათა რიგს. მათ ბანკები აქტიურად იყენებენ როგორც ბიზნესსაქმიანობით დაკავებულ კლიენტებთან, ისე ერთმანეთთან ურთიერთობისას. მაგალითად, წარმოვიდგინოთ კომპანია, რომელსაც მოცემული პერიოდისათვის აქვს 1 მლნ აშშ დოლარი ანგარიშზე. ამავდროულად მას აქვს დასაფარავი მიმდინარე ვალდებულებები ლარში, რომლის რესურსები არ გააჩნია. ამასთან, ობიექტური მიზეზების გამო (შესაძლო ნეგატიური კურსთაშორისი სხვაობა), მას არ სურს ანგარიშზე არსებული უცხოური ვალუტის ან მისი ნაწილის კონვერტირება, ვინაიდან რამდენიმე თვეში კვლავ დასჭირდება იგი სხვა უცხოურ ვალუტაში არსებული ვალდებულებების დასაფარავად. სვოპ ოპერაციის მეშვეობით კომპანიას შეუძლია არსებული უცხოური ვალუტით შეიძინოს ლარი, უფრო სწორად, გაცვალოს იგი ლარში, მომავალში კი წინასწარ განსაზღვრული კურსით დაიბრუნოს გაყიდული უცხოური ვალუტა. სვოპ გარიგების დადება შესაძლებელია კომერციულ ბანკთან. კომპანიებს, რომლებსაც აქვთ ურთიერთსაწინააღმდეგო მოთხოვნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალუტების მიმართ, შეუძლიათ აგრეთვე სვოპ ოპერაციების განხორციელება ერთმანეთში.

საქართველოში ბოლო პერიოდში გავრცელება პოვა სვოპ ოპერაციებმა ბანკთაშორის ბაზარზე, როგორც ერთმანეთს შორის, ისე ეროვნულ ბანკთან. აღნიშნულ ოპერაციებს არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკის 2005 წლის (შემდეგ 2009 წელს შეცვლილი) დებულება „საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შიდა ბაზარზე სავალუტო სვოპ ოპერაციების განხორციელების შესახებ". როგორც გასული მასალიდან გვახსოვს, აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, „სვოპ ოპერაცია წარმოადგენს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც ეროვნული ბანკი წინასწარ განსაზღვრული ვადით, აუქციონის წესით ყიდულობს უცხოურ ვალუტას სპოტ კურსით, მისი ფორვარდული კურსით უკან გაყიდვის პირობით".

როგორც ზემოთ აღინიშნა, ვადიანი სავალუტო ოპერაციები ამცირებენ იმ კომპანიების სავალუტო რისკს, რომელთაც აქვთ საკუთარი აქტივებისა და ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების შეუსაბამობა ვალუტაში. ასეთ კომპანიებს საბაზრო ეკონომიკის პირობებში წარმოექმნებათ გაცვლითი კურსის რისკი, ანუ სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი განსაკუთრებულად ზემოქმედებს საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართულ კომპანიებზე. ვინ არის განსაკუთრებით დაქვემდებარებულები სავალუტო რისკებზე?

- **ექსპორტიორები** – ადგილობრივ ბაზარზე საქონლის შეძენა-წარმოების ხარჯებს გასწევენ ეროვნულ ვალუტაში, ხოლო ამონაგებს იღებენ უცხოური ვალუტით. ბუნებრივია, ექსპორტიორებისათვის ეროვნული ვალუტის გამყარება ნიშნავს პოტენციურად მეტ ზარალს, რადგან ის ნაკლებ ლარს მიიღებს ექსპორტირებული საქონლის სანაცვლოდ და, პირიქით, ეროვნული ვალუტის გაუფასურება – პოტენციურად მეტ შემოსავალს, ვინაიდან ექსპორტიდან მიღებული უცხოური ვალუტა უფრო მეტი ლარი იქნება, ვიდრე მან დახარჯა.
- **იმპორტიორები** – ქვეყანაში შემოტანილი საქონლის ღირებულებას იხდიან უცხოური ვალუტით, ხოლო ამონაგებს იღებენ ეროვნული ვალუტით. გასაგებია, რომ განსხვავებით ექსპორტიორებისაგან, იმპორტიორისათვის ზარალიანია ეროვნული ვალუტის გაუფასურება, ვინაიდან ის ნაკლებ ლარს მიიღებს, ვიდრე ელოდა, ანუ მას მეტი ლარის გადახდა მოუწევს უცხოურ ვალუტაში აღებული ვალდებულების დასაფარავად. პირიქით, უცხოური ვალუტის გამყარება იპორტიორისათვის დამატებითი შემოსავლის მომტანია, ვინაიდან მას უწევს ნაკლები ლარის გადახდა იმ უცხოური ვალუტის შესაძენად, რომელიც საჭიროა აღებული ვალდებულებების დასაფარავად.
- **ფიზიკური პირები და ის ორგანიზაციები, რომელთაც შემოსავლები აქვთ ეროვნულ (უცხოურ) ვალუტაში და ხარჯები — უცხოურ (ეროვნულ) ვალუტაში.** მაგალითად, ფიზიკური პირისათვის, რომელსაც შემოსავალი აქვს ლარში, ხოლო აღებული კრედიტი – უცხოურ ვალუტაში, ეროვნული ვალუტის გამყარება დამატებითი შემოსავალის მომტანია (ნაკლები ლარი სჭირდება საჭირო ოდენობით ვალუტის ყიდვას) და, პირიქით – ეროვნული ვალუტის გაუფასურება დამატებითი ხარჯია (მეტი ლარი სჭირდება საჭირო ოდენობით ვალუტის ყიდვას).
- **კომერციული ბანკები,** როგორც ფინანსური ინსტიტუტები, რომელთა ქსელში თავმოყრილია საზოგადოების თავისუფალი ფულადი სახსრები

და მათი უმრავლესობა ქართულ რეალობაში უცხოურ ვალუტაშია ხომი-
ნირებული, უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ნეგატიურმა ცვლი-
ლებამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს კომერციული ბანკების მო-
გებაზე, კაპიტალზე, ლიკვიდობასა და გადახდისუნარიანობაზე.

19.4. სავალუტო რისკების მართვა და სავალუტო ოპერაციების აღრიცხვა

სავალუტო რისკის მინიმიზაციის მიზნით გამოიყენება ჰეჯირების სხვა-დასხვა ინსტრუმენტი. სავალუტო რისკის ჰეჯირების ძირითადი მიზანია, თავი-დან იქნეს აცილებული გაცვლითი კურსის რყევებისგან გამოწვეული გაურკვევ-ლობა. სავალუტო რისკის ჰეჯირების საუკეთესო საშუალებაა „ბუნებრივი ჰეჯირება“, ანუ ბიზნესპროცესების ისეთი დაგეგმვა და წარმართვა, რომ კომ-პანიის ფულადი ნაკადების მოცულობა (შემოსავლები და ხარჯები) ვალუტების მიხედვით სრულად ან მაქსიმალურად სრულად შეესაბამებოდეს ერთმანეთს და ამგვარად – აცილებული ან მინიმუმამდე დაყვანილი სავალუტო რისკი.

მიუხედავად იმისა, რომ სავალუტო რისკების თავიდან ასაცილებლად კო-მერციული ბანკები იყენებენ ჰეჯირების ინსტრუმენტებს, მათ შორის განხი-ლულ სავალუტო წარმოებულებს (დერივატივებს), იგი უაღრესად აქტუალურ საკითხად რჩება.

სავალუტო რისკების თავიდან აცილებისა და მათი უარყოფითი გავლე-ნის მინიმიზაციის მიზნით საქართველოს კომერციულ ბანკებში მოქმედებს მსოფლიოში ცნობილი აპრობირებული, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული „საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტის დადგენის, გაან-გარიშებისა და დაცვის წესი“.

დოკუმენტის თანახმად, **სავალუტო პოზიცია** არის სხვაობა ბანკის უცხოური ვალუტით ფორმირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს შორის. მაგალითად, თუ კომერციულ ბანკს მოზიდული აქვს 50 მლნ აშშ დოლარის დეპოზიტები და სხვა ვალდებულები, ხოლო აქტივში განთავსებულია 55 ან 47 მლნ აშშ დოლარი, შესაბამისად, სავალუტო პოზიცია იქნება 5 (55-50) ან -3 (47-50) მლნ აშშ დოლარი. რა თქმა უნდა, კომერციულ ბანკს შეუძლია უზრუნველყოს ის, რომ აქტივშიც 50 მლნ აშშ დოლარის უცხოური ვალუტა ჰქონდეს, მაგრამ გარემოებებიდან გამომდინარე, იგი დროებით ყიდის „სხვი-სი“ უცხოური ვალუტის ნაწილს ან პირიქით, „სხვისი“ ლარით ყიდულობს დამატებით უცხოურ ვალუტას.

სავალუტო პოზიციის გაანგარიშებისას ბანკის აქტივებსა და ვალდებუ-ლებებში ჩაითვლება როგორც საბალანსო, ისე ბალანსგარეშე აქტივები და ვალდებულებები. ორივე ერთად იწოდება კრებსით სავალუტო პოზიციად. ბალანსგარეშე აქტივებსა და ვალდებულებებში შედის სავალუტო კონტრაქ-ტები უცხოური ვალუტის ყიდვასა და გაყიდვაზე – სპოტური, ფიუჩერსული, ფორვარდული და სვოპური კონტრაქტებით ნაკისრი ვალდებულებები და ოფციონებით გათვალისწინებული უფლება-ვალდებულებები თანხობრივი მოცულობებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავალუტო პოზიცია შეიძლება იყოს დახურული ან ღია:

- **სავალუტო პოზიცია არის დახურული**, როდესაც უცხოური ვალუტის სახეობების მიხედვით ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების თანხობრივი მოცულობები ერთმანეთის ტოლია, როგორც ჩვენს მაგალითში 50-50 მლნ აშშ დოლარი ვალდებულებებსა და აქტივში;
- **სავალუტო პოზიცია არის ღია**, როდესაც უცხოური ვალუტის სახეობების მიხედვით ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების თანხობრივი მოცულობები არ ემთხვევა ერთმანეთს და ამ დროს გვაქვს ორი შემთხვევა:
  - **გრძელი ღია სავალუტო პოზიცია** – როდესაც ერთი და იმავე სახეობის უცხოური ვალუტით ბანკის აქტივები მეტია მის ვალდებულებებზე, როგორც ჩვენს მაგალითში 50 მლნ აშშ დოლარი ვალდებულებებში და 55 მლნ აშშ დოლარი – აქტივში, ანუ ბანკს 5 (55-50) მლნ აშშ დოლარით მეტი აქტივი აქვს, ვიდრე ვალდებულება;
  - **მოკლე ღია სავალუტო პოზიცია** – როდესაც ერთი და იმავე სახეობის უცხოური ვალუტით ბანკის აქტივები ნაკლებია მის ვალდებულებებზე, როგორც ჩვენს მაგალითში 50 მლნ აშშ დოლარი ვალდებულებებში და 47 მლნ აშშ დოლარი – აქტივში, ანუ ბანკს 3 (47-50) მლნ აშშ დოლარით ნაკლები აქტივი აქვს, ვიდრე ვალდებულება.

ნიშანდობლივია, რომ სავალუტო პოზიციის გაანგარიშება ხდება როგორც ზემოაღნიშნული წესით თითოეული ვალუტის მიხედვით ცალ-ცალკე, ისე საერთო ღია სავალუტო პოზიციის მიხედვითაც.

საერთო ღია სავალუტო პოზიცია არის ბანკის ყველა უცხოური ვალუტის მიხედვით გრძელი ღია სავალუტო პოზიციების ჯამსა და მოკლე ღია სავალუტო პოზიციების ჯამს შორის უდიდესი. ზემოაღნიშნული მაგალითის მსგავსად ხდება გრძელი და მოკლე ღია სავალუტო პოზიციების გაანგარიშება თითოეული ვალუტის მიხედვით (მაგალითად: ევრო, ფუნტი სტერლინგი და რუსული რუბლი). ამის შემდეგ ხდება ცალკე გრძელი ღია და ცალკე მოკლე ღია სავალუტო პოზიციების დაჯამება ოთხივე ვალუტის მიხედვით და მათ შორის უდიდესი ჩაითვლება საერთო ღია სავალუტო პოზიციად. ბუნებრივია, საერთო ღია სავალუტო პოზიცია იქნება ან დადებითი, ან უარყოფითი.

საქართველოს ეროვნული ბანკი კომერციული ბანკების მიერ გაწეული რისკიანი სავალუტო ოპერაციების შეზღუდვის მიზნით ადგენს სწორედ ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტებს. ლიმიტები დგინდება შემდეგი მიმართულებებით:

- თითოეული უცხოური ვალუტის როგორც საბალანსო, ისე კრებსითი სავალუტო პოზიციების მიხედვით – საზედამხედველო კაპიტალის 20%-ის ოდენობით;
- ბანკის საერთო ღია სავალუტო პოზიცია როგორც საბალანსო, ისე კრებსითი სავალუტო პოზიციების მიხედვით – საზედამხედველო კაპიტალის 20%-ის ოდენობით.

კომერციული ბანკის საზედამხედველო კაპიტალი გაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით. ღია სავალუტო პოზიციაზე დადგენილი ლიმიტების დაცვის მიზნით კომერციულ ბანკებს ევალებათ ყოველდღიურად გაიანგარიშონ საბალანსო, ბალანსგარეშე და კრებსითი საერთო ღია სავალუტო პოზიციები და უზრუნველყონ დღის განმავლობაში დადგენილი ლიმიტების შენარჩუნება. საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტების

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარღვევის შემთხვევაში, ბანკი ვალდებულია დაუყოვნებლივ ან, უკიდურეს შემთხვევაში, საოპერაციო დღის ბოლომდე მის აღსადგენად განახორციელოს დამაბალანსებელი სავალუტო ოპერაციები.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილია, რომ თითოეული კომერციული ბანკის მენეჯმენტმა უზრუნველყოს სავალუტო რისკის რეგულირება და მართვა ისეთი მექანიზმებით, როგორებიცაა:

- სავალუტო რისკების კონტროლის, სავალუტო პოლიტიკის, ლიმიტებისა და მონიტორინგის სისტემის შექმნა;
- სავალუტო ბაზრის ცვლილებებზე მენეჯმენტის ოპერატიული რეაგირების სისტემისა და ჰეჯირების სტრატეგიის შემუშავება;
- ანგარიშვალდებულებათა და პასუხისმგებლობათა გამიჯვნა სავალუტო რისკის მართვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღებისას;
- შესრულებულ გარიგებათა დროული დოკუმენტური ასახვა ბუღალტრულ დავთრებში და სავალუტო კონტრაქტების ანალიზი;
- თითოეული ფილიალისათვის ცალკეული უცხოური ვალუტის მიხედვით ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტების დადგენა და კონტროლი;
- შესაბამისი სამსახურების კვალიფიციური თანამშრომლებით დაკომპლექტება, რომლებიც უზრუნველყოფილნი არიან სავალუტო ოპერაციების წარმოების სათანადო წესებით, მათი უფლება-მოვალეობებით, საქმიანობის მიმართულებებითა და ანგარიშგების სახეობებით;
- სავალუტო ოპერაციების წარმოებასთან დაკავშირებული შიდა კონტროლის წესებისა და ინსტრუქციების შემუშავება, რომლებიც უნდა მოიცავდეს უფლება-მოვალეობების გამიჯვნას სავალუტო ოპერაციების მწარმოებლებსა და საბუღალტრო აპარატს შორის;
- მთელი ამ პროცესის პერიოდული შემოწმება შიდა აუდიტის სამსახურის მეშვეობით.

გარდა ამისა, კომერციული ბანკები ვალდებულნი არიან იქონიონ სავალუტო რისკის მართვის ისეთი საინფორმაციო სისტემა, რომლის საშუალებითაც განხორციელდება მონიტორინგი როგორც გაცვლითი კურსის განაკვეთის ყოველდღიურ ცვლილებაზე, ისე, პერიოდულად და ბანკის ფინანსური მონაცემების სტრესტესტირება ბანკის მოგება-ზარალზე, კაპიტალსა და ლიკვიდობაზე სავალუტო კურსის ცვლილების ზეგავლენის დადგენის მიზნით.

კომერციული ბანკები ყოველდღიურად აწარმოებენ საერთო ღია სავალუტო პოზიციის გაანგარიშებას თითოეული უცხოური ვალუტის ჭრილში საერთო ღია სავალუტო პოზიციის ყოველდღიური ანგარიშგების სპეციალური ფორმის შესაბამისად და უგზავნიან მას ეროვნულ ბანკს. არსებობს ყოველთვიური, კონსოლიდირებული ანგარიშგების ფორმაც.

კომერციულ ბანკებში სავალუტო ოპერაციების ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება „საქართველოს საბანკო დაწესებულებებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და ანგარიშთა გეგმის გამოყენების ინსტრუქციის“ შესაბამისად, ხოლო უშუალოდ სავალუტო ოპერაციების აღრიცხვა წარმოებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ უცხოური ვალუტის მიმართ დაფიქსირებული გაცვლის ოფიციალური კურსის მიხედვით.

ანგარიშთა გეგმაში ჩადებულია პრინციპი, რომ ყველა აქტიური და პასიური ოპერაცია დაფიქსირდეს ცალ-ცალკე ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში.

ბანკების საოპერაციო დღის პროგრამული უზრუნველყოფა საშუალებას იძლევა მიღებულ იქნეს ბალანსი ყველა ცალკეული ვალუტის ჭრილში როგორც ნომინალით, ისე ლარში ეკვივალენტით, რომელიც მიღებულია იმ დღის ოფიციალური კურსით. სალარე ბალანსისა და უცხოური ვალუტების ბალანსების (ეკვივალენტით) კონსოლიდაციით მიიღება ნაერთი ბალანსი. ყოველ მომდევნო საბანკო დღეს ოფიციალური კურსის ცვლილების შედეგად სავალუტო ანგარიშებზე ნაშთები ეკვივალენტში იქნება მეტი ან ნაკლები, იმის მიხედვით, კურსი გაიზარდა თუ შემცირდა.

ამ ცვლილებების აღსარიცხავად ანგარიშთა გეგმა ითვალისწინებს ორ საბალანსო ანგარიშს: 2601 (სავალუტო პოზიციის კონტრფასი) და 2611 (სავალუტო პოზიცია). ესენია ანგარიშები, რომელთა ნაშთი ყოველთვის ერთმანეთის ტოლია და მათი საშუალებით ხდება სავალუტო ოპერაციების მიხედვით წარმოქმნილი სავალუტო პოზიციის ნაშთების აღრიცხვა.

რაც შეეხება უცხოურ ვალუტაში მიღებულ შემოსავლებსა და ხარჯებს, მათი აღრიცხვისათვის გამოიყენება ოთხი ანგარიში:

- **6604. შემოსავლები უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციების მიხედვით** – გამოიყენება უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვიდან მიღებული შემოსავლების აღსარიცხავად;
- **8604. ხარჯები უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციების მიხედვით** – გამოიყენება უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვიდან მიღებული ზარალის აღსარიცხავად;
- **6621. შემოსავლები სავალუტო სახსრების გადაფასებიდან** – გამოიყენება სავალუტო პოზიციის გადაფასებიდან მიღებული შემოსავლების ასახვისათვის;
- **8621. ხარჯები სავალუტო სახსრების გადაფასებიდან** – გამოიყენება სავალუტო პოზიციის გადაფასებიდან მიღებული ზარალის ასახვისათვის.

საკონტროლო კითხვები:

1. რას ნიშნავს უცხოური ვალუტა და სავალუტო ოპერაციები?
2. რომლები მიეკუთვნება კომერციული ბანკების სავალუტო ოპერაციებს?
3. რა შეგიძლიათ თქვათ სპეციალური ნებართვების მიღებაზე ბანკების მიერ სავალუტო ოპერაციების წარმოებისათვის?
4. როგორი იყო სავალუტო ოპერაციების წარმოებისათვის სპეციალური ნებართვის მინიჭების საკითხი ქართული ბანკებისათვის წარსულში და როგორია იგი დღეს?
5. ვის აქვს სავალუტო ოპერაციების წარმოების უფლება საქართველოში, გარდა კომერციული ბანკებისა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. რას გულისხმობს ბანკების მიერ საკორესპონდენტო ურთიერთობების დამყარება უცხოური ვალუტით ოპერაციების საწარმოებლად?
7. რა შეგიძლიათ თქვათ კლიენტების სავალუტო ანგარიშების გახსნისა და მომსახურების შესახებ და როგორ ხორციელდება იგი?
8. რისთვის და როგორ ახორციელებენ ბანკები სავალუტო სახსრების მოზიდვას?
9. რა შეგიძლიათ თქვათ ბანკების მიერ არასავაჭრო სავალუტო ოპერაციების წარმოებაზე?
10. რა იცით სავალუტო კურსისა და ვალუტების კოტირების შესახებ და მათი რომელი სახეობებია ცნობილი?
11. რა შეგიძლიათ თქვათ კომერციული ბანკების მიერ განხორციელებული სავალუტო ოპერაციების კლასიფიკაციის შესახებ?
12. რა არის სავალუტო ბაზარი? დაასახელეთ მისი ფუნქციები და სახეობები.
13. რა თავისებურებებით ხასიათდება სავალუტო ბაზარი?
14. ვინ არის სავალუტო ბაზრის მონაწილეები?
15. როგორ დაახსიათებდით სავალუტო ბირჟას ზოგადად და საქართველოში?
16. როგორ ხდება დანარჩენი ქვეყნების ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის დადგენა?
17. როგორ დაახასიათებდით უცხოური ვალუტის ვაჭრობის საერთაშორისო სისტემა FOREX-ს?
18. კომერციული ბანკის სავალუტო ოპერაციების რომელი სახეობები იცით?
19. როგორ დაახასიათებდით სავალუტო სპოტ ოპერაციებს და მისი რა ტიპები იცით?
20. რა შეგიძლიათ თქვათ ვადიან სავალუტო გარიგებებზე და მათ სამ ძირითად ტიპზე?
21. რა არის ვადიანი სავალუტო გარიგებების ტიპის, სავალუტო ფორვარდის არსი?
22. რას გულისხმობს სავალუტო ფიუჩერსის შინაარსი და რითი განსხვავდება იგი სავალუტო ფორვარდისაგან?
23. როგორ დაახასიათებდით სავალუტო ოფციონს?
24. რა არის სვოპ ოპერაციების არსი და მთავარი მახასიათებლები?
25. ვინ არის სავალუტო რისკებზე განსაკუთრებით დაქვემდებარებული სუბიექტები?
26. რა შეგიძლიათ თქვათ სავალუტო რისკების მინიმიზაციის მიზნით მათ მართვაზე?
27. რას ნიშავს „სავალუტო პოზიცია“ და მისი რომელი სახეობები იცით?
28. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ თითოეული კომერციული ბანკის მენეჯმენტის მხრიდან სავალუტო რისკის რეგულირება და მართვის რომელი მექანიზმებია დადგენილი?

თავი 20

კომერციული ბანკის დანარჩენი ოპერაციები

შინაარსი:

20.1. ლიზინგი;
20.2. ფაქტორინგი;
20.3. ფორფეტინგული ოპერაციები.

ძირითადი ელემენტები:

1. ლიზინგური ოპერაციების არსი;
2. სალიზინგო ოპერაციების ელემენტები;
3. სალიზინგო ოპერაციების კლასიფიკაცია;
4. სალიზინგო ოპერაციების უპირატესობები;
5. სალიზინგო ოპერაციების აღრიცხვა ქართულ ბანკებში;
6. ფაქტორინგული ოპერაციების არსი;
7. ფაქტორინგული ოპერაციების სახეობები;
8. ფაქტორინგული ოპერაციების აღრიცხვა ქართულ ბანკებში;
9. ფორფეტინგული ოპერაციების არსი;
10. ფაქტორინგისა და ფორფეტირების ოპერაციებს შორის არსებული განსხვავებები.

გამოყენებული სქემები, ნახატები და ცხრილები:

სქემა №20.1. ფაქტორინგული ოპერაციის სქემა;
ცხრ. №20.1. უპირატესობები და ნაკლოვანებები ფორფეტირების გარიგების მხარეებისათვის.

20.1. ლიზინგი

სალიზინგო ოპერაციები, როგორც საბანკო დაკრედიტების ალტერნატივა, წარმოადგენს კაპიტალდაბანდების ფინანსირების განსაკუთრებულ და მეტად პერსპექტიულ ფორმას. მიუხედავად იმისა, რომ ლიზინგურ ოპერაციებს უმეტესად არასაბანკო დაწესებულებები განახორციელებენ, მათ მაინც საბანკო ოპერაციათა ერთ-ერთ სახეობას მიაკუთვნებენ, ვინაიდან სწორედ ბანკები გვევლინებიან უმნიშვნელოვანეს კრედიტორებად ლიზინგის დროს. განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებისათვის ლიზინგი ფართოდ გავრცელებული მოვლენაა, რომელმაც, სამწუხაროდ, საქართველოში ჯერჯერობით ვერ დაიკავა სათანადო ადგილი.

ლიზინგის განმარტების სხვადასხვა ინტერპრეტაცია არსებობს და ამის მიზეზია ის რთული ურთიერთობები, რომლებიც ყალიბდება სალიზინგო ოპერაციების დროს და რაც განაპირობებს მისი არსისა და წარმოშობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობას. უმეტეს შემთხვევაში ლიზინგი განიმარტება, როგორც მანქანების, მოწყობილობების, სატრანსპორტო საშუალებებისა და საწარმოო დანიშნულების ნაგებობების გრძელვადიანი არენდა (იჯარა). ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობაში ლიზინგი განიმარტება, როგორც „კრედიტი-არენდა", „არენდის ფინანსირება" ან „ფინანსურ არენდასთან დაკავშირებული ოპერაციები".

არ არსებობს ერთიანი ვერსია ლიზინგური ოპერაციების წარმოშობის შესახებ. მეცნიერთა ნაწილის აზრით, ლიზინგთან დაკავშირებული ეკონომიკურ-სამართლებრივი ურთიერთობები მიეკუთვნება სამეურნეო ურთიერთობების ისტორიის უახლეს პერიოდს, თუმცა, ისტორიული დოკუმენტებით დასტურდება, რომ ლიზინგური ოპერაციები საზოგადოების ეკონომიკური ურთიერთობების ისტორიის განუყოფელი ნაწილია. ისტორიკოსებისა და ეკონომისტების ნაწილი ფიქრობს, რომ ლიზინგური გარიგებები ჯერ კიდევ შუმერების დროს არსებობდა. არსებობს ასევე არცთუ უსაფუძვლო აზრი, რომ არისტოტელე თავის ტრაქტატში „სიმდიდრე მდგომარეობს გამოყენებაში და არა მხოლოდ საკუთრების უფლებაში" სწორედ ლიზინგის იდეას შეეხო.

ეკონომიკურ ლექსიკონში ტერმინ „ლიზინგის" (ინგლისური ***leasing***-იდან – გაქირავება) დამკვიდრება დაკავშირებულია სატელეფონო კომპანია „ბელის" ოპერაციებთან, რომელმაც 1877 წელს გადაწყვიტა, მოეძებნა სრულიად ახალი გზა თავისი პროდუქციის წარმატებით რეალიზაციისათვის – მან დაიწყო ტელეფონის აპარატების გაქირავება და არა გაყიდვა. მიუხედავად ამისა, პირველი სრულფასოვანი კომპანია, რომლისათვისაც ლიზინგი საქმიანობის მთავარი მიმართულება გახდა, დაარსდა მხოლოდ 1952 წელს სან-ფრანცისკოში. ამის შემდეგ იწყება სალიზინგო კომპანიებისა და ასევე ბანკების მიერ ლიზინგის ოპერაციების ზრდის ბუმი. ლიზინგის პოპულარიზაციის მთავარი მიზეზი გახდა ის უპირატესობები და სარგებელი, რომელთაც ლიზინგის მომხმარებლები იღებდნენ წარმოების ტექნიკური გადაიარაღებისას.

ლიზინგი გახდა ძირითადი საშუალებების იჯარის ყველაზე პერსპექტიული ფორმა, რომელიც ფართოდ გამოიყენება თანამედროვე განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში. სალიზინგო კომპანიებისა და ბანკების ლიზინგური ოპერაციები ხელს უწყობენ გამოთავისუფლებული საწარმოო სიმძლავრეების მოძრაობას და სამრეწველო და კომერციული კომპანიების მოთხოვნილე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბების დაკმაყოფილებას მათ მიერ მოწყობილობების გამოყენებაში. ფინანსური რესურსების დეფიციტის შემთხვევაში ლიზინგური ოპერაციები ხელს უწყობენ ბევრი კომპანიის გადარჩენას გაკოტრებისაგან მათი წარმოების ტექნიკურ აღჭურვისა და გადაიარაღების უზრუნველყოფით.

თავისი ფართო გაგებით **ლიზინგი** არის საკუთრებითი ურთიერთობების რთული კომპლექსი, რომელიც დაკავშირებულია ქონების შეძენასა და მის შემდეგ გადაცემასთან დროებით სარგებლობაში გრძელვადიანი იჯარის საფუძველზე. ეკონომიკური შინაარსით, ლიზინგი რთული სავაჭრო, ფინანსური და საკრედიტო ოპერაციაა, რომლის საშუალებითაც ხდება ინვესტიციების ფინანსირებისა და გასაღების სტიმულირება მანქანა-მოწყობილობების გრძელვადიანი იჯარის ფორმით და საკუთრების უფლების შენარჩუნებით ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

განსხვავებით ჩვეულებრივი ყიდვა-გაყიდვის ოპერაციისაგან, რომლის დროსაც საკუთრების უფლება გადადის გამყიდველიდან მყიდველზე, ლიზინგის დროს საკუთრების უფლება იჯარის საგანზე რჩება მის გამცემზე, ხოლო ლიზინგის მონაწილე მეორე მხარე – ლიზინგის მიმღები მხოლოდ მისი დროებით სარგებლობის უფლებას იღებს. როგორც წესი, სალიზინგო გარიგების ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ლიზინგის მიმღებს უფლება ეძლევა შეიძინოს ლიზინგის ობიექტი შეთანხმებული ფასით, გააგრძელოს ლიზინგის ხელშეკრულება ან დაუბრუნოს იგი მფლობელს.

ეკონომიკური თვალსაზრისით, ლიზინგი ჰგავს კრედიტს, რომლის ობიექტსაც წარმოადგენს მოწყობილობათა შეძენა. ძირითადი საშუალებების შესაძენად აღებული კრედიტის დროს მსესხებელი დაფარვის გრაფიკის შესაბამისად ახდენს ძირითადი ვალის დაფარვას და, ამავდროულად, ბანკი კრედიტის დაბრუნების უზრუნველსაყოფად ინარჩუნებს საკუთრების უფლებას დაკრედიტების ობიექტზე კრედიტის სრულად დაფარვამდე. ლიზინგის დროსაც ლიზინგის მიმღებს შეუძლია გახდეს იჯარით აღებული ქონების მფლობელი მხოლოდ ხელშეკრულების ვადის გასვლისა და მისი ღირებულების სრულად დაფარვის შემდეგ. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ასეთი მსგავსება მხოლოდ ფინანსური ლიზინგისათვისაა დამახასიათებელი, განსხვავებით ოპერაციული ლიზინგისაგან.

ლიზინგისათვის დამახასიათებელია წინააღმდეგობრივი, ორმაგი ბუნება. აღნიშნული ორბუნებოვანება გამოიხატება იმით, რომ:

- ერთი მხრივ, თავისი ეკონომიკური ბუნებით, ლიზინგი – ესაა სახსრების დაბანდება ძირითად საშუალებებში დაბრუნებითობის პრინციპით. ძირითადი საშუალებების დროებით გადაცემის შემდეგ მფლობელი იბრუნებს მათ უკან წინასწარ განსაზღვრული დროის შემდეგ, ანუ სახეზეა ვადიანობისა და დაბრუნებითობის პრინციპები. გარდა ამისა, მფლობელი იღებს გასამრჯელოს, ანუ სახეზეა ფასიანობის პრინციპი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ლიზინგი შეესაბამება საკრედიტო ურთიერთობებს და ატარებს საკრედიტო გარიგებისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს;
- მეორე მხრივ, გამომდინარე იქიდან, რომ ლიზინგის დროს ოპერირება ხდება არა ფულადი, არმედ საწარმოო ფორმით, იგი ჰგავს ინვესტიციებს.

ლიზინგის არსისა და ბუნების უკეთ გასაგებად საჭიროა განისაზღვროს ლიზინგური ოპერაციების მთავარი ელემენტები, რომელთაც მიეკუთვნება:

1) ლიზინგის ობიექტი;
2) ლიზინგის სუბიექტები;
3) ლიზინგის პერიოდი;
4) ლიზინგური გადახდები, ანუ ლიზინგის ფასი.

დავახასიათოთ ისინი ცალ-ცალკე:

1) ლიზინგის ობიექტად შეიძლება მოგვევლინოს ნებისმიერი ძირითადი საშუალების ელემენტი, რომელიც არ იხარჯება (არ ნადგურდება) საწარმოო ციკლში. ობიექტის ხასიათიდან გამომდინარე, განასხვავებენ მოძრავი და უძრავი ქონების ლიზინგს:

მოძრავი ქონების ლიზინგის ობიექტებია:

- სატრანსპორტო საშუალებები (თვითმფრინავები, ვერტმფრენები, გემები, სატვირთო და მსუბუქი ავტომობილები და სხვ.);
- სამშენებლო ტექნიკა;
- სხვა საწარმოო მოწყობილობები.

უძრავი ქონების ლიზინგის ობიექტებს მიეკუთვნებიან საწარმოო დანიშნულების შენობები და ნაგებობები.

2) ლიზინგის სუბიექტები არიან მხარეები, რომლებიც მონაწილეობენ ლიზინგური ოპერაციის დროს და უშუალო კავშირი აქვთ ლიზინგის ობიექტთან. კლასიკური ლიზინგისათვის დამახასიათებელია ურთიერთობების სამმხრივი ხასიათი, ანუ სალიზინგო გარიგების დროს სახეზეა სამი სუბიექტი, ესენია:

- **ლიზინგის ობიექტის მომწოდებელი** – ესაა საწარმოო სიმძლავრეების მწარმოებლები ან მომწოდებლები. ლიზინგის მომწოდებლებად გვევლინებიან უშუალო მწარმოებლები ან სავაჭრო კომპანიები;
- **ლიზინგის გამცემი** – ესაა მხარე, რომელიც ყიდულობს ძირითად საშუალებებს მომწოდებლისაგან და ხდება მისი მესაკუთრე, ხოლო შემდეგ გადასცემს მას ლიზინგის მიმღებს იჯარით გარკვეული ვადით. ლიზინგის გამცემად გვევლინებიან სპეციალიზებული სალიზინგო კომპანიები და ბანკები, ასევე კომპანიები, რომელთაც აქვთ სალიზინგო ოპერაციების განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური შესაძლებლობები;
- **ლიზინგის მიმღები** – ესაა მხარე, რომელიც იღებს საწარმოო სიმძლავრეებს ლიზინგის გამცემისაგან იჯარით გარკვეული ვადითა და პირობებით.

სხვადასხვა გარემოებიდან გამომდინარე, სალიზინგო გარიგების მონაწილე მხარეების, ანუ სუბიექტების რაოდენობა, შეიძლება გაიზარდოს ან, პირიქით, შემცირდეს. ზემოაღნიშნული სამი მხარის გარდა, ზოგ შემთხვევაში შეიძლება ჩაერთონ საბროკერო კომპანიები, რომელთა როლი მხოლოდ შუამავლობით შემოიფარგლება და ასეთი შუამავალი შეიძლება რამდენიმე იყოს. სუბიექტების რაოდენობა სალიზინგო გარიგების დროს შეიძლება შემცირდეს, თუკი მომწოდებელი და ლიზინგის გამცემი ერთი და იგივე პირია.

რაც შეეხება სალიზინგო კომპანიებს, რომლებიც არიან ამ ურთიერთობების მთავარი მონაწილეები, იყოფიან ვიწრო სპეციალიზაციისა და უნივერსალურ სალიზინგო კომპანიებად:

ეროვნული ბიბლიოთეკა

- **ვიწრო სპეციალიზაციის სალიზინგო კომპანიებს** საქმე აქვთ მხოლოდ ერთი სახეობის ან ერთი ტიპის ლიზინგის ობიექტთან, მაგალითად: ავტომობილები, თვითმფრინავები ან სამშენებლო ტექნიკა. როგორც წესი, ასეთ კომპანიებს აქვთ ლიზინგის ობიექტების გარკვეული მარაგი და შეუძლიათ პირველი მოთხოვნისთანავე დააკმაყოფილონ კლიენტის მოთხოვნილებები. ძალიან ხშირად სალიზინგო კომპანიები თვითონ ახორციელებენ ლიზინგის ობიექტის ტექნიკურ მომსახურებას და ახდენენ მისი ნორმალური ფუნქციონირების მონიტორინგს;
- **უნივერსალური სალიზინგო კომპანიები** იჯარით გასცემენ სხვადასხვა ტიპის ძირითად საშუალებას. ისინი ლიზინგის მიმღებებს აძლევენ მომწოდებლის ამორჩევისა და შეკვეთის გაკეთების შესაძლებლობას.

მნიშვნელოვანია, რომ სალიზინგო კომპანიები იშვიათად არიან რეალურად დამოუკიდებელნი, მეტწილად ისინი არიან მსხვილი სამრეწველო, სავაჭრო, სადაზღვევო კომპანიებისა და ბანკების შვილობილი კომპანიები ან ფილიალები.

კომერციული ბანკების ჩართვა სალიზინგო მომსახურების ბაზარზე განპირობებულია ორი ძირითადი ფაქტორით:

- პირველი, ლიზინგი მოითხოვს მსხვილ კაპიტალდაბანდებებს, ბანკები კი თავისუფალი ფულადი სახსრების მთავარი განმკარგველები არიან;
- მეორე, სალიზინგო მომსახურება თავისი ბუნებით ახლოსაა საბანკო დაკრედიტებასთან და მის ალტერნატივად გვევლინება. კონკურენცია ფინანსურ ბაზარზე აიძულებს კომერციულ ბანკებს, ჩაერთონ სალიზინგო ბაზარზე, როგორც უშუალოდ, ისე დამოუკიდებელი სალიზინგო კომპანიების დაკრედიტების გზით.

3) ლიზინგის პერიოდი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია სალიზინგო გარიგების დროს და ესაა სალიზინგო ხელშეკრულების მოქმედების ვადა. გამომდინარე იქიდან, რომ ლიზინგი გრძელვადიანი ურთიერთობის ფორმაა, მისი მოქმედების ვადის განსაზღვრას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. სალიზინგო ხელშეკრულების ვადის განსაზღვრისას ლიზინგის მიმღებისა და გამცემის მიერ გაითვალისწინება რიგი ფაქტორებისა, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია:

- **ლიზინგის ობიექტის (ძირითადი საშუალებების) ექსპლოატაციის ვადა**. აღნიშნული ფაქტორი განისაზღვრება მისი ტექნიკური მონაცემებით. რა თქმა უნდა, ლიზინგის ხელშეკრულების ვადა არ უნდა იყოს ლიზინგის ობიექტის შესაძლო ექსპლოატაციის ვადაზე მეტი. ზოგიერთ ქვეყანაში კანონმდებლობით განსაზღვრულია ლიზინგის ხელშეკრულებისა და ლიზინგის ობიექტის ექსპლოატაციის მინიმალური და მაქსიმალური შესაბამისობა;
- **ლიზინგის ობიექტის ამორტიზაციის პერიოდი**, როგორც წესი, უნდა ემთხვეოდეს ლიზინგის ხელშეკრულების პერიოდს;
- **სასესხო კაპიტალის ბაზრის განვითარების ტენდენციები**. ვინაიდან სალიზინგო კომპანიები ფართოდ იყენებენ საბანკო კრედიტებს, გრძელვადიანი დაკრედიტების საპროცენტო განაკვეთები გავლენას ახდენენ სალიზინგო შეთანხმების ვადაზე;
- **ინფლაციური მოლოდინი**.

4) ლიზინგური გადახდების, ანუ ლიზინგის ფასის განსაზღვრა – ესაა ყველაზე რთული საკითხი ლიზინგის გარიგების დადებისას. მიუხედავად მსგავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებისა, საბანკო დაკრედიტებასა და ლიზინგს შორის ლიზინგის ფასის განსაზღვრა, როგორც წესი, უფრო რთული პროცესია და მოითხოვს სპეციფიკურ ცოდნასა და გამოცდილებას.

თანამედროვე სალიზინგო ურთიერთობები მრავალფეროვნებით გამოირჩევიან, თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ლიზინგური ურთიერთობების სახეობებს შორის საზღვრები ყოველთვის არაა მკაფიო და გამოხატული. ლიზინგის სახეობების დიფერენცირება ხდება გარიგების ფორმის, მისი ხანგრძლივობის, მხარეთა ვალდებულებების ჩამონათვალის, ლიზინგის ობიექტების, მათი ამორტიზაციის პირობების, ლიზინგური გადახდების ტიპისა და სხვა მახასიათებლების მიხედვით.

თანამედროვე ეკონომიკურმა მდგომარეობამ და ლიზინგის ბაზრის განვითარებამ უზრუნველყო ლიზინგის ოპერაციების სხვადასხვა ფორმის ჩამოყალიბება. სხვადასხვა ნიშან-თვისებებიდან გამომდინარე, სალიზინგო ოპერაციების კლასიფიკაცია ხდება შემდეგი ნიშნებით:

1) ლიზინგის ობიექტის გამოსყიდვის ხარისხი;
2) სალიზინგო გარიგების მონაწილეთა შემადგენლობა;
3) გაწეული მომსახურების მოცულობა;
4) სალიზინგო გადახდების ხასიათი;
5) ლიზინგის ობიექტის ტიპი;
6) ლიზინგის ობიექტის ასაკი.

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

1) გამოსყიდვის ხარისხის მიხედვით ლიზინგის დაყოფა ხდება ოპერაციულ და ფინანსურ ლიზინგად. დავახასიათოთ ისინი:

- **ოპერაციული ლიზინგი** – ესაა საიჯარო ურთიერთობა, რომლის დროსაც ლიზინგის გამცემის ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ლიზინგის ობიექტის შეძენასა და შენახვასთან, არ ანაზღაურდება სრულად ერთი სალიზინგო კონტრაქტის ფარგლებში. ოპერაციული ლიზინგისათვის დამახასიათებელია შემდეგი ნიშან-თვისებები:
  - ოპერაციული ლიზინგის ობიექტს წარმოადგენს უფრო ფართოდ გამოყენებადი და პოპულარული ძირითადი საშუალებები;
  - ოპერაციული ლიზინგის შესახებ ხელშეკრულება იდება შედარებით მოკლე ვადით, რომელიც მნიშვნელოვნად მცირეა ლიზინგის ობიექტის ფიზიკური ცვეთის ვადაზე;
  - ოპერაციული ლიზინგის მიმღებს ნებისმიერ დროს შეუძლია ხელშეკრულების დარღვევა;
  - ოპერაციული ლიზინგის გამცემის მიზანს არ წარმოადგენს ლიზინგის ობიექტთან დაკავშირებული საკუთარი დანახარჯების ამოღება ერთი კონტრაქტიდან;
  - ოპერაციული ლიზინგის ობიექტის განადგურების ან დაზიანების რისკს გასწევს ლიზინგის გამცემი, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებით შეიძლება განსაზღვრული იყოს ლიზინგის მიმღების გარკვეული პასუხისმგებლობა ამ კუთხით;
  - ოპერაციული სალიზინგო ანაზღაურება (ფასი) ბევრად მაღალია, ვიდრე ფინანსური ლიზინგის დროს, რაც გამოწვეულია იმით, რომ ლიზინგის გამცემი, დანახარჯების სრულად ამოღების გარანტიის არარსებობის გამო, იძულებულია გაითვალისწინოს ყველა რისკი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც აისახება კიდეც ლიზინგის ფასში. ეს რისკებია: ახალი ლიზინგის მიმღების დროულად ვერმოძებნა, ლიზინგის ობიექტის მწყობრიდან გამოსვლა, ხელშეკრულების ვადამდელი შეწყვეტა.

ოპერაციული ლიზინგის ვადის გასვლის შემდეგ ლიზინგის მიმღებს შესაძლებლობა აქვს:

- დაუბრუნოს ლიზინგის ობიექტი ლიზინგის გამცემს;
- გააგრძელოს ლიზინგის ხელშეკრულების ვადა მისთვის უფრო ხელსაყრელი პირობებით;
- იყიდოს ლიზინგის ობიექტი საბაზრო ღირებულებით.

ლიზინგის მიმღებნი აცნობიერებენ, რომ ძირითადი საშუალებების ფლობა გარკვეულ რისკებთანაა დაკავშირებული. ამ რისკებიდან აღსანიშნავია: მორალური ცვეთა, რენტაბელობის შემცირება გამოშვებულ პროდუქციაზე მოთხოვნის კლების გამო, მწყობრიდან გამოსვლა, მომსახურების ხარჯები და მათი შესაძლო ზრდა და ა. შ. აქედან გამომდინარე, ლიზინგის მიმღებნი ამ რისკების თავის არიდებას ოპერაციული ლიზინგის მეშვეობით ცდილობენ. ლიზინგის ამღებნი ოპერაციულ ლიზინგს ამჯობინებენ იმ შემთხვევებში, როცა ძირითადი საშუალებები სჭირდებათ შედარებით მოკლე პერიოდით (სეზონური სამუშაოები, ერთჯერადი გამოყენება), ასევე მათთვის ნაკლებად ცნობილი მოწყობილობების შემთხვევაში ან თუკი მოსალოდნელი შემოსავლები ვერ უზრუნველყოფენ ლიზინგის ობიექტის გამოსყიდვას და ა. შ. ამიტომ, როგორც წესი, ოპერაციულმა ლიზინგმა გავრცელება პოვა ისეთი დარგებში, როგორებიცაა: ტრანსპორტი, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა და სხვ.

- **ფინანსური ლიზინგი** – ესაა შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს თავისი მოქმედების ვადის განმავლობაში ლიზინგური გადახდების განხორციელებას და რომელთა საშუალებითაც ხდება ლიზინგის ობიექტის ღირებულების დაფარვა. ფინანსური ლიზინგისათვის დამახასიათებელია შემდეგი ნიშან-თვისებები:
  - ლიზინგური შეთანხმების დიდი პერიოდი, რომელიც, როგორც წესი, ახლოსაა ლიზინგის ობიექტის ექსპლოატაციის ვადასთან;
  - მესამე მხარის – ლიზინგის ობიექტის მომწოდებლის (მომწოდებელი ან უშუალო მწარმოებელი) მონაწილეობა გარიგებაში;
  - ხელშეკრულების ვადამდელი გაწყვეტის შეუძლებლობა. რა თქმა უნდა, პრაქტიკაში არსებობს ხელშეკრულების ვადამდელი შეწყვეტის შესაძლებლობის შემთხვევებიც, მაგრამ ამ დროს ფასი მნიშვნელოვნად მაღალია;
  - როგორც წესი, ლიზინგის ობიექტის მაღალი ღირებულება, ანუ საქმე ეხება დიდ კაპიტალდაბანდებებს.

ფინანსური ლიზინგის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ლიზინგის მიმღებს შესაძლებლობა აქვს:

- შეიძინოს ლიზინგის ობიექტი ნარჩენი ღირებულებით;
- დადოს ახალი კონტრაქტი ნაკლები ვადით და შეღავათიანი პირობებით;
- დაუბრუნოს ლიზინგის ობიექტი ლიზინგის გამცემს.

იმის გამო, რომ ფინანსური ლიზინგი ჰგავს გრძელვადიან საბანკო დაკრედიტებას და მოითხოვს დიდ კაპიტალდაბანდებებს, ფინანსური ლიზინგის ბაზარზე მნიშვნელოვან მოთამაშეებად გვევლინებიან ბანკები და ფინანსური კომპანიები.

2) **მონაწილეთა შემადგენლობის მიხედვით** სალიზინგო ოპერაციები იყოფა ირიბ, პირდაპირ და დაბრუნებით ლიზინგად:

- **ირიბი ლიზინგის** შემთხვევაში ლიზინგის ობიექტი ლიზინგის მიმღებზე გადადის შუამავალის მეშვეობით. ცხადია, ეს შუამავალი არის ლიზინგის გამცემი – სალიზინგო კომპანია ან კომერციული ბანკი;
- **პირდაპირი ლიზინგის** დროს ლიზინგის ობიექტის მომწოდებელი და ლიზინგის გამცემი ერთი და იგივე პირია და უშუალოდ, შუამავლის გარეშე გადასცემს ლიზინგის ობიექტს ლიზინგის მიმღებს;
- **დაბრუნებითი ლიზინგი** წარმოადგენს პირდაპირი ლიზინგის ნაირსახეობას და მისი თავისებურება ისაა, რომ ძირითადი საშუალების მფლობელი მიჰყიდის საკუთარ ქონებას სალიზინგო კომპანიას, ხოლო შემდეგ იღებს უკან იჯარით. ასეთი, ერთი შეხედვით, უცნაური გარიგების მიზეზია ძირითადი საშუალებების მესაკუთრის ლიკვიდობის პრობლემა, როცა იგი განიცდის ფულადი სახსრების მწვავე დეფიციტს, ასეთი ფორმით ახდენს საკუთარი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

3) **გაწეული მომსახურების მოცულობის მიხედვით** სალიზინგო ოპერაციები იყოფა წმინდა, სრული მომსახურებით და ნაწილობრივი მომსახურებით განხორციელებულ ლიზინგად:

- **წმინდა ლიზინგის დროს** ლიზინგის ობიექტის მთელ მომსახურებას საკუთარ თავზე იღებს ლიზინგის მიმღები;
- **ლიზინგი სრული მომსახურებით** გულისხმობს ლიზინგის ობიექტის სრულ მომსახურებას ხელშეკრულების ვადის განმავლობაში ლიზინგის გამცემის მხრიდან;
- **ლიზინგი ნაწილობრივი მომსახურებით** ითვალისწინებს ლიზინგის გამცემის მხრიდან ლიზინგის ობიექტის მხოლოდ ნაწილობრივ მომსახურებას ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

4) **სალიზინგო გადახდების ხასიათის მიხედვით** ლიზინგი იყოფა ფულადი ფორმით გადახდილი, კომპენსაციური და შერეული გადახდების ფორმის ლიზინგად:

- **ლიზინგი ფულადი გადახდებით** ითვალისწინებს ანაზღაურებას მხოლოდ ფულადი ფორმით;
- **კომპენსაციური ლიზინგი** არის საიჯარო გადახდები ლიზინგის ობიექტის მეშვეობით გამოშვებული პროდუქციის მიწოდებით;
- **ლიზინგი შერეული გადახდების ფორმით** გულისხმობს საიჯარო გადახდების ორივე ფორმის კომბინაციას (ფულადი გადახდები და კომპენსაციური ლიზინგი).

5) **ლიზინგის ობიექტის ტიპის მიხედვით** გვაქვს:

- მოძრავი ქონების ლიზინგი;
- უძრავი ქონების ლიზინგი.

6) **ლიზინგის ობიექტის ასაკის მიხედვით** გვაქვს:

- ახალი ძირითადი საშუალებების ლიზინგი;
- ექსპლოატაციაში ნამყოფი ძირითადი საშუალებების ლიზინგი.

ლიზინგი ფინანსირების შედარებით ახალი ინსტრუმენტია, მაგრამ დაკრედიტების ტრადიციული სახეობებისაგან განსხვავებით, იგი რიგი უპირატესობებით ხასიათდება. ამ უპირატესობებიდან უმთავრესია ის, რომ მეწარმეს საშუალება ეძლევა დაიწყოს საკუთარი საქმე აუცილებელი ძირითადი ფონდების შესაძენად საჭირო სახსრების მხოლოდ ნაწილის არსებობის შემთხვევაშიც.

ნიშანდობლივია ისიც, რომ თუკი ფულადი სახსრების დროებით გადაცემისას შეიძლება გაძნელებული იყოს მათი დანიშნულებით და ეფექტიანად გამოყენების კონტროლი (კრედიტის მიზნობრიობა), ლიზინგის დროს ეს პრობლემა აღარ არსებობს, ვინაიდან უშუალოდ საწარმოო საშუალებების გადაცემას აქვს ადგილი.

ლიზინგი ხასიათდება რიგი **უპირატესობებით** ამ ოპერაციების მონაწილე ყველა მხარისათვის:

- მოწყობილობების მწარმოებლებისა და მათი მომწოდებლებისათვის ფართოვდება საწარმოო საშუალებების გასაღების ბაზრები;
- სალიზინგო კომპანიები, ანუ ინვესტორები, იღებენ მოგებას განხორციელებული კაპიტალდაბანდებებიდან შედარებით დაბალი რისკის ფასად ჩვეულებრივ დაკრედიტებასთან შედარებით. სალიზინგო ოპერაციის დასრულებამდე სალიზინგო კომპანია რჩება ლიზინგის ობიექტის მესაკუთრედ და გარიგების ჩაშლის ან ლიზინგის მიმღების გაკოტრების შემთხვევაში შეუძლია მოითხოვოს ლიზინგის ობიექტის რეალიზება და ზარალის ანაზღაურება. ამასთან, ბევრ ქვეყანაში ბანკები იღებენ გარკვეულ საგადასახადო შეღავათებს სალიზინგო ოპერაციების განხორციელებისას;
- ლიზინგის მიმღებები, როგორც მოწყობილობების მომხმარებლები, იღებენ ძვირადღირებული, უახლესი ტექნოლოგიებისა და საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების შესაძლებლობას მცირე სალიზინგო ფასად. აღნიშნული ფაქტორი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში საწარმოო სიმძლავრეების გადაიარაღების თვალსაზრისით, მათი მორალური ცვეთიდან გამომდინარე;
- ქვეყნის ეკონომიკაში ხდება საწარმოო სიმძლავრეების მუდმივი გადაიარაღებისა და ახალი საქმის წამოწყების სტიმულირება.

საბოლოოდ, უნდა აღინიშნოს, რომ სალიზინგო ოპერაციის ორგანიზება დამოკიდებულია კონკრეტული ქვეყნის კანონმდებლობის თავისებურებებსა და ტრადიციებზე. საქართველოში მოქმედებდა 2002 წელს მიღებული კანონი „სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ“, რომელიც გაუქმებულ იქნა 2011 წლის ოქტომბერში, სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანიდან გამომდინარე. სამოქალაქო კოდექსში ლიზინგს დათმობილი აქვს მეოთხე თავი.

კანონით „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საბანკო საქმიანობის სახეობებში შესულია „საწარმოებისა და ორგანიზაციების თხოვნით მოწყობილიბების, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა ქონების შეძენა და იჯარით გაცემა (ლიზინგი)“. სალიზინგო ოპერაციები, უფრო სწორად – „მიკროლიზინგი“, ასევე შედის 2006 წელს დამტკიცებული კანონით „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ განსაზღვრულ მიკროსაფინანსო საქმიანობის სახეობებში.

რაც შეეხება სალიზინგო კომპანიებს, მათი რაოდენობა საქართველოში სულ რამდენიმეა და მათი ნაწილი წამყვანი ქართული კომერციული ბანკების შვილობილი კომპანიებია.

ქართულ კომერციულ ბანკებში ლიზინგის ოპერაციების ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება „საქართველოს საბანკო დაწესებულებებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და ანგარიშთა გეგმის გამოყე-

ნების ინსტრუქციის“ შესაბამისად. ლიზინგური ოპერაციებისა და მათთან დაკავშირებული შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვისათვის გამოიყენება სხვადასხვა ანგარიშები. მათ შორის ფინანსური ლიზინგის აღრიცხვისათვის გამოყენებული აქტიური ანგარიშები:

- **2303**. ფინანსური ლიზინგი (ეროვნული ვალუტით);
- **2313**. ფინანსური ლიზინგი (უცხოური ვალუტით).

ინსტრუქციის შესაბამისად, მოცემული ანგარიშები გამოიყენება კომერციული ბანკის მიერ კლიენტებისათვის ფინანსური ლიზინგით – იჯარით გადაცემული აქტივების სახით წარმოდგენილი სესხების აღსარიცხავად (ნაგებობები, კომპიუტერული მოწყობილობა და სხვ.). დოკუმენტის თანახმად, იჯარა წარმოადგენს ფინანსურ ლიზინგს, თუ იგი აკმაყოფილებს ხუთი პირობიდან ერთს მაინც:

1) საკუთრების უფლება ნაგებობებზე ან მოწყობილობებზე გადადის მოიჯარეზე იჯარის ვადის ბოლოს.
2) მოიჯარეს აქვს შესაძლებლობა, დადებული გარიგების ვადის დასრულების შემდეგ იჯარით აღებული აქტივი იყიდოს ფიქსირებული ფასით ან იჯარის დამთავრებისას შეიძინოს განსაზღვრული ფასით.
3) ლიზინგის ვადა შეადგენს აქტივის ფუნქციონირების ნორმატიული ვადის 80%-ს მაინც. ფუნქციონირების ვადა წარმოადგენს ნორმატიულ პერიოდს, რომლის შედეგად აქტივი მთლიანად ამორტიზებულად ითვლება.
4) ლიზინგის მიხედვით გადასახდელები შეადგენენ მიმდინარე ფასებით მოწყობილობის ღირებულების 90%-ს მაინც. ღირებულება მიმდინარე ფასებში, ჩვეულებრივ, წარმოადგენს ლიზინგის კონტრაქტში აღნიშნულ ფასს. იქ, სადაც ლიზინგის შეთანხმებაში მოცემული ღირებულება მითითებული არ არის, იგი შეიძლება განისაზღვროს როგორც თანხა, რომლის მიხედვითაც, აქტივები შეიძლება შეფასდეს საქმეში კარგად ჩახედულ და ამ გარიგების შესრულების მსურველ მყიდველებსა და გამყიდველებს შორის კომერციული გარიგების შესრულებისას.
5) საიჯარო აქტივები სპეციფიკური ხასიათისაა, ასე რომ, მხოლოდ მოიჯარეს შეუძლია გამოიყენოს ისინი მნიშვნელოვანი მოდიფიკაციის გარეშე.

თუ ზემოთ მოცემული კრიტერიუმებიდან არც ერთი არ სრულდება, ლიზინგის შეთანხმება განიხილება, როგორც ოპერაციული ლიზინგი. ოპერაციული ლიზინგის აღრიცხვისათვის განკუთვნილია ჯგუფი 292, რომელიც შედის კლასში 29 (ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები) და მოიცავს 6 სალარე ანგარიშს:

- **2921**. მიწა;
- **2922**. შენობა-ნაგებობები;
- **2923**. კომპიუტერები და საკომუნიკაციო მოწყობილობები;
- **2924**. სატრანსპორტო საშუალებები;
- **2925**. ავეჯი და მოწყობილობები;
- **2926**. დანარჩენი ძირითადი საშუალებანი.

მოცემული ანგარიშები გამოიყენება იმ ძირითად საშუალებათა აღსარიცხავად, რომლებიც ბანკმა კლიენტებს გადასცა ოპერაციული ლიზინგით. როგორც აღინიშნა, ოპერაციულად ითვლება ლიზინგი, რომელიც არ აკმაყოფილებს ფინანსური ლიზინგის მოთხოვნებს.

რაც შეეხება პასივში ასახულ სალიზინგო ოპერაციებს, აქ შედის:

- **4303**. ვალდებულებები ფინანსური ლიზინგის მიხედვით (ეროვნული ვალუტით);
- **4313**. ვალდებულებები ფინანსური ლიზინგის მიხედვით (უცხოური ვალუტით).

მოცემული ანგარიშები გამოიყენება კომერციული ბანკის ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული ვალდებულების აღსარიცხავად (ძირითადად შენობა და კომპიუტერული მოწყობილობები).

სალიზინგო ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების აღრიცხვისათვის გამოიყენება შემდეგი ანგარიშები:

- **7033**. შემოსავლები ოპერაციული ლიზინგიდან (ეროვნული ვალუტით);
- **7034**. შემოსავლები ფინანსური ლიზინგიდან (ეროვნული ვალუტით);
- **7043**. შემოსავლები ოპერაციული ლიზინგიდან (უცხოური ვალუტით);
- **7044**. შემოსავლები ფინანსური ლიზინგიდან (უცხოური ვალუტით);
- **9033**. ხარჯები ოპერაციული ლიზინგის მიხედვით (ეროვნული ვალუტით);
- **9034**. ხარჯები ფინანსური ლიზინგის მიხედვით (ეროვნული ვალუტით);
- **9043**. ხარჯები ოპერაციული ლიზინგის მიხედვით (უცხოური ვალუტით);
- **9044**. ხარჯები ფინანსური ლიზინგის მიხედვით (უცხოური ვალუტით).

20.2. ფაქტორინგი

სამეწარმეო საქმიანობაში ხშირად იქმნება სიტუაცია, როცა ხელშეკრულების თანახმად, ერთი მხარე (გამყიდველი, მომწოდებელი) ანაზღაურებას იღებს არა მის მიერ საქონლის თუ მომსახურების მიწოდებისთანავე, არამედ გარკვეული პერიოდის შემდეგ. ასეთი გარიგებების მაგალითებია კომერციული კრედიტი, განვადება, სათამასუქო კრედიტი.

საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების გარიჟრაჟზე სამეწარმეო სფეროში, განსაკუთრებით კი – ვაჭრობაში, მეტად მნიშვნელოვანი როლის შესრულება დაიწყეს საკომისიო, იმავე სავაჭრო აგენტებმა, რომელთაც მოიხსენიებდნენ ფაქტორებად (ინგლისური სიტყვიდან ***Factor*** – „შუამავალი", „სავაჭრო აგენტი"). მათ ფუნქციებში შედიოდა, ერთი მხრივ, პროდუქციის მწარმოებლების პროდუქციის რეალიზაცია, მეორე მხრივ კი, მათი წარმოების დაკრედიტება და ავანსების გაცემა. კომისიონერი (ფაქტორი) ყიდდა საქონელს და გამოწერდა ანგარიშს საკუთარი სახელით გამყიდველის სახელის მითითების გარეშე. არცთუ იშვიათად ფაქტორი საქონელს ყიდდა განვადებით და საკუთარ თავზე იღებდა საკრედიტო რისკს. ასეთი მექანიზმების არსებობის მაგალითია ჯერ კიდევ **XVII** საუკუნეში ინგლისში შექმნილი ე. წ. „ფაქტორთა სახლი" ***House of Factors***).

განვითარების შემდეგ ეტაპზე ზოგიერთმა საკომისიო აგენტმა უარი განაცხადა კომერციულ ფუნქციებზე (ანუ გაყიდვაზე) და მთლიანად გადაერთო მათი კლიენტების მომსახურების ფინანსურ მხარეებზე. ასევე ფაქტორებმა დაიწყეს მწარმოებლების საგადახო მოთხოვნების (ანუ მყიდველებისადმი წარდგენილი ანგარიშ-ფაქტურების) პირდაპირი შესყიდვა. როგორც ეკონო-

მისტთა დიდი ნაწილი აღიარებს, სწორედ ამ დროს დაიბადა ფაქტორინგი, როგორც ვხედავთ, ურთიერთობები, რომლებიც წარმოიშვა როგორც სავაჭრო საქმიანობა, გადაიზარდა კრედიტის მიწოდებით გამოხატულ ფინანსურ ოპერაციაში და იქცა თანამედროვე განვითარებული საბაზრო ეკონომიკის საბანკო საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად.

საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ფართოდ გავრცელებული ანგარიშსწორების სათამასუქო ფორმა ხშირად ვერ უზრუნველყოფს მიწოდებული საქონლისა და მომსახურების ღირებულების დროულ ანაზღაურებას. ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების პრობლემა შეიძლება მეტად მნიშვნელოვანი გახდეს ბიზნესისათვის, განსაკუთრებით, თუ ეს შედარებით მცირე ან საშუალო ზომის კომპანიაა, რომლის ფინანსური შესაძლებლობები შეზღუდულია. როცა სხვა გზა არ რჩება, თამასუქის მფლობელი (საქონლის გამყიდველი) იძულებული ხდება, მიმართოს სასამართლოს პრობლემური დებიტორული დავალიანების ამოსაღებად. თუმცა, სასამართლოს გზა სხვადასხვა ნაკლოვანებით ხასიათდება: მატერიალური დანახარჯები, დროში გაწელილი პროცესი. ამასთან, ბევრი კომპანია ერიდება „ხმაურს“.

შექმნილი რთული სიტუაციიდან გამოსავლის ძიებისას კომპანიები დახმარებისათვის მიმართავენ ბანკებს ან სპეციალიზებულ ფაქტორინგულ ფირმებს, რათა მოაგვარონ თამასუქებისა და სხვა სასაქონლო დოკუმენტების განაღდებასთან დაკავშირებული პრობლემები.

ფაქტორინგის ეკონომიკური მხარე ვლინდება იმით, რომ იგი უზრუნველყოფს კომპანიების აქტივების ლიკვიდობის, კაპიტალის ბრუნვადობისა და რენტაბელობის ზრდას. ფაქტორინგი განსაკუთრებით აქტუალურია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისათვის. ასეთ კომპანიებს ფაქტორინგი სპეციალური ფინანსური სამსახურების შენახვის ხარჯების შემცირებისა და ფინანსური მომსახურების ეფექტიანობის გაზრდის შესაძლებლობას აძლევს ზოგიერთი ფუნქციის სპეციალიზებული ფაქტორინგული კომპანიებისათვის გადაცემით. ამ კომპანიებში ასეთი საქმიანობა უფრო ეფექტიანია რაციონალიზაციის მაღალი ხარისხის გამო.

თუკი ფაქტორინგს თავისი პოტენციალიდან გამომდინარე განვიხილავთ, კერძოდ, რა შესაძლებლობები აქვს მას, შეიძლება ითქვას, რომ განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში იგი თანამედროვე მენეჯმენტის ქმედითი და მეტად ეფექტიანი ინსტრუმენტია როგორც ფინანსირების, ისე რისკების შემცირების თვალსაზრისით.

კომერციული ბანკების ფაქტორინგულ ოპერაციებს შედარებით ხანმოკლე ისტორია აქვს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ფაქტორინგი არ მიეკუთვნება კლასიკური საბანკო მომსახურების სახეობას და ბანკები მას კლიენტებს სთავაზობენ, როგორც დამატებით სერვისს. ამ საქმეში პიონერებად ამერიკული ბანკები მოგვევლინნენ ჯერ კიდევ **XX** საუკუნის 50-იან წლებში, თუმცა, მათი „ლეგიტიმაცია“ 1963 წელს მოხდა, როცა აშშ სახელმწიფო ორგანიზაცია „ფულადი მიმოქცევის კონტროლიორმა“ ოფიციალურად დაადასტურა, რომ ფაქტორინგული ოპერაციები წარმოადგენენ საბანკო საქმიანობის კანონიერ სახეობას.

ბანკის მხრიდან ფაქტორინგი არის საგადამხდელო დოკუმენტების შესყიდვა საქონლის (მომსახურების) მიმწოდებლისაგან, რომლის დროსაც მასზე გადმოდის არგადახდის რისკი, მიუხედავად იმისა, რომ მოვალის კრედიტუნარიანობის შესწავლა ხდება წინასწარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალსაჩინოების მიზნით ფაქტორინგული ოპერაციის სქემაზე გამოხატულია მისი მონაწილე მხარეების ურთიერთობათა თანმიმდევრობა (სქემა №20.1.). ფაქტორინგულ ოპერაციაში მონაწილეობს სამი მხარე:



სქემა №20.1. ფაქტორინგული ოპერაციის სქემა

1. საქონლის (მომსახურების) მიწოდება ხელშეკრულების თანახმად;
2. მოთხოვნის უფლების დათმობა.
3. მიწოდებული საქონლის (მომსახურების) ღირებულების ნაწილის (დაახლოებით 80%) ფინანსირება.
4. მიწოდებული საქონლის (მომსახურების) ღირებულების ანაზღაურება.
5. მიწოდებული საქონლის (მომსახურების) ღირებულების დარჩენილი ნაწილის (დაახლოებით 20%) ანაზღაურება საკომისიოს გამოკლებით.

თანამედროვე დამოუკიდებელი საქართველოს საბანკო პრაქტიკაში ტერმინი „ფაქტორინგი“ ჩნდება 1991 წლის კანონში „საქართველოს რესპუბლიკაში ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ“, რომლის მიხედვით, კომერციული ბანკების ოპერაციების ჩამონათვალში შევიდა „საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევიდან მოთხოვნის უფლების შეძენა; ასეთი მოთხოვნის შესრულებაზე რისკის აღება და ამ მოთხოვნის ინკასაცია (ფაქტორინგი)“.

საქართველოს საგადასახადო კოდექსით ფაქტორინგი მიკუთვნებულია ფინანსურ ოპერაციებს.

1996 წლის და დღეს მოქმედი კანონით „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საბანკო საქმიანობის სახეობებში შესულია „ფაქტორინგული ოპერაციები რეგრესის უფლებით და ამ უფლების გარეშე“, ხოლო ტერმინთა განმარტებების მიხედვით, „ფაქტორინგი“ არის სავაჭრო-საკომისიო ოპერაციის სახეობა, რომელიც შეხამებულია კლიენტის საბრუნავი კაპიტალის დაკრედიტებასთან, მოიცავს კლიენტის დებიტორული დავალიანების ინკასირებას, დაკრედიტებას და საკრედიტო და სავალუტო რისკის გარანტიებს“.

საქართველოს ეროვნული ბანკის განმარტებით, „ფაქტორინგული ოპერაციები წარმოადგენს ისეთ ოპერაციებს, როდესაც ბანკი ყიდულობს ან იღებს საკუთრების უფლებას კლიენტის მისაღებ თანხებზე – კლიენტის დებიტორულ დავალიანებაზე. თუ მისაღები თანხა შეძენილია რეგრესის უფლების გარეშე, ეს ნიშნავს იმას, რომ თუ ბანკმა ვერ მიიღო კლიენტისგან შეძენილი მისაღები თანხა, მას არა აქვს უფლება კლიენტს დაუბრუნოს მისაღებ თანხებზე საკუთრების უფლება და მოითხოვოს კომპენსაცია. ფაქტორინგის წარმოებისას შესაძლებელია, რომ ბანკმა კლიენტის დებიტორულ დავალიანებაზე საკუთრების უფლების შეძენამდე თანხები გასცეს ავანსად. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს სესხის გაცემას, რომელიც აღირიცხება ბანკის მიერ გაცემული სესხების ცხრილის შესაბამის მუხლებში“ [23].

ფაქტორინგული ოპერაციები ასევე შედის 2006 წელს დამტკიცებული კანონით „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ განსაზღვრულ მიკროსაფინანსო საქმიანობის სახეობებში.

არსებობს ფაქტორინგის სხვადასხვა ტიპი:

- **ღია ფაქტორინგი** – გულისხმობს კრედიტორის მიერ ფაქტორისადმი მოთხოვნის უფლების დათმობის შეთანხმების შეტყობინებას დებიტორისადმი;
- **დახურული ფაქტორინგი** – კრედიტორსა და ფაქტორს შორის შეთანხმების შეტყობინება დებიტორისადმი არ ხდება;
- **ფაქტორინგი რეგრესის უფლებით** – ფაქტორი ყიდულობს კრედიტორისაგან უფლებას დავალიანების სრულ თანხაზე, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ სრულად ვერ მოხდა დებიტორისგან ამ თანხის ამოღება, კრედიტორი ვალდებულია აანაზღაუროს დაუფარავი თანხის ნაწილი;
- **ფაქტორინგი რეგრესის უფლების გარეშე** – ფაქტორი ყიდულობს კრედიტორისგან უფლებას დავალიანების სრულ თანხაზე, ხოლო დებიტორისაგან თანხის ნაწილის მიუღებლობის რისკს იღებს საკუთარ თავზე;
- **რეალური ფაქტორინგი** – ფულადი მოთხოვნის ვადა უკვე დამდგარია, ანუ ადგილი აქვს ვადაგადაცილებულ დებიტორულ დავალიანებას;
- **კონსენსუალური ფაქტორინგი** – ფულადი მოთხოვნის ვადა ჯერ არ დამდგარა და ეს მომავალში მოხდება;
- **პირდაპირი ფაქტორინგი** – გარიგებაში მონაწილეობს ერთი ფაქტორი;
- **ურთიერთფაქტორინგი** – გარიგებაში მონაწილეობს რამდენიმე ფაქტორი;
- **შიდა ფაქტორინგი** – გარიგების მონაწილე მხარეები არიან ერთი და იმავე ქვეყნიდან;
- **საერთაშორისო ფაქტორინგი** – გარიგების მონაწილე მხარეები არიან სხვადასხვა ქვეყნის რეზიდენტები.

ფაქტორინგული ოპერაციები თანდათან გასცდა ეროვნულ საზღვრებს და უკვე **XX** საუკუნის მეორე ნახევრიდან მნიშვნელოვან მასშტაბებს მიაღწია, რამაც დღის წესრიგში დააყენა მათი უნიფიკაციის საკითხი. 1988 წელს კანადაში მოწვეულ იქნა დიპლომატიური კონფერენცია კონვენციის მისაღებად საერთაშორისო ფაქტორინგისა და საერთაშორისო ფინანსური ლიზინგის შესახებ,

23 საქართველოს ეროვნული ბანკი, წერილი №14222/840: „საზედამხედველო და საფინანსო ანგარიშგებების შესახებ“, 30.12.1998, B 7-1, მუხლი 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც მომზადდა კერძო სამართალის უნიფიკაციის საერთაშორისო ინსტიტუტის („უნიდრუა“) მიერ. კონვენციას ხელი მოეწერა 1988 წლის 28 მაისს. აღნიშნულმა კონვენციამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ფაქტორინგული საქმიანობის განვითარებისათვის, ვინაიდან იმ დროისათვის ბევრი ქვეყნის კანონმდებლობა არ შეიცავდა ფაქტორინგული ოპერაციების მარეგულირებელ ნორმებს. პირიქით, მან ხელი შეუწყო ბევრი ქვეყნის კანონმდებლობაში ფაქტორინგის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შექმნას.

როგორც აღინიშნა, ფაქტორინგული მომსახურება განსაკუთრებით ეფექტიანია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისათვის, ვინაიდან ისინი განსაკუთრებით მგრძნობიარენი არიან ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებების მიმართ და გარე ფინანსური რესურსებისადმი შეზღუდული ხელმისაწვდომობის გამო. ამასთან, არის ის სუბიექტური გარემოებები, რომლებიც შეუძლებელს ხდის ფაქტორინგული ოპერაციის ჩატარებას.

როგორც წესი, ფაქტორინგული მომსახურება არ ვრცელდება:

- კომპანიებზე, რომელთაც აქვთ დიდი რაოდენობის, მაგრამ მცირე მოცულობის დებიტორული დავალიანება;
- კომპანიებზე, რომლებიც აწარმოებენ არასტანდარტულ პროდუქციას;
- კომპანიებზე (განსაკუთრებით სამშენებლო), რომლებიც მუშაობენ სუბმოიჯარეებთან;
- კომპანიებზე, რომლებიც დაკავებულნი არიან ბარტერული გარიგებებით;
- კომპანიებზე, რომელთაც თავიანთ კონტრაგენტებთან აკავშირებთ გრძელვადიანი კონტრაქტები და საქმე ეხება მისი რომელიმე ეტაპის ანაზღაურებას.

როგორც წესი, ფაქტორინგული მომსახურება არაა რეკომენდებული:

- ფიზიკური პირების სავალო ვალდებულებების მიმართ;
- კომპანიების ფილიალების სავალო ვალდებულებების მიმართ;
- გადამხდელუუნარო და „შავ სიებში“ მყოფი კლიენტების სავალო ვალდებულებების მიმართ.

ქართულ კომერციულ ბანკებში ფაქტორინგული ოპერაციების ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება „საქართველოს საბანკო დაწესებულებებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და ანგარიშთა გეგმის გამოყენების ინსტრუქციის“ შესაბამისად. ფაქტორინგული ოპერაციების და მათთან დაკავშირებული შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვისათვის გამოიყენება შემდეგი ანგარიშები:

- **2302**. ფაქტორინგი (ეროვნული ვალუტით);
- **2312**. ფაქტორინგი (უცხოური ვალუტით).

ბალანსის აქტივის მოცემული ანგარიშები გამოიყენება ფაქტორინგული ოპერაციებით შესყიდული ვალდებულებების, როგორც კლიენტის კომერციული კრედიტის ბანკის კრედიტად ტრანსფორმირებული თანხების აღსარიცხავად, ეროვნული და უცხოური ვალუტით.

- **7032**. შემოსავლები ფაქტორინგული ოპერაციებიდან (ეროვნული ვალუტით);
- **7042**. შემოსავლები ფაქტორინგული ოპერაციებიდან (უცხოური ვალუტით);
- **9032**. ხარჯები ფაქტორინგული ოპერაციების მიხედვით (ეროვნული ვალუტით);
- **9042**. ხარჯები ფაქტორინგული ოპერაციების მიხედვით (უცხოური ვალუტით).

ანგარიშები გამოიყენება ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში წარმოებული ფაქტორინგული ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების აღრიცხვისათვის.

20.3. ფორფეტინგული ოპერაციები

ფორფეიტინგული ოპერაციები, იგივე ფორფეტირება ან ფორფეიტინგი – ესაა კომერციული ბანკის მიერ თავისი კლიენტების საბრუნავ დოკუმენტებში (უმეტესწილად – თამასუქებში) გამოხატული ვალების ყიდვა, რეგრესის უფლების გარეშე. ამ ოპერაციების სპეციფიკა არის ის, რომ თამასუქში გამოხატული ვალის მყიდველი ბანკი, ამ შემთხვევაში ფორფეიტერი, საკუთარ თავზე იღებს არდაფარვის რისკს და, ამავდროულად, კარგავს კრედიტორისადმი რაიმე პრეტენზიის წაყენების უფლებას. სწორედ ეს გარემოება განაპირობებს თამასუქის ნომინალზე ნაკლები ფასით შესყიდვას.

ფორფეტირების „მთავარ“ ფასიან ქაღალდს თამასუქი წარმოადგენს. ეს მეტწილად განპირობებულია იმით, რომ უზრუნველყოფილია ოპერაციის სიმარტივე და სისწრაფე ყოველგვარი გართულებების გარეშე. როგორც გვახსოვს, თამასუქი არის ორი სახეობის:

- **გადასაპირებელი თამასუქით** თამასუქის გამცემი ავალებს სხვა პირს, გადაუხადოს თამასუქში ნაჩვენები თანხა თამასუქში მითითებულ პირს;
- **მარტივი თამასუქით** მისი გამცემი იღებს ვალდებულებას, თვითონ გადაიხადოს თამასუქში მითითებული თანხა.

თამასუქების გარდა, ფორფეტირების ობიექტი შეიძლება გახდეს ვალდებულება აკრედიტივის ფორმით, თუმცა, ეს უფრო იშვიათია. აკრედიტივის არაპოპულარობა ფორფეტირებისას განპირობებულია იმით, რომ ამ დროს ადგილი აქვს გარიგებების პირობების დაზუსტებასა და დეტალურ შეთანხმებას მხარეებს შორის, რაც იწვევს მთელი პროცედურის გახანგრძლივებას, მაშინ, როცა ფორფეტირების ბაზარი მოითხოვს გარიგებების დადების სისწრაფესა და დოკუმენტბრუნვის სიმარტივეს.

ვინაიდან ფორფეიტერი ყიდულობს სავალო ვალდებულებას რეგრესის უფლების გარეშე და საკუთარ თავზე იღებს ყველა რისკს, ბუნებრივია, იგი მაქსიმალურად ცდილობს დაიცვას თავი ნეგატიური შედეგებისაგან. თუკი მოვალე (იმპორტიორი) არაა პირველი კლასის მოვალე, ფორფეიტერი ცდილობს მიიღოს უზრუნველყოფა, რომელიც შეიძლება გამოიხატებოდეს **ავალით** (სათამასუქო თავდებობა) ან **ბანკის უპირობო გარანტიით**.

ფორფეტირების არსი ისაა, რომ ფორფეიტერი (ჩვენს შემთხვევაში ბანკი) ყიდულობს მყიდველის (იმპორტიორი) ვალდებულებას გამყიდველის (ექსპორტიორის) მიმართ. აღნიშნული ოპერაცია წარმოადგენს სავაჭრო ოპერაციების დაკრედიტების სპეციფიკურ ფორმას და მისი წარმოშობა განაპირობა საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების განვითარებამ **XX** საუკუნის მეორე ნახევრიდან. საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსებაში წარმატებული გამოცდილების მქონე შვეიცარიის რამდენიმე ბანკმა დაიწყო ფორფეტირების მექანიზმების გამოყენება დასავლეთ ევროპის ქვეყნების მიერ აშშ-ში მარცვლეულის შესყიდვის ოპერაციების ფინანსირებისას. იმ დროს საერთაშორისო ვაჭრობაში წინა პლანზე წამოიწია ასეთი ოპერაციების დაკრედიტების ვადების გაგრძელების მოთხოვნამ ტრადიციული 3 თვიდან 6 თვემდე და მომწოდებლებმა (კრედიტორებმა) დაიწყეს თავიანთი ოპერაციების ფინანსირების ახალი გზების ძიება. ფორფეტინგული გარიგების ინიციატორები არიან როგორც ექსპორტიორები, ისე იმპორტიორები, თუმცა, უფრო ხშირად ამ როლში ექსპორტიორები გვევლინებიან.

თანამედროვე დამოუკიდებელი საქართველოს საბანკო პრაქტიკაში ტერმინი „ფორფეტირება“ ჩნდება 1996 წლის კანონში „კომერციული ბანკების

საქმიანობის შესახებ“, სადაც საბანკო საქმიანობის სახეობებში შესულია „კომერციული გარიგებათა დაფინანსება, ფორფეტირების ჩათვლით“, ხოლო ტერმინთა განმარტებების მიხედვით „ფორფეტირება“ არის „საგარეო ვაჭრობის გარიგებების დროს ექსპორტის დაკრედიტება მიმწოდებლის მიერ ბრუნვის გარეშე კომერციული თამასუქების, სხვა სავალო ვალდებულებების შეძენის გზით. ამ ოპერაციის დროს გარანტად გამოდის იმპორტიორი ქვეყნის ბანკი“.

როგორც აღინიშნა, ფორფეტირება სავაჭრო ოპერაციების დაკრედიტების სპეციფიკური ფორმაა, რომლის მეშვეობითაც ფორფეიტერი ახორციელებს ინვესტირებას. არცთუ იშვიათად ინვესტორი არ აჩერებს აქტივს მისი ვადის გასვლამდე და ყიდის მას ფორფეტირების მეორად ბაზარზე. ფორფეტირების ბაზრის ერთ-ერთი უპირატესობაა ის, რომ შეიძლება ვალის (თამასუქის) დაყოფა, რაც საშუალებას იძლევა მეორად ბაზარზე გაიყიდოს მისი ნაწილი.

ფორფეტირების ოპერაციები მეტად საინტერესოა მისი მონაწილე მხარეებისათვის. თითოეული მათგანისათვის იგი გარკვეული უპირატესობითა და ნაკლოვანებით ხასიათდება. თვალსაჩინოებისათვის გავეცნოთ მათ (ცხრ. №20.1.):

ცხრ. №20.1. უპირატესობები და ნაკლოვანებები ფორფეტირების გარიგების მხარეებისათვის

ფორფეტირების გარიგების მხარეები	უპირატესობები	ნაკლოვანებები
ფორფეიტერი	1. ჩვეულებრივი დაკრედიტებისაგან განსხვავებით, უფრო მაღალი პროცენტი (ფორფეიტერის მარჟა) 2. დოკუმენტბრუნვისა და გარიგების სიმარტივე და სისწრაფე 3. ნაყიდი აქტივის მეორად ბაზარზე სწრაფად გაყიდვის შესაძლებლობა	1. იმპორტიორის ქვეყნის კანონმდებლობის კარგად ცოდნის აუცილებლობა 2. რეგრესის უფლების არარსებობა 3. რისკების საკუთარ თავზე აღება 4. გარანტის კრედიტუნარიანობის შესწავლის პასუხისმგებლობა
ექსპორტიორი	1. ფორფეიტერის გადაწყვეტილების სწრაფად მიღება 2. დოკუმენტბრუნვისა და გარიგების სიმარტივე და სისწრაფე 3. რისკების თავიდან აცილება 4. ფინანსირება ფორფეიტერის ხარჯზე, რეგრესის უფლების გარეშე 5. ფულის მიღება საქონლის მიწოდებისთანავე 6. დებიტორული დავალიანებების მართვისას მატერიალური და დროითი ხარჯების თავიდან აცილება	1. ჩვეულებრივი დაკრედიტებისაგან განსხვავებით, უფრო მაღალი პროცენტი (ფორფეიტერის მარჟა) 2. იმის რისკი, რომ იმპორტიორის მიერ შემოთავაზებული გარანტი არაა მისაღები ფორფეიტერისათვის 3. იმპორტიორის ქვეყნის კანონმდებლობის კარგად ცოდნის აუცილებლობა
იმპორტიორი	1. დოკუმენტბრუნვისა და გარიგების სიმარტივე და სისწრაფე	1. ჩვეულებრივი დაკრედიტებისაგან განსხვავებით, უფრო მაღალი პროცენტი (ფორფეიტერის მარჟა) 2. გარანტიის ღირებულების ანაზღაურების აუცილებლობა 3. გარანტიის დროს საბანკო კრედიტის მიღების შესაძლებლობის შემცირება
გარანტი	1. დოკუმენტბრუნვისა და გარიგების სიმარტივე და სისწრაფე 2. საკომისიოს მიღება გაწეული მომსახურებისათვის	1. მის მიერ გარანტირებული თამასუქის ვალდებულებების საკუთარ თავზე აღება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორფეტირების არსის უკეთ გასაგებად საინტერესოა იმ ოპერაციისა და საკითხების ჩამონათვალი, რომელსაც აანალიზებს ფორფეიტერი გადაწყვეტილების მიღებისას:

- ფინანსირების მოცულობა, ვადა და ვალუტა;
- ვალის დაფარვის პერიოდულობა (ვადები და ტრანშები);
- ვინაა ექსპორტიორი და რომელი ქვეყნიდანაა იგი;
- ვინაა იმპორტიორი და რომელი ქვეყნიდანაა იგი;
- ვინაა გარანტი და რომელი ქვეყნიდანაა იგი;
- რითი ფორმდება ვალი (გადასაპირებელი თამასუქი, მარტივი თამასუქი, აკრედიტივი);
- როგორაა ვალი დაზღვეული;
- ექსპორტირებული საქონლის სახეობა;
- საქონლის მიწოდების ვადები და სხვ.

დაბოლოს, ასევე საინტერესო იქნება პარალელის გავლება დაკრედიტების ორ ისეთ ალტერნატიულ, შედარებით ახალ სახეობას შორის, როგორებიცაა ფაქტორინგი და ფორფეტირება. მიუხედავად, ერთი შეხედვით, მსგავსებისა, მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებებია:

- ფაქტორს შეუძლია დაიტოვოს რეგრესის უფლება და ამ უფლების გარეშეც საქონლის ექსპორტის დროს გარკვეულ რისკებს (მაგალითად, სავალუტო) გასწევს ექსპორტიორი. ამისგან განსხვავებით, ფორფეიტერი საკუთარ თავზე იღებს სხვადასხვა რისკს;
- თუკი გარიგების პერიოდი პირველ შემთხვევაში მოკლევადიანია (6 თვემდე), მეორე შემთხვევაში – გრძელვადიანი (6 თვიდან 10 წლამდე);
- თუკი ფაქტორინგის დროს ოპერაციის ობიექტია უმეტესწილად ანგარიშფაქტურა, ფორფეტირების დროს – მეტწილად თამასუქი;
- ფაქტორინგის დროს გარიგების მოცულობა შედარებით მცირეა, ხოლო ფაქტორის მიერ ხდება პირველ ეტაპზე მისი მთლიანი მოცულობის მხოლოდ ნაწილის (დაახლოებით 80%) ანაზღაურება. რაც შეეხება ფორფეტირებას, გარიგების მოცულობა მნიშვნელოვნად მეტი შეიძლება იყოს და ფორფეიტერის მიერ ხდება მისი სრულად ანაზღაურება დისკონტის გამოკლებით;
- ფაქტორინგული ოპერაცია შეიძლება ითვალისწინებდეს ფაქტორის მხრიდან სხვადასხვა მომსახურების გაწევის შესაძლებლობასაც (საკონსულტაციო, იურიდიული, ბუღალტრული), ხოლო ფორფეტირების დროს ასეთს ადგილი არ აქვს;
- როგორც წესი, ფაქტორინგული აქტივის მესამე პირზე გაყიდვა (გადაყიდვა) გათვალისწინებული არ არის, მაშინ, როცა ფორფეტინგული კონტრაქტის გადაყიდვა მეორად ბაზარზე ჩვეულებრივი ამბავია;
- ფაქტორინგული გარიგება არ ითვალისწინებს მესამე მხარის თავდებობას, მაშინ, როცა ფორფეტირების დროს მესამე მხარის გარანტია აუცილებელია.

საკონტროლო კითხვები:

1. რა შეიძლება ითქვას ლიზინგის განმარტებისა და ლიზინგური ოპერაციების წარმოშობის შესახებ?
2. როგორია ლიზინგისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობრივი, ორმაგი ბუნება?
3. რომლებია ლიზინგური ოპერაციების მთავარი ელემენტები?
4. რა შეიძლება ითქვას ლიზინგის ობიექტებზე?
5. ვინ არიან ლიზიგის სუბიექტები და როგორ დაახასიათებდით მათ?
6. რითი არის განპირობებული კომერციული ბანკების ჩართვა სალიზინგო მომსახურების ბაზარზე?
7. რას გულისხმობს ლიზინგის პერიოდი და რომელი ფაქტორების გათვალისწინება ხდება მისი განსაზღვრისას?
8. რა ნიშნებით ხდება სალიზინგო ოპერაციების კლასიფიკაცია?
9. რა განსხვავებაა გამოსყიდვის ხარისხის მიხედვით ლიზინგის ორ სახეობას – ოპერაციულ და ფინანსურ ლიზინგს შორის?
10. რა განსხვავებაა ირიბ, პირდაპირ და დაბრუნებით ლიზინგს შორის?
11. როგორ დაახასიათებდით წმინდა, სრული მომსახურებითა და ნაწილობრივი მომსახურებით განხორციელებულ ლიზინგს?
12. რა არის ლიზინგური ოპერაციების უპირატესობები?
13. როგორ რეგულირდება სალიზინგო ოპერაციები საქართველოში?
14. როგორია სალიზინგო ოპერაციების აღრიცხვის წესი ბანკებში?
15. რა არის ფაქტორინგული ოპერაციების არსი და რა იცით მათი წარმოშობის შესახებ?
16. როგორ რეგულირდება ფაქტორინგული ოპერაციები საქართველოში?
17. რა იცით ფაქტორინგული ოპერაციების სახეობების შესახებ?
18. როგორ რეგულირდება ფაქტორინგული ოპერაციები საერთაშორისო რეგულაციით?
19. როგორია ფაქტორინგული ოპერაციების აღრიცხვის წესი ბანკებში?
20. რა არის ფორფეტირების ოპერაციების არსი და რა არის ცნობილი მათი წარმოშობის შესახებ?
21. რა უპირატესობებითა და ნაკლოვანებებით ხასიათდება ფორფეტირება გარიგების მხარეებისათვის?
22. რომელია ძირითადი განსხვავებები ფაქტორინგისა და ფორფეტირების ოპერაციებს შორის?

21 თავი

თანამედროვე საბანკო პროდუქტები და ტექნოლოგიები

შინაარსი:

21.1. საბანკო პლასტიკური ბარათები;
21.2. დისტანციური საბანკო მომსახურება;
21.3. ბანკომატი;
21.4. ელექტრონული გზავნილები სავაჭრო ორგანიზაციებში.

ძირითადი ელემენტები:

1. პლასტიკური ბარათები და მათი ნაირსახეობები;
2. საბანკო პლასტიკური ბარათი;
3. პლასტიკური ბარათების საერთაშორისო საგადამხდელო სისტემები;
4. დისტანციური საბანკო მომსახურება;
5. ინტერნეტ-ბანკინგი;
6. ბანკომატი;
7. ელექტრონული გზავნილები სავაჭრო ორგანიზაციებში.

გამოყენებული სქემები, ნახატები და ცხრილები:

ცხრ. №21.1. საქართველოს საბანკო ბაზარზე პლასტიკურ ბარათებთან დაკავშირებულ მაჩვენებელთა დინამიკა.

21.1. საბანკო პლასტიკური ბარათები

პლასტიკური ბარათი – ესაა სტანდარტული ზომის ფირფიტა, რომელიც მზადდება სპეციალური მყარი, მექანიკურად და თერმულად მდგრადი პლასტმასისაგან.

პლასტიკური ბარათების უმრავლესობას აქვს სტანდარტული ზომა:

- სიგრძე – 85,60 მმ ± 0,13 მმ;
- სიგანე – 53,98 მმ ± 0,06 მმ;
- სისქე – 0,76 მმ ± 0,08 მმ.

თუმცა, გავრცელებულია „არასტანდარტული" ზომის პლასტიკური ბარათებიც, მაგალითად, SIM ბარათები.

არსებობს პლასტიკური ბარათების მრავალი ნაირსახეობა, რომელთაც განასხვავებენ თავიანთი დანიშნულებით, ფუნქციური და ტექნიკური მახასიათებლებით. ჩვენთვის მნიშვნელოვანია მათი კლასიფიკაცია დანიშნულების მიხედვით:

1. **საიდენტიფიკაციო ბარათები** (პირადობის მოწმობები, მართვის მოწმობები, სტუდენტური და მსგავსი სოციალური ბარათები, დაზღვევის ბარათები, საშვები, სავიზიტო ბარათები და სხვ.);
2. **ლოიალობის ბარათები** (დისკონტური, ფასდაკლებისა და დაგროვების ბონუსური ბარათები, კლუბური ბარათები);
3. **კავშირგაბმულობის ბარათები** (SIM, USIM, ტაქსოფონებისა და სხვა ბარათები);
4. **წინასწარ გადახდის ბარათები** (სამგზავრო ბარათები, საწვავის ბარათები, პარკირებისა და ანალოგიური დანიშნულების ბარათები);
5. **საბანკო პლასტიკური ბარათები** (სადებეტო და საკრედიტო ბარათები).

რა თქმა უნდა, ჩვენი ინტერესის საგანს საბანკო პლასტიკური ბარათი წარმოადგენს, რომელიც თანამედროვე სამყაროში უნივერსალურ საგადახდო ინსტრუმენტად იქცა და მნიშვნელოვნად გაამარტივა ადამიანების ცხოვრება, მოუხსნა მათ ბევრი პრობლემა და დისკომფორტი. საბანკო პლასტიკური ბარათები დღეს ცივილიზებული სამყაროს განუყოფელი ნაწილია და არა მარტო საბანკო სისტემის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი, არამედ ყოველდღიური ყოფითი ცხოვრების ატრიბუტია.

საბანკო პლასტიკური ბარათების წინამორბედად ითვლება არასაბანკო საკრედიტო ბარათები, რომელთა „შორეულ" წინაპრად 1914 წელს აშშ-ში კომპანია Mobil Oil-ის მიერ გამოშვებული მუყაოს ბარათები მოგვევლინნენ. მუყაოს ბარათები რამდენიმე წელწადში, 1928 წლიდან, ლითონის ბარათებმა შეცვალა. ამ ლითონის ბარათებზე კლიენტის სახელი და მისამართი იყო ამოტვიფრული. ბენზინგასამართი სადგურების გარდა, ასეთ ბარათებს საიმედო კლიენტებს სთავაზობდნენ რესტორნები, სასტუმროები და მაღაზიები.

ახალმა იდეამ, რომელიც მდგომარეობდა საიმედო კლიენტებისათვის ასეთი ბარათების მეშვეობით საქონლის განვადებით შეძენის უფლების მინიჭებაში, მალე მოიპოვა პოპულარობა, თუმცა, მათი მეორედ დაბადება 1950 წლიდან მოხდა. ამ წელს კომპანია Diners Club-მა არა მარტო დაიწყო საკრედიტო ბარათების გაყიდვა, არამედ მოგვევლინა შუამავლად რესტორნების ქსელსა და ამ რესტორნების მუდმივ კლიენტებს შორის. თანაც ნოვაცია იყო ის, რომ საკრედიტო ბარათის გამოყენება შესაძლებელი გახდა არა ერთ კონკრეტულ, არამედ ყველა სავაჭრო ობიექტში, რომლებიც ჩართული იყვნენ ამ პროექტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში. რესტორნების მუდმივ და მაღალი რეპუტაციის მქონე კლიენტებს მიეცათ შესაძლებლობა, მიეღოთ Diners Club-ის საკრედიტო ბარათები და სხვადასხვა რესტორანში გამოეყენებინათ ისინი როგორც ნაღდი ფულის ალტერნეტივა. რესტორნები ანგარიშების ასლებს წარუდგენდნენ Diners Club-ს, რომელიც, თავის მხრივ, წარუდგენდა კლიენტებს საერთო ანგარიშს ყოველთვიურად. კლიენტი ასწორებდა ანგარიშს Diners Club-თან, ხოლო ეს უკანასკნელი – რესტორნებთან.

იდეა საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა და სულ მალე, 1958 წლიდან, ამერიკული ბანკებიც დაინტერესდნენ ამ სიახლით, ვინაიდან ცხადი გახდა, რომ მათი გამოყენება შესაძლებელი იყო არა მარტო რესტორნებში, არამედ ყველგან, ნებისმიერი პროდუქტის შესაძენად და მომსახურების მისაღებად. 1966 წლიდან საბანკო პლასტიკური ბარათები უკვე აშშ-ის ფარგლებსაც გასცდა და ევროპაში გამოჩნდა.

ბანკების ჩართვამ ამ პროცესში განაპირობა შესაბამისი საგადამხდელო სისტემების ჩამოყალიბება – ბანკი უშვებდა ბარათს და კლიენტს უხსნიდა ანგარიშს, რომელზედაც არსებული ფულის თუ საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში იგი ახორციელებდა გადახდებს ამ ბარათის მეშვეობით. თანდათან, როგორც აშშ-ის ტერიტორიაზე, ისე მთელ მსოფლიოში სულ უფრო იზრდებოდა იმ სავაჭრო თუ მომსახურების ობიექტების რიცხვი, რომლებიც ასეთი ანგარიშსწორების განხორციელებაზე თანხმობას აცხადებდნენ. შემდეგ ეტაპზე „თანხმობა“ მალევე იქცა მათივე დაინტერესებად, მომსახურებოდნენ კლიენტებს პლასტიკური ბარათებით. ბარათების პოპულარიზაციამ ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ აუცილებელი გახდა სპეციალური ცენტრების შექმნა, რომლებიც მოახდენდნენ ბანკების მიერ ემიტირებული ბარათების მომსახურებას (პროცესინგი).

საქართველოში პლასტიკური ბარათები მხოლოდ **XX** საუკუნის მიწურულს გამოჩნდა. საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 6 ნოემბრის №630 ბრძანებულებით „საბანკო სისტემაში მიმდინარე რეფორმებისა და მომავლის პერსპექტივების შესახებ“, საბანკო სისტემის პოტენციალის სრულად გამოყენების მიზნით, განისაზღვრა ღონისძიებათა კომპლექსი, რომლის ერთ-ერთი პუნქტის მიხედვით, „ეთხოვოს საქართველოს ეროვნულ ბანკს, კოორდინაცია გაუწიოს კომერციული ბანკების მიერ პლასტიკური ბარათების დანერგვას“.

პირველ ეტაპზე, 1997 წლის ოქტომბერში, კომერციული ბანკების მოქმედ ანგარიშთა გეგმაში გამოიყო საბალანსო ანგარიშები პლასტიკური ბარათების გამოყენებით ანგარიშსწორებისათვის.

2007 წლის 15 მარტს ძალაში შედის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული დებულება „საბანკო პლასტიკური ბარათების შესახებ“, რომელმაც განსაზღვრა საქართველოს საბანკო სისტემაში პლასტიკური ბარათებით ოპერაციების წარმოებისა და მომსახურების წესი. დებულებამ დაარეგულირა ყველა ტიპის საბანკო ბარათის (საკრედიტო, სადებეტო, კორპორაციული, პერსონიფიცირებული და სხვ.) ემისიასთან დაკავშირებული საკითხები, განსაზღვრა ოპერაციების სახეობები, მასში მონაწილე მხარეების უფლება-მოვალეობები. დაახლოებით 4 წელიწადში, 2011 წლის 16 მაისს, ძალაში შედის ახალი „საგადახდო ბარათების შესახებ დებულება“, რომელმაც განსაზღვრა საქართველოში კომერციული ბანკების მიერ უნაღდო გადახდების ინსტრუმენტის – საგადახდო ბარათების (მათ შორის, პლასტიკური ბარათების) გამოშვებასა და მიმოქცევასთან დაკავშირებული საკითხები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამედროვე **საბანკო პლასტიკური ბარათი** – ესაა საგადახდო ინსტრუმენტი, რომელიც წარმოადგენს საანგარიშსწორებო საშუალებას საქონლის ან მიღებული მომსახურების საფასურის გადასახდელად, ნაღდი ფულის მისაღებად, ვალუტის გასაცვლელად და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ოპერაციების განსახორციელებლად.

კლიენტზე ბარათის გაცემის წინ, როგორც წესი, ხდება მისი **პერსონიფიცირება**, ანუ ემიტენტი ბანკის მიერ საბანკო პლასტიკურ ბარათზე, ასევე მის მაგნიტურ ზოლზე ან მიკროჩიპში ჩაწერა განსაზღვრული პარამეტრებისა და მფლობელის შესახებ იმ პერსონალური მონაცემებისა, რომლებიც ბარათის მფლობელის იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება გაიცეს არაპერსონიფიცირებული ბარათი, რომელზეც სავალდებულო არაა მფლობელის პირადი მონაცემების ასახვა და მისი ჩაწერა მაგნიტურ ზოლზე ან/და მიკროჩიპში. ასეთი ბარათები განკუთვნილია ბარათის შემძენის მიერ სხვა ფიზიკური პირებისათვის გადასაცემად და მასზე ოპერაციები სრულდება მხოლოდ საკუთარი თანხის ფარგლებში, რომლის ოდენობა შედარებით ნაკლებია და მათზე საკრედიტო ლიმიტი არ დაიშვება.

ქართული რეგულაციით არსებობს ბარათების გაფორმების უნიფიცირებული წესები, კერძოდ, მათზე მითითებული უნდა იყოს შემდეგი მონაცემები:

- ბარათის მოქმედების ვადა;
- საბარათე საგადახდო სისტემის დასახელება ან/და მისი ლოგოტიპი;
- ემიტენტის დასახელება ან/და მისი ლოგოტიპი;
- ბარათის ნომერი;
- ბარათის მფლობელის ხელმოწერის ადგილი;
- ემიტენტის ცხელი ხაზის ნომერი;
- ემიტენტის მისამართი.

საბანკო პლასტიკურ ბარათზე ინფორმაციის დატანის რამდენიმე საშუალება არსებობს, რომელთა შორის აღსანიშნავია:

- **გრაფიკულად დატანილი ჩანაწერი** – საბანკო პლასტიკურ ბარათზე ინფორმაციის დატანის ყველაზე ძველი ხერხი, რომელიც ახლაც გამოიყენება ყველა ტიპის ბარათზე. გრაფიკულად დაიტანება ინფორმაცია ემიტენტის (ბანკის), საგადამხდელო სისტემის (VISA, MASTERCARD, AMERICAN EXPRESS და სხვ.), ბარათის ტიპის (Electron, Classic, Gold) და ა.შ. შესახებ;
- **ემბოსირება** – ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემების რელიეფური ფორმით, ამობურცულად ბარათზე დაბეჭდვა (ემბოსირებით დაიტანება ბარათის მფლობელის პერსონალური ინფორმაცია – ბარათის ნომერი, მოქმედების ვადა, მფლობელის სახელი და გვარი ან/და სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემები;
- **კოდირება მაგნიტურ ზოლზე** – საბანკო პლასტიკურ ბარათზე ინფორმაციის დატანის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საშუალებაა, რომლის მეშვეობითაც ხდება ინფორმაციის ჩაწერა ელექტრონულად, რათა მისი წაკითხვა მოხერხდეს სხვადასხვა მექანიკური საშუალებით (ბანკომატი, პოს-ტერმინალი, იმპრინტერი);
- **ჩიპი, ანუ მიკროპროცესორი** – არის ინფორმაციის მაგნიტურ ზოლზე დატანის თანამედროვე ალტერნატივა, რომელიც უფრო ძვირია, მაგრამ მეტად დაცული თაღლითობის სხვადასხვა გამოვლინებისაგან.

ჩიპიანი პლასტიკური ბარათების დამზადება ხდება იმავე პრინციპით,

ეროვნული გამოცემა

როგორითაც მაგნიტურზოლიანისა, გარდა იმისა, რომ მათში მოთავსებულია ჩიპი, ანუ მინიკომპიუტერი, რომელსაც აქვს ინფორმაციის შენახვის შესაძლებლობა და როგორც აღინიშნა, უფრო დაცულია. თავის მხრივ, ჩიპიანი პლასტიკური ბარათების ორი სახეობა არსებობს:

- **კონტაქტური ჩიპიანი პლასტიკური ბარათებით** ოპერაციების ჩასატარებლად აუცილებელია მათი უშუალო კონტაქტი ინფორმაციის წამკითხველ პროგრამულ-ტექნიკურ საშუალებებთან;
- **უკონტაქტო ჩიპიანი პლასტიკური ბარათებით** ოპერაციების ჩასატარებლად აუცილებელი არაა პროგრამულ-ტექნიკურ საშუალებებთან უშუალო კონტაქტი, არამედ საკმარისია მათი აღმოჩენა ინფორმაციის წაკითხვის ზონაში.

ყველა ზემოაღნიშნულ საბანკო პლასტიკურ ბარათს აქვს მატერიალური ფორმა, თუმცა, არსებობს „არამატერიალური" ბარათებიც, რომელთაც მიეკუთვნება ე. წ. **ვირტუალური ბარათი**, ანუ მატერიალური ფორმის არმქონე ბარათი, რომელიც გულისხმობს ემიტენტის მიერ უსაფრთხოების ზომების დაცვით ბარათის მფლობელისათვის მიწოდებული რეკვიზიტების (ბარათის ნომერი, მოქმედების ვადა და უსაფრთხოების კოდი) ერთობლიობას, რომლის საშუალებით ბარათის მფლობელს შეუძლია განახორციელოს გადახდები მხოლოდ ინტერნეტის საშუალებით.

საბანკო პლასტიკურ ბარათებს იყენებენ არა მარტო ფიზიკური პირები. თანამედროვე ეკონომიკაში ფართოდაა გამოყენებული **კორპორაციული ბარათი** (იგივე ბიზნესბარათი), რომელიც წარმოადგენს სადებეტო ან საკრედიტო საბანკო ბარათს და მის მფლობელს საშუალებას აძლევს, განკარგოს იურიდიული პირის ანგარიში და შეასრულოს ოპერაციები.

ყველაზე ცნობილი კლასიფიკაციის მიხედვით გავრცელებულია შემდეგი სახეობის ბარათები:

- **სადებეტო ბარათი** – ბარათი, რომელიც მფლობელს საშუალებას აძლევს, განკარგოს თავის საბარათე ანგარიშზე არსებული თანხები, ასევე ისარგებლოს ოვერდრაფტით;
- **საკრედიტო ბარათი** – ბარათი, რომელიც ბარათის მფლობელს საშუალებას აძლევს, ოპერაციები მოახდინოს ემიტენტის მიერ მინიჭებული საკრედიტო ხაზის ფარგლებში.

საბანკო პლასტიკური ბარათების ფართო გავრცელება დიდად განაპირობა სხვადასხვა მექანიკურმა, პროგრამულ-ტექნიკურმა საშუალებამ, რომელთა შორის აღსანიშნავია:

- **ბანკომატი** – თვითმომსახურების ელექტრონული პროგრამულ-ტექნიკური მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც პლასტიკური ბარათის მფლობელს შეუძლია ნაღდი ფულის გამოტანა/შეტანა და სხვა ისეთი ოპერაციების წარმოება, როგორებიცაა: ანგარიშზე არსებული ნაშთის შესახებ ინფორმაციის მიღება, გადახდების განხორციელება და სხვ.;
- **პოს-ტერმინალი** – პლასტიკური ბარათის მაგნიტური ზოლის და/ან მიკროჩიპის წამკითხველი ელექტრონული პროგრამულ-ტექნიკური მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება ბანკში ან სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში ბარათით გადახდის განსახორციელებლად ან თანხის გასატანად;
- **იმპრინტერი** – ბარათის ემბოსირებული რეკვიზიტების სპეციალურ ქვითარზე გადამტანი მექანიკური მოწყობილობა.

საბანკო პლასტიკური ბარათებით ოპერაციები შეუძლებელია განხორციელდეს ე. წ. ავტორიზაციის პროცესის გარეშე. **ავტორიზაცია** არის ემიტენტი ბანკის მიერ ბარათით ოპერაციის შესრულების შესახებ თანხმობის ან უარის მიღების პროცედურა. ავტორიზაციის პროცესში სრულდება ბარათის მფლობელის ელექტრონული იდენტიფიკაცია, მოწმდება ბარათის ნამდვილობა, პინ-კოდის მართებულობა და ბარათის მფლობელის ხელმოწერა (თუ ეს აუცილებელია). პოსტ-ტერმინალის ან ბანკომატის მეშვეობით ოპერაციის საწარმოებლად მოწმდება მოთხოვნილი ოპერაციის ჩასატარებლად შესაბამისი სახსრების არსებობა ბარათის მფლობელის ანგარიშზე და ბარათის მფლობელს ენიჭება უფლება სათანადო ოპერაციის შესასრულებლად. ოპერაციის პროცესში (ონლაინ რეჟიმში) ბარათის შესახებ ინფორმაცია გადაეცემა ემიტენტი ბანკის საპროცესინგო ცენტრს, სადაც გენერირდება ავტორიზაციის კოდი და უბრუნდება მომსახურების ობიექტს.

ავტორიზაციის პროცესის აღწერაში გამოყენებულ იქნა რამდენიმე ტერმინი, რომელთა განმარტებაც აუცილებელია:

- **პინ-კოდი** – სპეციალური უნიკალური კოდი, რომელიც არის პერსონიფიცირებული საიდენტიფიკაციო ნომერი. იგი გამოიყენება ბანკომატებსა და პოსტ-ტერმინალებში ტრანზაქციების შესასრულებლად. პინ-კოდი ბარათთან ერთად წარმოადგენს ბარათის მფლობელის საკმარის ელექტრონულ იდენტიფიკატორს;
- **პროცესინგი** – საპროცესინგო დაწესებულების საქმიანობა, რომელიც მოიცავს საბანკო ბარათებით წარმოებული ოპერაციების შესახებ ინფორმაციის მიღებას (შეგროვებას), შენახვას, დამუშავებასა და დამუშავებული ინფორმაციის გადაცემას ანგარიშსწორების განსახორციელებლად.

რაც შეეხება პლასტიკური ბარათების საერთაშორისო საგადამხდელო სისტემებს, მათ უდავო ლიდერებად გვევლინებიან Visa, MasterCard, American Express და China UnionPay. 2000 წლამდე მსოფლიო პლასტიკური ბარათების აბსოლუტური უმრავლესობა პირველ სამეულზე მოდიოდა: დაახლოებით 57% – Visa, 26% – MasterCard, 13% – American Express და 4% – სხვა სისტემები. სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა 2010 წელს, როცა ბაზარზე გამოჩნდა China UnionPay, რომლის წილი დღეისათვის მსოფლიოში მიმოქცევაში არსებული 8 მლრდ ბარათიდან დაახლოებით 29%-ზე მეტია, ხოლო Visa-ზე – 29%-ზე ნაკლები.

საქართველოში, ტრადიციულად, ყველაზე პოპულარულად კვლავ Visa-ს საბანკო პლასტიკური ბარათები რჩება, კერძოდ, 2013 წლის ბოლოსათვის მასზე მოდიოდა 6 მლნ ერთეულამდე ემიტირებული სადებეტო და საკრედიტო ბარათების დაახლოებით 65%, MasterCard-ზე – 20%, ხოლო სხვა სისტემებზე – 15%.

Visa International არის ყველაზე დიდი საერთაშორისო საგადამხდელო სისტემა ოპერაციების მოცულობით. მისი ყოველწლიური სავაჭრო ბრუნვა 5 ტრლნ აშშ დოლარის ფარგლებშია. Visa-ს სავაჭრო ნიშანი მსოფლიოს 170-ზე მეტ ქვეყანაში მოქმედებს და ამ ნიშნით მსოფლიოში 2 მილიარდზე მეტი ბარათია ემიტირებული 21 ათასი ფინანსური ორგანიზაციის (სისტემის წევრი) მიერ. Visa უშვებს 20-ზე მეტი ტიპის ბარათს, მაგრამ მათ შორის საქართველოში ძირითადად შემდეგი სახეობებია გავრცელებული:

ეროვნული ბიბლიოთეკა

- **Visa Electron** – ყველაზე მარტივი და მასობრივი საბანკო ბარათი, რომელზედაც, როგორც წესი, დაწესებულია მინიმალური ლიმიტი;
- **Visa Classic** – საბანკო ბარათი სტანდარტული ფუნქციებით;
- **Visa Gold** – საბანკო ბარათი მფლობელის კრედიტუნარიანობის დამატებითი გარანტიებით, უფრო დიდი საკრედიტო ლიმიტით და სხვა სერვისებით;
- **Visa Platinum** – ელიტური საბანკო ბარათი, რომელიც მფლობელს საშუალებას აძლევს, მიიღოს დამატებითი ლიმიტები, სერვისები, ფასდაკლებები, დაზღვევა და სხვა პრივილეგიები;
- **Visa Business** – კორპორაციული საბანკო პლასტიკური ბარათი იურიდიული პირების ანგარიშების მომსახურებისათვის. ისინი შეიძლება იყოს როგორც სადებეტო, ისე საკრედიტო.

საქართველოში მოქმედი რეგულაციით ემიტენტი ვალდებულია ბარათის მფლობელთან გააფორმოს მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, რომელშიც კანონმდებლობით გათვალისწინებულ რეკვიზიტებთან ერთად, ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი:

- ბარათის დასახელება და ტიპი;
- ბარათის გამოყენების წესი, შეზღუდვები, ყველა შესაძლო საკომისიო და საპროცენტო განაკვეთი;
- ბარათის სტოპ-სიაში შეყვანის, გაუქმებისა და ამოღების წესები (სტოპ-სია არის იმ პლასტიკური ბარათების საერთაშორისო ან ლოკალური სია, რომლებზედაც ტრანზაქციები დაუშვებელია და ვრცელდება მომსახურების განსაკუთრებული რეჟიმი, ანუ ესაა სხვადასხვა მიზეზით „დაბლოკილი“ ბარათების სია);
- მხარეთა უფლება-მოვალეობები;
- ბარათის დაკარგვის შემთხვევაში განსახორციელებელი პროცედურები;
- ბარათით წარმოებული ოპერაციებისა და სხვა უზუსტობების გასაჩივრების ვადები;
- დავის გადაწყვეტის პროცედურა და ვადები;
- საჯარიმო სანქციების ამოქმედების წესი;
- შესრულებულ ოპერაციებზე ინფორმაციის და/ან ანგარიშიდან ამონაწერის მიწოდების პირობები.
- ბარათის მფლობელების დაცვის, ბარათის არასანქცირებული მოხმარებისაგან დასაცავად იყენებენ სხვადასხვა მექანიზმს, მათ შორის, საქართველოში გამოყენებული უნდა იყოს სულ მცირე ქვემოთ მოცემული მექანიზმებიდან ერთ-ერთი:
- საბარათე ქვითარზე ხელმოწერის შედარება ბარათზე დატანილ ხელმოწერასთან;
- პინ-კოდი;
- ელექტრონული (ინტერნეტ) გადახდის დროს ბარათის უკანა მხარეს არსებული „ბარათის საიდენტიფიკაციო კოდი“ (CVC2 ან CVV2) (თუ ასეთი მოთხოვნა არსებობს).

დამატებითი იდენტიფიცირების მიზნით დასაშვებია მფლობელის სურათის დაბეჭდვა ბარათზე. სტოპ-სიაში მოხვედრილი ბარათის გამოყენების მცდელობის შემთხვევაში სასურველია მომსახურე ობიექტმა ბარათით მოსარგებლე პირს ჩამოართვას ბარათი ან აღნიშნული ბარათი დაკავებულ იქნეს ბანკომატის მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ მიმართულებით აპრობირებულ მექანიზმს წარმოადგენს საბანკო პლასტიკური ბარათების მფლობელებისათვის მობილურ ტელეფონებზე მოკლე ტექსტური (sms) შეტყობინებების დაგზავნა ავტომატურ რეჟიმში მათ საბარათე ანგარიშებზე სადებეტო და საკრედიტო ბრუნვის შესახებ. აღნიშნული მექანიზმი არა მარტო უზრუნველყოფს ოპერატიული ინფორმაციის მიწოდებას საბარათე ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის შესახებ, არამედ გვაძლევს შეტყობინებას ბარათიდან განხორციელებული გადახდების შესახებ. ცხადია, თუკი ბარათის მფლობელს არანაირი ტრანზაქცია არ ჩაუტარებია, იგი ატყობინებს მომსახურე ბანკს, რომ მან დაკარგა პლასტიკური ბარათი ან მესამე პირისათვის ცნობილი გახდა კონფიდენციალური ინფორმაცია საბარათე რეკვიზიტების შესახებ, რაც ხდება ბარათის დაბლოკვის საფუძველი.

ბარათზე ფულადი სახსრები შეიძლება შეტანილ იქნეს როგორც ნაღდი, ისე უნაღდო სახით. სახსრების განკარგვისათვის საბარათე ანგარიშიდან საბანკო პლასტიკური ბარათის მფლობელის სურვილით შეიძლება დამზადდეს რამდენიმე ბარათი, რომელთაც დამატებითი ბარათი ეწოდებათ. ბარათით განხორციელებული ოპერაციებისათვის პასუხისმგებელია ემიტენტ ბანკში ბარათის მფლობელად იდენტიფიცირებული პირი.

ქვემოთ (ცხრ. №21.1.) მოცემულია საქართველოს საბანკო ბაზარზე პლასტიკურ ბარათებთან დაკავშირებული მაჩვენებელთა დინამიკა, სადაც ჩანს საბანკო სისტემის ამ სეგმენტის ზრდის მნიშვნელოვანი ტემპები.

ცხრ. №21.1. საქართველოს საბანკო ბაზარზე პლასტიკურ ბარათებთან დაკავშირებული მაჩვენებელთა დინამიკა

	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
საკრედიტო ბარათები (ათასი)	3	8	161	356	242	472	588	1,125	1,369
სადებეტო ბარათები (ათასი)	456	1,138	1,885	2,690	3,068	2,593	3,391	4,121	4,580
ბანკომატები	X	X	830	1,333	1,365	1,500	1,568	1,933	2,072
პოს-ტერმინალები ბანკებში	X	X	4,478	6,088	5,785	7,164	8,914	11,119	13,565
პოს-ტერმინალები სავაჭრო ობიექტებში	X	X	702	1,535	1,709	2,191	2,742	2,525	2,681
საბარათე ოპერაციები									
რაოდენობა (მლნ)	X	X	0.7	10.4	31.9	35.0	49.5	59.6	72.4
მოცულობა (მლრდ ლარი)	X	X	0.2	2.2	4.6	5.3	7.2	8.1	9.5
ოპერაციები ინტერნეტით									
რაოდენობა (მლნ)	X	X	0.2	0.4	2.9	1.7	3.7	6.8	9.5
მოცულობა (მლნ ლარი)	X	X	22.0	43.1	51.0	68.3	226.9	318.0	422.2

როგორც ვხედავთ, საქართველოში საბანკო პლასტიკური ბარათების გამოყენებასთან დაკავშირებული მაჩვენებლების ზრდის ტემპი შთამბეჭდავია, მაგრამ ისინი ჩამორჩება განვითარებული ქვეყნების ანალოგიურ მონაცემებს.

21.2. დისტანციური საბანკო მომსახურება

თანამედროვე საბანკო საქმის განვითარების ერთ-ერთ პერსპექტიულ მიმართულებად სამართლიანად აღიარებულია დისტანციური საბანკო მომსახურება. აღნიშნული მდგომარეობა განპირობებულია რამდენიმე დადებითი ფაქტორით, რომელთა შორის აღსანიშნავია:

- ასეთი ტიპის მომსახურება საშუალებას აძლევს კომერციულ ბანკს, შესთავაზოს კორპორაციულ კლიენტებს პრინციპულად ახალი დონის სერვისი, რაც უმნიშვნელოვნესია კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად;
- ბანკს საშუალება უჩნდება, „დაიახლოოს" მცირე და წვრილი ბიზნესის წარმომადგენლები, ინდივიდუალური მეწარმეები და ფიზიკური პირები, მათთვის გამარტივებული, ეფექტიანი და იაფი საბანკო მომსახურების შეთავაზებით;
- ნებისმიერი კლიენტისათვის დისტანციური საბანკო მომსახურება არის მაქსიმალური კომფორტი და მინიმალური მატერიალური და დროითი დანახარჯები;
- ბანკისათვის ასეთი მომსახურების დანერგვა ნიშნავს მუშაობის ეფექტიანობის ზრდას, დანახარჯების შემცირებასა და კლიენტურის ბაზის ზრდას მომსახურების ხარისხის შემცირების გარეშე.

დისტანციური საბანკო მომსახურება არის ზოგადი ტერმინი, რომელიც ასახავს კლიენტის მომსახურებას ბანკში მისვლის გარეშე თანამედროვე ტექნოლოგიების მეშვეობით. დისტანციური საბანკო მომსახურების სისტემები მეტად მრავალფეროვანია და ისინი ხშირად გადაკვეთენ ერთმანეთს. მათ შორისაა ბანკი-კლიენტი, ინტერნეტ-ბანკინგი, home-ბანკინგი, ტელეფონ-ბანკინგი, SMS-ბანკინგი, GSM-ბანკინგი, TV-ბანკინგი და სხვ.

სანამ ინტერნეტი საყოველთაო გავრცელებას პოვებდა, დისტანციური საბანკო მომსახურების შეთავაზება ხდებოდა სისტემა „ბანკი-კლიენტის" მეშვეობით. ამისათვის კლიენტთან, მის კომპიუტერში, ხდებოდა სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის ჩატვირთვა, რომელიც ბანკს უკავშირდებოდა მოდემის მეშვეობით. ასეთი სისტემების დანერგვა, როგორც წესი, ხდებოდა კორპორაციულ კლიენტებთან. დღეისათვის სისტემა „ბანკ-კლიენტს" აქტუალობა არ დაუკარგავს, მაგრამ მოხდა მისი მოდერნიზება ახალ სისტემად „ბანკი-ინტერნეტი-კლიენტი".

რაც შეეხება ინტერნეტ-ბანკინგს, ესაა დისტანციური საბანკო მომსახურების ტექნოლოგია, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება წვდომა საკუთარ ანგარიშთან და ამ წვდომის მეშვეობით სასურველი ოპერაციის ჩატარება ნებისმიერ დროს ნებისმიერი კომპიუტერიდან, რომელსაც აქვს წვდომა ინტერნეტთან. მნიშვნელოვანია, რომ ამ დროს გამოიყენება ნებისმიერი არსებული ბრაუზერი, ანუ არაა აუცილებელი სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა. როგორც წესი, ინტერნეტ-ბანკინგი მოიცავს შემდეგი სახეობის მომსახურებას:

- გადახდების განხორციელება;
- თანხების კონვერტაცია;
- ანგარიშიდან ამონაწერის მიღება;
- სახსრების გადატანა სხვა ანგარიშებზე (მათ შორის, სხვა ბანკებში);
- განაცხადების შევსება საბანკო პროდუქტების მიღებაზე (კრედიტის მიღება, დეპოზიტის გახსნა, ბარათის მიღება და ა.შ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

- ინფორმაციის მიღება ბანკის პროდუქტებსა და მომსახურების სხვა ობებზე.

ინტერნეტ-ბანკინგის გამოყენება ფიზიკური პირებისათვის არის საბანკო მომსახურების მიღების მეტად ეფექტიანი საშუალება და იგი ხასიათდება რიგი უპირატესობებით:

- სახეზეა დროისა და სახსრების ეკონომია, ვინაიდან კლიენტს არ უწევს ბანკში პირადად მისვლა;
- კლიენტს შესაძლებლობა აქვს 24 საათის განმავლობაში აკონტროლოს საკუთარი ანგარიშები და, შესაბამისად, შეუძლია მოახდინოს რეაგირება ბაზარზე ცვლილებების შემთხვევაში;
- კლიენტს შეუძლია თვალყური ადევნოს თავისი ბარათებით განხორციელებული ოპერაციების მიმდინარეობას ნებისმიერი ადგილიდან, სადაც კი არის ინტერნეტთან წვდომა.

გამონაკლისი, ინტერნეტ-ბანკინგის განვითარების თვალსაზრისით, არც საქართველოა. თუკი სულ რამდენიმე წლის წინ ინტერნეტ-ბანკინგის დანერგვის „ფუფუნება" მხოლოდ წამყვანი ბანკებისათვის არსებობდა, დღეს ეს სერვისი ჩვეულებრივი მოვლენა გახდა და თითქმის ყველა ქართულ ბანკს აქვს ინტერნეტ-ბანკინგის საკუთარი სისტემა. საქართველოში ინტერნეტით განხორციელებული საბანკო ოპერაციების მოცულობა შეიძლება ისეთი მასშტაბის არაა, როგორც განვითარებულ ქვეყნებში, მაგრამ პროგრესი ამ კუთხითაც მნიშვნელოვანია. მაგალითად, თუკი 2007 წელს ინტერნეტით განხორციელებულ იქნა 228 ათასამდე საბანკო ოპერაცია, რომელთა საერთო მოცულობამ შედგინა 22 მლნ ლარი, 2013 წელს ჩატარდა 9,5 მლნ-მდე ოპერაცია, რომელთა საერთო მოცულობამ 422 მლნ ლარს გადააჭარბა.

თვითონ იმ ფაქტმა, რომ საბანკო მომსახურების ბევრი სახეობა უკვე ხორციელდება ინტერნეტის მეშვეობით, წარმოშვა აზრი, რომ ბანკი შეიძლება არსებობდეს არა მხოლოდ ფიზიკური (ოფისების) სახით. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში, მცირდება ბანკის დანახარჯები, მომსახურების თვითღირებულება და იზრდება მოგება. **XX** საუკუნის ბოლოდან აშშ-ისა და ევროპაში გაჩნდა კიდეც ე.წ. „ვირტუალური ბანკები", რომელთაც არ გააჩნდათ არცერთი მომსახურების ოფისი. ანგარიშის გახსნა, მისი მართვა, კრედიტის მიღება, მისი დაფარვა და ა.შ. ხორციელდება მხოლოდ ინტერნეტის მეშვეობით.

21.3. ბანკომატი

ბანკომატი (*ATM – automated teller machine*) – ესაა თვითმომსახურების მრავალფუნქციური ავტომატი, პროგრამულ-ტექნიკური მოწყობილობა, რომლის დანიშნულებაა ფულადი სახსრების ავტომატიზებული მიღება და გაცემა პლასტიკური ბარათების მეშვეობით. ბანკომატების საშუალებით ხორციელდება სხვა ოპერაციებიც, მაგალითად: საქონლისა და მომსახურების შეძენა, ჩატარებული ოპერაციის შესახებ ამონაწერის გაცემა, ინფორმაციის მიღება არსებული ნაშთის შესახებ. ბანკომატების ფასი, მათი ფუნქციებიდან და მწარმოებლიდან გამომდინარე, მერყეობს 15-50 ათას აშშ დოლარს შორის.

პირველი ბანკომატის პროტოტიპი შეიქმნა ჯერ კიდევ 1939 წელს. მაგრამ მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა თანამედროვე ანალოგისაგან. ამ მოწყობილობას შეეძლო ნაღდი ფულის გაცემა, მაგრამ ვერ ახდენდა მის ჩამოწერას ანგარიშიდან, ვინაიდან არ იყო დაკავშირებული ბანკთან. ავტორმა თავისი გამოგონება შესთავაზა City Bank of New York-ს, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ იგი მას უკან დაუბრუნეს, განმარტებით, რომ ვერ ხედავენ ამ მოწყობილობის აუცილებლობას. გამოგონება დავიწყებას მიეცა დაახლოებით 30 წლის განმავლობაში, სანამ 1967 წელს ლონდონში გამოჩნდებოდა პირველი ბანკომატი.

საინტერესოა, რომ იმ დროს პლასტიკური ბარათები დღევანდელი ფუნქციური დანიშნულებით ჯერ კიდევ არ არსებობდა და ფულის გასანაღდებლად გამოიყენებოდა სპეციალური ვაუჩერები, რომელთა წინასწარ მიღება ხდებოდა ბანკში. მალე ასევე ინგლისში ჩნდება ახალი გამოგონება საბანკო სისტემაში არასანქცირებული შეღწევის თავიდან ასაცილებლად – ეს იყო ე.წ. „პინ-კოდი". სულ მალე კი აშშ-ში დაიწყეს პირველი მაგნიტურზოლიანი პლასტიკური ბარათების გამოყენება. 70-იანი წლების დასაწყისიდან ბანკები იწყებენ ახალი ტექნოლოგიის ათვისებას და ამ საქმეში განსაკუთრებით ამერიკული ბანკები აქტიურობდნენ. 1972 წელს ისევ დიდ ბრიტანეთში გამოჩნდა პირველი „ნამდვილი" on-line ბანკომატი, მაგნიტურზოლიანი პლასტიკური ბარათებისათვის, რომელიც შეიქმნა კომპანია IBM-ის მიერ.

აღსანიშნავია, რომ ბანკომატების დანერგვას თან ახლდა გარკვეული სირთულეები მათი გამოყენებისას – ხშირად გამოდიოდნენ მწყობრიდან, ხდებოდა პლასტიკური ბარათების დაზიანება ან მათი უმიზეზოდ „ჩაყლაპვა", თუმცა, ტექნიკური პროგრესის წყალობით, ბანკომატების მუშაობა იხვეწებოდა და მათი გამოყენება სულ უფრო მასობრივად ხდებოდა ბანკების მიერ. ტელეკომუნიკაციების განვითარებამ ხელი შეუწყო ახალ ეტაპს – შეიქმნა ბანკომატების ქსელი, რომელთა გამოყენება შეეძლო რამდენიმე ბანკს, ანუ ერთი ბანკის ბარათის გამოყენება შესაძლებელი გახდა სხვა, მაგრამ ერთიან ქსელში ჩართული ბანკის ბანკომატში.

დღეისათვის ნებისმიერი ქვეყნის საბანკო სისტემა უკვე წარმოუდგენელია ბანკომატების გარეშე. ყოფილ საბჭოთა კავშირში პირველი ბანკომატი 1989 წელს გაჩნდა. რაც შეეხება საქართველოს, პირველი ბანკომატები გამოჩნდა 1998 წელს, დღეს კი მათი რაოდენობა 2,000-ის ფარგლებშია.

ბანკომატის მუშაობის პრინციპი მარტივია: მასში პლასტიკური ბარათის ჩატვირთვის შემდეგ ხდება საიდუმლო კოდის (პინ-კოდი) შეყვანა ბარათის მფლობელის იდენტიფიკაციისათვის (ავტორიზაცია). ავტორიზაციის შემდეგ მომხმარებლის მიერ სასურველი ოპერაციის არჩევისას (მაგალითად, თანხის განაღდება) ბანკომატი ახდენს კავშირის დამყარებს თავის მომსახურე ბანკის („ბანკი-ექვაიერი") საპროცესინგო ცენტრთან. „ბანკი-ექვაიერი" ბარათის მფლობელის მოთხოვნას ოპერაციის ჩატარების თაობაზე აგზავნის საგადამხდელო სისტემაში. საგადამხდელო სისტემა მოთხოვნას გადაგზავნის ბარათის გამომშვებ ბანკში, რომელსაც „ბანკი-ემიტენტი" ეწოდება. „ბანკი-ემიტენტი" ამოწმებს მასთან ბარათის მფლობელის ანგარიშს და მასზე საკმარისი სახსრების არსებობის შემთხვევაში იძლევა თანხმობას ოპერაციის ჩატარების შესახებ ან უარყოფას საკმარისი სახსრების არარსებობის შემთხვევაში. თანხმობის შემდეგ ბანკომატი გასცემს მოთხოვნილ თანხას. თანხის განაღდება ფიქსირდება საგადამხდელო სისტემის მიერ და გადაეცემა „ბანკ-ემიტენტს", რომელიც ახდენს განაღდებული თანხის და მომსახურების საკომისიოს ბლოკირებას, ხოლო შემდეგ – ჩამოწერას ბარათის მფლობელის ანგარიშიდან.

ბანკების მიერ ბანკომატების გამოყენება მარტივი ოპერაციების სწრაფად მოებლად ახდენს შრომითი დანახარჯებს შემცირებას, ბანკის ოფისების გამოთავისუფლებას, რიგების შემცირებას და გრძელვადიან პერსპექტივაში – დანახარჯების შემცირებას. გარდა ამისა, ბანკომატების საშუალებით შეთავაზებული სერვისის მეშვეობით ბანკი უმარტივებს თავის კლიენტებს მომსახურების მიღებას. კლიენტები იღებენ საბანკო ოპერაციების გამარტივებულ მექანიზმს და დროის ეკონომიას. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ხდება საბანკო მომსახურების შეთავაზება 24 საათის განმავლობაში კვირაში 7 დღეს. ყოველივე ზემოაღნიშნული ბანკს საშუალებას აძლევს, შეამციროს ხარჯები, გაზარდოს შემოსავლები, კლიენტების რაოდენობა და მოიპოვოს კონკურენტული უპირატესობა.

21.4. ელექტრონული გზავნილები სავაჭრო ორგანიზაციებში

ბანკების მიერ თავიანთი კლიენტების უახლესი ტექნოლოგიების საშუალებით მომსახურების მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ელექტრონული გადახდები სავაჭრო ობიექტებში. სავაჭრო ობიექტებში ფულადი სახსრების ბანკთაშორისი ელექტრონული გადახდების სისტემების მეშვეობით ხდება კლიენტის მიერ სახსრების გადარიცხვა საკუთარი ანგარიშიდან გამყიდველის ანგარიშზე ნივთის ყიდვის ან მომსახურების მიღების სანაცვლოდ. ასეთი გადახდების უმეტესი ნაწილი ხორციელდება პლასტიკური ბარათების მეშვეობით.

სავაჭრო ობიექტში სახსრების ელექტრონული გადარიცხვის პროცესის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს საგადახდო ბარათი. გამყიდველი გაატარებს მყიდველის საგადახდო ბარათს სპეციალურ მოწყობილობაში (პოსტერმინალი (***POS – Point of Sale***)) და ახდენს ანგარიშსწორებას, რა თქმა უნდა, შესაბამისი სახსრების არსებობის შემთხვევაში.

სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში ელექტრონული გადახდების სისტემებს ანგარიშსწორებისას აქვს მთელი რიგი უპირატესობები მისი მომხმარებლებისათვის:

- **ოპერაციის განხორციელების სისწრაფე.** დადგენილია, რომ ელექტრონული გადახდების საშუალო სისწრაფე აღემატება ნაღდი ფულით ან ჩეკით ანგარიშსწორების სისწრაფეს;
- **ხარჯების შემცირება.** ბანკს ბევრად იაფი უჯდება კლიენტის მიერ ბარათით სავაჭრო ობიექტში განხორციელებული გადახდის ოპერაცია, ვიდრე მისი ალტერნატიული გზების გამოყენებით (ბანკომატში განაღდება, ჩეკი). სწორედ ამიტომ, როგორც წესი, სავაჭრო ობიექტში ბარათით განხორციელებული ოპერაცია უფასოა. უფრო მეტიც, ბანკები ახდენენ კლიენტების მიერ სავაჭრო ობიექტებში ბარათების გამოყენების სტიმულირებას პიარაქციებითა და ბონუსების დაგროვების მექანიზმების შეთავაზებით;

- **უფრო სწრაფი ანგარიშსწორება.** ალტერნატიულ გადახდებთან შედარებით ელექტრონული გადახდების დროს ბევრად სწრაფად ხდება სახსრების ჩარიცხვა გამყიდველის ანგარიშზე;
- **გადახდების განხორციელების შესახებ ინფორმაციის უფრო სწრაფი და ოპერატიული დამუშავება;**
- **ქაღალდების დოკუმენტბრუნვის შემცირება;**
- **გაყიდვების განხორციელება ნაღდი ფულის გარეშე.**

ამ უპირატესობებმა განაპირობეს ელექტრონული საბანკო მომსახურების პოპულარობა როგორც ბანკებს, ისე მყიდველებს შორის. თავის მხრივ, კომერციული ბანკები ყოველნაირად ცდილობენ სავაჭრო ობიექტების სტიმულირებას, რათა გაზარდონ მათი ინტერესი, შეიძინონ ან იჯარით აიღონ ელექტრონული მოწყობილობები, შესაბამისად – დანერგონ ანგარიშსწორებისა და გადახდების ახალი სისტემები.

საკონტროლო კითხვები:

1. რა შეიძლება თქვათ ზოგადად პლასტიკური ბარათის შესახებ და მისი რომელი ნაირსახეობები იცით?
2. როგორ დაახასიათებდით საბანკო პლასტიკურ ბარათს და მის მნიშვნელობას?
3. რა იცით საბანკო პლასტიკური ბარათების შექმნის შესახებ?
4. რა არის პერსონიფიცირება და რა სავალდებულო მონაცემები დაიტანება საბანკო პლასტიკურ ბარათზე?
5. რა იცით საბანკო პლასტიკურ ბარათზე ინფორმაციის დატანის გზების შესახებ?
6. რა სახეობის პლასტიკური ბარათები იცით?
7. რა შეგიძლიათ თქვათ საბანკო პლასტიკური ბარათების მომსახურებისათვის საჭირო პროგრამულ-ტექნიკური საშუალებების შესახებ?
8. რას გულისხმობს ავტორიზაცია საბანკო პლასტიკურ ბარათებთან მიმართებაში?
9. რა იცით პლასტიკური ბარათების საერთაშორისო საგადამხდელო სისტემების შესახებ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. Visa პლასტიკური ბარათების რომელი სახეობები იცით?
11. რა შეგიძლიათ თქვათ საბანკო პლასტიკური ბარათის მფლობელების დაცვის, ბარათის არასანქცირებული მოხმარებისაგან დაცვის მექანიზმების შესახებ?
12. როგორია ის დადებითი ფაქტორები, რომლებიც დაკავშირებულია დისტანციურ საბანკო მომსახურებასთან?
13. რას გულისხმობს ტერმინი „დისტანციური საბანკო მომსახურება“?
14. რა მომსახურებას მოიცავს ინტერნეტ-ბანკინგი?
15. რა უპირატესობებით ხასიათდება ინტერნეტ-ბანკინგის გამოყენება ფიზიკური პირებისათვის?
16. რას ნიშნავს ე.წ. „ვირტუალური ბანკები“?
17. როგორ განმარტავდით „ბანკომატს“?
18. როგორია ბანკომატის შექმნის ისტორია?
19. როგორია ბანკომატის მუშაობის პრინციპი ფულის გაცემისას?
20. რა უპირატესობების მატარებელია ბანკომატი ბანკებისა და მათი კლიენტებისათვის?
21. რას გულისხმობს სავაჭრო ობიექტში სახსრების ელექტრონული გადარიცხვის პროცესი?
22. რა უპირატესობებით ხასიათდება ელექტრონული გადახდების სისტემები სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში ანგარიშსწორებისას?

ეროვნული ბიბლიოთეკა

22 თავი

საბანკო რისკების სახეობები

შინაარსი:

22.1. საბანკო რისკები და მათი კლასიფიკაცია;
22.2. საკრედიტო რისკი;
22.3. საბაზრო (საპროცენტო, სავალუტო, საფონდო) რისკები;
22.4. ლიკვიდობის რისკი;
22.5. საოპერაციო რისკი;
22.6. სამართლებრივი რისკი;
22.7. რეპუტაციის რისკი;
22.8. სტრატეგიული რისკი.

ძირითადი ელემენტები:

1. საბანკო რისკები, როგორც სახელმწიფო ინტერესის ობიექტი;
2. საბანკო რისკების კლასიფიკაცია;
3. საკრედიტო რისკი და მისი მინიმიზაციის მიმართულებები;
4. საბაზრო (საპროცენტო, სავალუტო, საფონდო) რისკები;
5. ლიკვიდობის რისკი;
6. საოპერაციო რისკი და მისი სახეობები;
7. სამართლებრივი რისკი;
8. რეპუტაციის რისკი;
9. სტრატეგიული რისკი.

გამოყენებული სქემები, ნახატები და ცხრილები:

სქემა №22.1. საბანკო რისკების კლასიფიკაცია წარმოშობის წყაროების მიხედვით.

22.1. საბანკო რისკები და მათი კლასიფიკაცია

საბანკო საქმე, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, მეტად რისკიანი საქმეა, სადაც ჩასაფრებულია უამრავი საფრთხე, რომელთა ცოდნა, აღმოჩენა, იდენტიფიკაცია და კონტროლი საბანკო მენეჯმენტის უმნიშვნელოვანეს ამოცანას უნდა წარმოადგენდეს.

გამომდინარე იქიდან, რომ კომერციული ბანკი, გარდა იმისა, რომ არის ბიზნესის სახეობა, ატარებს საზოგადოებრივი მნიშვნელობის ფუნქციას და ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელების უმნიშვნელოვანესი რგოლია, საბანკო რისკების ცოდნა, აღმოჩენა, იდენტიფიკაცია და კონტროლი სახელმწიფო ინტერესის ობიექტებს წარმოადგენენ. კომერციულ ბანკს საქართველოში აქვს იურიდიული და ფიზიკური პირების დეპოზიტების მოზიდვის ექსკლუზიური უფლება, რათა შემდეგ გასცეს ისინი თავისი სახელით კრედიტების სახით. 2013 წლის ბოლოსათვის საქართველოს საბანკო სისტემაში კონცენტრირებული იყო 9,7 მლრდ ლარის არასაბანკო დეპოზიტები, ანუ იურიდიული (ბანკების გარდა) და ფიზიკური პირების ფულადი სახსრები. აღნიშნული დეპოზიტების წილი საბანკო სისტემის მთლიანი აქტივების 53%-ს, ხოლო მთლიანი ვალდებულებების 64%-ს შეადგენდა.

ბანკების მიერ საზოგადებისაგან მიღებული ფულადი სახსრები არაა უფასო და კომერციულ ბანკს უწევს ისე გამოიყენოს (დააბანდოს) ეს სახსრები, რომ გაისტუმროს მათ მოზიდვასთან დაკავშირებული პროცენტული ხარჯები, დაფაროს მის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯები და დარჩეს მოგება, რათა დააკმაყოფილოს აქციონერთა ინტერესები. სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან (ეროვნული ბანკის სახით) მთავარი საზრუნავია ამ სახსრების მფლობელთათვის დროულად და სრულად დაბრუნების გარანტირების მექანიზმების არსებობა, ვინაიდან კომერციული ბანკის (ბანკების) მენეჯმენტის მხრიდან არასაკმარისი პროფესიონალიზმის ან შედარებით მაღალრისკიანი ოპერაციების განხორციელებამ მეტი მოგების მისაღებად შეიძლება საფრთხის ქვეშ დააყენოს საზოგადოებისათვის, განსაკუთრებით კი, ფიზიკური პირებისათვის, ფულადი სახსრების დაბრუნება. ამიტომ ეროვნული ბანკის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია, აკონტროლოს კომერციული ბანკები, „მოთოკოს“ მათი მეტისმეტად რისკიანი ოპერაციების განხორციელების ცდუნება, ვინაიდან კომერციული ბანკი მუშაობს „სხვისი“ ფულით და ამ ფულის უკან დგას საზოგადოება.

ზოგადად, საბანკო რისკი – ესაა იმის ალბათობა, რომ შეიძლება ადგილი ჰქონდეს ისეთ მოვლენას, რომელიც განსხვავდება მოლოდინისგან (დაგეგმილისაგან) და უარყოფითად იმოქმედებს ბანკის ფინანსურ მაჩვენებლებზე. საბანკო რისკების განმარტების სხვადასხვა ინტერპრეტაცია არსებობს. მათ შორის ალბათ ყველაზე სრულია შემდეგი: **საბანკო რისკი** არის მომავალში ფულად ნაკადებთან დაკავშირებული გაურკვევლობა, დანაკარგებისა და დაუგეგმავი ხარჯების გაწევის, ასევე დაგეგმილი შემოსავლების ვერმიღების ალბათობა საბანკო ოპერაციების განხორციელებისას.

საბანკო რისკების უკეთ გაგებისა და მართვის უკეთესი სისტემის შექმნისათვის მნიშვნელოვანია მათი კლასიფიკაცია. რისკების კლასიფიკაცია საშუალებას გვაძლევს, მკაფიოდ განვსაზღვროთ თითოეული რისკის ადგილი საერთო სისტემაში. რისკების კლასიფიკაცია საშუალებას გვაძლევს, ეფექტიანად იქნეს გამოყენებული რისკების მართვის შესაბამისი მეთოდები.

ეროვნული ბანკი

რისკების ბუნების ღრმად და უკეთ გასანაალიზებლად განვიხილოთ საბანკო რისკების სხვა ტიპის კლასიფიკაცია, სადაც საბანკო რისკები დანახულია განსხვავებული მიმართულებით:

1) წარმოშობის წყაროების მიხედვით;
2) საქმიანობის მიმართულებების მიხედვით;
3) საქმიანობის სფეროს მიხედვით;
4) წარმოშობის დროის მიხედვით;
5) ხარისხის მიხედვით;
6) გაანგარიშების მეთოდის მიხედვით;
7) ბანკის ტიპის მიხედვით;
8) ოპერაციის აღრიცხვის მიხედვით;
9) რეგულირების შესაძლებლობის მიხედვით.

დავახასიათოთ თითოეული მათგანი, რაც საშუალებას მოგვცემს, სხვადასხვა კუთხიდან დავინახოთ და უკეთ შევაფასოთ ისინი:

1) წარმოშობის წყაროების მიხედვით გამოყოფენ ოთხი სახეობის რისკს (სქემა №22.1.):



სქემა №22.1. საბანკო რისკების კლასიფიკაცია წარმოშობის წყაროების მიხედვით

ეროვნული ბიბლიოთეკა

- **ფინანსური რისკები** – ამ ჯგუფში შედის საკრედიტო, საპროცენტო, ლიკვიდობის, სავალუტო, საფონდო, ინფლაციისა და გადამხდელუნარიანობის რისკები;
- **მომსახურების მიწოდების რისკები** – ესაა საოპერაციო, ტექნოლოგიური და ახალი პროდუქტების დანერგვის რისკები;
- **მმართველობითი რისკები** – აქ შედის არაეფექტიანი მენეჯმენტის, სტრატეგიული, სამართლებრივი და შესაბამისობის, რეპუტაციისა და თაღლითობის რისკები;
- **დანარჩენი (გარე) რისკები** – მოიცავს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ქვეყნისა და კონკურენციის რისკებს.

2) რისკები საქმიანობის მიმართულებების მიხედვით. ამ მიმართულებით გამოყოფენ ძირითად და არაძირითად საქმიანობასთან დაკავშირებულ საბანკო რისკებს.

- **ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები** ყველაზე გავრცელებული რისკებია, რომელთა შორის აღსანიშნავია საკრედიტო, საპროცენტო, სავალუტო, საფონდო, საინვესტიციო და სხვა რისკები;
- **არაძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები** ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული რისკებიდან განსხვავდება იმით, რომ მეტწილად აქვთ ირიბი, პირობითი შეფასება და გამოიხატება ხელიდან გაშვებული შესაძლებლობებით. ეს რისკები მოიცავს შესაძლო დანაკარგებს, რომლებიც დაკავშირებულია დეპოზიტების ფორმირებასთან, საბანკო თაღლითობასთან, ბაზრის წილის შემცირებასთან, ბანკის რეპუტაციის გაუარესებასთან, რეიტინგის შემცირებასთან და სხვ.

3) რისკები საქმიანობის სფეროების მიხედვით გულისხმობს შემდეგი სახეობის რისკებს: ბანკის აქტივებთან დაკავშირებული, ბანკის პასივებთან დაკავშირებული, აქტივ-პასივების მართვასთან დაკავშირებული, მომსახურების რეალიზაციასთან დაკავშირებული რისკები.

- **ბანკის აქტივებთან დაკავშირებული რისკები** მოიცავს საკრედიტო, სავალუტო, საპროცენტო, საანგარიშსწორებო, სალიზინგო, ფაქტორინგულ, საკასო, საკორესპონდენტო ანგარიშების, საინვესტიციო და სხვა რისკებს;
- **ბანკის პასივებთან დაკავშირებული რისკები** მოიცავს სავალუტო, საპროცენტო, ანაბრებთან, ნასესხებ სახსრებთან და მოზიდვებთან დაკავშირებულ სხვა რისკებს;
- **აქტივ-პასივების მართვასთან დაკავშირებული რისკები** მოიცავს საპროცენტო, ლიკვიდობის, გადამხდელუნარიანობის, კაპიტალის სტრუქტურის, ლევერიჯის რისკებს;
- **მომსახურების რეალიზაციასთან დაკავშირებულ რისკებს** რაც შეეხება, აქ შედის საოპერაციო, ტექნოლოგიური, ინოვაციური, სტრატეგიული, ადმინისტრაციული, უსაფრთხოებისა და სხვა რისკები.

4) წარმოშობის დროის მიხედვით საბანკო რისკებს ყოფენ წარსული, მიმდინარე და მომავალი პერიოდის რისკებად.

- **წარსული პერიოდის,** ანუ რეტროსპექტული რისკების, მნიშვნელობა გამოიხატება მათ შესწავლაში, ანალიზსა და მიმდინარე და მომავალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისკების უფრო ეფექტიანად მართვაში. მიმდინარე პერიოდში ზარალის, მაგალითად, გაცემული საბანკო გარანტიის ანაზაურებისას იგი ექვემდებერება წარსული პერიოდის რისკს, ვინაიდან მან ვერ გათვალა შესაძლო დანაკარგები;

- **მიმდინარე რისკები** დაკავშირებულია ბანკის მიმდინარე ოპერაციებთან;
- **მომავალი პერიოდის რისკები** არის ყველაზე ძნელად პროგნოზირებადი, ვინაიდან რისკი მით უფრო სახიფათოა, რაც დიდხანს გრძელდება საბანკო ოპერაცია.

5) ხარისხის მიხედვით გვაქვს დაბალი, ზომიერი და მაღალი დონის რისკები. აღნიშნული დაყოფა რეგულირდება საქართველოს საბანკო კანონმდებლობით, მაგალითად, გასული მასალიდან ჩვენთვის კარგად ცნობილი აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირების დებულების თანახმად, სესხები კლასიფიცირდება „სტანდარტულ", „საყურადღებო", „არასტანდარტულ", „საეჭვო" და „უიმედო" სესხებად. ამავე მიზანს ემსახურება რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების გაანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მეთოდოლოგიით, რომელიც საფუძვლად უდევს რამდენიმე მნიშვნელოვანი სავალდებულო ნორმატივის გაანგარიშებას.

6) გაანგარიშების მეთოდის მიხედვით გამოყოფენ კომპლექსურ და კერძო რისკებს.

- **კომპლექსური რისკი** გულისხმობს საბანკო ლიკვიდობის დონის შეფასების, პროგნოზისა და სავალდებულო ნორმატივების დაცვას;
- **კერძო რისკები** დაკავშირებულია რისკების შეფასებასთან, პროგნოზსა და დაცვასთან ცალკეული საბანკო ოპერაციის ან ჯგუფის მიხედვით.

7) ბანკის ტიპის მიხედვით სახეზეა სპეციალიზებული და უნივერსალური რისკები. ცხადია, ამ ტიპის ბანკებისათვის რისკების ნაკრები სხვადასხვაა მათი ფუნქციონირების თავისებურებიდან გამომდინარე.

- **სპეციალიზებული რისკები** დამახასიათებელია სპეციალიზებული ბანკებისათვის მათი სპეციფიკური ოპერაციებიდან, კლიენტებიდან და დარგებიდან გამომდინარე;
- **უნივერსალური რისკები**, ბუნებრივია, დამახასიათებელია უნივერსალური ბანკებისათვის.

8) აღრიცხვის ხასიათის მიხედვით სახეზეა საბანკო რისკები საბალანსო და გარებალანსური ოპერაციების მიხედვით. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ერთი და იგივე რისკი, მაგალითად, საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოიშობა საბალანსო ოპერაციების მიხედვით, ვრცელდება გარებალანსურ ოპერაციებზეც. აქ მნიშვნელოვანია, რომ მართებულად მოხდეს ერთსა და იმავე საქმიანობასთან დაკავშირებული და საბალანსო და გარებალანსურ ანგარიშებზე ერთდროულად ასახული შესაძლო დანაკარგის ასახვა.

9) რეგულირების მეთოდების მიხედვით არსებობს ღია და დაფარული რისკები.

- **ღიაა რისკი**, რომლის ლოკალიზება ბანკს არ ძალუძს;

- **დაფარული რისკის** შემთხვევაში ბანკს შეუძლია მისი სრულად ან ნაწილობრივ რეგულირება დივერსიფიკაციის მეშვეობით.

კომერციული ბანკის მუშაობის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია, რაც შეიძლება მეტი მოგების მიღება. აღნიშნული მისწრაფება შეზღუდულია იმ შესაძლო რისკებით, რომლებიც თან სდევს საბანკო საქმიანობას, ამიტომ ბანკი ცდილობს გვერდი აუაროს ამ რისკებს ან მინიმუმამდე შეამციროს ისინი, ანუ მინიმუმამდე შეამციროს შესაძლო დანაკარგები. მეორე მხრივ, რაც უფრო რისკიანია ოპერაცია, მით უფრო მაღალია შესაძლო მოგების მიღების ალბათობა. ამის საპირისპიროდ, რაც ნაკლებია რისკი, მით ნაკლებია მაღალი მოგების მიღების ალბათობა. სწორედ ამიტომ, სხვადასხვა ალტერნატიული შესაძლებლობიდან იმ ვარიანტის არჩევა, რომლის დროსაც ნაპოვნი იქნება რისკიანობისა და შემოსავლიანობის ოპტიმალური შესაბამისობა, არის ბანკის მენეჯმენტის უმთავრესი მოვალეობა. აღნიშნული კი შესაძლებელია მხოლოდ საბანკო რისკების კარგად ცოდნის, კონტროლისა და მართვის შესაბამისი მექანიზმების არსებობის შემთხვევაში.

რისკი დევს ბანკის ნებისმიერ ოპერაციაში, რა თქმა უნდა, მათი მასშტაბი და უარყოფითი გავლენა სხვადასხვაა. რისკის დონე იზრდება მაშინ, როცა პრობლემები ჩნდება მოულოდნელად და ბანკი არ აღმოჩნდება მზად მის დროულად და მაქსიმალურად გასანეიტრალებლად. საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ სასურველი მოგების მიღება კომერციულ ბანკში შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა სავარაუდო რისკები, ანუ მოსალოდნელი დანაკარგების ალბათობა, წინასწარაა შესწავლილი, გათვლილი და დაზღვეული.

ზემოთ წარმოდგენილი კლასიფიკაცია უფრო თვალსაჩინოა საბანკო რისკების ძირითადი მიმართულებებისა და სახეობების აღსაქმელად. იგი საშუალებას გვაძლევს, შემდეგ პარაგრაფებში უკეთ დავინახოთ მათი ძირითადი სახეობების მნიშვნელობა და ადგილი. აღნიშნული დახასიათების საფუძვლად გამოყენებულია საქართველოს ეროვნული ბანკის „დებულება კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე“.

22.2. საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკს თამამად შეიძლება ეწოდოს ბანკების „მთავარი რისკი“ და იგი განიმარტება, როგორც კონტრაგენტი პარტნიორის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით ან გაკოტრებით გამოწვეული რისკი. საკრედიტო რისკი ძირითადად გულისხმობს გაცემული კრედიტების დაუბრუნებლობის რისკს, თუმცა, აქ ასევე შედის ბანკების კლიენტებთან (დებიტორები) ურთიერთობის სხვა მიმართულებებიც – სახაზინო და საინვესტიციო საქმიანობა, დოკუმენტური ოპერაციები და სხვ.

ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოყოფილია საკრედიტო რისკის წარმოშობის ალბათობის 4 ძირითადი მიზეზი:

- ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის ნეგატიური ცვლილებები, ანუ შექმნილი კრიზისული ან რეცესიული მდგომარეობა, რომელიც იწვევს მსესხებლების (დებიტორების) საქმიანი აქტივობის შემცირებას;

- მსესხებლის უუნარობა, მიაღწიოს ბიზნესგეგმით გათვალისწინებულ დაგეგმილ შედეგებს ქვეყნის მასშტაბით პოლიტიკურ, საქმიან თუ სოციალურ სფეროებში მომხდარი ცვლილებების გამო;
- მსესხებლის მიერ კრედიტის არამიზნობრივი გამოყენება ან არაკეთილსინდისიერება, რაც გამოიხატება კრედიტის დაფარვისაგან თავის არიდების მცდელობით;
- კომპანიის საბაზრო ღირებულების შემცირება, უზრუნველყოფის (გირაოს) გაუფასურება და განადგურება.

გასულ მასალაში, კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციებისა და მოვალეობების შესახებ საუბრისას ითქვა, რომ იგი უნდა მოქმედებდეს ბანკის სტაბილურობის ინტერესების შესაბამისად. ქართული საბანკო რეგულაციით, სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია დაამტკიცოს საკრედიტო რისკის სტრატეგია და პოლიტიკა, რომლებშიც უნდა იყოს:

- ასახული ეკონომიკური ციკლისა და ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილების მიმართ ბანკის ამტანობა და მოსალოდნელი შემოსავლების მდგრადობის ალბათობა;
- გათვალისწინებული ადგილობრივი და საერთაშორისო ეკონომიკური ციკლები და ცვლილებები, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ საკრედიტო პორტფელის შემადგენლობასა და ხარისხზე.

მნიშვნელოვანია, საკრედიტო რისკის მართვის სტრატეგია და პოლიტიკა შემუშავებული იყოს იმგვარად, რომ დააკმაყოფილოს გრძელვადიანი მოთხოვნები, საჭიროების შემთხვევაში – მასში სათანადო კორექტირებების გათვალისწინებით.

რაც შეეხება საკრედიტო რისკის სტრატეგიის, პოლიტიკის განხორციელებისა და შესაბამისი პროცედურების შემუშავებას, მისთვის პასუხისმგებელია კომერციული ბანკის დირექტორატი. დირექტორატის მიერ შემუშავებული პროცედურების საშუალებით ხდება:

- საკრედიტო რისკის განსაზღვრა;
- საკრედიტო რისკის შეფასება;
- საკრედიტო რისკის მონიტორინგი;
- საკრედიტო რისკის კონტროლი.

უმნიშვნელოვანესია, კომერციულმა ბანკმა დაადგინოს და მართოს ყველა ახალი პროდუქტისა და საქმიანობისათვის დამახასიათებელი საკრედიტო რისკი და უზრუნველყოს, რომ მათ დანერგვამდე და ამუშავებამდე ახალი პროდუქტებისა და საქმიანობის შედეგად მიღებულმა რისკებმა სათანადო კონტროლი გაიაროს, რაც გულისხმობს რისკების მართვის კომიტეტის რეკომენდაციების ან დირექტორატის თანხმობის წინასწარ მიღებას.

საკრედიტო რისკის ანალიზისათვის აუცილებელია, რისკის მქონე საკრედიტო ოპერაციების შერჩევისას გათვალისწინებულ იქნეს შემოსავლიანობის დონე ყველა ხარჯის ჩათვლით. ამასთან, სულ ცოტა, კვარტალში ერთხელ დირექტორატმა უნდა მიიღოს დაკრედიტების ოპერაციების მომგებიანობის ანალიზი.

კომერციულ ბანკში საკრედიტო რისკების მინიმიზაციის მიზნით აუცილებელია საკრედიტო ლიმიტების პროცედურების შემუშავება. საკრედიტო რისკზე ლიმიტების დაწესების შესახებ პროცედურებში ბანკმა, სხვა ფაქტორებთან ერთად, უნდა წარმოადგინოს ის ფაქტორებიც, რომლებმაც შეიძლება გავლენა

იქონიონ საკრედიტო რისკის ლიმიტების დაწესებასა და იმ პროცესებზე, რომლებიც დაკავშირებულია ამ გადაწყვეტილების მიღებასთან.

კომერციულმა ბანკმა უნდა დააწესოს ლიმიტები მსესხებლებისა და კონტრაგენტებისათვის მათთან ოპერაციების განხორციელებამდე, რისკის მიმართ ბანკის ტოლერანტულობის დონის გათვალისწინებით. საკრედიტო რისკის ლიმიტები წესდება იმ მიზნით, რომ შემცირებულ იქნეს კონცენტრაციით გამოწვეული რისკები. დაწესებულმა ლიმიტებმა უნდა მოიცვას სულ მცირე შემდეგი:

- კლიენტის ან კონტრაგენტი პარტნიორის რისკი;
- ურთიერთდაკავშირებული მხარეების რისკი;
- გარკვეული ეკონომიკური სექტორის ან გეოგრაფიული კონცენტრაციის რისკი.

საკრედიტო რისკის ლიმიტის დაწესება სრულად უნდა იქნეს დოკუმენტირებული წერილობითი ფორმით, რაც ხელს შეუწყობს გარე და შიდა აუდიტორების მიერ აუდიტის ჩატარებას.

უმნიშვნელოვანესია, კომერციულმა ბანკმა დაადგინოს თავისი ყველა პროდუქტისა და საქმიანობისათვის დამახასიათებელი საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკის ამგვარი დადგენა წარმოადგენს კონკრეტული საქმიანობის საკრედიტო რისკის მახასიათებლების შესწავლის შედეგს, რომელიც გულისხმობს: კრედიტების გაცემას, სახაზინო და საინვესტიციო საქმიანობას და მიზნობრივ დაფინანსებას.

დაბოლოს, კომერციულმა ბანკმა უნდა შექმნას კრედიტების დამოუკიდებელი და მუდმივი განხილვის შიდა სისტემა საკრედიტო რისკის მართვის პროცესის გამოყენების ეფექტიანობასთან დაკავშირებით. ასევე, ბანკს უნდა ჰქონდეს პრობლემური სესხების მართვის პროცედურები, მათ შორის, წერილობითი სისტემა, რომელიც აღმოაჩენს და გამოავლენს პრობლემურ სესხებს და ეფექტიანად გამოიყენოს ეს პროცედურები.

22.3. საბაზრო (საპროცენტო, სავალუტო, საფონდო) რისკები

საბაზრო რისკი არის ბანკის ზარალის რისკი, რომელიც გამოწვეულია საბაზრო ფასის ცვლილებით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ბანკის მიერ განხორციელებული სხვადასხვა საქმიანობისაგან, როგორებიცაა: სესხების გაცემა, დეპოზიტური და არადეპოზიტური სახსრების მოზიდვა, ინვესტიციების განხორციელება ფასიან ქაღალდებსა და ფულადი ბაზრის ინსტრუმენტებში, სხვა კომპანიათა კაპიტალში წილობრივი მონაწილეობა, სავალო ინსტრუმენტების გამოცემა, ვაჭრობის დაფინანსება და სხვ. საბაზრო რისკი მოიცავს საპროცენტო, სავალუტო და საფონდო რისკებს.

სანამ გადავალთ მათ დახასიათებაზე, უნდა აღინიშნოს, რომ საპროცენტო, სავალუტო და საფონდო რისკები შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც გარე, ისე შიდა წყაროებით.

საპროცენტო რისკი არის პოტენციური ზარალი, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს საბაზრო საპროცენტო განაკვეთებში ნეგატიური ცვლილების შედეგად.

ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოყოფილია საპროცენტო რისკის წარმოშობის 4 ძირითადი წყარო:

- ფინანსური ბაზრის კონიუნქტურის ცვლილება;
- აქტივებისა და პასივების დაფარვის ვადების შეუსაბამობა;
- აქტივებისა და პასივების და გარებალანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინსტრუმენტების დაფარვის ვადების შეუსაბამობა ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთთან;
- ცენტრალური ბანკის მონეტარული ინსტრუმენტების (რეფინანსირების განაკვეთი, სააღრიცხვო განაკვეთი) განაკვეთების ცვლილება.

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ნეგატიური ცვლილებით გამოწვეული ბანკის უცხოურ ვალუტაში ფორმირებული აქტივების გაუფასურების რისკი.

გასულ მასალაში სავალუტო ოპერაციების შესახებ თემის განხილვისას ვისაუბრეთ სავალუტო რისკებსა და ბანკის მენეჯმენტის პასუხისმგებლობაზე მათ მინიმიზაციასთან დაკავშირებით.

საფონდო რისკი არის შემოსავლების შემცირების ან ზარალის მიღების რისკი ფასიანი ქაღალდების საბაზრო კოტირებების არასასურველი ცვლილების გამო.

ბუნებრივია, საკრედიტო რისკის მსგავსად, კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს უნდა ჰქონდეს საპროცენტო, სავალუტო და საფონდო რისკის სახეობებისა და დონის ადეკვატური აღქმა. ბანკის სამეთვალყურეო საბჭომ უნდა დაამტკიცოს საბაზრო რისკების მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკა და სტრატეგია და უზრუნველყოს, რომ ბანკის დირექტორატმა გაატაროს სათანადო ღონისძიებები ამ რისკის მონიტორინგისა და კონტროლის მიზნით.

საბაზრო რისკების მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკისა და სტრატეგიის საფუძველზე მომზადებული ადეკვატური პროცედურების შემუშავებისა და შესრულებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება ბანკის დირექტორატს, ხოლო მათი მართვის შესახებ სამეთვალყურეო საბჭო რეგულარულად უნდა იყოს ინფორმირებული დირექტორატის მიერ.

საბაზრო რისკების სამართავად უნდა არსებობდეს კომპლექსური წერილობითი პოლიტიკა და პროცედურები, რომლებშიც ჩამოყალიბებული და გადმოცემული უნდა იყოს პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება საპროცენტო, სავალუტო და საფონდო რისკების მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების თაობაზე და მკაფიოდ უნდა განისაზღვროს გამოყენებული (ნებადართული) ინსტრუმენტები, ჰეჯირების სტრატეგია და პოზიციის წარმოქმნის შესაძლებლობები.

კომერციული ბანკის დირექტორატი ასევე პასუხისმგებელი უნდა იყოს, რათა დაცულ იქნეს:

- საპროცენტო, სავალუტო და საფონდო რისკების ლიმიტები;
- საპროცენტო, სავალუტო და საფონდო რისკების შეფასების სტანდარტები და სისტემები;
- პოზიციის შეფასების სტანდარტები და საპროცენტო, სავალუტო და საფონდო რისკებით გამოწვეული შედეგების შეფასება;
- შიდა კონტროლი საპროცენტო, სავალუტო და საფონდო რისკების მართვის მიზნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბანკის დირექტორატმა ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ ბანკის საბანკო ოპერაციო სტრუქტურები, რომლებიც ჩაბმული არიან პროდუქტებით ვაჭრობასა და სავალუტო და საფონდო რისკების მატარებელი ოპერაციების განხორციელებაში, დაკომპლექტდნენ ისეთი პერსონალით, რომელსაც ესმის:

- რისკების არსი საბაზრო ოპერაციებთან მიმართებაში;
- ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს სავალუტო და საფონდო რისკებზე;
- სხვა რისკები, რომლებიც საბაზრო ოპერაციების განხორციელების შედეგად ჩნდება.

აუცილებელია, კომერციულ ბანკში არსებობდეს საპროცენტო, სავალუტო და საფონდო რისკების სათანადო კონტროლისა და მათი მართვის მოქმედი და მუდმივად განახლებადი სისტემა.

22.4. ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის ბანკის რისკი, გაისტუმროს ვალდებულებები დათქმულ ვადაში. ლიკვიდობის რისკი შეიძლება შემდეგ კატეგორიებად დაიყოს:

- საბაზრო ლიკვიდობის რისკი, კერძოდ, რისკი იმისა, რომ სუსტი საბაზრო ლიკვიდობის მდგომარეობის ან ბაზარზე შექმნილი პრობლემების გამო, ბანკმა ვერ უზრუნველყოს გარკვეული პოზიციების დაბალანსება საბაზრო ფასებით;
- დაფინანსების ლიკვიდობის რისკი, კერძოდ, რისკი იმისა, რომ ბანკმა ვერ უზრუნველყოს აქტივების ფულად ფორმაში გადაყვანა ან სახსრების მოზიდვა სხვა წყაროებიდან.

ლიკვიდობის რისკი კომერციულ ბანკს შეიძლება წარმოეშვას თავის კლიენტებთან სხვადასხვა საქმიანობით, როგორებიცაა: კრედიტების გაცემა, სახაზინო და საინვესტიციო საქმიანობა და სხვ. ლიკვიდობის რისკის მართვა უკიდურესად მნიშვნელოვანია, იმის გათვალისწინებით, რომ ლიკვიდობის პრობლემები შეიძლება დამანგრეველი იყოს არა მარტო ბანკისათვის, არამედ მთლიანად საბანკო სექტორისათვის.

კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს ლიკვიდობის რისკის უაღრესად დიდი მნიშვნელობა. მისი ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს ლიკვიდობის რისკის პოლიტიკისა და სტრატეგიის დამტკიცებისა და რეგულარული შეფასებისაკენ.

თავის მხრივ, დირექტორატმა უნდა შეიმუშაოს ლიკვიდობის რისკის პოლიტიკა და სტრატეგია და გააცნოს იგი ყველა შესაბამის სტრუქტურას. დირექტორატმა უნდა უზრუნველყოს ადამიანური რესურსების მომზადება და მათი კომპეტენციის განვითარება. აღნიშნული განსაკუთრებით ეხება ისეთ მიმართულებებს, როგორებიცაა სახაზინო და საინვესტიციო საქმიანობა.

ლიკვიდობის რისკის მართვის პოლიტიკა პერიოდულად უნდა შეფასდეს, განახლდეს და ფეხდაფეხ მიჰყვეს ბანკის ლიკვიდობის მდგომარეობის, დანიშნულების, ბიზნესსტრატეგიისა და მთლიანი კაპიტალის ცვლილებებს. ასევე, ბანკს უნდა ჰქონდეს მკაფიო პოლიტიკა დაფინანსების, ანგარიშგებისა და ლიკვიდობის შეფასების პასუხისმგებლობებთან დაკავშირებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომერციული ბანკის ლიკვიდობისა და დაფინანსების პოლიტიკამ დ[illegible] თვამ უნდა განსაზღვროს ლიმიტები, რომლებიც მენეჯმენტისა და შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ თანმიმდევრულად იქნება განხორციელებული, რათა თავიდან იქნეს აცილებული ლიკვიდობის უკმარისობა, „გეპ"-ის კონცენტრაცია და დამოკიდებულება რაიმე კონკრეტულ მხარეზე, ინსტრუმენტსა თუ საბაზრო სეგმენტზე.

დადგენილი ლიმიტები უნდა იყოს თანმიმდევრული და შეესაბამებოდეს გაუთვალისწინებელი მოვლენების დაფინანსების გეგმას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ამ გეგმის ეფექტიანად გამოყენება. ბანკმა უნდა დააწესოს სპეციალური მოკლევადიანი დაფინანსების ლიმიტები, განსაკუთრებით ბაზარზე წარმოქმნილ „ოვერნაით" დაკრედიტებასთან დაკავშირებით.

კომერციულ ბანკში ლიკვიდობის ლიმიტების დადგენისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მინიმუმ შემდეგი ასპექტები:

- რეგულარული დაფინანსების აუცილებლობა ან ჭარბი ლიკვიდობა;
- შესაბამისობა საპროცენტო განაკვეთის რისკის პოზიციებთან;
- საერთო ლიკვიდობა ბანკთაშორის ფულად ბაზარზე და ლიკვიდობის ნაკლებობის შესაძლებლობა წარსული გამოცდილების საფუძველზე;
- საბაზრო საპროცენტო განაკვეთის მოძრაობა და ლიკვიდობის ხელმისაწვდომობა.
- დადგენილი ლიმიტები განხილული და კორექტირებული უნდა იქნეს საერთო საბაზრო გარემოს ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილებისას.

როგორც ნებისმიერი რისკის შემთხვევაში, ლიკვიდობის რისკის დადგენის პოლიტიკა, პროცედურები და პროცესი სრულად დოკუმენტირებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით. ბანკმა ზუსტად უნდა განსაზღვროს და გააანალიზოს ლიკვიდობის რისკის მატარებელი საბანკო პროდუქტები, ოპერაციები და საქმიანობა.

ნებისმიერ კომერციულ ბანკს უნდა ჰქონდეს გაუთვალისწინებელი მოვლენების დაფინანსების გეგმა, რათა თავიდან აიცილოს ლიკვიდობის რაიმე დანაკლისი, რომელმაც შეიძლება ბანკის მიერ სხვა მხარეების ვალდებულებებთან დაკავშირებული დეფოლტი გამოიწვიოს. ასეთმა გეგმამ უნდა მოიცვას დაშვებები და ზუსტი შეფასებები შემდეგთან დაკავშირებით:

- სადეპოზიტო თანხების სტაბილურობის დადგენა და გამავალი თანხების მოძრაობა სტატისტიკური შეფასებების საფუძველზე;
- ფასიანი ქაღალდების ფასების ლოგიკური დონეები იმ შემთხვევებისათვის, თუ საჭირო გახდება ფასიანი ქაღალდების გაყიდვა;
- ლიკვიდობის ის რეზერვები და აქტივები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს გირაოს სახით იმ შემთხვევაში, თუ ბანკი მოიზიდავს ნასესხებ თანხებს (მაგალითად, რეპოოპერაციები და სავალუტო სვოპები);
- დეფოლტის შესაძლებლობა დებიტორების ან მსესხებლების (სხვა მხარეების) მხრიდან ვალდებულებების დროულად დაკმაყოფილების თვალსაზრისით;
- თანხების გადინების შესაძლებლობა გარესაბალანსო ოპერაციებთან მიმართებაში.

კომერციულმა ბანკმა რეგულარულად უნდა განახორციელოს გაუთვალისწინებელი მოვლენების დაფინანსების გეგმის შემოწმება, რათა დაადგინოს ოდენობა თანხებისა, რომლებიც შეიძლება მოიზიდოს მუდმივი მსესხებლები-

სგან (მხარეებისგან) ან ბაზრის მეშვეობით, იმ სცენარის საფუძველზე, რომელიც საც არ არსებობს არანაირი გარანტია, სადღეღამისო სესხის შესაძლებლობა, ბაზარზე არ არის შემცირებული ბანკის საკრედიტო სპრედი.

22.5. საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი არის ზარალის რისკი არაადეკვატური შიდა პროცესების, ადამიანთა ქმედებების, სისტემებისა და გარეფაქტორების შედეგად. საოპერაციო რისკმა შეიძლება გამოიწვიოს პირდაპირი ან არაპირდაპირი ფინანსური დანაკარგები და მოგების მიღების შესაძლებლობის დაკარგვა. საოპერაციო რისკი შეიძლება ახასიათებდეს ბანკის ნებისმიერ საქმიანობას, როგორებიცაა, მაგალითად: კრედიტების გაცემა, სახაზინო, საინვესტიციო და საოპერაციო საქმიანობა, მომსახურება, საკრედიტო და სავალო ინსტრუმენტები, საინფორმაციო ტექნოლოგიები და საინფორმაციო სისტემის მართვა, აგრეთვე ადამიანური რესურსების მართვა.

აქედან გამომდინარე, შეიძლება მოვახდინოთ საოპერაციო რისკების კლასიფიკაცია:

- **პროცესების რისკი** – გულისხმობს დანაკარგების რისკს, რომელიც დაკავშირებულია ოპერაციების დაგეგმვის, ფასწარმოქმნის, ანგარიშსწორების, აღრიცხვისა და სხვა პროცესებთან;
- **სისტემების რისკი** — რისკი, რომელიც განპირობებულია სხვადასხვა ტექნოლოგიის (ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა) არასრულყოფილი გამოყენებით, რაც დაკავშირებულია სისტემების არასაკმარის წარმადობასთან, ჩასატარებელ ოპერაციებთან მათ არაადეკვატურობასთან, ასევე მათ დაბალ ხარისხთან, არაადეკვატურ გამოყენებასთან და ა.შ.;
- **ადამიანური რესურსების მართვის რისკი** – ესაა რისკი, რომელიც დაკავშირებულია ბანკის თანამშრომელთა შეცდომებთან, არასაკმარის კვალიფიკაციასთან, ზედმეტ დატვირთვასთან, ბანკში შრომის არარაციონალურ განაწილებასთან და ბოლოს – თანამშრომელთა მხრიდან მიზანმიმართულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებთან (თაღლითობა);
- **გარე რისკები** – გულისხმობს გარემო ფაქტორების არასასურველ ცვლილებებს, რომლებიც ნეგატიურ გავლენას ახდენენ ბანკის საოპერაციო საქმიანობაზე (ცვლილებები პოლიტიკაში, ეკონომიკაში, კანონმდებლობაში), ასევე გარეშე პირების არასანქცირებული ჩარევა ბანკის საქმიანობაში (თაღლითობა).

კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატს სრულად უნდა ჰქონდეთ გაცნობიერებული საოპერაციო რისკის მოსალოდნელი ნეგატიური შედეგები და აქტიურად იმუშაონ, რათა რეგულარულად გამოასწორონ და შეაფასონ საოპერაციო რისკის პოლიტიკა და სტრატეგია. დირექტორატმა, თავის მხრივ, უნდა შეიმუშაოს და ყველა შესაბამის სტრუქტურას გააცნოს საოპერაციო რისკის პოლიტიკა და სტრატეგია და შეაფასოს ამ პოლიტიკისა და სტრატეგიის განხორციელება.

უმნიშვნელოვანესია, კომერციულ ბანკში არსებობდეს ახალი პროდუქტისა და საქმიანობისათვის დამახასიათებელი საოპერაციო რისკის დროულად დადგენისა და მართვის სისტემა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ნებისმიერი ახალი პროდუქტისა და საქმიანობის რისკის შეფასება სათანადო კონტროლის გავლით მათი დანერგვის ან გამოყენების წინ.

კომერციულ ბანკში დანერგილი უნდა იყოს ქმედითი პოლიტიკა პასუხისმგებლობის, უფლებამოსილებებისა და თანამშრომლების მიერ კონკრეტულ საინფორმაციო სისტემაზე ხელმისაწვდომობის შესახებ. ეს პოლიტიკა გამაგრებული უნდა იყოს მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემის, ბუღალტრული აღრიცხვის საინფორმაციო სისტემის, რისკის მართვის სისტემის ხელმისაწვდომობისა და სადილინგო ოპერაციების განმახორციელებელ ოფისებსა და მონაცემთა დამუშავების ოფისებში უსაფრთხოების შესაბამისი პროცედურებით.

კომერციულმა ბანკმა უნდა დაადგინოს და გააანალიზოს ფაქტორები, რომლებიც იწვევს ყველა საქმიანობისათვის, პროდუქტისათვის, პროცესისა და საინფორმაციო სისტემისათვის დამახასიათებელ საოპერაციო რისკს, იქნება ეს გამოწვეული გარე თუ შიდა ფაქტორებით, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენენ ბანკის მიერ დასახული მიზნების განხორციელებაზე.

კომერციულ ბანკს უნდა ჰქონდეს პროდუქტებისა და საქმიანობისათვის დამახასიათებელი საოპერაციო რისკის შეფასების ადეკვატური სისტემა. მას შემდეგ, რაც ბანკი დაადგენს კონკრეტული საქმიანობისათვის დამახასიათებელ საოპერაციო რისკებს, მან უნდა შეაფასოს ის პარამეტრები, რომლებიც გავლენას ახდენს საოპერაციო რისკზე, მათ შორის – რაოდენობა და სიხშირე შემდეგთან დაკავშირებით:

- სისტემის კოლაფსი და შეცდომები;
- ადმინისტრირების სისტემა;
- დარღვეული ურთიერთობა კლიენტთან;
- ბუღალტრული შეცდომები;
- დაგვიანებები და შეცდომები ანგარიშსწორებაში;
- მაქინაციები;
- ფალსიფიცირებული ბუღალტრული აღრიცხვა;
- სტრატეგიული მარცხი.

კომერციულ ბანკს უნდა ჰქონდეს საოპერაციო რისკის შეფასების სათანადო მეთოდოლოგია, კომპეტენტური ადამიანური რესურსები და საოპერაციო რისკის შესახებ მონაცემების დადგენისა და შეგროვების ადეკვატური სისტემური ინფრასტრუქტურა.

კომერციულმა ბანკმა მუდმივად უნდა განახორციელოს საოპერაციო რისკის მონიტორინგი ყველა იმ საოპერაციო რისკსა და დანაკარგებთან დაკავშირებით, რომლებიც შეიძლება მთავარი საქმიანობის შედეგად გაჩნდეს. ბანკმა მუდმივად უნდა განიხილოს ის ფაქტორები, რომლებიც იწვევს საოპერაციო რისკს და ამ რისკებით გამოწვეული ზარალის გავლენა.

22.6. სამართლებრივი რისკი

სამართლებრივი რისკი არის რისკი, რომელიც გამოწვეულია ბანკის სამართლებრივი სისუსტეებით, რომელსაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, იწვევს სამართლებრივი მოქმედებები, კანონებსა და ნორმატიულ აქტებში დამხმარე დებულებების უქონლობა ან სამართლებრივად სავალდებულო მოთხოვნების სისუსტე, როგორიცაა, მაგალითად, შეუსაბამობა ხელშეკრულებების სამართლებრივ მოთხოვნებთან.

კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭომ და დირექტორატმა კარგად უნდა გააცნობიერონ ბანკის საქმიანობისათვის დამახასიათებელი სამართლებრივი რისკები, რომელთაც შეუძლიათ გავლენა იქონიონ მის ფინანსურ მდგომარეობაზე და აქტიურად იმუშაონ, პოლიტიკის შესაბამისად დაამტკიცონ და განახორციელონ სამართლებრივი რისკის კონტროლის შეფასება.

მნიშვნელოვანია, კომერციული ბანკის დირექტორატმა დაადგინოს და გააკონტროლოს ნებისმიერი ახალი პროდუქტისა და საქმიანობისათვის დამახასიათებელი სამართლებრივი რისკები, რათა უზრუნველყოს ახალი პროდუქტისა და საქმიანობის მხრიდან რისკის მართვის პროცესის სრულფასოვანი გავლა მის დანერგვამდე და კლიენტურისათვის შეთავაზებამდე.

ასევე აუცილებელია, ბანკის დირექტორატმა მუდმივად უზრუნველყოს ყველა თანამშრომლისათვის რისკის სამართლებრივი არსის, მასთან შესაბამისობის კულტურისა და მის მიერ გამოწვეული პრობლემების გაცნობა ორგანიზაციის ყველა დონეზე.

კომერციულ ბანკს უნდა ჰქონდეს ბანკის ბიზნესსტრატეგიის შესაბამისი სამართლებრივი რისკის წერილობითი პოლიტიკა და პროცედურები. ბუნებრივია, სამართლებრივი რისკის კონტროლის პროცედურები უნდა დამტკიცდეს დირექტორატის მიერ და მის შესახებ ინფორმაცია მიეწოდოს მართვის ყველა დონეზე, რაც შესაძლებელს გახდის, ეს პროცედურები ეფექტიანად განხორციელდეს.

კომერციულ ბანკს უნდა ჰქონდეს ისეთი სტრუქტურა ან ჰყავდეს თანამშრომელთა ჯგუფი, რომელთა ფუნქცია იქნება „სამართლებრივი ზედამხედველობის“ განხორციელება იმ პირების მიმართ, რომლებიც სამართლებრივ ანალიზსა და რჩევებს სთავაზობენ ორგანიზაციის ყველა დონეზე მომუშავეებს. იურიდიულმა სამსახურმა, რისკების მართვის სამსახურმა და რისკების მიმღებმა სტრუქტურებმა ერთობლივად უნდა შეაფასონ გარკვეულ სამართლებრივ დებულებებსა თუ ნორმატიულ აქტებში შეტანილი ცვლილებების გავლენა სამართლებრივ რისკზე.

ბანკმა უნდა დაადგინოს სამართლებრივი რისკები, რომლებიც ახასიათებს სხვადასხვა საქმიანობას, მათ შორის, საკრედიტო (თანხებით უზრუნველყოფა), სახაზინო, საინვესტიციო და საოპერაციო საქმიანობასა და მომსახურებას, დოკუმენტურ ოპერაციებს, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემისა და ადამიანური რესურსების მართვას. მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემას უნდა შეეძლოს დროული, სრულყოფილი და ზუსტი ანგარიშების მომზადება სამართლებრივი რისკის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს დირექტორთა საბჭოს მიერ გადაწყვეტილებების მიღებას.

ბანკმა უნდა გააუმჯობესოს სამართლებრივი რისკის კონტროლი, რათა უზრუნველყოს შემდეგი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

- ოპერაციების, ორგანიზაციისა და შიდა კონტროლის შესაბამისობა სამართლებრივ დებულებებთან, ნორმატიულ აქტებთან, ეთიკის კოდექსთან და ბიზნესსტრატეგიასთან;
- შესაბამისობა შიდა პროცედურებთან;
- ფინანსური ანგარიშგებების ხარისხი;
- რისკის მართვის საინფორმაციო სისტემის ეფექტიანობა და ქმედითობა;
- კომუნიკაციების ეფექტიანი გამოყენება, რაც დაკავშირებულია სამართლებრივი რისკის გავლენასთან ორგანიზაციის ყველა დონეზე მომუშავე თანამშრომელზე.

კომერციული ბანკის იურიდიულმა სამსახურმა უნდა განახორციელოს ბანკსა და სხვა მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებების რეგულარული განხილვა, მათ შორის, განხილული უნდა იქნეს კანონებისა და ნორმატიული აქტების გატარების ეფექტიანობა, რათა შემოწმდეს, კვლავაც მოქმედებს თუ არა ამგვარი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული უფლებები.

22.7. რეპუტაციის რისკი

რეპუტაციის რისკი არის რისკი, რომელსაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, იწვევს ბანკის ოპერაციებთან დაკავშირებით უარყოფითი საჯარო განცხადებების გაკეთება ან ბანკის უარყოფითად წარმოდგენა.

კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭომ და დირექტორატმა კარგად უნდა გააცნობიერონ ბანკის გარკვეულ საქმიანობასთან დაკავშირებული რეპუტაციის რისკების ნეგატიური შედეგები, განსაკუთრებით ისეთი რისკის, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტმა აქტიურად უნდა იმუშაოს, რომ დაამტკიცოს და შეაფასოს რეპუტაციის რისკის კონტროლის პოლიტიკა.

მნიშვნელოვანია, ბანკს ჰქონდეს სტრუქტურა, რომელსაც დაეკისრება შესაბამისი უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა, რომ კომპლექსური ინფორმაცია მიაწოდოს კლიენტურასა და სხვა დაინტერესებულ პირებს, რაც ბანკის მიერ რეპუტაციის რისკის კონტროლის შემადგენელი ნაწილი იქნება.

ბანკს უნდა ჰქონდეს წერილობითი პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც შეესაბამება გამჭვირვალობის პრინციპებს და კლიენტურისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის გაწეული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მოთხოვნებს, რეპუტაციის რისკის კონტროლთან დაკავშირებით.

ბანკს უნდა ჰქონდეს და განახორციელოს სათანადო საკომუნიკაციო პოლიტიკა, მედიაში უარყოფითი სტატიების, საჯარო პუბლიკაციებისა და ნეგატიური ინფორმაციის აღკვეთასთან დაკავშირებით, რომელიც მიზნად ისახავს ნეგატიური ტენდენციების განვითარებას ბანკის წინააღმდეგ. ამ პოლიტიკამ, სხვა ფაქტორებთან ერთად, უნდა მოიცვას ეფექტიანი მედიასტრატეგია, რაც ნეგატიურ მედიას დაუპირისპირდება.

ბანკმა უნდა განახორციელოს რეპუტაციის რისკთან დაკავშირებული პროცედურები და თავიდან აიცილოს ამგვარი წარსული გამოცდილება,

რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე.

ბანკმა რეპუტაციის რისკთან დაკავშირებული პოლიტიკა და პროცედურები უნდა გააცნოს ორგანიზაციული სტრუქტურის ყველა დონის თანამშრომელს.

ბანკმა უნდა დაადგინოს რეპუტაციის რისკი, რომელიც ახასიათებს კონკრეტულ ბიზნესსაქმიანობას, მათ შორის, საკრედიტო (თანხებით უზრუნველყოფა), სახაზინო, საინვესტიციო და საოპერაციო საქმიანობასა და მომსახურებას, მიზნობრივი დაფინანსების, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემისა და ადამიანური რესურსების მართვას.

ბანკმა უნდა განახორციელოს რეპუტაციის რისკის რეგულარული მონიტორინგი, წარსულში მიღებული ზარალის გათვალისწინებით და ამ გამოცდილების შესაბამისად. მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემას უნდა შეეძლოს დროული, სრულყოფილი და ზუსტი ანგარიშების მომზადება რეპუტაციის რისკის შესახებ, რაც დაეხმარება დირექტორატს გადაწყვეტილებების მიღებაში.

კომერციული ბანკის მენეჯმენს უნდა ესმოდეს, რომ აუცილებელია დაუყოვნებელი ღონისძიებების გატარება, რათა გადაჭრას კლიენტურის ნებისმიერი პრობლემა და დავა, რამაც შეიძლება გაზარდოს ბანკის რეპუტაციის რისკი, მათ შორის, ბანკს მუდმივი კონტაქტი უნდა ჰქონდეს კლიენტურასა და მხარეებთან და უნდა აწარმოოს ორმხრივი მოლაპარაკებები, რათა თავიდან აიცილოს ბრალდებები და სამართლებრივი საჩივრები.

22.8. სტრატეგიული რისკი

სტრატეგიული რისკი არის რისკი, რასაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, იწვევს ბანკის სტრატეგიის სუსტი დაგეგმვა და ცუდი განხორციელება, ბანკის სუსტი ბიზნესგადაწყვეტილებები ან ბანკის მიერ რეაგირების არმოხდენა გარე ცვლილებებზე.

კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭომ და დირექტორატმა კარგად უნდა გააცნობიერონ ბანკის გარკვეული საქმიანობისათვის დამახასიათებელი სტრატეგიული რისკი. აქ განსაკუთრებით ყურადსაღებია ის რისკები, რომელთაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე.

უმაღლესი მენეჯემენტი ვალდებულია აქტიურად იმუშაოს, რათა მიიღოს და შეაფასოს სტრატეგიული რისკის კონტროლის პოლიტიკა. სამეთვალყურეო საბჭომ და დირექტორატმა უნდა შეიმუშაონ და დაამტკიცონ სტრატეგიული გეგმა და ბიზნესგეგმა (ბიუჯეტი), რომელიც მოიცავს შესაბამისი სამართლებრივი დებულებებით გათვალისწინებულ საკითხებს.

კომერციული ბანკის დირექტორატმა რეგულარული მონიტორინგი უნდა გაუწიოს ბანკის შიდა მდგომარეობას (ძლიერ და სუსტ მხარეებს) და იმ გარე ფაქტორებს, რომელთაც შეიძლება პირდაპირი ან არაპირდაპირი გავლენა იქონიონ ბანკის ბიზნესსტრატეგიაზე.

აუცილებელია, კომერციულ ბანკს ჰქონდეს სტრუქტურა, რომელსაც დაე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კისრება უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა, რაც ხელს შეუწყობს ბანკის სტრატეგიის, მათ შორის, სტრატეგიული გეგმისა და ბიზნესგეგმის (ბიუჯეტი), შემუშავებასა და მისი განხორციელების მონიტორინგს. ამ სტრუქტურას ასევე უნდა მიენიჭოს უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა, გააანალიზოს აქტუალური და მიზნობრივი ანგარიშები ბიზნესგეგმასთან დაკავშირებით და მოახსენოს ანალიზის შედეგები დირექტორატს.

სტრატეგიული გეგმა და ბიზნესგეგმა (ბიუჯეტი) უნდა მიიღოს დირექტორატმა და დაამტკიცოს სამეთვალყურეო საბჭომ. ამ გეგმებს უნდა გაეცნოს ბანკის ყველა თანამშრომელი და პასუხისმგებელი პირი ორგანიზაციული სტრუქტურის ყველა დონეზე.

საკონტროლო კითხვები:

1. რატომ წარმოადგენს საბანკო რისკების ცოდნა, აღმოჩენა, იდენტიფიკაცია და კონტროლი სახელმწიფო ინტერესის ობიექტს?
2. რა არის საბანკო რისკი?
3. რა შეგიძლიათ თქვათ საბანკო რისკების კლასიფიკაციაზე?
4. წარმოშობის წყაროებს მიხედვით საბანკო რისკების კლასიფიკაცია რომელი ოთხი ძირითადი მიმართულების რისკებს მოიცავს?
5. რა შედის ფინანსური რისკების ჯგუფში?
6. რომელ რისკებს მოიცავს მომსახურების მიწოდების რისკების ჯგუფი?
7. რომელ სახეობებს მოიცავს მმართველობითი რისკები?
8. რა შედის დანარჩენი (გარე) რისკების ჯგუფში?
9. რას გულისხმობს ძირითად და არაძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული საბანკო რისკები?
10. რას გულისხმობს საბანკო რისკები საქმიანობის სფეროების მიხედვით?
11. როგორ დაახასიათებდით საკრედიტო რისკს?
12. რა იცით საკრედიტო რისკის წარმოშობის მიზეზების შესახებ?
13. როგორია სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის როლი საკრედიტო რისკებთან მიმართებაში?
14. რას ნიშნავს საბაზრო რისკი და რომელ კომპონენტებს მოიცავს იგი?

15. როგორ დაახასიათებდით საპროცენტო რისკს და მისი წარმოშობის წყაროებს?
16. რას გულისხმობს სავალუტო რისკი?
17. როგორია საფონდო რისკის განმარტება?
18. როგორია სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის როლი საბაზრო რისკებთან მიმართებაში?
19. რას ნიშნავს კომერციული ბანკის ლიკვიდობის რისკი და მისი რომელი სახეობები იცით?
20. როგორ დაახასიათებდით სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის როლს ლიკვიდობის რისკთან მიმართებაში?
21. რა იცით საოპერაციო რისკისა და მისი სახეობების შესახებ?
22. რას გულისხმობს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის როლი საოპერაციო რისკთან მიმართებაში?
23. როგორ დაახასიათებდით სამართლებრივ რისკს და უმაღლესი მენეჯმენტის როლს რეპუტაციის რისკთან მიმართებაში?
24. რას გულისხმობს რეპუტაციის რისკი და როგორია უმაღლესი მენეჯმენტის როლი მასთან მიმართებაში?
25. როგორ გესმით სტრატეგიული რისკი და უმაღლესი მენეჯმენტის როლი სტრატეგიულ რისკთან მიმართებაში?

23 თავი

საბანკო რისკების მართვა

შინაარსი:

23.1. რისკმენეჯმენტი კომერციულ ბანკში;
23.2. რისკების შეფასებისა და მართვის სისტემა;
23.3. რისკების მართვის გამოყენება საბანკო ზედამხედველობის თვალსაზრისით.

ძირითადი ელემენტები:

1. კომერციული ბანკის რისკმენეჯმენტის არსი;
2. კომერციული ბანკის რისკების მართვის პოლიტიკა;
3. რისკების მართვის სტრუქტურული ერთეულები კომერციულ ბანკში;
4. რისკების მართვის პროცესი კომერციულ ბანკში;
5. საბანკო ზედამხედველობა CAMELS-ის სისტემით;
6. საბანკო ზედამხედველობა თემატური შემოწმებით;
7. რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები;
8. სავალდებულო ეკონომიკური ნორმატივები კომერციული ბანკებისათვის.

გამოყენებული სქემები, ნახატები და ცხრილები:

ცხრ. №23.1. კომერციული ბანკების სავალდებულო ნორმატივების ტიპები და რაოდენობა საქართველოში (ისტორიული გენეზისი);
ცხრ. №23.2. კომერციული ბანკის საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების გაანგარიშების ტიპური მაგალითი.

23.1. რისკმენეჯმენტი კომერციულ ბანკში

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც არაერთხელ აღინიშნა, სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან (ეროვნული ბანკის სახით) მთავარი საზრუნავი კომერციული ბანკების დროებით საკუთრებაში გადაცემული სახსრების მფლობელთათვის დროულად და სრულად დაბრუნების გარანტირების მექანიზმების არსებობაა. როგორც წესი, კომერციული ბანკის გაკოტრება ხდება არა ერთბაშად და მოულოდნელად. ბანკის გაკოტრების მთავარი მიზეზია მენეჯმენტის მხრიდან რისკების იგნორირების ხანგრძლივი პროცესი, რომელიც გარკვეული პერიოდის შემდეგ უკვე შეუქცევადი ხდება.

ამ შემთხვევაში სახელმწიფოს პოზიცია კომერციული ბანკების საქმიანობისადმი, მათი რისკების თვალსაზრისით, მარტივია: კომერციულ ბანკს, როგორც ბიზნესს, მის მენეჯმენტსა და აქციონერებს შეუძლიათ ზედმეტი რისკის ქვეშ დააყენონ თავიანთი კაპიტალი და მოგება, მაგრამ არა საზოგადოების კაპიტალი. სწორედ ამიტომაა კომერციული ბანკები და მათი საქმიანობა ბევრად უფრო მკაცრი ოფიციალური ზედამხედველობის საგანი, ვიდრე სამეწარმეო საქმიანობის სხვა მიმართულებები და სწორედ აღნიშნული მიდგომა განაპირობებს იმ მოთხოვნებს, რომელთაც ცენტრალური ბანკები უყენებენ კომერციულ ბანკებს რისკების მართვის მიმართულებით.

რისკების მართვა კომერციულ ბანკში, ანუ **რისკმენეჯმენტი**, ესაა რისკების იდენტიფიკაციის, შეფასებისა და მათი დონის შემცირების ღონისძიებათა კომპლექსი. რისკების მართვის სისტემა კომერციული ბანკის ეფექტიანი მართვის, არსებული რისკების მინიმიზაციის, ახალი რისკების გამოვლენისა და მისი კონკურენტუნარიანობის გაზრდის საშუალებას იძლევა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნები კომერციული ბანკების რისკმენეჯმენტის მიმართულებით ეფუძნება დასავლეთის განვითარებული ქვეყნების მდიდარ გამოცდილებასა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების რეკომენდაციებს. ფაქტობრივად, ამ მოთხოვნებს პასუხობს მთელი საბანკო ზედამხედველობა, რომლის მიზნებია კომერციული ბანკების საქმიანობის რეგულირების მეშვეობით საბანკო სისტემის სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფა, საბანკო სისტემაში სისტემური კრიზისის წარმოქმნის ალბათობის მინიმიზაცია და ამ გზით ბანკების დეპოზიტორთა და სხვა კრედიტორთა ფულადი სახსრების მაქსიმალურად დაცვა. საბანკო ზედამხედველობის მართლზომიერების ძირითად არგუმენტს მეანაბრეთა დანაკარგის რისკის შემცირება და ამ გზით ბანკების მიმართ საზოგადოების ნდობის განმტკიცება წარმოადგენს.

საბანკო ზედამხედველობის განხორციელებისას, კომერციული ბანკების რისკების მართვის თვალსაზრისით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შექმნილია მთელი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ამ რისკების მინიმიზაციას. მათ შორის უნდა აღინიშნოს ისეთი ნორმატიული აქტები, როგორებიცაა: „დებულება კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე“, „კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესი“, „კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესი“, „კომერციული ბანკების საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტის დადგენის, გაანგარიშებისა და დაცვის წესი“, „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების

შესახებ დებულება", „კომერციულ ბანკებში კრედიტების კონცენტრაციისა და მსხვილი რისკების შესახებ დებულება" და სხვ.

ამ და სხვა ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებით, ბოლო ათწლეულებში საბანკო საქმიანობის არეალის გაფართოებას, ფასიანი ქაღალდებისა და სადაზღვევო ბაზართან მჭიდროდ დაახლოებას, ფინანსურ გლობალიზაციას მოჰყვა საბანკო ოპერაციებთან დაკავშირებული კომპლექსური რისკების ზრდა. საბანკო ოპერაციებთან დაკავშირებული კომპლექსური რისკების ზრდა დღის წესრიგში აყენებს გამართული **კორპორაციული მართვის აუცილებლობას,** რაც, თავის მხრივ, გულისხმობს:

- ბანკის მენეჯმენტის, პოლიტიკისა და პროცედურების აქტიურ ზედამხედველობას;
- რისკების შეფასებასა და დადგენას, მათი ლიმიტების განსაზღვრასა და მონიტორინგს;
- საინფორმაციო სისტემების, რისკების კონტროლისა და შიდა კონტროლის სისტემების დანერგვას.

ეფექტიანი რისკმენეჯმენტი, ანუ რისკების მართვის კომპლექსის ძირითადი არსი მდგომარეობს მისი პროცედურებისა და მეთოდოლოგიის ადეკვატურობაში, რათა უზრუნველყოფილი იყოს ბანკების ფუნქციონირება მისაღები ლიმიტების ფარგლებში. ამასთან, ბაზრის სხვადასხვა პირობისა და სტრუქტურის, ბანკების ოპერაციების მოცულობის, კომპლექსურობისა და ნებისმიერი ბანკისათვის რისკების მართვის ერთიანი უნივერსალური მექანიზმის არარსებობის გათვალისწინებით, აუცილებელია თითოეულმა ბანკმა შექმნას რისკების მართვის სტრუქტურა და მისთვის დამახასიათებელი რისკების მართვის სისტემა.

იმისათვის, რომ განხორციელდეს ეფექტიანი რისკმენეჯმენტი, კომერციულმა ბანკმა, უპირველეს ყოვლისა, ზუსტად უნდა განსაზღვროს რისკები, აღიაროს და გაერკვეს მისთვის დამახასიათებელ ყველა რისკში, რომლებმაც შეიძლება თავი იჩინონ მის მიერ რაიმე ახალი საქმის განხორციელებისას, მათ შორის, ნებისმიერი რისკი, რომელიც არა მარტო მას, არამედ მასთან დაკავშირებულ კომპანიებს ახასიათებთ.

კომერციული ბანკის მენეჯმენტმა რისკების ზუსტად განსაზღვრის შემდეგ თანმიმდევრობით უნდა განახორციელოს მათი შეფასება, მონიტორინგი და კონტროლი. მონიტორინგის შედეგების საფუძველზე, ბანკმა უნდა გაატაროს ღონისძიებები რისკების შესამცირებლად, მათ შორის, კაპიტალის გაზრდით, ჰეჯირებითა და რისკის შესუსტების სხვა მექანიზმებით.

საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნით, კომერციულ ბანკი ვალდებულია შეიმუშაოს რისკების ადეკვატური კონტროლის ღონისძიებები იმ არსებითი საფრთხეების მიმართ, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ბანკს კონკრეტული მიზნების მიღწევაში. რისკების ეფექტიანი მართვა აუცილებლად გულისხმობს ყველა შესაძლო რისკის მართვას. აღნიშნული მიიღწევა იმ შემთხვევაში, თუ ბანკში დამკვიდრებულია სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატის, შიდა აუდიტის, გარე აუდიტისა და რისკების მართვის შიდა სტრუქტურების მჭიდრო თანამშრომლობა, ჯანსაღი ურთიერთობა და ღია კომუნიკაცია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბანკმა წერილობითი ფორმით უნდა განსაზღვროს რისკების მართვასთან დაკავშირებული თითოეული დონის სამსახურისათვის ზუსტი უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების მიხედვით, მკაცრად განსაზღვრული კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის უფლება-მოვალეობები ეფექტიანი რისკმენეჯმენტის მიმართულებით, კერძოდ:

1) **სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია უზრუნველყოს:**
   - რისკების მართვის პოლიტიკის დამტკიცება და მისი შეფასება, სულ ცოტა, წელიწადში ერთხელ მაინც;
   - რისკების მართვის პოლიტიკის განხორციელების მიმართულებით გატარებული საქმიანობის შესახებ დირექტორატის ანგარიშის შეფასება, სულ ცოტა, კვარტალში ერთხელ;

2) **დირექტორატი პასუხისმგებელია უზრუნველყოს.**
   - რისკების მართვის დეტალური პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავება, რომელიც უნდა მოიცავდეს რისკების საერთო ლიმიტებს, რისკების კონკრეტული სახეობების ლიმიტებსა და ბანკის ცალკეული საქმიანობის მიხედვით რისკების ლიმიტებს, რისკების განმსაზღვრელ დირექტორატს დაქვემდებარებული კოლეგიალური ორგანოებისა და ცალკეული პირების უფლებამოსილებას;
   - გადასინჯოს რისკების მართვის პოლიტიკა და სტრატეგია, სულ ცოტა, წელიწადში ერთხელ მაინც;
   - პასუხისმგებლობა რისკების მართვის პოლიტიკის განხორციელებისა და ბანკის წინაშე მდგარი ყველა რისკის გავლენისათვის.
   - რისკების მართვის სტრატეგიის შეფასება, მითითებების მომზადება და კვარტალური ანგარიშგების წარდგენა სამეთვალყურეო საბჭოსათვის;
   - რისკების მართვის კულტურის შემუშავება, შიდა კონტროლის ეფექტიანობიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, რაც გულისხმობს ადეკვატურ კომუნიკაციას ორგანიზაციული სტრუქტურის ყველა დონეზე;
   - რისკების მართვის განმახორციელებელ თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება;
   - რისკების მართვის სამსახურის დამოუკიდებელი ფუნქციონირება, რაც გულისხმობს ფუნქციების გამიჯვნას რისკების მართვის სამსახურსა (რომელიც ახორციელებს რისკების განსაზღვრას, შეფასებას, მონიტორინგსა და კონტროლს) და იმ სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ საბანკო ოპერაციებს;
   - განხილვის რეგულარულობა, რომლის სიხშირეც განისაზღვრება მოთხოვნების შესაბამისად.

კომერციულ ბანკს, როგორც წესი (მათ შორის, საქართველოში, ეს სავალდებულოა), უნდა ჰქონდეს რისკების მართვის პოლიტიკა. **კომერციული ბანკის რისკების მართვის პოლიტიკა** – ესაა რისკების მართვის მიზნით შექმნილი წერილობითი დოკუმენტი და იგი უნდა შეესაბამებოდეს ბანკის ხედვას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. ესაა რისკების მართვის სტრატეგიათა გაერთიანება, რომელმაც სხვა ასპექტებთან ერთად უნდა უზრუნველყოს და მოიცვას შემდეგი ძირითადი ელემენტები:

- ბანკი უნდა იმართებოდეს ისეთი ადამიანური რესურსების გამოყენებით, რომელთაც აქვთ რისკის მართვასთან დაკავშირებული ცოდნა და გამოცდილება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

- განსაზღვრული უნდა იყოს ბანკის მიერ საბანკო პროდუქტებთან და ოპერაციებთან დაკავშირებული რისკები თითოეული საბანკო პროდუქტისა და ოპერაციისათვის დამახასიათებელი რისკის ანალიზის საფუძველზე;
- ბანკის ეკონომიკური ნორმატივების გათვალისწინებით, რისკების შეფასების მეთოდების შემუშავება და რისკის მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნა ბანკის თითოეული საბანკო პროდუქტისა და ოპერაციის, აგრეთვე ოპერაციებისათვის დამახასიათებელი რისკის ზუსტი დაანგარიშების მიზნით;
- ანგარიშების მომზადება რისკების თაობაზე იმ მონაცემებისა და ინფორმაციის შესახებ, რომლებიც გამოყენებული იქნება ოპტიმალური ბიზნესგადაწყვეტილებების მისაღებად;
- ლიმიტებისა და რისკების იმ ზღვრების დადგენა, რომლებიც პოტენციური რისკების ლიმიტებს წარმოადგენენ და შეიძლება ბანკის კაპიტალმა აიტანოს. აგრეთვე ბანკის რისკების მართვის მონიტორინგის ინსტრუმენტის შექმნა;
- ბანკის შიდა კონტროლის სისტემის შექმნა რისკების მართვის გამოყენებასთან დაკავშირებით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამისობა შიდა პოლიტიკასა და პროცედურებთან, საკანონმდებლო მოთხოვნებთან, მენეჯმენტისა და ფინანსური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და რისკის კულტურის ეფექტიანობა ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურის ყველა დონეზე;
- რისკების რეიტინგის შეფასება, რომელიც უნდა გახდეს ბანკის მიერ საბანკო პროდუქტებისა და ოპერაციების მაკორექტირებელი ღონისძიებებისა და რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების განხორციელების საფუძველი;
- გაუთვალისწინებელ გარემოებათა გეგმის მომზადება ყველაზე ცუდი სცენარების გათვალისწინებით (გარე და შიდა ფაქტორები), რათა უზრუნველყოფილ იქნეს ბანკის გადარჩენა.

რისკების მართვის პოლიტიკისა და ცალკეული რისკების სახეობების (ლიკვიდობის, საპროცენტო, სავალუტო და ა.შ.) შესაბამისი პროცედურების ფორმულირებისა და რისკების ლიმიტების დადგენისას ბანკმა უნდა გაითვალისწინოს რისკისადმი მიდრეკილება. ამ პროცედურებისა და ლიმიტების დადგენამ, როგორც წესი, უნდა მოიცვას შემდეგი:

- ანგარიშვალდებულებისა და უფლებამოსილების გადაცემის ზუსტი მასშტაბები;
- ლიმიტებისა და პროცედურების დადგენის შესახებ ადეკვატური დოკუმენტაცია, რომელიც ხელს შეუწყობს განხილვასა და აუდიტს;
- დადგენილი პროცედურებისა და ლიმიტების რეგულარული განხილვა წელიწადში ერთხელ მაინც ან უფრო ხშირად, რომელიც ბანკის რისკის პროფილს, ტიპს, მოთხოვნებსა და განვითარებას შეესაბამება;
- როგორც საერთო ლიმიტების დაწესება, ასევე ლიმიტები რისკის ცალკეული სახეობებისა და ბანკის სპეციფიკურ ოპერაციებთან დაკავშირებული რისკების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ვხედავთ, კომერციულ ბანკში რისკმენეჯმენტის სისტემის ეფექტიან მუშაობაში მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია **რისკების მართვის სამსახურში დასაქმებული პერსონალის** უნარ-ჩვევებს, რომელთა შორის აღსანიშნავია:

- უნდა ესმოდეთ ბანკის თითოეული პროდუქტისათვის/საქმიანობისათვის დამახასიათებელი რისკი;
- უნდა ესმოდეთ შესაბამისი რისკფაქტორები და საბაზრო პირობები, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ ბანკის პროდუქტებზე/საქმიანობაზე და შეეძლოთ შეაფასონ ამ ფაქტორების შეცვლით გამოწვეული თითოეული შედეგის გავლენა ბანკის სიცოცხლისუნარიანობაზე;
- უნდა ჰქონდეთ გამოცდილება და უნარი, რომ ბანკის წინაშე მდგარი რისკების შესახებ ინფორმაცია დროულად მიაწოდონ დირექტორატს და რისკების მართვის კომიტეტს.

ეფექტიანი რისკმენეჯმენტის შესაქმნელად ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურა ისე უნდა აიგოს, რომ უზრუნველყოფილი იყოს კონკრეტული ოპერაციის განმახორციელებელი, ანუ რისკების ამღები, თითოეული სამსახურის დამოუკიდებლობა შიდა აუდიტისა და ასევე რისკების მართვის სამსახურებისაგან. ეფექტიანი რისკმენეჯმენტის შესაქმნელად კომერციული ბანკის სტრუქტურა აუცილებლად უნდა მოიცავდეს ორ სტრუქტურულ ერთეულს:

- კოლეგიალური ორგანო – რისკების მართვის კომიტეტი;
- დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული – რისკების მართვის სამსახური.

რისკების მართვის კომიტეტი, როგორც აღინიშნა, არის კოლეგიალური ორგანო, რომელიც იკრიბება პერიოდულად და მას შეიძლება ჰყავდეს მუდმივი და არამუდმივი წევრები. იგი უნდა შედგებოდეს დირექტორატის წევრთა, სულ ცოტა – უმრავლესობისა და შესაბამისი პასუხისმგებელი პირებისაგან:

- თუ, მაგალითად, ბანკის დირექტორატში 5 წევრია, რისკების მართვის კომიტეტში უნდა შედიოდეს სამი წევრი მაინც, მათ შორის, აუცილებლად ის დირექტორი, რომელიც კურირებს რისკების მართვის სამსახურს;
- რისკების მართვის კომიტეტში პასუხისმგებელი პირები შეყვანილი უნდა იყვნენ რისკების მართვის კომიტეტის სხდომაზე განსახილველი საკითხების გათვალისწინებით, როგორებიცაა, მაგალითად, სახაზინო, საინვესტიციო და საკრედიტო საქმიანობა, საბანკო ოპერაციები და ა.შ.

პრაქტიკიდან გამომდინარე, კომერციულ ბანკში რისკების მართვის კომიტეტის სახელწოდება შეიძლება განსხვავებული იყოს, მაგალითად, „აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი“, „აქტივ-პასივებისა და რისკების მართვის კომიტეტი“, „რისკების მართვის კომიტეტი“.

რისკების მართვის სამსახური დამოუკიდებელი უნდა იყოს რისკების ამღები სტრუქტურული ერთეულებისაგან, როგორებიცაა: ხაზინის, ინვესტიციების, დაკრედიტების, ბულალტრული აღრიცხვისა და შიდა აუდიტის სტრუქტურული ერთეულები და მათი კურატორი დირექტორი. რისკების მართვის სამსახურის უფლებამოსილებამ და პასუხისმგებლობამ უნდა მოიცვას შემდეგი:

- მონიტორინგი გაუწიოს რისკების მართვის კომიტეტის მიერ რეკომენდებული და დირექტორატის მიერ დამტკიცებული რისკების მართვის სტრატეგიის განხორციელებას;
- საერთო რისკების მონიტორინგი, აგრეთვე მონიტორინგი ცალკეული რისკისა და ბიზნესის სახეობის მიხედვით;
- სტრესტესტების გამოყენება, რათა დადგინდეს რისკების მართვის პოლიტიკისა და სტრატეგიის განხორციელების გავლენა თითოეული რისკის ამღები სტრუქტურული ერთეულის მუშაობაზე;
- ბანკის შიგნით შემუშავებულ ნებისმიერ ახალ საქმიანობასთან და/ან პროდუქტთან დაკავშირებით წინადადებების განხილვა;
- რისკების პროფილის შესახებ ანგარიშის მომზადება და ბანკის გენერალური დირექტორისა და რისკების მართვის კომიტეტისათვის წარდგენა რეგულარულად. ჩვეულებრივ შემთხვევაში ანგარიში წარდგენილი უნდა იყოს, სულ ცოტა, ყოველ კვარტალში ერთხელ. რაიმე მოულოდნელი ცვლილების შემთხვევაში ანგარიში უფრო ხშირი ინტერვალებით უნდა მომზადდეს.

რისკების მართვის სამსახური, როგორც წესი, შედარებით მცირე აქტივების მქონე კომერციულ ბანკში ფუნქციონირებს ერთიანი სტრუქტურული ერთეულის სახით. რაც შეეხება დიდ ბანკებს, აქ შეიძლება ადგილი ჰქონდეს რამდენიმე დამოუკიდებელი რისკის მართვის სამსახურის არსებობას (მაგალითად, ფინანსური რისკების, საკრედიტო რისკებისა და ა.შ.).

23.2. რისკების შეფასებისა და მართვის სისტემა

თანამედროვე საბანკო ბაზარი წარმოუდგენელია რისკების გარეშე. რისკი არის ნებისმიერი საბანკო ოპერაციის თანმდევი, უბრალოდ, იგი შეიძლება იყოს სხვადასხვა მასშტაბის, განსხვავებულია მათი განეიტრალების ბერკეტებიც და ძალისხმევაც. კომერციული ბანკი, თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე, უნდა იყოს საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე საიმედო ინსტიტუტი, ეკონომიკური სტაბილურობის საფუძველი.

საბანკო რისკები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან წარმოშობის ადგილისა და დროის, დამახასიათებელი შიდა და გარე ფაქტორების ერთობლიობის მიხედვით. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ საბანკო რისკების სხვადასხვა ტიპი ურთიერთდაკავშირებულია და ერთი რისკის ცვლილება ზრდის ან ამცირებს თითქმის ყველა დანარჩენ რისკს. ეს, რა თქმა უნდა, ართულებს კონკრეტული რისკის შეფასების მეთოდის შერჩევას და მისი ოპტიმიზაციის გადაწყვეტილების მიღებას მივყავართ სხვა რისკფაქტორების ანალიზისაკენ. ამიტომ, მთავარი მოთხოვნა, რასაც საბანკო რეგულაცია უყენებს კომერციულ ბანკებს, არის არა რისკების საერთოდ განეიტრალება, არამედ „გონივრულად გარისკვა“. საბანკო რისკების მაღალ დონეზე, პროფესიონალურად მართვა, რისკფაქტორების ოპერატიული აღმოჩენა, იდენტიფიკაცია, აღრიცხვა და მათი განეიტრალების ბერკეტების ამუშავება პირველხარისხოვანი მნიშვნელობისაა.

როგორც აღინიშნა, საბანკო საქმიანობა არის სახელმწიფო ზედამხედველობის მხრიდან ყველაზე რეგულირებადი საქმიანობა. საქართველოს

ეროვნულმა ბანკმა შექმნა რისკების კონტროლის სისტემა, სარისკო ოპერაციების „ჩარჩოები“, რაც მოიცავს სავალდებულო რეზერვების შექმნას ვალდებულებების მიხედვით, აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირებას, მოთხოვნებს კაპიტალის მოცულობისა და ადეკვატურობის მიმართ, ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტს, სავალდებული ეკონომიკურ ნორმატივებს, მოთხოვნებს შიდა კონტროლის (შიდა აუდიტი) მიმართ და ა.შ.

რისკების მართვის პროცესი კომერციულ ბანკში შედგება შემდეგი ელემენტებისაგან:

1) რისკების დადგენა;
2) რისკების შეფასება;
3) ლიმიტების დადგენა თითოეული რისკის სახეობისათვის და მათი მონიტორინგი;
4) რისკების მართვის საინფორმაციო სისტემები;
5) რისკების კონტროლი;
6) აქტივებისა და ვალებულებების მართვა;
7) რისკების შეფასება სტრესტესტების მოდელების გამოყენებით.

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

1) რისკების დადგენა არის საბანკო რისკების მართვის პროცესის პირველი ეტაპი, რომლის მიზანია იდენტიფიცირება ბანკის მიერ საბანკო ოპერაციებისათვის დამახასიათებელი ყველა იმ სახეობის რისკისა, რომელთაც შეიძლება ბანკს ზარალი მოუტანონ. რისკის განსაზღვრის დროს მნიშვნელოვანია, გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი ფაქტორები:

- ყველა სახეობის ოპერაციისა და პროცესის მოცვა;
- რისკების შესახებ ინფორმაციის კონსოლიდაცია და ანალიზი ინფორმაციის ნებისმიერი წყაროს გამოყენებით;
- რისკების ალბათობის ანალიზი და ამ რისკების შედეგები.

2) რისკების შეფასებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა მეთოდი (რაოდენობრივი, ხარისხობრივი, სტანდარტული, ალტერნატიული). რისკების შეფასებისას გამოყენებული მეთოდი უნდა შეესაბამებოდეს ბიზნეს-ოპერაციების სახეობას, მასშტაბებსა და კომპლექსურობას, მონაცემთა შეგროვების შესაძლებლობებს, დირექტორატისა და შესაბამისი აღმასრულებელი პირების უნარს, აღიქვან გამოყენებული რისკების შეფასების სისტემის შეზღუდვათა საბოლოო შედეგები. მეტად მნიშვნელოვანია, რომ რისკების შეფასების მეთოდები გასაგები იყოს ბანკის იმ თანამშრომლებისათვის, რომლებიც ჩართული არიან რისკმენეჯმენტის სისტემაში, მათ შორისაა (და არა მხოლოდ) რისკების მართვის კომიტეტი, ხაზინის სამსახური, რისკების მართვისა და შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები. ლიკვიდობის თემის განხილვისას შევეხეთ „გეპ“-ის ანალიზს, ცნობილია ასევე რისკების გაზომვის სტატისტიკური მეთოდი VaR (Value at Risk) და სხვ.

3) რისკების ლიმიტები, როგორც რისკების მონიტორინგის ნაწილი, უნდა დადგინდეს შემდეგნაირად:

- გათვალისწინებულ იქნეს ბანკის რისკების მასშტაბები ან მათგან გამოწვეული ზარალისა და რისკების მიმართ ბანკის კაპიტალის ამტანობის ზღვრები, ანუ ივლება „წითელი ხაზი“ თითოეული რისკისათვის, რომლის იქით ბანკმა აღარ უნდა გასწიოს რისკი;

- გათვალისწინებულ იქნეს წარსულის გამოცდილება ზარალთან მიმართებაში და ადამიანური რესურსების უნარი;
- ნებისმიერი პოზიციის დაწესებულ ლიმიტზე გადამეტების შემთხვევაში ინფორმაცია უნდა წარედგინოს რისკების მართვის სტრუქტურულ ერთეულს, რისკების მართვის კომიტეტსა და საჭიროების შემთხვევაში – დირექტორატს.

ლიმიტების დადგენა არის უმნიშვნელოვანესი ელემენტი რისკების მართვის სისტემაში და მან უნდა მოიცვას შემდეგი:

- ლიმიტი საბანკო ოპერაციებსა და პროდუქტებზე;
- ლიმიტი უცხოურ ვალუტაზე;
- ლიმიტი ღია სავალუტო პოზიციაზე;
- დასაშვები ზარალის (დანაკარგის) ლიმიტი;
- დღიური ლიმიტი;
- ლიმიტი ცალკეულ მსესხებელსა და ოპერაციის მონაწილე მეორე მხარეზე;
- ლიმიტი დაკავშირებულ მხარეებზე;
- ლიმიტი სამეურნეო და გეოგრაფიული სეგმენტების მიხედვით.

რისკების მართვის სამსახური ახდენს ლიმიტების განსაზღვრას. როგორც წესი, თითოეული რისკისათვის შეიძლება დადგინდეს სხვადასხვა დონე (მაგალითად, „ზომიერი“, „საყურადღებო“, „კრიტიკული“ და ა.შ.). რისკების სამსახურის მიერ დადგენილ ლიმიტებს თითოეული რისკის მიხედვით ამტკიცებს რისკების მართვის კომიტეტი ან სხვა კოლეგიალური ორგანო (აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი, საკრედიტო კომიტეტი, დირექტორატი), მათი უფლებამოსილების შესაბამისად. რა თქმა უნდა, ლიმიტების განსაზღვრისას ყურადსაღებია ქვეყანაში არსებული საბანკო რეგულაციები.

4) რისკების მართვის საინფორმაციო სისტემა, როგორც რისკების მართვის პროცესის ნაწილი, მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების ნაწილია და აუცილებელია მისი შემუშავება. რისკების მართვის საინფორმაციო სისტემის ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენს ანგარიში რისკების შესახებ. იგი აუცილებლად უნდა მომზადდეს რეგულარულად, რისკების მართვის სამსახურის ან უფლებამოსილი პირების მიერ, რომლებიც დამოუკიდებელი არიან ოპერაციებში ჩართული სხვა ნებისმიერი სტრუქტურული ქვედანაყოფისაგან.

რისკების მართვის საინფორმაციო სისტემა უნდა ითვალისწინებდეს რაოდენობრივ-ტექნიკურ ფორმატში შეფასებული რისკების გადაყვანას ხარისხობრივ ფორმატში მაქსიმალურად ავტომატიზებულად, რომელიც ადვილად გასაგები იქნება უმაღლესი მენეჯმენტისათვის.

5) რისკების კონტროლი აუცილებელია კონკრეტული რისკის სამართავად. ბანკს შეუძლია გააკონტროლოს რისკები ისეთი საზომების მეშვეობით, რომლებიც მოიცავენ ჰეჯირებასა და რისკების შემცირების სხვა მეთოდებს, როგორებიცაა, მაგალითად, გარანტიების გაცემა, „სეკურიტიზაცია“ და საკრედიტო დერივატივები, და გააძლიეროს ბანკის კაპიტალი პოტენციური რისკის გასანეიტრალებლად.

6) აქტივებისა და ვალდებულებების მართვა გულისხმობს კომერციულ ბანკში საპროცენტო, სავალუტო და ლიკვიდობის რისკების კონტროლს. აქ-

ტივებისა და ვალდებულებების მართვის ეფექტიანი გამოყენების ხელშესაწყობად ბანკებში იქმნება აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი. როგორც ზემოთ აღინიშნა, ზოგიერთ ბანკში ამ და რისკების მართვის კომიტეტების ფუნქციები და უფლება-მოვალეობები ერთ კომიტეტშია თავმოყრილი.

აქტივ-პასივების მართვის კომიტეტის კომპეტენციაში შედის ისეთი საკითხების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება, როგორებიცაა:

- სახსრების (ფონდების) განთავსების სტრატეგია;
- სახსრების მოზიდვის დაფინანსების სტრატეგია;
- ფასწარმოქმნის სტრატეგია (საბანკო პროდუქტებზე ფასების დაწესება);
- ჰეჯირების სტრატეგია;
- საპროცენტო რისკების მართვა, კერძოდ, ლიმიტების დაწესება სპეციალურ რისკებზე, ასევე რისკების შეფასება „გეპ"-ის ანალიზის, ხანგრძლივობის „დურაციის" ანალიზის ან სიმულაციის მოდელის გამოყენებით.

აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი, როგორც გასული მასალიდან გვახსოვს, არის კოლეგიალური ორგანო, რომელიც იკრიბება პერიოდულად, როგორც წესი, კვარტალში ერთხელ მაინც, და მის მუდმივმოქმედ წევრებს ამტკიცებს ბანკის სამეთვალყურეო საბჭო.

კომიტეტის რეგულარულ შეხვედრებზე, როგორც წესი, განიხილება ისეთი საკითხები, როგორებიცაა: გადაწყვეტილებები მოკლევადიან განთავსებებზე, ფასები და დაფინანსებასთან დაკავშირებული სხვა გადაწყვეტილებები, ტენდენციები და ფაქტობრივი შედეგები ბიუჯეტის გეგმურ პარამეტრებთან მიმართებაში, საპროცენტო რისკების გავლენა ბანკის აქტივებსა და ვალდებულებებზე.

7) რისკების შეფასება სტრესტესტების მოდელების გამოყენებით

მიზნად ისახავს რისკების შეფასებას ანომალიურ საბაზრო პირობებში, ბანკის პოტენციური ეკონომიკური ზარალის შეფასების მეშვეობით, რათა დადგინდეს ბანკის მგრძნობელობა და მდგრადობის უნარი რისკფაქტორების ცვლილებებისადმი და იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ბანკის პორტფელზე.

სტრესტესტის ჩატარებისას რისკების შეფასების სისტემა უნდა იყოს საკმაოდ მოქნილი, რაც მრავალი სცენარის გამოყენების საშუალებას შექმნის. სტრესტესტის დროს გამოყენებული დაშვებები გულდასმით უნდა იქნეს შემუშავებული, რათა მოხდეს ბანკის პორტფელში არსებული ტენდენციების შემოწმება. ბანკმა უნდა ჩაატაროს სტრესტესტი წარსულში მიღებული უდიდესი ზარალის (დანაკარგის) საფუძველზე და წარსულში მომხდარი დიდი საბაზრო ცვლილებების გათვალისწინებით.

სტრესტესტის ანალიზის მეშვეობით შესაძლებელი უნდა გახდეს პოტენციური ზარალის დაანგარიშება, რის შედეგადაც ბანკს შესაძლებლობა მიეცემა, შეაფასოს ყველა უარყოფითი შედეგი, რაც შეიძლება მის მოგებასა და კაპიტალში ცვლილებებით იყოს გამოწვეული.

როგორც წესი, კომერციულ ბანკში თითოეული მნიშვნელოვანი რისკისათვის ცალ-ცალკე დგინდება ამ რისკის მართვის პოლიტიკა, პროცედურა, ლიმიტები და მათი გაანგარიშების მეთოდიკა.

ეროვნული ბანკი

დაბოლოს, ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას რისკების მართვასთან დაკავშირებულ შიდა კონტროლის სისტემაზე, რომელიც ფუნქციონირებს კომერციულ ბანკში. ამ სისტემის მასშტაბები, როგორც წესი, უნდა მოიცავდეს უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის დადგენას პოლიტიკების, პროცედურებისა და ლიმიტების შესაბამისობის მონიტორინგისათვის და ასევე ანგარიშვალდებულებათა დადგენასა და ფუნქციების მკაფიო განაწილებას რისკის წარმომქმნელ და მაკონტროლებელ სტრუქტურებს შორის.

23.3. რისკების მართვის გამოყენება საბანკო ზედამხედველობის თვალსაზრისით

როგორც ნებისმიერი ცენტრალური ბანკი, საქართველოს ეროვნული ბანკიც საზედამხედველო პოლიტიკის გატარებისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს კომერციულ ბანკებში რისკების მართვის სისტემების ადეკვატურობას, რათა ეს სისტემები იძლეოდნენ რისკების გონივრული მართვის, დროული იდენტიფიცირების, ადეკვატური შეფასების, ეფექტიანი მინიტორინგისა და კონტროლის საშუალებას.

თანამედროვე ქართულ პრაქტიკაში ეროვნული ბანკის მხრიდან საზედამხედველო ფუნქციის შესრულებისას კომერციული ბანკების რისკების მართვისათვის ძირითადად გამოიყენება სამი მიმართულება:

I. საბანკო ზედამხედველობა CAMELS-ის სისტემით;
II. საბანკო ზედამხედველობა თემატური შემოწმებით;
III. სავალდებულო ნორმატივები კომერციული ბანკებისათვის.

დავახასიათოთ ისინი:

I. საბანკო ზედამხედველობა CAMELS-ის სისტემით

საქართველოში CAMELS-ის სისტემით კომერციული ბანკების რისკების შეფასების საფუძველს წარმოადგენს „კომერციული ბანკების ფინანსური ანგარიშგებისა და სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე ფინანსური მდგომარეობის CAEL-ის სისტემით ანალიზისა და შეფასების მეთოდური სახელმძღვანელო“ [24]. სახელმძღვანელოს მიხედვით, „საბანკო ზედამხედველობის ძირითად არგუმენტს მეანაბრეთა დანაკარგის რისკის შემცირება და ამ გზით ბანკების მიმართ საზოგადოების ნდობის განმტკიცება წარმოადგენს“. გასულ მასალაში ვისაუბრეთ CAMELS-ის სისტემის შესახებ, ასევე ცალკეული თემების განხილვისას (აქტივები, ლიკვიდობა, მოგება) შევეხეთ ბანკის რისკების ანალიზისა და შეფასების საკითხებს. ამჯერად მოკლედ შევაფასოთ აღნიშნული სახელმძღვანელოს ძირითადი საკითხები.

როგორც ვიცით, CAMELS-ის სისტემით ჩატარებული ანალიზის შემდეგ ხდება კომერციული ბანკისათვის შესაბამისი რეიტინგის დადგენა 1-დან 5-მდე. მინიჭებული რეიტინგი უნდა ასახავდეს კომერციული ბანკის არსე-

24 დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2007 წლის 25 სექტემბრის №251 ბრძანებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულ ფინანსურ მდგომარეობას, მოსალოდნელი რისკების გათვალისწინებით, თუ როგორ იცავს ბანკი დადგენილი კანონებისა და წესების დაცვას. ამასთან, აუცილებელია, დაბალი რეიტინგის (3, 4, 5) მქონე ბანკების ზედამხედველობის დასკვნა მოიცავდეს ინფორმაციას ბანკში არსებული პრობლემებისა და ნაკლოვანებების შესახებ, მათ დონესა და სერიოზულობას. დასკვნაში ასევე მითითებული უნდა იყოს არსებული პრობლემების წარმოშობის მიზეზები, მათი აღმოფხვრისათვის გასატარებელი ღონისძიებები და რეკომენდაციები. მთლიანობაში დასკვნამ უნდა მოიცვას ბანკის არსებული ფინანსური მდგომარეობის ანალიზი, ბანკის საქმიანობისა და რისკის პროფილის შეფასება, ანუ რომელ რისკებთან გვაქვს საქმე.

სახელძღვანელოში აღნიშნულია, რომ ანალიზისა და რეიტინგის მინიჭების დროს უმთავრესია დადგინდეს ბანკის წინაშე მდგარი რისკები, ვინაიდან ბანკი დღეს შეიძლება სტაბილური და უსაფრთხო იყოს, მაგრამ მაღალი რისკის ფაქტორებმა, მათი არასწორი და არაკომპეტენტური მართვის შემთხვევაში, შეიძლება მისი ფინანსური მდგომარეობის სწრაფი გაუარესება გამოიწვიოს. როგორც გვახსოვს, CAEL-ის რეიტინგული სისტემით ხდება კაპიტალის, აქტივების, მოგება-ზარალისა და ლიკვიდობის მდგომარეობისა და მათთან დაკავშირებული მოსალოდნელი რისკების შეფასება.

II. საბანკო ზედამხედველობა თემატური შემოწმებით

თემატური შემოწმება შეიძლება განხორციელდეს ადგილზე გასვლით (ინფორმაციის მიღება უშუალოდ ბანკში) ან ადგილზე გაუსვლელად (ბანკების მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებების დეტალური შემოწმება). ასეთი მიდგომა განიხილება, როგორც ურთიერთშევსების მექანიზმი და არა როგორც ალტერნატივა. ამასთან, ამ ორი მიმართულების სინთეზით იქმნება ძლიერი კომბინაცია, თუ, რა თქმა უნდა, მათი განხორციელება ხდება კოორდინირებულად. ამ მხრივ თვალსაჩინოა „კომერციული ბანკების ადგილზე შემოწმების მეთოდური სახელმძღვანელო“ [25], რომელიც წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობის დეპარტამენტის ინსპექტორების მიერ კომერციული ბანკების ადგილზე შემოწმების სამუშაოების ეფექტიანად ორგანიზებისა და წარმართვის ინსტრუქციას. ეს არის საკმაოდ მოცულობით დოკუმენტი (453 გვ.) და შედგება 7 თავისა და 31 პარაგრაფისაგან. თვალი გადავავლოთ ამ ჩამონათვალს, რაც გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნის მიმართულებების მრავალფეროვნებასა და განსახილველი საკითხების სირთულეზე:

თავი პირველი — შემოწმების პოლიტიკა და ადმინისტრირება

1. შემოწმების საერთო პოლიტიკა;
2. შემოწმების ადმინისტრირება;

თავი მეორე — კაპიტალი

3. კაპიტალის ანალიზი და მისი ადეკვატურობის სტანდარტები;

თავი მესამე — აქტივების ხარისხი

4. საკრედიტო პორტფელის ანალიზი, განხილვა და კლასიფიკაცია;
5. შეფასების ამოცანები;
6. სავალო ფასიანი ქაღალდებისა და აქციების რისკის მართვის შეფასება;

25 დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2007 წლის 25 სექტემბრის №250 ბრძანებით.

7. სავალო ფასიანი ქაღალდების პორტფელის რისკის მართვის შეფასება;
8. აქტივების ხარისხის რეიტინგი;

თავი მეოთხე — მენეჯმენტის შეფასება

9. ადმინისტრაციის ადეკვატურობის შეფასება;
10. შიდა კონტროლის სისტემის შეფასების პროცედურები;

თავი მეხუთე — მოგება

11. ცნებები და ტერმინთა განმარტებები;
12. მომგებიანობის შეფასება და ადეკვატურობა;
13. მომგებიანობის ფინანსური ანალიზი;
14. მოგების ფინანსური ანალიზის პროცედურები;

თავი მეექვსე — ლიკვიდობა

15. ლიკვიდობის ანალიზი;
16. ლიკვიდობის შემოწმების პროცედურები;

თავი მეშვიდე — სხვადასხვა შესამოწმებელი საკითხები

17. სასამართლოში საქმეთა წარმოება და სხვა იურიდიული საქმიანობა;
18. ჰეჯირების შეფასება;
19. გარესაბალანსო ოპერაციები;
20. სალარო, ნაშთები საკორესპონდენტო ანგარიშებზე (ფულადი დოკუმენტები), ძვირფასი ლითონები;
21. საკურიერო მომსახურება, მისი შემოწმების პროცედურები და შედეგები;
22. საერთაშორისო სესხები/ვაჭრობის დაფინანსება;
23. უცხოური დებიტორული დავალიანებების დაფინანსება და მისი შემოწმების პროცედურები;
24. საერთაშორისო საბანკო აქცეპტები, მისი შემოწმების პროცედურები და შიდა კონტროლის კითხვარი;
25. საერთაშორისო აკრედიტივები და მათი შემოწმების პროცედურები;
26. საერთაშორისო გარანტიების შემოწმების პროცედურები და შიდა კონტროლის შემოწმების კითხვარი;
27. საერთაშორისო საკრედიტო და სავაჭრო ტერმინოლოგია;
28. კომპიუტერული მომსახურება და შიდა კონტროლის შემოწმების კითხვარი;
29. სახსრების ელექტრონული გადარიცხვა, მისი შემოწმების პროცედურები და შიდა კონტროლის შემოწმების კითხვარი;
30. გარე აუდიტი;
31. შიდა აუდიტის სამსახურის შეფასების პროცედურები.

ბანკების ზედამხედველობის აღნიშნული მიმართულების უმთავრეს მიზანს წარმოადგენს დეპოზიტორთა ინტერესების დაცვა და ცალკეული ბანკების კეთილსინდისიერებისადმი საზოგადოების ნდობის შენარჩუნება. სახელმძღვანელოს მიხედვით, ამგვარი ნდობა აუცილებელია, რადგან კლიენტები საბანკო სისტემის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენენ და ამის გარეშე ბანკები ვერ შეძლებენ თავიანთი ყველაზე მთავარი დანიშნულების – ფინანსური მომსახურების განხორციელებას. შემოწმების დროს აუცილებელია, შეფასდეს, თუ რამდენად ადეკვატურად იცავს კონკრეტული ბანკი ნორმატიულ აქტებსა და რისკების მართვის და მინიმიზაციის მიზნით დადგენილ პროცედურებს, ლიმიტებსა და ნორმებს.

III. სავალდებულო ნორმატივები კომერციული ბანკებისათვის

საბანკო ზედამხედველობის ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს რისკების ზედმეტი კონცენტრაციისაგან დაცვა, რომელიც დაკავშირებულია კომერციული ბანკის კონკრეტულ კონტრაგენტებთან, სექტორებთან ან ქვეყნებთან, რადგან რაც უფრო დიდია რისკების კონცენტრაცია, მით უფრო მაღალია დანაკარგის პოტენციალი.

საბანკო ზედამხედველობის დარგში ტრადიციულ გადაწყვეტილებად ითვლება ოპერაციების მოცულობის შეზღუდვა ცალკეულ კონტრაგენტებთან ან კონტრაგენტთა ჯგუფებთან, საკუთარი სახსრების განსაზღვრული წილის (საზედამხედველო კაპიტალის) ეკვივალენტურ დონემდე.

საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებისა და უცხოური ბანკების ფილიალების მდგრადი ფინანსური მდგომარეობის უზრუნველყოფისა და მათ მიერ საკრედიტო რისკის მართვისათვის, მსხვილი რისკების რეგულირების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი პირველ ნაბიჯებს დგამს 1995 წლის დასაწყისიდან, როცა ძალაში შედის დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში კომერციული ბანკების საქმიანობის ეკონომიკური ნორმატივებისა და ლიმიტების შესახებ“ [26].

ამის შემდეგ აღნიშნულ დოკუმენტში შევიდა ბევრი ცვლილება და დამატკიცდა ახალი რედაქციით. ისინი, ერთი მხრივ, ეხებოდა სავალდებულო ნორმატივების ახალი სახეობების გაჩენას ან ძველების გაუქმებას, მეორე მხრივ – ზღვრული მაჩვენებლების ცვლილებას (გამკაცრება ან შესუსტება). აღნიშნული ისტორიული გენეზისი ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ ცხრილში (ცხრ. №23.1.). ზოგიერთი ტიპის ან სახეობის ნორმატივის „გაჩენა“ ან „გაქრობა“ განპირობებული იყო იმ როლით, რომელიც მას ეკუთვნობა საბანკო სისტემის რეფორმირების კონკრეტულ ეტაპზე.

ცხრ. №23.1. კომერციული ბანკების სავალდებულო ნორმატივების ტიპები და რაოდენობა საქართველოში (ისტორიული გენეზისი)

სავალდებულო ნორმატივების (კოეფიციენტების) ტიპები	27.01.95	06.05.95	03.12.98	10.04.01	07.07.04	20.07.06	26.09.08	04.09.13
კაპიტალის კოეფიციენტები	1	1	2	2	2	2	2	2
სესხების კოეფიციენტები	2	3	4	4	6	6	6	6
მოზიდვების კოეფიციენტები	2	1	1					
ლიკვიდობის კოეფიციენტები		2	3	3	3	1	1	1
ინვესტიციების კოეფიციენტები			1	1	2	2	2	2
ფიქსირებული აქტივების კოეფიციენტები			1	1				
სავალუტო პოზიციის კოეფიციენტები					1	1	2	1
სულ კოეფიციენტების რაოდენობა:	5	7	12	11	14	12	13	12

უნდა აღვნიშნოთ, რომ სავალდებულო ნორმატივების (კოეფიციენტების) დიდ ნაწილს უკვე გავეცანით გასული თემების განხილვისას. სანამ შევუდგებით

26 დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის გამგეობის 1995 წლის 27 იანვრის №10 დადგენილებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს არსებული კოეფიციენტების სრული ნაკრების დეტალურ დახასიათებას. უნდა განვმარტოთ ტერმინი **„რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები“.**

1988 წელს საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის მიერ კაპიტალის ადეკვატურობის შეფასებასთან დაკავშირებით შემუშავებულ იქნა საერთაშორისო დონეზე აღიარებული პრაქტიკა, რომელსაც „რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები“ ეწოდა. აღნიშნული პრაქტიკა საქართველოში გამოიყენება 1998 წლიდან. რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები გულისხმობს საკრედიტო და საბაზრო რისკებით შეწონილი აქტივების ჯამს.

აქტივების საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვის მიზნით ბანკის აქტივები იყოფა 4 კატეგორიად და თითოეული კატეგორიის აქტივებს შეესაბამება საკრედიტო რისკის შესაბამისი კოეფიციენტი:

- **I** კატეგორიის აქტივები, 0%-იანი საკრედიტო რისკი – კოეფიციენტი 0;
- **II** კატეგორიის აქტივები, 20%-იანი საკრედიტო რისკი – კოეფიციენტი 0.2;
- **III** კატეგორიის აქტივები, 50%-იანი საკრედიტო რისკი – კოეფიციენტი 0.5;
- **IV** კატეგორიის აქტივები, 100%-იანი საკრედიტო რისკი – კოეფიციენტი 1.0.

დებულებით დეტალურადაა განმარტებული, თუ რა შედის თითოეულ საკრედიტო რისკსდაქვემდებარებულ კატეგორიის აქტივებში. მაგალითად, 0%-იანი საკრედიტო რისკსდაქვემდებარებული I კატეგორიის აქტივებს განეკუთვნება:

ა) ბანკში არსებული ნაღდი ფულადი სახსრები ლარებით და „ეგთო“-ს [27] წევრი ქვეყნების ვალუტით;

ბ) საქართველოს ეროვნულ ბანკში საკორესპონდენტო და მინიმალური რეზერვების ანგარიშებზე განთავსებული ფულადი სახსრები;

გ) მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც პირდაპირ და უპირობოდ გარანტირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ;

დ) მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც პირდაპირ და უპირობოდ გარანტირებულია „ეგთო“-ს წევრი ქვეყნების ცენტრალური მთავრობების და/ან ცენტრალური ბანკების მიერ;

ე) მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც უზრუნველყოფილია „ეგთო“-ს წევრი ქვეყნების ცენტრალური მთავრობების და/ან ცენტრალური ბანკების მიერ გამოშვებული და გარანტირებული სავალო ფასიანი ქაღალდებით;

ვ) მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც უზრუნველყოფილია ამავე ბანკში დაჯავშნილი დეპოზიტებით.

შესაბამისად, განსაზღვრულია 20%-იან, 50%-იან და 100%-იან საკრედიტო რისკსდაქვემდებარებული **II**, **III** და **IV** კატეგორიების აქტივები.

აქტივების საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვის შედეგად მიიღება სხვადასხვა კატეგორიის აქტივი, რომლებიც დაჯგუფებული არიან მათი რისკის ხარისხის შესაბამისად. გასათვალისწინებელია, რომ შეიძლება არსებობდეს მუხლები, რომლებიც არ ექვემდებარება შეწონვას გაანგარიშების მეთოდოლოგიის თანახმად (ცხრ. №23.2.).

27 „ეგთო“ – ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, რომლის წევრ ქვეყნებად ითვლება შემდეგი ქვეყნები: ავსტრალია, ავსტრია, ახალი ზელანდია, აშშ, ბელგია, გერმანია, დანია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, იაპონია, ირლანდია, ისლანდია, იტალია, კანადა, ლუქსემბურგი, ჰოლანდია, ნორვეგია, პორტუგალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, ფინეთი, შვედეთი, შვეიცარია.

ცხრ. №23.2. კომერციული ბანკის საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების გაანგარიშების ტიპური მაგალითი

№	აქტივების სახეები	მოც-ბა	საკრედიტო რისკის კატ-ეგორიები			
			0%	20%	50%	100%
1	ნაღდი ფული	5.0	3.0	1.0	1.0	
2	ფულადი სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში	9.0	9.0			
3	ფულადი სახსრები სხვა ბანკებში	5.0	1.0	2.0	2.0	
4	სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები	6.0	6.0			
5	სხვა ფასიანი ქაღალდები	5.0		5.0		
6	გაცემული სესხები	60.0	5.0			55.0
7	დარიცხული მისაღები პროცენტები და დივიდენდები	3.0	1.0			2.0
8	ინვესტიციები საწესდებო კაპიტალში	2.0				2.0
9	ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	3.0				3.0
10	სხვა აქტივები	2.0				2.0
	სულ აქტივები:	**100.0**	**25.0**	**8.0**	**3.0**	**64.0**
	საკრედიტო რისკის კოეფიციენტი		0.0	0.2	0.5	1.0
	საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები		**0.0**	**1.6**	**1.5**	**64.0**
	სულ საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები:		**67.1**			

უნდა აღინიშნოს, რომ საკრედიტო რისკების მიხედვით შეწონვას (კატეგორიებად დაყოფა და შესაბამის კოეფიციენტზე გამრავლება) ექვემდებარება ბალანსგარეშე ვალდებულებებიც. ამ შემთხვევაშიც, მსგავსად აქტივებისა, გვაქვს 4 კატეგორიის ბალანსგარეშე ვალდებულებები, რომლებიც ასევე შეიწონება 0, 0,2, 0,5 და 1,0 კოეფიციენტებით.

ბუნებრივია, საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივებისა და ბალანსგარეშე ვალდებულებების დაჯამებით მიიღება ერთიანი საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები, რომელთაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უნდა დაემატოს შესაბამისი მეთოდოლოგიით გაანგარიშებული საბაზრო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები.

ქართული რეგულაციით, საბაზრო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების მეთოდოლოგია საბაზრო რისკად მიიჩნევს მხოლოდ სავალუტო რისკებს. სავალუტო რისკის მიხედვით შეწონვას დაქვემდებარებულ ვალუტაში ფორმირებულ აქტივებს შეესაბამება 50%-იანი რისკის კატეგორია და სავალუტო რისკის კოეფიციენტია 0,5. ინფორმაციისათვის: ეს მაჩვენებელი 2008 წლამდე იყო 1.0, ხოლო 2009 წლის ივლისამდე 0.75-ს შეადგენდა.

ამგვარად, ჯამური რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების მოცულობაში შედის შესაბამისი მეთოდოლოგიით გაანგარიშებული სამი კომპონენტი:

- საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები (ცხრ. №23.2.);
- საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი ბალანსგარეშე ვალდებულებები;
- საბაზრო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები.

ზემოაღნიშნული სამი კომპონენტის დაანგარიშებით და დაჯამებით მიღებული რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების ჯამური მაჩვენებელი გამოიყენება კაპიტალის ადეკვატურობის ორი სავალდებულო ნორმატივის გაანგარიშებისათვის.

საჯარო ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე შესაძლებელია დავახასიათოთ დღეისათვის საქართველოში მოქმედი ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი 12 სავალდებულო ეკონომიკური ნორმატივი (კოეფიციენტი), რომელთაც აქვთ შემდეგი შინაარსი:

კაპიტალის კოეფიციენტები:

- **კკ1 (პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი)** – ბანკის პირველადი კაპიტალი უნდა იყოს რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების არანაკლებ 8%-ისა;
- **კკ2 (საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი)** – ბანკის საზედამხედველო კაპიტალი უნდა იყოს რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების არანაკლებ 12%-ისა.

სესხების კოეფიციენტები:

- **სკ1 (ერთი ინსაიდერის კოეფიციენტი)** – ბანკის მიერ ერთი ინსაიდერისათვის გაცემული სესხებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 5%-ს;
- **სკ2 (ყველა ინსაიდერის კოეფიციენტი)** – ბანკის მიერ ყველა ინსაიდერისათვის გაცემული სესხებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 25%-ს;
- **სკ3 (ერთი აუტსაიდერის კოეფიციენტი)** – ბანკის მიერ ერთი პირისათვის გაცემული სესხებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 15%-ს;
- **სკ4 (ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა კოეფიციენტი)** – ბანკის მიერ ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფისათვის გაცემული სესხებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 25%-ს;
- **სკ5 (მსხვილი სესხების კოეფიციენტი)** – ბანკის მიერ გაცემული ყველა მსხვილი სესხისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის ორმაგ ოდენობას;
- **სკ6 (საბლანკო სესხების კოეფიციენტი)** – ბანკის მიერ გაცემული ყველა საბლანკო სესხის საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საკრედიტო დაბანდების 25%-ს.

ლიკვიდობის კოეფიციენტი:

- **ლკ (საშუალო ლიკვიდობის კოეფიციენტი)** – საანგარიშგებო თვის საშუალო ლიკვიდური აქტივები უნდა იყოს საანგარიშგებო თვის საშუალო ვალდებულებების არანაკლებ 30%-ისა.

ინვესტიციების კოეფიციენტები:

- **იკ1 (წილობრივი ინვესტიციების კოეფიციენტი)** – იურიდიულ პირთა კაპიტალში ბანკის ინვესტიციების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის სააქციო კაპიტალის 50%-ს;
- **იკ2 (ქონებრივი ინვესტიციების კოეფიციენტი)** – ბანკის ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, იურიდიულ პირთა კაპიტალში ბანკის ინვესტიციების საერთო თანხასთან ერთად, არ უნდა აღემატებოდეს ბანკის სააქციო კაპიტალის 70%-ს.

სავალუტო პოზიციის კოეფიციენტი:

- **პლ2 (კრებსითი საერთო ღია სავალუტო პოზიცია)** – ბანკის კრებსითი საერთო ღია სავალუტო პოზიცია არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 20%-ს.

როგორც არაერთხელ აღინიშნა, კომერციული ბანკებისათვის საჭირო დებულო ეკონომიკური ნორმატივების ტიპები, სახეობები და პროცენტული მნიშვნელობა დამოკიდებულია საბანკო სისტემის განვითარების იმ ეტაპზე, რომელზეც იგი იმყოფება და ცენტრალური ბანკის მიზნებზე კონკრეტულ ვითარებაში, რაც გამომდინარეობს მისი მიმდინარე პრიორიტეტებიდან.

სწორედ აღნიშნული კოეფიციენტები გულისხმობს ცენტრალური ბანკის მიერ გარკვეული „თამაშის წესების" მიღებას, რითაც დგინდება გარკვეული „ჩარჩოები", რომელთა შიგნით უნდა განახორციელონ თავიანთი საქმიანობა კომერციულმა ბანკებმა. ეს ჩარჩოები წარმოადგენს „რისკების ზღვრებს", რომელთა გარეთ გასვლა კონკრეტული ბანკისათვის უკვე სახიფათო რისკის ზონად ითვლება, რაც საფრთხეს უქმნის ბანკს, ანუ მის მეანაბრეებს და აქციონერებს.

ასევე არაერთხელ აღინიშნა, რომ ეს მექანიზმი უზრუნველყოფს კომერციული ბანკების ზედმეტად რისკიანი ოპერაციების შეზღუდვასა და ამით საბანკო სისტემის მდგრადობის შენარჩუნებას. მათი მეშვეობით ივლება გარკვეული „წითელი ხაზები", რომელთა გადალახვა კომერციულ ბანკებს ეკრძალებათ. თუ მათ სურთ თავიანთი საქმიანობის გაფართოება, ანუ „წითელ ხაზებს" იქით ლეგალურად გადასვლა და მათი გადაწევა, ამის ერთადერთი გზა კაპიტალის გაზრდა და აქტივების ხარისხის ამაღლება, ანუ დაბალი რისკის დონის უზრუნველყოფაა.

საკონტროლო კითხვები:

1. რას ნიშნავს რისკმენეჯმენტი?
2. რა მიზნებს ემსახურება საბანკო ზედამხედველობა?
3. რას გულისხმობს ეფექტიანი რისკმენეჯმენტი?
4. რა მოთხოვნებს უყენებს საქართველოს ეროვნული ბანკი კომერციული ბანკების სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატს ეფექტიანი რისკმენეჯმენტის მიმართულებით?
5. რას გულისხმობს კომერციული ბანკის რისკების მართვის პოლიტიკა და რა ძირითად ელემენტებს მოიცავს იგი?
6. რა უნარ-ჩვევები უნდა ახასიათებდეს რისკების მართვის სამსახურში დასაქმებულ პერსონალს კომერციულ ბანკში?
7. რა იცით კომერციული ბანკის ეფექტიანი რისკმენეჯმენტის აუცილებელი ორი სტრუქტურული ერთეულის შესახებ?

8. რა შეგიძლიათ თქვათ რისკების მართვის კომიტეტზე კომერციულ ბანკში?
9. როგორ დაახასიათებდით კომერციული ბანკის რისკების მართვის სამსახურის უფლებამოსილებასა და პასუხისმგებლობას?
10. შესაძლებელია თუ არა საბანკო რისკების საერთოდ გაქრობა და რას ითხოვს საბანკო რეგულაცია კომერციული ბანკებიდან ამ კუთხით?
11. რომელი ელემენტებისაგან შედგება რისკების მართვის პროცესი კომერციულ ბანკში?
12. რა შეიძლება ითქვას საბანკო რისკების მართვის პროცესის პირველი ეტაპის – რისკების დადგენის შესახებ?
13. როგორ დაახასიათებდით რისკების შეფასების ეტაპს და ამ დროს გამოყენებულ მეთოდებს?
14. როგორ უნდა დადგინდეს რისკების ლიმიტები, როგორც რისკების მონიტორინგის ნაწილი?
15. რას გულისხმობს რისკების მართვის საინფორმაციო სისტემა, როგორც რისკების მართვის პროცესის ნაწილი?
16. რა შეგიძლიათ თქვათ რისკების კონტროლზე კონკრეტული რისკის სამართავად?
17. რას გულისხმობს აქტივებისა და ვალდებულებების მართვა კომერციულ ბანკში?
18. როგორ დაახასიათებდით რისკების შეფასებას სტრესტესტების მოდელების გამოყენებით?
19. რომელი სამი მიმართულება გამოიყენება საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან საზედამხედველო ფუნქციის შესრულებისას კომერციული ბანკების რისკების მართვისათვის?
20. რა შეგიძლიათ თქვათ CAMELS-ის სისტემით საბანკო ზედამხედველობის შესახებ?
21. რომელ ძირითად მიმართულებებს მოიცავს საბანკო ზედამხედველობა თემატური შემოწმებით?
22. რას გულისხმობს რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები?
23. რა იცით აქტივების საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვის მიზნით მათი 4 კატეგორიის შესახებ?
24. ჩამოთვალეთ 0%-იანი საკრედიტო რისკსდაქვემდებარებული I კატეგორიის აქტივები.
25. რას ნიშნავს საბაზრო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები?
26. ჯამური რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები რომელი სამი კომპონენტისაგან შედგება?

27. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სავალდებულო ეკონომიკური ნორმატივებიდან რა შეგიძლიათ თქვათ ე.წ. „კაპიტალის კოეფიციენტებზე“?

28. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სავალდებულო ეკონომიკური ნორმატივებიდან როგორ დაახასიათებდით ე.წ. „სესხების კოეფიციენტებს“?

29. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სავალდებულო ეკონომიკური ნორმატივებიდან რა შინაარსს ატარებს ე.წ. „ლიკვიდობის კოეფიციენტი“?

30. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სავალდებულო ეკონომიკური ნორმატივებიდან რა შეგიძლიათ თქვათ ე.წ. „ინვესტიციების კოეფიციენტებზე“?

31. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სავალდებულო ეკონომიკური ნორმატივებიდან როგორ დაახასიათებდით ე.წ. „სავალუტო პოზიციის კოეფიციენტს“?

თავი 24

კომერციული ბანკის საქმიანობის კონტროლის სისტემა და ანგარიშგება

შინაარსი:

24.1. შიდა კონტროლის სისტემა კომერციულ ბანკში;
24.2. კომერციული ბანკის შიდა აუდიტი;
24.3. კომერციული ბანკის გარე აუდიტი;
24.4. საბანკო ანგარიშგების მნიშვნელობა და სახეობები.

ძირითადი ელემენტები:

1. კომერციული ბანკის შიდა კონტროლის სისტემის კლასიფიკაცია;
2. კომერციული ბანკის შიდა კონტროლის სისტემის ელემენტები;
3. შიდა აუდიტი კომერციულ ბანკში;
4. კომერციული ბანკის შიდა აუდიტის ფუნქციონირების ფუნდამენტური პრინციპები;
5. კომერციული ბანკის გარე აუდიტის თავისებურებები;
6. საბანკო ანგარიშგების არსი და კლასიფიკაცია;
7. კომერციული ბანკების სავალდებულო ანგარიშგების სახეობები.

გამოყენებული სქემები, ნახატები და ცხრილები:

ცხრ. №24.1. კომერციული ბანკების მიერ საქართველოს ეროვნულ ბანკში წარსადგენი სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები.

24.1. შიდა კონტროლის სისტემა კომერციულ ბანკში

გამომდინარე იქიდან, თუ რა მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ბანკები, როგორც ფინანსური შუამავლები და როგორც საზოგადოების დანაზოგების მთავარი „საცავი“, ბუნებრივია, ისმის სამართლიანი კითხვა: რამდენადაა ეს დანაზოგები დაცული? საზოგადოების მხრიდან ბანკებისადმი ნდობის განმტკიცებას სჭირდება იმის განცდა, რომ, ერთი მხრივ, სახელმწიფოს მხრიდან (ცენტრალური ბანკის სახით) და, მეორე მხრივ, თვითონ ბანკებში არსებობს კონტროლის ქმედითი და ეფექტიანი სისტემა. ამ ნდობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბანკო სისტემის და, შესაბამისად, ეკონომიკის განვითარებისათვის. საზოგადოების მხრიდან ნდობით აღჭურვილი საიმედო საბანკო სისტემის არსებობა შეუძლებალია ეფექტიანი საბანკო მენეჯმენტისა და მისი უმთავრესი ფუნქციის – კონტროლის გარეშე.

შემთხვევით არაა, რომ მეტად პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება კომერციულ ბანკში ქმედითი და ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის არსებობას. ასეთი მოთხოვნა არსებობს როგორც ცენტრალური ბანკების, ისე აქციონერების მხრიდან. საერთაშორისო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ **შიდა კონტროლის ეფექტიანი სისტემა** წარმოადგენს ბანკის მართვის უმნიშვნელოვანეს კომპონენტსა და, შესაბამისად, ბანკის უსაფრთხოებისა და მდგრადობის საფუძველს. ყოველი ცალკეული ბანკის უსაფრთხოება, თავის მხრივ, არის მთლიანი საბანკო სისტემის უსაფრთხოების საფუძველი, ისევე, როგორც, თავის მხრივ, საბანკო სისტემის უსაფრთხოება ქვეყნის ეკონომიკის მდგრადობის საფუძველია.

სახელმწიფო, ცენტრალური ბანკის სახით, კომერციული ბანკებისათვის დეპოზიტების მოზიდვისა და შემდეგ მათი დროებითი განთავსების ექსკლუზიური უფლების მინიჭებისას, გარდა იმისა, რომ თვითონ ახორციელებს საბანკო ზედამხედველობას, ითხოვს მათგან ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის არსებობას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს რისკების ადეკვატური დაზღვევა.

იმის მიხედვით, თუ დროის რა მონაკვეთში ხორციელდება შიდა კონტროლი კომერციულ ბანკში, გვაქვს მისი სამი ტიპი:

- **წინასწარი კონტროლი** ხორციელდება ოპერაციის ჩატარებამდე, რათა განისაზღვროს მისი ჩატარების ოპტიმალური გზები, გამოვლენილ და შეფასებულ იქნეს ის რისკები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას და მოხდეს მათი ნეგატიური შედეგების მინიმიზაცია. წინასწარი კონტროლი გულისხმობს მოვლენების განვითარების სხვადასხვა სცენარის მომზადებას (მაგალითად, ოპტიმისტური, ოპტიმალური და ნეგატიური);
- **მიმდინარე კონტროლი** ხორციელდება უშუალოდ ოპერაციის განხორციელების დროს, რათა აღკვეთილ იქნეს შეცდომები და ხარვეზები და გამოვლენილ იქნეს ნეგატიური ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლიან მიზნის მიღწევას. მიმდინარე კონტროლი ასევე ითვალისწინებს პოზიტიური ფაქტორებისა და რეზერვების გამოვლენას, რათა მოხდეს მათი გამოყენება;
- **შემდეგი კონტროლი** ხორციელდება ოპერაციის ჩატარების შემდეგ იმ დოკუმენტებისა თუ ანგარიშების საფუძველზე, რომლებიც შეიცავენ ინფორმაციას ოპერაციის შესახებ. შემდეგი კონტროლის დროს ხდება დასახული მიზნის შედარება საბოლოო შედეგთან და მათ მართებულად ასახვასთან შესაბამის ანგარიშებსა და დოკუმენტებში.

მას შემდეგ, რაც, საბოლოოდ, დამკვიდრდა თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევები ბანკების აღრიცხვასა და ანგრიშგებაში, დოკუმენტურ კონტროლთან ერთად არანაკლები, მეტი თუ არა, როლი მიენიჭა ელექტრონულ კონტროლს, ანუ როცა ადგილი აქვს ბანკის პროგრამული უზრუნველყოფების მეშვეობით განხორციელებულ კონტროლს, რომელიც ახალ შესაძლებლობებს ქმნის ამ მიმართულებით.

კონტროლის ობიექტის მოცვისა და მეთოდების მიხედვით ბანკში გვაქვს შემდეგი ტიპის კონტროლი:

- **ნაწილობრივი კონტროლი**, როცა კონტროლს ექვემდებარება ბანკის ოპერაციების ნაწილი;
- **შერჩევითი კონტროლი**, როცა კონტროლდება შესამოწმებელი ობიექტის არა ყველა დოკუმენტაცია, არამედ მხოლოდ მისი ნაწილი (მაგალითად, ყოველი მე-10);
- **კომპლექსური კონტროლი**, როცა კონტროლს ექვემდებარება ბანკის მთელი ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობა.

დაბოლოს, კომერციულ ბანკში შიდა კონტროლის სისტემის ტიპების მიხედვით გვაქვს შემდეგი კლასიფიკაცია:

- **ბუღალტრული კონტროლის** მიზანია ფინანსური და სამეურნეო საქმიანობის აღრიცხვის სისტემის კონტროლი, რათა დადგინდეს მათი ასახვის შესაბამისობა ბანკის სააღრიცხვო პოლიტიკასა და მოქმედ წესებთან;
- **ფინანსური კონტროლის** მიზანია ფინანსური პოლიტიკის შესრულების, ფულადი რესურსების მოძრაობისა და ლიმიტებისა და ნორმატივების დაცვის კონტროლი;
- **იურიდიული ნორმების კონტროლი** გულისხმობს მთელი საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შესაბამისობას ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მოთხოვნებთან, რომელთა შეუსაბამობამაც შეიძლება გამოიწვიოს დანაკარგები ან სხვადასხვა საჯარიმო სანქცია;
- **საინფორმაციო-მმართველობითი კონტროლი** მოიცავს შიდა და გარე მომხმარებლებზე მიწოდებულ ანგარიშგებებში ასახული სურათის რეალურთან შესაბამისობასა და შიდა კომუნიკაციის სისტემის ხარვეზების გამოვლენას. შიდა კომუნიკაციების ხარვეზებში იგულისხმება, რამდენად დროულად დადის მმართველობითი გადაწყვეტილებები შემსრულებლებამდე, როგორია მათი შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგისა და „ქვემოდან ზემოთ“ კომუნიკაციის სისტემის ეფექტიანობა;
- **ადმინისტრაციული კონტროლი** – ესაა თანამშრომელთა შორის შიდა ნორმატიული დოკუმენტებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების, ვალდებულებებისა და რეალური მდგომარეობის შედარება. როგორც წესი, პასუხისმგებლობა ამ კუთხით ეკისრება არა ქვედა, არამედ უმაღლეს და საშუალო მენეჯმენტს.

კომერციულ ბანკებში შიდა კონტროლის თანამედროვე სისტემას საფუძველი ჩაეყარა „საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის“ მიერ 1998 წელს, როცა გამოქვეყნდა „საკრედიტო ორგანიზაციებში შიდა კონტროლის სისტემების ფუნქციონირების ძირითადი საფუძვლები“. მალევე გამოქვეყნდა ახალი დოკუმენტიც „შიდა კონტროლის სისტემა ბანკებში: ორგანიზაციის საფუძვლები“. ამ მიმართულებით შემდეგი გადადგმული ნაბიჯებია

2000 წელს გამოქვეყნებული „შიდა აუდიტი საკრედიტო ორგანიზაციებში და მარეგულირებელი ორგანოების ურთიერთობა შიდა და გარე აუდიტორებთან", ხოლო 2001 წელს – „შიდა აუდიტი ბანკებში და მარეგულირებელი ორგანოების ურთიერთობა აუდიტორებთან".

საერთაშორისო პრაქტიკაში სწორედ აღნიშნული დოკუმენტები გახდა ბანკებში შიდა კონტროლის სისტემის დანერგვის თეორიული საფუძველი, რომელთა მიხედვითაც, **შიდა კონტროლი** – ესაა პროცესი, რომელსაც განახორციელებს არა ერთი რომელიმე ორგანო, არამედ სამეთვალყურეო საბჭო, მენეჯმენტი (დირექტორატი) და ნებისმიერი დონის თანამშრომელი. ბაზელის რეკომენდაციების მიხედვით, შიდა კონტროლის სისტემა ბანკებში არის არა დროის გარკვეულ მონაკვეთში მოქმედი პროცედურა ან პოლიტიკა, არამედ პროცესი, რომელიც მუდმივად მიმდინარეობს ბანკის შიგნით მის ყველა დონეზე. ამასთან, აღინიშნება ის მომენტი, რომ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატს ენიჭებათ სრული პასუხისმგებლობა იმ შიდა გარემოსა და კორპორაციული კულტურის შექმნისათვის, რომელთაც უნდა უზრუნველყონ შიდა კონტროლის ეფექტიანი სისტემის დამკვიდრება და ამ სისტემის მუდმივი მონიტორინგი.

ბაზელის რეკომენდაციების მიხედვით, შიდა კონტროლის სისტემა ბანკში შედგება ხუთი ურთიერდაკავშირებული ელემენტისაგან:

1. მმართველობითი კონტროლი და კონტროლის კულტურა;
2. რისკების გამოვლენა და შეფასება;
3. კონტროლის განხორციელება და უფლებამოსილებათა გამიჯვნა;
4. ინფორმაცია და ურთიერთქმედება;
5. მონიტორინგი და ხარვეზების გამოსწორება.

საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, კონტროლის სისტემა უნდა იყოს ბანკის ყოველდღიური ცხოვრების შემადგენელი ნაწილი, რომელიც ფუნქციონირებს მუდმივად და არის ბანკის ყველა ოპერაციის თანმდევი პროცესი.

შიდა კონტროლის ეფექტიანი სისტემა საჭიროებს კონტროლის შესაბამისი სტრუქტურის შექმნას, რომლის დროსაც განსაზღვრულია კონტროლის ფუნქცია ბანკის საქმიანობის ყველა დონეზე. აქ შეიძლება შედიოდეს:

- მენეჯერების მიერ განხორციელებული შემოწმებები;
- უფლებების შეთანხმებისა და დელეგირების სისტემა;
- ქმედითი კონტროლის არსებობა სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულზე;
- რისკების ლიმიტების დაცვის შემოწმება და გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის შემდგომი კონტროლი;
- ანგარიშების შედარებისა და ჯვარედინი შემოწმების სისტემა;
- ქონების ინვენტარიზაცია.

შიდა კონტროლის სისტემა, მსოფლიო საბანკო პრაქტიკის მსგავსად, საქართველოშიც იწყება აუდიტის კომიტეტით, რომელიც იქმნება სამეთვალყურეო საბჭოსთან. „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" კანონის თანახმად, სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით იქმნება აუდიტის კომიტეტი, რომელიც უნდა შედგებოდეს დამოუკიდებელი წევრებისაგან. ამ შემთხვევაში დამოუკიდებლად ითვლება პირი, რომელიც არ არის ამ კომერციულ ბანკთან დაკავშირებული პირი და არ აქვს მის მიმართ ფინანსური ვალდებულება. კანონის შესაბამისად, აუდიტის კომიტეტის ფუნქციები კომერციული ბანკის წესდებით უნდა იყოს განსაზღვრული. აუდიტის კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოს

პერიოდულად აბარებს ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ და მისი ძირითადი ფუნქცია შიდა აუდიტისა და ბანკის გარე აუდიტორების ფუნქციონირების ხელშეწყობაა.

24.2. კომერციული ბანკის შიდა აუდიტი

როგორც წინა პარაგრაფში აღინიშნა, კომერციულ ბანკებში არსებული თანამედროვე შიდა აუდიტის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ბაზელის კომიტეტის მიერ გამოქვეყნებული ორი დოკუმენტი: „შიდა აუდიტი საკრედიტო ორგანიზაციებში და მარეგულირებელი ორგანოების ურთიერთობა შიდა და გარე აუდიტორებთან“ და „შიდა აუდიტი ბანკებში და მარეგულირებელი ორგანოების ურთიერთობა აუდიტორებთან“. ასევე აღინიშნა, რომ შიდა კონტროლის სისტემის შემადგენელი ნაწილია აუდიტის კომიტეტი, რომლის ერთერთი ძირითადი ფუნქციაა შიდა აუდიტის ფუნქციონირების ხელშეწყობა. თავის მხრივ, კომერციული ბანკის შიდა აუდიტი წარმოადგენს შიდა კონტროლის სისტემის უმნიშვნელოვანეს ელემენტს. **შიდა აუდიტი** – ესაა კომერციულ ბანკში არსებული შიდა კონტროლის სისტემის დამოუკიდებელი შეფასება. შიდა აუდიტი კომერციულ ბანკში განსაკუთრებულ ყურადღება იჩენს ისეთი ინფორმაციული სისტემების ანალიზისადმი, როგორებიცაა ბუღალტრული აღრიცხვისა და მასთან დაკავშირებული კონტროლის მექანიზმები, ასევე ფინანსური და ოპერატიული ინფორმაცია, ოპერაციების ეფექტიანობა.

საქართველოს საბანკო სისტემაში შიდა აუდიტის ფუნქციების მატარებელი სარევიზიო კომისიების შექმნა 1995 წლიდან გახდა სავალდებულო, ხოლო დღევანდელი სახით არსებული შიდა აუდიტის სამსახურების შექმნა დაიწყო დებულებით „კომერციულ ბანკებში შიდააუდიტორული საქმიანობისადმი მოთხოვნების შესახებ“ და „შიდა აუდიტის სტანდარტებით კომერციული ბანკებისათვის“ [28]. დებულებით განსაზღვრული სამსახურის ფუნქციების, პოლიტიკის, სტანდარტებისა და პროცედურების ჩამოყალიბება და შესრულება სავალდებულო გახდა ყველა კომერციული ბანკისათვის.

საერთაშორისო პრაქტიკის მსგავსად, საქართველოს საბანკო სისტემაში შიდააუდიტორული საქმიანობის განვითარებისა და სრულყოფის მიზნით თითოეული კომერციული ბანკი ვალდებულია ჩამოაყალიბოს შიდა აუდიტის სამსახური, უზრუნველყოს და დაიცვას მისი დამოუკიდებელი საქმიანობა. სათანადო წესით შექმნილი შიდააუდიტორული სამსახურის ძირითადი ამოცანა და მიზანი უნდა იყოს ბანკის საფინანსო, სამეურნეო და ადმინისტრაციული საქმიანობის შეფასება და მოქმედ ნორმატიულ აქტებთან მათი შესაბამისობის დადგენა.

ქართული რეგულაციით, კომერციულ ბანკში შექმნილი აუდიტის სამსახური დაკისრებული მოვალეობის შესრულებისათვის ანგარიშვალდებულია ბანკის აუდიტის კომიტეტის წინაშე, რომელიც იქმნება სამეთვალყურეო საბჭოსთან. შიდა აუდიტის სამსახური მუშაობისას ხელმძღვანელობს სათანადო

28 დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2001 წლის 28 დეკემბრის №318 ბრძანებით.

წესით დამტკიცებული დებულებით, რომელშიც ჩამოყალიბებული და გახსნილი ღვრული უნდა იყოს:

- სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურა;
- სამსახურის ფუნქციები და უფლება-მოვალეობები;
- სამსახურის საქმიანობის სფერო და მასშტაბები;
- სამსახურის ანგარიშვალდებულება ბანკის აუდიტის კომიტეტის, სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის წინაშე, აგრეთვე ამ უკანასკნელთა ვალდებულებები სამსახურის მიმართ;
- სამსახურსა და ბანკის სხვა სტრუქტურულ ერთეულებს შორის ანგარიშვალდებულებრივი ურთიერთობები;
- სამსახურისა და მისი თანამშრომლების უფლება-მოვალეობანი;
- შიდა აუდიტის დაგეგმვისა და ჩატარების პროცედურები, აგრეთვე აუდიტორული შემოწმებების, გამოკვლევების, დასკვნებისა და ანგარიშების მომზადებისა და წარდგენის პროცედურები;
- შიდააუდიტორულ საქმიანობაში შეფასების კრიტერიუმები და მეთოდები.

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ მომზადებულმა დასკვნებმა დახმარება უნდა გაუწიოს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატს ბანკის საქმიანობაში არსებული რისკის დონის დადგენაში, პრობლემებისა და ხარვეზების იდენტიფიცირებასა და აღმოფხვრაში, ნაკისრი ვალდებულებების ეფექტიანად განხორციელებაში. ამდენად, კომერციულ ბანკში შიდა აუდიტის სამსახურის შექმნისას სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება არა ფორმალური, არამედ პირიქით, ფუნდამენტური პრინციპების დაცვას, რომელთაც, თავის მხრივ დაეფუძნება ბანკის ფუნქციონირება. ეს პრინციპებია:

1) დამოუკიდებლობა;
2) კომპეტენტურობა;
3) შიდა აუდიტის პროგრამისა და მასშტაბის ადეკვატურობა;
4) რესურსებით უზრუნველყოფა.

ეს პრინციპები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ აუცილებელია მათი ცალ-ცალკე განხილვა:

1) დამოუკიდებლობა

შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის დამოუკიდებლობას კომერციულ ბანკში უნდა განაპირობებდეს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის მხრიდან ჩაურევლობა, სტრუქტურული დამოუკიდებლობა, დამოუკიდებელი საკადრო პოლიტიკა და შრომის ანაზღაურების სისტემა. შიდააუდიტორულ საქმიანობაში სტრუქტურული დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით სამსახური ანგარიშვალდებული უნდა იყოს ბანკის აუდიტის კომიტეტის წინაშე. ამ დამოუკიდებლობის ერთ-ერთი ნიშანია ის, რომ ქართული რეგულაციით, აუდიტის კომიტეტი, როგორც უკვე აღინიშნა, ბანკისგან დამოუკიდებელი წევრებისაგან შედგება.

2) კომპეტენტურობა

კომპეტენტურობა შიდა აუდიტის სამსახურის ყველა თანამშრომლისადმი წაყენებული უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა, რაც ქართული რეგულაციით აშკარად გამოიხატება მათ მიმართ წაყენებული კვალიფიკაციის მოთხოვნებით სამსახურში მიღებისას:

ეროვნული ბიბლიოთეკა

- შიდა აუდიტის სამსახურის უფროსს უნდა ჰქონდეს:
  - საუნივერსიტეტო განათლება ბუღალტერიაში, საბანკო საქმეში ან ეკონომიკაში;
  - ბანკში მუშაობის 5 წლის გამოცდილება, მათ შორის, 2 წელი მაღალი რანგის თანამდებობაზე (სტრუქტურული ერთეულის უფროსი ან მოადგილე);
  - საქმისადმი დამოუკიდებელი მიდგომა;
  - საბანკო ოპერაციების ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის ცოდნა.
- სამსახურის უფროსის მოადგილეს უნდა ჰქონდეს:
  - საუნივერსიტეტო განათლება ბუღალტერიაში, საბანკო საქმეში ან ეკონომიკაში;
  - ბანკში მუშაობის 3 წლის გამოცდილება, მათ შორის, 1 წელი მაღალი რანგის თანამდებობაზე (სტრუქტურული ერთეულის უფროსი ან მოადგილე);
  - საქმისადმი დამოუკიდებელი მიდგომა;
  - საბანკო ოპერაციების ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის ცოდნა.
- უფროს შიდა აუდიტორს უნდა ჰქონდეს:
  - საუნივერსიტეტო განათლება ბუღალტერიაში, საბანკო საქმეში ან ეკონომიკაში;
  - ბანკის სხვადასხვა სტრუქტურაში (საფინანსო-ეკონომიკური ანალიზისა და დაგეგმვის, საკრედიტო-საინვესტიციო, ფასიანი ქაღალდების, ჩეკების, ბარათებისა და საბირჟო ოპერაციების, საბუღალტრო და სხვ.) მუშაობის სულ ცოტა 2 წლის გამოცდილება;
  - საქმისადმი დამოუკიდებელი მიდგომა;
  - საბანკო ოპერაციების ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის ცოდნა.

როგორც ვხედავთ, აუდიტის სამსახურის ნებისმიერი თანამდებობის საკვალიფიკაციო მოთხოვნებში ხაზგასმულია საბაზო განათლება ბუღალტერიაში, საბანკო საქმეში ან ეკონომიკაში, ბანკში მუშაობის გამოცდილება და საბანკო ოპერაციების ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის ცოდნა. ასევე გამოყოფილია საქმისადმი დამოუკიდებელი მიდგომის უნარი.

3) შიდა აუდიტის პროგრამისა და მასშტაბის ადეკვატურობა

შიდა აუდიტის სამუშაოს მასშტაბი მოიცავს სამსახურის მიერ მისთვის დაკისრებული ვალდებულებების შესრულებისას ბანკის შიდა კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის, აგრეთვე დირექტორატის მუშაობის ხარისხის შეფასებას. კერძოდ:

- უნდა შეფასდეს საფინანსო და საოპერაციო ინფორმაციის სანდოობა და მართებულობა, აგრეთვე ის პრაქტიკა და პროცედურები, რომლებიც გამოიყენება ასეთი ინფორმაციის გამოვლენისათვის, შეფასებისა და კლასიფიცირებისათვის;
- უნდა შეისწავლონ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის მიერ ჩამოყალიბებული ბანკის სამოქმედო სტრატეგიის, პოლიტიკისა და მართვის სისტემის შესაბამისობა მოქმედ ნორმატიულ აქტებსა და ეროვნული ბანკის მოთხოვნებთან და უნდა განსაზღვრონ, იცავს თუ არა ბანკი მათ;
- უნდა შეისწავლონ აქტივების დასაცავად გამოყენებული კონტროლი და დაადასტურონ ასეთი აქტივების არსებობა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

- უნდა შეაფასონ რესურსების გამოყენების ეფექტიანობა;
- უნდა შეისწავლონ ბანკის ოპერაციები და პროგრამები, რათა განსაზღვრონ, შეესაბამება თუ არა შედეგები დასახულ მიზნებს, აგრეთვე სრულდება თუ არა ოპერაციები და პროგრამები დაგეგმილის შესაბამისად.

გარდა ამისა, აუდიტორული სამუშაო მოიცავს აუდიტის სამუშაოს დაგეგმვას, ინფორმაციის შემოწმებასა და შეფასებას, სამუშაოს დასრულებასა და შედეგების შეტყობინებას. შესაბამისად, შიდა აუდიტორები:

- ყოველი აუდიტის წინ გეგმავენ მას;
- აგროვებენ, აანალიზებენ, განმარტავენ და დოკუმენტის სახეს აძლევენ მოპოვებულ ინფორმაციას აუდიტორული შემოწმების შედეგების დასასაბუთებლად;
- აწვდიან ინფორმაციას აუდიტის კომიტეტს ჩატარებული აუდიტორული შემოწმების შედეგების შესახებ;
- სამუშაოს დასრულების შემდეგ კონტროლს უწევენ ჩატარებული აუდიტის შედეგებისა და რეკომენდაციების საფუძველზე შესაბამისი მაკორექტირებელი ღონისძიებების დროულად შესრულებას.

4) რესურსებით უზრუნველყოფა

გამომდინარე იმ ფუნქციებიდან და პასუხისმგებლობიდან, რაც აკისრია კომერციული ბანკის შიდა აუდიტის სამსახურს, მის ხელმძღვანელსა და ნებისმიერ აუდიტორს, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სამსახურის რესურსებით უზრუნველყოფას. სამსახური უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი რაოდენობის, კვალიფიკაციის, ანაზღაურებისა და სამუშაო პირობების მქონე თანამშრომლებით. შესაბამისი შიდა აუდიტის სამსახურის სათანადოდ მართვისათვის სამსახურის უფროსი ვალდებულია:

- ჩამოაყალიბოს სამსახურის მიზანი, უფლებამოსილება და მოვალეობები;
- შეიმუშაოს გეგმები სამსახურის ვალდებულებების შესასრულებლად;
- სამსახურის თანამშრომლები უზრუნველყოს წერილობითი პოლიტიკითა და პროცედურებით;
- დააწესოს პროგრამა კადრების შერჩევისა და განვითარებისათვის;
- უზრუნველყოს შიდა და გარე აუდიტორების მუშაობის კოორდინაცია;
- შექმნას და დაიცვას სამსახურის მიერ ბანკის ოპერაციების ზუსტად და ობიექტურად შეფასების სისტემა.

თავისი ვალდებულებებისა და დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად კომერციული ბანკის შიდა აუდიტის სამსახური აღჭურვილია საკმაოდ დიდი უფლებამოსილებებით, კერძოდ, მას **უფლება** აქვს:

- განსაზღვროს შიდა აუდიტის ჩატარების ფორმები და მეთოდები;
- შემოწმებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მოითხოვოს და მიიღოს ბანკის ნებისმიერი იურიდიული, ბუღალტრული და სხვა შიდა დოკუმენტები, აგრეთვე ნებისმიერი საჭირო განმარტება ზეპირი თუ წერილობითი ფორმით;
- სრულად შეამოწმოს ბანკის საფინანსო, სამეურნეო და ადმინისტრაციული საქმიანობა;
- შეამოწმოს ბანკის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების პრაქტიკა და პროცედურები, დაადგინოს მათი უტყუარობა, სისრულე და შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასა და დადგენილ ნორმატივებთან ნები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სმიერი პირველადი დოკუმენტაციის საფუძველზე;

- საბანკო საქმიანობაში ინტერესთა კონფლიქტის აღმოფხვრის მიზნით შეისწავლოს ბანკის ადმინისტრატორებსა და მათთან დაკავშირებულ პირებს შორის განხორციელებული ყველა ოპერაცია;
- იქონიოს ურთიერთობა ეროვნულ ბანკთან, პარტნიორ ბანკებთან, კლიენტებთან და სხვა კრედიტორებთან, ასევე მესამე პირის სხვა მხარეებთან ანგარიშების ნაშთების ან საბანკო ოპერაციების შესწავლისა თუ დადასტურების მიზნით;
- პირდაპირი და კონფიდენციალური ურთიერთობა იქონიოს ბანკის აუდიტის კომიტეტთან, სამეთვალყურეო საბჭოსთან, დირექტორატთან, ბანკის სტრუქტურულ ერთეულებთან, აგრეთვე გარე აუდიტორებთან;
- შეხვდეს ბანკის შესაბამისი სამსახურების ნებისმიერ მუშაკსა და დირექტორატის წარმომადგენლებს.

რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი უფლებამოსილებები განაპირობებს შიდა აუდიტის სამსახურის უზარმაზარ **პასუხისმგებლობასაც**, რაც იმით გამოიხატება, რომ იგი დგას ბანკის აქტივების სადარაჯოზე და ამ მიზნით:

- ახდენს ბანკის შიდა კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის დადგენას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს რეკომენდაციებს ამ სისტემის გასაუმჯობესებლად და უწევს მას მონიტორინგს;
- განსაზღვრავს, შეესაბამება თუ არა ბანკის მმართველობის სისტემა, პოლიტიკა და სტრატეგია მოქმედ ნორმატიულ აქტებსა და ქვეყნის ცენტრალური ბანკის მოთხოვნებს;
- გარკვეული პერიოდულობით ამოწმებს ბანკის ოპერაციებს, პროგრამებსა და თითოეული სტრუქტურული ერთეულის საქმიანობას და განსაზღვრავს მათ შესაბამისობას ბანკის ბიზნესგეგმებთან, დასახულ მიზნებთან და ამოცანებთან;
- ამოწმებს, შეესაბამება თუ არა ბანკის თანამშრომლების მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულება ბანკის შიდა ინსტრუქციებს, პოლიტიკასა და პროცედურებს, აგრეთვე მოქმედ კანონმდებლობასა და ცენტრალური ბანკის მოთხოვნებს;
- აფასებს ბანკის მიერ საკუთარი რესურსების გამოყენების ეფექტიანობას;
- აფასებს მიწოდებული ფინანსური ინფორმაციის სანდოობას, მართებულობასა და ასეთი ინფორმაციის ეფექტიანობას;
- გეგმავს თითოეულ შიდა აუდიტორულ შემოწმებას და შემოწმების შედეგებს წარუდგენს უმაღლეს მენეჯმენტს;
- ამოწმებს ბანკის დირექტორატის მიერ შიდა და გარე აუდიტის შედეგებისა და რეკომენდაციების შესაბამისი ღონისძიებების დროულად და ადეკვატურად განხორციელებას;
- ატარებს სპეციალურ აუდიტს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორატის მოთხოვნით, თუ ამის საჭიროება არგუმენტირებულია;
- საიდუმლოდ ინახავს შიდა აუდიტორული საქმიანობის განხორციელების დროს მიღებულ ინფორმაციას, არ გაახმაურებს კომერციული საიდუმლოების შემცველ ცნობებს, არ გამოიყენებს მათ თავისი ან მესამე პირის ინტერესებისათვის, განუხრელად იცავს საბანკო საიდუმლოებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

- ამზადებს და წარადგენს პერიოდულ ანგარიშებს ჩატარებული ღონისძიებებისა და გაწეული მუშაობის შესახებ.

რა თქმა უნდა, თავისი შიდა აუდიტის სამსახური ჰყავს ქვეყნის ცენტრალურ ბანკსაც. საქართველოს ეროვნული ბანკის შიდა აუდიტის სამსახური შექმნილია კანონის შესაბამისად, რომლის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ეროვნული ბანკის საბჭო სხდომის მონაწილე წევრების ხმათა უმრავლესობით. შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი ინიშნება 7 წლის ვადით.

უკანასკნელ ათწლეულებში, განსაკუთრებით – ბოლო პერიოდში, ერთი მხრივ, საბანკო საქმიანობის გართულება, ახალი საბანკო პროდუქტებისა და ტექნოლოგიების დანერგვა, ფინანსური გლობალიზაცია და მჭიდრო ბანკთაშორისი ურთიერთობების დამყარება, და, მეორე მხრივ, განვითარებული მსოფლიო ფინანსური კრიზისი, ბანკებისა და კლიენტების მდგომარეობის გაუარესება, დღის წესრიგში აყენებს კომერციული ბანკების საქმიანობის შიდა კონტროლის სისტემების გაძლიერების საკითხს. ამ მხრივ შიდა აუდიტი რჩება უმნიშვნელოვანეს მიმართულებად.

24.3. კომერციული ბანკის გარე აუდიტი

თუკი თანამედროვე ქართულ საბანკო სისტემაში კომერციული ბანკების საქმიანობის კონტროლის განხორციელების სისტემის სამკუთხედის ორ წვერს წარმოადგენს ეროვნული ბანკის საზედამხედველო ფუნქცია და შიდა კონტროლის სისტემა (მათ შორის, შიდა აუდიტი), მესამე წვეროდ გვევლინება გარე აუდიტი.

საქართველოში საბანკო სისტემის რეფორმირების რთულ გზაზე პირველი ქმედითი ნაბიჯი გარე აუდიტის თანამედროვე კულტურის დამკვიდრების მიმართულებით გადაიდგა 1996 წელს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის წერილით „კომერციულ ბანკებში გარე აუდიტის ჩატარების შესახებ“. წერილით კომერციული ბანკების ხელმძღვანელებს ბანკის ობიექტური ფინანსური მდგომარეობის დადგენისა და ჯეროვანი მართვის უზრუნველსაყოფად ეცნობათ ყოველწლიური სრულმასშტაბიანი, საერთაშორისო ანგარიშგების პრინციპების შესაბამისად გარე აუდიტის ჩატარების აუცილებლობის შესახებ. აუცილებელ პირობად დასახელდა მოსაწვევი აუდიტორული ორგანიზაციისა და აუდიტორების კარგი რეპუტაცია და კომპეტენტურობა, ასევე ის, რომ ისინი არ უნდა ყოფილიყვნენ ბანკთან დაკავშირებული პირები. ამავე წერილით საერთაშორისო აუდიტორული ორგანიზაციის მოწვევისას რეკომენდაცია გაეწია 6 უდიდეს („დიდი ექვსეული“) საერთაშორისო აუდიტორულ კომპანიას (Arthur Andersen, Deloitte & Touche, Ernst & Young, Coopers&Lybrand, KPMG და Price-Waterhouse). დღეს რეკომენდაცია ვრცელდება „დიდ ოთხეულზე“ (Deloitte & Touche, Ernst & Young, KPMG და PricewaterhouseCoopers).

აღნიშნული წერილით დაშვებულ იქნა გამონაკლისი იმ ბანკებისათვის, რომელთა ფინანსური მდგომარეობა არ იძლეოდა საერთაშორისო აუდიტორული ორგანიზაციის მოწვევის საშუალებას. მათ უფლება მიეცათ, მიემართათ

ეროვნული ბანკი

იმ აუდიტორული ორგანიზაციებისათვის, რომელთაც ჰქონდათ საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ გაცემული ლიცენზია და სრულმასშტაბიანი გარე აუდიტის ჩატარების პროფესიონალური შესაძლებლობა.

ამ მიმართულებით შემდეგი ნაბიჯი გადაიდგა „კომერციული ბანკების გარეაუდიტორული შემოწმების წესის“ დამტკიცებით [29].

დღეისათვის კანონით „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ თითოეული კომერციული ბანკი და მისი შვილობილი საწარმო ვალდებულია ყოველწლიურად მოიწვიოს გარე აუდიტორი და ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით ჩაატაროს გარეაუდიტორული შემოწმება. ასევე თითოეული კომერციული ბანკი ვალდებულია გარეაუდიტორული შემოწმების დასრულებისთანავე ეროვნულ ბანკს წარუდგინოს შემოწმების სრული ანგარიში და გამოაქვეყნოს ეროვნული ბანკის წესებით განსაზღვრული საფინანსო ანგარიშგება და აუდიტის დასკვნა.

გარეაუდიტორული შემოწმების საბოლოო პროდუქტს წარმოადგენს **აუდიტის დასკვნა** – აუდიტორის მიერ სათანადო წესით შედგენილი, ხელმოწერით და ბეჭდით დამოწმებული ოფიციალური საბუთი, რომელშიც წარმოდგენილია დასკვნა ბანკისა და მისი შვილობილი საწარმოების ანგარიშგების უტყუარობის, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვის სისრულის და მოქმედ კანონმდებლობასა და დადგენილ ნორმატივებთან მისი შესაბამისობის შესახებ. გარდა აუდიტის დასკვნისა, გარე აუდიტორი ადგენს **სარეკომენდაციო წერილს ხელმძღვანელობისათვის** (ე.წ. „წერილი მენეჯმენტს“), რომელიც არის კონფიდენციალური დოკუმენტი და განსაჯაროებას არ ექვემდებარება. ორივე დოკუმენტი უნდა მომზადდეს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად შედგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

მოთხოვნის თანახმად, ბანკსა და მის შვილობილ საწარმოებს უნდა ემსახურებოდეს ერთი და იგივე გარე აუდიტი და, როგორც წესი, ბანკები ვალდებულნი არიან შეცვალონ ისინი ხუთ წელიწადში ერთხელ მაინც.

ბანკმა და გარე აუდიტორმა უნდა უზრუნველყონ, რომ აუდიტის მასშტაბები მისაღები იყოს ეროვნული ბანკისათვის. ეროვნული ბანკის უფლებები ამ მიმართულებით არ ამოიწურება, კერძოდ, მას უფლება აქვს ჩაერიოს ბანკისა (და მისი შვილობილი საწარმოების) და გარე აუდიტის ურთიერთობაში:

- მოითხოვოს შუალედური პერიოდის გარეაუდიტორული შემოწმება, სანამ მზად იქნება წლიური გარეაუდიტორული დასკვნა;
- მოითხოვოს გარე აუდიტორის შეცვლა, თუ მიიჩნევს, რომ ის ატარებს არაადეკვატურ შემოწმებას ან არ აქვს დამოუკიდებლობა, ან არ იცავს დადგენილ პროფესიულ სტანდარტებს და სხვ.;
- მოითხოვოს აუდიტის მასშტაბის გაფართოება ეროვნული ბანკისათვის მნიშვნელოვანი და საინტერესო კონკრეტული ამოცანებითა და საკითხებით, რომელთა შესახებაც გარე აუდიტორის დასკვნა ასახული იქნება მის მიერ მომზადებულ სარეკომენდაციო წერილში;
- საჭიროების შემთხვევაში, ნებისმიერ დროს მოიწვიოს დამოუკიდებელი აუდიტორი გარე აუდიტის ჩასატარებლად;
- შეხვდეს ბანკის გარე აუდიტს აუდიტის გეგმაში შეტანის მიზნით, მია-

29 დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2008 წლის 22 იანვრის №15 ბრძანებით.

წოდოს ინფორმაცია მისთვის მნიშვნელოვანი და საინტერესო კონკრეტული ამოცანებისა და საკითხების შესახებ;

- მოითხოვოს, რომ სარეკომენდაციო წერილმა მოიცვას დეტალები მისთვის მნიშვნელოვანი და საინტერესო კონკრეტული ამოცანებისა და საკითხების შესახებ;
- აუდიტის ჩატარების პროცესში ან მისი დამთავრების შემდეგ აუდიტთან დაკავშირებულ საკითხებზე წერილობით მიმართოს ან შეხვდეს გარე აუდიტორს.

თავის მხრივ, ეროვნულმა ბანკმა უნდა დაიცვას გარე აუდიტორის მიერ მიწოდებული ნებისმიერი ინფორმაციის კონფიდენციალობა, გარდა იმ ინფორმაციისა, რომელიც გამოქვეყნებულ წლიურ ანგარიშში იქნება მოცემული.

გამომდინარე იმ პასუხისმგებლობიდან, რომელიც ეკისრებათ გარე აუდიტორებს, არსებობს რამდენიმე აღსანიშნავი ვალდებულება. საქართველოში კომერციული ბანკების გარე აუდიტის ჩამტარებელმა უნდა უზრუნველყოს შემდეგი:

- განახორციელოს სამუშაო აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებისა და დამკვეთთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად;
- აუდიტის განხორციელებისას იხელმძღვანელოს ქართული კანონმდებლობით;
- აღმოჩენიდან არა უგვიანეს 7 კალენდარული დღისა, ეროვნულ ბანკს შეატყობინოს იმ ნებისმიერი ფაქტობრივი ან სავარაუდო მდგომარეობის შესახებ, რომელიც საფრთხეს უქმნის ბანკის შემდეგ ფუნქციონირებას ან მნიშვნელოვანი გაყალბების (მაქინაციის), ან ბანკის ხელმძღვანელობის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტების შესახებ, ან იმ სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც ეროვნული ბანკის (როგორც საბანკო საქმიანობის ზედამხედველის) სასწრაფო რეაგირებას მოითხოვს;
- უშუალოდ გადასცეს ეროვნულ ბანკს აუდიტის დასკვნა, სარეკომენდაციო წერილი და აუდიტის პროცესში მოპოვებული ინფორმაცია (ე. წ. „აუდიტის ფაილი“);
- შეატყობინოს ეროვნულ ბანკს მიზეზების მითითებით თავისი გადაწყვეტილების შესახებ, რომ იგი უარს ამბობს ბანკის აუდიტზე ან ბანკის გადაწყვეტილების შესახებ, რომ გამოიცვალოს აუდიტორი ან აუდიტორული ფირმა.

გარე აუდიტის მთავრი მიზანია აუდიტის ობიექტის მდგომარეობის შესახებ ობიექტური და რეალური სურათის ჩვენება. გარე აუდიტი ახდენს მოცემული მომენტისათვის (როგორც წესი, საანგარიშო წლის ბოლოს) ბანკის ბალანსისა და მოგება-ზარალის ანგარიშების, შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის სანდოობის დადასტურებას მის მიერ მოთხოვნილი და მენეჯმენტის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. რა თქმა უნდა, მიწოდებული ინფორმაციის სანდოობაზე სრული პასუხისმგებლობა ენიჭება ბანკის მენეჯმენტს.

გარე აუდიტის მიერ თავისი ძირითადი მიზნის მიღწევას განაპირობებს შემდეგი გარემოებები: მისი დამოუკიდებლობა, კონფიდენციალობა, პროფესიონალიზმი, კომპეტენცია, კეთილსინდისიერება, სტატისტიკური და ეკონომიკური ანალიზი, ახალი ტექნოლოგიების გამოყენება, რაციონალური გადაწყვეტილების მიღების უნარი, პასუხისმგებლობა მის მიერ გაწეულ რეკომენდაციებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

24.4. საბანკო ანგარიშგების მნიშვნელობა და სახეობები

არაერთხელ აღინიშნა, რომ ისეთი რთული და დინამიკური ორგანიზაციის მართვა, როგორიცაა ბანკი, შეუძლებელია მისი საქმიანობის საკვანძო მიმართულებების შესახებ სრული და სანდო ინფორმაციის დროულად მიღების გარეშე. ამ ინფორმაციის პირველწყაროს წარმოადგენს ბუღალტრული აღრიცხვა, რომელიც ქართულ საბანკო სისტემაში ხორციელდება საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისი და სათანადო წესით დამტკიცებული ანგარიშთა გეგმისა და მისი გამოყენების ინსტრუქციის შესაბამისად.

ბანკში ბუღალტრული აღრიცხვის მთავარ მიზანს წარმოადგენს საქმიანობის შედეგების, ფინანსური მდგომარეობისა და ფულადი რესურსების მოძრაობის სანდო და რეალური ასახვა. ყოველივე ეს არაა ქართული საბანკო სივრცის განსაკუთრებული დამახასიათებელი ნიშანი, არამედ მსოფლიო საბანკო პრაქტიკის ქვაკუთხედია.

დროული და, რა თქმა უნდა, უტყუარი ინფორმაცია ბანკის ფინანსური მდგომარეობის, რენტაბელობის, ზრდის ტემპების, რეზერვებისა და სხვათა შესახებ სხვადასხვა პერიოდულობით, მოცულობითა და ხარისხით ესაჭიროება როგორც შიდა, ისე გარე მომხმარებლებს. მათ შორის:

- **შიდა მომხმარებლებს** განეკუთვნებიან აქციონერები, მმართველობითი ორგანოები (აქციონერთა კრება, სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორატი), სტრუქტურული ერთეულები, შიდა კონტროლიორები და შიდა აუდიტი, თანამშრომლები;
- **გარე მომხმარებლებს** მიეკუთვნებიან ქვეყნის ცენტრალური ბანკი, ფინანსთა სამინისტრო, საგადასახადო, სტატისტიკური და სხვა სახელმწიფო ორგანოები, ასევე – გარე აუდიტორები, ბიზნესპარტნიორები, ინვესტორები, მეანაბრეები, მსესხებლები, საინფორმაციო და რეიტინგული სააგენტოები, საბანკო ასოციაციები და საკრედიტო ბიუროები, ანალიტიკოსები და ა.შ.

როგორც აღინიშნა, ამ ყველა მომხმარებელს ბანკის შესახებ ინფორმაცია სჭირდება სხვადასხვა დოზით, ოპერატიულობით, სიზუსტით და მიმართულებების მიხედვით, თუმცა, ბუნებაში არ არსებობს ერთიანი ინფორმაციული სისტემა, რომელიც დააკმაყოფილებდა თითოეული მომხმარებლის მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე, არსებობს ინფორმაციის სახეობები (ანგარიშგებები), რომლებიც განკუთვნილია სხვადასხვა მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

საბანკო ანგარიშგება – ესაა ბანკის რაოდენობრივი მაჩვენებლებისა და სხვადასხვა მახასიათებლის სისტემა, რომელიც წარმოაჩენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის შედეგებს საანგარიშო პერიოდისათვის. ანგარიშგება არის ბანკში მიმდინარე აღრიცხვის დამამთავრებელი ეტაპი, რომელიც განაზოგადებს ინფორმაციას ბანკის მდგომარეობისა და საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესახებ და წარმოგვიდგენს მას სტანდარტული საანგარიშგებო ფორმებისა და მაჩვენებლების სახით. საბანკო ანგარიშგებათა კლასიფიკაცია შეიძლება სხვადასხვა ნიშან-თვისების მიხედვით, რომელთა შორის აღსანიშნავია:

1) **ეკონომიკური შინაარსის მიხედვით:**
   - ბუღალტრული ანგარიშგება;
   - სტატისტიკური ანგარიშგება;
   - ფინანსური ანგარიშგება;
   - საზედამხედველო ანგარიშგება.
2) **ანგარიშგების შინაარსის მიხედვით:**
   - კერძო (ბანკის ცალკეული სტრუქტურის ან მიმართულების შესახებ);
   - ზოგადი (მთლიანად ბანკის შესახებ).
3) **დანიშნულების მიხედვით:**
   - გარე მომხმარებლებისათვის (ცენტრალური ბანკი, სახელმწიფო ორგანოები, გარე აუდიტი, ინვესტორები, პარტნიორები, კლიენტები);
   - შიდა მომხმარებლებისათვის, ანუ მმართველობითი ანგარიშგება (აქციონერები, სამეთვალყურეო საბჭო, შიდა აუდიტი, დირექტორატი, სტრუქტურული ერთეულები).
4) **შვილობილი კომპანიებისა და ფილიალების ჩართულობის მიხედვით:**
   - კონსოლიდირებული;
   - არაკონსოლიდირებული.
5) **მიწოდების პერიოდულობის მიხედვით:**
   - ოპერატიული (მოთხოვნის მიხედვით);
   - პერიოდული (ყოველდღიური, დეკადური, ყოველთვიური, კვარტალური);
   - წლიური.
6) **სავალდებულო ხასიათის მიხედვით:**
   - სავალდებულო (უნიფიცირებული ფორმებით);
   - ნებაყოფლობით (საცნობარო, საიმიჯო, სარეკლამო ხასიათის).
7) **მაჩვენებლების დაჯგუფების მიხედვით:**
   - პირველადი;
   - კრებსითი.
8) **კონფიდენციალობის მიხედვით:**
   - საჯარო;
   - კონფიდენციალური.

კანონით „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ ბანკები და მათი შვილობილი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან სისტემატურად შეადგინონ წლიური საფინანსო ანგარიშგებები, რომლებიც საერთაშორისო საბუღალტრო მეთოდების საფუძველზე ზუსტად ასახავენ მათ ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობას. თითოეული კომერციული ბანკი ვალდებულია გარეაუდიტორული შემოწმების დასრულებისთანავე ეროვნულ ბანკს წარუდგინოს შემოწმების სრული ანგარიში და გამოაქვეყნოს ეროვნული ბანკის წესებით განსაზღვრული საფინანსო ანგარიშგება და გარეაუდიტორული დასკვნა.

ასევე, კანონის მოთხოვნით, კომერციული ბანკები ამზადებენ და ეროვნულ ბანკს წარუდგენენ ანგარიშგებებს, რომლებშიც ასახულია როგორც თვით ბანკის, ისე მისი შვილობილი ორგანიზაციების ორგანიზაციულ-საგანმკარგულებლო და საოპერაციო საქმიანობა. აგრეთვე ასახულია: ლიკვიდურობა, გადახდისუნარიანობა და მომგებიანობა, თვით ბანკისა და მისი შვილობილი ორგანიზაციების ფინანსური მდგომარეობა ერთობლივად და ცალ-ცალკე შეფასების მიზნით.

ეროვნული ბანკი

ეროვნული ბანკისათვის წარსადგენი ანგარიშგების ფორმა, ხარისხი და ვადები განისაზღვრება ეროვნული ბანკის რეგულაციებით, რომლის მიხედვითაც დადგენილია კომერციული ბანკების სავალდებულო ანგარიშგების შემდეგი სახეობები:

I. ბუღალტრული ანგარიშგება;
II. სტატისტიკური ანგარიშგება;
III. ფინანსური ანგარიშგება;
IV. საზედამხედველო ანგარიშგება.

დავახასიათოთ ისინი მოკლედ:

I. ბუღალტრული ანგარიშგება

კომერციული ბანკების საბუღალტრო ანგარიშგების საფუძველს წარმოადგენს ანალიტიკური და სინთეზური აღრიცხვა. კომერციული ბანკები დადგენილი ფორმით ელექტრონულად გზავნიან ეროვნულ ბანკში ყოველდღიურ ბუღალტრულ ბალანსს საანგარიშო საბანკო დღიდან მესამე საბანკო დღის არა უგვიანეს 11 საათისა.

II. სტატისტიკური ანგარიშგება

საქართველოს ეროვნული ბანკის პერზიდენტის 2008 წლის 17 ივლისის №184 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს კომერციული ბანკებისათვის საბანკო სტატისტიკური ანგარიშგების ფორმებისა და მათი შევსების ინსტრუქციების“ შესაბამისად, დამტკიცდა როგორც სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები, ისე მათი შევსების მეთოდოლოგია და ინსტრუქციები, განისაზღვრა მათი წარმოდგენის ვადები და წესი. ქვემოთ (ცხრ. №24.1.) მოცემულია ეროვნულ ბანკში წარსადგენი სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების ჩამონათვალი და მათი წარდგენის პერიოდულობა.

ცხრ. №24.1. კომერციული ბანკების მიერ საქართველოს ეროვნულ ბანკში წარსადგენი სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები

ფორმის ნომერი	ფორმის დასახელება	პერიოდულობა
F2-1	ფიზიკური პირების დეპოზიტები ეროვნული ვალუტით	ყოველთვიური
F2-1-1	ფიზიკური პირების დეპოზიტები ეროვნული ვალუტით, მოზიდული საანგარიშო თვის განმავლობაში	ყოველთვიური
F2-2	ფიზიკური პირების დეპოზიტები უცხოური ვალუტით	ყოველთვიური
F2-2-1	ფიზიკური პირების დეპოზიტები უცხოური ვალუტით, მოზიდული საანგარიშო თვის განმავლობაში	ყოველთვიური
F2-3	იურიდიული პირების დეპოზიტები ეროვნული ვალუტით (გარდა ბანკთაშორისი დეპოზიტებისა)	ყოველთვიური
F2-3-1	იურიდიული პირების დეპოზიტები ეროვნული ვალუტით (გარდა ბანკთაშორისი დეპოზიტებისა), მოზიდული საანგარიშო თვის განმავლობაში	ყოველთვიური
F2-4	იურიდიული პირების დეპოზიტები უცხოური ვალუტით (გარდა ბანკთაშორისი დეპოზიტებისა)	ყოველთვიური
F2-4-1	იურიდიული პირების დეპოზიტები უცხოური ვალუტით (გარდა ბანკთაშორისი დეპოზიტებისა), მოზიდული საანგარიშო თვის განმავლობაში	ყოველთვიური
F2-5	საანგარიშო პერიოდში მოზიდული დეპოზიტები დეპოზიტორების მიხედვით	ყოველთვიური
F2-5-1	საანგარიშო პერიოდში მოზიდული რეზიდენტი იურიდიული პირების დეპოზიტები საქმიანობის სახეობების მიხედვით	ყოველთვიური

F2-6	ბანკთაშორისი დეპოზიტები ეროვნული ვალუტით	ყოველთვიური
F2-6-1	ბანკთაშორისი დეპოზიტები ეროვნული ვალუტით, მოზიდული საანგარიშო თვის განმავლობაში	ყოველთვიური
F2-7	ბანკთაშორისი დეპოზიტები უცხოური ვალუტით	ყოველთვიური
F2-7-1	ბანკთაშორისი დეპოზიტები უცხოური ვალუტით, მოზიდული საანგარიშო თვის განმავლობაში	ყოველთვიური
F3	საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოზიდული ვადიანი დეპოზიტების მოცულობების სიდიდის ანგარიში	ყოველთვიური
F4-1	ბანკთაშორისი სესხები (აუქციონის გვერდის ავლით) ეროვნული ვალუტით	ყოველთვიური
F4-1-1	ბანკთაშორისი სესხები (აუქციონის გვერდის ავლით) ეროვნული ვალუტით, გაცემული საანგარიშო თვის განმავლობაში	ყოველთვიური
F4-2	ბანკთაშორისი სესხები (აუქციონის გვერდის ავლით) უცხოური ვალუტით	ყოველთვიური
F4-2-1	ბანკთაშორისი სესხები (აუქციონის გვერდის ავლით) უცხოური ვალუტით, გაცემული საანგარიშო თვის განმავლობაში	ყოველთვიური
F4-3	კლიენტებზე (ბანკების გარდა) გაცემული სესხები ეროვნული ვალუტით	ყოველთვიური
F4-3-b	კლიენტებზე (ბანკების გარდა) გაცემული იპოთეკური სესხები ეროვნული ვალუტით	ყოველთვიური
F4-3-1	სესხები კლიენტებზე (ბანკების გარდა) ეროვნული ვალუტით, გაცემული საანგარიშო თვის განმავლობაში	ყოველთვიური
F4-3-1-b	იპოთეკური სესხები კლიენტებზე (ბანკების გარდა) ეროვნული ვალუტით, გაცემული საანგარიშო თვის განმავლობაში	ყოველთვიური
F4-4	კლიენტებზე (ბანკების გარდა) გაცემული სესხები უცხოური ვალუტით	ყოველთვიური
F4-4-b	კლიენტებზე (ბანკების გარდა) გაცემული იპოთეკური სესხები უცხოური ვალუტით	ყოველთვიური
F4-4-1	სესხები კლიენტებზე (ბანკების გარდა) უცხოური ვალუტით, გაცემული საანგარიშო თვის განმავლობაში	ყოველთვიური
F4-4-1-b	იპოთეკური სესხები კლიენტებზე (ბანკების გარდა) უცხოური ვალუტით, გაცემული საანგარიშო თვის განმავლობაში	ყოველთვიური
F4-5	საანგარიშო თვის განმავლობაში რეზიდენტ იურიდიულ პირებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხები საქმიანობის სახეობების მიხედვით	ყოველთვიური
F4-6	საანგარიშო თვის განმავლობაში რეზიდენტ იურიდიულ პირებზე უცხოური ვალუტით გაცემული სესხები საქმიანობის სახეობების მიხედვით	ყოველთვიური
F4-7	ეროვნული ვალუტით გაცემული სესხებითა და გადაუხდელი პროცენტებით დავალიანება	ყოველთვიური
F4-8	უცხოური ვალუტით გაცემული სესხებითა და გადაუხდელი პროცენტებით დავალიანება	ყოველთვიური
F5	საანგარიშო პერიოდში გაცემული სესხების მოცულობების სიდიდის ანგარიში	ყოველთვიური
F6	კომერციული ბანკების მიერ რეგიონების მიხედვით გაცემული სესხებით დავალიანება	კვარტალური
F7	სასესხო დავალიანების ბრუნვების ანგარიში	ყოველთვიური
F10-1	საბანკო პლასტიკური ბარათების „იშუინგი“	ყოველთვიური
F10-2	საბანკო პლასტიკური ბარათების „ექვაირინგი“ საბანკო პლასტიკური ბარათების „იშუინგი“	ყოველთვიური
F11-1	უცხოური ვალუტის ჩარიცხვებისა და გადარიცხვების ანგარიში ელექტრონული ანგარიშსწორების სახეობების მიხედვით	ყოველთვიური
F11-2	უცხოური ვალუტის ჩარიცხვებისა და გადარიცხვების ანგარიში	ყოველთვიური
F12	თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟის გარეთ უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ანგარიში	ყოველთვიური
F13	„ლორო“ და „ნოსტრო“ ანგარიშები	ყოველთვიური
F14-1	ფიზიკურ პირებზე გაცემული სამომხმარებლო სესხები საანგარიშო თვის ბოლოსათვის	ყოველთვიური
F14-2	ფიზიკურ პირებზე საანგარიშო თვის განმავლობაში გაცემული სამომხმარებლო სესხები	ყოველთვიური
F14-3	ფიზიკურ პირებზე საანგარიშო თვის განმავლობაში ეროვნული ვალუტით გაცემული სესხები სახეობების მიხედვით	ყოველთვიური
F14-4	ფიზიკურ პირებზე საანგარიშო თვის განმავლობაში უცხოური ვალუტით გაცემული სესხები სახეობების მიხედვით	ყოველთვიური

F14-5	ეფექტური საპროცენტო განაკვეთი საანგარიშო თვის განმავლობაში გაცემულ სესხებზე	ყოველთვიური
F15	ინფორმაცია საზღვარგარეთ სტაჟირების, კურსებში/სემინარებში მონაწილეობისა და სხვა მივლინების შესახებ	კვარტალური
F16	ინფორმაცია საზღვარგარეთიდან მიღებული გრანტების, ტექნიკური და სხვა დახმარების შესახებ	კვარტალური
F17	ინფორმაცია საფინანსო, საკონსულტაციო და საკომუნიკაციო მომსახურების შესახებ	კვარტალური
F18	ინკასაციის კვარტალური ანგარიში	კვარტალური
F19	დაუკმაყოფილებელი სასესხო განაცხადების ანგარიში	ყოველთვიური
F20	უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების სტრუქტურის ანგარიში საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის	ყოველთვიური

სტატისტიკური ანგარიშგების წარდგენა ეროვნულ ბანკში ხორციელდება ელექტრონული სახით, დამტკიცებული ფორმებით (Mc Excel-ის ფორმატში) და ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ ვადებში (არა უგვიანეს 10 რიცხვისა საანგარიშო თვის/კვარტალის დამთავრების შემდეგ).

III. ფინანსური ანგარიშგება

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2006 წლის 23 მაისის №145 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალობის წესის“ შესაბამისად, საბაზრო დისციპლინის განმტკიცებისა და საბანკო სექტორისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლებისათვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა საბანკო სექტორის ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალობა, რომელიც მიიღწევა კომერციული ბანკების მიერ ფინანსურ ანგარიშგებათა საჯაროობით.

დოკუმენტის თანახმად, ფინანსური ანგარიშგებების საჯარო გამოქვეყნება ხელს შეუწყობს თითოეული ბანკის საქმიანობის გამჭვირვალობასა და დაინტერესებულ პირთა ფართო წრის ინფორმირებას ბანკის საქმიანობის შედეგებისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ. კომერციული ბანკების ფინანსურ ანგარიშგებათა საჯაროობა ხელს უწყობს იმას, რომ დაეხმაროს დაინტერესებულ პირებს ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღებაში, რაც დადებით ასახვას პოვებს როგორც თავად ბანკის, ისე საზოგადოების ეკონომიკურ განვითარებაზე.

ზემოაღნიშნული წესის თანახმად, საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები ვალდებულნი არიან გამოაქვეყნონ როგორც წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებები, ასევე ყოველკვარტალური არააუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებები, შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

- **კვარტალური ფინანსური ანგარიშგების** გამოქვეყნება ხდება მარტის, ივნისისა და სექტემბრის ფინანსური ანგარიშგებების სახით, კვარტალის დამთავრებიდან 30 დღის განმავლობაში. სავალდებულოა მათი გამოქვეყნება ბეჭდვით ორგანოში, საკუთარ ვებგვერდსა და ეროვნული ბანკის ვებგვერდზე;
- **აუდიტირებული წლიური ანგარიშგების გამოქვეყნება** ხდება აუდიტირებული დასკვნის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში. ასევე სავალდებულოა მათი გამოქვეყნება ბეჭდვით ორგანოში, საკუთარ ვებგვერდსა და ეროვნული ბანკის ვებგვერდზე. ამასთან, აუდიტირებულ წლიურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, ბანკმა უნდა გამოაქვეყნოს გარე აუდიტორების მიერ მომზადებული აუდიტის დასკვნა.

კომერციული ბანკი ვალდებულია წარუდგინოს ეროვნულ ბანკს ინფორმაცია იმ ბეჭდვითი ორგანოს დასახელებისა და ნომრის შესახებ, რომელშიც გამოქვეყნებული იქნება ბანკის კვარტალური და წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებები. იგი ასევე აწვდის გამოქვეყნებული კვარტალური და წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებების ელექტრონულ ვერსიას ეროვნული ბანკის ვებგვერდზე განთავსების მიზნით.

„გამჭვირვალობის წესით" გათვალისწინებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

- საბალანსო უწყისი;
- მოგება-ზარალის უწყისი;
- ბალანსგარეშე ანგარიშგების უწყისი;
- ეკონომიკური მაჩვენებლები;
  - ინფორმაცია ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატის, აქციონერებისა და ბენეფიციარების შესახებ, რომელშიც შედის:
  - სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ჩამონათვალი;
  - დირექტორთა საბჭოს წევრების ჩამონათვალი;
  - საწესდებო კაპიტალის 1% და მეტი წილის მფლობელი აქციონერების ჩამონათვალი წილების მითითებით;
  - ბანკის ბენეფიციარების ჩამონათვალი, რომლებიც პირდაპირ და არაპირდაპირ ფლობენ აქციების 5%-ს ან მეტს წილების მითითებით.

IV. საზედამხედველო ანგარიშგება

საქართველოს ეროვნული ბანკის სხვადასხვა ნორმატიული დოკუმენტი, რომელთა მნიშვნელობა განსაკუთრებულია საბანკო ზედამხედველობის კუთხით, ავალდებულებს კომერციულ ბანკებს, თითოეული მათგანის ჭრილში დამტკიცებული ფორმით და ვადებში მოამზადონ და წარუდგინონ ეროვნულ ბანკს ანგარიშგებები. ქვემოთ მოცემულია ძირითადი ჩამონათვალი იმ ნორმატიული დოკუმენტებისა, რომლებიც ითვალისწინებენ კომერციული ბანკების მხრიდან შესაბამისი ანგარიშგებების მომზადებასა და წარდგენას ეროვნული ბანკისათვის:

- „კომერციული ბანკების საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტის დადგენის, გაანგარიშებისა და დაცვის წესი" (20.07.2006);
- „დებულება კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე" (17.03.2008);
- „კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ" (26.09.2008);
- „დებულება კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ" (30.09.2008).

გარდა ამისა, არსებობს ანგარიშგებები, რომლებიც იგზავნება ეროვნული ბანკის სხვადასხვა სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად.

რა თქმა უნდა, კომერციული ბანკების გარდა, ვალდებულება ანგარიშგებათა წარდგენის კუთხით აკისრია ეროვნულ ბანკსაც. კანონის თანახმად, საქართველოს ეროვნული ბანკი განიხილავს, ამტკიცებს და საქართველოს პარლამენტს წარუდგენს წლიური საქმიანობის ანგარიშსა და საფინანსო ანგარიშგებას. ეროვნული ბანკი ადგენს ყოველი წლის საფინანსო ანგარიშგებას, რომელიც მოიცავს:

- ბალანსს;
- მოგებისა და ზარალის ანგარიშგებას;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების შესახებ ანგარიშგებას;
- ფულადი ნაკადების შესახებ ანგარიშგებას;
- მათთან დაკავშირებული განმარტებითი ხასიათის შენიშვნებს.

ეროვნული ბანკის მიერ საბალანსო ანგარიშგების წარდგენისა და გამოქვეყნების შემდეგი წესი არსებობს:

- არა უგვიანეს 10 სამუშაო დღისა საქართველოს პარლამენტს წარუდგენს და აქვეყნებს არააუდიტირებულ საბალანსო უწყისს საანგარიშგებო თვის ბოლო სამუშაო დღის მდგომარეობით;
- საფინანსო წლის დასრულებიდან არა უგვიანეს 4 თვისა ეროვნული ბანკი აქვეყნებს და საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგენს გასული წლის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებას;
- ყოველწლიურად, საფინანსო წლის დასრულებიდან არა უგვიანეს 4 თვისა, ეროვნული ბანკი საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ანგარიშს ფულად-საკრედიტო, სავალუტო და საზედამხედველო პოლიტიკის განხორციელების შესახებ.

დაბოლოს, არ შეიძლება არ ითქვას ანგარიშგების ისეთ მნიშვნელოვან სახეობაზე, როგორიცაა **მმართველობითი ანგარიშგება**, რომლის ამოცანები და მიზნები განისაზღვრება კონკრეტული კომერციული ბანკის ხელმძღვანელობის მოთხოვნებით, კვალიფიკაციით, ბანკის ტრადიციებით, განვითარების დონით, კორპორაციული მართვის კულტურითა და საქმიანობის სპეციფიკით. მიუხედავად ამისა, არსებობს ერთობლიობა იმ მიზნებისა, რომლებიც საერთოა ნებისმიერი ბანკისა და საკრედიტო ორგანიზაციისათვის.

მმართველობითი ანგარიშგება კომერციულ ბანკში წარმოადგენს კორპორაციული მართვის შემადგენელ ნაწილს და ასევე ბიუჯეტირების სისტემის შემადგენელ მოქნილ ინსტრუმენტს. მმართველობითი აღრიცხვა გვევლინება ფილიალების ქსელის მქონე ბანკისათვის მისი საქმიანობის კონტროლისა და შეფასების ქმედით საშუალებად, მით უმეტეს, თუ ეს ქსელი ფართოა.

საკონტროლო კითხვები:

1. რა მოთხოვნები არსებობს კომერციულ ბანკში კონტროლის სისტემის მიმართ საზოგადოების მხრიდან?
2. რა შეგიძლიათ თქვათ შიდა კონტროლის ეფექტიანი სისტემის შესახებ?
3. დროის დიაპაზონის მიხედვით ბანკის შიდა კონტროლის რომელი სახეობები იცით?

4. კონტროლის ობიექტის მოცვისა და მეთოდების მიხედვით რომელი სახეობების კონტროლია ცნობილი?
5. როგორ კლასიფიცირდება კომერციულ ბანკში შიდა კონტროლის სისტემის სახეობების მიხედვით?
6. როდის და ვის მიერ ჩაეყარა საფუძველი კომერციულ ბანკებში შიდა კონტროლის თანამედროვე სისტემას?
7. როგორ განიმარტება შიდა კონტროლი საერთაშორისო პრაქტიკით?
8. რომელი ხუთი ურთიერთდაკავშირებული ელემენტისაგან შედგება შიდა კონტროლის სისტემა ბანკში ბაზელის რეკომენდაციების მიხედვით?
9. როგორ განმარტავდით შიდა აუდიტს კომერციულ ბანკში?
10. რა შეგიძლიათ თქვათ შიდა აუდიტის სამსახურის დებულების შესახებ?
11. რომელია ის ფუნდამენტური პრინციპები, რომელთაც უნდა ეფუძნებოდეს ბანკის შიდა აუდიტის სამსახურის ფუნქციონირება?
12. როგორ გამოიხატება შიდა აუდიტის სამსახურის დამოუკიდებლობა?
13. რას გულისხმობს შიდა აუდიტის კომპეტენტურობა?
14. რას ნიშნავს შიდა აუდიტის პროგრამისა და მასშტაბის ადეკვატურობა, როგორც მისი ფუნქციონირების ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი?
15. რა როლს თამაშობს აუდიტის სამსახურის რესურსებით უზრუნველყოფა?
16. რა შეგიძლიათ თქვათ აუდიტის სამსახურის უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ?
17. როგორია გარე აუდიტის დანერგვის პრაქტიკის ისტორია ქართულ ბანკებში?
18. რა შეგიძლიათ თქვათ გარე აუდიტის დასკვნისა და „მენეჯმენტის წერილის“ შესახებ?
19. რა უფლებებით სარგებლობს საქართველოს ეროვნული ბანკი კომერციული ბანკების გარე აუდიტორებთან მიმართებაში?
20. როგორია საქართველოში კომერციული ბანკების გარე აუდიტის ვალდებულებები?
21. რა შეგიძლიათ თქვათ ბანკის შესახებ ინფორმაციის მომხმარებლებზე?
22. როგორ განიმარტება „საბანკო ანგარიშგება“?
23. რა იცით საბანკო ანგარიშგების სახეობების შესახებ?
24. კომერციული ბანკების რომელი სავალდებულო ანგარიშგებები იცით?
25. „გამჭვირვალობის წესით“ გათვალისწინებული ფინანსური ანგარიშგება რომელ ნაწილებს მოიცავს?
26. როგორ დაახასიათებდით კომერციული ბანკების მიერ წარსადგენ საფინანსო ანგარიშგებებს?
27. რა შეგიძლიათ თქვათ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წარსადგენ ანგარიშგებებზე, მათი შინაარის, წარდგენისა და გამოქვეყნების წესზე?
28. რას ნიშნავს „მმართველობითი ანგარიშგება“?

გამოყენებული ლიტერატურა:

წიგნები, მონოგრაფიები, სტატიები

1. **ასათიანი რ.,** „საქართველოს საბანკო სისტემა გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში“, „ეკონომისტი“, №4, თბ., 2009.
2. **ბაგრატიონი ნ.,** „ფინანსურ-საკრედიტო ურთიერთობათა სრულყოფის გზები“, „ეკონომისტი“, №9, თბ., 1985.
3. **ბოლოკაძე ე.,** „კომერციული ბანკების შემოსავალ-გასვლების ანალიზი და მომგებიანობის გეგმები“, „ეკონომიკა და ბიზნესი“, №1, თბ., 2009.
4. **ბოლოკაძე ე.,** *საბანკო მარკეტინგი*, თბ., 2009.
5. **გამსახურდია გ.,** „საქართველოს საბანკო სისტემის ეფექტიანობის ამაღლების გზები“, „სოციალური ეკონომიკა“, №3, თბ., 2003.
6. **გამსახურდია თ.,** „საბანკო დივერსიფიკაციის შეფასების და მართვის პრაქტიკის ანალიზი ქართულ ბანკებში“, „გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი: აკადემიური მაცნე ბიზნესი და მართვა“, №2, თბ., 2013.
7. **გვასალია ზ.,** საბანკო სექტორის ინტრიგა, „საქართველოს ეკონომიკა“, №4, თბ., 2007.
8. **გოგოხია მ.,** *საბანკო საქმე: ლექციების კურსი*, თბ., 2008.
9. **გოდერძიშვილი თ.,** „კომერციული ბანკების როლი კორპორაციული ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბებაში“, „ბანკი“, №4, თბ., 2000.
10. **გოცირიძე რ.,** *სავალუტო კრიზისი: ლარის დევალვაციის მიზეზები და მოსალოდნელი შედეგები*, თბ., 1999.
11. **გუგუშვილი პ.,** „პირველი საკრედიტო ორგანიზაცია ამიერკავკასიაში“, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, ტ.11-B, თბ., 1941.
12. **ელიავა ლ.,** რა უშლის ხელს საბანკო სისტემის მდგრადობას, „ბიზნესი და კანონმდებლობა“, ივლისი-აგვისტო, თბ., 2008.
13. **კაკულია მ.,** *სავალუტო სისტემის განვითარების პრობლემები საქართველოში*, თბ., 2001.
14. **კაკულია რ., ბახტაძე ლ., კანდელაკიშვილი ლ.,** *საბანკო საქმე*, თბ., 2010.
15. **კიკორია მ.,** ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის პრიორიტეტები საქართველოში, „ბანკი“, №№1-2, თბ., 2002.
16. **კოვზანაძე ი.,** *კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე*, თბ., 2001.
17. **კოვზანაძე ი.,** „კომერციული ბანკების ლიკვიდობის რეგულირება“, „სოციალური ეკონომიკა“, №1, თბ., 2000.
18. **კოვზანაძე ი.,** „კომერციული ბანკების როლი საბანკო სისტემის განმტკიცებაში“, „მაკრო-მიკრო ეკონომიკა“, №№7-8, თბ., 2000.
19. **კოვზანაძე ი.,** „კომერციული ბანკების საინვესტიციო საქმიანობის სრულყოფის პრობლემები საქართველოში“, „ბანკი“, №4, თბ., 2000.
20. **კოვზანაძე ი.,** „კომერციული ბანკების ფუნქციონირების სრულყოფის საკითხები“, „სოციალური ეკონომიკა“, №1, თბ., 2001.
21. **კოვზანაძე ი.,** „ლიკვიდობის ცნების განსაზღვრისათვის“, „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ეკონომიკის სერია“, ტ., IX, №3, თბ., 2001.

22. **კოვზანაძე ი.,** „საბანკო საქმიანობის ორგანიზაციისა და სტრუქტურული ცვლილებების თავისებურებანი თანამედროვე ეტაპზე", „მაკრო-მიკრო ეკონომიკა", №3, თბ., 2000.

23. **კოვზანაძე ი., კონტრიძე გ.,** „საქართველოს საბანკო სისტემის ზოგიერთი პრობლემა 2008 წლის აგვისტოს მოვლენებამდე", „საქართველოს ეკონომიკა", №1, თბ., 2009.

24. **კონტრიძე გ.,** „საქართველოს საბანკო სისტემა და მისი განვითარების ტენდენციები", „ბანკები და ფინანსები", №129, თბ., 2006.

25. **კონტრიძე გ.,** „საქართველოს საბანკო სისტემის განვითარების ტენდენციები და ანაბრების დაზღვევის სისტემის აუცილებლობა", „საქართველოს ეკონომიკა", №№7-8, თბ., 2006.

26. **კონტრიძე გ.,** „საქართველოს საბანკო სისტემა 2006 წელს – წარმატებებისა და პრობლემების ლაბირინთი", „ბანკები და ფინანსები", №137, თბ., 2006.

27. **კონტრიძე გ.,** „საქართველოში საბანკო სისტემის განვითარების ზოგიერთი ტენდენციის შესახებ", „სოციალური ეკონომიკა", №1, თბ., 2007.

28. **ლაბარტყავა გ.,** „ანაბარი – ეროვნული ეკონომიკის სასიცოცხლო არტერია", „ეკონომიკა და ბიზნესი", №4, თბ., 2011.

29. **მანაგაძე ი.,** „საქართველოს 2002 წლის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის მიზნები და ძირითადი მიმართულებები", „ბანკი", №№1-2, თბ., 2002.

30. **მექვაბიშვილი ე.,** „ეკონომიკური ზრდისა და გლობალიზაციის ზემოქმედება ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე საქართველოში", „ბანკი", №2, თბ., 2000.

31. **მექვაბიშვილი ი.,** „ეფექტური საბანკო ზედამხედველობის ძირითადი პრინციპების შესახებ", „ეკონომიკა", № 11, თბ., 2005.

32. **მიხანაშვილი ნ.,** *საქართველოს საბანკო სისტემა, რეტროსპექტივა და პერსპექტივები,* თბ., 2006.

33. **ნარმანია დ.,** „საბანკო რისკების მართვის თავისებურებები პოსტკრიზისულ პერიოდში", „ეკონომიკა და ბიზნესი", №3, თბ., 2011.

34. **ფიჩხაია ი.,** *კომერციული ბანკის ოპერაციები და მომსახურება,* თბ., 2013.

35. **ქისტაური ლ.,** *ეროვნული ბანკი (ფორმირება, საქმიანობა, მომავალი),* თბ., 1996.

36. **ქისტაური შ.,** *ფულის, კრედიტისა და სარგებლის (პროცენტის) თეორიები,* თბ., 1992.

37. **ქისტაური შ.,** ეროვნული ვალუტა და სუვერენიტეტი, „ეკონომისტი", №7, თბ., 1990.

38. **ქოქიაური ლ.,** *საბანკო საქმიანობის საფუძვლები: სახელმძღვანელო,* თბ., 2010.

39. **ღაძაძე პ.,** „საკრედიტო ბაზრის ტენდენციები საქართველოში", Forbes Georgia, №17, თბ., 2013.

40. **ღუდუშაური ლ.,** *საბანკო და საკრედიტო ორგანიზაციების რეინჟინერინგი: თეორია და პრაქტიკა,* თბ., 2012.

41. **ღუდუშაური ლ.,** *კრედიტი და თანამედროვე საბანკო მექანიზმი,* თბ., 2007.

42. **შათირიშვილი ჯ.,** „ქართული საბანკო სისტემის საფეხურებრივი და რეგიონული ხასიათი: ფულად-საკრედიტო პოლიტიკა“, „ბიზნესი და კანონმდებლობა“, ოქტომბერი, თბ., 2009.

43. **ჩანტლაძე ვ.,** *ფულის, კრედიტისა და ფინანსების ისტორია*, I-IV ნაკვეთები, თბ., 1886-1887.

44. **ცაავა გ.,** საბანკო საქმე, თბ., 2005.

45. **ჭილაძე ი.,** *ბუღალტრული აღრიცხვა ბანკებში*, თბ., 2013.

46. **ხარაბაძე ე.,** *ბუღალტრული აღრიცხვა*, თბ., 2009.

47. **ხელაია გ.,** *კაპიტალისტური ქვეყნების ფულის მიმოქცევა და კრედიტი*, თბ., 1988.

48. **ხომერიკი თ.,** „საბანკო სექტორის განვითარების სტრატეგია არამდგრად გარემოში“, „ბიზნესი და კანონმდებლობა“, მაისი, თბ., 2010.

49. **ჯავახიშვილი ნ.,** „ანგარიში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 1995 წელს განხორციელებული საქმიანობის შედეგების შესახებ“, №12, „ბანკი“, თბ., 1996.

50. **ჯგერენაია ე.,** *დილინგი და უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები საერთაშორისო ბაზარზე*, თბ., 1996.

51. **ჯგერენაია ე.,** „საქართველოში ფულის რეფორმის გენეზისის საკითხები“, „მაკრო-მიკრო ეკონომიკა“, №9, თბ., 2000.

52. *Банковское дело: учебник* / Под ред. **Г.Н. Белоглазовой, Л. П. Кроливецкой,** 5-е изд., М., 2003.

53. *Банковское дело* / Под ред. **О. И. Лаврушина,** 2-е изд, М., 2009.

54. *Банковский менеджмент: учебник* / Под ред. **Е.Ф. Жукова,** 4-е изд, М., 2012.

55. *Деньги, Кредит, Банки: Учебник* / Под ред. **Г. Н. Белоглазовой**, М., 2009.

56. **Костерина Т.М.,** *Банковское дело*, М., 2012.

57. **Коверт Дж.,** *Розничный банковский бизнес: Бизнес-энциклопедия*, М., 2010.

58. **Ковзанадзе И.,** „Достаточность капитала – ключевой элемент устойчивости коммерческого банка“, „Банковское Дело“, №12, М., 2001.

59. **Ковзанадзе И.,** „Контроль за деятельностью коммерческих банков“, журналь „Финансы“ , №10, М., 2000.

60. **Ковзанадзе И.,** „Некоторые вопросы развития конкурентной среды банковского рынка“, „Банковское Дело“, №4, М., 2001.

61. **Ковзанадзе И.,** „Операции факторинга: их виды, регулирование, учет и анализ доходности“, „Деньги и Кредит“, №11, М., 2001.

62. **Ковзанадзе И.,** „Особенности развития банковских систем бывших социалистических стран“, „Вопросы экономики“, №5, М., 2004.

63. **Ковзанадзе И.,** „Посткризисное развитие мирового банковского сектора: тенденции и перспективы“, „Деньги и Кредит“, №3, М., 2013.

64. **Ковзанадзе И.,** „Регулирование ликвидности кредитных организации центральным банком“, „Бухгалтерия и Банки“, №11, М., 2001.

65. **Ковзанадзе И.,** Системные банковские кризисы в условиях финансовой глобализации, Тб., 2003.

66. **Ковзанадзе И.,** „Системные риски в мировой экономике: необходимы институциональные решения“, „Финансы“, №3, М., 2012.

67. **Ковзанадзе И.,** „Уроки мирового кризиса: необходима новая модель регулирования экономики", «Вопросы экономики» , № 4, М., 2010.
68. **Ковзанадзе И.,** *Тенденции и перспективы развития экономики и банковского сектора трансформационных стран*, М., 2005.
69. **Лаврушин О.И., Афанасьева О.Н.,** *Банковское дело: современная система кредитования. Учебное пособие*, 7-е изд, М., 2013.
70. **Лаврушин О.И.,** *Основы банковского дела*, 3-е изд, М., 2013.
71. **Лиакват А.,** *Повелители финансов: Банкиры, перевернувшие мир*, М., 2011.
72. **Миллер Р. Л., Ван-Хуз Д. Д.,** *Современные деньги и банковское дело*, М., 2000.
73. **Никонова И. А., Шамгунов Р. Н.,** *Стратегия и стоймость коммерческого банка*, М., 2007.
74. **Жарковсакая Е.П.,** *Банковское дело*, 8-е изд, М., 2011.
75. **Роуз С. П.,** *Банковский менеджмент*, М., 1995.
76. **Синки Дж. Мл.,** *Управление финансами в коммерческих банках*, М., 1994.
77. **Синки Дж. Мл.,** *Финансовый менеджмент в коммерческом банке и в индустрии финансовых услуг*, М., 2007.
78. **Heffernan Sh.,** *Modern Banking*, London, 2005.
79. **Heffernan Sh.,** *Modern Banking in Theory and Practice*, London, 1999.
80. **Kovzanadze I.,** *Economic and Banking System Development Trends and Prospects for Countries in Transition,* New York, Bloomington, 2008.
81. **Kovzanadze I.,** *Systemic and Borderline Banking Crises: Lessons Learned for Future Prevention*, New York, Bloomington, 2010.

საკანონმდებლო აქტები, პერიოდული გამოცემები, ინტერნეტრესურსები

82. მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი, 2001-2013, საქართველოს ეროვნული ბანკი.
83. კომერციული ბანკების ადგილზე შემოწმების მეთოდური სახელმძღვანელო, საქართველოს ეროვნული ბანკი, 2007.
84. საბანკო ზედამხედველობის ძირითადი პრინციპები, საქართველოს ეროვნული ბანკი, 2006.
85. საგადამხდელო სისტემის ძირითადი პრინციპები, საქართველოს ეროვნული ბანკი, 2007.
86. საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტები (www.nbg.gov.ge).
87. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის კანონი", საქართველოს პარლამენტი, თბ., 1995 წლის 23 ივნისი.
88. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის კანონი", საქართველოს პარლამენტი, თბ., 2009 წლის 24 სექტემბერი.
89. საქართველოს კანონი „არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების შესახებ ", საქართველოს პარლამენტი, თბ., 2002 წლის 4 ივლისი.
90. საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ", საქართველოს პარლამენტი, თბ., 1996 წლის 23 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

91. საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, თბ., 1998 წლის 24 დეკემბერი.

92. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, თბ., 1994 წლის 28 ოქტომბერი.

93. საქართველოს კანონი „თამასუქის შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, თბ., 1995 წლის 19 აპრილი.

94. საქართველოს კანონი „ჩეკის შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, თბ., 1995 წლის 19 აპრილი.

95. საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საქართველოს რესპუბლიკაში ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ“, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, თბ., 1991 წლის 2 აგვისტო.

96. საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ“, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, თბ., 1991 წლის 2 აგვისტო.

97. საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საქართველოს რესპუბლიკაში ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ“, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, თბ., 1991 წლის 2 აგვისტო.

98. საქართველოს საბანკო სისტემის განვითარების სტრატეგია 2006-2009 წლებისათვის, საქართველოს ეროვნული ბანკი, 2006.

99. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს პარლამენტი, თბ., 1997 წლის 26 ივნისი.

100. ფინანსური სტაბილურობის ანგარიში, 2006-2011, საქართველოს ეროვნული ბანკი.

101. შიდა აუდიტი საქართველოს ეროვნულ ბანკში, საქართველოს ეროვნული ბანკი, 2006.

102. წლიური ანგარიში, 1998-2012, საქართველოს ეროვნული ბანკი.

103. www.abg.org.ge (საქართველოს ბანკების ასოციაციიის ვებგვერდი).

104. www.ebrd.com (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ვებგვერდი).

105. www.gse.ge (საქართველოს საფონდო ბირჟის ვებგვერდი).

106. www.ifc.org (საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ვებგვერდი).

107. www.nbg.gov.ge (საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდი).

108. www.oecd.org (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ვებგვერდი).

109. www.parliament.ge (საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი).

110. www.statistics.ge (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდი).

111. www.worldbank.org (მსოფლიო ბანკის ვებგვერდი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიზაინი, კომპიუტერული უზრუნველყოფა: **გიორგი მესხიძე**
ყდის დიზაინი: **შპს „ბიარტი“**

დაიბეჭდა შპს „სეზანში“
CEZANNE



ირაკლი კოვზანაძე

პროფესორ ირაკლი კოვზანაძის ავტორობით საქართველოსა და საზღვარგარეთ გამოცემულია 6 მონოგრაფია და 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი მათემატიკასა და ეკონომიკაში. შრომების დიდი ნაწილი ეძღვნება სისტემური და მოსაზღვრე საბანკო კრიზისების შესწავლას, მათი გენეზისის, გამოვლინების, განვითარების, პროგნოზირებისა და პრევენციის პრობლემების კვლევას.

ირაკლი კოვზანაძეს აქვს საქართველოს, პოსტსაბჭოთა ქვეყნებისა და ევროპის საბანკო სისტემებში მმართველობით თანამდებობებზე მუშაობის 20 წელზე მეტი ხნის გამოცდილება. 2004-2008 წლებში იგი იყო საქართველოს პარლამენტის წევრი და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე, 2007-2009 წლებში კი – ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ევრაზიის ქვეყნების საბანკო სისტემებში კორპორატიული მართვის საკითხების კომისიის თავმჯდომარე. 2008-2012 წლებში ირაკლი კოვზანაძე იყო EBRD-ის წარმომადგენელი დირექტორი პოსტსაბჭოთა ქვეყნების ბანკებისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტების სამეთვალყურეო და დირექტორთა საბჭოებში.

ირაკლი კოვზანაძეს მინიჭებული აქვს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატისა (1990 წ.) და ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის (2002 წ.) სამეცნიერო ხარისხები. 1991 წლიდან იგი იყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, ხოლო 2003 წლიდან არის პროფესორი. 2006 წლიდან არის ამავე უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრის გამგე.

2012 წლის ნოემბრიდან ირაკლი კოვზანაძე სს „საპარტნიორო ფონდის" აღმასრულებელი დირექტორია.

K36.464
4



გოგი კონტრიძე

გოგი კონტრიძეს აქვს მრავალწლიანი პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება საქართველოს საბანკო-საფინანსო სექტორში წამყვან პოზიციებზე ფინანსური მენეჯმენტის, ბიუჯეტირების, მარკეტინგის, ფილიალების ზედამხედველობისა და აუდიტის მიმართულებით.

გოგი კონტრიძეს 2006 წელს მიენიჭა ეკონომიკის აკადემიური დოქტორის ხარისხი, არის ათზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. ამავე წლიდან იგი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრის მოწვეული ასოცირებული პროფესორია.